



мы-мст



ГО
ДЕС
ЗУЗУГМГ

Август 1994

სიბრცხლე სიკვდილისათვის თუ სიკვდილი სიბრცხლისათვის!



დაიწერა წიგნი ესე
ბრძანებითა
ღმრთისა ჩვენისა
ცაბათისათა,

კურთხევითა ძისა ღვთისა
უფლისა ჩვენისა
იესუ ქრისტესითა,



ნიჭითა უფლისა ჰეშმარიტისა
და ცხოველყოფელისა
სულისა წმიდისაითა,

მეოხებითა ყოვლად წმიდა
ღვთისმშობლისაითა
და
ყოველთა წმიდათა,
ამენ!

და აჰა, აწ იქმნეს წიგნი ესე ქადაგებად სახარებისა ბოლოი,
მღვიბარებად მიძინებულ სოფლისა და სუმევეად ყოველთა
წყალნატრულთა!

იოანე-იონა

იოანე-ზოსიმე

ქვბანი და ღიღებანი ქართულისა ენისაი

დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

და მეგობრობაი ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარ-მეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“.

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა, ხოლო მათეისსა, წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა; — და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებისა მამისაითა.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეის სხვათა ენათა ქრისტეის მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოვითხარ ესე წილი ანბანისაი.

ქვაბი და ღიღუბი ქართულისა ენისაი

(ბანეშარტვა)

როგორც გვინანსწარმეტყველეს, ქართული ენის მეოხებით კაცობრიობას ეუწყება ქრისტეს მეორედ მოსვლის სარწმუნებელი სიტყვა.

კერძოდ რა?

ის, რაც სწადდა დანიელ წინასწარმეტყველს სცოდნოდა ხაკუნის დასასრულისად და არა ეუწყა;

ის, რაც სწადდა მრავალ სხვათა და არა განეშარტა.

დასტურ ის, აწ გუწყათ ზემგან, რაიცა არს საცოდინარი:

ენა ქართული უფლის ნების განმცხადებელი, ყველა ენათა, ერთა და რჯულთა დასამოძღვრად გამორჩეული!

აწ მთელეშარეთა განსაკრთომელი — დამწვარი რჯულის აღორძინების მქადაგებელი!

წელი 94 დასტური ნაუწყებისა. გიხაროდენ, იბერთ ნაშიერნო, ეს ღლვც გაგეთენებია!

ამასვე იუწყება

წინდაგაგანდრია სალუსი:

მეორედ მოსვლის უწინარეს, მცირედსა ჟამსა განსრულებისასა გამოჩნდეს კაცი ეინმე კეთილი, დაჰმოძღვროს ქვეყანაი და მაშინ კეთილნი გზაზე დადგებიან.



„...ვისილუ სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავლით აღმომავალი, როქელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის ბეჭედი...“ (გამოცხ., 7, 2). იწყება მსოფლიო გადანათვლა!

ბრძანა უფალმა

ტკონდეთ შიში ჩემი და მიიღეთ დარიგება ჩემი, რათა არა ამოეძირკვო სამყოფელი თქვენი, რაიცა დაეადგინე და განვიზრახე თქვენთვის. მოეგეთ გონს და მაჩვენეთ გული და ღვაწლი თქვენი, ვიდრემდის ავმხედრებულვარ, თუ არ — დაეცარიელო ქვეყანა აღსაესე კაცთა მიერ სისამაგლითა!

განა ჩემგან არა არს ნაუწყები? — შეეკრიბო ერნი ქვეყნისანი, მოუენხო სამეფოთა და გარდმოვაკლინო მათზედ მძულვარება და რისხვაი ჩემი: მეჭველმა შეემუსრო მიწა და არა დარჩეს შეუძგრელნი მთანი და ბორცენი. დღესა ამასა მზე იქნეს შემოსილ ძაძითა ბალნისაითა და მთოვარე ყოველითურთ გარდაიქცეს ვითარცა სისხლი. შემდგომად ამისა ქვეყანასა ზედა დავტოვო ზალხნი მორჩილნი, უბრალონი და მოყვარენი ღვთისანი. მაშინ ამოფრინდეს ანგელოზი აღმოსავლითა ღვთის ბეჭდისა მპყრობელი, წარუძღვეს მონასა ჩემსა, რომელმან დაჰმოძღვროს მსოფლიო და მით განამზადოს ქვეყანა ქრისტესთან შესახვედრად, — რაიცა იყოს მაუწყებელ საშინელი სამსჯავროისა. მაშინ კელავაც მიეცეს კაცსა ბაგე მართალი, რათა გულიწმიდითა ახსენებდნენ უფალსა და მსახურებდნენ მას სულითა წრფელითა. ქუეყანა აღივსოს ღვთის სახელის სადიდებლითა, ვითარცა წყალნი მრავალნი აღაესებენ ზღვას უკიდევანოს. ჰეი, ძენო ადამისანო! ახალ რისხვამდე მოიძიეთ თქვენში უფალი და მით განირიდეთ მწიკელოვანება სულისა, — იყარით დამდა ჭემშარიტი ნათელღებისა. გზა საგალი ცეცხლოვანი, გზა განსაცდელისა წინარე გიდეეთ.

იფხიზლეთ, იფხიზლეთ, ძენო ადამისანო!

იოანე—იონა

ლოცვა მამა ღმერთისადმი

ისმინე ღაღადისი

ყოვლად ცოდვილისა

მონისა შენისა,

რამეთუ წერილ არს:

„მიეცეს წყალობა წინაშე ღვთისა

ჯვარცმულის სახელით მვედრებელსა“.

გვედრებ, უფალო!

მოჰმადლე მონასა შენსა

საკურნებელად სულისად

ფრთეთა ქვეშე შენთა ყოფნა,

რათა არა მიხილონ უღმრთოდ დარჩენილი

მადევართა და მაჭირკვებელთა ჩემთა,

და არა ვიქმნე დაცემულ გვკენისად;

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე

მონა ძისა შენისა,

ვითარ ღაღადეყო მარად:

წმიდა ხარ!

წმიდა ხარ!

წმიდა ხარ, ცაბაოთ! –

მამაო, ღმრთისა ჩემისა,

ყოვლად მწყალობელო,

ამენ!

იონანე–იონა

ათი მცნება

I

მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.

II

არა ჰქმნე თავისა შენის კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზღა, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა, და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა, არა თაყვანი სცე მათ და არცა მსახურებდე მათ.

III

არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამოსა ზედა.

IV

მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი; ექვს დღეს იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი; ხოლო დღე იგი შეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღვთისა შენისა.

V

პატივე-ც მაძასა შენსა და ღვლასა შენსა, რათა კეთილი გვეოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა.

VI

არა კაც-ჰკლა.

VII

არა იმრუშო.

VIII


არა იპარო.

IX

არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთათა.

X

არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მზევლისა მისისა, არცა ზარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.



**ღმერთი არს ღმერთი, არს უკვდავი და
ყოვლისშემკლა, რომლისგანაც არარაობიდან
ყოფიერებას დაედო საფუძველი.**

**რაცა არს, მისით არს, და ყოველი
ეისით სულღმეულღს.**

იგი აცოცხლებს და იგი კლავს.

**იგია უზენაესი მსაჯული – მეუფე
მეუფეთა.**



Երկրի և Գործիչի

ԵՐԵՎԱՆԻ

ԳՐԱԴԱՐԱՆ

ԵՐԵՎԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ



თ ა ვ ი კ ი რ ვ ე ლ ი

ღვთის ბამოვლინება კანონზომიერებაში

1. ხილულ სამყაროში ყველაფერი, რასაც კი თვალი სწვდება, აღქმულია. ვხედავთ მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ერთმანეთს და საკმარისად მოგვეპოვება ცნობები ყოველივე ხილულის შესახებ. სამყაროში აღამიანი-სათვის ბევრი რამეა უხილავი, მაგრამ მეცნიერულმა აღმოჩენებმა განმარტა და ხილულ ქმნა იგი. გაირკვა, რომ არსებობს მიკრობები, ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ბიოლოგიური არსებანი, უღტრაბგერები, მაგნიტური ველი, ღენი, რადიაცია, რომელთა ხილვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია, თუმცა მათი არსებობა უტყუარია. მეცნიერულ მიღწევას კი არ განუსაზღვრავს მათი ყოფა; ისინი არსებობდნენ ჩვენი ცნობიერების გარეშე. მეცნიერებამ ჩვენ მხოლოდ არსებულის არსებობაში დაგვაჯერა. ასევე აჯერებს რელიგია აღამიანს არსებული ღვთის არსებობაში.

2. ღღემდე არავის უნახავს ქარი, მაგრამ ჭეშმარიტად გვეჯერა მისი არსებობა. რანაირად დავიჯერეთ იგი? ვივრძენით, ან დავინახეთ მოშრიალე ფოთლები და მივხვდით, რომ ქარია. ე.ი. ქარის არსებობა დავამტკიცეთ მისი ძალის გამოვლინებით. არ გვინახავს, მაგრამ დავიჯერეთ. ასევე შეუმჩნეველია ელექტროღენი, მაგრამ მისი არსებობაც ძალის გამოვლინებაში იჩენს თავს; სახელდობრ, ეუმზერთ ანთებულ ნათურას; მიუხედავად იმისა, რომ ღენს ვერ ვხედავთ, ჭეშმარიტად ვაღიარებთ მის არსებობას; ასევე

უხილავია არსებული რადიოტალღებიც.

3. ამგვარი ფაქტებით აღამიანი იჯერებს მისთვის უხილავის არსებობას; მეოცე საუკუნეში ეინ იქნება ისეთი უგუნური, რომ ირწმუნოს ქარი მისი ძალის გამოვლინებით, ასევე ირწმუნოს ღენის არსებობა მისი ძალის გამოვლინებით და გაუჭირდეს უხუნაესი გონიერების შემეცნება მისი ძალისა და შემძლეობის გამოვლინების მიხედვით, რაც ირეკლება ხილული და უხილავი სამყაროს არსებულ კანონზომიერებებში.

4. შემთხვევით არაა ის, რომ ღღემამიწა მზიდან ზუსტად განსაზღვრულ მანძილზე მღებარეობს.

5. თუკი ღღემამიწის მოძრაობის სირქარე ერთი მეათედით შენეღღება, მაშინ ღღისა და ღღამის ხანგრძლივობა ათჯერ გაიზრღება და ღღამის სიღღდე გამყინვარებას გამოიწვევს.

6. ღღემამიწა თავისი ჰერპენდიტულარული ღღერიღდან 23,5 გრადუსით ყოფიღლა დახრილი. სწორედ ამგვარი დახრიღლობა უწყობს ხელს ქვეყანაზე სიცოცხლის გაჩენას. ასევე, წელიწადის ოთხი ღღრო იღღღევა საშუალებას მოეფყანოთ მოსავალი და მოვასწროთ მისი აღება-ღღბინაღებაც.

7. ღღემამიწის ატმოსფერო წარმოადღენს კოსმოსიღდან მოძალეუღლი მომაკვღინეზღელი რადიაციისაგან დაცვის საფარს.

8. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ არსებობს ეღღემენტები, რომლებიც სხვა ეღღემენტებად გარღქმნისას იღღვეიან ენერღიას;

ფიზიკოსებმა შეძლეს მატერიის გარდაქმნა ენერგიად (ატომის ბომბი). თურმე ასევე შეიძლება ენერგიის მატერიალად გადაქცევა.

9. როცა ბიბლიაში აღინიშნა, რომ ღმერთმა ყოფიერებას არარაობისგან დაუდო საფუძველი, მატერიალისტებმა თქვეს, როგორ შეიძლებოდა პლანეტების შექმნა მასალის, ე.ი. მატერიის გარეშე, ან რა ძალას შეეძლო ამხელა მასის დამუშავება, გადაადგილება და ამოძრავებაო. რასაც თვალი ვერ ხედავდა, იმას ადამიანი არარსებულად წარმოიდგენდა.

10. თუკი ენერგიის საშუალებით მეცნიერებამ მიაღწია მატერიის შექმნას და ატომის ენერგიისგან შეიძლო მატერიის მიღება, ვინ არის ის, რომელიც სიცოცხლის მიმინჭებულ წყარო, ყოველი ენერგიის სათავეს არ მიიჩნევს ყოფიერების საფუძველად?

11. დიას, ზემომძლეობის ნიჭმა, თავისი მარად უშრუტი ენერგიით სიცარიელეში შეიტანა მატერია. არარაობისგან ასე დაედო საფუძველი ყოფიერებას.

12. არაფერი, როგორც არარაობა, შეიძლება წარმოვიდგინოთ სიცარიელედ. როგორც დედის მუცელში სიცარიელეს ისაკუთრებს ჩასახული შვილი — სიცოცხლე და შეუძლებელია მისი შეღწევა სისავსეში, რადგან მას სათავსოდ სჭირდება ცარიელი სივრცე, ასევე დაცლილ სივრცეში, ე.ი. არარაობაში შემოიტანა უფაღმა მატერია. რისი შეტანა შეიძლება ქვის მასაში, რომელსაც თავისი მოცულობით უკვე უჭირავს სივრცის გარკვეული ნაწილი? ამიტომ ბრძანებენ —

პირველყოფილი სახე სამყაროსი უნდა ყოფილიყო სიცარიელე, როგორც ეს ბიბლიაშია განცხადებული.

13. ზოგი მეცნიერი ამბობს, სამყარო იყო დიდი მასა, რომლის აფეთქებამ გამოიწვია პლანეტების შექმნა და ასე დაიბადა ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა; თითქოს გატყორცნილ სხეულებს მიენიჭათ მოძრაობის საშუალება. როდესაც ამას ვამბობთ და კატეგორიულად გამოერიცხავთ გონების ნააზრევს, მაშინ სამყაროს შექმნის მიზეზად უთუოდ იღბლიან შემთხვევას ვვარაუდობთ. კარგად ითქვა: ბრიყვს შეუძლია დაიჯეროს, რომ სტამბის აფეთქებით შესაძლებელია ენის განმარტებითი ლექსიკონის შექმნა.

14. მატერია არსებობს ადამიანისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ იგი არის ინერტული, უძრავი, მისი აქტივობისა და მოძრაობაში მოსაყვანად საჭიროა არამატერიალური სუბსტანცია, სულიერი საწყისი; სამყაროში საგნების აქტივობისა და მოძრაობაში მოსაყვანად, მის „მაცოცხლებელ“ საწყისად ღმერთია მიჩნეული. ქვეყნად არსებული კანონზომიერება რომ ქაოსის შედეგი იყოს, მაშინ ქაოსი იქნებოდა კანონზომიერების დედა და, რადგან ქაოსი არაკანონზომიერების შვილია, იგი, ავლენს რა თავის უფლებას, სპობს საკუთარ თავს.

15. სამყაროში არსებულ კანონზომიერებათა უმცირესი შეცვლაც კი სიცოცხლის მოსპობას გამოიწვევდა. ვინ დაიჯერა გონიერების გარეშე შესაძლო იყოს სამყაროს მართვა?

თ ა ზ ი მ ე რ ა მ

ყველაფერი კოდირებულია

1. ქვა რომ დათესო, ზორბალი არ აღმოცნდება იმიტომ, რომ ქვამ ჩაღებულ კოდი არ ამჟღავნებს ზორბლის ბუნებას, ასევე, გაშლის თესლიდან — მსხალი, და საზამთროს

თესლიდან — კაკალი. ყველა ნივთიერებაში თავისი გენეტიკური კოდი დევს.

2. საკვირველებად მიგვაჩნია, როცა ჩვენს გარშემო ფაუნისა და ფლორის ასეთ ნაირ-

სახეობას ვხედავთ. გასაოცარი კი ისაა, თუ ვინ ჩამწყვდია ამ უმცირეს თესლის მარცხალში ამგვარი მრავალსახოვანი სიცოცხლის კოდი.

3. წარმოიდგინეთ ცივილიზაციის მიერ შექმნილი საგნები: თვითმფრინავი, მატარებელი, გემი, კოსმოსური ზომადი, საათი, აკტოკალამი, ღილი, ჭანჭიკი, ნემსი, ნებისმიერი სხვა ნივთი და დაგვაჯერეთ, რომ ისინი შინაარსს თავისთავად, შემქმნელის გარეშე ატარებენ, რომ ისინი არარაობის, ქაოსისა და უგუნურების ნაყოფია.

4. თუკი ჩვენს გარშემო ასეთ ერთ საგანს მინც აღმოვაჩენთ, მაშინ ვერწმუნოთ, რომ სიცოცხლის მატარებელი ყოველი ნაწილაკი თავისთავად დაპროგრამებულია, მოუღია არსებულ სახე და ამ საგანს არა ჰყოლია თავისი შემოქმედი. თუკი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საგნის შემქმნელად ადამიანს ეიგულებოდა და ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს მისი გონიერებისა და შრომის ნაყოფია, ისეთი უაზრო ვინ იქნება, რომ მილიონჯერ ურთულესი ბიოლოგიური და სიცოცხლე უგუნურებას მიაწეროს და მის ავტორად არ სცნოს უმადლესი გონიერება — ღმერთი.

5. გენის აღმოჩენით მეცნიერებამ დაამტკიცა და საეჭვოდ უკვე აღარავის მიაჩნია, რომ მაიმუნისგან მხოლოდ მაიმუნი წარმოიშობა და ყოვლად შეუძლებელია ადამიანის წინაპარი იყოს მაიმუნი, რადგან, როგორც დადგინდა, მაიმუნის სპერმაში ერთი წყვილით ნაკლები ქრომოსომათა შემადგენლობა ყოფილა, ვიდრე ადამიანისაში, რაც გენეტიკურად მიუუღებელს ხდის მაიმუნისაგან ადამიანის გაჩენის შესაძლებლობას.

6. როცა უკანონობისაკენ გულმიდრეკილად ადამიანებს ეუწყა, რომ მათი გაჩენის მიზეზი ღმერთში კი არა, ევოლუციის არსში მდგომარეობს, მათ სინარულით მიიღეს ეს ყალბი თეორია და დაუნდობლად დაამსხვრიეს საზოგადოების ეთიკური ნორმები, ადამიანი გააშიშვლეს უზნო, ცხოველური ყოფისათვის, რაც სხვას არას ნიშნავს, თუ არა საზოგადოების გარდაცვალებას.

7. ვინ დაიჯერებს, რომ თითქოსდა ბუნებამ შექმნა ყოველივე. ასე რომ იყოს, მაშინ ბუნების შემადგენელ ნაწილებს გონი უნდა გააჩნდეს.

8. წყალმა უნდა იცოდეს თავისი არსებობის შესახებ და ასევე მიწამ უნდა იცოდეს თავისი არსებობის შესახებ.

9. თუკი მათ თავიანთ თავზე არაფერი იციან, რანაირად შეიძლება სცოდნოდან კაცთა გაჩენის საიდუმლოებანი და ჟამთა სვლანი?

10. ან კიდევ, რანაირად შეეძლოთ ამ უგუნურ სხეულებს ღვთიური კანონების შემეცნება?

11. ზეგარდმო ძალის გარეშე ბუნება უსულო სხეულია.

12. ბუნების შემადგენელი ნაწილები ისევე უგუნურია, როგორც თვით ბუნება.

13. როგორც ხელმა არა იცის რა მერე ხელის შესახებ და როგორც ყურმა არა იცის რა მერე ყურის შესახებ, რადგან ისინი მოძრაობაში მოჰყავს მხოლოდ სულსა და მის განმგებლობას, ასევე ბუნების შემადგენელმა ნაწილებმა არა იციან რა ურთიერთის შესახებ. ისინი მოქმედებაში მოჰყავს უზენაესის სულსა და მის განმგებლობას.

14. ნუ დაეიწყებთ იქიდან, თუ საიდან გაჩნდა დედამიწა, მზის ნაწილია იგი თუ მთვარისა; ან კიდევ, თუ როგორ გაჩნდა ერთუჯრედიანი წყალმცენარე, როგორ გარდაიქმნა იგი თურმე მრავალუჯრედიან წყალმცენარედ, შემდეგ ამ ცოცხალმა სხეულმა თუ როგორ განიცადა დროთა განმავლობაში ევოლუცია და როგორ მოვიდა მაიმუნამდე და, საბოლოოდ (როგორც უღმერთონი განმარტავდნენ), როგორ იქცა მაიმუნი იგი ადამიანად.

15. არამედ, დაეიწყეთ იქიდან, თუ რა ძალია ის ძალა, რომელსაც სიტყვით შეუძლია მკვდრის გაცოცხლება, ლოცვით ავადმყოფის განკურნება, სულითგან ემშაქის განსხმა, კურთხევით წყლის უღპობლობა, სტიქიის მართვა, გულთამხილარობა და სხვა.

16. რა ძალაა ეს უხილავი, საიდან მოდის, ან ვინ ასრულებს ამ ჩვენს წადილს?

17. უტყუარია, იგი აღემატება ადამიანის შესაძლებლობას.

18. მაშ, ვინ არის ის ყოვლისშემძლე გონიერი, რომლის ბრძანებასაც ასრულებს ყოველი სულიერი და უსულო?

19. ვის ხელეწიფება ძალის ამგვარი გამოვლინება, რომლის მეოხებით არა დალაქეს ღობადი, იმართოს სტიქია, დაგვემორჩილონ უხილავი სულები? და, თუ ეს ძალა არსებობს, ვის შეუძლია მიაწეროს იგი ან უგუნურის შემძლეობას, ან თავისთავადობას?

20. შეუქმნია კი უგუნურს რაიმე გონიერული? უგუნურის შენამოქმედი უგუნურება და ქაოსია, რადგან მას გონიერულის შექმნისათვის არ გააჩნია გონიერება.

21. ყოველი გონიერულის შემქმნელი გონიერია, რადგან მასშია შემოქმედის ნიჭი.

22. ყოფიერ ცხოვრებაში თავისთავად და უმიზეზოდ არაფერი არსებობს.

23. ყოველი გონიერულის შექმნა სიბრძნისა და შემძლეობის ნაყოფია.

24. სიბრძნე და შემძლეობა სულის თვისებაა. ეს ქვეყანაც იმ უზენაესი სულის სიბრძნისა და შემძლეობის გამოვლინებაა.

25. ქაოსისა და უაზრობის ნაყოფი უაზრობაა. თევზი ჰოლიკანტუსი დღემდე ზურგით ატარებს წარწერას ძველ არაბულ ენაზე — კაცთა საფხიზლო ლოზუნგს: „აღ იღლა, იღ ალლა, შანი ალლა“, რაც ნიშნავს: „არ არსებობს ღმერთი თვინიერ ღმერთისა, გეშინოდეს ღმერთისა“. უგუნური ადამიანი კიჰინც თავისას დაიჩემებს.

26. სამყარო თავისი კანონებით მხოლოდ უმაღლესი აზროვნების პროდუქტია.

27. ეს უმაღლესი მოაზროვნე კი, როგორც მეცნიერები უწოდებენ, ზეგონიერებაა, უბრალოდ კი — ღმერთი.

თ ა ვ ი მ მ ს ა მ ე

ბონიერება სულის თვისებაა

1. ერთი და იმავე კალმის წვერით შეიძლება დაიწეროს კარგიც და ცუდიც. კალამს სასიცოცხლო ენერგია ამოძრავებს, კალამი მოქმედებს, მაგრამ მისთვის უცნობია მოქმედების არსი. კალმის ყოველი გადაადგილების მიზეზი გონიერებამ იცის; მართალია, კალამს სასიცოცხლო ენერგია ამოქმედებს, მაგრამ საზრიანი მოქმედების სტრუქტურა ნათელია მხოლოდ გონებისათვის, რადგან გონიერება სულის თვისებაა და არა მატერიის (ტვინისა). გონიერება გააჩნია სულს და არა ხორცს.

2. ზოგნი ფლობენ სხეულიდან სულის გამოყვანის ხელოვნებას. ამის საბუთად გამოდგება წმიდა მამების, ასევე იოგების ქმედებანი. არსებობს სხვა საბუთიც: ძველი წელთაღრიცხვით მეექვსე საუკუნის ეპიკოსი პოე-

ტი არისტეა პროკონოსელი გვამცნობს, რომ მას სურვილისამებრ შეეძლო საკუთარი სხეულიდან სულის ამოშვება და მერე უკანვე ჩაბრუნება. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მოქმედებდა საზრიანი. ინებებდა? დაისაკუთრებდა მისგანვე დატოვებულ ჭურჭელს — სხეულს, ვინ ეყოლებოდა მოძალადე.

3. სასიცოცხლო ენერგია ფიზიკური სხეულის ამოქმედებას სჭირდება მხოლოდ. სულს რომ ის სჭირდებოდეს, მაშინ სიზმარში გონების მოქმედებას უნდა მიაცილებდეს სხეულის მოძრაობა. რაც შეეხება სუნთქვას, სამშვინველი ისევე სჭირდება სასიცოცხლო ენერგიის ამუშავებას, როგორც საწვავი — ძრავას.

4. ამაოდ მიიჩნევენ გონიერებას ტვინის თვისებად. ტვინი ადამიანის სხეულში კიბერ-

ნეტიკული დანადგარი ყოფილა, რომელიც ამუშავებს მიწოდებულ ინფორმაციას. კაცობრიობამ თავის დროზე სწორად ინიშნა, როცა დაზიანებული გონების ადგილსამყოფელი სულში მოიძია და არა ხორცში: „სულით დააუადებელი“; „სულით აუადმოყოფი“.

5. კაცი ნორმალურია, როდესაც იგი უანსადად აზროვნებს, ხოლო არანორმალურია, თუკი გამართულად ვერ აზროვნებს. რატომ მიანიშნებენ ხოლმე ადამიანზე — სულით დააუადებულაო? იმიტომ, რომ სულის თვისება — გონიერება აქვს დაზიანებული.

6. სულით დააუადებული ადამიანის ტვინი ჩვეულებრივია. საქმე ის არის, რომ ამ ადამიანს დაზიანებული აქვს სული, ე.ი. ინფორმატორი. შიშის შეგრძნება სხეულში პირველად სულში ჩნდება, რადგან მან იცის, თუ რა არის შიში. ტვინისთვის კი ეს უცნობია. ინფორმაციის მიღების შემდეგ იგი, როგორც კიბერნეტიკული მანქანა, იწყებს პროგრამის მიხედვით მუშაობას, რათა სწრაფად მოიყვანოს მოძრაობაში სხეულის ნაწილები. ამ შემთხვევაში ტვინი განმანაწილებელია.

7. პროგრამის გარეშე ტვინი ისევე დგებს სხეულში, როგორც დაუპროგრამებული კიბერნეტიკული მანქანა ოთახის კუთხეში.

8. სხეულში ის ნაწილია გონიერი, რომელიც ატარებს ინფორმაციას თავისი თავის შესახებ. ცხვირმა არაფერი იცის ყურის შესახებ და თავისი თავის შესახებ; ასევე, ტვინმაც არაფერი იცის თავის თავზე. ინფორმაცია ყველას და ყველაფრის შესახებ გააჩნია სულს. იგია ინფორმაციის მატარებელი, ხოლო ტვინი, როგორც ვთქვი, კიბერნეტიკული მანქანაა.

9. გონიერი სულის ხალი ტვინი მეტად სწრაფად და უშეცდომოდ ამუშავებს მოწოდებულ ინფორმაციას. დაზიანებული ტვინი ვერ არის კარგი განმანაწილებელი სხეულში. ტვინის გამოროთვა ნიშნავს განმანაწილებლის წყობიდან გამოსვლას. სულის ინფორმაცია — პროგრამა განაპირობებს ტვინის მუშაობას სხეულის სხვადასხვა ნაწილის ასამოქმედებლად.

10. ასი წლის წინათ ვისმეს რომ ეთქვა: კაცის თანხლების გარეშე შეიძლება რკინა დედამიწიდან აფრინდეს, მთვარეზე დაეშვას, სურათები გადაიღოს, გრუნტი აიღოს სინჯისთვის და უკანვე გამობრუნდესო, არაფერი დაიჯერებდა, მაგრამ ჩვენ, მეოცე საუკუნის ადამიანები, მოწმენი ვართ, თუ როგორ ასრულებდა დედამიწიდან მიწოდებულ ბრძანებას მანქანა — ეს უსულო საგანი.

11. მაშ, მთვარეშეშვას გონიერული მოქმედება რანაირად შეგვიძლია მიეწეროთ რკინის ძრავების საზრიანობას? განა იგი მიწოდებულ პროგრამას არ ახორციელებდა, რითაც საზრიან მოქმედებაში მოჰყავდა უსულო ძრავები. ამასვე ასრულებს ტვინი — ეს ცოცხალი ძრავა — სულის მიერ მიწოდებულ ბრძანებას სხეულში.

12. როგორც პირველ შემთხვევაში გონიერი მოქმედება არ შეიძლება მიეწეროს რკინის საზრიანობას, ასევე არ შეიძლება გონიერება დაბრალდეს ტვინს; თვით ტვინის საზრიანი მოქმედება სულის პროგრამის განხორციელებაა სხეულში, რადგან გონიერება სულის თვისებაა. ტვინის ყველა ნაწილის კედომას იწყებს სხეულისგან სულის საბოლოო გაყრა, რის გამოც ხორცი იქცევა ლეშად.

13. როცა ადამიანმა მიაღწია იმას, რომ თავისი შენამოქმედი სურვილისამებრ მართოს, ნუთუ თვით ადამიანის გამჩენს უმეტესი არ ხელეწიფება?

საგნის მოქმედების არსი მისმა შემქმნელმა იცის. მანქანის შემქმნელმა იცის, რისგან შექმნა იგი, რისთვის შექმნა და როგორ შეიძლება მისი ამოქმედება; მასვე უნდა კუთხოთ მისი გამძლეობის შესახებაც, რადგან თავად არის შემოქმედი მისი.

14. — დედამიწა ბრუნავს, ღმერთი არ არსებობს! — ომანხიანად შესძახა ერთხელ მეცნიერებით გათამამებულმა ათეისტმა.

— და თუკი ბრუნავს, ვინ უბძიბა?! — ჰკითხეს მას.

თავისი აღმოჩენით ნაადრევად აღურთოვანებული ათეისტი დადუმდა.

ვინც არსებობისა და მოქმედების უნარი
მიანიჭა ყოველს, ხილულსა და უხილავს,

სწორედ ის არის არსთა გამრიგე — უფალი
ღმერთი, მეუფე მეუფეთა.

თ ა ვ ი მ მ ო თ ხ ა

ბიბლიური პარალებლები

1. ღმერთს უპირველესად შეუქმნია ციური
დასი. ღიონისე არეოპაგელის განმარტებით,
ზეციური იერარქია შედგება ცხრა არსისაგან.
ზეციური არსი კი იყოფა სამ ჯგუფად:

ა) ექვსფრთიანი სერაფიმი, მრავალთვა-
ლიანი ქერუბიმი და უწმინდესი საყდარნი
(ანგელოზთა ეს დასი ღმერთთან ახლოს იმ-
ყოფება და უფლება აქვს უახლოეს და უშუ-
ალო თანაზიარობაში იყოს ღმერთთან),

ბ) უფლებანი (მეუფებათა), ძალნი და ხე-
ლმწიფებანი,

გ) დასაბამნი, მთავარანგელოზნი და ანგე-
ლოზნი.

2. როცა ქერუბიმ სათანაიელს ამპარ-
ტავნება შეჰპარებია და ღვთის საყადრისი
თაყვანი უწადინია, ღმერთს მისი განდევნა
უბრძანებია საუფლოდან.

3. მთავარანგელოზ მიქაელის ლაშქარს
შეუსრულებია ნება უფლისა და დიდი ბრძო-

ლის შემდეგ დაუთრგუნავს სათანაიელი თა-
ვისი მხედრონით. მუამბოხეთ სწორედ ამი-
ტომ ეწოდათ ბოროტი ანგელოზნი, ანუ ეშმაკ-
ნი.

4. საუფლოდან გაძევებულებს მრავალი
ჟამი უფრენიათ სიბნელის ოკეანეში.

5. ამასობაში ღმერთს თიხისაგან ადამიანი
შეუქმნია ზატად და მსგავსად მისად. კაცის-
თვის დაურქმევია „ადამი“, ანუ „წითელი
მიწა“ (ებრ.).

6. შემდეგ დაუძინებია ადამი, რომლის
ნეკნიდან გაუჩენია ქალი. ქალისთვის უწო-
დებია „ევა“, რაც „სიცოცხლის მომცემს“
ნიშნავს.

7. გამჩენისადმი ადამიანის ერთგულებისა
და მორჩილების სასინჯად კი დაუწესებია
კანონი: აუკრძალავს მისთვის დაფარულის
გამოძიება. ეშმაკისთვის კი დაურთავს ნება
დედამიწაზე დაშვებისა.

თ ა ვ ი მ მ ხ უ თ ე

ბიბლია გვამცნობს

1. ღმერთმა ქვეყანა ექვს დღეში შექმნა.
პირველ დღეს ნათელი გააჩინა. ნათელს დაარ-
ქვა დღე, ბნელს — ღამე.

2. მეორე დღეს შექმნა ცა. მესამე დღეს კი
წყალი ერთ ადგილას შეკრიბა, რათა გამოი-
შრალიყო მიწა, შემდგომ კი აღმოაცენა მცე-
ნარეული.

3. მეოთხე დღეს შექმნა ციური მნათობნი.
მეხუთე დღეს — წყალში თევზი და ცაში
ფრინველი. მეექვსე დღეს — ყოველგვარი

ცხოველი და ქვეწარმავალი. იმავე დღეს
შექმნა ადამიანიც.

4. მეშვიდე დღეს განისვენა თავის საქ-
მეთაგან. ეს დღე დანიშნა სასიხარულოდ
და განსასვენებლად. აკურთხა დღე იგო,
უწოდა შაბათი, ანუ განსასვენებელი.

5. ღმერთმა ადამსა და ევას საცხოვ-
რებლად მისცა ქვეყნის აღმოსავლეთი ნა-
წილი და იმ ადგილს სამოთხე უწოდა.



მარცხნიდან მარჯვნივ: ქერუბიმი, სერაფიმი, ანგელოზი, მფარველი ანგელოზი.

6. აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დასახლდა ედემის ბაღში მის დასამუშაებლად და დასაცავად.

გააფრთხილა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში, მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან, როგორც კი შეჭამ, მოკვდები (ე.ი. უკვდავება თვით ადამიანის ხელში ყოფილა. — ი-ი).

7. აქვე იყო მეორე ხეც: „ხეცხოვრებისა“. ამ ხის ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ ეინც მის ნაყოფს შეჭამდა, არასოდეს მოკვდებოდა.

8. მაგრამ ადამიანმა დაარღვია ღვთის მიერ დადგენილი კანონი. ეშმაკმა გველში დაიბუღა და ევას აგვმა აკრძალული ხის ნაყოფი, ევამ კი — თავის ქმარს. მაშინ „უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რაკი ეს ჩაი-

ღინე, წყველიმც იყავ ყველა პირუტყვს შორის, ყველა გარეულ ცხოველს შორის! მუცლით იზოხე და მტვერი ჭამე მთელი სიცოცხლე“.

9. ევას უთხრა: „სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიძნელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შეიღებს. ქმრისკენ გექნება ლტოლვა, ის კი იბატონებს შენზე“.

10. ადამს უთხრა: რაკი შენს დედაკაცს დაუჯერ და შეჭამე ხის ნაყოფი, რომლის ჭამა აკრძალული მქონდა შენთვის, მიწა დაიწყველოს შენს გამო: ტანჯვით მიიღებდე მისგან საზრდოს მთელი სიცოცხლე.

11. ძემეი და ეკალი აღმოგიცნოს და მინდერის ბალახი იყოს შენი საზრდო.

პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდ“.

თ ა ვ ი მ ე მ მ ვ ს მ

თავისუფლება — საკუთარი ნებჟლობა

1. ყოველ სულიერს აზრი მართავს, ღმერთის მეფობის პერიოდში იგი იყო უბოროტო და კეთილი.

2. ლომს აზრად არ ჰქონდა — საკბილოდ ირემი მოეხელთა, კატას — თაგვი, მგელს — ცხვარი.

3. ყველანი იკვებებოდნენ უსისხლო საკვებით — მცენარეულობითა და ნაყოფით, მით კმარისობდნენ.

4. ლომი ისეთივე წადილით მიირთმევა ბალახს, როგორც ცხვარი; მგელიც ისეთივე წადილით ძოვდა, როგორც კურდღელი.

5. ადამიანიც ასევე კმარისობდა მისთვის ბოძებულ ხილკენკროვანსა და მცენარეულს.

6. რადგან ბოროტი აზრი არ სუფევდა, სულიერი სულიერისთვის არ იყო საშიში.

7. ეს იყო ხანა, როდესაც დედამიწაზე ღმერთი განაგებდა ყოველივეს.

8. უფალმა ჩვენ შეგვექმნა სულიერნი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნებით და, როგორც ერთი ოჯახის შეიღებს, ჩაგვიწერა სიყვარული და კეთილშობილება, დაგვიდგინა კანონი და ამ დიდი ოჯახის ბატონობა სწორედ ჩვენ — ადამიანებს გეარგუნა.

9. ღმერთს არ შეუქმნია ბოროტი; მან ყოველი შექმნა სიკეთით და სიმაართლით; თავისუფლება მოგვანიჭა, როგორც შეიღებს, ჩვენ კი ჩვენვე ნებლობის საფუძველზე ზოგმა ვინდომეთ მისი შეიღობა და ზოგმა არა.

10. ღმერთმა თავის შეიღობს — ქრისტესაც თავისუფალი მოქმედების ნება მისცა. ამიტომაც გამოცდადა ქრისტე ეშმაკმა.

11. მხოლოდ ამ გამოცდის შემდეგ დადასტურდა მისი ერთგულება. ღმერთის შეიღობა ეშმაკის შემოძლეული მეფობა კი არ იხურვა, არამედ საკუთარი სისხლის ფასად — ცოდვილიანი კაცობრიობის ხსნა.

12. ასეთივე თავისუფლება მიანიჭა უფალ-
მა სხვა დანარჩენ ხილულ და უხილავ სულებს.
რისთვის?

13. როცა საკუთარი ნებით ვალიარებთ
და ვეთანხმებით უზენაესს ნებას, მით ვუმ-
ტყიცებთ მას სიყვარულსა და ერთგულებას,
რაც შემდგომ იმსახურებს სამარადჟამო
ცხოვრებას.

14. ყოველი თავისუფლება მსგავსია უზე-
ნაესის თავისუფლებისა, რადგან უზენაესი
თავისუფლება არის ჭეშმარიტი თავისუფ-
ლება, იგი მხოლოდ სიკეთეს ბადებს.

15. ამგვარად, პიროვნების თავისუფლება-
ში არ გამოირიცხება ღმერთის თავისუფ-
ლებასთან იგივეობა. ორივე, ღვთაებრივი და
ადამიანური თავისუფლება, ერთ მიზანს ემ-
სახურება – სამარადჟამო ცხოვრებას.

16. მაშინ, როცა პიროვნების თავისუფ-
ლება გამოირიცხავს უზენაესის თავისუფლე-
ბასთან კავშირს, ნიშნავს თვითნებობას,
საკუთარი მეს განდიდებას, რაც თავისთავად
იწვევს ღვთისგან განმიჯნებას.

17. პირველად მთავარანგელოზმა სათან-
იელმა დაარღვია ამ თავისუფლების ჭეშმა-
რიტი არსი. სწორედ მაშინ გახდა იგი ბოროტი
ანგელოზი და იწოდა ეშმაკად.

18. როცა სათანაიელის ნებელობა არ
დაემთხვა ღვთის ნებელობას, იგი იქცა სი-
მართლის მტრად, ე.ი. სიკეთის მტრად, უკე-
თურად, ღმერთის მოწინააღმდეგედ – სა-
ტანად.

19. ამრიგად, ღმერთი დაანახევს სატანას,
რომ შეეცნებულე კაცობრიობა საკუთარი თა-
ვის ნებელობას ღვთის ნება-სურვილს დაუ-
მორჩილებს. იმას, რაც სიამაყით დაკარგა
ანგელოზმა, თავისი თავმდაბლობითა და მორ-
ჩილებით დაისაკუთრებს ადამიანი.

20. სატანა ანგელოზბრივი ცხოვრებიდან
დაეშვა ეშმაკისებულ ცხოვრებად, რაც თავი-
სივე ნების ტოლფასოვანი ხვედრია.

21. ასევე მოხდა პირველ ადამიანშიც.
მისთვის მინიჭებული თავისუფლებით ჩადე-

ნილმა საქციელმა დააკარგვინა ღვთიური
წყალობა – უკედეგება და მით საკუთარი
მოქმედების ტოლფასოვანი ხვედრი არგუნა.

22. და, როგორც იქ, სათანაიელის დანა-
შაულის გამო დაისაჯა მხოლოდ სატანა თა-
ვისი მხედრობით და არა ყველა ანგელოზი,
ასევე ღმერთმა ადამიანის დანაშაულის გამო
ყველა როდი გაწირა. ღვთისგან განწირულია
მხოლოდ უკეთური ნაშვირნი, რომელთაც
უარყვეს ღმერთი და მისი ნებელობა.

23. როგორც იხილეთ, მაშინ, როდესაც
ადამიანმა ეშმაკის აზრის აყოლა ინდობა და
კანონის უარყოფით ღმერთად გახლდა იწა-
დინა, დაიბადა ცოდვა და გაჩნდა მისი საპა-
სუხო სასჯელიც – სიკვდილი.

24. ქვეყანაზე დაითესა ეშმაკის აზრი.

25. ეშმაკის აზრი სხვა არაფერია, თუ
არა მტრობა, ქიშპი, სიცრუე და ძალადობა.

26. როგორც კი ქვეყნის ბატონი – ადამი-
ანი დაეთანხმა თავის დიდ საბრძანებელში
ეშმაკის აზრს, ყველა სულიერმა თავისი
ბუნების შესატყვისი წადილი გამოავლინა.
მაშინ დაიქცა პირველი სისხლი და მაშინ
იგემა ხორცმა ხორცი.

27. როგორც კი ადამიანმა, ცხოველთა
და ფრინველთა ხორცის მოსინჯვის შემდეგ
საკუთარი საკბილო დაიდგინა, მიიღო ღვთის-
გან კურთხევა და საზრდელიც მიენიშნა.
ასევე დაიდგინა ღმერთმა თავისი და მგელმა –
თავისი.

28. ცხერის ბუნებამ ისევე ბალახი იჩრია.

29. რაკი ადამიანმა უარყო თავისი შემ-
ქმნელი და ღმერთობა ინდობა, ღმერთმა
დაუთმო მას ასპარეზი, რათა ჭეშმარიტად
შეიმეცნოს თავისი შესაძლებლობა.

30. იმთავითვე ადამიანი ცდილობს, შეიძი-
ნოს უმაღლესი მეცნიერება, რითაც სურს
გაუტოლდეს უზენაეს შემოქმედს.

31. ასე დაიწყო ეშმაკისა და კაცობრიობის
მეფობის ერა დედამიწაზე. და ვიდრე ისინი
იმეფებენ, იქნება ხორცის ჭკამა და სისხლის
ღვრა.

შ უ რ ი ს კ ი მ ბ ა

1. ეშმაკი მიხვდა, რას ნიშნავდა ადამის ძეგა აწინდელი ცხოვრება. თუ მონანიებისა და კანონიერების გზით ივლიდნენ, ღმერთი დაუბრუნებდა მათ წართმეულ უკვდავებას; და მით შეაკვებდა განდევნილ ჩინთა მიერ დაცლილ საუფლოს, ხოლო ამხედრებულ ანგელოზებს ჯოჯოხეთს დაუმკვიდრებდა. ამის გამო ეშმაკი უფრო დიდი შურისძიებით აინთო ღმერთის შენამოქმედზე, რათა არ მისცემოდა ადამის ნაშვიერს სამარადჟამო სასუფეველში შესვლის საშუალება.

2. სწორედ მაშინ მოიმარჯვა კაცთა საცთუნებელი იარაღი — ადამიანი დააჯერა, რომ ღმერთის მიერ დადგენილი კანონი — მისთვის დაფარულის გამოძიებისა — სხვას არას ნიშნავს, თუ არა ადამიანისათვის ღმერთად გახდომის საშუალების წართმევას.

3. ასე აცდუნა მან ადამიანი და დაარღვევინა უფლის კანონი.

4. განირიდა რა ადამიანმა სადავე მორჩილებისა, სასჯელად დაიმსახურა სიკვდილი.

5. სიკვდილი დაიმსახურა, რათა გაეგო უკვდავების ფასი.

6. ასევე ინდომა თავისივე სიბრძნით ქვეყნის მართვა, მეცნიერული კვლევით მისთვის დაფარულის გამოძიებაც.

7. და რადგან ინება — დაუპირისპირდეს უზენაეს შემოქმედს, უფლება მიეცა სურვილისამებრ ღვაწლისა, რათა იგემოს მისი „სიბრძნის“ ნაყოფი.

8. მე შეგქმენ შენ ნებითა ჩემითა, ნებითა ჩემითვე მოგანიჭე მარადიულობა და უზრუნველობა. შენ ამხედრდი ნებისა ჩემისა წინააღმდეგ. და ასე ნებითა შენითა დაკარგე ის, რაიც მოგანიჭე ნებითა ჩემითა. აწ ზრუნვით შეიძელ მოიპოვო, რაიცა მიბოძებია უზრუნველად, ცოდვილო ადამიანო!

9. ბრძანა და სამარადჟამო სიცოცხლის — უკვდავების მოპოვებისათვის მართალთ

ერთი სიკვდილი აკმარა, ხოლო უკეთურნი ორი სიკვდილით დასაჯა. მართალთა პირველი სიკვდილი სხეულიდან სულის გასვლასა და სასუფეველის დამკვიდრებას ნიშნავს. ხოლო უკეთურთათვის მეორე სიკვდილი მარადიულ ცეცხლში ყოფნაა.

10. იოლი რომ არ ყოფილიყო ადამიანისათვის სულის გადარჩენა — მარადიული ცხოვრების მოპოვება, ეშმაკს ებოძა ქვეყანაზე დიდი უფლება; მანაც დააგო თავისი ცდუნების ბაღე კაცთა სულის შესაჰყარი. ასე დაითესა ქვეყანაზე ეშმაკის აზრი.

11. უგუნური ადამიანი ცოდვას ცოდვაზე იძენს და მით შორდება ღმერთს — ცხოვრების უმთავრეს არსს.

12. და რადგან სამნელოა დედამიწაზე ხილული და უხილავი ბოროტის ხელში სულის გადარჩენა, ამიტომ ღმერთმა ადამიანი აღჭურვა მტერზე ძლევის იარაღით.

13. ადამიანს სულის გადარჩენისათვის უბოძა გონება, თავისუფლება და ჭეშმარიტება.

14. გონიერებით მან უნდა შეიმეცნოს უფალი, თავისუფლებით ჰყოს თავისავე ნებისამებრ; ჭეშმარიტების ცოდნით კი შეებრძოლოს მის დამღუპველ მტერს — ეშმაკს და სძლიოს მას, რაც არის გარანტია უკვდავების დაბრუნებისა.

15. ცდუნებულმა ადამიანმა უპირველესად იწყო მისი გართულებული ცხოვრების შემსუბუქება.

16. წადილი მისი ერთია — ჰქონდეს ამქვეყნიური ნეტარება, უკიდურესად სურს გაიადვილოს ცხოვრება. თუკი იგი მას შეიძლებს, ამით ღმერთს თავისი პლიერებას დაუმტკიცებს.

17. ადამიანმა და ეშმაკმა დედამიწაზე მუფუებისა შექმნეს კანონები, რამაც გამოიწვია კაცობრიობის ორ ჯგუფად გაყოფა:

18. ადამიანები, რომლებიც დაექვემდებარნენ ეშმაკისეულ და ადამიანისეულ კანონებს, რომელთაც საკუთარი თავის გარდა სხვა ღმერთი არ სჭირდებათ. ესენი არიან უღმერთონი, ბუნებით ათეისტები.

19. ხოლო მეორე კატეგორია თავის თავს უარყოფს ყოვლისშემძლე შემოქმედად. აღიარებს უზენაესი შემოქმედის წინაშე თავის უმწეობას, ნათლისღებით ითხოვს ღმრის მუცლიდან გამოყოფილი და შექმნილი ცოდვების პატიებას, ღმერთი კანონის აღსრულებით კი დაკარგული უკვდავების დაბრუნებას, რაც ნიშნავს სამარადუამო ცხოვრების მოპოვებას.

20. მამასადამე, როგორც ითქვა, ადამიანის ნაშიერთათვის გაჩენილი ყოფილა ორი სიკვდილი. პირველი სიკვდილია უკვდავების დაბრუნების საგარანტიოდ ბოძებული სიცოცხლის დასასრული, ხოლო მეორე — უკვდავების საგარანტიოდ ბოძებული სიცოცხლის უაზროდ გაფლანგვისათვის დადგენილი სასჯელი — მარადიული ტყვეობა.

21. ღმრის მონები ცდილობენ განირიდონ მეორე სიკვდილი, რისთვისაც არ უფროსიან პირველ სიკვდილს. ისინი ღმერთს სთხოვენ შუამავალსა და წინამძღოლს.

22. უღმერთონი კი ცდილობენ პირველ სიკვდილამდე ივემონ ამქვეყნიური მეტი სიამენი, არ დაიკლონ მეფის საკადრისი პატივი და ჩინი.

23. ხოლო კაცობრიობა — ეს დიდი სხეული — რაც უფრო უახლოვდება სიბერეს, მით უფრო სულსწრაფობს, რამეთუ იცის, სიბერეს სიკვდილი მოჰყვება.

24. ადრე, როცა კაცობრიობა — ცოდვების გამო დასწულდა და საჭირო იყო მკურნალობა, მოვიდა თვით ღმერთის ძე — ჭეშმარიტი ღმერთი — იესუ ქრისტე, რათა ეხსნა კაცობრიობა ცოდვებისაგან თავისივე სისხლით და კიდევ ერთხელ შეეხსენებინა ადამიანთათვის სიცოცხლის დანიშნულება. ამრიგად, თვად მიეცა მათთვის მავალითი. მან ყოველი აღასრულა.

25. არ ინდობა ძალისმიერი ღვაწლი, არამედ რჩევით, სწავლებით, დათმენით და გაუგონარი მორჩილებით წარმოვედგინა მამის ნება, რაც ღმერთშემოსილთათვის გახდა მისაბამი.

26. ახალი, ქრისტეანული ენერგიით სხეულის განედლება! აი, ასე წარმოიშვა ქრისტეანული ეკლესია, სიცოცხლის წყარო და სათავე.

27. მაცხოვარი პირველად მოვიდა, რათა გვასწავლოს, ხოლო მეორედ მოვა, რათა გვსაჯოს; ითქვა და ასე იქნება, კაცობრიობა გაფრთხილებულია.

28. როდის დადგება ის დღე? ამის შესახებ თვით სახარება გვაუწყებს: როცა იმრავლოს ქვეყანაზე სიცრუემ და ორპირობამ, ქერლობამ და მემკობამ, როცა ქვეყნის პირზე გაბნეულმა ებრაელებმა იწყონ თავიანთ ქვეყანაში თავმოყრა და გვასმინონ აბჯრის ხმაური (ომის ხმა), იცოდეთ, მოახლოებულ არს დღე იგიო (მათ., 24).

29. კარგა ხანია — ებრაელებმა თავი მოიყარეს და აბჯრის ხმაურსაც გვასმენინებენ; ახლა, ქრისტეს სიტყვების მიხედვით, კიდევ ერთი მომენტი დარჩა, ვიდრე ქრისტეს მეორედ მოსვლა იქნებოდეს, კვლავ უნდა იქადაგონ მთელ მსოფლიოში მინაგებული ქრისტეანული ჭეშმარიტება.

30. ამის შემდეგ გამოიღოს ნაყოფი ადამიანის ღმერთად გახდომის წადილმაც და იქნეს იგი ქვეყნის დაქცევის მიზეზი.

31. ადამიანი მაშინ დაიჯერებს ღმრის წინაშე თავის უმწეობასა და უმეცრებას, როდესაც იგი თავისი მეცნიერებით ქვეყანას დაანგრევს; მაშინ კვლავ ღმერთის მეფობის ერა დადგება, რაც ნიშნავს სატანისეული აზრის საშუალო სიკვდილს. ამის შემდეგ სისხლი აღარ დაიდგება.

32. კატა არ გამოუდგეს თავს, ლომი — ხარს, მგელი — ცხვარს. ქვეწარმავალმაც არ იზრანოს ბოროტი, რადგან საშუალოდ ჩაესვენება კაცობრიობის პირველი და უკანასკნელი მტერი — ეშმაკი სამარადუამო

ცეცხლში თავისივე მხედრონითა და ბოროტი აზრით, თავისივე თვალხილული მოკაეშირეებით.

33. მშვიდობა, სიყვარული და სამართალი ისუფეებს, რისი დამკვიდრებაც ადამიანმა ვერ შეძლო ეშმაკის მეფობის ყამს.

34. კაცობრიობამ იხილა თავისი უმეტეობა – დაფარულის გამოძიების წადილით

დაქცეული ქვეყანა. ღმერთმოსილებს კი კვლავ დაუბრუნდათ წართმეული უკვდავება და უზრუნველობა.

35. იცხოვრებენ ხორციელნი – ვითარცა ანგელოზნი მათთვის შექმნილ პლანეტაზე – ახალ იერუსალიმში. არ იქნება ცხოვრება ცოლქმრული და ჯაფა ქვეყნიური, არასოდეს მოკვდება ადამიანი.

თ ა ვ ი მ ა რ ვ ი

რელიგია – ღვთაებრივი უშიქი

1. სულისა და ხორცის კაეშირი არის სიცოცხლე.

2. თუ ხორცს წარმოვიდგენთ კანდელად, მაშინ სული იქნება ამ კანდელში ჩასხმული ზეთი; ხოლო ცეცხლი, რომელიც ამ კანდელს აანთებს, არის რელიგია.

3. როგორც კანდელი ზეთის გარეშე ფუჭია და უვარგისი და ზეთი ცეცხლის გარეშე გამოუსადეგარი, ასევე ხორცი სულის გარეშე ლეშა და სული რელიგიის გარეშე უსარგებლო.

4. მხოლოდ ანთებული კანდელი ასრულებს თავის დანიშნულებას.

5. ბევრია კანდელი, მაგრამ თუკი ის აუნთებელია, უსარგებლოა ყოვლად.

6. ასევე ბევრია ადამიანი, მაგრამ რელიგიის გარეშე ის ისეთივე გამოუსადეგარია, როგორც ჩამქრალი კანდელი.

7. კანდელში ყველაფერი ეშმაკურება ნათლის აკიაფებას. ასევე, ადამიანში ყველაფერი უნდა ეშმაკურებოდეს სულის ანთებას. სულის ასანთები ცეცხლი მხოლოდ ჭეშმარიტი რელიგიაა.

8. სულის სამოსად ღმერთს ხორცი შეუქმნია.

9. სასურველია ლამაზი და წმიდა

სამოსი, მაგრამ არამია იგი მახინჯი სულისათვის.

10. შეიძლება სპეტაკ სულს თვალსაჩინო სამოსი არ მოსავედეს, მაგრამ ეს მის პიროვნებას ჩრდილს ვერ მიაყენებს.

11. მზეს ღრუბლის მოსახსნამი ვერ წართმევს მზეობას, ხოლო ქოთანს ვერავითარი ბრწყინვალე ძოწეული მზედ ვერ აქცევს.

12. ადამიანში ამაღლებული უნდა იყოს სული. ხორცი არ უნდა ჯახბინდეს მას.

13. ხორცისა და სულის ერთიანობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სიცოცხლის გამართლებას.

14. სიცოცხლე გამართლებულად მაშინ ჩაითვლება, როცა იგი ჭეშმარიტი რელიგიის შესაკუთრება და თავადაც რელიგიურია.

15. მეცნიერება და ხელოვნება ირემებენ დიდ სულიერ ფასეულობას, მაგრამ, როგორც გრიგალს არ შეუძლია გაწიოს ასანთის მაგივრობა, ასევე ვერც მეცნიერება თუ ხელოვნება გამოდგება „კანდელის“ ასანთებად.

16. მხოლოდ სიყვარულს შეუძლია ადამიანი სატრფოდ აქციოს; ასევეა ჭეშმარიტი რელიგია, მხოლოდ მას ხელეწიფება ადამიანი აზიაროს ღმერთს.

სიცოცხლის დანიშნულება

1. სიკვდილი ხზვა არა არის, თუ არა ხორცისა და სულის გაყრა.

2. ხორცი კვლავ მიწად მიიქცევა, რამეთუ შეიქმნა იგი მიწისაგან.

3. სული უკვდავია, რადგან იგი არის უკვდავი ღმერთის სულის ნაწილი, რომელიც ღმერთმა ჩაჰბერა თიხისაგან შექმნილ ადამიანს.

4. ადამიანი გონიერი სულიერია.

5. სიკვდილის შემდეგ სულის სამყოფელი სასუფეველშია, თუკი სულმა დაიმსახურა იგი. დასჯილი სულის ადგილი კი ჯოჯოხეთშია.

6. სასუფეველში მყოფი სული ელოდება ქრისტეს მეორედ მოსვლას ღუდამიწაზე, რადგან იმ დროს უნდა შედგეს საშინელი ხამსჯაერო, რის შემდეგ მოხდება მიცვალებულთა სულების მატერიალიზაცია (სულმა კვლავ უნდა შეისხას ხორცი).

7. ადამ და ევადან დაწყებული ბოლო მიცვალებულის ჩათვლით ვველანი გაცოცხლებიან და წარსდებიან ხამსჯაეროზე.

8. ნურვინ გაიკვირებს: კაცისთვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელია.

9. აღდგომის შემდეგ ადამიანი მოისმენს საბოლოო განაჩენს. საქვეყნოდ იქნება მხილებული მისი საქმიანობა, ღირსეულნი შეუდგებიან აღთქმულ მარადიულ ცხოვრებას, ხოლო უღირსნი ხამსჯაეროში ცეცხლში ჩაინთქმებიან. ეს არის სწორედ ის მეორე სიკვდილი.

10. როგორც ვიცით, გონიერი არ ერიდება პირველ სიკვდილს, რათა აიცილინოს მეორე სიკვდილი.

11. უგუნური კი გაურბის პირველ სიკვდილს, უფრთხილდება სიცოცხლეს და გემოთმოყვარების მონა ხდება. „ვინც გაუფრთხილდება სულს თავისას (ნიშნავს: ვინც უფრთხილდება სიცოცხლეს), ის დაკარგავს

მას; და, ვინც დაკარგავს სიცოცხლეს ჩემი გულისთვის და სახარების გულისთვის, ის გადაირჩენს თავს, — ბრძანებს ქრისტე“ (ლუკა, 17, 33).

12. ხორცის მონა ვერასოდეს გაძლება სიცოცხლით. ქვეყანაზე ეშმაკისა და ადამიანის მეფობის ჟამს ძნელია ჰპოვო ხამართალი, ან სიკეთე, ან მშვიდობა. ის მხოლოდ ღმერთის კარზე სუფევს.

13. ამდენად, გონიერი ერთხელ ბოძებულ სიცოცხლეს არ გაუფლანგავს ხორცის ხამსჯურში, რადგან სჯერა, უახრო ცხოვრების საზღაური ხამარადეამო ცეცხლია.

14. ზოგი იტყვის: რომ მოკვდები, მერე გინდ მაწამონ და გინდ არაო.

15. როგორც სიზმარში მყოფი ადამიანის სხეულისთვის ჰრილობა არავის მოუვენებია და ტკივილი კი ნაგრძნობი იყო, ასევე არ იქნება ხორცი საჭირო სიკვდილის შემდეგ, ტკივილი კი მარად სულთან დარჩება, რადგან სულია მგრძნობიარე სხეულში; და სწორედ ის თრთის ღვთის წინაშე.

16. რომელი ტკივილია უფრო მოსათმენი — სიზმრისეული თუ ცხადში განცდილი? განა ორთავე ერთნაირი არაა?

17. ვინ დაგვაჯეროს მძინარენი, რომ ნამდვილი ცხოვრება გაღვიძების შემდეგ იწყება.

18. ასევე უჭირს ცოცხალ კაცს იმის დაჯერება, რომ ჰუმანიტი ცხოვრება სიკვდილის შემდეგ იწყება.

19. როგორც კვერცხში ჩამწყვედული წიწილა ნამდვილ ცხოვრებას ნაჭუქიდან გამოსვლისას იწყებს და ხნულში ჩადებული მარცვალი სიკვდილის მერე შემოსავს სიცოცხლეს, ასევე ადამიანიც ხორცის მოკვდინების შემდეგ ათავისუფლებს სულს ხამარადეამო ცხოვრების შესამოსად.

20. უსული ყოველი ლუშია და მკვდარი, სულია სიცოცხლე.

21. დედის მუცლიდანვე ცოდვილია ადამიანის სული, მას მოჰყვება ადამისა და ევას ცოდვა.

22. სიცოცხლე აუწერელი ჯაფა ამ ცოდვილი სულის გადასარჩენად ბოძებული.

23. რა სიმდიდრის სანაცვლოდ მოათავსებდით საკუთარ სულს ცეცხლში?

24. დაიჯერეთ, ცხოვრებაც ამ უძვირფასესი საგანძურის გადასარჩენად მოგვეცა.

25. მთელი ქვეყანა რომ გაყიდო თავისი საგანძურებით, ერთი ადამიანის სულსაც ვერ იყიდო, — ბრძანებს ღმერთი. შენ რის საფასურად გაიმეტე იგი?

26. ვინაც არ გაირჯება სულის გადასარჩენად, ის არ არის ღირსი სამარადეთამო ცხოვრებისა. სასურველ ნაპირს ის ნავი მიადგება, რომლის ნიჩაბი საიმედო ხელშია.

თ ა ვ ი მ ა თ ე

ც რ უ ბ უ ნ ე მ ბ ა ც რ უ რ ე ლ ი გ ი ი ს მ ე ს ა კ უ თ რ ე ა

1. რელიგია არის მოძღვრება ზე ძალების, სულის არსებობის და მისი გადარჩენის შესახებ.

2. რელიგია იგივე რჯულის კანონია.

3. იგი არსებობს ჭეშმარიტი და არაჭეშმარიტი.

4. პრიმიტიული რელიგიის საფუძვლები ჭეშმარიტი ღმერთის დაიწვევის, მისგან დაშორების შედეგია.

5. როცა უღმერთო ადამიანმა სასიცოცხლო წყაროდ აღიარა არა ღმერთი, არამედ ცეცხლი, გაიზადა კიდევ იგი კერპად.

6. კერპთაყვანისცემა სხვა არაფერია, თუ არა შემოქმედის უარყოფა და თავყანსაცემად შენამოქმედის აღიარება.

7. როცა ყალბი რელიგია საუკუნეების მანძილზე საზოგადოების სულიერ საზრდოს წარმოადგენს, იგი იქცევა ხოლმე ჩვეულებად, ტრადიციის გაგრძელებად. ამგვარი ტრადიცია კი ერის დამღუპველია.

8. თუკი რელიგია სატანის მიერაა შემოჩეჩებული, უმცირეს კანონებში მეჭვლელია, ხოლო უმთავრესის განმრიდებელი, ქრისტეს თქმისა არ იყოს: კოლოს არ დააფრენენ და აქლემს გადასანსლავენ.

9. რაც მაშინ შეირჩინოს წყლის მნაყელმა, იგივე — ცრუ რელიგიის მესაკუთრემ.

10. ეშმაკი გალოცვინებს, გამარხულებინებს, ქვეყნის გამჩენი ღმერთის სახელს გადიღებინებს, მაგრამ უარგაყოფინებს თავად ქვეყნის გამჩენის შვილს — ჭეშმარიტ მესიას.

11. რომ არა სცნო სისხლდანთხეული ძე მისი და სანაცვლოდ ინებო მამის თავყვანი, განა რისხვის შედგომას არ ნიშნავს? მისი სისხლდანთხეული შვილის უარყოფელს განა ცეცხლს არ განუშზადებს მამა? მაშ, ყველა ის ლოცვა-ვედრება, აღვლენილი მამა ღმერთისადმი, ნუთუ არარაობად ქცეულა? დიას, რისხვად დაგვიბრუნდება უტოო ლოცვა.

12. რჯულის კანონის გარეშე ვერი თითქმის არ დარჩენილა, მაგრამ იგი ყველამ მიიღო თავისი ბუნების, ერის ხასიათის, ერის ბედის მიხედვით.

13. ჭეშმარიტი რელიგიის მესაკუთრეა ჭეშმარიტი ვერი. ჭეშმარიტების მონა ჭეშმარიტების ჭიდან იღებს წყალს, სიცრუის მონა — სიცრუის ჭიდან. და აი, ვინაც სიცრუის ჭიდან აიღო წყალი, იმის მეპატრონე გახდა, რაც ამოსხაპა.

14. ქვეყანაზე ყველა რელიგიათა შორის მოსეს მიერ მოტანილი რელიგია — თუდაიზმი თავი დროზე იყო ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგია, რომელიც თვით მამა ღმერთმა დაუდგინა მის რჩეულ ერს ათი მცნებისა და კანონების სახით.

15. მიუხედავად იმისა, რომ მოსემ ათი მცნება თავის ხალხს მოუტანა, იგი წარმოადგენდა ყველა მართალი ერის საკუთრებასაც; ამიტომ მოსეს არავისთვის არ დაუმალავს. ერს, რომელსაც ენება ჭეშმარიტება, შეეძლო დაწაფებოდა ჭეშმარიტების წყაროს, რადგან ის წარმოადგენდა კაცობრიობის საკუთრებას.

16. მოსე გრძნობდა, რომ ადამიანთა ცოდვების მატებასა და დროთა განმავლობაში ერის ხასიათის ცვალებადობასთან ერთად შეიცვლებოდა ზოგი რამ მესიის მოსვლასთან დაკავშირებით და აფრთხილებდა თავის ერს,

ქვეყანაზე მოვა დიდი წინასწარმეტყველი ჩვენივე რჯულიდან და ვინც მას არ დაუჯერებს, წაწყდებაო.

17. არა მრავალი, არამედ მხოლოდ ერთი და ჭეშმარიტი რელიგიაა სულის გადამრჩენელი მოძღვრება, რომელსაც ნათელი შუაქვს ადამიანის ცხოვრებაში და ამ შუაქვე დაანახვებს თავისი ცოდვილი ცხოვრების გასარანდავ გზას.

18. ჭეშმარიტი რელიგია ადამიანის მგზობრივია, მას მიჰყავს იგი მარადიული სიცოცხლისაკენ.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ ე მ ტ ა

ჭეშმარიტი რელიგია მართია

1. ყველა ადამიანი ღმერთის გაჩენილია. მრავალია ქვეყანაზე ერი და ყველა მის მიერ მოწონებული რელიგიის მესაკუთრეა. არ არსებობს ერი რელიგიის გარეშე, რადგან რელიგია ადამიანის გენეტიკურ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ჭეშმარიტი რელიგია იყო და არის ადამიანის სულის გადამრჩენელი მოძღვრება. რელიგია ადამიანს ახსენებს თავის ცოდვილიანობას უზენაესის წინაშე, მიუთითებს დაუძინებელ მტერზე და აიარაღებს მას ბოროტთან საბრძოლველად. გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდება უკვდავობის დაბრუნებას და დაკარგულ სამოთხეს.

2. მტერმა იცის ჭეშმარიტი რელიგიის ძალა და დანიშნულება, ამიტომ ყოველნაირად ცდილობს რელიგიურად დამუხტულ ადამიანებს შეაჩეროს ყალბი რელიგია, რომლის გამოყენება სულის გადასარჩენად უპარგისია და ყოველად უსარგებლო.

3. დადგენილია, კაცს რანაირი ხასიათიც გააჩნია, ისეთივე ბედი აქვს. ამრიგად, რელიგიათა ნაირფეროვნებას ერთა ხასიათი განსაზღვრავს. როგორი რელიგიის ღირსი ხარ, ისეთი რელიგიის მესაკუთრე ბრძანდები.

4. თუმცა მრავალია რელიგია, სულის გადამრჩენელი მხოლოდ ერთია, რადგან ის ერთი წარმოადგენს ღვთის განგებულობის გამოცხადებას. ნუ ვიტყვი, რომ ყველა რელიგიის გზა ღმერთისკენ მიდის. გვახსოვდეს, უფალს იმთავითვე დაკანონებული აქვს მისთვის სათნო ტაძარი.

5. ჭეშმარიტი რელიგია ისაა, რომელსაც გააჩნია ღვთიური წინასწარმეტყველება და ლოცვის ძალა.

6. ბუდისტურ რელიგიას თუ ავიღებთ, იგი უფრო ფილოსოფიური აზროვნებაა, ვიდრე ეშმაკთან საბრძოლველი იარაღი. წარმოვიდგინოთ: შენს წინაშე დგას მხეცი, რომელსაც უნდა შეებრძოლო. ბრძოლის დაწყებამდე გაწვიან იარაღს, რომლის სიყალბეს მხოლოდ მაშინ გამოცდი, როცა მოძალადეს შეებმები. ასევეა ცრუ რელიგიაც, მისი სიყალბე ეშმაკის წინაშე ჩანს, რადგან ამ რელიგიის მესაკუთრე ძლეულია მოძალადის მიერ.

ჭეშმარიტი რელიგია ღვთიური სიბრძნეა

1. ათეისტები ღმერთს ადამიანის ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევენ, ხოლო რელიგიას კი — ამ ფანტაზიის შედეგად.

2. უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ, გონიერების გარეშე არაფერი შექმნილა, როგორც გავიგეთ, უგუნურების ნაყოფი უგუნურებაა. მას არ გააჩნია ძალა და ის ყოვლის შემძლეობა, არარაობიდან რომ ყოფიერებას დაუდოს საფუძველი. ეს სამყაროც, თავისი ურთულესი კანონებით, უმაღლესი გონიერების ნაყოფია.

3. ამ უმაღლეს გონიერებას ღმერთს უწოდებენ, რომლის სიბრძნე გაცნადებულა ჩვენს გარშემო ყოველსავე სიცოცხლეში.

4. ღმერთი უხილავია, არამატერიალური.

5. ადამიანი კი — მატერიალური და ყველასათვის ხილული.

6. ჭეშმარიტი რელიგია ღმერთის პირადი „მეს“ წარდგინებაა ადამიანთა წინაშე.

7. რანაირად შეიძლება ადამიანს წარმოედგინა ღმერთი მოვლი თავისი სისავესით, თუკი იგი თავად არ წარუდგენდა თავს?

8. და სწორედ ეს წარდგინებაა ის რელიგიური კავშირი.

9. რელიგია ღმერთს კი არ სჭირდება, იგი ადამიანს უბოძა ღმერთმა სულის გადასარჩენად და, ამდენად, რელიგია ღვთიური სიბრძნეა. ამ სიბრძნის ცხოვრებაში დასაწინებლად დაუშვა იგი დედამიწაზე წესებისა და კანონების სახით.

10. გამჩენმა ასწავლა გაჩენილს ყოველი წესი და რიგი სამეგრძისო და არა გაჩენილმა — გამჩენს.

11. მეჭურჭლემ უკეთ იცის ჭურჭლის ამბავი და ჭურჭელში განფენილი წესი ყოველი, ვიდრე ჭურჭელმა. მეჭურჭლეს შეუძლია ჭურჭელს მიუჩინოს ყოველად საიმედო ადგილი.

12. მეჭურჭლემ უნდა აიღოს ჭურჭელი ხელში და არა არს შემძლე ჭურჭელი პერობად ჩეჭურჭლისა.

13. მამ, რანაირად ითქვა, თითქოს ჭურჭელმა თავად შეიმეცნა თავისი გამჩენი და მანვე შეუქმნა კანონები მეჭურჭლეს? განა ეს სასაცილო არაა? რელიგია ადამიანის გაჩენისთანავე გაჩნდა, რადგან იგი იმწამსვე ნიშნავდა გამჩენისა და გაჩენილის კავშირს.

საუკუნის შესატყვისი რელიგიური საზრდო

1. როგორც კაცია იბადება ქვეყანაზე და აქვს თავისი ბავშვობა, ყრმობა, სიბერე და როგორც სიბერისკენ გადაზრილი ადამიანი ძაბუნდება და კარგავს ძლიერებას, ასევე საუკუნე, სიბერის ასაკში მყოფი, ძაბუნდება და, რაც უფრო შორს მიიწევს, მეტი სიძაბუნე უწევია.

2. და როგორც ყოფიერ ცხოვრებაში კაცის უძლეურობის დასასრული სიკვდილია, ასევე საუკუნის დასასრულიც. საზოგადოების გან-

ვითარებასთან ერთად, საუკუნე შეურჩევს ხოლმე კაცობრიობას სულის საზრდოს, ანუ ეთიკურ ნორმებს.

3. ყოველად შეუძლებელი იყო პირველყოფილი ადამიანისათვის მიეწოდებინათ საფრენოსნო აპარატის შექმნის იდეები, რადგან საუკუნე და მისი საზოგადოება არ იმყოფებოდნენ განვითარების შესაბამის ფაზაში.

4. მაშინ შესაძლებელი იყო მხოლოდ ეწინასწარმეტყველათ, ანუ უკეთ, მიეცათ

გარანტია, რომ დადგება დრო და ფეხით მოსიარულე ადამიანი იფრენს ცაში.

5. ნოედან დაწყებული მოხმდე, კაცობრიობა წარმოადგენდა ახალფეხადგმულ საზოგადოებას და, რა თქმა უნდა, განჩნდა სულის გადამრჩენელი კანონი — იარაღი.

6. ეს კანონი პრიმიტიული იყო: „ისეთ რამეს სხვას ნუ უზამ, შენ რომ გიქნან, გეწყინება“. მართალია, უბრალო ჩანს, მაგრამ სულის გადარჩენას კი უთოოდემსახურებოდა. ამ მოწოდების მიმყოლი ნამდვილად ვერ იკადრებდა ცუდს. ეს კი ცოდვის განრიდებას ნიშნავდა.

7. ეშმაკების საზრუნავი ქვეყნად სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ცდუნება, რითაც ცოდვითდაცემული დაკარგავს სულს.

8. ეშმაკის მოხერხებულობამ და საერო განათლებაშემენილი კაცის გემოთმოყვარებამ დასცა საუკუნის ზნეობრივი სიწმინდე, ეშმაკთან საბრძოლველად საჭირო გახდა ახალი იარაღი.

9. და აი, მისცეს მოსეს ათი მცნება და მოწესრიგებული რელიგია, რომლის მიყოლით ადამიანს შეეძლო ეშმაკის მოგერიება და საკუთარი სულის ხსნა.

10. მოსემ იმთავითვე გააფრთხილა ებრაელები: ღმერთი ჩვენზე რჯულიდან აღვიდგენთ ჩემნაირ წინასწარმეტყველს და მას უსმინეთო. ამით მან საუკუნის მომდევნო რელიგიური პერიოდი მიგვანიშნა.

11. და ჰა, დადგა მესამე პერიოდი. საუკუნე მოხუცებულობის ფაზაში შევიდა. ჯაძახუნებულ სულს უჭირდა შეძენილი და თანდაყოლილი ცოდვის ტარება, გემოთმოყვარე ერს გაუძნელდა არსებული იარაღის ზმარება.

12. და აი, ქვეყანაზე მოდის მესია, რომლის შესახებაც ბრძანებდა მოსე.

13. მოვიდა ცოდვების მორეგები ჩაძირული კაცობრიობის სახსნელად, შექმნა ღვთისათვის სათნო ტაძარი.

14. მოსემ მოიტანა რჯული, ქრისტემ — მადლი. სწორედ ამ მადლმა გადაწონა კაცობრიობის ყველა ცოდვა — თანდაყოლილი

თუ შეძენილი, ამცნო ხალხს ჭეშმარიტი სამების საიდუმლო და, მასთან ერთად, ღვთისთვის სათნო ეკლესიის სიმართლე. წყველა განურიდა დედამიწას.

15. აღსრულდა წინასწარმეტყველება: ქრისტემ დაბეჭდა ცოდვანი ქვეყნისანი შეიდი საეკლესიო საიდუმლოს საშუალებით. ესენია: 1) ნათლობა, 2) მირონცხება, 3) სინანული (აღსარება), 4) ზიარება, 5) მღვდლობა, 6) ქორწინება, 7) ზეთისკურთხევა.

16. ამ საიდუმლოებათა შესრულებამ განაიარაღა ეშმაკი. ადამიანს კი შეუმსუბუქდა ცოდვები.

ა. ნათლისღება ადამიანი იბადება წყლიდან მამის, ძისა და სულიწმიდის სახელთ, რაც ნიშნავს, რომ წყლით დაბადებულს განეზნება სასუფეველის კარი. იგი სპობს ყოველ ცოდვას — როგორც პირველყოფილს, დედის მუცლიდან გამოყოლილს, ასევე შეძენილს.

ბ. მირონცხება. როდესაც მღვდელი მირონს სცხებს ნათელღებულს, სანათლაეზე გადმოდის სულიწმიდის ზეგარდმო ნიჭი.

გ. სინანული — იგივე აღსარება. გულის შემუსვრელობაა, რომელსაც ცოდვილი აღიარებს მღვდლის წინაშე, რათა განიწმინდოს ცოდვებისაგან.

დ. წმიდა ფქარისტი, ანუ ზიარება. ზორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი — მიწოდებული ცოდვათა განსაქარეველად.

ე. მღვდლობა — უდიდესი საიდუმლო. სულიერი პატიოსანი მოძღვარი მართლმადიდებლური საქრისტეანოსი ქვეყანაზე ქრისტეს მაგიერობას სწევს. იგი ბადებს ქრისტეანებს, ამრავლებს და მწყემსავს მათ, შეუწოდებს და განაახლებს სულიერად.

ვ. ქორწინება. პატიოსანი ქორწილი იმისთვისაა დაწესებული, რათა ამყარებულად არ წარმოჩინდნენ ქორწინების მოწადინენი, იფენენ უფლით კურთხეულნი ერთხორც და შვან ნამიერნი კანონიერნი და არა ნაბუშარნი.

ზ. ზეთისკურთხევა. დაწესებულია სნეულთა განსაკურნავად.

ქრისტეანული ეკლესია ამ შვიდ საიდუმლოზე დაფუძნებული.

17. საიდუმლო არის საღმრთო მოქმედება, რომელიც ხილული მხარის შესრულებით ადამიანს აზიარებს უხილავ მადლს.

18. საუკუნის მესამე ფაზა საზოგადოების ხანდაზმულობის სტადიაა. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ეცემა ადამიანის ზნეობა, რასაც იწვევს ცივილიზაციის პროგრესი.

19. საუკუნის დასასრული წარმოადგენს ცივილიზაციის უმაღლეს მწვერვალს.

20. დგება ჟამი მეორედ მოსვლისა, რაც ნიშნავს ქრისტეს კელავ მოვლინებას ქვეყანაზე. იგი განიკითხავს ცოცხალსა და მკვდარს. დამსახურებისამებრ მიუზღავს ყველას. ზოგი იქნება მოწილადე სამარადჟამო სასუფევისა, ზოგი — სამარადჟამო ცეცხლისა.

21. საუკუნე რომ უკანასკნელ ფაზაშია, ამას ქრისტეს სიტყვების მიხედვით შევიტყობთ. იმრავლა ქვეყანაზე სიძვაჲ და ორპირობაჲ, მამა შეიღს ვერა სცნობს, შეილი — მამას, ებრაელებმაც იწყეს სხვა ქვეყნებიდან გამოსვლა და თავიანთ ქვეყანაში თავის მოყრა, გვასმინეს აბჯრის ხმაურიც, ე.ი. მოახლოებულია ქრისტეს მოსვლის ჟამი; მაგრამ ვიდრე მოვიდოდეს, მივიწყებულ რჯულს შეასხენებენ მიძინებულ ქვეყნიერებას (გამოცხ., 10, 11).

22. ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა გვაძნობენ სამი წინასწარმეტყველის მოვლინებას ქვეყანაზე: ერთის სახელია ელია, მეორესი — ენუქი, მესამესი — იოანე.

23. ელიასა და ენუქის იერუსალიმში 1260 დღის ქადაგების უფლება ეძლეათ ღვთისაგან. ისინი ამხელენ უღირს ბელადს, იგივე ანტიქრისტეს, რომელიც დაჯდება წმიდა ქალაქის — იერუსალიმის ტახტზე. იოანეს უწყეს მსოფლიოს დამოძღვრა ეშმაკის მიერ ცდუნებული ხალხის ქრისტეს რჯულზე მოსაქცევად. მაშინ კეთილნი გზაზე დადგებიან.

24. ელია და ენუქი 1260 დღის განმავლობაში მრავალ სასწაულს მოახდენენ.

ბოლოს მათ მოკლავენ, სამ-ნახევარი დღის შემდეგ ორივენი გაცოცხლდებიან და ზეცაში აიჭრებიან. უმაღლე მოხდება დიდი მიწისძვრა, 7000 კაცი დაეცემა. შემდეგ კი ქრისტე მობრძანდება ციდან, როგორც ეს აპოკალიფსისშია ნაუწყები.

25. ანტიქრისტე დაეცემა. მთავარანგელოზის მეშვედუე საყვირზე აღსდგებიან მიცვალებულნი და მაშინ იქნება საშინელი სამსჯავრო, განსასჯელად ტახტზე დაბრძანდება ღმერთის ძე იესუ ქრისტე.

26. გონიერნი, კეთილნი და ღვთის სიტყვის შემსმენელნი გადარჩებიან და მიიღებენ სამარადჟამო ცხოვრების გვირგვინს; ხოლო უგუნურნი, უკეთურნი და ღვთის ურჩნი ცრუ ბელადთან ერთად მიეცემიან სამარადჟამო ცეცხლს.

27. სწორედ ეს იქნება საუკუნის დასასრული.

28. ბიბლიიდან ვიცით, იმძლეა რა ქვეყანაზე უღმერთობამ, ღმერთმა ქვეყანა წარღვნით მოსრა. გადარჩა მხოლოდ ნოე თავისი ოჯახითა და თან წაყვანილი ყველა სულდგმულით.

29. ნოეს სამი ვაჟიშვილი ჰყავდა: სემი, ქამი და იაფეტი. ერთხელ, მოზუცებულობის ჟამს, ნოე დამთვრალა და შიშველი დაწოლილა. ქამს, უნახავს რა მამის სიშიშველე, ძმებისთვის მოუხშია და მამა სასაცილოდ აუგღია.

30. სემსა და იაფეტს მამის სიშიშველე მორცხვად დაუფარაეთ. გაღვიძებულ ნოეს ყოველივე შეუცნია მისი სულის სიძლიერით და მაშინ დაუწყველა ქამი, ხოლო სემი და იაფეტი კი უკურთხებია.

31. კვლავ იქნა მრავლობა ქვეყანაზე. როცა ქამელებმა ინდომეს არა მონობა, არამედ საქვეყნოდ სახელის განთქმა და ერთ ძლიერ ძალად შეკვრა — იწყეს ბაბილონის გოდოლის აშენება.

32. ღმერთმა მათ ენა აურია. რის შემდეგ ვეღარაშენდა გოდოლი. ადამიანები ქვეყნის ყოველ მხარეს გაიფანტნენ. ასე გაჩნდა

სხვადასხვა ენა ქვეყანაზე. ეს მოხდა 2716 წელს ქრისტეს მოსვლამდე.

33. დაუწყეს თაყვანისცემა მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ზღვას, ცეცხლს, ქვეწარმავლებს, ცხოველებს, სხვა ქმნილებებს.

34. კერპის სახება რომ მუდამ თვალწინ ჰქონოდათ, ხალხი აკეთებდა მათ გამოსახულებას სისაგანს, კეისარს, რკინისაგან. ამ გამოსახულებათა წინ მუხლს იყრიდნენ. მათ პატივსაცემად აწესებდნენ დღესასწაულებს, სწირავდნენ მსხვერპლს.

35. ქმნილებათა თაყვანისმცემლები იწოდნენ კერპთაყვანისმცემლებად.

36. ხალხში ჭეშმარიტების, ღვთის სარწმუნოების დასაცავად თავის დროზე ღმერთმა აირჩია აბრაამი და იგი დაასახლა ქანანის ქვეყანაში, ახლანდელ პალესტინაში. აღუთქვა, რომ ეს ადგილი იქნებოდა მისი შთამომავლობის საცხოვრებელი.

37. ღმერთმა აბრაამი გამოსცადა სიყვარულში: ანგელოზმა უბრძანა მას ერთადერთი შვილის — ისააკის შეწირვა ღვთისთვის. ის იყო აბრაამის სურდა ნაბრძანები უყოყმანოდ მოეყვანა სისრულეში, რომ ანგელოზმა ხანჯლიანი შემართული ხელი დაუჭირა და შეაჩერა. ამით დამტკიცდა აბრაამის ერთგულება ღვთისადმი.

38. ღმერთმა აბრაამს უთხრა, რომ იგი აბრაამის შთამომავლობიდან წარმოშობდა ქვეყნის მაცხოვარს — ქრისტეს.

39. როდესაც იაკობი (ისააკის შვილი) ღვთის სიტყვის მიხედვით თავის შვილებთან ერთად გადასახლდა ეგვიპტეში, ებრაელები გამრავლდნენ. მათმა მრავალრიცხოვნებამ საგონებელში ჩააგდო ეგვიპტელები. ფარაონის ბრძანებით, ებრაელთა ახალდაბადებული ბავშვები (განსაკუთრებით ბიჭები) წყალში უნდა გადაეყარათ. ასე ცდილობდნენ ებრაელების გადაშენებას.

40. მაშინ ებრაელები მოიქცნენ და ღმერთს სთხოვეს საშველი. ღმერთმა ისმინა მათი კვლრება და მხსნილად გაუგზავნა მოსე. მოსე

იყო აბრაამისა და იოქაბელის შვილი ლევის შთამომავლობიდან.

41. ახალდაბადებული მოსე დედამ სამი თვის მანძილზე მალა, შემდეგ ჩასვა ფისით ამოვლეული კალთაში და გაუშვა ნილოსის წყლის ლერწმებში.

42. პატარა მოსე იძუდა ფარაონის ქალმა, ძიძად კი შემთხვევით საკუთარი დედა მოუყვანეს. ცხადია, მათ ამის შესახებ არა იცოდნენ რა. ასე გაიზარდა მოსე ფარაონის კარზე.

43. ახალგაზრდობაში მოსეს შემოაკვდა ებრაელთა დამჩაგვრელი ერთი ეგვიპტელი. ფარაონმა განიზრახა მოსეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ იგი გაიქცა მადიამის ქვეყანაში და თავს უშველა. ერთხელ მოსემ შენიშნა, რომ მავყლის ბუჩქებს ცეცხლი გასჩენოდა, მავყალი კი არ იწვოდა.

44. გაუკვირდა. რომ მიუახლოვდა, ხმა მოესმა: ნუ მომიახლოვდები, ჯერ ფენსაცმელი გაიხადე, რადგან ეს წმიდა ადგილია და ისე მუხავლეო. მოსემ შეასრულა ნაბრძანები. მაშინ ღმერთმა გამოუცხადა მოსეს, რომ ის ზედაეს თავისი ხალხის ტანჯვას ეგვიპტეში და განიზრახა მათი დაცვა თავად მოსეს მეშვეობით. -

45. ასეც მოხდა. მოსემ ღვთის ძალით ებრაელები გამოიყვანა ეგვიპტიდან. ამის შემდეგ სინას მთაზე ღმერთმა ებრაელებს რჯულისკანონი, ანუ ათი მცნება მისცა, რითაც უნდა ეცხოვრათ ადამიანებს დედამიწაზე, უპირველესად კი ებრაელებს.

46. ეს კანონები ღმერთმა საკუთარი ხელით დაწერა ორ ქვის ფილაზე (გამოცხ., 20, 1-17; 32, 18):

1) მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყენებ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე.

2) არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ვოვლადვე მსგავსი, რადგენი არს ცათა შინა ზე, და რადგენ არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რადგენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა, არა თაყვანი სცე მათ და არცა მსახურებდე მათ.

3) არა მოიღო სახელი უფლისა ღვთისა შენისა ამაოხს ზედა.

4) მოიხსენიე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი; ექვს დღეს იქმოდე და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საქმე შენი. ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღვთისა შენისა.

5) პატრი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა.

6) არა კაც-ჰკლა.

7) არა იმრუშო.

8) არა იპარო.

9) არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითათა.

10) არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არა გული გითქმიდეს სახლისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა მონისა მისისა, არცა მრევლისა მისისა, არცა ხარისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ვოვლისა საცხოვარისა მისისა, არცა ვოვლისა მისთვის, რაიცა იყოს მოყვასისა შენისა.

47. კანონი რომ დაუდგინა, ღმერთმა მოსეს უთხრა: „თუ ესენი ისმენენ ჩემს ბიძგებს და დაიცავენ ჩემს აღთქმას, მაშინ ისინი იქნებიან ჩემი ამორჩეული ხალხი... და მე ვიქნები მათი ღმერთი“ (ლევ., 26, 12).

48. „მოსემ თქვა მამების მიმართ: უფალი ღმერთი აღვიდგენთ ჩემნაირ წინასწარმეტყველს თქვენი ძმებიდან; ისმინეთ ყველაფერი, რასაც ის გეტყვით. და იქნება ასე: ყოველი სული, რომელიც არ მოუსმენს იმ წინასწარმეტყველს, ამოიძირკება ხალხიდან“ (საქმე, 3, 22-23).

49. ებრაელებმა აღუთქვეს მოსეს ღვთის მცნებით ცხოვრება. ასე და ამრიგად, კაცობრიობას ღმერთმა არქუა სულის გადამრჩენელი მოძღვრება. არც ერთ ერს, უწინარეს ებრაელებისა, რჯულისკანონი არა ჰქონია. ჭეშმარიტი რელიგია — იუდაიზმი ერთნაირად ეუთვნოდა მთელ კაცობრიობას, თუკი იგი მიიღებდა მას ღვთის განგებულებად.

50. მკითხავები, ჯადოსნები და სულთა გამოძახებულები კი არ იდგნენ ებრაელთა რელიგიური ცხოვრების სათავეში, როგორც ეს ახასიათებდათ ეგვიპტულ ქურუმებს, ინდოელ მისნებსა და სხვათა რელიგიის წარმომადგენლებს, არამედ ებრაულ ჭეშმარიტ რელიგიას წინ მიუძღოდა წინასწარმეტყველთა მხედრონი.

51. ღვთის ნიჭით ცხებული მათი სული საუკუნეების მიღმა ანათებდა კაცობრიობის შორეულ გზებს. ესენი იყვნენ: აბრაამი, ნოე, მოსე, ეზრა, დავითი, იესო ნავეს ძე, ესაია, იერემია, ბარუქი, იეზეკიელი, დანიელი, სოფონია, ანგია, ზაქარია, მალაქია და სხვანი.

52. კაცობრიობის არც ერთ რჯულს არ ჰყოლია წინასწარმეტყველი. იგი მხოლოდ იუდეველების რჯულს ამშვენებდა.

53. როგორც მზეა ყველას საკუთრება, ასევე ეს ებრაელი წინასწარმეტყველები ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ერის საკუთრებას წარმოადგენენ. მზე ყველასია, ვინც მას არ დაემალება.

54. როცა ებრაელ ერს გემოთმოყვარები გამო გაუჭირდებოდა ხოლმე რჯულის აღსრულება, ხასჯელი არ აყოვნებდა — ხან ბილონელების, ხანაც ასურელების ტყვეება; იქცეოდნენ ხოლმე.

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ბ ა

უფალი ცნობს თავისიანს

1. ბუნებით უღმერთო უღმერთობას ქადაგებს, რადგან მის გენებში უღმერთობაა კოდირებული.

2. ადამიანი გარემო სამყაროს ხუთგრძნობით შეიცნობს. ესენია: სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება, მხედველობა.

3. ყოველგვარი შთაბეჭდილება ამ ხუთი გრძნობის საშუალებით უნდა იქნეს მიღებული, რადგანაც მეტი გრძნობა ჩვეულებრივ ადამიანს არ გააჩნია.

4. არიან ადამიანები, რომლებიც იბადებიან გრძნობანაკლებები.

5. შეიძლება დაიბადოს კაცი და იყოს ყრუ, ან ბრმა, ან შეიძლება ერთდროულად აკლდეს ორი ან სამი გრძნობა.

6. ყრუმ — ოთხი გრძნობის მატარებელმა ადამიანმა რომ თქვას, არ არსებობს არავითარი ბგერაო, იქნება თუ არა მართალი?

7. თავის თავთან მიმართებაში იგი მართალია, რადგან მას მართლაც არასოდეს სმენია ბგერა.

8. მაგრამ მისი შეხედულება თუ შეესაბამება ჭეშმარიტებას? რა თქმა უნდა, არა.

ყრუმ იმიტომ უარყო ბგერა ასე დაბეჭდვით, რომ მისი შემეცნებისათვის აკლდა ერთი გრძნობა.

9. ასევე, რელიგიურება სულის პეროგატეია, იგი ყველას არ გააჩნია.

10. როგორც იქ გრძნობანაკლებმა ყრუმ ვერ შეძლო სხვა მრავალათვის ჭეშმარიტად არსებულის წედომა, ასევე ჩვენც ამ ხუთი გრძნობით ვერ შევიცნებთ სრულყოფილად სამყაროს ზოგიერთ საიდუმლოებას.

11. უფალს ყველა როდი შევიცნებებს, მას მხოლოდ მასთან კავშირში მყოფი შეიცნობს.

12. რადიომიმღები რადიომიმღებია, მაგრამ ერთი და იმავე ტალღაზე ერთი და იმავე სადგურიდან ვიღებთ გადაცემას.

13. თუკი სხვა სადგურიდან გვენბავს ინფორმაციის მიღება, აუცილებელია სხვა ტალღაზე გადასვლა.

14. ასევეა რელიგიაშიც: ღმერთთან კავშირს ის ამყარებს, ვინც მის ლოკაციაშია.

15. ღმერთთან კავშირში მხოლოდ ჭეშმარიტი რელიგიის მესაკუთრეა.

16. საერთოდ, ღმერთი არ გამოირიცხავს მასთან კავშირის მოწადინებებსაც, თუკი ისინი

იმ ტალღაზე გადაერთვებიან, სადაც ღმერთის სულია განფენილი.

17. მაშინ ისინიც ისევე მოისმენენ ღმერთის ხიტყვას საკუთარი წერით, ისევე იგრძნობენ ღმერთის მიერ მინიჭებულ ძალებს თავიანთი სულითა და სხეულით, ისევე იხილავენ ღმერთს თავიანთი თვალით, როგორც ღვთის ერთგული მშვიდობისმყოფენი.

18. ადამიანო, ნუ გამოიძიებ შეცნობებით ჩემს განგებულობას, იგი მიუწვდომელია გონებისათვის. ვინდა დაიჯერო ჩემი არსებობა? ილჯაწე ქრისტეანული წესებით და გარდმოვლენილი მადლი აგიხელს თვალებს. უფრო მეტის მსურველი ხარ? გახდი სასწაულმორწმუნე და ჩემგან მონიჭებული ზე ძალები განგაცვიფრებენ შენ.

19. ქრისტემ — უფალმა ჩვენმა ბრძანა: სასწაულმორწმუნისათვის მიმიცია ისეთი ძალა, რომ ეშმაკს სულიდან განასხმიდეს, საწამლაე რაილა სვას, აღარ ევენოს, პირით ახლითა უბნობდეს, ავადმყოფს ხელს დასდებდეს და განკურნებდეს, ველოს ხელით შეიპყრობდეს; ჩემმა მორწმუნემ შეიძლოს ყოველი ის სასწაული, რაიცა მე მიქნია ჭეყნაზე და უმეტესიც ქნასო.

20. ავი სულელებიც ჩადიან სასწაულებს ხალხის დასანასხავად, მაგრამ ნაყოფით გამოიცნობიან უცილობლად.

21. ისინი ეშმაკისგან იღებენ ძალებს, ხოლო ყოველივე ამის სანაცვლოდ შეუფასებელ საგანმურს — ხულს თობენ.

22. ბეგრსაც აცდუნებენ უხილაე ბოროტის მოკავშირენი: ადამიანებს ჰპირდებიან ნათელმოსილებასა და ყოვლისშემძლეობას; ავარჯიშებენ მათთვის უცნობი ათასგვარი ვარჯიშით.

23. ჩაპიდებენ ხელს, შეუყენებენ ციკაბო კლდეს, საიმედოდ მიაცილებენ, ვიდრე მადლწვედნენ კლდის ქიშკმდგარი კოშკის კარს, რომელსაც საიდუმლოების კარი ჰქვია.

24. მერე ამ კარზე უმოწყალოდ აკაკუნებინებენ მოწადინეს.

25. ვინც ვის კარზე დგას, იმისი სტუმარია; და აი, როცა ირეკიან, განელებათ მათ.

26. ღია კარებში ეშმაკი გამოჩნდება; და-შინებული უკან დაბრუნებას ითხოვს, მაგრამ არსად ჩანს მისი მწვრთნელი, მისი მეწინავე.

27. და როგორც იქ, კლდეზე შემდგარ ჩვილს კლიდან დაშვება გაუჭირდება, ასევეა ჰაერთა მცველებისაგან ძალის მიძღვნი მონარჯისმეც, სრულყოფის მოწადინებით მოტყუებული, სამუდამოდ დარჩება მისი ლუკმა — მისი სტუმარი, თუკი დროულად არ მოუხმობ გონს.

28. ამგვარად, ყოვლის შემძლეობის მოწადინეს ეცნო მასპინძლის საიდუმლო. შეიმოსა მისეული ძალებით და აწ მისივე მანქანებით შეიძლებს სასწაულს, მაგრამ არა სასიკეთოს.

29. ეშმაკის სტუმრობა და მისი თანადგობა სხვას არას ნიშნავს, თუ არა დროებით წადილის ასრულებას და საბოლოოდ კი მასთან ერთად ცეცხლში ყოფნას.

30. რადგან ასე შემოუშვა სულში ეშმაკი, ძნელად შეიძლებს თავდახსნას; მხოლოდ ქრისტეან მღვდელმსახურთ ხელეწიფებით ეშმაკისაგან მათი განთავისუფლება.

31. თუ გნებავთ იცოდეთ, რანაირად შეიძლება ეშმაკის კაცის განსხვავება ღმერთის კაცისაგან, უნდა დააკვირდეთ ერთ გარემოებას:

32. თურმე ეშმაკის კაცი ყველაფერში ბაძავს ღმერთის კაცს სხვათა დასანახად: იმარხულებს, ილოცებს, ღვთის სახელს აღიძებს და თანაც ფეხშიშველი ივლის ყინულზე, დღენიადაც სიციეთზე ისაუბრებს, მხოლოდ ორი რამ დარჩება მიუბაძველი: მის თვალბში ვერასოდეს ამოიკითხავეთ სიყვარულს, რადგან სიყვარულის თამაში ეშმაკს არ შეუძლია. ასევე არ ხელეწიფება მორჩილება — სიამაყე არ მისცემს ამის უფლებას.

33. საჭე შეუნიშნე, ხე ნაყოფით შეიცნობა, გეშინოდეს, როცა ბოროტი სიმართლეს დაღებდეს. მის საზღაურად იგი სიკეთის გაწირვას ითხოვს.

თ ა ვ ი მ ე თ ს უ თ მ ე ტ ი

კაცობრიობის მეორე ცოდვა

1. ადამიანმა პირველი ცოდვის შემდეგ მეორეც იტყირთა: მოშურნეობამ ძმას ძმა გააწირინა — კაენმა მოკლა ღვიძლი ძმა აბელი.

2. ეს იყო პირველი მიცვალებული ადამიანი დელამიწაზე. მგლოვიარე ევა განიცდიდა შეილის უბედურებას უფრო მეტად იმის გამო, რომ არ იცოდა, რა ეღონა, ცხედარი ნელინელ იწყებდა ლაობას;

3. ეჩვენა ბოროტი ანგელოზი, სატანად წოდებული, პირველი მაცდუნებელი მისი და შემწეობა აღუთქვა იმ პირობით, თუკი ადამი ხელშეკრულებას დადებდა მასთან.

4. ხელშეკრულების თანახმად, სატანა ასწავლიდა ადამს ცხედრის მოვლას, თუკი

გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულთა სულებს შეელოდა.

5. ადამმა ნახა, სიცოცხლე მგრძნობიარე და ქედებით, ზოლო სიკვდილი უმოქმედობა. ამიტომ დათანხმდა უძრავისა და „უსარგებლოს“ ცაცემაზე და ამგვარად მოხდა მიცვალებულთა სულების ჯოჯოხეთში წარტყვევნა.

6. მაშინ სატანამ — იგივე ეშმაკმა ასწავლა მათ მიცვალებულის დაკრძალვა და გულის საოხად საფლავის მიჩენა.

7. ასე დაიდო ადამსა და ეშმაკს შორის ხელშეკრულება და კაცობრიობაც შეუდგა მეორე უმძიმეს ცოდვას. ასე მოექცა მიცვალებულთა სულები ეშმაკის ტყვეობაში.

8. ვის შეეძლო ამგვარ ცოდვილ ცოცხალთა და მკედართა ჩსნა? ვინ იქნებოდა ის, რომელიც გააუქმებდა ვეასა და ადამისეულ პირველყოფილ ცოდვას. ასევე, ვინ იხსნიდა ჯოჯოხეთის ბჭიდან ეშმაკის ჩელში მომწყვდიულ გარდაცვდილთა ხუფებს?

9. ვინ იტყვირთებდა კაცობრიობის ამ უმძიმეს ცოდვას და ვინ ღაინსნიდა მას?

10. მხოლოდ მესია, რომლის მობრძანება ქვეყანაზე იყო თავდადება კაცობრიობის ხსნისათვის – ქვეყნის გამჩენს ღმერთის ცაბათის კეთილი ნება. აი, ვინ უნდა ყოფილიყო მისი წილი. მაცხოვარი.

თ ა ვ ი მ ე თ ე მ ს ს მ ა ტ ა

ნაყოფის ბოლო სახე სიმწიფეა

1. როგორც ჩვილმა ბავშვმა შეიცნო ღედა თავისი და მამა თავისი, ასევე მიიღო პირველყოფილმა სარწმუნოებამ სამყარო, ღმერთი და სათანადო კანონები.

2. ყრმამაც ასევე შეიცნო ღედა თავისი და მამათვისი. ამ დროის დასაღარია შუა პერიოდის სარწმუნოება, მისი გაგება და შემეცნება ისევე აღმატება პირველყოფილ სარწმუნოებას, როგორც ყრმა – ახალშობილს.

3. ახალშობილი ეპატიება თავისი „შეხედულებები“ და იგი მოისადაგებს თავისი მოქმედების წილზედერ საზღაურს; როგორც ახალშობილს ვერ მოსთხოვ ყრმის შეგნებულობას, ასევე პირველყოფილ რელიგიას ვერავინ მოსთხოვდა შუა პერიოდის რელიგიურ სიმაღლეს.

4. ან ვინ აპატიებს ყრმას ახალშობილის ღონეზე აზროვნებას. იგი დაისჯება ბავშვური საქციელისთვის. ასევე, ჭარმაგის სიბრძნე და გამოცდილება აღმატება ახალშობილისა და ყრმის სიბრძნესა და გამოცდილებას.

5. და როგორც ჭარმაგს არ აპატიებენ ბაღურ საქციელს და არც კვადრება, რადგან ამ ასაკში მუტი სიბრძნე გააჩნია, ასევე ქრისტეანული რელიგია სარწმუნოების უმაღლესი ფორმაა და იგი აღმატება ყველა წინამორბედ რელიგიურ ფორმას.

6. რაც ვერ დაინახა ჩვილის თვალებმა, რაც ვერ დაინახა ყრმის თვალებმა, მას შეწვდა ჭარმაგის სიბრძნე.

7. უგუნურია ბაღლი და ყრმა, რომელიც

დაიჩემებს ჭარმაგზე მეტ სიბრძნე-გამოცდილებას. მკვანე ნაყოფმა არ შეიძლება სრულყოფა დაიჩემოს. მკვანე ნაყოფმა არც ყვაილობა უნდა ინდომოს კვლავ. იგი უნდა ისწრაფოდეს სიმწიფისაკენ.

8. როგორც ნაყოფის ბოლო სახე სიმწიფეა, ასევე ქვეყნის ჭეშმარიტი რელიგია ის მარადიული რელიგიაა, მესიამ უზენაესის ნებით რომ წარმოგვიჩინა. ამ რელიგიის სახიერება ქრისტეანულია.

9. ისევე არასრულყოფილია საბოლოო რელიგიის წინაშე ნოესა და მოსეს დროინდელი რელიგიები, როგორც მწიფე ნაყოფის წინაშე მოყვავილე და მკვანე ნაყოფი.

10. ვითარცა სასურველია ყვაელობისას ხილვა მისი სახიერებისა, რამეთუ ნიშნავს იგი ზვალინდელ ნაყოფს, და ვითარცა სასურველია ნაყოფის მსხმოიარობისას მისი სახიერების ცქერა, რამეთუ ისიც იგივეს ნიშნავს, ასევე ორგზის სასურველია მწიფე ნაყოფის ცქერა.

11. მხოლოდ უგუნურს შეეძლია უარყოს ნაყოფის ყვაეილოვანება; ასევე უარყოფელი წინამორბედი რელიგიებისა არის მცდარი. ქრისტეანულმა რელიგიამ ძირითადად იმ ათ მცნებაზე დააშენა თავისი მოძღვრება, რომელიც იყო იუდაიზმის საფუძველი. არა უარყოფა წინამორბედისა, არამედ განახლება ინება მისი.

12. ყვაეილობისას მისაღებია ნაყოფის პირველყოფილი სახე, ნაყოფიერებისას –

მისი მსხმოიარე სახე, ხოლო მწიფობისას ვინ ისურვებს ნაყოფის უმწიფრობას!

13. როგორც ჭარმაგობაა ყოფიერ ცხოვრებაში ადამიანის უტყუარი და საბოლოო

სახე, ასევე ქრისტეანობა რელიგიის საბოლოო სრულყოფილი სახეა. ამჟამად ის გახდა კაცობრიობის სულის გადამრჩენელი ერთადერთი მოძღვრება.

თ ა ვ ი მ ა რ ვ ი დ მ ე ტ ე

ხასიათი ქმნის ბედს

1. როგორც დათესილი პური აღმოცენდება, იზრდება და დათავთავდება, და სანამ ნაყოფი არ დამწიფდება, მოსავალი არ აიღება, ასევე, უფალი აცლის ყოველ რჯულს აღმოცენებას, გაზრდასა და დამწიფებას.

2. პურის თესლიდან პური აღმოცენდება, ლობიოს თესლიდან — ლობიო. როგორც პურის თესლიდან ლობიო არ აღმოცენდება და ლობიოს თესლიდან — პური, და როგორც ყოველს თავისი თესლი გააჩნია, ასევეა ერიც.

3. უცოდველი გვარი უცოდველ შვილს შობს, უცოდველი შვილი კი — უცოდველ ერს; ასევე, ცოდვილი გვარი ცოდვის შვილს წარმოშობს, ცოდვის შვილთა მრავლობა კი — ცოდვილ ერს.

4. როცა დადგეს ჟამი, უფალმა აიღოს მოსავალი. ჯერ კიდევ, სანამ დროა, ერთნაირად აწვიმოს პურისთვის და ღვარძლისთვის, არც მზის მცხუნვარება მიაკლოს რომელიმეს.

5. არა განაშოროს უფალმა ღვარძლი პურის ყანას, რადგან ყანა იგი ჯერ არ არის მწიფე და ღვარძლის გამოხელებისას თან გაჰყვება პურიც.

6. მაგრამ, როცა ყანა დამწიფდეს, თავდაპირველად გამოიხელოს პურისაგან ღვარძლი, შეიკრას იგი და მიეცეს ცეცხლსა, როგორც სარეველა.

7. ხოლო პური ბედელში იქნეს ჩაყრილი და ერთი მარცვალისც არსად დაიკარგოს.

8. როგორც გაუწყობ, უფალი აცლის ყველა ერს გაზრდასა და დამწიფებას, სანამ კიდევ დროა. ბოროტი ბოროტსა იქმს და ძნელად მოეგება გონს, ხოლო კეთილი კეთილსა იქმს და იგი გონიერია.

9. და, როდესაც დადგება დღე განკითხვისა, ყველა ერი წარსდება უფლის წინაშე თავისი ნაშეიერებით. მათ ელოდება ქრისტეს რისხვა ან სამუდამო სასუფეველი (თუკი დაიმსახურეს). ბოროტი ერი მიეცემა ცეცხლს, რადგან ვერ იარა ნათელი გზით. თავიანთი გონების სიბრმავემ მოუტანა მათ სამუდამო სატანჯველი და ამისთვისაც მიეცენ ცეცხლს.

10. კეთილი ერი დაისადგურებს უფლის საგანეში — კეთილთა სამყოფელს. ბოროტი მიიზღავს თავისას.

11. ერი, რომელიც თავისი ხასიათის წყალობით, მოურიღებლად აბნებურებს სინდისს, იგი ამ სინდისის მესაკუთრე რჩება.

12. სინდისგაქედილი რჯული ვერ აღიქვამს ნათელს, რადგან ნათლის აღსაქმელად არ გააჩნია გონების თვალი და მიტომაც მიექანება სიბნელის ოკეანეში.

13. როგორც მძინარემ ღვიძილის შემდეგ შეიძლება დაიჯეროს მისი სიზმრისეული სიჯოუტისა, ასევე ქრისტეს უარყოფელი ქრისტეს მეროდ მოსელისას შეიცნობს თავის უმეტრებას. ნუ დაივიწყებთ, ხასიათი ქმნის ბედს.

ს ა ს უ ზ მ ე ლ ი ს ბ ა რ ი მ რ ი

1. „რელიგია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ადამიანის ღმერთთან კავშირს.

2. უკეთ, ჭეშმარიტი რელიგია წარმოადგენს სულის გადამრჩენელ მოძღვრებას.

3. ათეისტური გაგებით რელიგია ოპოზიციაა.

4. კაცობრიობის გადარჩენის მიზნით რელიგიამ მეცნიერების წინააღმდეგ გაილაშქრა.

5. დღეს მეცნიერული პროგრესით თავმოწონე კაცობრიობა ჯანსაღ ჰაერს ნატურლობს, ქიმიკატებისაგან გაუღენთილი საკვებით იკვებება, ეკოლოგიური მდგომარეობა კატასტროფულია, ფლორასა და ფაუნას გადაშენება ემუქრება.

6. რაც მთავარია, ადამიანს დაეკარგა სიმშვიდე იმის შიშით, რითაც ათიოდე წლის წინ თავს იწონებდა.

„კრუხი“ ემზადება ნეიტრონის „ჰერცე-ბიდან“ სიკვდილის გამოსაჩეკად.

7. ასე და ამრიგად, მეცნიერება გამოდგა კაცზე წამოცმული ის სატყუარა, რომლის სუნმა იმთავითვე მიიზიდა „თაგუნა“ და ყოველი წამის გასვლა შედეგს აახლოებს.

8. წინააღმდეგობა თუკი ბარიერია, მეცნიერებისთვის სასიკეთო ბარიერია რელიგია.

9. მაგრამ მეცნიერებით გაამპარტავებული კაცობრიობა უკან ვერ იხევს. ისევე, როგორც საკბილოსთან მიახლოებული „თაგუნა“, იგი უთუოდ ჩააელებს კბილებს სატყუარას, რაც იმთავითვე იყო ცნობილი.

10. ასევე აფრთხილებდა და აფრთხილებს რელიგია გასაწირავად გამზადებულ ქვეყნიერებას.

11. აღვირახსნილი მეცნიერება მანამ არ მოიშლის ქადილს, ვიდრე არ იგემებს თავის საბოლოო დამლუპველ ნაყოფს.

12. იგი ისევე გვიან მიხვდება თავის შეცდომას, როგორც სათაგურზე წელში გაწყვეტილი სულთმობრძავე თავვეი.

13. კაცთა მოღვმის საზიანო მეცნიერება ეშმაკის ხელშია, ეშმაკია მისი მეუფე. იგი მართავს მას. მბრძანებელი მორჩილის ნებასურვილს არ დაჰყვება. ამრიგად, მისი ამჟოლი კაცის საკეთილდღეო წადილი აუხდენელი დარჩება.

14. ამქვეყნიური მეცნიერული სიბრძნე სწორედ მან მიაჩეჩა კაცობრიობას სულის გადასარჩენად ბოძებული დროის გასაფლანგაედ.

15. განა უგუნურებად არ ჩათვლება წყალში ჩაყარდნილი კაცის წადილი, თუ იგი ცურვის უწინარეს სიმღერის სწავლას ინებებს?

16. ჭეშმარიტი რელიგია იყო და არის სულის გადამრჩენელი ერთადერთი მოძღვრება. იგია მართალი წინამძღოლი ღვთისაკენ.

17. განა ბავშვურ გულუბრყვილობას არ ჰგავდა მეცნიერების პირველი ნაბიჯების ზემო, როცა პოლზუნოვმა ორთქლის მანქანა გამოიგონა? დღეს როგორ მოვიქცეთ?

18. რა ეუყოთ ატომობირთვეულ იარაღებს, რითაც ნგრევა ემუქრება ქვეყანას?

19. განა დღესაც არ ხითხითებს ეშმაკი — ეს შეგბნევი ძალა, როცა მეცნიერული პროგრესით დამუნტულ კაცობრიობას ეშაფოტისაკენ მიარბენინებს.

20. მაშ, რელიგია ყოფილა კაცობრიობის მტერი? განა ის არ არის მტერი, ვინაც აქეზებდა და აქეზებს ადამიანებს მისთვის დაფარულის გამოსაძიებლად, რომლის კლეუბიებამ ქვეყანა დალუპვის გზაზე დააყენა.

ხასიათი – რელიგიის ფვლომის კრიტიკიუმი

1. სულგაყიდული ადამიანი ღმერთის კანონების საწინააღმდეგო აზრების მატარებელია. მისი არსებობა სხვას არას ნიშნავს თუ არა ღმერთის მტრობას. სწორედ ამგვართა ძებნაშია ეშმაკი, რათა მოკავშირედ გაიხადოს ისინი.

2. მრავლად არიან სულგაყიდულნიც და მრავლად არიან ღვთისმოსაენიც.

3. ადამიანები რომ ღვთის კანონების მიმყოფნი ყოფილიყვნენ, ქვეყანაზე იქნებოდა მშვიდობა, კაცთა შორის სათნოება და საზრდოც საკმაო.

4. ღვთის მიერ დადგენილი კანონების შეუსრულებლობამ ამრავლა ხელმრუდე და ყაჩაღი, მეძაიე და ჯადოსანი.

5. ამგვარ კანონთა დამრღვევნი მრავლად ცხოვრობენ ყველა ერში. უფალი ყველას თავისას მიუხლავს, არაეინ დაურჩება დაუსჯელი.

6. სახელმწიფოში გლეხკაცი გლეხკაცობს, მუშაკი მუშაკობს, ასევე, დამსჯელი სჯის, ყველა თავისას იქმს.

7. არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტება; იგი უფლის კანონია. როგორც მზე, ისიც ყველას ერთნაირად ეკუთვნის.

8. ბნელის მოყვარულნი ვერ ეგუებიან მზეს, ნათლის მოყვარულნი – ბნელს.

9. ყოველი ადამიანი უფლის შემოქმედებაა და ამიტომაც გაგლასად შეუღვა იგი ყველაზე უმცირესის დაკარგვასაც კი.

10. ადამიანს ღმერთი გააჩენს, გაზრდის, მაგრამ სწავლებას უფლისას ზოგი თავისი ბუნების წყალობით ვერ ისმენს; სურვილი დიდი აქვთ შეიტყონ დაფარული საიდუმლოებანი ღვთისა, ჭეშმარიტი კანონების აღსრულება კი არ ნებათ. ღვთისგან გარიყულთ ბოროტი ძალა ისაკუთრებს. მათი მრავლობა ღუპავს ქვეყანას.

11. ამგვარი ერი თავის წიაღში ბადებს მისი ბუნების შესატყვის გმირს.

12. როგორც ღვთისგან განგდებულ ადამიანს ეშმაკი იმორჩილებს და თვალზილულ მოკავშირედ გადაიქცევა ხოლმე, ასევე ღვთისგან გარიყული ერის პატრონი ეშმაკია.

13. და ვაი მაშინ თქვენ, ამგვარი ერის წიაღში დაბადებული გმირების ყურთა მგლებლნო, კაცის პირითა ისმენთ ეშმაკთა ნებას (და ისიც თქვენივე ცოდვილი ბუნების წყალობით).

14. ღვთის ჭეშმარიტების მოძულე ერს ეშმაკი ბოჭავს თავისი მაგიური ძალებით და თანდათან ითრევს ღვთის საწინააღმდეგო მოქმედებაში. ასეთნი, ღვთისაგან გარიყულნი, ღმერთის სახელს არქმევენ ბოროტ ძალებს და ემონებიან მათ მოციქულებს, რომელთაც აქვთ ჭეშმარიტებაში ჩახედვის ნებადაურთველი ხერხები. ისინი სწორედ ამ ხერხებს აცხადებენ ღვთის ჭეშმარიტებაში წყდომის ნებადართულ საშუალებად.

15. ასეთ გარიყულ ერს მხოლოდ ერთი მისია აკისრია ქვეყანაზე – მის ალესილ კბილებში მოექცეს უფლის მიერ განწირული, ცოდვას შემდგარი ერი. ბოლოს კი არც დამსჯელი დარჩება დაუსჯელი, მასზე ძლიერი დათრგუნავს მას.

16. ერის ხასიათის შეცვლასთან ერთად იცვლება ერის ბედი.

17. ოთხი რამ დასცემს ერს: სიამაყე, გემოთმოყვარება, უსამართლობა, ერთმოძულეობა.

18. ოთხი რამ ალადგენს ერს: თავმდაბლობა, ზომიერება, სიყვარული, სამართლიანობა.

19. როგორც ყოფიერ ცხოვრებაში არსებობს ქურდი და პატიოსანი, ასევე – მრავალია ერი ბუნებით ქურდი და ბუნებით პატიოსანი.

20. როგორც ქერდის კანონი ქერდულია და მისი ბელადიც ქერდია, ასევე პატიოსანი კაცის კანონი პატიოსნურია და მისი ბელადიც პატიოსანი.

21. ვიცით, ყველა ერს მისი ხასიათის შესატყვისი რელიგია გააჩნია.

22. როგორც ქერდს მისი ქერდული ბუნება არ აძლევს საშუალებას იაროს პატიოსანი გზით, ასევე ბუნებით ფაჩად ერს არ აძლევს მისი ხასიათი ჭეშმარიტი რელიგიის წვდომის უფლებას.

თ ა ვ ი მ ი ო ც ა

ყოფის არსი

1. ღმერთმა ყველაფერი და ყოველი ადამიანს ამსახურა, რათა შეექმნა მისთვის სასიცოცხლო პირობა.

2. სიცოცხლე კი დაკარგული უკვდავების დასაბრუნებელ საღვაწო ვამად დაუდგინა.

3. ასე ჩააყენა ღმერთმა ადამიანის სამსახურში მთელი ქვეყანა.

4. ეშმაკმა კი შეცვალა ყოფის არსი. თვითონ ადამიანი ჩააყენა ქვეყნიერების სამსახურში.

5. როცა ქვეყანა მოელი თავისი სიმდიდრით ერთი ადამიანის სულის საღირსად ფასეულობასაც არ წარმოადგენს, მას უთვალავი სული მსახურებს, თითქოს ეს უსულო საგანი ეშაადებოდეს მარადიული ცხოვრებისათვის და არა სულიერი ადამიანი.

6. ასე ჩააყენეს ადამიანი კერპის სამსახურში, რათა სამარადეამოდ ბოძებული სიცოცხლე გააფლანგვინონ.

7. ზვალინდელი ღღისათვის ზვალინდელი დღე ზრუნავს, — ბრძანებს უფალი.

8. უთვალავი სულიერია ქვეყანაზე, ფრინველი თუ ცხოველი, რომელთაც დააურება სჭირდება და სამსახური არ გააჩნიათ, ვერც ვერას დათესენ და ვერც ვერას მოიმკიან. გათენდება და — ყველა დააურებულია, ყველა დარწყულებულია.

9. როცა ამგვარ სულიერებზე ასეთი ზრუნვაა, განა ადამიანი ღვთის წინაშე უმეტესი არა ჩანს?

10. უფალმა უკეთ იცის, ვის რა სჭირდება. „ზვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს ზვალისას“ (მათ., 6,34).

როცა ეს ითქვა, ნიშნავდა იმას, რომ ადამიანს ზედმეტი ჯაფით ხულისთვის საზრუნავი დრო არ წართმეოდა.

11. ღმერთმა ქვეყანა ადამიანისთვის გააჩინა და არა ადამიანი ქვეყნისათვის.

12. ეშმაკმა ადამიანს დააწვევინა თუ არა ზვალინდელი ღღისთვის ზრუნვა, დაიბადა ახალი აზრი — ნაკლები ჯაფით მეტი სიმდიდრის მოპოვებისა.

13. აი, ის მთავარი ეშმაკისეული ცდუნების ნაყოფი, რამაც კაცი უკიდურესად დაასაქმა.

14. სულისთვის საზრუნავი დრო სიმდიდრის დასაგროვებლად გააფლანგვინა; კაცი კაცს შეაძულა; ქვეყანა ცოცხლად აავსო.

15. ის, რაც ადამიანმა წლების განმავლობაში დააგროვა, წამში შეიძლება დაიკარგოს; ის, რაც ააშენა, წამში გასწორდეს მიწასთან, მაგრამ ის, რის მოსაპოვებლაც ადამიანი გაჩნდა, ხელშეუხებელი საგან-მურია და მარად წაურთმეველი, — ბრძანებს ქრისტე.

16. ამქვეყნად მსოფლიო ზრუნვით დატვირთული ადამიანი წყალში ჩაყარდნის კაცსა ჰგავს, რომლისთვისაც დამლუპველია ზედმეტი ბარგი.

17. ჭკვიანი ისაა, ვინაც მარადიული ცხოვრების მოსაპოვებლად ერთხელ ბოძებულ

სიცოცხლეს მხოლოდ სტომაქის ამოსაყ-
ორავად არ გამოიყენებს და უმთავრესს
არ ღაივიწყებს.

18. ასეთი კაცი, ქრისტეს თქმით, ის
ცხვარია, რომელსაც კარგად ვსმის თავისი
მწყემსის ხმა.

19. ვინც გამგონე და დამკურნა,
გადარჩება. მწყემსის ურჩი ცხვარი კი ან

გადაიჩნება სადმე, ან მგლის ლუკმა გახ-
დება.

20. ჰუმანიტად ნათელმბულის ცხოვ-
რების დანიშნულება ამგვარია: იცხოვროს
მოყვასის სიყვარულით, ჰქმნას მხოლოდ სი-
კეთე, რაც ნიშნავს: ლოცვას მარხვასთან
ერთად და სიმათლეს წყალობასთან ერთად.
აი, ის სათნობანი, რითაც მოიპოვება მარა-
დიული სიცოცხლე.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე რ თ ე

რელიგია და სახელმწიფო

1. სახელმწიფო ერთი დიდი ოჯახია,
აღამიანი კი ამ ოჯახის წევრი; ყოველი ოჯა-
ხი ზრუნავს თავისი ოჯახის წევრის, ანუ
შვილის ბედნიერებისათვის. სახელმწიფო,
რომელიც ამ აზრს არ ეფუძნება, საკუთარი
თავის მტერია.

მოქალაქე სახელმწიფოსთან მიმართე-
ბაში უნდა იყოს მართალი. იგივე ევალება
სახელმწიფოსაც.

2. სახელმწიფო არ არსებობს აღამიანის
გარეშე. იგი მისი სასიცოცხლო უჯრედია.
სიმათლისმპყრობელი სახელმწიფო უნ-
და ზრუნავდეს მისი სასიცოცხლო უჯრე-
დის სიჯანსაღისათვის.

3. რანაირი ხასიათი გააჩნია აღამიანს,
ისეთივე ბედი განესაზღვრება. ვინაიდან ბედს
ქმნის ხასიათი, ღვთისებობებული საკუთარი
ნებელობა ნიშნავს ბედის მართვის საშუალე-
ბას;

დღევანდელი ჩემი ხასიათის მიხედვით
მე უკვე განმესაზღვრა მომავალი ბედი, მაგრამ
ბედის ცვლის შესაძლებლობა მონიჭებული
მაქვს ნათლობითა და მოძღვრების რჯულის
მიყოლით. ამდენად, ინდივიდს მართებს მან-
კიერი თვისებები დადებით თვისებებზედ გარ-
დაქმნას.

4. აღამიანში ღირსეული ხასიათის წრთო-
ბა სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია,
რადგან ამ ხასიათების ერთობლიობა ქმნის
თავად სახელმწიფოს ბედს.

5. როგორც სიცრუისა და ბოროტების
მორჩილი აღამიანის განაჩენი ერთია — წაწ-
ყმედა, ასევე სიცრუისა და ბოროტების მან-
ქანების ამყოლი სახელმწიფოს განაჩენიც
მისი წარსაწყმედელია.

6. როგორც შენი სხეულის ყოველი ნა-
წილი ერთგულად გემსახურება შენ, ასევე
შენც ერთგულად ემსახურე სახელმწიფოს,
როგორც მისი სხეულის ნაწილმა.

7. სახელმწიფო არის ოჯახი, სადაც იწ-
რთობა და ყალიბდება შენი სული. მოვალე
ხარ ზრუნავდე ღირსეული ოჯახის დაცვი-
სათვის. რელიგია სახელმწიფოს სულია.

8. რელიგია არ არის ტექნიკისა და მეც-
ნიერების პროგრესის წინააღმდეგი, მაგრამ
ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესს სა-
ფუძვლად უნდა ედოს მიზანი — „რისთვის
ყოველივე ეს?“

9. თუკი ეს მიზანი ემსახურება აღამია-
ნის სიცოცხლის დანიშნულებას და მისი
არსებობის გამართლებას, იგი ჩაითვლება
კეთილ საქმიანობად, მაგრამ თუკი იგი ყო-
ველივე ამის საწინააღმდეგოა, მაშინ ის ღვთის
ნების საწინააღმდეგო მოქმედებად ჩაითვ-
ლება, ყოველი ღვთის საწინააღმდეგო მოქ-
მედება კი ქვეყნის განწირულობის მიზეზია.

10. სახელმწიფოში, სადაც რელიგია შე-
ნიღბეს და ჩააყენეს სიცრუისა და ბოროტე-
ბის სამსახურში, იგი ამ სახელმწიფოს და-
ღუპვის მიზეზად იქცევა.

ჰუმმარიტი რელიგია ქადაგებს ჰუმმარიტი მოძღვრებას სულის გადარჩენის შესახებ. სახელმწიფო, რომელიც უარყოფს ჰუმმარიტ რელიგიას, არის ემმაკთა საკრებულო.

11. არსებობენ ღვთის მიღმა დარჩენილი სახელმწიფოები. მათი ცხოვრების არსია: სიცოცხლე სიკვდილისათვის.

12. სახელმწიფოს ნებისმიერ უჯრედში ჩახუდებული სიცრუე სიკვდილის დედაა. ღვთიური სახელმწიფო, ღვთიური სამართალი, ღვთიური პოლიტიკა მარად ღვთის ფრთეთა ქვეშ ყოფნის გარანტიაა. ამგვარი სახელმწიფო შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მონარქიული, რადგან მეფისა და პატრიარქის ამრჩევი ღმერთია და არა ხალხი. ქვეყანა მაშინ დაიქცევა ხოლმე, როცა ღვთით გაჩენილ ქვეყანაში ღმერთის გარეშე ინებებენ მეფისა და პატრიარქის არჩევას.

13. თუკი სახელმწიფოს ფრინველად წარმოვიდგენთ, მაშინ მეფე და პატრიარქი ის ორი ფრთაა, რომელთა გარეშე „ფრინველი“ ვერ იფრენს.

14. ფრთა, რომელიც არ ინებებს მეორე ფრთის თანადგომას, სიკვდილს უქადას ფრინველის მთლიან სხეულს, რადგან განწირულია ცალფრთიანი ფრინველი.

15. მეფე-პატრიარქი და ღვთიური კანონი! აი, გონიერთა საფიქრალი!

16. რელიგიის გარეშე სახელმწიფო ღვთია.

17. რელიგია არათუ ხელს უშლის პოლიტიკას, არამედ პირიქით, ჯანსაღ პოლიტიკას ამტკიცებს. ჰუმმარიტი რელიგია ხალხისა და სახელმწიფოს სამსახურში დგას.

18. ბიბლია არის მზე ქრისტიანული ცხოვრებისა.

19. სიბნელეში დამწყვედელი უცებ რომ ნათელს აზიარო, დაბრმავდება. ქრისტიანული ცხოვრების ნაკლებად მცოდნეს ბიბლიის სიბრძნე უცებ აღსაქმელად რომ დაუდო, საზიანოა: მისი გონების თვალი ვერ აიტანს

ამ ნათელს. ამიტომაც წმიდა მამებმა მოკვეთეს ბიბლიის ამომწურავი განმარტება. ნუ დაყვარდნობით მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს.

20. ასევე არსებობს ბიბლიიდან დაბადებული დიდ რჯულისკანონად წოდებული წიგნი, რომელიც საერო და საეკლესიო სამართლის კოდექსია. ეს ის წიგნია, რომლის მიხედვითაც მეორედ მოსვლის ფაშს იქნება ცოდვა-მადლის განკითხვა. ის არის საქრისტიანოს მანათობელი ჩირაღდანი. ეინც ამ წიგნს შეისწავლის, უთუოდ ეზიარება ბიბლიის ნათელს.

21. მთლიანად მიყენდით წმ. მამათა სწავლებას, რამეთუ ნათქვამია: მოციქულთა ბაგე ქრისტეს ბაგეა; ამ სიბრძნის გარეშე ქრისტიანი განიარაღებული მხედარია. განიარაღებული მხედარი კი მტრის დასათრგუნი გახდება. იყარით ქრისტეს ნათელი, ამით თქვენთვის საჩინო გახდება ბოროტი და, ამითვე ძლეუთ მას.

22. ნუ დაყვარდნობით მომაკვდავის მკლავისა და გონების ძალას. ვის ძალუძს გაუმკლავდეს ღმერთს და სძლიოს ცისა და ხმელეთის გამჩენი?

23. ასევე, სახელმწიფოს ვერ უშველის მრავალრიცხოვანება და მეცნიერების ძალოვნება. ღმერთის ერთ სიტყვაზე მტკრად იქცევა ცადაწვედილი მთები.

24. ხელისუფალნი, დიდნი და მცირენო ქვეყანაე და ქვეყნის შეილნი, თქვენ, რომლებსაც გსურთ ღვთის წყალობა, ისმინეთ შემდეგი:

„უსამართლობას ნუ ჩაიდენ სასამართლოში, ზედმეტად ნუ მოუფონებ საწყალს და ზედმეტ პატივს ნუ მიაგებ დედკაცს. სიმართლით განიკითხე შენი ახლობელი“ (ლევ., 19, 15).

25. „თუ დაგიდგება მდგომრად თქვენს ქვეყანაში, ნუ შეავიწროვებთ მას.

როგორც მკვიდრი, ერთი თქვენთაგანი, ისე იყოს თქვენთვის თქვენს შორის მდგომრად დამდგარი კაცი. გიყვარდეთ იგი, როგორც თქვენი თავი“ (ლევ., 19, 33-34).

26. „სწორი ხასწორი, სწორი ხაწონები, სწორი უფა, სწორი პინი უნდა გქონდეთ. მე ვარ უფალი თქვენი ღმერთი“ (ლევ., 19, 36).

პირნათლად უნდა შესრულდეს მოსეს მიერ მოტანილი და ღმერთის ხელით დაწერილი ათი მცნება.

27. ასევე, სახელმწიფო უნდა ენდოს ქრისტეს, რომელზედაც ქვეყნის გამჩენი ღმერთი ბრძანებს: „არა შერცხვენენ ყველანი მასზე დანდობილნი“.

28. ასევე უნდა ენდოს სახელმწიფო ქრისტეს მოციქულებს, რომლებზედაც ქრისტემ ბრძანა: მიმღებელი თქვენი მე მღებულობს და მიმღები ჩემი კი მამას ჩემსასო.

29. „თუ ივლით ჩემს წესსზე და დაცვით ჩემს მცნებებს, შეასრულებთ მათ, თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანი ნაყოფს. ლეწვა თესვაზე ადრე დაგიდგებათ, რთველი თესვაზე ადრე, ძღომაზე შეჭამთ თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იტხოვრებთ. მშვიდობას ჩამოვაგდებ ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. აღარ იქნება დამაფრთხობელი, მიწისაგან ავღგვი სასტიკი მსხვეტებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაზე. გარეკავთ თქვენს მტრებს და მახვილით დაეცემიან თქვენს წინაშე. ასს გარეკავს ხუთი თქვენგანი და ასი თქვენგანი ათიათასს გარეკავს. მახვილით დაეცემიან თქვენი მტრები თქვენს წინაშე.“

30. მოგზედავთ და ნაყოფიერს გაგზნდით, გაგამრავლებთ და შეასრულებთ თქვენთვის მოცემულ აღთქმას. შეჭამთ ძველის ძველს და ახლის წინაშე გამოიტანთ ძველს. ჩემს საყანეს დაიღებთ თქვენს შორის და არ შეგიზიზღებთ ჩემი სული. კიელი თქვენს შორის და ვიქნები თქვენი ღმერთი. თქვენ კი ჩემი ვერი იქნებით“ (ლევ., 26, 3-12).

31. „თუ არ დამიჯერებთ და არ შეასრულებთ ამ ჩემს მცნებებს, თუ არად ჩააგდებთ ჩემს წესებს, თუ ისე შეიძულებთ ჩემს სამართალს, რომ არ შეასრულებთ არცერთ ჩემს

მცნებას და დამიჯერებთ აღთქმას, მაშინ ამგვარად მოგვეცევით:

მოგივლენთ შიშის ზარს, ჭლექსა და ცხროებას, თვალის დამავსებელს და სულის შემადონებელს. ფუჭი იქნება თქვენი დათესილი, რადგან მტრები შეგიჭამენ. პირს ეიზამ თქვენსკენ და დაუშარცხლებით თქვენს მტრებს, გაგებატონდებიან მოსისხელნი; გაიქცევით, თუმცა მადეგარი არ გყოლებათ.

32. და თუ მაინც არ დამიჯერებთ, შეიღგზის მოგიმატებთ სასჯელს თქვენი ცოდვებისათვის. გაგტეხავთ თქვენი სიჯოუტის ძალას, რკინად ეაქცევთ თქვენს ცას, სპილენძად — თქვენს მიწას, ფუჭად დაილევა თქვენი ძალ-ღონე: არ მოგცემთ მიწა თავის მოსავალს და ქვეყნის ხეები — თავის ნაყოფებს.

33. თუ კიდევ გამიწევთ წინააღმდეგობას და არ მოისურვებთ ჩემს ყურისგებას, შეიღგზის დაგცხებით თქვენი ცოდვებისათვის, მოგისხეთ გარეულ მსხვეტებს და გაგწიყვებენ შვილებს; გაგიწიყვებენ საქონელს, თქვენც დაგლეკენ და დაკარიყვდება თქვენი გზები.

34. თუ ამითაც არ ისწავლით ჭკუას და კიდევ გამიწევთ წინააღმდეგობას, მეც წამოვალ თქვენს წინააღმდეგ და შეიღგზის დაგცხებით თქვენი ცოდვებისათვის. მოვაუვლენ თქვენზე შურისმგებელ მახვილს აღთქმის შურისგებად და თქვენ შეიხვეტებით თქვენ-თქვენ ქალაქებში. ჭირს შეგყრით და მტრის ხელში ჩაეცივიდებით.

35. როცა გაგიწიყვებთ პურის სახსარს, ათი ღელაკაცი ერთ თონეში დაიწყებს თქვენი პურის ცხობას, წონით გამოგიზანებიან თქვენს პურს, შეჭამთ და ვერ გაძლებთ. თუ მაშინაც არ დამიჯერებთ ყურს, მეც გამოვალ თქვენს წინააღმდეგ და შეიღგზის დაგსჯით თქვენი ცოდვებისათვის. თქვენი ვაყების ხორცს დაუწყებთ ჭამას და თქვენი ასულეების ხორცს შეჭამთ. გაგინადგურებთ ბორცვებს და ამოგიყრით მზის სვეტებს, დავახვავებთ თქვენს გვამებს თქვენი კერპების ნანგრევებზე და შეგიძულებს თქვენ ჩემი სული.

36. გავეუღებურებ თქვენს ქალაქებს და დავაცარიელებ თქვენს საწმიდარებს; აღარ ვიყნოსავ თქვენგან ნაკმევე კეთილსურნელებას. დავაცარიელებ ქვეყანას თქვენი ქვეყნის განსაცვიფრებლად, რომლებიც იქ დასახლებიან. მიმოვფანტავ ხალხებში და გაშეშელებულ მასეილს დაგადვენებთ, დაცარიელდება თქვენი ქვეყანა და გაუღებურდება თქვენი ქალაქები“ (ლევ., 26, 14-33).

37. სიტყვა იგი ეკუთვნის ყველა რჯულს და ყველა სახელმწიფოს, როგორც ათი მცნება ღვთისა ეკუთვნის კაცობრიობას.

მაშ, გონიერს ისღა დარჩენია, მიენდოს უფალს და ღვთის კალთას შეაფაროს თავი;

არ არსებობს უფრო ბრძნული პოლიტიკა ქვეყანაზე. ყურად იღეთ, გონიერნო!

38. ეშმაკის სურვილია ადამიანის ნაშენი თვალხილულ მოკავშირედ გაიხადოს, რაც ნიშნავს: ჩააყენოს ადამიანი ქვეყნიერების სამსახურში და განუწყვეტელი ზრუნვით დაუშვიდროს ის უღარდებლობა, რაც მხოლოდ ხორცის ზეიმს მოასწავებს.

39. ბრძენი ქვეყანას თავად იმასახურებს სულის გადასარჩენად, ხოლო უგუნურს მარად ქვეყნის ზრუნვაში გაახარჯინებენ სულისათვის საზრუნავად მიცემულ დროს. როგორც ბიბლიაში ითქვა: „ინც ქვეყნის მეგობარია, იგი ღმერთის მტერია“.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე რ ე ბ

იუდაიზმზე აღმოცენებული ქრისტიანობა

1. იუდაიზმი (იუდას ტომის რელიგია) ებრაელი ხალხის რელიგიაა, რომლის მთავარი პრინციპებია: ღმერთის – იაკვს (იეღოვას) რწმენა, მესიის (ციური მხსნელის) მოლოდინი, ძველი აღთქმისა და თაღმუდის აღიარება წმიდა წიგნებზე. წარმოიქმნა ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში. პალესტინაში იაკვს კულტმა საერთო სახელმწიფო რელიგიის სახე მიიღო ძვ.წელთაღრიცხვის X საუკუნიდან. ბაალები, რვალის გვილი, ოქროს ხბო, ზეთისხილის ჭვლის და სხვა წარმართული რწმენები სასტიკად იღვენებოდა. დოგმები სულის უკვდავებაზე, საიქიო ცხოვრებაზე, მკვდრეთით აღდგომის, ანგელოზებისა და ღმერთოლოგიის რწმენა – ყველაფერი ეს მტკიცედ დაკანონდა და თაღმუდის სახით შემორჩა დღემდე (613 საწესო დარიგება და სხვ). სინაგოგა ამტკიცებს ებრაელი ხალხის რწმულ მისიას, კრძალავს შერეულ ქორწინებას.

2. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 143 წელს სიმონმა გამოიხსნა თავისი მამული ურიასტანი ასურელების ხელიდან. განაურცო მისი

საზღვრები, დაუმეგობრდა რომაელებს და ასე ცხოვრობდნენ. ბოლოს რომაელებმა უღალატეს და თვით დაიკავეს ებრაელების ქვეყანა. სწორედ ამ დროს დაიბადა იესუ ქრისტე იუდეველების ქვეყანაში, ბეთლემში.

3. ქრისტე დაიბადა ქვეყნის დასაბამიდან 5500 წელს. იგი ეყოლა ქალწულ მარიამს.

4. მარიამი დაიბადა ნაზარეთში, 8 სექტემბერს. მისი მშობლები იყვნენ იაკიმე და ანა, ღვთის წინაშე მართალნი. მარიამი, აღთქმისამებრ, მშობლებმა მიიყვანეს ტაძრად.

5. მშობლების გარდაცვალების შემდეგ თორმეტი წლის მარიამს გათხოვება მოუნდომეს. მარიამი უარზე დადგა: მე ღვთისათვის პირობა მაქვს მიცემული და ქალწულად უნდა დავერჩეო. მაშინ მღვდელმა მარიამი ხანდაზმულ იოსებზე დაწინადა. თან გამოუცხადეს იოსებს თუ რა აღთქმა ჰქონდა მარიამს ღმერთისთვის მიცემული. აპრიკად, უღედამყო ასული იოსების პატრონობასა და მზრუნველობას შეუყენეს.

6. იოსები იყო დურგალი. ცხოვრობდა ნაზარეთში. ყოფილა მარიამის ნათესავი.

როგორც სახარება იუწყება, მარიამს გამოცხადდა მთავარანგელოზი გაბრიელი და მიმართა:

7. „...გისაროდეს მადლით მოსილო! უფალი შენთანაა; კურთხეული ხარ ასულთა შორის.

8. ხოლო ის, როცა იხილა ანგელოზი, შეძრწუნდა მის სიტყვაზე და ფიქრობდა: ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო?

9. და ანგელოზმა უთხრა მას: ნუ გეშინია, მარიამ, რადგანაც ჰპოვე მადლი ღმერთის წინაშე.

და აჰა, მუცლად იღებ, და შობ ძეს, და უწოდებ მას სახელად იესუს.

დიდი იქნება იგი და უზენაესის ძედ იწოდება, და მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს.

და იმეფებს იაკობის სახლზე საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა“ (ლუკ., 1, 28-32).

10. დღე, როცა მთავარანგელოზმა ღვთისმშობელს აძწო ფრიად სასიხარულო ამბავი, იწოდა „ხარებად“ და არის იგი ქრისტეანული დიდი დღესასწაული.

11. ანგელოზებმა მესიის დაბადება აუწყეს ბეთლემელ მეცხვარეებს: „ნუ გეშინიათ; აჰა, მე განხარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი. რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი.

12. და აი, თქვენ ნიშანი: იპოვით ყრმას შეხვეულს და მწოლარეს ბაგაში.

და ანაზდად გაჩნდა ანგელოზთან ციურ მოლაშქრეთა სიმრავლე, აღიდგინდნენ ღმერთს და ამბობდნენ: დიდება მადალთა შინა ღმერთს, და მშვიდობა ქვეყნად, და სათნოება კაცთა შორის“ (ლუკ., 2, 10-14).

13. მწვემებსმა ყოველი იხილეს, როგორც იყო თქმული.

14. ახალდაბადებულს წინასწარვე ნაუწყები სახელი ეწოდა – იესუ, რაც ნიშნავს მაცხოვარს.

15. მერვეე დღეს მარიამ ღვთისმშობელმა, ებრაელთა წესისამებრ, იესუ ტაძრად მიიყვანა.

16. იყო იერუსალიმში მართალი და ღვთის ერთგული კაცი, სახელად, სიმონი, რომლისთვისაც ღმერთს განცხადებული ჰქონია, რომ იგი არ მოკვდებოდა, ვიდრე არ იხილავდა მესიას – მაცხოვარს. და აი, როდესაც მან იხილა მარიამის ბავშვი, თქვა: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისამებრ შენისა, მშვიდობით. რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრება შენი, რომელი განუშაღე წინაშე პირსა ყოვლისა ერსა, ნათელ გამობრწყინებდად წარმართთა ზედა და დიდებდად ერისა შენისა ისრაელისა“ (ლუკ., 2, 29-32).

ამ დღეს ეწოდა მირქმა და მას ქრისტეანები დღესასწაულობენ ორ თებერვალს (ძველი სტილით).

17. მალაქიას მიერ ნაწინასწარმეტყველები იყო, რომ, ვიდრე მესია ქვეყანაზე მოეა, მანამდე უნდა დაიბადოს მისი წინამორბედი, რომელიც გზას განუშაღებს მაცხოვარს.

18. დაიბადა წინამორბედად მოვლინებულიც, რომელსაც იოანე დაერქვა. იგი იყო მღვდელ ზაქარიასა და მისი მეუღლის – ელისაბედის შვილი.

19. იოანემ აუწყა ხალხს ქრისტეს მობრძანება და დასძინა: „ის არის ჩემს შემდეგ მომავალი, რომელიც უწინარეს იყო. და მე იმის ღირსიც არა ვარ, რომ შევეხსნა ზამლის საკერელი“ (იოან., 1, 27).

20. იოანე ხალხს ნათლავდა მდინარე იორდანეში და თან აუწყებდა მათ ქრისტეს გამოჩენას. და აი, ქრისტე მობრძანდა და მანაც ნათელილო მდინარე იორდანეში.

21. იწყო ქრისტემ ქადაგება; მან ამხილა ებრაელთა არარჯულიერი მოქმედებანი, აუკრძალა მათ ღვთის საწინააღმდეგო საქციელი, ასევე უჩვენა მონიჭებული განცემის ძალა: სასწაულმოქმედებით განკურნა მრავალი ავადმყოფი, ბრმას თვალი აუხილა, ყრუს სმენა მისცა, მორაჩინა კეთროვანი, წყალზე გაიარა, გრიგალი ჩააყენა, წყალი ღვინოდ

აქცია, მკვდარი გააცოცხლა, ეშმაკი სულიდან განასხა.

22. აი, ასეთი სასწაულებით წარუდგა იგი ებრაელებს თავისი მაცხოვრობის დასტურად.

23. აუწყა რა ხალხს თავისი ვინაობა, განუმარტა, რომ ის არის უზუნაესის, ქვეყნის გამჩენის – მამა ღმერთ ცაბათის შვილი, ჭეშმარიტი ღმერთის ძე, ჭეშმარიტი ღმერთი, იგივე მესია-მაცხოვარი, რომელსაც კაცობრიობა ოდითგანვე ელოდა.

24. ასევე აუწყა კაცობრიობას საიდუმლო ჭეშმარიტი სამების: მამის, ძისა და სულიწმინდის შესახებ.

25. მოვიდა იგი ქვეყანაზე თავისი მამის სახელით და თქვა: „არა მოვსულვარ, რათა რჯული და წინასწარმეტყველება გაავუქმო, არამედ მოველ აღსრულებადო“.

26. ასევე შეიცვალა ადრინდელი რჯულის სიმკაცრე: „კბილი კბილის წილ“, „სისხლი სისხლის წილ“, ცოლის გაყრის კანონები და გარყვნილებისთვის ჩაქოლვის წესი;

27. განუმარტა ებრაელებს, რომ მოსემ ამგვარი მკაცრი კანონი მათი გულქვაობის გამო დაადგინა. ქრისტე კი მოითხოვდა: „არა კბილი კბილის წილ და სისხლი სისხლის წილ“, არამედ ულოცვიდეთ მტერთა თქვენთა, არა ჩაქოლოთ მრუშობისათვის ვინმე, არამედ

დაუხანეთ სიცოცხლე სულის გადასარჩენად. ვინაც ღმერთმა შეაუღლოს, კაცმა არა გაყაროს. იყავით სულგრძელნი, ვითარცა მამა თქვენი ზეტვირი.

28. მოითხოვა ნათლისღება სამების: მამისა, ძისა და სულიწმინდის სახელით. „ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“ (იოან., 3,5). – ბრძანა ქრისტემ. რადგან იცოდა, დადგა დრო ახალი აღთქმისა და ღვთიური ბეჭდით სასუფეველის დამკვიდრებისა. სწორედ მაშინ ირწმუნებდნენ ისინი მესიის დათხუვლ სისხლს სულის გადამრჩენელ ერთადერთ შესაწირად.

29. წინადაცვეთა რომ ყოფილიყო სასუფეველში შესასვლელი ერთადერთი საიდუმლო მოქმედება, მაშინ ქალთა სქესის წარმომადგენლები სასუფეველის გარეშე დარჩებოდნენ.

30. იესუმ თავისი ცხოვრებით გვიჩვენა ნათელი მაგალითი თუ როგორ უნდა ყოფილიყო იუდეველი მოსეს რჯულის კანონის შემსრულებელი. იგი იყო მშვიდი, მორჩილი, თინიერი, ყოველთვის წუხდა კაცის ცოდვისა და უბედურებისათვის, იყო მართალი და წმიდა გულის მქონე, არც რა ცოდვა მოიპოვებოდა მის გულში, არავინ სძულდა, სდევნიდნენ, ის კი ღოცულობდა მათთვის.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ს ა ვ ი

ქრისტემ – კმ ღმრთისა, ქრისტემ – ხსნა პატივობისა

1. ვიცით, რომ ადამისა და ეშმაკის ხელშეკრულების თანახმად, ეშმაკმა იპყრა, ადამიდან დაწყებული, ყველა მიცვალებულის სული და მათ ჯოჯოხეთში დაუდო ბინა. ასე იქნა შთაყრილი ძესორციელთა სულეები ეშმაკთა მიერ გაშენებულ სულთა სატანჯველ სადგომში.

2. კაცობრიობა დასაბამიდან ქრისტეს მოსვლამდე გმინავდა დედის მუცლიდან გა-

მოყოლილი და შეტენილი ცოდვების სიმძიმის ქვეშ.

3. ასევე გმინავდა ყველა მიცვალებულის სული, რომელიც ჯოჯოხეთში ჰყავდა დამწყვედული ეშმაკს.

4. ვის შეეძლო ამგვარ ცოდვილთა – ცოცხალთა და მკვდართა ხსნა! ვინ იქნებოდა ის, რომელიც გააქარწყლებდა ადამისა და ევას პირველ ცოდვას – დედის მუცლიდან

გამოყოლილს და მასთან ერთად ჯოჯოხეთის ტყვეობიდან გამოათავისუფლებდა ემშაკის მიერ გაწამებულ ხულებს?

5. ვის ელოდნენ წინასწარმეტყველები ნოედან დაწყებული მოხეთი, დანიელით, ეზრაით, დავითითა და მიქათი დამთავრებული?

6. ისინი ელოდნენ მესიას. მესია, რომლის მობრძანება ქვეყანაზე იქნებოდა თავდები კაცობრიობის ხსნისა და ქვეყნის გამჩენი ღმერთის ცაბათის კეთილი ნების უწყებისა. აი, ვინ უნდა ყოფილიყო მხსნელი!

7. სწორედ ამიტომ ემუდარებოდა ემშაკი მაცხოვარს, რომ ჯვარცმა არ ეტვირთა, ამიტომაც სჩუქნიდა სანატვლოდ ქვეყნიერებას, რადგან იცოდა — მაცხოვრის სისხლი გადაწონიდა კაცობრიობის ცოდვის სიმძიმეს. ქრისტემ გაიმეტა თავი, როგორც ქვეყნიერების პურმა და მისგან მსაზრდოებელი დანაყოფა ყოველი. ასრულდა ესაიას წინასწარმეტყველება — სიკვდილი სიკვდილით იქნა დათრეუნული. აღრინდელ მიცვალებულთა წმიდა ხულები განათავისუფლდნენ ჯოჯოხეთის ტყვეობიდან.

8. ქრისტეს დროინდელ ებრაელებს კი ეგონათ, მესია ქვეყანაზე თავისი მობრძანებით უპირველესად რომაელთა ბატონობიდან იხსნიდა მათ.

9. ქრისტე, იგივე მაცხოვარი, იგივე მესია, იგივე იესუ, ძე ქვეყნის გამჩენისა, ძე მარიამ ღვთისმშობლისა, მოვიდა ქვეყანაზე, ვითარცა წერილ არს საღვთო რჯულში; ასევე შეუქმნა მან ღმერთს ტამარი სასურველი, როგორც წერილ არს საღვთო რჯულში; ასევე მოკლეს და აღსდგა იგი მესამე დღეს, როგორც წერილ არს საღვთო რჯულში; ასევე ჩავიდა იგი ჯოჯოხეთში და უმტკრია დირენი მათ, განაქარვა ემშაკისა და ადამის ხელშეკრულება; გააუქმა იგი და აწ გარდაცვლილთა ხულებს გზა უტია უფლისაკენ ცოდვა-მადლის მიხედვით.

10. განა კაცის ძალას არ აღემატებოდა ყოველივე ამის ქმნა? თუკი მანამდე საქონლის

შეწევით, მისი სისხლის დაღვრით შეიძლებოდა ჩადენილ ცოდვათა შემსუბუქება, იმჟამად ისე იმრავლა ცდუნებისაკენ გულმდრეკილთა წადილმა, რომ უკვე მოელო ქვეყნის ცხოველთა და ფრინველთა სამსხვერპლოზე ერთდროული მიტანილთა კი ვერას უშველიდათ ცოდვის მორევში ჩაძირულთ.

11. მხოლოდ ღვთის სისხლის სამსხვერპლოზე მიტანილ შეიძლებოდა სულთმობრძავე კაცობრიობის ხსნა, მისი უმძიმესი ცოდვების დაფარვა. და ჰა, ქრისტეს მობრძანებით დაბეჭდილ იქნა ცოდვა ქვეყნისა. კაცობრიობის ცოდვის სიმძიმე გადაიწონა ღმერთის უწყინდესი სისხლით.

12. ემშაკს უკვე არაფერი ჰქონდა სათქმელი. ძალით არაფერ არაფერი წაურთმევია ღმერთის თავგანწირვამ განსარცვა იგი, თუმცა საუკუნის დასასრულამდე კელავ შეარჩინეს ქვეყანაზე მეფობის უფლებამოსილება, რათა უკვდავების მოწადინეს, მასთან ბრძოლაში გამარჯვებულს, მისცემოდა სამარადქამო ცხოვრების გვირგვინი.

13. ვინც კაცობრიობისათვის სამსხვერპლოზე მიტანილი ქრისტეს სისხლი და ხორცი, როგორც ქვეყნიერების პური, არა ინება ხულის საზრდოდ, იგი დარჩა მაცხოვრის მიღმა და შეეწირა უმეტრებას.

14. ამიტომაც ბრძანა ქრისტემ: ვისაც არა ჰყავს ძე (ე.ი. ქრისტე), მას არა ჰყავს მამა (ე.ი. ქვეყნის გამჩენი ღმერთი, იგივე მამა ღმერთი).

15. რომელმაც უარყოს კაცობრიობისათვის დაღვრილი მესიის სისხლი, მას უარყოს თვით მამა ღმერთი, და იქნება იგი საშინელ სამსჯავროზე ცეცხლს მიცემული.

16. უგუნურებს შეუძლიათ მხოლოდ მამა ღმერთის სიყვარულით თავიანთი ხულის გადარჩენა ირწმუნონ.

17. თავყანი შეიძლება მამისადმი იყოს წრფელი, მაგრამ მისი საყვარელი ძის მოძულეთა თავყანი რარიგ ისათნოოს მან?

18. განა საღვთო რჯულით არ გვეუწყა, რომ მამამ ძეს გადასცა უფლებამოსილება

საშინელ სამსჯავროზე ცოცხალთა და მკედართა განსაკითხველი; რომ მის ხელშია ჯოჯოხეთისა და სამოთხის გასაღები.

19. ამიტომაც ბრძანა ქრისტემ სახარე-

ბაში: მე გარ კარი სამოთხისა, შემომსვლელი მხოლოდ ჩემგან შემოვა. ვინც ეცდება ფანჯრიდან გადმოსვლას, მპარავია იგი, მპარავი კი დაისჯება.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ო თ ხ ე

ქრისტეანული რელიგიის მოკლე ისტორია

1. ქრისტეანულმა რელიგიამ პირველსავე საუკუნეში პოვა მსოფლიო აღიარება. იგი პირველ რიგში იუდეველების ქვეყანაში დაფუძნდა, შემდეგ რომის იმპერიის სხვა პროვინციებში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, სომხეთში, საქართველოში ანუ იბერიაში, დროთა განმავლობაში კი რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებში.

2. ქრისტეანული სამოციქულო ეკლესია თავად მოციქულების მიერ არის დაფუძნებული.

3. მათვე დაადგინეს საეკლესიო წესები და კანონები. ასე შეიქმნა ქრისტეანული სამოციქულო ეკლესიის სარკე, და მიეცა სარკე იგი მსოფლიო საქრისტეანოს მსგავსივე ქრისტეანული ეკლესიების დასაფუძნებლად.

4. პირველსავე საუკუნეში იქმნება სახარება და შემდგომ — აპოკალიფსისი იოანესი.

5. იბადება სამჩინიანი იერარქია დააკენების, მღვდლების, ეპისკოპოსების სახით. მხოლოდ მათ გააჩნიათ უფლებამოსილება ქრისტეანულ ეკლესიებში მსახურებისა: ქრისტეანეთა დაბადებისა, ცოდვეის მიტევებისა და რჯულისმიერი დაკრძალვისა.

6. ქრისტეანული ხელდასხმა, ანუ ქიროტონია მაცხოვრიდან იღებს დასაბამს და გადმოდის მოციქულებზე. ქიროტონია სულის ბეჭედი და არა ხორცისა. ერთხელ ბოძებული ქიროტონია მარად წაურთმეველია, როგორც თვით ნათლობა. ხელდასხმის უფლება მხოლოდ ეპისკოპოსებს გააჩნიათ.

7. ქრისტეანულ რელიგიას პირველი საუკუნიდან გამოუცხადეს ბძმოლა. ქრისტეანთა

დევნა 313 წელს რომის იმპერატორ კონსტანტინეს დროს შეწყდა. მანვე მოიწვია მსოფლიოს ქრისტეანული სათათბირო 325 წელს ქალაქ ნიკეაში.

8. 1054 წელს რელიგიური დოგმატებისა და წესების შეცვლამ გამოიწვია ერთიანი ქრისტეანული ეკლესიის ორად გაყოფა: აღმოსავლეთისა და დასავლეთისა.

9. სახელწოდება „კათოლიკური“ მითითისაა დასავლეთის ეკლესიამ.

10. რაც ნიშნავს მსოფლიოს, საყოველთაოს, საკრებოს.

11. ხოლო აღმოსავლური ეკლესიის მიმდევრებმა კი იწოდეს „მართლმადიდებლური“. ამით მიანიშნეს თავიანთი სიმართლე და უარყვეს კათოლიკური ეკლესიის მიერ დადგენილი ახალი დოგმატები და წესები.

12. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ამ სახელმწიფოებში გაჩნდნენ თვითყოფადი, ანუ ავტოკეფალიური ეკლესიები.

13. ამდენად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ვერ გახდა ერთიანი მართლმადიდებლური ეკლესიის თავი, როგორც ეს მოხერხდა დასავლეთში რომის პაპის ერთმართველობით.

14. კონსტანტინოპოლის პატრიარქი დღესაც ატარებს მსოფლიო პატრიარქის ტიტულს, მაგრამ მას არ გააჩნია ადმინისტრაციულ-საეკლესიო მთავრობის უფლებები სხვა დამოუკიდებელ ეკლესიებთან.

15. მართლმადიდებლური საწმენოების ძირითადი მიმართულება გამოსახულია „მრწამსში“, რომელიც ქ. ნიკეისა და

კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებებმა მიიღეს (325-381 წწ.). «მრწამსი» არის იგივე ქრისტეანული სიმბოლო, ქრისტეანული კრედიო სარწმუნოებისა.

ქრისტეანული სასულიერო და საერო წესდების სახით შეიქმნა წიგნი, რომელსაც უწოდეს დიდი რჯულისკანონი. იგი შედგება 85 მოციქულთა, 9 ადგილობრივი, 7 მსოფლიო საეკლესიო კრებისა და წმიდა მამათა ეპისტოლარული კანონებისაგან.

16. მართლმადიდებლების ძირითადი დოგმატი სამების სწორ შემეცნებაშია.

17. მართლმადიდებლურ სწავლებაში მთავარი ადგილი უჭირავს დოგმატს ყველა ადამიანის ცოდვიანობის შესახებ და სულის დასახსნელი წესებისა და ქცევის ნორმების დაცვა-გათვალისწინებას.

18. როგორც ვიცით, მართლმადიდებლური ეკლესია დაფუძნებულია შეიღ საიდუმლოზე: ნათლობა, მირონცხება, ზიარება, სინანული, მღვდლობა, ქორწინება და ზეთისკურთხევა. ყველა საიდუმლო თავისი წესით აღსრულდება. მაგალითად: მართლმადიდებლური ნათლობა სრულდება მოსანათლის წყალში სამჯერ შთაფლვით, ე.ი. წყალში სხეულის მთლიანად ჩაძირვით, ხოლო კათოლიკური ნათლობა — თავზე წყლის პკურებით.

19. თუკი მართლმადიდებლური ნათლობისას მირონს სცხებენ მოსანათლს ასაკის მიუხედავად, კათოლიკური წესების მიხედვით მირონცხება 7-8 წლის ასაკის შემდეგ ხდება.

20. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ზიარება ყველა ქრისტეანისათვის მიიღება პურითა და ღვინით, ხოლო კათოლიკურში — პურითა და ღვინით მხოლოდ საეკლესიო მსახურთათვის, მრევლისთვის კი მხოლოდ პურით, უფრო სწორად — მაცით.

21. მართლმადიდებლური გაგებით, სულიწმიდა მამა ღმერთისაგან გამოშავალია, ხოლო კათოლიკური გაგებით, იგი გამოდის მამისაგან და ძისაგანაც.

22. ასე გაიყო ერთიანი ქრისტეანული ეკლესია ორად, რამაც შემდგომში გამოიწვია დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ეკლესიების შექმნა. V საუკუნის ბიზანტიის იმპერია საეკლესიო მიმართულებით დაიყო ოთხ საპატრიარქოდ:

ა) კონსტანტინოპოლის, ბ) ალექსანდრიის, გ) ანტიოქიისა და დ) იერუსალიმის.

23. სწორედ ამ საპატრიარქოებიდან წარმოიქმნა დამოუკიდებელი, ე.ი. ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიები. დღესდღეობით არსებობს 15 ავტოკეფალიური ეკლესია:

1) კონსტანტინოპოლის (თურქეთი) — მართავს პატრიარქი მსოფლიო პატრიარქის წოდებით.

2) ალექსანდრიის (ეგვიპტე) — თავისი ძალაუფლებით მოიცავს მთელ აფრიკას.

3) ანტიოქიის (სირია, ლიბანი).

4) იერუსალიმის (ცენტრია არაბული ნაწილის იერუსალიმი).

5) კიპრის (არსებობს მე-5 საუკუნიდან).

6) ქართული (არსებობს I საუკუნიდან. სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა მე-4 საუკუნეში).

7) სერბიის (იუგოსლავია).

8) ელადის (საბერძნეთი).

9) ბულგარეთის (მე-10 საუკუნიდან).

10) ალბანეთის (ჩამოყალიბდა II მსოფლიო ომის შემდეგ).

11) პოლონეთის (ჩამოყალიბდა II მსოფლიო ომის შემდეგ).

12) ჩეხოსლოვაკიისა (ჩამოყალიბდა II მსოფლიო ომის შემდეგ).

13) რუსეთის (ჩამოყალიბდა მე-11 საუკუნეში).

14) დამოუკიდებელი მართლმადიდებლური ეკლესია ამერიკაში.

15) რუსეთის ქრისტეანული ორთოდოქსული ორი იერარქია: ბეგლობოპოვცებისა და ბელოკრინიცელების (სტაროვერები).

24. მესუთუ საუკუნის ბოლოს გერმანულმა ტომებმა დაიპყრეს რომი და იმ ტერიტორიაზე

განდნენ პატარ-პატარა ფეოდალური სა-
ხელმწიფოები.

25. იტალიის ტერიტორიაზე 756 წელს
ჩამოყალიბდა პაპების სახელმწიფო. მე-14
საუკუნიდან არსებობს ვატიკანის სასახლე-
დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა
შორის ყოველთვის დიდი უკმაყოფილება
იყო და არის.

26. ვიცით, 1054 წელს ეს კონფლიქტი
დამთავრდა იმით, რომ აღმოსავლეთისა და
დასავლეთის ეკლესიები საბოლოოდ
გაეპიჯნენ ერთმანეთს.

27. კათოლიკე პაპი მოხალაპარაკებლად
მიიღეს კონსტანტინოპოლში. აღმოსავლური
ეკლესია არ დაეთანხმა ახალ დოგმატებს,
რის გამოც კათოლიკე პაპმა ანათემას გა-
დასცა პატრიარქი.

28. ამის საპასუხოდ ბიზანტიის იმპერატო-
რის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ
ანათემას შეუყენა ისინიც, პაპს კი დემოტიკის
ერესის შეტანა დოგმატში.

29. კათოლიციზმი ორთოდოქსალობა-
დაკარგული ქრისტიანული კონფესიის ერთ-
ერთი მიმდინარეობაა, რომელიც საგრძნო-
ბი განსხვავებით სცილდება სამოციქულო
ეკლესიის პირვანდელ სახეს. თავიდანვე აც-
ხადებს თავს მსოფლიო საქრისტიანოს მე-
თაურად (რამდენადაც ქრისტეს სამოციქუ-
ლო ტახტი მის ცენტრში — რომშია და სხვ.).
ნებადართულია ინდულგენციებით ვაჭრობა,
ადრე ცნობილი იყო ინკვიზიციის სისას-
ტიკით.

30. პიუს IX-მ ვატიკანის ყრილობაზე
დაამტკიცა პაპის უცოდველობის ახალი დოგ-
მა (1870 წ.), რაც ძველთაგანვე მოდიოდა.
აქვს ცენტრალიზებული იერარქიული ორ-
განიზაცია, დისციპლინა, დიდი თანხები, უჩე-
ნაესი ორგანოები, კლირისა და მასობრივი
ორგანიზაციების, ბერთა ორღუნების მტკიცე
კავშირი.

კათოლიკური ეკლესიის წიაღში შეიქმნა
ქრისტიანული ეკლესიის მესამე ძირითადი
მიმართულება — პროტესტანტიზმი, ყველა

განშტოებით (ლუთერანობა, კალვინიზმი,
პუგენოტები, ანგლიკანები...).

31. მე-11-მე-13 საუკუნეებში პაპების ორ-
განიზატორობით მოწვეო მსოფლიო ჯვაროს-
ნული ლაშქრობა, რომელიც მიზნად ისახავდა
კათოლიკური ერეტიკული, ე.ი. შეცვლილი
დოგმების შეტანას აღმოსავლეთის წმიდა
ეკლესიაში, იქ, სადაც მტკიცედ იყო დაცული
ყველა საეკლესიო დოგმა.

32. 1242 წელს რუსეთის ჯარმა ჩუდის
ტბაზე დაამარცხა ჯვაროსნები.

33. კათოლიკურ ეკლესიას კანონიკურად
მხროლდ ლათინურ ენაზე დაბეჭდილი ბიბ-
ლია მიაჩნია.

34. ეს ეკლესია დროისა და გარემოების
შეგუების მიზნით ცვლის საეკლესიო
დოგმატებს, რის გამოც წყველას იმსახურებს
რჯულისკანონის მიხედვით.

35. კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთი
უმთავრესი დოგმატია რომის პაპის უცოდ-
ველობა.

36. სხვა კანონი კი კრძალავს საეკლე-
სიო პირის ქორწინებას. უქორწინება, ანუ
„ცელიბატი“ დადგინდა მე-11 საუკუნეში.

37. კათოლიკურ სასულიერო პირთა რაო-
დენობა ოთხას ათასს აღწევს. ბერ-მონაზ-
ვნებისა კი — 1200 კაცს. იეზუიტები 35
ათასამდეა (ამერიკაში 8000 კაცია). იეზუი-
ტებს უჭირავთ მთავარი ადგილები ვატიკანსა
და მმართველ წრეებში.

38. პროტესტანტიზმი დაიბადა მე-14 საუ-
კუნეში. ეს იყო ანტიკათოლიკური მოძრაობა
ვერონაში. 1524-1525 წლებში მარტინ ლუ-
თერმა ჩამოაყალიბა 12 თემისი, რომლებშიც
გლეხების სურვილ-მოთხოვნილება ჩათვალა
ეშმაკის ჩაგონებად.

39. პროტესტანტები მოითხოვდნენ კა-
თოლიკების მთერ თარგმნილი ბიბლიის გაწ-
მენდას ზედმეტი მინარევებისაგან. მათ მო-
ითხოვეს აგრეთვე ბიბლიის თარგმნა თანა-
მედროვე ენაზე.

40. ძირითადი პროტესტანტული ქვეყნე-
ბია: გერმანია, შვეიცარია, დანია, შვეცია,

ნორვეგია, ფინეთი, ინგლისი, პოლანდია, ჩეხეთი, სლოვაკია, უნგრეთი.

41. პროტესტანტიზმი უარყოფს ღმერთსა და კაცს შორის შუამავალს, ე. ი. უარყოფილია „მღვდლობის“ საიდუმლო. იგი აღიარებს, რომ კათოლიკური სამღვდლოება არის ცოდვიანი. უარყოფს მარხვებს, აუცილებლად არ მიიჩნევს ეკლესიაში სიარულს, უარს ამბობს წესების შესრულებაზე. ასევე უარყოფს საიდუმლოებს: ქორწინებას, მღვდლობას, ზეთისკურთხევას, სინანულს.

იგი ცნობს მხოლოდ ორ საიდუმლოებას: ნათლისღებასა და ზიარებას.

42. ლუთერანობა ერთ-ერთი სახეა პროტესტანტიზმისა.

43. ქ. ვიტენბერგში თეოლოგიის მქადაგებელმა ბერმა მარტინ ლუთერმა (1483-1546) კათოლიკურ ეკლესიას კარზე მიუჭედა 95 თეზისი, რომელიც მიმართული იყო ინდულგენციისა და სხვა ძალმომრეობითი კანონების საწინააღმდეგოდ.

44. ლუთერი ვერდნობოდა პაველ მოციქულის ეპისტოლეს რომაელების მიმართ: „ადამიანი მართლდება სარწმუნოებით, კანონის საქმიდან დამოუკიდებლად“.

45. ბიბლიის გერმანულად თარგმნისას ლუთერმა ამ ეპისტოლეში თვითნებურად ჩაამატა სიტყვა „მხოლოდ“. ასე რომ, პაველ მოციქულის თეზისმა მიიღო ასეთი სახე: „ადამიანი მართლდება მხოლოდ სარწმუნოებით“... იმპერატორმა აკრძალა ლუთერანული მიმდევრობა, მისი წიგნები კი დაწვა.

46. პირველი შპეიგერის რაინხსტაგზე (ლანდასტზე) 1526 წელს ჩამოყალიბდა დადგენილება: ყოველ თავადს ჰქონოდა უფლება მოსიხლება – გადაეწყვიტა რელიგიური თუ ტერიტორიული საკითხი. ეკლესიაც მას ექვემდებარებოდა.

47. მეორე შპეიგერის რაინხსტაგზე 1529 წელს შეცალეს დადგენილება პირველი ლანდასტისა. ხუთმა ლუთერანელმა თავადმა და ზოგიერთი საიმპერიო ქადაგების წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს მე-

ორე შპეიგერის დადგენილებაზე. წარმოიშვა ტერმინი „პროტესტანტები“;

48. იმპერატორმა 1530 წელს მოიწვია კათოლიკებისა და ლუთერანების აუგსბურგის რაინხსტაგი. პროტესტანტებს უნდა ჩამოეყალიბებინათ თავიანთი მსოფლმხედველობა. ამგვარად წარმოიშვა სიმბოლური წიგნი „ლუთერანობა“, ანუ „აუქსბურგის სარწმუნოება“. ლუთერს მონაწილეობა არ მიუღია კრების მუშაობაში, რადგანაც განკვეთილი იყო ეკლესიიდან.

49. დადგინდა, რომ თავისი ეკლესიის მმართველია თავადი და არა პაპი (მღვდელი). კათოლიკეებმა კი ეს უარყვეს. მელანქთონმა (იგი ცვლიდა ლუთერს) მათი კრიტიკის საპასუხოდ დაწერა „აპოლოგია აუქსბურგის სარწმუნოების შესახებ“, რომელიც არის ლუთერანიზმის მეორე სიმბოლური დოკუმენტი.

50. „ეისი ქვეყანაა მისი სარწმუნოება.“ თავადს შეეძლო აერჩია ან კათოლიკური, ან კიდევ პროტესტანტული მიმდინარეობა.

51. ლუთერის შემდგეი წიგნი იყო „დიდი და მცირე კატეხიზმო“, თავისივე შექმნილი „ფორმულა თანხმობისა“. ლუთერანელთა წიგნების კრებულს დაერქვა „წიგნი თანხმობისა“, ანუ „წიგნი კონკორდიისა“.

52. „ანაბაპტიზმი“ წარმოიშვა მე-16 საუკუნეში გერმანიის ქალაქ ცვიკაუში. იგი ნიშნავს „ხელმეორედ გადანათვლას“ და მისი საფუძვლის ჩამყრელია თომას მიუნცერი. იგი მომხრე იყო აჯანყებისა და ამგვარად ცდილობდა დაემყარებინა სოციალური თანასწორობა. გაილაშქრა სამღვდლოებსა და მთავრობის წინააღმდეგ. ბავშვების ნათლობას უარყოფდა და ამას მათი გონებრივი მოუძწიფებლობით ხსნიდა.

53. „ანგლიკანები“ უარყოფენ პაპის ძალაუფლებას. ინგლისის მთავრობას შეუძლია დანიშნოს ეპისკოპოსები ეაკანტურ კათედრებზე. უარყოფენ ხატებსა და წმიდანაწილებს. ანგლიკანობა წარმოიშვა მე-15 საუკუნეში.

54. „კალვინიზმი“, რომელსაც მე-16 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი, სრულიად უარყოფს ყველა ეკლესიურ საიდუმლოს: ხატს, ღვთისმშობელს, წმიდანებს, მარსხვებს. მათი ღვთისმსახურება წარმოჩინდება ბიბლიის კითხვით, ფსალმუნების სიმღერითა და ქადაგებებით.

55. სექტა „კვაკერები“ გაჩნდა მე-17 საუკუნის ინგლისში. ისინი უარყოფენ ყოველგვარ ღვთისმსახურებასა და საიდუმლოს, ეკლესიურ წესებს. მათი მთავარი მიმართულებაა სწავლა „შინაგანი სინათლისა“, რომელსაც ბიბლიაზე მაღლა აყენებენ.

56. „მეთოდისმი“ გაჩნდა მე-18 საუკუნის ინგლისში. იგი მიზნად ისახავდა ქრისტიანული წესების პრაქტიკულად განხორციელებას. მეთოდისტების სექტა გამომდინარეობს ანგლიკანური ეკლესიიდან. მეთოდისტები უარყოფენ ხატებს, წმიდანებს და სხვ.

57. „ქრისტიანული მეცნიერება“ წარმოიშვა ამერიკაში 1879 წელს. ეს სექტა თავის მრწამსს აფუძნებს მისი ლიდერის მერი ბეკერ ედის მეცნიერულ შრომაზე „მეცნიერება და ჯანმრთელობა“. ეს ნაშრომი ბიბლიასთან ერთად იკითხება ეკლესიაში მსახურების დროს.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ს უ თ ი

აკალმორფოვნეთა, ანუ სტაროკმრთა შესახებ

1. 1054 წელს, როცა მოხდა განხეთქილება ერთიან ქრისტიანულ მსოფლიო ეკლესიაში დოგმებისა და კანონების შეცვლის გამო, ჩამოყალიბდა ორი მიმართულება: მართლმადიდებლური ეკლესია, რომელმაც არ მიიღო შემოთავაზებული ერეტიზმი (ე.ი. შეცვლილი მრწამსი, კანონები და წესები)

2. და მეორე, დასავლეთის ეკლესია – კათოლიკური, რომელიც ამკვიდრებდა შეცვლილ დოგმებსა და კანონებს. იმის გამო, რომ აღმოსავლეთის პატრიარქები არ დაეთანხმნენ დასავლეთის ეკლესიას, დასავლეთის ეკლესიამ ისინი ანათემას გადასცა. აღმოსავლეთის ეკლესიამ, თავის მხრივ, ანათემას შეუყენა დასავლეთის ეკლესია პაპიანად, ქრისტიანულ რელიგიაში ერესის შემოტანის გამო.

3. შემდეგ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კათოლიკურ ეკლესიას გამოეყო ცალკეული რელიგიური სექტები.

4. ასევე დაიყო მართლმადიდებლური ეკლესიაც.

5. I რომის დაცემის შემდეგ, II სულიერ რომად იწოდა კონსტანტინოპოლი. იგი მტკიცედ დადგა ძველსარწმუნოებრივ პრინციპებზე და ამ პრინციპებით დაიწყო მასზე დაქვემდებარებული მართლმადიდებლური ეკლესიების მართვა-გამგეობა. იგი აფრთხილებს მისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ მართლმადიდებლურ რუსეთს – არავითარი კაეშირი არ იქონიოს ლათინურ ქვეყნებთან, რადგან ისინი უკვე გაემიჯნენ ქრისტიანულ ჭეშმარიტ სწავლებას, რის გამოც ერეტიკოსებად იწოდებიან. ✕

6. წლების განმავლობაში საბერძნეთი (კონსტანტინოპოლი) ხდება მსოფლიო მართლმადიდებლური საქრისტიანოს ტონის მიცემი.

7. თურქების მოძალების გამო იგი შველას სთხოვს დასავლეთს. დასავლეთი კი ულტიმატუმს უყენებს გასაჭირში მყოფ საბერძნეთს, რათა მიიღოს მისი საეკლესიო წესი და რიგი. უნიაზე საბერძნეთი იძულებულია დაეთანხმოს რომის პაპს მისი პირველადობის აღიარებით და მართლმადიდებელთა ლი-

ტურგიაში მისი სახელის მოხსენიებით. ამით იგი თავად ჩივარდა ერესნი. დასავლეთი ვერ შველის საბერძნეთს და თურქები იპყრობენ მას.

8. ასე დაეცა მერვე სულიერი რომი — კონსტანტინოპოლი და დაიწყო მზადება III რომის (ე.ი.რუსეთის) დაცემისათვის. რუსეთი ჯერ მტკიცედ დგას და კარს არ უღუბს ერესს.

9. ორი უნიის კათოლიკეებთან (ლიონის 1274 წ. და ფერარო-ფლორენციისა 1439 წ.) და ორასი წლის განმავლობაში თურქების ბატონობის ქვეშ მყოფ ბერძნულ საეკლესიო პრაქტიკაში მოხდა იმდენი ცვლილება, რომ რუსებმა უკვე ეპისკოპოს ქვეშ დააყენეს ბერძენთა მართლმადიდებლობა. 1480 წელს რუსებმა თავიანთ არქივურულ ფიცში აცხადებენ, რომ ბერძნები არ მიეღოთ არც მიტროპოლიაში და არც ეპისკოპიაში, როგორც ურჯულო მეფის გამგებლობის ქვეშ მყოფნი.

10. 1551 წლის სტოგაღავის კრების საფუძველზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ჭეშმარიტი რუსული მართლმადიდებლური კულტი, რის გამოც განჩნდა გაგება: ძველი მართლმადიდებლობა, ანუ ძველი წესები სტარობრიადცებისა და ახალი მართლმადიდებლობა, ანუ ნოვობრიადცები.

11. 1652 წელს, რუსეთის კეთილი და მართალი მწყემსმთავრის იოსებ პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ, სასულიერო ტახტზე ავიდა ნიკონი, რომელმაც ორად გაყო ერთიანი მართლმადიდებლური ეკლესია. კერძოდ, მან შექმნა მართლმადიდებლური სახელით შენიღბული ახალი რეფორმატორული სამლოცველო, რომელიც ძველმართლმადიდებლურ სწავლებას იმთავითვე 106 მუხლით დასცოდდა (იხ. „პომორული სიტყვისგებანი“).

12. გასაწირად გაიმეტეს ის ეკლესია, რომლის აღზრდილი წმიდანები (500-700

წლის გარდაცვლილნი) დღესაც გაუზრწნელად ასვენია მათს ერეტიკულ ტაძრებში (მაგალითად, პეჩორის ლავრაში).

13. მორწმუნე საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც ნიკონიანურ-რეფორმატული სწავლება არ მიიღო, გამთიშველბად იწოდა.

14. ასე და ამგვარად, 1652-1666 წლების საეკლესიო რეფორმის გამო ქრისტეანული რუსული მართლმადიდებლური ეკლესია საბოლოოდ ორად გაიყო. რეფორმატორულს სათავეში ჩაუდგნენ ნიკონ პატრიარქი და მეფე ალექსი მისნაილის ძე, ზოლო მოპირისპირეს — დეკანოზი ამბაკუმი (პეტროვი) და ეპისკოპოსი პაველ კოლომენსკი.

15. ნიკონის დროს ძველი მართლმადიდებლების მიმართ განხორციელებული რეპრესიები იძულებულს ხდიდა ჭეშმარიტ მორწმუნე საზოგადოებას სამშობლოს მიღმა უდაბურ ადგილებში ეძებნა თავშესაფარი.

16. ზოგმა ურალსა და ციმბირში გაიხიზნენ, ზოგმა შურისგების ფორმები ეძია, ზოგმა ანტიქრისტეს უამის დადგომა მოიმიზეზა და მღვდლობა უარყო, ზოგი სათათრეთში გაიქცა.

ამბობენ, რომ რეფორმისკენ მეფეს უბიძგა მართლმადიდებლური რუსული და უკრაინული ეკლესიების გაერთიანების სურვილი.

17. ასევე, მუსულმანური აღმოსავლეთისაგან მართლმადიდებელი ხალხების სარწმუნოების დაცვამ.

18. ამისთვის აღმოსავლური ეკლესიების მიმართ თითქოსდა საჭიროება ითხოვდა რუსული ეკლესიის ამგვარ დათმობაზე წასვლას.

19. XV-XVI სს. მანძილზე რუსული და აღმოსავლური ეკლესიების ცალ-ცალკე განვითარებამ გამოიწვია ზოგიერთი საწესჩვეულებო რიტუალის ცვლილება. იგი ეხებოდა საეკლესიო ღვთისმსახურებას, ელცვათა წარმოთქმის საკითხს, პირჯერის საწერი თითების წყობას, წყალში შთაფლვითა და თავზე წყლის პკურებით ნათლობას. სხვაობა შეიმჩნეოდა აგრეთვე საღვთისმსახურო ზოგიერთი წიგნის ტექსტებშიც.

20. მეფე ალექსი მიხაილის ძე რომანოვს მიადებინეს გადაწყვეტილება, რომ რუსული ეკლესიის წეს-ჩვეულებანი და ღვთისმსახურების წიგნები უნდა შეეკურობინათ თანამედროვე ბერძნულთან.

21. ნიკონი შუღლა მეფისა და მის გარშემო მყოფთა ნება-სურვილის განხორციელებას: 1653 წლის მარტში მან აშკარად დაიწყო რეფორმის გატარება.

22. რეფორმატორებს წინ აღუდგნენ „რეგენტულ ბლაგოჩესტიის“ წრის წევრები. მთავრობამ მათს წინააღმდეგობას სასამართლოებით, გადასახლებით, ციხეებითა და სასიკვდილო განაჩენით უკასუსა.

23. ვინ იყო ამბაკუმი? ამბაკუმი (პეტროვი) დაიბადა 1621 წელს სოფელ გრიგოროვოში, მღვდლის ოჯახში. 17 წლისა დაქორწინდა მჭედლის ქალაქში. 1642 წელს ხელდასახმული იქნა დიაკვნად, ხოლო ორი წლის შემდეგ – მღვდლად.

24. გმედლობის შესაძენად წელს იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა იქაურობა და წასულიყო მოსკოვში.

25. 1662 წელს დაიწყო ყაზანის ეკლესიაში მსახურება, თან „რეგენტულთა“ წრეში გაერთიანდა და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ეკლესიის სიწმინდის დაცვაში.

26. მან უარი განაცხადა ყაზანის ეკლესიაში შეცვლილი წესებით მსახურებაზე. იგი დააპატიმრეს და დაამწყვდიეს ანდროზესკის მონასტერში (მოსკოვი), სადაც ნიკონ პატრიარქის ბრძანებით ცემდნენ და ავიშლილებდნენ.

27. დაუმორჩილებელი ამბაკუმი მრავალჯერ გადაასახლეს ციხიბრში. იგი ცოტა ხანს ტობოლსკში მოღვაწეობდა დეკანოზად, შემდეგ ვოზნეშენსკის ეკლესიაში. ძველ წესებს იცავდა, რის გამოც დააბეზღეს.

28. 1655 წელს ამბაკუმი ლენაზე მოუწია გადასახლებამ. მეფე კი ზაბაიკალიეში, მონღოლეთის საზღვართან. დაეღუპა ორი შვილი. პატიმრობისას იგი ამხელდა ნიკონიანელების უსამართლობას. დადგა დრო და

პატრიარქი ნიკონი საკუთარი თავის განდიდებას და მეფეზე აღმატებულობის წადილის გამო გამორიგებულ და განკვეთილ იქნა ეკლესიიდან.

29. რის შემდეგ მეფე ალექსეი მიხაილის ძემ ამბაკუმი გამოიძახა გადასახლებიდან და მონიდრომა მისი გადმობირება. ამბაკუმი უფრო მტკიცედ დადგა თავის პოზიციაზე. იგი კვლავ ძველს ქადაგებდა და უარყოფდა ახალ საეკლესიო წესებს.

30. გადასახლეს ისევ შორეულ ციხიბრში – პუსტოზერსკში. მეფემ მორიგი შეწყალება გაიღო და იგი, 1666 წელს მოსკოვში დააბრუნეს.

31. საეკლესიო კრებამ, რომელსაც ადმონსაელეთის ეკლესიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, დიდი კამათის შემდეგ ამბაკუმი გაკრიჭა და ბოროტადღებული ჩაამწყვდია ნიკოლაის მონასტერში.

32. ამბაკუმი 1667 წლის 17 ივლისს გამოუტანეს განაჩენი, როგორც „განხეთქილების მასწავლებელს“, რის შემდეგაც გადასცეს სამოქალაქო სასამართლოს და კვლავ გადაასახლეს პუსტოზერსკში. მიესაჯა 15 წლით პატიმრობა. აქ მან ხელი მიჰყო მწერლობას და მალე მისი თხზულებები მოეფინა მოსკოვს. თავის ნაწარმოებებში იგი ამხელდა რეფორმატორთა უღმერთობას და კვლავ მოუწოდებდა ხალხს არ მიეღო ერეტიკული სწავლება.

33. აი, რას მოგვითხრობს ამბაკუმი რუსეთში ძველ საეკლესიო წეს-ჩვეულებათა კუროსნულადგმონაცემთათვის წამებულთა შესახებ:

34. დადგა რა პატრიარქად ბოროტი ბელადი, დაიწყო მართლმორწმუნეთა ძაგება, გაიცა ბრძანება სამი თითით პირჯურისწერისა, მძიმე მარხვის დროს წულამდე მოხრით თავყანისცემისა.

35. ჩვენ, მამებთან და ძმებთან ერთად გადაწყვიტეთ არ გაეჩუმიდეთ და გამხილოთ ერეტიკოსი, ანტიქრისტეს წინამორბედი. მან კი გვაწაშა და ყველანი გადაგვასახლა, ვიქ-

ენით გაფანტული და მწუხარენი, როგორც ატეფანე მოციქულის დროს.

36. ამგვარად, მამა და ძმები ჩემი, ეპისკოპოსოსი პავლე კოლომენსკი, წამებით დაწვეს ცეცხლში ნოვგოროდის მახლობლად, დეკაპოზი დანიელ კოსტრომელი კი ბეკრი წამების შემდეგ ასტრახანის მიწურ საპყრობილეში გაყინეს.

37. დეკანოზი ლოვინი გაკრიჭეს, აწამეს და მუროში გაამწყვდეს, სადაც ბოლო მოუღეს. ნიკონმა ბრძანა ნიჟნი თაეი მოეკვეთათ მღვდელ გაბრიელისთვის.

38. მღვდელი მიხაილი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მიხაილი ტყერის იქით ღვთისმშობლის მონასტერში მსახურობდა. ნიკონმა იგი ციხეში დაამწყვდევინა და იქვე მოსპო. ორი ვოლოგდელი მღვდელი დღემდე უგზოუკვლოდაა დაკარგული.

39. ჩემთან ერთად სამოცი კაცი ესენოშნოვამი წაიყვანა. წამებით, ცემითა და წყევლით ციხეში დაანწყვდია. იქიდან ცოტანი დაბრუნდნენ ცოცხალნი, მე კი დაურსკის მიწაზე გამამწყვსა. მოსკოვიდან ოცი ათასი ვერსი იქნება ციხიბრის იქით. 12 წელი მოევუნდით წასვლა-წამოსვლას და მოსკოვში ცოცხალ-მკვდრები დაბრუნდით.

40. ჯოხებს გვირტყამდნენ ფერდებში და მათრახებს – ზურგზე 72-ჯერ. სხვა წვალებზე ლაპარაკი არ ღირს.

41. რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ ისევე ჩავეარდი უბედურებაში. ხედავთ? ხედავთ? ეს მე ვარ შიშველი დეკანოზი ამბაკუში, მიწაზე მჯდარი. ჩემი ცოლი ანასტასიაც და შვილებიც მიწაზე ყრიან.

42. ხოლოციკის უდაბნოს უხუცესი ეპიფანეც მიწაზე ზის შიშველი, ნიკონიანელებმა მას ორგზის მოატყვეს ენა და მკლავიც მოკვეთეს, მაგრამ ღმერთმა შესამედაც მისცა ენა.

43. ასევე, მღვდელი ლაზარე შიშველი ზის მიწაზე – ნაწამებია. დიაკონი თედორე კაპრიანეც შიშველი ჩვენთან ერთად ეწამება. ხოლოციკის მონასტერი შვიდი წელიწადია

ალყაშემორტყმულია ნიკონიანელების მიერ. მიზეზში ჩემი სახლიდან ორი კაცი ჩამოახრჩეს ნიკონიანელმა ერეტიკოსებმა.

44. მოსკოვში ჩემი სულიერი შვილი უხუცესი აბრაამი და ესაია სალტიკოვი კონცონზე დაწვეს, უხუცესი იოანე კახანეცი კოლსკში ხუთად გაჩეხეს.

45. გოროვსკში მღვდელი პოლიექტი და მასთან ერთად თოთხმეტი კაცი დაწვეს, კიევში კი სტრელეცი ივლიანე ცეცხლში მოისროლეს, ხოლო ვოლგისპირეთში ათასობით მცხოვრები დახოცეს, რადგან არ სურდათ მიეღოთ ანტიქრისტეს ბეჭედი, შეცვლილი სარწმუნოება.

46. ზოგერთი მართლმორწმუნე მიხვდა, თუ რას ნიშნავდა დადგენილი კანონებიდან გადახვევა და თავიანთ ოჯახებთანად ცეცხლს მიეცნენ. თავადის ქალი ფეოდოსია პროკოფის ასული მოროზოვა და მისი და – ევდოკია პროკოფის ასული, კნეინა ურუსოვასა და აზნაურ დანიელოვის ცოლი მარია გერასიმეს ასული სხვებთან ერთად უწამებიათ ბოროტეში.

47. ღმერთთან იყავით ახლოს, ღმერთთან და ქრისტეს სამნაწილიან (ე. ი. რვადაბოლოებიან) ჯვართან. ამ ჯვარს ეცით თაყვანი – ფიჭვის, კვიპაროსისა და კედრისაგან შემდგარს, წინასწარმეტყველ ესაიას მიერ ეკლესიისადმი გამოცხადებულს: „მოვა შენთან დიდება ფიჭვისა, კვიპაროსისა და კედრისაგან, აღიდეთ წმიდა ადგილი ჩემი და ადგილს ჩემის ფეხისას განვადიდებ“ (ეს., 63, 13).

48. ხოლო ქრისტეს ჯვარს სამნაწილიანს (ე.ი. რვადაბოლოებიანს) ცრუ ბრძანებებით უარყოფენ და ოთხდაბოლოებიან (ე.ი. ორნაწილიან) რომაულ ჯვარს ეთაყვანებიან.

49. „ნუ გადახვალ საზღვარს, რომელიც დასდევს წმიდა მამებმა“ (ბასილ დიდი). ისმინეთ და ვეტყვით: და იქნება ქრისტეს ჯვარი სამნაწილიანი საკურთხეველზე და შესაწირზე. იგივე იქნება ხეფისკვერზე და ეკლესიის თავზე და ხატებზე და ყველგან თვალსაჩინო ადგილას, სადაც კი თაყვანი ეცემის.

50. ვკლესიაში ორნაწილიანი (ე.ი. ოთხ-დაბოლოებიანი) ჯვარც გვაქვს, წმიდა მამების მიერ ბოძებული, მაგრამ არა სახიერებით. ხოლო, ვინც ასეთ ჯვარს გამოსახავს სუფისკვერზე ან მასზე გამოჩატვს ჯვარცმულ ქრისტეს და მას დასდებს სუფისკვერზე სამნაწილიანი, ე.ი. რვადაბოლოებიანი ჯვრის ნაკვალად, ასეთი რამ არის სისამაგლე, ერესი. იგი საჭიროებს განრიდებას.

51. პილატემ ბრძანა, რომ ჯვარცმული ქრისტეს ჯვარზე გაეკრათ წარწერიანი დაფა, რის გამოც ეპიფანე კეპაროსელი კეთილს გვაუწყებს: „წარწერიანი ფიცარი მიაჭედეს ჯვარზე და ზემოთ თავი დაუტოვეს ჯვარს, რომელიც წარმოადგენს წარწერიანი ფიცრის ზემოთ დარჩენილი ჯვრის ზედა ნაწილს“. უზედანწილო ჯვარი არ იგულებათ ქრისტეს ჯვარად.

52. მიტროპოლიტი დანიელი გვასწავლიდა: „ხელით კურთხევის დროს და პირჯვრის წერისას სამი თითი ერთად შეკარით – ცერი და ორი ბოლო თითი (ე.ი. არათითი და ნიკე) სამების განსახიერებისათვის, ხოლო დანარჩენი ორი თითი (ე.ი. საჩვენებელი და შუათითი) უნდა გქონდეთ მოხრილი და არა გამართული. ეს ორი თითი მიგვანიშნებს ქრისტეს ორ ბუნებაზე – ღვთაებრივსა და ადამიანურზე.

53. ღირსი მამაქიმე ბერძენი გვასწავლის: „სამი თითის (ცერისა და ორი ბოლო თითის) შერთებით ვაღიარებთ ღვთაებრივ იპოსტატს – მამას, ძესა და სულიწმიდას ერთ ღმერთად, ხოლო ორი გაშვერილი თითით აღნიშნავთ ქრისტეს ორ ბუნებას“.

54. „სტოვლავის კრებამ“ (1551 წ.) გამოიტანა ასეთი დადგენილება: „ვინც არ იწერს პირჯვარს ორი თითით („სტოვლავის“ 31-ე მუხლი), ვითარცა ქრისტე, დე იყოს წყვეული“. ამ საეკლესიო კრებას ორი თითით პირჯვრის წერის დადგენის თაობაზე ჰქონდა უცილობელი ძალმოხილება, როგორც ეს ჩანს მიტროპოლიტ მაკარი-

ხეულ სასჯელთა სიდიდან, სადაც ის ითხოვს ორი თითით პირჯვრის წერას.

55. მოსკოვის პირველი პატრიარქი იობი წერს ბარათს ქართველ მიტროპოლიტ ნიკოლოზს, რომლითაც მოუწოდებს ანსველოს ქართველებს, რომ მათ ეყარათ ჭეშმარიტი ქრისტეანული რწმენა ყოველგვარი გადაკეთების გარეშე, რაც დაშვებულია მათდამი. იობი ქართველ მიტროპოლიტს ასწავნებს: მლოცველი, პირჯვრის გადამსახველი პირჯვარს უნდა იწერდეს ორი თითით. დაიდეთ ორი თითი შუბლზე, შემდეგ – ჭიპზე, შემდეგ – მარჯვენა მხარზე და ბოლოს – მარცხენა მხარზე. მოხრილი ერთი თითი ნიშნავს ქრისტეს ჩამოსვლას ციდან, ხოლო მეორე, ზედა მართული – ჭეშმარიტ აღდგომას. ერთად დაჭვრილი სამი თითი კი მიგვანიშნებს სამების განუყოფლობაზე, ე.ი. ჭეშმარიტ პირჯვრის წერაზე.

56. 1637 წელს მეფის ელჩის თანხლებით პატრიარქი იოასაფი გაგზავნილი იყო საქართველოში და საელჩოდან თან ახლდა სასულიერო პირი.

57. მათთან ერთად იყო არსენ სუხანოვიც. ისინი იგზავნებოდნენ საქართველოს ვკლე-სიაში მართლმადიდებლობაში ცდომილებათა გასასწორებლად და ქრისტეანული რწმენის განსამტკიცებლად.

წარგზავნილები შეაგონებდნენ ქართველ ეპისკოპოსებს: „თქვენმა არქიეპისკოპოსებმა და მღვდლებმა პირჯვრის წერა არ იციან წმიდა მოციქულთა და წმიდა მამების მიერ გადმონაცემთა მიხედვით. ასევე, კურთხევა-საც ეერ გასცემენ წესისამებრ („პომორული სიტყვისგვანნი“, V პასუხის 70-ე პარაგრაფი, გვ. 47).

58. დიაკონი თედორე მიგვითითებს: ბერძნები „აღლელუიას“ ამბობენ ორჯერ, მესამე აღლელუია ითქმის საკუთარ ენაზე „დიდება შენდა ღმერთოს“ დამატებით. მათაც ისეთივე თითების წყობა ჰქონდათ, როგორც ჩვენ, მაგრამ მოგვიანებით შეცვალეს.

59. დააკვირდით უძველეს ხატებს: ქრისტე და წმიდანები ორ თითს აღმართავენ, რითაც ორი თითით პირჯვრის წერას მიგვანიშნებენ.

60. ქრისტეს პატარძალი ველესია გაძარცვეს რომაელმა ქურდებმა – ცოდვის შეილებმა. გაძარცვეს, შეურაცხვეს, იცოფებინა, თამაშობენ ველესიაში. ვინც რა იგლო ხელთ, ის წარიტყა.

61. ხოლო ზოგერთმა საცელსიო ქურდმა სეფისკვერიდან ქრისტეს ჯვარი აწაპნა და რომაული ოთხდაბოლოებიანი ჯვარი დადო, ხოლო ნათლისმცემლის სეფისკვერს, თითქოს ტარაკანის მიერ ყოფილიყოს დაღრღნილი, ცხრა სერელი გაუკეთა და ამბობს: ციური ცხრა ჩინის გამო სწორედ ამგვარად არისო საჭირო.

62. სადა აქვთ გონება. ციურნი ხომ უნაყოფონი არიან, ხოლო შესაწირი მიიღება ქვეყანაზე ხორციელად მყოფთა მოსაგონრად: პირველი ქრისტესი, მეორე სეფისკვერი არის ღვთისმშობლისა, მესამე – ყველა წმიდანთა, მეოთხე -- პატრიარქისა,

63. ასევე, მეხუთე სეფისკვერს და მისგანვე აღებულ ნაწილს მივიღებთ მართლმადიდებლობისათვის ანთებული კეთილი მეფისა და თავადთათვის.

64. ასევე, მეექვსე სეფისკვერსა და მისგანვე აღებულ ნაწილს მივიღებთ ქრისტესთან ერთად ღვთისადმი დედამიწაზე ყველა მცხოვრებთათვის. იმ ნაწილისათვის ღმერთი მისცემს მთელ ქვეყანას ხანგრძლივ დღეს, ჯანმრთელობასა და გადარჩენას.

65. ასევე, მეშვიდე სეფისკვერსა და მისგანვე აღებულ ნაწილს მივიღებთ მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის განსვენებულთა მიმართ. ამგვარად, იმ ნაწილთა გამო მოიხსენიებს უფალი თავის სასუფეველში ჩვენთა მამათა და ძმათ.

66. უწმინდურად ჩაითვლება, რომ ერთი პური ბევრჯერ ვაკურთხოთ და ერთი და იგივე ძღვენი ღმერთს ორჯერ და სამჯერ მივართვათ, როგორც ამას ნიკონიანელები აკეთებენ.

67. ასევე მოიპოქმედეს თქვენს უწინარეს რომაელებმა. ერეტიკოსმა პაპმა შვიდი სეფისკვერიდან ორი გადაადგო, თითქოსდა ადამიანის ხუთი გრძნობის შესაბამისად.

68. ხოლო მომდევნო პაპმა ხუთს კიდევ ორი სეფისკვერი მოაკლო, თითქოსდა სამების სახიერების შესაბამისად.

69. მას მერე კი მესამე პაპმა კიდევ ორი სეფისკვერი მოცილა ერთი ღმერთისადმი მსახურებისათვის.

70. ხოლო შემდეგმა პაპმა თქვა: რა საჭიროა ეს მძაღვ სეფისკვერი მსახურებისას, განა უმჯობესი არაა, მოსეს კანონის ძველი აღთქმის მიხედვით, მაცით ვახიაროთო.

71. უწმინდურება ბადებს მესავს, რომელიც, აპოკალიფსისის მიხედვით, მთვრალია წმიდანთა სისხლით და წითელ ცხოველზე ამხედრებულა. განრისხებულა. ხელში უჭირავს სისაძაღვითა და გარყვნილებით სავსე ოქროს თასი. დააკვირდით, მსურველებს სამი თითით მიართმევს დასათრობ სასმელს და გამოათავყვანებს იმათ, რომლებიც მისი ხელიდან მირთმეულს ეწაფებიან.

72. ღმერთმანი, მოწმეს დაეყენებთ, სამი თითით პირჯვრის გადამსახველნი ყველანი გონებაწართმეულები იქნებიან, რამეთუ ხუთივე თითითაც დაიწყებენ პირჯვრის წერას. გულწრფელი მონანიების გარეშე მათ არ შეეძლება დაუბრუნდნენ პირველ ღირსებას (ე.ი. ორი თითით პირჯვრის წერას და სხვა ამგვარს).

73. დააკვირდით წმიდა ხატებს, მათ მოხაზულობას, თუ როგორ ხატავენ მაცხოვარს: მისი სახე, ხელები, ფეხები და სხეულის ყველა ნაწილი სუსტია, რადგან დაუძღურებულა მარხვების შრომისა და წვალებებისაგან.

74. თქვენ კი შეცვალებთ. ხატავთ ისეთსავეს, როგორც თქვენა ხართ: ღიპიანს, მსუქანსა ხიანს, ხელები და ფეხები ბოძებივითა აქვს. გახსოვთ თუ არა სომნიცაზე ის ბოროტი (ნიკონი) მსოფლიოს პატრიარქებთან ერთად...

75. მეუბნებოდნენ ილარიონი და პავლე: „ამბაკუმ ძვირფასო, ნუ ჯიუტობ. შენ რა, რუს წმიდანებზე მიუთითებ, სულელები იყვნენ ის ჩვენი წმიდანები და გაუნათლებლები, რა უნდა ვირწმუნოთ მათი?

76. განსოეთ ალბათ და კარგად ვიცი, რომ არ დაგავიწყდებათ, მე როცა დაცვა დაეწყო, თქვენ ცუბა დამიწყეთ.

77. ჭკვიანები დაბრძენებულები ხართ ეშმაკებთან თანადგომით, არაფერი გაქვთ სამსჯელო, და ვერაფერი კარგი ისმინეთ თქვენგან ადამიანებმა.

78. მუდამ ერთსა და იგივეზე ლაპარაკობთ — როგორ გაყიდოთ, როგორ იყიდოთ, როგორ ჭამოთ, როგორ დალიოთ, როგორ იმრუთოთ.

79. ზოგი საყვედურს მეუბნება, რას აკეთებთ! ვიცი ყველა თქვენი სიტყვიერე, ძალღებო, მემრუშენო, მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ნიკონიანელებო, ქურდებო, წმიდანების სახიერებანი შეცვალეთ და ასევე ყველა საეკლესიო წესი და მოქმედება.

80. შენ გეუბნები: გათავისუფლდი, ადამიანო, წმიდასა და უწმიდურს ერთმანეთში ნუ ურევ, განყოფად პირებზე განყოფადიაო ამბობ. საკუთარი თვალისწინის მოპარვით გააშავე სული შენი; ჭეშმარიტ წერილში გათვითცნობიერებული ამბობ — სახიერება ჭეშმარიტი სამებისა ერთადაა შეკავშირებული; და ამ აღსარებას იტყვი შენი შენიშვნების რვეულის ჩანაწერებიდან გამომდინარე; ფიცითა და მთელი ხმით აღასტურებ, რომ თითქოსდა ძე მამაშენია, ასევე სულიწმიდაც მამაშენია და რომ მათ აქვთ ერთი სახიერება, განყოფილი პირებია და მაგალითისათვის მოგყავს სული ადამიანისა.

81. გვიმტკიცებ დაბნეულობას: თითქოსდა სული სამნაწილოვანია — გონება, სიტყვა და სამშვიინველი. აქვთ ერთი სახიერება. ასევე ძე და სულიწმიდა მამაშია შეერთებული და შეკავშირებული, და

არს შედუღებული და განყოფილი.

82. (ამას ყოველივეს კარგად განმარტავს მრწამსი ქრისტეანული).

83. ეკლესიაში სისუსტე ისადგურებს. ქალები და ქალიშვილები საკურთხეველში შედიან და მათ ამაღლებულ ადგილზე დასკამთ ხოლმე.

84. დაეით წინასწარმეტყველი ამბობს: დღეში შეიღჯერ ადიდე ღმერთი და აღავლინე ლოცვა მწუხრისა, საღამოსი, წესი, საშუაღამისო, სადილაო, ჟამი, ღიბურგია. დაეით თვითონ ამბობს: შუაღამისას უნდა ადგე და აღსარება თქვა შენი ცხოვრების გამო და ცრემლებით მოინანიო ცოდვებით.

85. მამა სტეფანე, რომელიც ერეტიკოსებიდან მოვიდა, მათებურად იყო მონათლული. შენც გამოიდი: თუ ეკნება გამიჯენა სატანისგან და სამჯერ წყალში შთაფლვა, მონათლულია. დაუმთავრებელი ლოცვები კი დაუსრულე და თუკი არ ეკნება სატანისაგან გამიჯენა, მაშინ თავიდან მონათლე მთელი წესით. რაც შეეხება ისიდორეს, ერეტიკოსების მიერ მონათლულთ რომ არ აზიარებს, სწორად იქცევა.

86. თაყვანისცემისთვის როცა მუხლს მოიყრი, თავი წინ დაიჭირე, ხოლო დიდმარხვის დროს თავი მიწამდე უნდა დახარო.

87. ასევე წმიდა პასექზე და პასექის შემდეგ ამაღლებამდე, შობასა და ნათლისცემასზე, ყველა შაბათსა და კვირას და დღესასწაულებზე აღასრულე წელამდე თაყვანი.

88. ამბაკუმი ბარათს ხწერს მეფეს: არა განმირისხდე, მეფე-ნათელი, მრავლად მიტყვევებისათვის. სული რომ გამძვრება, მერე ვილაპარაკო? და ეს დროც მოსულა, როგორც ვხედავ. არა საამულეო პატრიარქის შესახებ მოგახსენებ, არამედ იულიანზე და ეგვიპტელ ოიოფილეზე, ალექსანდრიის პატრიარქზე და სხვა ერეტიკოსებსა და მკვლელებზე, ქრისტეანების დამლუპველებზე.

89. ასეთად მიმარჩნია ნიკონ პატრიარქი: ისიც თოფილეტავით ყველას აშინებს. ბევრს ეშინია მისი, მაგრამ მე, ღმერთზე დაიძვებულს, მისი არ მეშინია.

90. და თუკი თქვენ მოუშვებთ ნიკონს ჩემამდე, რათა მიმუხთლოს, მზად ვარ ჩემი სულიც დავდო. ვიდრე მოკვებდებოდეთ, ხომ უნდა ვიზრუნოთ სამარადჟამო ცხოვრებისათვის. სიკვდილი არს შეება მამაკაცისა. ჩემს სულს არ სწადს მისი ახალი უკანონო კანონების მიღება. ღვთისმთავრი ხილვით მხილებულ იქნა ნიკონი, რომ ის სისამაძაგლეს წარმოადგენს ღვთის წინაშე.

91. გატყუებს შენ, მეფე-ნათელი, როგორც არიოზი ატყუებდა კონსტანტინე მეფეს. ნიკონმა დაღუპა შენი რუსეთის ხალხი მთლიანად სულითა და ხორციით. საშინელ სამსჯავროზე ნიკონის ეს ახალი კანონები გაუტოლდება არიოზის ერეტიკულ კანონებს.

92. ნიკონი ამბობს ქრისტეზე — იგი ხორციელად არის მოსული ქვეყანაზე. არც მეფედ მიიჩნევს მას და ასევე მის აღდგომასაც არა ცნობს. იუდეველთა მსგავსად ამბობს, რომ ჭეშმარიტი არ არის სულიწმიდა და პირჯერის წერისათვის თითების წყობას ცელის, ნამდვილ მეტანიას უარყოფს თაყვანისათვის. მან მრავალი ერესით წაბილწა შენი ღმერთის ხალხი. „უწმინდურ სულზე ელოცულობო“ — ამბობს. ო, სული ჩემო!

93. ბევრ ლაპარაკს ვერ ვებედავ, რომ შენი ნათელი არ დაეამწუსრო...

94. ხელმწიფეო, ნიკონმა ჭეშმარიტად ყველაფერში იცრუა, როგორც ძველმა ფარაონმა. შეგვიწყალე, ხელმწიფეო, აღმოფხარი ბოროტება მისი და დამლუპველი სწავლება, ვიდრე საბოლოოდ არ გვეწევა ღვთის რისხვა და ცეცხლი ციდან, ან ძველი ავაღმყოფობა და სხვა უბედურება არ დაგვეცემა თავს.

95. ამ ბოროტებას რომ აღმოვფხვრით, ჩვენ ყველანი სიკეთეს ვეზიარებით. შენი სამეფო მშვიდი და მორჩილი იქნება, როგორც ნიკონის პატრიარქობამდე იყო, და აგარიანელების (თათრების) ხმაღსაც ღმერთი შეა-

ჩერებს და ღირსს გაგვხდის სამარადჟამო სიკეთისა.

96. რა არის ჩვენი ერესი... ცრუობენ ჩვენს წინაშე ნიკონიანელები, როცა ამბობენ, რომ ჩვენ ვართ გამთიშველები და ერეტიკოსები, ეშმაკისეული და სხვა. ზოგჯერ გვეუბნებიან — ანტიქრისტეს წინამორბედები ხართო.

97. შეგვიწყალენ ჩვენ, ღვთის შვილო, ამგვარი უწმინდურებისაგან. ღმერთთა მოწმე და უწმიდესი ღვთისმშობელი და ყველა წმიდანი!

98. თუ ჩვენ ვართ გამთიშველები და ერეტიკოსები, მაშინ ყველა წმიდანი მამანი ჩვენნი და ყოფილი მეფენი კეთილმსახურნი და უწმინდესი საპატრიარქოც ასეთივენი ყოფილან...

ვინ გაბედავდა ამგვარ შეურაცხყოფას წმიდანებისას?

99. ამბაკუმე ბარათს სწერს ილარიონს: ხოლო შენ, ილარიონ, რიაზანის არქიეპისკოპოსო, ძვირფასო ადამიანო, იყავი მკადაგებელი და ეშმაკებს ლოცვით განდევნიდი. ხომ გახსოვს, გულზეხი რომ ქვებს გვესროდნენ ლისკოვზე, როგორ მოვედი შენთან.

100. ახლა კი დაუმეგობრდი ეშმაკებს და მათთან ერთად მშვიდობიანად ცხოვრობ, კარგით დაჰყავხართ ტაძარში და ხელმწიფესთან ხელკავით შეგიძლებიან ხოლმე. როგორ არ შეგიფხარონ, როცა ამღვნი ქრისტეანი დაწვი და დაღუპე მრისხანე მეფესთან დასმენით.

101. შენი ცრუ, დამლუპველი სწავლებით ბევრი უცოდველი ჯოჯოხეთში შთაფალი. არავენაა მთავრობაში შენნაირი. ცბიერი იგაგებით მეფეს ემლიქვნელები და ღვთის ხალხს ღუპავ. საშინელ სამსჯავროზე დე, უფალმა მოკავოს შენი ნაქნარი საქმეების მიხედვითო.

102. ამბაკუმე ბარათს სწერს მეფის ქალღმთვალს — ირინა რომანოვას:

ქრისტეს ღედოფალო, განა უმჯობესი არ არის კვლავ შეეთვისო ქრისტეს და მოიძიო

ძველი რწმენა, რომელიც შენს პაპას და მამას ეპყრა და ის ახალი სისხდაგულე კი სი-
დამძლეში შთაფლა?

103. ნებას მიუშვი ნიკონის წესები და მეორედ მოსვლამდე იბოგინებს.

ასე ბრძანებს სულიწმიდა: დავისუკებით ჩვენ და ასევე ბერძნებით, ხოლო შემდეგ ანტიქრისტეს ეძლევა უფლება მოსკლისა. ამავე უნდას მოუწვეთ ქადაგება ელიას, ენუქსა და იოანე ღვთისმეტყველს. შემდეგ კი შევიმო-
სებით უკვდავი სხეულებით. მერმედ მობ-
რძანდება სასიძო — ქრისტე. მაშინ წიგნები გაგვასამართლებენ ჩვენ.

104. თქვენ იქნებით მოწმენი ჩვენი დაღ-
ერილი სისხლისა. ყველაზე დიდი დანაშ-
აული ის გვაქვს, რომ ასე მტკიცედ, განუხ-
რელად ვგვაგართ ჩვენი მამების ნაან-
დერძევეზე.

105. ამბაკუმის შემართებას იმით უპასუ-
ნებს, რომ იგი 1682 წლის 14 აპრილს თავის
მგობარ ეპიფანესთან, ლაზარესთან და დი-
აკონ თედორესთან ერთად ცეცხლზე დაწ-
ვეს.

106. ახდა ღვთის სიტყვა, რომ არაფერია
დაუფარავი, რომელიც არ გამხილდება.
აღმოსავლეთის ეკლესიის მიმართ კათოლი-
ციზმის ინტრიგების შესახებ ისტორიული
ფაქტი შემდეგს იუწყება:

არსებობს მიტოროპოლიტ მაკარის
(ბულგაკოვი) მიერ გამოქვეყნებული მეტად
საყურადღებო დოკუმენტი „ისტორია
რუსული ეკლესიისა“ — იმ ძველდროინდელი
შავინელი უნამისა. ვკითხულობთ
„იეზუიტების ინსტრუქციიდან... როგორ
წარიმართოს უნია (ანუ შერწყმა-შერთება)
რუსეთში“:

107. დ) ... რომ თვით მეფეს უნის (კაე-
შირის) შეახებ დროდადრო და ფრთხილად
უნდა ელაპარაკოთ (იგულისხმება დაპირის-
პირებულ ეკლესიათა გაერთიანება. — ი. ი.
ი.), რათა არა მათგან (ე. ი. იეზუიტთაგან. —
ი. ი. ი.) იქნეს დაწვებული საქმის ვითარება,
არამედ თვით რუსებმა უნდა შემოკვთავზონ
მოსაზრებანი რწმენის უოკიერთ არაპირი-
თად საკითხზე, რომელიც ითხოვს

გარდაქმნა-გადახალისებას და ამგვარად
გაიდება ხიდი გაერთიანებისაკენ —
უნიისაკენ.

108. ე) გამოიცეს კანონი, რომ რუსულ
ეკლესიაში ყველაფერი შეეჯერდეს ბერძნული
ეკლესიის ხაღღესო კანონებთან და
გადაეცეს ბრძანების აღსრულება სანდო პი-
რებს — უნიის თავაყცებს. ამის შემდეგ ატ-
ვდება კამათი, ხმა მიაღწევს მეფემდე, იგი
დანიშნავს საეკლესიო კრებას, იქ კი უკვე
შეგვიძლება შეუვადგეთ უნიის განხორციე-
ლება.

109. ზ) შავ სამღვდლოებას მივანძინოთ
შეღაკათებზე, თუთრ სამღვდლოებას — ხა-
ჩუქებზე, ხალხს — თავისუფლებასზე, ყველას
— ბერძნების მონობაზე.

110. ი) შეიქმნას სემინარია, რომლისთე-
საც საჭირო იქნება განსწავლულ ადამიანთა,
გნებათ, საერთოა მოწვევა საზღვარგა-
რეთიდან.

111. აი, ის სასიკვდილო მარყუევი „მესამე
რომიისთვის“ მართლმადიდებლობის წასარ-
თმეკად და მსოფლიო ერების ლოკაციაში
მოსაქცეკად. ეს იყო მასონთა უძლიერესი
დარტყმა რუსეთის ეკლესიაზე. პროგრამის
განხორციელების შემთხვევაში დაჩქარდ-
ბოდა ტახტის დადგმა ანტიქრისტესათვის.
მაგრამ დემოტმა, მოუხედავად იმ საშინელი
რეპრესიებისა, კაცობრიობის საკეთილდღე-
ოდ სლავ ჭეშმარიტ მორწმუნეებს მაინც
შეუნარჩუნა მართლმადიდებლობა.

112. რუსეთი გვიან მიხედუდა მასონები-
საგან თავსდატყნო უხევერებას, მაგრამ
საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში
მაინც განაცხადებს სათქმელს:

„1971 წელს რუსეთის საპატრიარქო ეკ-
ლესიამ თავის ადგილობრივ კრებაზე საზ-
ღვარგარეთის ეკლესიების წარმოშადგენ-
ლებთან ერთად აღიარა ნიკონ პატრიარქისა
და მიხი მგობარი მეფე ალექსეი მიხაილის
ძის შეცდომა, რომელმაც ტრაგიკულ მდგო-
მარობამდე — განხეთქილებამდე მიიყვანა
რუსული ერთიანი ეკლესია, რამეთუ არ გაან-
ნდათ არც კანონიკური და არც ისტორიული
საფუძვლები“.

113. საოქმედი ითქვა, მაგრამ მილიონობით განწირულ სლავ მოარწმუნეთა სისხლი დღემდე სამართალს ითხოვს ლეთისაგან. რისხვამაც არ დააყოვნა უპირველესად მეფეთა

დინასტიის, შექმდომ კი უღმერთო და დაბნელებულ ხალხთა მიმართ აპოკალიფსი-სის ორი ბეჭდის — მესუთისა და მეექვსის მოხსნით დატრიალებული ტრაგედიით.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე მ ა მ ს ე

შემდეგი უბედურება

1. „სტაროვერები“, ანუ ძველმორწმუნეები საერთოდ ორ ნაწილად იყოფიან: „პოპოვ-ცებად“, ე.ი. მღვდლის ამღიარებლებად და „ბეზპოპოვცებად“ — მღვდელთა უარყოფელებად. მღვდლის ამღიარებლებიც ორ ნაწილად იყოფიან: „ბეგლოპოპოვცებად“, ე.ი. რომლებიც ნიკონიანური ეკლესიიდან გამოსულ სამღვდლოებას წარმოადგენენ, და „ბელოკრინიცელებად“, ან „ავსტრიულ ეკლესიად“, რომელიც ბელოკრინიცის ტერიტორიაზე დააფუძნა სამჩინიანი იერარქიით საბერძნეთიდან მოწვეულმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ.

2. 1853 წელს იქმნება მოსკოვის ძველ-მორწმუნეობრივი საარქიეპისკოპოსო, რომელიც გადაიქცა მეორე ცენტრად ბელოკრინიცელების იერარქიისა (ბელოკრინიცა აღრინდელი ავსტრიის ტერიტორიაზე იყო. ამჟამად უკრაინის ჩერნოვცის ოლქში).

3. ბეგლოპოპოვცებს იერარქია აღუდგინა როსტოვის კპიკოპოსმა ნიკოლამ. ასევე არსებობენ ბეზპოპოვცები, ანუ სამღვდლოების უარყოფელნი, რომლებიც იწოდებიან „პომორსკოუ სოვლასიად“. მე-18 საუკუნიდან „ბეზპოპოვც-პომორსკელებს“ მიმართულებას გამოეყენენ „ფილიპოვცები“, რომლებიც ქადაგებდნენ თვითლიკვიდირებას — თვითდაწვას. ხოლო „ნეტოვშინები“ უარყოფენ ყველა საეკლესიო საიდუმლოს და თავიანთ მიმდევრებს მოუწოდებენ თვითდაწვას.

4. ურჯულუობის მესაიდუმლეებს — მასონებს სურდათ თვით სტაროვერების კონფესიის დაქუცმაცება.

5. 1692-1694 წლებში ნოვგოროდში შედგა ძველმორწმუნეთა კრება, სადაც მიწვეული არ იყო სამღვდლოების არც ერთი წარმომადგენელი, რაც იმთავითვე მიანიშნებდა უმღვდლო ძველმორწმუნეთა ორგანიზაციის შექმნას. ამ საკრებულოს სრულიად სამართლიანად ეწოდა ბეზპოპოვცების საკრებულო.

6. ასე და ამგვარად, ბეზპოპოვცების ქრისტიანული ცხოვრების კრედო შემდგენიარად ჩამოყალიბდა: მღვდლობა არ არსებობს, რადგან მოვიდა ანტიქრისტი; ელია წინასწარმეტყველი ხელმეორედაც იყო; ზიარება შეიძლება შეიცვალოს აიაზმით; ანტიქრისტი მისუღია სულეიერ პლანში მისივე ჟამის სუფევით.

7. 1551 წელს რუსეთში შედგა „სტოგლავის“ კრება, სადაც მკაცრად იქნა დაყენებული რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის განსტყეობის საკითხი.

8. ძველმართლმადიდებელთა იერარქიის აღორძინების პირველი მცდელობა 1846 წელს მოახდინა საბერძნეთის ყოფილმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ. კრება მოიწვიეს ბელოკრინიცაში, რის გამოც იერარქიასაც „ბელოკრინიცაკია“ უწოდეს.

9. ამ იერარქიამ „სტაროობრიადცების“ უნდობლობა დაიმსახურა. სახელდობრ, ნიკონ პატრიარქის რეფორმის გატარებაში საბერძნეთის ეკლესიას მხარდაჭერისათვის ბრალი დასდეს, კერძოდ, ორი თითით პირჯერის წერის წესის შეცვლასა და სამჯერად აღლელეუიას დამკვიდრებაში. ეჭვი შეიტანეს

დაცემული საბერძნეთის ეპისკოპოსის ქიროტონიაშიც, ვინაიდან საბერძნეთის ეკლესიის კანონი ამ დროისათვის, წმიდა მამათა კანონების საწინააღმდეგოდ, უფლებას იძლეოდა ავადმყოფი ბავშვის წყალკურებითი ნათლობისა.

10. რადგანაც ძველმორწმუნეთა გასამართლებაში მონაწილეობას ღებულობდნენ საბერძნეთის ეკლესიის პატრიარქები, მათ უარყვეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და მიიღეს ერეტიკული სწავლებანი, ეს და ამას დამატებული ავადმყოფი ბავშვის საშეღვათო ერეტიკული ნათლობის მიცემა საკმარისი აღმოჩნდა, რომ ამბროსის მიერ აღდგენილი იერარქია კანონიკურად არ ეცნოთ.

11. ამბროსი ვერ დაიჩემებდა, რომ ის იყო სხვა ეკლესიის წევრი და არა ბერძნულისა.

ჯვაროსნული ლაშქრობების, ფლორენციის უნიის, თურქ-ოსმალების მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, რა გასაკვირია, რომ ეჭვის ქვეშ დადგა ნღობა ამგვარ ყოფაში მოქცეული ეკლესიისა.

12. რაც გამოიხატა წიგნების გადაკეთებით, ნათლობის წესის თანდათან დარღვევით, ლიტურგიაში რომის პაპის სახელის მოხსენიებით და, საბოლოოდ, ანტიოქიის ერესის — სამი თითით პირჯერის წერის წესის მიღებით.

13. წმიდა მამათა კანონების საფუძველზე, თუკი მღვდელმსახური შეგნებულად ერთხელ მინც ჩაატარებს აკრძალულ ერეტიკულ ნათლობას, განიკვეთება და ჩინაყრილია (მოციქულთა 50-ე კანონი). ყოველგვარი ერეტიკული მოქმედების ნებადასართავი განკარგულება იმავე სასჯელს იმსახურებს, როგორსაც ამ განკარგულების შემსრულებელი. ასე რომ, გამიჯნულ ძველმორწმუნეთა ეჭვი და უნდობლობა არც ისე უსაფუძვლო აღმოჩნდა.

14. რაც შეეხება ბეგლოპოპოვეცების იერარქიას, იგი წმიდა მამათა მიერ დადგენილ ნორმებს არ სცილდება, რადგან ნიკონიანური

ეკლესიიდან გადმოსული ეპისკოპოსი ნიკოლა (პეტრე ალექსის ძე პოზდნევი), როგორც სწორად მონათლული და თავად ნათლობის წესის არდამრღვევი, 1923 წელს ხარატოეში, წმიდა მთავარმონაწმე დიმიტრი სალუნსკის ეკლესიაში, მიღებულ იქნა მეორე ჩინით, ბახილ დიდის I კანონის მიხედვით, და თავისსავე ხარისხში დარჩა.

15. 1929 წელს კი მეორე ეპისკოპოსი — სვერდლოვსკელი სტეფანე რასტორგნევი გადმოვიდა ბეგლოპოპოვეცების მხარეზე. ასე შეიქმნა თვითმყოფად სამჩინიანი საეკლესიო იერარქია, რომლის კანონიკურობაში ეჭვს ვერავენ შეიტანს.

16. რატომ იწოდა რუსეთი მესამე სულიერ რომად?

17. სწორედ იმ მიზეზით, რა მიზეზითაც კონსტანტინოპოლი გამოცხადდა მეორე სულიერ რომად.

18. როგორც იმჟამად ქვეყანაზე რომი რომობდა და მოციქულთა შორის პეტრე უმაღლესობდა, სწორედ ასეთივე პირველობის პატივით იქნა შემოსილი პეტრეს მიერ დამოძღვრილი ქვეყანა და იგი მსოფლიო საქრისტიანოში იწოდა პირველ სულიერ რომად.

19. მაშ, რის გამო იწოდა მეორე სულიერ რომად საბერძნეთი?

20. როცა პირველი სულიერი რომი დოკმატიკური კანონების დარღვევის, კერძოდ, სულიწმიდის ძისგან გამოყოფისა და ასევე წყალკურებითი ნათლობის შეწყობის გამო დაეცა, მსოფლიო საქრისტიანომ პირველობის პატივი მიანიჭა კონსტანტინოპოლს, როგორც რჯულისკანონის მიმყოფს.

21. ამ დროს საბერძნეთმა სამოციქულო ეკლესიის ჭეშმარიტი სახე შეინარჩუნა. ასე გახდა იგი მეორე სულიერი რომი.

22. თუ რატომ დაკარგა საბერძნეთმა მეორე სულიერი რომობა, რასაც თავად აღმოსავლეთის პატრიარქები აღიარებენ რუსეთის მეფე თეოდორეს წინაშე, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი ფაქტები:

23. საბერძნეთს მე-13 საუკუნეში მოუწია ჯკაროსნებთან ბრძოლამ. მაშინ კონსტანტინოპოლი ცეცხლში დაწვეს (ასე იხია შური კათოლიკურმა სამყარომ ბერძნულ მართლმადიდებლობაზე).

24. ვიცით, რომ ამას დაემატა მეორე დიდი უბედურება: 1439 წელს რომის პაპის იოანეს თაოსნობით საბერძნეთში შედგა მსოფლიო საეკლესიო კრება ეკლესიათა გაერთიანების მიზნით, რომელსაც ეწოდა „უნია“. ამ კრებაზე მართლმადიდებლურ ეკლესიებს მოუწოდებდნენ რომის პაპის პირველობის ტიტულის აღიარებას და ლიტურგიებში მისი სახელის მოხსენიებას. საბერძნეთმა პირველმა მიიღო ეს მოწოდება. დაიწყო კათოლიკური ეკლესიის ინტერპრეტაციით ბერძნული წიგნების სტამბური წესით გამოცემა, რამაც დიდად შეარყია მართლმადიდებლობა.

25. ხოლო მესამე უბედურება საბერძნეთისა იყო თურქ-ოსმალების მიერ მისი დაპყრობა, როცა აია-სოფიის ტაძარზე ჯერის საყრდენად აღმართულ იქნა მუსულმანური ახალი მთვარე, ანტიოქიატ უმაღლესულმანურ ქალაქად იქცა. საბერძნეთის საქრისტიანოს უკვე ფაშა უნიშნავდა პატრიარქებს სათანადო საზღაურის გაღების ფასად. ამას იუწყებდა რუსეთიდან საბერძნეთში საგანგებო მისიით წარგზავნილი დელეგაცია ლუკიანოვის თავკაცობით (*“О крещении греческой церкви и митрополита Амвросия”*, Черновцы, 1903 г.). ეს სამი დიდი დარტყმა მასონებისა სხვას არას ისახავდა მიზნად, თუ არა აღმოსავლეთის ეკლესიის საბოლოოდ დაცემას. ასე გამოიყვება მესამე რომი — რუსეთი.

26. დღევანდელ საბერძნეთს არც კი ახსოვს თუ როდის იწერდა პირჯვარს ორი თითით და როდის დაავიწყეს იგი. ასევე წყალში სამჯერ შთაფლვით ნათლობაც. თუმაცადა მათი პატრიარქების მიერ გამოცემული ოროქსები წყალპურებით ნათლობას ერეტიკულ ნათლობად მიიჩნევენ. ასე აიყარა

საბერძნეთმა — მეორე სულიერმა რომმა მსოფლიო საქრისტიანოს წინამძღოლობის პატივი.

27. ვინაიდან ერეტიკულ მსოფლიოში სამოციქულო ეკლესიის წმიდა სახეს უკვე სლავური საქრისტიანო წარმოადგენდა, იგი იწოდა მესამე სულიერ რომად.

28. მართალია, ეკლესია დაქუცმაცდა, მაგრამ მართლმადიდებლური საკურთხეველი მთელ დედამიწაზე მხოლოდ სლავურმა ეკლესიამ შეინარჩუნა.

29. რა არის ეკლესია?

30. ეკლესია არის ქრისტიანთა სამრავლო საბუდარი და ღვთის სადიდებელი ტაძარი — მშფოთვარე ზღვაში სამარადქამო ცხოვრების ნაპირებისაკენ მავალი საიმედო ხომალდი.

31. ამგვარი ტაძრის დედამიწაზე დადგმა პირველად დაეითა ინდომა ღვთისათვის, მაგრამ ღმერთმა არ ინება და ეს პატივი მის შვილს — სოლომონს არგუნა, რადგან სოლომონს არ ჰქონდა ხელები სისხლიანი..

32. წარმართთა ტაძარი მრავალი იდგა ქვეყნად, მაგრამ ღვთისთვის სათნო მხოლოდ სოლომონისმიერი ეკლესია ჩანდა. იგი დრომდე ასრულებდა თავის ფუნქციას და, როცა უფალმა ბრძანა მისი სანაცლოდ ახალი ტაძრის დაბადება, რომელიც საკუთარი ძის მიერ უნდა ყოფილიყო მორთმეული, სწორედ მაშინ იქნა გაუქმებული ტაძარი პირველი და აღტქმა პირველი.

33. ასე შეიქმნა სულის გადამრჩენელი ქრისტიანული ეკლესია. ათი საუკუნის განმავლობაში ამ ტაძარს საქრისტიანოში ერთიანი სამოციქულო სახე ჰქონდა, ვიდრე 1000 წლით დაბმულმა სატანამ არ აიშვა. ეს მოხდა 1054 წელს.

34. აშუებისთანავე სატანამ ორად გაყო ერთიანი მსოფლიო ეკლესია. შემდეგ კი, როგორც ენახეთ, თანდათან იწყო მისი დაქუცმაცება. სატანის უპირველესი სურვილია მოისპოს ქრისტიანული ეკლესია, რათა არ იმრავლოს ქრისტიანობამ და არც ჰყავდეს სამარადქამო სასუფეველისაკენ მავალი საი-

მედო ზომადლი, მაგრამ უფალმა ბრძანა: ვერ იქნეს ძლეული ჩემი ეკლესია ჯოჯოხეთის ბჭითაო.

35. ვინაიდან ეკლესიის ყოფა ნიშნავს ცხოვრების გაგრძელებასა და სასუფეველის მოპოვების შანსს, სიცოცხლესაც დედამიწაზე სწორედ ამ მიმართებით ეძლევა აზრი. ვადიდოთ მარად ჩვენნი გამჩენი თავისსავე ტადარში.

36. სიცოცხლე ადამიანს სასუფეველისათვის ებოძა და თუკი სასუფეველისკენ მავალი ზომადლი ჩაძირულია და სასუფეველის კარიც დახშული, მაშინ გამოდის, რომ გამჩენს დროის სატარებლად მოუცია ეს დახანება და არა სამარჯამო ცხოვრების საბუთის შესაქმნელად.

37. ქრისტემ კი ბრძანა: ჯოჯოხეთი ვერ ძლევს ჩემს ეკლესიასო. ეს სიტყვები სარწმუნებელია ღვთის შვილთათვის, მხოლოდ სატანას შეუძლია გაბედოს საწინააღმდეგო დებულებების წამოყენება.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე შ ვ ი დ ე

ბეზაოპოვცების შესახებ

1. იმის გამო, რომ ქრისტემ ბრძანა: თუ გენებათ, ელია უკვე იყო და თქვენ მას მოეყარით, როგორც გენებათო, ბეზაოპოვცებმა ჩათვალეს, თითქოს ელია მეორედ ნამდვილად იყო.

2. როცა ქრისტემ ეს თქვა, მიანიშნა წინასწარმეტყველის ფუნქციაზე და გულისხმობდა იოანე ნათლისმცემელს. განვიმარტა კიდევ: იგი (ე.ი. იოანე ნათლისმცემელი) მოვიდა ელიას სულიერებით და ძლიერებით. და რომ ეს ჭეშმარიტად ასეა, ამას გვაუწყებს ანგელოზიც, როცა ის იოანე ნათლისმცემლის მამას ზაქარიას ამცნობს:

„და მრავალ ძეს ისრაელისას მოაქცევს უფლის — მათი ღმერთის მიმართ. და უწინამძღერებს მას ელიას სულითა და ძალით,

38. შეიდი ეკლესიური საიდუმლოს გარეშე ეკლესია და სიცოცხლე ქვეყანაზე ვერ იარსებებს. საზარებისათვის ქრისტეს მიერ დაღერილი სისხლით ცოცხლობს მართლმადიდებლური ეკლესია, იგი მარად მოურეველია. როგორც უცვლელია თვით უკვდავი ღმერთი, ასევე უცვლელია ჭეშმარიტი ეკლესიაც.

39. შეწყდა მღვდლობა? იწყება სიკვდილი, რადგან მღვდლობის გარეშე არ არსებობს შეიდ საიდუმლოზე დაფუძნებული ეკლესია.

40. თუკი არ იქნება ეკლესია და მღვდელი, რომელთა მემკვიდრეობით ვიბადებით და ცოდვები მიგვეტყვება, ამაოდ გვიხელია თვალები, უფლის წინაშე წარმოვიჩინდებით იმგვარ ადამიანებად, რომელთა მიმართ ქრისტემ ბრძანა: მიცვალებულთ დაუტყვევთ მიცვალებულნი დასამარხავადო. ჩვენ ვიქნებით ცოცხლები, მაგრამ ღვთისთვის ჩავითვლებით მკვდრებად.

რათა მოაქციოს მამების გული შვილების მიმართ, და, ამრიგად, განუმზადოს უფალს მზადყოფი ხალხი“ (ლუკ., 1, 16-17).

3. ყველასთვის ცნობილია, რომ ელიას ორჯერ უწევდა ერთი სხეულით მოსვლა. ნათლადაა ნაჩვენები ელიასა და ენუქის 1260-დღიანი ქადაგება და, ბოლოს, ანტიქრისტეს მეფობის პერიოდში, მათი სიკვდილი.

4. თუკი იტყვიან ბეზაოპოვცები, რომ ელიას მოსვლაც სულიერ პლანში უნდა გავიგოთ და არა ხორციელში, მაშინ საერთოდ არ უნდა ევლოდეთ მის ხორციელ მოსვლას.

5. ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ ელია ერთხელ გაჩნდა ქვეყანაზე და იღვაწა ღვთის სადიდებლად. ცოცხლად იქნა აყვანილი ცაში. მიგვანიშნებს ისიც, რომ იგი უფლის მოსვლას

წინ უნდა უსწრებდეს, რათა გზა განუშინა-
ლოს უყვალს. ე.ი. ელია წინამორბედა
უფლისა.

„აჰა, მოვაველენ ჩემს ანგელოზს და
გამაზადებს გზას ჩემს წინაშე; უეცრად მოვა
თავის ტაძარში უფალი, რომელსაც თქვენ
ესიებთ, და აღთქმის ანგელოზი, რომელიც
გსურთ. აჰა, მოდის, ამბობს ცაბაით უფალი“
(მალ., 3, 1).

6. როცა განკაცებული უფალი პირველად
მობრძანდა ქვეყანაზე, ებრაელთა შეკითხვაზე:
განა მესიის მოსვლას წინ არ უძღოდა ელიას
მობრძანებაო, ჩვენ ყველამ კარგად ვისმინეთ
უფლისმიერი პასუხი:

გნებათ, ელია იყო... (მიანიშნებს იოანე
ნათლისმცემელზე) იგი მოვიდა ქვეყანაზე
ელიას სულიერებითა და ძლიერებით. ანგე-
ლოზსაც იგივე აუწყა იოანეს მამას ზაქარიას:
„მამინ მოველინა მას უფლის ანგელოზი,
სასაკმეველ საკურთხევის მარჯვნივ მდგო-
მარე, და მისი ხილვისას შეძრწუნდა ზაქ-
არია და თავზარი დაეცა. ხოლო ანგელოზ-
მა უთხრა მას: ნუ გეშინია, ზაქარია, ვინა-
იდან შესმენილ იქნა შენი ვედრება, და შენი
ცოლი ელისაბედი გიშობს ძეს, და უწოდებ
მას სახელად იოანეს. და იქნება შენი
სიხარული და სიხალისე, და მრავალნი გაი-
ხარებენ მისი შობით. ვინაიდან დიდი იქნება
უფლის წინაშე, ღვინოსა და სიკერას არ და-
ღვეს, და სულით წმიდით აღივსება დედის
საშობივე, და მრავალ ძეს ისრაელისას მო-
აქცევს უფლის — მათი ღმერთის მიმართ. და
უწინამძღვრებს მას ელიას სულითა და ძა-
ლით, რათა მოაქციოს მამების გული შეილე-
ბის მიმართ, ხოლო ურჩინი — მართალთა
გონიერების მიმართ, და, ამრიგად, განუშინა-
ლოს უფალს მზადმყოფი ხალხი“ (ლუკ., 1,
11-17).

აქ ჩვენ დავინახეთ, რომ მაცხოვრის პირ-
ველად მობრძანების წინამორბედად უფალს
მოუველინებია არა ელია, არამედ იოანე ნათ-
ლისმცემელი, ამჯერად ელიას სულიერებითა
და ძლიერებით, ხოლო თავად ელია, რომე-

ლიც ცაში იქნა ატაცებული, დედამიწაზე
თავისი ფუნქციით ჯერ არ ჩამოსულა. ის
ბიბლიური მინიშნება, რომ ელია ქვეყანაზე
მოვა და მამის გულს მოაძებნიებს შეილეს,
ეს მომენტი განმეორდება მაცხოვრის მეორედ
მოსვლის ჟამს. მაშინ უწევს მას თავდადება
უფლისათვის. ეს არის სწორედ იმ აპოკალიფ-
სური ორი სასანთლისა და ზეთისხილის
(ელაისა და ენუქის) საღვაწო ჟამი.

7. ანტიქრისტესთან გაბრძოლებისას ელი-
ას მოაკვდინებენ; სამღლე-ნახევარში იგი
კვლავ უნდა გატოცხლდეს. ხოლო, რაც შე-
ეხება იოანე ნათლისმცემელს, მას ერთხელ
მოსჭრეს თავი, რის გამოც მიენიჭა წმი-
დანობა. სასუფეველში არ არსებობს ორ-
გზის გმირობა. თუკი ელია იოანე იყო, ერთი
გმირობა თავის მოჭრისას მიუღია, ხოლო
მეორე — ანტიქრისტეს მეფობისას მიღებული
მოწამეობრივი სიკვდილით. დანიელის მიერ
ნაწინასწარმეტყველების სისაძაგლისა და
სიცარიელის ჟამი რანაირად შეიძლება სუ-
ლიერ პლანში იქნეს აღქმული ისიც ანტი-
ქრისტეს გარეშე?

8. განა მან არ თქვა, რომ სისაძაგლე და
სიცარიელე ისუფევებს ანტიქრისტეს შეიღ-
წლიანი მეფობის მქორე ნახევარში? განა
აპოკალიფსისიც არ მიანიშნებს ელიასა და
ენუქის 1260-ღლიან ქადაგებას, ე.ი. ანტიქ-
რისტეს მეფობის ბოლო სამწელ-ნახევარს?..

9. თქვენს მიერ მითითებული თარიღიდან
(1666 წ.) ერთი კი არა, ორმოცდაათი შეი-
ღეული გავიდა (350 წ.).

10. ანტიქრისტეს ესოდენ რომ გაუხან-
გრძლივეთ სამეფო ღრო, განა არ იცოდით,
რომ საუკუნის დასასრულს არწივის სამი
თავის, ანუ სამი მეფის დამარცხების შემდეგ
ანტიქრისტეს შეიღი წელი ეძლევა სამეფოდ-
რომელი სამი მეფე დასცა თქვენმა ანტიქრის-
ტემ ამ 350 წელიწადში, თუმცა მისი მეფობა
შეიღ წელს უნდა გაგრძელებულიყო?

11. ანტიქრისტეს მოსვლა რომ სულიერ
პლანში იქნეს გაგებული, მაშინ სად წავიღოთ
აპოკალიფსისის ჭეშმარიტებანი.

12. განა ანტიქრისტი მტკიცე ბეჭდის მოხსნის შემდეგ არ უნდა გამოჩენილიყო? თქვენს მიერ დასახელებული თარიღი კი (1666 წ.) მეოთხედან მეხუთე ბეჭდამდე აღემატება მოქცეული, ხოლო ბოლო ანტიქრისტეს მოღვაწეობა მეშვიდე ბეჭდის მოხსნის წინა პერიოდად, ე.ი. მხეცის მეფობის დამხობისა, შემდეგ არწივის მარჯვენა თავის მიერ მარცხენა თავის შეჭმისა და ორი ფრთის ქვეშა ბუმბულის მიერ მარჯვენა თავის დაცემისა (3 ვზრ., 12, 26-29).

13. რანაირად მოიყვანეთ ანტიქრისტი თუნდაც სულიერ პლანში. დროში მაინც ხომ უნდა ეთანხმებოდეს წინასწარმეტყველებას. განა არწივის სამივე თავი ცოცხალი არ არის?

თქვენ კი, როცა ანტიქრისტეს მეფობა 350 წელი ადრე გამოაცხადეთ, ამით არწივის სამივე თავის მოსპობა აღნიშნეთ, თქვენდა გასამტყუნებლადეს ჟამი უკრ არ დამდგარა. სამთავე იმპერია, არწივის სამივე თავი ცოცხალია.

14. როგორ დავიჯეროთ, რომ ბოლო ანტიქრისტი პიროვნებაა და არა ანტიქრისტიული იდეის სუფევა. საბუთად უნდა ვიკმაროთ წინასწარმეტყველთა ნაბრძანები ანტიქრისტეს შესახებ:

15. „ანაზდეულად დაგვეცმა შემუსკრული“ (იერ., 6, 26). აქ რომ წინასწარმეტყველი დასაღუპავ მდგომარეობას გულისხმობდეს და არა თვით დამლუპველს, მაშინ იტყოდა: ანაზდეულად დადგება ჟამი შემუსკრული.

16. საქარია წინასწარმეტყველი გავუწევებს ანტიქრისტეს შესახებ: „მთლად შეახშება მკლავი და დაეკდება მთლიანად მარჯვენა თვალი“ (ზაქ., 11, 17).

კეთილი ინებეთ და გვიპასუხეთ — ორთვლიანია თქვენი ანტიქრისტიული მოძრაობა თუ მრავალთვლიანია? რამდენი ხელი შეიძლება ჰქონდეს იდეას? განა ჩვენს წინაშე ნათლად არ არის დახატული პიროვნება, რომელსაც ადამიანის აღნაგობა გააჩნია?

17. ეზეიელ წინასწარმეტყველი ბრძანებს: „შენ კი, ურჯულო, ბოროტეულო მთავარო ისრაელისა, რომელსაც დაუდგა ჟამი, როცა უნდა მოეღოს ბოლო დანაშაულს, ასე ამბობს უფალი ღმერთი: მოიშორე ჯილა და მოიხადე გვირგვინი: — ყოველთვის ასე არ იქნება: მდაბალი აღზევდება, აღზევებული დამდაბლდება“ (ეზეკ., 21, 30-31).

18. როგორც ჩანს, ანტიქრისტეს თავიც ჰქონია, რადგან გვირგვინი ადგას. შეიძლება კი იდეას თავი ჰქონდეს და გვირგვინი ესუროს? ყველა იდეას განა თავისი ბელადი არა ჰყავს? ამიტომაც მიმართავს ღმერთი იმ უღმერთო თავის მქონეს: მოიხსენი გვირგვინი და დამცირებულს გადაეციო. მაშ, ვინ არის ის დამცირებული? ქრისტი — ჩვენი უვარცმული და შევინებული. ე.ი. ერთ ბელადს ერთმევა დიდების გვირგვინი და გადაეცემა იგი მეორეს. ასე რომ, ვერწმუნოთ — პიროვნებებთან გვაქვს საქმე.

რომელი წმინდა მამა ეთანხმება ბეზოპოკტურ შეხედულებას ანტიქრისტეს შესახებ?

“Когда придет антихрист, то я он не вторгнется в церковь Христову, чрез угрозы, и не уступят его оружию и насыляю потому только, что он противящимся ему будет грозить смертию” /Творения св. священномученика Кшириана, ч., 1, письмо 47, против еретиков/.

19. წმიდა მამას რომ ანტიქრისტი იდეად მიაჩნდეს და არა ადამიანად, მაშინ იტყოდა: “Когда настанет время антихристовое”. და ა.შ. ის კი ამბობს პიროვნების მოხელაზე და უნდა დავიჯეროთ, რომ წინასწარმეტყველი ქარაგმებითა და სიმბოლური სახვებით ამჯერად არ გვესაუბრება.

20. დასკვნებისათვის კვლავ გამოვიყენოთ დანიელის წინასწარმეტყველება: „შენი ერისთვის და შენი წმიდა ქალაქისათვის სამოცდაათი შევიდულია დადგენილი შეცოდების დასაფარავად, ცოდვათა დასაბეჭდად, უკე-

თურების დასაფარავად, სამარადისო სი-
მართლის დასამყარებლად, ხილვისა წინას-
წარმეტყველების დასაბუქდავად და წმიდათა
წმიდის საცხებად“ (დან., 9, 24-27).

21. და კიდევ:

„ათი რქა ის არის, რომ ამ სამეფოდან
ათი მეფე აღდგება; მათ შემდეგ სხვა გამოვა;
იგი განსხვავებული იქნება პირვანდელთაგან
და სამ მეფეს დაამზობს.

უზენაისის წინააღმდეგ სიტყვებს იტყვის
და უზენაისის წმიდანებს შეავიწროვებს.
განიზრახავს მათთვის დროთა და რჯულის
შეცვლას. ისინი ხელში მიეცემიან მას, ვიდრე
არ გაეადრო — ორი დრო და ნახევარი დრო.

22. შემდეგ დაჯდება სამსჯავრო და წა-
ართმევს მას ხელმწიფებას, რათა საბოლოოდ
მოისპოს და დაიდუპოს.

მეფობა, ხელმწიფება და ცისქვეშეთის
ყველა სამეფოს დიდება უზენაისის ერს მიე-
ცემა. მისი სამეფო საუკუნო სამეფო იქნება
და ყველა ხელმწიფე მისი მსახური და მორ-
ჩილი იქნება“ (დან., 7, 24-27).

23. თუკი დანიელის წინასწარმეტყვე-
ლებისა გვჯერა, ეს უნდა მომხდარიყო,
როგორც აღვნიშნეთ, სამოცდაათი შვი-
დეულის ბოლო შვიდეულში. რადგან 69
შვიდეული სჭირდებოდა ქრისტეს დაბადებას
ქვეყანაზე. ხოლო ბოლო შვიდეული ებრაე-
ლებისათვის იყო ბოლო სამეფოდ მიცემული.

24. ვთქვათ და, ვერწმუნეთ ბეზაოოცებს,
რომ ანტიქრისტე სულიერად 1666 წელს
მოსულა. მაშინ, დანიელის წინასწარმეტყვე-
ლების მიხედვით, ებრაელებს იმავე წელს
უნდა დაეწყათ მეფობა და, წინასწარმეტ-
ყველების მიხედვით, უნდა გაგრძელებულიყო
მხოლოდ შვიდ წელიწადს, ანუ ერთი შვი-
დეულის განმავლობაში. მეორედ მოსვლაც
აქვე უნდა დამთავრებულიყო. ჩვენ კი მსოფ-
ლიოს ხალხთა ისტორია ფაქტის წინაშე
გვჯერებს — ამ დროისთვის ებრაელებს მეფობა
კი არა, სახელმწიფოც კი არ გააჩნდათ. მაშ,
როგორ მოვიქცეთ? თუ ანტიქრისტე 1666
წელს მოვიდა სულიერად, გნებავთ, ხორცი-

ულად და შვიდ წელიწადში უნდა დამთავრე-
ბულიყო ცხოვრება ქვეყნად, მაშინ მეორედ
მოსვლა უნდა მომხდარიყო 1673 წელს.

25. აი, სწორედ აქ აცდუნა ემშაკმა ბეზ-
აოოცები: ჯერ დააჯერა ანტიქრისტეს მოს-
ვლა, შემდეგ უარყოფინა მღვდლობა — ეკ-
ლესიური უმთავრესი საიდუმლო. ისე როგორ
დაუბინდა გონება ემშაკმა ბეზაოოცებს,
რომ ახალი აღთქმა დაავიწყა. მაშ, ვისთვის
ითქვა:

„ნურც ნურავინ ნურასვხით გაცდუნებთ
თქვენ, რადგანაც არ მოიწევა ის დღე, ვიდრე
უმაღ არ მოაწევეს განდგომილება და არ
გაცხადდება ცოდვის კაცი, მე წარწყმედისა,
წინააღმდეგომი და იმის მსურველი, რომ
თავზე მოექცეს, რაც ხახუნდებულა
ღმერთად თუ ღვთაებად, ასე რომ ღმერთის
ტამარში დაჯდება იგი, როგორც ღმერთი,
და ღმერთად მოგაჩვენებს თავს. ნუთუ არ
გახსოვთ, რომ ჯერ კიდევ თქვენთან ჭოფისას
გეტყვოდით ამას? და აწ იცით, თუ რა არ
აძლევს გასაქანს, რათა გაცხადდეს თავის
დროს. რადგანაც ურჯულოების საიდუმლო
უკვე მოქმედებს, მაგრამ არ აღსრულდება
მანამ, ხანამ შუაგულით არ აღიზოყება ძალა,
რომელიც გასაქანს არ აძლევს მას. და მაშინ
გაცხადდება ურჯულო, რომელსაც უფალი
იფსო წარხოცს ბაგეთა თვისთა სულით, და
განაქარებს თავისი მოსვლის გამოჩნებით“
(2 თეს., 2, 3-8).

26. მხოლოდ ბრმას არ შეეძლო ამის წა-
კითხვა და ყრუს ამის მოსმენა. მაშ, ყოფილა
თუ არა ანტიქრისტე ადამიანი? თუ ბეზაო-
ოცებს დაუჯერებთ, რომ ეკლესია მოკვდა,
მაშინ განგვიმარტონ ამ წმიდა მამის
ნაბრძანები:

“Когда придет антихрист, то и он
не вторгнется в церковь христову”...
/Творения св. священномученика Ки-
риана, ч. 1; письмо 47, против ере-
тиков/.

ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ეი-
ანტიქრისტეს მეფობისას, არსებობს ეკლესია,

რომელსაც ის ავიწროებს და ებრძვის. წმიდა მამა კი ბრძანებს:

"...И не уступят его оружию и насилию... будет грозить смертию" /Киприан, там же/.

27. ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ თურმე არსებულა ეკლესია, რომელიც ებრძვის ანტიქრისტეს. ბუზპოპოეცებს კი, 1666 წელს რომ ეშმაკმა იარაღი დააყრევინა, მას შემდეგ დღემდე უეკლესიოდ არიან, რადგან ეკლესია არ არსებობს მღვდლობის გარეშე. ბუზპოპოეცების სამლოცველო ზემოთ მინიშნებულ ტაძრად ვერ იგულებება. ანტიქრისტესთან ბრძოლა მხოლოდ ჭეშმარიტ ეკლესიას ექნება და ისიც ნათელია თქვენთვის, რომ „გოგუჯიხეთის ბჭენი ვერ სძლევენ მას“ (მათ., 16. 18).

28. ასე რომ, ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია ქრისტეს მეორედ მოსვლამდე იარსებებს. მაშ, სად წავიდნენ ეკლესიისა და მღვდლობის უარყოფელნი? ბუზპოპოეცები დღემდე აცხადებენ – რადგან ანტიქრისტე გამეფდა, სისამაგლე და სიცრუე დამკვიდრდა ეკლესიაში და ამიტომ მღვდლობა არ არსებობსო. ეს კი ნიშნავს ეკლესიაში ზიარების გაუქმებასაც, რადგან ზიარებას მხოლოდ მღვდელი ადგენს.

აი, ამისი პასუხი:

"Аще кто и чисте живя в покоянии, а не примет таян христових, не может спастися" /Книга Златоуста, слово 51, 5 недел., 1., 133 об./.

რა თქვა გაურკვეველი წმიდა იოანე ოქრობირმა?

და თუკი არავის შეუძლია ზიარების გარეშე გადარჩენა, ქრისტე წაართმევინებდა კი ვისმეს მის საკუთარ სისხლსა და ხორცს – ქვეყნიერების პურს კაცობრიობისათვის? და თუ იგი მოსაპობილია ქვეყანაზე, მაშინ რა მიზნით გრძელდება სიცოცხლე?

29. ასე რომ იგოს, მოციქულები არ იტყვიან:

"Но жертва Нового Завета на воспоминание смерти Господни, понеже

хочет, да помять благодения Его... яко сия хвала Божия в жертве бысть изначала миру и иже до сканчания века будет" /Апостол толковой, зач. 150, л. 542 об., л. 543/.

30. ასე რომ, უნდა გვახსოვდეს: აიაზმა, ნაკურთხი წყალი ვერ შეცვლის ქრისტეს სისხლსა და ხორცს. ამდენად, მოციქულების სიტყვის მიხედვით, იგი იარსებებს ქვეყნის აღსასრულამდე დამის გარეშე არ არსებობს გადარჩენა. სწორედ ამ მეზობლო ეკლესიაზე მინიშნებდა წმ. კიპრიანე. და ჩვენც უნდა დაეიჯეროთ:

რადგან ნათქვამია, რომ ანტიქრისტეს მეფობისას იარსებებს ეკლესია და ისიც მეზობლო, უნდა დავასკვნათ: საუკუნის დასასრულამდე იქნება ღვთივკურთხეული ეკლესია თავისი მსახური სამღვდელოებით.

31. ახლა განვიხილოთ რა ფოჯაში არიან ისინი, რომლებიც მღვდლის კურთხევის გარეშე შეუდგნენ ცოლქმრულ ცხოვრებას.

ლოკუმენტი პირველი: "А котория не по закону живут с женами без благославения поповскаго понялися, учите их и приводите и к православию. Благославением всхотят жити, иво их разлучати. И вы попове не приминате их, ни их приношения, ни дары им не доваите, ни богородична хлеба. А котория послушают, давали бы вам по себе по руку, что им вас потом слушати" /Миняя Макарьевская, Моск. синод библи. №182, месяц июль, послание св. Фотия мятр. Московскаго, писано во Псков, л. 149, столб 1/.

32. ლოკუმენტი მეორე: "Которые живут не по закону с женами, без благославения поповска понялися, тем епитимия три лета, как блуднику да паки совокупити их, а учити и приводити их православию" /1410 г., Августа 29 послание св. Митр. Фотия в Новгород, о соблюдении законоположений церковних, хранится в Рукопись. С. Петербург Императорск.

публ. библиотеки, погодинасакого древле хранилища, N1561, л. 74/.

33. ღოკუნტი მესაძე: "...знамение 7., оскудеет вера во многих местах. Будут безстрашно и совольстно жити, и брак возлюбят безчинный, якоже во время Ноя прежде потопа" / Катехизис большой, печ. в Москве 1627 г. по благословен. Патр. Филарета, гл. 23, о знаменях пред пришествием Христовым, л. 101/.

34. ასე, რომ ბეზპოპოვცებმა უნდა დაიჯერონ — მათ მიერ უმღვდლოდ დაშვებული ქორწინება მრუშობაა და სხვა არაფერი. ხოლო უწერიათ თუ არა გადარჩენა მემრუშეებსა და მათ უკანონო შვილებს — ნახუშრებს, თვით პავლე მოციქულისაგან ისმინონ: „მემრუშეები ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს“ (1 კორ., 6,9-10).

35. ნათლობა არც მირონცხების გარეშე წარმოჩინდება სრულყოფილად, რადგან ქრისტემ ბრძანა: „ეინც არ დაბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“ (იოან., 3,5). წყლით დაბადება სამეზის შთაფლვას ნიშნავს, ხოლო სულით დაბადება — მირონცხებას.

36. სულიერ მღვდელს ორთავე ხელეწიფება. ურჯულომ ან რიგითმა მორწმუნემ საიდან მოიმოღვაწოს მირონი, როცა მირონის მონარშევაში ეპისკოპოსები და მრავალი მღვდელმსახური მონაწილეობს.

37. სინანული. ეს საიდუმლოც მხოლოდ სჯულიერ მღვდელს გაენდობა, რადგან მხოლოდ მის ხელშია ცოდვათა მიტევების ძალმოსილება. ნაბრძანებია: „ვისაც მიუტევებთ ცოდვებს, მიეტევება მათ; და ვისაც დაუტოვებთ, დარჩება მათ“ (იოან., 20, 23).

38. მღვდლობა. ეს არის ქრისტეანობის სასიცოცხლო მთავარი არტერია. ამ საიდუმლოდან აღორძინებული მღვდელი მოგიტივებს ცოდვებს, ბადებს ქრისტეანებს, ქრისტეანულად გვაქორწინებს და იგი აგვისრულებს ქრისტეანულად დაკრძალვის წესს.

39. მღვდლობის საიდუმლო იმდენად დი-

დია, მის გარეშე ვერც ერთი საიდუმლო ვერ შესრულდება, რადგან მხოლოდ მღვდელს ენიჭება ყველა საიდუმლოს შესრულება.

40. მღვდელი ქრისტეანეთა დამბადებელია და თანაც ისეთი მესაჭვა ხომალდისა, რომელიც ქრისტეს მაგიერობას სწევს ღვდამიწაზე. არ იქნება მღვდელი ქვეყანაზე? მაშინ მკედარი იქნება ქრისტე. ის ქრისტე, რომელსაც უთხრა მამა ღმერთმა: „შენა ხარ მღვდელი სამარადისოდ წესისამებრ მეუქისედეკისა“ (ებრ., 7, 21; ფს. 109, 4).

41. როგორც უკვდავია ქრისტე, ასევე უკვდავია მამის მიერ მინიჭებული მღვდლობა. ასევე უკვდავია გელესიაც, რომლისთვისაც გაჩნდა მღვდელი.

42. ვინც უარყო ქვეყანაზე მღვდლის არსებობა, მან უარყო ქრისტე მეუქისედეკის ჩინით. ვინ დაიჯერა, რომ ძლეული იქნება ეკლესიის ბჭე, რომელზეც ქრისტემ თქვა უძლეველიაო.

43. ასევე ითქმის არარჯულიერი მღვდლის ნებადართულ ქორწინებაზეც. როგორც ნახეთ, იგი წარმოადგენს მრუშობის თანხმობას. იმ საიდუმლოს შესრულება, რომლის დროსაც ორი სხეული ერთ სხეულად უნდა გადაიქცეს, ამგვარი ძალმოსილება მხოლოდ საეკლესიო მოღვაწეს ხელეწიფება და არა ყველას.

44. ბეზპოპოვები რომ ამბობენ — აიაზმით გაზიარებთო და სურთ წყლით შეცვალონ ქრისტეს ზიარება, თაეშიაც მოგახსენეთ.

45. წყალი რომ საკმარისი ყოფილიყო ზიარებისათვის, მაშინ ქრისტე არ იტყოდა, ვინც არ შეჭამს ჩემს ხორცს და არ დალევს ჩემს სისხლს, მას ჩემთან წილი არ ექნებაო.

46. ქრისტეს ხორცი და სისხლი არ ურგვია აიაზმად წოდებულ წყალში, რამეთუ იგი პურისა და ღვინის სახით გვეძლევა. როცა ითქვა: ჭამეთ ხორცი ჩემი, „დალიეთო“ რანაირად მოველმათ, თქვე წყლის „მჭამელებო“. ამდენად, ცდუნებული ხართ ეშმაკისაგან. უზიარებელმა ვერ დაიმკვიდროს სასუფეველი, რამეთუ მან უარყო ჯვარცმით მოცემული სხეული მისი ხაზრდოდ სულისა.

47. თავს ნურავინ მოიტყუებს — არც პუ-
რი და ლეინო ჩაითვლება დადგენილი ლოცვის
გარეშე ზიარებად და ამ საიდუმლოს შესრუ-
ლებას, ე. ი. პურისა და ლეინის ქრისტეს ზორ-
ცად და სისხლად გადაქცევას, მრავალსაა-
თიანი ლიტურგია სჭირდება. დაიჯერეთ არ
მოედინება იგი ონკანში და წყაროს სათავეე-
ბიდან. სხვათა შორის, არც რესტორნებშია,
სადაც პურიც ბევრი იჭმევა და ლეინიც ბევრი
ისმევა.

48. როგორც ნახეთ, ქორწინებას თქვენც
ასრულებთ, მაგრამ იგი თურმე არაფრით
განსხვავდება მამის ბიუროს ქორწინებისა-
გან, რომლის დროსაც ორი პიროვნების თან-
ხმობის აღნუსხვა ხდება და სხვა არაფერი.
ასევე, არც თქვენი ქორწინებაა ორი სხეულის
ერთ სხეულად გარდაქმნის შემძლებელი. ამ
საიდუმლოს შესრულება მხოლოდ მღვდელს
ხელეწიფება. განა ორი პიროვნების თან-
ხმობით არ სრულდება ის, რასაც პატიოსანი
კაცი საღვთისად მრუშობას უწოდებს?

49. საეკლესიო ქორწინება არის საი-
დუმლო, რომლის დროსაც ორი სხეული
ერთ სხეულად იქცევა. პატიოსან გვირგვინ-
მოსილ ცოლ-ქმართა კავშირი არის ქრის-
ტიანების დაბადებისა და გამრავლების
გარანტია, რადგან მათი ნაშვირნი კანონი-
ერ შვილებად ჩანან ღვთის წინაშე. ხოლო
რაც შეეხება სხვაგვარ, უეკლესიო და
უმღვდლო ქორწინებას, იგი, როგორც ნახეთ,
მრუშობაა.

50. საიდან დაიწყო ბეზაპოვეცების დაბ-
ნეულობა? მათ ეშმაკის ძალის შთაგონებით
ირწმუნეს, რომ ანტიქრისტეს ჟამი უკვე
დადგა; და რომ ელია და ენუქი უნდა
შევიმეცნოთ მხოლოდ სულიერ კლანში;

51. რომ ელია უკვე იყო მეროემ; რომ
დადგა ჟამი დანიელ წინასწარმეტყველის
ნაქადაგებისა სიცარიელისა და სისამაგლის
შესახებ.

52. რატომ დაივიწყეთ აპოკალიფსისის
მეექვსე ბეჭდის მოხსნის ჟამი, როცა ნათ-
ქვამია: იქნება ისეთი ომი ქვეყანაზე, რომ მზე

ძამით შეიმოსება, მთა და ბარიც არ დარჩება
შეუძერელი, მთვარე სისხლისფრად გადა-
იქცევაო (გამოცხ., 6, 12), მაგრამ ხედავთ,
ცხოვრება გრძელდება, რათა საქვეყნოდ ჩა-
მოტარებული იქნეს ცოცხალი ღმერთის
ბეჭდი, რაც მსოფლიო გადანათვლის პრო-
ცესს ნიშნავს, იგივე ქრისტეანობის ბოლო
ქადაგებას. სად არის 144 ათასი ბერი ისრაე-
ლიანთა? (გამოცხ., 7, 1-4). უერჯერობით
არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა არც
ხორციელ და არც სულიერ კლანში.

350 წლის წინათ გეგონათ, რომ მღვდლო-
ბა და ეკლესია მოისპო ქვეყანაზე.

53. ამით თქვენ მოკალით მღვდლობა. და
მით 350 წლის მანძილზე საკუთარი ნაში-
ერებისათვის დახშეთ სასუფეველის კარები.
დაგვიწყდათ, რომ მღვდელი ქრისტეს მაგიე-
რობას წვეს ქვეყანაზე, ქრისტე ხომ მღვდელია
მელქისედეკის ჩინით სამარადისოდ. თქვენ
კი ადრევე მოუსწრაფეთ სიცოცხლე როგორც
მაცხოვარს, ისე მღვდელს და მით სიკედლი
მისადაგეთ უკვდავი ღმერთიდან. როდემდე
გნებათ კიდე იბოგინოთ და ცეცხლისთვის
ზარდოთ შეიღობი? განა საკამისი არ არის,
რაც გაავით ჯოჯოხეთი თქვენი მოუნათ-
ლავი, უზიარებელი და უქორწინებელი
მემრუშე ნაშიერებით? 350 წლის მერე მაინც
მოეგეთ გონს, შეუერთდით გადამრჩენელ
ძველმართლმადიდებლურ ეკლესიას და მით
იხსენით სული თქვენი, წარმართნო! კათო-
ლიკურ ეკლესიას თუკი მასონებმა პროტეს-
ტანტული ეკლესიები დაუპირისპირეს, ეკლე-
სიურ საიდუმლოთა მოძალადეთ რუსეთში
ძველმართლმადიდებლურ ჭეშმარიტ ეკ-
ლესიასაც პროტესტანტული სექტანტობა —
საიდუმლოთა უარყოფელი დაუპირისპირ-
ეს ბეზაპოვეცების სახით.

54. იმ წმიდა მამათა კანონებს მაინც და-
უჯერეთ, რომლებიც ადრე გჯეროდათ,
სადაც ნათქვამია: ყველა, ვინც ეკლესიის
გარეშე იქადაგებს გადარჩენას, მიეცეს
ანათემას! ღე, აგხსნათ ღმერთმა მთელემა-
რების საბურველი — სატანის ბორკილები.

გამოფხიზლდით, აპოკალიფსისის მეექვსე ბეჭდის მოხსნის შემდეგი პერიოდი თქვენა- ირთა მოსაქცევი ფამია. აქაც ყველას როდი გელირსებათ ამ ბეჭდის მიღება. ნათქვამია:

ბრძენნი იპოვიან სულის გადასარჩენ ბილი- კებს და მხოლოდ კეთილნი დადგებიანო გზა- ზე. თქვენ ლაგლუპათ მასონებმა, აწ გიშველოთ ღმერთმა, ამენ!

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე რ ვ ე

მ ო კ ლ ე დ ა ს კ ვ ნ ა

1. სატანურმა ორგანიზაციამ მიაღწია მიზანს. ამგვარი ერესის დანერგვით რუსეთი დაუახლოვეს როგორც ერთტიკულ საბერძნეთს, ასევე რომსა და მთელ ევროპას. ასე გაუღო კარი ერესს სლავურმა ეკლესიამ, რომელიც სულიერად წარმოადგენდა მესამე რომს. სწორედ ეს განსაზღვრავდა მესამე სულიერი რომის დასაცემად გამიზნული „ურჯულოვე- ბის საიდუმლოს“, ანუ მასონური ორგანიზა- ციის პროგრამის განხორციელებას. ამიტომაც გაიწვია გამყიდველი მეფის — რომანოვთა დინასტიაც.

2. ასე შემოუნახეს თავდადებულმა მორ- წმუნე სლავებმა ჭეშმარიტი სარწმუნოება ქვეყნთურებას და მით მსოფლიო იხსნეს წარ- მართობისგან.

3. რას მოელოან ისინი, რომლებმაც სი- ხარულით გაუღეს კარები ეშმაკს და იწოდნენ ნიკონიანელებად, კათოლიკეებად, პროტეს- ტანტებად, ლუთერანებად, ბაპტისტებად, ანა- ბაპტისტებად, ანგლიკანებად, კალვინისტე- ბად, კვაკერებად, მეთოდისტებად, ქრისტიან- ნული მეცნიერების მიმდევრებად, ღვთის ხალხებად, ანუ „ხლისტებად“, დუხობორებად, ადვინტისტებად, იელოველებად, მოლოკენე- ბად, ბეზპოპოვცებად და სხვებად?

4. რას აპირებენ ყოვლად შეცდენილნი და გონებაწართმეულნი მეროდ მოსკლისას? როგორ უნდა შეხედნენ ქრისტიანობის დამა- არსებელს, ნუთუ თავიანთ ცრუ მოძღვართა იმედი აქვთ, რომელნიც ქრისტეს ჭეშმარი- ტებას არ ეთანხმებიან? ვაი, რომ დაიღია საუკუნე და დასასჯელი ცეცხლი უკვე გიზ- გიზებს.

5. გაიხსენეთ ქრისტეს სიტყვა: ჩემი მეროდ მოსვლა მაშინ იქნება, როდესაც ქვეყანაზე ზნეობა დაეცემა, მაშა შვილს ვერ იცნობს, შვილი — მამას; იქნება ომი დიდი, შემდეგ კიდევ ერთხელ იქადაგებენ ქრისტიანობას მთელ დედამიწაზეო.

6. და აი, კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, ღვთის ნებით გამოვლიძებულ იქნა მსოფლიო: ქრისტეანი და არაქრისტეანი. საუკუნეების ბურუსში ჩამალული ჭეშმარიტება კვლავ ემცნო კაცობრიობას. იმღვიძარეთ! მეტს არა- ვინ გეტყვით შესაგონებლად. დაიღია საუკუნე. იხსენით სული ეშმაკის კლანჭებიდან.

7. ეშმაკის საწინააღმდეგო იარაღებია: ნათლობა ჭეშმარიტი, მიროცხება, სინანუ- ლი, მღვდლობა, ქორწინება, ზეთისკურთხევა. ასევე ჯერის ტარება, ლოცვა, მარხვა, ქრისტიანული გარეგნობა — ქრისტიანული სამოსი, კრიალოსანი, ზატი, სანთელი, საკმეველი, სიმართლის გზით სიარული.

8. ცდუნება არის სულის განიარაღება, ეშმაკისთვის ძალის გამოვლინების საშუა- ლების მიცემა.

9. შენდობა — ღვთის ბაძვა, რომლის ნა- ყოფია წყალობა.

10. ღვთის წყალობა: ცეცხლში — წყალი, წყალში — ნაეი.

11. გმირობა — ღვთის სახელის სადიდუ- ბელი და მოყვასის გადასარჩენი თავდადება.

12. ბერმონაზვნობა — ანგელოზებრივი ჩინი, მათ სახემდე მიახლოება.

13. წმიდანი — ღვთის კანონებით პირნა- თელმაგალი, სიტყვაძალოვანი ღვთის შემ- წევობით, მკურნალი და სასწაულმოქმედი.

14. ჯადოსნობა და მკითხაობა — ღვთის საწინააღმდეგო მოქმედება. ნაყოფი მისი — სიკვდილი.

15. ქრისტიანული სათნოება არის საქმე კეთილი, რომელიც წარმოიშობა სარწმუნოებისაგან.

16. მოწყალეობა საქმენი ზორციულნი:

- ა) მშვიდობა კმევა,
- ბ) მწყურვალთა სმევა,
- გ) შიშველთა შემოსვა,
- დ) უცხოთა შეწყნარება,
- ე) სნეულთა მოკითხვა,
- ვ) პატიმართა მიხედვა,
- ზ) მიცვალებულთა დაფლვა;

17. მოწყალეობა საქმენი სულიერნი:

- ა) მოქცევა ცოდვილთა,
- ბ) სწავლება უმეცართა,
- გ) განმართეთა დაბრკოლებულთა,
- დ) ნუგეშისცემა მწუხარეთა,
- ე) მოთმინებითა ატანა უსამარლო ბისა,

- ვ) მიტყვება შემცოდეთა,
- ზ) ევდრება ღვთისადმი მოყვანის საცხოვნებლად;

18. მომაკვდინებელი ცოდვანი:

- ა) ამპარტყენება,
- ბ) ანგარება,
- გ) სიძვა,
- დ) მრისხანება,
- ე) ნაყროვანება,
- ვ) შური,
- ზ) მიმომწვლილველობა;

19. მომაკვდინებელ ცოდვათა წამალნი:

- ა) სიმდაბლე,
- ბ) მოწყალეობა,
- გ) უმანკოება,
- დ) სიმშვიდე,
- ე) მარხულობა,
- ვ) სიყვარული,
- ზ) სასოება.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ნ ს რ ა

ჭეშმარიტ ეკლესიას რჯულისკანონი ბაღებს

1. დღევანდელი ადამიანი, თავისი ცოდვების წყალობით, ისე დასცილდა ჭეშმარიტებას, რომ ეშმაკი ღვთის მაღლის გარეშე მყოფს ადვილად დასცემს ზოლმე.

2. ზოგს შეიძლება გაუკვირდეს კიდევ — ღვთის ერთგული ვარ, მლოცველი, პატიოსანი, სხვა რა უნდა იყოს კიდევ საჭირო, რათა სული ჩემი გადავარჩინო? მაგრამ დღევანდელმა ადამიანმა არ იცის უმთავრესი — თუ რამდენად სწორი რელიგიური სწავლებების მესაკუთრე იგი.

3. ეშმაკმა და მისმა მოკავშირე ადამიანებმა ისე შერყვნეს ამ 2000 წლის მანძილზე თვით სარწმუნოება, რომ ქრისტიანული რელიგია ერთიანად დააქუცმაცეს.

4. კათოლიკური ეკლესია აცხადებს, რომ მისი სწავლებაა ჭეშმარიტი, მართლმადიდებლური ეკლესიაც იგივეს ამტკიცებს. ამასვე იჩემებენ სხვანი და სექტანტებიც.

როგორ დაადგინოს კაცმა — რომელია მათ შორის ჭეშმარიტი?

5. უპირველესად, უნდა ვიცოდეთ, რომ ამ ეკლესიებიდან წმიდა და ღვთისთვის სათნო ერთია მხოლოდ.

6. თუმცადა ბევრი იჩემებს ქალწულობას, ქალწული ისაა, რომელსაც გააჩნია თავისი ქალწულებრივი კდემა, ქალწულებრივი ბეჭედი.

7. ასევეა წმიდა ეკლესიაც. იგი ისეთივეა, როგორც დაიბადა. სხვა ეკლესიებსაც არ აკლიათ გარეგანი ბრწყინვალება, მაგრამ ნიშანი კდემისა დიდი ხანია დაკარგული აქვთ.

8. ჭეშმარიტი ეკლესია ისაა, რომელიც რჯულისკანონის მიმდევარია;

9. რამდენადღაც დაცილებულია ეკლესია დიდ რჯულისკანონს, იმდენადვე მწიკელოვანია.

10. პატიოსანი მამა გარყვნილ შვილს განირიდება და შვილთა შორის პატიოსანთან დაიდებს ბინას.

11. ასევე, უფალი იქ ირჩევს თავის საყოფელს, სადაც პირველყოფილი სიწმინდეა.

12. ჭეშმარიტი ეკლესია ახლაც ისეთივეა, როგორც მოციქულებმა დააფუძნეს. მისი ნიშანი შეურყეველია. იგი დღესაც არსებობს და ასე იარსებებს საუკუნის დასასრულამდე.

13. რაც უფრო დაშორებულია ეკლესია მის პირველყოფილ სახეს, მით უფრო შორს

დგას ღმერთისგან, ღმერთს განრიდება და კი ეშმაკი ფლობს.

14. ქალიშვილი, რომელმაც დაკარგა ქალწულობის ნიშანი, უფრო მეტად ეცდება ხოლმე გარეგანი სამკაულებით „შევისოს“ თავისი ნაკლოვანება.

15. ბრწყინვალე შესახედაობის ტაძრებში კი არ არის ღვთის მადლი, არამედ ბრწყინვალედ რეკლამაციულ ეკლესიებში. ამდენად, მლოცველნი მრავალნი არიან, მაგრამ ღვთის მადლის მქონებელნი — მცირენი.

16. მადლს ის მოიპოვებს, ვინც ჭეშმარიტ ქრისტეანულ გზაზე დგას და აღასრულებს გადმონაცემს.

თ ა ვ ი ო ც დ ა ვ ე ა თ ი

შვიდი მსოფლიო სამკლესიო კრება

1. პირველი მსოფლიო კრება შედგა 325 წელს 318 წმიდა და ნეტარი მამის მონაწილეობით, ნიკეაში კონსტანტინე მეფის დროს ურჯულ არიოზის საწინააღმდეგოდ. გახსნა და ნათეყო ღვთიური საწყისის ბუნების სამპიროვნების ერთარსობა, ასწავლა მორწმუნეებს მამისა და ძისა და სულიწმიდის ერთიანი თაყვანისცემა და აღმოფხვრა ცრუმოდერება ღმერთის არათანასწორი ხარისხების შესახებ (იხ. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება, კანონი 1). ნიკეაში სულიწმიდის მიერ შეკრებილ წმიდა მამათა მიერ განსაზღვრული სარწმუნოების გარდა, არაფერ არა აქვს უფლება, სხვა სარწმუნოება შემოიღოს, წარმოადგინოს და შემოკეთავაზოს (იხ. მესამე მსოფლიო კრება, კანონი 7).

2. მეორე მსოფლიო კრება შედგა 381 წელს ასორმოცდათი მამის მონაწილეობით კონსტანტინოპოლში თეოდოსი იმპერატორის დროს. ამ კრებამ შეავსო ნიკეის სარწმუნოების აღსარება (სიმბოლო) სულიწმიდის აღსარების შესახებ, განაგდო მაკედონიოსი, რომელმაც გაბედა მუუფის ჩათვლა

მონად და რომელსაც სურდა განყოფილ ერთის (სამების) გაყოფა და დაეგო აპოლინარი, რომელიც უკეთურად ასწავლიდა, თითქოს მაცხოვარმა მიიღო სხეული სულისა და გონების გარეშე (იხ. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონი 1).

3. მესამე მსოფლიო კრება შედგა 431 წელს ორასი მამის მონაწილეობით, რომლებიც შეიკრიბნენ ეფესოში თეოდოსი არქადაის ძის იმპერატორობის დროს. კრებამ დაამტკიცა, რომ ქრისტე არის ძე ღვთისა და განხორციელებული, მისი მშობელი კი არის მარადის ქალწული ჭეშმარიტად ღვთისმშობელი. ხოლო უგუნური ნესტორიანული შეხედულება, რომ ქრისტე არის ცალკე ადამიანი და ცალკე ღმერთი, უკუაგდო (იხ. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონი 1).

4. მეოთხე მსოფლიო კრება შედგა 451 წელს ექვსას ოცდაათი მამის მონაწილეობით, რომლებიც შეიკრიბნენ მარკიანე იმპერატორის დროს ქალკედონიანში. მან დაამტკიცა, რომ ქრისტე, ძე ღვთისა ორბუნებოვანია, ხოლო ცრუბრძენი ევტიმე, რომელიც ასწავლიდა, რომ ხსნის დიდებული საიდუმლო

აღსრულდა მოჩვენებით, გააძევა ეკლესიიდან და მასთან ერთად ნესტორიც, რომელიც ამტიციებდა ბუნების გაყოფას, და დიოსკორეც, რომელიც აღიარებდა ამ ბუნებათა შერევას (იხ. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონი 1).

5. მეხუთე მსოფლიო კრება შედგა 553 წელს ას სამოცდახუთი მამის მონაწილეობით, რომლებიც შეიკრიბნენ კონსტანტინოპოლში იუსტინიანე დიდის დროს. მან განადგო ნესტორის მოძღვარი თეოდორე, ორიგენი, დიდემოსი, ევაგრე, რომელთაც განაახლეს ელინური ზღაპრბანი ზოგი სხეულისა და სულის გარდასახვისა და მიმოცვალების შესახებ და უგუნურად წინააღმდეგობდნენ მკედართა აღდგომას. ასე შეაჩვიეს თეოდორიც და წერილი მართლად სარწმუნოების წინააღმდეგ და ნეტარი კირილეს თორმეტი თავის საწინააღმდეგოდ დაწერილი და ივას სახელით ცნობილი საკრებო წერილი (იხ. მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების კანონი 1). ამ მსოფლიო კრებას კანონები არ გამოუტანია.

6. მეექვსე მსოფლიო კრება შედგა 680 წელს კონსტანტინოპოლში იმპერატორ კონსტანტინე პოლონატის დროს. განსაზღვრა რომ ჩვენ უნდა ვაღიარებდეთ ორ ბუნებრივ სურვილს, ორ ნებას და ორ ბუნებრივ მოქმედებას ჩვენს ხსნისათვის განხორციელებულს ჩვენს ერთიან უფალში, იესუ ქრისტეში, ჭეშმარიტ ღმერთში. კრებამ მიიღო და დამტკიცა სარწმუნოება, დოგმატები და კანონები მისი წინამორბედი მართლმადიდებლური მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმიდა მამებისა. დადგინდა, რომ მათ არც რამ მიემატოს, არც მოაკლდეს.

7. ამ ორი (მეხუთე და მეექვსე) მსოფლიო კრების შემდეგ, კონსტანტინოპოლის გუმბათიან (ტრულის) სამეფო პალატაში იუსტინიანე II-ის დროს, 691 წელს, შედგა კრება, რომელმაც დაადგინა 102 კანონი. მას უწოდეს მეხუთე-მეექვსე, ანუ ტრულის კრება. იგი ითვლება მეექვსე მსოფლიო კრებად.

8. მეშვიდე მსოფლიო კრება შედგა 787 წელს სამას სამოცდაშვიდი წმიდა მამის მონაწილეობით, კონსტანტინე იმპერატორისა და მისი დედის — ირინეს დროს. მან

ნათლყო და დაამტკიცა დოგმატი ხატთაყვანისმცემლობის შესახებ.

9. დიდი შუალედის შემდეგ — 869-870 წლებში მუშაობდა „კონსტანტინოპოლის IV საეკლესიო ყრილობა“, რასაც მოჰყვა „კონსტანტინოპოლის V საეკლესიო ყრილობა“ (879-880 წწ.).

10. ამ პირველსავე ყრილობაზე აშკარა გახდა დიდი წინააღმდეგობანი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის, რის გამოც ეკლესია ორად (რომისა და ბიზანტიის) გაიყო. პატრიარქ ფოტის წინააღმდეგ მიმართული წინა ყრილობის გადაწყვეტილებანი უარყო მომდევნო ყრილობამ.

11. პირველი კათოლიკური და მეორე — მართლმადიდებელი ეკლესიების სხვადასხვაგვარად ახასიათებენ ამ ორ ყრილობას. კათოლიკური მსოფლიო IV საკრებულოს VIII საეკლესიო ყრილობად ცნობს, მართლმადიდებლური კი არა.

12. შემდგომ ყრილობებს უკვე პაპები იწყებდნენ, თუმცა მართლმადიდებელნი მსოფლიო ყრილობებად არ ცნობდნენ მათ საშინაო საკრებულოებს.

13. ამრიგად, საყოველთაოდ აღიარებულია შვიდი საეკლესიო კრება (ყრილობა): 1. ნიკეის I (325 წ.); 2. კონსტანტინოპოლის I (382 წ.); 3. ეფესოს (431 წ.); 4. ქალკედონის (451 წ.); 5. კონსტანტინოპოლის II (553 წ.); 6. კონსტანტინოპოლის III (680-681 წწ.); 7. ნიკეის II (783-787 წწ.).

14. ეკლესიის გაყოფა დიდი უბედურება იყო ქრისტეანობისათვის, გაჩნდა საბაბი შერისგებისა.

15. 1095 წელს კლერმონში (სამხრეთ საფრანგეთი) ურბან მეორემ გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა. ტამარი ვერ იტყვედა ხალხს. ყრილობა გამოიღო ველზე ჩატარდა და მიიღო ოცდათორმეტი დადგენილება.

16. ამას მოჰყვა ლატერანის I, II, III ყრილობები (1123, 1139, 1179 წწ.). ყრილობა ჩატარდა ლატერანის ბაზილიკაში (რომის სასახლე-ტამარი). მთავარი საკითხები იყო ერესებთან ბრძოლა (იგულისხმება ერესის კათოლიკური გაგება. — ი.-ი), საეროებთან ურთიერთობა, კათოლიციზმის შინაგანი წყობა.

17. XIII საუკუნეში მოიწვიეს კიდევ სამი ყრილობა: IV ლატერანისა, რაც 1215 წელს ისევ ინოკენტი მესამემ მოიწვია და ერთ-ერთი უდიდესი იყო (მიიღო სამოცდაათი დადგენილება, სასტიკი დევნა გამოუცხადა ერეტიკოსებს), I ლიონისა (1245 წ.), II ლიონისა (1274 წ.). ამიერიდან ყრილობათა მუშაობაში მონაწილეობდნენ ხელმწიფებიც, მაგრამ გადაწყვეტილებანი ფორმდებოდა პაპის სახელით და „ყრილობის მოწონებით“, ამან კიდევ უფრო აამაღლა პაპობის ავტორიტეტი.

18. XV საუკუნეში ყრილობა მოიწვია ავიონის პირველმა პაპმა კლიმენტ მეხუთემ ქალაქვიენაში (საფრანგეთი) და ცნობილია მკაცრი კანონებით ერეტიკოსთა (აღმდენების, სპირიტუალების და სხვ.) წინააღმდეგ.

1414 წელს მოიწვიეს დიდი საეკლესიო ყრილობა კონსტანცაში (შვეიცარია), რომელმაც იმპერატორ სიგიზმუნდის მხარდაჭერით დაამხო ურიცხე მძიმე დანაშაულები ბრალდებული ბალთაზარ კოსა (იონანე XXIII). შემდეგ, 1417 წელს მეორე პაპიც (მაშინდელი სამი პაპიდან) აირჩიეს (მარტინ მეხუთე). ამიერიდან საეკლესიო ყრილობა იქცა მუდმივმოქმედ ინსტიტუტად, რომელიც კონტროლს უწევდა პაპის მოქმედებას და იდგა მასზე მაღლა. ყრილობამ მიიღო ხუთი დეკრეტი, კოცონზე დაწვა იან ჰუსი, რომელსაც იმპერატორმა უმუხთლა (ვერ შეუსრულა ხელუხლებლობის დაპირება). კოცონზე დაწვეს აგრეთვე იან ჰუსის მოწაფე და თანამებრძოლი იერონიმე პრადელიც. ეს იყო XVI საეკლესიო ყრილობა, ცნობილი უფრო კოსას დამხობითა და ჰუსის დაწვით, აგრეთვე ეკლესიის რეფორმით.

19. 1432-1449 წლებში, მთელი თერაპეტი წლის განმავლობაში სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობდა XVII, ბაზელ-ფლორენციის საეკლესიო ყრილობა (1437 წლამდე ბაზელში, 1439 წლამდე ფერარაში, 1442 წლამდე ფლორენციაში, შემდეგ რომსა და ლოზანაში). XVII საეკლესიო ყრილობამ დაასრულა ჰუსიტების განადგურება ჩეხეთში, დაამტკიცა კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა ფლო-

რენციის უნია, რაც უარყო მართლმადიდებელურმა ეკლესიამ.

20. 1512-1517 წლებში შედგა V ლატერანის საეკლესიო ყრილობა, რომელიც რიგით XVIII იყო. ეს მოახერხა თელოუს მეორემ. მას შემდეგ ტაძროსნებმა და ლუი XII-მ ამაოდ სცადეს ყრილობის მოწვევა პიზასა და მილანში. არც ამ ყრილობას ჰქონია წარმატება.

21. 1545-1563 წლებში მიმდინარეობდა ტრიდენტის XIX საეკლესიო ყრილობა, რომელმაც აღასრულა მთავარი მიზანი — პაპის ძალაუფლების ამაღლება (ყრილობაზე ძლიერი უფლებით, რაც კონსტანცაში დაკარგა), რეფორმაციასთან ბრძოლის გაძლიერება. შეაჩვენეს პროტესტანტიზმის დებულებები, დაამტკიცეს „ტრიდენტის სარწმუნოების აღსარება“ (ფიცის საკითხი და სხვ.), ამაღლდა ეპისკოპოსთა ძალაუფლება. ფსუიტიზმმა გაამძლიერეს ბრძოლა რეფორმაციასთან, რასაც მოჰყვა კონტრრეფორმის გაძლიერება.

22. ამის შემდეგ სამი საუკუნის განმავლობაში საეკლესიო კრება აღარავის მოუწვევია მხოლოდ 1869-1870 წლებში პიუს IX-მ მოიწვია I ვატიკანის ყრილობა, რომელმაც დაგმო კომუნიზმი თავისი „სილაბუსით“, გამოაცხადა პაპის უცოდველობის დოგმატი, მაგრამ ორი თვის შემდეგ დაემხო პაპის საერო ძალაუფლება, კიდევ ერთი თვის შემდეგ კი პაპმა გამოაცხადა საეკლესიო ყრილობის დახურვა.

23. 90 წლის შემდეგ იოანე XXIII-მ გახსნა XXI საეკლესიო ყრილობა (1962-1965 წწ.). ეს იყო II ვატიკანის ყრილობა, რომელმაც ოთხი სესიის შემდეგ, 1965 წლის 8 დეკემბერს (პაველ VI-ის დროს) დაასრულა მუშაობა. ყრილობაზე მიიღეს თექვსმეტი „სქემა“, მათ შორის ოთხი „კონსტიტუცია“, ცხრა დეკრეტი (ღვთისმსახურებაზე, ეპისკოპოსთა მოვალეობაზე, რომის კურიაზე, მისიონერობაზე, ეკუმენურ მოძრაობაზე და სხვ.), განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალი მომდგრება ლიტურგიაზე, რაც უფრო გასაგები უნდა გამხდარიყო მასებისათვის, და ახალ ვითარებასთან შეგუების შესახებ, მშვი-

დობისათვის ბრძოლის წამოჭრა. ყრილობა მიმდინარეობდა მწვავე ბრძოლის ვითარებაში ტრადიციონალისტებსა და „პროგრესისტებს“ შორის. ეკლესიის კრიზისის დასაძლევად გამომუშავდა ახალი პოზიციები და მეთოდები.

სისტემის „შორის. ეკლესიის კრიზისის დასაძლევად გამომუშავდა ახალი პოზიციები და მეთოდები.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე თ ე რ თ ე მ ე ტ ე

ზოგი რამ რჯულისკანონიდან

1. „დიდი რჯულისკანონი“ ქრისტეანული სამართლის კოდექსია და სარწმუნოებრივი ყოფის სარკე. თუკი რომელიმე ეკლესიას ნებაგვ საკუთარი ღირსება-უღირსობა შეინიშნოს, მან უნდა ჩაიხედოს ამ წიგნში და დარწმუნდეს — რამდენადც იქნება იგი დაშორებული წმიდა მამების მიერ დადგენილ კანონებს, იმდენად არა სათნო იქნება ღვთისთვის.

2. წმიდა მამათა და შვიდი მსოფლიო კრების დადგენილებანი:

ა) თუ ეპისკოპოსი, ან მოძღვარი, ან დიაკონი გატაცებული იქნება აზარტული თამაშებით, ან ღოთობაში იქნება შემჩნეული, თუკი არ დაეთხოვება მას, ღე იყოს იგი ეკლესიიდან გაძევებული.

ბ) ეპისკოპოსი, ან მოძღვარი წესიერად მონათლულს თუ ხელმეორედ მონათლავს, ან უწმინდურთაგან შებილწულს (ე.ი. არასწორად მონათლულს) არ გადანათლავს წესისამებრ, ღე იყოს გაძევებული, როგორც ქრისტეს ჯგერისა და მისი სიკვდილის მაკიცხარი.

გ) ეპისკოპოსმა, ან მოძღვარმა, რომელიც მოსანათლავს წყალში სამჯერ შთაფლვის ნაცკლად ერთხელ შთაფლავს, მიიღოს ღვთისგან სასჯელი — განიკეთოს ეკლესიიდან.

დ) გადარჩენით დაინტერესებული ერეტიკოსების ის ნაწილი, რომელიც მართლმადიდებლობისკენ მოდის, უნდა მივიღოთ შემდეგი თანამიმდევრობითა და წესით: სომეხი, მაკედონიელი და ყველა შეცდენილი ერეტიკოსი მივიღოთ ნიშნის დაღებით, რაც გამოიხატება წმიდა მირონის წაცხებით პირველ

რიგში შუბლზე, მეორე თვალზე და ცხვირის ნესტოებზე და პირზე და ყურებზე და ამგვარი ნიშანდებით მათ ვეტყვი: საჩუქარი ნიშანი წმიდა სულისა... ვღებულობთ ყველა ერეტიკოსსა და სხვათა რჯულთა, რომელიც უნდა მიემხრონ მართლმადიდებლურს. პირველ დღეს მათ ვაკცევთ ქრისტეანებად, მეორე დღეს — კათაკმეკვებად, მესამე დღეს დაგაფიცვებთ სამგზის შებერვით პირსა და ყურებში, მეორე კი ვაძლევთ ნათლილების უფლებას.

3. ეს ის ძირითადი წესებია, რომლითაც აღამიანი ქრისტეანობაში შედის, ე.ი. იმოსება ღვთის სასუფეველში შესვლის უფლებით.

4. გაისხენეთ ქრისტეს სიტყვები: „ვიცნე არ დაბადება წყლისა და სულისაგან, ის ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“ (იოან., 3, 5). ხოლო როგორ შეიძლება მათი დაბადება წყლისა და სულისაგან, ეს მოციქულებმა განგვიმარტეს 50-ე კანონში.

5. წყალში სამჯერ შთაფლვა ნიშნავს წყლიდან დაბადებულს, ხოლო მირონცხება ნიშნავს სულით დაბადებას.

6. არაქრისტეანთათვის დახურულია ღვთის სასუფეველის კარი. ამდენად, ნათლობა არის უპირველესი პირობა აღამიანის სულის გადარჩენისა.

7. ძენო აღამიანისანო! იხსენით თავი თქვენი ეშმაკის კლანჭებიდან და მიაშურეთ თქვენთვის წამებულ მაცხოვარს. მხოლოდ მაცხოვარი, ჩვენი მაცხოვარი შეგვინდობს. ისწრაფეთ და მიიღეთ ჭეშმარიტი ნიშანი ღვთისა და მით მოიპოვეთ სამარადისო სასუფეველი.

განსხვავებანი კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის

ძირითადი განსხვავებანი კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის შემდეგია:

1. კათოლიკეები პაპს უცოდველად რაცხენ.
2. კათოლიციზმი ასწავლის, რომ სულიწმიდა გამოდის მამისგანაც და ძისგანაც.
3. კათოლიკეები უარყოფენ ზიარების შედგენას სუფისკვერით.
4. ასევე უარყოფენ მძიმე მარხვებს.
5. ნათლობას ასრულებენ თავზე წყლის ჰკურებით ან წყალგადავლებით.
6. მირონცხება სრულდება 7-8 წლის ასაკის ბავშვებზე.
7. მღვდელმთავრები ზიარებას ღებულობენ ღვინითა და პურით, რიგითი მლოცველები კი — მხოლოდ პურით.
8. კათოლიკე მოძღვართათვის ქორწინება აკრძალულია.
9. კათოლიკეების საპასუხოდ მართლმადიდებლური ეკლესიის წესი და ადათი ასეთია:

კათოლიკე

ა) რომის პაპი უცოდველია.

ბ) ნათლობა სრულდება თავზე წყლის ჰკურებით, ან წყალგადავლებით.

გ) სულიწმიდა გამოდის როგორც მამა ღმერთის, ასევე ძე ღმერთისგანაც.



ნათლისღება უფლისა

მართლმადიდებელი

ა) „უცოდველია ეკლესია და არა პაპი“. „არ არსებობს აღმიანი უცოდველი“ და ვინც იტყვის — არ არის ჩემში ცოდვაო, ის მატყუარაა (ქრისტე).

ბ) ნათლობა სრულდება მხოლოდ წყალში სამჭერ მთლიანად შთაფლვით. თავზე წყლის ჰკურებით ნათლობა ნათლობა კი არაა, არამედ შებიწვება, ზამთურ ყველა სხვაგვარი ნათლობა წყვეულია მოციქულთა 46-ე, 50-ე კანონებით.

გ) სულიწმიდა გამოდის მხოლოდ მამა ღმერთისაგან. მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება ჩამოყალიბდა „მრწამსის“ სახით, სადაც ნათქვამია: მრწამს ერთი ღმერთი მამა — ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა. და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდშობილი მამისაგან, შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ქეშმარიტი ღვთისაგან ქეშმარიტისა შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისგან ყოველი შეიქმნა. რომელიც ჩვენთვის — კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდაგონდა ზეცით, და ზორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა, და ჭვარს ეცვა ჩვენთვის, მონტოელისა ბილატესზე და იენო, და დაეფლა, და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა და აბაღლდა ზეცად და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა და კელავად მონაგაღ არს დიდებით განსჯად



ქრისტეს განათვლა ფხალში

ცხოველთა და მკედართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ. და სულიწმიდა უფალი ჭეშმარიტი და ცხოველმყოფელი, რომელიც მამისაგან გამოვალს, მამისათანა, და ძისათანა, თაყვანის იცემების და იღვდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ, ერთი წმიდა საკრებო და სამოციქულო ეკლესია, აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებლად ცოდვათა. მოველო აღდგომასა მკედრებით. და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამენ.

ეს მრწამსი დაადგინა მსოფლიოს საეკლესიო კრებამ. მისი შეცვლა აკრძალულია.

10. რა აუცილებლობამ გამოიწვია სულიწმიდის ჭეშმარიტების უარყოფა ქრისტეანულ მრწამსში?

დააკვირდით, რას ბრძანებს თვით ქრისტე ღმერთი, როცა მოციქულებს ეუბნება:

11. „და მე ვთხოვ მამას, და მოგივლენთ სხვა ნუგემისმცემელს, რათა იყოს თქვენთან უკუნისამდე — ჭეშმარიტების სულს, რომლის მიღებაც არ შეუძლია ქვეყანას, ვინაიდან ვერ ხედავს და არ იცნობს მას; ხოლო თქვენ იცნობთ, ვინაიდან თქვენთანაა და თქვენში იქნება“ (იოან., 14, 16-17).

12. და კიდევ:

„ხოლო ნუგემისმცემელი სული წმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რაც ვითხარით“ (იოან., 14, 26).

რას ამბობს პირველი აბზაცი?

და ვთხოვ მამას და მოგივლენთ სხვა ნუგემისმცემელსო, რაც ჭეშმარიტად სულიწმიდაზე მიახლოებებს. შემდეგ ქრისტე განმარტავს: ჭეშმარიტების სულსო. და იგი სული ჭეშმარიტებისა რომ მამაშია, ქრისტე თვითონ ბრძანებს: მე ვთხოვ მამასო.

13. მამასადამე, სულიწმიდა უეჭველად მამაშია და მამისგანვე ყოფილა გამოშავალი.

14. მამ, რა საბუთს დაეყრდნენ კათოლიკეები, როცა ბრძანებს: სულიწმიდა ძესაც გამოეყოფათ? იხილეთ იოანე, 20, 22:

15. ქრისტე ელაპარაკება მოციქულებს:

„ეს რომ თქვა, შეუბერა და უთხრა მათ: მიიღეთ სული წმიდა“. აი, რას ეყრდნობიან კათოლიკეები.

16. გაიხსენეთ ქრისტეს სიტყვები: „მე ვთხოვ მამას, და მოგივლენთ სხვა ნუგემისმცემელს“. დე იყოს თქვენთან სამარადჟამოდო.

17. ე.ი. როდესაც ქრისტე ღმერთი გამოსთხოვს მამას, რათა სულიწმიდა გადმოვიდეს მათზე, ამის შემდეგ იგი ლოცავს მათ: სულიწმიდა მუდამ იყოს თქვენთანო. ეს ნიშნავს, რომ, როდესაც ადამიანი სულიწმიდას იღებს, იგი არის მისი მატარებელი.

18. შეუძლია თუ არა სულიწმიდის მატარებელ ადამიანს სხვასაც მოჰფინოს სულიწმიდა?

19. რა თქმა უნდა, შეუძლია. როდესაც სულიწმიდის მატარებელი ადამიანი გადასცემს მეორე ადამიანს სულიწმიდის მადლს, თავად იგი არ იცლება სულიწმიდის მადლისაგან.

20. ამიტომ იყო, რომ მოციქულები აფრთხილებდნენ თავიანთ მოწაფეებს — არ იქაროთ კაცის ხელდასხმა, ხანამ კარგად არ შეისწავლით და არ გაიცნობთო.

21. დააკვირდით, როდესაც ქრისტე ღმერთმა სული შთაბერა მოციქულებს და უთხრა — მიიღეთ სულიწმიდაო, ეს ტოლი იყო ხელდასხმისა, რითაც კაციდან კაცს გადაეცემა სულიწმიდის მადლი.

22. ასევე, ქრისტე ღმერთიდან გადმოსული სულიწმიდა მამა ღმერთიდან მომდინარეა ეჭვიმოტანლად.

23. აი, აქ არის კათოლიკური ეკლესიის შეცდომა. მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების შეცვლა და მისი გადაკეთება არ შეიძლება. ეს კანონები სულიწმიდის ნიჭით დაიწერა. როგორც ქრისტე ამბობს: „სულიწმიდა, რომელსაც მამა მოავლენს ჩემი სახელით, გასწავლით და მოგაგონებთ ყველა-

ფერს, რაც მე გითხარით“ (იოან., 14, 26).

24. ჩვენ ვსვამთ წყალს, ერთმანეთსაც ვასმევთ, მაგრამ წყაროს სათავე როდი ვართ. ჩვენ მხოლოდ მაშინ ვსვამთ წყალს, როცა მივიღებთ. თუ სათავიდან წყარო არ გადმოდინდა, დაურწყულებლები დაერჩებით, რადგან არა ვართ სათავე წყაროსი.

25. სულიწმიდის სათავე მამა ღმერთია მხოლოდ. ამიტომაც შესთხოვა მას ძემ, რომ ის წყარო მოციქულთათვის ესმია.

დ) მირონცხება 7-8 წლის ასაკში ხდება.

ე) კათოლიკე მოძღვართათვის აკრძალულია ქორწინება.

დ) მირონცხება ხდება წყლიდან დაბადებისთანავე ასაკის განურჩევლად წისცხებენ ხოლმე მირონს.

კათოლიკეები ვერ უარყოფენ სახარებაში ნათქვამ ქრისტეს სიტყვას: „ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შეეა ღმრთის სასუფეველში“ (იოანე, 3, 5).

მაშ, ვის კისერზეა ნათლობად უსრულებელი მილიონობით გარდაცვლილ ბავშვთა სულების ცოდვა, რომლებიც ღმერთს დაუკარგეს?

ე) მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთათვის ქორწინება არ არის აკრძალული, მაგრამ არიან შავი სამღვდლოების წარმომადგენლები, რომლებსაც იგი ეკრძალებათ.

26. ქრისტემ დაქორწინებული მამაკაცები აირჩია მოციქულებად და პირველ მოძღვრებად დედამიწაზე.

27. იბადება კითხვა: რატომ დართო ქრისტემ მათ ქორწინების უფლება?

28. პასუხი ძნელი როდია: საქმის დასაწყისში მოსათმენი იყო საშელავათო ოჯახური მდგომარეობა კანონის გამკაცრების მოლოდინით, რამეთუ ყველა როდი შეძლებს უქორწინებულ ცხოვრებას. ბერული ცხოვრების მოსურნე ერთეულებია. და აი, მოძღვარს რომ არ ეცოდებოდა, მას ღმერთმა დართო ცოლის შერთვის ნება.

29. რამ განაპირობა ეკლესიებში მემრუშე მოძღვართა მრაველობა?

სწორედ ამ „უქორწინობის“ მტკიცე მოთხოვნამ.

30. ქრისტემ კი მოძღვრებად და პირველ ეპისკოპოსებად სწორედ დაქორწინებულნი, ოჯახის მქონე მამაკაცები აირჩია. ხოლო როდესაც ქრისტეანობამ ფესვები გაიმავრა, დადა საკითხი კანონის გამკაცრების შესახებ მხოლოდ რიგით ბერს, ეპისკოპოსსა და შავი სამღვდლოების წარმომადგენლებს აეკრძალა ცოლიანობა.



ცოდვის მიტევება მხოლოდ ჭეშმარიტ მკლესიაშია

1. მიწიერი ადამიანი თავს ვერ აარიდებს ცოდვებს. იგი ჯერ კიდევ დედის მუცლიდან იბადება ადამისა და ევას ცოდვილ ნაშიერად. შემდეგ კი მისი ცხოვრების მანძილზე, ნებისთი თუ უნებლიეთ, ცოდვას ცოდვებზე იძენს.

2. ცოდვა არის ისეთი უკანონო მოქმედება, რომელიც დასაღუპავად ამზადებს ადამიანის სულს. თუ ადამიანს ცოდვები არ მიეტევება, მისი ცოდვების სიმრავლე დასცემს მასაც და ქვეყანასაც.

3. სწორედ ეს ცოდვათა სიმრავლე იყო მიზეზი ნოეს დროინდელი წარღვნისა, ორი დიდი ქალაქის – სოდომისა და გომორის ცეცხლით შთანთქმისა.

4. ქრისტეს შობამ და მისგან გაღებულმა სისხლმა იხსნა კაცობრიობა ცოდვათაგან.

5. ქრისტეანული ნათლობა არის სწორედ ისეთი საეკლესიო საიდუმლო მოქმედება, რომლითაც ადამიანი განიბანება როგორც პირველყოფილი, ასევე შეძენილი ცოდვებისაგან და ღვთის წინაშე წარმოჩინდება ანგელოზივით წმიდად, რადგან მასში უკვე არ არსებობს ცოდვის ნატამალიც კი. დროთა განმავლობაში ეს წმიდა ქრისტეანული სამოსი ჭეჭვიანდება, მაგრამ საკმარისია გულწრფელი აღსარება და მონანიება რკულიერი მღვდლის წინაშე, რითაც მოგეტყება ცოდვა.

6. ამის საშუალება ქვეყანაზე მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტეანს გააჩნია. ეს ფასდაუღებელი საგანძური სულის გადარჩე-

ნისა მხოლოდ ქრისტეანის ხელშია. ვერც ერთი სხვა რელიგიის წარმომადგენელი ცოდვას ვერ განირიდებს, რადგან იგი არ ცნობს მესიის დაღვრილ სისხლს გადამრჩენელად; თუმცა ქრისტემ სისხლი ყველასათვის ერთნაირად გაიღო.

7. რამდენადაც ღმერთი ერთია და იგი ყველას ეკუთვნის, ასევე ღმერთის ძეც ერთია და იგიც ყველას საკუთრებაა ჩვენდა სახსენლად მოვლენილი.

8. ღვთისკენ მიმავალი გზა ერთია მხოლოდ და ისიც ყველასათვის ხსნილია სულის გადასარჩენად: ამ გზას ისევ მართლმადიდებლობა ჰქვია.

9. დაეწაფეთ სიცოცხლის წყაროს, ვიდრე იგი უსასყიდლოდ გემღვეათ. დრო მოვა და მერე სასყიდლითაც ვერ მოიპოვებთ იმას, რაც ასე იოლად ხელმისაწვდომი გაქვთ სადღეისოდ.

10. საუკუნეების მანძილზე შეცდენილი ვიღუპავთ თავს და ვღუპავთ კაცობრიობას. გულდაჯერებულნი იმით, რომ ვართ ქრისტეანები და ცოდვები მოგვეტყება, ვცხოვრობთ არხეინად. სინამდვილეში კი ვართ ერეტიკოსნი, შეცდენილნი, კანონების უარმყოფელნი, რეფორმატორები, წყალპურებით გატყეული ნათლობის მპყრობელნი და შემწყნარებელნი. რის გამოც დავარჩით შებიღწულნი, არაქრისტეანენი და არც არა მოგვეტყება რა. აი, ის დღევანდელი დაბნეულობა და ცოდვების სიმრავლე, რამაც განაჩენი გამოუტანა კაცობრიობას. აი, ქვეყნის დასჯის მიზეზი!



„შრჯულოების საიდუმლო“ პროგრამის არსი

1. ადამიანი რომ ქვეყანაზე გამეფდა და ეშმაკის მოძღვრებით ღმერთობა ინდომა, ეს სხვას არას ნიშნავს თუ არა ცხოვრების დასასრულამდე ეშმაკის თანადგომას.

2. რა არის ეშმაკის ნება? რა სურს მას? მან იცის, რომ ადამიანისათვის ერთხელ ბოძებული სიცოცხლე წარმოადგენს დაკარგული უკვდავების დაბრუნების შანსს და ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, დააბრკოლოს იგი ამ საღვაწო სარბიელზე. მისი ხელწერა ამგვარია:

3. საქვეყნოდ ბადებს სიცრუეს და ამტკიცებს ამ სიცრუეს როგორც ჭეშმარიტებას. ეშმაკის ღვეიზია: მეტი გასავალი სიცრუეს! ჭეშმარიტება ამ დროს მიჩქმალულია, როგორც ნავევში ფასეულობა.

4. ცდილობს ადამიანების პატივმოყვარეობით აღზრდას, რადგან იცის, რომ ნაყოფი მისი ცვეცხლია.

5. ასევე ნებას ყველა რელიგიის გაქაჩება და დამცირება, რაც გამოიწვევს ამაყი საზოგადოების მიერ გამასხარაებულ რელიგიისადმი ზურგის შექცევას.

6. კრძალავს ლოცვა-მუდარას ღვთისადამი, სანაცლოდ სთავაზობს ღვინით, ნარკოტიკებით, გარყვნილებით, ჯაზომანიით, ფანატიკური სპორტით, ტამ-ფანდურით გაბრუნებას, რაც ხელს შეუწყობს უმთავრესის დაეიწვებას.

7. გზას უსწინს ყველას თანამდებობრივი მწვერვალებისაკენ. მაშინ არაეინ დაგიდევთ თავის ღირსება-უღირსობას. მეპურე წაღების კერვას იწყებს, მეწაღე პურს აცხობს, საკუთარი სურვილების მონა ხალხის ბატონი ხდება. კარიერისაკენ მიმავალი გზის ჭიშკარს რომ ყურთამდე გააღებს, მაშინ უეცთა ბრბო გადათელავს ამ გზაზე მავალ თითო-ორთლა ღირსეულს. ეს კი ნიშნავს — ღომთბა შესთავაზონ ტურას, არწივობა — ბელურას.

უეცთა სამართალი ხომ სხვა არაფერია, თუ არა ქაოსი და სიცრუე, რადგან სიბრძნე შორს არის უეცისაგან. ყოველივე ამის მიმდევარი მომლოდინეა სამარეამო ცეცხლისა.

8. ასევე ამრავლებს ხორცის სასიამოქმედებებს. მუსიკის უზამსი ტექსტები და ნერვული რიტმები ადვილად მოაქცევს მათ ექსტაზში.

9. საჭიროდ მიაჩნია ყოველნაირი ცეკვის განვითარება, რომელიც სექსუალურ ემოციებზე იქნება აგებული, რაც გამოიწვევს ადამიანის სულიერი კავშირის რღვევას რელიგიურ ნორმებთან. ამგვარად დამუსტულებს კი მერმედ არ შესწევთ უნარი მორალზე ფიქრისა.

10. მოდამ, რომელმაც დიდი ხანია პრონოგრაფიაზე დაფუძნებით დაიწყო ადამიანში სექსუალური რევოლუცია, გონების თვალის დაბნდა, ჩვეულებრივ თვალეებში არეკლილმა თვალსაჩინოებამ უჩინო ქმნა საჩინო — ცხოვრების ის წესი და რიგი, რითაც ადამიანი უნდა დასხლტომოდ ეშმაკს.

11. სპორტი უნდა გახდეს შიშველი აზარტი და ასე უნდა იქცეს იგი ნარკოტიკულ საშუალებად. იფლანგება უმთავრესისათვის ბოძებული სიცოცხლე.

12. ეშმაკისათვის ყველა რელიგია როდია საბრძოლო ობიექტი. იქ, სადაც არ ეშმაკურებიან სულის გადარჩენას, ეშმაკს არა აქვს რა საბრძოლო, რადგან თვით ეშმაკების მოკავშირეებმა შექმნეს იგი.

13. ღვთისაგან განწირულია ერი, რომელსაც არა აქვს ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ რეჟულისკანონზე დაფუძნებული ეკლესია. როგორც ფრენას ვერ შეიძლებს ბუმბულგატლილი ფრთები, ასევე საეკლესიო შეიდი საიდუმლოს გარეშე ეკლესია ფუნქციადაკარგულია.

14. ერესი პირველი საშუალებაა ეკლესიის დაცემისა. ერეტიკულ ეკლესიაში ადვილად შეუშვებს ხოლმე თავის თვალხილულ მოკაეშირეებს დიაკვნებად, მღვდლებად, ეპისკოპოსებად. ეს კი გამარჯვებას ნიშნავს, იწყება ეკლესიის რღვევა საკურთხეველიდან.

15. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ქალღმერთით, ფულით, ჯადოსნობით, სასმელით, აზარტული თამაშით! აი ეშმაკის მანქანება.

16. მღვდელმსახურნი თავიანთი ქცევითა და მოქმედებით გამოცნობიან. დააკვირდით მათ ოჯახებს. არიან თუ არა კანონის შემსრულებელნი!

17. ვინაიდან ყველა რელიგია (გარდა ქრისტეანულისა), წყლის მნაყელია, ეშმაკი სწორედ აქ ნებივრობს.

18. ქრისტეანული რელიგიის დაფუძნების პირველსავე დღეებში სატანა 1000 წლით დააბა ქრისტემ. ამ ათასი წლის მანძილზე, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, მსოფლიოში ვრცელდებოდა ქრისტეანობა და მრავალი იყო ქრისტეს წმიდანიც.

19. ათასი წლის შემდეგ სატანამ აიშვა და სწრაფად იწყო ქრისტეანული რელიგიის დაქუცმაცება, ერესის შეტანა ძველ ქრისტეანულ რელიგიაში.

20. ეშმაკი ცდილობს, ეკლესიამ დაკარგოს თავისი დანიშნულება – ვერ დაბადოს ქრისტეანი, ე.ი. არ აღსრულდეს ნათლობა. და თუკი მაინც იარსებებს, იყოს ყალბი ქმედება, რომელიც არ გამოიწვევს ნათლობის საიდუმლოს აღსრულებას; ადამიანს ეგონება, რომ ის მონათლულია, ხინამდელიეში კი მოტყუებულად დარჩება.

21. თუ ზელეწიეთა, სატანას აინტერესებს, რომ საერთოდ მოიხსოს ნათლობა, რათა შეწყდეს ქვეყანაზე ქრისტეანთა დაბადება, რათა გაუქმდეს ქრისტეს ის ბუჭილი, რომელიც იძლევა სამარადეთამო ცხოვრებაში შესასვლელ საბუთს. სასურველად მიაჩნიათ ადამიანი ერწმუნოს მხოლოდ ხორციელ დაბადებას – დედის მუცლიდან შობას და ამას დასჯერდეს.

22. მაგრამ სატანამ იცის რა, რომ ადამიანის სული ეძიებს ხსნას და ითხოვს ნათლობას, იგი სთავაზობს მას ერეტიკულ ეკლესიას, რათა ვერ იქნეს შემძლებელი ჭეშმარიტი ნათლობის მიღებისა. მისი მიზანია ასევე:

23. მღვდლით ქორწინება შეიცვალოს უმღვდლო ქორწინებით.

24. ეს კი ნიშნავს, რომ ცოლ-ქმარი ღვთის წინაშე მემორუშვებად წარმოჩინდეს, მათი შეილები კი – ნახუშრებად.

25. მიცვალებულთა დაფლავაც უმღვდლოდ ნებათ აღსრულდეს, რათა არ მიეცეს შეღავათი გარდაცვლილის სულს და გახდეს ჯოჯოხეთის ტყვე.

26. საბოლოო მიზანი ეშმაკისა კი ამგვარია: მოახდინოს მსოფლიოს ქრისტეანთა გაერთიანება, რაც ნიშნავს ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესიის დაცემას, ყველა საიდუმლოს გაქრობას. უმთავრესი დევიზია: დოგმატებისა და გადმონაცემთა კომპრომისის ხარჯზე მსოფლიო რელიგიათა ინტეგრაცია!

27. არც ერთ ეკლესიას არაფერი აქვს დასაკარგი, გარდა ძველმართლმადიდებლურისა, რადგან ყველა დანარჩენი ეკლესია ერეტიკულია.

28. ეს გაერთიანება საბოლოოდ გამოიწვევს რეულისკანონის გაუქმებას, რაც ჩაითვლება წმიდა მამების მიერ დადგენილი ეკლესიის საწინააღმდეგო მოქმედებად. როგორც ამბობენ, მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ითანე მიიღებს მონაწილეობას მათდა პირის დასაყოფად.

29. გაერთიანებისთანავე ადგილობრივი საპატრიარქოები დაკარგავენ ძალაუფლებას, რის შემდეგაც მსოფლიოს ქრისტეანული ეკლესიები დაექვემდებარებიან ანტიქრისტეს, მსოფლიო პატრიარქსა და მსოფლიო მეფეს.

30. ანტიქრისტე იტყვის, რომ ის არის თვით მესია, ყველას მამა და ამიტომ მოითხოვს ყველას თავყვანს. იგი ჩაიდენს სასწაულებს, მისი შემხედვარე კი იფიქრებს.

ღმერთი, ასეთი სასწაულის ჩადენა ვის ხელეწიფებდა.

31. ამ დროისათვის იერუსალიმში ელოდებოდა ორი დიდი წინასწარმეტყველის — ელიასა და ენუქის ჩამოსვლას ციდან. ისინი შეებრძოლებიან ანტიქრისტეს და გამოაპსკარავენ მას როგორც ცრუ ბელადს.

32. ანტიქრისტეს ეძლევა საშუალება იმ ორი წინასწარმეტყველის მოკვდინებისა, რაც გამირებად წარმოაჩენს მათ. ელია და ენუქი სამ-ნახევარი დღის განმავლობაში ქუჩაში ეყრებიან ხალხის დასანახავად, შემდეგ კი ღმერთი მათ გააცოცხლებს და ისინი ცაში იქნებიან ატაცებულინი.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე თ ს უ თ მ ე მ ტ ე

რელიგიური მომენტები

1. ქრისტესდროინდელ ებრაელებს ეგონათ — შესაძლებელი იქნებოდა რომაელების ბატონობისაგან.

2. შესაძლებელი იქნებოდა — მან საკუთარი სისხლით ჯოჯოხეთიდან გამოისყიდა მიცვალებულთა სულები; აგრეთვე, კაცობრიობას მისცა ახალი დაბადება ქრისტეანული ნათლობით, რომლის მეორებითაც ადამიანს მიეტევა ადამისა და ევას ცოდვა, რომელიც დედის მუცლიდან ჰქონდა გამოყოლილი. ასე დათრგუნა მესიამ სიკვდილი საკუთარი სისხლით და დაბეჭდა ცოდვა. ნათლობით სასუფეველში შესასვლელი ბეჭედი დაადო ადამიანთა სულებს სამარადქამოდ.

3. ქრისტე მოვიდა ქვეყანაზე. როგორც საღვთო რჯულში იყო გაცხადებული, დაანთხია სისხლი და შეუქმნა უფალს ტაძარი სასურველი. როგორც იყო ნაუწყებო, ჩავიდა ჯოჯოხეთში და ეშმაკთ უმტერია დიარენი, კაცთა სულის სახსნელად გააუქმა ადამისა და ეშმაკის ხელშეკრულება და ამრიგად ყველას გზა გაუხსნა უფლისაკენ თავთავიანთი ცოდვა-მადლის მიხედვით.

4. ვის უტვინოდა უმეტესი გონიერული გამირობა? თუკი წარსულში ფრინველისა

დაიწყება ხალხთა მღელვარება, აღსდგებიან ერთმანეთის წინააღმდეგ, ცეცხლითა და მახვილით დაანგრევენ ქვეყანას. მთაც არ დარჩება უძვრელი.

34. მთავარანგელოზის საყვირის ხმაზე აღდგებიან მიცვალებულნი. უწინარეს ქრისტე განგმირავს ანტიქრისტეს, ხალხი იხილავს — თუ რა დღე ელით ღვთის ორგულებს.

35. ვიდრე ყველაფერი ეს მოხდებოდეს, ეშმაკი არ დააკლებს კაცობრიობას ზემოთ ნაუწყებო პროგრამის მიხედვით გაძღოლის მცდელობას. მხოლოდ კეთილნი მოეგებიან გონს.

და საქონლის შეწირვით — მათი დაღვრილი სისხლით შეიძლებოდა ჩადენილი ცოდვების მიტევა, ამჟამად თვით ქრისტემ მიიტანა საკუთარი სისხლი სამსხვერპლზე კაცთა სახსნელად. ქვეყნიერების ცოდვის-სიმძიმე გადაიწონა ღვთის უწმინდესი სისხლით, ადამიანთა სულებს გზა გაეხსნა სასუფეველისაკენ.

5. ჯვარცმის წინ ქრისტემ გააფრთხილა კაცობრიობა: „... თუკი არ შეჭამთ კაცის ძის ხორცს, და არ შესვამთ მის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში. ხოლო ვინც ჭამს ჩემს ხორცს, და სვამს ჩემს სისხლს, ექნება საუკუნო სიცოცხლე, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს“... (იოან., 6, 51-58).

6. ასე დაელო საფუძველი იმ შეიდი საიდუმლოდან ერთ-ერთს, რომელიც წმიდა ეშმაკისტიად, ანუ ზიარებად იწოდება.

7. როგორც მშობიერს მოკლაგს შიმშილი და მწყურვალს — წყურვილი, თუკი არ მიიღო საზრდო, ასევე ქრისტემ ხორცი თვისი მისცა მსხვერპლად კაცობრიობას, რამეთუ იყო იგი ქვეყნიერების პური.

8. ვინაც კაცობრიობისათვის სამსხვერპლოზე მიტანილი ქრისტეს სისხლი და ხორ-

ცი არ ინება სულის საზრდოდ, იგი შეეწირა უმეტრებს, რადგან განხმა სული მისი საზრდოს გარეშე.

9. ამიტომაც ბრძანა მაცხოვრებელმა: ვისაც არა ჰყავს ძე (ე.ი. ქრისტე), მას არა ჰყავს მამა (ე.ი. ცაბათი — ქვეყნის შემოქმედი ღმერთი).

10. რომელმაც უარყო მესია ძე ღმერთად და კაცობრიობისათვის დანთხუელი მისი წმიდა სისხლი არარად ჩათვალა,

11. მას არად ჩათვლის მამა ღმერთი — ქვეყნის შემოქმედი და იქნება იგი უარყოფილი ისევე, ვითარცა ქრისტე უარყოფილ იქნა მისგან.

12. მხოლოდ უგუნურს დაეკუთვნება მის — ქრისტეს მკვლეელი სათნოდ ჩნდეს მისი მამის — ცაბათი ღმერთის თვალში.

13. ქრისტემ ბრძანა სახარებაში: „მე ვარ კარი სასუფეველისა, შემსვლელი ჩემგან შემოვა, ვინაც ეცდება ფანჯრიდან შემოსვლას, მპარავია ის“. მპარავი კი დაისჯება.

14. ქრისტე მხოლოდ ებრაელთა სახსენებლად როდი მოვიდა, იგი წარმართთა ღმერთიც იყო, რამეთუ მათ ირწმუნეს მისი ლთაებრიობა.

15. კაცთა სულის სახსენებლად მან დააუქმნა ღმერთისათვის სათნო ტადარი, რომელიც: ა) ნათლისცემითა და მირონცხებით ბადებს ადამიანს სასუფეველში შესვლის უფლებამოსილებით, ხსნის დედის მუცლიდან თანდაყოლილ ადამის ცოდვასაც კი.

ბ) აღსარებითა და ზიარებით ათავისუფლებს შეძენილი ცოდვებისაგან.

გ) ქრისტეანული ქორწინებით ამტკიცებს ოჯახს.

დ) ზეთისკურთხევით ანიჭებს ხორცსა და სულს კურნებას.

ე) ქრისტეს ცხოვრების მიბაძვით გვაძლევს სულის გადარჩენის საშუალებას.

ვ) ქრისტეანული ღვთისმეტყველებით, მარხვით, სიმათლითა და წყალობით სათნოდ წარმოგვაჩენს ღვთის წინაშე. აი, რა არის ეშმაკის საწინააღმდეგო იარაღი.

ჯვარი ქრისტესთვის კაცობრიობის ცოდვების აღმოსაფხვრელი და ეშმაკთა ძლევის საჭურველია.

16. ყველა რელიგიათა შორის რომელი რელიგია წარმოადგენდა სულის გადამარჩენელ ჭეშმარიტ მოძღვრებას?

17. ქრისტემდე მხოლოდ — იუდაიზმი, ქრისტედან კი — ახალ აღქმანზე დაფუძნებული ქრისტეანული რელიგია.

18. თუკი სხვა რომელიმე რელიგია დაიჩემებს ამას, მამის უნდა გადაეხედოთ მსოფლიოს ხალხთა ისტორიას. მოვიგონოთ ებრაელთა გამოსვლის მომენტი ეგვიპტიდან.

19. როცა გაწარმართებული ერები თავყვანს სცემდნენ კერპებს, ბუდას, ჰერმესს, არტემიდას, ოსირისს, ებრაელი ერი უჩოქებდა მხოლოდ ქვეყნის შემოქმედ ღმერთს — ცაბათს. მისი რჩეული შვილებს, საუბრობდნენ ღმერთთან და წინასწარმეტყველებდნენ ხვალინდელ დღეს.

20. წარმართთა მაგიური ხელოვნება, ეგვიპტური იქნება ის თუ ინდური, ვერ იმსახურებს უფლის წყალობას, იგი რისხვის ჭეშმ იმყოფება.

21. რელიგია, რომელიც თავს იწონებს ჯადოსნობით, ჭეშმარიტების წედომის ერთნებადართულ საშუალებად მიიჩნევს მკითხაობას, უმაღლეს ღირსებად წარმოაჩენს მიცვალებულთა სულებთან საიდუმლო დიალოგს, არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ რელიგიად. ამგვარი რელიგიის მპყრობელს ერს ღმერთი მოსრევით უშუქრება.

22. მამ, თუკი ღმერთი ამგვართა დამსჯელი და მოძულე ყოფილა, რანაირად შეიძლება ამაყობდეს ღვთისაგან გარიყული თავისი რელიგიით?!

23. ქრუშუმბსაც კი უწინასწარმეტყველებით ქვეყნაზე მესიის მოსვლა, ქალწულის მიერ ღმერთის ძის დაბადება, მისი ჯვარცმაც კი.

24. რანაირად შეიძლება კაცობრიობამ რელიგიურ მოძღვრებათა შორის იწამოს

ღვთით დაწუნებული მოძღვრება, ღვთით მოწონებული კი განირიდოს?

25. მოსეს მიერ მოჭანილი რელიგია ქრისტეს მოსვლამდე ვინც უარყო, უარყოფილი იქნა ქვეყნის შემოქმედი ღმერთისაგან.

26. და ვინაც არ ისმინა მოსეს სიტყვა მების — მაშიაღისადმი თაყვანისცემის შესახებ, ისიც უარყოფილი იქნა ქვეყნის შემოქმედი ღმერთისაგან.

27. მოვიდა ის, თვით მოსეს მიერ მინიშნებული მესია, რომლის მობრძანებას მრავალი წინასწარმეტყველებდა.

28. მოვიდა და დაბადა ახალი რელიგია — უპირველესად ებრაელთათვის, იწოდა იგი ქრისტეანულად და იქცა მსოფლიოს ხალხთა რელიგიად, რადგან ღმერთს მხოლოდ მისი შვილის ხელიდან მორთმეული ტაძარი ენება, როგორც ამას წინასწარმეტყველი იუწყებოდა.

29. ფრანგი სწავლული შურე თავის წიგნში გვაწვდის ეგვიპტის დამპყრობლის კამბიზის (ძვ. წ. მე-6 ს.) კოსმოური ლოგოსის — ქრისტეს ხილვის ტექსტს:

30. „უსასრულო სიერცემი იხილა ვარსკვლავი... ვარსკვლავი ოქროს მზედ იქცა. მისი სხივები მთელ სამყაროს მოიცავდა თითქოს. იგი ახლოვდებოდა და შიხს ყვითელ ალში გამოიკვეთა შავი ჯვარი, ჯვარზე კი ჯვარცმული ღმერთი. ჯვარცმული დიდდებოდა და მზის მთელი დისკო დაფარა. მას ხელ-ფეხიდან სისხლი სდიოდა, უსიტოცხლო სახეზე მთელი სამყაროს სევდა აღბეჭდვოდა;

მაგრამ უეცრად ჯვარცმულმა თავი ასწია და თვალები გაახილა. მკრთალი სხივი გამოუქრთა თვალთაგან და შუბლზე დაეცა კამბიზს. ეს იყო სიყვარულისა და შებრალების გამოხედვა“... შემდეგ კამბიზს ჩაესმა: „ძრწოდე, არიშანო! მუხლი მოიდრიკეთ, მეფენო! მოკვებო, გუნდრუკი უკმით, მოსვლას აპირებს იგი, ზეციდან ჩამოდის მეუფე მეუფეთა, უზენაესი ღვთაების სხივმოსილი ძე. ღმერთი და კაცთა უფალი იგი მიწაზე ივლის, ჯვარს ეცემება, სიყვარულისთვის მოკვდება და დიდებით აღდგება მკვდრეთით“.

31. ქრისტეს დაბადებამდე ექვსი საუკუნით ადრე კამბიზისმიერი ხილვა განა ერთხელ კიდევ არ შეასწავნებს ცრუ რელიგიათა მპყრობელებს ქრისტეანობის ჭეშმარიტებას? განა მესიის თავგანწირვა ერთნაირად არ ეკუთვნოდა ყველას — არაბსა თუ ინდოელს, ბერძენსა თუ იუდეველს, ქართველსა თუ სლავს?

32. ვინაც არ იღო ნათელი მამა ღმერთის, ძე ღმერთისა და სულიწმიდის სახელით, ის დარჩა სიტოცხლის მიღმა. წინასწარმეტყველი ბრძანებს, ქრისტესადმი რწმენაშია ყველა რჯულის ხსნაო.

33. რა დარჩენია კაცობრიობის მოდგმას, თუ არა გონს მოეგოს, ჩაიხედოს ჭეშმარიტებაში და განუდგეს ეშმაკის მიერ შემორჩეული ცრუ რელიგიის მსახურებას, რადგან, წარწყმედის გარდა, სხვას არას იმსახურებს იგი. დაიჯერეთ, მეორედ მოსვლის ფაშს სამინველ სამსჯავროზე მესიის ხელში იქნება ცოდვა-მადლის განკითხვა.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე თ ე მ ა მ ს მ ე ტ მ

ს ს ვ ა ვ ვ ა რ ა დ მ ო ა ზ რ ო ვ ნ ე მ კ ლ ე ს ი ა ტ ა მ ი ვ ა რ თ

(ბაპტისტების შესახებ)

1. ბაპტიზმი არის პროტესტანტიზმის ნაირსახეობა. იგი XVII საუკუნის დასაწყისში შექმნეს ანგლიკანების მიერ ღვენილმა

მორწმუნეებმა, რომლებსაც ჰოლანდიაში მოუხდათ გაქცევა და იქ 1611 წელს გამოუშვეს თავიანთი დებულება. ბაპტისტები სხვა

პროტესტანტებზე უფრო თანამიმდევრულად იცავდნენ „სულთა ხსნის“ პრინციპს მხოლოდ საკუთარი რწმუნის წყალობით.

2. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ღვთაებრივ გამოცხადებას და სწამათ ღმერთთან მისტიკური კავშირის შესაძლებლობა, განგება, ქადაგება წმინდა მორალისა. ისინი მოითხოვდნენ რეალურმწიფარებლობას, ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. უარყოფდნენ სატებს, წმიდა ნაწილებს, ჯვარცმას, მდიდარულ შემოსილობას.

3. მათი წესია საზოგადო ღოცვა, საუბრები, გალობა, „ნათლავენ“ მოზრდილებს (შეგნების ასაკში), აღნიშნავენ შობას, აღდგომას, საშობის დღესასწაულს, მოსავლის დღეს.

4. სარწმუნოების ერთადერთ წყაროდ თვლიან ბიბლიას. ბაპტისტთა ერთი ნაწილი ემხრობა კალვინიზმს და თვლის, რომ ღმერთმა ადამიანთა უმრავლესობა „დასაბამითვე“ გაწირა დასალუპავად და ქრისტეს შეუძლია მხოლოდ „რჩეულთა“ ხსნა. ამას ამტკიცებენ „კერძო“ (პარტიკულარი) ბაპტისტები; უმრავლესობა კი — „ზოგადნი“ ქადაგებენ, რომ ღმერთი ცოდვებს შეუნდობს ყველას, ვისაც ქრისტე სწამს.

5. 1944 წელს ბაპტისტები შეუერთდნენ ევანგელისტებს.

განეხილეთ სადავო საკითხები:

6. ბაპტისტები ამბობთ, რომ ღვთისმშობელს არ ეცემების თაყვანიო.

ბიბლია კი მიგვითითებს:

7. „ამიტომ თავად მოგვემს მუფე ნიშანს: აჰა, მუცლადილებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს“ (ეს., 7, 14).

8. ძე თუ ვინ არის, ისმინეთ სახარებიდან: „... რადგან, ვინც მასში ჩასახულია, სულის წმიდისაგან არის“ (მათ., 1, 20).

9. „მიუგო ანგელოზმა და უთხრა მას: სული წმიდა გადმოვა შენზე, და უზენაისი ძალა მოგიჩრდილებს შენ. და ამიტომაც ღმერთის ძედ იწოდება წმიდა შობილი“ (ლუკ., 1, 35).

10. თქვენ, ბაპტისტები, ღვთისმშობელს მიიჩნევთ მხოლოდ ქრისტეს მშობლად და ამბობთ, რომ მასში იყო ოქრო თავად ქრისტე. ჩვენ ის მივიღეთ და თაყვანი ვეცით. მაშ, რა პატივი მივაგოთ ტომარას, რომელშიც ეს ოქრო იღო?

11. თქვენ ტომრად იგულებთ მაცხოვრის დედა, როცა სახარება შემდეგს გვაუწყებს:

„როგორც კი გაიგონა ელისაბედმა მარიამის მოკითხვა, ყრმა შეიძრა მის მუცელში; და აღივსო სულით წმიდით ელისაბედო;

და შედადადა ხმამაღლა და თქვა: კურთხეულ ხარ შენ ასულთა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი!

ვინ გამხნა იმისი ღირსი, რომ ჩემთან მოვიდა უფლის ჩემის დედა“ (ლუკ., 1, 41-43).

12. მაშ, სულიწმიდით აღვსილმა ელისაბედმა რატომ ინიშნა მარიამის მობრძანება თქვენდა პირის დასაყოფად, უფლის დედის მობრძანებად? იმიტომ, რომ წმიდა მარიამი, კუმმარტი ღვთისმშობელი იყო, რასაც პაველი მოციქულიც ადასტურებს:

13. „მავრამ როდესაც მოიწია დროის სისრულე, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე, რომელიც იშვა ქალისაგან, და დაუმორჩილა რჯულს“ (გალ., 4, 4).

14. როგორც ნახეთ, წმიდა მარიამს ღმერთი უშვია, მაშა ღმერთის ერთადერთი ძე.

თქვენ კი უსირცხვილოდ ტომარას შეადარეთ ის ბრწყინვალეობა, რომელზედაც ითქვა:

„და გამოჩნდა ცაში სასწაული დიდი: ქალი, რომელსაც ემოსა მზე, და მთვარე იყო მის ფეხქვეშ, და თავს ედგა თორმეტ ვარსკვლავის გვირგვინი“ (გამოცხ., 12, 1).

15. თქვენ თქვით, რომ ღვთისმშობელი ღირსი არ არის თაყვანისცემისაო. მან კი, ღვთიური პატივით შემოსილმა, ბრძანა:

„და გაიხარა ჩემმა სულმა ღმერთის, ჩემი მაცხოვრის გამო, ვინაიდან მოხდა თავისი მხველის სიმბაბლეს; რადგან, აჰა, ამიერიდან ნეტარად შემრაცსავს ყოველი მოდგმა“ (ლუკ., 1, 47-48). და კიდევ:

16. „...შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფირის ოქროთი შემკული...“

მთელი დიდება მეფის ასულისა შიგნითაა, მორქოვილია მისი სამოსი.

მოქარგული კაბით მოჰყავთ იგი მეფესთან; მის უკან ქალწულნი, დობილნი მისნი მოჰყავთ შენთან.

მოჰყავთ სიხარულით და ღვინით, შედიან მეფის სრა-სასახლეში“ (ფს. 44, 10-16).

17. თქვენ არად გიგულვით, ის კი, ძე ღმერთის გვერდით დაბრძანებული, ბრწყინვალეებით შემოსეს.

18. ღვთისმშობლის მადიდებლები და თაყვანისმცემლები რომ კაცთა მოდგმიდან მოდგმამდე იქნებიან, ამას თავად ბრძანებს მთავარანგელოზი გაბრიელი:

„შევიდა ანგელოზი მასთან და უთხრა: გიხაროდეს, მადლით მოსილო! უფალი შენთანაა; კურთხეული ხარ ასულთა შორის“ (ლუკ., 1, 28).

19. და იგივეს იტყვიან ღვთისმშობლის თანამედროვენი: „...ნეტარ არს მუცელი, რომელმაც გიტვირთა შენ, და ბუბუნნი, რომელთაც სწოვდი“ (ლუკ., 11, 27).

20. თქვენ კი, ეშმაკს აყოლილნი, ვითარ ითამამეთ ღვთის დედის წინაშე და რა სიკეთეს მოეღობ, კურთხეული დედის შეურაცხყოფილები, მისი კურთხეული ძისაგან?

21. ყურძნის მტკვანი ინდომეთ უეწანოად, ქრისტეს მეორედ მოსვლისას მიიღებთ საკადრისს თავად მევენახისაგან.

22. რომლებმაც ინდომეს ღვთისმშობლის შუამდგომლობა ქრისტეს წინაშე, მათ მიიღეს სასურველი, ვითარცა გალილეაში მექორწინეთა დასმა. ღვთისმშობლის თხოვნით დროზე ადრე სასწაულის მქნელი მაცხოვარი კვლავად ისმენს თავისი დედის თაყვანისმცემელთა ვედრებას, და არ დარჩებიან ისინი გაწბილებულნი, ვითარცა თქვენ დარჩით ხელმოცარულნი.

23. ბაპტისტები ბრძანებთ, რომ თაყვანი არ ეცემების არც ანგელოზებსა და არც წმინდანებსო.

მაშ, მიიღეთ პასუხი ბიბლიიდან:

24. „მიუგო: არა, უფლის მხედრობის თავი ვარ. ახლა მოვედი. პირქვე დაემხო იესუ და თაყვანი სცა. უთხრა: რას ეტყვის ჩემი ბატონი თავის მორჩილს?“ (იესო ნავეს ძე, 5, 14).

25. ვეპასუხეთ, თქვენ უკეთ იცოდით როგორ უნდა მოქცეულიყავით ამ დროს, თუ იესო ნავეს ძემ — ისრაელთა ბელადმა? მან კი, თქვენდა შესარცხვენად, ანგელოზს თაყვანი სცა. და კიდევ:

26. „როცა სამსხვერპლოდანი ალი ცისკენ ავარდა, უფლის ანგელოზი ზეპაყვა სამსხვერპლოს აღს. ეს რომ დაინახეს, მიწაზე დაეხვნენ მონომხნი და მისი ცოლი“ (მსაჯ., 13, 20).

ელისე წინასწარმეტყველიც ადამიანი იყო, მაგრამ მიიღო კაცთაგან თაყვანი. გვიტოხებით, იმკრეხელა?

27. „დაარტყა წყალს მოსასხამი, ელიას რომ დაუვარდა, და თქვა: სად არის უფალი, ელიას ღმერთი? დაარტყა წყალს და შუა გააპო წყალი და გავიდა ელისე გაღმა.“

შორიდან დაინახეს იგი იერიქონში მყოფმა წინასწარმეტყველებმა და თქვეს: ელიას სული გადმოვიდა ელისეზე. მიეგებნენ და მიწამდე თაყვანი სცეს“ (4 მეფ., 2, 14-15).

28. დღემდე ბაბანებთ, შუამავლად წმიდანი არ გამოდგებაო. ღმერთი კი გვიჩვენებს:

„უთხრეს ქალაქის მცხოვრებლებმა ელისეს: კარგი მძებარეობა აქვს ამ ქალაქს, როგორც კარგად ხედავს ჩემი ბატონი; მაგრამ ცუდი წყალი აქვს და უნაყოფო მიწა.“

თქვა: მომეცით ახალი თასი და მარილი ჩაყარეთ შიგ. მისცეს.

ავიდა წყლის სათავესთან და ჩაყარა მარილი, თქვა: ასე ამბობს უფალი: განმიკურნავს ეს წყალი. ამიერიდან ნულარ იქნება მისგან სიკვდილი და უნაყოფობა.

დღემდე ჯანსაღია ეს წყალი ელისეს სიტყვით...“ (4 მეფ., 2, 19-22).

29. თქვენსავეთ მათაც რომ არ ენებათ წმიდანთა შუამდგომლობა, დღემდე იმ დამ-

პალი წყლისა და უსარგებლო მიწის მეაკეთრენი დარჩებოდნენ.

30. ახალი აღთქმის წმიდანებზედაც იგივე ითქვა: თქვენი მიმღებნი მღებულობენ მე, — ბრძანებს ქრისტე, — ჩემი მიმღები — ჩემს გამოგზავნელს.

31. თქვენ კი არც ქრისტეს გამოგზავნილებს გნებათ თაყვანი სცეთ; ისინი, თქვენდა საუბედუროდ, მეორედ მოსვლისას სამინელ სამსჯაუროზე გაასამართლებენ ანგელოზებსაც კი:

32. „ნუთუ არ იცით, რომ წმიდანნი განიკითხავენ ქვეყანას? ხოლო თუ თქვენგან განიკითხება ქვეყანა, განა იმისი ღირსნი არა ხართ, რომ უფრო წვრილმანი საქმენი განსაჯოთ?

ნუთუ არ იცით, რომ ჩვენ განვიკითხავთ ანგელოზებსაც, და განა მით უმეტეს არ განესჯით ამქვეყნიურ საქმეთაც“? (1 კორ., 6, 2-3).

33. აბა, თქვენ იცით, ბაპტიზტებო, არ ინებოთ მათი შუამდგომლობა ქრისტეს წინაშე. სახარების ის ადგილები კი ხმაძაღლა წაიკითხეთ ხოლმე და აზრი არ მიატანოთ, სადაც წმიდანთა ქრისტეს წინაშე შუამდგომლობით მკედრებიც კი ცოცხლდებიან. თქვენ დააბნეით სიცოცხლისთვის დაბადებულნი და სიკვდილის შეილებად აქციეთ.

34. მოგიწევთ კბილთა ღრჭენა, როცა იმ თქვენგან დაწუნებულ წმიდანთა მიერ აღვლენილი ლოცვით შეივსება ანგელოზის ხელში მოქცეული სასაქმეველი, რომლის ცეცხლოვანი ნაღვერდლები თქვენს თავზე დასაყრელად გამზადდება:

35. „და მოვიდა სხვა ანგელოზი, და დადგა საკურთხევის წინაშე, და ჰქონდა სასაქმეველი ოქროსი; და მიეცა მას ღიდალი საკმეველი, რათა ყველა წმიდის ლოცვებთან ერთად დაედო იგი ოქროს საკურთხეველზე, რომელიც არის წინაშე ტახტის“ (გამოც., 8, 3).

36. თქვენ უნდა გცოდნოდეთ, რომ წმიდანნი არიან ღმერთის მეგობრები:

„ხოლო ჩემთვის რაოდენ მრავლისმთქმელია ზრახვანი შენნი, ღმერთო, რაოდენ დიდია რიცხვი მათი“ (ფს. 138, 17).

37. ან: „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ თქვენ.

უკვე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი; არამედ მეგობრებს გიწოდებთ თქვენ, ვინაიდან გითხარით ყველაფერი, რაც მსმენია მამის ჩემისგან“ (იოან., 15, 14-15).

38. ამათგან კი ღმერთი განიდიდება: „როდესაც მოვა სადიდებლად მის წმიდათა შორის, და საოცრებად ყველა მის მორწმუნეს შორის (რადგანაც ირწმუნეთ ჩვენი მოწმობა თქვენს მიმართ) იმ დღეს.

ამიტომაც მარადის გლოცულობთ თქვეთვის, რათა ხმობის ღირსნი გვით ღმერთმა და აღასრულოს თავისი სიკეთის მთელი სათნოება და რწმენის საქმე ძალმოსილებით; რათა იდიდოს სახელი უფლის ჩვენის იესუ ქრისტესი თქვენში, და თქვენ — მასში, ღმერთის ჩვენისა და უფლის იესუ ქრისტეს მაღლით“ (2 თეს., 1, 10-12).

39. გარკვევით ითქვა წმიდანთა შუამდგომლობაზე: „—რადგანაც ირწმუნეთ ჩვენი მოწმობა თქვენს მიმართ“, თქვენ კი დღემდე აცდუნებთ ღვთის გაჩენილებს, რომ ისინი დარჩნენ ღვთის მეგობრების — წმიდანების ლოცვის მიღმა, რათა სატანისთვის ადვილი შესაყრობი გახდეს მათი სულები.

40. როცა მეფის კარის მსახურს მეფის საკადრის თაყვანს მიაგებ, იმკრებნელე, რადგან მსახურია იგი და არა მეფე.

41. ამიტომაც არ მიიღო ჰუტრემ კორნელიანს განამეტებული თაყვანი; ასევე არ მიიღო გადამეტებული თაყვანი ანგელოზმა იოანესაგან; თორემ ანგელოზთა და წმიდანთა პატივით მიმღებნი თავად მაცხოვრის პატივისმცემლები არიან, რამეთუ ნათქვამია — მოციქულთა ბაგე ქრისტეს ბაგაო. და მათი მიმღებნი — თავად ქრისტეს მიმღებიაო.

42. თაყვანისცემის შესახებ: რა არის თაყვანისცემა?

თაყვანისცემა არის გამოხატვა შიშისა, სიყვარულისა, პატივისცემისა, მორჩილებისა და სიმშვიდისა.

43. საღვთო თაყვანისცემა მხოლოდ ღმერთს უნდა მივაგოთ. ღმერთს ეკუთვნის თაყვანი სრული:

ა) შიშისა, რადგან ის არის ყოვლის მპყრობელი და მეუფე მეუფეთა. მის ერთ სიტყვაზე წარიგრაგნებიან ცანი და მტერად იქცევა ყოველი ნივთიერი. მის წინაშე კრთის ყოველი სულერი.

მოდით, ყრმანო, გასწავლოთ შიში უფლისა — გემოდერავს წინასწარმეტყველი ღვთიით.

ბ) ასევე, ღმერთს ეკუთვნის თაყვანი სიყვარულისა, რამეთუ იგი თავად სიყვარულია, მომნიჭებული სიცოცხლისა და სამარადეამო ნეტარებისა.

პირველი მცნებით ღმერთი მოგვიწოდებს, რომ გვიყვარდეს იგი, ვემორჩილებოდეთ მას, თაყვანი ვცეთ, ვადიდოთ და ვმადლობდეთ წყალობისათვის.

გ) ღმერთს ეკუთვნის თაყვანი პატივისცემისა, რამეთუ იგი ჩვენთვის კეთილმყოფელია და ჩვენთვისვე სისხლდანთხეული.

დ) ღმერთს ეკუთვნის თაყვანი მორჩილებისა, რამეთუ წერილ არს: „მორჩილებდეთ უფალსა თქვენსა“. ღვთის ურჩნი განგდებულნი არიან პირისაგან უფლისა.

ე) ღმერთს ეკუთვნის თაყვანი ხმშვიდისა, რამეთუ მშვიდობისმყოფელია ღმერთი, და ამგვარად ყოველნი მშვიდობის მყოფელნი იწოდებიან ძედ ღვთისად.

44. ასე და ამრიგად, ღმერთს ეკუთვნის თაყვანი სრული, აღძრული შიშითა, სიყვარულითა, პატივისცემითა, მორჩილებითა და სიმშვიდითა.

45. თაყვანი I სრული მხოლოდ ღვთის საკადრისია.

46. თაყვანი II ეკუთვნის ნივთებს, რომელთა საშუალებით ღმერთმა მოგვცა ცხოვნება. ესენია: სინას მთა, ნაზარეთი, ბეთლემის

გამოქაბული და ბაგა, წმიდა გოლგოთა, ძე-ლი ჯვრისა, ლურსმანი, ღრუბელი, ლერწამი, სამღვდლო და მაცხოვრებელი ლაზვარი, კვართი უფლისა, სუდარა, საფლავი უფლისა, წმიდა სიონის მთა, მთა ელუონისა, ცხოვართა საბანელი და ბაღი გეთსამანიისა. ასევე თაყვანსაცემია ღვთის ტაძარი,

47. რითაც სახელი იდიდება ღვთისა, არა იმისთვის, რომ, თითქოს ის საგნები თაყვანისცემის ღირსნი იყვნენ, არამედ თაყვანს ვცემთ იმისთვის, რომ ისინი მსახურებენ უფლის ძალის გამოვლინებას, რომელთა საგანთა მეშვეობით ღმერთმა სათიხოდ იჩინა ჩვენი ცხოვრების აღსრულება.

48. პატივს მივაგებთ და თაყვანს ვცემთ აგრეთვე ანგელოზებს, ადამიანებს და ყოველ ნივთს, რომლებშიც ჩანს საღმრთო ძალი და რომელიც შეეწეოდა ჩვენს ცხოვრებას. თაყვანს ვცემთ საღმრთო ძალის მიზეზების გამო, რომელიც მოქმედებს მათ შორის.

49. ამის დასტურია: „შევიყვარე მშვენიერება სახლისა შენისა და ადგილი საყოფელი დიდებისა შენისა“ (ფს. 25, 8).

ან კიდევ: თაყვანი ვცეთ მთასა წმიდასა“ (ფს., 98, 9).

50. არაქრისტეან ებრაელებს თაყვანს არ ვცემთ, რადგან მათ არ შეიწყნარეს საღმრთო ძალი და დიდება უფლისა, ძე ღმერთი ჯვარს აცვეს არა ჩვენ საცხოვრებლად, არამედ შურითა და სიძულვილით ღვთისა და კეთილმყოფლისა.

51. თაყვანი III ეკუთვნის ღვთის სათნო წიგნებსა და ნივთებს: წმიდა სახარებას, ჩვენდა სამოდწეროდ დაწერილ სხვა წიგნებს. აგრეთვე: ბარძიმს, ფეშხუმს, სასაკმეველ თელსა და ტრაპეზს.

52. ვინც ამას უარყოფს, გაიხსენოს თუ როგორ დაარბია ღმერთმა ბალთაზარის სამეფო, როცა ბრძანა სამღვდლო ჭურჭელთა ხმარება (დან., 5,2; 5,23).

53. თაყვანი IV ეკუთვნით იმ წინასწარმეტყველთ, რომელნიც ხედვიდნენ ღმერთს და საუბრობდნენ მასთან.

იგი ასევე ეკუთვნის მოსეს კიდობანსა და ქრისტეს პატიოსან ჯვარს (გალ., 3, 1).

54. თაყვანი V ეკუთვნით ღვთისმშობელსა და ყოველთა წმიდათა, რადგან ისინი ღმერთს ემსგავსნენ ყოვლის შემძლეობით. რადგან მოუწოდა ღმერთმა მათ: იყვენით წმიდა, ვითარცა მე წმიდა ვარო.

„...ღმერთის ტაძარი ხართ, და სული ღმრთისა და მკვიდრებულია თქვენში“ (1 კორ., 3, 16).

55. წმიდანები ღირსნი არიან ღიღებისა, ვინაიდან ისინი რჩეულნი არიან ღვთით და თავიანთი სიწმინდით ყველაზე უფრო უახლოვდებიან უფლის სიწმინდეს.

56. მეფე თავის პატივისცემად მიიღებს, როცა დაინახავს, რომ მის მსახურებს პატივს სცემენ არა ვითარცა მეფეს, არამედ როგორც მორჩილ მსახურსა და კეთილგანწყობილ მონას.

57. თაყვანი მღვთმარეობს ურთიერთ შორის პატივისცემაში, მორჩილებასა და სიყვარულის სჯულის აღსრულებაში, რამეთუ ყოველნი ვართ გაჩენილნი მსგავსად და ხატად ღვთისა (1 პეტრ., 2, 16; ეფეს., 4, 32).

58. თაყვანი VI ეკუთვნით მთავართა და მეფეთა (იაკობმა თაყვანი სცა უფროს ძმას — ესავს) (დაბ., 33, 3).

ასევე მოსემ თაყვანი სცა ღვთით დაღვნილ მეფეს — ფარაონს (დაბ., 47, 7).

59. თაყვანი VII ეკუთვნით იმ მონებს (ე.ი. ქვეშევრდომებს), რომლებიც თაყვანსა სცემენ ზემდგომთა, როგორც აბრაამმა სცა თაყვანი ძეთა ემორისათა, ოდეს მათგან მრჩობელი ქება იყიდა (დაბ., 23, 12).

60. რომელი თაყვანი შეიძლება ჩაითვალოს მკრეხელურად? როდესაც ღმერთის საკადრისი თაყვანი ეცემა ღვთის ქვეშევრდომს, ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია, მაგრამ, როდესაც ეკუთვნილი თაყვანი ეცემა ღირსეულს, იგი მიიღება როგორც ღვთის მსახურის თაყვანი, რომელიც ღვთის სიყვარულის ანარეკლია.

61. ნათლობის შესახებ: „...ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევაღმრთის სასუფეველში“. — ამბობს იესუ ქრისტე (იოან., 3, 5). ამრიგად, წყლიდან ნათლისღება დადგენილია თვით მაცხოვრისგან, რომელსაც შემდგომ მოციქულები ასრულებდნენ. ფილიპეს მიერ ნათელცემული საჭურისის მაგალითი ჭეშმარიტად გვიჩვენებს წყლის აუცილებლობას.

62. არსებობს მოწამებრივი სიკვდილითაც ნათლისღება. ამის მაგალითია ქრისტეს აღიარება ჯვარცმული ყაჩაღის მიერ. მაგრამ ამგვარი ნათლისღება არ შეიძლება ჩაითვალოს საეკლესიო სახალხო ნათლობად.

63. თუკი მხოლოდ მოწამებრივი ნათლობის წესი და მკვიდრდებოდა, მაშინ ერს გადაშენება მოუწევდა. ამიტომ დადგინდა ტრადიციულ საერო ნათლობად წყლისმიერი ნათლისღება, რომელიც გულისხმობს მოსანათლავის სამჯერ შთაფლვას წყალში.

64. ნათლობა ხელეწიფებათ მხოლოდ რეგულიერ (კანონიერად ხელდასმულ) მღვდელმსახურთ.

გამონაკლისია მომაკვდავის ნათლობა, რომელიც შეიძლება აღსარულოს რიგითმა მორწმუნემაც, თუკი თავად მონათლულია. ასეთ შემთხვევაშიც აუცილებელია მოსანათლავის წყალში სამგზის შთაფლვა.

65. ნათლისღება ასე სრულდება: წყალში ჩამდგარი მღვდელმსახური და მოსანათლავი პირით აღმოსავლეთისკენ არიან მიქცეულნი.

66. მოსანათლავის წყალში პირველი შთაფლვისას მღვდელი წარმოთქვამს: „ნათელი იღებს მონა (ან მხვევალი) ღვთისა სახელითა მამისათა“...

ამ დროს იგი წყალში შთაფლავს რა მოსანათლს, წყალშივე შემოაბრუნებს მარჯვნივ და სიტყვა „ამენის“ წართქმით პირისახით თავისკენ ამოიყვანს.

67. კვლავ მიაბრუნებს აღმოსავლეთით და მეორედ შთაფლვისას იტყვის: „და ძისათა“ ხოლო აღმშობისას — „ამენ!“-ით

დადასტურებს, როგორც ეს პირველი შთაფ-
ლვისას აღასრულა.

68. მესამედ შთაფლებისას იტყვის: და
სულისა წმინდისათა — ხოლო აღმოშობისას
კვლავ „ამინთ“ დადასტურებს. წესი სამთავე
შთაფლვაზე ერთი და იგივეა.

69. ნათლობა არის სულის ბეჭედი, რომე-
ლიც ხსნის პირველყოფილ, ღედის მუცლიდან
გამოყოლილსა და შეძენილ ცოდვებს. ნათ-
ლობა სასუფეველში შესასელებელი ერთად-
ერთი საბუთია. ნათლობის გარეშე ადამიანის
სული სამარადეამო სასჯელში ვარდება.

70. ქვეყნის გამჩენს თავისი ერთადერთი
შვილი — ქრისტე რომ არ გამოეგზავნა ცოდ-
ვილ ადამიანთა დასახსნელად, ცოდვებში
შთავინთქმებოდი და დავილუქებოდი.

71. ებრაელები წინადაიცხეთდნენ დაბადე-
ბიდან მერვე დღეს. მიიღება იგი ნათლობის
წინა სახედ (იოანე დამასკელი, „ზუსტი გად-
მოცემა მართლმადიდებელი სარწმუნოე-
ბისა“, წიგნი 4, თავი 25, წინადაცვითისათვის).
ასევე მერვე დღეს წინადაცვითა აღუსრუ-
ლეს ქრისტესაც.

72. სექტანტები ამბობენ, რომ ადამიანი
სრულ ასაკში უნდა მოინათლოს, რათა ესმო-
დეს არსი ნათლობისა.

73. ეს არ არის სწორი. განა აბრაამმა და
მოსემ არაფერი იცოდნენ ამის შესახებ, მერვე
დღისათვის რომ დართეს ბავშვების წინა-
დაცვითის უფლება?

74. საჭირო არ არის ეელოლოთ ბავშვის
სრულ ასაკოვანებას. ქრისტეანული წესით
ბავშვი ინათლება დაბადებიდან ორმოცი დღის
შემდეგ.

75. ვთქვათ, ბავშვმა დააპირა ცეცხლში
ჩახტომა. როგორ მოვიქცეთ, მის გაზრდას
ხომ არ დაველოლოთ, ვიდრე გაიცნობიერებ-
დეს არ ცეცხლის არსს? და, რადგან უმაღვე
ვეცდებით ფეხები განუერიდოთ ნაკვერც-
ხალს, ნათლობის მიუღებასაც ნუ დაეყოფნებთ.
ხანანებლად არ გაევიხდეს უგუნურება.

76. მოსანათლავ ბავშვს თან მოჰყვება
ნათლია, რომელიც მოსანათლავის მაგივრად

უპასუხებს მღვდელმსახურის კითხვებზე და
პირობას დებს, რომ მონათლულს მხოლოდ
ქრისტეს რეულით აცხოვრებს, განუმარტავს
და ასწავლის ყოველივეს.

77. ქრისტეანის ოჯახიდან გამოსული,
უმიჯვლად ქრისტეანი უნდა იქნეს. ამის
გარანტიას იძლევა ის ქრისტეანული ოჯახი,
რომელშიც იგი იზრდება.

78. მონათლეთ ბავშვები, მიუშვით
ქრისტესთან, რადგან მაცხოვარმა თქვა: „ინც
არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ
შევა ღმრთის სასუფეველში“ (იოან., 3,5).

79. ეს ყველასთვის კანონია.

თავის გასამართლებლად თუ მოვიშვე-
ლიებთ საყოველთაოდ ცნობილ სიტყვებს —
ყველა ბავშვი წმიდააო, აქ მინიმუმებლია
მხოლოდ ბავშვის გულბერყვილობა.

80. გახსოვდეთ, რომ ნათლობის გარეშე
არც ბავშვებს განეხვებებთ სასუფეველის კა-
რები. წინააღმდეგ შემთხვევაში ქრისტე და-
ბეჯითებით არ იტყვია: ვინც ნათელს არ მი-
იღებს, სასუფეველში ვერ შევაო. აქ არ არის
დაშვებული გამონაკლისი ბავშვებისათვის.

81. ასე რომ არ იყოს, მაშინ ბუდისტთა
ბავშვებიც ხომ ბავშვებია და ისინიც დაუბრკო-
ლებლად შესულან სასუფეველში. სასუფევე-
ლი კი გკუთვნით მხოლოდ ჭეშმარიტი რელი-
გიის შესაკუთრებებს.

82. ის აზრი, რომ ბავშვი არ მოინათლოს
სრულ ასაკამდე, ეშმაკისეული მოწოდებაა.

83. სექტანტებო! სად მიუჩინეთ ადგილი
იმ ბავშვთა სულებს, რომლებმაც ვერ იღეს
ნათლობა სრული ასაკის მიუღწევლობის
გამო და უდროოდ გარდაიცვალნენ?!

84. ჯერის შესახებ: ქრისტეანთათვის
ყველა უწმინდესე უწმინდესია წმიდა ჯვარი.
იგი, თვით მოციქულთა დროიდან დაწყებული,
ქრისტეს მეორედ მოსვლამდე კაცობრიობის
დახსნის სიმბოლო იყო და იქნება კიდევც
მიჩნეული. ამიტომაც ღირსია თავყვანისა.

85. ჯვარი ქრისტესი წმიდაა, რამეთუ
განწმენდილია თვით მაცხოვრის უწმინდესი
სისხლით. ადრე თუ საკურთხეველს ცხოვე-

ლისა და ფრინველის სისხლით განწმენდნენ, რაოდენ უმაღლესობს ჯვარზე კუერებული ღმერთკაცის სისხლი? სწორედ ჯვარი იყო ის მსოფლიო, საქვეყნო სამსხვერპლო, რომელზედაც ქრისტემ ნებით ისურვა საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანა. მაშ, ვისთვის არის ჯვარი იგი საქვერლად სიცოფე?

86. „რამეთუ სიტყვა ჯვრის შესახებ სისულელეა დასაღუპავად განწირულთათვის, ხოლო ჩვენთვის, ხსნილთათვის, ძალაა ღმრთისა“ (1 კორ., 1,18. თარგმნილია რუსულიდან ქართული ტექსტის არასრულყოფილების გამო).

87. დავით წინასწარმეტყველის ბაგით მოწოდებულა – ყველა მორწმუნემ თავყვანი სცეს უფლის ფეხთა საყრდენს:

„აღმაღლეთ უფალი ღმერთი ჩვენი და თავყვანი ეცით მის ფეხთა საყრდენს“ (ფს. 98,5);

ან: „მივიდეთ მის სადგომებში, თავყვანი ეცეთ მის ფეხთა საყრდენს“ (ფს. 131,7).

88. არცა რა გვაქვს გასაკვირი; განა ჩვენთვის არ ითქვა, რომ სამი ხით განიდიდებოდა უფლის ფეხთა სადგომი:

„ლიბანის დიდება შენთან მოვა, ალვა, ნეკერჩხალი და ბზა – ერთიანად, ჩემი საწმიდარის ადგილის გასამშვენებლად, რომ ჩემი ფეხთა საყრდენი განვადიდო“ (ეს., 60,13).

89. ჯვარიც სამი ხისგან შეიკრა და სამნაწილიანი გახდა: ვერტიკალური ძელი, ჰორიზონტალური და ფეხის ჩამოსადგმელი დამრეცი ძელი. მეოთხე ნაწილი, რომელიც ჰილატეს ბრძანებით იქნა გაკრული წარწერიან დაფად, იყო ზეთისხილის ფიცარი; ასე და ამრიგად, ის სამნაწილიან ჯვარად წოდებული ძელი ჰილატესმიერი დაფით იქცა რვა დაბოლოების მქონედ.

90. ეს ჯვარი განსხვავდება ყველა დანარჩენისგან. ზოგნი იტყვიან, ქრისტეს საწამებლად აღმართული ჯვარი რუსულ „Т“-ს წააგავდაო. ცრუობენ, რადგან ამგვარ ჯვარზე წარწერიან დაფას ვერავინ დააკრავდა ზემო ნაწილის უქონლობის გამო.

91. მოსეს კანონის თანახმად, ყოველი ძელიზე გაკრული წყველია; თუკი ასეა, რანაირად გაიგოთ ქრისტეს ჯვარცმა?

მოსეს ზემორე აღნიშნულ კანონს სამი ფაქტორი განსაზღვრავს: არენა, ანუ ბოძი, დანაშაული და სასჯელი.

92. ობიექტურობის დარღვევის შემთხვევაში, მოსეს ეს კანონი კარგავს თავის არსს, რომ ყოველი ბოძზე მიმსჭაალული წყველია.

თუკი საკურთხეველი შესაწირი ცხოველის სისხლის მოპკურებით განიწმინდებოდა, ნუთუ ღმერთკაცის წმიდა სისხლით შეიბიწვებოდა ჯვარი?

93. არსებობს დანაშაული? ჭეშმარიტია სასჯელი!

არ არსებობს დანაშაული? არ უნდა იყოს სასჯელი!

94. ...მაგრამ შედგა სასჯელი-ჯვარცმა! სად არის დანაშაული? სწორედ ამიტომ იქცა ჯვარი იგი პატიოსნად და ღმერთკაცის გამარჯვების ნიშნად, რომლის ცქერა აღფრთოვანებს ჭეშმარიტების მიმყოფთ და ცოფსა ჰკვრის სიმართლის მტრებს.

95. სად ვემოთ ამ ბოძის სამარცხვინო სახიერება, თუკი იგი ქცეულა საგმირო არენად?

მით უმეტეს, კარგად ვიცით, რომ ღმერთს მოსწონს მისთვის თავდადებულნი.

96. მაშ, რანაირად უნდა შედგეს ღმერთისთვის თავდადებულთა გმირობა, თუკი დანაშაულს არ შეუდგებიან ღვთის ორგულნი და უსამართლოდ არ დასჯიან მართალთ? აი, ის უმართებულო სასჯელი, რომელიც საღვთო პატივით იმოსება.

97. ასე რომ, დიდად უკანონოდ დასჯილთა რიცხვი; ბირდაბირით შუაზე გადახერხილი ესაიდან დაწყებული და ჩვენდა საცხოვნებლად ჯვარცმულით დამთავრებული.

მოსეს სიტყვა ჯვარცმულის შესახებ ებრაელებმა ქრისტეს უარსაყოფად გამოიფხნეს.

98. მოსემ კი ყოველი ბოძზე გაკრული იმიტომ იგულვა წყველად, რომ ჩადენილი დანაშაული შეუსაბამა სასჯელს.

99. ყოველი უკანონოდ დადებული მსჯავრი საღვთო თავდადების გმირული სამოსით მოსაეთ მართალთ.

ასე რომ არა, მაშინ გაეაკრათ თვით მოსე ძელზე და ხაინტერესო იქნება დიდად, რომელი მათგანი შემოსწერებოდა ამის გამო:

100. „რადგან ჯვარს ცმულხარ, წყვეული გამხდარხარო, მოსე?!...“ ვიდრე ამგვარ რისხვას დააცდენინებდნენ ბავებს, განა უწინარეს დანაშაულს არ მოუძიებდნენ ამ ღვთის რჩეულს?!

101. ვინც კანონიერად ჩაუთვალოს და მესიას შეუსაბამოს ყოველთა უკანონობის მქნელთა დანაშაულის სახლურად დადგენილი მოსეს წყველა, ის მიიღებს სიცრუით მოხვეჭილ გეჰენის ვარჯიშებს და მერმე გვიან იქნება თითზე კბენანი.

102. ჩვენი ცოდვების გამო ჯვარცმულმა ქრისტემ სამართლიანად ძელზე გაკრულთა მიმართ დადგენილი წყველაც იტვირთა; მაგრამ გამართლდა უსამართლო სასჯელით, უდანაშაულო ქმედებით და კაცობრიობის უსაზღვრო სიყვარულით; რის შემდეგ მისი გმირობის არენა – ჯვარი კურთხეულია და განდიდებული მისი ფერხთა სადგომიც.

103. მაშ, კიდევ ერთხელ გაეისხენოთ პაველ მოციქულის სიტყვები: „რადგანაც მრავალნი რომელთათვისაც მრავალგზის გეუბნებოდით თქვენ, ზოლო აწ ტირილით გეუბნებით, ისე იტყვიან, როგორც ქრისტეს ჯვრის მტერნი. რომელთა აღსასრული წარწყმედა“... (ფილიპ., 3, 18-19).

104. ქრისტეს ბეჭდით იქნებიან აღბეჭდილი ყველა ჭეშმარიტად მართალი მორწმუნენი მეორედ მოსვლის ჟამს: „და ვინილუ სხვა ანგელოზნი, მზის აღმოსავლით აღმომავალი, რომელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის ბეჭედი და შესახვა სმამაღლა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცათ ვსება მიწის და ზღვისა:

ნუ აენებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც სევებს, ვიდრე არ აღებეჭდავთ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს“.

105. ასევე გვახსოვს გამონათქვამი: „მაშ ასე, ნუ გრცხვენია ამ უდიდესი სიკეთისა, და არც ქრისტე შეგარცხვენს, როცა მობრძანდება თავისი დიდებით, როცა ჯვრის სახიერება წარუძღვება მას წინ, თვით შზეზე უფრო უბრწყინვალესი...“

106. დაუსვი ჯვარი შენს გონებას და ეამბორე გადამრჩენელ ამ ნიშნის ჩვენი სული-სას. სწორედამ ჯვარმა იხსნა და გარდაქმნა ქვეყნიერება, მიწა აქცია ზეცად, ადამიანები – ანგელოზებად.

107. როცა ჩვენთანაა ჯვარი, ღემონები არ არიან საშიშნი და საშიშენლი; სიკვდილი უკვე არაა სიკვდილი, არამედ სიზმარია.

108. ყოველი სამტრო ძალი ჩვენდა მიმართ სწორედ ჯვრით გაცამტვერდება... ჯვარი – ჩვენი ქებათაქება, საწყისი ყოველი სიკეთის, მეჭველობა და ყოველი ჩვენი მშვენიერება“ (იოანე ოქროპირი, ტ. 7, გვ. 558-59, რუსულ ენაზე).

109. ამიტომაც ითქვა:

„ზოლო მე, ღმერთმა ნუ ქნას, რომ სხვა რამით ვიქადოდე და არა ჯვრით უფლის ჩვენის იესუ ქრისტესი, ვისითაც ქვეყანა ჩემთვის ეცვა ჯვარს, და მე ქვეყნისათვის“ (გალ., 6, 14).

110. და კიდევ:

„გვაქვს ჩვენ საკურთხეველი, საიდანაც ჭამის უფლება არა აქვთ კარვის მსახურთ.

რაკიდა ზორცი ცხოველებისა, რომელთა სისხლიც ცოდვის განსაწმედად საკურთხეველში შეაქვს მღვდელმთავარს, და იწვის ბანაკს გარეთ,

ამიტომ იესუც, რათა თავისი სისხლით განეწმიდა ზალნი, ბჭის გარეთ ვენო.

მაშ, გავიდეთ მასთან, ბანაკს გარეთ, და მისი შეურაცხყოფა ვიტვირთოთ“ (ებრ., 13, 10-13).

111. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: „რამეთუ სიტყვა ჯვრის შესახებ სიშლევება დასალუპავად განწირულთათვის, ზოლო ჩვენთვის, ხსნილთათვის, ძალაა ღმერთისა“ (1 კორ., 1, 18. თარგმნილია რუსულიდან).

112. გახსოვდეთ და ნუ დაგაბნევთ ეშმაკი. მთელი ჩენი იმედი გადარჩენისა დამყარებულია ჯვარცმულ ქრისტეზე. თუკი მისი სიყვარული ჩვენზე გადმოიდგარა ჯვრიდან, მაშასადამე, ჩენი სიყვარულის გამოხატულება ჯვარცმული ქრისტესადმი პირჯვრის წერით აღიბეჭდება.

113. ამიტომ პირჯვრისწერა არის გამომსყიდველი ბეჭედი ქრისტეანთათვის.

ყოველ საღვთისმსახურო მოქმედებაში ჯვარი იხმარება კუროხევისას და ლოცვისას.

114. ქრისტეს საჯვარცმო შეწირვამდე დედამიწა იყო დაწყველილი. მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმამ დაუბრუნა ქვეყნიერებას დაკარგული კუროხევა.

115. ნეტარი ავეუსტინე ბრძანებს: „თუ ეს ნიშანი არ იქნება გამოსახული მორწმუნის შუბლზე ან წყალზე (ე.ი. მოსანათლავეთა წყალზე. — ი.ი.), ან ზეთზე, ან მირონზე, ან შესაწირზე (ე.ი. სუფისკვერზე), მაშინ მანდ არაფერი სწორად არ სრულდება“.

116. აი, რას ამბობს საქრისტეანოს ღირსეული შვილი წმიდა იოანე ოქროპირი: „...რაც შეეხება ჩვენამდე, ყველაფერი იმით (ე.ი. ჯვრის გარდასახვით) სრულდება, ნათლობა იქნება ის, თუ ზიარების მიღება, ხელდასხმა თუ სხვა რამ, ყველაფერს ჩვენ აღზევდავთ გამარჯვების ნიშნით (ე.ი. ჯვრითო — ი.ი.).“

117. დააკვირდით ხატზე გამოსახულთა თითების წყობას. შეერთებულია სამი (ე.ი. ცერი, ნეკი და არათითი), ხოლო საჩვენებელი და შუათითი ოდნავ მოხრილია, რაც პირჯვრის საწერი თითების სწორ წყობაზე მიგვანიშნებს.

118. წმიდა მამები ჯვრის გარდასახვას მიაწერდნენ უდიდეს ძალას. ჯვრის გარდასახვით შეგვიძლია გავიმარჯვოთ უწმინდურ ძალებზე. მრავალი წამებუდი და სასწაულმოქმედი ჯვრის გარდასახვით დააცხრობდა გრიგალს და აწყნარებდა ზღვის ღელვას, პირს აუკრავდა მძვინვარე მხეტებს, აქრობდა ცეცხლს, აქარებდა სასიკვდილო მომწამლავ

ნიეთიერებათა ძალას. პირჯვრის გარდასახვით დევნიდნენ ეშმაკებს, კურნავდნენ დავრდომილთ.

119. „ხარ თუ არა შენ მართალი? — ამბობდა იოანე ოქროპირი; გარდასახე პირჯვარი და წარსთქვი: აი, ეს არის მხოლოდ ჩემი იარაღი და კურნება, სხვა არა ვიცი“.

120. ქრისტეს ჯვარცმიდან დღემდე კაცობრიობა თავყვანსა სცემდა ამ ჯვარს და მით დევნიდა ეშმაკს.

121. რად სჩუქნიდა ეშმაკი ქრისტეს მთელ დედამიწას? რათა მაცხოვარს არ ენებებინა ჯვარზე ასვლა. მან კი ამქვეყნიურ მეფობას ჯვარცმა ამჯობინა, რითაც გაამართლა თავისი მოწოდება ქვეყანაზე.

122. აი, რითი დამცირდა და დამარცხდა ეშმაკი. ქრისტეს ჯვარი განდა მისთვის ლახვარი, რადგან ამ ჯვრით იქნა მთელი კაცობრიობა გამოსყიდული.

123. ვის არ ძალუძს შეხედვა ამ წმიდა ჯვრისა? მხოლოდ ეშმაკს, რადგან ჯვარი ახსენებს მას დამარცხებას და იცის, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლისას, სწორედ ამ ჯვრის ქვეშ გაასამართლებენ.

124. ვინ დაადგინა საეკლესიო წესები და ყოველი კანონი ქრისტეანული, სახელდობრ, თაყვანისცემა ხატისა და გარდასახვა პირჯვრისა? რა თქმა უნდა, მოციქულებმა, მათ შორის, პავლეც იგულისხმება, დამეთანხმებით. და თუკი ასეა, რად უარყოფთ სახარებაში თქმულ პავლეს სიტყვებს:

თუკი რომელიმე ჩვენთაგანმა, თუსდაც ანგელოზმა ზეცით განართ არა ის, რასაც ჩვენ განარებდით, დე იყოს წყევული.

125. მამ, სად არის თქვენი თვალი ან ყური, ან გონება? ასე როგორ მოექცეით ეშმაკის ბედში.

126. სხვაგვარად მოაზროვნე ეკლესიათა მიერ უარყოფილია წმიდანების ისეთი ღოცვები, რომლებიც ეშმაკს განასხამენ. მამ, რა ითქმის იმათზე, რომლებმაც ეშმაკის წინააღმდეგ საბრძოლველი ქრისტეს მიერ მოტანილი ფარ-ხმალი ქრისტეანს ხელიდან გააგ-

დებიან და შიშველი ხელებით შეაბეს კაცობრიობის უმძინვარეს მტერს?

127. კაცობრიობას შიშველი ხელებით რომ შესძლებოდა ეშმაკთან გამკლავება, არც ქვეყნის გამჩენი ღმერთი მოაუღუნდა თავის ერთადერთ შვილს.

128. იარაღი კი, რითაც მან ადამის მოღგმა იხსნა და ეშმაკზე ძღვევა მიანიჭა, არის ჯვარი პატიოსანი და შვიდ საიდუმლოზე დაფუძნებული ქრისტეანული ეკლესია.

129. თუკი ეკლესიას შევადარებთ შაშხანას და შვიდ საიდუმლოს — ვაზნებს, მაშინ შვიდ საიდუმლოზე დაფუძნებული ქრისტეანული ეკლესია არის მტრის ძღვევის საჭურველი.

130. ხოლო ამ შვიდი საიდუმლოს გარეშე ეკლესია არის ცარიელი, უვანო შაშხანა, რომლითაც ვერც თავს დაიცავ და ვერც მტერს სძლევა. ასეთი იარაღი ცრუ იმედია და ბრძოლის ველზე — სიკვდილი.

131. მაშ, ვინ არის ის, რომელმაც ქრისტეს საჭურველს, ეშმაკის საწინააღმდეგო იარაღს ვაზნები გამოაცალა და სასიკვდილოდ გაგვწირა? რა თქმა უნდა, ქრისტეანობის მტერი და ორგული.

132. ქრისტეს წმიდა ჯვარი ეს ის კაშკაშა, ელვარე ნათელია, რომელიც ეშმაკს აბრძავებს და განაგდებს. ვინ გამოაცალა ქრისტენს ჯვარი ხელიდან? რა თქმა უნდა, ქრისტეანობის მტერმა და ორგულმა.

133. რომლებზედაც ქრისტე ბრძანებს: ესენი არიან ცხვრის ქურქში გახვეული მგლები და თავიანთი ნაყოფით შეიცანით ისინიო. ეს მგლები არიან სწორედ ის ცრუ მოძღვარნი და მასწავლებელნი, რომლებიც დამლუპველ ერებს შეიტანენ მოძღვრებაშიო, კვაფრთხილებს უფალიო.

134. ეშმაკის ძალით შეპყრობილნი, განირიდეთ მთელეშვარების სული! იცანით თქვენი გადამრჩენელი ერთადერთი წმიდა სამოციქულო ეკლესია, რომელიც ქრისტეს

მაგივრობას სწევს ქვეყანაზე. იცანით თქვენი გადამრჩენელი ცხოველყოფელი წმიდა ჯვარი, მარიამ ღვთისმშობელი და ქრისტესთვის სისხლდანთხეული ყოველი წმიდანი. იცანით მარად თქვენთვის მლოცველნი და მავედრებელნი და მით იხსენით სული.

ირწმუნეთ:

135. მაცხოვრის ჯვრის სახიერება ყველა ჩვენგანმა უნდა აღიბეჭდოს საკუთარ სულში. ქრისტეს ჯვრის მაცქერალთ გვეძღვევა გაკვეთილი მოთმინებისა, მორჩილებისა, მთლიანად მამა ღმერთის ნების მოწოდების მიყოლისა, ყოველგვარი მიწიერი გემოთმოყვარების განრიდებისა.

136. ქრისტეს ჯვრის მაცქერალთ არ გვექნება გული ცივი, არამედ აღვინთებით უკვდავების მონიჭების იმ ტკივილებით, რომელიც გადიიღანა ჯვარზე მაცხოვარმა, რათა გამოვესყიდინეთ კაცთა მოღგმა სამარადჟამო დაღუპვისაგან.

137. ჯვარი უფლისა ქრისტეანს ამშვიდებს ყოველგვარი განსაცდელის დროს, აიძვდებს უბედურების შემთხვევაში.

138. ვადიდებთ რა ქრისტეს ჯვარს ჩვენს ლოცვებში, ამით ჩვენ ვევედრებით უფალს, რათა მოგვეცეს ძალმოსილება უდრტვინველად ეზიდოთ ჯვარი საკუთარი ჩვენი მწუნარებისა და ავადმოყოფობისა.

მარად გფარავდეთ უფლის ჯვარი ჯვრის მოიძვდევს!

139. ხატის უარყოფელთა მიმართ: ხატი არის საეკლესიო მადლმოსილი ნივთი, რომელზედაც აღბეჭდილია სახიერება უფლისა, წმიდანებისა, რომლის ცქერით წარმოვისახავთ ხატზე აღბეჭდილს და მივმართავთ ვედრებით, რათა მივიღოთ წყალობა მწყალობლისაგან.

140. ხატი უსული საგანია, რომელიც ვერ სუნთქავს, ვერ დადის, ვერ იხედება, მაგრამ ელოცულობთ იმის იმედით, რომ ხატზე გამოსახული სუნთქავს, დადის, ხედავს, ესმის და ძალმოსილია შეგემოსოს წყალობით.

141. მაგალითისთვის გაეხსენით ბიბლიური ეპიზოდები:

ღმერთმა ინება მოგზაურ ებრაელთათვის კარვის შექმნა, რომელიც წარმოადგენდა პირველ მოძრავ ეკლესიას. იგი ისე იყო მოწყობილი, რომ ჰქონდა ოქროს სასაკმეველე ყოველი მხრიდან ოქროთი მოჭედილი კილობანი აღთქმისა... ხოლო მათ ზემოთ ქერუბიმნი დიდებისა (ებრ., 9, 1-2),

142. მიუხედავად იმისა, რომ კილობანი გამოცხადებისა შედგებოდა ხისა და ოქროსაგან, თანაც იყო ქმნილი კაცის ხელთა მიერ (გამ., 37, 1-2), იგი წარმოადგენდა უდიდეს სიწმინდეს, რომლის წინ თვით მღვდელმთავრებსაც კი არ ეძლეოდათ უფლება ერთხელის მეტად წარმდგარიყვნენ (ლევ., 16, 2-34); ამასთან, კილობანი თავად წარმოადგენდა ცოცხალი ღმერთის განსახიერებას.

143. ეს რომ ჭეშმარიტად ასე იყო, კარგად ჩანს მოსეს სიტყვებიდან, რომლითაც იგი მიმართავდა კილობანს მგზაურობის წინ: „აღიმართე, უფალო“, ხოლო როცა გაჩერდებოდნენ, იტყოდა: „დაბრუნდი, უფალო“ (რიცხ., 10, 35-36). ასევე ამბობდა კილობნის მიმართ დავითი: „უფლის წინაშე მოხტუნავე და მროკველი“ (2 მეფ., 6, 11-16).

144. მაშ, გვახსენებს თუ არა კილობანი ხატების სახიერებას, სადაც იგულისხმება თვით უფალი და არა კაცთა ხელით შექმნილი ხისა და ოქროს კერპები.

145. აქვე გაიხსენეთ, რომ კილობანი ოქროს ქერუბიმებით იყო შემკული (გამ., 25, 18). მათ ჰქონდა სახიერება (გამ., 25, 29).

146. ამგვარადვე, კაცთა ხელით იყო შექმნილი სპილენძის გველიც, რომლისთვისაც მოსემ თავიანთი აცემინა ხალხს (რიცხ., 26, 6-9).

147. გველი თუმცა ლითონისაგან იყო ჩამოსხმული, მაგრამ აღამიანთა სულების ხსნას დიდად ემსახურებოდა (სიბრძნე სოლომონისა, 16, 7).

„და როგორც მოსემ აღმართა გველი უდაბნოში, ასევე უნდა აღმართოს ძეც კაცისა“ (იოან., 3, 14).

149. კერპი არის ადამიანის გონების მიერ შექმნილი სახიერება, რომელსაც ანიჭებს იმ ბუნებას და იმ თვისებას, რომელიც მას არ გააჩნია.

150. მაგალითად: ბაალი, ასტარტი, ხარი, ნინაგი... რომელი შეიძლება ამათში იწოდოს ღმერთად? რომელ მათგანს გააჩნია ღვთაური ბუნება? არც ერთს! მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში არსებობს ხარი, ნინაგი თავისი სახიერებით, ისინი მაინც კერპებს წარმოადგენენ, რადგან ადამიანის მიერ გამოგონებულია და მისივე ფანტაზიით ღმერთად შექმნილი.

151. ასევე კერპი იყო ზევსი, რომელსაც კაცობრივი სახიერება ჰქონდა, ღვთაებრივი ბუნება კი — არა.

152. ჩვენ, ქრისტიანები, თავყანს ცეცხლს მხოლოდ ჭეშმარიტ ხატს — არსებული ღმერთის სახიერებას, რომელსაც გააჩნია უხილავი ღვთაებრივი ბუნება. იმ ხატზე გამოსახულ სახიერებას აღვიქვამთ, როგორც ღმერთის სურათს და არა ღმერთს.

153. როდესაც გამოგონებულ ხატს ღმერთად აღიარებ, რა თქმა უნდა, ეს არაფერს ნიშნავს, რადგან მას არაფერი შეუძლია და ვერც ვერაფერს ხედავს. შენი შევლის სურათი რომ ღმერთად ჩათვალო, განა ის ღმერთი იქნება? მიუხედავად იმისა, რომ გააჩნია აღამიანური სახიერება, იგი მაინც კერპად ჩაითვლება, რადგან იმ სურათსაც არაფერი ესმის, ვერც ვერაფერს ხედავს და არც არაფერი შეუძლია. ეს სურათი ამ შემთხვევაში კერპია. რაც არ უნდა მოეფერო, ვერაფერს გაიგებს.

154. მაგრამ ახლა ავიღოთ ქრისტეს სურათის წინ დგახარ და ესაუბრებ, მას ეს არ ესმის? ან არ გხედავს ამ სურათის წინ მდგომს მაშ, ფილიპე რანაირად უხილავს ლევების ქვეშ მაცხოვარს, დაუსწრებლად, ან სამართი ელი ქალისთვის ხუთი ქმრის ცოლობა რანაირად შეუნიშნავს? რომელი თქვენგანი დაიჩემებს, რომ ხილულს — ქრისტეს ხატში

გადავივიოლს არ ზისწყის ძალა სიძარულინა, ფრენისა და, თუკი ასეთის — შევიწინ დატყვისა.

155. ერისთვის თავდადებულმა მეფემ სიკვდილით დასჯის წინ ხალხს თავისი მოსასწანი დაუტოვა საზსოვრად.

156. მეფე დასაჯეს.

ხალხმა სათუთად შეინანა თავდადებული მეფის სამოსი. დროდადრო დახედადნენ მეფის მოსასწამ თავდადებულის მოსაგონებლად და კვლავ მოწიწებით შეინახავდნენ.

157. ერთ დღეს შეიპყრეს კაცი, რომელიც მეფის სამოსზე ფეხებით შემდგარიყო და თავის ბინძურ წულა-მესტებს იწმენდდა. შეპყრობილი სამსჯავროზე წარადგინეს. კაცმა თავის მართლება იცყო:

158. შეგიძლიათ კი უსულო ნივთების შებილწვისათვის სული წამართვათ?

მსაჯულმა თქვა: როგორი კაცი იყო ჩენი მეფეო?

ხალხმა უპასუხა: ჩენთვის წამებული და თავდადებულიო.

მსაჯულმა თქვა: ნივთი, რომელიც მოგვეცა, რისთვის დაგვიტოვაო?

უპასუხეს: რათა ამ ნივთის ხილეისას მოგვეგონებინა ჩენთვის წამებული მეფე და მით პატივი გვეცაო.

159. მსაჯულმა თქვა: რა სასჯელი ეკუთვნის იმ კაცს, რომელმაც განაცხადა, მე ნივთი შეურაცხვევ უსულო და არა მეფეო?

ხალხის პასუხი: სიკვდილი, როგორც თავდადებული მეფის მოძულესა და მტერსაო, როგორც თვით ცოცხალი მეფის შეურაცხყოფელსაო.

კაცი სიკვდილით დასაჯეს.

160. რატომ სცემდა ხალხი ამ ნივთს თავყანს?

ვინაიდან ამ ნივთში გაიგივებული იყო ცოცხალი მეფის სსოენა.

161. განა უცხო იყო მაცხოვრის სახის მომზირალათვის მისი ხატება? და თუ იგი გადმოგვეცა მაცხოვრის მოსაგონრად, რა ეკუთვნის ყველა იმას, რომელმაც თქვა:

მკრისტე ღირეთის სურათი თაყვანის ღირსი არ არისო?

რა თქმა უნდა, სასჯელა.

162. ვინაშეს რომ მაღაზიიდან გოსტუმში გამოეტანა და ხალხსთვის ეთქვა: ხალხო, მოდით, ამ გოსტუმს თაყვანი მივაგოთო, რას უპასუხებდნენ? განა არ იტყოდნენ: „როდის ყოფილა — ტანსაცმლისთვის თაყვანი მიუგიათო“. აი, რა არის კერამი. ის, ვინც ტანსაცმელს თაყვანს სცემს, არის კერამთაყვანისმცემელი. მაშ, რა განსხვავება ჩანს ამ ორ ერთი და იგივე ნივთთა შორის? პირველს თაყვანს სცემენ, როგორც მოსაგონარ ნივთს, ხოლო მეორის თაყვანება აკრძალულია, რადგან მეორეს გაცლილი აქვს პატივისაგები ჭეშმარიტი შინაარსი.

163. როგორც იქ, იმ კაცისთვის არამი იყო თავდადებული მეფის თავგანწირვა, ასევე არამაა ქრისტეს მიერ გაღებული სისხლი ყველა იმათთვის, რომელთაც პატივისაგებად უარყვეს მაცხოვრის ხატო.

164. როგორც ითქვა, კერამი არის ადამიანის ფანტაზიით შექმნილი ნივთი. იგი შეიძლება იყოს როგორც ადამიანის სახისა, ისე ფრინველისა, ან ცხოველისა, ან ქვეწარმავლისა, რომელსაც მიაწერენ ღვთაებრივ თვისებებს, რის შემდეგაც თაყვანს სცემენ, როგორც ღმერთს.

165. ამ კერამს, ქვისაგან გამოთლილს ან ხეზე ამოჩოკნილსა თუ დახატულს, დავითისა არ იყოს, რაც უნდა ელაპარაკო, არც სუნთქავს და არც არაფერი ესმის, რადგან იგი გამოგონებული ღვთაებაა, მიუხედავად იმისა, რომ გააჩნია ცოცხალი არსების სახიერება.

166. ყველასა გვეავს შეილება, ახლობელი ადამიანები, რომლებიც გვიყვარს. ათასნაირად გამოვხატუთ ამ სიყვარულს — გოცინით, ვეფერებით; თუ ჩვენგან შორს იმყოფებიან, მათ სურათებს ჩაევიკრავთ ხოლმე გულში და ვესიყვარულებით. ამ დროს ვინმემ ხელიდან სურათი რომ გამოგეტაცოს და შეგვიბილწოს, აღვშფოთდებით, რადგან ჩავთვლით,

რომ ცოცხალა შეილა შეურაცხველად და არა უსულო სურათი; შეილას სურათის შეურაცხმყოფელთ გაგვიცხაეთ უთუოდ, ხოლო თავად ღმერთის სურათს რომ შეურაცხოფენ, ნუთუ დანაშაულად არ მიიჩნევა? საკუთარი შეილების სურათებს გულში ვიკრავთ, ხოლო ღვთისას და მოციქულებისას კი ვაძაგებთ, თან ხმამაღლა გაჯვითით: ხატები თაყვანსაცემი არ არის, რადგან კერპებიან!

167. კერპი იყო აარონის ხელით შექმნილი ხბო, რადგან იგი ხბო იყო და არა ღმერთი. განა კიდობანზე აღმართული კერპებიმები, რომელთაც თაყვანს სცემდნენ, ისეთივე კერპი იყო? ებრაელები კოცნიდნენ ოქროს ხბოს და ხბო ვერ ხელდავდა, ვინ კოცნიდა; ესაუბრებოდნენ მას და არ ესმოდა, რადგან კაცის ხელით შექმნილი ყრუ კერპი იყო. ვინ გაბედავს, რომელი ღვთის ორგული, იმის თქმას, რომ ქრისტეს ხატის ამბორის მყოფელს ქრისტე ვერ ხელდავს? ან მისი ხატის წინ მოსაუბრისა არ ესმის? განა ამ სიცრუის გამო ღვთის რისხვას არ შეუდგება იგი?

168. ამბობთ, როცა თვალის ეხუჭავთ და ვახსენებთ უფლის სახელს, კარგად ვიცი, რომ მას ესმის ჩვენი; ხოლო, როცა მის სურათს ვუძიებთ, — ამოდ ვესაუბრებითო. ადამიანო, შენს გამოგონებულ კერპს, ვინდ თვალდა ესაუბრე და ვინდ თვალდასუქული, სულ ერთია, მაინც არაფერი ესმის. იგი შენი გამოგონილია და არა არსებული, ხოლო მე ვისაც თაყვანს ვცემ და ვეამბორები, იგი არსებობდა, არსებობს და მარად იარსებებს. მე კი არ შემიქმნია იგი, არამედ თვით მან შემქმნა მე; ამიტომ ვადიდებ მას. თუკი მანამდე არ მქონდა უფლება მისი სურათის შექმნისა, ეს იმიტომ, რომ, როგორც თავად ბრძანებს, არასოდეს შენახა იგი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ის განკაცდა და ჩემს გვერდით დადიოდა ვერავინ მეტყვის — როდის იხილე, რომ ხატი მისი შევიქმნიაო.

169. წმიდა მამა იოანე დამასკელი განმარტავს: „ბუნებითი ხატი მამისა ძე არს, არცა თუ მცირედ განსხვავებული, და

ვოველთა ხატქმთა შინა მსგავსი მამისა. სულსა მერ წმიდისა ჩვენ ვაცნობოთ ჭრასტყხა ძესა ღვთისასა. ხოლო ძესა შორის განკაცდით მამასა, ღმერთი არაკავს უხილაკვს, არამედ უხილავთ სახე ღვთისა. რამეოუ ბუნება ღვთისა ან ანგელოზისა ხორციელისა თვალთ უხილავი არს“. „ვინ ნახა სახიერება ჩემიო“. — ბრძანებს უფალი. ჭეშმარიტად ღმერთის სახე მამინ არაკავს ეხილა. და რადგან ღვთისათვის უხილავთ სახიერება ღვთისა, შევიქმნა კიდეც მისი ხატი. შექმლიო: კი ქრისტეს თანამედროვეებს ეთქვათ, რომ ჩვენ ქრისტე ღმერთი არ ვვინახავსო? და თუ იტყვოდნენ, იქნებოდა კი ჭეშმარიტება? რა თქმა უნდა, არა. და, რადგანაც უნახავო, მისი სურათი გადგეცა შთამომავლობას მოსაყონებლად.

170. ხატთმებრძოლთა სიცრუეს კარგად ამჩიელს პავლე მოციქული:

„ჰა, უგონო გალანჯლნო, ვინ მოგნუსხათ ისე, რომ აღარ ემორჩილებით ჭეშმარიტებს? თქვენ, რომელთა თვალწინ გამოისახა იესუ ქრისტე, როგორც თქვენს შორის ჯვარცმული?“ (გალ., 3, 1).

აი, როგორ ჰყვედრის მათ პავლე მოციქული თავიანთი უმეცრების გამო, რადგან გალატელებს ალბათ ცრუ მოძღვაროა ქადავებით არ უნდომიათ თაყვანი ეცათ მათ თვალწინ გამოსახული მაცხოვრის ჯვრისათვის. ეი. იგივე ხატისათვის. ვინც პავლე მოციქულს არ დაუჯერებს და თავის ცრუ მოძღვრებას მიჰყვება, იგი მათთან ერთად წავა იქ, სადაც სატანჯველი ცეცხლი უქრობია.

171. შეიძლება კი, კაცთა ბაგიდან გაფრენილი სიტყვა სახიერ იქმნეს, ვითარცა საცქერალი? ასევე არაკვის შექმლი ეხილა ღმერთი, რომელიც არის სული, მაგრამ ვის შეუძლია უარყოს სხეული მისი საცქერლად ჩინებული, როცა ის განკაცდა?

172. თუკი, ანბანის უქონლობის გამო, წინაპრები პატივს მიაგებდნენ სიტყვას, რომლის სახიერებას დამწერლობით არ იცნობდნენ, არაფერია ამაში იოტისოდენა სიცრუე.

მაგრამ სიცრუე და სისულელე ისაა, რომ ან-
ბანის გაჩენის შემდეგ ვინმემ კვლავ უანბანობა
დაიჩქმოს და უგულუბილესი ანბანთა წყობით
წარმოიჩინილი სიტყვის სიცხადე.

173. მოუხმეთ გონიერებას, სანამ კიდევ
შეგიძლიათ ცქერა, თორემ ჩაქრება თვალთა
ჩინი და არამად გექცევთ ქრისტეს დანთხუე-
ლი სისხლი. საკუთარი შვილების სურათებს
კი ნუ ჰკოცნით, გულში ჩაიკარით ღმერთის
ხატი და ეამბორეთ თქვენთვის წამებული და
განკაცებული მაცხოვრის სურათს. ღვთისა
და მისი ხატებისადმი უპატივცემლობა ჯოჯო-
ხეთის დასაკუთრებას ნიშნავს.

174. დააკვირდით ამ გარემოებას: (გა-
მოცხ., 3): „გააკეთებს სახიერებას პირველი
მხეცისა და აიძულებს მთელ ქვეყანას თაყვა-
ნი სცენ მხეცის სახიერებას (იგივე ხატს —
ი.ი.)“. — ე.ი. კეთდება ხატი არსებული მხეცი-
თა, რომელსაც თაყვანი უნდა სცენ ხალხებმა.

175. „...ვინც თაყვანს სცემს მხეცს, ან
ხატს მისას, აღიბეჭდება შუბლი მისი ან
ხელი მისი ნიშნით,

შესვამს ისიც რისხვის ღვინოს, რომელიც
შეზავებულია წმიდად მისივე რისხვის სასმის-
ში, და ეწამება გოგირდითა და ცეცხლით
წმიდა ანგელოზთა წინაშე და წინაშე კრავის“
(გამოცხ., 14, 9-10). რატომ? იმიტომ, რომ
მხეცის ხატის თაყვანისცემა ნიშნავს თვით
მხეცის თაყვანისცემას.

176. ქვაზე რომ იტყვი, ვაშლიაო, ცრუობ.
რამეთუ ვიცით, რათი განსხვავდება ვაშლი
ქვისაგან; მაგრამ ქვაზე რომ იტყვი, ქვააო, ეს
არ იქნება სიცრუე, რამეთუ ჭეშმარიტად ქვა
ქვაა.

177. როცა ვამბობთ, ეს არის ხატი, ნიშ-
ნავს, რომ ის ხატი არის ღმერთის ან წმიდანის
ხატება, მაგრამ, როცა ვიტყვით, რომ ეს ხატი
არის ღმერთი, ჭეშმარიტად ვიცრუვებით.

178. ფაქტის კონსტატაციისათვის თუკი
ხელნაწერი გამოდგება საბუთად, სურათმა
რა დააშავა?

179. მე თუ ვიტყვი, ეს სურათი ამა და ამ
პიროვნების სახიერებაა ანუ ხატება-მეთქი,

და თუკი ჭეშმარიტად ეს ასეა, რა ვიცრუე?
მაგრამ თუ ვიტყვი: ეს სურათი სურათი კი
არაა; ღმერთია-მეთქი, ვიცრუვებ.

180. როცა წერილიდან ვიცით, რომ იგი
ნამდვილად თვალსაჩინოდ წარუდგა ხალხს,
უხილავი გახდა ხილული, რაა ამაში
სიცრუე? თუკი დაგადასტურებ მისი არსე-
ბობისა და მოღვაწეობის აღმნიშვნელ მო-
მენტს სურათის მეშვეობით, რაში ვიცრუ-
ებ?

181. აი, ეს განსხვავებაა ღმერთის ჭეშმა-
რიტ ხატსა და ადამიანის მიერ გამოვლენულ
„ქერას“ შორის.

182. ბევრს ჰყავდა კერპები, რომლებსაც
ღმერთებად თვლიდნენ და კიდევაც წაწყმდ-
ნენ: ბაბილონს — ბაალი, ფინიკიას —
ასტარტა, ეგვიპტეს — ხარი და ნინაგი. მაშ,
რომელი მათგანის შედარება შეიძლებოდა
ჭეშმარიტ ღმერთთან? ამიტომ მათი ხელის
ნაყოფს ეწოდა კერპი, რამეთუ იყო იგი
სიცრუე და არა ჭეშმარიტება.

183. და საბოლოოდ, ვის შეუძლია
უარყოს და დაივიწყოს ის სურათი, როდესაც
ღმერთი ჯვარს აცვეს? არ უნახავთ ქრისტე
ჯვარცმული? რა იქნებოდა ამაში სიყალბე,
თუკი დახატავდნენ ჯვარცმულ ქრისტეს?

184. ნურავინ დაიბრმავებთ თვალებს.
დაიხსომეთ ქრისტეს გვარი და სახელი —
ჯვარცმული მაცხოვარი! და ვინც მას
თაყვანს არ სცემს, სწორედ მისთვის ყოფილა
გამიზნული მოციქულ პაულეს სიტყვები:
ჯვარი სიშლევება წაწყმდილთათვის, ჩვენთ-
ვის კი — იმედი და სიხარული!

185. მღვდლის შესახებ: იტყვიეთ ხოლმე,
ახალ აღთქმაში მღვდელი არსად იხსენიება,
ხოლო ხუცესი, პრესვიტერი მღვდელს კი
არ ნიშნავს, არამედ მოძღვარსაო. მაშ,
ვისთვის ითქვა:

„თავისთავად ვერავინ მიიღებს ამ პატივს,
არამედ ვინც ხმობილია ღმერთის მიერ,
აარონის სიბავსად“ (ებრ., 5, 4).

186. განა თქვენთვის უცნობია აარონის
სამღვდლო ჩინი? ასევე ხმობილი იყო მაცხო-

ვარი მღვდლად მღვქისედეკის ჩინით, და მიტომაც ითქვა:

„ასე ქრისტემაც თვითონვე კი არ მიიკეთუნა მღვდელმთავრად ყოფნის ღიდება“ (ებრ., 5, 5).

187. და რადგანაც მასარებელმა იხმარა სიტყვა „მღვდელმთავარი“, განა იგი არ ნიშნავს მღვდელთა არსებობას? თუკი არ იქნებიან მღვდელნი, რანაირად იწოდოს მღვდელმთავარი?

188. ან კიდევ, ვისთვის ითქვა:

„და თვითონაც, როგორც ცოცხალმა ქებმა, თქვენით ააშენეთ სულიერი სახლი, წმიდა სამღვდლოება, რათა შესწირით სულიერი მსხვერპლი, რომელიც იესუ ქრისტეს მიერ სასურველად უქანს ღმერთს“ (1 პეტრ., 2, 5).

189. თუკი არ არსებობს სამღვდლოება, მაშ, ვინა თქვა არარსებულის სიწმინდე? და რადგან არსებობს წმიდა სამღვდლოება, იგი სხვას არას ნიშნავს რა, თუ არა მღვდელთა წმიდა საკრებულის არსებობას.

190. ან კიდევ, რანაირად დავივიწყოთ პეტრე მოციქულის სიტყვები:

„ხოლო თქვენ ხართ რჩეული მოღვაძე, სამეფო სამღვდლოება, წმიდა ერი“... (1 პეტრ., 2, 9).

მაშ, ვის არ ესათნოვა ღვთისაგან დაწესებული მღვდლობა?

191. თქვენც ირწმუნეთ:

„ისინი მძრავალნი იყვნენ მღვდელნი, ვინაიდან სიკვდილი ხელს უშლიდა მათს დამკვიდრებას“ (ებრ., 7, 23).

ამრიგად, ჯვალა მოციქულს კარგად სცოდნია მღვდლის არსებობის შესახებ. დამერწმუნებით, მღვდელი მაშინ არსებობს, როცა არსებობს ეკლესია. და რადგან ითქვა ქრისტეს სამარადეამო მღვდლობაზე მელქისედეკის ჩინით, ნიშნავს, ამ სამღვდლო ჩინის უკვდავებასთან ერთად, ეკლესიის უკვდავებას, რადგან მღვდელი ეკლესიისთვის არსებობს და მით უმეტეს — მღვდლობა.

192. როცა ითქვა:

„ნუთუ არ იცით, რომ მღვდელმსახურნი ტაძრისაგან ჭამენ“ (1 კორ., 9, 13).

ეს ნიშნავს ტაძრის არსებობას, რომელიც ეკლესიად იწოდება, მღვდელმსახურნიც ტაძრის მსახურები არიან. ამიტომაც იქნა მინიშნებული ამ სამღვდლო ღვაწლის პატივზე, რათა ისინი იქნენ მათი ღვაწლის მიხედვით გამოკვების ღირსნი. ეს პატივი მხოლოდ მღვდელმსახურთ ეკუთვნის, და, როგორც ნახეთ, მღვდელი რქმევიათ, რომელიც თქვენი სამლოცველოსთვის უცხოა.

193. ან კიდევ, როცა ითქვა:

„...მღვდლობის შეცვლასთან ერთად უთუოდ უნდა შეიცვალოს რჯულიც“ (ებრ., 7, 12).

განა ეს ნათლად არ მეტყველებს იმაზე, რომ ადრევე არსებულა მღვდლობა, ე.ი. მღვდლობა ძველი აღთქმისა, რომელიც შეცვლილა ახალი აღთქმის მღვდლობით, რასაც გამოუწვევია რჯულის შეცვლაც. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ამას ვერ იტყოდნენ:

194. „ვინაიდან ცნობილია, რომ უფალი ჩვენი აღმობრწყნადა იუდას ტომიდან, რომელზედაც მოსეს არაფერი უთქვამს მღვდლობის გამო.“

და ეს მით უფრო ცხადია, რომ მელქისედეკის მსგავსად დგება სხვა მღვდელი, რომელიც ხორციელი მცნების რჯულისამებრ კი არ გახდა მღვდელი, არამედ წარუვალი სიცოცხლის ძალისამებრ.

195. რადგანაც მოწმობს: შენ ხარ მღვდელი სამარადეამოდ წესისამებრ მელქისედეკისა“ (ებრ., 5, 6). „...ხოლო მას, როგორც მარადის მყოფს, მღვდლობაც წარუვალი აქვს“ (ებრ., 7, 14-24).

196. და ჩვენ უნდა გვახსოვდეს, მარად წარუვალი მღვდლობის მესაკუთრე მარად მღვდელმთავარია, მარად არსებულ წმიდა სამღვდლოებათა შორის.

197. როცა ითქვა:

„...მაგრამ შემოდის უკეთესი იმედი, რომლის მეშვეობითაც უნახლოდებით ღმერთს. და ეს არ მომხდარა ფიცის გარეშე.“

ვინაიდან ისინი გახდნენ მღვდლები ფიცის გარეშე, ეს კი ფიცის მიერ“ (ებრ., 7, 19-21).

კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ფიცის მიერ გაჩენილ მღვდლობაზე და მის მარადიულობაზე, ვითარცა ქრისტეს სამღვდლო ჩინის უკვდავებაზე.

198. ეკლესიის შესახებ თქვენ ზედმიტად მიიჩნევთ ეკლესიის არსებობას და გგონიათ, რომ ეკლესია მხოლოდ ადამიანია. უნდა გესმოდეთ: იმის გარდა, რომ ადამიანი ლეთის ტაძარია, ღმერთმა თავისი სახელის სადიდებლად სამლოცველო ტაძარიც ინება.

199. ამგვარი ტაძარი სოლომონს ააგებინა უპირველესად. ხოლო ქრისტეს მიერ გაშენებული ტაძრის შესახებ ზაქარია წინასწარმეტყველმა ბრძანა:

200. „უთხარი, ასე ამბობს-თქო ცაბაოთ უფალი: აჰა, კაცი – მორჩია მისი სახელი; თავისი ადგილიდან აღმოცენდება და ააშენებს უფლის ტაძარს.

ის ააშენებს უფლის ტაძარს და იტვირთავს დიდებას, დაჯდება და იხელმწიფებს თავის ტახტზე; ის იქნება მღვდელი თავის ტახტზე და თანხმობა იქნება ამ ორთა შორის“ (ზაქ., 6, 12-13).

201. და აღაშენა მაცხოვარმა შვიდ საიდუმლოზე დაფუძნებული ტაძარი ცოდვების მისატყვევლად და ქრისტეანთა სამრავლოდ, რის გამოც მამამ:

202. „ყველაფერი ფეხქვეშ დაუმორჩილა მას და მისცა მას მთავრობა ყოველი ეკლესიისა,

რომელიც არის მისი სხეული, საესება ყოვლის აღმსებებისა ყოვლით“ (ეფეს., 1, 22-23).

203. დღემდე გაიძახით, ქრისტეს არსად არაფერი უთქვამს შვიდ საიდუმლოზე დაფუძნებული ეკლესიის შესახებო და ამგვარი განცხადებით გნებათ გააუქმით კანონიკური ტაძარი ლეთისა, რათა მაღლი არა სუფევდეს ეკლესიაში.

204. რას იტყვით ნათლობაზე მაშინ, როცა ახალი აღთქმა მიგვანიშნებს:

ა) „ნათლისღებით მმართვეს ნათლისღება, და როგორ ვეწამებო, ვიდრე აღსრულდება“ (ლუკ., 12, 50).

ბ) „ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება“ (ეფეს., 4, 5).

გ) „და მასთან ერთად დაეიმარხეთ სიკვდილში ნათლისღებით; რათა, როგორც ქრისტე აღდგა მკვდრეთით, მამის დიდების მიერ, ასევე ჩვენც განასზღებულ სიცოცხლეში ვიარებოდეთ“ (რომ., 6, 4).

დ) „მიუგო იესუმ: ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გუბნები შენ: ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“ (იოან., 3, 5).

ე) „წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს და ნათელი ეცით მამის და ძის და სულის წმიდის სახელით“ (მათ., 28, 19).

ვ) „და ბრძანა გაეჩერებინათ ეტლი; და ორივენი ჩავიდნენ წყალში, ფილიპეც და საჭურისიც; და ნათელი სცა მას“ (საქმე, 8, 38).

205. რას იტყვით მორონცხებაზე მაშინ, როცა ახალი აღთქმა გვაუწყებს:

„ხოლო თქვენ ცხება გაკეთ წმიდისაგან, და იცით ყოველი“ (1 იოან., 2, 20).

206. „თუმცა ცხება, რომელიც მისგან მიიღეთ, კვლავ თქვენშია, და არ გჭირდებათ, რომ ეინმემ გასწავლით; არამედ, რაკი თვით ეს ცხება გასწავლით ყველაფერს, და ჭეშმარიტია და არა ყალბი, ამიტომ, რასაც გასწავლით თქვენ, მასშივე დარჩით“ (1 იოან., 2, 27).

207. „მაღლი შესწირა, გატეხა (იგულისხმება პური. — ი.-ი.) და თქვა: მიიღეთ და ჭამეთ; ეს არის ჩემი ხორცი; ეს ჭყავით ჩემდა მოსახსენებლად.

ასევე სერობის შემდეგ ასწია სასმისიც და თქვა: ეს სასმისი არის ახალი აღთქმა ჩემს სისხლში; ეს ჭყავით ყოველთვის, როცა სვამთ, ჩემდა მოსახსენებლად“ (1 კორ., 11, 24-25).

208. რას იტყვით ხინანულზე მაშინ, როცა ახალი აღთქმა გვაუწყებს:

„ხოლო პეტრემ უთხრა მათ: მონანინეთ, და თვითუელმა თქვენგანმა ნათელი იღოს უფლის იესუ ქრისტეს სახელით ცოდვითა მისაბტეველად, და მიიღებთ სულის წმიდის საბოძეარს“ (საქმე, 2, 38).

209. რას იტყვიტ მღვდლობაზე მაშინ, როცა ახალი აღთქმა გვაუწყებს:

„და ზოგიერთნი ღმერთმა დაადგინა ეკლესიაში, ჯერ-ერთი, მოციქულებად, მეორეც, წინასწარმეტყველებად, მესამეც, მოძღვრებად; და მერე ზოგს მისცა სასწაულმოქმედების ძალი, აგრეთვე ნიჭით მკურნალობისა, შეწვენისა, მმართველობისა, სხვადასხვა ენისა“ (1 კორ., 12, 28).

„სუცესნი, რომელნიც კეთილად წინამძღვრობენ, ორმაგი პატივის ღირსნი არიან, მით უმეტეს ისინი, რომელნიც მუშაკობენ სიტყვით და სწავლით“ (1 ტიმ., 5, 17).

210. რას იტყვიტ ქორწინების შესახებ, მაშინ, როცა ახალი აღთქმა გვაუწყებს:

„მაშინ საცდუნებლად მიუახლოვდნენ ფარისეულები და უთხრეს: ნება აქვს თუ არა კაცს, ყოველგვარი მიზეზით გაუშვას ცოლი?“

ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან კაცად და ქალად შექმნა ისინი?

და თქვა: ამიტომ მიატოვებს კაცი დედამას, და შეერთვის თავის ცოლს და იქნებიან ორივენი ერთ ხორც.

ასე, რომ ორნი კი აღარ არიან, არამედ ერთ ხორც. ამრიგად, ვინც ღმერთმა შეაუღლა, დაე, ნუ განაშორებს კაცი“ (მათ., 19, 3-6).

„ხოლო დაქორწინებულთ მე კი არ ვუბრძანებ, არამედ უფალი: ცოლი ნუ გაეყრება ქმარს“ (1 კორ., 7, 10).

211. რას იტყვიტ ზეთის კურთხევის შესახებ მაშინ, როცა ახალი აღთქმა გვაუწყებს:

„ავადყოფობს რომელიმე თქვენგანი? ეკლესიის ხუცესთ მოუხმოს, რათა ილოცონ მისთვის და ზეთი სცხონ უფლის სახელით“ (იაკ., 5, 14).

212. როგორ მოიქცეთ ამის შემდეგ? უარყოთ ეს საეკლესიო საიდუმლონი იმის გამო, რომ სხვაგვარად მოაზროვნე ეკლესიის მესვეურებმა ვერ შეინიშნეს ახალ აღთქმაში ზემორე განცხადებული საიდუმლონი, რომელთა გარეშე ღვთის ტაძარი უბრალო სახელია.

213. და ამ საიდუმლოს შესრულება ყველას რომ არხელეწიფება, ეს ციტატაც კარგად მიგვანიშნებს: „მარკოზი დასძარი და წამოიგვანე ჩემთან, რადგანაც მჭირდება სამსახურებლად“ (2 ტიმ., 4, 11).

214. მსახურებისათვის ყველა რომ არ ვარგოდა, ამას საკმაოდ კარგად გვამცნობენ. მხოლოდ ხელდასხმულთ ეძლევათ სამღვდლო მადლი:

„და უკურთხეს მათ თვითეული ეკლესიის ხუცესნი, და ლოცვითა და მარხვით შეავედრეს ისინი უფალს, რომელიც ირწმუნეს“ (საქმე, 14, 23).

„მათთვის გამოცხა: ზებულ იქნა, რომ მათ კი არა, არამედ თქვენ გამსახურებდათ ის, რაც ამჟამად გეუწყათ მასარებელთაგან, ზეცით მოვლენილი სულის წმიდის მიერ, და რისი წვდომაც სურთ ანგელოზებს“ (1 პეტრ., 1, 12).

215. საეკლესიო მთავრობას სამჩინიანი იერარქია ქმნის (ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი).

216. ვინ მოცატა თქვენ საეკლესიო ხელდასხმული მთავრობა?

ირწმუნეთ ისინი, რადგან მხოლოდ მათ იციან, როგორ იღვასონ ტაძარში: „ხოლო თუ დაყოვნდი, იცოდე როგორ უნდა მოიქცე ღმერთის სახლში, რომელიც არის ეკლესია ცოცხალი ღმერთისა, ჭეშმარიტების სვეტი და სიმტკიცე“ (1 ტიმ., 3, 15).

217. თქვენ ასევე ბრძანებთ: „მრწამსი“ ქრისტეანული მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებული, ჩვენთვის დოგმატს არ წარმოადგენს, რადგან მის შესახებ არაფერი თქმულა სახარებაში, რის გამოც უგულვებელყოფთ მას.

218. მამ ასე — ავიღოთ და დავეყოთ ეს ქრისტიანული მრწამსი ცალკეულ ფრაზებად: „მრწამს ერთ ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა“.

219. აქ საუბარია სამების პირველ პირზე — მამა ღმერთზე. ქრისტემ ხომ თავად უწოდა ღმერთს თავისი „მამა“.

„ასე იუბნა იესომ, და ზეცად აღაპყრო თვალნი, და თქვა: მამაო, მოვიდა ჟამი; განადიდე შენი ძე, რათა შენმა ძემაც განგადიდოს შენი.“

რაკი მიეცი ხელმწიფება ყველა ხორციელზე, რათა ყველაფერს, რაც მიეცი, მისცეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან., 17, 2-3).

220. და კიდევ: „ხოლო ეს არის საუკუნო სიცოცხლე, რათა გიცნობდნენ შენ ერთს, ჭეშმარიტ ღმერთს, და ვინც შენ მოაკლინე, იესუ ქრისტეს“ (იოან., 17, 3).

221. პირველი ფრაზის შემდეგი სიტყვები: „ყოვლისა მპყრობელი“. შეადარეთ: „რადგანაც მასში შეიქმნა ყოველი: მიწიერიც და ზეციერიც; ხილული თუ უხილავო, საყდარნი თუ უფლებანი, მთავრობანი თუ ხელმწიფებანი. ყველაფერი მის მიერ და მისთვის შეიქმნა.“

და იგია უწინარეს ყოვლისა, და ყველაფერი დამკვიდრდა მასში“ (კოლ., 1, 16-17).

222. პირველი ფრაზის შემდეგი სიტყვა: „შემოქმედი“. შეადარეთ: „ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: არ წაგიკითხავთ, რომ შემოქმედმა დასაბამიდან კაცად და ქალად შექმნა იხინი“ (მათ., 19, 4).

223. განა მოციქულებიც არ უწოდებდნენ სამების იპოსტასის პირველ პირს „მამა ღმერთს?“

„კურთხეულია ღმერთი და მამა უფლის ჩვენის იესუ ქრისტესი, მამა მოწყალებათა და ღმერთი ყოველგვარი ნუგეშისცემის“ (2 კორ., 1, 3).

224. ან კიდევ: ასევე უწოდებენ „ერთ ღმერთს“:

„მაგრამ ჩვენ ერთი გვეყავს მამა ღმერთი, ვისგანაც არს ყოველი, და ვისთვისაც ვართ ჩვენ; და ერთი გვეყავს უფალი იესუ ქრისტე, ვის მიერაც არის ყოველი, და ვის მიერაც ვართ ჩვენ“ (1 კორ., 8, 6).

225. ან კიდევ: „ერთია ღმერთი და მამა ყოველთა, ყველაზე უზენაესი, ყველას მიერ და ყველა ჩვენგანში“ (ეფეს., 4, 6).

226. ასევე უწოდებენ ცათა და ხმელეთის შემოქმედს და ყოველივეს გამჩენს:

„ეს რომ მოისმინეს, ყველამ ერთხმად შელადლა ღმერთს: უფალო ღმერთო, შენა ხარ, რომელმაც შექმენ ცა და მიწა და ზღვა, და ყველაფერი, რაც არის მათში“ (საქმე, 4, 24).

227. ან კიდევ: „ღმერთი ქვენისა და ყოველივე ქვენიერის შემოქმედი, ღმერთი ცისა და მიწის უფალი, ხელქმნილ ტაძრებში როდი მკვიდრობს“ (საქმე, 17, 24).

228. მორიგი ფრაზა ასე იკითხება: „და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი; ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა“.

229. ძეს ღვთისას უწოდებენ ქრისტე ღმერთს წმიდა წერილი, წინასწარმეტყველები, მოციქულები და თვით მაცხოვარიც. იხილეთ:

„იგნაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა თვისი ძე მხოლოდშობილი, რათა ყველა, ვისაც სწამს იგი, კი არ წარწყმდეს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოან., 3, 16).

230. ან კიდევ: „ასე იუბნა იესუმ, და ზეცად აღაპყრო თვალნი, და თქვა: მამაო, მოვიდა ჟამი; განადიდე შენი ძე, რათა შენმა ძემაც განგადიდოს შენი“ (იოან., 17, 1).

231. მხოლოდშობილი უწოდამან თავის თავს. იხილეთ:

„მისცა თავისი ძე მხოლოდშობილი“...
(იოან., 3, 16).

232. და კიდევ:

„და ვისაც სწავს იგი, არ განისჯება, ხოლო ურწმუნონი ახლავს განსჯილია, ვინაიდან არ იწამა სახელი ღმერთის მხოლოდშობილი ძისა“ (იოან., 3, 18).

233. იოანე მასწავლებელიც იგივეს იუწყება:

„და სიტყვა ხორცად იქცა, და ღაუმჯობრა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით საესე. და ვინილეთ დიდება მისი, დიდება როგორც მხოლოდშობილისა მამის მთერ“ (იოან., 1, 14).

234. და კიდევ:

„ღმერთი არავის არასოდეს უხილავს; მხოლოდშობილმა ძემ, რომელიც იყო მამის წიადში, მან გაგვიცხადა“ (იოან., 1, 18).

235. შემდეგი ფრაზა:

უწინარეს დაბადებული ჭაველთა საუკუნეთა. ასევე ეწოდა მას თავისივე სიტყვების მიხედვით:

„ახლა კი შენ განმადიდე, მამაო, იმავე დიდებით, რომელიც შენგან მქონდა ქვეყნის შექმნამდე“ (იოან., 17, 5).

236. ან კიდევ:

„უთხრეს მას: ვინა ხარ შენ? და უთხრა მათ იესუმ: დახაბამად რას გუებნებით?“ (იოან., 8, 25).

237. შემდეგი ფრაზა:

„ნათელი ნათლისგან“ აღებულია წყაროებისგან:

„იგა საუკუნო ნათლის ანარეკლი, უხინჯო სარკე ღვთის ქმედებისა და ხატი მისი სიკეთისა“ (სიბრძ., 7, 26).

238. და კიდევ:

„ნათელი წარმართთა გახანათლებლად და შენი ხალხის — ისრაელის სადიდებლად“ (ლუკ., 2, 32).

„და კვლავ ამბობდა იესუ, და უთხრა მათ: მე ვარ ნათელი ქვეყნისა; ვინც გამოიყვება, არ ივლის ბნელში, არამედ ექნება სიცოცხლის ნათელი“ (იოან., 8, 12).

239. შემდეგი ფრაზა:

„ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა“. — ეს სიტყვები თვით ქრისტეს გამონათქვამია:

„მე და მამა ერთი ვართ“ (იოან., 10, 30).

240. ან კიდევ:

„უთხრა მას იესუმ: აძენი ხანია თქვენთანა ვარ, და არ მიცნობ, ფილიპე? ვინც მე მიხილა, მამა იხილა. როგორღა ამბობ: მამა გეიყენეო?“

241. და კიდევ:

„ველაფერი მამისგან მომეცა მე, და არავეინ იცის ძე, გარდა მამისა; და არც მამა იცის ვინმემ, გარდა ძისა და იმისა, ვისთვისაც ძე ინებებს მის გამოცხადებას“ (მათ., 11, 27).

242. სიტყვა „ერთარსი მამისა“ წარმოადგენს შემოკლებულ სახარებისეულ სიტყვებს: „ველაფერი მის მთერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“ (იოან., 1, 3).

243. სწავლება განკაცების შესახებ ემყარება თვით ქრისტეს სწავლებასა და მასწავებლებს:

„არავეინ ასულა ზეცად, გარდა ზეცით ჩამოხული კაცის ძისა, რომელიც არის ცაში“ (იოან., 3, 13).

244. ან კიდევ:

„მამისგან გამოვედი და ქვეყნად მოვედი, და კვლავ ვტარებ ქვეყანას და მამასთან მივალ“ (იოან., 16, 28).

245. ან კიდევ:

„ახლა კი შენ განმადიდე, მამაო, იმავე დიდებით, რომელიც შენგან მქონდა ქვეყნის შექმნამდე“ (იოან., 17, 5).

246. „ეს რომ დააპირა, აპა, ანგელოზი უფლისა ეჩვენა სიზმრად და უთხრა: იოსებ, დავითის ძეო, ნუ შიშობ მოიყვანო მარიაში, ცოლი შენი: რადგან, ვინც მასში ჩასახულია, ხულის წმიდისგან არის“ (მათ., 1, 20).

247. ხოლო სწავლება წამებისა და ჯვარცმამე განმარტებულია ამგვარად:

248. „მას აქვთ დაიწყო იესუმ თავისი მოწაფეებისათვის იმის გამხელა, რომ უნდა

წასულიყო იერუსალემს, დაეთმინა მრავალი ტანჯვა უხუცესთა, მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან, სასიკვდილოდ მიეცა თავი, და აღმდგარიყო მესამე დღეს“ (მათ., 16, 21).

249. ან კიდევ:

„გალილეაში ყოფნისას უთხრა მათ იესუმ: **ძე კაცისა მივემსა კაცთა ხელში, და მოკლავენ მას, და მესამე დღეს აღგება.** და დიდად დამწუნრდნენ ისინი“ (მათ., 17, 22-23).

250. ან კიდევ:

„და ზოგერთებმა დაუწყეს ფურთხება, ხახეს უფარავდნენ, ურტყამდნენ, ეუბნებოდნენ: **გეონინასწარმეტყველუ.** და მსახურები ფერიძალში სცემდნენ მას“ (მარკ., 14, 65).

251. და კიდევ:

„ხოლო პილატემ მიუგო და კვლავ უთხრა მათ: კი მაგრამ, რა გსურთ, რომ ეუფო იმას, ვისაც იუდეველთა მეფეს უწოდებთ?“

ისინი კვლავ აჟივრდნენ: **ჯვარს აცვი იფი!**“ (მარკ., 15, 12-13).

252. და კიდევ:

„მამინ მისცა მათ **ჯვარზე ხატებლად.** ხოლო მათ წაიყვანეს იესუ...“

და **ქვარს აცვი იფი,** და მასთან ერთად ორი სხვაც, აქეთ და იქით, ხოლო შუაში იესუ“ (იოან., 19, 16-18).

253. ქრისტეს აღდგომის შესახებ (შემდეგი ფრაზა) თავად მაცხოვარი იტყოდა:

„მას აქეთ დაიწყო იესუმ თავისი მოწაფეებისათვის იმის გამხელა, რომ უნდა წასულიყო იერუსალემს, დაეთმინა მრავალი ტანჯვა უხუცესთა, მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან, სასიკვდილოდ მიეცა თავი, და აღმდგარიყო მესამე დღეს“ (მათ., 16, 21).

254. ან კიდევ:

„ხოლო ჩემი აღდგომის შემდეგ წაგიძლებით თქვენ გალილეისკენ“ (მარკ., 14, 28).

255. სახარების ავტორები გვაუწყებენ შემდეგს:

„ხოლო კვირის პირველ დღეს დილაადრთან აღმდგარი იესუ პირველად ქვენა მარიამ

მაგდალელს, რომლისაგან გაეძეებინა შეიდი ეშმაკი“ (მარკ., 16, 9).

„ხოლო კვირის იმავე პირველ დღეს, საღამოხანს, როცა სახლის კარი, სადაც იყვნენ მოწაფეები, იუდეველთა შიშით დახსული იყო, მივიდა იესუ, შუაში დადგა და უთხრა მათ: **მშვიდობა თქვენდა!**

ეს რომ თქვა, თავისი ხელი და ფერდი უჩვენა მათ. ხოლო მოწაფეებმა გაიხარეს უფლის ხილვით“ (იოან., 20, 19-20).

256. და კიდევ:

„რადგანაც თავდაპირველად გადმოგვიცით ის, რაც თავად მივიღე: რომ ქრისტე, წერილის მიხედვით, ჩვენს ცოდვებისთვის მოკვდა,

და რომ დაიმარხა, და, წერილისავე მიხედვით, მესამე დღეს აღდგა,

და ეჩვენა კუფას, ხოლო შემდეგ — თორმეტს“ (1 კორ., 15, 3-5).

257. ქრისტეს ამაღლების შესახებ (შემდეგი ფრაზა) უფალი იტყოდა:

„მამისაგან გამოვედი და ქვეყნად მოვედი და კვლავ ბრუნებ ქვეყანას და მამასთან მივაღ“ (იოან., 16, 28).

258. მოციქულებიც იგივეს იტყვიან:

„ამიერიდან დაუღება ძე კაცისა ღმერთის ძლიერების მარჯენი“ (ლუკ., 22, 69).

259. ქრისტეს მეორედ მოსვლის, საშინელოდ სამსჯავროსა და მისი დაუსრულებელი მეფობის შესახებ (შემდეგი ფრაზა) გვეუწყა:

„და მეშვიდე ანგელოზმა ჩაჰბერა საყვირს, და გაისმა ცაში გრგვინვა, რომელიც ხმობდა: სამეფო ქვეყნისა განდა სამეფო უფლის ჩვენისა და მისი ქრისტისი; და იმეფებს საუკუნეთა საუკუნეთასა.“

260. ფრაზა სულიწმიდისა და მამა ღმერთიდან მისი გამოშავლობის შესახებ. მაცხოვარი გვამცნობს:

„ხოლო როდესაც მოვა ნუგეშისმცემელი, რომელსაც მოვივლენთ მამის მიერ, ჭეშმარიტების სული, რომელიც გამოდის მამისგან, ის იმოწმებს ჩემთვის“ (იოან., 15, 26).

261. ფრაზა ეკლესიის შესახებ:

„და თუ არც მათსას შეისმენს, უთხარი ეკლესიას; ხოლო თუ არც ეკლესიისას შეისმენს, მაშინ იქნება იგი შენთვის როგორც მებაჟე ან წარმართი“ (მათ., 18, 17).

262. ან კიდე: „რათა აწ ეკლესიის მეშვეობით ეუწყოს ზეციურ მთავრობათა და ხელმწიფებათ მრავალფეროვანი სიბრძნე ღმრთისა“ (ეფეს., 3, 10).

263. მომღვენო ფრაზისეული სიტყვა „ურთიანი“ შემდეგი მოტივით იწოდა:

„ურთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნაოლისილება“ (ეფეს., 4, 5). „მე და მამა ერთი ვართ“.

264. ასევეა ფრაზისეული სიტყვა „წმიდაც“:

„შობებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიფარა ეკლესია, და მისცა თავისი თავი მისთვის,

რათა წმიდა ეყო იგი, განწმენდილი წყლის საბანელით და სიტყვით“ (ეფეს., 5, 25-26).

265. ასევე „საკრებოც“:

„სადაც არ არის ბერძენი და იუდეველი, წინადაცვეთილობა თუ წინადაუცვეთელობა, ბარბაროსი, სკეითი, მონა, თავისუფალი, არამედ ყველაფერი და ყველაფერში — ქრისტე“ (კოლოს., 3, 11). ეს სწორედ მრავალთა საკრებულაა.

266. და კიდე: „ამიერიდან უცხონი კი აღარა ხართ და უცხოელნი, არამედ წმიდათა თანამოქალაქენი და ღმერთის სახლელენი; მოციქულთა და წინასწარმეტყველთა საფუძველზე დაფუძნებულნი, რომლის ქაკეთებელი არის თვითონ იესუ ქრისტე“ (ეფეს., 2, 19-29).

267. ფრაზისეული სიტყვა „ნათლობის“ შესახებ ქრისტე განგვიმარტავს:

„მიუგო იესუმ: ჭეშმარიტად გუბნები შენ: ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“ (იოან., 3, 5).

268. ან კიდე: „და ვინც იწაშებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა და განიკითხება“ (მარკ., 16, 16).

269. შემდგომი ფრაზები „მიცვალებულთა აღდგომისა“ და „სამარადჟამო ცხოვრების“ შესახებ განგვიმარტება მაცხოვრისეული სიბრძნით:

„ხოლო ვინც ჭამს ჩემს ხორცს, და სვამს ჩემს სისხლს, ექნება საუკუნო სიცოცხლე და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს“ (იოან., 6, 54).

270. ან კიდე:

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გუბნებით თქვენ: მოვა დრო, და მოვიდა კიდეც, როცა მკედრები მოისმენენ ღმრთის სიტყვას, და მსმენელნი გატოვებულნი“ (იოან., 5, 25).

271. და კიდე:

„ხოლო საუკუნო ცხოვრებისა და მკედრებით აღდგომის ღირსად შერაცხილნი არც ცოლს ირთავენ და არც თხოვდებიან;

და აღარც სიკვდილი ხელეწიფებთ; ვინაიდან ანგელოზთა სწორნი და ღმრთის ძენი, აღდგომის ძენი არიან“ (ლუკ., 20, 35-36).

272. ყოველივე ამის შემდეგ, როგორც თვით სატანასაც კი არაფერი დარჩა თავის გასამართლებელი, ასევე არც თქვენ გძლევათ თავის მართლების საშუალება ყოველივე ზემორე წარმოდგენილი საბუთების მიხედვით.

273. თვალნათლივ ნახეთ, როგორ ყოფილა მთელი მრწამსი განფენილი ახალ აღთქმაში. თქვენ კი დაიწუნეთ იგი, ღვთის საწინააღმდეგო დებულებად იგულებთ იმის გამო, რომ მრწამსი ჩამოაყალიბეს წმ. მამებმა I და II მსოფლიო კრებებზე. ასე და ამგვარად, თქვენი დაბნეულობა მინდა შეგახსენოთ ასეთი იგავით: კაცს შეეკითხნენ — ჩუროჩხელა თუ გიყვარსო? არაო! — უპასუხნა. თხილიო? თხილი კი მიყვარსო. ფელამუშუ რას იტყვადითო? ფელამუშვიც მიყვარსო. დაგლოცოთ გამჩენმა, აბა ძაფს არც ჩვენ გვახსლებითო.

274. ბერობის უარყოფის გამო: ღმერთი უსმენს მხოლოდ მართალს. ვის უფრო უყვარს ღმერთი, კაცს, რომელმაც დათმო ამქვეყნიური სიამენი, თუ კაცს, რომელიც ვერ შეეღია ამქვეყნიურ სიამონებებს? რა თქმა

უნდა, ვინაც დათმო ამქვეყნიური სიამოვნებანი.

275. განა თვით ქრისტეს არ მოსწონს ასეთი კაცის ცხოვრება? გაიხსენეთ, რას ბრძანებს უფალი სახარებაში ასეთ კაცზე:

„და ყველა, ვინც მიატოვებს თავის სახლს, ან თავის და-ძმას, თავის ცოლ-შვილს თუ დედ-მამას, ანდა თავის ადვილ-მამულს ჩემი სახელის გულისთვის, ასმაგად მიიღებს საზღაურს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს“ (მათ., 19, 29).

276. თუკი ამგვარ კაცს ღმერთი იწონებს, აღიარებს და აჯილდოებს კიდევც, თქვენ ვინ გაძლევთ უფლებას, არ სცნოთ ბერი და მონაზონი, რომელნიც სწორედ ქრისტეს მიერ მოწონებულ ცხოვრებას ეწევიან და თავიანთი სიწმინდით ანგელოზებრივ ჩინს უახლოვდებიან.

277. ბერმონაზვნური ცხოვრება არ მოსწონს მრუშ-ცოდვილს, რადგან ასეთი ცხოვრების მოწონება ნიშნავს თავისი მრუში ცხოვრების უარყოფას, რითაც მისი გულია დაპყრობილი.

278. უნდა გვახსოვდეს, ის, ვინც ბერული ცხოვრების მტკირთველია, განდგომილია ამქვეყნიური ცხოვრებიდან და შედგომილია საზეცაო ღვაწლს.

279. ან კიდევ:

„რომელთა ღირსი არ იყო მთელი ქვეყანა, უღაბნობსა თუ ტყე-ღრეში მოხეტინი, მღვიმეებსა თუ მიწის ხერელებს შეფარებულნი. და ყველა მათ, რომელთაც მიეცათ მოწმობა რწმენით, ვერ მიიღეს აღთქმული.

რადგანაც ღმერთმა წინასწარ განჭვრიტა ჩვენთვის უკეთესი, რათა უჩვენოდ ვერ ყოფილიყვნენ სრულქმნილინი“ (ებრ., 11, 38-40).

280. ან კიდევ:

„მსურს, რომ ყველა კაცი ჩემსავით იყოს. მაგრამ თვითუფლს თავისი მადლი აქვს ღმრთისაგან, ზოგს ასე, ზოგს ისე“ (1 კორ., 7, 7).

281. ან კიდევ:

„უთხრეს მას მოწაფეებმა: თუ კაცს აძენი რამ მართებს ცოლის მიმართ, უმჯობესია სულაც არ შეირთოს.

ხოლო იესუმ პასუხად თქვა: ყველას როდი შეუძლია ამ სიტყვის წედობა, არამედ მხოლოდ იმათ, ვისაც მიეცა.

282. ვინაიდან არიან საჭურისინი, რომელნიც ღედის საშობანვე ასე იშენენ. არიან საჭურისინი, რომელნიც კაცთაგან დასაჭურისდნენ; და არიან საჭურისინი, რომელთაც თავად დაისაჭურისეს თავი ცათა სასუფეველის გულისთვის. ვისაც წუგლომის თავი აქვს, ჩასწვდეს“ (მათ., 19, 10-12).

283. ქრისტემ გვიჩვენა სამი გვარი საჭურისთა: პირველი ბუნებით საჭურისია, მეორე იძულებით დასაჭურისებულია, ხოლო მესამე საჭურისი თავად თავის დამსაჭურისებელს კი არ ნიშნავს, არამედ ამქვეყნიური ცხოვრებიდან პრაქტიკულად განდგომას, ე.ი. ბერულ-ასკეტური ცხოვრების შედგომას.

284. ქორწინების შესახებ:

გაჯერათ თუ არა სიტყვის ძალა?

გაჯერათ თუ არა ლოცვის ძალისა, რომელიც შედგება სიტყვებისაგან?

285. საქორწინო ლოცვები და საეკლესიო რიტუალები ცოლ-ქმარს აქცევს ერთ სხეულად და ლუთის წინაშე წარმოაჩენს კანონიერ ქრისტეან ცოლ-ქმარად. ამ საიდუმლოების მოქმედებას იწვევს მღვდლობის ძალა და ის ლოცვები, რომლებიც სულიწმიდამ დააწერინა როგორც დაეთოს, ასევე სხვა წმიდანებსაც.

286. ექნება თუ არა ქორწინების სახლში ან მძაჩის ბიურონი ნათქვამ სიტყვას ის ძალა, რომ მოახდინოს ღვთის საიდუმლოება — ქორწინება? — რა თქმა უნდა, არა.

287. ამგვარად, თქვენი ცდა, უმღვდლოდ ცოლ-ქმარი რომ ღვთის წინაშე კანონიერ მეუღლეებად წარმოაჩინოთ, ამაო იქნება, როგორც უკანონო ქორწინების, როგორც მრუშობის შედეგი, რადგან არ გაგაჩნიათ რჯულისმიერი საეპისკოპოსო ხელდასხმა. თქვენს მიერ დაქორწინებულთა შვილებიც

ღვთის წინაშე ასევე მრუშობის ნაყოფებად ჩანან.

288. ირწმუნეთ: მოუნათლავთა — წარმართთა მიერ გამოგონებული სიტყვები არ წარმოადგენს იმ ძალმოსილების მქონე სიტყვებს, რომლებსაც შეუძლია ღვთის მადლის გარდმოვლენა, ეშმაკის დათრგუნვა თუ ცოდვების შემსუბუქება.

289. ჯაჭვანყვეტილი ძაღლი, რომელიც საკბენად ეცემა ადამიანს, ვის სიტყვას უფრო გაიგებს — თავის ბატონისას თუ შემთხვევით გამგელისას?

290. ასევე, წმიდანების მიერ შედგენილი ლოცვები სულიწმიდის მიერაა დაწერილი; სულიწმიდა ღმერთია და მისი სიტყვა კანონია ყველასთვის — სულიერთა და უსულოთათვის და, რაღა თქმა უნდა, იმ ჯაჭვანყვეტილი მხეცისთვისაც.

291. თქვენი სიტყვა კი იმ მგზავრის სიტყვასა ჰგავს, რომელსაც არ ემორჩილება ის გააყვებული მხეცი.

292. „დრამატული წრე“ ეკლესიაში.

პირველი ეკლესიის ნიმუში იყო კარავი, რომელიც ებრაელებს დაჰქონდათ.

როცა თვით წინასწარმეტყველმა დავითმა ეკლესიის, ე.ი. სამლოცველო სახლის აშენება ისურვა, ღმერთმა მისი ხელიდან არ იწება საჩუქარი და ეს პატივი დავითის შვილს — სოლომონს არგუნა.

293. განა ყველა მორწმუნეს დაერთო ამისი უფლება?

294. განა ღმერთმა თვითონ არ უკარნახა ეკლესიისათვის ადგილსამყოფელი და მისი მასშტაბებიც?

295. ვისი ნაკარნახევის მიხედვითაა გაშენებული თქვენი ეკლესიები?

296. მაშინ, როდესაც საღვთო საიდუმლოებანი ისეთი მოწინებითა და რიღით მიმდინარეობს, რომ საკურთხეველის მაგიდის შესებაც კი საშიშია, თქვენ ეს სატრაპეზო ადგილი დაგიტომათ დრამატული და მუსიკალური კოლექტივებისათვის სასცენო არენად.

297. რანაირად გახედეთ არტისტობა ღმერთის კარზე. არ იცოდით, რომ ტაკიმასხარებს ეკლესია დეკნის, რადგან იგი სამლოცველო სახლია, და არა თეატრი. ან როგორ გახედეთ წმიდანების განსახიერება, ცეცხლთან მოთამაშენო?

298. მეფის წინაშე შეწყალების მიზნით მდგარ სიკვდილმისჯილს რა ევალება: თხოვნა, მუხლმოდრეკა თუ არტისტობა? ვინ გაგათამაშათ და ვინ გაგახედენათ ღვთის კარზე ჯამბაზობა? იქნება იმან, ვისაც სურს თავის საწინააღმდეგოდ გაშენებული იარაღის სამჭედლო სახელოსნო — ეკლესია აქციოს სატამუანდრო არენად. მოუხმეთ გონს!

299. მარხვის გამო:

მარხვა არის ღვთიური მადლის მისაღები ქრისტეანული სათნოება, რისთვისაც მემარხულე აუკრძალავს საკუთარ თავს ნაყოფანებას დადგენილი წესის მიხედვით.

300. მარხვა ორგავარია: პირველი აღესრულება, ჩვეულებისამებრ, ოთხმარხვიანი წელიწადისა და აგრეთვე ოთხშაბათ-პარასკევის გამო.

301. მეორენაირი მარხვა იქნება შემთხვევის გამო დადებული აღთქმის მიზნით.

302. მარხვა აგრეთვე არის საზოგადოებრივი და კერძობითი. საზოგადოებრივ მარხვას დაიცავს ყოველი ეკლესია, ზოლო კერძობითს — მხოლოდ ერთი რომელიმე საშფოლობლო, ან ქალაქი, ან დაბა, საკუთროვ ერთი კაცი და ეგრე აღესრულება აღთქმისა თუ სულიერი მამის ბრძანებისამებრ.

303. მარხვა არის უდიდესი სარგებელი სულისა. იგია ეშმაკის საწინააღმდეგო იარაღი; მარხვითა და ლოცვით განიდევნება ეშმაკი.

304. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ დაიბადეთ პირველ საუკუნეში. თქვენს თვალწინ გადაიშლება შემდეგი სურათი:

წმიდა მამები, იგივე მოციქულები, ქრისტეს მიერ დადგნილ სწავლებას განაგრცობენ დედამწინაზე, აფუნებენ. ქრისტეს მიერ მოწონებულ ეკლესიას: „მე შევექმნი ამგ-

ვარ მტკიცე ლოდზე ჩემს ეკლესიას“ (ქრისტე).

305. დამეთანხმებით, რომ მოციქულები ერთნაირი წესითა და რიგით გაავრცელებდნენ ქრისტეანობას; ერთნაირ საფუძველს დაუდებდნენ ეკუმენიკურულად.

306. პეტრე არავითარ შემთხვევაში არ დააფუძნებდა პაპულს მიერ დადგენილი ეკლესიის საწინააღმდეგო ეკლესიას, და არც იოანე, მისი ძმა, იაკობის მიერ დადგენილი ეკლესიის საწინააღმდეგო ეკლესიას.

307. ამდენად, უტყუარია ის ფაქტი, რომ მთელ მსოფლიოში, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, მოციქულები ერთნაირად დააარსებდნენ ქრისტეანულ ეკლესიებს, რადგან ერთი მოძღვრის — ქრისტეს დადგენილსა და ნაბრძანებს ასრულებდნენ ყველანი.

308. იმაშიც უნდა დაგვეთანხმობ, რომ მოციქულების საქრისტეანო ღვაწლი სულიწმინდის ნების აშკარა გამოხატულება იყო, რადგან მამას მხოლოდ მისი შვილის ხელიდან მორთმეული ეკლესია ესათნობოდა.

309. შეეძლო კი სულიწმინდის ნების გადასული მოემოქმედა რომელიმე მოციქულს? იმ მოციქულებს, რომლებსაც ქრისტეს აღდგომის ორმოცდამეათე დღეს სულიწმიდა მოეფინა? მაშ, ვინ იწადინა სულიწმინდის ნებაში ეკვის შეტანა, თუ არა სატანამ?

310. დამერწმუნებით, სულიწმინდის ნების აღმსრულებელი მოციქულების დადგენილი მსოფლიო ეკლესია ყოველგან ერთნაირია თავისი ქრისტეანული სახით; ვერაინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ეს მოციქულებისმიერი ეკლესიები ერთნაირად არ სცემდნენ თავიანთსა ბატებს, ერთნაირად არ ასრულებდნენ საეკლესიო რიტუალებს, ერთნაირად არ იცმევენდნენ და ერთნაირ წესებს არ ემორჩილებოდნენ. ასეთია I-II საუკუნეების ეკლესია.

311. ახლა, ვთქვათ, თქვენ განმეორებით დაიბადეთ XVI საუკუნეში, ე.ი. პირველი საუკუნის ეკლესიების გაჩენიდან 1500-1600 წლის მერე, და რას ხედავთ:

ქრისტეანული ეკლესიები რომში ისეთივე როლია, თქვენ რომ I-II საუკუნეებში გინახავთ. ნათლობა მიმდინარეობს სხვა წესით, პირველად სხვანაირად იწერენ. საბერძნეთსა და სხვა ქალაქებშიც შეცვლილია მოციქულთა რეკლამები და გადმონაცემები. განა არ გაგაოცებდათ ნანახი?

312. რა თქმა უნდა, თქვენი გაკვირვება სამართლიანი იქნებოდა. ყველა თავის სწავლებას პირველყოფილად წარმოაჩენს.

313. ახლა ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ კვლავ მოგიწიათ ცხოვრებამ XX საუკუნეში, ე.ი. პირველი ქრისტეანული ეკლესიების დაბადებიდან 1900 წლის შემდეგ. თქვენ უკვე ნანახი გაქვთ პირველი და მეორე საუკუნეების დროს დაფუძნებული ეკლესიები თავიანთი რიტუალებითა და წესებით. ასევე ნანახი გაქვთ XVI საუკუნის ქრისტეანული ეკლესიები თავიანთი ერისით, ე.ი. შეცვლილი წესებითა და რიტუალებით. ახლა კი მოგეცათ საშუალება — გვხილათ XX საუკუნის ქრისტეანული ეკლესიები.

314. ვეწიეთ ბაპტისტების სამლოცველო სახლს და რას ხედავთ? აქ სატი და ქრისტეს სახე არ ენახებთ; ღვთისმშობელს, ქრისტესთვის სისხლდანთხეულ წმიდა მოწამეებს არა სცნობენ, შეიდ საეკლესიო საიდუმლოზე საერთოდ ზედმეტია ლაპარაკი.

315. ერთი სიტყვით, ქრისტეს ჯვარსაც განირიდებენ.

— რა ეკლესიაა ეს? — კითხულობთ თქვენ.

— ქრისტეანული! — გიპასუხებენ ბაპტისტები.

316. — სად არის ქრისტეს ჯვარი, რომელიც ყველა სამოციქულო ეკლესიის ქრისტეანული სიმბოლოა?

— ჩვენ ჯვარი არ გვწამს! — გიპასუხებენ ისინი.

— ამ ეკლესიაში რომ ღმერთის სატებიც არსად ჩანს?

— ასეთია ჩვენი ეკლესია!

317. კი, მაგრამ, მე ვიცნობ პირველყოფილ ეკლესიებს, იქ ყველგან სატი და ჯვარი ეს-

ვენათ, თანაც წესიც სხვაგვარი ჰქონდათ. ეინ არიან თქვენი ეკლესიების დამფუძნებელი მოციქულები?

318. — ჩვენი ეკლესიის დამფუძნებლები განათლებული აღამიანები არიან, თუმცა ისინი დაიბადნენ ქრისტეს აღდგომიდან 1700 წლის შემდეგ, ზოგი ჰოლანდიაში, ზოგი სადღა ზოგი სად.

319. — ჩვენი ეკლესია აცხადებს, რომ ყველა სხვა დანარჩენი ეკლესია მცდარია და ტყუის. ამიტომ განუდევით მათ.

320. — თქვენი მღვდმარეობა იმ იგავს მახსენებს ქოთნის პირველ გამომგონებელს რომ უთხრეს, შენი გამოგონებული პირველი ქოთანი ამნაირი იყო.

მაშ, დასცინით მექოთნეს და გნებავთ ხალხი დააჯეროთ თქვენს სიმართლეში?!

321. ეის უპოვეთ შეცდომები? მოციქულებს, რომლებმაც ქვეყანაზე დააარსეს პირველი ქრისტეანული ეკლესიები? და ისიც 1700 წლის შერე.

322. დაგაიწყდათ მოციქულების მიმართ ნათქვამი ქრისტეს სიტყვები: ეინც ჩემი სახელით თქვენ მიგიდებთ, ის მე მღვებულობსო.

ეინა ხართ თქვენ, ქრისტეს ამ სიტყვების გამტენო? მიიღეთ კი მოციქულები მთელი მათი ღვაწლითა და ჭეშმარიტებით? განა სამოთხის გასაღები ქრისტემ მოციქულებს არ ანდო? თქვენ რატომ არ ენდეთ მას, ვისაც ნდობა გამოუცხადა თვით ქრისტემ? იქნებ თქვენს პირველ პრესვიტერს გადასცა ქრისტემ გასაღები?

323. თუკი კვლავ დაიჩემებთ, რომ მართლები ხართ, მაშინ, თქვენი აზრით, თვით მამა ღმერთი შემცდარა, რადგან 1700 წლით ადრე გამოუგზავნია თავისი შვილი ქვეყანაზე და მასაც თქვენი „ჭეშმარიტი სამლოცველოების“ საპირისპირო ეკლესიები დაუფუძნებია და, ამრიგად, 1700 წლის მანძილზე ერთი ქრისტეანიც კი ვერ დაუბადებია.

324. ჭკუათმყოფელნო, შეიძლება ჭეშმარიტი ეკლესიისა და მღვდლის გარეშე ქრისტეანის დაბადება? ვინ დაბადებდა ქრისტეანს,

თუ არა მისი მოციქულების ეკლესია. ანკი, როგორ მოითმენდა ქრისტე მისი უგვარცილან 1700 წლის განმავლობაში ქვეყანაზე უქრისტეანობას. მაშ, სულ ტყუილად გაუღია სისხლი, თუ ამ ხნის განმავლობაში სასუფეველში შესვლის საბუთის გარეშე დაუტოვებია გარდაცვლილ აღამიანთა სულები.

325. რანაირად დაგიზმოთ გონება სატანამ, რომ დაგაჯერათ ბაპტიზტების გაჩენამდე ერთი ქრისტეანიც არ დაიარებოდა ქვეყანაზე.

326. ეკლესია სამლოცველო სახლია. ამასთან, იგი არის ქრისტეანების დამბადებელი დედა და ეს დედა, თქვენ რომ წარმოგიდგინათ, ისე ადვილად როდია შექმნილი. იგი შექმნილია და გაჩენილია ისე, როგორც ცოცხალი აღამიანი შვილის მუცლადღების, დაბადებისა და გაზრდის შემძლეობით.

327. განა ეინც პირველი ქალი გააჩინა, მანვე არ მოუწყო სასიცოცხლო ბუდე შვილის მუცლადღებისათვის? განა ეინც პირველი ქრისტეანული ეკლესია გააჩინა, იმან არ მოუწყო ყველა სასიცოცხლო უჯრედი ისე, რომ შესძლებოდა ქრისტეანის დაბადება?!

დღემდე რა გადაკეცება დასჭირდა ღმერთის გაჩენილ დედის მუცელს?

328. მაშ, რა გადაკეთება დასჭირდებოდა თვით ქრისტეს მიერ გაჩენილ ეკლესიას? განა თავის ძეს არ მოუწოდა ქვეყნის გამჩენმა მისთვის სასურველი ტაძრის შესაქმნელად?

329. ახევე სანთლისა და ხაკლესიონივთების უარყოფაზეც იტყვით მაშინ, როცა ბიბლიაში მიგანიშნებენ:

„რადგანაც პირველი კარავი გამზადებული იქნა ისე, რომ შიგ იყო სასანთლე და ტაბლა და შესაწირი პური და ერქვა მას წმიდა“ (ებრ., 9, 2).

330. ან კიდევ:

„სასანთლის ნათელი აღარ გაგინათებს. აღარ გაისმება შენი მუფე-დგდოფლის ხმა, რადგან შენი ვაჭრები იყენენ ღვდამიწის დიდებულები“ (გამოცხ., 18, 23).

331. ან კიდევ:

„დავცი და მოინანიე, თორემ გადავწევი შენს სასანთლეს“ (გამოცხ., 2, 1-5).

332. ან კიდევ:

„მიბრუნდი, რომ დამენახა ხმა, რომელიც მე მელაპარაკებოდა, და მიბრუნებისას ვიხილე შეიდი ოქროს სასანთლე.“

შეიდი სასანთლის შუამი ვიხილე მსგავსი კაცის ძისა, რომელსაც ემოსა მოსასხამი და გულმკერდზე ოქროს სარტყელი ერტყა“ (გამოცხ., 1, 12-13).

333. ჩვენ ნათლად ვიხილეთ თუ რამდენჯერაა ნახსენები სასანთლე, რომელი თქვენთაგანი დაიჩემებს იმას, რომ სასანთლე სანთლისთვის არ იყო მიჩნეული. ან კიდევ ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ ქარქაშის არსებობა არ ნიშნავს ხმლის არსებობას.

334. ვინაიდან თქვენს მოდერნისტულ სამლოცველოში ეშმაკის მიერ უგულვებლყოფილია ყველა საეკლესიო ნივთი. ნუ გგონიათ, რომ იგი ეკლესიისთვის საჭიროებას არ წარმოადგენს. ეკლესიას მუდამ გააჩნდა თავისი საეკლესიო წმიდა ნივთები: სასანთლე, საცეცხლური, ტაბლა შესწირი პურის (ებრ., 9, 2), მღვდელთა და მღვდელმთავართა შესამოსი (იხ. „საეკლესიო ნივთები“).

335. შეიცვალა რა ძველი სამღვდლოება ახლით, მათ რჯულის შეცვლასთან ერთად შეეცვალათ ფორმა, მაგრამ ნივთები იგივე დარჩა: საცეცხლური ისევ საცეცხლურია, რომელსაც ზემო ხუფზე თორმეტი ნახერგები აქვს, სასანთლე შეიდიანი ისევ შეიდიანია საკურთხეველში.

336. ლოგიკა ასეთია: არსებობდა პირველი ეკლესია სოლომონისეული, ღვთით ნაკარნახევი, გააჩნდა თავისი საეკლესიო რჯული და წმიდა ნივთები. შეიცვალა ეკლესია რჯულის შეცვლასთან ერთად, პირველ საუკუნეში გაჩნდა საეკლესიო ახალი რჯული, საეკლესიო ნივთებმაც იცვალეს იერსახე, თუცა შინაარსი არ შეცვლიათ.

337. დადავ ჟამი, ბაპტისტებმა ცვალეს ეკლესიური სახე XVII საუკუნეში. განა

ჩვენ არ ვიცით, რომ პირველი ეკლესიის დაფუძნება დაეგალა სოლომონს, დავითმაც კი ვერ შეიძლო მისი გაშენება, რადგან უფალმა არ ღართო მას ნება ამისა.

338. მეორე ეკლესიის აშენება თავად ქრისტეს დაეგალა: რადგან იყო ნათქვამი: „ჩემი შეილის ხელით გაშენებული ტაძარი მესათნოებაო“.

339. გვიპასუხეთ, ქრისტეანობის დაარსების 1700 წლის მეფე თქვენ — ბაპტისტებს ვინ დაგაეალათ მესამე ტაძრის აგება? არსად უთქვამს ღმერთს, რომ ვიწუნებ ჩემი შეილის ხელით მორთმეულ ეკლესიასო, მაშ, რამ განაპირობა თქვენი ამგვარი თვითნებობა?

340. რჯულისკანონის უარყოფის შესახებ როცა ითქვა: რწმენით მართლდება კაცი და არა რჯულითო (რომ., 3, 27-31), იგულისხმება ქრისტესმიერი რწმენა. თუკი ეს რწმენა არ გაგაჩნია, მაშინ რჯულით, რა თქმა უნდა, ვერ გაგმართლდებით. „... ღმერთის მცნებათა დაცვაა ყველაფერი“ (1 კორ., 7, 19).

341. უნდა გვესმოდეს, რომ ქრისტეს მხელით რჯული არ გაუქმებულა. პირიქით, კატეგორიულად გეთხოვენ ღვთის მცნებათა დაცვას: „... ვინც დაიმარხავს მთელ რჯულს, და შესცოდავს მხოლოდ ერთ რამეში, ყველაფერში შემცოდეა“ (იაკ., 2, 10).

342. და კიდევ:

„ყველა, ვინც სჩადის ცოდვას, ურჯულოებასაც სჩადის; და ცოდვა არის ურჯულოება“ (იოან., 3, 4).

მიუხედავად იმისა, რომ ნათქვამია: „გედარ გუფლებათ ცოდვა, ვინაიდან რჯულის ქვეშ კი არა ხართ, არამედ მადლის ქვეშ“ (რომ., 6, 14).

343. „...რჯულის მსმენელნი კი არ არიან მართლნი ღმერთის წინაშე, არამედ რჯულის აღმსრულებელნი გამართლდებიან“ (რომ., 2, 13).

344. ამრიგად, მე, ერთი და იგივე კაცი, გონებით ღმერთის რჯულს ვმონებ, ხორციით კი ვარღვევ რჯულს.

345. ახალი აღთქმა გეფრთხილებს:

„...გარდა რჯულისა, გამოჩნდა ღმერთის სიმართლე, რასაც მოწმობენ წინასწარ-მეტყველნი და რჯული“ (რომ., 3, 21).

346. ჭეშმარიტად მოგვეთხოვება მისი აღსრულება, ვინაიდან მხოლოდ ჩვენი რწმენით არ გვეძლევა რჯულის გაქარწყლების უფლება:

347. „მაშ, ჩვენ რწმენით ვაქარწყლებთ რჯულს? არამც და არამც, არამედ ვამტკიცებთ რჯულს“.

348. და როცა ითქვა:

„...რჯული კეთილია, თუკი ვინმე რჯულიერად მოიხმარს მას“ (1 ტიმ., 1, 8).

რანაირად შეიძლება უქრისტეოდ რჯულის გამოყენება? განა ქრისტეს გარეშე რჯული არ უქრობს? ქრისტეანი ხარ? საბედნიეროა დიდად, მაგრამ თუკი ურჯულოდ და უკანონოდ ინდომე ცხოვრება, დარჩები ქრისტეს ბეჭდიანი, გადარჩენის არმქონე ურჯულო.

349. თუკი ვინმე იტყვის, მაშ სახარებას ტყუილა მონიშნება: ვინც ღმერთის სახელს ახსენებს, ყველა გადარჩებაო.

განემარტავთ: ზემორე წაკითხული სახარებისეული ციტატა მიანიშნებს ანტიქრისტეს მეფობის უამს, რომლის დროსაც უფლის სახელის ხსენება მოწამებორივი სიკვდილის ტოლფასოვანი თავდადება იქნება.

350. ასეთნი კი გადარჩებიან, თორემ ასე რომ არ იყოს და ადამიანმა ყველა დროში შეიძლოს სულის გადარჩენა კანონისა და რჯულის აღსრულების გარეშე მხოლოდღა ღმერთის სახელის ხსენებით, მაშინ მაცხოვარი არ შეგვახსენებდა: „არა ყველა, ვინც მტყვეის მე: უფალო, უფალო! — შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს მამის ჩემის ზეციერის ნებას“ (მათ., 7, 21).

351. ამიტომაც მოგვიწოდებენ მოციქულები: ჩვენი სარწმუნოება ითხოვს კანონის სრულად აღსრულებას: „ასწავლეთ მათ დაიცვან ყველაფერი, რაც მე გიბრძანეთ; და აჰა, მე თქვენთანა ვარ დღემუდამ, ვიდრე

ქვეყნის დასასრულამდე. ამენ“ (მათ., 28, 20).

რადგან: „...წიაღში ჩავედებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დაეწერ. მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი ერი იქნებიან“ (იერ., 31, 32).

352. ასეც მონდა. ქრისტემ რჯული გულზე დაგაწერა და ამიტომაც თქვა: „არ იფიქროთ, თითქოს რჯულის ან წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად მოვედი. გასაუქმებლად კი არა, აღსასრულებლად მოვედი“ (მათ., 5, 17). თქვენი კი გეგონათ, რომ ქრისტესმიერი მაღლი რჯულიდან და კანონიდან განთავისუფლებდათ.

353. რჯულზე მაშინ ითქმევა აუგი, როცა იგი ვერ ემსახურება კაცის სულის გადარჩენას. ეს კი მაშინ ხდება, როცა თავად რჯულის შემქმნელ და ჩვეთების სისხლდანთხეულ მესიას მესიად არ ირწმუნებენ.

354. ამ შემთხვევაში რჯულის აღსრულება ადამიანს ვერ გადარჩენს. უმჯობესია, რწმენა გკონდეს ქრისტესი და ღვთის მაღლით შეიძლებს ურჯულოების განრიდებას იმ შეიდ საიდუმლოზე დაფუძნებული ეკლესიის მეშვეობით, რომელიც მამის სათნო ეკლესიად დაგვიდგინა ქრისტემ.

355. როცა ითქვა, რწმენით მართლდება კაცი და არა რჯულითო, იქვე ისიც ითქვა: „მართალი იცოცხლებს რწმენით“ (ებრ., 10, 38).

356. და რადგან ითქვა: მართალი იცოცხლებს რწმენით, იგი არ ნიშნავს, რომ ყოველი იცოცხლებს რწმენით; ითქვა — მხოლოდ მართალი იცოცხლებსო. მაშ, ვინ არის მართალი? იქნებ გგონიათ, ყოველი ადამიანი! მართალია ის, ვინც სიმართლის გზით მავალია — უფლის კანონის აღმსრულებელი. შეიძლება იყო მართალიც, მაგრამ ვერ გადარჩე. ბერია მართალი იუდეველი, მაგრამ ქრისტეს გარეშე გაწბილებულია მისი სიმართლე. ვ.ი. სიმართლეს, რომელსაც არ ახლავს მაცხოვრისადმი რწმენა, სიცრუედ მიიქცევა. ისევე, როგორც მაცხოვრის მორწმ-

უნე სიძარტლის გარეშე — ცრულ სიძარტლე — ღვთის წესებით ცხოვრება, ახალი აღთქმის რჯულისმიერი ზრუნვა.

357. ამოდ ქადაგებთ გადარჩენას მხოლოდ ქრისტეს რწმენით; ქრისტეს რწმენას თან უნდა ახლდეს რწმენის რჯული: ღოცვა მარხვასთან ერთად და სიძარტლე წყალობასთან ერთად! აი, გადარჩენის უფლისეული სიბრძნე-მოწოდება.

რწმენით მაგდალელმაც ირწმუნა მაცხოვარი — მისი გადამრჩენელი, მაგრამ ქრისტემ მას რწმენისთანავე წინ რჯული დაუღო: „...წადი და ამიერიდან ნუღარ სცოდავ!“ დიას, რწმენა საქმის გარეშე მკედარია.

358. ან კიდევ: გაიხსენეთ ქორწილი გალილის კანაში, როცა სუფრაზე ღვინო მიაკლდათ. ღვთისმშობელმა შეიღოს სიხოვა მწირთა მემართ წყალობის შეწევნა, რის შემდეგ მოუწოდა მსახურებს მოქცეულიყვენ ისე, როგორც მათ ქრისტე უბრძანებდა.

359. უთხრა მათ იესუმ: „აავსეთ წყლით ეგ ჭურჭლები“. მათაც აავსეს პირთამდე. ამის შემდეგ მაცხოვარი წყალს ღვინოდ გადააქცევს.

ეს ისტორიული მომენტი მოითხოვს ქარაგმისეულ ახსნას:

360. ღვთისმშობლის თხოვნა შეიღოს მიმართ გვიდასტურებს, რომ მას შეუძლია გვიშუამდგომლოს ღმერთთან. ღვთისმშობლის მოწოდება მსახურთა მიმართ, რომ ისინი მიეახლონ ქრისტეს და მოიქცნენ მისი ბრძანებისამებრ, მიგვანიშნებს, რომ გვქონდეს რწმენა და სასოება უფლისა, რათა მივიღოთ მისგან სასურველი.

361. უფლის განკარგულება — შეავსონ ჭურჭლები წყლით, ეს ის ღვაწლია, რომელიც მოეთხოვება მასთან მოახლოებულთ, რომლის გარეშე წადილი აუხსრულებელი დარჩება.

362. როდესაც განაცხადეთ დიდი რჯულისკანონის აღსრულება, ურჯულოების მოყვარული ეკლესიები აბობოქრდნენ: არსად არაფერია თქმული ახალ აღთქმაში

დიდი რჯულისკანონის შესახებ, იგი შემდეგი პერიოდის საეკლესიო მოღვაწეთა მიერაა შექმნილი.

363. ებოძა რა მოსეს რჯულის კანონი, იგი შეადგენდა როგორც სასულიერო, ასევე საერო ყოფის კანონმდებლობასაც.

364. ასევე მოხდა ქრისტეანულ საუკუნეში კი არ გაუქმდა რჯული, არამედ, შეეცვალა მამის მიერ განცხადებული საეკლესიო და საერო ყოფის კანონმდებლობა, რომელსაც ეწოდა „დიდი რჯულისკანონი“. ახალ ღვინოს ახალ ტიკში ახსამენ, — ბრძანა ქრისტემ. ახალ სწავლებას ახალი ეკლესია და ახალი წესი სჭირდებოდა. კი არ გაუქმდა რჯული, არამედ უფრო დაიხვეწა და გამკაცრდა.

365. უნდა ვიცოდეთ, რომ სწორედ რჯულის გასაუქმებლად იბრძვის თვით ურჯულობის ბელადი — ანტიქრისტე და მისი სატანისტური პროგრამა „ურჯულოების საიდუმლო“.

366. როგორ და რისგან შეიქმნა ქრისტეანული დიდი რჯულისკანონი? უპირველესად, ახალი აღთქმის რჯულდებები სვიით მაცხოვრისგან და მოციქულებისგან მოგვეცა და იგი კანონების სახით სრულიად განუწინილა ახალ აღთქმაში.

367. სხვაგვარად მოაზროვნე ეკლესიები დიდ რჯულისკანონს უარყოფენ, ვინაიდან არა მოციქულთა მიერ დაწერილიაო და მას ახალ აღთქმისეულ კანონმდებლობად არ ცნობენ. რამდენად ჭეშმარიტია მათი ამგვარი მოსაზრება საქრისტეანოს საეკლესიო და საერო სამართლის მარადიულ კოდექსთან მიმართებაში?

368. მაგალითი I: ჩვენ ვიცით დიდ რჯულისკანონში ერთ-ერთი სამოციქულო კანონი (მოციქულთა 29), სადაც ნათქვამია: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი ფულით მიიღებს ამ პატივს, უნდა განიკვეთოს“...

369. შეადარეთ საქმე მოციქულთა, სადაც სიმონ მოგვმა ფული შესთავაზა ხელდასახსნმელად.

„ხოლო როდესაც იხილა სიმონმა, რომ მოციქულთა ხელდასხმით ეძლევათ სული წმიდა, მოუტანა მათ ფული.

და თქვა: მეც მომეცით ეს ძალა, რათა მან, ვისაც დაგადებ ხელს, მიიღოს სული წმიდა.

სული პეტრემ მიუგო: ეგ შენი ვერცხ-ლი შეთანხმე იყოს წარსაწყემელად, ვინაიდან განიზრახე ფულით გეყიდა ღმრთის ნიჭი“ (საქმე, 8, 18-20).

როგორც ნახეთ, ახალი აღთქმი-სეული კანონის საწინააღმდეგო რჯულ-დება არც აქ დაუდგენიათ.

370. მაგალითი 2:

(მოციქ., 46): „თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა მიიღოს ურტიკოსის მონათე-ლა ნათლისღებად, ან მის მიერ შეწირუ-ლი მსხვერპლი, მის განკვეთას ებრძა-ნებთ, რადგან არა აქვს საერთო ქრისტეს ბელიართან, ან რა აქვს საერთო მორწმ-უნეს ურწმუნოსთან“.

371. შედარეთ — კორ., 6, 14-16:

„ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწ-მუნობთან ერთად, რადგანაც რა აკავ-შირებს ერთმანეთთან სამართლიანობა-სა და ურჯულოებას?.. რა შეათანხმებს ქრისტეს და ბელიარს? ან რა ხელი აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან! რა შეუთ-ავსებს ღმერთის ტაძარს კერპებს? რად-გან თქვენ ცოცხალი ღმერთის ტაძარი ხართ“...

372. მაგალითი 3:

(მოციქ., 50): „თუ რომელიმე ეპის-კოპოსმა ან მღვდელმა შეასრულოს არა სამი ნათლისღება (სამი შთაფლვა), ...განიკვეთოს...“ წაღით და დაიმოწაფეთ ყველა წარმართი და ნათელ ეცით მათ მამის, ძის და სულიწმიდის სახელით“.

შეადარეთ: მათე, 28, 19.

373. „წაღით და ასწავლეთ ყველა ხალხს, და ნათელი ეცით მამის და ძის და სულიწმიდის სახელით“.

374. მაგალითი 4:

(მოციქ., 52):

„თუ რომელიმე ეპისკოპოსმა ან მღვდელმა ცოდვისგან მოქცეული არ შე-იწყნაროს, ან გააძეოს, იგი უნდა განიკ-

ვეთოს, რადგან მან შეაწუხა ქრისტე, რომელმაც თქვა, რომ: „სინარული იქ-ნება ცაში ერთ ცოდვილზე, რომელიც მოინანიებს“.

375. შეადარეთ: ლუკა, 15, 7:

„გუეზნებით თქვენ: ცაში უფრო დიდი სინარულით მიიღებენ ერთ მონანიე ცოდვილს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტ მართალს, რომელთაც არ სჭირდებათ სინანული“.

376. მაგალითი 5:

(მოციქ., 55):

„თუ რომელიმე სასულიერო პირი ეპისკოპოსს აგინებს, განიკვეთოს, რად-გან ნათქვამია: „შენი ერის მთავარზე ძვირი არ თქვა“.

377. შეადარეთ: საქმე, 23, 5:

„და თქვა პავლემ: არ ვიცოდი, ძმებო, რომ ეგ მღვდელმთავარია; ვინაიდან და-წერილია: უგვანი სიტყვით ნუ მიმართავ შენი ხალხის მთავარს“.

378. მაგალითი 6:

„თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა, დია-კონმა, ან სამღვდლო დასის სხვა წარ-მომადგენელმა ჭამოს სისხლიანი ზორ-ცი, მხეცის მოკლული, ან დამხრჩვალი, განიკვეთოს, რადგან ეს რჯულმა გან-დევნა. თუ ერის კაცი იქნება ამის ჩამდე-ნი, უზიარებლად დაისაჯოს“ (მოცი-ქულთა 63-ე კანონი).

379. შეადარეთ: საქმე, 15, 29:

„ეკრძალეთ ეკრძათათვის შეწირულს და სისხლს, დამხრჩვალს და სიძვას“...

ასე რომ, არამოციქულთა მიერ შედ-გენილი მსოფლიო კანონებიც არ სცილ-დება ახალი აღთქმის რჯულდებებს:

380. მაგალითი 7:

ათანასე ალექსანდრიელის ეპისტო-ლუ ამონ მონაზვნის მიმართ:

„ბოროტი ძალის მხილება საჭიროა და წინ უნდა აღუდგეთ მას“...

381. შეადარეთ: 1 ტიმოთეს მი-მართ, 5, 2:

„შემცოდენი ყველას წინაშე ამხილე, რათა ეშინოდეთ დანარჩენთ“.

382. მაგალითი 8:

კართაგენი, 16:

„...ნურავინ ეპისკოპოსთა, მღვდელთა, ან დიაკონთაგან საერო ხელობას ნუ მოპკიდებს ხელს“...

383. შეადარეთ: 2 ტიმოთეს მიმართ, 2, 4:

„არც ერთი მეომარი არ იკრავს ხელფეხს ცხოვრებისეული საქმით, რათა თავი მოაწონოს მხედართმთავარს“.

384. მაგალითი 9:

მოციქულ პავლეს განწესებანი, კანონი 2:

„თუ ვინმეს ცოლი ჰყავდეს ან ცოლს ქმარი, უნდა ესწავლოს მათ, რომ იკმარონ ერთმანეთი. თუ ქორწინებულნი იყვნენ, მიეთითოთ, რომ არ ისიძვნონ, არამედ სჯულიერად იქორწინონ. თუ მათი მეუფე მორწმუნე იყოს და იცოდეს, რომ ისინი სიძვას ეძლევიან, და არ მისცეს მამაკაცს ცოლი და დედაკაცს ქმარი, იგი დაისაჯოს განკანონებით“.

385. შეადარეთ: ებრაელთა მიმართ, 13, 4:

„ქორწინება ღირსეული და სარეცელი უმწიკლო იყოს ყველასი; ხოლო შემრუსეთა და შემავთ ღმერთი განსჯის“.

386. მაგალითი 9:

განწესებანი 17:

„თუ ვინმე დედაკაცთაგანი მოჩვენებითი ლეთისმსახურებისათვის გაიკრეჭს თმას, რომელიც მას ღმერთმა მისცა მორჩილების გასახსენებლად, შეჩვენებულ იყოს, როგორც მორჩილების შესახებ ბრძანების დამრღვევი“.

387. შეადარეთ: 1 კორინთელთა მიმართ, 11, 6:

„ხოლო თუ ქალი თავს არ იბურავს, დაე, თმა შეიკვეცოს; მაგრამ თუ ქალს თქმის შეკვეცა ან გაპარსვა ერცხვინება, თავი დაიბუროს“.

388. ამრიგად, ყველა სხვაგვარად მოაზროვნე ეკლესიათა არასწორი შეხედულება იოტის ოდენა ჩრდილსაც კი ვერ აყენებს ორთოდოქს ქრისტიანეთა რჯულდებებს. უნდა ესმოდეთ, რომ ღიად რჯულისკანონში

მოქცეული ყოველი კანონი სრულიად ახალი აღთქმისეულია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერეტიკოს მწვალებელთა საწინააღმდეგოდ მოწვეულ მსოფლიო თუ ადგილობრივ კრებებს, სადაც დოგმატებისა და გადმონაცემების მოძალადეთა მიმართ იწერებოდა რჯულდებები, რაც დროისა და მდგომარეობის აუცილებლობით იყო გამოწვეული და არავითარ შემთხვევაში არ არის წინააღმდეგობაში მოციქულთა და მასწარებელთა მიერ ახალაღთქმისეულ სასულიერო და საერო კანონმდებლობასთან.

389. თქვენ არ შეგიძლიათ არ დაგვეთანხმობთ ახალაღთქმისეულ კანონებთან დაკავშირებით. და, რადგანაც ეს კანონები იდენტურია რჯულისკანონებისა, ამაზედაც მოვიწვევთ კვერის დაკვრა. ისე ნუ დაგეპარებებით, რომ იცოდეთ სამკურ სამის შედეგი და არ გაწყობდეთ გამრავლების ტაბულაზე აღნიშნული იგივე ჭეშმარიტება.

390. დავერწმუნეთ, ეს ემპიკისეული აკვირებთა, რადგან რჯულისკანონი არის მესაჭე, რომელსაც ქრისტეს ხომალდი — ეკლესია მიჰყავს დანიშნული ადგილისაკენ.

391. უმესაჭეო ეკლესიები ნოეს დროინდელ ხომალდთა ბედის მოზიარება.

392. ქრისტეს ღმერთკაცობის შესახებ:

„ვინ არის ცრუ, თუ არა იგი, ვინც უარყოფს, რომ იესუ არის ქრისტე?“

ყოველი, ვინც ძეს უარყოფს, არც მამა ჰყავს; ხოლო ვინც აღიარებს ძეს, მამაც ჰყავს “ (1 იოან., 2, 22-23).

393. „მე სხვა ცხვრებიცა მყავს არა ფარებისა. მე ისინიც უნდა მოვიყვანო. მოისმენენ ჩემს ხმას და იქნება ერთი ფარა და ერთი მწვეფსი“ (იოან., 10, 16).

394. „მამაჩემი, რომელმაც მომცა ისინი, ყველაზე ღიადი და ვერაინ ვერ გაიტაცებს მათ მამაჩემის ხელიდან. მე და მამა ერთი ვართ“ (იოან., 29-30).

395. „განკითხვა კი ის არის, რომ ნათელი მოვიდა წუთისოფელში და ადამიანებმა ნათელზე მეტად ბნელი შეიყვარეს,

ვინაიდან ბოროტი იყო მათი საქმენი“ (იოან., 3, 19).

396. როცა ითქვა ქრისტეს მიერ: „რატომ მიწოდებ მე კეთილს? არაინაა კეთილი, გარდა ერთი ღვთისა“ (ლუკ., 18, 19).

ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ქრისტე არ იყო კეთილი, მან ამ სიტყვებით სიკეთის პირველწყაროზე — მამა ღმერთზე მიანიშნა.

397. „იერიხონს რომ მოუხალოდა, ვიღაც ბრმა იჯდა გზაზე და მოწყალებას ითხოვდა. გამკვლევი ხალხის ხმა გაიგო და იკითხა: „რა ამბავიაო?! უთხრეს: იესუ ნაზარეველი მოდისო. მაშინ მან დაიყვირა: „იესუ, ღვთის ძეო, შემიწყალე!..“ „რა გინდა რომ გაგიკეთო?“ მან უთხრა: „უფალო, რომ თვალი ამეხილოს“. ზოლო იესუმ უთხრა: „აახილე“ (ლუკ., 19, 35-42).

ვინც იგულვა ქრისტე უფლად, მან მიიღო განკურნება მისგან. ვინაც თქვენნიარად ჰკიბდეს და არ მიიჩნევდეს ქრისტეს უფლად, დარჩეს იგი ხელმოცარული და განუკურნელი.

398. „თუ ვინმემ გკითხოთ, რატომ ხსნი-თო (ამ ჩოჩორს), უთხარით: უფალს სჭირ-დება-თქო“ (ლუკ., 29, 31).

აი, მაგალითი, როცა მან თავად იწოდა უფალი.

399. „მაგრამ მვეენახებმა, იგი რომ დაინახეს, ერთმანეთში მოითათბირეს და თქვეს: ეს მემკვიდრეა, მოდით, მოკლათ და მემკვიდრეობა ჩვენ დაგვრჩება“ (ლუკ., 20, 9-14).

მამ, ღვთის მემკვიდრე ყოფილა თუ არა მაცხოვარი? თქვენ კი თქვენნაირი გვეონათ.

400. „ვინაიდან აღარც სიკვდილი შეუძლიათ მათ, რაკი ანგელოზთა სწორნი ღვთის ძენი არიან ისინი, — აღდგომის ძენი“ (ლუკ., 20, 36).

როცა ღვთის ძეს გვიწოდებენ, ეს არ ნიშნავს, რომ ქრისტეს ღვთის ძეობა ჩვენ ღვთის შვილობის ტოლია; ქრისტე მხოლოდ შობილი ძეა, ე.ი. (Единородный), მაშინდან დაბადებული და არა ჩვენნაირი გაჩენილი.

401. როგორ ამბობენ, რომ ქრისტე ღვთის ძეა? თვითონ ღვთი კი ამბობს წიგნში: „უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე შენს მტრებს დავემხოვდე შენს ფერხთა სადგომად“, აჰა, ღვთი უფალს უწოდებს მას და როგორღა არის მისი ძე?“ (ლუკ., 20, 41-44).

განა თავისი პირით არ უთქვამს ღვთისა და ქრისტესაც, რომ ქრისტე უფალი ღმერთია, ქრესტიანობა მამა ღმერთის ძე, რომლის მტრებს დამხობდა ელის და, ღმერთმა ნუ ქნას, თქვენ — სხვაგვარად მოაზროვნენი, ე.ი. ქრისტეს მტრები არ გაურკვეთ თქვენს წარსაწყმედელ დაბნეულობაში.

402. როგორი უსაფუძვლოა ქრისტეს ღმერთკაცობის საწინააღმდეგოს მტკიცება. როგორ შეიძლება ყურად არ იღო ესაიას წინასწარმეტყველება:

„ამიტომ თავად მოგვემსხვერპლეთ ნიშანს: აჰა, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს“ (რაც ნიშნავს — ღმერთი ჩვენთანაა) (ეზ., 7, 14).

და რომ იმ ქალის ნაშობი არის ის, რაც თავად ესაიამ უწოდა მას თავის წინასწარმეტყველებაში.

403. „ძე მოგვეცა ჩვენ და უწოდებენ მას ქვეყნის თავადს, ღმერთს ძლიერს, მამას მერმეთა საუკუნეთა“.

ამას იტყვიან ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი მესიაზე, ზოლო ახალი აღთქმისა — იოანე ღვთისმეტყველი ამგვარად განგვიმარტავს სახარებაში ქრისტე მაცხოვრის პიროვნებას:

404. „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან (აქ ლაპარაკია ლოგოსზე — ქრისტეზე) და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოან., 1, 1).

მამ, როგორღა ბედვით ქრისტეს ღმერთად არ შერაცხვას?! როცა გარკვევით ითქვა:

„ის იყო თავდაპირველად ღმერთთან (ე.ი. ქრისტე იყო თავდაპირველად ღმერთთან. — ი.ი.). ყოველივე მის მიერ შეიქმნა და მის

გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა“ (იოან., 1, 2-3).

თქვენ კი თქვენნაირ მოკვდავად იგულვით და ღმერთად ვერ გიცვინათ ქვეყნის გამჩენი ქრისტე, მამა ღმერთის შვილი ქრისტე ღმერთი.

405. ან კიდევ: „იყო წუთისოფელში და წუთისოფელი მის მიერ შეიქმნა, და წუთისოფელმა ვერ იცნო იგი. თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი“ (იოან., 1, 10-11).

ასევე, არც თქვენ გნებათ მისი მიღება და ამიტომ დაინთქმებით კიდევ ტარტაროზში.

406. თქვენ ხართ მღალაღებელი სიცრუისა, რამეთუ ღმერთად არა გიგულვით უფალი ქრისტე, ხოლო იოანე ნათლისმცემელმა ასე ბრძანა:

„მე ვარ ხმა მღალაღებლისა უდაბნოში: მოუსწორეთ გზა უფალს, როგორც თქვა ესაია წინასწარმეტყველმა“ (იოან., 1, 23).

უღმერთონო, კვლავ ნუ დაიჩემებთ წარსაწყმედელს.

407. იოანე ნათლისმცემელი ბრძანებს: „მე არ ვიცნობდი მას, მაგრამ ვინც მომაგლინა წყალში სანათლაკად, მან მითხრა: რომელზედაც დაინახო სული გარდმომაგალი და მასზე დავანებუელი, ის არის სულიწმიდით ნათლისმცემელი. მე დაეინახე და დავაოწმე, რომ ის არის ძე ღმერთისა“ (იოან., 1, 31-34).

არა ყველანი ვართ ძე ღვთისა მხოლოდ-შობილი, როგორც ზოგ-ზოგებს ჰგონიათ, არამედ მხოლოდ ის, ვისზედაც გადმოვიდა სულიწმიდა სიტყვისამებრ უფლისა.

408. ვისაც ძე სწამს, საუკუნო სიცოცხლე აქვს, ხოლო ურჩი მისა ვერ იხილაეს სიცოცხლეს, არამედ ღვთის რისხვა დარჩება მასზე“ (იოან., 3, 36).

409. „მამას უყვარს ძე და ყველაფერი მას მისცა ხელთ“ (იოან., 4, 35).

410. „ღედაკაცმა უთხრა: „ვიცი, რომ მოდის მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე. ის რომ მოვა, ყველაფერს გაგვიცოცხლებს.

უთხრა მას იესუმ: „ეს მე ვარ, რომელიც გელაპარაკები შენ“ (იოან., 4, 25-26).

411. „რადგან, როგორც მამა აღადგენს მკედრებს და აცოცხლებს, ასევე ძეც აცოცხლებს მას ვინცა სურს, რადგან მამა არავის არ სჯის, არამედ მთელი სამსჯავრო ძეს გადასცა, რათა ყველამ პატივი სცეს ძეს, როგორც მამას სცემენ პატივს, ვინც ძეს არ სცემს პატივს, ის არც მამასა სცემს პატივს, რომელმაც იგი მოავლინა“ (იოან., 5, 21-23).

განა საკმარისი არ არის ახალი აღთქმისეული ეს ციტატები:

„ღმერთი გამოჩნდა ხორცში“ (1 ტიმ., 3, 16).

როცა მოციქულმა თომა მკედრეთით აღდგომილი მაცხოვარი იხილა, სიხარულით შესძანა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“ (იოან., 20, 28).

412. როგორც მოსემ აღამაღლა გველი უდაბნოში, ასევე უნდა ამაღლდეს კაცის ძე, რათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე... რადგან, იმით კი არ მოავლინა ღმერთმა თავისი ძე წუთისოფლად, რომ განეკითხა წუთისოფელი, არამედ გადარჩენილიყო მის მიერ. ვისაც ის სწამს, არ განეკითხება, ხოლო ვისაც არა სწამს, უკვე მსჯავრდებულია, რადგან არ ირწმუნა ღვთის მხოლოდ შობილი ძის სახელი“ (იოანე, 3, 14-18).

ქრისტეს მომუღენო და მისი ღმერთკაცობის დამკინებელნო, თქვენვე გამოუტანეთ თქვენს თავს სასჯელი.

413. „მამას ნუ უწოდებთ ნურავის“ (ქრისტე).

სხვაგვარად მოაზროვნე ეკლესიების მესვეურნი ქრისტეს ამ გამონათქვამს კაცთა დასახნვად იყენებენ, რათა „მამა“ არ უწოდონ არავის.

414. განმარტებისათვის გაეცანით საპირისპირო მაგალითებს ახალი აღთქმიდან:

„თქვენ გწერთ, შვილნო, რადგან მოგეტყვათ ცოდვები მისი სახელის გულისათვის“ (1 იოან., 2, 12).

განა ვინც შეიღეს გიწოდებს, მამად არ მიიჩნევს თავს?

ან კიდევ:

„თქვენ გწერთ, მამანო, რადგან შეიცანით ის, რომელიც დასაბამიდანვეა“ (1 იოან., 2, 13).

415. აქ კი თქვენ ხედავთ, ქრისტეს მოციქული და სახარების ავტორი იოანე ღვთისმეტყველი მამას უწოდებს ხანდახან უწოდებდა, რომელთაც ქრისტე შეიცნეს. მაშ, ქრისტეს სიტყვების საწინააღმდეგოდ მოიქცა? დაარღვია უფლის სიტყვა? რა თქმა უნდა, არა. როცა ითქვა, მამას ნუ უწოდებთ ნურავის მამაზეციერის გარდაო, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საკუთარი მამისათვის მამის წოდების უფლებამოსილება წაერთვა ვისმეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, თვით ღმერთი თავის ათ მცნებაში განა იტყოდა:

„პატივ-ეც მამასა შენსა და ღედასა შენსაო“ (ათი მცნება)?

416. უნდა ვიცოდეთ, როცა ითქვა ღმერთის გარდა ნუ უწოდებთ ნურავის მამასო, ჭეშმარიტებაა, რადგან ივანე ერთადერთი გამჩენი ღმერთი, ხოლო დანარჩენი ყველა სხვა მამა არის ხორციელი მშობელი ან სულიერი მამა წინამძღვრად რჩეული.

მაგალითისათვის:

„კიდევ თქვა: ერთ კაცს ორი ვაჟი ჰყავდა, უფროსმა ვაჟმა უთხრა მამას“ (ლუკ., 15, 11-12).

417. ასე რომ, ქრისტე არ კრძალავს მშობელ მამას „მამა“ უწოდო, არამედ იგი არ გვაძლევს უფლებას გამჩენ მამად მშობელი მამა ვრაცხოთ.

ან კიდევ ამგვარი მაგალითი:

„აედგები, წავალ მამაჩემთან და ვეტყვი: შევცოდე ზეცის წინაშე და შენს წინაშე“ (ლუკ., 15, 18).

418. როცა ითქვა: შევცოდე ზეცის წინაშეო, იგულისხმება ზეციერი — გამჩენი მამის წინაშე შევცოდება, და როცა ითქვა: შევცოდე შენს წინაშეო, იგულისხმება საკუთარი მშობელი მამა.

419. ეს რაც შეეხება ზეციერი და ხორციელი მშობელი მამის განმარტე-

ბას, ახლა კი განმარტოთ სულიერი მამობაც.

მაგალითი სახარებიდან:

„ჯოჯოხეთში, ტანჯვა-წამებაში მყოფმა, გაახილა თვალები და დაინახა შორიდან აბრაამი და ლაზარეც მის წიაღში, შესძახა და თქვა: მამაო აბრაამ, შემიწყალე და მომიხილენიე ლაზარე“ (ლუკ., 17, 23-24).

420. თუკი ასეა, რანაირად დაარღვია თავისი ნაბრძანები სიტყვა „მამობაზე“, როცა აბრაამი მამის სახელით მოიხსენია? აქაც არაფერი დარღვეულა, მაცხოვარმა აბრაამის სულიერ მამობას გაუსვა ხაზი, როცა მდიდარმა აბრაამს მამა უწოდა, საპასუხოდ აბრაამიც ღებულობს ამგვარ მამობრივ ტიტულს და მიტომაც მიმართავს მდიდარს:

„აბრაამა უთხრა: შეილო, გაიხსენე, რომ უკვე მიიღე შენს სიცოცხლეში სიკეთე“ (ლუკ., 17, 25).

421. რადგან აბრაამმაც დაიმშვენა მისდამი წოდებული მამის სახელი და მაცხოვარსაც არ ეთაკილა აბრაამისადმი მამის წოდება, ჩვენ რა უნდა გვქონდეს საგულ-საწყვეთი, განა ღმერთმა არ ბრძანა:

„მოსემ მოგვით წანადაცვეთა, — თუცა მოსესგან კი არა, მამებისგანაო“ (იოან., 7, 22).

ასე რომ, თვით ქრისტეს განმარტება მამებისა და გამჩენი მამის შესახებ ხვესებით გასაგები უნდა იყოს გონიერთათვის.

422. წმინდა მამების შესახებ:

„თქვენ კი იხინი ხართ, რომელნიც ჩემთან დარჩით ჩემს განსაცდელში. მეც ისევე აღვითქვამთ, როგორც მე აღვითქვა მამაჩემმა სასუფეველი, რომ ჭამოთ და სვით ჩემს სუფრაზე ჩემს სასუფეველში და დასხდეთ ტახტებზე ისრაელის 12 ტომის განსაკითხავად“ (ლუკ., 22, 28-30).

P.S. თქვენ კი წმიდანებს თაყვანს არ სცემთ, მოციქულები არად იგულვეთ, მათთვის კი ღმერთს ზეციური სუფრა გაუშლია და დაუსხამს ისრაელთა 12 ტომისა და თვით ანგელოზების განსახ-ჯეულად.

ი ე ლ ო ვ ა ს მ ო წ მ ე თ ა მ ი მ ა რ თ

1. იელოველები, იელოვას (იადვეს, იაპ-ვეს) მოწმეები არის უაღრესად რეაქციული რელიგიური მიმდინარეობა, სექტა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1872 წელს, როცა ეს სექტა ვაჭარმა ჩარლზ რასელმა გამოყო „მეორედ მოსვლის“ მქადაგებელი ადვენტიტების სექტისაგან.

2. იელოველებს შტაბ-ცენტრი აქვთ ნიუ-იორკის გარეუბანში. 1931 წელს ამ მიმდინარეობას ეწოდა „იელოვას მოწმეთა“ სექტა.

3. მისი პრეზიდენტი ითვლება იელოვას მოადგილედ დედამიწაზე და აქვს განუსაზღვრელი ძალაუფლება. ამ სექტას 95 ფილიალი გააჩნია, ფლობს თითქმის უფასო პრესას, რადიოს, ამყარებს მკაცრ წესრიგს.

4. ადვენტიტებისაგან განსხვავდება ზოგი რამით: სამების ნაცვლად სწამთ მხოლოდ იელოვა, რომლის ნების აღმსრულებლად მიიჩნევენ ქრისტეს; მათი გავებით, ქრისტე ღმერთი არ არის; სამყაროში ერთმანეთს ებრძვის ორის საწყისი: იელოვა და სატანა (ლუციფერი).

5. საბოლოო ბრძოლაში ლუციფერი დაილუქება თავისი მხედრიონით. იელოველებს არა სწამთ არც სულის უკვდავება და არც სამოთხე. სწამთ, რომ 144.000 იელოველი ავა ნეტართა რანგში, სხვას კი დალუქვა ელის. იელოველები თავდაპირველად მოსეს ზუთწიგნულის მკვლევრები იყვნენ. შემდეგ კი ჩამოყალიბდნენ მკაცრ სექტად.

6. მათი რწმენით სატანა ჯერ კიდევ 1914 წელს უკვე მოველინა ქვეყანას. ამრიგად, მეორედ მოსვლა უკვე იყო და უნდა ველოდეთ საყოველთაო დალუქვას, ცეცხლს, წარღვნას.

7. როგორც აღნიშნა, იელოველებს არა სწამთ სულის არსებობა. ისინი ამბობენ, რომ სული ადამიანის სიკვდილთან ერთად კვდება და ქრებაო.

მაშ, რანაირად ბრძანა პავლე მოციქულმა: „ზორციში მთესველი ზორცისაგან მოიძიოს ზრწნილებას, ზოლო სულში მთესველი სულისაგან მოიძიოს საუკუნო სიცოცხლეს“ (გალ., 6, 8).

8. აქვე იხილეთ ლუკას სახარებიდან: „იყო ერთი მდიდარი კაცი... იყო ერთი გლახაკიც, სახელად ლაზარე, რომელიც მის ტომკართან ეგდო, მთლად დაწყულულებული და სურდა მდიდრის ნახუფრალით მოეკლა შიმშილი...“

მოკვდა გლახაკი და აბრაამის წიაღში აიტაცეს ანგელოზებმა. მოკვდა მდიდარსც და დამარხეს.

და ჯოჯოხეთში, წამებულმა, აღაპყრო თვალნი, და იხილა შორს აბრაამი, და ლაზარე მის წიაღში.

და შესძანა და თქვა: მამაო აბრაამ! მოწყალეა მოილე და მომიიღონე ლაზარე, რათა თითის წვერი ჩააწოს წყალში და ენა გამოგერილოს, რადგან ვიტანჯები ამ ცეცხლის აღში.

მაგრამ აბრაამმა უთხრა მას: შეილო, გაისვენე, რომ შენსაკე სიცოცხლეში მიილე შენი სიკეთე, ლაზარემ კი — მხოლოდ ბოროტი. ამიტომ ახლა ის იწუგებება, შენ კი იტანჯება. ხოლო მან თქვა: გვედრები, მამაო, მამაჩემის სახლში მაინც გაგზავნე ეგ.

ვინაიდან ხუთი ძმა მყავს; მივიდეს და აუწყოს მათ, რათა ისინიც არ ჩაცვიფდნენ სატანაჯველში“ (ლუკ., 16, 19-28).

9. ან კიდევ: „... საღუკეველნი ამბობენ, რომ არ არის არც აღდგომა, არც ანგელოზი, და არც სული; ფარისეველნი კი აღიარებენ ყოველივე ამას“ (საქმე, 23, 8).

10. ეისთვის ითქვა: „... მოკვდა ზორციით და ცოცხალ იქ — ნა სულით, რომლითაც მივიდა დილეგში“

მყოფ სულელებთან, და იქადაგა“ (1 პეტრ., 3, 18-19).

11. ან კიდევ:

„მკედრებსაც სწორედ იმიტომ ეხარათ, რომ განსჯილიყვნენ, როგორც კაცინ...“ (1 პეტრ., 4, 6).

სად გავემცევი ამ ფაქტს:

„იესუმე პასუხად მიუგო მათ: იმიტომ ხომ არ სცდებით, რომ არც წერილს იცნობთ, და არც ღმრთის ძალას?“

რადგან მკედრეთით აღდგომისას არც ცოლს ირთავენ და არც თხოვლებთან, არამედ არიან როგორც ანგელოზები ცაში.

ხოლო მკედართა აღდგომისათვის არ წაგვიტოხნათ მოსეს წიგნში, რა უთხრა მას მადელოვანში ღმერთმა, მე ვარ ღმერთი აბრაამისა და ღმერთი ისააკისა და ღმერთი იაკობისა.

ღმერთი მკედრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა. ხოლო თქვენ დიდად სცდებით“ (მარკ., 12, 24-27).

12. სამშენიველის მქონეო, გვიასუსხეთ, ვის სულზე მიგვანიშნებს მახარებელი:

მაშინ, როცა სულის არსებობა გვეჭვებათ, სახარების ავტორი სულის უკედავყოფზე გვესაუბრება: „არ შეუძლიათ სულის მოკლა“ (მათ., 10, 28).

13. თუკი იტყვიან, ჩვენ ახალი აღთქმის საბუთებს დოკუმენტად არა ვცნობთო, მაშინ ძველი აღთქმიდან ისმინონ დავით წინასწარმეტყველისა:

„ამიტომ გაიხარა ჩემმა გულმა და იღბინა ჩემმა ღირსებამ; ჩემი ხორციც მოისვენებს იმედნეულად, რადგან არ დაუტყვებ ჩემს ხულს ჯოჯოხეთს, გასახრწნელად არ გაიმეტებ შენს წმიდას“ (ფს. 15, 9-10).

14. რა არის აქ ჯოჯოხეთი? ე.ი. არსებულა ჯოჯოხეთი და არსებულა სულიც. მაშ, რანაირად ამტკიცებენ იელოველები ჯოჯოხეთისა და სულის არ არსებობას? აქედან გამოდინარე, შეიძლება დავასკვნათ, იელოველები ღმერთის კუმმარტების მტრები არიან, რა თქმა უნდა, ადამიანთა საზიანოდ;

15. თქვენნაირთა მისამართითა ნათქვამი:

„ისინი გუებნებოდნენ, რომ უკანასკნელ ჟამს მოელენ მკრესტენო, თავიანთი უკეთური გულისთქმისამებრ მადელნი.“

ესენი არიან თავიანთი თავისგანე დანდგომილნი, მშენივეური, სულის არმქონენი“ (იუდ. 1, 18-19).

16. სულის უარმყოფელებს სამშენიველიდა დავრჩათ. ამიტომაც იწოდებით სულის არმქონე მშენივეირებად და თქვენ დაესჯით ის ღმერთი, რომელიც სულია.

17. დაიხეეთ სისულელე: 144 ათასი რჩეული აპყავს ღმერთს ცაში, სამარადჟამო სასუფეველში, დანარჩენები კი განახლებულ დედამიწაზე იცხოვრებენო; და ეს 144 ათასი ჩვენა ვართ – იელოვას მოწმეებიო. ჯერ ერთი, იელოვას მოწმეთა სექტებში მრავალი ეროვნების ხალხი იყის თავს, აპოკალიფსისში კი ნათქვამია:

18. „და მომესმა აღებუდილთა რიცხვი: ას ორმოცდათნი ათასი იყო აღებუდილი ისრაელის ძეთა ვოველი ტომისაგან“ (გამოცხ., 7, 4). მაშ, თუკი ეს 144 ათასი კაცი ისრაელთა ნაშეირებს მიანიშნებს მხოლოდ, მაშინ ამო ყოფილა თქვენი სიხარული, სხვა ეროვნების შევილებო.

19. ნუთუ არ გეყოთ აზრი იმისათვის, რომ ეს 144 ათასი კაცი ცხოვრების დასასრულს ისრაელთა 12 ტომიდან რჩეულნი არიან, რომელთაც ისმინეს ქრისტიანული ბოლო ქადაგება, როგორც ეს განემარტა იოანეს ამავე აპოკალიფსისში:

20. „ნუ ავებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღებუქდავთ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს“ (გამოცხ., 7, 3). და იქვე იოანე ღმრთისმეტყველის მიხსამართით თქმული:

21. „და მითხრა მე: კვლავინდებურად გმართებს წინასწარმეტყველება ხალხთა და ერთა და ენათა და მეფეთათვის“ (გამოცხ., 10, 11). აი, ეს გახლავთ იმ ბოლო ქრისტიანული ქადაგების ნაყოფი: ისრაელთა 12 ტომის

თორმეტ-თორმეტი ათასი ადამიანი იღებს იმ ჩამოტარებულ ბეჭედს ბერული პატივით, ვინაიდან ნათქვამია:

22. „და გალობდნენ ახალ ზაგალობელს ტახტის წინაშე, და ოთხი ცხოველისა და ხუცესთა წინაშე. და ვერაინ შესძლო ამ საგალობლის სწავლა, გარდა ას ორმოცდაათხი ათასისა, ქვეყნის გამოსვიდულის.“

23. ესენი არიან, რომელნიც არ შეიბილწნენ ქალებთან, რადგანაც არიან ქალწულები; ესენი არიან, რომელნიც მისდევნენ კრავს, სადაც უნდა ეიდოლეს იფე ესენი არიან გამოსვიდულები, კაცთაგან, როგორც ღმრთისა და კრავისათვის პირველნაყოფნი.

24. და მათ ბავთათვის უცნოა ტყუილი, რადგანაც უბიწონი არიან ღმერთის ტახტის წინაშე“ (გამოცხ., 14, 3-5).

და რომ თქვენ ამ 144 ათასი კაცის მეტს ზეცაში არ უშვებთ, სად წავიდოთ მახარებლის ეს სიტყვები:

25. „და შემდგომ ამისა გავისხედე, და აჰა, ურიცხვი ზიმრავლე ხალხისა, რომლის აღრიცხვასაც ვერ შესძლებდა ვერაინ, ყოველი ხალხისა და ტომისაგან, და ერისა და ენისაგან იდგა ტახტის წინაშე და კრავის წინაშე, სპეტაკი სამოსით მოხილი და ხელთ გუბრათ პალმის რტონი.“

და ხმამაღლა დაღაღებდნენ და ამბობდნენ: ხსნა ღმრთის ჩვენის, ტახტზე მჯდომარისა, და კრავისაგან არის“ (გამოცხ., 7, 9-10).

26. როგორც ნახეთ, ამ 144 ათასი რჩეული მონის გარდა უთვალავი მონა წარმდგარა ღვთის ტახტის წინაშე, თქვენ კი ისინი კვლავ ქვეყანაზე დაბით და უფლის სასუფიეველში არ შეუშვით. ხომ ნახეთ, ვისგან ჰქონია ამ ხალხს ხსნა?

27. „ხსნა ღმერთის ჩვენის, ტახტზე მჯდომარისა, და კრავისაგან“ (გამოცხ., 7, 10), თქვენ კი კრავი, ყველასათვის სისხლდანთხეული, განირიღეთ და პირდაპირ მამა ღმერთთან ინებეთ საჭყოფელი. დაგაეიწყდათ ვინ არიგებს უკვდავების გვირგვინებს. ვის

ხელშია სასჯელი და ცოდვა-მადლის განკითხვა.

28. „მათ შუაგულში იდგა ტანმაღალი ჭაბუკი, ყველასგან გამორჩეული და ყოველ მათგანს თაგზე ადგამდა გვირგვინს და კიდევ უფრო მაღლდებოდა მათზე. მე კი გაოცებამ შემეპყრო.“

მაშინ გკითხე ანგელოზს, ვუთხარი: ვინ არიან-მეთქი ესენი, უფალო?

მან მიპასუხა: ესენია, ვინც განიძარცვა მოკვდავთა სამოსელი და უკვდავთა სამოსი შეიმოსა, და აღიარა ღვთის სახელი; ახლა კი გვირგვინდებიან და პალმის რტოებს იღებენ.

და ვუთხარი ანგელოზს: ვინ არის-მეთქი ეს ჭაბუკი, ვინც მათ ავეირგვინებს და პალმის რტოებს აძლევს?

მან მიპასუხა: ეს არის ძე ღვთისა, ვისაც აღიარებენ წუთისოფელში და მეც განვადიფი ისინი, ვინც მტკიცედ იდგა უფლისათვის“ (3 ეზრ. 2, 43-47).

29. შეწყვიტეთ ცრუ ბავთა ბაბანი, ნუ ართმევთ შვილებს ქრისტე ღმერთს. იცით, სანამ კიდევ დროა, ბოროტი იქმს ბოროტეულს, და მხოლოდ ცეცხლის კერმნი აედვენებიან მათ სიცრუეს. გონს მოეგეთ, ძენო ადამისანო!

30. როგორც ცნობილია, მხოლოდ მამა ღმერთს ცნობთ ღმერთად და ქრისტეს კი არა.

31. იცით თუ არა: მამა შემოქმედი ღმერთია. ღმერთი არის სული. უსხუელო — არამატერიალური სუბსტანცია, მაგრამ სახიერებით მსგავსი ადამიანისა. კაცთაგან ღვთაებრივი ბუნებით განსხვავებული.

32. მამა იყო და არის და მარად იქნება, რამეთუ ღმერთია იგი — საწყისი ყოვლისა სიცოცხლისა.

33. როგორც მამა იყო მუდამ, ასევე ქრისტეც იყო მუდამ, რამეთუ ძე ღვთისა იყო მამასთან.

34. იშვა ქრისტე მამისაგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა წარმოუდგენელი შო-

ბით და გაცხადდა მედ როგორც ღმერთი, რამეთუ ღმერთმა შვა იგი. და ვინაიდან ყოველი მისნაირს წარმოშობს, ხოლო ღვთისმშობლისგან განცაცხებისას ღვთაებრივი ბუნება კი არ იცვალა, არამედ შეინარჩუნა იგი.

35. უფალი ღმერთია მამა, მეც მეუფეა მეუფეთა, რამეთუ მე მამის შემკვიდრეა. ამიტომაც ითქვა: „ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა“.

36. ქრისტე — მამისაგან ღმერთად შობილი, ღვდისაგან განცაცხებული (გალ., 4,4). რომელსაც თან მოჰყვა მამისებური ბუნება ღვთაებრივი, მოგვევლინა ღმერთკაცად, ივნო ჩვენთვის და ჩვენი ცოდვებისათვის ჯვარს ეცვა, და მით გვიხსნა ცოდვის ტყვეობიდან, ისევე მისი ღვთაებრივი მადლით.

37. თავადებულსა და გმირ ძეს მამა ღმერთმა უბოძა მთლიანი მეუფება, როგორც ღვდამიწაზე, ასევე ზეცაში. მის ხელში განსაღებთ სამოთხისა და ჯოჯოხეთისა. ის განსჯის ქვეყნიერებას.

„რომელმაც გვიხსნა ბნელის ხელმწიფებისაგან, და გადაგვყვანა თავისი საფარული ძის სახუფეველში,

რომლისგანაც გვაქვს გამოხფილვა მისი სისხლით, და მოტეკება ჩვენი ცოდვების,

და რომელიც არის ხატი უხილავე ღმერთისა, ვგელა კმნილებაზე უწინარეს დაბადებულში,

რადგან მასში შეიქმნა ყოველი: მიწურიც და ზეციურიც; ხილული თუ უხილავე, საფარნი თუ უფლებანი, მთავრბანი თუ ხელმწიფებანი: ვგელაფერი მის მიერ და მისთვის შეიქმნა.

და იგია უწინარეს ყოვლისა, და ვგელაფერი დამკვიდრდა მასში“ (კოლ., 1, 13-17).

38. როგორადაც მამა მეუფობს თავის საუფლოში, ასევე მეც მეუფეა მამის საუფლოში.

39. რაც კი გაჩენილა სამყაროში, არაფერი გაჩენილა უბედოდ და უსულიწმიდოდ. იელოვას

მოწმენი კი ამბობთ: მამა უფლობს ყოველზე და ისაა აღმატებული ყველაზეო. გვიპასუხეთ, ადამიანის რომელი თვალია მეტად საქებარი — მარჯვენა თუ მარცხენა? ამიტომაც ითქვა: ვინაც მე მნახა, მან იხილა მამაჩემი, მამა და მე ერთი ვართო. მამა რომ ძისგან თავყანცემულია, ამას რა განსჯა სჭირდება.

40. ისმება კითხვა: ვის დასჭირდა და რა აუცილებლობამ გამოიწვია სამების წვერთა შორის მამის კულტის გამოყოფა ძისა და სულიწმიდის დასაკინებლად? ვის არ ნებაედა სამების ერთღმერთიანობა და მათი ერთიანი მეუფება? რა თქმა უნდა, იუდეველს, რომელიც მხოლოდ მამა ღმერთის კულტის თავყანისმცემელია.

41. ეს პერიოდი ხომ იუდაიზმმა განვლო მოხედან ქრისტემდე. და მას შემდეგ ქრისტეს — მამა ღმერთის ნების განმცხადებელს არ ებოძა მეუფება სამოთხისა და ჯოჯოხეთისა? რატომ გნებაეთ მაცხოვარს წაართვათ მამისაგან ბოძებული პატრონე. განა მამის ნების განმცხადებელმა თავად არ ბრძანა: ნათელ ეცით მამის, ძისა და სულიწმიდის სახელითო? ნუთუ დაგაეიწყდათ, რომ ვისაც არა ჰყავს ძე, მას არა ჰყავს მამა. ასე და ამგვარად, ამოდ ეფარებით ქრისტეანულ სამოსს, იუდაიზმის მქადაგებლებო. ვერ ესათნობით მამას სამების უარმყოფელნი. კაცად იგულვეთ, ქრისტე, მეუფებაც არ შუენიშნეთ ღვთაებრივი, ღმერთად არსად იწოდებო, ბრძანებთ.

მამ, ვისთვის ითქვა:

„უთნრა უფალმა უფალს ჩემსას: „იჯექი ჩემს მარჯვენაზე, ვიდრე დავანარცხებდე შენს მტრებს შენს ფეხთა ქვეშ“ (ფს. 109,1). თარგმანი რუსული ბიბლიიდან).

მაგრამ განსოვდეთ, სამიწიელ სამსჯავროზე რომ მობრძანდებით ჯვარცმულის წინაშე განჩინების მისაღებად, ასევე მოგიწევთ გოდება მათთან ერთად, რომელთა მისამართითაც ითქვა იგოდებს თორმეტი ტომი იუდეველთა, როცა იხილავენ, მას, ვინც ჯვარს აცვეს.

42. რატომ დაგავიწყდათ:

„ვინც გააღდის ქრისტეს მოძღვრებას და არ მკვიდრობს მასში, არა ჰყავს ღმერთი; ხოლო ვინც მკვიდრობს ქრისტეს მოძღვრებაში, მამაცა ჰყავს და ძეც“ (2 იოან., 1, 9).

„იყო იოანეც და ნათელს სცემდა ენოში, ხალხის მახლობლად, ვინაიდან ბერი წვალი იყო იქ; და მიდიოდნენ და ნათელს იღებდნენ მისგან“ (იოან., 3, 23).

43. და კიდევ:

„ვინაა ცრუ, თუ არა ის, ვინც უარყოფს, რომ იესუ არის ქრისტე? ესაა ანტიქრისტე, მამის და ძის უარყოფელი.“

ვინც უარყოფს ძეს, აღარც მამა ჰყავს; და ვინც აღიარებს ძეს, მამაცა ჰყავს“ (1 იოან., 2, 22-23).

44. იქნებ იკითხოთ, რატომ? აი, პასუხიც:

„ვინც ამაღლდა ზეცად, დაჯდა მამის მხარმარჯვნივ, და ვისაც დაუმორჩილენ ანგელოზნი, ხელმწიფებანი და ძალნი“ (1 პეტრ., 3, 22).

45. სწორედ ამიტომ:

„რადგან სამსი მოწმობენ ზეცად: მამა, სიტყვა (ე.ი. ქრისტე — ძე. — ი.-ი.) და სული წმიდა; და ეს სამსი ერთი არიან“ (1 იოან., 5, 7).

46. თქვენ კი სამების დაშლა ინებეთ.

„ქრისტესი, ჯერ კიდევ ქვეყნის შექმნამდე წინასწარგანჩინებულის, მაგრამ თქვენთვის მხოლოდ უკანასკნელ ხანს გამოჩენილის“ (1 პეტრ., 1, 20).

47. სულიწმიდის მაღლით სუფევს სულდგმულთა სიცოცხლე და თქვენ ღმერთად ვერ გიგულებით. ეს ის სულიწმიდაა ღვთისა, რომელიც იძებროდა ახალგაჩენილი ქვეყნის წყლის ზედაპირზე (დაბ., 1, 2). და რომლის მიმართ ითქვა:

„ხოლო ვინც თქვენთან ერთად განვამტკიცა ჩვენ ქრისტეში, და ცხებულნი გვეო, არის ღმერთი...“ (2 კორ., 1, 21).

და კიდევ: „ზოგს ხულისაგან ეძლევა სიბრძნის სიტყვა; ხოლო ზოგს — ცოდნის სიტყვა, იმავე სულით.“

ზოგს — რწმენა, იმავე სულისაგან; ხოლო ზოგს — ნიჭი მკურნალობისა, იმავე სულით.

ვის — სასწაულმოქმედება, ვის — წინასწარმეტყველება, ვის — სულთა გარჩევა, ვის — სხვადასხვა ენა, ვის კიდევ — განმარტება სხვადასხვა ენის.

ხოლო ყოველივე ამას შეიქმნ ერთი და იგივე სული, და უწილადებს თვითუწულს, როგორც თავად ნებავს“ (1 კორ., 12, 8-11).

48. განვამტკიცა კი ნუგეშისმცემელმა სულმა ჭეშმარიტებისამ?

თქვენდა საუბედუროდ, უარგიფვიათ ძე ღმერთი — ქრისტე, თვით იაპვესაგან მოვლინებული, ჩვენდა სახსნელად, როცა დავით წინასწარმეტყველის ბაგით გაუფურთხილებივართ კიდევ:

„გამბორეთ ძეს, რომ არ განრისხდეს იგი და არ დაიდუკოთ გზაში, რადგან ძალე აღიგზნება რისხვა მისი. ნეტარ არს ყველა, ვინც მასზეა მინდობილი“ (ფს., 2, 12).

49. ირწმუნეთ, უძიოდ მამა თქვენს თაყვანს არ ღებულობს. ეს არის სწორედ ის ძე, რომელიც თქვენ ასე იოლად უარყავით და ღმერთმა კი: „რომელიც დაადგინა ყოვლის მემკვიდრედ, და რომლითაც შეიქმნა საუკუნენი“ (ებრ., 1, 2).

50. თქვენ კი საუკუნეთა გამჩენი ღმერთად ვერ გიგულებით. ყურს მიღმა დაგრჩათ საქვეყნოდ გატხადებული ჭეშმარიტება:

„რომელიც არის ბრწვინავალუბა დიდებისა და მისი არსების ზატი, თავისი ძალდობსილების სიტყვით ყოვლისმტკიერთველი, თავისი თავით ჩვენი ცოდვების განმწმედი, და ზესკნელს სიბაღის მარჯვნივ მჯდომელი“ (ებრ., 1, 3).

და კიდევ:

„რადგან კეთილინება მამამ, რომ მასში დამკვიდრებულვიო მთელი საესება,

და მისი მემკვობით შემოვრივებინა ყოველი, და მისი ჯვრის ხისხლით დაუზავებინა ყველაფერი, როგორც მიწიერი, ისე ზეციერიც“ (კოლ., 1, 19-20).

51. არც ძველი აღთქმა იუწყება ჩვენთვის უცხო:

„რადგან შეგვეძინა შეილი, მოგვეცა ძე და უფლება იყო მის ბეჭებზე, წიოდა სახელად საკვირველი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი“ (ეს., 9, 5).

„დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან.“

ველადფერი მის მიერ შეიქმნა, და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“ (იოან., 1, 1-3).

რა უნდა ეთქვას გონიერთათვის უმეტესი?

52. გაიხსენეთ, რა უყო მამა ღმერთმა იაკობს, იგივე ცაბაოთმა, იგივე აღონამი ქრისტეს უარყოფელ ებრაელ ერს. ორი ათასი წლის მანძილზე სისხლში ცურავდნენ, მათი ტყაუებისაგან ხელთათმანებსა და აბაჟურებს აკეთებდნენ, ცოცხლად მარხავდნენ.

53. რომელს შეგიძლიათ თქვათ, რომ ებრაელთა ეს დასჯა ღვთით არ იყო? განა

უცნობია თქვენთვის, რომ ჩიტცი კი არ კედება ღვთის ნების გარეშე. ანლა თქვენი ჯერი დამდგარა. ორი ათასი წლის მანძილზე ნაქადაგები ქრისტეანობა განგირიდებით და იუდეველობას ცდილხართ ღვთის შეილის ღვთაებრიობის უარყოფელები, მაშინ, როცა თავად იუდეველნი ქრისტეანობას შესდგომიან, ისიც ბერული პატივით (იხ. აპოკალიფსისი, 144 ათას ებრაელთა შესახეც).

54. თქვენგან ქრისტე სელმეორედ ჯვარცმულია მისი ღვთიური ტიტულის დაკნინებისათვის, რადგან არ დაიჯერეთ ესაიასი: „აჰ, მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს, და უწოდებს სახელად ემანუელს“ (ეს., 7, 19).

55. რა მეთქმის, ვტირი იმის გამო, რომ ღვთისგაჩენილებს ეშმაკის მსახურებით სულის განწირვა გიწადინიათ. გამხელთ, რათა დაგაფიქროთ მოსალოდნელები. ღმერთმა აგხსნათ მთელემალების სული, ამენ!

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ი

კანონის უარყოფელთა გამო

1. ზოგმა მორწმუნედ ქრისტეანობას კანონი გამოაცალა და იგი მხოლოდ ძველი აღთქმის კუთვნილებად მიიჩნია. თავს იმართლებს: თითქოს კანონი იგი თვით ქრისტეს მიერ იყო შეცვლილი და უარყოფილი. ეს მტენარი სიცრუეა. იხილეთ მათეს სახარება: „ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი რჯულის (ე.ი. კანონის. - ი. ი.), გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად. გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად“ (მათ., 5, 17).

2. „რადგანაც ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ხანამ არ გადავა ცა და მიწა, ერთი იოტიც, ანდა ერთი წერტილიც არ გადავა რჯულისაგან (ე.ი. კანონისაგან.), ვიდრე ყოველივე არ აღესრულება“ (მათ., 5, 18).

3. თუკი თვით ქრისტე კანონის შესასრულებლად მოსულა, და თანაც მიგვანიშნებს, კანონიდან იოტიც არ დაიკარგებო, მაშ, სხვას ვის აქვს უფლება მისი გაუქმებისა?!

4. „თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: არა კაც-ჰკლა; ზოლო ვინც მოკლავს, სამართალში უნდა მიეცეს“

მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სამართალში უნდა მიეცეს, ზოლო ვინც ეტყვის თავის ძმას: რაკა, სინედრიონს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეჭენიაში უნდა ჩაეარდეს“ (მათ., 5, 21-22).

განა ამ სიტყვებით ქრისტემ არსებული კანონი ათვზის უფრო არ გაამკაცრა?

5. „თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: არა იმრუშო (განა ეს კანონი არ არის? — ი.-ი.),

ხოლო მე გვეუბნებით თქვენ: ყველამ, ვინც ნდომით შეხედა ქალს, უკვე იმრუშა მასთან საკუთარ გულში“ (მათ., 5, 27-28).

განა აქაც ძველ კანონზე უფრო მკაცრად არ მოითხოვა უფალმა აღნიშნული კანონის შესრულება? კი არ შეამსუბუქა არსებულნი, არამედ უფრო მკაცრი გახადა იგი, თუმცა ქრისტეს ერთგულთათვის ქრისტესმიერი ყველა კანონი, რაც უნდა მძიმე იყოს, ტკბილია!

6. „არა ყველა, ვინც მეტყვიის მე: „უფალო, უფალო!“ — შვეა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულებს მამის ჩემის ზეციერის ნებას“. — ბრძანებს ქრისტე (მათ., 7, 21).

7. განა ქრისტეს მამის ნება-სურვილი დედამიწაზე კანონის სახით არ გადმოეცა ქვეყნიერებას?! განა კანონის დარღვევის შემდეგ კანონის შესრულებითვე არ მისცა უფალმა ნება კაცობრიობას დანაშაულის გამოსყიდვისა და დაკარგული უკვდავების დაბრუნებისა? რაც შეეხება მისი შეილის მობრძანებას, ამით მან კანონს კი არ მოაკლო რაიმე, არამედ, დაუმატა რწმენა, რწმენა მისი შეილისადმი, ე.ი. რწმენა იმისა, რომ ქრისტე ჭეშმარიტად მე ღვთისაა. ამით გაუქმდა კანონის შემსრულებელთა დეაწლი უქრისტეოდ, რადგან ქრისტეა სამოთხის კარი.

8. „მრავალნი მეტყვიან იმ დღეს: უფალო, უფალო! განა შენი სახელით არ ვწინასწარმეტყველებდით? განა შენი სახელით არ გაძეებდით ეშმაკთ? და შენი სახელით არ გახდენდით მრავალ სასწაულს?“

9. და მამის ვეტყვი მათ: არასოღეს მიცენიხართ თქვენ (რატომ არ იცნობდა მათ იესუ, თუკი ისინი მისი სახელით ახდენდნენ სასწაულებს? — ი.-ი.); გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო (იმიტომ, რომ უკანონოდ ცხოვრობდნენ, არ ასრულებდნენ კანონს, ე.ი. უკანონობას იქმოდნენ. — ი.-ი.).

10. ყველას, ვინც ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ...“ (აი, სწორედ ისინი მოსწონს უფალს და არა ისინი, რომლებიც უარყოფენ ღვთის სიტყვას. ღვთის სიტყვა კი კანონს ნიშნავს ჭეშმარიტად. — ი.-ი.), (მათ., 7, 22-24).

11. „ვინც ყოფს ნებას მამის ჩემის ზეციერისას, იგია მძაც და ღაც, და ღეღაც“. — ბრძანებს ქრისტე (მათ., 12, 50).

12. მამის ნება მხოლოდ კანონის სახით იქნა გაცხადებული ქვეყნიერებისათვის. იგი მოსეს გადაეცა.

13. „და, აჰა, ვიღაც მიუახლოვდა და უთხრა მას: კეთილო მოძღვარო, რა სიკეთე ექმნა, რომ საუკუნო სიცოცხლე მიქონდეს? ხოლო მან მიუგო: რად მიწოდებ კეთილს? არავეინაა კეთილი. გარდა ერთის — ღმერთისა. ხოლო თუ გსურს შეხვიდე სიცოცხლეს, დაცევი მცნებანი (ამ სიტყვებით განა კანონისაკენ არ მოუწოდა? — ი.-ი.).

უთხრა მას: რომელნი? ხოლო იესუმ მიუგო მას: არა კაც-ჰკლა; არა იმრუშო; არა იპარო; არა ცილი სწამო;

პატივი ეცი მამასა შენსას და დედას; და შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

უთხრა მას ჭაბუკმა: ეს ყოველივე დამიცავს ჩემი სიყრმიდან; რაღა მაკლია კიდევ? (ზედავთ, თუ რარიგ მოსთხოვა მაცხოვარმა ყველა კანონის შესრულება? — ი.-ი.).

იესუმ მიუგო მას: თუ გინდა, რომ სრულქმნილი იყო, წადი, გაყიდე, რაც გაბაღია, მიეცი გლახაკთ და გექნება საუნჯე ცაში; და მოდი და გამოიყვიე მე“ (მათ., 19, 16-20).

14. მამ, ათავისუფლებს თუ არა ქრისტე ღმერთი ადამიანს კანონიერებისაგან? რა თქმა უნდა, არა. რადგან თავადვე მოუწოდებს კანონისაკენ.

15. რას ნიშნავს „სრულქმნილი იყო“? უფალი, კანონის შესრულებასთან ერთად, წყალობის გაცემასაც ითხოვს. მხოლოდღა წყალობის გაცემას, ე.ი. ქონების გაყიდვა და ღარიბებისათვის დარიბება თუ უშველიდა მას? რა თქმა უნდა, არა. ქრისტემ ჯერ კანონ-

ნი მოუსინჯა. იყო თუ არა იგი შემსრულებელი რჯულდებებისა. ამის შემდეგი წყალობის გაღება მოსთხოვა. ვერც მარტოკა წყალობის გაცემა შეიყვანდა კაცს სასუფეველში და ვერც მშრალი კანონის შესრულება უქრისტეოდ. კანონის შესრულება ქრისტეს დაბადებამდე შეგლოდა კაცს, როცა მის რწმენაზე არ იყო დამოკიდებული. ქრისტეს მობრძანების შემდეგ კი, კანონის შესრულებასთან ერთად, გაჩნდა კიდევ ერთი დიდი კითხვა, „გწამს თუ არა ქრისტეს ღმერთკაცობა?“

ამიტომაც მოსთხოვა ქრისტეანობა: „მოდით და გამოვეყვი მე“. აქ მაცხოვარმა გაუკეთა დასკვნა: უჩემოდ რჯულის აღსრულება ვერ გომეველითო.

16. „მოძღვარო, რომელღა რჯულის მთავარი მცნება?“

ხოლო იესუმ მიუგო მას: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი სულით და მთელი შენი გულით და მთელი შენი გონებით“.

როდესაც გუებნებიან, შეიყვარე ღმერთი მთელი შენი გულითო, ეს ნიშნავს, რომ უფალს გულის წადილის მიხედვით ღებულობ, რადგან გრძნობ მის დიდებას (მათე, 22, 36-37).

17. როდესაც გუებნებიან: შეიყვარე მთელი შენი სულითო, ნიშნავს, სიყვარული უნდა იყოს წრფელი; ხოლო, როცა მოგიწოდებენ – შეიყვარე ღმერთი მთელი შენი გონებითაო, ნიშნავს – ანალიტიკური ლოგიკით, ე.ი. ჩვენთვის გაცხადებული კანონების მიხედვით დაიწყე მისი სიბრძნის წვდომა და ირწმუნე იგიო.

18. მიყვარს? – ე.ი. გული მისკენ მიწევს. თუ რატომ მიყვარს, გონებამ უნდა იცოდეს და დააჯეროს სული.

ამრიგად, საჭიროა გონებრივი შემეცნება უფლისა, რათა გული შეგნებულად დაეთმოს ღმერთს, ვითარცა ტამარი, ხოლო სულით რწმენა გამოიხატოს ქრისტეანულ ღვაწლში, ე.ი. კანონების შესრულებაში, რადგან უფალი არის თვით კანონი, წესი და რიგი,

სიყვარული და წყალობა. ვინც მოითხოვს სიყვარულსა და წყალობას, მას მოსთხოვენ კანონის შესრულებას. რადგან მამა ღმერთის ნება ამ ქვეყანაზე კანონის სახით გაცხადდა. ამ კანონის დასაფასებლად, მის შესასრულებლად წარმოგზავნა ძე თვისი და არა კანონის უარსაყოფად, როგორც თავად ბრძანებს.

19. ამ მცნებების უარყოფელი რელიგიები გაიწირებიან. რჯულის გარეშე მყოფნი თონეს მისაცემელ თივასთან არიან შედარებული. სიყვარული იმისთვის მოსთხოვა ღმერთმა ადამიანს, რომ, თუკი სიყვარულის მეუფე გახდები, როგორც პავლე მოციქული განმარტავს: „სიყვარული სულგრძელია და ტკბილი; სიყვარულს არ შურს; სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ზეობს;

20. არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს; არ შეჭხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს; ყველაფერს იფარავს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს“ (1 კორ., 13, 4-7).

21. სიყვარულში განფენილია ურთიერთგაგების, მორჩილების, დაჯერების პრინციპები, რაც თავისთავად საზოგადო ნორმებს ეფუძნება. ეს ნორმები კი ურთიერთ სიყვარულის საზომი ერთეულები, იგივე კანონებია.

განმარტოთ პავლე მოციქულის მიერ აღნიშნული მოცემელებანი.

„არ უკეთურობს“, ე.ი. იცის თუ რას წარმოადგენს კეთილქმნა.

„არ განიზრახავს ბოროტს“, ე.ი. იცის თუ რაა კეთილი.

„არ შეჭხარის უსამართლობას“, ე.ი. მან იცის თუ რაა სამართალი.

„ჭეშმარიტებით ხარობს“ – განა ჭეშმარიტება უფლისი სამართალი, მისი კანონი არ არის? მაშ, როგორ გავიგოთ პავლე მოციქულის სიტყვები? იგი სხვას არას ნიშნავს, თუ არა ღვთის კანონების განმარტებას და მის შესრულებას.

22. ვინც ქრისტიანებს კანონს ართმევს, იგი უკანონობისაკენ უბიძგებს მათ, და გუპუნიისათვის ამზადებს, რადგან კარგად იცის: უკანონოდ მყოფნი უარყოფელნი არიან სასუფეველისა, რამეთუ სასუფეველი თვით კანონის შესრულებით მოიპოვება. მაცხოვარმა კი თავად ბრძანა: „ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი რჯულის (ე.ი. კანონის. — ი.ი.), გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად, არამედ აღსრულებადო“.

23. თქვენც ადასრულეთ იგი, ღვთივგაჩენილნო! როგორც ქრისტე გვაუწყებს, ბევრი იტყვის ბოლო დროს: „ღმერთო, ღმერთო!..“ მაგრამ ქრისტე მათ ასე უპასუხებს: „არ გცნობთ, მქმნელნო უკანონობისანი!“

24. ვინც ღმერთს ღებულობს, ის მის კანონსაც ღებულობს, კანონის უარყოფელი კი ღმერთის უარყოფელია, რადგან ღმერთი თვით კანონია, ხოლო ეშმაკი — უკანონობა.

25. ქრისტე ბრძანებს: ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველშიო. განა ეს განცხადება კანონი არ არის? ასევე ქრისტესგანაა ნაბრძანები: ვინც არ შეჭამს ჩემს ხორცს და ვინც არ დალევს ჩემს სისხლს, არ უდევსო მას წილი ჩემთან. განა ესეც კანონი არ არის? რას ნიშნავს ზემონაუწყები პირველი კანონი? იგი ნიშნავს ქრისტიანულ ნათლობას. სად ვემიოთ ამ ნათლობის წესი და რიგი? საიდან ვისწავლოთ თუ როგორ უნდა დაიბადოს მოსანათლაი წყლიდან, არის კი ამის შესახებ საუბარი სახარებაში? არა. მამ, როგორ მოვიქცეთ? ნუთუ ყველა წყალში ჩასული მონათლულად ითვლება? რანაირად უნდა განემარტოს ნათლობის წესი ქვეყანას? ამის შესახებ დადგენილია მოციქულთა მტკიცე კანონი, სადაც მოცემულია ნათლისღების რიტუალი (იხ. მოციქულთა 50-ე კანონი).

26. კანონი რომ არაფრად მიიჩნიეს, ამიტომაც წყალში სამგზის შთაფლვის ნაცვლად თავზე წყალაკურებასაც დასჯერდნენ, რომლის გამო თვით წმიდა მოციქულთა კა-

ნონი განგვიმარტავს (იხ. მოციქულთა ზემოსხენებული კანონი).

27. ასე კატეგორიულად კრძალავს იოანე ოქროპირი თავზე წყალაკურებას. ამგვარი ნათლობა, ნათლობა კი არა, შებიღწვააო, — ბრძანებს.

ასევე, შვიდი სეფისკვერით ზიარების წესი ნიკონიანურმა (ე.ი. ერეტიკულმა) ეკლესიამ დაიყვანა ზუთ სეფისკვერამდე. კათოლიკეებმა კი სეფისკვერი თანდათან სულ გააქრეს საკურთხეველადან და ახლა ღვინოში ჩაღობილი ებრაული მაცით დაიწყეს ზიარების მიცემა.

28. ასეთ მსახურებაზე ბრძანა ქრისტემ: „განვედით ჩემგან, მქმნელნო უკანონობისანი“. როცა ქრისტე ღმერთი უკანონობას უარყოფს, განა კანონიერებისაკენ არ მოგვიწოდებს?

29. ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია შვიდ საიდუმლოზეა დაფუძნებული. ესენია: ნათლისღება, მირონცხება, სინანული, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება, ზეთისკურთხევა.

30. აქედან რომელ საიდუმლო მოქმედებას არ დაუღო ქრისტემ კანონი? რომელი მოქმედება სრულდება წესისა და დადგენილი რიტუალის გაუთვალისწინებლად? ქრისტემ რომ ბრძანა: ჭამეთ ხორცი ჩემი და სვით სისხლი ჩემიო, განა იგი ზიარების შედგენას არ ნიშნავდა? განა ამ ზიარების შესადგენი წესი და რიგი მანვე არ შეასწავლა მოციქულებს? ასევე არ განუმარტა ყოველივე, რაც სჭირდებოდა სამღვდლოებას? მოციქულებმა თვითონ რომ შეისწავლეს იგი, შემდეგ ჩვენც დაგვიდგინეს მსოფლიო სამომღვრო კანონად.

31. აღსებობს მოციქულთა 85 კანონი. მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 85-ვე კანონი მიიღო, ხოლო კათოლიკურმა 35 უარყო და 50 დაიტოვა. ეს კანონები ქრისტიანული ცხოვრების სარკეა. მათი გათვალისწინებით შეიღმა მსოფლიო, ცხრა ადგილობრივმა კრებამ და, მათთან ერთად, წმიდა მა-

მათა ეპისტოლარულმა კანონებმა სრულყოველიყოველივე ქრისტიანული ცხოვრებისათვის. უწოდეს „დიდი რჯულისკანონი“, რომელსაც ეფუძნება მართლმადიდებლური ეკლესია. პროტესტანტებმა კი საერთოდ უარყვეს ყოველი კანონი, თვით ჯვარი და ღვთისმშობელიც კი. აი, სანამდე მიიყვანა ისინი ეშმაკმა მათი თვითნებობით..

32. ვის შეუძლია უარყოს ზიარების შედგენის წესი და კანონი, რომლის უზუსტესი შესრულება იწვევს სწორედ იმ საიდუმლოს განსწორცილებას, რომელსაც ზიარება ჰქვია? ასე რომ არა, მაშინ დუქანში პურისა და ღვინის მიმართმევენი ყველანი დღეში სამჯერ ზიარებულან და ზედმეტი ყოფილა ზიარების მისაღებად დადგენილი ის ხუთსაათიანი ლიტურგია.

33. კანონები ქრისტიანული ცხოვრების სარკეა. ვისაც ემინია ამ სარკეში ჩახედვისა, მას აფრთხობს თავისი უკანონო ქმედება. კანონის უარყოფელი უარყოფელია თვით მოციქულებისა, რომლებმაც დაგვიდგინეს ისინი. მოციქულების უარყოფელი ქრისტეს უარყოფელია, რამეთუ ქრისტემ ბრძანა: თქვენი უარყოფელი ჩემი უარყოფელია, ხოლო ჩემი უარყოფელი უარყოფელია ჩემი მამისაო. იქნებ თქვათ: ვლებულობთო მოციქულებს კანონების გარეშე. ახლა მოციქულებს ჰკითხეთ, გღებულობენ კი ისინი თქვენ — მათი კანონების უარყოფელთ?

34. ნათქვამია, მოციქულთა ბაგე ქრისტეს ბაგეაო, რადგან ერთი და იგივე ჭეშმარიტებას ბრძანებენ ისინი. რომელი საზოგადოებრივი ფორმაცია ჩამოყალიბდა კანონის გარეშე? იგი ან არსებულს აუქმებს და ახალს ამტკიცებს, ან ძალაში ტოვებს ძველს.

35. ვისაც სურს თვალმომოხუჭვის ყველა ზემოთ მოყვანილ ფაქტს, ე.ი. ვისაც უკანონობაზე სურს დააფუძნოს უფლის ჭეშმარიტება, იგი ამ მოქმედებით საფუძველს აცლის ჭეშმარიტებას, ხოლო რომელმაც ღმერთი კანონად იგულება, მან შეასრულა კანონი. სწორედ ამ კანონების უარყოფის შემდეგ

მოუყრის ყველას თავს ის ბოლო ანტიქრისტი და გააერთიანებს ახალი მრწამსით, სადაც მრწამსიდან უნდა გაქრეს ქრისტეს უბიწოდ ჩასახვის დოგმა, ასევე მისი ღმერთკაცობისა, ჭეშმარიტი აღდგომისა და მამის მარჯვენით დაბრძანებისა. ამ ახალი მრწამსის მოდელი უკვე დევს ი. კრიანევის წიგნის „ქრისტიანული ეკუმენიზმის“ სახით.

36. აქ ნათლად ჩანს, რომ ანტიქრისტი ცდილობს თავისი ფორმულებით შეცვალოს ქრისტიანული კანონები. ქრისტეს სახელს ამოფარებულნი ებრძვიან თვით ქრისტეს, რომელიც ყოველი დაფარულის მჭკრეტელია. სწორედ ის გამოუტანს მათ განაჩენს.

37. კანონის გაუფასურება ადაძიანს გზას უსხნის ცოდვებისაკენ. „მოიპარე, არა უშავს, მთავარია, ღმერთი გიყვარდეს, გადარჩები!“ — გაიძახიან მქნელი უკანონობისანი. ამის გამო, რომ მღვდელმა ქალიშვილი გააბაზა, პატრიარქმა კი ეს მღვდელი ეპისკოპოსის ჩინში აიყვანა. რას ნიშნავს ყოველივე ეს? კანონის გაუქმებას! ამას კი მხოლოდ ეშმაკი ცდილობს. მაშინ, როდესაც მოციქულების კანონი იმ ცოდვილს სიკვდილამდე ზიარების მიღების უფლებას უკრძალავს როგორც უღირსსა და აღთქმის დამრღვევს. დღეს ის უღირსი სხვას აზიარებს და ეპისკოპოსის სამოსს იშვევებს.

38. ქრისტე უკანონობამ იმსხვერპლა, ხოლო კანონის დაცვამ იგი გვირად აქცია. ვინც ისურვებს ქრისტეს ყოლას, მან უნდა გაითავისოს ქრისტეს კანონები, რადგან თვით კანონებია გზა ქრისტესაკენ.

თუკი ორნი წარედგებით თქვენს წინაშე — პავლე მოციქული და მე, რომელს უფრო დაუჯერებდით მე თუ პავლეს? რა თქმა უნდა, პავლეს. მეც პავლესი უფრო მჯერა, ვიდრე თქვენი ნათქვამისა, თუკი თქვენი ნათქვამიარ დაემთხვევა მოციქულთა დადგენილ კანონებს, ანგელოზიც რომ იყოთ, ანათემას უნდა გადაცეთ, რადგან ასე დაგვიბარა თვით პავლე მოციქულმა. ამიტომაც ვასრულებთ მის ბრძანებას. ვებტყდათ ცრუ ბაგეს, ვამ-

ხელთ უკანონობას, რათა არა იზვიმოს სიცრუემ.

39. ნუ დამაბრალებთ უსიყვარულობას, როგორც ქრისტე არ ლოცულობს ყველახათვის, ასევე არც მე შემიძლია ყველას შეყვარება. მე ქრისტეს მოყვანის მძა ვარ და მონა. ქრისტეს მოსიყვარულეს მარტო ენის წვერზე როდი უყურებ, საქმეს მოუხსინჯავ. თუკი მისი საქმენი არ ექვემდებარება ქრისტეანული ცხოვრებისათვის მოცემულ კანონებს, რომელიც ამხელს მის საქციელს და სჯის, მაშინ შენაირი მორწმუნე ვიქნები, რომელიც ღმერთის კანონს არ ისმენს და ამჟოლია ზღაპრების, რომლისგან ცეცხლის მეტს ვერაფერი მიიღებს ამგვარი თავისუფალი ქვეყის საზღაურად.

40. როცა მეუბნებიან, მიყვარდეს მტერი, ნიშნავს: მის წინაშე წარესდგე ღვთისნიერი, სიკეთით სახსე და ნათლად დავანახო თავისი ბოროტება. მიყვარდეს მტერი, არ ნიშნავს მოვიწონო მისი საქციელი, რამაც იგი ჩემს მტრად აქცია. მე მის სიცრუეს ვამხელ, ვითარცა ჭეშმარიტების მოყვარე. მაგრამ არ ვსჯი ფიზიკურად. საჯოს გამჩენმა.

მე მას არ ვწყევლი. მოვითხოვ მხოლოდ მის გადარჩენას და ვუსურვებ სიმართლის გზით სიარულს. ამით მე მას ქრისტეანულ სიყვარულს ვთავაზობ, რის გამოც გამოუსწორებელთა თავზე ნაკვერცხალი გროვდება, როგორც მოციქულმა ბრძანა, ხოლო, რაც შეეხება ჩემი რელიგიისა და ჩემი ხალხის მტერს, მე მისი მტერი ვარ, არ შეიძლება ვიყო მე მისი მოყვარე.

41. „ან იქნებ ვცდილობ კაცთ ვაამო? რადგან აქამდე რომ ვაამებდეთ, აღარ ვიქნებოდი ქრისტეს მონაო“ – ბრძანებს პავლე (გალ., 1, 10). თქვენ კი არ გუნებათ ისმინოთ, როცა ვლაპარაკობ მართლმადიდებლური ეკლესიის ნორმების დაცვაზე, მაშინ როდესაც პავლე მოციქული თვით მოციქულს განიკითხავს უმცირესი კანონის დარღვევის გამო: „და როდესაც ანტიოქიას მოვიდა კეფა, მე პირადად წინ აღვედგე მას, ვინაიდან

გასაიციები იყო... (იგი) წარმართებთან ერთად ჭამდა“ (გალ., 2, 11-12).

42. თქვენ? თქვენ რას აკეთებთ? განა უმეტეს ცოდვასაც არ იადვილებთ თქვენივე ნებით? მაშინ, როდესაც მოციქული სტომაქს იცავს, რათა არა შეერყვნას სული და მით არ შეერიოს უწმინდურებას, თქვენ სტომაქსი კი არა, სულის ბეჭედი უარყავით – სწორი ნათლობა და სწორი ზიარება. რითი აპირებთ გადარჩენას? რომელ მოციქულთა მოწოდებით, ღმერთისა თუ უღმერთთა?

43. „ჩემი მომბაძავნი იყავით, როგორც მე ვბაძავ ქრისტეს.

ხოლო მე გაქებთ, ძმანო, რადგანაც ჩემი ყველაფერი გახსოვთ, და როგორც გადმოგიცით, ისე ინახავთ გადმოცემას“ (1 კორ., 11, 1-2).

თქვენ? თქვენ რა ევტრათ? რომელი მოძღვრებანი მოციქულთა, როცა უმთავრესს არაფრად მიიჩნევთ, რანაირად მოგეთხოვებით უმცირესის დაცვა?

44. არსებობს ქრისტე! არსებობს კანონები!

ეს კანონები ქრისტესგან გადაეცა მოციქულებს და შემდეგ სულიწმიდით ჩამოყალიბდა. იგი მიჩნეულია საქრისტიანოსათვის კანონიკურ საფუძვლად და ეწოდება დიდი რჯულისკანონი. იგი წარმოადგენს საქრისტიანოს მორალურ კოდექსს.

45. წმიდა მამათა მიერ ერთხელ დადგენილი კანონი უცვლელია... ხოლო თუ ვინმე ზემოთ ჩამოთვლილ კანონთაგან რომელიმეს დაშლას და დარღვევას ხელი მიჰყო, იგი უნდა დაისჯოს კანონის განჩინების შესაბამისად“ (VI მსოფლიო კრების მე-2 კანონი).

46. განმარტება: ვინც ამ კანონებს იცავს, იგი იწოდება მართლმადიდებელ ქრისტეანად, ხოლო ვინც არ იცავს, იგი ერეტიკოსია. წმიდა მამათა განმარტებით, ერესი სხვა არა არის რა, თუ არა საკუთარი თვითნებური და დაუსაბუთებელი შეხედულება დიდ ან მცირე რელიგიურ საკითხებზე. ამგვარი ადამი-

ანები, რომლებიც იწვევენ გელესიათა შორის განხეთქილებას, ქრისტეს მტრები არიან, რადგან არღვევენ კანონით აშენებულ ქრისტეს გელესიას: „არც ერთმა ქრისტეანმა არ უნდა მიატოვოს ქრისტეს მოწამე და არ უნდა წაიდეგ ცრუ მოწამესთან, რომლებიც ან მწვალებელი იყვნენ, ან მწვალებელთა შორის იყვნენ, რადგან ერეტიკოსები უცხონი არიან ღვთისთვის. ამიტომ მათთან მისული შეჩვენებული უნდა იყოს (ლაოდეკიის 34-ე კანონი).

47. განმარტება: დადგინდა რა, რომ ყოველი ერესი ანათემის, ე.ი. წყველის ქვეშ იყოფება. წმ. მამებმა მართლმადიდებლებს დაგიადგინეს შემდეგი წესი: „მწვალებელთან და განდგომილთან ერთად ღოცვა არ შეიძლება“ (ლაოდეკიის 33-ე კანონი).

48. განმარტება: მართლმადიდებლებს ერეტიკოსებთან ურთიერთობა ეკრძალებათ იმიტომ, რომ ისინი ითვლებიან სიმართლის მტრებად. სიმართლე კი არის თვით ქრისტე. ამიტომ, მისი მტერი არ შეიძლება იყოს ჩვენი მოყვარე. მხოლოდ ქრისტეს ჭეშმარიტი გელესია ბაღებს ქრისტეანს, დანარჩენ ერეტიკულ ეკლესიებს არ შეუძლიათ ქრისტეანის დაბაღება ქვეყანაზე, რადგან მათ არ გააჩნიათ სწორი ნათლობა.

49. მრავალჯერ განგემარტათ, რომ ნათლობა არის საიდუმლო მოქმედება, რომელიც ადამიანს განბანს პირველყოფილი და

შემინილი ცოდვებისაგან და აძლევს მას. ბუკლეს სულისას, რომლითაც ხელეწიყების ადამიანს სასუფეველში შესვლა. ამიტომაც ბრძანა ქრისტემ: „ვინც არ დაიბაღება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“.

აქედან გამომდინარე, ყველა მოუნათლავი უნდა დარჩეს სასუფეველის მიღმა.

50. წყლიდან და სულით დაბაღების წესი მოციქულებს ქრისტემ დაუდგინა. მოციქულებმა კი ჩვენ გააღმოგვცეს და იგია ერთადერთი უტყუარი წესი.

მტკიცედაა დადგინილი კანონი, რომ მონათლავი წყალში უნდა მოინათლოს სამჯერ მთაფლვით, რაც ნიშნავს წყალში მოლიანად ჩაფლობას ისე, რომ ბეწვიც არ უჩანდეს თმისა წყალს ზემოთ.

არსებობს სხვაანაირი ნათლობაც, რომელიც ნათლობად არ ითვლება და რომელიც ანათემას არის გადაცემული. ასეთი ნათლობებია: თავზე წყლის გადაღება, თავზე წყალკურება თუ სხვა.

51. კვლავ და კვლავ შეგახსენებს მოციქულთა 47-ე კანონი: ვინც სწორად მონათლულს თავიდან მონათლავს და ვინც არასწორად მონათლულს არ გადანათლავს, ე.ი. არ მონათლავს მას ხელახლა სწორი ნათლობით – ისიც განიკვეთება.

კანონი ინარჩუნებს გელესიის პირველყოფადობას, უკანონობა კი მისი დამრღვევია.

თ ა ვ ი ო ც დ ა მ მ ც ს რ ა მ მ ტ ბ

წმიდა ეკლესია

1. არსებობს ქრისტე. ვიცით, არსებობს დიდი რჯულისკანონი, რომელიც წარმოადგენს საქრისტეანოს სასულიერო და სამოქალაქო ყოფის სამართლის კოდექსს. რჯულისკანონი შედგება მოციქულთა ოთხმოცდახუთი, ცხრა ადგილობრივი, შვიდი მსოფლიო კრების კანონებისაგან, რომელთაც ეპისტო-

ლარული კანონების სახით ერთვის წმიდა ბასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, იოანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა კანონები. მათვე საუკუნეში დიდი რჯულისკანონი საბოლოო სახეს ღებულობს და იკრძალება მასში რაიმეს შეცვლა, დამატება თუ გამოკლება... მისი მიყოლა ვეალება ყველა

ქრისტეანულ ეკლესიას. რჯულგანრიდებუ-
ლი ეკლესიები კი იწოდებიან ერეტიკულად
და მკედრად. დადგენილია, რომ დიდი რჯუ-
ლისკანონი არის ქრისტეანთა სულის სარკე.
ასევე დადგენილია, რომ დიდ რჯულისკანო-
ნად წოდებული საქრისტეანოს ეს სამართლის
კოდექსი უცვლელია ქრისტეს მეორედ
მოსვლამდე;

2. ვინც ამ კანონებს დაიცავს, იგი იწოდება
მართლმადიდებელ ქრისტეანად. ხოლო ვინც
არ დაიცავს, ერეტიკოსია. წმიდა მამათა
განმარტებით, ერესი სხვა არა არის რა, თუ
არა საკუთარი თვითნებური და დაუსაბუთე-
ბელი შეხედულება ამ თუ იმ რელიგიურ სა-
კითხზე. აღამიანები, რომლებიც განსუთქი-
ლებებს იწვევენ ეკლესიათა შორის, ქრისტეს
მტრები არიან, რადგან ისინი არღვევენ კანო-
ნებით აშენებულ ქრისტეს ეკლესიას.

„იწინებ ცრუწინასწარმეტყველნიც ხალხ-
ში, ისევე როგორც თქვენ გვევლებათ ცრუ-
მოძღვარნი, რომელნიც შემოიღებენ წარსაწ-
მედელ მწვალებლობას, უარყოფენ მათ გა-
მომსყიდველ უფალს და თვითონვე დაიტყნენ
მსწრაფლ წარწყმედას თავზე.“

მრავალნი გაჰყვებიან მათს ზრწინილებს,
და მათი წყალობით დაიფობა ჭეშმარიტების
გზა“ (2 პეტრ., 2, 1-2).

და კიდევ:

„რადგანაც ამნაირი ცრუმოციქულნი,
ზაკვის მოქმედნი, ქრისტეს მოციქულთა სახეს
იღებენ.“

თუმცა რა გასაკვირია: თვით ზატანაც
ხოშ ხინათლის ანგელოზის სახეს იღებს.

და რა დიდი საჭეუა, რომ მისი მსახურნიც
სიძარბოსის მსახურთა სახეს იღებენ? მაგრამ
მათივე საქმისამებრ იქნება მათი აღსასრუ-
ლიც“ (2 კორ., 11, 13-15).

3. რამდენადაც ყოველი ერესი ანათემას,
ე.ი. წყევლას იმსახურებს, წმიდა მამებმა
მართლმადიდებლებს დაუდგინეს შემდეგი
წესი: მართლმადიდებლებს ეკრძალებათ ერე-
ტიკოსებთან ურთიერთობა, რადგან ისინი
ითვლებიან სიძარბოსის მტრებად. სიძარბო

კი არის თვით ქრისტე. ამდენად, მისი მტერი
არ შეიძლება იყოს ჩვენი მოყვარე.

4. მხოლოდ ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია
ბადებს ქრისტეანს. ერეტიკულ ეკლესიებს
არ შეუძლიათ ქრისტეანების დაბადება, რად-
გან არ გააჩნიათ ჭეშმარიტი ნათლობა.

5. ქრისტე ბრძანებს: ჩემი მეორედ მოს-
ვლის უკანასკნელ წუთამდე იარსებებს ჩემ-
თვის სათნო ეკლესიაო. რა მდგომარეობაში
აღმოჩნდებიან ის მწიგნობარნი, რომელნიც
ამტიციებენ, რომ მღვდლობა უკვე დაკარგუ-
ლია და თვითონვე, უეკლესიოდ ცდილობენ
თავის გადარჩენას.

6. ვის შეუძლია გადაირჩინოს თავი ქრის-
ტეს შვიდი საეკლესიო საიდუმლოს გარეშე?
და თუ ეს შესაძლებელია, მაშინ რა მიზნით
გაჩნდა ეს შვიდი საიდუმლო ეკლესიაში?
ვის არ სჯერა ღვთის სიტყვებისა? აკი ბრძანებს
უფალი: ქვეყანა წარიშლება და ჩემი სიტყვები
კი არაო.

„ცა და მიწა გადავლენ, ხოლო ჩემი
სიტყვები არ გადავლენ“ (მათ., 24, 35).

7. იოანე ოქროპირი — ქრისტეანული ეკ-
ლესიის ჩირაღდანი — ბრძანებს, კიდრე ადა-
მიანები იბადებიან დედამიწაზე, მანამ იქნება
წმიდა ეკლესია ყველა თავისი საიდუმლოთი
(გულისხმობს შვიდ საიდუმლოს), იგი ცოც-
ხალია და აუცილებლად იარსებებს ქრის-
ტეს მეორედ მოსვლამდეო.

„ქრისტე ის ქვაკუთხედია ტაძრის ზაძირ-
კვლისა, რომელზედაც დაშენდება ტაძარი
და რომლის მიმართ ითქვა: „ისმინე, იესუ
მუდღელმთავარო, შენ და შენმა თვისტომებმა,
შენს წინ რომ სხედან, რადგან სასწაულნი
არიან ეს კაცები; რადგან ამა, მოვეაღინებ
ჩემს მორჩილს — მორჩის!“

რადგან, ამა, ის ქვა, რომელიც დავდეო
იესუს წინ: შვიდი თვალა ამ ერთ ქვაზე;
ამა, ამოგვეთავ მასზე ამოგვეთვლს, ამბობს
ცაბაოთ უფალი, და ერთ დღეში წარუხრცავ
ამ ქვეყნის ცოდვებს“ (ზაქ., 3, 8-9).

8. თუკი ნაბრძანებია — ამ საეკლესიო
შვიდ საიდუმლოს რომ ერთიც კი არ უნდა

მოაკლდესო, რომელი საიდუმლო შეიძრინეს სექტანტებმა? ამიტომაც მათი ეკლესია არაჰემმარტიბა, იგი ერეტიკულ ეკლესიად შეიარაცება.

9. ასე რომ, უხილავმა ეშმაკმა ხილულ მოკაპირეთა მუშეობით თითქმის უკვე დასცა მთელი მსოფლიოს საქრისტიანო და მილიონობით ადამიანთა სული წარიატაცა. ვინაც თქვა – მამ, ღმერთმა ეს მდგომარეობა რატომ დაუშეაო, მან ინდომა, თავისი საზრუნავი ღმერთისთვის გადაეპარებინა, თეთონ კი განცხრომას მისცემოდა. ასეთი კაცი თავისას მიიღებს.

10. ქრისტიანული წესით ნათლობა არის ერთადერთი გზა მარადიული ცხოვრების მოპოებისა. ეშმაკიც სწორედ აქ ჩაერია თავისი ცრუ ნათლობით.

11. როცა ითქვა: ჰინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველშიო (იოან., 3, 5). ეშმაკმა მცირედმორწმუნეებს ხელიდან გამოაცალა ასეთი დაბადების საშუალება.

12. გიყვარდეთ მართალი ეკლესია, რომელიც ღმერთის მაგივრობას წევს დედამიწაზე. მხოლოდ იგი დაეფიარავს. ვინც ღმერთი შეიყვარა, მან თავი ანდო წმიდა ეკლესიას, ეკლესია ხომ ამქვეყნიური ცხოვრების ბოროქარ ზღვაში ჩაშვებული ხომალდია, თანაც ძლიერი, რადგან უფლის სიბრძნით ნაგებია.

13. ვინაც წმიდა ეკლესიას მიენდო, მან თავი შეაფარა ამ საიდუმლო ხომალდს, რომელსაც ვერას დააკლებს ზღვის მშფოთვარება.

14. უმეტარია განწირული მსხვერპლი, რომელიც ამ ბოროქარ ზღვაში საკუთარი მკლავის ძალას დაეყრდნობა და მარტოკა ინდომებს ზღვის გატურვას.

15. ჭკვიანი ისაა, ვინც იგრძნო საკუთარი უმწეობა და თავის გადასარჩენად ხომალდს მიაშურა.

16. ორგზის ხებრეა, ვინაც ხომალდიდან გადახტა და ამგვარად სცადა თავის გადარჩენა.

17. ვინ არიან ისინი, რომელთაც საკუთარი ნახელავი ნაგები ბოროქარ ზღვაში ჩაუშვეს სხვათა საშველად? ყველა ეკლესია გასაწირადა გამზადებული, გარდა ქრისტეს ხელით გაშენებულისა. ღმერთ ცაბაოთს ხომ მხოლოდ მისი ძის ხელით აშენებული ეკლესია მიარჩია სათნოდ. ჰი მამაკაცი – სახელი მისი ძე, ის აღმოცენდება თავისივე ფესვიდან და შეუქმნის ტაძარს, სამლოცველოს ღმერთს. ის შექმნის ღმერთის ტაძარს და მიიღებს დიდებას და დაბრძანდება დაიმეფებს თავის ტახტზე (ზაქ., 6, 12-15).

18. არა სხვების მიერ აგებული, არამედ მისი ძის – ქრისტე ღმერთის ტაძარია სათნო შემოქმედისთვის. ტაძრის რეული, მისი აგების წესი მხოლოდ მან იცის.

19. მრავალი ხომალდი იყო წარღვნის წინ ქვეყანაზე. ყველას საიდუმლოდ მიარჩნდა საკუთარი ხომალდი, მაგრამ განსაცდელის ჟამს ერთილა გადარჩა – ნიუს ხომალდი. დანარჩენი ყველა ჩაიძირა, რადგან მხოლოდ უფლის სიბრძნით ნაგებია მტკიცე.

20. ასევე, მრავალია დღეს ეკლესიაც, მაგრამ ოდენ ქრისტეს კანონით აშენებულაა უტყუარი. ვინ არ დაიჯერა მისი სიმტკიცე და ვინ ინდომა შესწორების შეტანა უფლის სიბრძნეში?

21. ღმერთის შექმნილს რა გადაკეთება სჭირდებოდა?

22. რა ჯილდოს უნდა ელოდონ ამგვარი „ქველმოქმედებისათვის“?

23. ყველა ერეტიკული ეკლესია მოკლებულია ღვთის მადლს. თუმცა აქაც გაისმის ქრისტეს დიდება, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვაა.

„თუ ვინმე იღვწის, ვერ გახდება გვირგვინის ღირსი, თუკი არარეულიერად იღვწის“ (2 ტიმ., 2, 5). საქმე? საქმე სხვას გვიჩვენებს: საქმით იგი, დაბადების ნაცვლად, შვილებს უკლავს ქრისტე ღმერთს, რადგან ნათლობა არ გააჩნია მოციქულებრივი, ვინაიდან უმღვდლო ეკლესიაა.

24. ასეთი ეკლესია ბუმბულგაცილილი კრუხივითაა. ამაოა მისი ცდა – გამოჩეკოს ახალი სიცოცხლე.

25. ცრუა ქრისტეს სიბრძნეს განრიდებული სამლოცველოები. ეშმაკის ბრძანებით, სასუფეველის კარი მტკიცედ გადაურაჩეს სიცოცხლის მოწადინებებს და ასერიგად ჰყავთ გასაწირად გამომწვეველნი.

26. განა ღმერთმა არ ბრძანა: ყველა როდი გადარჩება, რომელიც ჩემს სახელს ასხენებსო. რწმენის დასახატუთებლად კანონის აღსრულებას გეთხოვენ (მათ., 7, 21-23), როგორც ეს ქრისტემ მოსთხოვა მდიდარ ახალგაზრდას.

27. იქნებ ქრისტეს სიბრძნის გამსწორებელ ადამიანებს ველოდებით მეორედ მოსვლისას და მათი წყალობის იმედი გვაქვს?!

28. და თუკი ნათლად იცით, რომ ქრისტე უნდა მოვიდეს მეორედ და მის ხელშია განჩინება, მიმართეთ ჭეშმარიტი ღმერთის – ცაბათის შვილს, თქვენთვის წამებულს, რომლის ხელით აგებული ეკლესია თქვენთვის კი არა, თვით ქვეყნის გამჩენისთვისაც სათნოა.

ამიტომ, ნუ დაგვაფრთხობს სიკვდილი სიცოცხლისათვის.

თ ა ვ ი მ ე ო რ მ ო ც ა

პ ა ვ ლ ე მ ო ც ი ძ უ ლ ი ს შ ე მ ო ნ ე ბ ა ნ ი

1. ვინაიდან არა მსურს, მშანო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო (რათა თქვენსავე განსჯას არ დაეყრდნოთ), რომ ისრაელის სიბრძნე ნაწილობრივია, დროებითი, ვიდრე არ შემოვა წარმართთა მთელი სიმრავლე.

2. და ასე მთელი ისრაელი ცხონდება, როგორც დაიწერა: მოვა სიონით მხსნელი, და მიაკცევს უღმერთობას იაკობისაგან.

3. და ეს არის ჩემი იერი აღთქმა მათ მიმართ, როდესაც წარებოც მათ ცოდვებს.

4. სახარების მიხედვით, ისინი მტრები არიან თქვენს გამო, ხოლო არჩევის მიხედვით, საყვარელნი მამათა გამო.

5. ჩემთვის მოცემული მაღლით მივმართავ ყველა თქვენგანს: ნურავინ იფიქრებს თავის თავზე უფრო მეტს, ვიდრე მართებს იფიქროს; არამედ იფიქროს ზომიერად, ღმერთის მიერ თითოეულისათვის მიცემული რწმენის თანახმად.

6. რადგან, როგორც ერთ სხეულს ჩვენსას მრავალი ასო აქვს, მაგრამ ყველა ასოს ერთი და იგივე საქმე როდი აქვს,

7. ასევე ჩვენც, მრავალნი, ერთი სხეული ვართ ქრისტეს მიერ, ხოლო ცალ-ცალკე ერთმანეთის ასოები ვართ.

8. და რაკი ჩვენთვის მოცემული მაღლი-სამებრ სხვადასხვა ნიჭი გვაქვს, ამიტომ, თუ წინასწარმეტყველების ნიჭი გებოდა, იწინასწარმეტყველე, თანახმად შენივე რწმენისა;

9. თუ მსახურებისა – იმსახურე, თუ მოძღვრისა – დამოძღვრე;

10. თუ შემგონებლისა – შეაგონე, თუ მოწყალების გამცემისა – უშურველად გაეცი, თუ წინამძღვრისა – გულმოდგინედ იწინამძღვრე, თუ ქველმოქმედისა – სიხარულით აღასრულე სიქველის საქმე.

11. „დაე, უორგულო იყოს სიყვარული; განეშორეთ ბოროტს, მიეხსნეთ კეთილს.“

12. ძმური სიყვარულით გიყვარდეთ ერთმანეთი; ერთიმეორეს ასწრებდეთ ურთიერთპატივისცემას.

13. გულმოდგინება ნუ დაგზარდებათ; სულთ მღვდარენი იყავით; ჰმონებდეთ უფალს.

14. გიხაროდეთ სასოებით; მომთმენნი იყავით ჭირში, ხოლო ღოცვისას – მოუღლელნი.

15. შეეწიეთ წმიდათა გასაჭირს: სტუმართმოყვარეობა გქონდეთ წესად.

16. აკუროხეთ თქვენი მღვწეული; ნუკი სწყველით, არამედ აკურთხეთ.

17. გიხაროდეთ მათთან ერთად, რომელნიც ხარობენ, და ტიროდეთ მათთან ერთად, რომელნიც ტირიან.

18. ერთმანეთის თანამოზიარენი იყავით; მაღლად მხედობას ნუკი ცდილობთ, არამედ ემსგავსეთ მდაბალს; ბრძენკაცებად ნუ მოგაქვთ თავი.

19. ბოროტის წილ ნურავის მიაგებთ ბოროტს; ყოველი კაცის წინაშე იზრუნეთ სიკეთისათვის.

20. თუკი შესაძლოა, თქვენის მხრივ, მშვიდობისმყოფელნი იყავით ყოველი კაცის მიმართ.

21. თქვენი თავისთვის ნუ იძიებთ შურს, საყვარელნი, არამედ მიეცით ადგილი ღმერთის რისხვას. ვინაიდან დაწერილია: ჩემია შურისგება, და მე მივაგებ, იტყვის უფალი.

22. ამრიგად, თუ შენი მტერი მშვიდია, დააპურე იგი; თუ მწყურებელია, წყალი ასვი მას, რადგან ამით მოგიზიადებ ნაკურცსლებს აგროვებ მის თავზე.

23. ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ კეთილით სძლიე ბოროტს.

24. და, ყოველი სული უზენაეს ხელმწიფებას დაემორჩილოს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმერთისაგან; დიახ, ყოველი ხელმწიფება ღმერთის მიერ დადგენილია.

25. ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღმერთის განჩინებას ეწინააღმდეგება; ხოლო წინააღმდეგომნი თვითონვე მოიწვევენ თავიანთ თავზე სასჯელს.

26. ამრიგად, ყველას მიაგეთ კუთვნილი: ვისაც ხარკი ეგება — ხარკი, ვისაც ბაჟი — ბაჟი; საშიშარს — შიში, პატივსაცემს — პატივისცემა.

27. არაფერი გემართოთ არავისი, გარდა ურთიერთ სიყვარულისა, რადგან ვისაც უყვარს მოყვასი, მან ადასრულა რჯული.

28. ვინაიდან: არა იმრუშო, არა კაც-ჰკლა, არა იპარო, არა ცილი სწამო, არა

ისურვო, და თუა კიდევ სხვა მცნება, ყველა ამ სიტყვებშია მოქცეული: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

29. სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს; რჯულის აღსრულება სიყვარულია.

30. და ასე ჰყავით, ვინაიდან იცით დრო, რადგანაც მოახლოვდა ძილისაგან ჩვენი გამოფხიზლების ყამი; ვინაიდან ახლა უფრო ახლოა ჩვენთან ხსნა, ვიდრე მამინ, როცა ვირწმუნეთ.

31. ღამე მიიწურა და მოახლოვდა დღე: მამ, განვიშორეთ ბნელის საქმენი და შევიმოსოთ ნათლის საჭურველით.

32. და როგორც დღისით, ღირსეულად ვიაროთ, არა ღორმუცელობითა და სიმთვრალით, არა სიმრუშითა და სიბილწით, არა შუღლითა და შურით,

33. არამედ შეიმოსეთ უფალი იესუ ქრისტე, და ზოცისათვის ზრუნვას ნუ აქცევთ ავხორცობად.

34. შეიწყნარეთ რწმენით უძლური, მაგრამ არა საცილობლად და საკამათოდ.

35. რადგან ზოგს ჰგონია, რომ შეიძლება ჭამო ყველაფერი, ხოლო უძლური მხალეულს ჭამს.

36. მჭამელი ნუ შეურაცხყოფს არამჭამელს, ხოლო არამჭამელი ნუ განსჯის მჭამელს, ვინაიდან ღმერთმა შეიწყნარა იგი.

37. შენ ვინა ხარ, რომ განსჯი სხვის მონას? თავისი უფლას წინაშე დგას იგი თუ ეცემა; მაგრამ დადგება, რადგანაც ღმერთს ძალუძს დადგენა მისი.

38. ზოგი ერთ დღეს მეორისაგან ასხვავებს, ზოგისთვის კი ყველა დღე ერთნაირია. ყოველი კაცი თავისივე გონებით იფოს სრული.

39. ვინც ფიქრობს დღეზე, უფლითა ფიქრობს, და ვინც არ ფიქრობს დღეზე, უფლითვე არ ფიქრობს; ვინც ჭამს, უფლითა ჭამს, და ჰმადლობს ღმერთს; ვინც არა ჭამს, უფლითვე არა ჭამს, და ჰმადლობს ღმერთს.

40. რადგან არცერთი ჩვენგანი თავისთვის არ ცოცხლობს, და არც არავინ კვდება თავისთვის.

41. არამედ, თუ ვცოცხლობთ, უფლისთვის ვცოცხლობთ, ხოლო თუ გკედებით, უფლისთვის ვკედებით, და ამიტომ, ვცოცხლობთ თუ გკედებით, უფლისანი ვართ.

42. ხოლო თუ საჭმლისთვის წუხს შენი ძმა, უკვე აღარ დადიხარ სიყვარულის გზით. შენი საჭმლით ნუ დალუპავ მას, ვისთვისაც ქრისტე მოკვდა.

43. ნუმც დაიგმობა თქვენი სიკეთე.

44. რადგანაც ღმერთის სასუფეველი სასმელ-საჭმელი კი არაა, არამედ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული სულით წმიდით.

45. ხოლო ვინც ამით მსახურებს ქრისტეს, სათნაო ღმერთისთვის და საქებარი კაცთა მიერ.

46. მამუ, მივსდიოთ მშვიდობის საქმეს და იმას, რითაც დაემოძღვრავთ ერთიმეორეს.

47. ხოლო ჩვენ, ძლიერთ, გემართებს, ვითმენდეთ უძლურთა უმწეობას, მაგრამ არ უნდა ვეძებდეთ საკუთარ სიამოვნებას.

48. გემუდარებით, ძმანო, ვერიდეთ განხეთქილებისა და საცდურის მოქმედთ, წინააღმდეგ მოძღვრებისა, რომლითაც განსწავლულხართ და განეშორეთ მათ.

49. ვინაიდან იუდეველნიც სასწაულებს ითხოვენ, და ბერძენნი ეძებენ სიბრძნეს.

50. ჩვენ კი ვქადაგებთ ჯვარცმულ ქრისტეს: იუდეველთათვის საცდურს, ბერძენთათვის სიშლეგს,

51. ხოლო იმავე იუდეველთა და ბერძენთათვის, რომელნიც არიან ხმობილნი, — ქრისტეს, ღმერთის ძალსა და სიბრძნეს.

52. ვინაიდან უგუნური ღმერთისა უფრო ბრძენია, ვიდრე კაცი, და უძლური ღმერთისა უფრო ძლიერია, ვიდრე კაცი.

53. დაუკვირდით, ძმანო, ვინ ხართ ხმობილნი: ცოტაა თქვენს შორის ბრძენი ხორციელად, ცოტაა ძლიერი, ცოტაა წარჩინებული.

54. მაგრამ ღმერთმა გამოარჩია შლეგნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვინოს ბრძენნი, და უძლურნი ამა ქვეყნისანი, რათა არცხვინოს ძლიერნი;

55. და უგვარონი ამა ქვეყნისა, უბადრუკნი და არა არსნი გამოარჩია ღმერთმა, რათა განაქაროს არსნი;

56. და რათა არცერთი ხორციელი არ იქადოდეს ღმერთის წინაშე.

57. მისგან ხართ თქვენც ქრისტე იესუსი, რომელიც იქმნა ჩვენთვის სიბრძნე ღმერთის მიერ, სიმართლე, გაწმენდა და გამოსყიდვა,

58. რათა, როგორც დაიწერა: ვინც იქადის, უფლით იქადოს.

59. ნუთუ არ იცით, რომ ღმერთის ტაძარი ხართ, და სული ღმერთისა დამკვიდრებულია თქვენში?

60. ვინც ღმერთის ტაძარს დააქცევს, დააქცევს მას ღმერთი. ვინაიდან ღმერთის ტაძარი წმიდაა, ხოლო ესა ხართ თქვენ.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც დ ა მ ე რ თ ე

ს ა მ კ ლ ე ს ი ო წ ე ს ე ბ ი

1. გახსოვდეს ნათლობისას ღვთის წინაშე დადებული პირობა, რომ შენ გაემიჯნები სატანას და მის დაცემულ ანგელოზებს, ყველა მის საქმიანობას და შეუდგები ქრისტეს.

2. ასევე აღუთქვი უფალს ყველა ერეტიკოსისაგან გამიჯვნა, რადგან ერეტიკოსი მკედრად იწოდება, ერესი კი — სიკედელიად.

3. გახსოვდეს ეშმაკის საცდურნი: ამპარტანება, მრისხანება, მზაკერობა, ჭორიკანობა, ფიცის გატეხა, ჯადოსნობა, მკითხაობა, შური, სიბილწე, მრუშობა, ქურდობა, ყაჩაღობა, რომლის გამო გეხშობა სამოთხის კარები.

4. ყველა ერესი, ე. ი. მართლმადიდებელთა საწინააღმდეგო ერეტკული სწავლა უნდა უარყო და აძაგო, რამეთუ გახსოვდეს, რომ ისინი ღმერთის მტრებისაგან დაგებული საცდურებია.

5. გახსოვდეს, ხელი რომ აღმართე აღმოსავლეთით ქრისტეს ერთგული მსახურების დასტურად, იგი ნიშნავდა ქრისტეანულ სიყვარულს, ღვთისნიერ ღვაწლს, ასევე შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების კანონთა მიყოლას.

6. გახსოვდეს, ნათლობით შენ დაუტყვევდები მუცლიდან გამოყოფილი ადამიანსა და ევას ცოდვა. შეშინილი ცოდვებიც განირიდე და გახდი წმიდა, როგორც ანგელოზი და მით ქვეყნის გამაჩენს შენი სახელი სამაჲრადუამო ცხოვრების წიგნში შეატანინე.

7. თუკი გნებავს, მარად დარჩე ღვთის შვილად, იქონიე მშვიდობა, იყავ მლოცველი, მმარხველი, იარე სიმართლის გზით და გაეცი წყალობა. ამგვარი ცხოვრება კი ნიშნავს: არ იყო სიცრუის მოყვარული, კაცთმომძულე, ბილწად მოუბარი, მემძრუსე, მტაცებელი, დროის მფლანგველი, აზარტული მოთამაშე, ღოთი, მოჩხუბარი, უზომო ჭამის მოყვარული და ეშმაკის სხვა საქმეთა მიმყოლი.

8. თუკი გნებავს სიბრძნის შეძენა, ეძიე იგი კურთხეულ წიგნებში.

9. მხოლოდ რჯულში საზრდელად დაკანონებული ცხოველის, ფრინველისა და თევზის ხორცი გეჭმევა, ნუ მიირთმევ დამხრჩვალს, ღვინით მოკლულს და სისხლისაგან დაუწერებლად საქონლისა თუ ფრინველის ხორცს. საქონელი უნდა დაიკლას დანით და სისხლი დასდინდეს.

10. პურის ჭამისას მუხლებზე გადაიფარე წინსაფარი, რათა ძირს არ დაცვიდეს ნამცეცები და ფეხით არ გაითელოს, რამეთუ ქრისტეს სიტყვით პური მისი ხორცია.

11. მორწმუნემ უნდა იცოდეს, რომ საეკლესიო მსახური ღმერთსა და ადამიანს შორის მდგომია. იგი იწოდება მიწის მარი-

ლად. ღვთის მსახურნი ქრისტეს მავიერობას სწევენ ღვდამიწაზე. მათ შეუძლიათ ადამიანის, როგორც ცოდვებისაგან გათავისუფლება, ასევე შეკერაც და დასჯაც. ეპისკოპოსს ხელუწიფება ეპისკოპოსის ხელდასხმა და ყველა სამღვდლო ჩინის მინიჭება.

12. მღვდელმსახურთათვის ეპისკოპოსი ღმერთის დარია. ვინც მას შეურაცხყოფს თუნდაც სიტყვიერად, რაც არ უნდა მართალი იყოს, ვითარცა იუდა, იმსახურებს ტარტაროზის ჯურღმულს, ასე ბრძანებენ წმიდა მამები.

13. მღვდელმსახურთა და თვით ეპისკოპოსთა მამხილებელნი რაიმე ცუდ საქმეში ბრალდებას წარუდგენენ სინორს ზრდილობიანად და უხმაუროდ, ყოველგვარი შეურაცხყოფის გარეშე.

სინოდი გაითვალისწინებს მომჩივნის პიროვნებას და საკითხს გაიტანს კრებაზე გასარჩევად.

14. ეკლესიაში ღოცვისას უმიზეზოდ ნუ გახვალ გარეთ, მთელი გულისყური ღოცვას მიაპყარი, ნუ აცეცებ თვალებს, ხულში იქონიე ქრისტეს ღოცვა და როცა საცეცხლური გიკმინ, თავი ოდნავ დახარე და ხელები გაშალე.

15. ტაძარში იყავი მორიდებული, უხმაუროდ მლოცველი, ქრისტეანული სამოსით შემოსილი.

ეკლესია ქრისტეს სისხლითაა მორწყული. ყოველ საეკლესიო საგანს პატივისცემით მოეპყარი. როცა სიზმარში წახვდი, ან მოგეცეს რაიმე აზრი გარყვნილებისა, ან ვინმესადმი მტრობა თუ ბოღმა, ეკლესიაში კი ნუ შეხვალ, არამედ დადექ, როგორც ადამი სამოთხის კარებთან და გაისამართლე თავი. დაცხრი, დამშვიდდი; ტაძარში კი შედი ქრისტეს ღოცვითა და მეტანიებით.

16. საწყისი ღოცვის წართქმისას ნურავის შეაეწროვებ.

17. თუ მიგიკლევია ჭეშმარიტი ეკლესიისთვის, იცოდე, ნოეს კიდობანი გიპოვია.

18. ქრისტეს ხატის მზერისას გულში იქონიე იესუს ღოცვა. ღვთისმშობლის ხატის (კეკრისას კი – ღვთისმშობლის ღოცვა.

19. ეკლესიაში საღოცავად რომ დადგები, ადგილს ნუ გამოიცვლი, ნურც კედელს მიეყრდნობი. როცა ვინმე შენს თვალწინ წესიერად ვერ იქცევა, გულში ნუ გაასამართლებ. ღოცვისას ნურც ცხოვრებისეულ საკითხებზე დაიწყებ ფიქრს. თუ რომელიმე სიტყვა ვერ გაიგო, იკითხე მსახურების დამთავრების შემდეგ.

20. როცა მღვდელი სახარებით ხელში აღსავლის კარებიდან გამოვიდეს, თავიანთი ეცი „იესუს“ ღოცვით.

როცა იგალობებ: „ღიღება შენდა, ღმერთო“ და დაიწყებ სახარების კითხვას, ასევე თავიანთი გმართებს; სახარების კითხვის დასრულებისას კელავ თავიანთი საჭირო.

21. დიდი ეკტენიისას ყოველ მუხლზე სამ-სამ თავიანთს აღასრულებენ ხოლმე: მეფისა და დიდებულებისათვის, მხედრიონისა და პატრიარქისათვის, მღვდელმთავრებისა და ყველა მოთლმადიდებელი ქრისტიანისათვის.

22. როდესაც მღვდელი ფეშხუმით გამოიტანს ზიარებას და იტყვის: „მოიხსენოს უფალმა ღმერთმა“..., მაშინ აღასრულე სამი თავიანთი.

23. თუკი არ არის დღესასწაული, შაბათი ან კვირა, ყველა თავიანთი უნდა აღასრულო მუხლმოყრით. როცა დაიწყება „მრწამსის“ კითხვა, გადაისახე ჯვარი თავიანთს გარეშე.

24. „მრწამსის“ შემდეგ მღვდელი რომ წარმოთქვამს ღოცვას ღვთისმშობლისადმი, ამ დროს ყოველთვის აღასრულე მუხლმოყრით თავიანთი. დღესასწაულისას, შაბათსა და კვირას მუხლს ნუ მოიყრი.

25. ფსალმუნის კითხვისას „აღლელუიაზე“ სამჯერ აღასრულე თავიანთი წელში მოხრით.

26. ხოლო „ღირს არსზე“, „...რამეთუ ხარ კურთხეული და კაცთმოყვარე“, ასევე

განტყვებისას აუცილებელია თავიანთი მუხლმოყრით.

27. ტაძარში შესვლისას, სამჯერ პირველის გადასახვის შემდეგ, ემთხვეო „ჯვარცმას“, იმ დღის წმიდანის ხატს, „მახარებლისას“, შემდეგ ადგილზე დაბრუნდი, თავიანთი ეცი მღვდელს და პატიება ითხოვე, ბოლოს კი დადექი ღოცვად.

28. ვევედრე მღვდელს, რათა გაკურთხოს ჯვრით. გახსოვდეს, სინდისი განწმენდილი უნდა გქონდეს და ღირსი იყო ჯვრის მთხვევისა. როდესაც მღვდელი ჯვრით გადაგწერს ჯვარს პირისახეზე, ემთხვეო მაცხოვრის ფეხებს.

29. მღვდელმსახურთ ყველგან პატივი ეცი. მით უმეტეს – შენს სულიერ მამას. და თუ არა გყავს, უთუოდ მოძებნე იგი. ნუ დარჩები მოძღვრის გარეშე. ვისაც სულიერი მამა არა ჰყავს, ის არ არის ქრისტიანი და ვაი მას, ვინც მოკვდება სულიერი მამის გარეშე. უმჯობესი იყო სულაც არ დაბადებულყო.

სამღვდლო ჩინის შესახებ

30. დიდი ღირსებაა სამღვდლო ჩინი. იგი სამოციქულო მემკვიდრეობაა, რის გამოც მღვდელს მიეცა უფლებამოსილება ადამიანთა სულების შეკვრისა და ახსნისა. ისაა ნათელი ქვეყნისა, გზაბნეულთა დამმოდგერელი, მწყემსი ქრისტეს ფარისა, საყვირი სულიერი, წყარო ცხოველი წყლისა, ბაგე ღვთისა, ქვეყნიერებისათვის მშვიდობის მიზეზი, დამპყრებელი და თვალის ეკლესიისა. და შენც, ყოველივე ამის მსმენელი, ნუ იცხოვრებ მოძღვრის გარეშე.

ცოლვაების მიტანების შესახებ

31. რასაც ღვთის წინაშე შესცოდავ, მიდი მოძღვართან და აღსარება უთხარი. ის იქნება შენი შუამდგომელი ღმერთთან და აგიშვებს ცოდვებით შერკულს. უმისოდ არავის შეუძლია ცოდვების მიტევა და აშვება.

თუკი კეთილი საქმის დაწყებას იწყებ, მოძღვრისგან აიღე კურთხევა, ვითარცა ქარტია და ბეჭედი მთავარანგელოზისაგან მიღებული, რაც არის აუცილებელი იარაღი საქმის დაწყებისას.

32. სიხარულითა და პატივით მიიღე, როცა იგი გასცემს კურთხევას. კურთხევის მიღებისთანავე ემთხვევ ხელზე. თუ მოძღვარმა ხელი საამისოდ არ გამოგიწოდა, ემუდარე, მოგცეს ხელზე კოცნის უფლება.

33. როდესაც ჯვარს გადაისახავ, თითები წვისსაშებრ დაიჭირე და ყველა წერტილი, რომელსაც ის ორი თითი შეეხება, იგრძენი, ე.ი. მჭიდროდ შეეხე.

34. მოციქულთა გადმონაცემ პირჯერის წერის წესს დიდი ძალა აქვს და მისით განიოტება ბოროტი სული. თუ სხვა წესი გიპყრიათ პირჯერისწერისა, ეშმაკები მხიარულობენ. დიდი ძალა აქვს ცხოველყოფელ ჯვარს უფლისას.

35. განსოვდეს ის აღთქმა, რომელიც დაიდო შენსა და ქრისტე ღმერთს შორის. ნათლობისას შენ აღუთქვი, იქნები ქრისტეს მონა, თავყანი ეცი მის ჯვარცმას. როცა ქრისტეს ჯვარი დაგვიდეს მკერდზე, სახარების მიყოლა აღუთქვი, სადაც წერია: ვინც ჯვარს თავისას არ აიღებს და არ გაყვება ქრისტეს, არ არის ქრისტეს ღირსი.

36. ნუ დაივიწყებ შუბლზე მირონცხებით ქრისტეს ჯვრის გამოსახულებას რომ ატარებ, რომელიც გაუწყებს, რომ შენ ხარ მხედრიონის წევრი და ქრისტეს მონა. და თუკი ვინმე შეგეითხება ჯვრის შესახებ, უპასუხე: ამ ნიშნით ჩვენ ვატარებთ ქრისტე ღმერთის წყლულებს და თუკი გეტყვიან, რად მოგიწოდათ ღმერთმა ამგვარადო, უპასუხეთ: ვინაიდან თავად იწება ეტვირთა ჯვარცმა და ამ ჯვრით იქნა ეშმაკი დამცილებული, ჩვენც სწორედ ქრისტეს გამირობის დასტურად ვატარებთ მას.

37. ქრისტეს ღმერთკაცობის მაღიარებელი კეთილგონიერი და ყაჩაღი განა ჯვრით

არ შევიდა სამოთხეში? და თუკი შენთან მოსახუბრე ამის შემდეგ კვლავ შეურაცხოფს ჯვარს, განერიდო მას, რამეთუ არ არის იგი მართალი კაცი.

38. ვინაც გადმონაცემებს არ ისმენს და თავის თავს თვითონ განიდიდებს, იგი ჯოჯოხეთში შთაეცემა.

39. შესაწირი შენი იყოს პატიოსანი. არ შესწირო ნაქურდალი, წართმეული, ეშმაკობით ნაშოენი.

40. ეკლესიისა არაფერი მიითვისო: არც ჭურჭელი, არც სამოსი საეკლესიო, არცა სანთელი. ყველაფერი ის, რაც ეკლესიაშია, კურთხეულია და მიძღვნილია ღვთისადმი.

41. განსოვდეს, ქრისტეანობა ნიშნავს მშათამოიყვარებას, პატიოსნებას, ერთგულებას, მშვიდობისმოყვარებას.

42. მარხვისას სულში იქონიე მშვიდობა. ნაწყენი არაიყო დაგრჩეს. თუკი ასეთი გყავს, პატიება გამოსთხოვე, რათა შენს ღოცვას მაღლი ჰქონდეს. სეფისკვერი გეჭმევა მაშინ, თუკი საეკლესიო მსახურება მთლიანად მოისმინე.

43. რასაც ეკლესიას შესწირავ, უკან ვერ დაიბრუნებ.

44. ნურასოდეს დაიწუნებ შენს ტრაპეზს, რაც არ უნდა ღარიბული იყოს იგი. კმაყოფილი იყავ იმითაც, რაც გეზომა მაღლიერებით. განსოვდეს, პურის ჭამის დროს ჩავიდა სატანა იუდას სულში.

45. საღვთო ღვთისაწაულს ნუ გააცდენ. ის ღლე გაატარე შეგნებულად. ნუ იცბიერებ, ნუ იქნები მრისხანე, შეუგნებელი, იქონიე სარეცელი, ნუ იწყებ დიდ სტუმრიანობასა და გადაჭარბებულ სმას.

46. საეკლესიო მსახურნი ტუალეტში ნუ შეველენ მანტიით, სკუფით, ანაფორით.

47. პურის ჭამისას არ შეიძლება ბევრი ლაპარაკი, სიცილ-კისკისი, იყავი ფრთხილად, სუფრაზე მუდამ იქონიე წყლით სავსე ჭიქა. ბევრი დამხრჩვალა ჭამისას.

48. ებრძოლე მანკიერ აზრებს.

წმიდა ბრიგოლის ხილვა

1. აღმიანს რომ ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ხაიქიოზე, საჭიროა გაეცნოს წიგნს, რომელსაც ჰქვია „ცხოვრება ღირსისა ვასილი ახლისა და ხილვა მისის მოწაფის გრიგოლისა“:

2. „კეთილმსახურ ბერძენ მეფეთა შორის ყოელად ბრძენ ლევის და მისი ძმის ალექსანდრეს დროს, შორს, უდაბნოში, განდევნილად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ღირსი მამა ჩვენი ვასილი ახალი.

3. მისი მოღვაწეობა დიდხანს არ დარჩა დაფარულად, ღმერთს ენება, რომ ღირსი მამა ვასილი ხალხს სცნობოდა. ერთხელ მეფის ელჩნი, ასირიიდან დაბრუნებისას უდაბნოში შეხედნენ ამ კეთილ მსახურს. საეჭვო კაცად მიიჩნიეს იგი, შეიპყრეს და სატახტო ქალაქში წამოიყვანეს.

4. სატახტო ქალაქში იგი სამონს წარუდგინეს. სამონმა მოინდომა მისი ვინაობის შეტყობა, მაგრამ წმიდა ვასილმა მის კითხვებზე პასუხი არ გასცა.

5. ამის გამო სამონმა ბრძანა მისი დაუყოვნებლივ დასჯა.

6. ბრძანა — სამოსელი გაეხადათ ვასილისათვის და ხარის ძარღვით ეცემათ, მაგრამ კერაფერს გახდა.

7. ცემისაგან სიკვდილის პირას მისული წმიდანი ხელით წაიყვანეს და საპყრობილეში ჩასვეს.

8. მეორე დღეს ფიცხმა სამონმა მსახურებს წმიდანი ხელმეორედ მოაყვანინა დასაკითხად და დასასჯელად. საპყრობილიდან მოსული მსახურნი გაოცებულნი დარჩნენ: საპყრობილე დაკეტილი იყო, ხოლო სრულიად ტანმრთელი და უვნებელი წმიდანი გარეთ იდგა.

9. საპყრობილე ვინ გააღო? — ჰკითხეს. არც ახლა გასცა პასუხი.

10. წმიდანი მსახურებთან ერთად სამონთან გაემართა. რამდენიმე მსახური წინ გაეშურა და სამონს უამბეს, რაც მოხდა; სამონი ვერც ამ ამბავმა მოიყვანა გონზე.

11. მან კელავ დაჰკითხა წმიდანი, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მიიღო. ბრძანა, ხელახლა ეცემათ ჯოხებითა და ხარის ძარღვებით. მსახურებს ექვსი ჯოხი გაუტყდათ ამ სასჯელის აღსრულებისას.

12. წმიდანმა ხმაამოუღებლივ გადაიტანა წამება... ექვსმა დღემ განელო ამგვარად, მაგრამ ურჯულო სამონმა პასუხი მაინც ვერ მიიღო.

13. წმიდანის სიწმინის მიზეზი ის იყო, რომ მას არ უნდოდა სიკვდილამდე ცნობილი გამხდარიყო მისი კეთილი საქმენი.

14. ერთი კვირის შემდეგ სამონმა ისევ მოაყვანინა წმიდა ვასილი თავისთან და განრისხებით შესძახა: „შე, ხალხისაგან საძაგელო, კიდევ დიდხანს გაჯიუტდები და არ მეტყვი ვინ ხარ და სადაური ხარ?“

15. გულსატკენი და სამძიმო იყო წმიდანისათვის ამგვარი სიტყვების მოსმენა, მაგრამ მან მშვიდად უპასუხა: „საძაგელი იმას უნდა ეწოდოს, ვინც შენსავით საიდუმლოდ სჩადის სოდომურ ცოდვას“.

16. სამონი განრისხდა და გაცოფებულმა ბრძანა — წმიდანი თავდაღმა დაეკიდათ ერთ-ერთ სადარაჯოში. ბრძანების წერილს კი საკუთარი ბეჭედი დაუსვა.

17. წმიდანი სამი დღე-ღამის განმავლობაში იყო ამ საშინელ ყოფაში. ძნელი წარმოსადგენია სამონის გაცეცხება, როცა იგი სადარაჯოში შევიდა და სრულიად ტანმრთელი წმიდანი ნახა, ისიც ისეთი გამომეტყველებით, თითქოს არავითარი ტანჯვა არ გამოუვლიაო.

18. სამონმა ისევ დაუწყო გამოკითხვა, მაგრამ ვერც ამჯერად მიიღო პასუხი. იფიქრა, ეს კაციერთი გრძნეულთაგანი უნდ იყო-სო და გადაწყვიტა ლომისთვის მიეგდო შე-საჰმელად. ეს სასჯელი კი მეორე დღისთვის დანიშნა.

19. სამონმა ბრძანა, რომ ლომი მშვიერი ჰყოლოდათ, რადგან კაცს უშზადებდნენ შე-საჰმელად.

20. მეორე დღეს დიდძალი ხალხი შე-იკრიბა საზარელი სანახაობის სახილვე-ლად.

21. წმიდანი დააყენეს სასჯელისათვის დანიშნულ ადგილას და მიუშვეს მშვიერი, გამძვირებული მხეცი.

22. უზარმაზარი ლომი გამოვიდა, ელვა-რე თვალებით მრისხანედ გადახედა რკინის მოაჯირის მიღმა მდგომ ხალხს და მზად იყო სცემოდა წმიდანს, მაგრამ წმიდანი თვი-თონვე გაეშურა მისკენ.

23. მრისხანე ლომი უცებ დაწყნარდა და მორჩილად გაწეა წმიდანის ფეხებთან. ამის დამნახვე ხალხს თავზარი დაეცა. ყველანი გაოცდნენ.

24. მოსისხლე და მხეცზე უძვიერარესი სამონი ვერც ამ სასწაულმა მოიყვანა გონზე და ბრძანა წმიდანის ზღვაში გადაგდება, მაგრამ სარწმუნოებით მცხოვრებ ადამინ-თა მფარველმა ღმერთმა კვლავ დაიცვა თა-ვისი რჩეული.

25. ზღვაში გადაგდებისთანავე წმიდა ვა-სილი, ღვთის განგებით, ორმა ცხოველმა (ზღვის ლომმა, დელფინმა) ნაპირზე გამო-იყვანა კონსტანტინოპოლის მუშვიფე ზღუდს — ედემთან. ის ბოკილი, რომლითაც ხელ-ფენი ჰქონდა შეკრული, თავისთავად შეენ-სნა და სრულიად თავისუფლად მივიდა ქა-ლაქ კონსტანტინოპოლის „ოქროს კარებ-თან“ და ქალაქში შესასვლელთან ჩამოჯდა შესასვენებლად.

26. მალე მას გვერდით მიუჯდა ერთი მთროლარე ხმის მქონე კაცი. სამძიმო იყო წმიდანისთვის ამ უხედური კაცის ცქერა.

დაადო ხელი აეადმყოფს, ლოცვით მიმართა უფალს და განკურნა.

27. განკურნებული კაცის მადლიერებას საზღვარი არა ჰქონდა. იგი დაეცა წმიდანის წინ, სიხარულის ცრემლით უსველებდა და უკონიდა ფეხებს, თან ეხვეწებოდა შინ მეწე-იყო. განკურნებულს სახელად იონანე ერქვა.

28. იონანე უბრალო მოქალაქე იყო კონს-ტანტინოპოლისა. ღირსი ვასილი დათანხმ-და იონანეს მიწვევას და შინ გაჰყვა.

29. იონანეს მუდღემ, სახელად ელენემ, გულთბილად მიიღო ძვირფასი სტუმარი და უსაზღვრო მადლობა შესწირა ქმრის გან-კურნებისათვის.

30. როცა იონანემ და ელენემ შეიტყვეს წმიდა ვასილისაგან თუ ვინ იყო იგი და უფალმა როგორ იხსნა მისი სიცოცხლე, შე-ევედრნენ — მათ სახლში დარჩენილიყო. წმინდანი დათანხმდა.

31. ბედნიერმა ცოლ-ქმარმა ვასილს ცალ-კე ოთახი დაუთმო, სადაც წმიდა ლოცვითა და მარხვით ატარებდა ცხოვრებას.

32. წყნარი, მშვიდი, მოწყალე და კეთი-ლი ვასილი საღმრთო ალერსითა და სიყვა-რულით ექცეოდა ყველას და ადამიანებსაც უყვარდათ იგი.

33. დიდხანს აღარ დარჩენილა დაფარუ-ლად მისი კეთილი საქმიანობა, ქველმოქმე-დება, მართალი ცხოვრება, სრული განდე-გილობა და ლოცვებით სნეულთა განკურნე-ბა; ვასილის სახელი სწრაფად მოედო ქვეყა-ნას.

34. არა მარტო უბრალო მოქალაქენი, არამედ გამოჩენილი დიდკაცობაც მიდიოდა მასთან, იღებდა რჩევა-დარიგებას, თუ საჭი-რო იყო, სნეულებათაგან კურნებასაც.

35. უფალმა წმიდა ვასილს მინიჭა არა მარტო სასწაულმოქმედების, არამედ წი-ნასწარმეტყველებისა და გულთამხილაო-ბის მადლიც.

36. წმიდანი სცნობდა მასთან მისულის ყოველ დაფარულ საქმესა და განზრახვას. მრავალ მათგანს უწინასწარმეტყველებდა

მომავალს და ეს წინასწარმეტყველება ყოველთვის სრულდებოდა.

37. იოანე და ელენე რომ გარდაიცვალნენ, წმიდა ვასილი მარტო დარჩა მათ სახელში.

38. ყოველი მხრიდან მიდიოდნენ მასთან ხნეულნი, განრღვეულნი გლახაკნი დარბეზისა და შემწეობის მისაღებად...

39. წმიდანი დიდხანს არ დარჩენილა იოანეს სახლში. მასთან მივიდა ერთი ღვთისმოსვიანი და კეთილმსახური მოქალაქე, სახელად კონსტანტინე, და სთხოვა გადასულიყო მის სახლში. ღირსი ვასილი დათანხმდა.

40. კონსტანტინემ მას აუშენა განცალკეუბული მყოფრო სენაკი და ერთ თავის მსახურთაგანს — კეთილ ქერიე თეოდორას დაავალა მისი მომსახურება. თეოდორა ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული წმიდანი-სადმი.

41. ერთმა ერის კაცთაგანმა, სახელად გრიგოლმა, განსაკუთრებული სიყვარული მოიპოვა ღირსი ვასილისა. იგი წმიდანის მოწაფე შეიქნა, თვითმხილველი გახდა მასწავლებლის მრავალი სასწაულისა...

42. აქ მოხელისას შევიტყვე, — ამბობს გრიგოლი, — რომ წმიდანის მოსამსახურე თეოდორას მონაზვნობა შეემოსა და გარდაცვილიყო. იგი იმდენად კეთილის მოქმედი იყო, რომ, ვინც იცნობდა, ყველა წუხდა მის გარდაცვალებას. სხვებზე ნაკლებ არც მე შეეწუხებულვარ.

43. მაგრამ იმის გაგება უფრო მაინტერესებდა, თუ რისი ღირსი შეიქნა თეოდორა გარდაცვალების შემდეგ და იყო თუ არა წმიდათა და მართალთა გუნდში შერაცხილი.

44. შემდეგ წმიდანს ეთხოვე მოეთხრო თუ რა ბედი ეწია თეოდორას.

45. წმიდანმა აღმითქვა, რომ იგი შევედრებოდა უფალს.

46. ...მან მითხრა: „შენ დღესვე ნახავ მას, თუ სარწმუნოებით ითხოვ და თანაც დარწმუნდები, რომ შესაძლებელი იქნება შენი თხოვნის აღსრულება“.

47. ძლიერ გაოცდი და საკუთარ თავს ვეკითხებოდი — როგორ, ანუ სადღა ენახავ-მეთქი გარდაცვალებულს.

48. იმავე ღამეს ძილში იხილე ერთობ კეთილმშვენიერი სახის ჭაბუკი. მოვიდა და მითხრა: „ადექი, ღირსი მამა ვასილი გიმობს, რომ, თუ სურვილი გვაქვს, ერთად წახვიდეთ თეოდორას სანახავად, წაჰყევ მას და იხილავ თეოდორას“.

49. საჩქაროდ წამოვდექი. მაშინვე გავეშურე წმიდანთან, მაგრამ იგი შინ არ დამხვდა. გამოკვითხე იქ მყოფთ და მითხრეს — ღირსი ვასილი თვითონ წავიდა თეოდორას სანახავადო.

50. მეწყინა და მწუხარებით წამოვიძახე: რატომ არ დამიხვდა, რომ მეც აღმსრულებოდა სურვილი ჩემი სულიერი დედის თეოდორას ხილვისა-მეთქი...

51. ამ დროს ერთმა იქ მყოფთაგანმა მიჩვენა გზა, საითკენაც წავიდა წმიდა ვასილი და მეც დავადექი ნაჩვენებ გზას.

52. მივადექი ერთ მაგრად ჩაკეტილ ჭიშკარს, შევიხედე, მინდოდა ვინმე მეხილა ეზოში და მეკითხა, წმიდა ვასილი აქ ხომ არ მობრძანებულა-მეთქი.

53. მართლაც, შევნიშნე ერთი ქალი, რომელიც იჯდა და თავის მეგობარს ესაუბრებოდა. ვისია-მეთქი ეს ეზო, დავეკითხე. წმიდა ვასილისაო, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც თავისი სულიერი შეილეების სანახავად მოვიდა აქაო. — მიპასუხა მან.

54. ერთობ გამიხარდა ამის გაგონება და ეთხოვე — გამიღე კარები, უნდა შევიდე, მეც მისი სულიერი შეილი ვარ-მეთქი. მაგრამ მომსახურე ქალმა კარები არ გამიღო თეოდორას ნებადართუვლად.

55. ღონიერად დავაბრავეუნე ჭიშკარზე და ვითხოვი მის გაღებას. ხმა ესმა თეოდორას, თვითონვე მოვიდა და, დამინახა თუ არა, მყისვე მიცნო. საჩქაროდ გამიღო კარი და მითხრა: აი, აქ არის ღირსი მამა ვასილი მისი საყვარელი შეილითურთო.

56. თეოდორას გაუხარდა ჩემი მისვლა, ეზოში შემოიყვანა, მომესალმა წმიდა აპოკრიფიკით და მითხრა: „მშაო გრიგოლ! ვინ გირჩია აქ მოსვლა?“ მე დაწვრილებით ვუამბე წმიდა ვასილის ლოცვით როგორ ველირე ამ საწადელს, რომ ვიხილე თვით იგი — თეოდორა თავისი ღვაწლით მოპოვებულ ამგვარ დიდებულ ყოფაში.

57. გულმოდგინედ ვსთხოვე ღირს თეოდორას, ეამბნა ჩემთვის ყოველივე: როგორ განშორდა ხორცს, როგორ ჭანვლო უწმინდურ ხულიერთა საზვერე, როგორ ავიდა წმიდა სამოფელში და როგორ ცხოვრობდა. მან მიპასუხა:

58. „როგორ შემძლია, საყვარელო შვილო გრიგოლ, რომ დაწვრილებით მოგიტხრო ყოველივე, რაც შიში და ძრწოლა გამოვიარე, უფრო იმიტომ, რომ ისეთი პირები ვნახე, ისეთი ხმები და სიტყვები გავიგონე, რომ ჩემს სიცოცხლეში არ მენახა და არ გამეგონა.“

59. რა უნდა ვითხრა ამის მეტი, ქვეყანაზე ჩადენილი უსამართლობისათვის საშინელი სიკვდილი მელოდა, წმიდა ვასილის ლოცვას რომ არ ვესხენი... მხოლოდ მისმა ლოცვებმა გამიადვილა სიკვდილი.

60. ძნელი ასაწერია ის ხორციელი შეწუხება, წამება და ტანჯვა, რაც მომაკვდავმა უნდა გაიაროს...

61. წარმოიდგინე, შიშველი ადამიანი ცეცხლის ალში რომ ჩაყარდეს და ნელ-ნელა იწვოდეს და იშლებოდეს... აი, ამის მსგავსია მომაკვდავის ტანჯვა.

62. სიკვდილის ჟამი რომ მომიახლოვდა, უეცრად დავინახე ჩემს გვერდით მდგარი უამრავი შავსახიანი ბოროტი სული.

63. შემამოფოთებელს რასმე ლაპარაკობდნენ და მხეცებივით მიყურებდნენ, თვალეები სიხლით ჰქონდათ სავსე და კუპრივით შავი. ისინი ყველა საშუალებას ხმარობდნენ ჩემს შესაშინებლად.

64. თავს იყრიდნენ ჩემს მოსატაცებლად, მოჰქონდათ წიგნები, რომლებშიც ეწერა სიყ-

რმიდან ჩადენილი ყველა ჩემი ცოდვა. ისე ათვალეობდნენ ამ წიგნს, თითქოს ყოველ წამს მოელიან ვინმე მსაჯულსაო.

65. ყოველივე ამის დამნაშავე, ვთროლი, ძალა მელეოდა შიშისა და ზარისაგან და გატანჯული აქეთ-იქით ვაცეცხები თვალს. მინდოდა ვინმესთვის მეთხოვა ბოროტი სულების განდევნა, მაგრამ ვაი, რომ არავინ ჩანდა მშველელი და მხსნელი.

66. ასეთ მწუხარებაში მყოფმა უცებ თვალი მოვკარი კეთილმშენიერ და ნათლის სამოსით მოსილ ორ ბრწყინვალე ანგელოზს, ჭბუკის სახით რომ გამომეცხადნენ. ორივეს თმა თოვლივით იეთრი ჰქონდა.

67. ანგელოზები მომიახლოვდნენ და საწოლის მარჯვენა მხარეს დადგნენ. მათი დანახვით გამოწვეულ ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

68. ერთმა ანგელოზთაგანმა მრისხანედ შეხედა მათ, და ჰკითხა: „თქვე ბნელნო და კაცთა მოღვათის მტერნო, რატომ ამოფოთებთ და ტანჯავთ მომაკვდავის სულს? ნუ გიხარიათ, აქ თქვენ არა არის რა“.

69. ანგელოზმა ეს რომ უთხრა, მტრებმა უსირცხვილოდ დაიწყეს ჩამოთვლა ყოველივე იმისი, რაც ახალგაზრდობიდან მოყოლებული სიტყვით, საქმით ან განზრახვით ცოდა რამ ჩამედინა.

70. ყველა ცოდა რამ ჩამოთვალეს, გესლიანად დაეკითხნენ ანგელოზს: „მაშ, რა? განა არაფერია ეს? ყოველივე ხომ მისი ნამოქმედარია... ჩამოთვლილ ცოდვებს, თავიანთ მხრიდან, სხვა მრავალი ტყუილი მიუმატეს და უფრო მძიმე ცუდ საქმეებში მასმენდნენ. ამ დროს სიკვდილი მომიახლოვდა და დადგა წამი სულისა და ხორცის გაყრისა.“

71. ჰოი, შვილო გრიგოლ, რაც მე მაშინ ზღვიზედ სიმწარე და მწუხარება გამოვიარე! სიკვდილმა იმწამსვე წარიტაცა ჩემი სული; ისე უცებ განშორდა სული ხორცს, როგორც ფრინველი გაუფრინდეს კაცს ხელიდან.

72. ამ დროს ნათელმოსილმა ანგელოზებმა ხელში ამიყვანეს და ზეცისკენ გამაქანეს. მოვიხედე უკან და დავინახე უძრავად, უსულოდ და უგრძობლად გდებული ჩემი სხეული; გახდილ ტანსაცმელს რომ დასცქეროდეს პატრონი, ასე ეუმზერდი.

73. ანგელოზებს რომ ხელში ვეჭირე, მოვიდნენ ბოროტი სულები და თქვეს: ჩვენ მრავალი ცოდვა იცით მაგისი და მოგვეცით ამის პასუხიო.

74. პასუხად ანგელოზებმა წარუდგინეს ყველა ის სიკეთე, რაც ოდესმე ჩამიდენია. მაგალითად: ღარიბებისათვის პური მიმიწოდებია, მწყურვალისათვის – წყალი, სნეული და საპყრობილეში მყოფი მომინახულებია, ეკლესიაში ერთგულად მივლია, უცხოთათვის სახლში ბინა მიმიცია განსასვენებლად, კანდელში ზეითი ჩამისხამს, ეკლესიისთვის საკმეველი მიმირთმევია...

75. მტრად გადავიდებულნი შემირიგებია, ცრემლი მიფრქვევია, უსიამოვნება მოთმინებით გადამიტანია, უცხოთათვის ფეხები დამიბანია, უმეცარნი სარწმუნოებაში განმიმტკიცებია, ცოდვისაგან ვიღაცეები გადამიჩენია, სხვისი უბედურება და განსაცდელი ჩემდა საწყენად მიმიჩნევია, სხვათა გამო შევწუხებულვარ.

76. კეთილის მოქმედებისათვის ვინმე დამიშურებია, ღვთისთვის მრავალი თაყვანისცემა შემისრულებია, ანუ ხორცის დასათრგუნველად და სულის დასამორჩილებლად მიმარხულებია, ვცდილვარ – უსარგებლო რამ არამეჭვრიტა, უქმი ლაპარაკი, ცილისწამება თუ სიცრუე ყურად არ მელა.

77. ყოველი ეს კეთილი საქმე ანგელოზებმა ჩემი ცოდვების სანაცვლოდ დადეს და მით გააუქმეს ბრალდებით წარმოდგენილი ცოდვები.

78. ბოროტი სულები კბილებს იღრჭენდნენ, თანაც უნდოდათ ჩემი გატაცება, დასასჯელად უფსკრულში ჩაგდებია. ამ დროს გამოგვეცხადა წმიდა ვასილი და უთხრა ანგელოზებს: „უფალნი ჩემნი, ამ სულმა მრავა-

ლი სამსახური გამიცნია, უძლურებისა და მოხუცებულობის ყამს მომიარა. მე ვილოცე მისთვის და უფალმა ეს მოწყალეობა მიბოძა“.

79. ამჟამე დროს მათ გადასცა რაღაც ყუთი და უთხრა: „ჰაერის მცველთა საზვერეს გავლის დროს მზაკვარსა და ბოროტ სულებს ამ ყუთიდან მიეცით პასუხი და მით გამოიხსენით ეს სული“.

80. (მოძღვრისაგან მიცემულ ყუთში იველისხმება აღსარებანი და მოძღვრის მიერ ცოდვათა აღსაზოცველი უფლებანი, რომლითაც საზვერის გავლის დროს ეშმაკნი პირში ჩაღამოვლებულნი რჩებიან თითოეული ცოდვის ნაწილში. თვითონ ყუთი ნიშნავს მოძღვრულ დაფარულ საიდუმლოებას).

81. ყუთის მიცემისა და ამ სიტყვების თქმის შემდეგ წმიდანი გაგვშორდა. ბოროტი სული სხედვიდნენ ამას და დიდხანს გატრუნულები იყვნენ. ბოლოს კი უცებ მორთეს ყვირილი და ღრიალი: „ვაი, ჩვენდა, რომ ტყუილად ვიშრომეთ მისი ღვენითა“. – და იმწამსვე გაქრნენ.

82. შემდეგ კიდევ გამოგვეცხადა წმიდა ვასილი, თან მოიტანა მრავალი კეთილსურნელოვანი ყუთი და ანგელოზებს გადასცა.

83. ანგელოზები ზედიზედ ხსნიდნენ ამ ყუთებს და ყველა სურნელებას მე მაფრქვევდნენ. ასე აღვივსე სულიერის კეთილსაყნოსელის სურნელოვანებითა.

84. თან სრულიად შევიცვალე და ნათელი ფერი მომეცა. წმიდანმა უთხრა ანგელოზებს: „უფალნი ჩემნი! როცა მას ყოველსავე საჭიროს შეუსრულებთ, მაშინ იგი მისთვის წინაღვე გამზადებულ სადგურში მიიყვანეთ განსასვენებლად“. – თქვა ეს და გაგვშორდა.

85. ანგელოზებმა ქვეყნიდან მალა ამიყვანეს. პირველად მივაღვიქით „ცილისმწამებელთა საზვერეს“ (ე. ი. საგუშაგო ადგილს).

86. აქ მრავალად იყვნენ ბოროტი სულები. ერთი იმათი უფროსთაგანი მოვიდა და დაიწყო მოყოლა რა დროს და ვისთვის რა სიტ-

ყვებით დამიწამებია ცილი მთელი სიცოცხლის მანძილზე. მართალია, მრავალ ტყუილსაც ამბობდნენ, მაგრამ მე ის მაკვირვებდა, ასე სისწორითა და დაწერილებით რანაირად ახსოვდათ ყველაფერი, რაც თავადაც მივიწყებული მქონდა. ყოველივე ეს მტანჯავდა და მქენჯნიდა.

87. ანგელოზნიც, თავიანთ მხრივ, მოუთხრობდნენ ჩემს კეთილ ნამოქმედარს და წმიდა ვასილის მიერ მიცემული ყუთიდან აძლეოდნენ პასუხს. ასე განველეთ ეს განსაცდელი.

88. ავიწიეთ უფრო მაღლისაკენ და მივაღვეით მეორე — „გინების საზეურეს“. ამათაც პირველთა მსგავსი ტანჯვა მომაყენეს. ანგელოზებმა ჩემი ნაკლი წმიდა ვასილისაგან მოცემული ყუთიდან დაფარეს. იმ დროს, როცა აქედან მაღლა ავდიოდით, ერთმა ანგელოზმა უთხრა მეორეს:

89. „ჭეშმარიტად დიდი შეძწეობა აქვს ამ სულს წმიდა ვასილის ლოცვით. უიმისოდ, საზეურეთა განვლის დროს არა მცირედი და ძნელად დასათმენელი ტანჯვა შეხვდებოდა“.

90. მივადწიეთ მესამე — „მოშურნეობის საზეურეს“. ქრისტეს მაღლით, აქ არაფერი ჰქონდათ სათქმელი ჩემს წინააღმდეგ; არცა ხსოვნითა და არცა წიგნით არა აღმოაჩინდათ რა ჩემს გასაკიცხად და სიხარულით გავემართეთ უშორესისკენ.

91. ავედით მეოთხე — „სიცრუის საზეურესში“. საზიზღარი და საძაბელი სანახავები იყვნენ იქ მყოფი ბოროტი სულელები. ხოლო უფრო მძვინვარე აღმოჩნდა მათი უფროსი. რომ დაგვინახეს, მოგვეგებნენ და დაიწყეს ჩემზე ცილისწამებით ლაპარაკი: მოუთითებდნენ დროსა და ადგილს, სად რა და როდის ვისმეზე სიცრუე მეთქვა.

92. იმასაც ამბობდნენ თუ ვინმე უსამართლოდ განმიკითხავს. ანგელოზებმა, თავიანთ მხრივ, მფარველობა გამიწიეს: წმიდა ვასილის ყუთიდან პასუხი მისცეს და ამგვარად იმათაც უჭირველად განვერიდეთ.

93. იქიდან ავედით მეხუთე — „მრისხანების საზეურესში“. ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში მრისხანება არ განუცდია. იქაც ერთი უფროსი ბოროტ სულთაგანი ტანტყე იჯდა მძვინვარებითა და ამპარტანებით აღსავსე.

94. რისხვით ბრძანა ჩემი ტანჯვა და წამება. მასმენინებდნენ არა მარტო იმას, რაც წყრომითა და გაჯავრებით მელაპარაკნა, ანუ სიტყვით მეწინა ვისთვისმე, არამედ იმასაც კი დანაშაულად მითვლიდნენ, ჩემი შვილებისათვის რომ წყრომით შემიხედნია ან სასტიკად დამისჯია ისინი.

95. ყოველივე ეს სხარტად წარმოადგინეს; თან იმასაც გვაჩვენებდნენ რა დროს რა გადახდათ იმათ, რომლებზედაც უკავრი ამომეყარა. ზუსტად იმეორებდნენ ჩემგან წარმოთქმულ სიტყვებს, და იმასაც ამბობდნენ, ვისთანაც სიტყვა წარმომთქვა; სამაგიერო პასუხი ანგელოზებმა გასცეს და უფრო მაღლა გავემართეთ.

96. ავედით მეექვსე — „ამპარტანების საზეურესში“. ეს საზეურე სრულიად თავისუფლად განველეთ, რადგან უცოდველი აღმოვჩნდი.

97. ავედით მეშვიდე — „უქმი მტყველებისა და ბილწად მოუბრის საზეურესში“. გამოჩნდნენ მტანჯველები და პასუხი მომთხოვეს, ვიზედაც ცუდი რამ მელაპარაკა, მამტყუნებდნენ ურიგო სიმღერის, უმართებულო სიცილისა და დაცინვისათვის.

98. ყოველივე ეს, ხანგრძლივი დროის გავლის გამო, დავიწყებული მქონდა. ანგელოზებმა ამ მტანჯველებისგანაც დამიხსენეს.

99. შევედით მერვე — „ქრთამისა და მლიქვნელობის საზეურესში“. აქ არაფერი ჰქონდათ ჩემს წინააღმდეგ სათქმელი და ამის გამო, განშორებისას ბოროტი სულელები კბილებს აღრჭვენდნენ.

100. ავედით მეცხრე — „უსამართლობისა და მედიდურობის საზეურესში“. აქაც უდანა-

შაულო აღმოჩენილი და სკრაფად გავშორ-
დით იქაურობას.

101. მივედით მკათე „ფრცხლისმოფე-
რუბის საზვერეში“, ე. ი. კულისმოყვარეო-
ბის საზვერეში. აქ მრავალ ტანჯვა მომყე-
ნეს ბოროტმა სულელებმა, მაგრამ შემდეგ სირ-
ცხვილნაჭამნი გაგვშორდნენ.

102. ავედიო მეთერთმეტე — „სიმთერა-
ლის საზვერეში“, ამ საზვერეს მცველნი მშო-
ერ მგლებს წააგედნენ და მზად იყვნენ ყველა
მათთან მისული შთაენთქათ.

103. წარმოადგინეს დანაშაული, თუ რამ-
დენჯერ უზომოდ მისცამს სასმელი. მამეზ-
ლებდნენ: ხომ ამდენი და ამდენი ჭიქა დალო-
ამა და ამ დღეს, ამა და ამ კაცთან თუ ქალ-
თანო? ხომ უზომოდ სვი და მოგვრია სასმე-
ლიო?

104. ერთი სიტყვით, ეს ადამიანთა მოდ-
გმის მოძულენი მრავალ ამგვარ ცოდვაში
მდებდნენ ბრალს და ცდილობდნენ გამოვე-
ტაცეთ ანგელოზთა ხელიდან.

105. მე მათ ეუქასუხე: ნამდვილად ასე
იყო და ყველაფერი მასხოვს-მეთქი. ერთ-
ხელ ბევრი სტუმარი მყავდა, ესვი მათთან და
ვიგრძენი, რომ სასმელი მომერია. ანგელო-
ზებმა წმიდა ვასილის ყუთიდან მისცეს პა-
სუხი. ამით გამოისყიდეს ჩემი შეცოდებანი
და უფრო უშორესი საზვერესაკენ გავემარ-
თეთ.

106. ერთმა ანგელოზმა მითხრა: ხედავ,
თეოდორა, რა განსაცდელი უნდა გამოი-
აროს მიცვალებულის სულმა ამ საზვერეებში
გავლისა და ბოროტ სულთა თუ ბნელეთის
მთავართა შეხვედრის დროს? მე ეუქასუხე:
ღიახ, ღავინაზე და ძლიერ შევემინდი-მეთ-
ქი.

107. მე იმასაც ვფიქრობ, ნეტა ქვეყანაზე
მცხოვრებმა ხალხმა თუ იცის, — რა მოე-
ლის აქ და რა უნდა შეემთხვეს გარდაცვა-
ლების შემდეგ-მეთქი. იციანო — მითხრა ან-
გელოზმა, — მაგრამ განცხრომისა და ცხოვ-
რების სიტკბოება ისე მოქმედებს მათზე, ისე
იტაცებს იმათ გონებას, რომ უნებურად ივიწ-

ყბენ სიკვდილის შემდეგ მოსალოდნელ უბე-
დურებას. ნეტარება იმათ, რომელთაც ახ-
სოეთ ხაღმართო წერილის სიტყვები და მოწ-
ყალებას ან სხვა კეთილ საქმეს ჰყოფენ.

108. ისინი ბოლოს დახსნილი იქნებიან
საუკუნო ჯოჯოხეთის ტანჯვისაგან. ის ხალ-
ხი, რომელიც ისე დაუდევრად ცხოვრობს,
თითქოს მოკვდავი არ იყოს, მხოლოდ მუც-
ლის საიმონებასა და თავის გამოჩინაზე
ფიქრობს. უეტარმა სიკვდილმა თუ უწია.
სამუდამოდ წაწყდება, რადგან თავის დას-
ცავად არავითარი კეთილი საქმი არ ექნის.
გაკეთებული.

109. ამისთანა ადამიანების სულს საზვე-
რეს მცველი ბნელის მთავრები დატანჯავენ
სასტიკად, წაიყვანენ ჯოჯოხეთის ბნელად-
გილას და იქ ამყოფებენ. შენც იგივე ბედი
გეწეოდა, თეოდორა, ქრისტეს მეროდ მოს-
ვლამდე, ღირსი ვასილისაგან რომ არ მიგე-
ლო შემწეობის მაღლო.

110. მივედიო მეთორმეტე — „გულძვი-
რობის საზვერეში“. ბოროტი სულელები ავაზა-
კებივით მოგვეცივიდნენ, ცდილობდნენ და
უნდოდან ეპოვათ რაიმე მანაწერი თავიანთ
სიგულში, მაგრამ, წმიდა ვასილის ლოცვის
გამო, ვერაფერი იპოვეს და ღრიალი მორ-
თეს...

111. ბევრ რამეში ვიყავი დამნაშავე,
ოღონდ ყველანი მიყვარდა — ღიდიცა და
პატარაცა და არვისთვის ბოროტებით არ გა-
დამიხდია სამაგიერო... ჩვენ დაუბრკოლებ-
ლად წავედით უფრო ზემოთ.

112. ერთს ჩემს მიღვანებულ ანგელოზს
კითხე: გვედრები, მიოხარი, საიდან იციან
საზვერეში ჩემთან შეხვედრილმა ბოროტმა
სულელებმა, ვინც რა ცუდი მოიმოქმედა თავი-
სი ცხოვრების მანძილზე?

113. ანგელოზმა მიპასუხა: ყოველ ქრის-
ტიანს ნათელისღების დროს ვვლინება მცვე-
ლი ანგელოზი, რომელიც უხილავად იცავს
მას ყოველგვარი სიცუდისაგან, ასწავლის
კეთილს და იწერს ყოველივე იმას, რა კე-
თილ საქმესაც იქმს...

114. მეორე მხრით, ეშმაკი ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში დასდევს ბოროტი საქმისათვის და თავის წიგნში იწერს ყოველგვარ ცოდვას. რომელთა გამო როგორც ხედავ, ასე განიცდებიან საზვერეში გაელის დროს ზეცას მიძაველ ადამიანთა სულნი.

115. ის მორწმუნენი, რომელთაც სამება სწამთ, ღვთის სათნოდ იქცევიან და ხშირად ეზიარებიან, პირდაპირ, დაუბრკოლებლად აღიან ცაში, მცველი ანგელოზები ველინებათ და წმინდანები ლოცულობენ ამგვარი სიძარტლით მცხოვრებთა სულების საცხოვნებლად.

116. ეს ცოდვები სასუფეველში შესვლას დაუშლის სულს და პირდაპირ იმ უფსკრულში გადაადგებს, სადაც თვით ეშმაკნი იმყოფებიან ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, თუკი არაფერი ექნებათ კეთილნამოქმედარი.

117. ხოლო ბოროტმორწმუნე მწვალებელთათვის, რომელნიც არაფერ სასარგებლოსა და კეთილს არ აკეთებენ ურწმუნობითა და მწვალებლობით ცხოვრობენ, არავინ ზრუნავს მათზე და არც ანგელოზებს აქეთ რაიმე სათქმელი მათ დასაცავად.

118. ანგელოზთან საუბარში უცტრად ავედით მეცამეტე — „იღუნების საზვერეში.“ იქ იყვნენ გველის მსგავსი ბოროტი სულები. იმათი მიზანი ის არის, რომ გარყვანა და აცდუნონ ადამიანები.

119. არც ერთ იმათაგანს ერთი სიტყვაც არა ჰქონდა ჩემს საწინააღმდეგოდ სათქმელი, რადგან უდანაშაულო ვიყავი ამ მხრივაც. ქრისტეს მაღლით განველეთ ეს საზვერეც.

120. შუმდეგ კვითხე ჩემს მძღვანებელ ანგელოზს: რასაც ამ ცხოვრებაში იქმს ადამიანი, ყველა ასე უნდა დაისაჯოს სიკედილის შემდეგ საზვერეების გაელის დროს, თუ შესაძლებელია სიცოცხლეშივე წარიხოცოს ცოდვები, განიწმიდოს და აქაც არ დაისაჯოს. მე ის მაძრწუნებს, რომ ასე დაწერი-

ლებით ირჩევა ყველაფერი... ანგელოზმა მიპასუხა:

121. საზვერეს გაელის დროს ყველას არ აყენებენ ასეთ განსაცდელში. ეს შემთხვევა მხოლოდ შენაირ ცოდვილ ადამიანებს, რადგან სიკედილის წინ წრფელი აღსარება ვერ თქვი. შენ რომ არ შეგტყუებოდა და სულიერი მამისათვის დაუფარავად გეთქვა ყველა დანაშაული, კეთილი საქმით ცოდვა გაგესწორებინა და შენდობა მიველო სულიერი მამისაგან, დაუბრკოლებლად განვილიდი ყველა საზვერეს და არც ერთი ცოდვისათვის არ შეგხვდებოდა სასჯელი.

122. რადგან წმიდა გულით არ ისურვე ცოდვების გამხელა, ამიტომ გაყენებენ აქ ასეთ განსაცდელში. რასაკვირველია, იმანაც ძალიან გიშველა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ცდილობდი ცოდვას განრიდებოდი.

123. ვინც ერთგულად ესწრაფვის სინანულს, ყოველთვის მიიღებს შენდობას ღვთისაგან და ამ სინანულის საშუალებით თავისუფლად გადავა ამ ცხოვრებიდან სანეტარო ცხოვრებაში.

124. საზვერეში მყოფი ბოროტი სულები, რომელთაც წიგნებში ჩაწერილი ცოდვები აქვთ, წიგნის გადაშლისას ვერაფერს იძოვიან თავიანთი ჩაწერილიდან, რადგან სულიწმიდა უჩინოს ჰყოფს ამ ჩანაწერს. ბოროტმა სულებმა იციან, რომ აღსარების საშუალებით აღიზოცება მათი ჩაწერილი ცოდვები და ძალიან აწუხებთ ეს. თუ ადამიანი კიდევ ცოცხალია, ისინი ცდილობენ აღზოცილ ალაგას სხვა რომელიმე ცოდვა ჩაწერონ.

125. ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობა აქვს აღსარებასა და ზიარებას ადამიანთა ცხოვრებაში. იგი მხსნელია მრავალგვარი ჭირისა და უბედურებისაგან; საშუალებას აძლევს ადამიანს — დაუბრკოლებლად განვილოს ყველა საზვერე და ღმერთს მიუახლოვდეს. ზოგიერთები არ აღიარებენ თავიანთ ცოდვებს იმ იმედით, რომ კიდევ მაქვს

დრო ცხონებისათვის ზრუნვისა და ცოდვა-
თა მიტევებისათვისო.

126. ზოგნი ირცხვენენ აღსარებასა და
მოდღვართან ცოდვების გაცხადებას. ასეთი
ხალხი ხასტიკად განიცდება საზვერებში.

127. არიან ისეთნიც, რომელთაც რცხვე-
ნით ერთ მოძღვართან ყველა ცოდვის აღი-
არება. ამიტომ ისინი ირჩევენ რამდენიმე
მოდღვარს. ზოგ ცოდვას ერთს გაუმხელენ,
ზოგსაც — სხვას. ასეთი აღსარებისათვის
ისინი დაისჯებიან და საზვერედან საზვერე-
ში გადასვლის დროს დიდი საჯულის დათ-
მენა დასჭირდებათ.

128. ამ საუბრით ავედით მეთოთხმეტე —
„გემოთმოყვარობის საზვერეში“. ამ საზვე-
რის მსახურნი ძაღლებივით დამეხვიენენ.
ყოველივე ჩამომიკაკლეს, რაც ახალგაზრ-
დობიდან ჩამედინა საკუთარი სტომაქის
ნდომისათვის; მახსენებდნენ დილით ულო-
ცავად პურის ჭამას, მარხვის დროს სახსენ-
ლის მირთმევას, სადილობამდე საზრდოს
უდროოდ მიღებას, სადილობის დროს უზო-
მოდ ჭამას, აგრეთვე ვახშობამდე და ვახშ-
მის დროს გადამეტებულ ჭამას.

129. ყოველივე ამის გამო მამხელდნენ
და ცდილობდნენ ანგელოზთა ხელიდან ჩემს
მოტაცებას. დასასრულ, ერთი ეშმაკთაგანი
დამკეთიხა: ზომ დაუდე პირობა უფალს, რომ
განშორდებოდი ეშმაკს და მის ყოველთა
საქმეს? ასეთი აღთქმის მიძცემს როგორღა
შეგებლო იმის ქმნა, რაიცა ჰქმნენ?

130. ანგელოზებმა საპირისპიროდ ჩემი
კეთილი საქმენი წარუდგინეს, წმიდა ვასი-
ლის ყუთებიდან პასუხი მისცეს და გავემარ-
თეთ უფრო უშორებისაკენ.

131. ავედით მეთხუთმეტე — „ეკრატმ-
ხასურებისა და ყოველგვარი მწყალებლო-
ბის საზვერეში“. აქ არავითარი განსაცდელი
არ მოუყვებიან და მალე განველეთ ეს საზ-
ვერეც.

132. ავედით მეთექვსმეტე — „სიძვის
საზვერეში“. მომცვიდნენ ამ საზვერეს მსა-
ხურნი და ჩამომიფალეს ყველა ცოდვა. წმი-
და ვასილის მსახურებამდე მე მყავდა ქმარი,
რომელსაც მიმართოვეს ჩემმა ქალბატონებ-
მა. ვცხოვრობდი მასთან. საზვერეს მტველ-
ნი მრავალ ცილსა მწამებდნენ, თითქოს ქმრის

შემდეგ სხვასთან ცოდვა ჩამედინა. ანგელო-
ზებმა დამიფარეს და უფრო უმაღლესისაკენ
გავემართეთ.

133. ავედით მეჩვიდმეტე — „ავაჯაობის
საზვერეში“. აქ განიკითხებიან ყველა ისინი,
რომელთაც გაჯავრებით ხელი ჰკრეს ვის-
მეს, ან სილა გააწნეს და ჯოხით სცემეს, ან
სხვა იარაღით ვისმე რამე დამართეს. ანგე-
ლოზებმა წაროადგინეს წმიდა ვასილისაგან
მოცემული ყუთიდან ცოტა რამ პასუხი და
უენებლად განველეთ ეს საზვერეც.

134. ავედით მეთვრამეტე — „მპარაობის
საზვერეში“. აქაც წარადგინეს ანგელოზებ-
მა პასუხი ყუთიდან და თავისუფლად გან-
ვაგრძეთ გზა.

135. ავედით მეცხრამეტე — „მრუშობის
საზვერეში“. ამ საზვერეს მტველნი გამოც-
ვიდნენ. დაგვიწყეს ცქერა. უკვირდათ ამ
საზვერემდე ჩვენი დაუბრკოლებლად მიღ-
წევა და რამდენიმე ხანს გაოგნებულები იდ-
გნენ. შემდეგ მიმე სასჯელი მომაყენეს ცხოვ-
რებამო ჩაღენილი ცოდვების გამო.

136. არათუ მართლსა მისხენებდნენ, არ-
მედ ბევრ ტყუილსაც მიგონებდნენ და ნათქ-
ვამის დასამტკიცებლად ადგილსაც ასახე-
ლებდნენ. განველეთ ეს საზვერეც და უფრო
მაღლისაკენ გავემართეთ.

137. ბოროტი სულელები კბილებს აღრ-
ჭილებდნენ იმის გამო, რომ მე ასე ადვი-
ლად დაეუსხლტი მათ ხელიდან. ანგელო-
ზებმა მითხრეს: მხოლოდ იშვიათი სულთა-
განი განელენ თავისუფლად ამ საზვერეს,
რადგან ქვეყნიური ცხოვრება ისე გარყვნი-
ლი და ისეთი გემოთმოყვარების მქონეა, რომ
მისი ნდომითა და გულის სათქმელით მრავ-
ალნი ძლიერნი ვარდებიან ჯოჯოხეთში.
შენ გადაგარჩინა მხოლოდ წმიდა ვასილი-
საგან მოცემულმა ყუთმა, ე.ი. ლოცვა-ვედ-
რებამ.

138. ახლა სხვას ყველაფერს დაძლეე და
ამის მეტად ცუდს აღარას იხილაყო. ამ საზ-
ვერეს მთავარი ეშმაკი ამბობდა: მე მარტო-
კას შემომლია გაავასო ცეცხლის ჯოჯოხე-
თი აღამიანის სულელებით თავიანთი გულის-
თქმის მეოხებითო.

139. ამ საუბრით მივედით მეოცე —
„უმოწყალობისა და გულფიცხობის საზვე-

რეში“. ესეც განველეთ დიდი გაჭირვებით და მითხრა ანგელოზმა: ამ საზვერეში ჩაწერილია ყველა უმოწყალო, ფიცსი, პირქუში და მოძულე.

140. ვინც არ მისდევს ღვთის მცნებას და უმოწყალო იქნება, ასეთი ადამიანის სული საზვერეში მოსვლისას მიეცემა სხვადასხვაგვარ ტანჯვასა და განკითხვას. ჯოჯოხეთში ჩავარდება და კარდახშული იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე.

141. ამისთანა სულს ღმერთი არ შეიწყალებს, რადგან გაჭირვებულს ნაჭერი პური არ მიაწოდებ, გლენკაცს არ განუსვენა, ავადმყოფს არ მიზედა, სუსტი და დაჩაგრული, თუ საქმით არა, ნუგუმიანი სიტყვით მინც არ შეიბრალა, მისი მწუხარებით თვითონაც არ შეწუხდა და, პირიქით, ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ მოიქცა.

142. მეოცე — უმოწყალობის საზვერეში“ რომ მივედით, ამ საზვერეს მთავარი ეშმაკი მეტისმეტად ფიცხად, პირქუშად და, ამასთან, შეწუხებულად მეჩვენა. იგი ტიროდა და გოდებდა. ჩანდა, რომ უმოწყალობის ცეცხლით სუნთქავდა. მისი მსახური ფუტკარებით შემომეხვივნენ ჩემს განსაცდელად, მაგრამ ვერაფერი მიპოვეს და დამეხსნენ.

143. გახარებულნი უშორისისაკენ გავემართეთ და მივუახლოვდით ცის კარებს. შევედით შიგ და ვხარობდით, რომ მშვიდობით გამოველეთ საზვერეთა მწარე განსაცდელნი.

144. ცის შესასვლელი ისეთი იყო, როგორც ბროლი. შენობები ვარსკვლავებივით ბრწყინავდა. აქ მდგომმა ნათლით მოსილმა ჭბუკებმა სიხარულით მივიღღეს, როცა იხილეს პაურის საზვერეთა მწარე განსაცდელიდან ჩემი გადარჩენა...

145. ცის შუაგულ ადგილას რომ დავიდოდით, ვიხარებდი და ვიშვებდი ცხოვრებისათვის. დედამიწის ზედა კერძო მყოფი წყალი წინ გზას გვიცდიდა და უკან ისევ ერთდებოდა. მივედით ერთ საშვიმ ალაგას.

146. იქ იყვნენ ცეცხლისფერსამოსიანი ფრიალ მშვენიერი ჭბუკები. რომ დამინახეს — ანგელოზებს მივყავდი, მომეგებნენ და უხაროდით, რომ სული ჩემი დახსნილი იყო

ღვთის სასუფეველისთვის. ანგელოზები ჩვენთან ერთად დადიოდნენ და საღმრთო საგალობელს გალობდნენ.

147. სიარულისას ჯერ ერთი რიგი ღრუბელი დაეშვა ჩვენს თავზე, მერე — მეორე. ცოტა რომ გავიარეთ, დაეინახეთ თვალშეუდგამი სიმაღლე, სადაც იდგა ფრიალ საქტაკი ტახტი უფლისა. მის წინ თავი მოეყარათ განმანათლებლებს, გარშემო კი — ფრიად მშვენიერი და ელვარე სამოსელით მოსილ ბრწყინვალე ჭბუკებს.

148. რაღა უნდა გითხრა, შეილო გრიგოლ, იქაურობის შესახებ... იქ ყველაფერი ისეთია, რომ შეუძლებელია გაგება, ახსნა და განმარტება. გონება სუსტდება მისი მიუხევედრელობით და მახსოვრობა მეკარგება. და დამაეინფედა კიდევ, სად ეიმყოფები.

149. ჩემმა გამცილებელმა ანგელოზებმა მიმიყვანეს ღვთის ტახტთან. თაყვანი ვეცი უხილავ ღმერთს. შემდეგ მომესმა ხმა: „გაჰყევით და აჩვენეთ ყველა მართალთა და ცოდვილთა სულნი, წმიდათა საყოფელნი სამოთხეში და ქვესკნელი ჯოჯოხეთისანი. შემდეგ განუსვენეთ იქ, სადაც ჩემი სათნო ვასილი გირჩევნებთ“.

150. ჩვენ გავემართეთ უცნობი გზით და მივედით სამყოფელში. არ ვიცო, რა მოგითხრო მათ შესახებ...

151. იქ იყო ხელოვნურად და ღვთის ხელით მშვენიერად ქმნილი ჰალატები, როგორც ამას საღმრთო წერილი აღწერს: „ადგილსა ნათლისასა, ადგილსა მწვანელოვანსა, ადგილსა განსასვენებელსა“.

152. გაცემული ვიყავი ნანახით და გახარებულნი. ყველაფერს აღტაცებით შევეურებდი. ანგელოზმა ესენი რომ მაჩვენა, განმიმარტა: ეს არის მოციქულთა სამყოფელი, ის — წინასწარმეტყველთა და სხვა მოწამეთა, ხოლო სხვანი — მღვდელმთავართა, ღირსთა და მართალთა სამყოფელნი.

153. შიგ რომ შევედით და მივაღწიეთ იმ მშვენიერი სამყოფლის შუა ადგილს, წმიდანები გამოგვეგებნენ, გვეამბორნენ სულიერი ამბორითა და ხარობდნენ ჩემი ცხოვნებისათვის.

154. შემდეგ მიმიყვანეს მამამთავარ აბრაამის სამყოფელში და ყველაფერი მიჩვენეს. აქ ყოველივე საესე იყო სრული სიხარულითა, კეთილსურნელოვანი ყვაელებითა, მირონითა და სურნელებით.

155. იყო ღვთის სულით აგებული სხვა პალატებიც. იქვე ენახეთ მრავალნი მხიარულნი ყრმანი. მე დავეკითხე ჩემს მძღვანებელ ანგელოზს: რა კრებაა ამ წმიდა მოხუცის გარშემო მყოფ ნათელმოსილისა და მხიარული ყრმებისა-მეთქი.

156. ანგელოზმა მიპასუხა: ეს მოხუცი არის მამამთავარი აბრაამი, ხოლო ყრმათა კრებული კი ქრისტეანთა შვილებია.

შემდეგ გავემართეთ სამოთხის გარშემო მდებარე ადგილების სანახავად. მათი მშენიერების აღწერა შეუძლებელია. ყველაფერი რომ მოგიხსროთ, რაც ენახე და გაეიფონე, შიში და ძრწოლა შემიპყრობს, კერც გონება კაცისა ჩასწვდება და კერც ენა გამოთქვამს.

157. შემდეგ ჩამიყვანეს იმ ქვესკნელში, სადაც უფალმა პყრობილ და კრულ ჰყო სატანა და მუნ ვიხილე ცოდვილთავის გამზადებული საშინელი სატანჯეულები. ყოველივე ეს მაჩვენეს ანგელოზებმა და მითხრეს: ხედავ, როგორ უბედურებას გადარჩი წმიდა ვასილის ლოცვით?

158. საშინელ სატანჯეულში მყოფი ცოდვილნი ყვიროდნენ და შეწყალებას იხვეწებოდნენ. მე ენახე მრავალი ისეთი სატანჯეული, რომელთა გამოთქმაც კი მიჭირს. ყოველივე ეს რომ დავათვალიერეთ, ერთმა ჩემთან მყოფმა ანგელოზმა მითხრა:

159. იცი, თოდორა, რა ჩვეულება აქეთ სოფელში? ცოცხლად დარჩენილნი ორმოცი დღის შემდეგ მოიხსენებენ გარდაცვლილთა და აი, იქ დღეს შენ მოგიხსენიებს წმიდა ვასილი.

160. ამჯერად, ჩემო სულიერო შვილო გრიგოლ, ახლა, ჩემი სულის ზორცისაგან გაყრის ორმოცი დღის შემდეგ, ამ ღირსი მამის — ვასილისათვის გამზადებულადგილას ვიმყოფები.

161. შენ ჯერ, შვილო გრიგოლ, სოფელში ხარ. აგრეთვე წმიდა ვასილიც. იგი ასწავლის ყველას ჭეშმარიტების გზას, ცოდვებს ანანიებიზებს და მრავალს მიაქცევს ღვთისკენ.

162. წამომყევე, შევიდეთ ჩემს განსასვენებელში და დაათვალიერე. შენს მოსვლამდე ცოტა ხნით ადრე აქ მყოფი იყო ღირსი ვასილი.

მე გავეყვი და ერთად შევედით მის სამყოფელში. მას ეცვა თოვლივით სპეტაკი სამოსელი.

163. ჩვენ შევედით ბრწინვალედ მორთულ სასახლეში. მის შუა ადგილას ხარობდა მშვენიერი ნაყოფით დახუნძმული ხეები. აღმოსავლეთით დაეინახე დიდებული, ბრწყინვალე და მძალდი პალატი.

164. აქ იდგა დიდა სატრაპეზო მაგიდა. ზედ ეწყო ფრიად ძვირფასი ოქროს ჭურჭელი, რომელშიც მოეთავსებინათ სხვადასხვა ფერის კეთილსურნელოვანების მომფრქვევი მწვანე მცენარეები. იქვე იყო წმიდა ვასილიც. იგი საუცხოო ტახტზე იჯდა. ტრაპეზის ახლოს ხალხი იდგა. ოღონდ ისეთი კი არა, როგორც ქვეყანახეა — ხორცშესხმული. არა! ისინი იყვნენ მზის მსგავსი სხივით გარემოცულნი და მხოლოდ სახე ჰქონდათ ადამიანისა.

165. თოდორა მივიდა წმიდა ვასილთან და ჩემი თავი შეავედრა. წმიდანმა შემომხედა და სიხარულით მომიწოდა. მე მივეახლოვდი და, ჩვეულებისამებრ, თაყვანი ვეცი. მან წყნარად მითხრა: ღმერთმა შეგიწყალოს და შეგიინდოს, შვილო!

166. ყოვლად მოწყალე უფალმა ყოველგვარი ზეთიური სიკეთით დაგაჯილდოვოს! — წამომაყენა და მითხრა: აი, ეს არის თოდორა. ძალიან გსურდა მისი ნახვა და მეც მეხვეწებოდი. ახლა კი ხედავ, სადაც არის და რისი ღირსი შეიქნა გარდაცვალების შემდეგ. მიხედე ახლა მას და იხილე იგი“.

167. თოდორამ მხიარულად შემომხედა და მითხრა: ძმაო გრიგოლ! მოწყალე

უფალმა ჩემისთანა უღირსისათვის ამგვარი ფიქრის გამო წმიდა ვასილის ლოცვით აგისრულოს ყოველი შენი სურვილი. წმიდა ვასილმა უთხრა თეოდორას: გაჰყევ და აჩვენე ჩემი ბაღი, რათა იხილოს მისი მშვენიერება.

168. თეოდორამ ხელი ჩამავლო, ერთ კედელთან მიმიყვანა, რომელსაც ოქროს კარი ჰქონდა, გააღო იგი და ბაღში შემიყვანა, სადაც ენახე გასაოცარი და მშვენიერი ხეხილი.

169. ხეებს ფოთლები ოქროსი ჰქონდა, ყვავილებით იყო შემკული და არაჩვეულებრივად საამო სუნს გამოსცემდა. აურაცხელი იყო ასეთი ხე. ნაყოფით დამძიმებული ხის ტოტები მიწამდე იყო დაშვებული. ყოველივე ნაწახმა გამოაცა. თეოდორამ მკითხა:

170. „შენ ეს გაკვირვებ? ის ბაღი რომ გენახა, რომელსაც სამოთხე ჰქვია, ანდა რომელიც თვით ღმერთმა გააშენა, მაშინ უფრო გაკვირვებდი! გოცდებოდი იმისი დიდებულებითა და მშვენიერებით. სამოთხესთან შედარებით ეს არაფერიც არ არის“.

171. შევეხვეწე თეოდორას – ეთქვა ვისი გაშენებული იყო ის ბაღი. ამდაგვარი არაფერი მენახა. მან მიასახა: ამის მსგავსს ვერაფერს ნახავ, რადგან შენ ჯერ დედამიწაზე ცხოვრობ, ხოლო ყოველივე, რაც აქ არის, არამიწიერია. და ცხოვრებაც არამიწიერი აქვთ. იქ არის მხოლოდ შრომითა და ოფლით აღსაყვ ცხოვრება, რომელიც ღირსმა ვასილმა ახალგაზრდობიდან ღრმა მოხუცებულობამდე გაატარა. მისმა გაუმდებულმა ლოცვამ, თავგანწირულობამ,

172. შიშველად წოლამ ცივ მიწაზე, სიცხისა და ყინვის დათმენამ, კონსტანტინოპოლში მისვლამდე საზრდოდ ბალახის მიღებამ განაპირობა. აი, მხოლოდ ამისთანა მოღვაწეობით ცხოვრებამ აცნონა თვით წმიდა ვასილი. და აგრეთვე მისგან სხვანი მრავალნიცა სცნონდნენ. მხოლოდ ამგვარი ღვაწლის გამო აძლევს უფალი ასეთ სამყოფელს. ვინც ქვეყნიურ ცხოვრებაში იტანს

მრავალ შეწუხებასა და განსაცდელს, მტკიცედ იცავს ღვთის მცნებასა და სავესებით ასრულებს მას, მხოლოდ იგი ეღირსება ნუგეშს და სასყიდელს საიქიო ცხოვრებაში. მეფსალმუნე წმიდა დავითი ამბობს: „ნაყოფი ნაჯაფევითა შენითა სჭამო შენ“.

173. როცა თეოდორამ მითხრა – ზეციური ცხოვრება მიწიერისგან განსხვავებულია, მე უნებურად პირჯვარი გადავიწერე და მინდოდა შემეჩყო ხორციელი ვიყავი თუ არა. გრძნობა და განზრახვა წმიდა მქონდა და ყველა ამ სანახაობის გამო სული ჩემი ხარობდა.

174. სასახლეში გამოვბრუნდი, მაგრამ ტრაპეზთან აღარავინ დამიხვდა. თავყვანი ვეცი თეოდორას და შინ დავბრუნდი.

175.ამ სიზმრისეული ხილვის შემდეგ ვახელი წმიდა ვასილს, რათა გამეგო, ღვთით იყო ეს ხილვა თუ ემშაქისაგან. წმიდა ვასილმა თვითონ მომითხრო, რაც ვიხილე და დასძინა, რომ ხილვა ღვთით იყო ბოძებული. შემდეგ წმიდა ვასილმა თქვა:

176. ასე და ამგვარად, შვილო გრიგოლ! თუ შენი ცხოვრების გზას სიმართლით განვივლი, ღვთის ნებას არ ჩამოშორდები, მაშინ სიკვდილის შემდეგ საზევრეში მყოფი ბოროტი სულები ვერაფერს გაენებენ, როგორც თავად თეოდორამ გითხრა. საზევრეთა განვივლის შემდეგ ნეტარი შეიქნები და სიზარულით მიიღებ ყოველივეს იქ, სადაც ახლახან სულით იყავი, სადაც გვიხილე თეოდორა და მე, დიდი ცოდვილი; ვიმედოვნებ ქრისტესაგან, რომ ვეღირსო, აღთქმული მადლისამებრ, შენს მიერ ნანახს.

177. ეს მონათხრობი არის უნათლესი წარმოდგენა საიქიოს ცხოვრების შესახებ. და როგორც იქ გრიგოლის მიერ საიქიო ცხოვრების ხილვას არ დასჭირვებია მისი თვალები და ყურები, ასევე სიკვდილის შემდეგ არ იქნება საჭირო მიწას მიბარებული ხორცი თავისივე სხეულის ნაწილებით, რათა სულმა ჭეშმარიტად შეიმეცნოს საიქიო და განიცადოს ყოველი.

მ ა ი ს ტ ო ლ ე მ ბ რ ა ე ლ თ ა მ ი მ ა რ თ

1. ღმერთმა დედამიწაზე მცხოვრებ ხალხთა შორის ებრაელები აირჩია და უწოდა „ისრაელი“, ანუ „ღვთივ რჩეული“ ხალხი.

2. ყველა დანარჩენი ერი თავ-თავისი რელიგიითურთ შეადარა ნერწყვისა და წვეთს, რომელიც ჭურჭლიდან წვეთავს (ეს ნაუწყებია ეზრა წინასწარმეტყველის მიერ).

3. ქვეყანაზე უნდა მოსულიყო მესია. როგორც გვაუწყებდნენ წინასწარმეტყველნი, ქვეყნიერება ელოდა მის მობრძანებას.

4. პირველ საუკუნეში მოვიდა იესუ ქრისტე, რომელმაც კაცობრიობას აუწყა თავისი მაცხოვრობის შესახებ და განუძარტა, რომ ის არის სწორედ ის მესია, რომელსაც კაცობრიობა მოელოდა.

5. საბუთად სასწაულები დაიმოწმა: ბრძას თვალი აუხილა, კეთროვანნი განკურნა, წყალი ღვინოდ აქცია, ქარიშხალი დააყენა, წყალზე გაიარა, ეშმაკი სულიდან განასხა, ხუთი პურით შვიდი ათასი კაცი დააპურა, მკვდარი გააცოცხლა.

6. ებრაელების ნაწილმა იგი იგულეა მესიად, ნაწილმა კი არა. გაასამართლეს და ბოლოს ჯვარს აცვეს.

7. აი, ებრაელთა ის ბრალდებანი, რომელთა მიხედვითაც ქრისტე გაასამართლეს:

ა) რა უფლებით შეცვალა ქრისტემ ღვთის წინაშე აბრაამის მიერ დადებული აღთქმა წინადაცვლათაზე. ასევე, რის საფუძველზე შეცვალა შაბათი და ახალი მთვარის დღესასწაული.

ბ) რანაირად იღო ქალიშვილმა მუცლად შვილი და როგორ დაბადა იგი ქალწულებრივი კდემის შენარჩუნებით.

გ) ქრისტემ რა უფლებით წარმოუდგინა ხალხს თავი ღმერთად.

დ) თუკი ქრისტე ჭეშმარიტად ღმერთი იყო, რანაირად შეიძლებს აღამიანებმა ღმერთის მოკვდინება.

ე) თუკი ქრისტე ჭეშმარიტად ღმერთი იყო, რატომ ვერ იხსნა ებრაელები რომელთა ტყვეობიდან.

ვ) რა უფლებით შეცვალა ძველი აღთქმა ახლით.

ზ) ბოლოს და ბოლოს რა გმირება ჩაიბნა ისეთი, რომ მესიად შეირაცხა.

თ) ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა სიფალბება.

ი) ღმერთი ერთია. მაშ, ქრისტეანებმა საიდან წარმოგვიჩინეს სამება.

კ) საშინელ სამჯავროზე ცოდვა-მადლის განკითხვა განა ქვეყნის გამწენი ღმერთის ხელში არ არის?

ლ) ქრისტე არ ვოფილა ჯვარცმული მესია.

მ) ქრისტე თუ ღმერთის ძე იყო, რატომ იწება მამამ თავისი ძის ასე დასჯა.

ზემორე წარმოდგენილი ბრალდებები გასლავთ ზოგ ებრაელთა განდგომის მიზეზი ქრისტესაგან.

ენახოთ, რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას წარმოდგენილი ბრალდებანი.

8. ბრალდება პირველი:

რა უფლებით შეცვალა ქრისტემ ღვთის წინაშე აბრაამის მიერ დადებული აღთქმა წინადაცვლათაზე. ასევე, რის საფუძველზე შეცვალა შაბათი და ახალი მთვარის დღესასწაული.

9. ის, რაც უფლის ბაგით წარმოითქმის, რა საეჭვო უნდა იყოს უფლის მონისთვის?

„მას ამბობს გოველისშემძლე უფალი: განა შეარ მოვიხმეთ, როგორც მამამ ვაჟები,



ან როგორც დედამ — ასულები, გამზრდელმა — თავისი ბავშვები. რომ ყოფილიყოთ ჩემი ერთი და მე თქვენი ღმერთი ვყოფილიყავით; თქვენ — შვილები ჩემი და მე — მამა თქვენი.

ისე შეგკრიბეთ, როგორც კრუნმა წინალები ფრთის ქვეშ. ახლა კი როგორ მოგვეცეთ? გაგაგდებთ ჩემი პირისგან.

ძღვეს მომიტანთ და პირს ვიბრუნებ თქვენგან; თქვენი დღესასწაულები, ახალმთვარეობები და წინადაცვეთანი დავძარახე!¹ (3 ეზრ., 1, 28-31).

10. ახლა ესეც ვისმინოთ ბიბლიიდან:

„მძულს, მეზინდება თქვენი დღესასწაულები და ვეღარ ვიხუნთაქვ თქვენს ზემებში! აღარ ვიღებ თქვენს აღსავლენებს და ძღვენებს, ზედაც არ ვუყურებ ნასუქალ ხარებს, სამადლობელ მსხვერპლად რომ მწირავთ.

განმარდეთ თქვენი სიმღერების ხმაურს, თქვენი ქანრის მოსმენა აღარ მსურს.

წყალივით იდინოს სამართალმა და იფოს სიმაართლე დაუწყვეტელ ნაკადულივით“ (ამოს, 5, 21-24).

11. აქ კი მეტად განრისხებულია თქვენზე ქვეყნის გამჩენი:

„ისმინეთ უფლის ხიტყვა, თქვე ხოდომის მთავრებო! ვერად იფთ ჩვენი ღვთის რჯული, თქვე გომორელებო!

რას გაქნევ თქვენს უზომო ხაკლავებს, ამბობს უფალი, გამძღარი ვარ თქვენი აღსავლენი ვერბებით და კურატების ქონით. აღარ მსურს მოზრებობს, კრავბობს და ეაცობის სისხლი!

რომ მოდინართ და პირისპირ მეცხადებთ, ვინ დაგავალათ ჩემი ეზოების თელვა?

ნულარ მომიტანთ მაგ ფუჭ შესაწირავს, სამაგულა ჩემთვის ხაკმეველი, ახალმთვარეობები და შაბათები, ჯარობები ვეღარ ამიტანია! უკეთურება და დღესასწაული?

თქვენი ახალმთვარეობები და ზემები შეიძულა ჩემმა ხულმა, ტვირთად დამაწვა, დავიღალე მათი ზიღვით.

ხელებს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიღებთ; ლოცვებსაც რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ; ხელები სისხლითა გაქვთ ხავსე!“ (ეს., 1, 10-15).

12. მაშ, რა უკანონობად ინიშნეს ის, რაც ქვეყანაზე ქრისტეს მობრძანებამდე თავად მამა ღმერთს უნებებია; ახლა რომელია ის პატიოსანი, რომელიც ქვეყნის გამჩენს ჰკადრებს: რანაირად უგულებელყოფია წინადაცვეთა, შაბათი და ახალი მთვარეობებიო!

13. ასე რომ, შაბათი, წინადაცვეთა და ახალი მთვარე ქრისტესაგან კი არ იქნა უარყოფილი, არამედ თვით მამის — ქვეყნის გამჩენი ღმერთისაგან. ხოლო, ის რაც უარყოფილი იქნა მამისაგან. უარყოფილია მისაგანაც, ამენ!

ბრალდება მეორე:

14. რანაირად იღო ქალიშვილმა მეტლად შვილი და როგორ დაბადა იგი ქალწულებრივ კვების შენარჩუნებით.

ძველ აღთქმაში ზემოსხენებულის საპასუხოდ ბეერი საბუთი მოიპოვება:

15. „ამიტომ თავად მოგვემს მუფე ნიშანს: ამა, მეტლად იღებს ქალწული და შობს ბეს, და უწოდებს სახელად ემანუელს“ (ეს., 7, 14).

„ემანუელი“ ნიშნავს: ღმერთი ჩვენთანაა. განა ქრისტე ჩვენთან არ იყო? მაშ, რაა აქ გასაკვირი? თურმე წინასწარვე ყოფილა დაკანონებული ის გარემოება, რომ ქალიშვილს მეტლად უნდა ეღო ძე — მესია. ასედაც მოხდა: და როდესაც ითქვა — ქალიშვილმა შვა ქრისტეო, ვის გაუჩნდა ეჭვი, თუ არა წარასწარყმედელს? განა ესაიას სიტყვა კანონი არ იყო?

16. განა იერემიამაც იგივეს არ გაუსვა ხაზი, როცა ბრძანა — ქალი იხსნის კაცსო?

ქალის მიერ მესიის დაბადებამ განა არ იხსნა კაცობრიობა?

ვევლას გიკვიროთ, რანაირად შეინარჩუნა ქალწულობა, როცა შვა ძე? იხილეთ ბერთა საკითხავი ყოველდღიური კანონი, სადაც ნათქვამია:

¹ სეურშია: უარყავ ხლავრში — отрицал.

“Икос

Разум неразумен, разумети Дева
ишуши, возопи к служащему: из боку
чисту, Сыну како ест родитися мощно,
рцыми...” /Правильник, Канон Бого-
родице - Акафисто, стр. 20/.

17. აქ მინიშნებულია ქრისტეს სასწაუ-
ლებრივი დაბადება ქვეყანაზე. ღმრთისშობელს
განერღვა გვერდი და იშვა ძე. ნურც ამას
გაიოცებთ, მცირედ მორწმუნენო, რამეთუ
წინასწარმეტყველი ესაია იგივეს გვეუბნება:
„იღრე დაწვებოდა ტყვილი, განერა და
შვა მამრის სქესისა“ (ეს., 66, 7).

18. ან დავით წინასწარმეტყველის ეს
სიტყვები როგორ გავივით?

— შენს მარჯვნივ დადგა დედოფალი ოფი-
რის ოქროთი შეკეული. მისმინე, ახულო,
გამოიხედე და მომაჰარ წერა. და დაივიწყე
ხალხი შენი და სახლი მამამუნიხა. და დატ-
კებდა მეფე მშვენიებით, რადგან ის არის შენი
უფალი, და თავგანი ეცი მას.

— მთელი დიდება შეფისა ახულისა შიგნი-
თაა; მოოქროვილია მისი სამოსი...

შენს წინაპართა ადგილას იქნებიან ძენი
შენნი... მათ დააყენებ მთავრებად მთელ ღე-
დამიწაზე.

გაეისხვნებ შენს ხასელს თაობიდან თა-
ობაში, ამიტომ ხალხები ხოტბას შეგასხამენ
უკუნიითი უკუნიხამდე“ (ფს. 44, 10-18).

19. მამ, ვინ არის ის დედოფალი, რომელ-
ზედაც აქა ლაპარაკი და რომელიც მესიის
გვერდით დაუყენებით? რა თქმა უნდა, იმ
ძის, იმ მესიის დედა, სხვა ვინ უნდა იყოს
მესიის გვერდით მჯდომარი ქალი?

20. ესაიას, იერემიასა და დავითის წიგ-
ნიებიდან მოტანილი ყველა ეს საბუთი გან-
ფანტავს ამ მწვალებელურ ეჭვს, რომელიც
ემშაქმა შეაჩეჩა ებრაელთა ნაწილს. მეორე
ნაწილმა სცნო მარიამი ქრისტეს ქალწულ
დედად. რა არის გასაკვირი, როცა ამას თვით
წინასწარმეტყველები ბრძანებენ. განა ღმერ-
თისთვის არსებობს რაიმე საძნელო საქმე?
ამაში ეჭვის შეტანა ამ საბუთების შემდეგ

მხოლოდ ურწმუნოს შეუძლია, რომელსაც
ღმერთი არ სწამს და წინასწარმეტყველის
არა სჯერა.

ბრალდება მესამე:

21. რა უფლებით წარმოუდგინა ქრისტემ
ხალხს თავი ღმერთად.

„მე გაკურთხე მეფე ჩემი სიონზე — ჩემს
წმიდა მთაზე“. გაუწევბთ უფლის კანონ-
მდებლობას: უფალმა მითხრა: „მე ხარ ჩემი,
დღეს გობე შენ; მთხოვე და მოცემ ხალხებს
სამკვიდროდ, ხოლო ქვეყნის კიდევებს — სა-
მემკვიდრებლად, შენ დაღეწე მათ რკინის
კვერთხით, მეთუნის ტურტულივით დაამ-
სხვარე.“

ახლა გი გონს მოდი, მეფენო! განიხ-
წავლენით, ქვეყნის მსაჯულნო! ემსახურეთ
უფალს შიშით და შეჰპაღაღეთ თრთოლვით.
ეამბორეთ ძეს, რომ არ განრისხდეს იგი და
არ დაიღუპოთ გზაში, რადგან მალე აღიგზნება
რისხვა მისი. ნეტარ არს ყველა, ვინც მასზეა
მინდობილი“ (ფს. 2, 6-12).

22. ვინაიდან მამა ღმერთმა ძე უწოდა
ქრისტემ — მესიას, დამეთანხმებით, ფრინვე-
ლის შვილი ფრინველია, კაცის შვილი — კა-
ცი, ხოლო ღმერთის შვილი ჭეშმარიტად
ღმერთია. ასე რომ, ძის უარმყოფელს არ
დაადგება კარგი დღე.

23. იხილეთ სხვა საბუთიც:

„ტახტი შენი, ღმერთო, უკუნიითი უკუნი-
ხამდეა, სიმათლის კვერთხია, კვერთხი შენი
მეუფებისა. შენ შეიყვარე სიმათლდე და
შეიძულე ბოროტება; ამიტომაც გცხო
ღმერთმა! შენმა ღმერთმა, ხიზარულის ზეთი
შენს მეგობრებზე უმეტეს“ (ფს. 44, 7-8).

24. არაფერია გაურკვეველი, მამას უცნია
ზეთი ძე ღმერთისათვის. დავითი კი ღმერთს
უწოდებს მას, როცა ბრძანებს: „ტახტი შენი,
ღმერთო, საუკუნეთა საუკუნეთასა“. თქმა
რად უნდა, ღმერთის ტახტი მარადიულია
და ამიტომაც მიმართავს იგი ამგვარად.

25. ამ დოკუმენტში კი ნათქვამია:

1 სურათი: ღმერთო, შენმა ღმერთმა; სლავურში
— Боже, Бог твой.

„აჰა დადგება ჩემი, ამბობს უფალი, და აღვედგენ დაეთოს მართალ მორჩს; მეფედ იმეფებს და ბრძნულად მოიქცევა; გააჩენს სამართალს და სიბრძნულეს ქვეყანაში—

რომელსაც დაარქმევენ: უფალია ჩვენი სიბრძნულე“ (იერ., 23, 5-6).

26. აი, ამბობს ღმერთი: მე აღვედგენ დავითს ნაშთის და ის იქნება მესია, რომელსაც უწოდებენო „ჩვენს განმანათლებელ ღმერთს“. როგორც ნახეთ, იგი იწოდება ღმერთად, ამის უფლებამოსილება მისთვის ქვეყანაზე მოსვლამდე მიუნიჭებიათ, როგორც ეს იერემიამაც გვაუწყა. მაშ, რა იყო გასაკვირი, როცა მან თავისი ღმერთი უწოდა, განა უბრაულებს ძველი აღთქმით არ ეუწყათ ამის შესახებ?

27. „რადგან შეგვეძინა შვილი, მოგვეცა ძე და უფლობა იყო მის ბუკებზე, ეწოდა სახელად საკირეელი მრჩეველი, ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა, მშვიდობის მთავარი“ (ეს., 9, 5).

და კიდევ:

„ღიღად როდი დაამცირე იგი ანგელოზთა წინაშე; დიდებითა და ჰატებით გვირგვინოხანი ჰყავ, და ყველაფერი ფუნქვეშ დაუშხე მას; და რაკი ყველაფერი დაუმორჩილე, დასამორჩილებელი აღარა დარჩა რა. ხოლო აწ ვერ უხვდავთ, რომ ყველაფერი ემორჩილება მას“ (იერ., 2, 7-8).

28. მაშ, თუკი ყოფილა იგი ღმერთი და ღმერთად წოდებული, რომელსაც დაემორჩილა ყოველი, რანაირად უგულებელყოფთ მისი მეუფება?

შეორგულდით? ამისათვის ისაჯენით!

29. „რადგან ასე ამბობს ცაბათ უფალი: დიდების შემდეგ მიმაგუნს ხალხებთან, რომლებიც ცმარცხავენ შენ, რადგან თქვენი შემხებარი მიხი თვალის გუჯის შემხებარია.

რადგან, აჰა, მოვეუქნე ხელს და მათი ყბების ნადავლად იქცევიან; მიხვლებთან, რომ ცაბათ უფალმა მომაგლინა.

ისარე და იმხიარულე, სიონის ასული, რადგან, აჰა, მოვიდვიარ და დავივანებ შენს

შუაგულში, ამბობს უფალი“ (ზაქ., 2, 8-9).

30. იგი მოაგლინა უფალმა ჩვენდა სახსნელად, ვინ ჰკრა ხელი? ხომ ბრძანა უფალმა: „მოტყმანსებთან უამრავი ხალხები უფალს იმ დღეს და გახლებთან ჩემი ერე; დავივანებ შენ შუაგულში და მიხვლები, რომ ცაბათ უფალმა მომაგლინა შენთან“ (ზაქ., 2, 11).

და კიდევ:

„იმ დღეს ხალხთა დროშად იდგება იესეს ფესვი და მისკენ დაიწვებენ ღენას ტომები; დიდება იქნება მისი საშველებლი“ (ეს., 11, 10).

31. რა ეწიათ, რომლებიც ამას ვერ მიხვდნენ?

რატომ გაუჭირდათ იმის გამეორება, რომ ღმერთმა ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველესაიას ათქმევეინა, რომ ის ღმერთია ძლიერი.

32. ვერც ამ მუხლის ბრალმდებლებმა ისხნეს თავი ღვთის რისხვისაგან. ღმერთი კი კვლავ ღმერთად რჩება.

ბრალდება შეოთხე:

33. თუკი ქრისტე ჰუმარიალად ღმერთი იყო, რანაირად შეიძლებს აღამანებმა ღმერთის მოკვდინება.

ბრალდების პასუხი:

34. განა უცხო იყო ყველა ადრევე ნაუწყები წინასწარმეტყველებანი ქრისტეზე, რომ მას მისი მეგობარი გაყიდდა:

„ჩემთან მშვიდობიანად მეოფმაც კი, რომლის იმედიც მქონდა, რომელიც ჩემს პურს სჭამდა, ტერფი აღმართა ჩემს წინააღმდეგ“ (ფს. 40, 10).

35. რომ მას გაიმეტებდნენ ვერცხლისთვის:

„უტყვი მათ: თუ გვთნევათ, მომეცით ჩემი გასამარჯულო, თუ არა და ნუ მომცემთ; და მომიწონიან გასამარჯულოდ ოცდაათ ვერცხლს“ (ზაქ., 11, 12).

36. რომ დაიწყებდნენ მისი სამოსელით ვაჭრობას:

„მთელი ჩემი ძვლები დაითვლება; იხინი მიტვრეტენ ნიშნის მოგებით, ჩემს სამოსელს ინაწილებენ და წილს ვრძან ჩემს კვართზე“ (ფს. 21, 18-19).

37. რომ ქრისტე-მაცხოვარი წამებისას წყალს მოითხოვდა და ძმარს შეასმევდნენ:

„ღამცირებამ დაამსხვრია ჩემი გული და ქანცი გამიწვდა; ველოდი თანამგრობობებს და არავინ იყო, მანუეგეშებელს და — ვერ ვიპოვე. და აურთეს ჩემს საცმელში ძირმწარე, და წყურვილის დროს მასვეს ძმარი“ (ფს. 68, 21-22).

38. განა ასევე არ იყო ნაუწყები, რომ ხელ-ფეხზე ლურსმნებს უგმირადენენ: „რადგან გარს შემომეხვიენენ მე ძაღლები, ბოროტთა ხროვა... ჩემი ხელ-ფეხის გასაგმირავად“ (ფს. 21, 17).

39. ან რა უნდა ეთქვას წინასწარმეტყველებს იმაზე მეტი, რომ იმ მესიას, ჩვენთვის ჯვარცმულს, სახელად იესუ ერქმეოდა.

„და ვველა, ვინც თავს დაადწევს წინასწართქმულ ბოროტებას, თავად იხილავს ჩემს სასწაულებს.“

გამოცხადდება ჩემი ბე იესუ იმათთან ერთად, ვინც მასთან არიან“ (3 ეზრ., 7, 27-28).

40. მასთან კი მოციქულები იყვნენ.

„იტყვიან ეგ რა ნაჭირობები გაქვს ხელზე? მოუკებს: ჩემს მოკეთეთა სახლში ვარ ნაცემი.“

მასეილო, აღიძარ ჩემი მწვემის წინაღმდეგ და ჩემი მახლობელი კაცის წინააღმდეგ, ამბობს ცაბაოთ უფალი. დაკარი მწვემის და გაიფანტება ცხვარი“ (ზაქ., 13, 5-6).

41. დაბს, უგმირეს ხელ-ფეხზე ლურსმანი, ყანალი ეგონათ და ცაბაოთ ღმერთის მწვემის კი ყოფილა, როგორც ნახეთ.

42. შემდეგი საბუთიც ამგვარია:

„არველოფ მომადგნენ მე მოსვერნი აურაცხელნი, ბაშანის ხარებმა რკალი შემომარტყეს.“

პირი დააღეს ჩემს წინააღმდეგ, ვითარცა ლომმა, მსხვერპლს დადვენებულმა და მბრდღენინავმა...“

გამოიფიტა ჩემი ძალა, ვითარცა თიხა; ენა სასაზე მიმეკრა და მიმეყვანა სიკვდილის

პირას, რადგან გარს შემომეხვიენენ მე ძაღლები, ბოროტთა ხროვა წრედ შემომეტყვა ლომთა მსგავსად ჩემი ხელ-ფეხის გასაგმირავად“ (ფს. 21, 13-17).

43. რა ეშველებათ ახლა იმ ბაშანის ხარებს? რა ეშველებათ ახლა იმ ძაღლების ბოროტთა ხროვას, ლომის მსგავსად რომ ბრდღენინადენენ და ლურსმნებით ჯვარზე ხელ-ფეხი რომ მიუძსკვალეს? განა ორი ათასი წელი წინ არ უძლოდათ ის წყველა, რომელიც გამოვიდა მაცხოვრის ბაგიდან?

ხალხური მითები უჩსოვარი დროიდან იღებენ სათავეებს; აქეთ ურთიერთ მსგავსება. აქ წარმოჩენილი ავი სულები კაცთა მოღვმის მტრებად ირაც-ნებიან. ხადლეისოდ კი ისინი მითოლოგიაში ზღაპრულ პერსონაჟებად შემორჩნენ:

თავი ორმოცდამეხვიდა

კოლხური მითოლოგია

1. მეფესი, ანუ ზღვის კაცი. ადამიანის საენებლად გაჩენილი ავი სულები, ხმელეთის გარდა, ზღვაშიაც ცხოვრობენ. ესენი არიან მეფესები, ანუ ზღვის კაცები, პატარა ტანისანი; ზღვის ღელვისა და, საერთოდ, ზღვაზე ყოველივე უბედურების გამომწვევებად ისინი ითვლებიან.

2. მაენე სულთა შორის ოჩოკონი, ანუ საზარელი კაცი ყველაზე საშინელი და მოსარიდებელია. იგი, როგორც ამბობენ, ადამიანის სახისაა, ტანით სამჯერ აღემატება ჩვეულებრივ ადამიანს. სხეული დაფარული აქვს გრძელი, ჯაგრის მსგავსი შავი ბაღალით, შუბლი არც კი უჩანს. გრძელკბილებიანი ღონიერი ყბები ძალზე წინ აქვს გამოშვერილი. ჩამოწოლილ წარბებქვეშიდან მოუჩანს ორი შემზარავი ჩანისხლიანებული თვალი. ხელებსა და ფეხებზე ურჩხულების, გარეული ნადირის მსგავსი ჭანგები აქვს. ადამიანთან შეხვედრას მაინცდამაინც არ ცდილობს, თუ თვითონ ადამიანი არ ჩაუვარდა ხელში. ოჩოკონს, ჩვეულებრივ, ხვდებიან ირმებსა და ჯიხვებზე მონადირენი და სწორედ ამ მონადირეთა წყალობით იგებენ ადამიანები ოჩოკონის ინტიმური ცხოვრების ამბავს.

3. ოჩოკონები მხოლოდ მამრობითი სქესისანი არიან. მათი რიცხვი მეტად მცირეა: ყოველ დიდ უღრან ტყეში სამი-ოთხი ოჩოკონი თუა, მეტი არა. შთამომავლობის გადასარჩენად ისინი მიმართავენ ტყის მეფესთან (ტყაშმაფასთან) დროებით სქესობრივ კავ-

შირს. ტყის მეფე სიყვარულში მეტად ფრთხილი და წინდახედულია. მისი აღერსი არც ისე ადვილად ეღიროება ვისმეს, მაგრამ, როცა ოჩოკონი მოახერხებს ტყის მეფის დაროსულებას, ეს უკანასკნელი მოლოინების შემდეგ საკუთარი ხელით იკლავს თავს. აი, სწორედ ამ სასიყვარულო კავშირის ნიადაგზე აღმოცენებული მუდმივი სიძულვილი ოჩოკონისა და ტყეების მშვენიერ მეფეს შორის. (უცხოურ მითოლოგიაში ოჩოკონის ანალოგიურია პანი).

4. ტყაშმაფა ოჩოკონის საცოლედა განკუთვნილი, მაგრამ ტყაშმაფას ეზიზღება ოჩოკონი და გაურბის მას. სამაგიეროდ, უყვარს ჩვეულებრივი ადამიანი და მასთან დრის-ტარება...

5. ტყაშმაფა, ანუ ტყის მეფე. ავ სულთა სამეფოში, ოჩოკონის შემდეგ, პირველია ტყის მეფე (ტყაშმაფა — მღედრობითი სქესის არსება). ტანად იგი ჩვეულებრივი ქალის ოდენაა და ფიზიკური ღონით, რა ოქმა უნდა, ვერ გაუტოლდება ოჩოკონს. არაჩვეულებრივი სილამაზისაა, უმეტერო თოვლის მსგავსი თეთრი ტანი აქვს, ყუყასებრ შავი და გრძელი თმა კოჭებადმე სცემს, ღეღიშობილა დადის, ტყეებში ბინადრობს, მეფე და პატრონია ამ ტყეებისა. ტყიდან გამოსულს უყვარს ნებივრობა მთვარიან ღამეში სადმე ანკარა წყაროს პირას. აქა ზის და იბანს თავის თითქოს მარმარილოსაგან გამოქანდაკებულ სხეულს, თან ვერცხლის სავარცხლით ივარცხნის გრძელ თმას.

6. წყლის დედა. წყლის დედა წყალში ცხოვრობს, ტყესთან. ხან ტყეშია და ხან წყალში, უმეტესად, წყლის პირას, თევზების სიახლოვეს ცხოვრობს. წყლის დედა დღისით არ დადის, მას დღისით კაცი ვერ ნახავს, სამაგიეროდ ღამით დადის, ტანს იბანს.

7. წყლის დედა მზეთუნახავი ქალია, თეთრთმინანი. თმა გრძელი აქვს.

წყლის დედა უფრო მეტად კაცებს დასდევს, განსაკუთრებით — უცოლო ვაჟებს. იგი შეაცდენს ხოლმე ვაჟს და თავისთან დაიწვენს, შემდეგ გამოაღწეწვებს, საკუთარ აზრს დაუკარგავს, მუდამ თავისთან დაჰყავს. დაქორწინებულ ვაჟებს კი ოჯახს უნგრევს.

8. წყლის დედას ემინია ორღოთეული დანისა და ხანჯლის. ორივე მხრით მჭრელ იარაღს იგი კაცს ვერ წაართმევს. ამის გამო შეიძლება კაცს ჩამოშორდეს, დაეხსნას.

9. ჭინკა. ავი სული ჭინკა ხალხის წარმოდგენით ბავშვის ტანისაა. იგი შიშველია, აქვს დიდი ხასქუსი კვერცხები. ჭინკები ტყეში ცხოვრობენ. ადამიანს გზის პირას დახვდებიან ხოლმე და სახელს დაუძახებენ. ჭინკა ადამიანს თურმე იმასაც ეტყვის თუ სად მიდის, გულში რას ფიქრობს და უბიძგი რა უდევს. თუ ადამიანი შინ მარტოხელა დაიფულა, ჭინკა სახლშიც შევა, კერას მიუჯდება და ადამიანს ესაუბრება.

10. ჭინკები სამი წლის ბავშვის ოდენანი თუ იქნებიან. მათ თმა პატარ-პატარა კავებად აქვთ დაწუნული, ხმა ბავშური აქვთ, მოძრაობა — სასაცილო. ჭინკები უკუფეხად ცხოვრობენ. მთავარი საზრუნავია — ჭკუაზე შემჯდომ მათ ვრემში ჩაგარდნილი ადამიანი. ზოგჯერ სასტიკად სცემენ ხელში ჩაგდებულ ადამიანს გულის შეღონებამდე. ჭინკებს უყვართ ცხენების ჭენება. მოასტებიან ცხენის კისერს, ფაფარს კისრის ქვეშ გამოუნასკვავენ ფეხების გასაყოფად (უზანგების მსგავსად) და საათობით აჭენებენ არაქათის გამოცლამდე. ზოგჯერ ისე გაკადნიერდებიან, რომ თავლაში შეჰპარებიან, იქიდან ცხენს გამოიფანენ და გათენებამდე აჭენებენ აღმა-დაღმა. ჭინკებით

გულს რომ იჯერებენ, თვითონვე დააბრუნებენ ცხენს თავლაში და ცხენის პატრონი გამოსკვნილი ფაფრით შეიტყობს, რომ მისი ცხენი ჭინკებს უჭენებიათ მთელი ღამის განმავლობაში.

11. გარდა ამისა, ჭინკებს უყვართ ადამიანთა გამოსხარავებაც. ისინი ქვეს ესვრიან სახლის საზურავს და აკრთობენ შინ მყოფთ, ან კიდევ სახლის საზურავზე აცოცდებიან და კერიის გარშემო მსხდომთ თავზე აყრიან ყოველგვარ სიბინძურეს. ეს სიბინძურე ზოგჯერ კერძის სახარშ ქვაბშიც ცვივა. ყოველივე ეს ძალზე ახარებთ ჭინკებს. ყოფილია შემთხვევა, როცა ჭინკების თავგასულობით გაბეზრებული გლეხნი აყრილა ერთი ფუძიდან და უფრო უშიშარი, ჭინკებისგან დაცულ ადგილზე გადასახლებულა.

12. ხმა, როგორც ვთქვით, ჭინკებს ბავშვისა აქვთ და ისე მშვენიერად ბაძვენ ბავშვის ტირილს, რომ ტყეში მიმავალ კაცს ეგონება მართლა ბავშვი ტირისო და დაუწყებს ძებნას საშველად. ამ დროს იგი წააწყდება ჭინკების გროვას. ჭინკები მას მისცვივდებიან და მოუნდომებენ ცემასა და ჭკუაზე შემჯდამს.

13. დინამოქოი (მიწის კაცი). ჭინკის მომღვერო მანვე სულია დინამოქოი, ანუ მიწის კაცი, იგივე უჯუა, რომელიც მიწაზე დალოდავს. ეს სახელი იმიტომა ჰქვია, რომ ვერტიკალურად ვერ ჩერდება და მიწაზე ოთხით დალოდავს. ტანით ჭინკისოდენაა, ჭინკას მსგავსად, ადამიანის მაგვარი სახე აქვს, მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში ცხოვრობს. შშირად ეხოვებში იმალება, მოგჯერად ამდამინ სასოფლო გზაზედაც შეხვდება. დინამოქოი თუ ცხენოსანს შეხვდება, მიაჩრდება, ცხენის აღვირს ხელს წაავლებს და ცხენს ფეხს არ გადაადგმევინებს, ანდა ქვეითად მიმავალს ფეხებშუა შეუეარდება და ეცდება მის წაქცევას. იმასაც ამბობენ, რომ დინამოქოის ჭკუაზე შეუშლია შემინებული მგზავრი.

14. შაკერები და როკაპი. მზაკვარი შემოსილია თვალცემულობის ძალით და ცდი-

ლობს მოსპოს, გააქროს ყველა და ყველაფერი, ვისთანაც და რასთანაც შეერთებულია წარმოდგენა სიკეთისა, ბედნიერებისა, სიღამაზისა, კმაყოფილებისა... მზაკვარმა რომ დაინახოს მეზობლის ღამაში ან ტანმრთელი ბავშვი, ან კიდევ — კარგად მოვლილი ბოსტანი, მშვენიერად დასხმული ხეხილი — ბრაზი აიტანს. მისი აზრით მეზობელს არ უნდა ჰყავდეს კარგი საქონელი და არ უნდა ჰქონდეს კარგად მოვლილი ბოსტანი და მსხმოიარე ხეხილი. მზაკვარის თვალის ერთი გადავლება საკმარისია, რომ მოკლე ხანში ღამაში ბავშვი ავად გახდეს, მოკვდეს კიდევ, ღამაში საქონელმა ფეხი მოიტეხოს ან სულაც მოკვდეს, კარგად მოვლილ ბოსტანში საქონელი შევიდეს და იქაურობა გააპარტახოს. გზად მიმავალს თუ თვალი დაადგა, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მარცხისა და ზარალის მეტი არაფერი შეხვდება.

15. მზაკვარი იმის მზაკვარია, რომ შეუძლია ადამიანის მოსატყუებლად კახლად გადაიქცეს და ამ სახით შეძერეს სხვის სახლში, სადაც სამსხვერპლო ჰყავს შეგულებული. მზაკვარმა იცის საიდუმლო მალამოს დამზადება ბალახეულობისგან. საკმარისია ეს მალამო ადამიანმა იღლიებში ამოისვას, რომ ჰაერზე უმსუბუქესად იქცეს და ფრენა დაიწყოს. სოფლის შემოსარბენად მზაკვარის განკარგულებაშია მგელი, რომელსაც შელოცვის საშუალებით მოიყვანს და ზედ შეაჯდება.

16. მზაკვარი ბუნებით ავია, შურიანი, მოხერხებული, წინდახედული. ყოველ სოფელში შეიძლება ორი-სამი მზაკვარი გამოერიოს. (რუსულ მითოლოგიაში ავი სულებია დამავოი და ლესნიკი).

17. ბატონები¹ და მათი მსახური. როცა ბატონების მსახური იმ სახლში დაბინავდება, სადაც ავადმყოფი წევს, ყველანი დამშვიდდებიან. ჰგონიათ, რომ ავადმყოფის ბედი საიმედო ხელშია. მსახურის თვალი და ხელები ყველაფერს უნდა გასწვდეს: იგი ართმებს

¹ სხვანირად იწოდება წითელად, ქნორუმად, ყვითლად, ყვანახელად.

მეზობლებს მათ მიერ მოტანილ ძღვენსა და საჭმელ-სასმელს, რომ მერე მარტო დარჩენილმა ბატონებმა სრულად შეაფასონ მორთმეული სანოვაგის ღირსება. ძნელი არ არის იმის გამოცნობა, რომ ბატონები სულაც არ არიან გაუმაძღვრები. მსახური თავის მოვალეობად თვლის დატოვებული სანოვაგე გამოიყენოს გულმოდგინების საჩვენებლად, და ამგვარად საკუთარი თავი დააჯილდოვოს შრომის სასყიდლით.

18. ყოველთვის, როცა მსახურმა ბატონებს მოტანილი ძღვენი უნდა მიართვას, ავადმყოფის წინაშე დაიჩოქებს და თავმდაბლად მოახსენებს: „ბატონებო, ძვირფასო მარგალიტებო, უძვირფასესო სამკაულებო, ყველა ყვავილზე უღამაზესნო, ტუბილნო, საყვარელნო! ია-ვარდი გფენიათ, საცა გაიართო! როგორც კი გაიფეს თქვენი უდიდებულესობის მობრძანება ამ საცოდავ ქონში, ყველანი საჩქაროდ გამოეშურნენ, რომ თქვენთვის მოერთმიათ ეს მცირედი ძღვენი, რათა მომრთმეთ გადაფართოთ თქვენი მოწყვლების კალთა, მიაკმიოთ სურნელება თქვენი გულკეთილობისა. ნება უბოძეთ თქვენთა ფხვთა მტვერს, თქვენს მონა-მორჩილს და უღირს მსახურს, რომელიც ბედნიერებად თვლის ამ სახელის ტარებას, მოგართვათ ეს ძღვენი“.

19. შენიშვნა: არც ებრაული და არც ქრისტიანული რელიგია ამგვარი „კეთილი“ სულების შესახებ არაფერს ვგაუწმებს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ზემორე ხსენებული „ბატონები“ ავი სულებია. მათ შეუძლიათ ეს ინფუქტური ავადმყოფობა შეჭვარონ, დაუცვლი ოჯახის წევრებს; რის შემდეგ აიძულებენ მცირედ მორწმუნებს თავიანთი ცენ ღმირურ ძალებს, უგალობონ, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაუკრან. არავითარი ბატონების მსახურება და არავითარი მათი მუსიკალური ხელოვნების მოსმენა! ოჯახი ამით ხდება ემშაკის თაყვანისმცემელი.

ზემოაღნიშნული ავადმყოფობის შემთხვევაში საქირია ლოცვა, მღვდლის მიერ

ოჯახის განწმენდა, ემშაკთა განსადგენელი ლოცვების წაკითხვა, მარხვა და ღვთისადმი ევლრება.

ზემორე წარმოდგენილი მითოლოგიის კვლადაკვალ უნდა გვანსოვდეს, რომ ემშაკს შესწევს ძალი ნებისმიერ სულიერად გარდაქმნისა.

მაგალითისთვის გთავაზობთ ემშაკის სულიდან განსასხმელ დასარისხებულ ლოცვას, რომლის წაკითხვის უფლება მხოლოდ მღვდელმსახურთ ეძლევა.

20. ძრწოდე, ილტვოდე, განვედ, ემშაკო უწმინდურო, ავო და ბილწო. ცრუო, მაცდურო. ცბიერო, უსახო და მრავალსახიერო. ხილული ურცხვენულობისა გამო, უხილავო პირმოთნეობისა გამო. ანდა ცხოველის სახიერებით წარმოჩენილო,

ანდა ქვეწარმავლის სახით წარმოჩენილო, ანდა ვითარცა კეამლის ფუტად გაცხადებულო, ანდა ვითარცა ცეცხლად გარდაქმნილო, ანდა მოჩვენებით ვითარცა მამრად გაცხადებულო, ანდა მღვდრად გაცხადებულო. ანდა ქვემშრომად, ანდა ფრინველად, ანდა ნათელად გარდაქმნილო. ძრწოდე ღვთის სადარად გამოვლენილო... (წმიდა ბასილ დიდი)

21. როგორც ნახეთ, ემშაკი მაცხოვრის სასიერებასაც კი ღებულობს. ამდენად, ღვთივგაჩენილი ადამიანი უნდა იფოს მუდამ შხადლოფნაში ბოროტ სულბთან საბრძოლველად. ჯილდოს გვირდებიან გამარჯვების შემთხვევაში გამარჯვება მთელწველია ჭეშმარიტი ნათლობისა და რჯულის აღსრულების გარეშე.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც ღ ა მ ე რ ვ ე

ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ბ ი ს ს ა რ კ ი

1. ღმერთი — უხენაესი გამებელი, შემოქმედი ყოველთა ხილულთა და უხილავთა.

2. ადამიანი — ღმერთის შემოქმედება, უკვდავი სულიერი.

3. ემშაკი — ყოფილი ანგელოზი, სიამაყის გამო ჩინაყრილი და ბოროტ ანგელოზად წოდებული; აწ მტერი და შურისმაძიებელი ცისიერსა და მიწიერზე.

4. ცოდვა ადამიანისა — ღმერთის, შემქმნელის მიმართ დაუმორჩილებლობა და აკრძალული ხერხით უმადლესი ძალების პყრობის წადილი.

5. სიკვდილი — ადამიანის ცოდვის საპასუხო სასჯელი. ცოდვისა, რომლის გამოც დაკარგა უკვდავება; უკვდავების შესაქმნელები საფასური.

6. სიცოცხლე — დაკარგული უკვდავებისათვის დასაბრუნებელი საღვაწო დახანება.

7. ადამიანის მიზანი — დაკარგული უკვდავების დაბრუნება.

8. ცხოვრება — საზრიანი მოქმედება მიზნის მისაღწევად.

9. რელიგიურობა — სიცოცხლის გამართლება.

10. ჭეშმარიტი რელიგია — სწორი გზა, სულის გადამრჩენელი მოძღვრება მიზნის მისაღწევად.

11. გამართლებული სიცოცხლე — ლოცვა, მარხვა, სიმათლე და წყალობა.

12. გაუმართლებელი სიცოცხლე — უღმერთობა, უკეთურობა, ემშაკის მსახურება.

13. გართობა — სულის გადასარჩენად ბოძებული დროის ფლანგვა.

14. ემშაკობა — გადამრჩენელი მოძღვრების საწინააღმდეგო მოქმედება.

15. მეორედ მოსვლა — საბოლოო სამსჯავრო; კეთილთა — ღმერთშემოსილთა შეწყნარება და მათთვის უკვდავების მინიჭება. უკეთუროთათვის საუკუნო ცეცხლი და მასთანვე ემშაკთა სამყოფელი.

მიუხედავად მიუხედავად

1. თვით ანგელოზის დაცემა, ადამის ცოდვის გამო უკვდავების დაკარგვა და საშინელი სამსჯავრო არის უფლის უდიდებულესობისა და ყოვლისშემძლეობის შესამეცნებლად დაშვებული გონიერული გააზრებისა და მორჩილების აქტი. ესოდენი ტკივილი, ტანჯვა-ვაება ღირდა კი ამად?

2. თუკი ცხოვრება სიზმრის შემდეგ იწყება, სად მოიძიოს ძილისაგან აღდგომილმა სიზმრისეული ტკივილი?

3. უკვდავება გვებოძა, რათა ჭეშმარიტად ვირწმუნოთ ბოროტი ანგელოზნი, ვითარცა მარად თვალსაჩინო სამხილველნი; ვითარცა მარად დაუეიწყარი უგუნურნი, ვითარცა შემოკქმედზე ამხედრებული შენამოქმედნი.

4. უკვდავება გვებოძა, რათა ჭეშმარიტად ვირწმუნოთ მარადიული ცეცხლი, როგორც

უგუნურთა ღვაწლის საფასური — თვალსაზრისწილი სატანჯველი.

5. უკვდავება გვებოძა, რათა საბოლოოდ შემეცნებულ იქნეს უფალი ღმერთი, როგორც ყოვლისშემძლე უმაღლესი სიკეთე, როგორც მარადიული ნეტარება, შეუმცდარი ბრძენი არსთგანმრივე, როგორც სიცოცხლის მარად დაუმრეტელი წყარო — უკვდავების დასაბამი.

6. შემეცნებულ იქნა უფალი, ვითარ არს იგი შემძლებელ მტყურობაგან ანგელოზებრივი ჩინის აღორძინებისა, და ასევე აღზევებულ ცრუთა დამდაბლებად, აწ არავის მოუნდეს უფლის ყოვლისშემძლეობის მოსინჯვა; სრული მორჩილება და თავგანი უზენაესს, არსთა განმრიგეს!

ამენ!

სულის გადასარჩენად გვაფრთხილებენ

1. ბოროტებას ჩაღიზარ თუ სიკეთეს არ იქმ, ერთი და იგივე ცოდვია. თუ არ იქმ სიკეთეს — მხოლოდ იმიტომ, რომ შეიძლება ამას რაიმე არასასიამოვნო მოჰყვეს, მაშასადამე, ხელს იღებ საერთოდ სიკეთის ქმნაზე.

2. რამდენ დატვირთვას იტანს ადამიანი თავისი ცოდვიანი სურვილების შესასრულებლად, როგორ მღელვარებს და იტანჯება დიდებისა და სახელის მოსახვეჭად, რა დამქანცველ შრომას ეწევა იგი, ვისაც მეტი და მეტი სიმდიდრე სურს; ო, რა სულიერ სიმაღლესა და სრულყოფას მიაღწევდნენ ისინი, ასეთივე შრომით უფლისადმი კეთილმსახურებას რომ შედგომოდნენ.

3. გინდა უშრომლად აკეთო სიკეთე? განსაკუთრებულად — შრომა ღრობითია, საზღაური მისი კი მარადიული.

4. უნდა დაიწყოთ მცირედან, რომ შემდოთ დიდი საქმის კეთება. რაც უფრო უახლოვდებით ღმერთს, მით უფრო შეამჩნევთ თქვენს ცოდვილიანობას.

5. სანამ ადამიანი არ დადგება ღვთის სამართლის წინაშე, არ მოისმენს გადამწყვეტ განაჩენს თავის თავზე და არ ნახავს მისთვის განკუთვნილ ადგილს, იმ დრომდე ვერ გაიგებს, საჭიროა იგი ღმერთისთვის თუ არა.

სანამ იმყოფები სხეულში, უდარდელი ნუ იქნები, ზოგჯერ შეიძლება თავი ვნებებისაგან გათავისუფლებულად იგრძნო, რადგან მტრები ბოროტი განზრახვით მხოლოდ

დროებით წყვეტენ თავდასხმებს, რათა შეგვისუსტდეს სიფხიზლე, და მაშინ უგონოდ ქმნილებს გვეცენ და, როგორც უძწეო ფრინველს, მოგეტაცონ საბრალე სული და ჩაგვაგონ უფრო დიდ ცოდვაში.

6. ჩადენილი კეთილი საქმის ყველაზე საიმედო შენახვა მისი არგახსენებაა.

7. კეთილი საქმე ფასდება მისი მიზანდასახულობით. აკეთეთ ის, რაც ჯილდოს ღირსია, მაგრამ ნუ დაეძებთ ჯილდოს.

8. თავი და არსი ყველა სიკეთისა არის სიყვარული, რომლის გარეშე არც მარხვა, არც სიფხიზლე, არც შრომა არაფერს ნიშნავს.

9. აკეთეთ სიკეთე, გაექვეით ბოროტებას — გადარჩებით.

10. გიყვარდეთ სიკეთის ქმნა. გაექვეით მანკიერებას.

11. ილოცეთ და გულით შეინახეთ ყველაფერი, რასაც ასწავლის წმიდა პირველყოფილი მართლმადიდებლური ეკლესია. მიიღეთ საიდუმლოებით მოცული კეთილი ძალები.

12. განუხრელად მიჰყევით ქრისტეს მიერ დატოვებულ მცნებებს, კანონიერი მღვდელმსახურების, ეკლესიის მასწავლებლების ხელმძღვანელობით. რაც ამის საწინააღმდეგაა, ყველაფერს თავი აარიდეთ და აუცილებლად გადარჩებით, მიაღწევთ ზეციურ სასუფეველს.

13. მოინანიეთ ცოდვები და მიმართეთ უფალს, აღიარეთ თქვენი ცოდვები და დაიტირეთ მწუხარე გულით.

14. აზრით და გულით იყავით უფალთან, სხეული კი დაასაქმეთ აუცილებელი საქმის შესრულებით.

15. დაიცავით თქვენი გული ცუდი აზრებისა და გრძნობებისგან, როგორიცაა სიამაყე, ბრაზი, ძაგება, მაცნე ჩვეულებები და სხვა.

16. მთელი თქვენი ცხოვრება მიიტანეთ უფლის სამსხვერპლოზე და იცხოვრეთ არა საკუთარი თავის, არამედ ღმერთისთვის და აკეთეთ მხოლოდ ის, რაც უფალს სურს და ნებაგს.

17. ერთიანად მიენდეთ უფლის ნებას და მოთმინებით, მტკიცედ იდევით გადამრჩენელი ცხოვრების პრინციპებზე.

18. ამისთვის საყრდენად უნდა გქონდეთ მუდამ მზრუნველობა ცოცხალი რწმენის, იმედისა და სიყვარულის მოსახვეჭად.

19. ამგვარი ცხოვრების იარაღია: ლოცვა, მარხვა, სიფხიზლე, განმარტოება, სიმათლე, წყალობა, შრომა, ხშირი განწმენდა, საზარების კითხვა.

20. დაიცავით თავი ღვთის შიშით. გახსოვდეთ: სიკვდილი, სამართალი, ჯოჯოხეთი და ციური სამყოფელი.

21. ყველაზე მეტად საკუთარ თავს აყვარადეთ: დაიცავით გონება ფხიზლად და ამყოფეთ გული თქვენი უშფოთველად.

22. იზრუნეთ უფლის მადლისათვის, რათა ხელმოცარულები არ ჩარჩეთ ცოდვის მორევეში.

23. ვისაც სულის გადარჩენა სურს, უნდა მიეკუთვნებოდეს ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ეკლესიას, უნდა იყოს მისი თავდადებული შვილი, დაეთანხმოს ეკლესიის კანონებს, შეინახოს მარხვა, ხშირად იაროს ღვთის ტაძარში და პატივი სცეს ღვთის მსახურს.

24. ვინც არ ეთანხმება ქრისტეს მოძღვრებას, სულის წინააღმდეგობით, ან ამაყობით გამოეყოფა ეკლესიას, როგორი ქება-დიდებაც არ უნდა მოიხსენიოს უფალი, რაც უნდა ილოცოს, იმარხულოს, იგი მაინც ვერ გადარჩება.

25. უფალმა ეკლესიის ურჩი ადამიანი შეადარა კერპთაყვანისმცემელს.

26. ვინც ეკლესიას გვერდს აუქცევს, ის არის კერპთაყვანისმცემელი და ტანჯული. ამიტომ მას არა აქვს საშველი.

27. ეშმაკმა უთხრა მაკარის: შენ ბევრს მარხულობ, მე კი სულ არ ვჭამ, შენ ცოტა გძინავს, მე კი სულაც არ მძინავს, ერთით მჯობნი მხოლოდ — შენი მორჩილებითა და უწყინარობით.

28. ვინც მორჩილია, ის ქრისტეს მოწამეა. ჭეშმარიტი მორჩილება გამომდინარეობს

რწმენიდან; თუ ჰუმანიტარული ეკლესიის არ გვერათ, არა ხართ მორჩილი. მორჩილების გარეშე კი არ არსებობს გადარჩენა.

29. ვისაც გადარჩენა სურს უნდა ილოცოს ხშირ-ხშირად; თუ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო დაკავებული ხართ, ილოცეთ დილა-საღამოს. ასევე — სადილობისა და გახშობის წინ. სადღესასწაულო და კვირა დღეებში უნდა მიიღოთ მონაწილეობა საეკლესიო ღონისძიებებში და იქ ილოცოთ.

30. ცოდვილი ადამიანისათვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ ღვთისაგან ეძლევა უფლება ეკლესიაში სიარულისა; რომ მას შეუძლია შეეკედროს ღმერთს და ღმერთმა აპატიოს ცოდვები და არუქოს გადარჩენა.

31. დავით მეფე — წინასწარმეტყველი დიდებული და მდიდარი იყო. იგი ერთს სთხოვდა ღმერთს: „ყველაფერი მაქვს და ყველაფრით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ ვხედავ ღმერთის დიდებასა და სილამაზეს; და მაქვს შესაძლებლობა ვიმყოფებოდე მის წმიდა საყდარში“.

32. წმიდა მამები ლოცვას ყოველი კეთილშინილების დედას ეძახიან იმით, რომ ლოცვით შეიძლება გამოითხოვო ყოველგვარი სიკეთე, ყველაფერი დროულიც და მუდმივიც, რაც თვით უფალმა დაგვიდგინა: „ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ეძებდეთ და ჰპოვებდეთ, ირეკდით და განგებდით თქვენ“.

33. ვისაც თავის გადარჩენა სურს, მთელი ძალით უნდა იზრუნოს სიკეთისათვის, უყვარდეს მოყვასი, ახლობელი თვისი, ვითარცა საკუთარი თავი.

34. სულიერი კეთილშობილების გამოხატულებაა, როცა ახლობელს აპატიებ ცოდვას და აგრეთვე იზრუნებ მისი სულის გადარჩენად, ასწავლი ჰუმანიტარულსა და სიყვითეს.

35. ზორციელი კეთილშობილება გამოიხატება ახლობლის დაპურებაში, შემოსვასა და ფულით შემწეობაში. უფალმა თქვა: „ნეტარია კეთილშობილი, რადგან ნაწყალობები

იქნება, სამართლიანი სამსჯავრო ელის მას. ვინც უმოწყალოა, იგი არ გადარჩება“.

36. ვისაც თავის გადარჩენა სურს, უნდა მონანიოს ღვთის წინაშე, რასაც იგი ყველაზე მაღლა უნდა აყენებდეს; საკუთარი ცოდვები მლოცველმა უნდა გამოთქვას როგორც თავის ყოველდღიურ ლოცვებში, ასევე სულიერი მამის წინაშე აღსარებით და მონანიოს.

37. ადამიანი უპირველესად საკუთარ ცოდვებს შეიძნობს თავისი თავის სინდისიერი განსჯით, შემდეგ უარყოფს იმ ფაქტებს, რაც მას ამართლებს, რომლითაც ეშმაკური სინდისი ცდილობს აპატიოს ცოდვები. და ბოლოს, მომნანიებელი ადამიანი ხდება ბრალმდებელი საკუთარი თავისა და უფლის წინაშე გამოთქვამს თავის ცოდვებს სასულიერო პირების თანდასწრებით თავმოყვარეობის დაუზოგავად. იგი ასეთ შემთხვევაში მიიღებს პატიებას ღვთისგან.

38. განწმენდისა და მონანიების შემდეგ უნდა იყოთ მტკიცე, რათა შემდეგში აღარ შესცოდოთ. ღვთის შიშით, რწმენითა და სიყვარულით უნდა ეზიაროთ ქრისტეს უწმინდეს სისხლსა და ხორცს, რაც აუცილებელია თავის გადარჩენად.

39. უნდა მონანიოთ, ეზიაროთ, დაიჭიროთ ოთხი მარხვა, აგრეთვე — ოთხშაბათ-პარასკევის მარხვაც. თუ ცხოვრებისეული მდგომარეობა ხელს არ გიწყობთ, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ეზიაროთ.

40. ვისაც გადარჩენა სურს, დიდსულვნად უნდა გადაიტანოს ყველა გაჭირვება, რომელიც შეხვდება მიწიერი ცხოვრების დროს. უფალმა გვიანდერძა — მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო. ამამია გადარჩენა.

41. მოციქული ასე აწყენარებს განცდაში მყოფთ: შეილო ჩემო, ნუ დაუძღვრები ღვთისშიერი დასჯით, ნუ დასუსტდები. მის მიერ განკიცხული უყვარს უფალს და სჯის მას, იგი ცემს თავის შეილს და მფარველობს; დაითმინეთ დასჯა და შეილად იქცევი ღმერთისა. ასეთია ღირსება მიწიერი

განცდებისა, როცა მას დიდსულოვნებით გადაიტან. იგი ღვთის საჩუქარია. სასარგებლოა იობის ამბის გახსენება.

42. ღვთის მადლით, მოვითმინოთ, ავიტანოთ ბოროტიც, რადგან უფალმა ინება ასე. დე, იყოს ასე და მარად იყოს დალოცვილი უფლის სახელი.

43. თავის გადარჩენის მოწადინეთათვის აუცილებელია საღვთო წიგნების კითხვა. წმიდა მამებმა უფლის სიტყვათა მოსმენას უწოდეს მეფე ყველა კეთილქმნისა. სიტყვა უფალი გვასწავლის ბრძოლას ჩვენში დაბუდებულ ცდუნებებთან.

44. მიეშველეთ საკუთარ თავს, ძმებო და დებო, მიეშველეთ!

ჩვენი მიწიერი ცხოვრება ისე მოკლეა, რომ ვერც კი გაივბთ, როგორ შემოგვლევთ ხელში და როგორ მოგეპარებათ სიკვდილი.

ჰერმესის წიგნიდან „მწყემსი“:

45. გამოეცხადა მწყემსი.

მწყემსი — მე გამოგზავნეს, რათა დავეო შენი ცხოვრების ბოლო უამი შენთან.

ფერმა — ვინა ხარ შენ? ვისაც მე ვენდობი, კარგად ვიცნობ.

მწყემსი — მე სწორედ ისა ვარ, ვისაც შენ მინდობიხარ.

46. უცებ იცვალა სახე და იგი გახდა მისი მფარველი ანგელოზი. მინდა გაგაცნო ის მცნებები, რომელთა მიყოლა გადაარჩენს შენს სულს. თუ შეასრულებ, ყოველი ცოდვა მოგეხსნება, თუ არა — შეიძენ ცოდვას ცოდვაზე, სანამ გული და ძელები არ შეგეპუსრება.

47. ირწმუნე მხოლოდ ერთი ღმერთი — წმიდა სამება. შემოქმედი ცისა და ხმელეთისა, ყველასათვის ხილული და უხილავი, რომელმაც არაფრისაგან ყოფიერებას დაუღო საფუძველი და აჩუქა ყველას სრულყოფილება იმდენი, რამდენსაც თითოეული მათგანი დაიტყვედა.

48. იცხოვრე სისადავეში და გაურყვნელობაში, ნუ შეუშლი ხელს შენს ახლობელს სიტყვითაც კი. პირიქით, დაეხმარე მას გან-

საცდელში და ნუ გაარჩევ — ვინ გთხოვს და ვის აძლევ.

49. ცული სიტყვა არ აღმოგნდეს პირიდან. გიყვარდეს ჭკუშარიტება, გაექვეცი ტყუილსა და უსამართლობას.

50. საკუთარი თვალვით გაუფრთხილდი ცოლქმრულ ერთგულებას, რადგან ეს არის შეუღასავი კანონი შემოქმედისა; დარჩი სუფთა და შეუბღწავი მის წინაშე. ცოლქმრულ კავშირში მუდამ იყავ ნამუსიანი.

51. თუ შეირთე ცოლი, ნუ ემბე მგორებს და თუკი სულ შეუბღწავი დაინარჩუნე თავი, სულაც ნუ ემბე ცოლს.

52. იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაიცვლება ქმარი ან ცოლი, დაქვრივებული შეიძლება მგორად დაქორწინდეს. ეს არ ითვლება ცოდვად, მაგრამ ღვთის კაცად მაშინ უფრო იქცევა ადამიანი, თუ ქვრივობას გაატარებს სიწმინდესა და გაურყვნელობაში.

53. ღმერთმა მონათლულებს მისცა ცოდვის მონანიების უფლება. მოუნათლავებს ამის უფლება არა აქვთ.

54. ადამიანები სცოდავენ ეშმაკის ნების მიყოლით. შემწყწინარებელი ღმერთი იღებს მათ მონანიებას, მაგრამ საჭიროა იმის ცოდნა, რომ ხშირი ცოდვის ჩადენა, რომელსაც მოსდევს ხშირივე მონანიება, მეტად საეჭვოდ ხდის იმ მონანიებებს. და შესაძლებელია, ბოლოს და ბოლოს, ისე დაეცე, რომ აღარ გექნეს კვლავ შესაძლებლობა წამოდგომისა და ღვთისთვის ცხოვრებისა. ეშინოდეს მას, ვინც ქარაფშუტულად და მსუბუქად უყურებს ცოდვების ჩადენას.

55. ამ მცნებების გზით მავალს არ შეიძლება არ შეხედეს წინააღმდეგობები, ივაჟ-კაცეთ და გაიმაგრეთ გული. მოთმინებით გააკეთეთ კეთილი საქმე და გაუძელით წინააღმდეგობებს.

56. გახსოვდეთ, ყოველ ადამიანს ორი ანგელოზი ჰყავს. ერთს მიჰყავს იგი კეთილი საქმეებისაკენ, მგორებს კი ცდუნებისა და ცოდვებისაკენ (ამ ანგელოზს უწოდებენ დაცემულ ანგელოზს, ანუ ეშმაკს). ყური უგდეთ საკუთარ

თავს და მიენდეთ პირველს, მეორე კი მოიგლიჯეთ შინაგანი გულისწადილის შემწეობით. დაუკვირდით, იმ ორი ანგელოზიდან რომელი გაძლევთ გაკვეთილს და რომელს სურს თქვენი დაუფლება.

57. გემინოლეთ მხოლოდ ერთი ღმერთის – შემქმნელისა და გადამრჩენელის, მაგრამ ცარიელი და ბნელი შიშით არ ეცადოთ დაუმტკიცოთ მას თქვენი მისდამი ერთგულება.

58. კალღებულები ხართ იყოთ ღვთის ყველა მცნებისა და ყველა მისი საქმის შემსრულებელი, რომელსაც ანგელოზი თქვენს გულს ჩაუნერგავს; და თქვენ იქნებით ღვთის შვილი სასუფიველში და არ იქნებით მონა.

59. ილოცეთ გულმსურვალედ, ილოცეთ, ილოცეთ განუწყვეტლივ, რათა ყოველთვის, როგორც საჭიროა, მაღლიდან იგრძნოთ ძალა სასიკეთო და მით გაეძკეთ ბოროტებას. ღოცვა მიწიერს ხდის ზეციერად სუფთასა და წმიდას.

60. თავი აარიდეთ ცბიერ წინასწარმეტყველებს – მკითხავეებს. საკუთარ რწმენაში სუსტებით მიმართავენ ამ მატყუარებს... მკითხავეები აცდუნებენ მათ და ისევ უკან მიჰყავთ კერპთაყვანისმცემლობისაკენ. ეისაც ჭეშმარიტად სწამს ღმერთი და თავი მიანდო მას, არავითარ შემთხვევაში არ წავა მათთან. ასეთი კაცი ზეცას ემებს.

61. ღე იყოს თქვენი ერთადერთი მასწავლებელი ღვთის ჭეშმარიტი ეკლესია, ბურჯი ჭეშმარიტებისა. მხოლოდ ეკლესიას მიჰყავხართ ნათელი, გარდუეკალი ჭეშმარიტების გზით. მის გარეშე არის სიბნელე და უკუნი. ჭეშმარიტების ხმას შემოაქვს თქვენს მორწმუნე სულში ღრმა სიმშვიდე და ნეტარება. ცდუნებულთა სიტყვა აბობოქრებს თქვენში ოცნებებსა და ეჭვებს, და როგორც მარილიანს წყალი იწყვეს თქვენში ცოდვის წყურველს, კეტავს თქვენს ტვინს, როგორც ტყვეს ბნელ უღაბნოში.

62. უახლოესი ხელმძღვანელის გარეშე არ შეიძლება წმიდად იცხოვროთ მიწაზე.

თქვენ მას იპოვით ჭეშმარიტ ეკლესიაში, სადაც წმიდა სულმა დააყენა ისინი, რათა მწყემსონ ქრისტეს ფარა. ევედრეთ უფალს, რათა გიწვალბოთ ყველა სიკეთე. საჭირო უამს ის წარმოსთქვამს თქვენთვის დამაწყნარებელ სიტყვას; ღმერთის სული გასწავლით თუ რისი თქმაა საჭირო თქვენთვის, და თქვენ გაიგებთ, თუ რა უნდა მას თქვენგან. ოღონდ აქაც ერიდეთ სულებს პირფერობისა.

63. შენიშვნა: მოთმინება და სიწყნარე ჭეშმარიტად ამშვენებს ხელმძღვანელს. სადაც არის გარეგანი ბრწყინვალება სიტყვასა და ცხოვრებაში, იქვეა პირფერობაც.

იზრუნეთ, იზრუნეთ საკუთარი სულისათვის, თორემ მიწიერი ცხოვრება ისე მოკლეა, ვერ შეაძინებთ როგორ შემოგვლევით ხელში და როგორ მოგეპარებათ სიკვდილი.

ყოველი ღღე – ეს ბედნიერი შესაძლებლობა – არ გაფლანგოთ უაზროდ, მოიხმარეთ დანიშნულების მიხედვით, გაასწორეთ თქვენი გამორღებელი ცხოვრება და შეიძინეთ სიკეთე. სიკეთე, რომლითაც გადარჩებით, მმანო და დანო ჩემნო!

64. ეშმაკისთვის სულაც არ არის მთავარი რომელი ფანდით წაგაქცევთ. მისთვის სულ ერთია, ოღონდ როგორმე წაგაქციოთ.

65. წყალში ჩაყარდნილი, ცურვის გარდა რომ ყველაფერი იცოდეს, განა გადარჩება? ასევე ვერ გადარჩება ყველაფრის მცოდნე, მაგრამ სარწმუნოებაში წარუმატებელი.

66. ვინც ღვთის მტერია, იგი თქვენი მოყვარე არ იქნება, თუკი ღვთისად იფუძვებით თავს.

67. როგორც ადამიანსა აქვს სატარებელი თავისი ჯვარი, ასევე ერმაც უნდა დაითმინოს და ატაროს ჯვარი თვისი.

68. ტყე თუ არ იქნა, საჩუხიც არ გვექნებათ. თუ ტყე გაჩნდა, მაშინ ნაჯახს ხშირ-ხშირად უნდა აუწყოთ პირო, რადგან დარღუნებულნი ნაჯახით ტყეს ვერ გააფრავთ. ამდენად, მწველებლებიც საჭიროა ქვეყნისათვის; ისინი ხშირად აგვაწყობინებენ ხოლმე ნაჯახის

პირს, ე.ი. გამოაღვიძებენ ზოლმე ადამიანში მიძინებულ რწმენას.

69. ბაღში მრავალი ხეა, მაგრამ ყველა როდი გამოისხამს ნაყოფს. ასევე, რელიგიაც მრავალია, მაგრამ ჭკუშარიტი, ნაყოფიერი მხოლოდ ერთია. როგორც უნაყოფო ხე მიეცემა ცეცხლს, ასევე უნაყოფო რელიგიაც ცეცხლისად იფულებათ.

70. ცხოვრება მოქმედებაა. ყოველი მოქმედების შედეგი ან ღმერთის სასარგებლოდ გადაწყდება, ან – ეშმაკისა. ადამიანო, გაიხსენე, რომ ეშმაკის დასათრეუნაოდ მოეცა სიცოცხლე, რათა, გამარჯვების შემთხვევაში, დაისაკუთრო სასუფეველი ღვთისა.

71. ამდენად, მოიკრიბეთ ღვთივობებული ძალა და ნიჭი. ხელთ იპყრით მტრის (ე.ი. ეშმაკის) საწინააღმდეგო იარაღი – ქრისტეანული სიბრძნე და ეკვეთეთ მტერს.


72. ყოველი საქმის დაწყება ნიშნავს ეშმაკთან შებმას. ან თქვენ უნდა გაიმარჯვოთ, ან მან. ეცადეთ, გამარჯვებული გამოხვიდეთ, რადგან, გამარჯვების შემთხვევაში, გებლვათ ღვთის ჯილდო – მადლი; დამარცხების

შემთხვევაში კი მოგემატებათ ცოდვა, რაც ღვთის რისხვას ნიშნავს.

73. მადლის დაგროვება ადამიანს ამაღლებს უმაღლეს სულიერ ხარისხამდე, ადამიანი ანგელოზს დაემგვანება, ღმერთთან ისაუბრებს, თვალთ იწილავს მას და სასწაულებს იქმს.

74. ცოდვადაგროვილი კი დაიტეხს თავზე ღვთის რისხვას და წარიწყმედს სულს, რადგან ამგვარი სულიერი სიმდაბლე დაისაკუთრა.

75. ღვთის მადლს ადამიანი ნელ-ნელა იძენს თავისი ღვაწლის შესაბამისად. ხელში რომ მინის ჭურჭელი გეჭიროთ და წვეთწვეთობით ავსებდეთ მას, როგორი მოთმინებითა და გულმოდგინებით უნდა შეუდგეთ ამ ჭურჭლის შევსებას, რადგან წვეთწვეთობით შევსებას დიდი დრო დასჭირდება და როგორც ხელის გაშვება საკმარისია იმისათვის, რომ წამში დაკარგოთ წლების ნაღვაწი, ასევე წლობით ნაგროვები ღვთის მადლი შეიძლება წამში დაკარგოთ ერთი ცოდვის შეძენითაც კი.



თ ა ვ ი ო რ ა მ ო ც დ ა მ ი თ ე რ თ ე მ ე ტ ა

ს ა მ ი მ რ ა დ ა ც ს ო ვ რ ე მ ბ ი ს ა რ ს ი

პ ი რ ვ ი ლ ი მ რ ა

ა დ ა მ ი ა ნ ი ს ბ ა რ ე ნ ა

აჩუქა

აჩუქა

უკვდავება

უზრუნველობა

დ ა უ ღ ბ ი ნ ა კ ა ნ ო ნ ი

მორჩილება

სიყვარული

ა დ ა მ ი ა ნ ე ა
დ ა ა რ ღ ვ ი ა კ ა ნ ო ნ ი

შეიძინა ურჩობა შემოქმედისადმი, გაჩნდა წადილი ღმერთად გახდომისა.

ასევე შეიძინა საკუთარი პატივმოყვარეობა და სიამაყე.

ს ა ს ჯ ე ლ ი

უკვდავების სანაცვლოდ სიკვდილი, რათა იცოდეს უკვდავების ფასი.

უზრუნველობის სანაცვლოდ ზრუნვა, რათა იცოდეს უზრუნველობის ფასი.

მ ო წ ყ ა ლ ე ბ ა

სიკვდილამდე ბოძებული სიცოცხლემონანიებისათვის და თვითგამორკვევისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, რაც არის გარანტია უკვდავების დაბრუნებისა.

იზრუნოს და იმეფოს ქვეყანაზე თავისი სიბრძნით და ღმერთად გახდომის წადილით, რათა შესძლოს ჩანაფიქრის განხორციელება, თუკი შეიძლება.

ადამიანის მემკვიდრეობა

კანცობრიობა ბაიყო

ადამიანის სიბრძნის მიმდევრებად

ღმერთის სიბრძნის მიმდევრებად

დაკარგული უზრუნველობისა და უკვდავების აღსადგენად თავიანთი მეცადინეობითა და გარჯით ცდილობენ დაუპირისპირდნენ ღმერთს როგორც ტოლფასოვანი შემოქმედნი.

აღიარეს თავიანთი წინაპრების დანაშაული, უფლის წინაშე ინდოქეს მორჩილება და სიყვარული. აღიარეს თავიანთი უმწიკობა და ღმერთის ყოვლისშემძლეობა.

დაითესა მეცნიერების მარცვალი, რათა გამოიღოს შემძლეობის უზრუნველობისა და უკვდავების მოსაპოვებლად, რითაც სურთ ღმერთს გაუტოლდნენ.

დაითესა უაზრო ხელოვნებისა და სპორტის მარცვალი, რომლითაც სურთ მიადწიონ უმაღლეს განცხრომას და სამოთხისებრ ნეტარებას.

დაითესა ღვთით დადგენილ კანონთა მორჩილების მარცვალი.

დაითესა ღვთისადმი სიყვარულის მარცვალი.

ნაყოფი

ნაყოფი

ნაყოფი

ნაყოფი

ბირთვეული იარაღი.

უღმერთობა, უზნეობა და ქვეყნის დაცემა.

ღვთის წყალობა.

ღვთის წყალობა.

შედეგი

ქვეყნის დაქცევა

დამთავრდა ადამიანის მეფობა ღმერთის წინაშე. ადამიანმა დაიჯერა თავისი ამპარტავნებით შექმნილი უმეცრება.

მესამე პრა

ღმერთის მკვლელობა

კ ა ტ ო ბ რ ი ო ბ ა

უღმერთონი

მათი ღვაწლი

უაზრობისათვის
დასარგული სიცოცხლე

1. სიამაყე
2. რისხვა
3. ნაყროვანება
4. უსამართლობა
5. უწყალობლობა
6. გულხენეშობა
7. ნებიერობა

შ ე ღ ე გ ი

სამარადჟამო ტანჯვა

არ ეღირსებათ ღმერთის მეფობის პერიოდში ნეტარება. იქნებიან შთაცვენილნი მარად უქრობ ცეცხლში და იქ იგოდებენ თავიანთ უმეტრებას.

ღმერთმოსილნი

მათი ღვაწლი

ჭეშმარიტებისათვის
დასარგული სიცოცხლე

1. მორჩილება
2. სიყვარული
3. მარხვა
4. სიმართლე
5. წყალობა
6. ლოცვა
7. მოთმენა

შ ე ღ ე გ ი

სამარადჟამო სიცოცხლე

დაიბრუნებენ იმ დაკარგულ უკვდავებას, რაც ღმერთმა მათ უბოძა თავდაპირველად: იცნობენ როგორც ანგელოზები. არ იქნება უკანონობა, შიში, ტკივილი, ზრუნვა. იქნება სიხარული უღვეი და ბედნიერება.

ადამიანო, გახსოვდეს სიკვდილი, სამსჯავრო და საბოლოო განაჩენი!

ბერმონაზენური პატივის შესახებ

1. ბერმონაზენობა არის ანგელოზებრივი ჩინი.

2. ბერმონაზენური პრინციპი ისეთი სულიერი მდგომარეობაა, როცა ადამიანი უარყოფს ამქვეყნიურ ცხოვრებას და მთელ მის არსებას მიუძღვნის ღვთისმსახურებას.

3. მაგრამ ყველას როდი შეუძლია იტვირთოს ბერმონაზენური პატივი. ცხოვრებიდან განდგომით, უმხურვალესი ლოცვით, მარხვით, სიმართლითა და რწმენით ბერმონაზონი ხდება წმიდანი და მით ეზიარება ღვთის საიდუმლოების ნიჭს.

4. იგი ხშირად გულთამხილავია, ლოცვით განკურნავს და სასწაულმოქმედია.

5. ბერმონაზონი წმინდა სანთელია ქვეყანაზე. მისი სულიერი ღვაწლით იდიდება უფალი, რომლის ნათელით ბრძალებიან ბოროტნი და დაცულია ქვეყანა.

6. ღმერთმა გემირავლოს ბერმონაზენები, ოღონდ როგორც ჭინჭარი ვერ მოისხამს ვარდს, ასევე უღირს და ერეტულ ეკლესიას ვერ ეყოლება ბერმონაზენები — ღვთის ჩირაღდნები. ისინი მოკლებულნი არიან ამ პატივს.

სამკლესიო ნივთები

გავეცნოთ ფრესკებს, ჯვრებსა და ხატებს, მათს ერეტულ სახეცვლილებებს

1. ხატი ან ფრესკა, რომელშიც მაცხოვარი, ღვთისმშობელი ან წმინდანი უგანოდ არის გამოსახული და მაცქერალში აღძრავს ცინიკურ დამოკიდებულებას, სალოცავი ხატი კი არა, ცოდვის გამომწვევი საგანია.

2. ხატი ან ფრესკა, რომელშიც მაცხოვარი, ღვთისმშობელი ან წმინდანი გამოსახულია იმდაგვარად, რომ მაცქერალში გააჩენს მკრეხელურ აზრებს, სალოცავი კი არა, სასჯელია.

3. ჩამოსხმული ხატი ან კიდევ ფრესკა, რომელშიც მაცხოვრის შარავანდედში ჯვრის ზედა სამი ნაწილი არ იქნება გამოსახული ძელისებურად (ე. ი. ცხრა ხაზისაგან შემდგარი), არ ჩაითვლება სწორ ხატად (იხ. სურ. № 1; ყველა სურათი მოთავსებულია სარჩევის წინ).

ქრისტეს სახიერების გამოსახვა ოთხდა-

ბოლოებიან ჯვარზე აყალბებს მაცხოვრის ჯვარს, რადგან ზედა წარწერიანი დაფის გარეშე იგი არ განსხვავდება ჯვარზე გაკრულ ყაჩაღთა ჯვრებისაგან (სურ. № 10).

უარყოფილი როდია ოთხდაბოლოებიანი ჯვარი, რომელზედაც მაცხოვარი არ არის გამოსახული. იგი ამშვენებს მღვდელმსახურთა სამოსელსა და საეკლესიო ნივთებს (სურ. № 21, 22, 23, 25). ღმერთმემოსილთათვის ჯვარი ეშმაკზე ძლევის საჭურველია. სწორედ ამიტომ განდა იგი საქებარი.

4. არსებობს ჯვარი, რომლის ზედა ძელზე გამოსახვევს მამა ღმერთის სახიერებას, ხოლო დაბლა მაცხოვარია ჯვარცმული. ამგვარ ჯვარზე, თუკი მამა ღმერთიდან დაშვებული სულიწმინდის სახით მტრული არაა მიხატული, იგი სრულქმნილ ჯვრად არ იგულებება (სურ. № 12).

5. ხატები და ფრესკები, რომლებშიც მამა ღმერთის, მაცხოვრისა და წმიდანთა საკურთხებლად შემართული თითების წყობა არ უჩვენებს სამებასა და ქრისტეს ორბუნებოვნებას, ცრუა (იხ. სურ. № 8).

საკურთხებელი თითების წყობა, იგივე ქრისტეს ბეჭედი, შემდეგნაირია: ნიშნად სამებისა შეერთებულია ცერი, არათითი და ნეკი, ხოლო ქრისტეს ორი ბუნების ნიშნად ერთმანეთთან შეტყუებულია წინ გაშეერილი საჩვენებელი (სალოკი) თითი და ოდნავ მოხრილი შუათითი, რაც ცის მოდრეკასა და დედამიწაზე მის განკაცებას ნიშნავს. სწორედ თითების ამგვარი წყობაა ქრისტეს ჭეშმარიტი ბეჭედი (იხ. სურ. № 7). ხოლო, თუკი თითების დადგენილი წყობა დაირღვევა, ხატი იქნება ის თუ ფრესკა, ეკუმუტანლად ყალბია და ერეტიკული.

თითების სხვაგვარ წყობას სხვა ვინ გაამართლებს, თუ არა ისევე ერეტიკოსი. და აი, გაშლილი თითების წყობას უძებნიან გამართლებას: თითქოსდა თითების ამგვარი წყობა ქრისტეს სახელს წარმოაჩენს ბერძნული ანბანის მიხედვით. ეს აზრი გაურკვეველია და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული. ბერძნულად რატომ უნდა იქნეს წაითხული უპირველესად ებრაელთათვის მიცემული ბეჭედი? განა გარკვევით არ ითქვა სახარებაში: „ცუდია, როცა საკუთარი შვილების ლუქმას ძაღლებს გადაუყრი“.

რომელს დაავიწყდა, რომ ღვთის თვალით დანახული წარმართნი ასევე ძაღლებად ჩანდნენ?

რომელს დაავიწყდა, რომ ქრისტე უპირველესად თავისი ხალხისათვის მოვიდა, როგორც წერილ არს, და მერე სხვათათვის.

6. ხატებსა და ფრესკებზე გამოსახული სახიერება ღვთისა და წმიდანებისა ხორბლისფერი უნდა იყოს. სხვა ფერის სახიერებით წარმოდგენილი ხატები და ფრესკები მიუღებელია.

7. ხატი ყალბია იქ, სადაც კათოლიკური წესით — თავზე წყალპკურებით მიმდინარე-

ობს ნათლობა. კოჭებამდე წყალში ჩამდგარი ვერ მონათლება წესისამებრ. ამიტომაც წერილ არს სახარებაში: იოანე ნათელსა სცემდა იორდანეზე, იქ, სადაც ბევრი წყალი იყო (იოან., 3, 23). ბევრი წყალი კი შთაფლვით ნათლობისას სჭირდებოდათ (მოციქულთა 50-ე კანონი). ყველა სხვაგვარი ნათლობის უარმყოფელია მოციქულთა 46-ე კანონიც.

8. სამების აღმნიშვნელ ჯვარ-ხატზე, სადაც მამა ღმერთის ნათელში ჯვრის ზედა სამი დაბოლოებაა ჩანატული და ქვემოთ მაცხოვარია გაკრული, ყალბია, რადგან ჯვარცმული მხოლოდ ძე იყო და არა მამა (იხ. სურ. № 4).

სიძარტლის შესამცენებლად და მით საკუთარი ხელის გადასარჩენად საჭირო იქნება მხოლოდ ამ წიგნის მიყოლა, ე.ი. წმიდა სახარების საქვეყნოდ აღიარება და რჯულიერი ნათლობის მიღება.

9. ასევე ყალბია ჯვარცმის გამოსახულება, თუკი მაცხოვარი ჯვარზე დაკიდებულია და მკლავები ჰორიზონტალურად არა აქვს გაშლილი (იხ. სურ. № 10).

10. მე-6 სურათი წარმოადგენს მასონური ჩარჩოს იმიტაციას თავისივე ფსკენილებითა და ფარდის დაშვებული კალთებით, მაშინ, როდესაც მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი უბრალოა (იხ. სურ. № 5).

11. ქრისტეან მოძღვართა სამოსის ფორმისა და შინაარსის შეცვლა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს დაიწყო. რუსეთში კი ნიკონ პატრიარქის დროიდან გაიცა განკარგულება სამოსის ფორმის შეცვლის შესახებ.

12. კანონის თანახმად, ბერისა და ეპისკოპოსის ძირითადი შესამოსია წითელარშია-შემოვლებული მანტა (სურ. 19), თავსარქმეული კი — სკუფია (სურ. 18). მანტია სიმბოლურად ღვთისმშობლის საფარველს ნიშნავს; სკუფიასა და მანტიასზე შემოვლებული წითელი არშია კი — ქრისტეს კანონების დასაცავად საკუთარი სისხლის გაღებას.

13. აქედან გამომდინარე, მანტიის უგულებელყოფელი ღვთისმშობლის მფარველობის განმრიდებელია და თავდაღების არმოწადინებურსა და ეპისკოპოსს ნათლობის ჯვართან ერთად უნდა ჰქონდეს პარომანტიც (სურ. 26). იგი ასანთის ზომის რომბისებურად გამოჭრილ შავ ნაჭერზეა დაკერებული, ჯვარსახისა. ჯვრის გამოსახულება წითელია. ბერმონაზვნები და ეპისკოპოსები მას მკერდის ნაცვლად ზურგზე ატარებენ. იგი, მკერდის ჯვრის მსგავსად, შიშველ ხორცს ეხება. ბერმონაზვნობა არ არსებობს პარომანტიის გარეშე.

14. ასევე შეცვლილია ეპიტრაქილი, ფელონი, სამაჯურები. ფელონი მკერდზე უნდა გააჩნდეს 7 ღილი, ასევე სამაჯურებს, ხოლო ეპიტრაქილს — 12 ღილი. ალბათ მიხედვით, შვიდი ღილი შვიდ საიდუმლოს აღნიშნავს, 12 კი — 12 მოციქულს. ნიკონიანელებს სამაჯურებსა და ფელონზე საერთოდ არა აქვთ ღილები, იკრავენ ზონრით. ასევე დარღვეულია ეპიტრაქილზე ღილების სიმბოლური რაოდენობა.

15. ოთხენიანი ქამარი (სურ. 25). ნიკონიანურ ქამარს არც ენები აქვს და არც ჯვარი.

16. სამწვემსთაურა კვრთხი ორგველიანი კი არ უნდა იყოს, არამედ ღუზის მავარი, და, რა თქმა უნდა, უგველო, როგორც ნაჩვენებია 29-ე სურათზე.

17. კრიალოსანი ანუ „ლესტოვკა“ (სურ. 27) ანგელოზის მიერ განცხადებული ეშმაკის დასათრგუნავი იარაღია. როცა მას ხელში იღებენ, უწინარეს გადაისახავენ პირჯვარს და იტყვიან ლოცვას: „უიღებ, უფალო, შენს იარაღს, რათა ეძლიო მტერი“.

18. კრიალოსანი შედგება 103 ჩამოსამარცხელი ფსკენილისაგან, რომლებსაც შიგადაშიგ 3 მსხვილი ფსკენილი ურყვია. თავსა და ბოლოშიც სამ-სამი მცირე ფსკენილებია ორივე მხრიდან. ცარიელი ადგილიდან, რაც

მიწას მიანიშნებს, პირველ დიდ ფსკენილამდე 12 პატარა ფსკენილია, ხოლო დიდი ფსკენილის შემდეგ — 38. მეორე დიდი ფსკენილის შემდგომ არის 33, ხოლო მესამე დიდი ფსკენილის შემდგომ კი — 17 პატარა ფსკენილი, რაც სიმბოლურად ნიშნავს: 12 ფსკენილი 12 მოციქულის სახეა. 38 ფსკენილი კი ნიშანია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მუცლადღების 38 კვირისა, რომლის შემდეგ იშვა მაცხოვარი. 33 ფსკენილი მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების 33 წელზე მიანიშნებს, ხოლო 17 ფსკენილი კი სიმბოლოა იმ 17 წინასწარმეტყველისა, რომელთაც იწინასწარმეტყველეს მაცხოვრის მოსვლა.

„ლესტოკვის“ ანუ კრიალოსნის შიგნით არსებული 3 დიდი და თავსა და ბოლოში სამ-სამი (სულ 9) ფსკენილი ანგელოზთა 9 დასის გამოხმატველია.

კრიალოსანს აქვს ოთხი ფურცელი, როგორც ოთხი მახარებლის სიმბოლო. ფურცლებს შემოვლებული აქვთ არშია, რაც სახარებისეულ სწავლებას მიანიშნებს. ფურცლების დაბოლოება სამენოვანია. ფურცლებს შიგნით შვიდი ტიხარია, რაც 7 საეკლესიო საიდუმლოს ნიშნავს.

19. პანალია (სურ. 32) უეჭველად უნდა იყოს მრგვალი, მკერდით სატარებელი რვადაბოლოებიანი სამომღერო ჯვარი.

სავეცხლურის (სურ. 30) ზედა ზუფს უნდა ჰქონდეს ჯვარი, გარშემო 12 ნახვრეტი. ქვედა ზუფი 3 ევენთან ბურთულზე დგას.

კუნკული (სურ. 28) ნათლობისას ეძლევა სამოსთან, ქამართან და ჯვართან ერთად.

20. დადგენილი წესის დარღვევა ეშმაკის მანქანებაა და მათი მოკაეშირე მასონებისა, რომლებიც იწოდებიან „ურჯულობის მესაიდუმლეებად“. გონიერთ მართებთ დაფიქრება, დრო დაილია. ტარტაროზი თავის საკბილოს ელოდება.



ორიოდე სიტყვა ბედის შესახებ

1. ვინაიდან ბედს კმნის ხასიათი, ღვთიებობებული საკუთარი ნებელობა ნიშნავს ბედის მართვის საშუალებას;

2. დღევანდელი ჩემი ხასიათის მიხედვით მე უკვე განმესაზღვრა მომავალი ბედი, მაგრამ ბედის ცვლის შესაძლებლობა მონიჭებული მაქვს ნათლობითა და მოძღვრების რჯულის მიყოლით.

ოიანა-იონა

თ ა ვ ი ო რ ა ო ც ღ ა მ ე თ ო თ ხ მ ე ბ ა

ვაკისტოლე ათეისტების მიმართ

1. დღევანდელი ათეისტები ქრისტეს ანალოგიებში თითქოსდა ქრისტეანული რელიგიის სიცრუეს ხედავენ. ასევე სიცრუის არგუმენტად მიიჩნიათ სხვადასხვა ხალხთა რელიგიებში განსხვავებული შეხედულებები სამებაზე. სახარების ოთხთავში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებზე მიანიშნებენ და უარყოფენ ღვთისმშობლის მიერ სულიწმიდით მუცლადღებას.

2. ქრისტემდე ხუთასი წლით ადრე ეგვიპტელები თავიანთ სცემდნენ ქალღმერთ იზიდას. ათეისტები იზიდას აიგივებდნენ ღვთისმშობელ მარიამთან;

3. პომპეიში ნანახია ვულკანის მიერ შთანთქმულ ქალაქში კედელზე შესრულებული ფერწერული ნამუშევარი — ვირზე ამხედრებული იზიდა შეილითურთ იხიანება ეგვიპტეში.

4. ასევე, ძველ ინდოეთში იყო თქმულება ღმერთ კრიშნაზე. აქაც პატარა კრიშნა ჯამრაზე გადაჰყავთ, რათა ბავშვი განერიდებინათ მეფე კანსის მრისხანებისათვის, რომელსაც ბრძანება გაუცია ყრმათა ამოწვევტისა.

5. ეს გამოსახულება დღესაც არსებობს თურმე გიმის ერთ-ერთი მუზეუმში. იქაც ასევეა ნათქვამი: კრიშნა მოსპობს ქვეყანაზე ბოროტებას, ის სასწაულებს მოახდენს, შემდეგ მოკვდება და დადებს აღთქმას, რომ

კვლავ მოვა ქვეყანაზე საუკუნის დასასრულს.

6. ამბობენ, თითქოს ქრისტეანული სახარება ქრისტეს აღდგომიდან ასი წლის შემდეგ შეიქმნა.

7. ძველი წელთაღრიცხვის ეგვიპტის კალენდრში, ღენფრაში, რომელიც ქალღმერთ გატორს ეძღვნებოდა, კედელზე გამოსახულია „ქალღმერთი“ ყრმით ხელში.

8. ათეში, კართაგენში, კვიროსზე გათხრებისას, ასურეთში ნაპოვნია გამოსახულება, რომელზედაც აღბეჭდილია ღვთისმშობელი ყრმით ხელში.

9. ასევე ნათქვამია, რომ ქალწულ თონას ჰყავდა რამდენიმე შვილი. მინერვაც მრავალგზის იყო დედა ქალწულად დარჩენილი, თუმცა ღმერთ ვულკანს იუნონაზე ძალა ჰქონდა გამოეჩვენებოდა ისევე, როგორც ნეპტუნს მინერვაზე, მაგრამ ორთავენი ქალწულებად დარჩნენ.

10. ატტის ფრიგიული ღმერთი დაბადებულია ქალიშვილისაგან.

ბერძენთა ღმერთი დიონისე, თითქოს ზევსისა და ქალწულ ქალღმერთის პერსეფონას შვილია.

12. სირიის ღმერთი აღონისი, ოსირისი, პირველი პირი ეგვიპტური სამებისა და ხპარსეთის შიტრა — სამთავენი იშვენენ ქალწულისაგან.

13. ბუდა წმინდა ქალწულ მაიაში განკაცდა, იშვა, მოკვდა და ამაღლდა.

14. ქრისტემდე ხუთასი წლით ადრე ირანში არსებობდა ზარატუსტრა, რომელიც, როგორც ქრისტე, უმანკოდ ჩაისახა: ღმერთმა ორმუხვდმა გამოაგზავნა მთავარანგელოზი, რომელმაც ზარატუსტრას დედას გადასცა სულაწმიდის მცენარე, რის შედეგადაც წმიდად იშვა ზარატუსტრა, მერე თითქოს მოინდომეს ბავშვის დალუპება, მაგრამ ღმერთმა აუწყა მათ ამის შესახებ და ისინი გაიხიზნენ. ეშმაკი გამოცდის მას უღაბნოში. ზარატუსტრა დადიოდა ქვეყანაზე, ხალხს რწმენას უწერგავდა, ახდენდა სასწაულებს, კურნავდა ავადმყოფებს, ბრძმებს, კუზიანებს, მუნჯებს, როგორც თვით ქრისტე.

15. ურთიერთსაპირისპირო აზრებით ათეისტები ცდილობენ დააბნინონ მორწმუნე ადამიანები.

16. წინასწარმეტყველები აღაშინებს მესიის მოსვლაზე შიანიშნებდნენ და მით მასთან შესახებდრად ამზადებდნენ, ხალხიც ღვთის რჩეულებს ენდობოდა.

17. იცოდა რა ეშმაკმა, რომ ქრისტე ქვეყანაზე მოვა, კაცობრიობას ცოდვის უძიმეს უღელს ახსნის, გაათავისუფლებს ადამიანს და ეშმაკის ხელშეკრულების საფუძველზე ჯოჯოხეთში დატყვევებულ ყველა მიცვალებულთა სულს და თავისი ნათლობით გზას გაუხსნის სასუფეველისაკენ, იწყო ცრუ ამბავთა თხზვა, კერძოდ, ქრისტეს განკაცებამდე მესიის მრავალი პროტოტიპის შექმნა და აგრერიგად ინდომა ხალხის დაბნევა.

18. მხოლოდ არასწორი რელიგიის მესაკუთრე ერებს შეეძლოთ მიეღოთ ყალბი ინფორმაცია. ასე შეიქმნენ ყველა ურჯულოთათვის ეშმაკის მიერ შეძლეული ცრუ მესიები: ზარატუსტრა, კრიშნა, ბუდა, მუჰამედი და სხვანი.

19. ქრისტეს მრავალნაირი პროტოტიპი იმისთვის იყო საჭირო, რომ ბოლოს, ჭეშმარიტი მესიის მოსვლისას, „მესიათა“

მრავლობის გამო, ხალხს ნამდვილ მესიაში ეჭვი შეჰპაროდა.

20. ჭეშმარიტი მესიის გამოსარჩევად უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ ბიბლიას, რომლის არსებობა შორეულ წარსულში იწყება. ბიბლიის ჭეშმარიტება თვით ყურანის ავტორმაც კი ვერ უარყო, იგი მუჰამედმა ცნო წმიდა წიგნად, ანუ ღვთის განმგებლობის გამოცხადებად.

21. თუკი ბიბლიის წინასწარმეტყველებებს შეადარებთ მსოფლიოს ხალხთა ისტორიის მსვლელობას, გაგოცებთ მათი სიმართლე. ეშმაკთა ყველა ცრუ ვერსიის გასაუქმებლად დანიელის ერთი წინასწარმეტყველებაც საკმარისია. მან ქრისტეს დაბადების თარიღი დასვა; თქვა: ჭეშმარიტი მესია დაიბადება, როცა კამოიციმა ბრძანებულება იერუსალიმის კედლების აღდგენიდან სამოცდაათ შვიდეულზე, ე.ი. 490 წლის შემდეგ. ამით დანიელის წინასწარმეტყველებამ გააცამტვერა ეშმაკის მიერ შექმნილი ყველა ცრუ მესიათა ანალოგიები. მეხუთე საუკუნეში (მე. წ. აღრიცხვით) სპარსეთის მეფე კიროსმა გამოსცა დანიელის მიერ ნაწინასწარმეტყველები ბრძანება იერუსალიმის კედლებისა და იაკვეს ტაძრის აღდგენის შესახებ.

22. ჭეშმარიტი მესია პირველ საუკუნეში უნდა დაბადებულიყო. ამის შემდეგ, ვერც მასზე ადრე და ვერც მასზე გვიან დაბადებულთა მესიაობას ვერ ვირწმუნებთ. თუკი ვინმე ძველი აღთქმიდან მოტანილ საბუთს არ დაყრდნობა, მან საბუთად უნდა იკმაროს თვით სპარსეთის მეფის კამბიზის ხილვა ჯვარცმულ მესიაზე ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში (იხ. Ed. Schure, L'Evolution Divine, Paris, 1912, pp. 258-259).

23. ეშმაკმა მრავალი ანალოგი შექმნა ქრისტესი და ღვთისმშობლისა, მაგრამ კაცობრიობა მხოლოდ ჯვარცმულ მაცხოვარს ენდობა, როგორც ელოდა თვით დავით წინასწარმეტყველი: „განხვრიტნეს ხელნი ჩემნი და ფეხნი ჩემნი...“ და არა მრავალცო-

ლიან მუჰამედს, ან ბრმა კრიშნას, ან თავისი სიკვდილით მიცვალებულთ. კაცობრიობა მხოლოდ სისხლდანთხეულ ჯვარცმულ ქრისტეს ცნობს მაცხოვრად.

24. ჩვენც ასევე ვენდობით მხოლოდ ბეთლემში დაბადებულს, რადგან ნაწინასწარმეტყველები იყო: „და შენ, ბეთლემ, იუდას ქვეყანაო, არაფრითა ხარ უმცირესი იუდას მთავართა შორის, ვინაიდან შენგან გამოვა მთავარი, რომელიც დამწყემსავს ჩემს ერს ისრაელს“ (მათ., 2, 6).

25. ასევე, ჩვენ ვენდობით არა სხვა რჯულიდან წარმოშობილ მესიას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იუდას ტომიდან აღორძინებულს.

ასევე ვერ ვენდობით ყველა „მესიას“, რომლებმაც ვერაფერი თქვეს მომავალზე ისე, როგორც ეს ჰქმნარიტმა მესიამ – ქრისტემ გვაუწყა იოანეს გამოცხადებაში.

26. ესეც უტყუარია, რამეთუ ცის ამბავი ცისიერისათვის უფროვე ნათელია, ვიდრე მიწიერისათვის, ამიტომაც განრისხებულმა ბოროტმა ანგელოზმა სიცრუით განუმარტა კაცობრიობას სამების საიდუმლო იმის გამო, რომ, როდესაც სამების შესახებ ჰქმნარიტებას გვაუწყებდნენ, კაცს ეჭვი გასჩენოდა და სამების ჰქმნარიტი გაგებაც ზემოვე სხეულს სიცრუეთა რიგში ჩამდგარიყო.

27. ეშმაკს რომ ჰქმნარიტი სამების საიდუმლო კაცობრიობისათვის ქრისტემდე ეუწყებინა, რაღა სამღერავი ვეტქმოდა მის მიმართ დროზე ადრე ჰქმნარიტი სამების დიდებისათვის. ამგვარი ღვაწლით ხომ მადლს მოიპოვებდნენ ადამიანები და არა სასჯელს. ეშმაკის ამგვარი მოქმედება სხვას არას ნიშნავდა, თუ არა სიცრუეს, მკრეხელური აზრების დამკვიდრებასა და მიყოლას. რადგან ღმერთის არსებობის მკრეხელური შემეცნება სხვას არას უქადის კაცობრიობას, თუ არა წარწყმედას.

28. სამების შესახებ ჰქმნარიტება ძველ აღთქმაშია მოცემული, მაგრამ შეფარულად, ვინაიდან ძე ღმერთის გამოჩენის შემდეგ

უნდა ყოფილიყო იგი საქვეწოთ ჰქმნარიტებად გახელილი; ვინაიდან ძე ღმერთიდან უნდა მომხდარიყო მამა ღმერთისა და სულიწმინდის შემეცნება.

29. როგორც სამების არაამლიარებელი, ასევე ცრუ სამების ამლიარებელი ვერა წაწყმედილია;

30. მამა ღმერთს ბევრი აღიდებს, სულიწმინდასაც, მაგრამ ვერი, რომელიც ძე ღმერთს არა ცნობს – წყველია. მამისადმი ერთგულება ჯვარცმული შეილისადმი თავგანსი მდგომარეობს. საკითხავია, ღებულობს კი მამა თავისი ძის უარმყოფელთა ლოცვა-ვედრებას?!

31. მოსე რაბინმა ძე ღმერთის, ანუ ქრისტეს შესახებ თქვა: ებრაელებო! ღმერთი აღვიდგენთ ჩვენივე რჯულიდან ჩემნაირ წინასწარმეტყველს და მას უსმინეთო.

32. ინდოეთში ძველი წელთაღრიცხვის ეამს არსებობდა სამების კულტი, „მამა ღმერთი“ ავიტრი, ციური მზის ღვთაება; „ძე ღმერთი“, კრავი ღვთისა გნი; „ღმერთი სულიწმიდა – ვითუ, ამას ემატება ის გარკობა, რომ ღმერთის დედად ცნობენ მამას, მამას ქმრად კი – ხურო ტვასტის.

33. ბაბილონის სამება შედგებოდა „ღმერთებისაგან“: შემქმნელი ცისა, ვა – მიწის შემქმნელი და ბელა (ბაალი, ვაალი) – შემქმნელი ყოველივე დანარჩენი სამყაროსი. შუა ბაბილონს გააჩნდა თავისი სამება: ძე, შამაში და იშთარი. სამხრეთ ბაბილონს გააჩნდა თავისი სამება: მამა ღმერთი – ვა, დედა ღვთისა – დაკინა და ძე ღვთისა – დუმუი.

34. ინდუსებსაც გააჩნდათ თავიანთი სამება. მანვას კანონებში (უძველესი კანონთა კრებული ინდოეთისა) თქმულია: უზენავსმა ბატონმა მსაჯულმა დამოუკიდებლად განყო სხეული თავისი ორ ნაწილად: ქალურად და მამაკაცურად, და ამ ორი საწყისის შეერთებით დაიბადა ვერნი – ძე, ასე გაჩნდა პირველყოფილი ღვთაებრივი სამება: ნარა – მამა, ნარი – დედა, ვერნი – ძე. დედამიწაზე ეს

სამება გადაიქცა სხვა სამებად: ბრძანება, ვიწმუნ და შივა (ლაკშიმ).

35. შეიქმნა ხლართო სხვადასხვა მოთხრობებისა ღმერთის გაჩენის შესახებ. არანასა და გორუსაზე, დიონისეზე, ადონისზე, მზოურ ღვთაება აგნიზე, მაგრამ კაცობრიობას ჭეშმარიტება აინტერესებს.

36. ჩვენ დავინახეთ მრავალნაირი გაგება სამებისა. თითქოსდა ამაში არა უნდა იყოს რა საზიანო, მაგრამ საინტერესოა, არის თუ არა ეს შეხედულებები სწორი.

37. ანგელოზმა ხომ აღამიანზე უწინარეს იცოდა სამების ჭეშმარიტება. ასე ბრძანა ქრისტემ: მამა ღმერთი იმას ჰყავს, ვისაც ძე ღმერთი გააჩნიაო. ძეს კი მეორედ მოსვლისას ცოცხალთა და მკვლართა განკითხვის უფლებამოსილება მიეცა.

38. ე.ი. სამარადეამო ცხოვრების უფლებას მხოლოდ ქრისტე იძლევა, რადგან ის არის ერთადერთი ძე მამა ღმერთისა, კაცობრიობისათვის სისხლდანთხეული; დაბნეულ კაცობრიობას, რომელიც ძე ღმერთს განირიღებს, განირიღებს მამა ღმერთი.

39. ასე რომ, სამების მეორე პირის — ძის შემეცნების შემდეგ შეიცნობა მამა ღმერთიცა და სულიწმიდაც.

40. ერი, რომელსაც საუკუნის დასასრულს ხელთ შერჩა საუკუნის დასაწყისში ეშმაკის მიერ შემოიჩრებული ცრუ და მკრებნელოური შემეცნება სამებისა, ანკესზე წამოგებულ იმ თევზს ჰგავს, რომელმაც დიდი იმედით ჩაყლაპა „საკბილო“, მაგრამ უკრ არ უგერძენია ბასრი ჭანგის მომაკვდინებელი მოჭიდება, ამოგდების დროს რომ შეიგრძნობს.

41. ასე რომ, მრავალი ანალოგია და მათ შორის ყველა ამ ცრუ მესიების ქრისტესნაირად 25 დეკემბერს დაბადებაც კი ეშმაკის მზაკვრული საქმიანობაა.

42. ქრისტემდე არც ერთი რელიგია ღმერთისათვის მოსაწონი არ იყო, გარდა იუდაიზმისა, ხოლო ქრისტეს შემდეგ მან მოიწონა მხოლოდ ქრისტეანობა. ვინმე იტყვის: მაშ, ეს სხვა რელიგიები ღმერთის

არა მძაგებელნი, არამედ მადიდებელნი, რად უნდა იქნან უარყოფილნიო.

43. მიუხედავად იმისა, რომ დედამიწაზე ქუხდნენ იმპერიები თავიანთი რელიგიებით, ღმერთს მაინც არად მიუჩნევია ისინი მათი არასწორი რელიგიური შემეცნების გამო.

44. საბუთად ღმერთთან ეზრა წინასწარმეტყველის დიალოგი კმარა, სადაც ნათქვამია, რომ ყველა ერთა შორის ღმერთმა ებრაელები აირჩია და, რა თქმა უნდა, ამას ყოველივეს განსაზღვრავდა ებრაელთა სწორი რელიგიური ორიენტაცია. დანარჩენი ხალხი უფალმა თავიანთი ყალბი რელიგიებითურთ ნაფურთხს შეადარა. ამ „დანარჩენებში“ მოექცა ყველა: ინდოელიც, ბაბილონელიც, თვით ეგვიპტელიც და სხვანიც.

45. მაშინაც მათ სამებაზე ზემოხსენებული შეხედულებები ჰქონდათ, მაგრამ სათნოდ ვერ იქნენ ღვთისაგან მიჩნეულნი. აქედან გამომდინარე, სულის გადამრჩენელ ერთადერთ მოძღვრებად ქრისტეს დაბადებამდე ღმერთი იუდაიზმს თვლიდა, ხოლო შემდეგ კი — ქრისტეანულ მოძღვრებას.

46. ვირწმუნოთ ბიბლიური წინასწარმეტყველება, სადაც უფალი ეგვიპტეს, სირიასა და ლიბანს სჯის იმის გამო, რომ თავიანთი ბატონობის ჟამს მათ გაამწარეს ღვთით რჩეული ერი — ებრაელები.

47. ასე ითქვა ბიბლიაში: ღმერთი ებრაელებს მოუყრის თავს საუკუნის დასასრულს თავიანთ ქვეყანაში და მაშინ იტირებენ ეგვიპტე, ლიბანი და სირია.

48. იკმარეთ დღევანდელი ფაქტი საბუთად: ებრაელებმა თავი კარგა ხანია მოიყარეს თავიანთ ქვეყანაში და ხედავთ როგორ ასრულდა ნაწინასწარმეტყველები. წინასწარმეტყველებანი დასაბამიდან დასასრულამდე არსად არ არის ასე სრულად და საუკუნეების მიხედვით ასე თანამიმდევრობით წარმოჩენილი, როგორც ბიბლიაშია.

სახარებისეული შენიშვნების შესახებ:

49. ათვისტები სახარებაში ეძიებენ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს. მოჰყავთ

რამდენიმე მაგალითი და ამით სურთ ამხილონ ახალი აღთქმის არაღვთიურობა. გავეცნოთ მათ:

„ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმერთის ძეგბად იწოდებიან“ (მათ., 5, 9).

50. „ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი, რათა მშვიდობა მომეტანა ამ ქვეყნად; მშვიდობის მომტანად კი არ მოვედი, არამედ მახვილისა“ (მათ., 10, 34).

თუკი მშვიდობის მყოფელი ღმერთის ძედ იწოდება, მამ რატომ ბრძანებს, მშვიდობა კი არ მომიტანია ქვეყანაზე, არამედ ხმალი მოვიტანეო. თუკი ეს ასეა, მაშინ რანაირად ეწოდება ქრისტეს ძე ღვთისა?

51. რალა თქმა უნდა, კეთილის მყოფელნი ღმერთის ძეგბად იწოდებიან, ქრისტეც ღმერთის ძედ იწოდება და თვით სიტყვა „ქრისტე“ სხვას არას ნიშნავს, თუ არა „მაცხოვარს“, ესე იგი სიცოცხლის მომნიჭებელს. მაგრამ ისიც არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ქრისტემ თავისი მობრძანებით ბასრი იარაღი — ჯვარი პატიოსანი — მოგვცა მძინეარე მხეცთან საბრძოლველად; ნათლობა კი ქრისტეს ბეჭედი, ურომლისოდაც სასუფეველის კარი დახშულია.

52. ვინაც იწამოს ქრისტე, ვითარცა კრავი უცოდველი, ყველასათვის სისხლდანთხეული, მან იღოს ქრისტეს ნათლობა სულის გადასარჩენად.

53. ასევე, ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობა იქცეს ყველა ქრიტანისათვის მისხაბდ მაგალითად.

54. ქრისტეანის ბრძოლის იარაღი მოთმინებაა, ხოლო საყოველთაო მშვიდობა კი მისი საზრუნავი. ამიტომაც იწოდებიან ქრისტეანები ღმერთის ძეგბად.

55. ქრისტე მოვიდა, ვითარცა ხმალი, იმიტომ რომ განკვეთოს და განარჩიოს თავისიანი და უცხო. მათეს სახარების მე-10 თავის მე-9 პარაგრაფზე რომ გაჩერდა ათვისტი, თუკი სიმაართლის აღდგენა ნებავდა უნდა გაგერძელებინა იმავე თავის პარაგრა-

ფები ოცდამეცხრამეტეძედ, სადაც ნათქვამია: ის განაშორებს მამა-შვილს, და-ძმას, რძალ-დედამთილს. რას ნიშნავს ყოველივე ეს?

56. თუკი პირველ შემთხვევაში ქრისტე კრავია ღირსეულთათვის სისხლდანთხეული, იქ ის იმ ღირსეულთა შორის მშვიდობა და სიყვარული, მათი მაცხოვარებაა; ხოლო უღირსთა და ღირსეულთა შორის ხმალია, რათა მათ შორის ზღვარი დადოს.

57. შეიძლება კი, რომ ეშმაკსა და ქრისტეს ღმერთშემოსილ მონათა შორის მშვიდობა იყოს? თუკი მათ შორის მშვიდობა იქნება, მაშინ ეშმაკი ქრისტეს მშვიდობას გამოიყენებს კეთილის, ღმერთშემოსილის დასაცემად; ქრისტე მათ შორის იყო და იქნება ვითარცა ხმალი არა ღმერთშემოსილთათვის, არამედ ეშმაკის მიმართ.

58. ქრისტე ხმალია — დაბრკოლების ქვა; ვინც ამ ქვაზე დაეცემა, იგი დაიმსხვრევა და ვისაც თავად დაეცემა, მას გასრეხს.

59. „ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმერთის ძეგბად იწოდებიან“. განა ქრისტე ასეთი არ იყო? ვის უნახავს ერთი უმცირესთაგანიც კი მისგან განწირული? როცა ერთ-ერთმა მოციქულმა ქრისტეს ციდან ცეცხლის დაშვება მოსთხოვა ქალაქის დასასჯელად, ქრისტემ უპასუხა: არა მოვსულვარ დასაღუპად, არამედ მოველ გადასარჩენად; აი, როგორია ქრისტეს მშვიდობისმყოფელობა.

60. ვის უნახავს ქრისტეს მოქნეული ხმალი, სახელი „ქრისტე“ ეშმაკთათვის ცოფია, აქ ის ხმალზე უარესია, ხოლო კეთილთათვის მაცხოვარება და სალბუნი.

61. ქრისტე ორთავე შემთხვევაში სიკეთეა — როცა განყოფს და როცა აკავშირებს; განყოფს რა, სიცოცხლისათვის განყოფს; აკავშირებს რა, სიცოცხლისათვის აკავშირებს.

62. ამდენად, მაცხოვარი და მისი მიმდევარი ქრისტეანი არა უბედურების, არამედ სამარადეამო სიკეთისა და მშვიდობის მთესველია, რის გამოც იწოდება ძედ ღვთისად.

63. მეორე შემოხვევაში ქრისტე, მართალია, შეიღსა და მამას განყოფს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ როგორ მამა-შვილზეა აქ ლაპარაკი. ეშმაკის კუთვნილი მამა რანაირად შეიძლება ქრისტეს კუთვნილი შვილის ღირსი იყოს? განა ქრისტე თავის მოყვარე მამისა და თავის მოყვარე შვილის გამთიშველია? განა თავად არ გვასწავლის, რომ თუკი ბოროტი ბოროტს განდევნის, რანაირად დადგება მამის ფეხზე მისი სამეფო? ასევე, თუკი კეთილი კეთილს განდევნის, რანაირად დადგება მისი სამეფო? ქრისტე მხოლოდ უღირს მამასა და ღირსეულ შვილს განყოფს, რადგან ერთი მისი ერთგულია, მეორე კი მისი მტერი.

64. როდესაც მოციქულმა ქრისტეს გარდაცლილი მშობლის დასაფლავების უფლება მოსთხოვა, ქრისტემ უპასუხა: მიცვალებულთ დაუტოვე დასამარხავადო. მიზეზი? იმ მიცვალებულს არა სწამდა ქრისტესი, ამიტომაც ჩათვალა ქრისტემ ის უღირსად და ბრძანა: მისნაირები დამარხავენო, რამეთუ ცოცხალი რომ იყო, მამინაც მიცვალებული იყო უფლისათვის, მოკვდა და მისნაირ მიცვალებულებს მიეცათ მისი დაკრძალვის უფლება.

65. აი, რანაირი გამთიშველი ყოფილა ძმის მიმართ სამოცდაათჯერ შეიდუღლის მიმტეპებელი მაცხოვარი.

უზრუნველობას კი არ ქადაგებს უფალი, არამედ ზედმეტ ჯაფას უარყოფს. კაცი ისე არ უნდა დაიხარჯოს, რომ უმთავრესი საზრუნავი დაივიწყოს. უმთავრესი კი სულის გადარჩენაა.

66. „ნუ აღუდგებით წინ ბოროტს“ (მათ., 5, 39).

ყოველი ხე, რომელიც არ გამოიღებს ვარგის ნაყოფს, მოიჭრება და ცეცხლს მიეცემა“ (მათ., 7, 19).

67. საკუთარ მტერზეა ლაპარაკი. ვინც ბოროტს ბოროტებით მოივერცხვებს, მან ჩაიდინა ცოდვა, შეუდგა ბოროტებას და მით თავად მიიქცა ბოროტად. „არა წინააღმდეგობად ბოროტისა“, – ფაფრთხილებს კვლავ.

68. წყაღწალებულმა, რომელმაც შემოჰკრას მეორე მისნაირ წყაღწალებულს და იმანაც არა ითმინოს და შურის საძიებელი ღვაწლი იწყოს, რაც მას მოუვიდეს, იგივე – მოშურნე უგუნურს. გონიერმა არა იცალოს შურის საძიებლად, არამედ დაუთმინოს ცოფიან უგუნურს და მით ჟამი იგი გამოიყენოს სულის გადასარჩენად.

69. რადგან კაცთა ცოდვისა გამო ეშმაკს მიეცა ქვეყანაზე მეფობის უფლება ძესორ-ცოფლთა განსაძლეულად და მის მიერ დაგებულ ბაღშია ქვეყნიერება მოქცეული, გონიერული საქციელია, იღვაწდე ბოროტის კლანჭებისაგან დასასნლტომად, და მით ღვაწლი შენი ისხამდეს სულის გადასარჩენელ ნაყოფს. უნაყოფობა, რა თქმა უნდა, მარადიული სიცოცხლის ნაცვლად მარადიულ სიკვდილს ნიშნავს და რადგან მისი სიცოცხლის არსი სიკვდილი ყოფილა, იგი დაიდება ცეცხლზე, როგორც უნაყოფო ხე, როგორც ცეცხლისათვის განკუთვნილი.

70. ვინაც არ ინდობა ზრუნვა სულის გადასარჩენად, მან ეშმაკის კალთაში ისურვა ჩარჩენა. სწორედ ამგვართათვისაა იგი ცეცხლი მიჩნეული.

71. ვინაც უკანონო ცხოვრების გამო კერ გამოისხა ნაყოფი, თავად გამოუტანა თავის თავს სასჯელი. რატომ უნდა შევება ჩვენს მტერს, როცა შემიძლია, ქრისტეს სწავლების მიხედვით, მტერი ჩემი მივაქციო ქრისტეს მტრად, და მამინ მას ღმერთთან მოუწვევს შეგმა. ბოროტისაკენ ღმერთს უნდა უტიოგება.

72. თუკი აღამიანის სიცოცხლის დანიშნულება ღმერთისათვის ცხოვრებას წარმოადგენს, უღმერთოდ მაცხოვრებელი ის უნაყოფო ხეა, რომელიც სახარებაზე გვაუწყა და ამიტომაც მიეცემა იგი ცეცხლს.

73. „ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი რჯულის, გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად“ (მათ., 5, 27).

„მამინ მოვიდნენ მასთან იოანეს მოწაფეები და უთხრეს: რატომ ემარხულობთ

ჩვენ და ფარისევლები, შენი მოწაფეები კი არ მარხულობენ? იესუმ უპასუხა: არც ახალ ღვინოს ასხამენ ძველ ტიკებში, თორემ დასკდება ტიკები...“ (მათ., 9, 14-17).

74. როგორც ახალი ღვინო ითხოვს ახალ ტიკორას, რათა გაუძლოს მაჭრის დუღილს, ასევე ახალი რელიგია, რომელიც მამა ღმერთის ნებით უნდა დაფუძნებულიყო, უთუოდ ახალ წეს-ჩვეულებებს მოითხოვდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს რჯულის გაუქმებას, რჯულიდან იოტი არ დაუკარგავს ქრისტეს.

შაბათი, განსასვენებლად და ებრაელი ერის ეგვიპტის ტყვეობიდან დახსნის ნიშნად რომ დაუდო, მამა ღმერთის მიერ გაუქმებული იყო ქრისტემდე, როცა მან ბრძანა: უარყავ თქვენი ახალი მთვარე, წინადაცეთა და შაბათი. შაბათი და სისხლიანი ხელები?

75. უმეტეს იქნა კვირა, რამეთუ უფრო დიდი ტყვეობიდან განთავისუფლდა ჯოჯოხეთში შთაცემული ყველა მიცვალებულის სული, რომლებიც, ადამიანისა და ეშმაკის ხელშეკრულების თანახმად, შთაცვიდნენ ამგვარ ტყვეობაში.

76. შაბათს ავადმყოფებს განკურნავდა, ეშმაკს განასხამდა, მშვირს აპურებდა. აქვე თქვა ქრისტემ: ვის შეუძლია ყოფიერ საქმიანობიდან თავი დააღწიოს, თუ გნებავთ შაბათს? მაშინაც კი, როცა ჰკონიათ არას იქმნან, განა მაშინაც არ იღვაწიან?

77. „...ეინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სამართალში უნდა მიეცეს!“ (მათ., 5, 22).

„...მოვედი, რათა გაეყარო გაუი მამამისს, ქალი დედამისს, რძალი დედამთილს მისას“ (მათ., 10, 35).

78. პირველ შემთხვევაში უნდა გავერკვიოთ თუ ვინ არის „ძმა“. ამაზე თვით ქრისტე გვიპასუხებს: „ჩემი დედა და ჩემიანები ისინი არიან, რომლებიც ისმენენ ჩემს სიტყვასო“ ე.ი. ვინ ყოფილა ჩემი ძმა? ჩემი ძმა შეიძლება არ იყოს დედაჩემის მუცლიდან დაბადებული. ჩემი ძმა ის, რომლებიც ჩემს ღმერთს თავისიანად მოუწნევა. ამგვარ ძმაზე

შურის მამიებელი, რა თქმა უნდა, გასამართლდება.

79. „შეხედეთ ცის ფრინველთ: არც თესავენ, არც მკიან, არც ბედლებს აესებენ და მამა თქვენი ზეციერი არჩენს მათ. ნუთუ თქვენ არ სჯობიხართ ფრინველთ?

80. „...ან სამოსლისთვის რაღადა ზრუნავთ? შეხედეთ, როგორ იზრდებიან ველის შროშანი: არც შრომობენ, არც ართავენ“ (მათ., 6, 26-28).

რადგან ყველა მქონეს მიეცემა და მიემატება, ხოლო არამქონეს წაერთმევა ისიც, რაცა აქვს“ (მათ., 25, 29).

81. გაეცნოთ მათეს სახარების ოცდამეხუთე თავის არა მარტო 29-ე პარაგრაფს, არამედ ამავე თავის მე-14 პარაგრაფიდან 39-ე პარაგრაფის ჩათვლით ყველას, მაშინ უკეთ გავერკვევით თუ ვისზე თქვა ქრისტე ღმერთმა ეს სიტყვა; შინაარსი ასეთია: სხვა ქვეყანაში წამსვლელმა ბატონმა თავის მოწეხს მოუხმო, ჩააბარა მამული, დაურიგა ფული; ერთს მისცა ხუთი მანეთი, მეორეს ორი, მესამეს ერთი მანეთი, თვითონ კი გაემგზავრა სხვა ქვეყანაში.

82. ვისაც ხუთი მანეთი მისცა, მან გამოიყენა ის თანხა საქმეში და იმ ხუთ მანეთს მეორე ხუთი მანეთი მოაგებინა; ვისაც ორი მანეთი მისცა, იმანაც იღვაწა და ორ მანეთს იმანაც ორი მანეთი მოაგებინა; ვისაც ერთი მანეთი ჰქონდა, იმან ეს ფული მიწაში დამარხა და იგი გამოუყენებელი დარჩა. როცა ბატონი მოვიდა, მონები მიიხილნენ. ერთმა თქვა: შენ ხუთი მანეთი მომეცი, ბატონო, მე იმ ფულს მეორე იმდენი მოვაგებინეო. მეორემ თქვა: ორი მანეთი მომეცი, მეც ორ მანეთს მეორე ორი მანეთი მოვაგებინეო. ბატონმა ორივეს მოუწონა ნაღვაწი და უთხრა: რადგან მცირეზე იფავით ერთგული, უმეტესზე დაგაყენებთ, შემოდით თქვენი ბატონის სახარულშიო.

83. ხოლო მესამე მონამ თქვა: ბატონო, გიცნობ შენ, მკაცრი ხარ, იმკი იქ, სადაც არ დაგტყენია, დაშინებული წავედი და დავმალე

შენი მოცემული ფული მიწაში, აჰა, და-
იბრუნეო.

84. ბატონმა უთხრა: ცრუო და ზარმაცო
მონაე, რადგან შენ იცოდი, რომ მე ვიკიპი იქ,
სადაც არა დამითესია და ვაგროვებ იქ, სადაც
არ დამიყრია, მით უმეტეს გამართებად მიგე-
ცა შენი ფული ჩემი ვაკრებისათვის და რო-
ცა მოვიდოდი, მე მივიღებდი ჩემსას ნამა-
ტით.

85. ასე და ამგვარად, გამოართვით მას
ფული და მიეცით მას, რომელმაც ათი მანეთი
მოიპოვა, რამეთუ ვისაც გააჩნია, მას მიეცემა
და გაუმრავლდება, ხოლო არმქონეს წაერთ-
მევა ისიც, რაც გააჩნია, ხოლო უევარგისი
მონა გადააგდეთ სიბნელეშიო.

86. აი, ამგვარია ეს იგავი. ახლა ვნახოთ,
რა მიგვანიშნეს ამ იგავით.

ღმერთი ადამიანებს თავიანთი ბუნების
მიხედვით აძლევს ნიჭს, რომელიც უნდა
ჩადგეს ადამიანის სულის გადასარჩენ სამ-
სახურში, ზოგს ჭარბად აქვს ეს ნიჭი მი-
ცემული, ზოგს მცირედ. ჭარბი ნიჭის მესა-
კუთრემ თუკი ნიჭი დანიშნულების მიხედვით
გამოიყენა, ნაყოფი ნამატით მიიღო; რო-
მელსაც მცირე გააჩნდა ნიჭი და ისიც არ გა-
მოიყენა დანიშნულების მიხედვით, წაერთვა
ისიც, რაც უნდა, რადგან არ გამოიღო ნაყოფი
ქრისტიანული; ვერ ამრავლა რწმენით სათ-
ნობანი, რის გამოც დაკარგა ღვთის
ბოძებული სიკეთე — რწმენა.

87. ასევე — მისი წილი მზე, მისი წილი
წყალი, მისი წილი პური, მისი წილი სიტყ-
ბო, მისი წილი სიხარული და გადაეცა
კეთილის მქნელს მოღვაწეს, რათა უზვი
ჰქონდეს მზე, წყალი, საზრდელი, სიტყბო და
სიხარული. და ისიც, რასაც ჰგულვობდეს
ბედნიერებად.

88. მოღვაწე აუყვება ცაზე გადებულ კი-
ბებს და იმზერებულებს, უქნარა და მცონარი
კიბის პირველ საფეხურზე დაასრულებს სი-
ცოცხლეს და ასე ეზიარება წარსაწყმედელს.

89. „არავის ძალეუმს ორი ბატონის
მონობა“ (მათ., 6, 24).

„მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო
ღმერთს ღმერთისა“ (მათ., 22, 21).

აქ იგულისხმება ღმერთისა და ოქროს —
მაცდურის მონება. ვერ განძღვს ოქროს
მოყვარული კაცის გული და იქცეს იგი უძირო
კილობნად. როგორც წყალწაღებული ვერ
იცლის თევზის დასაჭერად, ასევე ოქროს მა-
დევარი, მისი გულიც ვერ იცლის საუფ-
ლოდ.

90. ვინაც სიცოცხლე შეაღია ნივთს, იგი
მიიტკა ნივთადვე. მხოლოდ ბრძენმა შეიძლოს
თავად იმსახუროს ნივთი და არა თვით
ემსახუროს მას.

ვინაც მდიდარი იყო სიღარიბით და ერ-
თი ბატონის მსახურების მოსურნე, გულიც
მასვე დაუქანოს და საზღაურად იხილოს
უკვდავების ნაყოფი. ამგვარი იყო მონა
ღვთისა.

91. „კეისარს კეისრისაო“ ნიშნავს: უცხო
ბატონი მეფე ეძიებს ოქროს და მიეცეს მას
ოქრო, ხოლო უფლის საზღაური კაცთამიერი
სათნოებაა: ღოცვა და მარხვა, სიმართლე
და წყალობა.

92. რომელიც იტყოდეს, მეფე ბატონს არ
ეკუთვნისო ოქრო, იგი რჯულის დამრღვე-
ველია, რამეთუ შეამბოხეა იგი. ყველა მეფე
უფლის მსახურია და ღირსია მსახურებისა.

93. რადგან ბატონის მსახურია მოღალე,
ხოლო პატრონის — მოვალე, რამეთუ იყოს
ბატონი იგი თავდადებული მწყემსი ფარისა
თვისისა.

რა უბოძებია მეფეს მონისათვის ისეთი,
რომ მონამ გამჩენი თვისი დაივიწყოს.

94. მდგომარეობა განსაზღვრავს საგნის
ფასეულობას, რადგან წყალწაღებული კაცის
ტოპრაკში ოქრო ფასდაკარგულია. ხოლო
ღვთის მონობისას მდგომარეობა ვერც ცვლის
ჭეშმარიტების ფასეულობას, რადგან არა-
ფერი იკარგება უფლის ხელში.

95. როდესაც მონები კეისარს უძღვნიან
თავისას, ღალას უნდნიან სიყვარულის გარეშე.
როდესაც ღმერთს უძღვნიან თავისას,
უსაზღვრო სიყვარულით მოსაყვენ ძღვენს.

96. როცა უცხოების ნაყოფს გთხოვენ, გაატანე, რათა უმეტესი არ წარგტაცონ. აქ შენ ბატონის მოვალე ხარ.

თავდავიწყებული მსახურება ეკუთვნის მხოლოდ გამჩენს და მისიანს. მოვალე ხარ, სიცოცხლევც კი გასწირო მათთვის; აი, სიყვარული; აი, ერთგული მსახურება.

97. ღვთის მონა ვერასოდეს შეიძლება, უფლის გარდა, სხვის მსახურებას. ეს კარგად ჩანს ამავე სახარების ციტატაში: არავის შეუძლია ორი ბატონის მსახურება. აქ იგულისხმება ღმერთისა და ეშმაკის მსახურება. ან კი რანაირად შეიძლება ასე მოხდეს? თუკი მსახურებ ეშმაკს, ვერ მონებ უფალს. და თუკი მსახურებ ღმერთს, ვერ მონებ ეშმაკს, რამეთუ შეუძლებელია ორი ბატონის მსახურება.

98. „ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ“ (მათ., 7-1).

„...ერთად დასხდებით თორმეტ ტახტზე ისრაელის თორმეტი ტომის განსჯად“ (მათ., 19, 28).

პასუხი:

99. პირველ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ არ უნდა თქვა ძვირი მოყვასზე, არ უნდა გაასამართლო ის, უმჯობესია, პირადული მაგალითი მისცე მართალი ცხოვრებისა. რასაც სხვისთვის ინებებ, თავად მოგეცემა, რა საზომითაც მოუზომავე, ისეთივე საზომით მოგიზომავენ. ვინ? რა თქმა უნდა, ღმერთი. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, კარგი გიწადინია სხვისთვის, მაგრამ ცუდად გადაუხდიათ. მართალია, კაცმა ვერ ისაზრა სიკეთით სამაგიერო, მაგრამ უფალს არ დარჩება შენი ქველმოქმედება შეუფასებელი. არ ჰკიცხავ მოყვასს? არ ასამართლებ? მით ცოდვასაც ნაკლებს იღებ. ღმერთიც ისულგრძელებს ცოდვა-მადლის განკითხვისას.

100. მეორე შემთხვევაში რომ ბრძანებს: დასხდებით და გაასამართლებთ 12 მოდგმას ისრაელისასო.

101. აქ მთავარია აქცენტი იმაზე, თუ როდის გაასამართლებენ ისინი ისრაელებს.

როცა დაჯდება კაცობრიობის შვილი თავის დიდების ტახტზე — ეს ხომ კაცობრიობის უკანასკნელი სამსჯავროა. ყველა საიდუმლოების ფარდის ახდის მომენტი. სწორედ ამ დროს ღმერთი აძლევს უფლებას თავის მოციქულებს, რომ გაასამართლონ ისრაელების 12 ტომი და არ იქნება იგი უფლის სიტყვის საწინააღმდეგო.

„ნუ აღუდგებით წინ ბოროტს; არამედ ეინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორედ“ (მათ., 5, 39).

„ჭეშმარიტად გუბნებით თქვენ: განკითხვის დღე სოლომისა და გომორის მხარისათვის უფრო ადვილი იქნება, ვიდრე იმ ქალაქისათვის“ (მათ., 10, 15).

პასუხი:

102. პირველ შემთხვევაში იგულისხმება მტერზე არა იძიო შური, არამედ კეთილუწყავ მას და დაანახე, რომ შენ კეთილი ხარ, ვითარცა გამჩენი შენი და აქვე უნდა გაეხსენსოთ პავლე სიტყვები:

103. „...თუ შენი მტერი მშობრია, დააბურე იგი; თუ მწყურვალა, წყალი ასვი მას; რადგან ამით მოგიზიფე ნაკვერცხლებს აგროვებ მის თავზე“ (რომ., 12, 20). ეს კი ნიშნავს, რომ გამჩენს ეზუდარები, შეუნდოს შენს მტერს დანაშაული, რადგან ისიც შენნაირი აღამიანია, იქნებ შეიგნოს ცოდვა თუ სი და იწყოს ზრუნვა სულის გადასარჩენად, გამრუდებული ცხოვრების გასარანდავად.

104. ამ შემთხვევაში შენი სულგრძელობა იმსახურებს ღვთის წყალობას, და თუკი შენი მტერი კვლავ ცოფიანობს, მაშინ ამ გაბოროტებულს მისი გამჩენი სჯის და არა მისნაირნი აღამიანი. მაგრამ, როცა ათვისტი ხედავს ამ ორ წინადადებაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს, მეორე წინადადება უნდა გაგრძელდეს (მათ., 10, 14-15). აქ გამოჩნდება, რომ ქრისტე სამოციქულოდ წარგზავნილ მოსწავლეებს არიგებს: ოჯახი ან ქალაქი, რომელიც არ იშენს მათ სიტყვებს, სოლომისა და გომორის დარად დაისჯებიან მეორედ მოსვლის ჟამს.

105. თუ პირველ შემთხვევაში ღმერთი აბობს, რომ შენს მტერს კეთილუწყავი, მეორე შემთხვევაში კი, როცა ქალაქი წურად არ იღებს თქვენს ხიტყვას, დაისჯებაო, ნიშნებს, თუ კეთილუწყავ მტერს, ამით მას შენ ღმერთის მიერ დასასჯელად მიაქცევ, ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა მოციქულების სიტყვას არ ისმენს ქალაქი, თვით მოციქულები კი არ სჯიან მათ, არამედ აქაც ღმერთის დასასჯელი ხდება ის ქალაქი და ამას ის მიიღებს მეორედ მოხვლის ფაშს. არაფერია ამ წინადადებებში შეუსაბამო.

106. „თუ გვგულებათ თქვენს შორის კაცი, შევიღმა რომ პური სთხოვოს და ქვა მისცეს მას?“ (მათ., 7,9).

„ხოლო ერთმა მოწაფეთაგანმა უთხრა მას: უფალო, ნება მიბოძე, ჯერ მივიღე და დაემარხო მამა ჩემი. ხოლო იესუმ მიუგო მას: შენ მე გამომყევე, და მკვდრებს მიანდე თავიანთი მკვდრების დამარხვა“ (მათ., 8,21-22).

პასუხი:

107. პირველ შემთხვევაში გასაგებია რომელი მამა მისცემს შეიღს პურის ნაცვლად ქვას?

მაგრამ მეორე შემთხვევაში, როცა ღმერთი შეიღს არ აძლევს მამის დაკრძალვის უფლებას და უბრძანებს, მიეცი საშუალება მკვდრებს, რათა დამარხონ თავიანთი მკვდარიო. ლაპარაკია არა მკვდრებზე, არამედ ცოცხლებზე, რომლებიც მკვდრებად მაჩნია ღმერთს. ვინ არიან ამგვარნი? ისინი, რომლებმაც არ იღეს ქრისტეს ნათელი ბეჭედი და მით განემიჯნენ სამარადეთსო სასუფეველს, ისინი ღმერთისათვის ცოცხალ-მკვდრებს წარმოადგენენ. სწორედ ასეთებისათვის მოვიდა ღმერთი ქვეყანაზე, რათა განაშოროს ისინი ერთუროს. მიტომაც არის, რომ ქრისტე თავად ბრძანებს: „მე არა მშვიდობა მოვიტანე ქვეყანაზე, არამედ მოვიტანე ხმალიო“. ჩვენ ვიცით, რატომ და ვისთვის მოიტანა ქრისტემ ხმალი. ხმალია იგი უღირსთა და ღირსეულთ შორის.

108. ამგვარ მიცვალებულთათვის მისნა-ირმა ცოცხალ-მიცვალებულებმა უნდა იზრუნონ, არ მოცდნენ მათთვის ღირსეულნი, მამაც რომ იყოს, და იყოს იგი იუდასნაირი. არა შეიწუნოს თავი ამგვარი უღირსისათვის — ღმერთკაცის მკვლელისათვის; ასევე ღმერთკაცის მკვლელებად ითვლებიან ყველა ისინი, რომელთაც ღმერთმა სიცოცხლე არუქა სისხლით თვისით, ხოლო მათ კი არამად ჩათვალეს უფლის დაღვრილი სისხლი. ამიტომაც ბრძანებს ღმერთი: „მკვდრებს მიეცი საშუალება დამარხონ თავიანთი მკვდარი“.

109. დამშეული შეიღის გამოწვდილი ხელი არ უნდა გაუვლდეს, როცა სტომაქზეა ლაპარაკი. ასევე იქმს უფალი — ღირსეულთა და უღირსთათვის ერთნაირად აწვიმებს. მაგრამ როცა ღმერთის უარმყოფელი შეიღის თხოვანაზეა ლაპარაკი იგი უთუოდ განიბილდება, ვითარცა იუდა — წყალობის მოწილად.

110. „და თქვა: ამიტომ მიატოვებს კაცი თავის დედ-მამას, და შეერთვის თავის ცოლს, და იქნებიან ორივენი ერთხორცს“ (მათ., 19, 5-6).

„და ყველა, ვინც მიატოვებს თავის სახლს, ან თავის და-მამას, თავის ცოლ-შვილს თუ დედ-მამას, ანდა თავის ადგილ-მამულს ჩემი სახელის გულისათვის, ასმაგად მიიღებს საზღაურს და საუკუნო სიცოცხლეს დაიმკვიდრებს“ (მათ., 19, 29).

111. ჭეშმარიტია უფლის სიტყვა: ადამიანს არ ხელეწიფება თვით შეუღლებული ცოლ-ქმრის გაყრა. მაშ, რატომ გაუკვირდა ათეისტს, როცა კაცმა კი არ განაშორა ცოლ-ქმარი ერთმანეთს, არამედ, სადიდებლად უფლისად, თავად ინებეს ამგვარი ღვაწლი. განა ჩვენთვის სისხლდანთხეული ღმერთი არ არის იმისი ღირსი, რომ სიცოცხლეც კი გავიმეტოთ საკუთარი უფლის სადიდებლად?

112. ამგვარი საქციელი სათნოა უფლის თვალში — და ნურვინ იფიქრებს, უმოწყალოდ დაყრილია დროებით მიტოვებული ცოლ-

შეილი, ღმერთი ასულდგმულებს ყოველ სულიერს, მოსავს და კვებას მათ. ამგვარი გამოცდის წინაშე დაყენებულ მიტოვებულთა პატრონი და მარადი ცხოვრება არის ის ჯვარი, რომლის პატივით ტარების შემდეგ მოგვესადაგება მარადიული ბედნიერება და ასწილ გახარებული ვიქნებით უფლის წინაშე. დაეიწყებულ იქნება ყველა მწუნარება, ვითარცა მძიმე სიზმრის შემდეგ განკრთომილისა.

113. პირველ შემთხვევაში ნათლად არის ნათქვამი: „ისინი, ვინც ღმერთმა შეაუღლა, ნურვინ დაასოროებს მათ ერთმანეთს“. დააკვირდით, ვის არა აქვს უფლება, რომ ღმერთის მიერ შეუღლებულნი დაასოროს ერთმანეთს? ე. ი. აღამანს ვერძალბა ღვთით შეუღლებული ცოლ-ქმრის გაყრა. მაგრამ მეორე შემთხვევაში, როცა ღმერთი ბრძანებს, ვინც ჩემი გულისათვის დატოვოს ცოლი თვისიო, ნათლად ჩანს, რომ მხოლოდ უფლის გულისათვის შეიძლება დატოვოს კაცმა ცოლი თვისი. ამ შემთხვევაში არა კაცი განყოფს ცოლ-ქმარსა, არამედ ღმერთის სიყვარული — უფრო მაღალი გრძნობა, უფრო აღმატებული სიწმინდისათვის.

114. ამ შემთხვევაში ღმერთი ცოლ-ქმრის გაყრის უფლებას იძლევა. თუკი ვინმეს აზრი დაებადება, რა უნდა ქნას დატოვებულმა ცოლმაო, ამაზე ათი მცნება მიანიშნებს, რა თქმა უნდა: არა იმრუშოს და პატიოსანი დეაწლით, როგორც ეკადრება წმიდანის მკურნალს, ისე იდეაწოს, და თუკი თავის მართლებას დაიწყებს იმის გამო, რომ მისმა განწირულმა ბუნებამ შესთავაზა მას სამარადეაო ცეცხლში ყოფნა, არ იქნება მართალი. ბოროტი ბოროტებას იქმს, კეთილი კი — მარად კეთილს.

115. „აი, ეს თორმეტი წარგზავნა იესუმ, უბრძანა და უთხრა მათ: წარმართთა გზით ნუ ივლით, და ნუ შეხვალთ სამარეულთა ქალაქში. არამედ მიაკითხეთ უპირატესად ისრაელის სახლის დაკარგულ ცხერებს“ (მათ., 10, 5-6).

116. „პატივი ეცი მამას შენსას და დედას; და შეყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (მათ., 19, 19).

117. პასუხი:

„შეიყვარე მოყვასი შენი“ — უნდა იცოდეთ, თუ ვინ არის მოყვასი. ამაზე ქრისტემ სახარებაში მიგვითითა იგავით, სადაც დაჭრილ მგზავრს თავისიანებმა ჩაუარეს, ხოლო უცნომ (სამარტელმა) უპატრონა, დააბინავა, სასტუმროში მისი მოსაველელი ფულიცკი გადაიხადა. ასეთ კაცზე მიანიშნა ქრისტემ: აი, ხომ ხედავთ, თუ ვინ ყოფილა მოყვასი. ე. ი. მოყვასი შეიძლება იყოს უცხოც, თუკი ის კეთილის მქნელია, მაგრამ ქრისტემ დაასვა რა თავისი ბეჭედი აღამიანებს, ამით ისინი სამარადეაო სასუფეველისათვის მიინიშნა და დასძინა: ღმერთო, გადამირჩინე ისინი, ვისთვისაც მე ვლოცულობო. ქრისტე ვოცულობს მხოლოდ თავისიანებისათვის, მათთვის, რომლებმაც ქრისტეს ბეჭედი იფიც. შეიძლება აღამიანი ქრისტეს ბეჭედანი იყოს, მაგრამ უღირსი, რომელსაც თავისი ცოდვებისა გამო არა დაემკვიდროს სამარადეაო სასუფეველი. ასეთი კაცი არ შეიძლება იყოს მოყვასი შენი.

118. რამდენადაც ქრისტე, ებრაელების რჯულიდან უნდა აღმდგარიყო, მას ევალეობოდა უპირველესად ებრაელთა და შემდგომ კი სხვათა მოქცევა, ამიტომ იგი თავის პირველ მოსწავლეებს უკრძალავს საქადაგებლად წარმართთა ქალაქში შესვლას. ე. ი. უპირველესად ებრაელთა მოქცევა ნებას, შემდგომ — წარმართთა.

119. მაგალითისათვის გავეცნოთ მათეს სახარების მე-15 თავის 21-ე პარაგრაფიდან 28-ე პარაგრაფის ჩათვლით იგავს ქანანელ ქალზე, რომლის შეილი შეპყრობილი იყო ავი სულისაგან და ქრისტეს შესთხოვდა შევლას. მას ქრისტემ უთხრა: „არ არს კარგი, როცა შეილს წაართმევ პურს და სხვას მისცემ“. ქალმა უპასუხა: „როცა შეილები ჭამენ, მათი მაგიდიდან ჩამოცვენილ ნამცეცებს ძალღებიც მიირთმევენო“. ქრისტემ მო-

უწონა მას რწმენა და მისცა წყალობა. იგავის განმარტება ასეთია: მართალია, ქრისტე ყველას ეკუთვნის, მაგრამ იგი უპირველესად, თავისი ხალხისათვისაა მოვლენილი, მისი, როგორც ებრაელის, როგორც იუდეველთა რჯულიდან აღმდგარის წყალობა უპირველესად მხოლოდ თავის ხალხს ეკუთვნოდა. იმ ხალხს, რომლისთვისაც ღმერთმა საუკუნე გააჩინა. ამიტომ იყო, ქრისტემ უთხრა ქანანეველს: არ არის ლამაზი — შეილს წაართვა ლუკმა და სხვებს მისცევო. ქალის პასუხი კი ნიშნავდა: მართალია, ჩვენ არა ვართ ღვთის რჩეული ხალხი, მაგრამ ჩვენც გვინდა სამარადეაჲმო სასუფეველიო, და წყალობა შენი ებრაელებთან — შენს საკუთარ შეილებთან ერთად ჩვენც გაგვიწილეო.

120. დააკვირდით, რა უპასუხა ქრისტემ: „დიდ არს, ქალო, სარწმუნოება შენი, დე იყოს ისე, როგორც შენ გნებავსო“. ასეა, თუკი წარმართნი ინდომებენ და დაანახებენ უფალს თავიანთი სულის გადასაჩენ ღვაწლს, ქრისტე მისცემს წყალობას არა-და, მრავალნი დარჩნენ ცეცხლის ლუკმად, რომელთაც არა მოსთხოვეს ქრისტეს წყალობა.

121. „ხოლო თქვენს შორის ნუ იქნება ასე, არამედ ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, თქვენს მსახურად იქცეს. და ვინც თქვენს შორის მოისურვებს პირველობას, თქვენს მონად იქცეს“ (მათ., 20, 26-27).

122. „არ არის მოწაფე თავის მოძღვარზე უმეტესი, და არც მონა თავის მბრძანებელზე უპირატესი“ (მათ., 10, 24).

123. პასუხი:

პირველ შემთხვევაში ნაგულისხმევია: ვინც ინებებს პირველობას, მან უნდა აიღოს მზრუნველობა, პატრონობა თავის თავზე. ოჯახში მამაა თავკაცი, მაგრამ იგი ყველას მსახურია. ამის შესახებ ოჯახმა იცის და მამასაც კარგად მოეხსენება, რომ ის პირველია.

124. მეორე შემთხვევაში, როდესაც ღმერთი ბრძანებს: მოსწავლე არ არის მასწავლებელზე მაღლა მდგომიო, არ უნდა დავინახოთ

ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, რადგან აქ არის ზახვასმა იმისა, რომ პირველკაცობა არ არის ამპარტაყენებით მინიჭებული გადაცემა. პირველკაცობა უპირველესად სხვათა ზრუნვით, პატრონობით, ერთგული მწყემსობით მოპოვებული პატივია. აქ მსახურთა მსახურებას კისრულობს ბატონობის მოწადინე, ღმერთი სწორედ ამგვარ პირველკაცობას მოუწოდებს დიდკაცობის მსურველთ: როგორც შემცივნებულ შეილებს ბუხართან მამა არ მიაწვრებს მისვლას და როგორც დამშეულ შეილებს მამა არ დაასწვრებს ჭამას და როგორც ვერაინ დაასწვრებს შეილზე აღმართული ხმლისათვის მკერდის შემწერას, სწორედ ამგვარი პირველკაცობაა სათნო და საძინელო. ზერელედ სურვინ შეხედავს პირველკაცობის ტვირთს, ნურვინ იფიქრებს პირველკაცობა ყველგან თავში დგომას ნიშნავს მხოლოდ.

125. თუკი პირველკაცობა ჭამაში ბოლოა, ბრძოლის ველზე პირველი, დაფიქრება მართებს დიდკაცობის მოწადინებს. ათეისტმა მსახური ბატონზე წინ დააყენა. თუკი ბატონს მოუწოდებს მსახურთა მსახურება, პირველი განცხადებით ეს ღირსეული ბატონობის ტიტულია. მეორე განცხადებაში აღინიშნა, რომ მსახური არ არის ბატონზე დიდი, იმიტომ რომ მსახურმა არ იცის რას ნიშნავს საბატონო წინამძღოლობა. ამდენად, მოსწავლე, რომელმაც არ იცის და მასწავლებლისგან შეისწავლის, არ შეიძლება იყოს დიდი თავის მასწავლებელზე. რა ალოგიზმი დაინიშნა აქ ათეისტმა?

126. „განკურნეთ ნეულნი, განწმინდეთ კეთროვანნი, აღადგინეთ მკვდარნი, განდევნეთ ეშმაკნი; უსასყიდლოდ მივიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით“ (მათ., 10, 8).

127. „ნუ წაიტანებთ სარტყლით ნურც ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც რვალს; ნურც აბგას გზაში, ნურც ორ ხელ სამოსს, ნურც ფეხსაცმელს, ნურც არგანს, ვინაიდან ღირსია მამშვრალი თავისი საგზლისა“ (მათ., 10, 9-10).

128. პასუხი:

პირველ შემთხვევაში ქრისტე ღმერთი თავის მოსწავლეებს მოძღვრავს და ანიჭებს ძალმოსილებას – ავადმყოფები განკურნონ, კეთროვანები განწმინდონ, მკედარნი გააცოცხლონ, და თან დასძენს: უსასყიდლოდ მომიცია მაღლი უფლისა და უსასყიდლოდ გაეცითო. ნაჩუქრით ვაჭრობა არ უნდა დაიწყო. ჭეშმარიტია ის მწყემსი, რომელიც მგელთა ხროვას შეებრძოლება, რათა უსწებელი ეყოლოს ფარა. მწყემსი, რომელიც ას მთას გადაივლის, რათა საიმედო სამოვარზე მიდგნოს იგი, დაერდომილთ უდასტაქრებს, ეჭვმიუტანლად კეთილი მწყემსია და ცნვართათვის საკუთარი სიცოცხლის დამდები. განა ასეთი მწყემსის გამოკვება ფარას არ ევალება? ვინ არის მთქმელი იმისა, რომ უსასყიდლოდ მიღებული ღვთიური ტალანტი უსასყიდლოდვე არ გასცა ამგვარმა მწყემსმა.

129. არვინ იქნება ის, რომელიც თავის ყანაში მუშას თავგანწირვით ამუშაებს და არ დააპურებს. უმეტესს რას მოითხოვდნენ, როცა ნაბრძანები ჰქონდათ მოციქულებს არცა ოქრო, არცა ვერცხლი, არცა რვალი, არცა ორი სამოსი თან არ წაეღოთ. დასტაქარს რომ მომაკვდავის პატრონმა უთხრას, სასწრაფოდ შეილი მომაკვდავი განმიკურნე, თან პურიც დააცხე საკუთარი ფქვილით და თავიც დაინაყრეო. განა ეს ძვირფასი დრო თავის შვილს არ დააკლდებოდა? ამიტომ არ დაუმაღლებიათ ლუკმა მწყემსისათვის. ფარა ვალდებულება გამოკვებოს მისი მწყემსი. მანეთის პატრონი, წესისამებრ, მათედს მოიტანს. არას მქონე არას მოიტანს. ამგვართათვის არის ეკლესია საპატრონოდ გაჩენილი, რათა გაღებულნი შენაწირიდან მოხდეს ეკლესიისა და სხვათა ზელმოკლეთა რჩენა.

130. ნათლობისათვის რაიმე ნივთის ან სამოსის შესაძენად საჭირო იქნება მრევლის მიერ ხარჯის გაღება. ეკლესიას არა აქვს უფლება ვაჭრობა გამართოს მაღლით. უსას-

ყიდლოდ ებოძა, უსასყიდლოდ უნდა გასცეს. თუკი ეკლესია აღამანის სიცოცხლეა, მრევლს ევალება ეკლესიის რჩენა თავისი შემოსავლის მეათედის გაღებით, როგორც ეს დაადგინა მოსემ და როგორც ეს დაუდასტურა ქრისტემ. რა ალოგიზმი ნაზა ათიხტმა ამ ორ ღებულებაში. ეს მისი უღმერთობაა, რათა დაეჭვოს სულის გადარჩენის მოწადინე მისი გადამრჩენელი მოძღვრების ჭეშმარიტებაში.

131. „იენც უმიზნოვ ურისხდება თავის ძმას, სამართალში უნდა მიეცეს; ხოლო ვინც ეტყვის თავის ძმას: რაკა, სინედროინს უნდა წარუდგეს; და ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო, ცეცხლის გეენაში უნდა ჩაეარდეს“ (მათ., 5, 22).

„შლეგო და ბრმანო, რომელი უფრო მეტია: ოქრო თუ ტაძარი?“ (მათ., 23, 17).

132. „გველნი, იქედნეს ნაშიერნი, როგორ გაექცეეთი გეენის სასჯელს?“ (მათ., 23, 33). პასუხი:

133. მაშ, ვისზე არ შეიძლება თქმა იმისა, რომ ის არის უვარგისი. ძმას არ ეკადრება შენგან უვარგისი სიტყვები: „უვარგისო“, „სულელიო“. თუკი ძმას უვარგისს უწოდებ, უნდა გახსოვდეს, რომ ის შენი ძმაა, განა ძმას იმიტომ არ ეძახი, რომ ერთი გყავთ ღმერთი?

რადგან ძმები ვყოფილვართ ქრისტეს-მიერი, ორთავე ქრისტეს სხეულის ნაწილს შეეადგენთ. აქედან გამომდინარე, ძმის შეურაცხყოფელი ქრისტეს შეურაცხყოფელია.

134. ეტყვი ძმას უვარგისს? ე.ი. ქრისტეს სხეულის ნაწილს ჰგულებო უვარგისად. თუკი ეტყვი „უგუნურს“, მით უარესი, ბრძენი ღმერთის ნაწილის უგუნურება გიჩემებია. ამიტომ გეკუთვნის ორთავე შემთხვევაში სასჯელი, პირველნი იგი სინდისის გაფრთხილება, ხოლო მეორეში – გეპინის ვარუარება.

135. ათიხტის მიერ შენიშნულ ურთიერთსაწინააღმდეგო ღებულებას ამ ორ შემთხვევაში ჩვენ ვერ გავიზიარებთ. თუკი პირველ შემთხვევაში ღმერთი კრძალავს უწოდოს

ძმას „უეარგისი“ და „უგონო“, ეს კანონია, რადგან ორთავენი ისინი ქრისტეს სხეულის ნაწილებია. მეორე შემთხვევაში სიტყვები „უენონი“ და „ბრმანი“ და „გველო“, კეუთუნის არა ძმას, არამედ ღვთის ორგულთ, რომლებიც არ წარმოადგენენ ქრისტეს სხეულის ნაწილს, რადგან უარუყვით მათთვის წამებული ღმერთკაცის მიერ დაღვრილი სისხლი მათდა გადასარჩენად.

136. ამიტომაც არიან ისინი ბრმანი, უგონონი და მათი მამაც ეშმაკია, უძველესი ქვეწარმავალი. ამიტომაც არ ექვემდებარებიან მათი შემოსხველნი არც სინოდის განჩინებას და არც ანათემას. მაშ, ათეისტი რა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს პოულობს, როცა ღმერთი თავისიანების მიმართ ითხოვს სათნო მოპყრობას, ზოლო უღირსთა მხილებას.

137. „და პირველად ყველა ხალხს უნდა ექადაგოს სახარება“ (მათ., 13,10).

138. „წარმართთა გზით ნუ ივლით და ნუ შეხვალთ სამარიელთა ქალაქში, არამედ მიაკითხეთ უპირატესად ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებს“ (მათ., 10, 5-6).

პასუხი:

139. პირველ შემთხვევაში, როცა ღმერთი ბრძანებს სახარების ქადაგებას ყველა ხალხისათვის, იგი ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ღმერთი ყველასათვის სისხლდანთხუელია.

140. ამ შემთხვევაში, რაც ათეისტს ენიშნა აზრთა შეუსაბამოდ, მოუღებელია, რადგან აქ მონა ბატონისა არ ცდილობს ბატონის წინაშე დაამტკიცოს პირველადობა, და არც ბატონი ცდილობს მონის წინაშე ამტკიცოს ის, რაც დამტკიცებულა. ასე რომ, ამაოდ აბობოქრებულა ათეისტი.

141. როცა ბრძანებს, წარმართთა გზებზე ნუ ივლით, ეს ის მომენტია, ღმერთმა პირველი ქადაგების მოსმენის უფლება რომ ინება თავისიანებისთვის მიენიჭა, რათა ბოლოს, ანგარიშის გასწორების ჟამს, არ ეთქვათ ებრაელთა ნაშთურებს: საჩვენო სიტყვა არ იყო და ამიტომაც პირველად მათ ასმინესო.

142. სწორედ ამისათვის ბრძანებს ქრისტე: წარმართთა გზებზე ნუ ივლითო. დააკვირდით, დააკვირდით, იმავე თავის მეზუთე, მეექვსე და მეათე პარაგრაფებს. „წარმართთა გზით ნუ ივლით“... ათეისტმა აქ განწყვიტა წინადადება, რომლის გაგრძელება ასეთია: „და ნუ შეხვალთ სამარიელთა ქალაქში. არამედ მიაკითხეთ უპირატესად ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებს“. ზომ დაინახეთ გამოტოვებული ადგილები, სადაც ღმერთი მიაჩნებებს, რომ უპირატესად უნდა იქადაგონ ისრაელებისათვის. ან რა ჭეშმარიტებად ჩაითვლება წინასწარმეტყველის მოხვლა ქვეყანაზე, თუკი ის თავდაპირველად არ არის თავისიანებისათვის მქადაგებელი, შემდგომ კი სხვათა მომტკევი.

143. „და ვინც თქვენს შორის მოისურვებს პირველობას, თქვენს მონად იქცეს“ (მათ., 20,27).

144. „მონა რომ გყავდეს ვინმეს, მხენელი თუ მწყემსი, რომელი თქვენთაგანი ეტყვის მინდვრიდან დაბრუნებულს: მიდი, სუფრას მოუჯექიო? თუ, პირიქით, ეტყვის, მომიზნადე ვახშამი, სარტყელი მოირტყი და მომემსახურე, სანამდის ეჭამ და ესვამ, ზოლო შემდეგ თავადაც ჭამე და სვი“ (ლუკ., 17,7-8).

პასუხი:

145. პირველ შემთხვევაში ნათქვამი ნიშნავს: ვინც თავს დაიმდაბლებს და შეიძლებს ყველას ემსახუროს, ის ჭეშმარიტად დიდი პიროვნებაა. ის მამასავით მონაა შეიძლების სიყვარულში და მარად მსახურია. ასეთი პიროვნება კაცის თვალში შეიძლება პატარად ჩნდეს, მაგრამ ღვთის თვალში იგი პირველია, რადგან კაცთა შორის არა უნებებია მისდამი მსახურება, არამედ სხვათა მსახურად დამდგარა. ვინც პირადული შესწორის სხვათა გადასარჩენად, ის არის პირველი და გამირი.

146. მეორე შემთხვევაში გასაკვირი არაფერია, ბატონმა იმსახურა მონა.

შეიძლება ღვთის თვალში მსახური უფრო სათნო ჩანდეს, ვიდრე ის ბატონი. არავინ გა-

ნიკითხების მეფობითა მეფისა, არცა მუშაკობითა მუშაკისა, არცა გლეხკაცობითა გლეხკაცისა, არამედ სულითა წმიდითა, იგი არს უზენაესის დიდი საბუთი.

147. ვინც ეცდება აიმაღლოს თავი, რათა ჩინებულ იყოს ძმათა შორის, იგი დამდაბლდება, რადგან თავისთავისთვის ცხოვრობს და ამის გამო დაიმდაბლებს თავს, ხოლო ვინც დაიმდაბლებს თავს ძმებს შორის, იგი ამაღლდება.

პასუხი:

148. ჭურჭელმა, რომელმაც სხვა ჭურჭლებს დაუწყო დავა თავისი სიმყარის გამო, ის ჭურჭელი დასაჯა მეჭურჭლეშ, იხილა რა მისი სიამაყე. ვისაც ამგვარი სიამაყე სჭირს, ის დამდაბლდება, რამეთუ სიამაყე წარმოადგენს სატანისეულ მოქმედებას. სიამაყის გამო დაკარგა მთავარანგელოზმა ციხიერი და ეშმაკად იქცა.

149. მეორე შემთხვევაში, როდესაც ღმერთი ქრისტე ბრძანებს: თქვენ მიწიერები ხართ, მე კი ზეციერი, რად გაიკვირებს ათვისტებმა? განა ათვისტს არ გაპორჩა მხედველობიდან ის გარეობა, რომ ამას ჩვენსავით მომაკვდავი კი არ ამბობს, არამედ თვით ღმერთი, რომელიც ღირსია უმაღლესი თაყვანისა, რადგან ის არის სიცოცხლის მომნიჭებელი.

150. განა სიცრუე შეეძლო ეთქვა ღმერთს თავმდაბლობისათვის: რომ თითქოსდა თქვენა ხართ ზეციერი და მე მიწიერიო. ხომ იქნებოდა მტკნარი სიცრუე, რადგან ღმერთი ჭეშმარიტად ზეციერია, ხოლო ჩვენ კი მიწიერი. ამ სიტყვებში ღმერთი კი არ ეცადა განდიდებას, არამედ ჭეშმარიტების დადასტურებას ინდობა. ხოლო სადაც კი იყო საჭირო თავმდაბლობის ჩვენება, მან კარგად დაგვანანა ყველას.

151. როცა ბრძანებს, ვინ არის დედაჩემი, დღისი უარყოფას ან მისი ტიტულის დაკენებას კი არ ნიშნავს, არამედ მის კიდევ უფრო მაღალ ხარისხში აყვანას.

152. რადგან მაცხოვარმა მისი სიტყვისა და საქმის ერთგული ჩათვალა ამგვარ ახ-

ლობად. ათვისტის შენიშვნა ვერ არის სამართლიანი.

153. „ხოლო იესუმ პასუხად თქვა: ვინ არის დედაჩემი? ან ვინ არიან ძმები ჩემი?“ (მათ., 12,48).

154. „ვინც ჩემთან არაა, ჩემს წინააღმდეგა; და ვინც ჩემთან არა კრებს, — ფანტავს“ (მათ., 12,30).

155. „და როდესაც შევიდნენ სახლში, იხილეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან ერთად, და დაემხნენ და თაყვანი სცეს მას“ (მათ., 2,11).

პასუხი:

156. პირველ შემთხვევაში ჩვენთვის ყოველივე ნათელია, რადგან ქრისტე ბრძანებს: ვინც არ მომყვება, ის ჩემი წინააღმდეგიაო. აქ იგულისხმება ის, ვინც ქრისტეს არ ცნობს მესიად და მისი სიტყვა გადამრჩენელ მოძღვრებად არ მიიჩნია. ხოლო მეორე შემთხვევაში, როცა ქრისტე ეუბნება მოციქულებს, იგი ჩემი მიმყოლიაო, რანაირად შეიძლება არ იყოს მისი მომხრე ქრისტეს მიმდევარი.

157. კონკრეტულად აქ ლაპარაკია ვიღაც კაცზე, რომელიც ქრისტეს სახელით განასხამს ეშმაკს, მაგრამ მოციქულებთან არ დადის. მერედა, ის კაცი რომ მოციქულებთან ვერ დადის, ამის გამო განა შეიძლება არ ჩაითვალოს ქრისტეს მიმყოლად?

158. ქრისტეს სახელით ჩადენილი სასწაულები აღიარებს იმ კაცს, თუკი ის არ უსჯულოებს ქრისტეს ქვეშევრდომად, რადგან ის, ვინც ვისი სახელით მოქმედებს, მისი საქმეების მიმყოლია. თუკი კაცი ქრისტეს მოწინააღმდეგეების სახელით იზამდა ამ სასწაულებს, მაშინ ეს კაცი, რა თქმა უნდა, ქრისტესანი არ იქნებოდა, ქრისტესთან ერთად ვერ იქნებოდა და აღმორჩნდებოდა ქრისტეს მოწინააღმდეგე, მაგრამ, თუკი იგი ყოველივე ამას ქრისტეს სახელით სწადიოდა, მაშინ ქრისტეს მიმდევარი ყოფილა. და არა ისე, როგორც ეს ათვისტმა გაიგო. ამოღდ უშებნია ათვისტს ამ ორ ფრაზაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრების წარმოჩენა.

159. „და იქ ყოფნისას მოიწია მისი მშობიარობის უამმა. და შობა ძე თავის პირშეო, ჩერებში შეახვია და ბაგაში ჩააწვინა, ვინაიდან ფუნდუკში ადგილი არ იყო მათთვის...“ (ლუკა, 2, 6-7).

ათვისტს არ მოსწონს, როცა სახარების ერთი ავტორი ქრისტეს დაბადებას ბაგაში აღწერს, მეორე — სახლში. ერთი ეგვიპტეში აცხოვრებს ქრისტეს, მეორე არაფერს ამბობს ამაზე. ერთი წინადაცვეთაზე მინიშნებს, მეორე ამავე დროს ეგვიპტეში ამგზავრებს, ყოველივე ამის გამო ათვისტი სიყალბედ მიიჩნევს სახარებას.

160. როდესაც ქრისტე დაიბადა ბეთლემში, პირველად ეს ამბავი ეუწყა მწყემსებს, მათ იხილეს ქრისტე ბაგაში. ხოლო როცა მოგვები იროლისთან გამოვიდნენ ჩამოვიდნენ ბეთლემში, ქრისტე იხილეს, არა ბაგაში, არამედ სახლში (მათ., 2, 11). ეს ნიშნავს იმას, რომ გავიდა დრო და ქრისტე ბაგიდან სახლში იქნა გადაყვანილი.

161. ნუთუ 40 დღე არ დასჭირდებოდათ ეგვიპტიდან აქლემებით დაძრულ მოგვებს ბეთლემში ჩასასვლელად და კვლავ უკან დასაბრუნებლად, თუკი ათასამდე ვერსი იქნებოდა აღნიშნული მანძილი. გაურკვეველია, რატომ არ მოესწრებოდა, წესისამებრ, ყრმა იესოს წინადაცვეთა ამასობაში;

162. პირველ შემთხვევაში ავტორი გვიწერს გარკვევით, რომ დაბადების შემდეგ მშობლებმა ქრისტე წაიყვანეს ეგვიპტეში, აქ ის დაწერილებით არ აღწერს მის წინადაცვეთის მომენტებს. მას აქცენტი გადააქვს ქრისტეს ეგვიპტეში გამგზავრებაზე და შემდეგ კი კვლავ უკან დაბრუნებაზე.

163. ხოლო, რაც შეეხება სახარების მეორე ავტორს, ის მთავარ ყურადღებას სხვა მომენტზე ამახვილებს. კერძოდ, ქრისტეს წინადაცვეთაზე. ავტორს ამ კუთხით ამის დაწერა იმისთვის დასჭირდა, რომ სიმონისა და წინასწარმეტყველი ქალის სიტყვები თაობისათვის გადაეცა. რომ ეს ახალდაბადებული ბავშვი კეთილშობილად არის მესია.

164. როდესაც მერვე დღეს ქრისტეს შეუსრულეს საწესჩვეულებო რიტუალი, ისინი დაბრუნდნენ ნაზარეთში და აუცილებლად მოემზადნენ ეგვიპტეში საცხოვრებლად დასვლასათვის.

და იქ, სადაც ლუკა ამბობს: ბავშვი შემდეგ იზრდებოდა, ბრძენდებოდაო.

165. აქ არის მინიშნეული, თუ სად გავიდა ეს ზემოთქმული დრო. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლუკა, მართალია, არაფერს ამბობს ეგვიპტეზე, მაგრამ მისი აღწერილი პერიოდი სწორედ ეგვიპტეში იქნეს გატარებული? მართალია, ლუკა ამბობს, რომ ისინი დაბრუნდნენ ნაზარეთში, მაგრამ აზრის გადასვლა, რომ „ბავშვი შემდგომ იზრდებოდა, ბრძენდებოდა“ — ეს მომენტი არ შეეხებოდა ნაზარეთში ცხოვრების პერიოდს. საკითხავია, რატომ არ შეიძლება ჩაითვალოს იგი ეგვიპტეში ქრისტეს მიერ გატარებულ უამად და როცა ლუკა ამბობს, რომ ისინი ჩამოდიოდნენ იერუსალიმში დღესასწაულებზე, რატომ გაიოცეს ეს ათვისტებმა, და რატომ იგულისხმებენ მანცდამანც ყალბ აზრად. რატომ არ შეეძლოთ ჩამოსვლა ღვთისმშობელსა და იოსებს წელიწადში ერთხელ მანც ეგვიპტიდან იერუსალიმში? ეგვიპტიდან იერუსალიმამდე ხომ სამჯერ უფრო ნაკლები მანძილია, ვიდრე თვით ნაზარეთიდან იერუსალიმამდე?

166. აქ უნდა გამახვილდეს ყურადღება მთავარზე, ლუკა თხრობას იწყებს ქრისტეზე 12 წლის ასაკის შემდეგ, რაც მინიშნებს ეგვიპტიდან დაბრუნების მომენტს. ასევე, მათეს სახარებაში 12 წელია მინიშნებული ქრისტეს ეგვიპტიდან დაბრუნების პერიოდად. და თუკი ვინმე იტყვის, რატომ არ აღწერა ყველა ავტორმა ერთნაირად ქრისტეს ცხოვრება და მოღვაწეობაო, ამაზე ვერავის გაკამტყუნებთ. ოთხი ავტორი, ცალ-ცალკე მსხდომარე, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირად დაწერდა ერთი და იგივე ამბავს. ზოგი ერთზე გაამახვილებდა ყურადღებას, ზოგი მეორე მომენტზე, ზოგი მესამეზე. ასე

რომ, თუკი ერთმა ავტორმა ინება დეკლურად აღეწერა ერთი მომენტი ქრისტეს კრებიდან, მეორემ ის მომენტი გაკვირით მოიხიშნა და სხვაზე გაამახვილა ყურადღება. სახარება ისეა დაწერილი, რომ მას მხოლოდ მაღლიანი გაიგებს, უმადურსა და უღმერთოს იგი ურთიერთსაწინააღმდეგო ფრაზებით ავსებული ეჩვენება. და ამიტომაც მიანიშნა რაბინმა, როცა ბავშვი ხელში აიყვანა, რომ იგი დაბრკოლების ქება.

167. ასე რომ, უღმერთოსათვის ქრისტე ჭეშმარიტად დაბრკოლების ქება. ვინც ზედ დაეცემა, იგი დაიშხვრება და ვისაც ეს ქვა დაეცემა — გასრესს.

168. „და დაუდგეს თავით დაწერილი მისი ბრალდება: ეს არის იესუ, იუდეველთა მეფე!“ (მათ., 27, 37).

169. „და მისი ბრალი ამ წარწერით იყო გამოცემული: იუდეველთა მეფე“ (მარკ., 15, 26).

170. „და იყო იქვე ბერძნული, ლათინური და ებრაული ასოებით დაწერილი წარწერა: ეს არის იუდეველთა მეფე“ (ლუკ., 23, 38).

171. „და დაწერა პილატემ წარწერა და დააკრა ჯვარს, ხოლო წარწერა ასეთი იყო: „იესუ ნაზარეველი, იუდეველთა მეფე“ (იოან., 19, 19).

172. აქ ათვისტი დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას:

მთავარი ამ წარწერაში არის ის, რომ ჯვარცმული იუდეველთა მეფეა, რა თქმა უნდა, ცინიკური გაგებით. ამით სურდათ გამასხარაგებინათ იუდეველთა მეფედ წოდებული ქრისტე. ყველა ტექსტში სიტყვები: „რომ ეს არის ის (იუდეველთა მეფე)“,

173. „რომ ეს არის (მეფე იუდეველთა)“, „იესო ნაზარეველი (იუდეველთა მეფე)“, ყველა ეს წარწერა ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია. აქ სამარცხვინო ბოშებ გაკრული პიროვნება იუდეველთა მეფედ წოდებულია. თუ ვინ არის თვით ის იუდეველთა მეფე, ამას გვაუწყებს ის ადამიანი, რომელიც

იდგა ამ წარწერის ქვეშ. ახლა დაგაკვირდეთ რომელი ავტორი გვაუწყებს ამ მომენტს დაბეჯითებით?

174. „და დაუდგეს თავით დაწერილი მისი ბრალდება: ეს არის იესუ, იუდეველთა მეფე“ (მათ., 27, 37).

175. პირველი ავტორი მიანიშნებს წარწერაზე, თუ რა ბრალი ჰქონდა წაყენებული. მისი ბრალდება ის კი არ იყო, რომ ის იესუ ნაზარეველია, არამედ ის, რომ მან თქვა: ის არის „მეფე იუდეველთა“.

176. მეორე ავტორი მიანიშნებს: „და მისი ბრალი ამ წარწერით იყო გამოცემული: იუდეველთა მეფე“ (მარკ., 15, 26).

„იუდეველთა მეფე“. ამ შემთხვევაში ავტორმა ძირითადი ბრალდება დატოვა, დანარჩენებზე ყურადღება არ გავამახვილებია.

177. მესამე ავტორი მიანიშნებს: „და იყო იქვე ბერძნული, ლათინური და ებრაული ასოებით დაწერილი. ეს არის იუდეველთა მეფე“ (ლუკ., 23, 38).

აქ ავტორი გვამცნობს, რომ სამ ენაზე ყოფილა წარწერა, რის შესახებაც, წინა ორ ავტორს არაფერი უთქვამს, თუმცა ყურადღება მასაც მთავარზე აქვს გამახვილებული: „იუდეველთა მეფე“.

ახლა დაგაკვირდეთ იოანეს სახარებას.

178. „და დაწერა წარწერა პილატემ და დააკრა ჯვარს; ხოლო წარწერა ასეთი იყო: იესუ ნაზარეველი, იუდეველთა მეფე. ეს წარწერა ბერძნულად წაიკითხა იუდეველთაგან, ვინაიდან ადგილი, სადაც ჯვარს აცვეს იესუ, ახლოს იყო ქალაქთან; და დაწერილი იყო ებრაულად, ლათინურად და ბერძნულად. ხოლო იუდეველთა მღვდელმთავრებმა უთხრეს პილატეს: ნუ დაწერ: მე ვარ იუდეველთა არამედ როგორც მან თქვა: მე ვარ იუდეველთა მეფე. მიუგო პილატემ: რაც უკეთესი იქნება“ (იოან., 19, 19-22).

179. იოანე დეტალურად აღწერს დაფაზე გაკეთებულ წარწერას და თან გვიდასტურებს, რომ ბერძნულ ებრაულად წაიკითხა იგი, რასაც თავად გვაუწყებს. ამით მან მიგვანიშნა ამ

წარწერის სისწორეზე: იესო ნაზარე-
ველი მეფე ჰურიათა.

ახლა დავაკვირდეთ შემდეგს: სამღვ-
დლოების მაღალი ჩინოსანი ეხვეწება
პილატეს, რომ არ დააწერონ ჯვარზე „მე-
ფე იუდეველთა“, არამედ როგორც ამბობ-
და: „მე ვარ მეფე იუდეველთა“-ო. პილატე
პასუხობს: რაც მე დავწერე, ის დავწერეო.
აქ ნათლად ჩანს, თუ რაზეა აქცენტი გაკე-
თებული.

180. მაშ, ამ ოთხი ავტორიდან რომე-
ლი ამბობს, რაც ჭეშმარიტად დაინახა და
რომელი ამბობს მონათხრობს, სხვისგან
გაგებულს? ყველა ავტორმა მიანიშნა
ძირითადად, რომ იესუს ბრალდება წაუ-
ყენეს, რომ მან თქვა: „მე ვარ მეფე იუდე-
ველთაო“. ამ თქმამი მთავარია, რომ ის
იწორდა მეფედ იუდეველთა. ეს აზრი კი
ოთხივე ავტორმა ერთნაირად გაატარა.

181. ხოლო მეოთხე ავტორმა, იგრძნო
რა, რომ შეიძლებოდა ვინმეს მოეთხოვა
მისი სრული განმარტება, ამიტომ დეტა-
ლურად აღწერა მომხდარი.

დამერწმუნეთ, სახარების დაწერის
შემდეგ ვიღრე მას გაავრცელებდნენ, თა-
ვისუფლად შესძლებდნენ მის გასწორებას
და ათვისებებსაც არას დაუტოვებდნენ
ხელჩასაკიდს, რომ აქ ენახათ ურთიერთ-
გამომრიცხავი დეტალები.

182. შემდეგი საკითხი ასეთია: „მაშინ
იესუ აყვანილ იქნა უდაბნოში სულის
მიერ, ეშმაკისაგან საცდუნებლად. და
იმარხულა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე
და ბოლოს მოშიგდა“ (მათ., 4, 1-2).

183. მათეს სახარების მიხედვით ქრის-
ტე მონათლა, იმარხულა 40 დღე, შემდეგ
გამოიცადა ეშმაკის მიერ და დაიწყო
ქადაგება.

ლუკას სახარებაშიც ზუსტად ასეა.

184. მარკოზის სახარებაშიც ასევეა:
ქრისტე იქაც ნათლობის შემდეგ მიდის
უდაბნოში და მარხულობს 40 დღეს,
შემდეგ კი იწყებს ქადაგებას.

იოანე მარხულობის შესახებ არაფერს
ამბობს და ნათლობის შემდეგ აღწერს
ქრისტეს მოღვაწეობას.

185. იოანეს სახარებაში ნათლობის შემ-
დეგ მომენტს ავტორი იწყებს აბზაცით და
შემოდის ახალი ამბავი, რომელიც შეეხება
ქრისტეს ქადაგებასა და მოღვაწეობას. სამი
ავტორისაგან ვიცით, რომ ქრისტემ მოღვა-
წეობა დაიწყო ნათლობისა და მარხვის, ე.ი.
ეშმაკისაგან გამოცდის შემდეგ.

186. და როცა იოანე ნათლობის შემდეგ
აბზაცით იწყებს ახალ ამბავს, აქ არაფერს
ამბობს საერთოდ მარხვაზე. ეს იმას ნიშნავს,
რომ სწორედ იმ აბზაცის წინა პერიოდი,
რომელიც არ ჩანს აღწერილად, იოანეს
სახარებაში სწორედ ის მოიცავს იმ მარხვისა
და ეშმაკის მიერ გამოცდის პერიოდს.

187. ყველა სახარება ზუსტად ერთნაირი
რომ ყოფილიყო, მაშინ რა საჭირო იქნებო-
და ოთხი ერთნაირი წიგნის არსებობა? მაგ-
რამ რამდენადაც ერთი პიროვნების ამბავი
აღწერა ოთხმა, რა თქმა უნდა, აღიწერა
სხვადასხვა კუთხით. და ეს ოთხივე სახარე-
ბა ერთმანეთს ავსებდა. ის, რაც ერთს
გამორჩა, მეორემ შეავსო; ან ის, რაზედაც
ერთმა ვერ გაამახვილა ყურადღება, მეორემ
ყურად იღო და ამით სრულყოფილად წარ-
მოგვიდგინეს ადამიანთა კატეგორიების გათ-
ვალისწინებით.

188. ათვისებები ცდილობენ ერთიდაი-
გივე მომენტის სხვადასხვანაირ აღწერილო-
ბაში გამოავლინონ სახარების სიცრუე.

189. ათვისები ამბობს: მათეს სახარებაში
ქრისტე მოხსენიებულია იოსების შთამომავ-
ლად. თუკი ქრისტე ნამდვილად იყო იოსების
შთამომავალი, მაშინ რატომ უარყოფენ მას
ქრისტეს მამად? და თუკი ის არ არის ქრისტეს
მამა, მაშინ რატომ მოიხსენიებენ ქრისტეს
იოსების ნაშიერად?

190. ჩვენი ვიცით, რომ ქრისტეს მიწიერი
მამა არ ჰყოლია, მას დედა ჰყავდა მხოლოდ
მიწიერი, და თუკი პავლე ამბობს, რომ ქრის-
ტე იყო დავითის ნათესავი, ეს ნიშნავს იმას,
რომ ქრისტე დედის მხრიდან არის დავითის
ნათესავი, რადგან დვთისმშობლიდან გან-
კაცდა ქრისტე და მოვიდა ხორციელად.

191. პავლე მოციქული რომელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს, რომ იესუ ეგონათ იოსების ძეო; ამავე სიტყვებში ჩანს, რომ ეგონათ და სინამდვილეში კი არ ყოფილა. იოსები ისეთივე მამაა ქრისტესი, როგორც დავითი, რადგან ქრისტე იწოდებოდა დავითის ძედ და არა დარღვეულა წერილი ამით, თუმცა დავითი არ ყოფილა მისი ხორციელი მამა. რა დაირღვა მაშინ, როცა იოსებიც იწოდა მის მამად? არც ამით დარღვეულა წერილი.

192. ათეისტი, როდესაც ხაზს უსვამს სახარებისეულ ორ მომენტს, როგორცაა ბოროტებისადმი სიკეთის დაპირისპირება და ამავე დროს უნაყოფო ხისმოჭრა და ცეცხლზე დადება, აქ ხედავს ურთიერთგამომრიცხავ აზრებს.

პასუხი:

193. ქრისტემდე ადამიანები ცხოვრობდნენ ძველი აღთქმისებრ: „კბილი კბილის წილ“, „სისხლი სისხლის წილ“.

ქვეყანაზე ყოველი ბოროტი უნდა იქნეს ძლეული სიკეთით. — ბრძანა ქრისტემ.

194. ფიზიკურად გაანადგურო ბოროტი, ნიშნავს, თავად ჩაიდინო ბოროტება, რადგან

მკვლელად წარმოჩინდები. ჩემი ქრისტეანული ქვეყნის მოძალადეს დაეუპირისპირდები, ბოროტი ძმის საქციელს დაეთრგუნავ, რადგან ძმა იგი ჩემი და არა ჩემი ქვეყნის მოძალადე.

195. ადამიანის სიცოცხლის არსი იმ დაკარგული უკვდავების დაბრუნებაა, რომელიც მყარება ქრისტეანულ ღვაწლს, იმ გმირულ შემართებას, იმ გონივრულ მოქმედებას, რომლის ნაყოფი უნდა იყოს მხოლოდ სიკეთე, რის მიხედვითაც გვეძლევა სამარადეამო ცხოვრების უფლებამოსილება. ხოლო ადამიანი, რომლის ღვაწლი სასიკეთოს ვერას გამოისხამს, დაემგანება იმ უნაყოფო ხეს, როგორც ქრისტემ ბრძანება. და ამიტომ არ უნდა იქნეს გასაკვირი თუ ამგვარ უნაყოფო, უსარგებლო ხეს დროზე ადრე შთასცემენ თონეს.

196. თუ პირველ შემთხვევაში ქრისტე ქადაგებს მოთმინებას, მეორე შემთხვევაში იგი არ გამოიტაცავს მას, რადგან ამ მოთმინების რეზულტატია სწორედ ის კეთილი ნაყოფი, რომელიც ვერ გამოისხა ხემ თავისი მოუთმენლობის, არამორჩილების, ე.ი. არაქრისტეანული ღვაწლის გამო. ასეთი ხე, რა თქმა უნდა, ცეცხლის ხედრია.

თ ა ვ ი ო რ მ ო ც დ ა მ ი თ ხ უ თ მ ე ტ ე

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

1. მკითხველისათვის ცნობილია ქართული ენის სადიდებელი თხზულება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“.

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსლებისა მისისა, საწამებელად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.“

2. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე ღვლფალმან; ესე არიან ორნი დანი, ვითარცა

მარიამ და მართაი. და მეგობრობაი ამისათვის თქუა, ვითარმედ „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“;

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“.

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისსა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოველად ოთხთათსსა მარაგსა; — და ესე არს ოთხი დღეი, და ოთხისა დღისა მკუდარი. ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მამისაითა.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-დაათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა, ქრისტეის მოსლვითაგან ვიდრე დღესამომდე.

3. და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ ესე წილი ანბანისაი“.

მეცნიერული პოლემიკა თანდათან ხვეწს ჩვენთვის ბუნდოვანებით მოსილი ტექსტის არსს. დღემდე მოდწეული თხზულების სამი პირი მიჩნეულია იოანე-ზოსიმეულ ხელნაწერად; რატომღაც საეკვოდ მიიჩნევენ მის ავტორობას და გამოთქვამენ მოსაზრებას, თითქოს თხზულება მათეუ საუკუნეზე ადრინდელი ნაწარმოებია. ყვრდნობიან ლოგიკას:

4. არსებული სამივე პირი ჭეშმარიტად იოანე-ზოსიმეს ხელით არის დაწერილი და, რომ იოანე-ზოსიმე ამ ნაწარმოების ავტორი ყოფილიყო, ტექსტებს შორის არსებულ განსხვავებას არ დაუშვებდაო.

5. იხილეთ განსხვავებანი ტექტებს შორის:

ა) „და ესე რომელი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ ახი ესე წილი ანბანისაი“.

ბ) „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ ახი ესე წილი ანბანისაი“.

გ) „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ ესე წილი ანბანისაი“.

6. ასევე, ენის მესიანისტური ფუნქცია ვიწრო ნაციონალისტურ ილუზიად იქნა მიჩნეული. იწყეს ტექსტის გარანდვა: ტექსტი არსებული „მისისა“-ს ნაცვლად ჩასეს „მესისა“.

7. „94“-ის ნაცვლად „104“, ხოლო „ახი წილი ანბანისაი“-ს ნაცვლად „ესე წილი ანბანისაი“.

8. ნაწარმოებს რომ მხოლოდ მხატვრობის პრეტენზია ჰქონდეს, მაშინ რედაქ-

ტორის ხელი მოსათმენია, მაგრამ როდესაც წინ აპოკალიფსური ხასიათის ძველი გვიდევეს, თვითნებური ჩარევა მოკლებულია ყოველგვარი მეცნიერული კვლევა-ძიების ნორმებს. ამგვარი ნაწარმოების მიმართ საკუთარი თამამი აზრის გამოთქმა, ცოტა არ იყოს, საფრთხილო საქმეა. იგი არ უნდა ჰგავდეს რომელიმე მხატვრული თხზულების რეცენზიას, რომელმაც ზურგი გაუმაგრა ნაწარმოებს. დროთა განმავლობაში აქ თვით ნაწარმოები განიკითხავს ყველა ინტერპრეტატორს; ასე რომ, ყველა თამამი აზრი სამსჯავროს ელოდება.

9. შემოსენებული თხზულებისადმი არსებობს მრავალნაირი მიდგომა:

ა) იგი შეიძლება აღვიქვათ როგორც ისტორიული მასალა კონკრეტული თარიღის დასადგენად;

ბ) წაკითხულ იქნეს ავტორის ვინაობის დასადგენად;

გ) და გაიშიფროს როგორც აპოკალიფსური დოკუმენტი.

ჩვენთვის ტექტის ახსნა-განმარტება სამთავე კუთხით საინტერესოა, მაგრამ ყველაზე მეტად სასურველია მისი მესამე, აპოკალიფსური განზომილება; რამეთუ ნაწარმოების დანიშნულება და მთავარი არსი სწორედ მისი აპოკალიფსური აღქმაა.

10. თუ ამ საკრალურ ტექსტს გული გამოცაცალეთ, ხელში შეგერჩება მოპოეტო ექსცენტრიკოსის წადილი, რომელსაც არც პოეზიის პრეტენზია ექნება და არც მხატვრული პროზისა (ზოგმა მკვლევარმა ამგვარადვე მიიჩნია იგი). იბაღება კითხვა: რა ღირსებისთვის ინდომა ამ ნაწარმოების მისაკუთრება იოანე-ზოსიმემ? კიდევ რომ ეგერნო ამ ნაწარმოების წინასწარმეტყველური ფასეულობა, ზუთი რამის გამო მაინც ვერ მოაწერდა ხელს ავტორობის უფლებამოსილებით:

ა) თუკი ამ ნაწარმოების ავტორი არსად ჩანდა და ამის გამო იოანე-ზოსიმე ინდომებდა მის მისაკუთრებას, საინტერესოა, რა

ლოგიკაზე შეეძლო დაყრდნობა? თუ ექნებოდა გარანტია იმისა, რომ ნაწერი, რომელიც ხელთ უჭერია, ერთადერთი პირია და ყოველად გამორიცხულია სხვა პირების არსებობა.

ბ) ტექსტი რომ ბერძნული ყოფილიყო, ან ებრაული და გადმოქართულების შემდეგ იოანე-ზოსიმეს მოენდომებინა მისი მისაკუთრება, არც ეს ჩათვლებოდა უშიშარ და გარანტირებულ სვლად; ვერ დაიზღვევდა იგი თავს — აქაც მის სიცრუეს ამხელდნენ ორიგენალის ენაზე არსებული ტექსტის სხვა ნუსხები, რომელთა უგულებელყოფა ყოველად ალოგიკური იქნებოდა.

გ) თუკი იოანე-ზოსიმე პრინციპულად თავისი სახელის უწყებას ინდომებდა ამ ნაწარმოების თარგმნის გამო, იფიქრეთ, რადიდება უნდა მოეჩანა მისთვის ამ ნახევარგვერდიან თარგმანს? მაშ, რისთვის? რანაირად მიუწვდა ხელი ბერს ამ ნაწარმოების ფსევდოავტორობაზე? რატომ შეუდგებოდა იგი ამგვარ ღვთის რისხვას? ესეც ლოგიკას მოკლებულია!

დ) ასედაც ამბობენ: „ქებაი“ თითქოს აღრინდელი საუკუნის ნაწარმოებია, იოანე-ზოსიმე კი მეთექვსმეტე საუკუნის მოღვაწე. თუ შეიძლება დღეისათვის მეოცე საუკუნის კაცმა, უავტორობის გამო, ხელი მოაწეროს ავტორისეული პრეტენზიით მეთვრამეტე საუკუნის უკვე ცნობილ ნაწარმოებს?

ე) ასევე გაურკვეველია, რატომ ინებებდა იოანე-ზოსიმე ტექტის სამ სხვადასხვა პირად გამრავლებას? განა ამისათვის ერთი პირიც საკმარისი არ იქნებოდა? საინტერესოა, აღმოჩენილი განსხვავებანი ცვლის თუ არა ტექსტის შინაარსს? თუკი შინაარსს შეცვლიდა, მაშინ იოანე-ზოსიმეს ავტორობა უთუოდ საეჭვო გახდებოდა, რადგან სამივე პირი ერთი ხელით ნაწერია, და თუკი ტექსტში არსებული განსხვავებანი ნაწარმოების შინაარსს არ ცვლის, მაშინ მათ შორის არსებული განსხვავებანი ავტორის სტილისტურ ჩარევად უნდა იქნეს მიჩნეული.

11. განვიხილოთ განსხვავებანი ტექტებს შორის:

პირველი ტექსტის ფრაზა „და ესე რომელი“ და მეორე ტექსტის ფრაზა „და ესე ყოველი“, ერთსა და იგივე აზრს გამოხატავს; „ესე რომელი“, ანუ რომელსაც ხედავთ, რომელიც აქ არის წარმოდგენილი; ხოლო „ესე ყოველი“, ანუ ყოველივე, რასაც აქ ხედავთ, რაც აქ არის მოცემული. ორივე ფრაზას ერთი და იგივე შინაარსი გააჩნია;

12. რაც შეეხება „მოწამედ წარმოგიტხარ“ და „მოწამედ წარმოგიტხარას“, აქაც ორივე ფორმა მისაღება. „მოწამედ წარმოგიტხარას“ ნიშნავს: რაც აქ წერია, ამ ტექსტმა დაგიდასტუროსო. ხოლო ფრაზაში „მოწამედ წარმოგიტხარ“ — რომ ბრძანებს, ავტორის პირადულ განცხადებას ეხედავთ. არსებითად, არც აქ დარღვეულა რაიმე, რადგან — ყოველი აკოკალიფსური თხზულების ავტორი არა მისი შემთხვევლია, არამედ მიღებულ ინიფორმაციის მათუწყებელი; რამეთუ ყოველი საკრალურის მათუწყებლად ანუ განმცხადებლად ბიბლიურ თხზულებებში მუდამ სულნიფშიდა წარმოჩინდება.

13. როცა იოანე-ზოსიმე წერდა: „და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარას“ — ი, ნიშნავდა, თვით ამ ნაწერმა, ე.ი. მიღებული ინფორმაციის ანბანურმა ხორცშესხმამ წარმოგიტხარას, ანუ გაცნობოსო, გაუწყლოსო; თავად მეორეხარისხოვანი ავტორი უკან იხევს.

14. მეორე შემთხვევაში კი ავტორობის უფლებას იტოვებს, რადგან კუშმარიტად სხვა არაინა მისი განმცხადებელი.

15. არც „მისისა“-ს შეცვლას ითხოვდა ტექსტი „მეხისა“-დ; როცა კკითხულობთ: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდემე მეორედ მოხლეისა მისისა საწამებულად“,

ნიშნავს: შემონახულია ქართული ენა სწორედ იმ მეორედ მოსვლის დღემდე, რათა იწამონ, ანუ ირწმუნონო. ჭეშმარიტია, რომ ამ სიტყვაში ისიც იგულისხმება თუ ვინ უნდა იწამონ, მაგრამ აქცენტი მაინც მეორედ მოსვლის დაჯერებაზეა გაკეთებული.

16. ტექსტში არსებული „მისისა“-ს არსებობა გადამწერის შეცდომად ჩაითვადა, და „მისისა“-ს ნაცვლად ჩაისვა „მეისისა“. რა მოხდა? მოხდა ის, რომ ტექსტში აქცენტმა გადაინაცვლა. მივიღეთ: „ქართული ენა დამარხულია მესიის მეორედ მოსვლის საწამებლად“ (ე.ი. მესია იწამონ).

17. როგორც ჩანს, ამ სვლის შემდეგ საქმე გვაქვს მხოლოდ მესიის წამებასთან და არა მეორედ მოსვლის ჭეშმარიტ შემეცნებასთან, რომლის დაჯერება წარმოადგენს სწორედ ენისათვის იმ აშკარა მესიანისტურ არსს, თორემ მესიის საწამებელი ფუნქცია დიდი ხანია სახარების სახით ეუწყა ანუ განეშარტა მსოფლიოს და მისი გამხელის უფლებამოსილება ქართული ენის უწინარეს სხვა ენებმა ისაკუთრეს.

18. თუკი ავტორი „მისისაში“ იგულისხმებდა „მესიას“, მაშინ წინადადებაში მძიმე არ უნდა იყოს დასმული „მისისა“-სთან, იგი უნდა გადაეტანათ „საწამებლად“-ის შემდეგ.

19. ავტორის მიერ ზემოაღნიშნული განცხადების საფუძველზე დაყრდნობით, ზოგმა მკვლევარმა ივარაუდა, თითქოს ქართული ენით მოხდებოდა საშინელ სამსჯავროზე განკითხვა. ტექსტი არ იძლევა ამ ვარაუდის დასაბუთების უფლებას.

20. ავტორს რომ ეთქმა: „ყოველსა ეშნილოს ამით ენითაო“, კაცო კიდევ რაღაცას იფიქრებდა, მაგრამ აქ ავტორი გარკვევით ამბობს: „ყოველსა ენასაო“. საშინელ სამსჯავროზე, ბიბლიური გადმოცემების თანახმად, ენას კი არ განიკითხავენ, არამედ პიროვნებებს თავიანთი ცოდვა-მადლის მიხედვით. ამიტომ მცდარ აზრად მიმაჩნია იოანე-ზოსიმესეული ტექსტიდან გამოძი-

ნარე ენის ამგვარი მესიანისტური ფუნქციის დაჯერება.

21. როცა ავტორი გვეუბნება: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“-ო, — გულისხმობს, ბოლო ჟამისათვის შემონახული ქართული ენის ძალად ფუნქციას, მეორედ მოსვლის საწამებლად, ანუ სარწმუნებლად, მის დასამოწმებლად (რაც უთუოდ მესიისადმი რწმენას — სახარების ქადაგებას ნიშნავს).

22. იოანე-ზოსიმე გვიცხადებს, რომ ენის მეშვეობით არსთა გამრიგეს ნებაეს ქვეყნიერებას (სხვადასხვა ენათა მესაკუთრეთ) აუწყოს რაღაც. ეს „რაღაც“ მინიშნებულია ტექსტში, მაგრამ კონკრეტულად რა? ამაზე იოანე-ზოსიმე დუმს. ტექსტიდან ირკვევა, რომ ენას დაკისრებული აქვს განსაკუთრებული ფუნქცია (როცა იოანე-ზოსიმე ამას ასე პრეტენზიულად აცხადებს, ჩანს თუ არა ამგვარი საპატიო დეაწლი რაიმე ჟამის მიჯნაზე?). რას გვაუწყებენ ამის შესახებ ბიბლიური პარალელები:

23. „მაშინ მე, დანიელმა, ვიხილე: აჰა, ჩემს წინ ორი უცხო დგას, ერთი მდინარის გამოღმა ნაპირზე, ერთი გაღმა ნაპირზე.

უთხრა მან სელით შემოსილ კაცს, მდინარის წყლებზე რომ იდგა: როდის იქნებო ამ საკვირველი ამბების ბოლო?

24. სელით მოხილმა კაცმა, მდინარის წყლებზე რომ იდგა, ზეცისაკენ აღაპრო მარჯვენა და მარცხენა მკლავი და მე გაევიგონე, როგორ დაიფიცა მან მარადცოცხალი (პარალელი აქვს იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში, 10, 1...), რომ წელიწადში, წელიწადებში და ნახევარში, როდესაც შეწყდება წმინდა ერის ძალის გაფანტვა, ყოველივე ეს მაშინ ასრულდებაო (ანტიქრისტეს შვიდწლიანი მეფობის ბოლო სამნახევარ წელიწადზეა ლაპარაკი, რომელიც აღნიშნულია ქრისტეანთა ღვინის ჰეროდად. — ი. -ი.).

25. გაევიგე, მაგრამ ვერ მიეხვედი. კუთხარი: უფალო ჩემო, ეს რილათი დამთავრდება-მეთქი?

მითხრა: წადი, დანიელ, რადგან ეს სიტყვები საიდუმლოდ შენსხული და დაბეჭდილიაო ბოლო ჟამამდე“ (დან., 12,5-9).

26. დანიელმა გაიგო, რომ არის რაღაც სიტყვა ღვთისა, რომელიც ბოლო დრომდე დაბეჭდილია, ე.ი. საიდუმლოდ არის შენახული და არ იცის, სად არის იგი სიტყვა დამარხული ამის პასუხს იოანე-ზოსიმე იძლევა: „დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერმან ამხილოს ამით ენითა“—ო. როგორც ირკვევა, იოანე-ზოსიმეს სცოდნია, სად და რისთვის ყოფილა დამარხული ის სიტყვა, დანიელს რომ სურდა გაეგო. ბიბლიური თხზულებებით ცნობილია, რომ ყოველი საკრალური ქვეყნიერებას გაეშვილება წინასწარმეტყველთა მეშვეობით; გავიგოთ, თუ ვინ ჩანან ბოლო ჟამისად იმ დაფარული სიტყვის მაუწყებლებად.

27. „და ავიღე წიგნი ანგელოზის ხელიდან, და შევეკამე იგი, და ეტკბილა პირს ჩემსას, როგორც თაფლი, მაგრამ, რა შევეკამე, გაამწარა მუცელი ჩემი.

28. და მითხრა მე: კელაეინდებურად გმართებს წინასწარმეტყველება ხალხთა და ერთთა და ენათა და მეფეთათვის“ (გამოცხ., 10, 10-11).

29. როცა აუწყებენ: „კელაეინდებურად გმართებს წინასწარმეტყველებათ, ნიშნავს იოანეს ხელმეორედ მოსვლას და კელაეად ქადაგებას, ე.ი. ბოლო ქადაგებას, ასევეა გამოკვეთილი აპოკალიფსისის მიხედვით ეიდევრონი წინასწარმეტყველის გამოჩენა წარმართთათვის.

30. „და მივცემ ორ მოწმეს ჩემსას, და იწინასწარმეტყველებენ ათას ორას სამოცი დღე, ძაძით მოსილნი.

31. ესენი არიან ორი ზეთისხილი და ორი სასანთლე, რომელნიც დგანან დედამიწის უფლის წინაშე“ (გამოცხ., 11, 3-4).

32. ამ მონაცემებზე დაყრდნობით წმიდა მამები განმარტავენ:

„При времени Христова второго пришествия и скончания мира Илия и Енох посланы будут от Бога на обличение антихриста, и обратят от всякого колена израилева достойных спасению к Господу Богу их и к Господу Иисусу Христу пришедшу плотию спасения их ради“ (Златоуст, толк. апост., зач. 102)“.

33. მინიშნებულია მხარე, სადაც ანტიქრისტი უნდა მოვიდეს. იოანეზე აქ არაფერს იუწყებიან. ეს კი ნიშნავს: იქ, სადაც ანტიქრისტეს უწევს მეფობა, იოანეს სამოღვაწეო ადგილი არ არის. იქ მხოლოდ ელია და ენოქი მოღვაწეობენ. ელიასა და ენოქის სამოღვაწეო ადგილი, როგორც ზემოთ ჩანს, ისრაელისა; რაც შეეხება იოანეს, მისი გამოჩენა სხვა მხარესაა მოსალოდნელი.

34. „Первому ибо Того пришествию Иоанна Крестителя явшаще предочет, второму жн Его, в нем же хочет прийти со славою, Еноха и Илию и Иоанна Богослова явити хошет“ (Книга "Альфа и Омега", гл. 66, лист 210).

35. აქ იოანეც გამოჩნდა და ზოგადად ნათქვამია, რომ, თუ პირველი მოსვლის ჟამს სამი წინასწარმეტყველის-წინამორბედის შემდეგ მობრძანდებო მაცხოვარი. მეორედ მოსვლის ჟამს კი სამი წინასწარმეტყველის დასტური მესიის ღმერთკაცობაზე საბუთად მიიღება რჯულისკანონის მიხედვით.

36. „ეს უკვე მესამედ მოვიდვარ თქვენთან. ორი თუ სამი მოწმის პირით დამტკიცდება ყოველი სიტყვა“ (2 კორ., 13, 1).

37. Богослов (Иоанн) придет так же "телесно", как и пророк Илия" (Блажен. Иероним, ч. 15, стр. 170).

38. ბიბლიური ცნობების მიხედვით, ელიასა და ენოქს ციდან უწევთ ჩამოსვლა, რადგან ისინი ცოცხლად იქნენ აყვანილი ცაში, ხოლო იოანეს მობრძანება, ალბათ, ჩვეულებრივ დაბადებას უნდა ჰკავდეს, ე.ი.

უნდა გამოჩნდეს კაცი იოანეს სახელით, მიიხვე სულიერობით და ძლიერებით (ცნობილია, იოანემ საკუთარი თავი ცოცხლად ჩამარხვინა კისრამდე და შემდეგ, როდესაც იგი მონახულეს, ადგილზე აღარ დახვდათ. სხვა არაფერი იციან იოანეზე. სახარებაშიც არ უარყოფს თავის სიკედილს იოანე).

39. "А во время пришествия антихристова посланы будут от Бога Енох и Илия, и Иоанн Евангелист с ними по утверждению верных.

Енох будет проповедовать о законе естественном, Илия же о законе писанном, Иоанном о законе Благодати" (Книга о вере, гл. 30. лист 270, оборот).

40. ზემოხსენებული მაგალითებიდან ჩანს თითოეული წინასწარმეტყველის ფუნქცია. ელიასა და ენოქს ზეპირსიტყვიერად უწევთ ქადაგება, ხოლო იოანეს, როგორცხედავთ, წიგნიერად, რადგან მას წიგნი შეაჭამეს.

ახლა დეტალურად განვიხილოთ იოანეს მოწოდება.

41. „და მომეცა მე კვერთხის მსგავსი ლერწამი, და ითქვა ჩემდა მომართ: ადექი და გაზომე ღმერთის ტაძარი, და საკურთხეველი, და თაყვანის მცემელნი მასში“ (გამოცხ., 11, 1), ე.ი. იოანეს ფუნქციაში შედის საკურთხევისა და თაყვანისმცემელთა გაზომვა. იქ, სადაც ნაუწყებია: „მომეცა მე კვერთხის მსგავსი ლერწამი“, ნაჩვენებია, რომ იოანეს ებოძა ქრისტეანული მწყემსმთავრობა და ძლიერება (ასევე ებოძა კვერთხი მოსეს).

42. „ადექი და გაზომე ღმერთის ტაძარი“, ნიშნავს: იოანეს ევალება მრავალ ტაძართა შორის ჭეშმარიტი ტაძრის სახის ჩვენება (რაც ეკლნიდება ღვთის ბეჭდის სწორ მიღებაში, ე.ი. სწორ ნათლობაში).

43. „საკურთხეველი“. მაშასადამე, იოანემ უნდა მიანიშნოს ჭეშმარიტ საკურთხეველი (რაც გამოიხატება ეკლარისტიის, ე.ი. ზიარების სწორ შედეგაში).

44. „და თაყვანის მცემელი“. იონემ ასევე უნდა წარმოგიდგინოს მართლმორწმ.

უნეთა ჭეშმარიტი სახე. ეს თავისთავად ნიშნავს სახარების სამარადეამო სასუფეველის ქადაგებას, მეორედ მოსვლის უწინარეს სამზადისს, ე.ი. საღვთო რჯულისკანონს, ყოველ სამოქმედო ქრისტეანულ წესსა და რიგს.

45. და მაშინ, როცა უბრძანებს:

„ხოლო ეზო, რომელიც გარს აკრავს ტაძარს, გამორიცხე, და ნუ გაზოგათ მას, რადგან მიეცა იგი წარმართთ“... (გამოცხ., 11, 2).

46. ეს ნიშნავს იმას, რომ მართალთა განსამტკიცებლად იოანეა მოწოდებული; ძირითადი საზრუნავი მისი ეგ არის. რაც შეეხება, „მართალთას“, ამ „მართალთაში“. იგულისხმება ღვთისმოყვარე, მორწმუნე, მორწმუნე არაგარკვეული, გზაგამრუდებული და დაბნეული, რომელთა დასამოძღვრად იოანეა მოწოდებული; ხოლო ტაძრის ეზოში მდგომარე წარმართთათვის ზემოხსენებული ორი წინასწარმეტყველი იღვწის; ესენია ელია და ენოქი, თუმცა ვხედავთ იოანეს მოწოდებასაც მართალთათვის, აქვე ისიც ჩანს, რომ იოანეს ფუნქციაში დაშვებულია წარმართებზეც ზრუნვა.

47. „იკვლავინდებურად გემართებს წინასწარმეტყველება ხალხთა და ერთა და ენათა და მეფეთათვის“ (გამოცხ., 10, 11). როგორ გავიგოთ ეს? როცა იქვე ასედაცაა ნაუწყები: „და მიეცემ ორ მოწმეს ჩემსას“ (წარმართებს. — ი. ი.).

48. თუკი წარმართთათვის ელია და ენოქი არიან წინასწარმეტყველებად წარმოჩენილნი, რატომ იქვე არ მიანიშნებს მესამე წინასწარმეტყველის — იონეს ქადაგებაც? ახსნა ამგვარია: წარმართები იყოფიან ორ ჯგუფად. ერთნი არიან არასწორი რელიგიის მპყრობელნი, მეორენი კი, სწორი რელიგიის მპყრობელნი, მაგრამ არასწორად ნათელცემულნი. ორთავენი წარმართებად ჩანან ღვთის თვალში, რადგან არ გააჩნიათ წყლიდან დაბადების ნიშანი, ასევე სულიწმიდისაც. აქედან გამომდინარე, ელიასა და ენოქის სა-

მოღვაწეო ობიექტი წარმართა ის ტოტია, რომელთაც უპყრიათ არასწორი რელიგია, ხოლო იოანეს ეკუთვნის მეორე ტოტი წარმართთა, რომელთაც აქვთ სწორი რელიგია, მაგრამ არ გააჩნიათ სწორი ნათლისღება, ე.ი. იოანე აქ მართალთა შორის ერეტიკოსთა მომქცევველადაც იგულისხმება.

აცხადებს რა იოანე ჭეშმარიტ ტამარს, ელა და ენოქი მოუწოდებენ ყველა წარმართს უკვე იოანეს მიერ განცხადებული ტამრისაკენ. იონეს სამოძღვრებო ღვაწლი აპრკალიფსის მიხედვით ასე განიშარტება:

49. „და ივიღე წიგნი ანგელოზის ხელიდან“ — ე.ი. ანგელოზი მას აძლევს საქადაგებელ სიტყვას, რაც გამოიხატება მეორედ მოსვლის წინარე სამოძღვრებო განცხადებაში.

50. „და შევჭამე იგი, და ეტკიბილა პირს ჩემსას, როგორც თაფლი“ — ე.ი. მან მიიღო წიგნის სახით ღვთიერი სიბრძნე. იყო იგი ტკბილ, ვითარცა თაფლი, რადგან წინასწარმეტყველს ქრისტეს ბაგე ებოძა, რამეთუ ნათქვამია, მოციქულთა ბაგე ქრისტეს ბაგეაო.

51. „მაგრამ, რა შევჭამე, გამაწარა მუცელი ჩემი“, — დამძიდა, ჩაესახა ტვირთი, რომლის ტარება იოლი როდია, იგი მძიმეა, ვითარცა გოლგოთა, და ვითარცა დასაბადებელი პირმშო. ამიტომაც ჰვერემს იგი მუცელს წინასწარმეტყველისას; პირმშო ტკიბილა, მაგრამ მწელია მისი დაბადება.

52. „კვლავინდებურად გემართებს წინასწარმეტყველება ხალხთა და ერთა და ენათა და მეფეთათვის“. ეს „კვლავინდებურად“ ნიშნავს ქვეყანაზე მეორედ მოსვლის უწინარეს თვით იოანეს ხელმეორედ მობრძანებას იმავე წინასწარმეტყველის ფუნქციით. იოანე-ზოსიმე იცის, რომ იოანეს მიერ განცხადებული ტამარი ყველას ეკუთვნის, ვინც კი ინდომებს; და აი, ასორმოცდაათნი ათასი ოუღვეელი მზად არის მიიღოს ქრისტეანობა და ბერობა შეიმოსოს (გამოცხ., 7, 4).

53. იოანეს მობრძანებას ჟამის მიჯნაზე სახარებაც გვიდასტურებს. როდესაც მაცხოვარმა მოციქულებს გაუშვილა თავ-თავიანთი

მოწამეობრივი აღსასრული, პეტრემ შენიშნა, რომ ქრისტემ იოანეზე არაფერი თქვა:

54. „შემობრუნდა პეტრე და დაინახა, რომ უკან მოსდევდა მოწაფე... (იოანეზეა ლაპარაკი. — ი.ი.).

55. ეს რომ დაინახა, პეტრემ უთხრა იესუს: უფალო, კი მაგრამ, ეს რა?

უთხრა მას იესუმ: თუკი მნებაეს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, შენ რა?... (იოან., 21, 20-22).

56. ამდენად, აპოკალიფსისში განცხადებული მისი სამოძღვრებო ღვაწლი მეორედ მოსვლისა უწინარეს დადასტურა იოანეს სახარების ზემოწარმოდგენილმა სტროფმა. მოციქულებში მაშინ ხმა დაირხა: იოანე არ მოკვდება, მაგრამ იოანე თავად ამბობს: ქრისტეს არ უთქვამს, რომ არ მოკვდება, არამედ თქვა: „თუკი მნებაეს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ“. ეს კი ნიშნავს იოანე ღვთისმეტყველის წინამორბედობას მეორედ მოსვლის წინ.

57. ქრისტემ ამ განცხადებით იოანეს უკვდავებას კი არ გაუსვა ხაზი (როგორც ზოგნი განმარტავენ), არამედ მან აღნიშნა მოციქულთა შორის იოანეს არამოწამეობრივი აღსასრული. ხოლო დანარჩენმა თერთმეტმა მოციქულმა მოწამეობრივი სიკვდილი იწვნია. გამოირკვა რა იოანეს წინასწარმეტყველური ღვაწლი, მანვე უნდა დაუბრუნოს წიგნის სახით ქვეყანას ის მიღებული „პროგრამა“ — „საიდუმლო სიტყვა“ მეორედ მოსვლის საწამებლად. მანვე უნდა აუწყოს „წარმართთა და ენათა და მეფეთა ქუეყნისათა“ მეორედ მოსვლის წინარე სამზადისი, ე.ი. ყოველი წესი და რიგი.

58. იოანე-ზოსიმე რომ ბრძანებს: „ღამარხულ არს ენაი ქართული რომ დიდდმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“-ო, გვაუწყებს, ქართული ენა შემონახულიაო მეორედ მოსვლის საწამებლად, ე.ი. რათა ვირწმუნოთო მისი — ქრისტეს მეორედ მოსვლა. მამ, რა დასკვნისაკენ გვიბიძგებს ტექსტის

ავტორი? ამ სამი წინასწარმეტყველიდან ერთ-ერთი იოანე-ზოსიმეს საეკლესიო გმი-რია, რადგან სხვა ვარაუდი გამორიცხულია. თუკი სამი წინასწარმეტყველიდან ორის საღვაწაოადგილი პირდაპირ მინიშნებულია ოუდეველთა მიწად, დაგვჩნდა ერთი ვარაუდი, მესამე წინასწარმეტყველი; იგი უნდა იქნეს მიჩნეული იოანე-ზოსიმეს გმირად.

59. დასაფიქრებელია, იოანე-ზოსიმე ორი სახელით რომ აწერს ხელს. იქნებ აპოკალიფ-სური თხზულების ავტორი თავისი სახელის ბოლოში მოქცევით წინა პლანზე წამოსწევს იმ წიგნის ჰუმბრატი ავტორის სახელს. იოანეს ავტორობას, პართალია, აპოკა-ლიფისი გვაუწყებს, მაგრამ მისი წიგნის ქართულობას ზოსიმე მიგვანიშნებს.

60. რაც შეეხება აპოკალიფისისში ნახსენებ შვიდეტიდან წიგნს, იგი ქრისტეანული წელთაღრიცხვის მატინაეა (გამოც., 6 და 7). იგი განიხილავს პირველი საუკუნიდან მეორედ მოსვლამდე ჟამის ყოველ კელმი-ნაციურ მომენტს (აპოკალიფისისში იოანეს წიგნის დაბადება მეექვსე ბეჭდის მოხსნის შემდეგ ჩანს. — ი. ი.) (გამოც., 7, 1-3).

61. ზოგი მკვლევარი ბუნდოვანებით მო-სავს ზოსიმეს მიერ ხაზგასმული ტექსტის აპოკალიფისისურ ნიშს. ამგვარ მესიანისტურ ფუნქციას მრავლ ენათა წადილად მიიჩნევს. ენისათვის საკრალურის განცხადება ერის სურვილზე როდია დამოკიდებული. გავეც-ნოთ, თუ რა დეტალებს ეყრდნობოდა იოანე-ზოსიმე, როცა ქართული ენის უპირატესობას სხვათა ენათა (ებრაულ, ელინურ) შორის აღვადგავ:

62. „და ვიხილე სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავლით აღმომავალი, რომელსაც ჰქონ-და ცოცხალი ღმერთის ბეჭედი და შესძახა ხმამაღლა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცათ ენება მიწის და ზღვისა:

63. ნუ ავენებთ მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღებეჭდათ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს“ (გამოც., 7, 2-3).

64. ღმერთის ბეჭდის მამრობელი ანგე-ლოზის გამოჩენა აღმოსავლით მზისათ, ხომ მიანიშნებს მზის აღმომავალ მხარეს, მზიურ მხარედ წოდებულს, ქრისტეანული რწმენის ბურჯს აღმოსავლეთში? როგორც წარღვნის შემდეგ ქვეყანაზე სიცოცხლე აღმოსავლეთიდან — არარატის მთიდან დაეშვა ბარისაკენ, ასევე მეორედ მოსვლის ჟამს წინასწარმეტყველი იმავე აღმოსავლეთს მიანიშნებს, იმ მხარიდან დაუბერავსო მაცოცხლებელი ბოლო ნიავი.

65. ვიცით, რომ ბიბლიის მიხედვით ყველა რეული ერთ სათავეს იღებს. განა ყველა რეულში არ დევს პირველი კაცის გენე-ტიკური მარცვალი? წარღვნის შემდეგ ნოე გახდა კაცობრიობის ფესვი. ნოეს სამი ვაჟიშვილის — სემის, ქამის და იაფეტისაგან დაედო საფუძველი კაცობრავლობას ქვე-ყანაზე. სამივე შვილს თავ-თავისი ბუნების მიხედვით მიეზღო:

ა) სემი, როგორც პირველი შვილი, მიჩნეულია მემკვიდრედ.

ბ) ქამი — უღლეურ შვილად, სემისა და იაფეტის მოდგმის მონად.

გ) ხოლო იაფეტი, უმცროსი შვილი — კეთილნამოთრად.

66. სამთავე მძა ერთი მამის შვილია. ისინი მრავლობენ ქვეყანაზე, ერთი ენა გააჩნიათ, ერთნაირი სისხლი. ბაბილონის გოდოლის დაშლისას იქნა ენათა აღრევა, ტომობრივი დაყოფა. რომელი ტომი იტყოდა, ნოეს ნაშვირი არა ვარო? რა თქმა უნდა, ვერც ერთი. მაგრამ მათში მხოლოდ სემს დაემაძღა მის გვარ-ტომიდან მაცნობრიობის აღორძინება. ერთ ენაზე მოსაუბრე მამა-შვილებს ენაც კურთხეული ექნებოდათ, რადგან ამ ენით დააწყებინა არსთა გამრიგემ მეტყველება კაცობრიობას. ენათა აღრევის მომენტში ღმერთი არ დაუშვებდა არსებული, თანაც კურთხეული ენის სრულიად გაუქ-მებას, და იგი უეჭველად რომელიმე ტომს შეარჩენდა მას; წილხედობილობის მიხედვით სემიტელების ენა კურთხეული უნდა იყოს,

რადგან ამ ენაზე მეტყველებდა ყველა წინასწარმეტყველი ქვეყანაზე; ამ ენაზე მეტყველებდა ღვთისმშობელი, ყველა მოციქული და თვით მაცხოვარიც.

67. ღვაწლის მიხედვით კი იაფეტელნი იმსახურებენ ღვთის წყალობას ოთხი რამის გამო: 1. როგორც მაცხოვრის მიმღებნი და არა უარყოფელნი; 2. როგორც ღვთის არა დამსჯელნი და ცოდვის არა თანამონაწილენი; 3. როგორც ღვინილნი და მაცხოვრის სჯულის არა შემცველნი; 4. როგორც მშვიდობისმოყვარენი და მამაცნი (ქამიტებზე კი ლაპარაკიც ზემეტყია). მაცხოვრის მისაღებელი პირველი ქადაგება უეჭველად სემიტელებს ეკუთვნოდათ, როგორც მემკვიდრეებს, ხოლო მაცხოვრის მეორედ მოსვლის სახარებისეული ქადაგება იაფეტელებს ხელუწიყბათ — როგორც ღვთის მიმღებლებს და არა მწვალებლებს.

68. ახლა განვიხილოთ იაფეტელთა რომელი ტოტია ამის ღირსი? იაფეტელნი მრავლნი არიან, მაგრამ იმ მრავალთა შორის სასიერად წარმოჩინდება ის ტოტი, რომელიც დარჩა არამწვალებლად, ე.ი. რომელმაც არ უარყო ღმერთის მიღებისთანავე წმიდა მამათა კანონები და ასევე ხელუხლებელი დატოვა მრწამსი.

69. ლათინელებმა სახელწოდება „კათოლიკობა“ შეირჩინეს და მრწამსს დაუმატეს ქრისტესაგან სულიწმიდის გამოხელის ეკრისია, რის გამოც მთელი დასავლეთის ეკლესია ანათემას შეუდგა. ხოლო სხვა მართლმადიდებლები, დოგმატების შეცვლის გამო, მონოფიზიტებად იქცნენ (უარყვეს მაცხოვრის კაცებრივი ბუნება. ამით მრწამსი შეიცვალეს და ღვთისმშობელში ქრისტეს განკაცების მუხლი დაარღვიეს). დანარჩენ იაფეტელთა პრეტენზია ქრისტეანული სალიდერო ღვაწლის მინიჭებისა ნაკლებად საყურადღებოა იმ ტომთა გვერდით, რომელთა მიწა-წყალი ღვთისმშობლის წილხვდომილად იქცა; და რომელთა მიმართ ანგელოზმა შეჰღაღადა ღვთისმშობელს: შენი წილხვედრი ქვეყანა

ბოლო დროს განათდესო (ასევე კართი და ხელთქმნელი ხატე უფლისა იბერიაში იქნა ჩამოტანილი).

70. სწორედ ყოველივე ამის გამო იოანე-ზოსიმე თავის ვრს, თავის ტომს უწინასწარმეტყველებს იმ ენის აღზევებასა და განდიდებას, რომელსაც გულვობს იგი ყოველთა ენათა აღმოსავლად და მესიადუმდე. აპოკალიფსისის მიხედვით სწორედ იმ მზის საბადებლიდან, ე.ი. „აღმოსავლით მზისაით“, სწორედ იქიდან აღმართეს ღვთის ბეჭედი, რომელიც უნდა იქნეს ჩამოტარებული საქვეყნოდ, რაც ზოსიმესათვის ცნობილია. მეორედ მოსვლის წინარე ქრისტეანული ღვაწლით გამოკვეთილი ქადაგება კარგად ჩანს მარკოზის სახარებაში:

71. „და როდესაც ტაძრიდან გამოდიოდა, ერთმა მოწაფეთაგანმა უთხრა მას: მოძღვარო, შეხედო რა ქვებია და შენობები!

მიუგო იესუმ და უთხრა მას: ხედავ ამ დიდებულ შენობებს? ქვა ქვაზეც არ დარჩება აქ, არამედ ყველაფერი დაინგრევა...

72. გვითხარი, როდის მოხდება ეს, ან რა იქნება ნიშანი იმისა, რომ ყოველივე ეს აღსრულდება?

მიუგო იესუმ და უთხრა მათ: ფხიზლად იყავით, რათა არაინ გაცდუნთ.

73. ვინაიდან მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით, და იტყვიან: მე ვარ, და მრავალს აცდუნებენ.

ხოლო როდესაც გაიგებთ ომებსა და ომების ამბებს, ნუ შემდრწუნდებით. ვინაიდან ყოველივე ეს უნდა მოხდეს, მაგრამ ეს უკერ კიდევ არ არის დასასრული...

74. და პირველად ყველა ხალხს უნდა ექალოგოს სახარება“ (მარკ., 13, 1-10).

75. აქედან გამომდინარე, მეორედ მოსვლის უწინარეს სახარების ქადაგება ნიშნავს რწმუნებას ღმერთკაცისას. და როცა ეუბნება ქრისტე პეტრეს იოანეზე: თუკი მნებავს, იგი იყოს ბოლომდე, ჩემს მოხვლამდე, შენ რაო, შენ რა გნებავსო, ამით იგი მიგვანიშნებს, რომ იმ ბოლო ქადაგების უფ-

ლებამოსილება იოანეს მიანიჭა. იოანეს ქადაგება გაცხადებული ჩანს წიგნით. იოანე-ზოსიმე კი იმ ბოლო სამომდევრო წიგნს, როგორც ვხედავთ, ქართულ წიგნად მიიჩნევს. რა საფუძველს ეყრდნობა იგი, როცა ამას ასე პრეტენზიულად აცხადებს?

ქართული ეკლესიის ისტორია გვაუწყებს:

76. ღვთისმშობელს სულთმოფენობისას წილად ზედა იბერია. ანგელოზი ეცხადება მას და აუწყებს: „ნუ წახვალ, შენ, ღვთისმშობელო, იბერიაში, აქ უნდა დარჩე დრომდე, შენს მაგიერად სხვა წავა. ხოლო შენი წილხვედრი ქვეყანა ბოლო დროს განათდესო“. საქართველოს ტრაგიკული წარსელის არც ერთი მომენტი არ გამოდგება „ლაზარეს“ მკვდრეთით აღდგომის ნიშნად, მაგრამ იოანე-ზოსიმეს სჯერა „ლაზარეს“ მკვდრეთით აღდგომა, ის ამ დღეს მოელის. კარგად იცის, რომ ენის მესიანისტურ ფუნქციას არსთა გამრიგე აწესრიგებს და თუკი რომელიმე სხვა ენას ამის პრეტენზია გაუჩნდება, იგი ჩაითვლება ერის წადილად და არა მის წილხვედომილად.

77. „დაუკვირდით, ძმანო, ვინ ხართ ხმობილნი: ცოტაა თქვენს შორის ბრძენი ხორციელად, ცოტაა ძლიერი, ცოტაა წარჩინებული.“

78. მაგრამ ღმერთმა გამოარჩია შლევნი ამა ქვეყანისანი, რათა არცხვინოს ბრძენნი, და უძლურნი ამა ქვეყანისანი, რათა არცხვინოს ძლიერნი;

და უგვარონი ამა ქვეყნისა, უბედურენი და არა არსნი გამოარჩია ღმერთმა, რათა განაქაროს არსნი;

79. და რათა არცერთი ხორციელნი არ იქალოდეს ღმერთის წინაშე“ (1 კორ., 1, 26-29).

80. როცა ახალი რელიგიის, ე.ი. ქრისტიანობის აპოლოგეტებმა მსოფლიო დევნა განიცადეს, და მრავალნი თავს აფარებდნენ გამოქვაბულებს, იბერიაში სწორედ მაშინ შეძობა წმინდა გიორგის სახელი და მით მაკნოვარს გიორგისეული ერთგულება

აღუთქვა. „გეორგია“, ანუ იბერია — ასე იცნობს მას მსოფლიო. როგორც განსაცდელმა აქცია გიორგი გმირად, ასევე ბოლო ჟამში ეძიებს იოანე-ზოსიმე ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ბედნიერებას: რამეთუ სწამს, რომ იბერია თავისი ენის მაღალ დანიშნულებას ყველა ენათა წინაშე გაამართლებს, რასაც „ოთხშეოც-და-ათოთხმეტი“ წელიწადის სასწაულით გვაუწყებს.

81. „ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“ — იოანე-ზოსიმემ იცის, რომ ასევე იბადებიან წმიდანები. ისინი ღვდის მუცელშივე აღივსებიან სულიწმიდით და კურთხეულად იწოდებიან ამის გამო. ასევე იცის მან, რომ უფალს ენა ქართული თავისად უგულვია და სულიწმიდით აღუესია იმთავითვე, რის გამოც მიიჩნევს მას შემკულად და კურთხეულად. „ენა შემკულია“, ნიშნავს, მისი აზრის გამოხატულების მაღალ უნარს, მის მხატვრულ შესაძლებლობებს. ხოლო, რაც შეეხება „კურთხეულს“, იოანე-ზოსიმემ იცის, რომ იგი კურთხეულია ერის ხასიათისა გამო; გიორგისეული სიმაჰცისა და საკაცობრიო ფუნქციის ტვირთებისა გამო.

82. „და ესე ენაი... მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა“... მოელის აღდგომას, ნათელ დღესაო. როგორც ანგელოზმა აუწყა ღვთისმშობელს, „განათებასაო“. ზოგიერთმა მკვლევარმა ვერ დაადგინა მაინც, რატომ მიიჩნევს იოანე-ზოსიმე ენას „მდაბლად“ და „დაწუნებულად“. განა ამ ენაზე არ შეიქმნაო შედევრები? განა მაშინაც ამ შედევრების შესაკუთრენი არ იყვნენ იბერნი, როცა ვითონი გიაურებს გვიწოდებდნენ, ხოლო ჩვენს ენას ძაღლის ენად რაცხდნენ? ზოგი მკვლევარი ვერ ამჩნევს იოანე-ზოსიმეს თხზულების აპოკალიფსიურ ხასიათს და მხოლოდდა საერო მწერლობის დიდებით ცდილობს ენისათვის ავტორიტეტის მინიჭებას, მაშინ როდესაც იოანე-ზოსიმე ენის მესიანისტურ ფუნქციას მის სულიერ არსში ხედავს.

83. „და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“. ენა გაიგივებულია ლაზარესთან. ლაზარე კი ოთხი დღის მკვდარია. „ოთხისა დღისა მკვდარი ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღეი“ (ფს. 89, 4) და თუ ერთი დღე ღვთისა დედამიწაზე ათას წელს უდრის, მაშინ გამოდის, რომ ქართული ენა 4000 წლის მიძინებული უნდა იყოს. როგორც იოანე-ზოსიმე იტყობინება, ოდესღაც გვეონდა ენა კურთხეული და შემკული ლეთით, შემდეგ იგი დაცემულა. შეიძლება პარალელის გაგება პავლე მოციქულთან. პავლე ღვთის მუცლიდან იყო კურთხეული და ამორჩეული, შემდეგ დაეცა, როგორც ჭეშმარიტების მადევარი და წარმართი, მაგრამ იგი ქრისტემ აღადგინა კვლავ თავისივე პირველი დანიშნულებით.

84. ასევე აღუთქვამს იოანე-ზოსიმე აღდგომას ქართულ ენას. მან იცის, რომ ყოველად შეუძლებელია ბუნებით ბარბაროსი და არაბიცილიზებული ერი დიდი შინაგანი კულტურის შესაკუთრე იყოს. დაეაკვირდეთ ქართველი კაცის ფსიქიკას: იგი არასოდეს ყოფილა ერთა მოძულე. ერის სახე ყველაზე მკვეთრად მუსიკაში, პლასტიკასა და აზროვნებაში ელინდება. იშვიათია დედამიწაზე ერი, რომელსაც წარმართული ხანის ზალხური სიმღერები გააჩნდეს. ქართულ „ოღოთასა“ და „ლილეს“ ათასწული წლების ისტორია აქვთ.

85. მაშ, როდის ჰქონდა ენას უმაღლესი ცივილიზაციისა და კულტურის ნიშნები და როდის დაკარგა იგი? ამ მომენტის დასადგენად მეტად საყურადღებოა ერთი გარემოება: ესპანეთში, სოფელ ბოტორიტაში აღმოჩნდა ფირფიტები, რომლებიც განეკუთვნება ჩვენი ერამდე მეოთხე-მეხუთე საუკუნეთა ნამარხს, სადაც აღბეჭდილია იბერიის ისტორიული წარსულის ერთი მომენტი.

86. იბერიული ფირფიტა ქართველმა მკვლევარმა შოთა ზედელიძემ ამოიკითხა.

ამის შესახებ მრავლად დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში. თუ ამ მონაცემებს დავეყრდნობით, ფირფიტა გვატყობინებს ქვეყნის დასაბამიდან 4100 წლით დათარიღებულ იბერიულთა ტრაგიკულ ისტორიას. ენის დაცემის საბუთად თუ ამ თარიღს მივიჩნევთ, მაშინ იმ დღიდან დღემდე გავიდა $7588 - 4100 = 3488$ წელი. ლაზარეს გარდაცვალების მიხედვით კი ენა 4000 წლის მიძინებულია, რადგან თვით ლაზარე ოთხი დღის მკვდარია. ქრისტეს რომ ლაზარეს ამბავი აცნობეს, მან ორი დღე დააყოვნა და მერე ჩავიდა ბეთანიასი ლაზარესთან.

87. ეს ორი დღე (თუკი ბიბლიური დავითის მიერ ნაუწყები დროის საზომი ერთეულით ვივარაუდებთ) უდრის 2000 წელს. ენის „მიძინების“ თარიღის ათვლა რომ 4100 წლიდან დაეწყოთ, მივიღებთ დღემდე 3488 ანუ 3500 სავარაუდო წელს. სწორედ ეს თარიღია მინიშნებული ენის აღორძინების სავარაუდო ჟამად. იოანე-ზოსიმეს უწყების მიხედვით კი ენა ჩანს ოთხი ათასი წლის „მიძინებული“. ახლა კი დავადგინოთ ლაზარეს გარდაცვალებისა და აღდგომის დრო და პარალელიც გავავლოთ ქართულ ენასთან.

88. „ღებმა კაცი გაუგზავნეს იესუს და შეუთვალეს: „უფალო, აჰა, ვინც შენ გოყვარს, ავად არის“ (აკლამარაკია ლაზარეზე, იგივე ქართულ ენაზე, რომელიც ასე უყვარს მაცხოვარს. — ი. - ი).

„ეს რომ გაიგო, იესუმ თქვა: ეს სწეულემა სახიკვილო კი არ არის, არმედ რათა იდილოს ღმერთის ძე მისგან“ (იოანე., 11, 3-4).

89. ქრისტემ განმარტავს, რომ ქართული ენის ჭირი, მისი საბოლოო დასამარება არ არის, არმედ, იგი დაეცა, ვითარცა წარმართი, მაგრამ მოუწევს აღდგომა საიდუმლოდ უფლისათ. ეს არის სწორედ ის სასწაულებრივი ნიში 94-ისა, რომელსაც იოანე-ზოსიმე გვაუწყებს. სწორედ მაშინ განცხადდება ქართული ენის ის ძირითადი დანიშნულებითი აღორძინება.

90. მარიამ და მართა აუწყებენ რა, ავედრებენ მაცხოვარს თავიანთ ძმას:

„და უთხრა მართამ იესუს: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა“ (იოან., 11, 21).

91. სხვათა მკვლევართა ლოგიკური აზრით, მართა შედარებულია კონსტანტინეს დედასთან, ბიზანტიის დიდ დედოფალთან, ხოლო მარიამი — მირიანის მუუღვლესთან. იგი ახალი ნინოა, რომელიც ვევედრება მაცხოვარს საქართველოს ნათლისცემას. ახალი ნინო ძველი ნინოს პროტოტიპია. იოანე-ზოსიმემ იცის, ძველი ნინო მეფის კარზე შუამდგომლად არ გამოდგება.

92. ან რანაირად შეძლო ამ კაპადოკიელ გოგონას პრინციპულად ჩარეულიყო სახელმწიფოს საშინაო საქმეებში და მეორე ქვეყნის ხელმწიფისათვის იბერიის ძველი, ტრადიციული რელიგიის გასაუქმებლად გამოუთხოვა ახალი რელიგიის დამფუძნებელთა მთელი ლაშქარიებისკაობისა და მღვდელმთავართა, დიაკონთა და მგალობელთა, მწიგნობართა თუ ხუროთმოძღვართა სახით? ამის გამო დაეკისრა „ახალ ნინოს“, იგივე ნანა დედოფალს, ჰელენესთან რანგით გატოლებულს, სამოციქულო ფუნქცია. ამ შემთხვევაში „ახალი ნინო“, „ძველი ნინოს“ მოციქულია, ლაზარეს (იბერიის) აღსადგომად მოწოდებული. „ძველი ნინოს“ სიტყვით, ნანასა და ჰელენეს მეგობრობით ეზიარა საქართველო ნათლისღების საიდუმლოს.

93. „და როცა გაიგო, ავად არის, ორი დღე კიდევ დარჩა იმ ადგილას, სადაც იყო“ (იოან., 11, 6) და შემდეგ იესუ ჩადის ბეთანიაში ლაზარესთან. ეს კი ნიშნავს: ლაზარე წინა დღის მკვდარია და ქრისტეს მიერ ორი დღის დაყოვნების შემდეგ მეოთხე დღე დაიწყო, ლაზარე რომ წინა დღის მკვდარია, მიჯანნიშნებს გაქრისტეანებად იბერიის დაცემას. ხოლო, ქრისტე რომ ორი დღის დაყოვნების შემდეგ მოვიდა ბეთანიაში, შეგვიძლია, გავუტოლოთ ქრისტეანული წელთაღრიცხვის

2000 წელს (რამეთუ დღე ერთი, ვითარცა წელის ათასი).

94. „მაშინ იესუმ გარკვევით უთხრა მათ: ლაზარე მოკვდა“. „და მიხარია თქვენს გამო (რომ იქ ვიყავი), რათა ირწმუნოთ“...

95. „ლაზარემ, ჩემმა მეგობარმა მიიძინა; მაგრამ მივალ და გაავლვიძებ მას (იოან., 11, 11-15). დავაკვირდეთ თუ რას ნიშნავს ქრისტეს ნაბრძანები: „ლაზარემ, ჩემმა მეგობარმა“. მეგობარი არ არის შორებული, იგი ზოგჯერ დეიძლსაც უსწრებს ერთგულებაში. ლაზარე-იბერია რომ მკვიდრად მიანიათ მაცხოვარს და მის მოციქულებს, ეს იქედანაც ჩანს, რომ, ეუწყა თუ არა მათ ლაზარეს სიკვდილი, თომამ თქვა: „ჩვენც მიზადეთ, რათა მასთან ერთად მოვკვდეთ“ (იოან., 11, 16). ე.ი. რადგან ლაზარე მოკვდა, მოციქულები ბრძანებენ: უმჯობესია ჩვენც მასთან ერთად მოვკვდეთო. ზოსიმესეული მინიშნებით, ეს სიტყვები დიდი იმედის მომცემია და ზღვა სიყვარულის მაუწყებელი ქართული ენისადმი.

96. „და როდესაც მივიდა იესო, ნახა, რომ ის უკვე ოთხი დღეა საფლავში იწვა“ (იოან., 11, 17). აქ ჩანს, რომ ლაზარე ოთხი დღის მკვდარია. „როცა იესუმ დაინახა როგორ ტიროდა ის, და ტიროდნენ მასთან ერთად მოსული იუდეველნიც“ (იოან., 11, 33).

97. „ლაზარეს“ გარდაცვალებას ყველანი, პურიანიცა გლოვობენ იმის გამო, რომ იციან, ლაზარე მისიანია და მიტომაც განიცდიან მეგობრის ტრაგიკულ ბედს.

ამის შემდეგ ქრისტე მიადგა საფლავს: „და თქვა იესუმ: მთაშორეთ ლოდი; უთხრა მას მართამ, მიცვალებულის დამ: უფალო, უკვე ყარს, ვინაიდან ოთხი დღის წინ დაკვსაფლავეთ“ (იოან., 11, 39).

98. ახლა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: ნაუწყები ამბავი ლაზარეს გაცოცხლებისა, დღისით მიმდინარეობს თუ ღამით? დამერწმუნებით, დღეა, რადგან ხედავენ საფლავის ქვას, უკვე აღმდგარ ლაზარეს, შეხვეულ პირისახეს, ასევე ფეხებზე

შემოკრულ ზონრებს; არსადაა ნახსენები სანთლები და ჩირაღდები. ავტორს არ გაუჭირდებოდა ერთი სიტყვის თქმა, თუკი ნამდვილად ღამე იყო და არა დღე. მაშასადამე, როდესაც ქრისტემ ღაზარე გააცოცხლა, ჭეშმარიტად დღე იყო.

99. „მიუგო იესომ: განა თორმეტი საათი არ არის დღეში?“ (იოან., 11, 9). ე.ი. თუკი დღის მონაკვეთი 12 საათისაგან (ჟამისაგან) შედგება, მაშინ ღამის მონაკვეთიც 12 ჟამს (საათს) მიითვლის და მით გასრულდება დღე ერთი. დადგინდა რა, რომ ღაზარეს სიკვდილი მეოთხე დღედაა ნაუწყები, დღის ხანგრძლივობა ჯერ კიდევ არ გასრულებულა, და მის გასრულებამდე წინ ღამის 12 ჟამი (საათი) დევს, ე.ი. ღაზარეს გაცოცხლება დაემთხვა სამდღე-ნახევარს, მეოთხე დღედ წოდებულს. მაგრამ არა გასრულებულს. აქედან შეგვიძლია ვთქვათ: ნაცნობი ფორმულის მიხედვით, ღაზარეს მიცვალების სამდღე-ნახევარი უდრის ენის მიძინების ზემოაღნიშნულ 3500 წელს.

100. „არქეოლოგიური კულტურის თვალსაზრისით დასაშვებია აგრეთვე, რომ მოხდა ხალხთა მასების მიგრაცია, რამაც გარკვეული სიანხლე შეიტანა „თრიალეთის ეტაპზე“ (უფრო ფართო მასშტაბით ამიერკავკასიაში). მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები ეწინააღმდეგება იმ ვარაუდს, რომ თრიალეთში მატერიალური კულტურა მთლიანად შეცვალა მიგრაციამ და ეს მიგრაცია უმთავრესად მოდიოდა სამხრეთიდან და არა სხვა მხრიდან. ეგებ შესაძლებელია თრიალეთში ძირითადი ეთნიკური ცვლილებები იმ საფეხურზე ვემოთ, რომელზედაც მატერიალური კულტურის განვითარებაში წვეტილი (შკუთრი ცვლილება) ყველაზე თვალსაჩინოა, ვქთვათ, შუა ბრინჯოს ხანის დახასრულს (ან დახასრულისაკენ), რომლის თარიღი ახლა უკვე ისტორიის ხიდრემში იწვევს ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებში“ (საზგასმა ჩემია. — ი. ი.).

(იხილეთ: ელგუჯა გოგაძე, „თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1972 წ., გვ. 15).

101. ე.ი. ღაზარეს გარდაცვალების სამდღე-ნახევარი უდრის 3500 წელს; სწორედ იმ ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის შუა ხანებს (1500 წ.) კლუს ქრისტეანული წელთაღრიცხვის 2000 წელი. ეს პანეთში ნაპოვნი ფირფიტის მონაცემების მიხედვით, ქართული კულტურის დაცემის, ღაზარეს სიკვდილის ჟამის ათვლა უნდა დავიწყოთ 4.100 წლიდან.

102. გამოდის, რომ ქართული, იმ ძველთუძველესი კულტურის დაცემის დღიდან დაახლოებით 3500 წელია გასული, ე.ი. 2000 სავარაუდო წელი ქრისტეანული წელთაღრიცხვისა და ძველი წელთაღრიცხვის 1500 წელი, ანუ ძველი წელთაღრიცხვის იგივე მეორე ათასწლეულის შუა ხანები.

103. ქართული კალენდრის გათვალისწინებით „ღაზარეს“ გარდაცვალების თარიღს მიმატებული მიცვალებულად ყოფნის ჟამი, ე.ი. 4100+3500 (იგივე სამდღე-ნახევარი) = 7600 წელს. მაშინ ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს ტექსტის აპოკალიფსისური არსის მთლიანი გახსნის სავარაუდო ჟამად, ე.ი. ნიშის ჟამად.

104. ხოლო 94-ისა და 104-ის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: 532-წლიანი მოქცევა ქართველებს სხვებზე 104 ან 94 წლით ადრე დაუწყიათ. ცნობილია, რომ ქართველი „დასაბამითგანი“ (ჟამი ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე — 5604 წ.) კესარიულს 406 წლით აღმეტება, ალექსანდრიულს — 104 წლით, ბიზანტიურ ერას კი — 96 წლით. ზოგი მკვლევარის აზრით, „ქებაი“-ს ტექსტში გამჟღავნებულია იდეა ქართული კალენდრისა და წელთაღრიცხვის სიძველისა.. 94-ის შეცვლა 96-ით, 100-ით, ან 104-ით საკითხის არსს თითქოსდა არ ართულებს, პრინციპი იგივე რჩებაო. რაიმე კონცეფციის აგება ამ რიცხვებზე უაზრობად მიაჩნიათ.

პავლე ინგოროვას თხზულებათა მეოთხე ტომში კვითხულობთ:

105. „და სასწაულად ესე აქუს: ას-ოთხი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსავლითგან ვიდრე დღესამომდე“.

მეცნიერების აზრით, ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის გამოსავალი თარიღი ძვ.წ. აღრიცხვის 284 წელია. ლეონტი მროველის თანახმად, იმ დროს ფარნავაზს ქართული დამწერლობა შემოუღია. ედ. ჭელიძის ფიქრით: „ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი, უმეტეს სხუათა ენათა, ქრისტეს მოსვლიდან ვიდრე დღესამომდე“ თურმე ასე უნდა გაეშიფროთ: ქრისტეს დაბადებიდან 248 წელს, ე.ი. მე-11 მოქცევის დასასრულს, ქართულგმა ქრისტეანობა იწამეს, ხოლო „ქებაი“ 94 წლის შემდეგ დაიწერა: $248 + 94 = 342$ წ. გამორიცხული არ არის, ამ საეჭვო თარიღზე დაყრდნობით ვინმემ ქართული ასომთავრული ანბანის შექმნისა და მისი შემოღების თაობაზე ახალი ჰიპოთეზა ააგოს.

106. ჩემი აზრით კი, ქართული კალენდარი მართლაც რომ ყველა რჯულის კალენდარს მხოლოდ 94 წლით უსწრებდეს, ესეც კი არ გამოდგება რაიმე საბუთად, რადგან გარკვევით წერია, 94-მა სასწაულად უნდა გაუწყოსო. სად არის სასწაულებრივი ნიში 94-ისა? იოანე-ზოსიმეს მიერ ნუწყები 94 წელი ქრისტეანული წელთაღრიცხვის რომელიღაც წლის ბოლო ორი ციფრია. რადგან ენა მოელის უფლის მეორედ მოსვლას, ეს სასწაულიც მაშინ უნდა მოხდეს და არა სხვა დროს. ამიტომ 94-ის სასწაულებრივი ნიშის უკანდახვევა ყოვლად შეუძლებელია, იგი უნდა მოექცეს ქრისტეანული წელთაღრიცხვის არეში. ისიც მეორედ მოსვლის უამს უნდა იყოს უეჭველად მიახლოებული.

107. „ქებაი“ მეთუ საუკუნის ძეგლია.

რაც შეეხება იოანე ღვთისმეტყველთან ლაზარეს გაიგივებას, სურათი ამგვარია: ლაზარე რომ იოანე ყოფილიყო, მაშინ მისი გარდაცვალება აღინიშნებოდა თორმეტ მოციქულიდან ერთ-ერთის დაკარგვად და იმ

წამსვე დადგებოდა საკითხი მოციქულთა რიგის შევსებისა, როგორც ეს მოხდა იუდას სიკედილის შემდეგ. აქ კი ჩვენ ვხედავთ სხვა სურათს: მაცხოვარსა და მოციქულებს მიუტანეს ლაზარეს გარდაცვალების ამბავი.

108. „იყო ავად ვინმე ლაზარე, ბეთანელი, მარიამისა და მართას, მისი დის სოფელელი“ (იოან., 11, 1). ავტორი გვაცნობს ჩვენთვის უცხო პირს და მიტომატ აღწერს იგი დეტალურად, თუ საიდან არის ლაზარე; ასევე გვაცნობს მისი ოჯახის წევრებს, თავ-თავიანთი სახელებით. რანაირად შეიძლება უკვე განცხადებულ 12 მოციქულთაგან მახარებელმა მოიხსენიოს „ვინმე ლაზარედ“, თუკი იგი ჭეშმარიტად მოციქული იყო? მით უმეტეს, საკითხი სიკედილ-სიცოცხლის ენებოდა. როცა ლაზარეს ვინაობა სახარებაში შემოდის, მოციქულთა ვინაობა უკვე დადგენილიცაა და რიგიც კარგა ხნის შევსებულია მათი სახელებით.

109. ლაზარეს ორი და ჰყავს და არსად ჩანს ძმა მისი. თუკი იოანეს სახელის დაფარვას ინდომებდნენ ლაზარეს გამოჩენით (რომელიც არ ექვემდებარება სახარებისეულ ლოგიკას), იაკობი ხომ მაინც უნდა მოეხსენიებინათ, როგორც ლაზარეს ძმა? ამგვარი არსად არაფერია ნაუწყები.

110. ლაზარე ცხოვრობდა ბეთანიამში, იოანე კი — გალილეაში. ერთი მხარე ზღვის პირას მდებარეობს, მეორე კი დიდად დაშორებულია ზღვას. ბეთანიასა და გალილევას შორის დეკს იუდეის მესამედი ტერიტორია, მთელი სამარია და თითქმის ნახევარი გალილეა.

111. მოციქულთა შორის იმაზე იყო დავა, იოანე საერთოდ იწუნებდა თუ არა სიკედილს, როდესაც მკვდარი ლაზარე მათ წინ ასვენიდა.

112. პასექის წინა დღეს, ე.ი. ბზობაზე, ქრისტე ღმერთი ბეთანიიდან, ლაზარეს სოფლიდან, გადის იერუსალიმში. მაშასადამე, იოანე რომ ლაზარე ყოფილიყო, მაშინ ქრისტეს გალილეიდან მოწვევა გასვლა და

არა ბეთანიიდან, რადგან იოანე გალილეაში ცხოვრობდა.

113. „და დადგა დღე უფუარობისა, როცა უნდა დაეკლათ საპასევე კრავი“. „და გაგზავნა პეტრე და იოანე, და უთხრა მათ: წადით და მოგიმზადეთ პასევი, რათა ვჭამოთ.

ხოლო მათ თქვეს: სად გნებავთ, რომ მოგიმზადოთ?

და უთხრა მათ: აჰა, ქალაქში შესვლისთანავე შეგხედებთ კაცი, რომელსაც დოქით მიაკვს წყალი, და გაპყევით სახლამდე, რომელშიც შევა;

114. და უთხარით სახლის პატრონს: მოძღვარი გითელის, სად არის დარბაზი, სადაც ჩემს მოწაფეთთან ერთად ვკამ პასექსი“ (ლუკ., 22, 7-11). ნათლად ჩანს, რომ პასექი მზადდება რომელიღაც ოჯახში, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ჯერ, ვისი ოჯახია ეს. იოანე და პეტრე ასრულებენ ქრისტეს ბრძანებას სერობის მოწყობის თაობაზე. იოანე გვაუწყებს შემდეგს:

115. „ხოლო იესუ პასექამდე ექვსი დღით ადრე მივიდა ბეთანიიში, სადაც იყო ლაზარე, რომელიც აღადგინა მკვდრით. იქ მოუშადა მას ვახშამი“ (იოან., 12, 1-2).

116. სად მოუშადა ვახშამი? რა თქმა უნდა, ბეთანიიში, ლაზარეს სამყოფელში, კერძოდ, იაკობის ოჯახში (“Страсти Христовы”, тл. 8, лист 41“). იმ საღამოს მართა და ლაზარე მათთან ერთად სუფრას უსხდნენ; აქვეა ლაზარეს მეორე და მარიაშიც, რომელმაც იქვე ნელსაცხებლით დაბანა ფეხები ქრისტეს და თავისივე თმებით შეუმშრალა. ეს არის პირველი შემთხვევა, სადაც ლაზარე და იოანე ერთმანეთს შეხედნენ სახარების მიხედვით.

117. ცნობილია, რომ იოანემ ბოლო ხანს იმორღაწა ვფესოში, იცხოვრა 110 წელი და მიიცვალა. საფლავიც იქვე მდებარეობს. ლაზარე კი იყო მოციქულ ბარნაბას მიერ ხელდასმული, შეიმოსა ეპისკოპოსობა და ამ ჩინით მოღვაწეობდა კვიპროსში. იგი იქვე ინახულეს ღვთისმშობელმა და იოანე

ღვთისმეტყველმა. ღვთისმშობელმა საჩუქრად გადასცა თავისივე ხელით ნაქარევი ანაფორა.¹ აქაც კარგად დავინახეთ იოანესა და ლაზარეს შეხვედრა მეორედ.

118. რაც შეეხება ლაზარესა და იოანეს გაიგივებას, დასაშვებია ამ პარალელის გაგება არა ფიზიკური, არამედ სულიერი გაგებით; რადგან ლაზარე ქართულ ენასთანაა გაიგივებული, იოანეს კი ქართული წიგნით უწევს ქადაგება, ამიტომ შეიძლება ითქვას: ლაზარე ქართული ენაა, ხოლო იოანე — ქართული წიგნი, ამ ენით მოსულდგმულე; ერთავენი ერთნი არიან.

119. დაეუბრუნდეთ ტექსტს:

„...ვე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

და მეგობრობა ამისათვის თქვა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

120. რა თქმა უნდა, ყოველი საიდუმლო მათ მეგობრობაში დევს. რადგან იბერია ბერძენებთან მეგობრობამ აზიარა ნათლისღებას. და სწორედ მათ მეგობრობას გაემხილება ის საიდუმლო, რომელსაც ღმერთი მეორედ მოსვლის ჟამს აუწყებს ყველა ენათა მპყრობელთათ, — ამბობს ზოსიმე. ეს ის საიდუმლო სიტყვაა, რომელიც დანიელს სურდა გაეგო (დან., 12, 5).

საიდუმლო მრავალი არსებობს: „...უზენაესმა გაგიმჟღავნა ბევრი საიდუმლო“ (3 ებრ., 10, 38).

121. ზოსიმემ იცის, რომ საიდუმლოთა წვდომას ორივე ცდილობს, კეთილიცა და ბოროტიც. ეს საიდუმლო ღვთის ჭეშმარიტებაა, რომელიც დაფარულია. აბსოლუტური ჭეშმარიტება ერთია, ერთია ტაძარი. ყველა ჭეშმარიტი აზრი ამ ტაძარშია დაცული. ჭეშმარიტების ზიარება ჭეშმარიტების გზით ზიარებულთა წილწვდომას წარმოადგენს; ამნაირადვე ზიარებულად მიიჩნევენ იგი

¹ “По истолковательному и назидательному чтению Деяния святых Апостолов”, стр. 52-62.

იბერიას, ხოლო ჭეშმარიტების წვდომა არაჭეშმარიტი გზით მხოლოდ ბოროტებს ხელუწიფებათ. ამის გამო ბრძანა მაცხოვარმა: მე ვარ კარი სამოთხისა, ხოლო ვინც იწოდებებს შემოსვლას სამოთხეში, მხოლოდ ჩემგან შემოვა, ვინც ფანჯრიდან ეცდება, ის მპარავიაო.

122. შეიღ საიდუმლოზე ააგო უფალმა მისი ტაძარი: 1. ნათლილება; 2. მირონცხება; 3. ზიარება; 4. სინანული; 5. მღვდლობა; 6. ქორწინება; 7. ზეთისკურთხევა. ვიცით, თუ როგორ სრულდება ისინი. მაგრამ უხილავია და უცნობი მისი საიდუმლო ძალის მოქმედება. ამ საიდუმლოთა ყოველი თვისება, მისი არსი იცანა მხოლოდ რჩეულებმა, რადგან რჩეული არიან ისინი ყველა შორის თავიანთი უმაღლესი წადილისა და ღვაწლის მიხედვით, რაც ყველას არ ეტვირთება.

123. მრავალია ადამიანი, მაგრამ მათ შორის მცირეა გმირი. გმირობის წადილი ყველას აქვს, ხოლო საგმირო ზრუნვა — მცირეს. ამიტომაც გამოირჩევიან ისინი ყველასაგან. გმირობა აკრძალული როდია, იგი ნებადართულია, მაგრამ მოწადინეთა და მზრუნველთა ღვაწლის მოსურნეა მცირე. ამიტომაც არის იგი ყველასათვის მიუწვდომელი სიმაღლე. ზოსიმე კი თავის ხალხში ხედავს იმ გმირულ სულს.

124. ზოგი მკვლევარნი, როცა საიდუმლო ზიარებაზე ლაპარაკობენ, მიანიშნებენ იმ პირველ საიდუმლოს, რომლის ზიარება ნიშნავს ყველასათვის დაფარულის წვდომას, ე.ი. ღვთის ძალის ზიარებას სულიერი ნორმების ზედმიწევნით დაცვით, რამეთუ ქრისტე განმარტავს: სასწაულმორწმუნისათვის მომიცია ძალა, საწამლაფი რაიღა სვას, არღარა ეწონს მას, ხელითა მცოცავს შეიპყრობდეს, პირითა ახლითა უბნობდეს, ავაღმყოფსა ხელსა დასდებს და განკურნეიდეს, სულთაგან ეშმაკსა განანახმიდეს და უფრო მეტი სასწაული ქნას ქვეყანაზე, ვიდრე მე მიქნიაო.

125. წმიდა მამების თვალსაზრისით, სწორედ ძალის მპყრობელი ხდება ღვთის

საიდუმლოს ზიარებული, რადგან ამგვარი პიროვნებისათვის არაფერია დაფარული.

126. ზოგს კი ჰგონია, ღვთის სიბრძნე საიდუმლოდაა შენახული და ამიტომ სახარებას საიდუმლო განცხადებად ჰგულებენ მაშინ, როდესაც თვით სიტყვა „სახარება“ მიგანიშნებს მის არასაიდუმლოებრივ არსზე (რადგან სახარება გვაუწყებს და არ მაღაგს). სახარებით გვახარებენ მესიის მობრძანებას და გვაჯერებენ მის მესიობას. ღმერთი ამ სიბრძნეს არ მაღაგს. სახარებაში გამხელილია თვით უფლის ჭეშმარიტი ძეობა, როცა მანამდე ამის ცოდნა ზიარებულთა წილხდომას წარმოადგენდა, ხოლო სხვათათვის საიდუმლოებით მოცულ ნიშს, ამჟამად კი საქვეყნოდ ცნობილ სიბრძნეს.

127. „რასაც სიხსენებში გუენებით, სინათლეზე თქვით, და რაც ყურში ჩაგებსით, ერდოებზე იქადაგეთ“ (მათ., 10, 27).

128. ასე რომ, ქრისტეს სახარება ამჟამად არ შეიძლება ჩაითვალოს საიდუმლო ჭეშმარიტებად, არამედ იგი განცხადებული ჭეშმარიტებაა.

ხოლო ზოსიმეს მიერ ნაუწყები საიდუმლო, რომელიცენაში არის ჩამარხული, წარმოადგენს ღვთის სიტყვას, ე.ი. ღვთის ნებას, მის წადილს, რათა რაღაც განუმარტოს სხვადასხვა ენათა მპყრობელთ.

129. მრავალ უსჯულთა შემოსევის გამო იბერიას უჭირდა სუნთქვა, მაგრამ ქრისტეანული ხარწმუნოება არ დაუკარგავს. მართალია, ჟამთა სიმუხთლემ დაღეწა, მაგრამ არ განელებია მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სიყვარული. სწორედ ამიტომ არ წაერთმევა მას ეს უკეთესი ნაწილი. „ეს უკეთესი ნაწილი“ ნიშნავს იბერთათვის მესიანისტურ წილხდომას. ამ სიტყვებით ზოსიმე მოუწოდებს იბერიელებს, ამხნევებს მათ, რათა არ დაეცნენ უსჯულოთა მოძალებისაგან... რადგან მარიაშმა, ლაზარეს დამ, ქრისტეს სიტყვა ისმინა და სხვა ზრუნვით თავი არ დაიტვირთა, ამით უკეთესი ნაწილი. აირჩია. ქერთველსაც არასოდეს არ უძებნია ქარვასლა და ოქრო-

ვერცხლი, ყოველი საუკეთესო, რაც ებადა, ღმერთი იყი მისი და სამშობლო! სტუმრი-სათვის უგულვია მუდამ კარგი და კატომოყ-ვარებით უცხოურია, ამიტომ ებოძებო იბერიელებს ბედნიერი დღე, — შენიშნავს ზოსიმე.

130. „საზარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მეთვისსა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა; — და ესე არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკუდარი. ამისათვის მისთანე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მამისაითა“. ქართული ოთხთავისა მათეს საზარებაში, დასაწყისში, არის ნაწერი, რომელიც წარ-მოადგენს ასოს. ეს ასო მათეს საზარებაში „წ“ არის, რადგან საზარება ასე იწყება: „წიგნი შობისა“ — ე.ი. მიგვანიშნებს ასო „წ“-ზე. ასო „წ“-ს რიცხვითი მნიშვნელობა უდრის 4000-ს. ეს არის ოთხი დღე ლაზარესი და, როგორც ეთქვა: „კინც დაფლულია სიკედი-ლითა ნათლისღებითა ქრისტესაითა, იგი აღდგება იმავე ნათლითა მეორედ მოსლვისა ჟამს“.

131. „ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუ-ნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმე-ტვის სხუათა ენათა, ქრისტეის მოსლვითან ვიდრე დღესამომდე (შემკული და კურთხე-ულია უფლის სახელით, რადგან ასე უნებებია; დაბალი და დაწუნებულია ჟამთა სვლისა გამო. მაგრამ კვლავ აღსდგება იგი ძველი დიდებით ნათლისათვის, როგორც მინიშნებს იოანე-ზოსიმე. და ეს 94 წელი იქნებაო საქ-ვეყნო დასტური ქართული ენის აღმატე-ბელობისა, როგორც უმეტეს ყველა ენათა. — ი.ი.) და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ“ (და ეს ყოველივე, რაც აქ წერია, დასტურით გაუწყეო. — ი.ი.).

იოანე-ზოსიმე როდესაც ლაზარესთან აიგივებს ქართულ ენას, შთამომავლობას

მიანიშნებს იბერიისათვის მოსალოდნელ ბედნიერ დღეებს...

132. „ხოლო იესუ პასექამდე ექვსი დღით ადრე მივიდა ბეთანიაში, სადაც იყო ლაზარე, რომელიც აღადგინა მკვდრეთით“ (იოან., 12, 1).

133. დააკვირდით, ვიდრე მაცხოვარი იერუსალიმში დიდებით შევიდოდეს, ექვსი დღით ადრე ჩამოდის ბეთანიაში, ლაზარეს-თან. ზოსიმესული პარალელის მიხედვით, მეორედ მოსვლამდე მაცხოვარს, თავის მო-ციქულებთან ერთად, ე.ი. ახალ მოლუაწევებთან ერთად, იგი იბერიაში ხედავს. მოუწოდებს რა იბერიის დახსნას, ავალებს მაცხოვარს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყ-ნის მეუფეს. სხვა დამსხნელ ძალას იგი დე-დამიწაზე ვერ ხედავს.

134. „ხოლო მარიამა აილო ერთი ლიტრა წმინდა ნარდის ძვირფასი ნელსაცხებელი, ფეხებზე სცხო იესუს და თავისი თმებით შეუმშრალა ფეხები. და სახლი აივსო ნელსაცხებლის სურსელით“ (იოან., 12, 3). მარიამი ხომ „ახალი ნინოს“, ანუ ნანა დე-დოფლის მემკვიდრით იბერიასთან ჰყავს გაი-გივებული. ზოსიმემ იცის, რომ მის მიერ შე-მონახული მირონი ეს ის პატრიუსაგები ღვაწ-ლია იბერთა ბოლო ჟამისად, რომლითაც იდიდება უფალი. იოანე-ზოსიმე იწყებს რა მაცხოვარს თავის მიწა-წყალზე, ლაზარეც უშუალო მონაწილეა ტრაპეზისა, რადგან ამ სუფრას იგი ამშვენებს როგორც მენახე-ძველი და ახალი ნინო, ორთავენი იბერიის გაქრისტეანების ჟამის თანამედროვენი არიან, მაგრამ ახლა, როდესაც მაცხოვარი მეორედ მოსვლის უწინარეს თვისთა მოღვაწეთა თანხლებით იბერიის სტუმარი ხდება, ზო-სიმეს წარმოდგენაში ცოცხლდებიან ხსენე-ბული გმირების პროტოტიპები, ანუ სიმ-ბოლური სახეები: მარიამის ნაცვლად — იბერია, მართას ნაცვლად — საბერძნეთი, ლაზარეს ნაცვლად — ქართული ენა.

135. თუკი ქრისტე ლაზარეს სტუმარია, იგი ქართული ენის სტუმარია. მოქმედება

მიმდინარეობს აწმყოში. ამ შემთხვევაში ლაზარე და მისი დები ერთიანდებიან, ენის სტუმარი ერის სტუმარია. თუ ისინი ლაზარეში გაერთიანდნენ, როგორც მაცხოვრის მასპინძლები, მაშინ ის მეორე მარიამი ვინ არის, რომელიც ამ ტრაპეზს მსახურებს? სიმბოლურად იგი თავად ღვთისმშობელია, რადგან სუფრის გაშლა მის პატრესაცემად მის წილხვდომილ ქვეყანაში მხოლოდ მას ეკუთვნის, იგი მისი შვილის მასპინძელია.

136. იბერიის უპირველესი წილხვდომილი მოციქული სუფრას უშლის შვილსა და მაცხოვარს ქვეყნისას, რადგან ხედავს — ჰა, მოიწია ჟამი იგი ბოლო, ვითარცა ნაუწყები იყო: „შენი წილხვედრი ქვეყანა ბოლო დროს განათდეს!“

137. იოანე-ზოსიმე ამ დღეს ელოდება, ეს მისი წუხილია, მისი ერის წადილია. ეს იმ დროისათვის სულიერად დაცემული ერის გამხსნევებაა.

138. „იუდეველთაგან ძალიან ბევრმა გაიგო, აქ არისო და მოვიდნენ არა მარტო იესუს, არამედ ლაზარეს სანახავადაც, რომელიც აღადგინა მკვდრებით“ (იოან., 12, 9).

139. ესმით რა იუდეველებს, რომ მესია ლაზარესთანაა, მის სამყოფელოში (ე.ი. იბერიაშია) წამოვიდნენ. წამოვიდნენ არა მარტო ქრისტეს სანახავად, არამედ „ლაზარეს“ ნახვაც სურთ, მკვდრებით აღდგომილისა. ამ პარალელით იოანე-ზოსიმე მოუწოდებს ურჯულთა გარემოცვაში მყოფ თავის ქვეყანას: ნუ დაეცით, იბერო, სულით, დადგება ჟამი, თქვენი ბედნიერი დღის საცქერლად მოისწრაფოდნენ იქნება მრავალნი, და გამხსნევდითო!

140. ასე ელოდება იოანე-ზოსიმე მისი მშობლიური ერის აღორძინებას. როგორც აქ მაცხოვარს ტოტები დაუფინეს, ასევე შენიშნავსო ქვეყნიერება მკვდრებით აღდგომილ „ლაზარეს“ (იბერიის) სადიდებელ ღვაწლს ბოლო ჟამისად.

141. როგორც აღინიშნა, ნაწარმოები აპოკალიფსისური ხასიათისაა. მისი განმარტება მრავალნაირად შეიძლება, მაგრამ ავტორი ჩვენ გვბოჭავს და ნაკლებად გვაძლევს უფლებას საკუთარი საზომებით მივედგეთ ნაწარმოების ახსნას; როგორც ითქვა, ტექსტის გასაშფოთრად ავტორი საკუთარ კოდს ვეთავაზობს: ლაზარე ქართული ენაა, მართა და მარიამი საბერძნეთი და იბერია, დღე ერთი ათასი წელია და სხვ. ეინაიდან ავტორმა საკუთარი გასაღების ხმარების უფლება ყველას აუკრძალა, მეც თავისივე მოცემული კოდით ვცაღე ძეგლის განმარტება.

142. მეათე საუკუნის მოღვაწის ტიციელი ჩენთვის გასაგებია. ერის ტრაგიკული ბედით დამწუხრებული ავტორი ქრისტეანული რელიგიის საბოლოო გამარჯვებაში ხედავდა ურჯულ დამპყრობთა გერემოცივიდან სამშობლოს ხსნას (სხვანაირად როგორ შეძლო იგი აღექვა ბერს, თუ არა ქრისტეანული მსოფლმხედველობით?).

143. ავტორის მიერ მოცემული კოდით განხილული ნაწარმოების საბოლოო სახე ამგვარია: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მორედ მოსვლისა მისისა საწამებლად“, ე.ი. დაფარული, ანუ შემონახულია ქართული ენა იმ მორედ მოსვლის დღემდე, საწამებლად, ე.ი. სარწმუნებლად. რა თქმა უნდა, მეორედ მოსვლის ჟამისეულ რწმუნებაზეა ლაპარაკი, და უთუოდ იგი მესიის რწმუნებას გულისხმობს; მაგრამ ხაზგასმულია იმ მორედ მოსვლის-დროინდელი წამება, ე.ი. მისადმი დაჯერება.

144. „რათა ყოველისა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“, ე.ი. ყოველსა ენასა ანუ ყოველ რჯულს სხვადასხვა ენის მესაკუთრეთ, ღმერთმა აუწყოს ანუ განუმარტოს ამით ენითაო, ე.ი. ქართულის ენითაო.

145. „და ესე ენაი მიმინარე არს დღესამომდე“. ავტორი როდესაც ამბობს, დღესამომდეო, მიგვანიშნებს ტექსტში გაცხადებულის ასრულების მომენტს (ე.ი. იმ

დადგენილ ჟამს, რომელმაც უნდა გვაუწყოს ენის აღზევება).

146. „და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან“ (ავტორი ენას ლაზარესთან აიგივებს და მისსავე ბედს უწილადებს).

„ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან“. — ახალ ნინოში, როგორც ზემოთ განმარტეთ, და როგორც სხვაებმაც განმარტეს, ავტორი გულისხმობს მირიან მეფის მეუღლეს ნანა დედოფალს, ხოლო ჰელენეში კი — ბიზანტიის იმპერატორის დედას, დიდ დედოფალს, რომელთა მეგობრობამ აზიარა საქართველო ქრისტეს ნათელს. „ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“. ავტორი იბერიელებსა და ელინელებს დებად აცხადებს. დები კი ნიშნავს ერთდემამიშიველობას. „და მეგობრობაი ამისათვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. მათმა მეგობრობამ შეიქმნა საიდუმლოს აზიარა იბერია.

147. „ყოველი საიდუმლო“ ნიშნავს ძირითადი იმ მეორედ მოსვლის საწარმოებელი უწყების გარდა, სხვა საიდუმლოსაც. ამ „სხვა საიდუმლოში“ იგულისხმება ენისა და ერის ყოველი დაფარული ღირსებები, რომლის გამსვლის შემდეგ უნდა წარმოჩინდეს იგი ყველა ენათა შორის, როგორც იოანე-ზოსიმე მიკვანისძეებს; „და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან, რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღე“. დავითს (89, 4 ფსალმუნში) განმარტებული აქვს ღმერთის ერთი დღე დედამიწაზე ათას წელს უდრისო. აქედან გამომდინარე, რადგან ენა ლაზარესთანაა გაიგივებული, იგი ოთხი დღის, ე.ი. ოთხი ათასი წლის მიძინებული უნდა იყოს, რომელიც მოულის ლაზარესავით აღდგომას, მეორედ მოსვლის ჟამს ენის აღორძინებას. ჩვენ ზემოთ განვმარტეთ, ლაზარე ითვლება ოთხი დღის მიცვალებულად, თუმცა კარგად დავიანახეთ, ჯერ ოთხი დღე არ არის გასრულებული. მის გასრულებამდე ლამის თორმეტი ჟამი დევს. ე.ი. ლაზარე ყოფილა სამ დღე-ნახევრის მკვდარი. მაგრამ

იწოდება იგი მეოთხე დღედ. ე.ი. ენა 3500 წლის მიძინებულია.

148. „სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათისსა წილი ზის, რომელ ასოი არს და იტყვის ყოველად ოთხათასა მარავსა; — და ესე არს ოთხი დღე, და ოთხისა დღისა მკუდარი“. მათეს ქართულ სახარებაში წიგნი იწყება ნაწერითაო. ე.ი. პირველი სიტყვა, რომლითაც მათეს სახარება იწყება არისო ასო, რომლის რიცხვითი მნიშვნელობა შეადგენსო 4000-ს. მათეს სახარება კი ასო „წ“-თი იწყება. ასო „წ“-ს რიცხვითი მნიშვნელობა ჭეშმარიტად 4000-ია. და სწორედ ამდენსავე დღის მკვდრად იგულებს იგი ენას: სინამდვილეში კი ლაზარე მეოთხე დღის მკვდარია.

149. „ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მამისაითა“ (ვინც ქრისტესთან ერთად დაიფლო, იგი აღსდგებაო ქრისტესთან ერთად), ვითარცა ითქვა.

150. „და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაია, მდაბალი და დაწუნებული, მოეღის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტეს მოსლევითან ვიდრე დღესამომდე“. ენა შემკული და კურთხეული ნიშნავს ენის ორთავე ღირსებას, როგორც მისი აზრის გამომხატველობის საოცარ უნარს, ისევე მის საზოგადო ფუნქციასაც. მდაბალი და დაწუნებულია ჟამთა მუხთლობისა გამო, მაგრამ მოეღის მეორედ მოსვლის დღეს, რა თქმა უნდა, აღსადგომად, რომელსაც სასწაულებრივი ნიშნით გვაუწყებს 94 წელიო. და ეს ნიში დაადასტურებსო ენის უპირატესობას ყველა ენათა შორის.

151. „და ესე ყოველი, რომელი წეროილ არს, მოწამედ წარმოვითხარ“. ე.ი. ზემოთ გაუწყეთ, ჭეშმარიტებას წარმოადგენსო და მე ვარ ამის მოწმეო.

152. „ასი ესე წელი ანბანისა“ (როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ასი წელი ეკუთვნის

ანბანსო, ე. ი. მიგვანიშნებს, რომ აღორძინება, იგივე ანბანის აღდგომა-გაცოცხლება, მონღე-ბა არა საუკუნეთა მსვლელობაში, არამედ ქრისტეანული წელთაღრიცხვის ერთ რომელიმე საუკუნეში, ერთ რომელიმე ას წელიწადში. ისიც უცნოდ უნდა იყოს მეორედ მოსვლის მიჯნას მიახლოებული, ამბობს იოანე-ზოსიმე, და არა რომელიმე საუკუნის სხვა მონაკვეთში.

153. მერვე საუკუნიდან მოყოლებული, არაბების დაუსრულებელი ბატონობა საქართველოს მძიმე უღელი იყო. გმინავდა ვრი. მართალია, წინა საუკუნეების ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები ვრს ახსენებდა თავის თავს („აბოხ წამება“, „შუშანიკის წამება“ და სხვ.), მაგრამ ვრს სჭირდებოდა რაღაც უფრო დიდი სტიმული, რომელიც იმედს ჩაუსახავდა. და აი, ღმერთმა გასამხნეებლად ვრს მისცა წინასწარმეტყველება ვნის საქვეყნო დანიშნულების შესახებ.

154. „ლაზარე ქართული ენაა!“ ამ ერთმა წინადადებამ მთელმარე ვრი შეანჯღრია. „თუკი ლაზარე ქართული ენაა, მას ხომ ლაზარეს ბედი უნდა ეწილადოს?“ და აი, ვრის სულში ჩასხლტა იმედის ნაპერწყალი,

რომელიც იწყებს ვმირის მერწყას.

155. „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ვნითა!“ — ვაისმის ომახიანად. ითქვა და ჭეშმარიტია! მთელი შემდგომი ცხოვრება კაცისა, რომელსაც გამარჯვებულ ვინაღს მიუნიშნებენ, დამუხტულია იმ საბოლოო მიზნის მისაღწევად.

156. ამგვარი ნაწარმოები დიდს თუ პატარა ვრს ერთნაირად აფხიზლებს, ერთნაირად შეახსენებს სამშობლოს.

157. უდავოა, ძველი დიდ ყურადღებას იმსახურებს. იგი თავის დროზე, როგორც ნახეთ, ჭეშმარიტი მოწოდება იყო იმედგატეხილი მცირე ვრის გამხნეებისა, არგადამენებისა და კვლავად აღზევებისა; ხოლო დღევანდელ თანამემამულეთათვის კი კიდევ ერთი გაფრთხილება, კიდევ ერთი ჩაკვირება და თავდადებული დეაწლი ვრის მომავალი ბედნიერებისათვის; თანაც გვაჯერებს — ნათელი დღისათვის მებძოლს სიკვდილი არ უწყერიაო, და ამიტომაც უწინასწარმეტყველებს იგი ამ ბრძოლის ველზე ვმირულად დაცემულთ ლაზარესავით აღდგომას.

1983 წ.
ფოთი

ჩემი ვიბნი „მრი, ღმერთი და კანონი“ (რამდამტორის დიალოგი ავტორთან)

158. კითხვა: ბ-ნი მურთაზ, თვლით თუ არა თავს საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლად?

პასუხი: ვიცი არ, სვეკეთელი ყოფის განმსაზღვრელია ვრის სულერი მდგომარეობა, საჭიროა უკომპრომისო ბრძოლა ზნეობრივი სიწმინდისათვის, რათა დავიბრუნოთ ჩვენი რელიგიური ყოფის ზადითა და მწიკვლოვანებით განრიდებული ღმერთი, რომლის ფრთეთა ქვეშ დგომის შემდეგ აღსრულდეს ყოველი ნანატრი.

159. კითხვა: როგორ გეხმით თავისუფლება?

პასუხი: ჯოხის ქნევითა და ხმაურით ყოვლის სიკეთის მპყრობელის — ღმერთის გულს ვერ მოვიგებთ. უმჯებესია სამაგალითოდ ვიპყრათ ბიბლიური სიბრძნე:

„შეველადდეთ უფალს, ჩვენს ღმერთს, და ისმინა უფალმა ჩვენი ხმა, დანახა უფალმა ჩვენი ჩაგვრა და ჩვენი ტანჯვა-წამება.“

და გამოკვეყვანა უფალმა ეგვიპტიდან მაგარი ხელით და შემართული მკლავით, დიდი ზარით, სასწაულებითა და ნიშნებით“ (2 სჯული, 26, 7-8). ვრის თავისუფლება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბედნიერებას. სიცოცხლის საღმრთო დანიშნულებრივი ყოფა, — აი, ბედნიერება! აი, თავისუფლება!

160. კითხვა: თქვენი აზრით, რა არის სიცოცხლის დანიშნულება?

პასუხი: ღვთიური კანონების მიყოლით, ცოდვითდაცემით დაკარგული უკვდავების დაბრუნება — მარადიული სიცოცხლე; ამიტომაც შეგვახსენებს ბიბლია: ვრი და სახელმწიფო, რომელიც ღმერთს არ ემსახურება, განწირულია.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
განმანათლებლო მინისტრის განკარგულებაში

საქართველოს
განმანათლებლო მინისტრის განკარგულებაში

საქართველოს
განმანათლებლო მინისტრის განკარგულებაში

საქართველოს
განმანათლებლო მინისტრის განკარგულებაში



თ ა ვ ი ვ ი რ ვ ე ლ ი

ერი ხარ?

ღმერთი უნდა გყავდეს!

ღმერთი გყავს?

კანონს უნდა აღასრულებდე!

ყოველი კანონსგამიჯნული წყეულია, რამეთუ იგი იწოდება ერეტიკოსად.

ერესი არის ის მომაკვდინებელი ჭირი ქრისტიანული ყოფისა, რომლის დამკვიდრებით ერი მამულითურთ განწირულია. ერესს შეგუებული ქვეყანა კარგავს ღვთიურ მადლს და რაც უფრო ხანგრძლივია მთვლემარებიდან განკრთომის უამი, მით უფრო მძიმდება სასჯელი.

ღმერთი, უპირველესად, კანონია, შემდგომ კი სიყვარული. ვინც იქადაგებს მხოლოდ სიყვარულით გადარჩენას, რომელშიაც არ იგულისხმება თვით კანონის აღსრულება, ერის მესაფლავება.

აჰა, დადგა უამი აპოკალიფსური სიფხიზლისა! მოვიმარჯვოთ სულის კანონი ჭეშმარიტების დასამკვიდრებლად, რაც ნიშნავს საღვთო წინსვლას ერის საკეთილდღეო ხიბრძნით, სიყვარულითა და მშვიდობისმყოფელობით.

იბერია, საუკუნენი და მსოფლიო საქრისტეანოს მრმსი



წმ. ნინო — ქართველთა განმანათლებელი.

1. მაშინ, როდესაც რელიგიას ერის წინამძღოლის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, იგი წარმოადგენდა ამა თუ იმ საზოგადოების იდეოლოგიურ მრწამსს და იყო განმსაზღვრელი ერის არსობისა. მოპირისპიერ რელიგია თავისთავად იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ ისახებოდა; ამიტომაც ვრს მართება ერთხელ ბოძებული მრწამსის მტკიცედ ჰერობა. ყოველი სახელმწიფო ცდილობდა თავისი რელიგიური (იგივე იდეოლოგიური) მრწამსი გაეთავისებინა დამორჩილებული ერისთვის, რაც გარანტია იყო ეროვნული გადაკვარებისა და ძლეულის მძლეველთან შერწყმისა.

2. როგორც ეროვნება, ასევე რელიგიაც მრავალი ქვეყანაზე ყოველი რელიგია თავის მრწამსს დოგმატური სახით აყალიბებს, განამტკიცებს მას და ანიჭებს კანონიერობას, რითაც მმართველ აპარატს შემომტკიცებული

ჰყავს თავისი სამწყსო. სახელმწიფოს ჰუმარატი იდეოლოგიური მრწამსი ერის სულიერი მიმართულების განმსაზღვრელია და იგი წარმოადგენს ქვეყნის სიმტკიცის გარანტიას.

3. ქრისტეანობის შემოსვლამ მსოფლიოს სახე უცვალა. შემოდის რა ახალი რელიგია, მას გზას უთმობს თვით თხუთმეტსაუკუნოვანი იუდაიზმიც კი.

„...აჰა, კაცი — მორჩია მისი სახელი; თავისი ადგილიდან აღმოცენდება და ააშენებს უფლის ტაძარს.

ის ააშენებს უფლის ტაძარს და იტვირთავს დიდებას, დაჯდება და იხელმწიფებს თავის ტახტზე...

შორსმოფენი მოვლენ და ააშენებენ უფლის ტაძარს...“ (ზაქ., 6, 12-13, 15).

4. „მხოლოდ მისი ხელით მორთმეული ეკლესია მნებავს“, — შეახსენებს ბიბლია კაცობრიობას არსთა გამრიგის განკარგულებას. მსოფლიო ტორტიკანებს! ბოროტებაზე დაფუძნებული კერამთაყვანისმცემლობა იწყებს მსხვერველს...

5. „ამიტომ გეუბნებით, ხალხებო, ვინც კი მოისმენთ და გაიგონებთ: ელოდეთ თქვენს მწყემსს და მარიდიულ შვებას მოგანიჭებთ იგი...“ (3 ვზრ., 2, 34).

6. საუკუნის სიბრძნე კაცობრიობას ახალ, ჰუმანურ სწავლებას სთავაზობს.

საკურთხევის ცეცხლზე მოფართხალე ცოცხალი ადამიანებისა და ცხოველების ნაცვლად ამიერიდან შეიწირება ხანთელი და საკმეველი, უსისხლო შესაწირავი. ადამიანის შეგნებაში წინა ჰლანზე დგება გონიერება, რომელიც კაცობრიობისათვის სიკეთისაკენ მოწოდებად იქცევა.

7. თვალდათვალ იმერწყება ეკლესია: ეკლესია — სამლოცველო ტაძარი, ქრისტეანთა

გასამრავლებელი საბუდარი; ეკლესია — ეროვნული მონოლითურობის კერა, სახელმწიფოს მთავარი სასიცოცხლო არტერია, განათლებისა და კულტურის ცენტრი.

8. ახალი რელიგიის შემოხელას კარს უღებენ მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. რელიგიურ მრწამსთან ერთად იქმნება კულტურული ფასეულობანი. ვითარდება ხელოვნების სხვადასხვა დარგი: ხუროთმოძღვრება, ფერწერა, საგუნდო ხელოვნება, ჰიმნოგრაფია, ჰაგიოგრაფიული მწერლობა. ასევე იქმნება „დიდი ჯგულის-კანონი“ ანუ „წმიდა მამათა კანონები“, რომელიც იმდროინდელი იდეოლოგიის მორალური კოდექსია. იგი უცვლელია და ხელუხლებელი, რამეთუ ეროვნული მონოლითურობის საფუძვლად იგულებდა.

9. „... ибо мы не можем говорить, ни прибавить ничего к принятому святыми отцами, ни отнять совсем что-нибудь. Других правил, кроме исчисленных, это правило принимать не дозволяет“ (Правило Святого 6 Вселенского собора Константинопольского, правило - 2. Зовара).

10. ამდენად, დადგენილების მიხედვით, ამ საფუძვლის მოშლა, ე.ი. კანონიკური მრწამსის შეცვლის უფლება არავის აქვს, თვით ანგელოზსაც კი, აცხადებს სახარება:

„მაგრამ თვით ჩვენც, გინდა ანგელოზი ზეცით, რომ გახარებდეთ არა იმას, რაც აქამდე გვიხარებდა თქვენთვის, შეჩვენებულნი ვიყოთ“ (გალატ., 1, 8).

11. რაკი იციან, რომ ეკლესია ის ცენტრია, რომელიც სახელმწიფოში იდეოლოგიას ხელმძღვანელობს, დაბეჯითებით ითხოვენ ამ მმართველი აპარატის სიმტკიცეს, სიწმინდესა და მისი მიმართულების განუხრელობას. ამიტომაც უწოდებენ ეკლესიას ქრისტეს პატარძალს და მისგან ანგელოზურ სრულყოფილებას მოითხოვენ.

12. „და, ამრიგად, წარმოვდგინა ის თავის წინაშე დიდებულ ეკლესიად, მწიკვლის, ზადლისა თუ სხვა რაიმე მსგავსის არმქონედ,

არამედ რათა წმიდა და უმწიკვლო ყოფილიყო იგი“ (ეფეს., 5, 27).

13. დადგენილი კანონების უგულვებელ-მყოფელთ ერტიკოსებად აცხადებენ და წვეტენ მათთან ყოველგვარ კავშირს, რამეთუ ყოველი ერტიკოსი, სჯულისკანონის მიხედვით, ანათემას ექვემდებარება: „შერეწებულ იქნეს ყველა მწვალებლობა“ (მეორე საეკლესო კრების 1-ლი კანონი).

14. ვინაიდან ეკლესიის მსახურთ ღმერთსა და ხალხს შორის შუამავლის დიდებული ფუნქცია აქვთ მინიჭებული, შეუვალად წარმოჩინდება მათი, როგორც იდეოლოგიური ფრონტის წარმომადგენლების, უფლებამოსილება.

„ტემმარტიად გუბნებით თქვენ: რასაც შეგკრავთ მიწაზე, შეკრული იქნება ცაშიც...“ (მათ., 18, 18).

15. ასე და ამრიგად, საქვეყნოდ აცხადებენ, რომ სწორედ ამ დადგენილ კანონებზე დაფუძნებულ ეკლესიას შეუძლია ტემმარტიკრისტანთა მრავლობა ქვეყანაზე, ხოლო ანათემირებულ ეკლესიებს არ გააჩნიათ ამგვარი ღირსებები, რადგან იციან, რომ დოგმატიკისა და წესების სახეცვლილებით ისინი ერესის უფსკრულში არიან ჩამირულნი.

16. დღემდე ამჩნევია შეწირულ ყრმათა და ჩვილთა ნაფერფლარი კერპთაყვანისმცემელთა ტაძრის ნანგრევებს. მათი რელიგიური მოძღვრების სისასტიკით დადენილი სისხლი დღემდე არ შემოობა ქვეყნიერებას.

17. მსოფლიოთ გაქრისტეანების პროცესის დაწყებისთანავე მოციქულთაგან ნათელცემული ერები სამოციქულო ეკლესიის მესაკუთრენი გახდნენ (ამ ტიტულს ბევრი ერი მოკლებულა), გაქრისტეანების პროცესი მოციქულთა შემდეგაც გრძელდებოდა. მაგრამ, მრავალთა შორის, სამოციქულო ეკლესია იმსახურებდა უმეტეს პატივებას. ასეთი დიდი პატივი ერკო იბერიას (საქართველოს) მისი პირველი განმანათლებლის ანდრია მოციქულის (პირველწოდებულის) და სვიმონ კანანელის, მოგვიანებით კი — მოცი-

ქელთა სწორი წმიდა ნინოს დიდი ქრისტე-
ანული ღვაწლით.

18. მოციქულთა მიერ დამოძღვრილი და-
სავლეთ საქართველო პირველ საუკუნეში
იწყებს ქრისტეანულ ცხოვრებას, რაც იმთა-
ვითვე ნიშნავდა ჭეშმარიტი ეკლესიის და-
ფუძნებას.

19. დასავლეთ საქართველოს არაფერი
უშლიდა ხელს მიედო სამოციქულო სწავ-
ლება, რადგან იგი ტერიტორიულად და
კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობი-
თაც მოწინავე ქვეყნებთან უფრო ახლო კავ-
შირში იყო, როგორც ვერაზის ჭიშკარი.

20. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბი-
ზანტიის ქალაქ ნიკეაში 325 წელს, პირველ
მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, 380 წმიდა
მამა იღვწოდა; ამ წმიდა საკრებულოს
ბიჭვინთის ეპისკოპოსიც ამშვენებდა.

21. რა თქმა უნდა, ქრისტეანობის მიღება
მრავალ ქვეყანას უქმნიდა უშიშროების გა-
რანტიას, ახალი რელიგიის აღმსარებელი
ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორც იყო
ბიზანტიის იმპერია, მარადიულ მფარველო-
ბას სთავაზობდა მოკავშირეს. დიდ სახელ-
მწიფოებს ჭეშმარიტად ხელს აძლევდა ამგ-
ვარი მისიონერული მოკავშირეობა.

22. მსოფლიოს უდიდესი ნაწილის ერ-
თიანი ქრისტეანული იდეოლოგიური მრწამ-
სით შეკავშირებაში მოპირისპირე რელიგიები
კიდევ დააფრთხო და კიდევ გამოაფხიზლა.
იწყება მათი ტაქტიკური და ძალისმიერი
შემოტყეები. იქმნება ფორმულა: უმთავრესი
როდია ძლეულის ძალისმიერი მორჩილება,
არამედ საჭიროა სულიერი გარდაქმნა, რაც
გამოიხატება რელიგიური მრწამსის შეცვლის
აუცილებლობაში. საჭიროება მოითხოვს
დოგმათა რღვევას, რათა კანონს თანდათან
მოერყეს საფუძველი, რის შემდეგ გზა
ხსნილია ახალი მრწამსის, ე.ი. ნებისმიერი
რელიგიის დასანერგავად.

23. ვინაიდან ყველაზე კარგად ეკლესიის
სახეში აირეკლება ერის სულიერი მდგო-
მარეობა, ჩვენც ამ კუთხით მივადევნოთ

თვალი მის დოგმატურ სახეცვლილებას.

იბერიის ქრისტეანული ეპოქა, ლიტერა-
ტურის ისტორიის თვალსაზრისით, კონსტანტინე
კეკელიძემ ოთხ პერიოდად დაყო: 1) დღიდან
მწერლობის დაწყებისა მეთუ საუკუნის ოთ-
ხმოციანი წლებამდე. 2) მეთუ საუკუნის ოთხ-
მოციანი წლებიდან მეცამეტე საუკუნის
ნახევრამდე. 3) მეცამეტე საუკუნის მეორე
ნახევრიდან მეთექვსმეტის დამდეგამდე. 4)
მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგიდან მეცხრა-
მეტე საუკუნის თითქმის ოცდაათიანი წლე-
ბამდე (იხ. კ. კეკელიძე, „ძველი ქართული
მწერლობის ისტორია“, ტ. I, თსუ გამომ-
ცემლობა, 1951 წ., გვ. გვ. 35, 50, 54, 56).

24. ეპოქის ამგვარი დაყოფა, ჩემი აზრით,
სავსებით შეესაბამება როგორც ლიტერა-
ტურის ისტორიის, ასევე ქრისტეანული
ეპოქის შესწავლის პრინციპებსაც (იმის გათ-
ვალისწინებით, რომ პირველი პერიოდი ათ-
ვლილი იქნეს პირველივე საუკუნიდან, ხოლო
მეოთხე პერიოდი გაგრძელებული მყოფე
საუკუნის ჩათვლით), რადგან ამ დაყოფას
საფუძველად უდევს საუკუნეთა ის კულმინა-
ციური მომენტები, რომლებშიაც თვალნათ-
ლივ აისახება ერის სულიერი მდგომარეობა.

პ ი რ ვ ე ლ ი ა პ რ ი ო ღ ი

(I ს. — X ს.-ის 80-იანი წლები)

25. „მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდაე,
რიტორიკის ნაყოფი მოეწყვიტე გაცილებით
უფრო უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი
ადგილია, არა წყნარსა და ელინურ ადგი-
ლას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის
მახლობლად, სადაც არგომ; თესალიიდან
წამოსულმა, დაისადგურა... მართალია თუ
არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი გახდება ახლავე,
თუ დაეძინე შემდეგსაც: იქ ჩავედი მე არა
საკუთარი მისწრაფებითა და გაღაწ-
ყვითილებით, არამედ მე გამგზავნა იქ ისეთმა
კუთლმოსურნე კაცმა, როგორიც შეიძლება

იყოს მამა და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნებ შენ ის სრულიად დაკეპო იმისათვის, რომ მან თვითონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა, ან უფრო მეტად დამკგო მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული". — გვაუწყებს IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი თემისტოხოსი ფაზისის ფილოსოფიური სკოლის შესახებ (ვ. გუჩუა, შ. მესხია, „საქართველოს ისტორია“, თბ., „განათლება“, 1978 წ., გვ. 41).

26. რომის იმპერიის I საუკუნე (კეისარი აგუსტუსი) ქრისტეანული მოძრაობით არის დამუხტული. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ჩვენს მიწა-წყალზე სამოციქულო ქადაგებები ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისა, რითაც სამოციქულო ეკლესიას პირველსავე საუკუნეში ვერება მტკიცე საფუძველი. და თუ იგი ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული სახელმწიფო რელიგიადა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტეანობა აქ მიუღებელი მოძღვრებაა.

27. ყოველად შეუძლებელი იყო ქართველი ადამიანის კაცთმოყვარე და სიბრძნისმოყვარე ბუნებას კარი არ გაეღო ამგვარი ჰუმანური სწავლებისათვის, რომლის სანაცვლოდ მხოლოდ შეუგნებელი, მწვალებლური კერპთაყვანისმცემლობა უნდა დაეთმო; და თუკი პირველსავე საუკუნეში იგი ვერ იქნა აღიარებული იბერეელთა სახელმწიფო რელიგიადა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იდეოლოგიური დაპირისპირება წარმართული ქვეყნების გარემოცვაში ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს შექმნიდა.

28. IV საუკუნის დასასრულს რომის ერთიანი იმპერია ორ ნაწილად — დასავლეთ და აღმოსავლეთ სახელმწიფოებად გაიყო. ამ უკანასკნელს შემდეგ ბიზანტია შეარქვეს, ხოლო საქართველოში ბიზანტიას საბერძნეთს უწოდებდნენ, ბიზანტიელებს კი — ბერძენებს, იონებსა და ჰრომებს.

29. საკმარისი გახდა წარმართ მეფეთა ძალმოსილების დაკარგვა და სათნოებით მოსილი კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტეანული რელიგიის აღიარება, რომ, ბიზანტიის მსგავსად, იბერიასაც ქრისტეანობა უმაღლეს მიეღო სახელმწიფო რელიგიადა.

30. მოციქულთა სწორი კაპადოკიელი ნინო, ანდრია პირველწოდებულის ქადაგების წარმმართველი 337 წელს საბოლოოდ განანათლებს იბერიას და ქრისტეს რჯულზე მოაქცევს.

31. ქართველთა მეფე მირიანი და დედოფალი ნანა ბიზანტიის მეფე კონსტანტინესა და დიდ დედოფალ ჰელენეს იბერიაში ქრისტეანთა განსამტკიცებლად გამოსთხოვენ მღვდელმსახურებსა და ხუროთმოძღვრებს, მთარგმნელებსა და მგალობელთა დასს. იბერია იმ დღიდან იწყებს ახალი იდეოლოგიური მრწამსით ცხოვრებას; იგი ამიერიდან მარადი მოკავშირეა დიდი ბიზანტიისა და მსოფლიო ქრისტეანული ერთიანი ოჯახის განუყოფელი წევრი ხდება.

32. III საუკუნის პირველ ნახევარში პართიის სახელმწიფოს ადგილზე ახალი სახელმწიფო უჩაობდა. იგი ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელის დაპატრონებით ცდილობდა ამიერკავკასიაში გაბატონებას.

33. მაგრამ კონსტანტინე დიდის მეფობის შემდეგ ბიზანტია უკვე ქრისტეანულ პარტნიორობას ვეღარ უწყევს იბერიას. კონსტანტინესეული პოზიცია მომდევნო იმპერატორებმა დროთა განმავლობაში დაკარგეს. განელდა შურადღება უძლურ მოკავშირეთა მიმართ. რღვევა იწყო ქრისტეანულმა ჰუმანურმა პრინციპებმა. მეგობრობაში ბზარი გაჩნდა. ამგვარი სიტუაციით სარგებლობს მტერი და ბიზანტიას სათითაოდ აცლის ფრთებქვეშ შეყუჟულ მოკავშირეებს. დგება ჟამი, როცა სპარსეთი იბერიისათვის რკინის მუშტი ხდება; იგი აუქმებს მეფობას, ასევე — იმორჩილებს სომხებსა და ალბანელებს.

34. VI საუკუნეში კი მტრის ხლართებში მოქცეულ ბიზანტიას უკვე საკუთარი პრობ-

ლემები უფრო აწუსებს, ვიდრე მოკავშირეთა ბედი.

„მეხუთე საუკუნის დამდევიდან... სპარსეთი თანდათან უჭერს მას (იბერიას. — ი. — ი.) არტახებს, 532 წელს საბოლოოდ აუქმებს აქ მეფობას და თავის წარმომადგენლად „მარზპანს ნიშნავს“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 37).

35. ყოვლად შეუძლებელია, რომ ქრისტიანული რელიგია ამ დროისათვის, როგორც მოწინააღმდეგე რელიგიის მესვეურთა მოხარკე, მძიმე მდგომარეობაში არ ყოფილიყო. მაზდეანური მთავრობა სხვადასხვა ტაქტიკური მოქმედებით მუდამ სდევნიდა ქრისტიანობას; თუკი ზოგჯერ ფორმალურად ცდილობდა რელიგიური ხელუხლებლობის გარანტია მიეცა ზღვა ხარკის გამღებ საქართველოსთვის, ეს უესტი კეთილი ნების პოლიტიკაში არ ჩაეთვლებოდა: მტერი ხედავდა, რომ ქართველი კაცი სიცოცხლეს უფრო იოლად თმობდა, ვიდრე რჯულს.

36. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი იბერიის (ქართლის) მეფის, გურგენის აჯანყების შესახებ წერს:

37. „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო ძველთაგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან. მაშინ კავადს (სპარსეთის მეფეს) უნდოდა ძალით მოექცია ისინი თავისი სარწმუნოების წესებზე და მათ გურგენს შეუთვალეს სხვა რამეშიც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხათ, არამედ ყველა მიცვალებული ფრინველებისა და ძაღლებისათვის გადაეცალოთ.

38. ამიტომ გურგენმა მოინდომა იუსტიციე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიეღო, რომ რომაელები (ბიზანტიელები) არასოდეს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. იმანაც (ე.ი. იუსტინემ) მას დიდი სიამოვნებით მისცა ეს დაპირება...

მეფემ (იუსტინემ) პეტრე სტრატეგოსი გაგზავნა ლაზიკაში (ეგრისში) რამდენიმე ჰუნითურთ, რომ ის დახმარებოდა გურგენს... ამავე დროს კავადმაც დიდძალი ჯარი გაგზავნა გურგენისა და იბერების წინააღმდეგ...

39. რადგან რომაელების მიერ გაგზავნილი დამხმარე ძალები საკმაო არ იყო, (გურგენი) ლაზიკაში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულითურთ და თან წაიყვანა ცოლი, შვილები და ძმები... ლაზიკის საზღვრებში რომ მივიდნენ, აქ გაჩერდნენ, და ძნელად ასასვლელი ადგილებით დაცულნი იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მათ, მაგრამ მანცდამინც ვერაფერი დააკლეს“ (ე. გურჯა, შ. მუსხივა, დასახ. წიგნი, გვ. 46).

40. ქრისტიანული რელიგიის მოსპობას მტერი ახალი ხერხებით ცდილობს: დოგმატიკის თანდათანობით რღვევით სურს საფუძველი გამოაცალოს სჯულისკანონს, რის შემდეგ იცის, რომ გზა ხსნილია არასასურველი რელიგიის დასანგრევად.

41. სომეხი ისტორიკოსის ლაზარე ფარპელის სიტყვით, სპარსეთის მეფეები პოლიტიკური მოსაზრებით თურმე წინათაც ძალას ატანდნენ ალბანელებს, სომხებს და ქართველებს, რათა ბერძნული ქრისტიანობისათვის ეღალატნათ... (ვენეტიკის გამ., 1891 წ., გვ. 149-158, წიგნში: ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტტომად, ტ. VIII, თსუ, 1977 წ., გვ. 96).

42. რას ნიშნავს „ბერძნული ქრისტიანობისათვის ეღალატნათ“? იქნებ ეს არ ნიშნავდა ქრისტეს სჯულის უარყოფას? თუკი ნიშნავდა, მაშინ რა მოსაზრებით სთავაზობდნენ ასურულ ქრისტიანობაზე შედგომას? განა ქრისტეს სჯული არ ეყვრათ ასურულ ქრისტიანებს?

43. ჭეშმარიტად, მაგრამ ასურელნი იმხანად ერეტიკული სწავლების მიმდევარნი იყვნენ. საინტერესოა, ერესი რატომ მიიჩნია მტერმა ერის სულიერი დეპრესირების ბასრ იარაღად?

44. მან კარგად უწეის, რომ მემკვიდრეობითი ერესი იწვევს იდეოლოგიური მრწამსის საბოლოო გაუქმებას, რითაც იკარგება ერის ნაციონალური სახე და გზა ეთმობა ნებისმიერ მრწამსს. ამიტომ რაციონალურად იყენებს ამ ხერხს.

45. იმისათვის, რომ რელიგიაში ერესი დაამკვიდრონ, ცდილობენ მღვდელმთავართა მოსყიდვას, კანონიკური წიგნების გადაკეთებას, ჯვრების, ფრესკებისა და ხატების შესაქმნელად დადგენილი ნორმების დარღვევას. ერესის დამკვიდრებაში უმთავრეს როლს მუდამ მეფე და მწყემსმთავარი თამაშობდნენ.

46. უპირველესად ხალხს სთავაზობდნენ რჯულის შეცვლას, წინააღმდეგობის შემთხვევაში, მწვალებლობას — ამკარა ერესს; ამ უკანასკნელის მიუღებლობის შემთხვევაში კი ფარული ერესის დამკვიდრებას ცდილობდნენ. რატომ ენებათ სარწმუნოების შეცვლა ფიზიკურად დამორჩილებული ერისათვის? განა ფიზიკურ მორჩილებაში არ გამოიხატებოდა ერის მონობა? მაგრამ ჩვენ ვხვდებით, რომ მტერი განუხრევლად ითხოვს იდეოლოგიური მრწამსის — სარწმუნოების — შეცვლას. და არც ცდება. რადგან უთუოდ ეს არის გარანტია ერის თავისთავადობისა.

47. ამ ტაქტიკური სვლის მარცხის შემდეგ, მტერი გვთავაზობს თითქოსდა შეღავათიან არჩევანს: ბერძნულსა და სირიულსჯულიერ სწავლებათა შორის დაგეშოთ ბერძნული და მივიღოთ სირიული სწავლება.

48. ეს ტაქტიკური იარაღი, როგორც ვინახუთ, უპირველესად სომხებზე მოსინჯეს: აერთი ორთაგანი ყავთ: ანუ გამოირჩიეთ ყოველთა ასურთაგან სჯული თვინიერ მელქთაისა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენი, ანუ დაუტყვევთ ქვეყანაი თქუენი“ (ივ. 7:4-5, ტ. VIII, გვ. 99).

49. ე. ი. „ან სიკვდილი, ან ერესი!“ რას მიგვანიშნებს მტრის ამგვარი კატეგორიული განცხადება? როცა ვიცით, რომ „სიკვდილი“

ფიზიკურ განადგურებას ნიშნავს, რას უნდა ნიშნავდეს მეორე შემოდგეული არჩევანი? როგორ გავიგოთ? სუთუ გვთავაზობენ რაიმე შეღავათიან ვარიანტს?

50. მტერმა იცის, რომ ფიზიკური მონობა ჯერ კიდევ არ გულისხმობს განადგურებას, იგი დროებით მოვლენაა. მრწამსის შეცვლა კი მძლეველთან მარადიული შერწყმის უტყუარი გარანტიაა, რაც ერის გადაგვარებას ნიშნავს. ამიტომ ორ უკიდურესობას შუა მერყევი ერი ფიზიკურ განადგურებას ერესს არჩევს და მტრის მიზანიც მიღწეულია.

51. VII საუკუნე. 628 წელს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ზავი დაიდო, სპარსეთმა თავი დამარცხებულად ცნო და ამიერიდან მთელი საქართველო კვლავ ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცა. VII საუკუნის მეორე ნახევარში კი ბიზანტიამ ეგრისში მოსპო მფეობა და ეს ქვეყანა თავის პროვინციად გამოაცხადა.

52. ქართლში, როგორც ბიზანტიისაგან უფრო შორეული სპარსეთის მოსაზღვრე ქვეყანაში, კვისრის ხელისუფლება შედარებით ფრთხილად იქცეოდა. იგი ქართლის ერისთავისაგან მხოლოდ ერთგულებასა და სამხედრო სამსახურს მოითხოვდა.

53. ბიზანტია-საქართველოს ამგვარი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, იგი მსოფლიოს ახალმა დამპყრობლებმა — არაბებმა დაარღვიეს.

54. „სპარსელების ბატონობა ქართლში 643-645 წლებში შეიცვალა არაბთა და მათი „ამირას“ ბატონობით... შინაგანი მართვაგამგეობის აპარატისათვის სპარსელებსა და არაბებს ხელი არ უხლიათ და ის ერისთავები, რომელნიც წინათ ამა თუ იმ ფეოდალურ ერთეულს — საერისთავოს განაგებდნენ, თავიანთ ადგილებზე დარჩნენ. მხოლოდ, თუ წინათ ისინი აღმინისტრაციული პირები იყვნენ, ახლა მემამულეებად და თავიანთი ფეოდალის — საერისთავოს სრულ ბატონპატრონად იქცნენ. ასე რომ, ეს ერისთავები

შეიქნენ თავისებური მეფეები თავიანთ საბრძანებელში.

55. ისინი ცხოვრობდნენ და ბატონობდნენ ერთმანეთისაგან განცალკევებით და დამოუკიდებლად, რაც, თუ გნებავთ, იქედანაც ჩანს, რომ არაბების შემოსევისას, თითოეული მათგანი ცალკე, როგორც სრული ბატონპატრონი თავისი სამფლობელოსი, მოდის არაბთა მხედართმთავართან და ხელშეკრულებას სდებს მასთან“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 37).

56. „ხელშეკრულებას სდებს“ — ნიშნავს, რომ ერისთავი თავის ნებაზე განაგებს თავის საბრძანებელს. საემარისია მბრძანებელი ხელის ორგული გახდეს, რომ თავის სამწყვროში წამსვე გაუღებს კარს მის მიერ მოწონებულ რელიგიას. გავისხენოთ „მუშანიკის წამება“, თუ როგორ აწამა რჯულშეცვლილმა ვარსკენმა თავისი ქრისტიანი მეუღლე მუშანიკი. წარმოიდგინეთ, როცა საკუთარი მეუღლე არ დაინდო და გაწირა, რა ხეირს დააყრიდა სხვა ქრისტიანს თავის სამფლობელოში იგი, ან სხვა მისნაირი?

57. „ასე რომ შეექვსე საუკუნიდან, ერთის ნაცვლად, აღმოსავლეთ საქართველოში იმდენი „სამეფო“ გაჩნდა, რამდენიც წინათ ხაერისთაო იყო“ (კ. კეკელიძე, იქვე).

58. ეს ნიშნავს — არ არის ერთიანი საქართველო. არც მწყემსმთავარია ერთი. როგორც საქართველოა დაქუცმაცებული, ასევე დამსხვრეულია ერთიანი საქრისტიანოც, რაც მტრებს ხელს აძლევს ერების დასანერგავად.

59. არაბების გაუთავებელი ბატონობა მოასწავებდა ერის ზნობრივ დაცემას, რადგან მონანი ბატონთა მორჩილნი არიან. ნებისთ თუ უნებლიეთ შებიღწულია ცოლქმრული პატიოსანი სარეცელი, ხასებად გარევილია საქართველოს ასულები.

60. „იქმნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა, და მტერ იქმნეს ურთიერთას“, — იმოწმებს კ. კეკელიძე ისტორიულ ჰირველწყაროს (იქვე).

61. მმათა შორის მტრობა და ქიშკობა ზოგადსაკაცობრიო ეთიკური ნორმები, რითაც ქვეყანა ფეხზე იდგა და რითაც სახელმწიფოს შემომტკიცებელი ჰყავდა ერი, განადგურებულია.

62. „თუ ივლით ჩემს წესზე და დაცავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ (რაც ნიშნავს სჯულისკანონის მიყოლას. — ი.ი.),

თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს.

მშვიდობას ჩამოვაგდებ ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. აღარ იქნება დამაფრთხილებელი... და მახვილი არ გაივლის თქვენი ქვეყანაზე“ (ლევ., 26, 3-6).

63. განა ჭეშმარიტებად არ ჩაითვლება განცხადებული? თუკი კაცობრიობა დაექვემდებარება აღმნიანისათვის ბოძებულ ზოგადსაკაცობრიო სამშვიდობო ნორმებს და იქნება ღმერთს მინდობილი, რანაირად გაივლის მახვილი მათ მიწაზე? ვინ იქნება მშვიდობის დამრღვევი? ანკი რანაირად დარჩება საზრდელის გარეშე აღმნიანი, თუკი ყველანი პატიოსნად შრომობენ და იღვწიან? სწორედ ამგვარი ნორმების დაცვა არის გარანტია ყოველი უბედურების თავიდან აცილებისა, რადგან ამ აზრთა საწინააღმდეგო აზრი ბადებს ყოველგვარ უსამართლობას ქვეყანაზე. ამ აზრის მიმყოლთ შეახსენებენ კვლავაც:

64. „თუ არ დამიჯერებთ და არ შეასრულებთ ამ ჩემს მცნებებს, თუ არად ჩააგდებთ ჩემს წესებს, თუ ისე შეიძულებთ ჩემს სამართალს, რომ არ შეასრულებთ არცერთ ჩემს მცნებას და დამირღვევთ აღთქმას (იგულისხმება იგივე კნონები. — ი.ი.),

65. მაშინ... მოგივლენთ შიშისზარს, ჭლექსა და ცხროებას, თვალის დამავსებელს და სულის შემაღონებელს. ფუჭი იქნება თქვენი დათესილი, რადგან მტრები შეგიჭამენ.

66. პირს ვიზამ თქვენსკენ და დაუშარცხდებით თქვენს მტრებს. გაგიბატონდებიან

მოსისხლენი; გაიქცევი, თუმცა მდევარი არ გეყოლებათ.

67. და თუ მაინც არ დამიჯერებთ, შეიღვინს მოგიმატებთ სასჯელს თქვენი ცოდვებისათვის.

გაეგზავნე თქვენი სიჯიუტის ძალას... (ლევ., 26, 14-19).

68. როცა კაცი ვერ ხელება უბედურების მიზეზს და ეგუება მას, ცხოვრება გაუშვიდეკცებს სასჯელს და უფრო მძიმე განსაცდელში ჩააგდებს, რადგან არ მოიძია დაკარგული ჭეშმარიტება; ცოდვილი ადამიანი მგლის ხახიდან ლომის ხახაში გადაინაცვლებს. განა ზნეობრივი წახდენა არ არის მიზეზი ქვეყნის დაცემისა? როგორც კი ადამიანი ლეთიური დანიშნულების მიხედვით არ გამოიყენებს ცხოვრებას, რაც ეთიკური ნორმების დაცვაში ვლინდება, უკვე ამორალურად ცხოვრობს და სასჯელიც არ აყოვნებს.

69. მტერი ძმებს ურთიერთს წაჰკიდებს, რათა გათიშოს ისინი და იბატონოს. ერთი დღის მუცლიდან შობილი ძმები რომ ერთმანეთს მტრად გაუხდებიან, ღმერთს რარიგად უერთგულებენ უხილავსა და მიუწვდომელს? და მაშინ ახალი რისხვაც არ აყოვნებს...

70. VII საუკუნე.

...ისინი არაბეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ. ტერიტორიის დიდი ნაწილი აქ ტრამალები და უდაბნოებია. ჰავა მშრალი და ცხელია. წვიმა იშვიათად მოდის. მომთაბარენი შესაქონლეობას მისდევდნენ.

71. იყო ტომობრივი დაყოფა, ერთმანეთში ქიშპი საძოვრების გამო. დიდკაცობა მეზობელი მდიდარი ქვეყნების — სირიის, ეგვიპტის, სპარსეთის დაპყრობაზე ოცნებობდა. ამ ქვეყნებში შეიძლებოდა ძვირფასი ნადავლის, მიწებისა და საქონლის ხელში ჩაგდება. VII საუკუნის დასაწყისში სპარსეთში ხელო იგდო არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, ბიზანტია კი ჩრდილოეთით გამეფდა...

72. წარმართულ სამყაროს საგონებელში აგდებს ქრისტეანული რელიგიის საქვეყნოდ განვრცობა და წმიდა მამათა კანონების საფუძველზე ერთიან მონოლითურ სისტემად ჩამოყალიბება. საჭირო ხდება საპირისპირო რელიგიის შექმნა, რომელიც გზას გადაუღობავს ქრისტეანობას. და აი, არაბულ სამყაროს მუჰამედის სახით ახალი რელიგიის ლიდერი ვვლინება; იგი გვთავაზობს „ყურანს“ (მუსულმანთა მოძღვრებას).

73. მარცხენა ფერიმალზე რომ გვერდს, მარჯვენა მიუშვირეო, — ქრისტემ რომ ბრძანა, მუჰამედმა ეს თვინიერება იმთავითვე თავისი აგრესიის ასაღორძინებლად გამოიყენა: რაც უფრო მეტ ქრისტეანსა და ებრაელს დახოცავთ, მით უფრო მეტად ცხოვლებითო.

74. ერის ბუნების შესატყვისი იდეოლოგია არ აყოვნებს და, აი, მთელი არაბული სამყარო ირახმება ისლამის, ე.ი. მაჰმადიანობის დროშის ქვეშ. არაბული სახელმწიფო, უპირველესად, იერთებს ბუნებით მონათესავე ერებს და შემდგომ ერთიანი ძალით უტყვევს მსოფლიო საქრისტეანოს.

75. არაბები თავს დაესხნენ ერთმანეთთან ხანგრძლივი ომებით დაუსტებულ ბიზანტიასა და სპარსეთს. ხელთ იგდეს ბიზანტიის უმდიდრესი პროვინციები — სირია და ეგვიპტე, VIII საუკუნეში კი — აფრიკა, ესპანეთი; შეაღწიეს ინდოეთშიც. რაღა თქმა უნდა, არ გაუჭირდებოდათ ამიერკავკასიისა და შუა აზიის დამორჩილებაც. ასე წარმოიშვა უდიდესი მაჰმადიანური სახელმწიფო — არაბთა ხალიფატი, რომელიც ატლანტიკის ოკეანის ნაპირებიდან ინდოეთისა და ჩინეთის საზღვრებამდე გადაიჭიმა. სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა დამასკო.

76. მაშინ, როდესაც მუჰამედი „ყურანით“ მოუწოდებდა თვისტომთ: — ეცადე, ურჯულო შენს რჯულზე გადმოიყვანო; თუ არ დაგეთანხმა, მოკალიო, რა დღეში იქნებოდა ამგვარი იდეოლოგიის მპყრობელი კუშპის ხახაში ერთი ციცქნა იბერია?

77. გადმოცემით, ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ სარდალმა ამრუმ ხალიფა ომარს შეუთვალა, როგორ მოვექცე ალექსანდრიის სახელგანთქმულ ბიბლიოთეკას? ხალიფამ ბრძანა — დაეწვათ ძველ ხელნაწერთა ბიბლიოთეკა და დააყოლა: თუ იმ წიგნებში ლაპარაკი არ არის იმაზე, რაც წერია ყურანში, საჭიროა მათი მოსპობა, ხოლო თუ იგივეა ნათქვამი, მაშინ რაღა საჭიროა ეს წიგნები.

78. სურათი ნათელია: ისლამი სპობდა ყველაფერს, რასაც ერქვა იუდაისტური და ქრისტიანული. აქედან ჩანს, რომ იგი გამიზნული პოლიტიკა იყო მოწინააღმდეგე რელიგიათა მოსასპობად. ამდენად, ისლამი დაუნდობელია და უკომპრომისო. მის ხელში, რაღა თქმა უნდა, კელესიებიც დაცემულია.

79. „ყველა მთავარი და წარჩინებულია შეეხიზნენ კაკასიას და დაიძალნენ ტყესა და ღრეში. და მოელო ყრუმ ყოველი (მთელი) კაკასია და დაიპყრო დარიალისა და დარუბანდის კარი და შემუსრა ყველა ქალაქი და ქართლის ციხეთა უმრავლესობა.

80. და როგორც კი გაიგო, რომ ქართლის მეფეები და მათი ჩამომავლები ეგრისში გადაიხვეწნენ... გაჰყვა მათ კვალდაკვალ და შემუსრა ყველა ქალაქი და სიმაგრე ეგრისის ქვეყნისა. მათ შორის ის სამგალავნიანი ციხეც, ციხე-გოჯი რომ არის, იგიც შემუსრა. გადღალხა კლისურის ზღუდე, საზღვარიც კლისურისა. და როგორც კი შევიდა კლისურს... შემუსრა აფშილეთის ქალაქი ცხუმში და შემოადგა ანაკოფიის ციხეს... და ჩაიარა უღმერთო მურვან ყრუმ ზღვის პირი და დაარბია ზღვისპირა ციხეები და ქალაქები...

81. ამ დროს განადგურდა ქვეყანა ქართლისა, სომხეთისა და რანისა, არსად არ იყო ნაგებობანი, არც კაცთა და პირუტყვთა საჭმელი“ (ე. გურუა, შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 53).

82. „ეინაიდან ხალხი თანდათან ივიწყებდა სამშობლო ენას და არაბულად იწ-

ყებდა ლაპარაკს, სამღვდლოება იძულებული შეიქნა დათმობის გზას დასდგომოდა: თუ მრევლს არ ესმოდა წირვა-ლოცვისა და საღმრთო წერილის ენა, ერთიცა და მეორეც უნდა მიეცათ მისთვის ახალ სალაპარაკო ენაზე — არაბულზე. ამნაირად, საქრისტიანო არაბული მწერლობა საჭიროებისა და აუცილებლობის პროდუქტია; იწყება ის არა უადრეს მერვე საუკუნისა“ (ე. კიკეულიძე, გვ. 49).

83. „არაბული ენით, როგორც ლიტერატურულით, სარგებლობდნენ სხვადასხვა აღსარების, ქვეყნისა და მოდგმის ქრისტიანები: მართლმადიდებელნი, მონოფიზიტები, არაბები, ასურელები, კობტები და სხვები“ (იქვე).

84. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე დაკარგულია ყოველივე ჭეშმარიტი ქრისტიანი ურჯულოს ენაზე აღასრულებს წირვა-ლოცვას; მისი საკუთარი ენა გაუქმებულია.

გარეგანი სახიერების მქონე, მაგრამ სულიერებაგამოცლილი ეკლესიის მპყრობელთ წმიდა მამები ჭეშმარიტების მტრებად აცხადებდნენ.

85. კალისტრატე ცინცაძე გვამცნობს: „Когда к антиохийскому патриарху Петру III пришли грузины, дабы получить от него рукоположение по древнему обычаю, и когда он узнал от них, что они прстерпевают беды и большие ущербы от господствовавших тогда над ними языков, созвал собор архиереев своих, и рукоположил им другого католикаса, вместо католикаса армянскаго, уклонившагося от нашего догмата и установил, чтобы он рукопологал епископов в те страны и был бы самоглавси, но в молитвословиях вспоминал бы антиохийского патриарха, как это делал первый католикос, рукоположенный для иверцев антиохийским патриархом Феофилактом“ (К. Цинцадзе, Автокефалия церкви Грузинской, Тифлиси, 1905 г., стр. 16).

86. აქ გარკვევით ჩანს, საქართველოს უმდიმესმა პირობებმა თუ როგორ აიძულა ანტიოქიის პატრიარქი ქართველი ეპისკოპოსისათვის მიეცა სხვათა ხელდასხმის უფლება.

87. "В начале VII века, благодаря тому, что "пути между Антиохией и Грузией были заняты агарянами", грузины оказались фактически автокефальными, т.е. не имея возможности посылать избранного в католикосы кандидата для рукоположения в Антиохию, грузинские епископы стали ставить католикоса уже сами" (იქვე, გვ. 19).

88. თვითმმართველობა შესთავაზეს. თითქოს საქრეტენზიო არაფერი უნდა იყოს, პირიქით — იბერიას უკვე ავტოკეფალია მისცეს, რაც დიდად საპატიო მოვლენად ჩანს; იგი უფლებამოსილია თავის ქვეყანაში თვითონ მართოს რელიგიური ცხოვრება, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ დაპყრობილი იბერიის მონურ პოზიციას, იბერიას, რომელსაც ჯერ კიდევ საკუთარ ენაზე არ უპყრია სრული სჯულისკანონი და რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში სპარსელთა აშკარა თუ დივერსიული ჯგუფების მწვალებლურ შემოტევას იგერიებს, რომელსაც, ნებისით თუ უნებლიეთ, უხდება ბერის რამის დათმობა, გასაგები იქნება, თუ რა სანატრელია ამგვარი თვითმმართველობა.

89. მაშ, რა სიკეთე უნდა მოეტანა იმდროინდელ ავტოკეფალიას? ამგვარ გარემოცვაში იგი ხომ არ ნიშნავდა მშფოთვარე ოკეანეში ხომალდის უმუხაჯვოდ დატოვებას? ვის აძლევდა ხელს ამგვარი თავისუფლება?..

90. საქართველოს ეკლესია იმთავითვე ემორჩილებოდა ბიზანტიას, კერძოდ — ანტიოქიის პატრიარქს. პატრიარქი, დაასხამდა რა ხელს ქართველ მღვდლებს საეპისკოპოსოდ, საქართველოში ერთ იღუმენსა და ნაცვალს გამოგზავნიდა, რომელთაც თვალყურის ღვენება ევალებოდათ ქართული საეკლესიო ცხოვრებისათვის,

რათა რაიმე, ნებისით თუ უნებლიე, დოგმატური გადახვევა არ მომხდარიყო; ასევე კრებდნენ ფულს და ყოველ სამ წელიწადში ერთხელ გზავნიდნენ ანტიოქიაში, საიდანაც სამაგიეროდ ღებულობდნენ მირონსა და სხვა საეკლესიო საჭიროებას.

91. "Патриарший наместник мог только при содействии игумена патриарших монастырсь... должен был зорко следить за всеми делами, проживающимися у католикоса... докладывать обо всем патриаршему наместнику" (იქვე, გვ. 22).

92. საქართველოს ყოფილი პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე განმარტავს:

"С тех пор же, как агаряне оторвали Грузию от Антиохии, надо полагать, что в Грузии не стало и этих игуменов, и следуемые антиохийскому престолу доходы или совсем не высылались или высылались весьма не аккуратно" (იქვე, გვ. 21).

93. ანტიოქიის ნაცვალს სხვა დანიშნულება არა ჰქონდა რა, თუ არა ქრისტეანული წესრიგისთვის თვალყურის ღვენება. და თუკი ეს ნაცვალიც საქართველოს დამორბეულ ეკლესიას ზედამხედველად არ ეყოლებოდა, რა თქმა უნდა, ეს ხელს შეუწყობდა ქართულ ეკლესიაში ერესის დამკვიდრებას.

94. "Экзарх сей являлся лишь тогда, когда в Грузии возникали церковные беспорядки и ереси" (იქვე, გვ. 22).

ამგვარი ფაქტი კი ნამდვილად იყო; კი ცინცაძის იმავე ნაშრომში კვითხულობთ:

95. "С этих пор (т.е. со времени Феофилакты) в Грузия только поминали (на службах) патриарха антиохийскаго проявлявшаго свою власть над Грузией лишь тогда, когда в ней возникали беспорядки и ереси; в таких случаях патриарх посылал туда экзарха, как то случилось во дни блаженнейшаго патриарха Феодора, пославшаго в Гру-

ზიო **Василия Грамматика** для искоренения ереси **აკაკთაისა** (აკაკიან?). (იქვე, გვ. 10).

96. ზემოთხსენებული ერესის შესახებ ანტიოქიის პატრიარქის დამოწმებულ სიტყვებს კ. ცინცაძე ამგვარ კომენტარს უკეთებს:

"На такое весьма важное донесение игумена патриарших монастырей в Антиохии должны были обратить серьезное внимание уже по тому одному, что означенное время было временем смуты, волнений в жизни церкви вселенской: в это время готово было совершиться отпадение Западной церкви от Восточной, о чем душевно скорбел великий патриарх великой Антиохии и готов был на всякого рода антириваго характера уступки Риму, лишь бы не нарушилось единство вселенской церкви" (იქვე, გვ. 25).

97. ჯერ ერთი, აღმოსავლეთის ეკლესიას კანონის დარღვევა არ უპატივობდა დასავლეთის ეკლესიისათვის, და არცა გზა უძებნია საშუალებათ ანდა შერიგებისა, რადგან კათოლიკეებს ბევრი რამ უკვე დარღვეული ჰქონდათ. **ლპარაკი** ზედმეტად იმის თაობაზე, რომ თითქოსდა აღმოსავლეთის ეკლესია ვინმეს რამეს დაუთმობდა, მით უმეტეს — მასზე დამოკიდებულ ქვეყნებს.

98. ამ დროისათვის საქართველოში მონოფიზიტური ერესი ჰუმპარიტად მიჰყვებოდა. წინა საუკუნეების მონურ ცხოვრებას რომ ნამდვილად მოერყა სარწმუნოების კანონიკური საფუძველი, ეს დავით აღმაშენებლის მოღვაწეობიდანაც კარგად ჩანს. ცნობილია რა დაძაბული საომარტყვადი ღონისძიებანი დასჭირდა დავითს მტრისაგან დანერგილი ერესის აღმოსაფხვრელად!..

99. იმისათვის, რომ ამჟამა გასდეს სხვადასხვა დროს ქვეყანაში ფეხმოკიდებული ერესი, აუცილებელი არ არის დავეყრდნოთ

მხოლოდ ავტორიტეტებს და ვისამე მოსახრებებს. საეკლესიო საკმარისი იქნება განვიხილოთ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, შევადაროთ იმდროინდელი კანონიკურად მიჩნეული წიგნები პირველწყაროებს; ასევე, გავცნოთ რელიგიურ თვალსაზრისობებს, კერძოდ — ფრესკებს, ხატებს, ჯერებსა და სახატებს. დაეაკირდეთ, გააჩნია თუ არა მათ მართლმადიდებლური ნორმებით გათვალისწინებული კანონიკური სახიერება და უმაღლვე წარმონიშნება ამა თუ იმ საუკუნის საეკლესიო სახის ავ-კარგი.

100. კ. კეკელიძე ბრძანებს: ერი უკიდურესად დაეცაო. რას ნიშნავს ეს? განა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაკარგულია ყოველგვარი სულიერი ღირსება?!

101. რაღა კულტურული ფასეულობანი გააჩნია მტრისაგან დარბეულს? განა იმისათვის არ იძლია იგი მოძალადისაგან, რათა სწორედ კულტურული ფასეულობანი დაეკარგა? ვინ იქნება ის, რომელიც 300 წლისმანძილზე ტყვეობაში მყოფ, სინდის-ნამუს-შებლალულ ერში ამ ღირსების შენარჩუნებას აღმოაჩენს? სახელმწიფოს იდეოლოგიური მრწამსის დაცემას იწყვედა ერის უკანონობისაჟნ გულმიდრეკილება. იცოდა რა მოწინააღმდეგე რელიგიამ, რომ ერის სიმართლედ ეკლესიის კანონიკური სტატუსია, იგი აქედან იწყებდა ერის სულის რღვევას; ამიტომაც შეზინზავდნენ ხოლმე სამწყვდემსთავროში რომელიმე სულგაყიდულს დოგმატების მოსარყევად.

102. თითო-ორიოლა სიმართლის მაძიებელს რა გამოაღვედა ქვეყანაზე!.. და იწყებოდა დაცემული ერის გასამხნევებელი მოწოდება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებებით, რაც დიდად არ აშინებდა მტერს, რადგან უმთავრესი — თვით ეკლესია უკვე ვერტიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ხოლო ამგვარი ოპტიმისტური შემოძახილები ფსკერგავარდნილი ხომალდის ანსაზე აცოცებული კაპიტნის მოწოდებას ჰგავდა. დროთა განმავლობაში მანვე ჩვევს იმდენად შეისისხლხორცებს

¹ აკაკთაისა — იგივე არიონული ერესიკელი სწავლება

კაცი, რომ მომდევნო თაობას აღარც კი წარმოუდგენია წინაპრის სხვაგვარი სახე.

103. უმცირესი ერების კი ისეთი ჭირია რელიგიისა, როგორც — ათვისებინი სიმსიენის შეცოცება თუნდაც ნეჭზე. ყასიდი მოწოდებები ვერ იძლევა სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიას. მართალია, დაზიანებული ნეკათითი თითქოს უმცირესი ნაწილია სხეულისა, მაგრამ დიდა მისი მომაკვინებელი პოტენცია, როცა იგი მეტასტაზირებულია.

104. ასევე, ერთი სიტყვის შეცვლის გამო წმიდა მამები ერს დაღუპვას უქადდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ თითო აგურის გამოცლით შეიძლება შენობის დარღვევა; ამიტომ კანონის შეუქალობას, მის ხელშეუხებლობას ქადაგებდნენ ისინი. ასევე კარგად იცოდნენ ისიც, რომ იდეოლოგიის საფუძვლის მოსაშლელად სრულებითაც არ არის საჭირო რელიგიას შემოსწყრე; პირიქით, ღვთის დიდი სიყვარულის ქადაგებით, უმეტესი სულიერებისაკენ მოწოდებით, მაგრამ მცირე დოგმატების უგულებელყოფითაც მშვენივრად ახერხებენ ძირითადი მიმართულებისაგან ერის გამიჯვნას.

105. დაეკვირდეთ სომხებისათვის შემდეგი ერების მომაკვინებელ პოლიტიკას: „იყვეს კრებაი ქალაქსა შინა დვინსა და შესძინეს ხაჩეცარი, ესე არს სამწმიდაარსსა შორის შეჰმატეს ჯუარც(მულ)ი და აჩემეს ენებაი ღმრთაებისა ძალსა უენებელსა და უკუდაუსა სიყუდილი და განდგეს მართლისა და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა“, — როგორც ამას პირველწყაროდან იმოწმებს იეჯავახიშვილი (დასახ. წიგნი, გვ. 99).

106. „ქართველი ისტორიკოსის ამ ცნობას ნერსეს კათალიკოზის დროს სომეხთა დვინში საეკლესიო კრების შესახებ სტეფანოს ასოლიკიცი ადასტურებს: მისი სიტყვით, ნერსესს მართლაც საეკლესიო კრება მოუწვევია დვინში და სომეხნი სწორედ ბერძენთა აღსარებას განუდგენო“ (იქვე).

107. რა მონდა? სამწმიდაო ლოცვაში — „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო; შეგვიწყალენ ჩვენ“ — ერთი სიტყვა „უკვდავო“ შეიცვალა „ჯუარცმულთი“. თითქოს არაფერი მომხდარა: განა ღმერთს ქრისტეს სახელით არ ვახსენებთ? განა თვით ქრისტეს ჯუარცმულს არ ვუწოდებთ? მაგრამ მსოფლიო კრების დადგენილებანი უღმობელია: იმდროინდელ სომეხებს უკვდავი ღმერთის ბუნების მოკვინების მცდელობა დაბრალდათ, რადგან ქრისტეს ჯუარცმით მიანიშნებენ მისი ღვთაებრივი ბუნების მოკვინებას და არა — კაცობრივისას.

108. „პარველი პერიოლი ქართული მწერლობისა მოდის, როგორც ვთქვით, სპარსთა და არაბთა ბატონობის ხანაზე. ეს ბატონები იმის ცდაში იყვნენ, რომ აქედან ხარკის სახით გაეტანათ ყველაფერი...“ (ც. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 36).

109. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ იმ დროს ვაჭრობა სულ-ერთნადა მოვლდა და ქართლი ჩამოშორდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრებს.

110. „ჩამოშორდა მსოფლიო სავაჭრო ცენტრებს“ — ნიშნავს, რომ ჩაიკეტა კარი ბიზანტიისაკენ და ერთადერთი გზა დატოვებულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ ერეტიკული ქვეყნებისაკენ. საქართველოს უფლება ეძლევა კულტურულ-ეკონომიკურ-რელიგიური ურთიერთობა იქონიოს მხოლოდ მათთან და არავითარ შემთხვევაში — რომთან და ბიზანტიასთან. რას ნიშნავს ეს, თუ არა ერეტიკულობისაკენ გზის გაკაფვას?!

111. არაბთა მორჩილია როგორც სომეხთი, ასევე საქართველოც. ბატონები ერთნაირად ბატონობენ, ერთნაირად ითხოვენ დამონებული ქვეყნებისაგან თავიანთი პოლიტიკის დაქვემდებარებას, რაც გამოიხატება ხარკის დროულ აღებაში, ომებში თანადგომასა და რჯულის შეცვლაში. დამონებულ ქვეყნებს ვინ მისცემდა ჭეშმარიტ ქრისტეანულ სახელმწიფოებთან სურვილისამებრ კონტაქტების დამყარების უფლებას? ასე რომ,

VI საუკუნის დასაწყისიდან სომხური მართლმადიდებლური ეკლესია მონოფიზიტურმა ერესმა დასცა.

112. ზემოთაც ითქვა:

„არსენი კათალიკოსს ნათქვამი აქვს, რომ, როდესაც სპარსთა მეფეებმა პოლიტიკური მოსაზრებით სომხებს გადაჭრით მოსთხოვეს „ერთი ღრთაგანი ყავთ: ანუ გამოირჩიეთ ყოველთა ახურთაგან სჯული თვინიერ მელქთაისა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ, ანუ დაუტყვევთ ქვეყანაი თქუენი“-ო, მსგავსი უღტიმატუმი ქართველებისათვის არ წაუყენებიათ.

113. თუკი ამგვარად საქართველოს ვერ შეგბედეს პირდაპირი ერესი, ფარული ერესისათვის უდავოდ გაჩაღებული იყო დაუცხრომელი ბრძოლა.

114. სომხებს ამ საკითხის გადაჭრა თავიანთი კათალიკოსისათვის მიუზღვიათ, რომლის ხელში ხალხი მოტყუებული დარჩა. სომხური მართლმადიდებლური ეკლესიის მზე 653 წელს ჩაესვენა.

115. „იყვეს კრებაი ქალაქსა შინა დვინსა და შესძინეს ხაჩეცარი, ესე არს სამწმიდაარსსა შორის შემმატეს ჯუარ(ცხული) და აჩემეს ენებაი ღმრთაებისა ძალსა უენებელსა და უკვდავსა სიკუდილი და განდგეს მართლისა და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა... და განაწესეს არაჯ(აე)ორი მუნეე დვინს, რამეთუ თქუეს „ესე არს დღე პირველი სარწმუნოებისა ჩუენისაო... რათა არა ეზიარნეს კრებასა ქალკიდონისსაო“ (ივ. ჯავახიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 99).

116. სპარსელებმა იციან, რომ ბერძნებსა და ასურელებს შორის არსებობს დოგმატური განსხვავებანი, და სწორედ ქართველთა და სომეხთა მიერ ამ განსხვავებული დოგმატური სწავლების მიღება სწავლიათ, რაც საქართველოსა და სომხეთს აშკარა ერესის გზას შეუყენებს.

117. ორი ერთნაირი სწავლების განსხვავებანი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ-ორი სხვადასხვა სწავლების განსხვავებანი,

და სპარსელნი სწორედ მათთვის ხელსაყრელ სწავლებას სთავაზობენ მორჩილთ. განსხვავებანი დიდ საკითხს წყვეტდა, რადგან ყოფნა ერეტიკული ეკლესიის მპყრობელთათვის სულაც არ ნიშნავდა გადარჩენას. განსხვავება ამ ორ ქრისტიანულ სწავლებას შორის მხოლოდ ის არის, რომ ერთია ჭეშმარიტი სწავლება, რომელიც იმეამად იწოდებოდა „მსოფლიოდა“, ხოლო მეორე „მონოფიზიტურია“ (რომლის მიყოლას მოითხოვდა მტერი), ე.ი. ერეტიკულია. აი, თურმე რისთვის სთავაზობდნენ ურჯულოები ასურულ ქრისტიანობას ალბანელებს, სომხებსა და ქართველებს!

118. ამ ერთი სიტყვის შეცვლის გამო სომხებს დიდი რისხვა დაატყდათ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. ამ ერთი სიტყვის შეცვლამ სომეხნი ხალხი თავისი ეკლესიითურთ განკვეთა და ანათემას შეუყენა.

119. მტრის ბატონობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ერის განწირვას. სასჯელის საზრიანი ტვირთვა საშუალებას იძლევა მონობის მიზეზთა გარკვევისა, ამ წინააღმდეგობაში იძერწებიან გმირები, ხოლო განკვეთილთ სასუფევლისაგან განმიჯვნა ელით.

120. „იმ საქრისტიანო ქვეყნებში, რომლებთანაც ქართველებს კულტურული კავშირი ჰქონდათ ამ პერიოდში (ბიზანტია, სომხეთი, სირია) გაბატონებული იყო სასულიერო საეკლესიო მწერლობა“ (ე. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 39).

121. რომელ კულტურულ ურთიერთობაზეა აქ ლაპარაკი? განა საქართველოს ჩაგარდნა არაბების ხანაში იმთავითვე არ ნიშნავდა იმას, რომ ყოველგვარი კავშირი ბიზანტიასთან უკვე გაწყვეტილია? განა თვით ამ გზის დაკეტვამ არ გამოიწვია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა? განა დამშეულ-გადატაკებულ საქართველოს საიმიზოდ მოაცლევინებდნენ სპარსელები და არაბები, რომ კულტურული ცხოვრების დონე აქამდღებინა?

122. რაც შეეხება ერეტიკოსებთან კულტურულ ურთიერთობას, რა სულიერი საზ-

როდ უნდა მიეღო დოგმატიკებამოცილი ეკლესიებისაგან საქართველოს? განა ამგვარი კულტურული ურთიერთობა არ ნიშნავდა ერესისათვის კარის ფართოდ გაღებას?

123. "Не подобаєт молитися с еретиками или опщеницами" (Правило Святаго поместнаго собора Лаодикийскаго, Правило 33).

124. "Не подобаєт от еретиков принимат благословения, которые сущесловия паче, нежели благословения" (იქვე, правило 32.)

125. წმიდა მამათა კანონები ქრისტეანულ მიმართულებას შეახსენებდა, მაგრამ ერს უკვე თვალემა ჰქონდა მორეული.

სომეხ-ქართველთა კულტურული ურთიერთობა უმეტესად გულისხმობს ეკლესიურ ნათესაობასაც, მტრის ხელში კი ორი მონის ურთიერთობის განმკითხავი ვინ იქნებოდა, ვიდრე ღირსეული პატრონი გამოუჩნდებოდა ქვეყანას?

126. "იქ გვხვდება მთელი რიგი ქალკედონიტ-კათალიკოსებისა, რომელნიც თავიანთ სამწყსოში კიდევ ადვილებენ ძველ ტრადიციებს და მით ხელს უწყობენ ქართულ-სომხურ ერთობას საეკლესიო ცხოვრების ყოველ დარგში" (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 38-39).

127. ასე და ამგვარად, VIII ს-ის 50-იან წლებამდე საქართველოს ეკლესია მხარს უსწორებს ერეტიკულ ეკლესიებს, კერძოდ — სომხურსა და სირიულს.

თუ რა სულიერი საზრდო მიიღეს ამგვარი კულტურული ურთიერთობით ერეტიკოსებისაგან, ეს ნათლად ატყვია საქართველოს იმდროინდელ ფრესკებს, ხატებს, ჯვრებს, პირგურის წერას, ნათლობას, ზიარებასა და სხვ.

128. „VIII-X საუკუნეებში მძლავრად იფეთქა ქართველებში ეროვნულმა სული-სკვეთებამ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვითშეგნებამ. სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოსორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-

კიდე საუკუნის დასაწყისს, მოხდა... ეროვნულ-კულტურული იდუოლოგიის საფუძველზედაც.

129. ქართველები ამიერიდან მიზნად ისახადენ თანდათანობით განთავისუფლებას აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციებისაგან. ამ ნიადაგზე წარმოიშვა გამწვავებული პოლემიკა სომხებთან, რომელიც იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა წარსულშიაც კი უარყვეს ყოველგვარი კულტურულ-ეკლესიური ურთიერთობა სომხებთან და, წინააღმდეგ გამეფებული აზრისა, საკუთარი, გრიგოლ პართელისაგან დამოუკიდებელი, მისიონერიცი ვამაყენეს ნინოს პიროვნებაში" (კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 43).

130. რადგან უკვე არაბების ბატონობა სულს დაფავს, იწყება ერეტიკული წიგნების შესწორება, რაც ერის გამოღვიძებაზე მიგანიშნებს. მართლმორწმუნეთა და წამებულთა ჭეშმარიტი სულიერი დაბრუნება, მოწოდება სჯულიერი ცხოვრებისაკენ ერს გაურჯულეების უფლებას არ აძლევდა. მტრის ხელში ჩაგარდნილებმა მონობის მიზეზთა კვლევა და თავდახსნის საშუალებების ძიება იწყეს. „დაეყრდნენ ჭეშმარიტებას!“ — შეახსენებდა უმთავრეს და ვით წინასწარმეტყველის ფსალმუნი ქართველებს და მინავლულთ თვალისჩინს მატებდა. მართალია, არაბთა ბატონობის უღელმა წელში გატეხა ჭეშმარიტება, მაგრამ ქართველი კაცის სული ქრისტეანული ნათლის დაბრუნების წადილითა და გულწრფელი მონანიების შეგნებით დამუხტა, რამაც ერი და ვნა გადაარჩინა.

მ ე რ ა ე ა რ ი ო ღ ი

(X ს-ის 80-იანი წლებიდან
XIII ს-ის 50-იან წლებამდე)

131. „ამ პერიოდში დამთავრდა პროცესი საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბე-

ბისა. საქართველო წინა აზიაში შეიქმნა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ, რომელმაც შესაფერისი ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოჯახში. მას პატივს სცემენ და ანგარიშს უწევენ მეზობლები, მის შეწუხებას ადვილად ევლარ ბედავენ მტრები. ქართველებმა შედარებით მოისვენეს გარეშე მტრებისაგან და შეუდგნენ შინაურ აღშენებლობას.

132. ამის გამო უმაგალითოდ წაიწია წინ სახალხო მეურნეობამ, ქვეყანა წელში მომაგრდა ეკონომიურად, განვითარდა ვაჭრობა და საქალაქო ცხოვრება, მიწათმოქმედება და ხელოსნობა. ღრმავდება ამავე დროს სოციალური დიფერენციაცია და წინააღმდეგობანი. მართალია, სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში ეკლესიაც შედიოდა, მატარებელი იყო უფრო მეტი ძალისა და საერთო ფეოდალური წრები, რომლებზედაც ეყრდნობოდა ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ფეოდალური მონარქია, უფრო იწვევს წინ და სასულიერო-ფეოდალურ ფრთას ჩრდილავენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკლესიამ ამ პერიოდში თავისი განვითარებისა და ძლიერების უმაღლეს წერტილს მიაღწია.

133. ამის მიზეზია:

1. ეკონომიური ბაზის განმტკიცება უამრავი მამულის, შეწირულების თუ სხვა საშუალების, ხელში ჩაგდების გამო;

2. საბოლოოდ მოსპობა XI საუკუნის ნახევარში ანტიოქიისაგან დამოკიდებულებისა;

3. პოლიტიკურ გაერთიანებასთან ერთად ეკლესიურადაც გაერთიანება მთელი საქართველოსი;

4. პოლიტიკური აბსოლუტიზმის გვერდით ეკლესიური აბსოლუტიზმის შემოღება საეკლესიო ცხოვრებაში პატრიარქის ტიტულის დამკვიდრებით XI საუკუნის ნახევარში, რითაც საქართველოს ეკლესია გვერდში ამოუდგა აღმოსავლეთის პატრიარქატებს;

5. „შუევალობის“ ინსტიტუტის განმტკიცება, რითაც, შეიძლება ითქვას, ეკლესია

„სახელმწიფოდ სახელმწიფოში“ იქცა;

6. მორალური „წმენდა“ თავის რიგებიდან, რომელსაც ეკლესია ახდენდა ამ პერიოდის კრებაზე, განსაკუთრებით კი რუისურბინისისაზე“ (ც. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 50-51).

134. აი, თუ რას წარმოადგენდა ღვთისწინა პერიოდი:

დოკუმენტი. XII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი „დიდი თურქობისა“ და მისი შედეგების შესახებ:

(ახალი ქართულით)

„თურქები კალიბიებით მოედნენ მთელ ქვეყანას. ივნისის დღეს ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდე, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აივსო თურქებით. გაწყვიტეს და დაატყვევეს ამ ადგილების ყველა მკვიდრი და ამ ერთ დღეში დაწვეს ქუთაისი და არტანუჯი და კლარჯეთის მონასტრები. და დარჩნენ თურქები ამ ადგილებში თოვლის მოსვლამდე, მოჭამეს ქვეყანა და გაწყვიტეს მცხოვრებნი, თუ სადმე იყვნენ დარჩენილი ამ ქვეყნის ტყეში, კლდეებსა, ქვაბებსა და ხერელებში. და ეს იყო პირველი დიდი თურქობა... ხოლო თუ სადმე იყო მთიულეთს ან სიმაგრეებში კაცი კიდევ დარჩენილი, ზამთრის სიმკაცრით, უსახლობით და შიმშილით ისედაც გაწყდა...“ (ც. გუჩუა, შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 64).

135. თუ რას წარმოადგენდა ღვთისწინა პერიოდის იბერია თავისი იდეოლოგიური მრწამსით, ნათლად ჩანს იმ ღონისძიებებში, რომელთა გატარება დასჭირდა ღვთისწინა, რათა ეკლავ პირველყოფილი სახე დაებრუნებინა იდეოლოგიური ცენტრის — ეკლესიისათვის.

136. ბრძენმა მეფემ იცოდა, რომ ქვეყნის სიმტკიცე მისი იდეოლოგიური მრწამსის სიჯანსაღეზე იყო დაფუძნებული და პირველად სწორედ ამ საკათედრო ცენტრის განწმენდით დაიწყო. ღვთისწინა იწვევს თავის სუ-

ლიერ მოძღვარს, უგანათლებულეს პიროვნებას — არსენ იყალთოელს და საქართველოს მწვემსმთავარ ქართლის კათალიკოს იოანესთან ერთად რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე ადგენს ჭეშმარიტებას.

137. კრების თავმჯდომარეა იოანე ქართლის კათალიკოსი, ხოლო მდივანი და ორგანიზატორი — არსენი.

138. „დიდი სჯულისკანონის“ ქართულად თარგმნა დაკავშირებულია 1105 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების თადარიგთან... ამიტომაც საეკლესიო, „დიდი სჯულისკანონი“ არსენმა თარგმნა XI საუკუნის ბოლო (თუ XII საუკუნის პირველ) წლებში...

139. ამის შემდეგ დავით აღმაშენებელს გაზ ხსნილი ჰქონდა: რაკი საეკლესიო კანონთა კრებული არსებობდა ქართულად, მას შეეძლო მოეწვია ეკლესიის მოღვაწენი და მათი მონაწილეობით აღმოეფხვრა ის უზუსტობანი, რომელნიც თანდათანობით მკვიდრდებოდა ქართულ ეკლესიაში XI საუკუნის მანძილზე ურჩი ფეოდალებისა და თავაშვებულ სამღვდელთა პირთაგან. და, როგორც ცნობილია, 1105 წელს ამ „დიდთა წყლულებათა კურნებად შემოკრება ვერი მრავალი“, „ადგილსა ჯეროვანსა“, რუის-ურბნისის მახლობლად.

140. აქ მოიწვია დავით მეფემ „კათალიკოსი, მღვდელმთავარი, მიუღახონენი, მოძღვარი და მეციხერი“ და დაავალა მათ საეკლესიო საქმეთა მოწესრიგება. მათაც „დღეთა მრავალთა ფრიადითა გამოწულილვითა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს და შეაჩვენეს“... (იელოლაშვილი, „არსენ იყალთოელი“, თბ., 1978 წ., გვ. 51).

141. „განჩინება“, რომელიც კრებამ მიიღო და დაამტკიცა, შეადგინა არსენმა. მისი სათაურია „ძველის წერა წმიდისა და ღმრთივემკრებულისა კრებისა, რომელთა

შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაითა პირთათვის, რომელნი ქუემო მოხსენებად არიან“. ტექსტი შედგება ოთხი ნაწილისაგან. ესენია: შესავალი (გვ. 543-549), თვით განჩინება, რომელიც შეიცავს 19 მუხლს (გვ. 549-556), სიტბა დავით აღმაშენებლისა — „მეფესა დავითს — მონაზონი არსენი“ (გვ. 557-558) და მოსახსენებლები (გვ. 558-559).

142. შესავალში გადმოცემულია ქვეყნის გაჩენის ბიბლიური მოთხრობა, ქრისტეს განკაცება და მოძღვრება, ანდრია მოციქულისა და ნინო განმანათლებლის მისიონერული მოღვაწეობა, საქართველოში ქრისტეანობის განმტკიცება. ჩამოთვლილია მსოფლიო საეკლესიო კრებათა მიერ განჩინებულ კანონთა ნუსხები, ეკლესიის „მამათა მიერ განწესებულნი და თანადრიცხულნი კანონნი“, რომლებიც თავმოყრილია „დიდ სჯულისკანონში“ (გვ. 231-542).

143. და ბოლოს აღნიშნულია, რომ „ესე არიან შეკრებანი და საეკლესიო კანონთანი, დაბეჭდულნი და დამარხულნი თვინიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა, და ამითი მეციხერებაი და შედგომა და მტკიცედ ჰყოფიან უხმს ყოველთა წინამძღვართა ქრისტეანობითსა მაღიდებლობისათა მღვდელ-მთავართა და მღვდელთა და დიაკონთა და ჩუენ შორის მოძღვრად სახელდებულთა მათცა მონაზონთა და ერთბამად ყოველსა სავესებასა მართლმადიდებელთა ეკლესიასასა“ (გვ. 547).

144. აქედან ირკვევა, რომ რუის-ურბნისის კრებას საფუძვლად დასდებია საეკლესიო სამართლის კოდექსი, რომლის დაცვა და „მტკიცედ ჰყოფა“ საკვალდებულო გამხდარა ყველა მართლმადიდებელი ქრისტეანისათვის. ეს კოდექსია „დიდი სჯულისკანონი“, ანუ „წმიდა მამათა კანონები“ თარგმნილი არსენის მიერ 1103 წლის წინარე პერიოდში.

145. „განჩინების“ პირველ მუხლში ნათქვამია, თუ რა ბედი ეწიათ ერეტიკოს სა-

ეკლესიო პირებს რუის-ურბნისის კრებაზე:

„პირველად ეპისკოპოსი ვინმე ვერ-ღირსებით შემოსრულნი პატივსა მღვდელმთაფრობისასა და უღირსნი ქრისტეს პირველსა მის მწყემსმთავრისანი განვეკუთვნით და უცხო ვცვენით მღვდლობისაგან... და ნაცლად მათდა სხუანი დავადგინებით, ჰასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამება და კეთილად განეწუართნეს ხორცინი დამორჩილებად სულისა“ (იქვე, გვ. 53).

146. ...რასაც დაეთის ისტორიკოსმა უწოდა „მეგლი შვენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისაი“.

ეს არის აშკარა ხურათი საქართველოს წინა პერიოდის ეკლესიის ერტიკულობისა.

147. დოკუმენტი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის მონასტრის დაარსებისა და იქ სწავლულთა მიწვევის შესახებ (ახალი ქართულით):

148. „დავითმა განიზრახა მონასტრის აშენება და შეასრულა კიდეც... ყოველმხრივ მშვენიერ და ყველაფრით უნაკლო ადგილზე, მეორე ცის მსგავსად აღმართა ყოველად წმიდის ტაძარი (გელათში)... გველა წინათ აღშენებულზე უდიდესი... რომელსაც ეხლა, როგორც თვითმოწმეს, ხედავს ყველას თვალი.“

149. და აქვე შეკრიბა კაცნი პატიოსანნი, ცხოვრებით და ყოველგვარი სათნოებით შემკულნი, არა მარტო ისინი, ვინც თავის სამეფოში ჰპოვა, არამედ ქვეყნის საზღვრებს გარეთაც, რომელთა შესახებაც კი გაეგონა სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერი და ხორციელი სათნოებით აღსავსე, ეძება და... მოიფანა და დაამკვიდრა მასში (ამ ტაძარში)... რომელიც ამჟამად არის ყოველი აღმოსავლეთის მეორე იერუსალიმი, ყოველი კეთილის სასწავლებელი, სკოლა მეცნიერებისა, სხვა (ახალი) ათინა და კიდეც უფრო მეტი მასზე თავისი საღმრთო წესებით...“ (ე. გუჩუა, შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 97).

150. ჩვენ ვხედავთ დაცემული, ერტიკული ქართული ეკლესიის კვლავ აღდგინების ნათელ სურათს, იმ ეკლესიისა, რომელიც უსჯულოთა გარემოცვაში, უკანონობის მიმყოფ ადამიანთა ნებით თანდათანობით ერესში იფლობოდა. აღსდა ეკლესია, გაცოცხლდა ერი. ამ სიცოცხლეს და ქართული ეკლესიის ჭეშმარიტ სახიერებას ერი XIII საუკუნის 50-იან წლებამდე ინარჩუნებს.

151. „...XI-XII საუკუნეებში, უცხო გავლენათაგან ჩვენი საეკლესიო მწერლობა განიცდის მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულ გავლენას, იმას დაესვა ულტრაბიზანტიური ბეჭედი. და არა მარტო ლიტერატურას, არამედ საეკლესიო ცხოვრების ყოველ მხარეს: უკანასკნელს ახლა ჩამოაშორეს წინა საუკუნეთა აღმოსავლური ელფერი (ე.ი. ერტიკული. — ი.ი.) და ბერძნულ-ბიზანტიური ელფერი მისცეს“ (ე.კეკელიძე, „ქართ. ლიტ. ისტ.“ თბ., 1941 წ., ტ. I, გვ.51).

152. ეს ის პერიოდი, როდესაც იწყება მსოფლიო რელიგიურ-დოგმატიკური მოძრაობა. ვეროპასაც არ აპატიეს ერტიკულობა და 1054 წელს იგი განკვეთეს. ცხადია, ეს მსოფლიო ხმაური საქართველომდეც აღწევს, მაგრამ დავით აღმაშენებლის საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის ზარისათვის ჯერ კიდევ ყრუა უგვანოთა და ყოველთა ღმერთგამწყურად ერტიკოსთა ყური.

153. იწყება გამოცოცხლების პროცესი, რაც ერესის საწინააღმდეგო მოძრაობაში გამოინახტება.

154. დავითის წინა პერიოდის ერტიკულობაზე ისტორიკოსი გიორგი ხუცესმონაზონი, გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი მოგვითხრობს: „დაღაცათუ პირველითგანვე გუაქუნდეს წერილიცა და სარწმუნოებაი ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქუეყანაი ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და, ვითარცა ღუარპლნი რაიმე, დათესულ იყვნენ ქუეყანასა ჩუენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი (ლაპარაკია ერტიკოს

სომხებზე. — ი.ი.), გულარძინილი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუგუნიბოდა: რამეთუ ნათესავი ჩუენი წრფელ იყო და უმანკო, ხოლო იგინი, რეცა მიზეზთა წესი-ერებისაითა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს და რომელნიმე წიგნიცა გუაქუნდეს მათგან თარგმნილინი“ (იქვე).

155. რა თქმა უნდა, ქართული ეკლესია ახლა გაბედულად აუძებდრდა ერეტიკოსთ, რადგან უკვე აღარ აძინებს მათდამი სპარსთა და არაბთა მხარდაჭერა; ამიტომაც დაუფარავად აღიარებს იმ დიდ ზიანს, რაც ერესის შემოჭრამ მოუტანა იბერიას. ერესი მსოფლიო ავაღმყოფობად იქცა!

156. ბორცებისმიერი ნაღვერდელი ააღდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა პრეტენზია მსოფლიო საქრისტიანოში პირველადობის ჰეგემონიისათვის ანათემით დამთავრდა: ერთიანი კათოლიკური ანუ მსოფლიო ეკლესია ორად გაიხლიჩა.

157. „დიდი სჯულისკანონის“ მიმდევარმა აღმოსავლეთის ეკლესიამ ჭეშმარიტება ირჩია, ხოლო დასავლეთის ეკლესიამ, უარყო რა მოციქულთა 35 კანონი და სამების დოგმატი, უკანონობას დაეფუძნა და სამუდამოდ გაემიჯნა ჭეშმარიტებას. დასავლეთის ეკლესია ითვისებს „კათოლიკურის“ სახელწოდებას, ხოლო მისგან გამიჯნული აღმოსავლეთის ეკლესია მართლმადიდებლობის სახელით იმოსება და ამით თავისი იერარქიის სისწორეს მიგვანიშნებს.

158. ვინაიდან დიდია კათოლიკური ეკლესიის გაკლენა მასზე დაქვემდებარებულ ევროპულ ქვეყნებზე, იგი სწრაფად იკრებს ძალას და ინკვიზიციის ლაშქრით დაუნდობლად უსწორდება ყველა მოწინააღმდეგეს. თვით ერეტიკულ სამყაროში იწყება ერეტიკოსთა წინააღმდეგ შეურთიბელი ბრძოლა. ბოროტს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდას იცრუეზე ამგვარი მშფოთვარება და დროის ფლანგვა.

159. „ერეტიკოსები!“ — გაისმოდა ყოვლის მხრიდან. ინკვიზიცია დაუნდობლად

იღესავდა კბილებს. ბევრი პატიოსანი და განათლებული კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა მათმა დესპოტიზმმა. როდის და სად მოუწოდა ქრისტემ: ქრისტეანებო — ერთმანეთის სისხლი სუითო?

160. კათოლიკურ იერარქიაში უფრაც არ გაქარწყლებულა იმდროინდელი უხერხულობა, როცა მამათა სახელს შეფარებულმა რომის პაპად წოდებულმა მღვდელმა პროცესიაზე ბუში დააგდო, რის გამოც ჩაქოლვა დაიმსახურა. ბევრმა აღიარა ჭეშმარიტებას განრიღებული დასავლეთის ეკლესიის სიყალბე და სისაძაგლე. მასონურმა სიცრუემ ჭეშმარიტებაგაცილ მინაზე დაიდგათევისი ცრუ ტახტი. ამიერიდან იგი მთელ მსოფლიოს თავისი საკურთხეველის კვარცხლბეგიდან უტყვის.

161. ლიდერის ტიტულის მოსაკოვებლად დასავლეთის ეკლესია მზად არის, რელიგია პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენოს და მით აღმოსავლეთის ეკლესიის წინააღმდეგ ერთ მუშტად შეჰკრას ამ სამაის წლის მანძილზე ბოღმით შეკავშირებული მოძალადენი. სამი საუკუნის განმავლობაში კათოლიკეებს ერეტიკული დამლის ტარება შერისძიების ბორბალზე ძმათა სისხლის დასაღერელად აღესვინებდა მახვილს...

162. XIII საუკუნე. კათოლიკურ სამყაროს ანგარიშსწორების ჟამი დაუდგა. არაბების განუწყვეტელი შემოტევით დასუსტებულ და ქანცაწყვეტილ ბიზანტიას კათოლიკე „ქრისტეანე ძმამ“ უგანა.

ჯვაროსნების პირველი მოწოდება მუსულმანების ხელიდან ქრისტეს საფლავის განთავისუფლება იყო. უფლისაღმში „პატივისცემით“ გამსჭვალულთ უმაღ დაავიწყდათ თვით საფლავის მესაკურთვე — ქრისტე.

163. ღმერთის დამეციწყებლემა უღმერთოდ შეუტეეს ქრისტეანებს და სისხლის ღვარში აცურავეს ბიზანტია.

1204 წელს ჯვაროსნებმა იერიშით აიღეს ბიზანტიის დედაქალაქი, ხელი მიჰყვეს

ძარცვა-გლეჯას. განადგურდა ხელნაწერების საცავი. გაძარცვულ იქნა წმ. სოფიის ტაძარი.

164. დღითი დღე ძლიერდებოდა რომის პაპი, იგი თითქმის გახდა მთელი კათოლიკური სამყაროს მეფე; ჰყავდა დაქირავებული რაზმები; და ეს მაშინ, როდესაც ღმერთმა მეფე და ღვთისმსახურნი მოსესა და აარონნი განაჩინა!..

165. რა ინკვიზიტორები მოუნდათ, როცა უფლის მიერ გარკვევით იყო თქმული: გაგზავნით (ლაპარაკია სულის მოძღვრებზე. — ი. ი.) როგორც ცხვრებს მგლების ფარაში და მწყემსეთ ისინიო.

166. როგორც ეხედავთ, ფუნქციები გაიცვალა, მგლებმა დაიწყეს ცხვრების მწყემსება და ამიტომაც კარგი დღე როდი დაადგათ ცხვრებს. მგლების დესპოტიზმმა მრევლს რწმენა დაუკარგა.

ნუთუ მხოლოდ ჩვენთვის არსებობს ღვთის კანონი და არა ღვთისმსახურთათვის?! — დაიბადა კითხვა.

167. ხალხი ამხედრდა სიცრუის წინააღმდეგ...

დღითი დღე იწყო ქრისტიანულმა ეკლესიამ დაქუცმაცება.

168. მსოფლიო ერების დანერგვამ გამოიწვია მთელ რიგ სახელმწიფოთა იდეოლოგიური მიმართულების შეცვლა. სწორედ ამგვარი, ერეტიკული იურარქიიდან იჩნს ხოლმე თავს ყოველი სისაძაგლე და უკანონო მოქმედება, როგორც მოძალადის ნება-სურვილის განმანორციელებელი ორგანიზაციის შედეგი.

169. რელიგია გაყალბდა. გამოაცალეს რა თავდაპირველი შინაარსი, იგი პოლიტიკური მანევრებისათვის იქნა გამოყენებული. სარწმუნოების ამგვარი ბუტაფორიულობა კარგავს ერის შემომმტკიცებლისა და ჭეშმარიტის მმართველის ფუნქციას, და ამის შემდეგ ბარბაროსულ სახელმწიფოებს შეუძლიათ, საჭეყნო მძულვარების დასაწერგავად რელიგია დაშნასავით იმიშვლონ.

170. XIII საუკუნის 50-იანი წლები. იბერიას უმთავრდება ოქროს ხანა და კვლავ დაკნინების გზაზე დადგომა ელის.

კათოლიკური სამყაროს ერეტიკული ნიშანი მსოფლიო საქრისტიანოს ატყვია და აღარც იბერიას უკეირს ტრადიციულ-ლათინური, თავზე წყალკურებითი ნათლობა. განა გუშინ რომის პაპის კართან მუხლმოდრეკილი არ იდგა იგი სრულიად საქართველოს გაკათოლიკებისათვის?!

მ ა შ ა მ ა ა რ ი ო დ ი

(XIII ს-ის 50-იანი წლებიდან XVI ს-ის დამდეგამდე)

171. „...XIII-XIV საუკუნეებში კი არ განვითარდა XII საუკუნეში უმაღლეს საფეხურზე ასული ქართული ფეოდალური კულტურა, არამედ თანდათან დაქვეითდა, განსაკუთრებით კი სწავლა-განათლება, მხატვრული და საისტორიო მწერლობა. ქართული კულტურის თითქმის ყველა სფეროში დაქვეითება კიდევ უფრო აშკარა გახდა XV საუკუნეში. ყველაფერი ეს XIII-XV საუკუნეების საქართველოს მიმეე საშინაო და საგარეო ვითარებამ განაპირობა“ (ე. გუჩუა, შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 119).

172. „მესამე პერიოდი... გრძელდება მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მეთექვსმეტის დამდეგამდე. ამ ხანას ჩვენ გამოეყოფთ ცალკე პერიოდად არა იმიტომ, რომ მას მიეცეს ჩვენი საეკლესიო მწერლობისათვის რაიმე ახალი მიმართულება და ახალი იდეები, გაემდიდრებინოს ის ახალი და მნიშვნელოვანი ორიგინალური თუ ნათარგმნი ნაწარმოებებით, ანდა, შეექმნას ახალი კულტურულ-ლიტერატურული ცენტრები, არამედ სულ საწინააღმდეგო მოვლენათა გამო: ეს არის პერიოდი სულიერი მწერლობის დაკნინებისა და დაცემისა. თუ ამ მწერლობის წინა პერიოდი იყო ზრდა-განვითარების

კლასიკური ხანა, ეს მესამე პერიოდი შეიქმნა „კლასიკური“ ხანა მისი დაქვეითებისა“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, 1951 წ., გვ. 54).

173. მონღოლების ბატონობის ხანა... ეს III პერიოდი თითქმის არაფრით განსხვავდება წინა პერიოდისაგან, რადგან იბერია კვლავ მტრის ხელშია. მტრის მეთოდი კი ერთი და იგივეა: მოსპოს ერში სულიერი ფასეულობანი და რაც შეიძლება მეტად გაყვლიფოს იგი. უფლება არა გვაქვს, ეს პერიოდი არაბთა ბატონობისდროინდელზე შერბილებულ პერიოდად ვივულოთ. ჩემი აზრით, აპოკალიფსისის III და IV ბეჭდის მიხედვით ზეოზხსენებულ პერიოდებში ნათლად შეინიშნება არსებითი განსხვავებანი:

174. „და როცა ახსნა მესამე ბეჭედი, მომესმა ხმა მესამე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე. მე გაეხსენა, და აჰა, შავი ცხენი, და მასზე მჯდომს ხელთ ეყვრა სასწორი (ჩემი აზრით, ყორნისფერი ცხენით მინიშნებულია რასის ფერს. — ი. ი. ი.).“

და მომესმა ხმა ოთხ ცხოველს შორის, რომელმაც თქვა: კოფიო პური დინარად, და სამი კოფიო ქერი დინარად; ხოლო ღვინოსა და ზეთს ნუ ავენებ“ (გამოცხ., 6, 3-6).

175. მართალი უნდა ითქვას: პური, ღვინო და ზეთი არაბებს არ დაუზიანებიათ, პირიქით — მეტი მოსავალი უფრო ახარებდათ, რადგან მონის ტრაპეზი უპირველესად ბატონს ეკუთვნის. ბარბაროს მონღოლთა ბატონობის პერიოდი კი შესაძლოა, ამგვარად აღიწეროს:

176. „და როცა ახსნა მეოთხე ბეჭედი, მომესმა ხმა მეოთხე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე.“

და შევხედე, და აჰა, ჩალისფერი ცხენი, ხოლო სახელი მისი მხედრისა — სიკედილი (ჩემი აზრით, ჩალისფერი, ანუ მწვანე ცხენით მიანიშნებენ რასის ფერს. — ი. ი. ი.); და ჯოჯოხეთი მოსდევდა მას; და მიეცა მას ხელმწიფება მეოთხედზე დედამიწისა, რათა მუსრი გააელოს მახეილითა და შიშში-

ლით, სიკედილითა და მიწიერ მხეტიაგან“ (გამოცხ., 6, 7-8).

177. „ჯოჯოხეთი მოსდევს მას“ — ნიშნავს, რომ დაუნდობელია, გამანადგურებელი და ღვთის ორგული. მის ხელში გადამრჩენელ მოძღვრებაზე ლაპარაკი ზედმეტია. დედამიწის მეოთხედი კი უთუოდ დაიპყრეს, რასაც ისტორიაც გვიდასტურებს. ასე რომ, წინამორბედ მტერზე უსასტიკესი ბოროტი რა შეღავათს მისცემდა იბერიას?.. მთელი ქვეყანა სულიერად და ხორციულად დატყვევლი იყო იმ ზომამდეც კი, რომ ქრისტეს სახიერებას სატმწერელი თავიანთ დამპყრობთა პატივსაცემად მონღოლურ იერს სძენდნენ. ეს ის მომენტია, როცა ბიზანტიისკენ გახედვაც კი ჭირს. არანაკლები უბედურება და ატეხეს თავს ბიზანტიას ჯერ ჯვაროსნულმა ლაშქრობამ, შემდგომ კი — ოსმალებმა.

178. „ჩემი ვიცით, რომ უკვე წინა პერიოდიდან ქართული საეკლესიო მწერლობა იკვებობდა ბიზანტიური მასალებით და წყაროებით, ბიზანტიის კულტურულ-ლიტერატურული ენერგია კი მეტამეტე საუკუნის დამდეგიდან, როდესაც ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, თანდათან იშორებდა და XV საუკუნეში, როდესაც ოსმალებმა აია-სოფიას ტაძარზე ნახევარმთავარ აღმართეს, ის სულერთიან, შეიძლება ითქვას, ჩაქრა“ (კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I, გვ. 58).

179. გასაკვირი არაფერია: კათოლიკეთა და მუსულმანთა საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ ბიზანტიას მართლმადიდებლურად ვინ მოათქმევენებდა სულს? განა იმისათვის არ იძიეს შური ბიზანტიაზე, რომ მისთვის თავიანთი ერეტიკული სენი შეეყარათ? ვიღა მისცემდა იმის საშუალებას, რომ ბიზანტიას კვლავ თავიზის მართლმადიდებლური სწავლებით ეამაყა?

180. იმისათვის, რომ ეკლესია ერეტიკულად ჩაითვალოს, სრულებითაც არ არის საჭირო დიდი მიწისძვრები. საქრისტიანოს ახსოვს მაგალითი, თუ როგორ გადაიქცა

ეკლესია ერეტიკულ ტაძრად, როცა წარმართმა მეფემ თავისი პორტრეტი შიგ შეატანინა!..

181. არის ფარული ერესიც, რომელიც მოქმედების ფაშს იჩენს ხოლმე თავს. მაგ, აღიარებენ, რომ თავზე წყალკურებითი ნათლობა არ არის სწორი სამოციქულო 50-ე კანონის მიხედვით, მაგრამ ასე კი ნათლავენ. ასევე, ეპისკოპოსთა ცოლიანობა აკრძალულია ტრულის მე-6 საეკლესიო კრების მე-12 მუხლის მიხედვით, რომლის დადგენილების საფუძველზე გაუქმებულ იქნა წინა ჰეროდის აღრინდელი დადგენილება.

182. ეს იციან, მაგრამ ეპისკოპოსები ცოლშვილიანებიც არიან. ასევე, პირჯერის წერისას თითების წყობა დადგენილია და იგი სწორედ საბერძნეთმა აღიარა უპირველესად, მაგრამ დღეს თვით ბერძნები და მრავალნი სხვანი სამი თითით იწერენ პირჯერს. ჭეშმარიტი პირჯერის საწერი თითების წყობა აშკარად მიანიშნებს როგორც სამებას, ასევე ქრისტეს ორ ბუნებას, კერძოდ: შეერთებულია ცერი, ნეკი და არათითი, ხოლო აღმართულია სალოკი და შუა თითი; ეს უკანასკნელი ოდნავ მოხრილია, რასაც ყველა უძველესი ხატი და ფრესკა ადასტურებს.

183. განმარტავენ, რომ პირჯერის წერა ჯვარცმული ღმერთის ნიშანს წარმოადგენს, რომელიც მიჩნეულია ბოროტ ძალთა დასათრუნავ წესად. ამ ნიშნის სწორსახოვნება დამოკიდებულია თითების წყობაზე, რასაც დიდი ფუნქცია ენიჭება. თითების წყობა, ამ შემთხვევაში, შედარებულია ბეჭდის ნატეფრთან, რომლის უმცირესი იერსახის შეცვლა ბეჭდის გაყალბებას იწვევს.

184. თვით ითქმის პირჯერის საწერი ბეჭდის, ე.ი. თითების წყობის მნიშვნელობაზეც. ვინც პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დადგენილ ქრისტეანულ მრწამსს მიიღებს და მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ შესწორებულ მრწამსს უარყოფს, ანათემას შეუდგება; ასევე, ვინც

ეპისკოპოსთა ქორწინების ნებადართავე გამოცემულ სამოციქულო მეხუთე კანონს მიიღებს და ამ ქორწინების აკრძალვის თაობაზე ტრულის მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-12 კანონს უარყოფს, ანათემას შეუდგება;

185. მსოფლიოს დღესაც მკაფიო სურათად უდევს წინ მართლმადიდებლობის მყრობელი რუსეთის ერეტიკული ტრაგედია XVII საუკუნეში, კერძოდ — ნიკონ პატრიარქის მიერ ტრადიციული ორი თითით პირჯერის წერის წესის სამი თითის წესით შეცვლის გამო აღძრული მშფოთვარება, როცა ძველი მართლმადიდებლობა ასე უარყოფილი იქნა ნიკონის მიმდევართა მიერ, გაურკვეველი მიზეზების გამო, დღემდე მაინც მუყაითად ვეღვრებიან იმ ძველი რწმენის, ორი თითით პირჯერის მსახველ წმიდანებს, რომელთა უხრწნელი სხეულები თავიანთ ერეტიკულ ეკლესიებში უსვენიათ. რა ლოგიკის ძალით?

186. თუკი ამ სამი თითით პირჯერის წერის შემომტანი ნიკონი მართალია, მაშინ ცრუნი ყოფილან ამ შეიდი საუკუნის მანძილზე ორი თითით პირჯერის გადამსახველი რუსი მართლმადიდებელი წმიდანები. და მაშინ რუსეთს მართლმადიდებლობა ბერძნებისაგან კი არ მიუღია X საუკუნეში, არამედ ნიკონისაგან — XVII საუკუნის II ნახევარში. რომელი ჭკუათმყოფელი დაიჯერებს ამას?

187. ახლა მოვიძიოთ, თუ საიდან მოიტანა ნიკონ პატრიარქმა სამი თითით პირჯერის წერის წესი; აი, მისი არგუმენტები:

“Еще утверждоу триперстное сложение, посланием Паисия патриарха константинопольскаго напечатанным в скрижали лист хлф, в нем те яко тремя персти знаменоватися: тако чрез и С, и чрез Х и С, пятью перстами благославляти научает“ („Поморские ответы“, ответ Ф, стр. 3в).“

“От Никона патриарха утверждение триперстнаго сложения, в скрижали

слово Дамаскина иподиакона студита предлагается: еже нам не есть достоверно, ниже означенных ради вин" („Поморские ответы", ответ Ф, стр. 3а).

188. დაეკვრებათ თუ არა წარმოდგენილ ავტორიტეტებს? საჭიროა გაეცნოთ ერთ მეტად საყურადღებო დოკუმენტს:

1439 წელი, სუზდალის ბერი სიმეონი მერვე მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ:

189. "Как римский папа Евгений, составляет осмый собор единомышленники.

В царстве греческого царя Иоанна Калюяна Полеолога, бысть Риме папа Евгений, сей помисле со своими единомышленники через древняя божественная писания и чрез изложения правил Святаго Вселенскаго седмаго собора, восхоте составити восмой собор, лицемерствуя, яко благочестия хотя утвердити. Вместо же совокупления раздор велии быст между православному и Римляны"...

190. ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ დაკარგავს საბერძნეთი მსოფლიო ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიის ლიდერობას, ე.ი. მეორე სულიერი რომის ტიტულს, რომელიც ებოძა მას დასავლეთის ეკლესიის – პირველი სულიერი რომის – დაცემის შემდეგ, 1054 წელს.

191. "...Пап же Евгений прельсти златом и великими дарами греческаго царя Иоанна и патриарха Иосифа и биша царь и патриарх помощники папе на составление восмаго собора".

(Повест-Макариевских в больших мняях, Августи месяц).

192. კრების მონაწილენი.

1. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია – ასი საეკლესიო პირი, მიტროპოლიტ ისიდორეს მეთაურობით.

2. რომაელები – პაპ ეგვენის მეთაურობით.

3. ბერძნები – იოანე მეფისა და პატრიარქ იოსების მეთაურობით.

4. გერმანელები – თავიანთი ეპისკოპოსებით.

5. ეფესელები – მიტროპოლიტ მარკონის მეთაურობით.

6. იბერები – მიტროპოლიტ გრიგოლის მეთაურობით.

7. ანკირიის წარმომადგენლები – მიტროპოლიტ სოფონიას მეთაურობით.

8. ტრისტინის წარმომადგენლები მიტროპოლიტ ისაიას მეთაურობით და სხვა მრავალნი ლათინელნი.

193. კატეგორიული განცხადება რომის პაპისა, იმის თაობაზე, რომ მისი სახელი მოხსენებული იქნეს მართლმადიდებლური ეკლესიის ლიტურჯიაში უპირველესის ავტორიტეტით, უკუგდებული იქნა ეფესოს, იბერიის, ანკირიისა და ტრისტინის მიტროპოლიტების მიერ (რუსი მიტროპოლიტი, რომელმაც ზელი მოაწერა ამ დადგენილებას, მხილებული იქნა როგორც მოღალატე და ეკლესიისაგან განიკვეთა). დანარჩენები, რომლებმაც თავიანთ ეკლესიებში მერვე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება გაატარეს წმიდა მამათა კანონების საფუძველზე, თავად იქცნენ ერეტიკოსებად და ამით გაემიჯნენ მართლმადიდებლობას. წინასწარმეტყველ მოსეს ფორმულის საფუძველზე ეს სასჯელი არ აყოვნებს და ერეტიკული ეკლესიის მპყრობელი საბერძნეთი აგარიანელთა მონობაში აღმოჩნდა 1453 წელს, საბოლოოდ დაეცა კონსტანტინოპოლი და ასე დაკარგა მსოფლიოს ლიდერობაც – „მეორე სულიერი რომობა“.

194. ლოგაიკის თანახმად, მერვე კრებაზე მართლმადიდებლური ეკლესიის საკრებულო, რომელიც დაუპირისპირდა დასავლეთის ეკლესიის საკრებულოს, ექვმიუტანლად ერთნაირი დოგმატიზა და წესების მპყრობელი უნდა ყოფილიყო; კერძოდ, ერთნაირი მრწამსის, ერთნაირი წესების, ერთნაირი პირჯერისწერისა...

195. სამი თითით პირჯერისწერის წესი XVII საუკუნის II ნახევრიდან შემოდის რუსეთში:

"...Триперстное сложение утверждает собор Никона патриарха, со антиохинским Макарием, пекским Гавриилом и с прочими в скрижали на листе 755-м: предание приахом с начала веры от святых апостолов, и святых отец, и святых седми соборов творити знамение честнаго креста, с тремя первыми персты десния руки, и проч..." ("Поморские ответы," ответ 9, ст. 63).

196. საქრისტიანო კარგად იცნობს მსოფლიო განმანათლებლებს: იოანე ოქროპირს, მელეტის – ანტიოქიის პატრიარქს, უნეტარეს თეოდორიტს, კირილე იერუსალიმელს, მაქსიმე ბერძენს. ეს წმიდა მამები ორი თითით იწერდნენ პირჯერს. საინტერესოა, რატომ არ უყო მათი ავტორიტეტი ნიკონს, როცა მისი წინამორბედი იოსებ პატრიარქიც ორი თითით იწერდა პირჯერს? რამიზეთი უარყო 1600 წლის წინანდელი საკურთხეველი და პირჯერის საწერი ეს ტრადიცია და რატომ დაუშკვიდრა რუსეთს ამგვარი ერესი?

197. მოგვხსენებთ, ერეტიკოსები წმინდა მამებისა და თვით მოციქულთა დროშიც არსებობდნენ და ავრცელებდნენ თავიანთ ცრუ სწავლებას. ამგვარ ერეტიკოსთა რიცხვი მრავალა: არიანელები, საკალიანელები, მელეტთანელები, დონატელები, ნესტორიანელები, დიოსკორები – მონოფიზიტები, აკაკიანელები, მონოფილიტელები და მრავალნი სხვანი, რომელთა მიერ დათესილი ერეტიკული ღვარძლი დღემდე ხარობს. მათ დაუნდობლად ებრძოდნენ მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, ამხელდნენ მათ სიცრუეს და ანათემას შეუყენებდნენ ხოლმე.

198. გააკაზობთ ორი თითით პირჯერისწერის თაობაზე არსებულ უძველეს დოკუმენტებს, სადაც აშკარად ჩანს პირჯერისწერის მართლმადიდებლური სახე:

199. "Во дни греческаго царя Михаила Палеолога, иже бе в лето (6764 год): греческий учитель, святой Никифор Панагийот обличаше латини, почто истинаго креста не воображают двема персты, на главс и на сердце, и на правом плече и на левом. Сие же писано в Макариевских минеях во августе месяце, и во илех старописанных книгах" ("Поморские ответы", гл. 29).

200. "Древний греческий учитель, блаженный Феодорит поучает и толкует: сие благословити рукою и креститися: три персты вкупе имети во исповедание Святыя Единосущныя Троицы, а двема перстома образовати оба естества Христова, Божество и человечество. Ежс о сем самого Феодорита благословное писание во многих древлецерковных старопечатных и старописанных книгах явно засвидетельствует" (იქვე).

201. "...Подобне сему в книзе в "Полдествъ" надписанней Святаго Феодорита яже есть в Москве в ризнице патриаршей, вышеломяновенное повеление блаженнаго Феодорита, тако креститися и благословити, и прочая, на конце написано: Аще кто не знаменуется двема персты, якоже Христос, да будет проклят" (იქვე, გვ. 42).

202. "Еще же бысть чудо страшно и преславно и удивлению достойно. Егда был древневосточный учитель святой Мелетий патриарх Антихийский и притом собор второй вселенский бысть арияном с верным в лета его. И много глаголющим окаянным арияном, о развращении православной веры, паче же о самом божественном таинстве. И тогда восстав благословенный муж Мелетий патриарх, правила по закону правления имея, и людем просящим у него скорого учения. Он же по божественней ему благодати, хотя еретики

устрашити и посрамити, показа им три персты и не бысть знаменія. Потом же два совокупль, и един пригнув и благослови люди, и изыде от него огнь яко молнія" (В предисловии во псалтыре печатнем в Кириллове, в Катехизисе большом, старопечатнем).

203. "Восточный же учитель, премудрый богословец, от вселенских патриархов присланный в Россию и засвидетельствованный, преподобный Максим Грек в книзе своей в главе М(40), о сем знаменовании честнаго креста засвидетельствует, и все вкупе благоверия таинство, сим исповедовати глаголет: "совокуплением триех перст тайну Святыя Единосущныя Троицы, и протяжением двою, указательнаго и средняго, спешдшася два естества во Христе, исповедовати поучает". Тем же посим восточным учителем, явне покажется двсма персты знаменованіе великотаинственное, и древлсгреческия святыя церкве содержание" ("Поморские ответы", ответ 5, стр. 30. книга Кириллова, лист РПД (184), во псалтыре старопечатнем).

204. ორი თითით პირჯერის წერა მოციქულთა გადმონაცემს რომ წარმოადგენს, ნათლად ჩანს გადმოცემით მახარებელ ლუკას მიერ შექმნილ ტიხბინის ღვთისმშობლის ხატზე, სადაც ყრმა მაცხოვარს ორი თითი აქვს აღმართული ქრისტეს ორი ბუნების ნიშნად და სამი თითი შეკრული — სამების ნიშნად. ასევე, მეორე მსოფლიო კრებაზე ანტიოქიის პატრიარქ მელეტის (ამავე კრების თავმჯდომარე) მიერ ორი თითით განხორციელებული სასწაული მის წინამორბედთა გადმონაცემ ჭეშმარიტებაზე დადასტებს. მაქსიმე ბერძენი, აღმოსავლეთის ეს განსწავლული თეოლოგი, მოციქულთა გადმონაცემად თვლის ორი თითით კურთხევის გაქმნასა და პირჯერის წერას:

205. "О нем же предварив вопрошил мя еси, раскрыти тебе силу таиннаго апостольскаго предания, сиречь образа крестнаго, им же знаменуем себе вернии, на всяком началс молятв наших яже к Богу, прочая протолкует пространно" (Книга Гедеопа епископа, Львов, "Помор. отв." 5, гл. 30).

206. ვლადიმირის მიერ კორსუნიდან ჩამოტანილი ხატი პეტრე-პავლესი ორ თითს გვიჩვენებს. ორ თითს, სამებითურთ, გვიჩვენებს X ს. ქართული ბედიის ბარძიმი. ასევე ორ თითს, სამებითურთ, გვიჩვენებს ბეშქენ და ბექა ოპიზრების ღვათის დროინდელი (XII ს.) ჭედური ხატები. ასევე ამტკიცებს ორი თითით პირჯერის წერის წესს სტოგლავის (1551 წ.) კრების 32-ე მუხლი, სადაც ნათქვამია: ვინაც ორი თითით არ გადაიწეროს პირჯვარი, ვითარცა ქრისტემ, წყეულიმც იყოსო.

207. XIX საუკუნის საქართველოს ხულოერი მდგომარეობა:

"ლუი გრანჟე იძლევა გურიის მთავრის მამია გურიელის დახასიათებას (სადაც გამოვლინდება გურიის ეკლესიის სახე. — ი.ი.). იგი წერს:

208. „ეს მთავარი ძეგლად თავაზიანია (რაც იშვიათია ამ მხარეში), ღიდ პატივს სცემს რომის ეკლესიას და სის მთავარს — პაპს. იგი საჯაროდ ამბობს, რომ იმპერიისა (ბიზანტიისა იმპერიას გულისხმობს. — ი.ტ.) და კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო საყდრის დაცემის მიზეზია რომის წმ. მღვდელმთავრისადმი მორჩილებაზე უარის თქმა (ნათელი სურათია ერეტიკოსისა, — ი.ი.), რომ წმ. პეტრემ მიიღო სასუფიეველთა გასაღები, და რამდენადაც პაპი მორწმუნეთა მამია, მას ჰველა უნდა დაემორჩილოს (ასეთია იმდროინდელი გურიის რელიგიური, კერძოდ, მართლმადიდებლური სახე. — ი.ი.)" (ი. ტაბაღუა, „საქართველო ევრაჰის არქივებსა და წიგნსაცეებში“, წიგნი II, გვ. 49).

209. ამ მხრივ არც სამეგრელო ჩამორჩება გურიას:

„იეზუიტ მისიონერთა მოღვაწეობა დასაქმეთ საქართველოში დიდხანს ვერ გაგრძელდა. თუმცა ხანმოკლე ხნით სამეგრელოში ყოფნის მიუხედავად, ლუი გრანჟემ „იქ პოვა რომის ეკლესიისადმი სიმპათია“ (იქვე, გვ. 54).

210. ენახოთ, რა დღეშია აღმოსავლეთი საქართველო:

თემურაზ I, წერილი პაპ ურბან VIII-ს, რომის დიდ პაპს (წერილი შეიცავს ლათინურად დაწერილ ერთ ხელნაწერ გვერდს. იგი ამოღებულია პროპაგანდა ფიდეს არქივიდან).

211. „აღმოსავლეთიდან ჩვენ მიემართავთ რომს, სადაც შენ ხარ დიდი მზე (პაპზეა ლაპარაკი. — ი.ი.), რომელიც ქერუბიმისა და სერაფიმის მსგავსად ბრწყინავს მთელს მსოფლიოში, ხედავს რა წმ. სამეულს — და იცის ყველა მეფის შესახებ, ვინაიდან შენ ანათებ მსოფლიოს (როდეს ყოფილა ანათემირებული პირი მსოფლიოსათვის მნათობი? — ი.ი.). შენ ხარ ეკლესია, რწმენის დასაყრდენი (ამგვარ თვითნებობას გაბედავს, რა თქმა უნდა, ურწმუნო, დედისა და შვილების გამმეტებელი. — ი.ი.)... ამრიგად, შენც მისი ქმნილება, მსოფლიოს პაპი ცის მფარველობის ქვეშ, ყველას შორის უდიდესი, ყველა ქრისტიანის მამა(?)“

ამ წერილით პატივს ვცემთ თქვენს უწმინდესობას და გკოცნი თქვენი ნეტარების ფეხებს (რა დაბარკოლებს შაჰის კარზე გაზრდილს? — ი.ი.).

212. თქვენ ხელში გიჭირაეთ უკედავების წყალი, რომელიც გსურთ შვესვათ უკედავებისათვის (რომის პაპი რომ უკედავების წყაროს მეფე ყოფილა, ამას მსოფლიოს წმიდა მამები ვერ მიმხვდარან და შაჰის კარზე გაზრდილ ამ მუსულმანს შეუნიშნავს, და ახლა ითხოვს უპირველესად მას შეასვენ ეს „უკედავების წყალი“; ასეთია ტახტის დაკარგვის შიშით გამოწვეული დითირამბები საქართველოს წინადაუხედავი მეფისა. — ი.ი.). ვითხოვთ თქვენი ნეტარების

ლოცვას და ცოდვების მიტევებას თქვენი ლოცვა-კურთხევით.

213. ახლა ვადასტურებთ თქვენი ნეტარების თანდასწრებით — ეკუმენური ერთიანობის განსახიერების თანდასწრებით (აქ ნათლად გამოკვეთილია, ეკუმენური მოძრაობის ლიდერი რომ პაპია. საინტერესოა, როდისდამ გამოვიდა იგი ამ ორგანიზაციიდან? რის საფუძველზე აიღო ხელი მსოფლიოს ლიდერობის წადილზე? ამჟამინდელი მათი განდგომა ამ ორგანიზაციისაგან კულისიქში მთავარი მოქმედი გმირის მზადებასა ჰგავს, რომელიც ფარდის აშვებისთანავე სცენის შუაგულში დადგება. — ი.ი.)...

თქვენი ნეტარების, პირველ საყდრის მკდომისა და საყრდენის დამცველის, რომლის მსახური და მოკაემირე მსურს გაგზდე, ყველა ბრძანებას შეკასრულებ (დაწერს მეფე თეიმურაზი და ღეთის რისხეც კარზეა მომდგარი. — ი.ი.).

ქართლიდან.

1626 წლის 20 ნოემბერი.

თეოფილე, იბერიის მეფე.

(იქვე, გვ. 235-236).

214. შემდეგი მაგალითი:

„ქართველები უსძელესი დროიდან ქრისტიანები არიან...“

ქართველები სამოციქულო წმ. ტახტი-სა (გულისხმობს კათოლიკურს. — ი.ი.) და პაპის მეტად ერთგულნი არიან. ამიტომ მათ ეატკიანში სხვადასხვა დროს ელჩები გაუგზავნიათ: ერთი, პაპ პიუს II-სთან (1458-1464 წწ. — ი.ი.), რომელიმაც იგი მიიღო მანტუაში. მეორე ასეთი ელჩობა გაგზავნა სიმონ მეფემ მათი წელთაღრიცხვის 7104 წელს, ხოლო ახალი წელთაღრიცხვით — 1546 წელს და მისწერა პაპ პაოლო III-ს (1534-1549 წწ. — ი.ი.) წერილი...

საპასუხო წერილში მეფეს პაპმა პაოლო III-მ შესთავაზა სამოციქულო წმ. ტახტს გაუგზავნოს ელჩი, პაპმა კი მასთან გაგზავნა ნუნციო სტეფანო კოლინცა, ნახჭევანის არქივისკოპოსის წოდებით ცნობილი“ (ი. ტაბაღუა, იქვე, გვ. 238).

აქაც ნათლად ჩანს, თუ რა ტალახია დაყენებული კათოლიკე პაპის კართან, რათა საქართველო კათოლიკობას ეზიაროს.

215. „საქართველოში გარეშე მტრების თარეშმა და შინაურმა არეუ-დარევაგამ სულ ერთიანად გაანადგურა საეკლესიო მწერლობის ცენტრები. რაც შეეხება საზღვარგარეთულ ცენტრებს, შექმნილი მდგომარეობის გამო, ისინი დაეცნენ და დაკინდნენ. ოსმალებმა მოსწყვიტეს საქართველოს არა მარტო ბიზანტია, არამედ ეს ცენტრებიც. მისვლამოსვლა საქართველოსა და ცენტრებს შორის ძალზე გაძნელდა და შესუსტდა, ახალი კადრები საქართველოდან ამ ცენტრებს აღარ ემატებოდა, ძველი მოღვაწეები კი თანდათან იზოცებოდნენ“ (ე. კეკელიძე, დასახ. წიგნი, 1951 წ., გვ. 55).

ამას შედეგად მოჰყვა შემდეგი:
გაუწყებს ლუი გრანჟე:

დოკუმენტი

216. „... აქ გასწავლიდით ქრისტეანულ მოძღვრებას ბავშვებს და ბერძენ მამებს, რომლებსაც აღსარება არასოდეს არ ეთქვათ და არც სხვისთვის უთქმევინებიათ. თუმცა საჭიროდ სთვლიდნენ წმ. საიდუმლოებისადმი ზიარებას. თვითონ ეს მღვდლები უცოდინარობით, თუ დაუღვერობით ლოცვას ატარებდნენ წყლის გარეშე და უპატივცემლოდ ეპყრობოდნენ წმიდა საგნებს. ისინი სერიოზულად გაეაფრთხილეთ მათი მოვალეობის შესახებ და შევეცადეთ მათ დაეზმარებოდით ჩვენი ინსტრუქციებით.“

217. ჩვენ ვაძლევდით იმდენ მოწყალეებას, რამდენიც შეგვეძლო, რათა მათ ქრისტეანობა შეენარჩუნებინათ და მაჰმადიანობა არ მიეღოთ. ჩვენ ენახეთ თურქები, რომლებიც ფულს აძლევდნენ ამ ღარიბ ქრისტეანებს, რათა ისინი გაემაჰმადიანებინათ. ხაინტყვას იყო ის, რომ ზოგჯერ ეს „თურქები“ ქრისტეანებთან ერთად კათოლიკურ წირვას ესწრებოდნენ... ჩვენ მათ ვუთხარით ნამდვილი

რწმენის (კათოლიკური სარწმუნოების. — ი.ტ.) ბედნიერების შესახებ. (ამ ლახებს) რომ ერთი ბერძენი მღვდელი ჰყოლოდათ, რომელსაც თურქული ენა, ან მათი ენა ეცოდინებოდა და იმის გამბედაობა ექნებოდა, რომ თავი შეეწირა ქრისტესათვის, ეჭვს გარეშეა, რომ იგი ყველა ამ მცხოვრებ ქრისტეანობაში მოაქცევდა“ (ი. ტაბალუა, დასახ. წიგნი, გვ. 44).

218. აქ ნათლადაა წარმოდგენილი, თუ რა სულიერ მდგომარეობაში იმყოფებოდა ბერძენები. გასაგებია, თვით უზიარებელი და აღსარებაუქმელი მღვდლები რა სულიერ მოძღვრობასაც გაუწევდნენ მრევლს.

დოკუმენტი

219. ნიკიფორე ირბახის გამგზავრება მადრიდიდან რომში.

„უგანათლებულესო, ყოვლად პატივცემული ბატონო ჩემო,

დიდად თაყვანსაცემო პატრონო!

220. იბერიის მეფის ელჩის ტიტულით აღჭურვილმა ბატონმა ნიკიფორე ირბახმა, რომელიც ამასწინათ აქ ჩამოვიდა და მისი უდიდებულესობის ხარჯზე დააბინავეს, მეფის სასახლის კარზე მიღების წინ მომმართა თხოვნით, ამ წერილით წარმედგინა იგი თქვენი უგანათლებულესობის წინაშე, რათა აღმოჩინოთ მას ყურადღება და კეთილგანწყობილება, რომელიც დამახასიათებელია თქვენი განუსაზღვრელი თავაზიანობისათვის.

221. მის ამ თხოვნას ვასრულებ ხალისით, ვინაიდან ვებედავ ვიმედოვნო, რომ თქვენი უგანათლებულესობისათვის ძვირფასია ყოველგვარი დადასტურება თქვენდამი თავდადებული მსახურის ერთგულებისა და ასევედ ვრჩები სურვილით აღსავსე მომავალშიც შევასრულო თქვენი დაეკლება (ცინ არის ეს პიროვნება, ასე რომ აღუთქვამს ერთგულ სამსახურს კათოლიკე კარდინალს, რომელსაც პატრონდაც თვლის? — ი. ი.), რაზედაც

მზურვალედ გვედრებით და ამასთანავე, ვადასტურებ ჩემს უმდაბლეს პატივს თქვენ-
დაძი.

222. მადრიდი, 1628 წლის 11 მარტი.

გულწრფელად თქვენდაძი, თქვენო უკა-
ნათლებულესობავ, ყოვლად პატივცემულო.

მეტად თავდადებული და უპატივცე-
მულესი მსახური ანტიოქიის (პატრიარქი).

კარდინალ ბანდინის (ი. ტაბალუა, დასახ.
წიგნი, გვ. 237).

223. აქაც კარგად ჩანს, ეს ლაქუცა ბერძენი,
ანტიოქიის პატრიარქი, მის მიერვე ანათემას
გადაცემულ კათოლიკე კარდინალს როგორ
უწოქებს და პატრონად აღიარებს. ამის შემდეგ
ისიც ნათელია, თუ რა სულიერ მეურვეობას
გაუწევდა ამგვარი პატრიარქი ბედშავ
იბერიას. იბერიას, რომელსაც ხელი კათო-
ლიკობისაკენ დიდის წაძლით გაუშვერია.

224. საბერძნეთის დაცემის შემდეგ უდ-
ლეური პატრონის ხელში მყოფი იბერია
რომის პაპის კარს ატალახებს, რათა შეიმო-
სოს კათოლიკობა. მსოფლიო მართლმადი-
დებლობის დროშა იპყრა რუსეთმა, რომელიც
იწოდა მესამე სულიერ რომად (შემდგომ
დავინახავთ, თუ როგორ გაემიჯნა მართლ-
მორწმუნე რუსეთი ყველა ერეტიკოსს. — ი.—
ი.). იწყება რუსული ეკლესიის ავტორიტეტის
ამაღლება და დამსახურებული ლიდერობა
მსოფლიოში.

225. ერეტიკულ საბერძნეთს აწ რა შეუშ-
ლიდა ხელს მიეღო და განემტკიცებინა ერე-
ტიკული დოგმატები თუ წესები. გაჩაღდა
ბერძნული სასულიერო წიგნების ბეჭდვა
ფლორენციისა და ვენეციის კათოლიკურ
სტამბებში, სადაც თავს იჩენს აშკარა ერესი
— გამოუვალ მდგომარეობაში თავზე წყალ-
პკურებითი ნათლობის დაშვების პრინციპი,
პირჯერის წერისა და საკურთხებელი თი-
თების წყობის ახალი სახე.

226. წაქცეული საბერძნეთის სულიერი
მდგომარეობის შესახებ გავეცნოთ მღვდელ
ლუკიანოვის, არსენ სუხანოვისა და ლუი
გრანჟეს წერილებს.

1711-1712 წლებში საგანგებო მისიით
კონსტანტინოპოლში წარგზავნილი რუსი
მღვდლის ლუკიანოვის მიერ წარმოდგენი-
ლი საბუთი კარგად ახასიათებს იმდრო-
ინდელი საბერძნეთის მართლმადიდებლო-
ბას:

227. „А греческим патриархам став-
ки не бывает, как святая соборная
Церковь приняла, и ставит их туре-
цкий Султан; они у турка накупаются
на патриаршество дачею великою; а
когда в Цареграде патриарх умер,
тогда паша цареградский ризницу
патриаршу к себе возьмет, и отпишет
к Султану во Андринополь; и тогда
греческие власти (епископы) многия
поедут во Андрианополь; и тамо с
Султаном уговариваются, и торг ставят
о патриаршестве, и кто больше даст -
того Султан турецкий и в патриархи
поставит, и даст ему письмо к паше,
а паша возмет с него подарку тысячи
три золотых и даст ему ризницу и
патриаршескую одежду, мантию, со
источниками наденет на него и посадит
на конь свой, а перед ним идут и за
ним человек двести турок с дубьем, а
иные за стрема держатся его, и тако
великою помпою и пихою едет до
двора патриарша; а у патриархова
двора в те поры стоят множество грек,
а власти у врат ожидают патриарха и
тут его власти во вратех стретят, и
примут с коня под руки и введут в
палату патриаршу и сядут с ним на
коврах" („Путешествие Ивана Лукья-
нова" - 46, и "О крещении греческой
церкви и митрополита Амвросия",
Черновцы, 1903, 65).

228. „ზოგიერთ ამ ცენტრში ქართველები
სულ გადაშენდნენ, როგორც, მაგალითად,
შავ მთასა და სინაზე, ზოგიერთებში კი,
როგორებიცაა ათონი და ჯერის მონასტერი,
იმდენად შემცირდნენ, რომ მეტოქეობას
ვეღარ უწევდნენ ბერძნებს, რომლებიც თან-

დათან დაჰატრონენ მათ ნაჭირნახულევს...“ (კ. კეკელიძე, 1951, გვ. 55).

229. „თემურ ლენგის გარდაცვალების (1405 წ.) შემდეგაც საქართველოში მტრების შემოსევა არ შემწყდარა. მხოლოდ 1415 წლიდან დადგა შედარებით მშვიდობიანი დრო ალექსანდრე I-ის (დიდის) მეფობაში (1412-1442 წწ.). საქართველოს სამეფო კარმა სცადა დანგრეული ეკლესია-მონასტრების, სოფლის მეურნეობის, ქალაქების აღდგენა. ამ მიზნით შემოიღეს საგანგებო გადასახადი. მაგრამ მოსახლეობის სიღარიბის გამო მეფე იძულებული შეიქმნა 15 წლის შემდეგ ის გადასახადი გაეუქმებინა...“

230. გთავაზობთ ქართლის მეფის კონსტანტინეს მიერ 1495 წელს ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი გაგზავნილი წერილის ნაწყვეტს ოსმალ-თურქებზე გაერთიანებული ძალით თავდასხმის მოწყობის შესახებ:

„როგორც თქვენმა მეუფებამ იცის, უღვთო სპარსთაგან მარადჟამს წამებულნი ვართ და ამ ჩვენმა მტრებმა მრავალი ბოროტება მოგვაგვს ჩვენ. სამ რამეს ითხოვენ ისინი ჩვენგან: უზომო დიდი ხარკი გვაძლიეთო, ჩვენთან ერთად იბრძოლეთ და ჩვენს სარწმუნოებაზე მოექცეთო. ისინი მრავალნი არიან, ჩვენ კი ტრაპიზონის, კონსტანტინოპოლის და სხვა ქრისტიანთა დაცემის შემდეგ მარტოდმარტონი და ძალიან მცირენი დავრჩით...“

231. მაშინ, როდესაც საქართველო თავად ერესშია, მტერი კვლავ იძლევა საბერძნეთთან ურთიერთობის საშუალებას, რადგან მას უკვე აღარ აშინებს ერთ ერეტიკულ ქვეყანასთან მეორე ერეტიკული ქვეყნის ურთიერთობა. მტერმა იცის, რომ ორი ერეტიკული სახელმწიფოს ძმური კავშირი უფრო განამტკიცებს მათ შორის ერესს. ამის მაგალითია პატრი მიხეილ თამარაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები:

232. „ი ჩვენის გავლილის დიდების ერთი ცხადი ნიშანიც. ამ პაის ქვეყნის ყველა მხარეს

ჰყავდა მისიონერები დაგზავნილი, მაგრამ არც ერთი მხრიდან მიუღია ისეთი სანუგეშო ამბავი, როგორც საქართველოდან და არც ერთი ქალაქის შესახებ უთქვამს ისეთი სიტყვები, რასაც აცხადებს თბილისის შესახებ: „ძლიერ შესანიშნავი, ერთი სავსე და სიმდიდრით უხვი ქალაქია“. აგრეთვე შევნიშნეთ, რომ თბილისში საეპისკოპოსოს დანიშვნის პირველი და უმთავრესი მიზეზი ყოფილა ერის მოვლა და მისი სასულიერო საჭიროება, რადგან როგორც წერილის სიტყვებიდან ჩანს, სიმრავლე მცხოვრებთ ძრეულ ბევრს მიუღიათ კათოლიკობა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ადგილებშიც“ (მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902 წ., გვ. 33).

233. ის, რაც მ.თამარაშვილს განვილილ დიდებად ესახებოდა, წმიდა მამათა კანონების მიხედვით, საანათემო მოქმედებას წარმოადგენს. საქართველოდან მიღებული ამბავი, რა თქმა უნდა, მეტად სასიხარულო უწყება იყო პაპისათვის, მაგრამ კანონიკური თვალსაზრისით იგი ერის სულიერი დაცემულობის კიდევ ერთი მაგალითია, რადგან მართლმადიდებლობის დათმობით საქართველო კანონიკურ მრწამსს თმობდა, ახალ, მდარე მრწამსს იღებდა და ამით ანათემას ექვემდებარებოდა.

234. მისიონერთა შემოსევა საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ უძლურებაზე მეტყველებს, ხოლო ქართველთა გაკათოლიკება — მათს სულიერ დაცემას მოწმობს.

235. დაკარგა რა ძველი შინაარსი დოგმატების დარღვევისა გამო, კათოლიკობა მაშინვე უარყოფილი იქნა სიმართლის დამცველთა მიერ და ჭეშმარიტების დროსა უკვე მართლმადიდებლებმა იპყრეს, წმიდა მამათა კანონების დამრღვევი „კათოლიკენი“ ანათემას შეუყენეს. ჩვენში კი რა სურათს ეხედავთ! მართლმადიდებელი საქართველოს დიდებულნი დიდის წადილით უღებენ კარს კათოლიკე მისიონერებს. ასე და ამრიგად,

დიდი სჯულისკანონის მიხედვით უარყოფილი კათოლიკური ტაძრები და ღვთის დაწუნებული მისიონერები უკვე საქართველოში იღვწიან.

236. ქართველები ანათემას გადაცემული რომის პაპის მოწყალებას გამოვლიან, ღვთის ჭეშმარიტი საკურთხეველი კი დაკარგეს; ყველაფერზე თანახმა არიან, ოღონდ ქვეყანას რამე ეშველოს. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ევროპის ქვეყნების სამეფო კარზე დგანან, რათა საქართველო ერთიან კათოლიკურ ოჯახში იქნეს მიღებული, იმ პირობით, თუკი მას პოლიტიკურ თავშესაფარს აღმოუჩენენ დიას, ქართველი თანახმაა შეელოს ტრადიციულ, უკვე ეროვნულად ქცეულ სარწმუნოებრივ ნორმებსაც კი, რომელითაც იგი ადრე თვითმყოფადობას ინარჩუნებდა, და მზად არის ამგვარი დათმობით დაკარგოს ეროვნული სახე, აითქვიფოს ნებისმიერ ეროვნებაში (მ. თამარაშვილის წიგნიდან კარგად ჩანს, რომ გაკათოლიკებული ქართველები თავიანთ თავს „ფრანგებს“ უწოდებენ. — ი. - ი.).

237. ამ მხრივ მიმართულ საქართველოს განზრახვას, საბედნიეროდ, ფრთები შეეკვეცა.

„ისტორია კათოლიკეთა მისიისა საქართველოში იწყება მეცამეტე საუკუნეში; ამ საუკუნიდან მოყოლებული ჩვენში მოდიან და ერთმანეთს სცვლიან სხვადასხვა ორდენთა მისიონერები... რომელნიც აარსებენ აქ საკუთარ კათოლიკეთა ეპარქიას... იჩენენ საკუთარ კვლესიებს, მონასტრებს... საერთოდ ისინი აქ დიდი წარმატებით მოქმედებენ; კათოლიკობაზე გადმოჰყვდათ არა უბრალო მორწმუნენი საქართველოს ყველა კუთხეში, არამედ კათალიკოს-მღვდელმთავრები და მეფეებიც, რომელნიც, ზოგი ფარულად, ზოგი ცხადად, იღებდნენ ახალ მოძღვრებას... მისიონერებისადმი კეთილი განწყობილებით ქართველებს ჰსურდათ დამესახურებინათ რომის პაპის ყურადღება... 1629 წელს დაარსდა პირველი ქართული სტამბა რომში

და გაჩაღდა წიგნების ბეჭდვა“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, 1941 წ., გვ. 67-68).

238. გასაგებია, თუ რა ხეირს დააყრიდა კათოლიკურ ქურაში გამობრძმედილი წიგნები საქართველოს მართლმადიდებლობას! ამგვარი რელიგიური წიგნების შემოჭრამ ერესში ისედაც ნახვერად ჩაძირულ იბერიას მხრებზე კიდევ უფრო დიდი ტვირთი წამოჰკიდა, რათა 1054 წელს ფეხნადგმულ ბოროტებას (იგულისხმება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა კონფლიქტი. — ი. - ი.) მეტი გასაქანი ჰქონოდა. სწორედ ამ კათოლიკურ მუშტში მომწყვედულმა ბოროტმა ნებამ დააქცია ბიზანტია, რის შემდეგაც, თქმა რადაღ უნდა, ეს ბოროტი ნება უდავოდ ისუფეებდა ბიზანტიის ფრთებზე შემფარებულ სხვა მცირე ერებზედაც.

239. „კათოლიკეთა მისიონერები, როგორც ვიცით, დაახლოებული იყვნენ ანტონ კათალიკოსთანაც, რომელსაც მათი ცოდნა გამოუყენებია თავისი კაპიტალური შრომების დაწერისას. მაგალითად, ის ლათინური წყაროები, რომელიც მას ესაჭიროებოდა... უფრო მეტია ნათარგმნი ლათინურიდან ამ საუკუნეში „ლოცვანი“ და კატეხიზმონი, რაც ასე საჭირო იყო გაკათოლიკებულ ქართველთათვის“ (კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 69).

240. ამკარაა, რომ თვით ანტონ კათალიკოსიც აქტიურად მონაწილეობს საქართველოს გაკათოლიკებაში.

რას უნდა მიეწეროს ანტონ კათალიკოსის ეს სურვილი მამონ, როცა „დიდი სჯულისკანონი“ ანგელოზსაც კი არ შეუნდობდა ამგვარ სითამამეს?

241. მ. თამარაშვილის ზემონსენებულ წიგნში ვკითხულობთ:

„საქართველოში მუდამ თავისუფლება იყო სხვადასხვა სარწმუნოების აღსარებისა (რაც წმ. მამათა კანონების თანახმად, დიდი და მოუშორებელი ჭირია მართლსარწმუნოებისა. — ი. - ი.): მთავრობა არა თუ უშლიდა, არამედ განურჩევლად ყველას მფარველობდა და შემწევობას აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ

სომეხ-გრიგორიანელებმა მართლმადიდებელ ქართველებში გააერთიანეს თავიანთი სარწმუნოება, რამდენადაც კი შეეძლო. XIII საუკუნეში პირველად მოვიდნენ სწორედ იმ დროს, როდესაც მონღოლთაგან აოსრებული საქართველო ორ სამეფოდ გაიყო. სამცხე-საათაბაგოში მოაქციეს კათოლიკობაზე მართლმადიდებელი ქართველები.

242. ამას ხელი შეუწყო დაუძღვრებამ და მისმა ორად გაყოფამ. შემდგომი ფაშებმაც აღმოუჩინეს მისიონერებს მფარველობა და შემწეობა ქართველებში კათოლიკობის გასავრცელებლად (რა მოტივით? რა საშუალებით არჩევანს იძლეოდა იგი? მართლმადიდებელი იქნებოდა თუ კათოლიკე, განა იგი ორივე მხრიდან ქრისტეს სახელის დიდებას არ მოისმენდა? საიდუმლო კვლავ ერისშია. მტერი ხელს უწყობდა ერტიკული რწმენის დანერგვას და ახალი რწმენისათვის კარის მოღიაებას. ... ი. ი.). პაპმაც ნება მისცა ერს, რომ ქართულად შეესრულებინათ წირვა-ლოცვა. XIII საუკუნიდან იწყება ქართველი კათოლიკეების ეკლესიის დაფუძნება.

243. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსუდან დედოფალმა და ივანე ათაბაგმა მოინდომეს ჯვაროსნობაში მონაწილეობის მიღება. იმავე დროდგან დაიწვეს მისიონერებმა ხშირხშირად მოსვლა საქართველოში. ახალციხისა და მის გარშემო სოფლების ქართველმა კათოლიკეებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი სარწმუნოება და დასავლეთის შემწეობით არ მიიღეს მაჰმადიანობა, რომელსაც ოსმალები ავრცელებდნენ მართლმადიდებელთა შორის.

244. ჯვაროსნობის შემდგომ გავრცელებული კათოლიკობა სამცხე-საათაბაგოში მტკიცედ დააცვეინეს და ოსმალის მთავრობისაგან მოიპოვეს ის პრივილეგია, რომ არც ერთი გაკათოლიკებული სათავისი ძალა არაყის დატანებინა მაჰმადის სარწმუნოების მისაღებად. პაპის მფარველობით აღმოსავლეთში კათოლიკობა შეიქნა ქრისტეანების მტკიცე შესახიზნარი; ისინიც თავისუფლად იქცეოდნენ კათოლიკედ (ამწინეთ, თუ რო-

გორი, ყოველნაირად ხელშემწყობი პირობები შეუქმნიათ — ი. ი.), რათა დევნულება თავიდან აეცილებინათ. ქართველმა კათოლიკეებმა თავიანთ თავს ფრანგები უწოდეს და ესრეთ გააერთეს სარწმუნოება და ერობა.

245. მისიონერები კონსტანტინოპოლიდან მოდიოდნენ მესხეთს და იქიდან გადადიოდნენ ტფილისს, სადაც XIV საუკუნეში ივანე XXII პაპმა დანიშნა ივანე მონაზონი ეპისკოპოსად ქართველი კათოლიკეებისათვის... XVIII საუკუნიდან მისიონერები ძრიელ შეწვივნენ ერსა და თვით ქართველი მფეფების ტახტსაც დაუახლოდნენ. დიდი გავლენა იქონია საბა-სულხან ორბელიანსა და კათალიკოს ანტონ პირველზე, რის გამო დევნულება აუტეხა თეიმურაზ მეორემ და განდევნა კახუცინები“ (მ.თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, გვ. 79-80).

246. ეს დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას იძლევა კათოლიკე მისიონერთა შემოსევაზე და თავდაუზოგავ „დედაწულზე“.

რატომ დევნიდა მეფე თეიმურაზ II კახუცინებს? იმიტომ, რომ იცოდა, თუ რა ჭირი იქნებოდა მართლმადიდებლობის დატეგება ქართველთათვის.

247. „მართალია, ბერძენთა ლიტერატურა, რომელმაც, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, უკვე XIII-XV საუკუნეებში დაასრულა პროცესი თავისი ზრდა-განვითარებისა, ახლა ახალსა და ნოყიერ საზრდოს აღარ იძლევა, ის სულ ერთიან გამომშრალ-გამოფიჭულია, მაგრამ, თანახმად ტრადიციისა, ქართველები მაინც არ სწყვეტენ იმათთან კავშირს და იღებენ და ითვისებენ იმისგან ყველაფერს, რისი გადმოღებაც კი შეიძლება“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, 1941 წ., გვ. 63).

248. „XII-XV საუკუნეებში დაასრულა პროცესი თავისი ზრდა-განვითარებისა...“ — რას ნიშნავს ეს?

ჭეშმარიტი ლიტერატურული ცხოვრება სწორედ მაშინ კვდება, როდესაც სიკვდილს

ინყებს სახელმწიფო იდეოლოგია, ე.ი. ერესი მკვიდრდება.

249. კ. კეკელიძე ბრძანებს, ქართველები მაინც თვისებურ უკვე არარსებულ ბიზანტიისაგან ყველაფერს, რისი გადმოღებაც კი შეეძლოთ.

რისი გადმოღება შეეძლოთ ქართველებს გაცემტყერებელი ბიზანტიისაგან? რა თქმა უნდა, იმისა, რასაც მოძალადენი — ჯვაროსნები და ოსმალები შეარჩენდნენ. ამგვარი, ყველაზე დიდი შემკვიდრუბითი საგანბური მათთვის ერესი იყო — თავზე წყალპკერებით ნათლობა, სამი თითით პირჯვრის წერა, არაკანონიკური ხატები, ჯვრები, სახატვები, სეფისკვერნაკლული პროსკომიდები...

საქართველომ რუსეთისკენ გაიხედა

250. 1588 წელი. კახთა მეფე ალექსანდრე რუსეთის მეფე თეოდორეს გამოსთხოვს ხელოვნებს, მხატვრებს და ზარბაზნების მკეთებელ ოსტატებს. გამოგზავნეს კახეთში (1588-1589 წწ.) ორი ბერი, ორი მღვდელი, დიაკონი და სამი მხატვარი (ე. გურჯა, შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 127).

251. ეს ის პერიოდაა, როდესაც რუსეთს შესული ჰყავს ვეროპელი მასონები, რომელთა მიზანია, მსოფლიო საქრისტიანოს დაშლა. ბიზანტია ამ დროს უკვე წაქცეულია.

252. მასონური სიცრუის ორგანიზაცია განუხრედალ ახორციელებს თავის ბოროტ პროგრამას. ამგვარმა ორგანიზაციებმა მხარი გაშალეს ესპანეთში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, პოლონეთსა და ბოლოს, რუსეთში. სადაც კი შეიჭრნენ ამ ფრიად ფარული ორგანიზაციის წევრები, ის ქვეყანა მალე დასცეს. სწორედ მასონთა „წყალობა“ ის, რომ ერთიანი მსოფლიო კათოლიკე ეკლესია ორად გაიხლიჩა. ასე

უფრო ადვილად შეეძლოთ მისი დაქუცმაცება და მასზე ბატონობა.

253. შეუყენეს რა ვეროპა ანათემას, საბოლოოდ გამოიჯნეს იგი და დაუხშეს ჭეშმარიტების კარი. ამის შემდეგ ორგანიზაციის მთელი ძალები მართლმადიდებლური აღმოსავლეთის წასაქცევად მიმართული. და აი, სიცრუის ღოზუნგით, ქრისტეს სახელს ამოფარებულებმა, მართლმადიდებლური სახელმწიფოების დაშლა იწყეს.

254. „ჯვაროსნული ლაშქრობა!“ — დაიქუხებს დასავლეთი და მალე ჯვარცმულის სახელით შეესევინა ბიზანტიას. განა არა თქვა ქრისტემ, ჩემი რომ ხართ, დე გიცნობდნენ სიყვარულითაო? განა არა თქვა: ხმლის აგად მქნეული თვით იმ ხმლის წერა შეიქნებაო? ვინ ინდომა ქრისტეს სახელით ამ სამინელებათა ჩადენა?!

255. მასონური სიცრუის ლაშქარმა, შემოესია რა ბიზანტიას, უმალვე წაართვა მას ის, რისთვისაც თავს დაესხა: ამიერიდან ერესი მკვიდრდება ბიზანტიაში. ყოველივე ეს არ არის მოულოდნელი ღვთის რისხვა. მასონურმა ორგანიზაციამ სწორედ მაშინ იჩინა თავი, აპოკალიფსისში ათასი წლით დაბმულ ურჩხულს სასჯელის ყაველი რომ გაუვიდაო, — შენიშნავენ ქრისტეანთა აპოლოგეტები:

256. „და შეიპყრო ურჩხული, გველი დასაბამისა, რომელიც არის ეშმაკი და ხატანა, და შეკრა იგი ათასი წლით.

და ჩააგდო იგი უფსკრულში, და დახშა კარი, და დაბეჭდა იგი, რათა ვეღარ აცდუნებდეს ხალხებს, ვიდრე არ გასრულდება ათასი წელი; ხოლო შემდგომ ამისა თავს დაიხსნის მცირედი ხნით“ (გამოც., 20,2-3).

257. ე.ი. განთავისუფლების შემდეგ კვლავ ეძლევა თავისი საქმიანობის გაშლის უფლება „მცირე ხნით“, როგორც აქ არის ნათქვამი, და ამ „მცირე ხანს“ იმდენივე დროდ იგულებენ, რამდენიც სასჯელი ჰქონდა მას — 1000 წელი.

258. გემოთმოყვარებით გულდაბმული ადამიანები სიცრუის ოკეანეში მიექანებიან. ღიახ, დანიშნულების მიხედვით ბოძებულ დროს მხოლოდ უგუნური ადამიანი ფლანგავს და არა ეშმაკი.

259. „იძინე, იძინე და ნუ შიშობ, ხელს არ გახლებს!“ — აიძულებს სიცოცხლის უაზროდ გამფლანგველ ადამიანს სული ბოროტი, რადგან იცის, არსებობს ასეთი აქსიომა: ბოროტებას ჩადიხარ თუ სიკეთეს არა იქმ, ერთი და იგივე ცოდვია, რაც სულიერ სიკვდილს იმსახურებს.

260. როდესაც საქართველო რუსეთისაკენ გაიწვიდა ხელს, იქუკვე კარგა ხნის ამუშავებულია მასონური სიცრუის დიდი დაზგა. კიდევ ცოტა და საქართველო ვერც კი მოასწრებს ერთმორწმუნე რუსეთისათვის ხელის ჩამორთმევას, რომ ამ მასონური სიცრუის მისაღებად რუსეთში სისხლის ტბორი დადგება. უარყოფილია დაბნეული კაცობრიობის საფხიზლოდ ბოძებული ფორმულა: „ვერას გიშველით ფეხმარდი ცხენები!..“

261. მსოფლიო ხელჯოხს დაქმებს საყრდენად, ჭეშმარიტება — სიძარითლე და პატიოსნება კი განრიდებულია.

მ ი თ ხ ე ა ე რ ი თ ღ ი

(XVI ს-ის დამდეგიდან
XX ს-ის ჩათვლით)

262. „აღნიშნული პერიოდის სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობა მარტო იმით კი არ ამოიწურებოდა, რომ ქართველები სომხურ წიგნებს თარგმნიდნენ, — ამავე სწადიოდნენ სომხებიც, ჩვენამდე შენახულია დოკუმენტი, ანასტასი ანტიოქიელის კატეხიზმო, რომელსაც ეწოდება: „სიტყუაი კითხვა-პიგებითი საღმრთოისა გულისხმისყოფისათვის“. ამ თხზულებას შემ-

დეგი მინაწერი აქვს: „წიგნი ესე კონსტანტინოპოლისს ქართველმან ვინმე მეცნიერმან ბერძენთა ენისგან სათარგმნა ქართულად ლიტონად“ და მერმე საქართველოს სომეხმა — სომხურად, რომელმაც თავის თარგმანში ბეერი თავისებურება შეიტანაო“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, 1941 წ., გვ. 66).

263. ჩვენ ვხედავთ, რომ ბერძნულიდან ნათარგმნ კატეხიზმოს სომეხი მთარგმნელი თავისებურად „რანდავს“. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი კატეხიზმოს თავისივე სახით წარმოუდგენდა ხალხს, უმაღ გამოჩნდებოდა მათი ერუტიკული სახე; და სწორედ ამიტომ სჭირდებოდა თავისებური ხელის გაკერა, რათა ერუტიკული ნორმებისათვის მოერგო იგი.

264. „განახლდა და გაცხოველდა ამ პერიოდში, განსაკუთრებით XVIII საუკუნეში, სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობა; ამ დროს წარმოიშვა მთელი რიგი სომხურიდან ნათარგმნ თხზულებათა, განსაკუთრებით ღვთისმეტყველებაში და ფილოსოფიაში“ (კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 65).

265. ერუტიკული ეკლესია ღვგამატიკურ დებულებებს ვერ იტანს, როგორც მისი ერუტიკულობის მამხილებელ სარკეს. ამიტომ ის ამ არაკანონიკურობას გაითავისებს, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტებას და ცდილობს სხვაც დააკეროს ამაში. რატომ უნდა მორიდებოდათ სომხურ-ქართულ ეკლესიებს ერთუთრთისა? რა ჩრდილს შესძენდა ერთმანეთს სიბნელებში დამწყვედეული ორი ძმა?!

266: რაც უფრო ეგუება იბერია კანონიკური ცხოვრებისაგან განმიჯნავს, მით უფრო ისჯება იგი. აყალიბებდა რა იმდროინდელ სახელმწიფოებრივ ფორმაციას, რომლის წინაარსს განსახლვრავდა მისი რელიგიური მრწამსი, რელიგია განუხრელად ეფუძნებოდა ამა თუ იმ მოძღვრების მორალურ კოდექსს. ამ კოდექსის უგულვებლყოფა იგივე იყო, რაც სახელმწიფო ფორმაციის რღვევის პროცესი.

267. სწორედ რომ კანონიერი სწავლების მკაცრ დაცვაში ვლინდება ერის სიჯანსაღე, რაც ითხოვს ზნეობრივ სიწმინდეს და რაც ერთადერთი გარანტიაა ქვეყნის სიმტკიცისა.

268. იბერიის სამეფმისო ხაზე ამ მუსულმანურ გარემოცვაში, სადაც წახდენით გადაგვარება ემუქრებოდა ერისკაცთ, დღის წესრიგში აყენებდა არა მხოლოდ ეროვნულობის შენარჩუნების საკითხს, არამედ ხვედრისდელი ჯანსაღი მამობის პრობლემა-საც. მრავალთა მცენრთაგან ნაგვემ-ნაკაფი ატრია გერასოლეს ამოაღებისებდა მუხლს ქარს. ძალისმიერად ისე, რომ საბოლოოდ გადაეწვეტა ერას უმისროების საკითხი. მუსულმანური ხასელმწიფობის დასამორჩილკელი ილაჯი იბერიას კარგა ხანი გასყეველი აქონდა და აღარც მისი მოძიების იმედი ახაზრობდა. ერის წინაშე ისახებოდა ორი საკითხი: მარად ყმობა მუსულმანთა და შეგუება ყოვლისა სისხაძაგლისა, ან პატრონის ძებნა! მესამე გზა კი სიკედილი იყო.

269. იბერიამ კარგა ხანი ძებნა მამობილი, მაგრამ აღარავის უნდოდა დაუძღურებული, გაღატაკებული ქვეყნის პატრონობა. დიდხანს დასჭირდა მფარველობის მკვდრებულს მუხლზე დგომა. და აი, იბერია მინც რუსეთისაკენ იწვდის ხელს.

270. IX საუკუნეე კიევის რუსეთი, როგორც სახელმწიფო, IX საუკუნეში ჩამოყალიბდა. იგი კარგა ხანს ადევნებდა თვალს ბიზანტიის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ხელაედა, ქრისტიანული იდეოლოგიით თუ როგორ ჰყავდა შემომტკიცებელი მასები. ჰუმპაროტად ამჩნედა სხვა, ბაზაროსულ რელიგიათა შორის ქრისტიანული ხარწმუნოების უპირატესობას, და აი, X საუკუნეში კიევის რუსეთი ღებულობს მას, როგორც ზოგადსაკაცობრიო პროგრესულ მოძღვრებას და აცხადებს სახელმწიფო რელიგიად. ექვიმუტანელია ის გარემოება, რომ ბიზანტიამ ქრისტიანობა აქ მისი პირვანდელი სახით დანერგა, ვინაიდან სხვა სახის, დოგმატმეცვლილ სწავლებას იგი

ერთხელ უკვე განემიჯნა. ამ კანონიერ საფუძველზე დაფუძნებული სწავლება რუსეთს XVII საუკუნის II ნახევრამდე მიჰყვა.

271. მაშინ, როდესაც რუსეთი ქრისტიანობას ღებულობს, იბერიის საცვლესიო მმართველობა მონოფიზიტურ ერესს დაქვემდებარებული ქვეყნების შემოტევით არის მორყეული.

XII საუკუნის დასაწყისში რუსეთს უკვე სახალხო აჯანყებები არყევს. ეკლესია ფიზიკობს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ რუსეთი განუსრეულად იცავს „ღიდ ხეულისკანონს“, ანუ „წმიდა მამათა კანონებს“, რაც გამოინატება კათოლიკური სამყაროსადმი ანტიპათიით; კარგად იცის რა მსოფლიო ეკლესიის ორად გახლეჩის მისეზი, რუსეთის ეგროპის ზღურბლზე მტკიცედ აქვს დამყებული რკინის ფარდა.

272. XIII საუკუნეე რუსეთსაც რისხეად დაატყდა თავს. თათარ-მონღოლთა შემოსევამ ისიც დაარბია. რუსეთიც დედამიწის მკოთხედის დამპყრობელთა მოხარკე და ხელქვეითია. ამ დროს დასავლეთ ეგროპული ჯვაროსნები ცეცხლითა და მახვილით მისდგომიან ბიზანტიის მიწა-წყალს; დასდგომიათ ჟამი შურისძიებისა.

მტრის ხელში ვის შერჩენია სამართალი და სიწმინდე! ბატონობის მეთოდი ყველა მტრისა ერთნაირია: ხარკის აღება, ომებში სხვისი ხელით ნარის გლეჯა და რკულის შეცვლა. რკულის შეცვლა ორი მეთოდით: ისულებით და ერეტიკულ დოგმატებზე დაყაბულებით. ამგვარი სტანდარტები ყველა დამარცხებული ქვეყნისათვის გამიზნული ყალიბია. ზოგ შემთხვევაში ითვალისწინებენ ერის რელიგიურ ფანატიზმსაც.

273. XIII საუკუნის გერმანელი რაინდები (ჯვაროსნები) თავს ესხმიან ქრისტიანულ რუსეთს. ახლა რუსეთში დაუდგათ შურისძიების ჟამი. გაურკვეველი ხდება, თუ ვისი საფლავის გასათვისუფლებლად მოიწვედნენ ამჯერად რუსეთში? მაგრამ რუსი ხალხი მომზადებული შეხვდა ამ თავდასხმას: 1242 წ. 5 აპრილს, რუსებმა ალექსანდრე ნეველის

მეთაურობით სიძლიერს ჯვაროსნებს მდინარე ნევაზე. ამ დროს მონღოლები შორიდან მაცქერების პოზიციას ადგანან, რადგან ორივე ქვეყნის დასუსტება მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე რომელიმეს მხარდაჭერა.

274. გამარჯვებულ რუსეთს მონღოლები სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ. დესპოტიზმის წინააღმდეგ დღითი დღე ირანძება ხალხი, მაგრამ ხანები ყველას სასტიკად უსწორდებოდნენ.

მოსკოვის გაძლიერებამ მიიღო გაუკრთო მონღოლებს. და აი, 1380 წელს მამაი ხანის წინამძღოლობით მონღოლები მიადგნენ მოსკოვს. რუსებმა ამჯერად დიმიტრი დონელის მეთაურობით მოიგერიეს მტერი; 1480 წელს კი საბოლოოდ გადაიღვეს მონღოლთა მონობის მძიმე უღელი.

275. ეს ის პერიოდია, როდესაც კიევის რუსეთში ფარულად იწყებენ ე.წ. „Жидовская срьса“-ის გავრცელებას; მოსყიდული მღვდელმთავრები ხელს უწყობენ ამ პროცესს:

„Русска велика зсмля, иже убо древле идолнеиствоуства омрачашеся тмоу, до конца оксквернена суши, и безбожных прилжаши дела (\"Просветитсль\" Иосиф и гумсн გამოც. III, ყაზანი, 1896 წ., გვ. 28).

276. XV და XVI საუკუნეების რუსეთს ბერის დათმენა მოუხდა ხსენებული ერესის გამო. როგორც იოსებ ვოლოცკის წიგნის შესავალში კვითხულობთ, პირველად ამ უკანასკნელმა თავი იჩინა 1470 წელს ნოვგოროდში. აქედან გავრცელდა მოსკოვში — არა მარტო უბრალო ხალხში, არამედ ცნობილ საერო და სასულიერო პირთა შორისაც კი. ეკლესიას თავისი დამცველები გამოუჩნდა, რომელთა შორის ცნობილია ნოვგოროდის ეპისკოპოსი გენადი. იგი ერთი პირველთაგანია, ვინც ყურადღება მიაქცია ერესს. მაგრამ მთავარი დამცველი მართლმადიდებლობისა იყო იოსებ ვოლოცკი, ვოლოცკის მონასტრის დამაარსებელი და პირველი იღუმენი, რომელმაც სწორედ ზემოხსენებული ერესის სამ-

ხილებლად შექმნა თავისი ნაშრომი. იგი წერს: В 1471 году с Князем Михаилом пришел из Кисва в Великий Новгород жид Схария и многих совратил в жидовскую веру". (იქვე, გვ. 6).

277. ვოლოცკის თქმით, იუდაიზმს ქადაგებდნენ ლიტვიდან მოსული სხვა ებრაელებიც, რომლებიც სხარისა და მისი მომხრე დეკანოზ ალექსის, აგრეთვე მღვდელ დენისის მეშვეობით, უფრო მეტად ავრცელებდნენ ერესს.

278. თუმცა ესედავთ, რომ ერესი დამკვიდრებას ცდილობს, მაინც ჯერ არ ითქმის, რუსეთი ერესს შეეგუა. გაუმჩყელები ერესი ქვეყნის ერესად არ ითვლებოდა. როცა ერესი ფარულად მოქმედებს, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი მიღებულია და ქვეყნად დამკვიდრებული. მაგრამ, როცა მას მხარს დაუჭირს ქვეყნის ორი თავი — მეფე და პატრიარქი, ერესი უკვე გამოცხადებულია როგორც კანონი. ე.ი. სიყალბე მიღებულია როგორც ჭეშმარიტება, და მამის, როდესაც უკანონობა კანონად მიიღება, ერესიც გათავისუფლებულია, იგი ზემოთს; და რადგან უკანონობა იჭერს კანონის ადგილს, სასჯელიც არ აუოენებს — თვით სიცრუე მოუქმობს მას.

279. რომელ წმიდა მამას უარუყვია კანონი? განა კანონზე არ დააფუძნეს მათ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესია? სახარების რომელი ტექსტი იძლევა იმის უფლებას, რომ კანონის განუყოფლობით სიცრუე ეზეიმათ?

280. საგულისხმოა დეკანოზ ამბაკუმის მიერ მხილებული ცარიზმის დესპოტიზმი, რომელიც რუსი მართლმორწმუნე მშრომელი ხალხის მიმართ XVII საუკუნის II ნახევარში გამოვლინდა (თარგმანი):

„ღვთის ნებართვით, 1652 წელს, იენისის თევში, პატრიარქის ტახტზე აცოცდა ყოფილი მღვდელი სიციტა მინას ძე ნიკონი; დეკანოზის, მეფის სულიერი მოძღვრის, წმიდა სულის ცდუნებით ეჩვენა მას ვითარცა ანგელოზი, თუმცა სულში ეშმაკი ეკვდა. დეკანოზის მიერ

მეფისა და მისი ასულის შეგონებით, ნიკონი აჰყავთ იოსებ პატრიარქის ტახტზე და დადგა პატრიარქად ბოროტი ბელადი. დაიწყო მართლმორწმუნეთა ძაგება, გაიცა ბრძანება სამი თითით პირჯვრის წერისა, მძიმე მარხვის დროს წელამდე მოხრით თავგანისცემისა და სხვა.

281. ჩვენ კი, მამებთან და ძმებთან ერთად, გადაწვეტილეთ არ გავრძმდეთ და ვამზილოთ ერეტიკოსი, ანტიოქიის წინამორბედი (ამხელს ანტიოქიის წინა პერიოდის ერესს. — ი. -ი.), მან კი გვაწამა და ყველანი გადაგვასახლა. ვიქმენით გაფანტულნი და მწუხარენი, როგორც სტეფანე მოციქულის დროს“...

ამბაკუმის წერილი მეფისადმი

282. არ განმირისხდე, მეფეო, ნათელო, მრავლად რომ ემეტყველებ. როცა სული გამძვრება, მაშინლა ვილაპარაკო? ეს დროც მოსულა. არა თანამემამულე პატრიარქისა გამო ვამბობ, არამედ ძველ გამმიჯნელებზე -- იულიონსა და ეგვიპტელ თეოფილეზე, აღუქსანდრიის პატრიარქსა და სხვა ერეტიკოსებზე და მკელელებზე, ქრისტეანეთა დაღუპვის მოწადინებებზე. ამგვარად მიგულებია ნიკონ პატრიარქიც; ისიც, თეოფილესავით, ყველას აშინებს. ბევრს ეშინია მისი, მაგრამ მე, ღვთისა მოიმედეს, მისი (ნიკონის) არ მეშინის.

283. და თუკი თქვენ მოუშვებთ ნიკონს ჩემამდე, რათა მიმუხთლოს, ღვთის წყალობით, მზად ვარ ჩემი სულიც დაეღო. ვიდრე მოგკედლებოდეთ, უნდა ვიზრუნოთ სამარადჟამო ცხოვრებისათვის; სიკვდილი შვება არის მამაკაცისა. ჩემს სულს არა სწადს მისი ახალი უკანონო კანონების მიღება. ღვთიური ჩვენებით მხილებულ იქნა ნიკონი, რომ საბაგელი არის ღვთისა წინაშე.

284. გატყუებს შენ, მეფეს, ნათელს, როგორც არია (არიოზი. — ი. -ი.) კონსტანტინეს ატყუებდა. მან დაღუპა შენი რუსეთის

ხალხი მთლიანად, სულითა და ხორციით. საშინელ სამსჯავროზე ნიკონის ეს ახალი კანონები შედარებული იქნება ძველთა არიანელთა კანონებს... სულმწიფეო, ქრესტიანულ ყველაფერში იცრუა, ვითარცა ძველმა ფარაონმა. შეგვიწყალე, ხელმწიფეო, აღმოფხვერ ბოროტება მისი და დამღუპველი იგი სწავლება, ვიდრემდე საბოლოო რისხვა ჩვენზე არ გარდმოსულა, და ცეცხლი ციდან ან ძველნი სნებანი და სხვა რამ უბედურება თავს არ დაგვტყენია. როცა ამ ბოროტებას აღმოფხვრით, კვლავ ყველა სიკეთე გვეწვევა. შენი სამეფო მშვიდი და მორჩილი იქნება კვლად, როგორც ნიკონ პატრიარქამდე იყო. აგარიანელთ ხმალსაც ღმერთი შეაჩერებს და ღირსეულს გაგვსდის ჩვენ სამარადჟამო სიკეთისათვის.

285. რა არის ჩვენი ერესი... ცრუობენ ჩვენს წინაშე ნიკონიანელნი, როცა ამბობენ, თითქოს ჩვენ ვართ გამთიშველნი და ერეტიკოსნი. ეშმაკისეულთ გვიწოდებენ, ზოგჯერ ამბობენ, ანტიქრისტეს წინამორბედნი ხართო. შეგვიწყალე ჩვენ, ღვთის შვილო, ამგვარი უწმინდურებისაგან. ღმერთია მოწმე და უწმინდესი ღვთისმშობელი და ყველა წმინდანი. თუ ჩვენ გამთიშველნი ვართ და ერეტიკოსნი, მაშინ ყოველნი წმიდა მამანი ჩვენი და ყოფილი მეფენი კეთილმსახურნი და უწმინდესი საპატრიარქოც ასეთივე ყოფილა... ვინ გაბედავს წმიდათა ამგვარ შეურაცხყოფას!“..

286. და ყოველივე ეს მაშინ, როცა რუსეთს ასე უტყებდნენ სიწმინდეს:

“Подкрепляеися и вселенскими патриархи, Иеремию, и Феофаном, самобившими в Москпе. Иже восхвалившиа древлероссийское благочестие, яко над вся превосходящее. И прочими архиерсами Греческими, жившими и скончавшимися на престолах российских, согласно патриархом и прочим архиереом, российския земли утверждение имать” (Кормче, лист 15 и 226. “Помор. отв.”, ответ 9, стр. зд).

287. ამბაკუმს ამშვიდებდნენ ნიკონიანე-
ლი არქიეპისკოპოსები:

„ამბაკუმ, ძვირფასო, ნუ ჯიუტობ, რა
რუს წმინდანებზე მიგვიითითებ, სულელები
იყვნენ ის ჩვენი წმინდანები და განათლება არ
ჰქონდათ, რა უნდა ვირწმუნოთ მათი?“...

ამბაკუმი უპასუხებს:

288. „...გახსოვთ, ალბათ, და კარგად ეუწყვი,
რომ არ დაგვიწყობიათ: როცა მე დაცვა დავიწყე
(მართლმადიდებლობას გულისხმობს. — ი.-
ი.), მაშინ თქვენ ცემა დამიწყეთ. გონიერნო,
განბრძობილნი ხართ ეშმაკთაგან. არაფერი
გაქვთ განსასჯელი და კარგი ვერაფერი
ისმინეს თქვენგან ადამიანებმა. ლაპარაკობთ
მუდამ ერთსა და იმავეზე — როგორ გაყიდოთ,
როგორ იყიდოთ, რა ჭამოთ, რა დალიოთ,
როგორ იმრუშოთ... ზოგი მე მეუბნება ხაყ-
ვედურს, — რას აკეთებო. ეუწყვი ყოველი
თქვენი ცბიერება, ძალღიწო, მემრუშენო, მიტ-
როპოლიტნო, არქიეპისკოპოსნო, ნიკონიან-
ელნო, ქურდნო... წმინდანთა ხახიერებანი
შეცვალეთ და ასევე ყველა საეკლესიო წესი
და ჰქედება.“

289. ნიკონი ქრისტეზე ამბობს, მხოლოდ
ხორციელად არის მოსული ქვეყანაზეო. არც
მეუფედ მიიჩნევს მას და ასევე მის აღდგო-
მასაც მალავს, ვითარცა იუდეველი. ამბობს,
რომ ჭეშმარიტი არ არის სულიწმიდა, პირჯ-
ვრის წერისას თითების წყობასაც შლის,
თაყვანისათვის ჭეშმარიტ მეტანიასაც უარ-
ყოფს!..“

290. ასე ამხელს ამბაკუმი ნიკონიანელებს.
იგი გრძნობს, რომ ნიკონს უფლება არ ჰქონ-
და მკანე ერეტიკოს პეტრე დამასკელ-სტო-
დიელის ან სხვა მის წინამორბედ ერეტი-
კოსთაგან მიღებული მკრებლური ღებულება
რუსეთის შვიდსაუკუნოვანი მართლმადიდებ-
ლობისათვის მოერგო.

291. არავინ უგდო ყური ხალხის პრო-
ტესტს. მეფისა და პატრიარქ ნიკონის ბრძა-
ნებით მთელი მართლმადიდებელი რუსეთი
სისხლის ღვარში აცურდა. მონღოლს არ
უქნია რუსისთვის ის, რაც რუსმა უყო რუსს.

292. ამბაკუმი თვითმხილველის უტყუა-
რობით აღწერს ამ საშინელებას:

„...მოსკოვში ჩემი სულიერი შვილი, უხუ-
ცესი აბრაამი და ესაია სალტიკოვი კოცონზე
დაწვეს. უხუცესი იოანე ყაზანელი კოლსკ-
ში ხუთად გაჩეხეს. კოლმოგორში ივანე
დაწვეს. გოროვსკში მღვდელი პოლიეპტი
და მასთან ერთად თოთხმეტი კაცი ცეცხლში
მომსროლეს. კიევი კი ილარიონ სტრელცი
დაწვეს. ეოლგისპირეთში მცხოვრებნი კი
ათასობით არიან დახოცილი, რაკი არ
ხურდათ მიეღოთ ანტიქრისტეს ბეჭედი (ე.ი.
შეცვლილი სარწმუნოება და მისი დოგმატები.
— ი.-ი.). ხოლო ზოგიერთნი მართლმორწმ-
უნენი მიხედნენ, თუ რას ნიშნავდა დადგენილ
კანონთაგან გადასვლევა, და თავიანთი
ოჯახებით, საკუთარი ნებით მიეცნენ
ცეცხლს.“

293. აი, რა სისხლის ზღვა დააყენეს
სიძარტლის მტრებმა და ხალხთომულეებმა,
როგორ ცდილობდნენ ერესის დანერგვას
უგუნურებას აყოლილი ეს მთვლემარე სუ-
ლები, როგორ ზეპობდნენ და ვერ კი გრძ-
ნობდნენ, რომ მიწას უპოხიერებდნენ მასო-
ნურ ჩითილებს — ზვალინდელ სულიერ სიყ-
დილს.

294. იმ მართლმადიდებლებს, რომლებიც
ახალ რელიგიურ სწავლებას კარს არ
უღებდნენ, "отрешити", "выжидати" უწო-
დეს.

ერეტიკოსებმა იწყეს სიტყვის ძალის
გაუფასურება. ქრისტეანულ პრაქტიკაში კი
ერთი სიტყვის მნიშვნელობა ძალზე დიდია:

1) კათოლიკეებმა დადგენილ მრწამსს:

„...და სულიწმიდა, რომელი მამისაგან გა-
მოვალს“, დაუმატეს: „და ძისაგან“. მივიღეთ
წინადადებების ამგვარი სახეცვლილება: „...
და სული წმიდა, რომელი მამისაგან და ძი-
საგან გამოვალს“. ეს „უმიტირესი“ ცვლილება
საკმარისი აღმოჩნდა, რათა მთელი დასაუ-
ღეთის ეკლესია ანათემას შესდგომოდა.

2) ხოლო სომხებმა, რომლებმაც, როგორც
დავინახეთ, იმის გამო, რომ სამწმიდაობის

ლოცვაში: „წმიდაო, ღმერთო, წმიდაო ძლიერი, წმიდაო უკვდავო“ – სიტყვა „უკვდავო“ „ჯვარცმულოთი“ შეცვალეს, განკვეთილი იქნენ, როგორც ერეტიკოსნი. ისინი ანათემას შეუყენეს. თითქოს არც აქ დაქცეულა ქვეყანა. ერთი სიტყვა შეიცვალა მეორე სიმბოლური სახელით, მაგრამ კანონი სხვანაირად სჯის, რადგან კანონის ერთი ასოც კანონია. აი, რას გვაუწყებს ამ საკითხზე წმიდა მამა თევდორე სტოდიელი:

295. „Впрочем не удивляйся, что одно слово производит ересь, когда слышишь слово Господа, Который говорит: „иота сдина или едина черта не придет от закона, дондже вся будет“, не думай говорить: „какая нужда много исследовать и из одного слова выводить учения суждения и делать такая и такая умозаключения?“, чтобы тебе не впасть в ересь Гносимахов, о которых один писатель говорит: „Гносимахи возстают против всякаго признания христианскаго, утверждая, что напрасно трудятся ищущие каких-нибудь познаний в божественных писаниях, потому что Бог не требует от христианина ничего другого, кроме добрых дел; посему гораздо лучше всякому жить в простоте и не исследовать никакого догмата ученым образом“, - так говорят Гносимахи“ (VII век, противники ведения, еретики)“. („Творения св. отца нашего преподобного Федора Студита“. Перевод с греческаго языка, при Санкт-Петербургской духовной Академии. Часть I. Письма к разным лицам. გვ. 275).

296. „უფრო ძლიერი და უფრო ცხოველი იყო ამ პერიოდში რუსული გაელენა. ერთმორწმუნე რუსებში ქართველებმა დაინახეს ბიზანტიისა და მისი კულტურის, მისი მისიის მემკვიდრენი, ამიტომ ისეთივე სასოებითა და რწმენით დაუწყეს მათ ცქერა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი დაეცა, როგორითაც ბერძნებს უც-

ქერდნენ წინათ“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, 1941 წ., გვ. 70).

297. გაელენა ერთმორწმუნე რუსეთისა იმიტომაც იყო უფრო ძლიერი, რომ წინა პერიოდის ქართველმა დიდებულებმა ჩაუყარეს საფუძველი ამ გაელენას. ბიზანტიის გაელენა რუსეთს რომ უდავოდ ძლიერ ქრისტიანულ სახელმწიფოს უქმნიდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, და სწორედ ამიტომ იყო, რომ რუსეთმა იმთავითვე კათოლიკურ სამყაროსთან გაწყვეტა კავშირი. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ კი, როგორც ისტორია გვიჩვენებს, რუსეთმა საბერძნეთისაკენაც გადაეტა კარი (იოსებ პატრიარქის პერიოდი). მაგრამ მერყევა ცარიზმსა დიდხანს ვერ გაუძლო ამ გამოცდას და თურქებისგან დაშინებულმა, ეგროპისაკენ როცა გაიხედა, კათოლიკური ეგროპის ზღურბლზე დასშვებული ფარდაც სწორედ მაშინ ახსნა, რაც, კერძოდ, გამოიხატა საერესო რელიგიურ მანიპულაციაში, რათა დროთა განმავლობაში კათოლიკური სწავლება ერთმორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანულ რუსეთშიც დამკვიდრებულყოფი და ჩვენც დაეინახეთ, ნიკონ პატრიარქმა და მეფემ თუ როგორ შეასხეს ხორცი ამ მცდელობას.

298. „რუსების პოპულარობას ჩვენში ხელს უწყობდნენ ის პირნი, რომელნიც რუსეთში გადასახლდნენ, ანდა იქ ცხოვრება უსდებოდათ სამსახურისა და სხვა რაიმე მიზეზით. ასეთებია, მაგალითად, მეფე არჩილი, ვახტანგ VI, ანტონ კათალიკოსი, იოსებ სამებელი, მიტროპოლიტი რომანოზი, გაიოზ არქიდიაკონი, შემდეგ სემინარიის რექტორი და სხვანი. ისინი დაახლოებით ეცნობოდნენ რუსეთის ეკლესიურ მდგომარეობას, მის ტრადიციებს... ცდილობდნენ გადმოეწერათ საქართველოში რუსული ტრადიციები, უფრო კი ლიტურგიკული, თარგმნიდნენ რუსულიდან როგორც ორიგინალს, ისე ნათარგმნ თხზულებებს ყოველ დარგში“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, 1951 წ., გვ. 64).

299. მიხეილ გორგოძე (სქართველები პე-

ტერბურგში“, 1976 წ., გვ. 47-48) წერს (თარგმანი რუსულიდან):

„მეთოვრამეტე საუკუნის პეტერბურგთან და რუსეთის სხვა ქალაქებთან დაკავშირებული ქართული კულტურის რიგ გამოჩენილ მოღვაწეთა საქმიანობა. მათ შორისაა საქართველოს მეფე თეიმურაზ II-ის მიერ კათოლიციზმისადმი მიმხრობილი, საქართველოდან განდევნილი კათალიკოსი ანტონ I.

300. ჩამოვიდა რა 1757 წელს პეტერბურგში, ანტონ I წარუდგა სინოდს, სადაც ფეხზე ადგომით პატივი სცეს მის დიდ სასულიერო ტიტულს. მან სინოდს განუცხადა, რომ მოსურნე იყო რუსეთში დარჩენისა. საქართველოდან მისი გაძევების მიზეზის გაცნობის შემდეგ, სინოდმა ანტონს ვლადიმირისა და იეროპოლსკის არქიეპისკოპოსის კათედრა უბოძა ვლადიმირის ეპარქიაში, რომელიც მას 1762 წლამდე ეჭირა. ვლადიმირში ჩასულმა ანტონ I-მა თავისი სახსრებით შექმნა სტამბა, მოაშადა მთელი რიგი ახლებური ტიპის წიგნები და სახელმძღვანელოები ქართველთათვის (ეს ახალი ტიპის სახელმძღვანელოები ახალი ერეტიკული, ნიკონის სწავლებასთან შეკერებული წიგნების გავრცელებას ნიშნავდა, რადგან ანტონს არავინ მისცემდა განსხვავებული სწავლების გავრცელების უფლებას რუსეთში. — ი. ი.).

301. 1762 წელს, თეიმურაზ II-ის სიკვდილის შემდეგ, ერეკლე II-მ საქართველოდან გაძევებულ ანტონ კათალიკოსს სამშობლოში მოუხმო. ანტონმა დააარსა სემინარიები თბილისსა და თელავში. მათი სასწავლო პროგრამა ძირითადად ელსაყვისებოდა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის პროგრამას“.

302. მოგვხსენებთ, რომ ამ პერიოდის მოსკოვის აკადემიის პროგრამა ნიკონ პატრიარქისეულია, ერეტიკულია. აქედან თავისუფლად შეგვიძლია დაეასკვნათ, რომ იმდროინდელი ქართული ეკლესიაც ერეტიკულია, რადგან ზემოხსენებული სემინარიები ასეთ-სავე კადრებს უმზადებენ საქართველოს. გავა

დრო და მეფის რუსეთი მოკავშირის მიმართ ქრისტეანულ ძმობას ვერ გაამართლებს. დროთა განმავლობაში საქართველოც დაიწუნუნებს ამ რუსული სამეფო უღლის სიმძიმის გამო, მაგრამ საშველი დაუგეიანდება.

303. „გაიშალა და გაფართოვდა ასპარეზი ქართველთა საერთაშორისო კულტურული დამოკიდებულებისა... ეს მოძრაობა მოედო ყველა წრეს, წოდებას და მდგომარეობას საქართველოში, მისმა ნაკადმა გადმოილახა საქართველოს საზღვრები და მახლობელ მეზობლებსაც კი შეეხო... ასეთი მოძრაობა დაიწყო მე-16 საუკუნეში; მე-17-ში ის უკვე ფაქტია, მერე თანდათან იზრდება და ძლიერდება, მისი ტალღები გადმოდის XIX საუკუნეში და ამ საუკუნის ოცდაათან წლებში ქრება ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ანტინაციონალურ ოკეანეში, რომელმაც ჩანთქა ქართული ეკლესია, ქართული სკოლა, მწერლობა, სული და თავისებურება“. — განმარტავს კაკეპლიძე (დასახ. წიგნი, 1941 წ., გვ. 60).

304. ასე და ამგვარად, ქართველი ამ პერიოდშიც თავიანთ კულტურულ ურთიერთობას ამყარებენ ერეტიკულ ქვეყნებთან. წყალწაღებულთან მეგობრობა კი გადარჩენას, რა თქმა უნდა, ნაკლებად ნიშნავს. პირიქით, წყალწაღებულმა თავად ჩაითრია უიმი-სოდაც ერესში მყოფი საქართველო და ასე აღმოჩნდა იგი ერესის ოკეანის ფსკერზე.

305. XVII საუკუნე. პოლონელი და გერმანელი მასონები შეეისივნენ რუსეთის სამეფო სასახლეს. გააბრუნეს მეფე, დააჯერეს შეცვლილი სწავლების აუცილებლობაში — ევროპულ ქვეყნებთან მეტი კონტაქტის საშუალება გვექნებაო.

306. რუსეთმა ცუდი მაგალითი გადმოიღო კათოლიკური სამყაროსგან, რითაც უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა თავისი ხალხი.

მრისხანე მეფე და ნიკონ პატრიარქი ახალი სწავლების მიღების განკარგულებას იძლევიან.

307. სწორედ აქ იზინა თავი მათ მიერ ხალხის ნების უგულებელყოფამ. საშინელმა რეპრესიებმა დააეჭვა ერი და ბერი. სტეფანე რაზინის მეთაურობით დაირაზმნენ ამბოხებულნი გამყიდველი ბოიარებისა და მემაბულეების წინააღმდეგ. მეფეში ახლა „მეფე მამას“ კი აღარ ხედავდნენ, არამედ მოსისხლე მტერს, რომელიც საკუთარი შვილების სისხლით ვერ ძღვება. პატრიარქ ნიკონში მწყემსმთავრად მოვლინებულ ქრისტეს მოციქულს, მეუფეს კი აღარ ხედავდნენ, არამედ წურბილას, ყაენზე უარესს, რომელიც შეუპოვრად სწოვდა სისხლს თავის ხალხს. ნიკონი ყოველმხრივ ცდილობდა ახალი სწავლების დანერგვას და მით ქვეყნისათვის ნაცადი, მტკიცე იდეოლოგიური მრწამსის მოშლას.

308. ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ასე ადვილად არ იძლეოდნენ ამ მონოლითური დულაბის გაწყალწყალების უფლებას. ამიტომ ურჩებს ენას გლეჯდნენ, თავს ჰკვეთდნენ, გაშიშვლებულებს ზეზეურად ყინავდნენ, ცოცხლად მარხავდნენ. ბომბებზე გაკრულთ და ფისში ამოვლებულთ კელაპტრებივით ანთებდნენ. ამგვარ პატრონებთან ყოფნას მართლმორწმუნე საზოგადოებრიობამ, რა თქმა უნდა, მტრის ხელში ყოფნა არჩია. და აი, რუსი მართლმორწმუნენი, უდიდისი პატრონის გამო, ტოვებენ სახლ-კარს, გულში იკარვენ ხატებს, შეურყენელ წიგნებს და გარბიან თათრებისაკენ, ზოგნიც ურალს ეზიზნებიან.

309. ხალხს არ ავიწყდებოდა მეფისა და ნიკონ პატრიარქის მიერ ჩადენილი საშინელებანი; სტეფანე რაზინის შემართება ბოროტების ჩამდენ დიდებულთა წინააღმდეგ დღითი დღე უფრო რამზავდა და ერთ რკინის მუშტად კრავდა მასებს.

310. განმიჯნულებმა, როგორც ითქვა, მუსულმანებთან ამჯობინეს ცხოვრება, არ ინდომეს ერეტიკოს ვაი-მამულიშვილებთან დარჩენა და შეგუება. ნიკონის მიმდევრები 106 მუსლით დასცილდნენ ძველ მართლმა-

დიდებლობას; რუსეთი აივსო ქრისტესათვის წამებულებით.

311. ამ ძვირფას, პოლიტიკურად ხელსაყრელ მომენტს თათრები, რასაკვირველია, ჯერონად გამოიყენებდნენ. ხიზნებს ხელშეუხებლობის გარანტია აღუთქვეს. მათ ნებისმიერი რელიგიური მოძღვრებით ცხოვრების უფლება მიეცათ, გამოეყოთ საცხოვრებელი მიწები, რაც სხვა ხალხებისთვისაც დიდ პროპაგანდას ნიშნავდა. და ჩვენ დაეინახავთ, ქვეყნის ამგვარ პოლიტიკურ-რელიგიურ არეულობას თუ როგორ გამოიყენებენ ოსმალთათრები რუსეთზე თავდასხმისათვის.

312. რუსეთის შინააშლილობა დამთავრდა იმით, რომ მეფის მთავრობამ ერესს შეგუებული ხალხი თანდათან შემოიმტკიცა ახალი სწავლებით და განაგრძო ერეტიკული ცხოვრება;

მაგრამ, როცა რეფორმატორებმა მართლმადიდებელთა სახელის შენარჩუნებაც მოინჯადინეს, ჭეშმარიტი სწავლების მიმდევრებმაც „მართლმადიდებლურს“ „ძველი“ დაუმატეს და მით მიანიშნეს თავიანთი სწავლების უპირველესობა: „ძველი მართლმადიდებლობა“ (Древле православие). ამით გაემიჯნენ ახალშემოჭრილ ცრუ სწავლებას.

313. როგორც რძეში ჩასხმულ ზეთს რძე არ შეირევს და ზღვარს დასდებს – რძისა და ზეთის შეუთავსებელი ბუნების გამო, ძველმა მართლმადიდებლებმაც ვერ შეითავსეს მართლმადიდებლობის სახელით შენიღბული ახალი, ცრუქრისტეანული სწავლება, რადგან მეორე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილების პირველი მუხლი ანსენებდათ უმთავრესს:

314. „დაე, ანათემას მიეცეს ყოველგვარი ერესი!“

როგორც ვხედავთ, საპირისპირო რელიგიების ამგვარმა შენიღბულმა თუ აშკარა მუღლმა ერთიანი ქრისტეანული კათოლიკური ეკლესია კიდევ უფრო დააქუცმაცა; მე-რე და მე-რე ეს ნამსხვრევები უფრო მეტად

დაქუცმაცდება და საღმრთო შურისგების ასპარეზად იქცევა.

315. ამიტომ იყო, რომ შსოფლიოს საქრისტეანო თავდაზოგავად იცავდა დიდ სჯულისკანონს (85 მოციქულთა, 7 შსოფლიო და 9 აღვლობრივი კრების დადგენილებანი).

316. ამის მიზნის იყო, აგრესიული რელიგიის მესვერთ არ მოერყიათ პროგრესული რელიგიის საფუძველი და მით არ გაეპოზირებინათ ნიადაგი კაცთა მოდგმის მომავალი ჭირისათვის – სექტანტობისათვის¹.

317. XVII საუკუნეში პოლონელებმა ხელთ იგდეს უკრაინა. უკრაინელებს ეკრძალებოდათ მშობლიურ ენაზე სწავლა. ასევე ეკრძალებოდათ წიგნების ბეჭდვა.

318. ადრევე შემოსულმა ფარულმა მასონებმა მთელი რუსეთი ერესის შხამით მოწამლეს; მასონთა პოლიტიკა სწრაფად ხორციელდებოდა.

319. უკრაინელთა აჯანყებამ ბოგდან ხმელნიციის მეთაურობით წარმატებას მიაღწია, რამაც გამოიწვია რუსი და უკრაინელი ხალხების გაერთიანება. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ გაიწვიდის ხელს რუსეთის იმპერია კათოლიკური ევროპისაკენ, რომლისკენ, ერესის შიშით, ადრე გახუდვაც კი არ უნდადა. ყოველივე ნათელია, სამუშაო უკვე პატარებულნი იყო და ნიადაგიც მომზადებული... ვინაჲც რამე ეკითხებოდა, ყველა განიდევნა ან გაიქვლიტა.

320. XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ქართველთა თავგანწირული ბრძოლისა და ლუარსაბ მეფის შესახებ გვატყობინებს:

„საქართველო თავად ცოტა (პატარა) იყო და მერმე მრავლად გაყოფილი და ერთმანე-

თის ურჩინი და ქიშპინი მტერნი, ერთმანეთის მარბენნი და მაწყინარნი... ამისთვის იქით ურუმნი (ოსმალები) არბევდნენ და აქეთ ყოზილბაშინი (პარსელები) და ამისთვის ორს დიდს ხელმწიფეს შუაში ბევრს ეცადნენ (ქართველები), აქეთ იქნიეს ხმალი და იქით და მრავალი ნაგებნიც ქნეს, შაგრამ არ იქნა და ვერცა რას-თავს გაუვიდნენ. ხონთქარმა (სულთანმა) და ყაენმა (შაჰმა) საქართველო შუა გაიყვეს. სამცხე და ქართლი და კახეთი – ყაენსა; იმერეთი, ოდიში და აფხაზეთი, გურია და ლაზის ქვეყანა – ხონთქარსა, ამ გაყოფას სულ საქართველოს ბატონები დასჯერდეს“ („ქართლის ცხოვრება“).

321. თუ როგორ გაყრობოდნენ საერთოდ უსჯულონი ქართველებს, კარგად ჩანს ამ დოკუმენტიდან:

„თურქები... წინანდებურად მოქმედებდნენ, ზამთარში ისევ წაეიდოდნენ. არ იყო ამ დროს თესვა და მკა, მოზრდა ქვეყანა და ტყვე გადიქტა, ადამიანთა ნაცვლად მხეცები და ველის ნადირები დამკვიდრდნენ მასში. და ქვეყნის ყოველ მკვიდრთა შორის იყო ჭირი მოუთმენელი, შეუდარებელი და აღმატებული ოდესმე მომხდარ არსებისაკანს... (დამპყრობლებმა) არ შეიწყალეს მოხუცებულნი, შეაგინეს ქალწულნი, ამოწყვიტეს ტაბუკნი, ხოლო ჩვილები მოიბატონეს... ნაკადულთა ნაცვლად სისხლის მდინარენი რწყავდნენ ქვეყანას“ (ვ. გურჯა, შ. მესხია, დასახ. წიგნი, გვ. 65).

322. მეოთხე პერიოდის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. მაგრამ ამიერიდან ქართლში შაჰმადიანი მეფე „ვალი“ (შაჰის მოადგილე) იჯდა და შაჰი მისი მწყალობელი გამოდიოდა. ირანისა და ქართლის ურთიერთობის ამგვარი პოლიტიკური ფორმა ძალაში დარჩა XVII საუკუნის II ნახევრამდე.

323. თუ რა მდგომარეობაშია ამის შემდეგ საქართველო, საამისოდ მკაფიო სურათს იძლევა საქართველოში საგანგებო მისიით მოწვეული ანტონიქის პატრიარქი მაკარი.

¹ სექტა ძირითადი ეკლესიის პროტესტანტული სახე; თუ არ ჩათვლებს ჭეშმარიტ რელიგიურ ორჯანსაცად, რადგან არ გააჩნა პირველადი სამოციქულო კანონები, ანუ რელიგიური კოდექსი, რაც მართლმორწმუნეობის ძირითადი საფუძველია. სექტის არსებობას ჭეშმარიტი ეკლესიის არაუმეტესაა არა აქვს; ასევე მოცუბულა თუ რელიგიურ ლოგიკასაც.

19. იოანე-იონა, « რა უნდა ვაკეთოთ ».

თავის შრომაში კალისტრატე ცინცაძე განმარტავს:

324. "Что касается слов патриарха Макария об его действиях в Грузии, то в этих словах мы не усматриваем ничего такого, что могло бы дать повод подвергать сомнению автокефальное существование грузинской церкви. Дело в том, что в XVII век в Грузии (да в ней-ли одной!) умственно-нравственное состояние общества, а особенно духовенства, понизилось". (Священник К. Цинцадзе, "Автокефалия церкви Грузинской", 1905 г., გვ. 37).

325. ეს ნიშნავს იმას, რომ დარღვეულია რელიგიური მართლმადიდებლური ცხოვრების წესი და რიგი, რაშიც ჩვენ ცოტა ქვემოთ დავრწმუნდებით.

"Поэтому, лучшие люди страны были рады всякому заезшему человску, лишь бы он помог делу" (იქვე).

326. ე. ი. მოუწესრიგოს ყოველი უწესრიგობა (ძირითადად ლაპარაკია ერესზე, რადგან ამ საქმის მომწესრიგებელი „წმ. მამათა კანონების“ ანუ „დიდი სჯულისკანონის“ მცოდნე უნდა იყოს. — ი. ი.).

"В это время приехал в Грузию, между прочим... патриарх Макарий, к которому тоже обратились за содействием. Патриарх отнесся к просьбе грузин сочувственно и начал "действовать" (იქვე, გვ. 37-38).

327. კ. ცინცაძე აქ წყვეტს თხრობას, სვამს მრავალწერტილს. ვგონებ, ერესის გამხელისა ერიდება.

"Это явствует из следующих слов самого патриарха Макария: "Своих католиков они (духовныя лица) не слушаются, а антиохийские патриархи совершенно о них не заботятся..." (იქვე).

328. აქ ნათლად ჩანს XVII საუკუნის იბერიის აბნეული ცხოვრება. თავიანთ კათალიკოსებს მღვდელმსახურნი აღარ მორჩი-

ლებენ. ერეტიკულ ბიზანტიას თავისი მდგომარეობა აწუხებს. რომელ რელიგიურ დოგმატებსა და კანონებზე შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი?

329. "Мы лично строго разыскивали с них (духовных лиц), приводили с с о г л а с и я местных правителей (провинившихся служителей церкви), били их и подвергали аресту в тюрьме, публично предавали их имена анафеме и строго запрещали им какие бы то не было службы церковныя..." (იქვე).

330. რას ნიშნავს ამგვარი მკაცრი მოქმედება პატრიარქისა? იგი უთუოდ ქვეყნის ერეტიკული მდგომარეობის შედეგია, რაც, კანონების თანახმად, ანათემით, ზიარების აღკვეთით ისჯება და, ვინც კატეგორიულად აუმხედრდება ტრეშმარტივებს, მას მთავრობა გამიჯნავს და დაატუსაღებს. აქ ნათელი სურათი ჩანს საქართველოს XVII საუკუნის ერესისა. სხვა რამ დანაშაულისათვის ყოველად დაუშვებელია ანათემა და ამგვარი მკაცრი სასჯელი; იგი მხოლოდ გარკვეულ დრომდე გამოიხატება ზიარების აღკვეთით.

331. "Нашего слова охотно слушались как правители и архиереи, так и весь народ" (იქვე).

ნათელია, რომ პატრიარქი მაკარი საქართველოში მოქმედებდა არა როგორც მისდამი დაქვემდებარებულ იერარქიაში, არამედ ადგილობრივი მთავრობის თანხმობით; რა თქმა უნდა, აქ არ გამოირიცხება კათალიკოსთა თანხმობაც. ეკვმიუტანელია, რომ ეს რუსეთის განკარგულებით ხდებოდა.

332. აი, რას წერს კ. ცინცაძე შემდეგ:

"...патриарх Макарий распоряжался не без согласия католиков, это усматривается из того, например, факта, что в Мипгрелии он "разослал людей различать мужей с их вторыми женами, или с близкими родственницами, если они на таковых женаты, невенчаных всячать, некрещенных окрестить, прелюбодеев и прелюбо-

дейниц увещевать и призывать к покаянию... от своего имени и от имени бедийскаго Андрея" (იქვე).

333. ჩვენ ვხედავთ, რომ მეორე ცოლი შეურთავს ზოგს, რისი უფლებაც ქრისტიანს არა აქვს, და სწორედ ამიტომ განაქორწინებს მათ ანტიოქიის პატრიარქი. ასევე, ნათესავთა შეუღლებასაც გმობს, ჯვარდაუწერლებს ჯვარს სწერს, მოუნათლაებს ნათლავს, მემრუშეებს მოანანიებინებს. ამას, ყოველივეს, ანტიოქიის პატრიარქი ბედიის ეპისკოპოსის სახელით სჩადის.

334. ზემოთ დახატული სურათი ნათელ წარმოდგენას იძლევა ქრისტიანული რელიგიური ცხოვრების დაცემისას. მხოლოდ წარმართებს შეეძლოთ ამგვარი, უღმერთო ცხოვრება.

335. "...очевидно, что тот, кто побегал к имени епископа, не мог обойти согласия и разрешения католика! Если же патриарх Макарий распрыгался слишком уж круто (хотя есть веские основания и не верить ему во всем) и усердствовал не в мере ("дал хорошую порку", "приказывал дать здоровую порку", "публично предавал имена их анафеме", "лишал сана" и т.п." (იქვე).

336. რატომ და რისთვის შეუწყენებდნენ მღვდლებსა და ეპისკოპოსებს ანათემას? რისთვის განკვეთდნენ, თუ არა მძიმე დანაშაულის გამო? ხოლო ეს მძიმე დანაშაული სწორედ ნათლობის წესის დარღვევაა. დაკაკირდეთ, თუ როგორ ესმება ხაზი სვანების იმდროინდელ მღვდოპარეობას:

337. "Все сванетинцы по имени только христиане, так, как никто их не учит и не крестит; Мы же не могли отприваться к ним, чтобы окрестить их и научить христианской вере, так как все время думали о том, как бы скорее вернуться ко своей пастве...

Грузины охотно слушали и наши духовные беседы, запоминали их и скоро исполняли... особенно поразили

их наши беседы о святом крещении и его значении... В один день мы окрестили триста десять человек или приблизительно около этого числа, почти столько же нам лично приходилось крестить к а ж д ы й день (не угодно-ли поверить!!)".

338. კ. ცინცაძეს უკვირს, იგივე რამ ჩნდება მიზნს, რის გამო შეიძლებოდა მომხდარიყო ეს! განა ყოველივე არ მიანიშნებს იმას, რომ ქრისტიანობის მოწადინე სვანები ქრისტიანებად თვლიდნენ თავიანთ თავს. ასევე ესენიც ქრისტიანებად თვლიდნენ თავს და არ კი ყოფილან ქრისტიანები? რატომ? იმიტომ, რომ სწორი ნათლობა არ ჰქონდათ ბოძებული. ე. ი. ამგვარი ერეტიკული ნათლობის შემდეგ მაკარის უხდებოდა ხალხის თავიდან გადანათვლა.

339. "...но кроме этого мы посылали в разные стороны своих и местных священников для крещения... "Надо было выдеть, как громадные толпы народа следовали за нами с одного места на другое, умолая (?) нас окрестить их... Многие из грузин делаются диаконами, священниками и даже архиереями, не будучи еще крещены... (и этому можно поверить!) ... Вследствии этого, нам часто приходилось крестить диаконов и священников... (იქვე).

აქ არაფერია გასაკვირი.

340. ღიახ, შეიძლება ამის დაჯერება, რადგან ყველა არასწორად მონათლული, ე. ი. თავზე წყალკურებული, არ ითვლება მონათლულად, რადგან ამგვარი, ერეტიკული ნათლობა ნათლობა კი არ არის, არამედ, როგორც ამას იოანე ოქროპირი იუწყება, შებიღწეა.

341. კ. ცინცაძეს უკვირს, თუ როგორ შეიძლება საქართველოში ყოფილიყვნენ თვით მღვდლები, დიაკვნები და ეპისკოპოსები მონათლავები! ძალზე ალოგიკურად ეჩვენება

ეს ფაქტი. ვერ ითვალისწინებს მამათა კანონების საღვთისმოსავო ავტორიტეტს. განაწმინდა მამათა კანონების თანახმად წარმართად და ერეტიკოს სექტანტად არ იეულვება ყველა ის, ვისაც სწორი ნათლობის ბეჭედი არ აზის? ანტიოქიის პატრიარქმა სწორედ მათ ერეტიკულობას გაუსვა ხაზი და ჭეშმარიტი, მოციქულებრივი ნათლობით გადანათლა ისინი, რის უფლებამოსილებაც, წმინდა მოციქულთა კანონების მიხედვით, გააჩნდა:

342. "Аще который епископ или презвитер не крещает в три погружения едином глашением, но во едино погружение в смерть Господню даемо, да извержется таковой."

Во святом крещении крестящихся погружати, а не обливати" (იქვე).

„თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა ხელახლა მონათლოს ჭეშმარიტად ნათელღებული ან განმეორებით არ მონათლოს ის, ვინც უღმერთოთაგან შემწყველულა (მათი ნათლისცემით), განიკეთოს, როგორც ჯერისა და საუფლო სიკვდილის მოციხხარი, და არ გამჩრევი მღვდლისა ცრუ მღვდლისაგან“ („წმიდა მოციქულთა კანონები“, კანონი 47-ე).

343. აი, სწორედ ეს არის, რასაც მათგან მოითხოვდა მაკარი.

ასე და ამრიგად, XVII საუკუნის საქართველო ერეტიკულ მდგომარეობაშია.

ყიზილბაშური ირანის მიერ ქართლის მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის გაძლიერებას ქართველმა ხალხმა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა-განახლებით უპასუხა.

344. „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, აძილხვარი — ესენიც ერთმანეთის მტერნი და მოქიშპენი ფეხენ; არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არცა ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ, ვერცარას უზამდნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდა რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე

ერთმანეთის მოსისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოპკლებიან და არც მოუშლიათ“, — მოგვითხრობს ისტორიკოსი („ქართლის ცხოვრება“).

345. მთელი დასავლეთი საქართველო შინაფეოდალური ომებით იყო მოცული. მეფის ხელისუფლება უკიდურესობამდე დასუსტდა. ქვეყანაში ჭყვეთა ყიდვა-გაყიდვა გაერცვლა. ფეოდალთა ბოლომოუღებელი ურთიერთთავდასხმები აჩანავებდა მშრომელ მოსახლეობას და ფიზიკურად სპობდა მას.

346. XVIII საუკუნის ორად გახლეჩილი საქართველო სულს ძლივს ითქვამს. დასავლეთი ოსმალ-მუსულმანთა ხელშია, აღმოსავლეთი — ირანისა. ქონებათა მიტაცებას როდი დასჯერდნენ, ჭყვევებით ვაჭრობა იწყეს. ეინ არიან ეს ჭყვევები, ოსმალ-თათრები თუ ქართველ-სომეხთა ნაშეირნი? რა თქმა უნდა, ქართველ-სომეხთა ღვიძლი შვილები! როგორ გაეფიგო, მუშახელის ნაკლებობა გახდა მიზეზი ჭყვევებით ვაჭრობისა თუ სხვა რამ უზნებობაც დაედო ამას საფუძვლად! დიახ, ჰარამხანებისთვისაც სჭირდებოდა მტერს ისინი და არა მხოლოდ მღვდრნი... ცნობილია უსჯულოთა ისეთი ჰარამხანები, სადაც ქალთა სქესის ჭაჭანებაც კი არ ყოფილა.

347. განა მარტო ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის აღდგენას აბრკოლებდა ჭყვეთა ყიდვა, იგი ერის მომავალი გადაგვარების მკაფიო სურათსაც ცხადყოფდა. ანალოგიურ მდგომარეობაში იყო აღმოსავლეთი საქართველოც. ახალ-ახალი ჭყვევებით ხდებოდა ჰარამხანების გადახალისება. ამგვარი ჰარამხანებისათვის განწირული შვილების მშობელთა არსებობა, რა თქმა უნდა, სიცოცხლეს აღარ ნიშნავდა; არც სამშობლო უძებნიათ მერე ამგვარად წახდენილთ და არც რაიმე სასიცოცხლო არსი.

348. სიკვდილი გმირთათვის უკვდავების მოპოვების საშუალებაა, მრავალთათვის — ამქვეყნიური ტვირთისაგან განრიდება, ზოლო წამხდარი კაცის სასჯელად სიკვდილიც კი შეიბღწულია.

რასაც ძალით ვერ გვართმევდნენ მოძალადენი, ნებსით სთავაზობდნენ საქართველოს უღირსი „ჭირისუფალინი“ – ერთუთრის მოპარულ შვილებს.

349. რჯულშეცვლილები მარადი მფარველობის ფირმანს ღებულობდნენ ურჯულთაგან; შაჰის წყალობას, რა თქმა უნდა, ზღვარი არ ექნებოდა, როცა ხედავდა, რომ საქართველო თავის ღვიძლ შვილებს საპაპამხანოდ თმობდა.

350. ამ საშინელებათა ცქერას ვერ უძლებდა ქართლის ზოგი მეფე. ისინი თავიანთი ოჯახებითა და დიდებულებით რუსეთის ქრისტეანულ კალთას აფარებდნენ თავს. მაშინ, როდესაც ამგვარი უზნეობით დამფრთხალთ უკან, საქართველოსაკენ გამოხედვაც კი უჭირდათ, ვინ ვჟოლებოდა განქითხავი უპატრონოდ დაყრილებს? ერეკლესაც შეეძლო საკუთარი თავის შველა, მაგრამ იგი ერთიანი საქართველოს მშველელს დაეძებდა.

351. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მუსულმანური სამყარო უნიშნავდა მეფეებს. როცა საკუთარ სახლში მეზობელი დაიწყებს წესრიგის დადგენას, ოჯახის მეთაური უდავოდ მონის პოზიციამი იმყოფება. საქართველოზე იგივე ითქვის. მეოთხე პერიოდის საქართველოში მუსლიმები პარპაშობენ; ქალაქი არ არის, სადაც ციხე-სიმაგრეში ჯარი არ უდგათ. რჯულშეცვლილი ქართველნი პატივში ჰყავთ. ბაზრები დიდი ხანია დაჰყოობილია მუსულმან ეკატრთა მიერ. ქართული მელოდიები შეცვლილია თათრული ბაიათებით. ქრისტეან მეფეებს მუსულმანური თავსაბურავები „ამშვენებთ“.

352. იელტიცებიან ურჩები. წართმეულია სარჩო-საბადებელი. შებიღწულია ცოლქმრული პატიოსანი სარეცელი. ამიტომაც ერჩია ქართველს ბრძოლის ველზე სიკვდილი ამ სისაძაგლეთა ცქერას. კაცური კაცისათვის ძნელი იყო ამგვარი ყოფის შეგუება. გაბზარულ სულში სიკარიველ და განადგურებული კაცობა ჩაბუდებულა. ნებივრობის ფაშა თავის პატარა პარამხანანი და ხვალინდელი

საქართველო ერთ მთლიან, დიდ საპარამხანოდ ესახება...

353. როდესაც თეიმურაზმა თავისი ვნებატებრომის სახლად შაჰ აბაზს დედა და ორი ვაჟიშვილი (წასახდენად!) მიჰგვარა, განა არ გამოვლინდა მტარვალთა სახე? განა აგარიანელთა რჯულის სიამაყედ არ ითვლება ამგვარი ზნედაცემულობა, რასაც კიდევ პიუნიის საგნად აქცევენ მათი პოეტები?!

354. აი, სხვა მაგალითი: იმრუ ლ-კაისი (505-554 წ.), ერთ-ერთი არაბული სამთავროს ხელისუფლის ძე:

355. —შეოფევეთა ირმის გუნდი
და ფერიარქების,
დავირის ქალწულთა მიაგავდნენ
და უკუ იქმნენ წალაწყალიყო
ამაზური მარგალიტით,
ტომში ბიძების ნებერა
ბიჰს რომ აუსხამს...²

356. აი, სწორედ ამგვარი „ბიძების“ ხელში მოქცეულ საქართველოს ელოდა გადაშენება, რადგან ასეთ „ნებიერ ბიჭებად“ სურდათ ექციათ მთლად საქართველოს შვილები!

357. ამგვართა თანადგომა სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა ყოველგვარ სისაძაგლესთან შეგუებას, ერის გადაგვარებასა და მოსპობას?!

აუცილებლობა ითხოვდა მუსულმანური სამყაროდან გამოიჯნას. წინ ორი გზა იდო: კათოლიკური ვეროპა, ან რუსეთი. ას მთას იქითა მოყვარეც მოყვარეა, მაგრამ შორეული მოყვარე ნაკლებად მშველელია. ტყუილად კი არ არსებობს ქართული ხალხური თქმა, შორს მყოფ ძმას მეცაცხლური მეზობელი სჯობიაო. საქართველომ შორეული ვეროპის გრძელ გზაზე გამოწვილ ხელს ახლო

¹ ნუბინიშვილის „ქართლის ცხოვრება“ (სანკტ-პეტერბურგი, 1854 წ., გვ. 116-117) დამოწმებულია წიგნიდან ილია ტბაძეა, საქართველო ვეროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1986 წ., ტ. II, გვ. 106. „შაჰის ბავშვები შირაზიდან წამოყვანან თაფისათ, გამოსაჭურვისა ორჯინი და ამოყო თაფისთან და ერთი ძმა ლეჟანი შეიშალა, დაიარებოდა შემლიდი, და მეორე, აღუქსანდრე მოკლად“ (იქვე).

² მულაკები, თბ., 1985 წ., გვ. 34.

მეზობლის, რუსეთის კალთას შეფარება ამჯობინა; ამ შემთხვევაში ერთმორწმუნე რუსეთის ქრისტიანულ ძმობას ენდობოდა იბერია.

358. რუსეთის მფარველობაში შესვლით საქართველო უპირველესად ზნეობრივი და შემდგომ — ფიზიკური განადგურებისაგან გადარჩენის გარანტიას ეძიებდა.

ძლიერი მფარველის ხელში დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანების იმედიც აშკარად იხსნებოდა. მგლის სადგომში ტურებს თავის ნებაზე ვინ აკვილებდა? ჰოდა, ქართველ ფეოდალთა ურთიერთქმედებაში მათი მოხსნა, როცა საქართველოს გყოფილი კუთხე რუსეთის ერთიანი ოჯახის წევრად იქცა.

359. საქართველო იღებს რუსეთის ქვეშევრდომობას...

მაგრამ ცარიზმიც არანაკლებად ცდილობს თავისი შოვინისტური მიზნების განხორციელებას. რუსული ერიტიკული ეკლესიის თარგზე იჭრება საქართველოს ქრისტიანული ცხოვრებაც. კვლავ ადგილი აქვს მარცვა-გლეჯას, სხვა მრავალ უგვანო ქმედებას. როცა დარწმუნდა, რომ საქართველოს მურვეობა მისთვის ხელსაყრელი იყო, 1801 წლიდან რუსეთმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოში და აიძულა მუსულმანური სახელმწიფოები რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატი კანონიერად ეცნოთ.

360. რადგან ყველას თავისი საქმისა და გულის მიხედვით მიეზღვება, დესპოტური ცარიზმის სასჯელიც არ დააყოვნებს და მალე რუს ხელმწიფესა და მის გაზულუქებულ მოხელეებს ანგარიშგება მოუწევთ მძლავრი რევოლუციური ტალღის წინაშე. დგება ყამი, როცა მშობლიური მიწიდან გადასვენდნენ და დევნილ რუს ძველმორწმუნეებს 250 წლის შემდეგ კვლავ მოუხმობენ განასლებულ სამშობლოში და მტკიცედ აღუთქვამენ თავისუფალი ცხოვრების გარანტიას. თუკი გუშინ ერესის მიუღებლობის გამო იტანჯებოდნენ ისინი, დღეს მათი გმირული თავდადებით შენარჩუნებული მართალი გლეხისა კვლავად

გაშლის ფრთებს მთელს უფრცველეს ქვეყანაში და კვლავინდებურად შეუდგება ძველმორწმუნეობრივ — მართლმადიდებლურ ცხოვრებას.

361. როცა ადამიანი ჭეშმარიტ მრწამსს არ უღალატებს და მტკიცედ მპყრობელია მისი, ვერც ვერავინ იქნება მისი ქვეყნის დამცემი, ვიდრე ზნეობრივ დუღაბს არ გამოაცლიან.

362. ასე რომ, მეოთხე პერიოდის საქართველო რუსეთის მშფოთვარე, აბნეულ და ბოხოქარ ცხოვრებას ნებსით თუ უნებლიეთ უნდა მიჰყოლოდა (თავისი ცოდვების წყალობით) და მიჰყვა კიდევც, როგორც ოკეანეში ჩაგდებული ნაფოტი — დინებას. უნდა ითქვას, რომ ერეკლეს ამ ხნის მანძილზე ისეთი შემკვიდრებითი სახელმწიფო და ეკლესია დაუტოვეს, მტრის ხანაში და ერესის ქურაში გამოხრძმედილი, რომ იგი ვერც კი ამჩნევდა მის ღირსება-უღირსობას. შეიძლება ერეკლეს არ ეყო დავითისეული სულიერება, მაგრამ პოლიტიკურ აღლოს იგი არ მოუტყუებია, ერთმორწმუნე რუსეთის ძლიერებაში რომ დაინახა ერის გაერთიანებისა და ზნეობრივ-ფიზიკური გადარჩენის პერსპექტივა.

363. ბრძენია ის, ვინც მცირე შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენებს, მაგრამ რა ეწუროდით იმ ბრძნად წოდებულთ, რომელთაც დანიშნულების მიხედვით ვერ გამოიყენეს თავიანთი უმაღლესი გონიერება და ნაძრახი სიკვდილით დაამთავრეს საგმიროდ ბოძებული სიცოცხლე?

364. „მადლობის“ მეტი რა ეთქმოდა ერეკლეს ამგვარი მანეიერი შემკვიდრების დატოვების გამო; მაშინ, როდესაც სამშობლოს განრიდებული ზოგინი ქართველნი დიდებულნი რუსული სამეფოს ბაღ-მასკარადებზე კეკლეცობენ ან ბრძოლის ველზე იმპერიის დიდებას იცავენ, დატაკ-მწყურვალნი საქართველოს ერთგული შეილები ურჩხულის ხახაში არიან მოგდებულნი.

365. ქვეყნის მარჩენალი ქართველი გლეხი მუდამ გაყიდული იყო გემოთმოყვარე, ორგულ დიდებულთაგან. იშვიათად გამოერეოდა

ღეთისნიერი, რომელიც მდაბიოს დაინდობდა.

366. რა ერესი უნდა ეკვლია თვალბდა-თხრილ, გონებადაკარგულ და გაუნათლებელ გლეხს, როცა განსწავლული დიდებულნი სხვას არას დაგიდევდნენ, ოღონდ სტომაქი ჰქონოდათ სავსე და ენებებიც დამცხრალ-დაკმაყოფილებული. იყიდებოდა საქართველო, განა მარტო მიწები — შვილებიც, ოღონდ არა საკუთარი, არამედ ერთმანეთისა, და მანაც ღვიძლი შვილები. იყიდებოდნენ ქართველი გოგო-ბიჭები სტამბულისა და ტრაპიზონის ბაზრებზე; შვილების გამყიდველი, თვალბდავსებული ბებია ვერა და ვერ ხედავდა დღევანდელ თუ ხვალინდელ უბედურებას! მთველმარების სული, სასიკვდილოდ დაღლილს რომ ებურა, უფრო და უფრო აშორებდა ჭეშმარიტებას და დიდი სისწრაფით მიაქანებდა სიბნელის უფსკრულში...

367. მაშინ, როდესაც ბებერი თავის უბადრუკ და ნაძრახ სიტოცხლეს სხვის კედლებს აფარებდა, სამოცდაათი წლისერეკლე შიშველი ჩმლით იდგა ბრძოლის ველზე და თავისი ბებერი მარჯვენით იცავდა ზვალინდელი ქართველი მამების პატიოსნებას.

368. თვალსა და ხელს შუა იღუპებოდა ქვეყანა, და თუკი დღეს საქართველოს ჯანსაღი და გონიერი შვილები ფეხზე გვიდგანან, ერეკლეს დაეუმაძღვოთ.

369. შეიძლება ბებერი რამ უკიდურესად სააუგო ჩაიდინა მეფის რუსეთმა საქართველოში (რა უნდა მოგვეთხოვა საკუთარი შვილების მოღალატე რუსეთისათვის?), მაგრამ არ უნდა დაეიფიწყოთ, რომ ერეკლეს გამჭირაზობამ შეგვინარჩუნა წაუხდენელი საქართველო, რომლის ტოლფასოვანი განძი დედამიწაზე არ არსებობს.

370. ამის შემდეგ, რაც უნდა ექნა ზოგიერთ უგვანოს, რაც უნდა გაეფედიფათ საქართველო, რაც უნდა ეთახსირათ, ყველაფერი მოსათმენი იყო! არაკაცის კაცური საქმე კაცს არ უნახავს, მაგრამ კაცური კაცი ზვალინდელი ნათელი დღის იმედია. ერეკ-

ლემ სწორედ ეს იმედი არ დაუკარგა საქართველოს.

371. ქართველი კაცის უბედურება სამ რამეშია ჩამწყვედელი: სიფიცხეში, გემთმოყვარებასა და სასიცოცხლოდ ბომბული დროის ფუჭად ფლანგვაში, რის ტრაგიკულ შედეგსაც მეერ ველარ გამოისყიდის ერის კაცთმოყვარება თუ კაცის დამამშვენიბელი სხვა სულიერი სათნობანი.

372. ისწრაფვიან საუკუნენი...

თანამედროვე ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური ვითარება რელიგიას მეორე პლანზე აყენებს. თუკი მანამდე მსოფლიოს იდეოლოგიურ მრწამსს რელიგია წარმოადგენდა, ამჟამად მის ადგილს იკავებს მატერიალისტური ფილოსოფია, რომელიც მასების იდეოლოგიური მართვის ფუნქციით წარმოიჩენს თავს. ამ მიმართულების აპოლოგეტები უფროერ XIX საუკუნიდან იწყებენ მოღვაწიობას, რის შემდეგაც რელიგიას მხოლოდ რელიკვიის ფუნქცია ენიჭება. იგი შენარჩუნებულია როგორც წინა საუკუნეთა საზოგადოების სულიერი მართვის ნიმუში.

373. XX საუკუნის ცივილიზაცია, ტექნიკის პროგრესი, იერს უცვლის მსოფლიოს ძველთუძველეს რელიგიურ სახიერებას, აცლის მას პირველადობის ფუნქციას და ახალი იდეოლოგიური მრწამსით თავებრუდამხვევ სიჩქარეს ანიჭებს თანამედროვე ყოფას.

374. ბებერს მოსწონს თავი ძლიერებით, ბებერი ზვიძობს ამ ვიღღოთი. გონიერთათვის იგი მჭეტი სიკეთის ქმნის საშუალება; მაგრამ საკმარისია იგი უგუნურის იარაღად იქცეს, რომ უმაღვე უბედურების მიზნად წარმოჩინდეს.

375. ბებერ დღევანდელ პოლიტიკოსს ძალა ჰგონია ქვეყნის სიმტკიცის გარანტია. ქვეყნის სიმტკიცე ერის პატიოსნებაშია, რადგან ზნედაცემულით სამშობლო არასოდეს ჰქონიათ. მათი სამშობლო იქია, სადაც ხელიარ შეეშლებათ თავიანთ აკაცობაში.

376. გენებს ერის ზნეობრივი სიწმინდე კებავს. ჯანსაღი შთამომავლობა დამოცი-

დებულა სწორედ ამ სიწმინდეზე — ეთიკური ნორმების დაცვაზე, რაც ერის მომავალ ბედს განსაზღვრავს. დაზინებული გენიარის კოდირებული ინფორმაცია, ანუ ჭირი მომავლისა; საჭიროა მისი მემკვიდრეობითი რაფინირება. საწინააღმდეგო ქცევა — უზნებობა მეტასტაზირებულ გენებს უტოვებს მომავალ თაობებს, რის შემდეგ ძალისმიერი ღონისძიებანი უკვე ვეღარ შევლის ჩამოყალიბებული ტრადიციის განქარავებას.

377. ვინც ყოველგვარი უზნეობის მტერია, იგი საფიზილოდ შემართული ერის ღირსეული შვილია.

ძალისმიერ ქვეყანაში ჭეშმარიტების ღვანა იწყება, რადგან იგია ერთადერთი ხელის შემშლელი მიზეზი აგრესიული იდეების განხორციელებისათვის; და რაც უფრო მეტი ქების საგნად იქცევა ეს უგუნური ძალა, მით უფრო მძიმდება მონობის უღელეი. დამონებულნი უკვე გვირგვინის წენას იწყებენ ძალმომრეობის შესამკობად.

378. დიდება ლუკულუსს!!!

დიდება ალექსანდრე მაკედონელს!!!

დიდება კლავდიუსს!!! —

პირობორდვეულნი გაიძახიან ზოგნი დღემდე; კიდევაც იჩოქებენ მათი დიდების წინაშე; თითქოსდა ვერ ხედავენ მათგან ნაკაფნაელებს, მათგან დადენილ სისხლის ზღვას?!

379. ფრანგები დღემდე იწონებენ თავს ნაპოლეონ ბონაპარტეით. მისი საქმენი საგმირონი კი შავ ლაქად აჩნია დედამიწას. ასევე ბობოქრობდა ბაბილონი და მიწასთან კი გასწორდა! ასევე ზვაობდა რომის იმპერია და ისიც დრომ გადაიყოლა!

სად არის ეგვიპტელ ქურუმთა მისტიციების კეთილგონიერება?!

380. გულაჩუყებულნი ვიგონებთ ჩვენთა წინაპართა გმირულ ლაშქრობებს, რათა უფრო მაღალ კვარცხლბეკზე შევყავინოთ კაცთა მკვლელნი.

381. „პარა კაც-ჰკლა!“ — მიაჩუმეს ხმა სიკეთისა.

„ჰკალ!“ — აღაზევეს ხმა იგი ბოროტებისა და სიკეთედ შერაცხეს.

გალაღებული კაცობრიობა დღეს ტაშის გრიალით ესალმება XX საუკუნის უგუნურ შეიარაღებას — ტექნიკის სავალალო პროგრესს, ხოლო ხნულში ჩაგდებული მარცვლის მომავალ ნაყოფს ვერინ ხედავს; და აღარავის სჯერა, რომ ყველა ამ „დევეგმირთა“ ნაჯაფნაალაფევსა და პატე-დიდება ერთი ალაღმართალი მშრომელი კაცის წვეთი ოფლი გადასწონის.

1984 წ.

შენიშვნა:

382. ეს ნაშრომი პირველად გამოქვეყნდა 1984 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტერატურულ აღმანახ „პარალელში“. ახალდაარსებული აღმანახის რედაქტორი განუღათ მწერალი ეაჟა ჩორდელი, რომლის ვაჟკაცური შემართებით მოხერხდა მისი დაბეჭდვა. ნაწარმოების დასტამბვამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია: რედაქტორი განთავისუფლებულ იქნა, რაც მისთვის მოულოდნელი არ იყო; ჟურნალი დაიხურა. ნაწარმოებს დადებითად გამოეხმაურნენ უცხოელი მეცნიერები.

მსურვალე მაღლობას ვუძღვნი „პარალელის“ რედაქტორს.

იოსანე-იოსანე.



ერი, ღმერთი და კანონი

1. სამი რამ მოეთხოვება ღვთით გაჩენილ ადამიანს: არსთა გამრიგის შეცნობა, მისი უხადო სიყვარული და მორჩილება.

სიყვარული — არა მარტო გრძნობებისა და ემოციების გამოხატულება, არამედ ღვთიური კანონების მიყოლა.

მორჩილება — შიში უფლისადმი, სულიერი სიმშვიდე, არა ამპარტყენება და არა მშფოთვარება.

როცა პირუტყვემა პატრონი იცნო და უგუნურმა ადამიანმა კი თავისი გამჩენი უარყო, სწორედ მაშინ გაშიშვლდა იგი რისხვისთვის, რამეთუ წერილ არს: „...ყველას ჩემს მოძულეს, სიკვდილი უყვარს“ (იგაე., 8, 36).

2. უღმერთობემა იწყებს რა კმნა კერპისა, ამით სამყაროს შემქმნელს დაუწუნეს შემოქმედება, და რამდენადაც ადამიანს თავისი გულის მიხედვით მიეზღვება, შესმენილ იქმნა მათი წადლი — უმაღ მიეცათ არჩევანის-მიერი ცხოვრების უფლება, ასევე — უზენაესი ღვთაების შემცველი მათი ბუნების შესატყვისი კერპიც.

3. იწყება ახალი ერა. ღმერთისაგან გამიჯნული საზოგადოება ამსხვრევს ღვთიურ კანონებს და მოუწოდებს ყველას ამქვეყნური სიბრძნით შექმნილი კანონების მიყოლას. ამგვარი სითამამით დამომღვრილი ერი მანამ ვერ შეიმეცნებს მისივე შექმნილი კერპის უმეტრებას, სანამ არ განცდის ღმერთის უფალი. განცდამდე ბოხოპრობენ. ცრუ წინასწარმეტყველები უკვდავების ნაყოფს ჰპირდებიან ხალხს. ღმერთი კი თავისი გზით მიდის.

4. კერპი მაშინ იწყებს კვდომას, როცა მის მიერ ზარ-ზეიმით ხნულში ჩაგდებულ მარცვალს არ ეღიროსება აღმოცენება, როცა გაირკვევა, რომ დათესილი მარცვალი კენჭი ყოფილა.

5. უფალმა იცის, გამოცდის შემდეგ კლინდება შეცდომები და მთელმარებიდან გამოს-

ული უმაღ იწყებენ ქუშმარტების ძიებას. სწორედ ის ქუშმარტებაა რელიგიური კანონი, ანუ დიდი სჯულისკანონი, რომელიც შედგება 85 სამოციქულო, 9 ადგილობრივი, 7 მსოფლიო საეკლესიო კრების, ასევე, წმიდა მამათა ეპისტოლარული კანონებისაგან; იგია კაცთათვის საცხოვრისად ბოძებული, რაც არის გარანტია ქვეყნად მშვიდობის, მრავლობის, ძღვევამოსილებისა და უკვდავებისა. იგი ებოძა ადამიანს სადიდებლად უფლისა და ყოველთა სუპოსტატთა დასათრუნად, დაკარგული უკვდავების დასაბრუნებლად.

6. ზოგს ჰგონია, რელიგია შემოქმედებითა. რელიგია დოგმატიკური გახლავთ, მისი კანონიკური სწავლებანი მარად უცვლელია. სჯულისკანონის სრულყოფამდე ჟამი-ჟამ გადისინჯებოდა ზოლმე კანონები, არა იმისათვის, რომ კანონის ღირსება დაემდაბლებინათ, პირიქით, რათა ხარისხით უფრო მაღალ რეგისტრში აეყვანათ. წერილ არს, შეიდგურ განიწმინდებო სიტყვა ღვთისა, რათა დაიდგინოს საბოლოო ბრწყინვალება, სწორედ შეიდი მსოფლიო საეკლესიო კრების საფუძველზე სრულ იქმნა იგი და არვის ხელეწიფება მსოფლიო წმიდა მამათა დადგენილებების ხელყოფა.

პაევე მოციქული გვახსენებს: „მაგრამ თვით ჩვენც, გინდა ანგელოზი ზეცით, რომ გახარებდეთ არა იმას, რაც აქამდე გეხარებდა თქვენთვის, შწვენებულნი ვიყოთ“ (გალ., 1, 8).

7. დადგენილი კანონის უარყოფელი ერეტიკოსად იწოდება, ხოლო რეფორმატორული კანონი — ერესად. შეჩვენებულია ყოველი ერესი II მსოფლიო საეკლესიო კრების პირველი მუხლით: დაე იქნეს ანათემას გადაცემული ყოველი ერესი.

8. ღმერთი მოითხოვს პირველყოფილ სწავლების შეუცვლელობას, რაც ნიშნავს

დადგენილი წესების, ჩვეულებისა და ტრადიციების შენარჩუნებას. სწორედ ეს არის ორთოდოქსული სახე. ამ კანონის გამორუდებული ერთი ოპოზიციაში უდგას ღმერთს. და რაც უფრო პრეტენზიულია და კატეგორიული ეს წინააღმდეგობა, მით უფრო მძიმდება მონობის უღელი.

9. უფალი ყველა ერს საკუთარი ნებელობის მიხედვით აძლევს საასპარეზოს, მოქმედების საზრიანობა კი განიზომება შედეგით. რადგან ყოველი შედეგი უფლის ნებაა, იგი ან წყალობად განიხილება, ან რისხვად. ბედნიერი ყოფისათვის მრავალნი მოქმედებენ, მაგრამ მოქმედება მამინაა გამართლებული, როცა უფლის ნებას ეთანხმება ერის გადაწყვეტილება, რამეთუ ერთი ცხოვრობს უფლისათვის; ამიტომ არ არსებობს უფრო ღიდი აზრი, თვით სიცოცხლე და სამშობლოც ამ მიზანს ემსახურება:

„რადგან ხალხი და სამეფო, რომელიც არ დაგემორჩილება, დაიღუპება და ეს ხალხები განადგურდებიან“ (ეს., 60, 12).

10. ბრძენმა ერმა უმაღ უნდა მოიძიოს ჭეშმარიტება – არის თუ არა მის გადაწყვეტილებაზე უფლის კურთხევა.

მაგალითი ბიბლიური წარსულიდან:

11. როცა მოსემ თავის ხალხს ეგვიპტიდან გამოსვლა მოუწოდა, ხალხი ენდო მის ბრძნულ გააზრებულობას და მიჰყვა კიდევ. იყო თუ არა ამ გადაწყვეტილებაში უფლის კურთხევა, განიხილება მომხდარი ფაქტის მიხედვით:

ა) ტყვეობიდან თავდახსნით, როცა ფარაონის ჯარი გამოუდგა, კარგად იცით, რითი დამთავრდა: ზღვამ შთანთქა ეგვიპტელები; ხოლო ებრაელები უკლებლივ გადაარჩინენ და ორად გააოხილ ზღვაში გაიარა.

ბ) როცა დაიმშვიდნენ, ციდან მანანამ ითოვა, ანგელოზთა პურით დააპურა ღმერთმა იხინი.

გ) როცა ზორცი ინატრეს, გარშემო მწყურების ზვინი დადგა და უზომოდ დააცხრნენ.

დ) როცა მოსწყურდათ ფრიად, მოსეს კვერთხის დაკვერით კლდიდან ჩანჩქერი გადმოსკდა და დაირწყულეს თავი.

12. დააკვირდით, როგორია მოქმედების მიხედვით ღვთის განჩინება ზემოხსენებულ ერზე! რა გვეთქმის ჩვენი დღევანდელი მოქმედების ღვთიკურთხეულობაზე?

13. ჭეშმარიტება უნდა ითქვას, ერთნაირი ხასიათების გამოეგბრაელთა და ქართველთა სასჯელიც ერთნაირია. ამაყნი და გულფიცხნი ვართ. ამგვარნი კი საკუთარი წადილის მიხედვით განიცდებიან. რჩეულებს სწორედ რჩეულობის გამო არ მიეტყვებათ იოლად: ისრაელთ, როგორც სემიტელთ, მემკვიდრე შეიღობისა, ხოლო ქართველთ – ღვთისმშობლის წილსვედრილობისა გამო. რამდენადაც ხასიათი აყალიბებს ბედს, არ შეიძლება მშფოთვარე სულის პატრონს უშფოთველი ცხოვრება მიეცეს; საჭიროა აყრობა ღვთიური სიბრძნისა, სხვა გზა არ არსებობს.

14. ვიტყვით ქართველნი: ჩვენ, ოდიტანვე ღვთისმოსაყნი და აურაცხელ ტაძართა მესაკუთრენი, ნუთუ არა ვართ ღირსნი მოვიგოთ ღმერთის გული? ბაბილონელთა ტყვეობით შეჭირვებულმა წინასწარმეტყველმა ეზრამაც იმავე კითხვით მიმართა ღმერთს:

15. „ნუთუ უკეთესად იქცევიან ბაბილონის მკვიდრნი და ამის გამო გაბატონდებიან სიონზე?

როცა მივედი იქ, ვიხილე უკეთურებანი, რომელთაც სათვალავი არ ჰქონდა; ბევრი ცოდვილი ჰყავს ნანასი ჩემს სულს ამ ოცდაათ წელიწადში. გულიც მაქვს შეღონებული,

16. რადგან ხედავს იგი, როგორ ემზრობი ცოდვილთ, როგორ დაინდე ბოროტისმოქმედნი, დალუქ შენი ხალხი, შენი მტრები კი დაიცავი და არ ამხილო.

ჟერ ვისხენებ, როგორ უნდა დაკარგულიყო ეს გზა? ნუთუ ბაბილონი სიონზე უკეთესად იქცევა?

...ან რომელმა ტომმა ირწმუნა შენი აღთქმა იაკობის მსგავსად?“ (3 ეზრ., 3, 28-32).

17. «ეს ყველაფერი ვთქვი შენს წინაშე, უფალო, რადგან ჩვენთვის შექმენი ეს წუთისოფელი.

ხოლო დანარჩენ ხალხებს, ადამისაგან წარმოშობილთ, უთხარი, რომ არარანი არიან ისინი, და ნერწყვის მსგავსნი არიან, ჭურჭლიდან გადმოცვენილ წვეთებს მიაშვავებს მათი სიმრავლე.

ახლა ვი, უფალო, სწორედ ის ხალხები, არარაობად რომ არიან შერაცხილნი, იწყებენ ჩვენზე მოძმელაერებას და ჩვენს შთანთქმას.

ჩვენ კი, შენი ერი, პირშმოს, მხოლოდ-შობილს, შენს მოშურნეს რომ გვიწოდებ, ჩავარდნილნი ვართ მათ ხელში.

და თუ ჩვენთვის არის შექმნილი ეს წუთისოფელი, რატომ არ ვფლობთ მემკვიდრეობას ამ წუთისოფელთან ერთად? როდემდის იქნება ასე?» (3 ეზრ., 6, 55-59).

18. ანგელოზის პასუხი ეზრას შეკითხვაზე ასეთია: «რატომ არ გულისხმაყოფ მოძაგაღს, არამედ მხოლოდ იმას, რაც აწმყოშია?» (3 ეზრ., 7, 16).

«რადგან ასწავლა ღმერთმა მომსჯელთ, როცა მოვიდნენ, რისი კეთებაც მართებთ მათ, რათა ეცოცხლათ, და რისი დაცვა, რათა არ დასჯილიყვნენ.

მაგრამ არ დამორჩილდნენ ისინი, შეეწინააღმდეგნენ მას და თავისი ჭკუით დაადგინეს ჭეშმარიტება.

მოიგონეს თავისთვის ტყუილები, არარსებულად გამოაცხადეს უზენაესი და არ სცნეს მისი გზები,

შეიძულეს მისი რჯული და უარყვეს მისი აღთქმანი, არ ირწმუნეს მისი რჯულდებები და არ ასრულებდნენ მის საქმეებს.

ამის გამო, ეზრა, ცარიელი ცარიელთათვის არის და საესე — საესეთათვის» (3 ეზრ., 7, 21-25).

19. შეიძლება ვინმემ თქვას, ეზრას სიტყვის მიხედვით, როგორც ჩანს, ებრაელებს ღმერთი განურიდებიათ. ჩვენ ხომ ამგვარი არაფერი გვიქნიაო. ირწმუნეთ, არასოდეს შემწყვდარა ლოცვა და ღმერთის სადიდებელი ჰიმნი იუ-

დეველთა ქვეყანაში; მაშ, რატომ მიუგეს ასე ეზრას? კანონებს გაემიჯნენ; სჯულისკანონში ეწერათ ერთი და აკეთეს მეორე. და აი, სასჯელი. სიყვარულს ეფიცებოდნენ, საქმე კი საწინააღმდეგოს დალადადა. რამდენადაც სიყვარულის აღთქმა საქციელში ვლინდება, შეუსაბამოა სიყვარული და უკანონობა.

20. ის, ვინც ქადაგებს, თითქოსდა სიყვარული აუქმებს კანონს და, ამდენად, არ არის საჭირო კანონის აღსრულებაო, ერის მესაფლავეა, რადგან უარყოფილია მისგან თავად სჯულისკანონი, რომელიც საქრისტიანოს ყოფის მორალური კოდექსია. მაშ, რად ვუწუნებდით კათოლიკებს მრწამსის დოგმატის გატეხას და ორმოცდამეათე სამოციქულო კანონის დარღვევას? თუკი ოდენ მშრალი სიყვარული ეძაროდა, რა გვაქვს მამინ სადავო სექტანტებთან, რომელთაც მთლიანად უარყვეს რჯულისკანონი? ან რა ფასი ჰქონდა წმიდა მამათა მიერ ცხრა ადგილობრივ და შეიღ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე დადგენილ კანონებს? განა ამ კრებებზე დადგენილი ყველა კანონი ეკლესიის სიმტკიცისა და სიწმინდის საწინდარი არ არის?

21. კარგად უნდა გვესმოდეს, ახალი სწავლება ახალი ღვინო იყო. ახალ ღვინოს ახალი ჭურჭელი სჭირდებოდა. ახალ ჭურჭელს კი — თავისი კანონები, რომლითაც განისაზღვრება ტაძრის ღირსება-უღირსობა. თუ როგორი. უნდა იყოს ტაძარი, ამას შეგვახსენებს გაისტოლვე ეფესელთა მიმართ, სადაც ნათქვამია:

22. «კმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია, და მისცა თავისი თავი მისთვის, რათა წმიდა ეყო იგი, გაწმენდილი წყლის საბანელით და სიტყვით, და, ამრიგად, წარმოეღინა ის თავის წინაშე ღირებულ ეკლესიად, მწიკვლის, ზადისა თუ სხვა რაიმე მსგავსის არმქონედ, არამედ რათა წმიდა და უმწიკვლო ყოფილიყო იგი» (ეფეს., 5, 25-27).

23. რადგან ასე მკაცრად მოითხოვენ ეკლესიის სიწმინდეს, ყველა ქრისტიანული

მართლმადიდებლური ეკლესია უნდა იყოს სჯულისკანონის მიმყოლი. სჯულისკანონისა, რომელშიც დევს მისი საღვთო ძლევამოსილება.

24. რადგან კანონი კანონია, იგი ერთნაირად ეკუთვნის ღიდას და პატარას, ნათქვამია ბიბლიაში:

მსაჯულებს ნუ შეურაცხყოფ და მეთაურებსაც ნუ გახდი საღაყბოდ.

25. ქრისტესაც ღიდად არ ეხატებოდა გულზე რომის კეისარი, მისი ერის მოსისხლულ მტერი, და არც პილატე, მაგრამ არა უკადრებდა რა უკადრისი. არა კბილი კბილისა წილ, არა სისხლი სისხლისა წილ. ასეთია ქრისტეს წესი და მერე რატომ გაუკვირდება მშფოთვარე ხეს, რომ არ შერჩეს ნაყოფი?

26. ერს თავისი ბუნება განცდის. ყოველის განცდა ცოდვის ტოლფასოვანი სასჯელია. რაც უფრო არასწორია ერის ცხოვრება, მით უფრო რთულია ეს საერთო ამოცანა. ბრძენი, თვით ამ ამოცანის შემდგენელს მიანდობს ამოცანის ამოხსნას, უგნური ამპარტავანი თავსატეხს იშოვის და მით უფრო გაირთულებს საქმეს.

27. ისმინეთ მოწოდება ღმრთისა:

„თუ არად ჩაადგებთ ჩემს წესებს... მაშინ ფუჭი იქნება თქვენი დათესილი, რადგან მტრები შეგიჭამენ... დაუმარცხდებით თქვენს მტრებს, გაგიბატონდებიან მოსისხლენი; გაიტყვეით, თუმცა მღევარი არ გეყოლებათ.

და თუ მაინც არ დამიჯერებთ, შეიდგზის მოგინატებით სასჯელს თქვენი ცოდვებისათვის...

ფუჭად დაილევა თქვენი ძალ-ღონე: არ მოგცემთ მიწა თავის მოსავალს და თქვენი ხეები — თავის ნაყოფებს...

მოგისევთ გარეულ მხეცებს და გაგიწყვეტენ შვილებს; გაგიწყვეტენ საქონელს, თქვენც დაგლევენ და დაცარიელდება თქვენი გზები...

თუ მაშინაც არ დამიგდებთ ყურს და გამიწყვეთ წინააღმდეგობას, მეც გამოვალ

თქვენს წინააღმდეგ რისხვით და შეიდგზის დაგსჯით თქვენი ცოდვებისათვის.

თქვენი ვაყების ხორცს დაუწყებთ ჭამას და თქვენი ასულების ხორცს შეჭამთ“ (ლევ., 26, 15-29).

28. ნუთუ გონიერთათვის ეს გაფრთხილება შეუცნობელია ან მიუღებელი? ორთავე შემთხვევაში სასჯელი არ აყონებს. ერი, რომელიც ძლიერებით მოინდომებს ქვეყნის დაცვას, შეუგნებელია, რადგან არ იცის, რომ ღმერთგამწყრალი ერი უცილოდ განწირულია.

29. ერი, რომელიც ღვთიურ სიბრძნეს განირიდება და კაცობრივი სიბრძნის მიყოლას ინდომებს, წყვეულია, როგორც სულიწმიდის ნიჭის უარყოფელი, ღვთიური სიბრძნის მოძულე და ღვთისმგმობელი.

30. როგორც შეიტყვეთ, ეკლესიას უმთავრესი ფუნქცია ენიჭება ყოფიერ ცხოვრებაში. იგია ქრისტეანთა სამრავლო საბუდარი. ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა სასუფეველში, — ბრძანა ქრისტემ. სწორედ ამგვარი დიდი ფუნქციის გამო შესწირა თავი მაცხოვარმა ეკლესიას.

31. ეკლესია ერის სულია. მოკვდება იგი? ერი ლეშად იტყუვა. ლეშს კი მხეცს მიუგდებენ; აღორძინდება ეკლესია? სული დაუბრუნდება ერს. ამ მიმართულებით მოვიკვლიოთ ჩვენი წარსული ცხოვრების ისტორია:

1) IV საუკუნეში შევიმოსეთ ქრისტეანობა — ეკლესია ცოცხლობს.

2) VI საუკუნე. ვიმყოფებით სპარსელებით მონობის ქვეშ. რა სიკეთისათვის? ეკლესიამ იწყო კვლევა, მართლმადიდებლურმა საქართველომ მონოფიზიტურ ერესს გაუღო კარი, ზარ-ზეიმით მივიღეთ მონოფიზიტები.

3) როგორც ბიბლიური კანონი გვაუწყებს: ერი, რომელიც სასჯელის მიზეზს არ მოიკვლევს და ცდომილებას არ განირიდება, უმეტესი სასჯელისათვის განემზადება.

VII საუკუნე. საქართველო არაბების ბატონობის ქვეშ იმყოფება.

4) XII საუკუნე. ღმერთი საერთოდ ათავისუფლებს ბატონობის უღლიდან საქართველოს. რა სიკეთისათვის? ვერა მოიკვლია სასჯელის მიზეზი. დავით აღმაშენებელი ამ რელიგიურ ცდომილებებს გარანდავს რუისურბნისის კრებაზე.

32. სჯულისკანონს ათარგმნინებს არსენ იყალთოელს, რის შემდეგაც ეკლესიიდან გააძევებს უღირსებს. როგორც გვაუწყებს უცნობი ისტორიკოსი აღმაშენებლისა: „ღვთა მრავალთა ფრიადითა გამოწვილილეთა კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცდომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი განკეთეს და შეაჩვენეს“.

33. გატაცხლდა ეკლესია. ვრს დაუბრუნდა სული. ძალაშია ღვთიური ფორმულა:

„თუ ივლით ჩემს წესზე და დაიცავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ,

თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს...

ძღომაზე შეჭმით თქვენს პურს, თქვენს ქვეყანაში მშვიდად იცხოვრებთ.

მშვიდობას ჩამოვადებ ქვეყანაზე და მოსვენებული იქნებით. აღარ იქნება დამაფრთხობელი, მიწისგან აღვევი სასტიკ მხეცებს და მახვილი არ გაივლის თქვენს ქვეყანაზე.

გარეკავთ თქვენს მტრებს და მახვილით დაეცემიან თქვენს წინაშე.

...მახვილით დაეცემიან თქვენი მტრები თქვენს წინაშე...

ჩემს სავანეს დავიდებ თქვენს შორის და არ შეგიზოხლებთ ჩემი სული.

ვივლი თქვენს შორის და ეიქნები თქვენი ღმერთი, თქვენ კი ჩემი ვერი იქნებით“ (ლევკ, 26, 3-12).

34. აი, ამ კანონით დაითრგუნა მტერი და აღორძინდა დავითისდროინდელი საქართველო.

5) XIII საუკუნე. საქართველო სასჯელისათვის ემზადება. რა სიკეთისთვის? ეკლესია გაყალბდა, აჰპარტავენებამ იმ ზომამდე

ითარემა, რომ თამარ დედოფალი სამების იოსტასში მეთხე წვერად შერაცხეს, ხოლო მე მისი რაცხეს ქრისტეს სწორად. ეკლესია მოკვდა. სასჯელი არ აყოვნებს, მონღოლების უღელს დაიდგამს საქართველო.

6) რა ყოფაში ვართ შემდგომ საუკუნეებში? საქართველო უფრო მიექანება ერესის უფსკრულში და დასავლეთის ეკლესიის მესვეურებს ემუდარება, რათა კათოლიკური დიდი ოჯახის წვერად იქნეს მიღებული. სულხან-საბაე გულდაგულ იბრძვის ამის გამო, მაგრამ, ღვთის წყალობით, ეს წადილი განუხორციელებელი რჩება.

35. ალაგ-ალაგ კათოლიციზმი იწყებს ფეხის მოკიდებას — დაბნეული საქართველო საყრდენად ხელჯოხს ეძებს, ღვთიური ჭეშმარიტება კი დაივიწყა.

7) XVII-XVIII საუკუნეების საქართველო მუსულმანების ხელშია. შემდეგ — ერთიკული რუსეთის იმპერიის ხელში. ანტონ პირველი რუსულ ნიკონიანურ ერესს ფუნდამენტურად დაამკვიდრებს საქართველოში და, ამდენად, ურჩხულის ხახაში ჩაბრუნებს მას.

8) გაღის ყაში, გაღისინჯა უღმერთობით განვლილი გზა, სახეზეა შიმშილი, შიში, სიძულვილი.

36. ორი რამ დააქცევს ქვეყანას: ბრმა ბელადი და მისი მადეგარი ბრბო, როცა უგულებელყოფილია ბიბლიური სიბრძნე:

1) ვინაც მონა აამხედროს, ანათემია.

2) მარჯვენა ყვრიმალსა რომ გცენ, მარცხენა მიუშვირე.

3) ულოცვიდეთ მტერთა თქვენთა. პირველი ფორმულის განმარტება ასეთია:

37. ამბოხებული სულის მიერ აღორძინებული ცხოვრება ქვიშაზე აგებული ტაძარია; განწირულია ფი, რამეთუ არა არს მკვიდრად დაფუძნებულ კლდესა ზედა.

38. მეორე ფორმულის განმარტება: მარჯვენა ყვრიმალსა ცემა ვინაც არ ითმინოს, მან ქრისტეს დაუწუნოს ვაჟკაცობა. ქრისტეს, რომელიც თავისივე ნებით ავიდა

ჯვარსაცმელად. ვინ გვაპატიებს ამ სითამამებს?!

39. მესამის განმარტება ასეთია: როცა ადამიანი მისნაირ ადამიანს მტრად ექცევა, უგნური უმალ დაუპირისპირდება ძალისხმევით, და თუ მოწინააღმდეგე მასზე ძლიერი იქნა, სწორედ იქ დაკარგავს სიცოცხლეს. ამიტომაც გვახსენებენ ღვთიურ სიბრძნეს: დალოცე მტერი შენი, თუკი სწყურია — დაარწყულე, თუკი შიშა — დააპურე. იყავ სულგრძელი, ვითარცა მამაზეციერი, რამეთუ ის ერთნაირად აწვიმებს ღირსეულთა და უღირსთათვის და არის მთმენელი უსამართლობისა უკიდურესად.

40. როცა მართალმა იწყოს დალოცვა მტყუენისა, სწორედ მაშინ განრისხდეს უფალი მშფოთვარე სულის უსამართლობისა გამო და ახლევინოს თავი ქვაზე. ამიტომაც ითქვა: ულოცვილეთ მტერთა თქვენთა, რამეთუ ნაკვერცხალსა აგროვებდ მტრის თავზედაო. ჩვენ ვილოცით ყველაასათვის, უფალმა კი თავად გამოარჩიოს მათში მტერი და მოყვარე, ღირსნი ჩვენზე ბატონობისა თუ ჩვენი ძმობისა. უგუნურმა კი თავის შურისგებას დააბრალოს საკუთარ თავზე დანთებული ცეცხლი.

41. ორთა მიზეზთა გამო ისუება ადამიანი: ერთი მხილებული დანაშაულის, მეორე — ბოროტი ზრახვისა გამო. გმირული სულის შემართების კაცი ბუნებით იბადება. სიკვდილს ის არ უშინდება, მაგრამ მას უნდა შეეძლოს ჭეშმარიტი გმირობის არჩევანი. მაშინ იგი მთმენელია ტკივილისა, დამცირებისა, ვითარცა ღმერთი, ხოლო მეორე სასჯელისა ცოდვის ტოლფასოვანი საზღაური. ვხედავთ, ორთავე შემთხვევაში სიკვდილი გარდევალა, მაგრამ პირველი სიკვდილი ღვთიური გმირობის საცდელია და უკვდავების გარანტია, ხოლო მეორე სიკვდილი გაუცნობიერებელი მოქმედებაა, რომელიც ღვაწლში არ ეთვლება თავდადებულს. ღმერთი შეგვახსენებს:

42. „წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატყუეს საუკუნო აღთქმა.

ამიტომ წყველა ჭამს მიწას და ისუებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ გადაიბუგნენ მიწიერი და მცირენილა გადარჩნენ“ (ეს., 24, 5-6).

სარდეს ეკლესიის მიმართ ქრისტეს სიტყვები იგივეს შეგვახსენებს:

„...ვიცი საქმენი შენნი; სახელი ისეთი გაქვს, თითქოს ცოცხალი იყო, და მკვდარი კი ხარ.

იფხიზლე და განამტკიცე დანარჩენიც, რაც უახლოვდება სიკვდილს, რადგან ვერ ეპოულობ, რომ შენი საქმენი აღსრულებულნი არიან ღმერთის წინაშე.

გახსოვდეს, რაც მიგიღია და გსმენია (რაზეა აქ ლაპარაკი? რა თქმა უნდა, კანონსა და წესზე. — ი.ი.) და დაიმარხე და შეინანე; ხოლო თუ არ იფხიზლებ, მოვალ შენთან, როგორც მპარავი, და ვერ გაიგებ, რა დროს მოვივალ“ (გამოც., 3, 1-3).

43. კარგად ნახეთ, რის გამო ისუებიან. ეს ზემოხსენებული წესები, ჩვეულებები განსაკუთრებით სწორედ ის ღიღი სჯულისკანონი, რომელიც განსაზღვრავს ღვთის ნებას დედამიწაზე, სწორედ იმავე ფორმულებით იქნებიან გასამართლებულნი ძეხორციელნი საშინელ სამსჯავროზე ქრისტეს მეორედ მოსვლისას.

ამიტომაც შეგვახსენებენ კვლავ და კვლავ: „...ერთი იოტიც ან ერთი წერტილიც არ გადავა რჯულისაგან“ (მათ., 5, 18).

...(ამ კანონზე დაფუძნებული) ეკლესია ვერ იქნეს ძლეულ ჯოჯონეთის ბჭით.

44. და სწორედ ამიტომაც ბრძანა მაცხოვარმა:

„ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი რჯულის, გინდა წინასწარმეტყველთა გასაუქმებლად. გასაუქმებლად კი არ მოვედი, არამედ აღსასრულებლად.

რადგან ჭეშმარიტად გუუბნებით თქვენ: სანამ არ გადავა ცა და მიწა, ერთი იოტიც ან ერთი წერტილიც არ გადავა რჯულისაგან, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება.

45. ამრიგად, ვინც დაარღვევს თუნდაც ერთს ამ უმცირეს მცნებათაგანს და ასე

ასწავლის (იგულისხმება ჭეშმარიტი სწავლება და კანონიერი ყოფა. — ი. ი.), კაცთაც, უმცირესად იწოდება ცათა სასუფეველში: ხოლო ვინც აღასრულებს და ასწავლის, უდიდესად იწოდება ცათა სასუფეველში“ (მათ., 5, 17-19).

„უფალმა ინება თავის სიმართლისთვის განედიდებინა და განეთქვა რჯული“ (ეს., 42, 21).

46. ისე როგორ დავეცით და როგორ გძლია მივღებარების სულმა, ვერ ვარკვეთ, ღვთის რისხვა ჩვენს თავზე თუ ღვთის მადლი? ღრმად დარწმუნებული ვართ და გვჯერა საკუთარი ნაღვანის სრულფასოვნებისა. მაშ, მოვიძიოთ თუ როგორია ერის საბედნიეროდ გამიზნული ამ ღვანის ტოლფასოვანი საზღაური.

47. ღმერთი გვწამს, ასზე მეტი ეკლესია გაიხსნა, აგუგუნდა დაყრუებული ზარები, აჟღერდა ღვთის სადიდებელი გალობანი. რატომ ვერ მოვიგეთ უფლის გული? თუკი ვიტყვით მოვიგეთ, მაშ, სად არის აღორძინებულ ტამართა ლოცვის მადლი? სვანეთი თოვლში ჩაგვემარსა, სამეფელო წყალმა წაიღო, აჭარა მეწყერმა შთანთქა, იმერეთი, ქართლი და კახეთი გვაღვამ და სეტყვამ მოაოხრა, საკუთარი შვილები ხელში ჩაგვაკლეს. ნუთუ უფალმა დატოვა ქვეყნიერება და არავინ არის კეთილგონიერული საქციელის შემფასებელი? რომელს დაგავიწყდათ ღვთის ყოვლისშემძლეობა? ღვთისა, რომელმაც არარაობისგან ყოფიერებას დაუდო საფუძველი და რომლის მადლით სუნთქავს სიცოცხლე.

48. მაშ, რა ხდება? მიზეზი შემდეგშია: ღვთის წინამძღოლობა უარეყავით და მოკვდავთა შორის ვეძიეთ ბელადი. დავიჯერეთ უღლეურ ცრუ მოძღვართა არაკების, ვითარცა წერილ არს: ჯანსაღ სწავლებას განირიდებენ და არაკებს დაუწყებენ მიყურადებასო. სჯულისკანონს ეკადავებთ ბიურადღიერებულ წიგნებში, ხოლო მასში მოცემულ კანონებს უგულვებელყოფთ. გვიწერია: სანათლაი უნდა მონინათლოს წყალში სამგზის შთაფლვით,

საანათემონი კი წყალკურებით ნათლობას გეთავაზობენ და მით ერს ცეცხლისთვის განამზადებენ, რადგან წყალკურებითი ნათლობა ნათლობა კი არა შეიძლება.

49. ერი მაშინ იწყებს სიკვდილს, როცა ეკლესიას ფუნქციას გამოაცლიან და თეატრად აქცევენ. ეგ იყო და ეგ არის თავი და თავი ყველა ჩვენი უბედურებისა. ამიტომაც სიცილ-კისკისში, ზარების გუგუნში გვეცლება საღვანო მართლმადიდებლური ილაჯი. მართლმადიდებლნი კათოლიკურ ეკლესიებში წიარვენ, ზოგს დიდ პატივად უჩნს ეს საანათემო სითამამე. ამიტომაც ბრძანებს ქრისტე:

თითქოს ცოცხალი იყო და მკვდარი კი ხარო. მიზეზი — კანონს განმიჯნა.

„არ ისმინა ჩემმა ხალხმა ხმა ჩემი და ისრაელი არ დამემორჩილა.

და მიუხედავად იმის თავეანთ გულისწადილზე, იარონ თავეანთ ნებაზე“ (ფს. 80, 12-13).

50. თავისი ნებით მოსიარულეს არ უკვლევია გზა სწორი და გზა მრული, რამეთუ ყოველი მისი გადაწყვეტილება ჭეშმარიტებად ესახება. სწორედ ამიტომაც ვერ განურიდებით ნაკვერცხლები თავეანთი ფეხებისთვის არა ღვთიური გზით მავალთ.

51. „მეფეს ვერ უშეკლის ჯარის სიმრავლე, გმირს ვერ იხსნის დიდი ძალა“. — გავსენებს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 32, 16).

„გონიერი ხედავს ბოროტებას და თავს არიდებს, სულელნი კი ჯიქურ მიდიან და ისჯებიან“ (იგავ., 22, 3).

52. უნდა ახსოვდეს გონიერ ადამიანს, რომ ბოროტს, უთმენელს სისხლი თვალებში აქვს მოწოლილი. როცა გიფი გზას არ თობს, ტკევიანს მართებს: გზა უტოოს, რომ არ შეიქნეს მსხვერპლი უგუნურებისა.

„ჯანყის დროს ქვეყანაში მრავალდებიან მთავრები; გონიერი და მცოდნე კაცის ხელში ხანგრძლივია მეფობა“ (იგავ., 28, 2). სად არის ხსნა:

1) ერმა უპირველესად ეკლესიის სიწმინდე უნდა მოიძიოს.



მურთაზ ჩახავა



„ერი, ღმერთი და კანონი“ მწერალ მურთაზ ჩახავას თეოლოგიური თსზულე-ბაა. მასში გადმოცემულია ქართული და მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიების ოც-საუკუნოვანი უოუის ანალიზი, რომელიც განმარტავს ერესის შემოჭრის, დასერგვისა და განმტკიცების ეტაპებს.

ერესი არის კანონიკური სწავლებიდან გამაფრსა—ცდომილება; მისი დაპყიდრება ეკლესიის ფუნქციას აუალებებს, რის შემდეგ ერი კარგავს ქრისტიანულ სასეს და წარ-მართად მიიქცევა.

ერის ორიენტაციის დაკარგვის საბაბად უზრა წინასწარმეტყველი ლეთური კანონის გაუქმებას ჰკულებს (3 უზრა 14, 20-21); ერის უბედურების მიზეზად კი რელიგიური სწავლების ორთოდოქსალური სახის ცვალებადობას (3 უზრა 7, 23-25).

ნაწარმოები შეკვასსენებს საუკუნის იმ აპოკალიფსური ფაზის მოა-ხლოებას, სადაც ცხოველი ბეჭდის საქვენოდ ჩამოტარებას უწინამძღე-რებს საქართველო, როგორც დედალუთისმშობლის წილსვედრი ქვეყანა.

ერისადმი ქრისტესმიერი მოწოდება ამგვარია: სიმშვიდე, გონიერე-ბა და წმიდანებისადმი რწმენა.

წიგნი გამოსცა გამოცემლობა „მერანსა“
რედაქტორი—ცირა ინსკირველი
მხატვარი—ანზორ თოდრიძე

1989 თბილისი

2) გაემიჯნოს მკითხავენს, გრძნეულებს, ვარსკვლავთმრიცხველებს, სპირიტისტებს, ექსტრანსენსებსა და მათდაგვართა ყოველთა, რამეთუ ამგვართა მრავლობა ერს დაატეხს რისხვას. ამგვარნი ღვთის ორგულნი მამინ ზეობენ, როცა ერი სჯულისკანონს განრიდებულა, რის გამოც ღვთის მფარველობის გარეშე იმყოფება.

3) შეწყდეს ქრისტეს მადლით ვაჭრობა, რამეთუ ქრისტემ ბრძანა: უსასყიდლოდ მოგეცით, უსასყიდლოდ გაეცითო.

4) დაედოთ ზღვარი ჩვენსა და ერეტიკოსებს შორის, ვითარცა შეურეველ არს წყალი და ზეთი.

5) ცოლქმრული სარეცელი იყოს წმინდა საეკლესიო კანონის მიხედვით.

6) ნუ გაეტეხთ მარხვებს.

7) არ იქნეს საზრდელი მიღებული უმადლოდ.

8) მკაცრად დაეიცავთ მცნებანი და ნუ ვიქნებით ბილწად მოუბარნი, რაც ქვეყნის წარწყმელის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია.

9) ოჯახის თავკაცებმა მოიძიონ ჩაცმულობის წესი, პორნოგრაფიულ მოღას ნუ შეაგუეთ საკუთარი ცოლ-შვილი.

10) გავითვალისწინოთ ჩვენი დაუდევრობით გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფა.

11) გავითვალისწინოთ ატომური და დიდი წყალტყეადობის პესების დამღუპველი არსი კატაკლიზმების შემთხვევაში. მოუხზოთ გონიერებას.

53. ბურანიდან ერის გამოსვლა ხმაურს კი არ ნიშნავს, არამედ სიბრძნის მოხმობას, რითაც მოკავშირედ გავიხდით ღმერთს. ამო ძალისხმევა უგუნურ საქციელს მიეწერება, მწარეა მისი ნაყოფი. თანაც ნუ დაგვაიწყდება, გადაწყვეტილებას უნდა გააჩნდეს უფლის ჭეშმარიტებით შემტკიცებული ლოგიკა:

1) „ნუ აღუდგებით წინ ბოროტს“ (მათ., 5, 38).

2) „ღალოცეთ თქვენი მწყევლარნი“ (5, 44).

3) „მამ, ეძებთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმაართლე მისი, და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ“ (მათ., 6, 33).

4) „განსაჯეთ, მართებულა თუ არა ღმერთის წინაშე, რომ უფრო მეტად თქვენ გისმინოთ, ვიდრე ღმერთს“ (საქმე, 4, 19).

5) „რადგან ვინც დაიმარხავს მთელ რაგულს, და შესცოდავს მხოლოდ ერთ რამეში, ყველაფერში შემცოდა“ (იაკ., 2, 10).

54. დაიჯერეთ: ბრძოლის ველზე საკუთარ ძალას დანდობილი უმეცარი ზარბაზნების და ცხენების თვლაშია. ბრძენი კი უფალს მოიძიებს თანამდგომად, რამეთუ წერილ არს:

... ეერ გიშველიან სწრაფმბროლი ცხენები.
... გოლიათი ეერ გადარჩება საკუთარი ძლიერებით.

...ამაოდ ფხიზლობენ დარაჯნი.

... გაიქცევით მაშინაც კი, როცა არავინ მოგლეცი.

55. გემართებს ყურად ვილოთ წარსული ცხოვრების ბიბლიური მაგალითი. როცა ებრაელები ეგვიპტელებისაგან უსამართლოდ ისაჯნენ, ხმალი კი არ იშიშველეს, ღმერთს მიანდეს თავიანთი ბედი და რითი დამთავრდა?

56. „შეველადადეთ უფალს, ჩვენი ღმერთს და ისმინა უფალმა ჩვენი ხმა, დაინახა უფალმა ჩვენი ჩაგვრა და ჩვენი ტანჯვა-წამება.

და გამოგვიყვანა უფალმა ეგვიპტიდან მაგარი ხელით და შემართული მკლავით“... (რჯლ., 26, 7-8).

57. საზრიანი უნდა მიხედვს, რომ ძლიერი მტრისკენ ძლიერ ღმერთს უნდა უტეო გზა. ვინც ამ სიბრძნის უარმყოფელია, ის სულნიშმიდის ნიჭის დამწუნებელია. ამგვრად გონიერს მხოლოდ ერთი რამ მოეთხოვება, მცნებათა მიყოლით ღვთის გულის მოგება. მართალია, ღმერთს უყვარს თავისი გმირები, მაგრამ ღვთის რჩეულებმა იციან, თუ რას უნდა შესწირონ თავი. ამიტომაც ვვახსენებენ ხშირად:

58. „მამ, ეძებთ უპირველესად უფლის სასუფეველი და სიმაართლე მისი, და ყოველივე ეს მოგეცემათ თქვენ“ (მათ., 6, 33).

გაიხსენეთ, რას განმარტავს ეზრას წინასწარმეტყველება სამთავიანი არწივის შესახებ: სამი თავი სამი უძლიერესი სახელმწიფოა, რომელიც საუკუნის მიჯნაზე მართავს მთელ ქვეყანას; ხოლო არწივის ბუმბულებად მიჩნეულია ყველა სხვა დანარჩენი.

59. როცა არწივის შუათანა თავმა გაიდვიდა, დაფრთხნენ სხვა თავები, რადგან იხილეს მისი ძალმოსილება. რა ითქმის ბუმბულის ზედმეტ მშფოთვარებაზე? ამგვარი მოუზომელი სითამამით ხომ არ გაავიციებთ დიდად თავს? თავს, რომლის შიშით დედამიწას სახსარი ეღრძო? გონიერთ მართებთ ყურად იღონ უფლის გაფრთხილება, აპოკალიფსისური მეექვსე ბეჭდის მოხსნისა გამო, სადაც თვალნათლევ ნაჩვენებია ტრაგიკული ყოფა ქვეყნიერებისა:

60. „და გაშავდა მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდა მთვარე... და, გრავნილივით შეგრავნილი, შეიკრა ზეცა, და ყოველი მთა და კუნძული თავიანთი ადგილიდან იძრნენ“ (გამოცხ., 6, 12-14).

61. გვახსენებენ, რომ ჟამსა ამას მხოლოდ ღმერთშემოსილებმა დაიმიკედრონ ქვეყანა, რამეთუ არიან ისინი მშვიდობისმყოფელნი. თუკი არა იპყრეს გონიერება, კაცობრიობის მესამედი დაიღუპოს, — შეგვახსენებს აპოკალიფსისი. ღვთიური მოწოდების მიმყოლი მამულის მაცოცხლებელია და ბედნიერების მესაკუთრე. ურჩი მთავარანგელოზი დასაჯა ღმერთმა, კაცს ვინ აპატიებს უგუნურებას. ო, რარიგ სულმოკლეა და უღმობელი ადამიანი. წამით რომ მისთვის ღვთის ძალა ებოძათ, კეთილქმნას კი არ მოახმარდა მის მუყუებას, შურისძიების დასაოკებლად იშიშვლებდა ხმალს. მაშინ, როცა ქრისტემ, ღმერთმა, უკვდავმა ბრძანა: ვინც მე მაგინოს, მოპატიებთაო. მოკვდავი უგუნური კი არ პატიობს მისნაირს არაფერს.

62. ქართველთ ნაშიერნო! ჩაიხედეთ აპოკალიფსისურ სარკეში. ნურვინ იწადინებთ დიდად, გათენებაში მიფშველოთ ღმერთს. ჟამი თავისი აქვს ალიონს. ამოად

ნუ იმშფოთვარებთ, დროზე ადრე არ გათენდება. ირწმუნეთ, მხოლოდ ქრისტეს სიბრძნის მიმყოლინი გაითენებენ მეექვსე ბეჭდის შემდგომ დღენათელს და მერე თავად იხილავენ ჟამის მეოთხედში ლაზარეს მკედრეთით აღდგომას; იმ ნეტარ დღეს, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე ელის იბერია.

63. ნურც იმისთვის იმშფოთვარებთ, თუკი უგუნურმა ძმამ განზე გასტომა იწადინოს. როცა საყრდენი ჯოხი ხელში ჩაატყდეს, მალიად მოაწყდეს დედის კალთას დამფრთხალი.

64. ნუ ვეძებთ ახალ ბელადს, ქრისტეა ჩვენი ბელადი. მიაყურადეთ, რას გვახსენებს ჩვენი ყოფის აპოკალიფსისურ ჟამზე მაცხოვარი (მეხუთე ბეჭედი):

65. ...მოთინებდა და წმიდანებისადმი რწმუნა! — მოგვიწოდებს უფალი. საუკუნის ამ ფაზაში მცხოვრებთ მხოლოდ ამით შეგვიძლია თავის გადარჩენა, სხვა საშველი არ არსებობს. ხალხის გულისწადილით დაბადებულ უღმერთობას ყოფის ჟამი ხომ თავად უფალმა დაუდო, ამიტომაც ვერც ვერავინ იქნეს შემცველი ღვთის ნებისა. კარგად ვიცით, ცხრა თვის ნაყოფი მუცელში ვერ ჩერდება. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, გამჩენმა უკეთ იცის დასაბამი და დასასრული ყოვლისა საქმისა.

66. ბრძენი დროს ელოდება, უგუნურთათვის მუდამ დროა. ქრისტემ კი ბრძანა: არის ჟამი ქვების დაგროვებისა და არის ჟამი სროლისაო. ირწმუნეთ, მალე იწყოს „ლაზარემ“ გაცოცხლება, და მალევე აღორძინდეს იგი დედამიწაზე „ლაზარეს“ უფლებამოსილებით! სწორედ მის აღდგომას ელოდება მთველმარების სულით შეპყრობილი კაცობრიობა. ისრაელიც კი მის მოლოდინშია. ამიტომაც შევახსენებს მათ უფალი:

„გაადეთ ჭიშკრები, შევიდეს მართალი ერი, რწმენის შემნახველი!“ (ეს., 26,2).

67. ლაზარე უნდა ჩადგეს ისრაელთა და ქრისტეს შორის, რათა ღვთისშვილებმა

¹ლაზარეს ჰქონდა ებსიკაოსის ზარისხი.

კვლავად მოიძიონ მათგან დაწუნებული ღვთისშვილი; საბუთად იკმარებს ის ასორ-მოცდაოთხი ათასი ისრაელი, რომლებიც შეიმოსავენ კვლავ ჭეშმარიტებას კდემად-ცულნი და ჟამიდან გაკართომილნი. როცა განაბრწყინოს უფალმა იბერია — ლაზარე და აჩუხჩუხდეს მის წიაღში „ცხოველი ბეჭდის“ მისაღები წყარო, მაშინ დაიძრნენ შორიელნი და ახლობელნი სულის დასარწყულებლად. მაშინ ახდეს ღვთისმშობლისადმი წართქმული სიტყვა ანგელოზისა:

68. „ღვთისმშობელო, შენი წილხვედრი ქვეყანა ბოლო დროს განათდეს!“

69. მაშინ იგოდებენ ნათესაენი იბერთანი, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შეილობის არამოწადინენი და განმდგარნი. მაშინ დაბრმავდეს თვალხილული მტერი, როცა უფალმა შემოსოს მათგან დაწუნებული და დაბეჩავებული იბერია საღვთო პატივით. აი, ჟამი ღვაწლისა, შემდგომ განცდისა და ერთგულების მტკიცებებისა! ერთ მუშტად, იბერთნაშიერნო, წინამძღოლნო და მხედრიონნო! მივეტევოთ ერთურთს სიძულვილი, რომელიც ბოროტმა ჩათესა ჩვენს გულებში, ამპარტავენება, გულზვავობა, შადიანობა და ყოველივე სისამაგლე, რამეთუ წერილ არს:

70. ვისაც არ უტარება ქრისტეს უღელი, მას არ მოეთხოვება პახუსი.

ეს უღელი საუკუნეებია აღარ ადგას ქართველის ქედს. აწი მაინც გავეფრთხილეთ ერთურთს. გამოვტაცოთ ურჩხულს ერთმანეთის თავი, რომელიც ჩვენის ქიშპობით და გაუტანლობით ჩავეგდეთ ხახაში. დავიტიროთ ერთმანეთის ცოდვები; მაშინ ჩვენი აღორძინებული ძმობა გულს დასწავებს ქრისტეს და ისიც ჩვეთთან ერთად აღირდება. გაიხარებს ღვთისმშობელი, რამეთუ მისმა გონსმოსულმა შეიღებმა კვლავ მოიძიეს დაკარგული ძმობა. აწ საუკუნოდ ვლიდნენ ღვთიურ გზაზე სხივოსილნი!

71. ქართლელნო და კახნო, იმერნო და მესხნო, გურულნო და მეგრელნო, აფხაზნო და რაჭველნო, ფხოველნო და სვანნო!

ჰა, საუკუნე შეცურდა აპოკალიფსისურ წრედში. ღვთისმშობლის საფარველქვეშ, იბერნო! არავენ დარჩეთ წყალობის მიღმა, რამეთუ წერილ არს:

72. „ჟანი ვაჟი აჰალისაჰალი
ისეჲ რთჳალოზს,
მტარი აჰალი აჰალიაგურად
აჰალისაჰალილთს,
თჳაი აჰაჲნად აჰალია ბაიბანს.
ჰინჲა ლელოს,
ჲს ჟან მხოლოდ, ოის დედოფლის
საჲართჳალოზი“

1989 წ.

თ ა ვ ი ა ე ო თ ხ ა

განათლება და მერე როზორ!

(გაზეთი „მაშული“, 1988 წ.)

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრება მწერალ მურთაზ ჩახავას.

1. — ბატონო მურთაზ, წელს შეგი-სრულდათ დაბადების ორმოცდაათი წლის-თავი, რომელიც გულთბილად მოგილოცათ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგე-

ობამ და თქვენი ლიტერატურული შემოქმედების თავიანთსმცემლებმა.

მამათქვენი, შოთა ჩახავა, ზელოვნების დამსახურებული მოღვაწეა. თქვენს ქორეოგრაფიულ მისწრაფებაზე მაშის მოწოდება მ რომ არ იქონია გველნა? ჩვენთვის ცნობილია,

გაზეთი „მამული“

რომ ფილოლოგიურთან ერთად მიღებული გაქვთ ქორეოგრაფიული განათლება, რამაც შემდგომ განაპირობა თქვენი მოღვაწეობა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში.

— ქართული ხალხური ცეკვის სიყვარული ყმაწვილკაცობისას, რა თქმა უნდა, მამამ ჩამინერგა. ქორეოგრაფიულად გაეაფორმე სპექტაკლები მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრებში. ეს სპექტაკლებია კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“.

2. — თქვენ 1975 წელს გამოხვედით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებიდან. ხაინტყვესოა, რატომ გახდით სკკპ წევრი?

— პარტიის ავანგარდულ როლში არასოდეს შემპარვია ეჭვი. ღრმად ვიყავი დარწმუნებული მისი ავტორიტეტის უბიწოებაში. ასევე ვგრძნობდი ერის სამსახურად მოჭარბებულ პოტენციას და ჩემნაირი კაცის ადგილ-სახუდარი სწორედ აქ ვიგულებ.

3. — მაშ, რამ განაპირობა პარტიის რიგებიდან თქვენი გასვლა?

— რაც უფრო ღრმად შევედი ცხოვრების შუაგულში, მით უფრო ნათლად წარმოჩინდა ჩემი მოწონებული ბელადებისა და პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეთა სიყალბე, თვალნათლივ ვინიღვ უნიჭოთა აღზრევა ნიჭიერთა ზედა და გავემიჯნე პარტიას, გავხდი რელიგიური. მართალია, ჩემი გამოიჯვინით პარტია არ დაობლებულა, მაგრამ არც მე განმიცდია მანცდამანც დიდი დანაკლისი.

4. — საბოლოოდ რომელი გზა აირჩიეთ?

— მთლიანად მივედე თეოლოგიურ ჭეშმარიტებასა და მწერლის კალამს?

5. — ქართველი მკითხველისათვის ცნობილია თქვენი ლიტერატურული ნაღვაწი. კონკურსებზე უმაღლესი პრემიები გაქვთ მიღებული. ხასკოლო სახელმძღვანელოებშიც გაჩინდა თქვენი მოთხრობები. ახლახან გამოცემილია „მერანმა“ გამოცდა თქვენი რომანი „ღვთისური გზა“. ნაწარმოები ძირითადად რელიგიურია, რომელსაც, თუ არა გარდაქმნისა და ღემოკრატიზაციის ზანა, ალბათ, არ ეღირსებოდა გამოქვეყნება.

— „ღვთისური გზა“ დღევანდელი ყოფის ამსახველი რელიგიური რომანია. ნაწარმოებში სამი ადამიანის ცხოვრებაა ასახული. ისინი სოციალური უკუღმართობის მსხვერპლად იქცევიან. გმირთა სულები შფოთავენ, რადგან იციან, სახელმწიფოს ნებისმიერ უჯრედში ჩაბუდებული სიცრუე სიკვდილის დედაა.

6. — რას იტყვით ჩვენი ერის დღევანდელ ყოფაზე?

— შეიძლება ზოგი მეზობელი სამომად არ გამოდგეს, მაგრამ იმდენი მაინც ისაზროს ჭკვიანმა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა იქონიოს მეზობელთან.

შლეგი ბრძოლის ველზე სწრაფად გაიჭრება, ჭკვიანი ხმლის მოქნეამდე შედეგს გაითვალისწინებს.

რაც უფრო დაშორებულია ერი ჭეშმარიტებას, მით უფრო რთულია მისი პრობლემები.

ერთხელ და სამუდამოდ ხომ დავიჯერეთ, რომ ამბონებული სულის მიერ დაფუნებულ ქვეყანას ყოფნა არ უწერია.

ნუ შემოვწყურებით მოკეთებებს — ცხოვრების ჭირვეულობით დაბნეულებს. უძლებ შეილება ვიგულოვით ერთუთრი, რათა გავახართ მაშაზეციერთი. დროსა საქართველომ მოიძიოს ყველა უბედურების მიზეზი და მაშინ განათდება ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. განათდება და მერე როგორ!

7. — ღმერთმა აუხდინოს საქართველოს თქვენი თვალთ დანახული ხვალისდელი დღე-ბედნიერი!

— ამენ!

თ ა ვ ი მ ა ნ ს უ თ ი

1989 წელი

დიდი წინააღმდეგობის შემდეგ მიღწეულია საქართველოში დაფუძნდეს ძველმართლმადიდებლური ეკლესია და დაარსდეს მისი გაზეთი „ღვთიური გზა“.

იქმნება რელიგიური ორგანიზაცია „საღვთო კავშირი“.

გამოვიდა გაზეთი „ღვთიური გზის“ პირველი ნომერი.

თ ა ვ ი მ ა მ ა ქ ვ ს ა

მიმართვა სრულიად საქართველოს

(გაზეთი „ღვთიური გზა“, 1989 წ., №1)

— ზღბი და სამეფო, რომელიც არ დაგემორჩილებს, დაიღუპება და ეს ზღსები განადგურდებიან“ (ეს., 60, 12).

1. ერი ღვთის განჩენილია და ცხოვრობს ღვთით ბოძებულ სახელმწიფოში. ამიტომ ორივენი მაშინ არიან კურთხეულნი, როცა იღვწიან დანიშნულების მიხედვით. „ღვაწულში“ იგულისხმება მხოლოდ ღვთიური კანონებით ცხოვრება და არა თვითნებური ქმედება.

2. გონება, რომელიც არ ეთანხმება ღვთიურ კანონებს, როგორც ღვთიური სიბრძნის უარმყოფელი და კაცობრივის მიმყოლი, შეუდგება რისხვას.

3. ერის საღვთო სამსახური ეკლესიით იწყება: ეკლესია ერის სულია, მისი სიკვდილი სულის დაკარგვას ნიშნავს.

4. ეკლესიის მომაკვდინებელი სენი იყო და არის ერესი ანუ კანონისაგან განდგომა.

5. ყველა ქრისტეანმა იცის, რომ ნათლობის გარეშე არ არსებობს გადარჩენა; ამდენად, იგი ვალდებულია, გაისიგრძეგანოს რამდენად შეესაბამება მისი ღვგვანდელი ქრიტეანული ყოფა კანონიკურად დადგენილ მართლმადიდებლურ ნორმებს და მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი ქრიტეანი, ვინც იცხოვრებს დანიშნულების მიხედვით — განირიდებს ყოველგვარ საცდურს, რათა დაიბრუნოს უკვდავება.


პრესბა ელდას!



ღვთიუკნი ბუნა

ღიღაბა მალაღთა შინა ღმერთს,
მეფანასა ზაღა მშვიღრობა და
კაბთა შორის სართობა!

საქარტველის ქველ მართლმადიდებელთა საღვთო კავშირი



აქაი თეზაბის ნახილი.

6. მისასალმებელია ერისათვის თავდადებული მამულიშვილის მოღვაწეობა, მაგრამ არაკერთხული თავდადება უკვდავებას ვერ მოისადაგებს, რადგან სიცოცხლის გაუცნობიერებლად გამგებება სასჯელს უფრო იმსახურებს, ვიდრე უკვდავებას.

7. ერის ეროვნული ორიენტაციის დაკარგვის მიზეზად ეზრა წინასწარმეტყველს ლეთიური კანონების გაუქმება მიაჩნია (3 ეზრ., 14, 20-21).

8. ერის უბედურების მიზეზად კი — რელიგიური სწავლების ორთოდოქსული სახის ცვალებადობა (3 ეზრ., 7, 23-25).

9. ესაია წინასწარმეტყველი გვაფრთხილებს: „...წაიბიღწა მიწა მის მკიდრთა ქვეშ, რადგან განუღგენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატეხეს საუკუნო აღთქმა. ამიტომ წყველა ჭამს მიწას. დაისჯებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ გადაიხუტენ მიწიერნი და მცირედნილა გადარჩინენ“ (ეს., 24, 5-6).

10. თუკი ერმა მთელმხარების სულიდან განკრთობა იან ინდობა, ღვთის სასჯელი თანდათან დამძიმდება.

11. მცირერიცხუნება როდია უბედურება; ურჯულოება — აი, ქვეყნის მოსრვის მიზეზი. მრავალი უგუნური ხელყოფს ლეთიურ კანონებს და ერს საკუთარი ნებით იმეტებს დასაღუპავად.

12. თუკი მიგვანია, რომ მტკიცედ უნდა ვიცავდეთ წინაპართა ტრადიციებს, კეთილი ვინებით და მართალ წინაპართა ნაკვალევზე დაუდგეთ, როგორც ეს გააკეთა აღმაშენებელმა, როცა უარყო ადრინდელი, უკვე ფსევდადგმული უსჯულოებანი და მართალ წინაპართა რჯულისკანონს დაუქვემდებარა იმდროინდელი საეკლესიო ყოფა, რის შემდეგაც საქვეყნოდ აღიარეს:

13. „ეს არის წმიდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ ჰგრობა მართებს ყველა ქრისტიანული მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდელუბ-

სა და დიაკვნებს, ჩვენ შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას. ჩვენ ეს ყველაფერი იმიტომ ვასხენეთ, რომ თავიდანვე ჩვენი სიტყვის სახე განემარტოთ“.

14. ამას მოხდევს დავით მეფის ქებათა ქება და კურთხევა ყოველთა წმიდანთა, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდება:

15. ასე ვიტყვი: ყველა მწვალებელი შერჩენებულ იყოს, ყველა მართლმადიდებელი კურთხეულ იყოს, ყველა მართლმადიდებლის წელი მრავალნი იყვნენ.

16. ყველა მართლმადიდებლის ხსენება საუკუნო იყოს. ყველა მწვალებელი საუკუნოდ შერჩენებულ იყოს, ყველა მწვალებლის საუკუნო იყოს (ყველა და დაუსრულებელი შერჩენება“ (მეფე დავითის მონაზონი არსენი).

17. რჯულისკანონის გამწრულებელი ვერი ერეტიკოსია და, ჩვენდა სამწუნაროდ, ერეტიკოსები არც ჩვენს ერს აკლია.

18. ისე როგორ დავეცით და გვიღია მთელმხარების სულმა, რომ ვერ ვარკვეთ, ღვთის რისხვაა ჩვენს თავს თუ ღვთის მადლი? ღრმად დარწმუნებული ვართ და გვჯერა საკუთარი ნაღვანის სრულფასოვნებისა, მაგრამ, აბა, მოვიძიოთ ამ ღვაწლის ტოლფასოვანი ხაზლური.

19. სიბრძნე ორგვარია ქვეყანაზე — ხალხთისმოსო და ამქვეყნიური, საღვთო სიბრძნის მკადაგებელი ღმერთთა, ხოლო ამქვეყნიურისა — ეშმაკი; იგი განუნრელად მოითხოვს სწავლას, მაგრამ არასდროს არ ავიხსნის, რა არის უმთავრესი.

20. ღმერთის წინააღმდეგ აღმდგარი ეშმაკი კაცთა მოდგმაზე იძიებს შურს და მძინვარებს საკბილოს დანატრებული ბუერი აღამიანიც გაიჩინა მოკაემირედ და ასლა ერთიანი ძალისხმევით უტყვენ კაცობრიობას. როგორ დავიცვათ თავი?

გაზეთი „ლეთიური გზა“

21. ცეცხლითა და მახვილით ემშაკს ვერ ძლეუ. მისი დასათრგუნავი იარაღი მხოლოდ ეკლესიაა. ამიტომაც ბრძანებდნენ წმიდა მამები, ვინც ქადაგებს ეკლესიის გარეშე გადაარჩენას, წყევლიაო, და ემშაკიც სწორედ ეკლესიაზე ზემოქმედებით ცდილობს ადამიანების გადაგვარებას.

22. ამ მიზნით მოხპო კანონიკური ნათლობა, რის გამოც დაირღვა ყველა სხვა დანარჩენი საეკლესიო საიდუმლო. არ არსებობს ნათლობა? არა გვეყავს მფარველი ანგელოზი, რომელიც ნათლობით გვიკავშირდებოდა.

23. არ არსებობს ნათლობა? არ არსებობს სამჩინიანი იერარქია — მღვდლობა. და, თუკი არა გვეყავს რეკულიერი მღვდელი, ვინდა მოგვიტყვოს ცოდვები?

24. აი, ასე მოკლა მსოფლიო ქრისტიანული ეკლესია კანონების გამრუდებად.

25. როდის იფურჩქნება ემშაკისეული საქმენი? მაშინ, როცა ღვთიური კანონები გაუქმებულია, სწორედ ამიტომ ზეობენ ემშაკეული ყოველი: მკითხავნი და ჯადოსანნი, მზაკარნი და ვარსკვლავთმრიცხველნი, ექიმბაშებად წოდებული მეწამლეები, გამომძალველები, ექსტრასენსები, მისნები და მათდაგვარნი, რამეთუ ღვთის მფარველობას განრიღებული კაცობრიობა ემშაკის ლუკმაა.

26. დღევანდელი ადამიანებს უკვირთ — ლოცულობენ, შესაწირავს გაიღებენ, გალობენ, პირჯვარს ისახავენ, ეზიარებიან, ემშაკი კი მანინც ვერა და ვერ დაუძლევიათ; დაუძლევიათ კი არა, ისე იმძლავრა, ლამის დაბინავდა ქრისტიანულად წოდებულ ოჯახებში, დაუკავშირდა მათ.

27. არაფერია გასაკვირი: ემშაკს ნამდვილად შეუძლია — მიიღოს ადამიანის სახე.

28. მას შეუძლია არა მარტო სიზმრისეული, არამედ ცხადლივ წარმოსახვაში დაამყაროს სექსუალური კავშირი ქალთან. იგი

ამ დროს უკრძალავს ქალს სხვა მამაკაცთან ქორწინებას სშირად ქმარს მოაკვდინებს და ეუფლება ქერივს, რის შემდეგ იყენებს მას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად.

29. ოჯახში დამკვიდრებულ ამგვარ სულებს რუსები „დამაგოებს“ უწოდებენ.

30. რაც უფრო დაცემულია ოჯახი ზნეობრივად, მით უფრო ხელსაყრელი პირობაა შექმნილი ემშაკისათვის, ადამიანი ყიდის სულს და ემშაკთან დებს ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულებას. სულგაყიდული ადამიანის საბოლოო სამყოფელი გეგენის ვარგარებაა.

31. აი, თუნდაც ექსტრასენსები: ისინი კეთილშობილ მკურნალად მივიჩნიეთ, დიდი ფსიქიკური ენერგიის დაგროვება ხელეწიფებათო. ეს ძალა მათ ჭეშმარიტად გააჩნიათ და მიმართავენ კიდეც თავიანთი ნებისამებრ. მრავალნი ამტკიცებენ, რომ ეს ძალა ღვთიურია, მაგრამ ეს სიცრუეა;

32. ღმერთი თავის ძალას მხოლოდ ღვთის მონას აძლევს. არადა, რა სიწმილისათვის უბოძებდა ღმერთი სხვათა განკურნების ძალას იმ ადამიანს, რომელსაც საკუთარი სული ვერ განუკურნავს და ცეცხლისათვის გამზადებულია?

33. ასევე დიდი ძალებით არიან შემოსილნი თანამედროვე ოკულტიზტები, რომლებსაც „წინასწარმეტყველებს“ უწოდებენ. მათ უდავოდ ძალუძთ წარსულისა და მომავლის შეცნობა, მაგრამ რითი განსხვავდებიან ვანგა და სხვა მისნები ჭეშმარიტწინასწარმეტყველთაგან? მათ ბევრი იცინან, მაგრამ უმთავრესეუ დუმან.

34. არა აქვთ ჭეშმარიტი ნათლობა, რის გამოც მათთვის დაზმულია სასუფეველის კარი. ჭეშმარიტი წინასწარმეტყველნი უპირველესად უმთავრესს აუწყებენ კაცს.

35. ნუთუ მათ საკუთარი სულის გადარჩენა არ სურთ? დიას, მათ არ სურთ ეს, რადგან, ემშაკთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, სული გაყიდული აქვთ; იმის ნაცვლად, რომ საოჯახოებთა გამზადებული საკუთარი თავი დაიტბორონ, სხვათა სამკვლად იწვდიან ხელს.

36. ასეა, უპატრონო ქვეყანას ეშმაკები დაეუფლნენ; თეატრებად გადაქცეულ გლეხობაში შეუძლებელია მაღლით შემოსვა, ვინაიდან ამგვარ ველესიაში არც მფარველი ანგელოზია და არც ხელდასხმული სჯულიერი მღვდელი. გალობა და ზარების გუგუნნი რომ შევლოდეს ამ დაღუპულ ქვეყანას, მაშინ, იცოცხლეთ, იოლად გადავირჩენდით სულს.

37. მეტი სიფხიზლა საჭირო, როცა კაშპიროესკი, ჩუმაკი და სხვანი ჩვენგან ნდობასა და მორჩილებას მოითხოვენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებით გაუდოთ სულის კარი ეშმაკს, ხოლო ამის შემდეგ აღარც ის უნდა გაგიკვირდეთ თუ თქვენი სული კარგავს ძლიერებას, სიმშვიდესა და სათნოებას.

38. ირწმუნეთ, მათი ეშმაკისეულობა ვლინდება თუნდაც მათ ტაკიძასხარობაში. ამ აღამიანებს ტაძარში შესვლის უფლებაც კი არა აქვთ.

39. ნურავის გაუკვირდება საუკუნის მიჯნაზე ამგვარი აშკარა სატანიზმი. ეშმაკის მეფობის ბოლო ჟამია და ამიტომაც ჩქარობს იგი; ახლოვდება მისი ბასჯელი.

40. ეშმაკი ასეთი ძალმოსილებით ვერ შეიძლება „ღვანულს“, რომ ქვეყანაზე ღვთის კანონი არ გაუქმებინათ. სიბერიისგან დაუძღურდა საუკუნე, როგორც ამას გვაუწყებს ეზრა წინასწარმეტყველი. უფრო და უფრო გამრავლდა მის მკვიდრთა ბოროტებანი. უფრო და უფრო შორს წავა ჭეშმარიტება და მოახლოვდება სიცრუე (3 ეზრ., 14, 16).

41. თუ ვინმე დაირქმება ჩვენი ეკლესიების ეარგისიანობას, მაშინ „ლაზარე“ გაცოცხლებულა და შესდგომია თავის საქვეყნო მისიას, ანდა სულაც არაფერი ჭირვებია გასაცოცხლებელი და არც ეზრას ჰქონია სათქმელი:

42. „აჰა, მე წავალ, როგორც მიბრძანე - და გამზილებ ამჟამინდელ ხალხს, მაგრამ კვლავ ვინც გაჩნდება, მათ ვინ გააფრთხილებს? რადგან წყვდიადში იმყოფება ეს წუთისოფელი და ნათლის გარეშე არიან მისი მკვიდრნი.

43. რადგან დაიწვა შენი რჯული (კანონები) და არავინ იცის, რა შეიქმნა შენგან, ან რა უნდა აკეთონ, მაგრამ, თუ ეპოვე შენში წყალობა, მოავლინე ჩემზე სულიწმიდა და აღვწერ ყველაფერს, რაც კი შექმნილა ამ წუთისოფელში დასაბამიდან, რაც შენს რჯულშია ჩაწერილი, რომ შესძლონ აღამიანებმა ბილიკის პოენა და იცოცხლონ, ვისაც კი სურს სიცოცხლე უკანასკნელ დღეებში“ (3 ეზრ., 14, 19-22).

44. ბილიკი ნაპოენია, დიდება უფალს! საჭიროა გავლა ამ ბილიკზე, ესე იგი, ღვთიური გზაზე შედგომა და მტკიცე სვლა; ესაა გზა, რომლითაც ქვეყანაზე თვალნათლივ უნდა ჩნდეს ღვთისმშობლის ქვეყნის შვილთა წილხვდომილება.

როგორ ყოფამია დღევანდელი ქართული ეკლესია?

თითქმის სამი საუკუნეა აქ ირღვევა რჯულისკანონი. გამეფებულია ერესი.

45. საქართველოს დღევანდელ სულიერ მოძღვარს ილია მეორეს მემკვიდრეობად ერგო დაწესდებულებული ეკლესია, ამიტომაც შეუძლებელია, ქართულ ეკლესიაში არსებულ დარღვევებზე პასუხი დღევანდელ პატრიარქს მოეთხოვოთ. ისიც უნდა ვთქვათ: დაშვებული შეცდომების გარანდვა ილია მეორეს დროზე ადრე რომ ენებებინა, რუსეთის ეკლესიის მამამთავარი ამის უფლებას, ალბათ, არ დართავდა, რადგან ქართული ეკლესიის სინათლე გამოაშკარავებდა რუსული რეფორმატორული ეკლესიის სახეს;

46. ამდენად, საქართველოს ეკლესიის მამამთავარი იძულებით უნდა მიჰყოლოდა მის ნება-სურვილს და დალოდებოდა შესაფერის დროს. და აი, ეს დროც დაგვიდგა; დღეს, როცა, ღვთის წყალობით, საქართველოს ეკლესიას თავისივე თავი უკვე თვით ეკუთვნის, გულანთებულ ქართველსა და

ბავთი „ღვთიური გზა“

ქრისტეს ერთგულ შვილს არაფერი უნდა აბრკოლებდეს, ახსნას ერს სამსახურეოვანი ერეტიკული უღელი და აზიაროს იგი ღვთისებულ მართლმადიდებლობას, ზოლო ჩვენ, ჭეშმარიტი ქრისტეანები, მოვალენი ვართ, გვერდით დაეუდგეთ ერის სულიერ მოძღვარს, რათა კელაე გაბრწყინდეს ღვთისმშობლის ტაძარი ადრინდელი ქრისტეანული ჭეშმარიტებით ერის სვებდნიერი ყოფისათვის.

47. ვიცით, საქართველოს ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები ზოგნი აშკარა ანტიქრისტეები იყვნენ, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ ეკლესიისათვის შელანძლიერი კადრების შერჩევით კიდევ უფრო შეეღაზათ ხალხში მისი ავტორიტეტი. რესპუბლიკის დღევანდელი ხელისუფალნი ზომ ცდილობენ, დაუსხლტენ ეშმაკს და ხალხთან ერთად იღვანონ ღმერთის სადიდებლად. ამის დასტურია უამრავი გაუქმებული ტაძრის აღორძინება საქართველოში. ის თანადგომა, რასაც ისინი გამოხატავენ დღევანდელი რელიგიური ცხოვრების ასაღორძინებელი საქმიანობით.

48. მიცვალებულთა გამცოცხლებელ ქრისტეს გაუჭირდებოდა ცოცხალი ადამიანის მოკვდინება? მაგრამ ბრძენი მშობელი ძალას შვილთა დასათრგუნად კი არ იყენებს, არამედ უშიშრად შედის უღირსთა სადგომში, რათა ეშმაკს გამოჰკლიჯოს მოტაცებული შვილები. ოთხმოცდაცხრამეტს დაუტევენ და იმ ერთ უმცირესთაგანს დაედვენება, რომელიც მგელს უკვე სანახევროდ შთანთქმული ჰყავს.

49. რატომ იღვანდა ქრისტე ამგვარად? — კაცთა მიერ მოძულებულ მის შვილებს პატრონად რომ გასჩენოდა. სწორედ ამ სიყვარულმა გაუადვილა ჯვარცმა.

50. ჩვენც ვიყოთ მოყვარულნი, თუკი ქრისტეს შვილებად ვგულებობთ თავს. თავ-

განწირვას თუ ვერ შევძლებთ, ხელი მაინც გავეწოდეთ განწირულს.

51. ღვთის შვილების რისხვით გამცხრილავი, კარგად ვიცით, რომ ანტიქრისტე იქნება ბოლო ჟამს. ბიბლია კი გვახსენებს: იგი არს უღირსი მწყემსი, ცრუ ბელადი, დავრდომილ ცხვარს კი არ უმკურნალებს, არამედ კარგს, გამორჩეულს მიირთმევს.

52. და სწორედ ამიტომაც უბრძანებს მას არსთა გამრიგე: მოიხსენი გვირგვინი, უღირსო ბელადო, მიეცი იგი დამცირებულს (იგულისხმება ქრისტე).

ღმერთს, ღმერთს მივბაძოთ და არა ეშმაკს. მას მახვილი გამოუტანს განაჩენს. ბეწვი არ უნდა ჩამოვარდეს არც ერთ ქართველს თავიდან, მათ არ უტარებიათ ქრისტეს უღელი და ვერც მოვთხოვთ დიდად პასუხს. ჯერ დაიდგან იგი და მერმე იქნება სასწაულიც ვინილოთ — შეიძლება გავეჯიბრონ კიდევ ქრისტეს სიყვარულში.

53. ჭირი იყო და არის; ჭირს რა დალევს ქვეყანაზე და მით უმეტეს მნებლებობისას. როცა სახლში წვიმა ჩამოდის, ოჯახის პატრონს საზრუნავი უჩნდება. ამ დროს ზოგი დიასახლისი მთელ ძალ-ღონეს სველი იატაკის წმენდას შეაღვეს, სხვა კიდევ დაზიანებულ სახურავს გამოაცვლევინებს. ვერც ერთ მათგანს ოჯახის ორგულობას ვერ დაეწამებთ, მაგრამ უფალი ადამიანს მხოლოდ საზრიან ღვანულს უფასებს. ამოა ჯაფა ღვთის წყალობას ვერ იმსახურებს; საჭირთა გულწრფელი აღსარება:

54. ჯერ ქართველების მიერ მოკლული ქართველები დავეტიროთ. გენბავთ, ბენზინის რიგში ცეცხლსმიცემულნი.

ასვე დავეტიროთ წარსულში ოქროზე გაყიდულნი.

დავეტიროთ ზოგ უკანონო მეფეთა ტახტის დაცვას შეწირული ქართველები.

55. ასვე დავეტიროთ რომის პაპის კარზე კათოლიკობის მოწადინე მეფე-დიდებულეების მიერ გაყიდული მართლმადიდებლობა და, ბოლოს, ჩვენზე ხელით გაყიდული საკუ-

თარი მიწებიც, რის შემდეგ ისღა დაგვრჩენია, ვიგოლოთ დამსახურებული რისხევისა გამო. უდღეური შეილი ნოესაც გამოერია და ჩვენ რა დაგვილევდა, მაგრამ ნუთუ არ დადგა დრო, მოვიძიოთ უმთავრესი, რომლის დაკარგვამ წაწყმიდა ქვეყანა და მიწა გაუპოხიერა უკეთურებას.

56. ირწუნეთ, ვერაინი გადურჩება ღვთის რისხვას, როცა მოიხსნება აპოკალიფსისის მეექვსე ბეჭედი (ბაბილონის დაცემა). იგი ისევე განურიდებელია, როგორც განურიდებელი გახდა კატაკლიზმები წინარე ბეჭედების მოხსნისას. რაში მდგომარეობს სამუდავათო არჩევანი?

57. უნდა გვახსოვდეს, როცა უფალი ერის დასჯას ბრძანებს, თუ გონსმოსული ერი დროულად მოიძიებს მონანიების სიბრძნეს და კვლავ აღუთქვამს განრიდებული ჭეშმარიტების ჰერობას, ღმერთი ცვლის სასჯელს.

58. უამი კარსაა მომდგარი: ახლა, როგორც არასდროს, ისეა საჭირო ერის, ბერისა და სასულმწიფო მოღვაწეთა შეთანხმებული მოქმედება.

ერთუროს ნუ ეუყვებთ ერთი ქვეყნის შეილები!

59. დღევანდელ ქვეყანაში სადავე მმართველთა ხელშია, ძალა — ერში, ყოველი წამი ძვირფასია. საჭიროა ერთიანი ძალისხმევით შევუდგეთ სამზადისს ერის გადასარჩენად. საფიქრალი ყველას ერთი გვაქვს: უბედურება კარსაა მომდგარი.

60. სამშობლო ხომ მოხებულთა ჩვენთა სამყოფელია.

ვის რად უნდა სამშობლო, უკეთუ ერი გაიწირება.

61. ნუ შეეფერხებთ ცხოვრების რიტმს. ეს ყველაფერი ხელს შეუშლის ზემოთ მოხსენიებული საკითხების დროულად გადაჭრას.

62. ნურც მიშველი ხელების იმედად დაერჩებით, მაგრამ ნურც უმთავრესი დაგვაიწყდება — ღმერთის გული თუ ვერ მოვიდეთ, დავიღუპებით.

63. გაფრთხილდით! თვალის ჩინივით მოუარეთ ერთუროს; არავის უნდა გამარჯვებული სამშობლო ბედნიერი შეილების გარეშე.

64. ნურვის ჰგონია, თუ კაცს ანაფორა არ აცვია და ხელში დროშა არ უჭირავს, სხვაზე ნაკლები მამულიშვილია. როცა ღმერთმა ნინევიის მოქცევა ინდომა, ხალხზე განრისხებულმა წინასწარმეტყველმა იონამ მათი დასჯა მოსთხოვა უფალს. მაშინ უფალმა მიუგო: „შენ ერთი აყირო დაგვენა, თუმცა შენ არ დაჯირგავს და არც გაგიზრდია. ერთი ღამის შეილი იყო და ერთ ღამეში გახმა (ეს აყირო გაგანია მზეს უჩრდილავდა იონა წინასწარმეტყველს, რომელიც ჭიას გადაუღრწია, რის გამოც იგი დამწუხრებულა. — ი. ი. — აბა, მე როგორ არ დამენანოს დიდი ქალაქი ნინევე, სადაც ასოციათასზე მეტი კაცია, ერთმანეთისაგან რომ ვერ განურჩევია მარჯვენა და მარცხენა...“ (იონ., 4, 10-11).

65. ჩვენც, ყველანი, ქრიტეს სხეულის ნაწილები ვართ. ქრისტეა ვაზი, ჩვენ კი მის ღეროზე გამოხსნული მტევნები. ყოველი მტევანი ქრისტეს სიცოცხლეა და ყოველი მტევნის სატკივარი ქრისტეს ტანის სატკივარია. ნურვინ ინდომებს მოკვეთას, ვაზის გასხვლა მხოლოდ ვაზის პატრონს ევალება და ეს პატრონი თვით მამა ღმერთია, ქვეყნის გამჩენი; მივბაძით ქრისტეს. სხვაგვარად უმოწყალოდ გავიწირებით.

66. ქართველთ ნაშიერნო, ნუთუ რომელიმე თქვეთაგანს დაგვიწყდათ, რომ ერთიანი იბერიის შეილები ხართ; იბერიისა, რომელიც დედა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად ქცეულა. ნუთუ არ დაფიქრებულხართ, რომ ამხელა დედამიწაზე ქრისტე ღმერთმა საკუთარ დედას წილად არგუნა არა იმ მიწა-წყლის შეილთა სამყოფელი, სადაც თავად იგი იშვა, არამედ უცხო ქვეყნის შეილთა სამკვიდრებელი — იბერია! რა სიყვითესათვის? ამას დრო გვიჩვენებს.

გაზეთი „ლეთიური გზა“

67. გახსოვდეთ! როგორც ღვთის არჩევანმა ცნობისათვის ახალ სიცოცხლეთა სამკურნალოდ ამ მიწა-წყლის შემოგარენში დაიკვირდა, ასევე ერგო ღვთისაღმსრულებელი მინიჭებული ქვეყნიერების ასაღორძინებელი ღვაწლი ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას. და თუ მაგანს ამ სიტყვებმა ღიმი მოჰკვარა, ჩვენც ისევე დავითმენით, როგორც ნოემ დაითმინა უკანასკნელ გამოცდამდე.

68. ღვთისაღმსრულებელ კეთილმოხილვებთან სარბოვლად მრავალი იღვანენ, მაგრამ ქვეყნის ხსენსა და სამომავლო კეთილდღეობის მსურველთ უნდა ახსოვდეთ უმთავრესი: საქართველოს ხელისუფლები დღე განიხილება მხოლოდ მოსალოდნელი მსოფლიო კატაკლიზმების კონტექსტში: გავისიგრძეგანთ აპოკალიფსისის სურათი მეექვსე ბეჭდის მოხსენისა და მხოლოდ ამის გათვალისწინებით ვიღვანოთ!

საქართველო და რუსეთი

69. ერის მცირერიცხოვანება არ ნიშნავს მონობის უღლის მარადიულობას; არარჯულისმიერი ყოფა — აი, მარადიული მონობის მიზეზი:

ვერ იქნეს ქრისტეს ჭეშმარიტი ბეჭდისა და რჯულის კანონების მიმყოფი ვერ კერპის მღვეარ ხალხთა მიერ ძლეული.

70. ვიცნობ ჩემი ერის ეჭვიან და მშფოთარე ხულს. ვიცი, თხის რქეს მიჩვეულ საქართველოს ეუცხოება ახლა შემოთავაზებული დედის რქე — ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა, მაგრამ დიდია ღმერთი და მისი განგება! არ დაყოვნებს რისხვა და მამის გაშიშვლებიან ცრუ წინამძღვრები, ძნელებლობის ყამს მოუწყეთ ერის წინაშე თავის მართლება.

71. ვის რას ვემართლებით, ჩვენზე მეუფების უფლებამოსილება ხომ ჩვენივე ცოდ-

ვების წყალობით ებოძა მებატონეს. ამგვარი განაჩენის გამოტანისათვის მოდევნე, უპირველესად, თავის თავს ედავოს და არა ღმერთს.

ბრძენი ვერ დაიბრძავენ თვალებს, საქართველო ჯერჯერობით რუსეთზე სამი ჭიპით არის მიკრული.

72. პირველი, ეს ის ჭიპია, რომელიც მტყიცედ შემორავავებს იმ ღობეს, რომელიც პანისლამიზმმა უნდა გაარღვიოს.

მეორე, ეს ის ჭიპია, რომლითაც ჯერ კიდევ უნდა იკვებოს საქართველომ, რამეთუ იოლად არა მიუშვან საბალახოდ.

მესამე, ეს ის ჭიპია, ანუ ის მთავარი სასიცოცხლო არტერიაა, რომელმაც მკვდრეთით უნდა ადადგინოს „ლაზარე“, ე. ი. ხელდასხმაგაწყვეტილ საქართველოს აღუდგინოს რჯულიერი მღვდელმსახურება, რომლის გარეშე ვერც სასიკვდილოდაა განწირული.

73. როდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სიმათლე ასეთია: დღევანდელ ერეტიკულ მსოფლიოში მხოლოდ რუსმა „სტარობრიადეცებმა“ შეინარჩუნეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა; მათი ხელდასხმის გარეშე ჩვენი ეკლესია ქრისტესთან ვერ დაბადებს, თუ არ გვეყოლება რჯულიერი — ხელდასხმული მღვდელმსახური.

74. „სტარობრიადეცები“ („ძველმართლმადიდებლები“) — ამ სიტყვის გაგონება დღემდე აფრთხობთ თავად რუსებს; „სტარობრიადეცები“ ჩვენსავით ბოლომდე გამეტებული და მოძმისაგან სისხლდასთხეული რუსებია. საკუთარი მძის მოღალატე რუსს საქართველოში რა დააბრკოლებდა, ეთახსირა და ექურდა ან ეკლესიებში ფრესკები გადაეღება. ამგვართაგან შეჭირებულნი განა ყველანი ჩვენი მოყვანნი არ არიან? როგორც აბოსათვის არ უკითხავს ქართველს გვარიშვილობა, არც იმ რუსისას იკითხავს, რომელიც თვით ბარბაროსი რუსის მოძალადეა და თანაც ქრისტესათვის წამებული.

75. რუსეთთან ურთიერთობის სრული გაწყვეტა მრავალი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა ძნელად გადასატრევი პრობ-

ლუმის წინაშე დააყენებს საქართველოს. მაგრამ ეს სრულიად არ იმშნავს, რომ საქართველო მარადიული მონობისათვის არის განწირული; რუსეთზე საქართველოს დამოკიდებულება, თუ ქრისტეანული რჯულის ენაზე ვისაუბრებთ, განპირობებულია იმით, რომ დღეუბანდღე საქართველოს, რჯულდიდან განდგომის გამო, არ გააჩნია სათნოება უფლის თვალში. მსგავს ვითარებას ჯერ კიდევ რუსურბნისის კრებამ გაუსვა ხაზი. კრებაზე აღინიშნა, რომ ურჯულოების გამო ერმა „შერისხულ მონათა მონობა მოუტანა თავს“.

76. ასე რომ, როცა საქართველო დაიბრუნებს ჯერ სამოციქულო ხელდასხმას და შემდეგ — ღვთის მორჩილებას, ე.ი. როცა ერი ღმერთის წინაშე სიწმინდით შეიმოსება და ღვთის მფარველობას შეიძენს, მაშინ უღმერთო სახელმწიფოებსა თუ ხალხებთან ურთიერთობა არამტუთ საქირო, არამედ ფრიად შეზღუდული და მრავალ ასპექტში აკრძალულიც კი იქნება.

როგორ მოვიქცეთ?

77. ჭიკის ზომ მაშინ გადაჭრიან, როცა ბავშვი საშოს მოსწყდება — დედის მუცელშივე ნუ ეცდილობთ სასიცოცხლო არტერიის გადაჭრას.

ყველაფერს თავისი ყამი აქვს, მხოლოდ უგუნური არ დაგიდევთ დრო-ყამს. როცა იუდეველებმა ქრისტეს უთხრეს: გამოუცხადე ხალხს შენი თავი, რას იმალები, ხვალ ზომ პასუქია იუდეველთაო, ქრისტემ უპასუხა: თქვენთვის მუდამ დროა, ჩემი კი ჯერ არ დამდგარაო; გონიერთათვის ყურადსაღებია ეს სიბრძნე!

78. საქართველოს მუდამ გულდიად მიუღია ქრისტესათვის თავდადებული სხვა ტომის შვილები, ეს ნათლად ჩანს ქართველთა და რუსთა ურთიერთობიდანაც:

79. ა) ღირსეულთათვის საუკეთესო ქაღწულები მიგვითხოვებია და, ამრიგად, სიძე შვილად მიგვიღია.

80. ბ) საქვეყნოდ ცნობილ მოღვაწეთათვის საკადრისი გვირგვინები დაგვიწნავს.

81. გ) ქრისტესთვის წამებულთათვის სანთლები დაგვინთია.

82. დ) მათი სამშობლო, როგორც საკუთარი მიწა-წყალი, ჩვენი სისხლით მოგვირწყავს და დაგვიცავს.

83. მაგრამ რად უნდა ეწყინოს იმ რუსს, თუ უღმერთობისათვის, მოღალატეობისათვის, გარყვნილებისა და ყაჩაღობისათვის ამგზედრებივართ; განა იგივე მანკიერებისათვის საკუთარი შვილებიც არ დაგვითრგუნავს?

84. რუსეთს ვუქვებთ იმ ქრისტეანულ შემართებას, რითაც საუკუნის მიჯნაზე ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა შეინარჩუნა. გაძაგებთ იმ რუსებს, რომელთაც თავიანთი შვილები რეფორმატორული ეკლესიის მიუღებლობის გამო გაუწირავთ და სისხლში მოუგუდავთ.

85. რა გვეთქმის საკუთარზე? განა კანდელი მაშინ არ კანდელიობს, როცა შიგზეთი ასხია და ცეცხლი უკიღია? მიცვალებულ „ლაზარეში“, ამ სიცოცხლედაკარგულ კანდელში, ჯერ ზეთი ჩავაბრუნოთ, აღვადგინოთ გაწყვეტილი ქიროტონია (ხელდასხმა) და შემდეგ ავანთოთ კანდელი საქვეყნო ნათელებისათვის.

86. შეისმენს თუ არ შეისმენს საქართველო ამ შეგონებას, ნაბრძანები მაინც უნდა აღსრულდეს. ბევრი მოძალადე მოწყდება და ეს იქნება სამწუხარო, რამეთუ ამაოდ ჩაივლის მათთვის რისხვის შემდეგ მკვდრეთით აღმდგარი „ლაზარეს“ სიხარული.

87. გონიერება!

ჭკვიანი ცოფიან ხარს ველზე გაჭრის წინ წითელი ნაჭრის ფრიალს არ დაუწყებს. მხოლოდ მოთმინებითა და რწმუნით გადავრჩებით, ამას შეგავგონებს ქრისტე. ეძლიოთ ამპარტყენებას!..

გზეთი «ლეთიური გზა»

88. ვინც არ ირეკდეს, მას არ განეხეხვას კარი და ვინც არ ითხოვდეს, დარჩეს იგი ხელმოცარული; კვლავ ვიქნებით ლამაზი ოცნებებით გულანთებულნი, ისე მიახარებთ ერთმანეთს ტრადიციულად: ჩვენთან არს ღმერთი! მაგრამ მიცვალებულ „ლაზარეს“ მოუწევს ქრისტეს მეორედ მოსვლამდე დათმენა!

89. დაიჯერეთ, „ლაზარე“ ითხოვს დროულად აღორძინებას! დაიჯერეთ, ჩვენთან ჯერ არ არის ღმერთი! კმარა ლამაზი, გამაბრუებელი ლოზუნგები! ღმერთის თანადგომა ერის სეკეთილობაში ვლინდება.

90. ბევრი გვიწოდის ამჟამად ხელს, მაგრამ ნუ დაგაეწივლებათ უმთავრესი:

ვულკანის ამოფრქვევის წინარე გაცემული თამასუქები ვულკანის ამოფრქვევისთანავე უქმდება. ნაკლები იმედი ვიქონიოთ სხვათა გამამხნეებელი შემოახილებისა. ქალაქი არ დარჩება დაუნგრეველი, — გავხსენებთ აპოკალიფსისი. რა ვიღონოთ?

91. ა) პირველ რიგში, სამსაუკუნოვანი ერეტიკული ზადისა და მწიკლოვანების განრიდება საჭირო.

92. ბ) სასწრაფოდ ვიბრუნოთ პირი სოფლისკენ.

93. გ) ყველას, მოყვარეს თუ მტერს, კვლავ მივაგებთ ჩვენული სიყვარული. მივენდოთ ლეთიურ განჩინებას.

94. დ) ფსკერგავარდნილ ხომალდზე ოქროსთვის დავა არ დირს — დაველოდოთ უფლის ნებას — თუ ვის რას შეარჩენს.

95. ე) ქარის მიერ გატაცებულ ბუმბულს არ სჭირდება სულის შეტერვა; დღეს რაც ხდება, უფლის ნებით ხდება. ამიტომაც კრუხებმა მოუსხბეს თავ-თავიანთ წიწილებს, რამეთუ მესიის მეორედ მოსვლისას ყველა წიწილა დედის ფრთის ქვეშ უნდა იყოს შეყუყული.

96. უფალმა ბრძანა და როგორც მუცლის ნაყოფი ფამის დადგომის შემდეგ წამითაც

არ შეყოვნდება, ასევე აღსრულდება მისი ნაბრძანები, საშინელ სამსჯავროზე ყველანი თავ-თავიანთ მიწაზე უნდა შეხვდნენ მესიის მოსვლას.

97. როცა ბრძოლის ველზე მედროზე ეტემა, დრომას სხვა აიტაცებს ხოლმე; აი, სწორედ ამ ყოფაშია დღევანდელი ძველ-მართლმადიდებლური რუსული ეკლესია — გასდის დიდების ყავლი. ერთადერთი ეკლესია შეინარჩუნა გამჩენმა. დანარჩენი ძველმართლმადიდებლური ეკლესიებიც წაიქცნენ რეფორმატორული ეკლესიების მიბაძვით.

98. როგორც სიმონი შემორჩა ერთადერთი იუდას მართალი და ღვთისმოსავი, ღირსი უფლის ხელში აჯანისა, ასევე ერთადერთი მართალი ეპისკოპოსი ბრწყინავს სადღესოდ მთელ დედამიწაზე. და ის არ დაეცემა, ვიდრე ხელში არ აიყვანს საქართველოს პირმშო ეკლესიას, როგორც სიმონი.

99. და მაშინ ისიც განაცხადებს, ვითარცა სიმონი: აწ მიუტევებ მონასა შენსა, მეუფეო, თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით. რადგან იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი, — გაცოცხლდა ლაზარე, საქვეყნო გამობრწყინებას იწყებს დედა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა!

100. სიბრძნე! სიბრძნე და სიბრძნე! დროულად დაედოთ უფალთან მონანიებისა და მორჩილების აღთქმა. ისმინე, საქართველო, ის, რაც შენ დღეს გაგიმზილეს, სხვას ხვალ ეუწყება!

საქართველო და აგარაანელნი

101. ორი კაცი არ შეიძლება ერთი იყოს. ამიტომაც მიეცა ყველას საკუთარი გონება, რათა თითოეულმა საკუთარი ნებელობით შეირჩიოს ან სამოთხე, ან წარსაწყმედელი. ამიტომაცაა ყველა თავისი ბუნების შესატყვისი რელიგიის შესაკუთრე.

102. აგარიანელთა სამყარომ მაჰმადის რჯული ინება, ჩვენ ვინებეთ ქრისტეანული; ან უფალმა განსაჯოს ჭეშმარიტება? აქ ჩვენ რჯულზე არავის ვედავებით.

103. ქართველი არავის ამხედრებია რჯულის გამო. 2600 წელი იუდეველს უცხოვრია მის გვერდით. საქართველოში არასოდეს აღუმართათ ხელი სინაგოგაზე, არც მეჩეთის კარი დაურაზავთ. ეს იმიტომ, რომ ქართველი კაცისათვის კანონი იყო ბიბლიური შეგონება:

104. „ჩიტს ნუ დაუნგრევ ბუდეს“.

„შენს მიწაზე ჩამოსახლებულს ნუ შეავიწროვებ, შეიყვარე მძასავით“.

აი, ის ძირითადი ღვთიური ფორმულები, რომლითაც გვიცხოვრია სხვადასხვა რჯულის აღმსარებელთან ერთად.

105. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს: მაშ, რამ შეცვალა ქართველები ასე, ჩვენი სახლები (თურმე არაკანონიერად აშენებულნი) რომ დაანგრისონ.

დაიჯერეთ, ეს ქართველი ხალხის ჩადენილი როდია, ეს მის დაბნეულ ხელისუფლთა ნაღვაწია, რომელთაც არც ქრისტე სწამთ და არც მუჰამედი; იმ მთავრობისა, რომელსაც ერის წინაშე ერთგულებისა და გმირობის წარმოსაჩენად ეს ყოვლად გაუმართლებელი მოქმედება დასჭირდა.

106. ეს ის მთავრობაა, რომელმაც საკუთარ შვილებს უგანა. ნურც თქვენ გაიკვირებთ, მხოლოდ ამდაგვართ ხელეწიფებოდით ჯერ მიწები გაყვიდათ და შემდგომ ამ მიწებზე აშენებული სახლები დაენგრიათ.

107. უღმერთოთა საქციელის გამო ნუ შემოსწყრებით ღმერთშემოსილ ხალხს; განუგარძოთ კეთილმეზობლური ცხოვრება; იმ ცოლელი მმართველთაც შეუწოდოთ, ემპაისიგან ცდუნებულთ, რამეთუ ისინიც ადამის ნაშვირნი არიან და მათაც ერთი გამჩენი ღმერთი ჰყავთ ჩვენსავით.

ღმერთი იყოს ყველას მფარველი. ხვალინდელი დღენათელისათვის.

—და თქვენც, ამ მიწის შვილებო!

108. უღმერთობის შემთხვევაში შეიძლება შეგრჩეს დანაშაული, მაგრამ ახლა მაინც ხომ დავიჯერეთ, რომ ამ ჩვენს ქვეყანას არსთა გამირვე ღმერთი ჰყოლია პატრონად. ნათქვამია, სხვისი გაბზარული ქოთანიც რომ მიითვისო, ამის გამოც დაისჯებიო.

109. ისიც უნდა გვახსოვდეს, უწმინდური აღწევს წარმატებას თავის ბინძურ საქმიანობაში, მაგრამ ღმერთს იგი დაუსჯეული არ დარჩება. თუკი მოსწრებაზეა ცხოვრება, მაშინ ადამიანი ცხოველად ქცეულა; მერედა, გვეპატიება ამგვარი დანაშაული ღვთის გაჩენილებს? ყოველი ჟამის დასაწყისი და დასასრული განა უფალმა უკეთ არ იცის? ღვაწლის მიხედვით რომ მოვისადაგოთ სამართადუმო სასუფეველი ან წარსაწყმედელი, გამოსაცდელად წინ დაბრკოლების ქვას დაკვიდებენ ხოლმე; ვისაც ეს ქვა დაეცემა, გასრესს, ხოლო ვინც მასზედ დაეცემა, დაიშხვრევა. წარღვნის წინ მრავალი თუ ხომალდი, მაგრამ ღმერთმა მხოლოდ ნოეს კიდობანს მოჰმადლა მშვიდობა.

от Епископа Московского древлеправославных христиан старообрядцев ФЛАВИАНА

ЗАЯВЛЕНИЕ

Вход N 5384/1 15.11.1988 г.

33. На протяжении 7 лет я, Епископ Московский Флавиан, являюсь

настоятелем храма во имя "СВЯТАГО НИКОЛЫ ЧУДОТВОРЦА".

В течении всего этого времени, взирая на жизнь епархии, а особенно, в последние годы, самовольность Ново-зыбковской архиепископии в отношении неприкосновенного закона Божьего заставило меня задуматься, так как она стала терять истинное древлеправославное лицо.

Я неоднократно имел разговоры, которые часто переходили в споры в отношении нарушений канонических правил, однако все мои увещания оставались тщетными.

34. На Соборе, состоявшемся в г. Новозыбкове с 19 по 21 октября 1988 г. я обличил антиканонические действия и явное еретичество руководства ново-зыбковской архиепископии, которые выражаются в следующем:

1. Нарушен состав изготовления просфоры.
2. Применении несоответствующаго вина для причастия.
3. Вместо крестообразного помазания во время крещения - ставят точки.
35. На Совете Епископов мною было высказано возражение об отлучении и лишении сана епископу пермскому ЛЕОНТИЮ и священника НИКОНОРА, так как канонических нарушений за ним нет. Однако мое возражение было отвергнуто.

Проанализировав Соборное решение и сверив с правилами СВЯТЫХ ОТЕЦ, которые гласят:

36. "ВСЕЮ СИЛОЮ И ВСЕЮ МОЩИЮ ДОЛЖНЫ СУТЬ АРХИЕПИСКОПИ И ЕПИСКОПИ, ИМЕТИ СТРАЖЕУ О СВЯЩЕННЫХ КАНОНАХ БОЖЕСТВЕННЫХ ПРАВИЛ ПОРУЧЕНО ВО ЕСТЬ ИМ ТВЕРДО СОБЛЮДАТИ Я, ДА НИЧТОЖЕ ОТ НИХ П Р Е С Т У П А Е М О Е, И ЗАНЯТИЕМ ПРИМЕНУЕ-

გაზეთი „ღვთიური გზა“

ПОДШИБЯКИНУ В.Г.

ОТ ПРИХОЖАН ДРЕВЛЕ-ПРАВОСЛАВНОЙ СТАРООБРЯДЧЕСКОЙ ЦЕРКВИ

ЗАЯВЛЕНИЕ

"Верующие - это советские люди, трудящиеся, патриоты и они имеют полное право достойно выражать свои убеждения".

М.С.ГОРБАЧЕВ

მო, ნი იზჭკანიემ ოსაქვლემო. ვ ო ო ნ დ ე ნ ლ ე ვ მ უ კ ა ზ ო ნ ე ზ ი ზ ო ო ბ ო დ ე თ (კორმჩა ლისთ 25 ოთ ჯაპოვებქ სვათქ ოთეც ო სოქრანენი ისთინნქ ჲრავილქ).

37. ვიდა თვრდოე ა ნოქოლბიმოე ერსთიქო ნოვოზბოქოვსკოი არქიეპისკოქი ა Ბრინქ რეშიენო ოთქი ს ო გ ლ ა ს ნ ო ჯ ა კ ო ნ ა ოთ ოპრავლენქ არქიეპისკოქი ა Ბრისოდინქ კ ო სთინნქმ Ბსლედოვატელმ დრელეპრავოსლავნო ოქენქა ოპისკოქოქო Ბერმსკოქო ლეონტიო ა სვათქსნიქო ნიქონორო, ოსოვქვაქა Ბრავილა სვათქლ ოთეც დუკრატნო Ბომესთო Ბობორო, Ბრავილო 15:

38. "აღე ეე ნეჩი ოთსუქტ ოთ ნეოქოგო ოპისკოქა ნე გრეხოვნაგო რადი იზევა, Ბო ჯა ერ ს ჯ ე Ბ ო, ოთ Ბობორო ოქი ოთ სვათქლ ოთეც ნევედოქო სუჯო, თაკოვნი ოქესთი ა Ბრინქა დოსთინქა სუქ, Ბოქ Ბრავოქერნი".

39. ანლა იხილეთ Ბერმის ოლქის ეპისკოპოს ლეონტის ბრალდება არქიეპისკოპოს გენადისადმი წარდგენილი, რომელიც ათი ქალაქისა და ოცი სოფლის მრევლის თანხმობით ეუწეა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე ხარჩევს, ასლი გადაეცა კავშირის ძველმართლმადიდებელთა საქმეების ინსპექტორ პოდშიბიაკინს და Ბერმის ოლქის რელიგიურ საქმეთა რწმუნებულ სუქორონს:

40. პრედსედატელო სოვეთა Ბო დელამ რელიგიქ Ბრ სოვეთე მინისტროვ სსსრ ხარჩევე კ.ი.

კოქია ოპოლნოქოქენნოქო Ბო დელამ რელიგიქ Ბრ სოვეთე მინისტროვ Ბო Ბერმსკოი ობლასთი სუვორინუ ნ.ფ.

კოქია ინსექტორო Ბო დელამ რელიგიქ Ბრ სოვეთე მინისტროვ სსსრ Ბო დელამ სთაროობრქდჩესთვა

41. ვ პერიოდ გლასნოსთი ა დემოქრატია, Ბოქდა Ბოქლქმ თრედოქმ ისპრავლქოქა რანნეე დოქუქსენნქ ოშიბქი 30-ქ ა Ბსლედოქოქლ Ბოდოვ, Ბო ოსმელქს ოპროვერგნუქ Ბრავდივოე თრებოვანიე Ბოროდა.

ოსოვნიქა Ბიწა Ბიწენნიქა ართერიქა Ბლქწაქსთა სთაროობრქდჩესკოე Ბრისთიანსკოე ვეოისქოვედანიე, Ბსლედოვატელო Ბოქორო Ბოსთი სთანი Ბრედქი. ვო-ვთოროი Ბოლვინე 17-გო ვეკო, Ბარქ ალექსეი მიქაილვიჩ ა ნიქონ Ბატრიარქ ჯადუმალქ Ბერერეჯქთა Ბუთა Ბიწენნიქა ართერიქო Ბოქდა ვ Ბოქრე Ბოქვი ოუოქალა Ბქსა რუსქ. ნექოთორქ Ბოქიდალქ დედე როდინუ ა ნა Ბუბჩინს ნაქალქ ისქარქ Ბრისთინიქე. ნე ოდუვილქნო, თ.ქ. დლქ Ბერუოქოგო Ბელოვეკო როდინა ნაქიწაქსთა Ბოთ Ბოქიქა, Ბოქორქი გლასთ: "უბოქსქ Ბოგო, Ბთი Ბარქა (პრავიტელსთო)".

42. Ბოსლე ობრავოვანიე სოვეტსკოი ვლასთი დანო Ბილქ Ბოთ კონსთიტუციონნოე Ბრავო სვობოდი Ბიბორო Ბიბოგო ვეოისქოვედანიე ა ნა ოსოვანიე სეგო Ბოქონო Ბი Ბოსთანოვილქ დრელეპრავოსლავნიუ იერარქიუ.

ნა Ბრთქიწენი 40 ლეტ სოქოიქნიქა რელიგიოქნიქა Ბიწენი Ბოქდა Ბოთ Ბოქოქოწოქ სუბოქ Ბარსქიქ დესპოთიქმ. ვ დელა დრუქლ რელიგიოქნიქლ თექენიქ Ბი ნიქოგდა ნე Ბმეშივალქს. Ბლქეოქ Ბო Ბლქე Ბილქი, Ბოროლქს ა თრუდილქს Ბო Ბლადო Ბიწიქა როდინოქ.

43. На всемирном праздновании 1000-летия крещения Руси было отмечено геройская деятельность Древле-православной церкви на ниве митротворчества и это весьма похвально. Однако, на этом фоне пренебрежение к вверенной пастве, а так же к ПРАВИЛАМ СВЯТЫХ ОТЕЦ со стороны Новозыбковской епархии привело к возмущению народа, создался повод для раскола в селе ГРИГОЛЕТИ Грузинской ССР, что и до сегодняшнего дня является причиной вражды между верующими. Несмотря на неоднократные предупреждения, увещания, самочинство и самоволие Новозыбковской епархии продолжалось. Зная, что "ДОСТАТОЧНО И ОДНОГО БЕЗЗАКОНИЯ, ЧТОБЫ НАРУШИЛСЯ ВСЬ ЗАКОН, т.к. ВСЕ ЗАПОВЕДИ СВЯЗАНЫ МЕЖДУ СОБОЮ" (Василий Великий).

"АЩЕ ЧТО И МАЛО УКЛОНЯЙСЯ ОТ ПРАВОСЛАВНЫЯ ВЕРЫ ЕСТЬ ЕРЕТИК".

(Кормчая, стр. ХМА оборот).

44. "ИТАК - БРАТИЯ, ОСТАНЕМСЯ ПРИ СЕБЕ И БУДЕМ ВЗИРАТЬ НА СВЕТ ИСТИНЫ И СВЯЩЕННЫХ ПРАВИЛ, ТВЕРДО СОБЛЮДАЯ ДОГМАТЫ".

(Федор Студит, часть I).

45. "ХРИСТИАНСТВО СОСТОИТ ИЗ ДВУХ ПРИНОДЛЕЖНОСТЕЙ, ТО-ЕСТЬ ИЗ ВЕРЫ И ДЕЛ И ЕСЛИ НЕДОСТАНЕТ ОДНОЙ КАКОЙ НИБУДЬ, ТО ДРУГАЯ НЕ ПРИНОСИТ ПОЛЬЗЫ") Федор Студит, часть I, лист. 188).

46. Учитывая вышеуказанные постановления Святых Отец и игнорирован со стороны Новозыбковской епархии сих постановлений в конечном исходе вызвало волну возмущения Пермского прихода и его пастырей, в лице Епископа Леонтия и священника Никонора, вследствие чего прихожане и

настоятели храма приняли единодушное решение - отойти от управления епархии. В связи с этим 6 июля 1988 г. было предъявлено письменное заявление в Новозыбковскую архиепископию об отходе за еретическое насаждение, которое выражалось в следующих пунктах:

47. 1. БРАДОБРИТИЕ
2. ВИНО НЕДОСЛАЩЕННОЕ
3. БОГОЯВЛЕНСКАЯ ВОДА
4. СОСТАВ ПРОСФОРЫ
5. МАСЛО-ПОМАЗАНИЕ
6. УМОВЕНИЕ УСТ
7. О СОБОРЕ

48. руководство, которое потеряло авторитет и доверие, не может удовлетворить духовные потребности народа. Категоричское требование прихожан, которое состоит из 10 городов: Соликамск, Красновишерск, Пермь, Тбилиси (ГССР), Климов, Брянская область, Чермос, Березники, Усолье, Яйва, Большая Уса и 20 селений Пермской области заявляют, что управление Новозыбковской епархии для нас неприемлемо. Епископ Пермский ЛЕОНТИЙ и священник НИКОНОР являются теми авторитетами, за которыми следует народ, и мы верим в их правдопорядочность.

49. Гласность и подлинная демократия дает нам возможность смело предъявить наше правдивое требование. Надеемся на ГОСПОДА и возлагаем большие надежды на объективность и принципиальность нашего сегодняшнего представителя государства, ждем решения и глубоко верим, что просьба народа будет удовлетворена.

Требуем зарегистрировать и принять нас на учет, как самостоятельное ответвление ИСТИННОГО ДРЕВЛЕ-ПРАВОСЛАВНОГО учения.

გაზეთი „ღვთიური გზა“

Приложение: 1. Разъяснение канонических расходов. (ამ საკითხებზე განმარტება იხილეთ ქვემოთ სტატიაში „დაუმარცხებელი სიმართლე“).

2. Подпись прихожан.

დასკენის გამოტანა პატროსანი მკითხველისათვის მიგვიწვდეთ.

50. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“:

„გადაეწყვიტეთ ქართველ საზოგადოებრიობას გაავაცნოთ ამ „ერთადერთი მართალი ეპისკოპოსის“, ანუ ძველმართლმადიდებელთა არქიეპისკოპოს გენადის წერილი, რომლითაც ცოტა ხნის წინ მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს, რომელშიაც იგი სთხოვს ჩვენი ეკლესიის მამამთავარს დაეხმაროს „მურთაზ (ანტონ) ჩახავას მხოლდიაზე მოქმედებების“ აღკვეთაში“.

51. როგორც დაინახეთ, ის ერთადერთი პატრიარქული ეპისკოპოსი, რომელზეც მე მქონდა მინიშნება, გენადი არ გახლავთ; საუბარი იყო პერმის ეპისკოპოს ლეონტიზე (რამდენად „მხოლდიაზე“ ვარ, ეს მათ უკვე იგონენ, ახლა კი ამისი საშუალება საქართველოს ურჩ მოძღვრებს ეძლევა. — ი.ი.).

52. როცა ძველმართლმადიდებელთა იერარქიის მამამთავარი, რუსი არქიეპისკოპოსი ასე მუხლმოდრეკით ემუდარება საქართველოს პატრიარქს, მსოფლიოს საეკლესიო საბჭოს ავტორიტეტის მოშველიებით არ დაგვართონება საქართველოში იბერიული, ძველმართლმადიდებლური ეკლესიის აღდგენისა, ადვილი გასაგებია, როგორ პიროვნებასთან გეჭონია საქმე გენადის სახით, ან რუსეთის როგორი „შვილობილი“ ვყოფილვარ მე!

53. ხომ ცნობილია, რომ მწერლის შემოქმედება შემოქმედის სარკვეა. მამ, ჩემს რომელ ნაწარმოებსა და ბიოგრაფიულ ნუსხაში ჩანს ჩემი რუსოფილობა და სულგაყიდულობა?

54. კვლავ „ახალგაზრდა ივერიელი“:

„ამავე წერილით ვებულობთ, რომ „სწორ ნათლობაზე“ თავგამოდებული მ. ჩახავა ხსენებული არქიეპისკოპოსის მიერ მღვდლობიდან განყენებული გონჩაროვისა და სკაჩკოვის მიერაა მონათლული“.

55. განვიხილოთ, რამდენად შეესაბამება წარმოდგენილი ბრალდება სიმართლეს.

56. 1975 წელს წერილობითი განცხადებით ვლიანურ ჩემი რელიგიურობა და გავედი კომუნისტური პარტიის რიგებიდან, რის შემდეგ მე და ჩემი ოჯახის წევრებმა გადაეწყვიტეთ, ჩამოგვეშორებინა აღრინდელი, ერეტიკული „ნათლობის“ მწიკვლოვანება სამოციქულო კანონით, რაც განვაზოციველეთ იმავე წელს. აი, დოკუმენტი:

57. В 1975 году, 19 ноября приняли крещение ЧАХАВА МУРТАЗ ШОТА-ЕВИЧ, он же ИОАНН, с женой и двумя детьми в старообрядческой, древле-православной церкви Покрова Божьей матери в селе Григолетги Ланчхутского района священником Федором Ганчаровым при Архиепископе Павле, о чем свидетельствуем прихожане вышеуказанной церкви:

58. 1. Священник. Гончаров, Ф. Акиндинович

2. Широков Федор А.
3. Широкова Зинаида И.
4. Шатохин Фидот Н.
5. Тимофеев Ф. А.
6. Широков Илья А.
7. Шаталов Ф.Н.
8. Евсеев Леон Ф.
9. Гончаров Иосиф Ф.
10. Скачкова П.В.
11. Аралов Александр Г.
12. Бандеровский Тимофей Г.
13. Беззубов Мартин Ф.
14. Елесютяков Георгий И.
15. Катранов Филипп Н.
16. Ермаков Фсдор И.
17. Скачков Леонтий Е.
18. Скачков Федор Л.

59. „ჯვარი ვაზისას“ რედაქციის მუშაკები, ანუ საპატრიარქოს წინამძღვრები იუწყებიან:

„არათუ მართლმადიდებლური ეკლესიის, არამედ სექტანტური გაგებითაც კი არ ითვლება მონათლულად (იხ. წმ. მოციქულთა კანონები 31; 46; ლაოდის კრების კანონები — 13). („ახალგაზრდა ივერიელი“).

60. რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას ბრალდება, რომ თითქოს მონათლული ვარ უფლებამოსორთმეული მღვდლის მიერ, ამის საბუთად იხილეთ შემდეგი დოკუმენტი:

61. Господи Благослови!

Федору Акиндинвичу Гончарову, бывшему священнослужителю храма в г. Льгове, Курской области, проживающему в г. Поти, Грузинской ССР, ул. Малтаква, дом 43.

Копия: Уполномоченному Совету по делам религии по Грузинской ССР.

Копия: Уполномоченному Совету по делам религии по Курской области.

Копия: Секретарю Ланчутского Райисполкома.

Копия: Секретарю Горисполкома г. Поти.

Копия: Председателю Исполоргана церкви г. Льгова.

Копия: Настоятелю храма села Григоleti, Грузинской ССР священнику Скачкову Л.Е.

62. Уважаемый Феодор Акиндинович!

Сколько раз я не старался Вас убедить, просил, предупреждал и устно и письменно, но все мои старания оказались бесплодными, учитывая скудость священнослужителей, я до сих пор ожидал, что Вы все же образумитесь и станете на истинный путь священнослужителя. На словах вы обещали не нарушать священные Правила, даже написали письменное подтверждение, что Вы признаете

священноначалие Архиепископа и что без епископа нет ни Церкви и нет спасения, но все оказалось ложным, Вы все больше и больше погрязаете в тину нарушения Законов Церкви Христовой.

63. Руководствуясь Правилами: 10, 31 и 53 св. Апостол; 31 и 80 6-го Вселенского Собора, 12 Двукратного Собора; 6 Гангрского Собора и 2 Сардинского Собора ОБЪЯВЛЯЮ ВАМ, ЧТО ВЫ С 1 НОЯБРЯ 1980 ГОДА ЗАПРЕЩЕНЫ ВО ВСЯКОМ СЯЩЕННОДЕЙСТВИИ "Аки гнилый уд".

Все священнические облачения и священно-служебную утварь сдайте в церковь.

Старообрядческий Архиспископ
(ГЕННАДИЙ)

Новозыбковский, Московский и всяя Руси древле-православных христиан старообрядцев.

64. როგორც გაირკვა, გონწარვისათვის ჩემი ნათლობიდან სუთი წლის შემდეგ აუყრიათ სამღვდლო პატივი (რამდენად სამართლიანად, ამაზე შემდგომში გვექნება საუბარი).

65. ეს სკაჩკოვი კი სულ ტყუილად შემოგელანძლათ, ის არც მღვდელი იყო და არც ეპისკოპოსი, მაგრამ საპატრიარქოს ომორმავერ შემლო თავის შეკავება და სკაჩკოვის „ეისკაქა“ ამოხინა. მკითხველთან ბოდიში მომიხდინა „ჯვარი ვაზისას“ რედაქციის ამ ფარგონული ფრაზის ციტირებისათვის. დამეთანხმებით, ალბათ, როგორც წვეთ წყალში აირეკლება მთელი ოკეანე, ასევე ნათლად ჩანს ამ სიტყვიდან საპატრიარქოს დღევანდელი საკრებულოს სახე...

66. იხეე „ახალგაზრდა ივერიელი“:

„იოდრე ხსენებულ ბარათს გავცენობოდეთ, საგულისხმო იქნება მკითხველს ჩანავა-ნარ-

გაზეთი „ღვთიური გზა“

მანასა და მათთანათა კიდევ ერთი „შეგონება-წინასწარმეტყველება“ შევახსენოთ:

„გაეუმხელ საშველს ისრაელს და შენც იხმინე, სომხეთო, და ყურად იღე, საქართველო! ეს არ იქნება მთლიანი ხსნა, რამეთუ შეგონება იგი მთლიანად არ იქნება მიღებული, საშველიც იმდენი ვეწიოთ, რამდენიც ყურად იღოთ საღვთო გაფრთხილება“.

67. ჭკუანი კაცი, ალბათ, ჰკითხავს არცთუ იოლი საქმის ასე რიხიანად განმცხადებელს, ამას რა უფლებამოსილებით იქმო? ფეხში კი არ ხწვდება, ხათქმელს ყურს მიუგდებს. ხე განა ნაყოფით არ იცნობა? თუკი სიძარითლე მითქვამს, გამიხარებია ერის გულე, თუ ხიცრუე — დამანახეთ ჩემი ხიცრუე. მე ვინა ვარ, რომ არ მაძაგოთ, მაგრამ გახსოვთ, ალბათ, ზედმეტი პატრიოტული ერთუზიანებით შეპვრობილ ებრაელებს როგორ შემოაკვდათ ხელში თავიანთი წინასწარმეტყველი ესაია: შუაზე გადახერხეს.

68. ზოგს სახელი არ მოეწონა ჩემი. აინტერესებთ, მურთაზ ჩანასა რანირად გახდა იოანე. ახლავე მოგახსენებთ.

თქვენნიარი ნათლობის მქონე რომ ვიყავი, მაშინ ანტონი, ენის წვერზე მომდგარი სახელი, თქვენნიარმა მოძღვარმა დამარქვა, ხოლო როცა ჩამოვიშორე იმ ძველი ნათლობის ზადი და მწიკვლოვანება, სამოციქულო კანონის მიხედვით, რკულიერმა მღვდელმა უწინარეს დაბადების თვე და რიცხვი იკითხა ჩემი, რის შემდეგ გაშალა წიგნი წმინდანებისა და მაუწყა: 17 დეკემბერს (ძვ. სტ. 4 დეკემბერი) დაბადებულისათვის ღმერთის იანუ უწოდებია. მაღლობის მეტი რა მეტქმის გამჩენისათვის, არც თქვენ შემომიწყრეთ იმის გამო, ღმერთმა ჩემისთანა უღირსს რომ ასეთი სახელი აჩუქა.

69. წინასწარმეტყველი რომ ყოფილიყავი, რა ხეირს დამაგრდით ვითომ? ისიც ჩემსავით გამხელდათ ხიცრუეში, თქვენ ისევ

თქვენსას დაიჩემებდით, არ იქნებოდა ჩანასა, იქნებოდა სინარულიძე, თქვენთვის რა? რატომ არ უნდა რგებოდა გამარჯვება იოანეს სახელით მოხულ ჩანასას, თუკი ის ჭეშმარიტებას იღადადებდა? გახსოვთ, ალბათ, როგორ დაიწუნეს ებრაელებმა იოანე ნათლისმცემელი იმის გამო, რომ ის იღაა წინასწარმეტყველი არ იყო; მთავარი ის კი არ არის, ვინ მოდის და ვისი სახელით, არამედ — რა სურს და რას ქადაგებს. სამეფო კარს ჭყავდა და ყოველთვის ყოვლება მამამებელნი, მაგრამ ბრძენი მეფე ჭეშმარიტებით მამხილებელს უსმენდა.

70. უკოლნიარობის გამო გჭირთ, ალბათ, როცა ამბაკუმსა და მისნიარ ძველმორწმუნეებს, იმათ, რომელთაც დღემდე შეურყვნელად მოიტანეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა თავისი წეს-ჩვეულებებით, არამართლმადიდებლად და გამთიშვლებად მიიჩნევთ, ხოლო მოძალადეთ — ნიკონ პატრიარქსა და მისნიართ, რომელთაც ძველმართლმადიდებლური ტრადიციული ყოველი წესი — პირვერისწერიდან დაწყებული, მეტანიების, ლოცვების, ქორწინების და ასე შემდეგ, 106 მუხლით დააშორეს კანონიკურ სწავლებას, — მართლმადიდებლად რაცხთ, რადგან საერთო გაოვიათ მათთან; ვწუნვართ დიდად, ასევე მშურად მოგაჩვენეთ ღვთის რისხვის გაყოფა მოძალადეებს, ჩვენ კი ისევ რკულისკანონს გაბეჭვებთ.

71. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“:

„მათი სითამამე უფრო შორს მიდის და ისინი იწუნებენ არამარტო „ჩვენი ეკლესიების ვარგისიანობას“ („ღვთიური გზა“), არამედ იტყვიან „დღეისათვის წარმართულ მსოფლიოში ... ყველა(!) ეკლესია ანათემირებულა, გარდა ერთისა“.

72. ყველაფერი რომ სულ ერთია, იმ კაცისთვის აქ არაფერია გასაკვირი, ოდენ ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა, რომელიც დიდ რკულისკანონს ეფუძნება, იცის, თუ რისთვის შეუყენეს ანათემას დასავლეთის ეკლესია 1054 წელს;

73. მხოლოდ მან იცის, რარიგად დაეცა საბერძნეთი ფლორენციის ყრილობაზე 1439 წელს; მხოლოდ მან იცის, რა ჭირი შეეყარა 1652 წლიდან რუსეთს, რა ჭირი შეეყარა საქართველოს, გნებავთ, თეიმურაზ პირველიდან მოყოლებული დღემდე. ეკლესია, რომელიც არ არის რჯულისკანონის მიმყოლი — ერეტიკულია.

74. ამდენად, მერწმუნეთ, მსოფლიოს არც ერთი ეკლესია: არც ქართული, არც ბერძნული, არც რუსულ-ნიკონიანური, არც სომხური, არც ებრაული, არც ვეროპულ-კათოლიკური არ არის დიდი რჯულისკანონის მიმყოლი. თუკი ვინმე იტყვის, ქართველებს გვაქვს უფლება შემოქმედებითად მიუდგეთ დიდ რჯულისკანონსო, მან ისმინოს დავით აღმაშენებლისა და რუის-ურბნისის წმიდა მამათა განწყობებიანი, სადაც ნათქვამია: წყეული იყოს ყველა მწვალებელი!.. (რუის-ურბნისის კრება, არსენ მონაზონი).

75. „გულანთებელი“ მამულიშვილნი განაგრძობენ:

„ქართველ ერს კი დედა სამოციქულო და მართლმადიდებლური ქართული ეკლესია ერთგულებას ჰპირდება კვლავაც და მასთან ერთად შეპლადადებს ცისა და ქვეყნის შემოქმედს“ („ახალგაზრდა ივერიელი“).

76. დიდებულად ნათქვამია, მაგრამ დედა სამოციქულო მამინ გვექნება, ჩვენი ეკლესია მოციქულთა წესებს რომ დაცავს, ხოლო თქვენნაირი ერეტიკოსები, კანონს გამოიჯნულები, მრავლად ჰყოლია საქართველოს ეკლესიას. ასე რომ არ ყოფილიყო, მამინ რა ცდომილებებს რანდავდა დავით აღმაშენებელი რუის-ურბნისის კრებაზე და რას ნიშნავდა: „ადრეაჩინეთ ქება ავაზაკთა“ და საბოლოო განჩინება ძეგლისწერისა.

77. დავით აღმაშენებლის დროინდელი სიწმინდით ნუ ნებივრობთ, დღევანდელ დიდ რჯულისკანონს გამოიჯნული ყოფის გამო იგლოვოთ, მამინ აგვიხილებათ თვალს მთელმარების სულით შეპყრობილებს და დაიჯერებთ, რომ ფეხბურთის მოედნებიდან და სა-

ტაკიმასხარაო ტაძრებიდან შემობრუნებულ საეკლესიო ელიტას წმიდა მამათა კანონები ჯოჯოხეთისაკენ უფროვე უტყვს გზას, ვიდრე ეკლესიისაკენ.

ყურადღება!

78. მოუნათლავი განწირულია! ყველა არასათანადოდ ნათელღებული უნათლავად რჩება!

ჟინც არ დაიბადება წყლისა და სულისა-გან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“ (ქრისტე).

კაცობრიობა ილუპება, ადამიანები ცხოვრობენ სიკვდილისათვის, დარღვეულია ნათლობის 50-ე კანონი!

79. არ არსებობს ნათლობა? არ არსებობს რჯულიერი მღვდლობა.

80. ქრისტე კი მღვდელმსახურებს მიმართავს:

„თქვენ ხართ მარილი მიწისა; თუ მარილი გამტკნარდა, რალათი დაამარილებ? აღარად ვარგა, თუ არა გადასაყრელად და კაცთა მიერ ფეხით გასათელად“ (მათ., 5, 13).

81. ღვთიური ჭეშმარიტება ასეთია:

„...ხალხი და სამეფო, რომელიც არ დაგემორჩილება, დაილუპება და ეს ხალხები განადგურდებიან“ (ესაია).

82. 1911 წლის გამოცემის მიხედვით დაბეჭდილ კატეხიზმოს სახელმძღვანელოში ნათლისღების ასეთი განმარტებაა:

ნათლისღება

83. „ნათლის-ღება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნე სხეულის წყალში სამ-გზის შთაფლავით და მოწოდებით ღვთის მამისა და ძისა და წმიდისა სულისა განიწმინდება ცოდვისაგან და მუროვდ იშვება ახალსულიერ ცხოვრებისათვის“.

გაზეთი „ღვთიური გზა“

84. ახლა კი იხილეთ იგივე წესი ნათლობისა საქართველოს 1987 წლის საეკლესიო კალენდარში დიდი რჯულისკანონის მიხედვით:

„თუ რომელიმე ეპისკოპოსმა ან მღვდელმა შეასრულოს არა სამი ნათლისღება (სქოლიოში განმარტებულია „ჩაყოფა“) ერთი საიდუმლოსი, არამედ ერთი ნათლისღებისა უფლის სიკვდილის მიმართ, განიკეთოს, რადგან უფალმა ასე კი არა თქვა, რომ „ჩემი სიკვდილის მიმართ ნათელ-ეცითო“, არამედ თქვა: „წადით და დაიმორჩაფთო ყველა წარმართი და ნათელ-ეცით მათ მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით“.

85. რას უნდა ნიშნავდეს „არა სამი ნათლისღება“, გაურკვეველია! ცნობილია, არსენ იყალთოელმა მეთორმეტე საუკუნეში ბერძნულიდან თარგმნა დიდი რჯულისკანონი. ბერძნულსა და სლავურში გარკვევით წერია: წყალში სამჯერ ჩაძირვა; სლავურშიც იგივეა ნათქვამი: „ტრი პოგრუჟენია“ — სამჯერ შთაფლვა, და არსად არც ერთი სიტყვა „ჩაყოფაზე“. მაშ, საიდან გაჩნდა ქართულში სიტყვა „ჩაყოფა“? ხო არ მოუსადაგეს ერეტიკოსებმა იგი თავიანთი ნათლობის წესს? ბატონ არჩილ მინდიაშვილს სურს, კანონიკური წესის საძირისპიროდ, ან, უკეთ, გასაუქმებლად, წარმოადგინოს უკანონო ნათლობის წესი „დიდაქედან“, რადგან დიდი ხანია ერეტიკული სწორი წესის მიმყოფი ქართული ეკლესიის პრაქტიკიდან ამოღებულია სწორი ნათლობა.

86. ვინაიდან „დიდაქე“ კანონიკურ წინადად არ ითვლება, იგი როგორც საეკლესიო სახელმძღვანელო, მიუღებელია მართლმადიდებლური საქრისტიანოსათვის. დაშვებულ ცდომილებათა დასაფარავად ზოგნი კვლავაც იშველიებენ არაკანონიკურ წიგნებს, რასაც კატეგორიულად კრძალავს დიდი რჯულისკანონი. როგორც კონსტიტუციამი მხოლოდ

მოცემული კანონები ფუნქციონირებს კანონიკური სტატუსით და სხვა წიგნებიდან მოტანილი დებულებები კანონად არ ჩაითვლება, ასევე მართლმადიდებლურ საქრისტიანოში მხოლოდ დიდი რჯულისკანონია საეკლესიო სამართლის კოდექსი და გარეშე წიგნებიდან მოტანილი საბუთები კანონად არ მიიღება.

87. იხილეთ მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრების მეორე კანონი: „ფრიად კეთილად და ყოვლად სასწრაფოდ ადვენს, ეს წმინდა კრება, რათა ამიერიდან მტკიცედ და შეუცვლელად დარჩეს ჩვენი სულისა და ენებათა საკურნებლად ჩვენს წინამორბედ წმინდა და ნეტარ მამათა მიერ შეწყნარებული და ჩვენთვის მოციქულთა სახელით მოცემული ოთხმოცდახუთი კანონი. ხოლო, რადგან ამ კანონებში გვემცნო ჩვენ წმინდა მოციქულთაგანავე კლიმენტოსის მიერ გადმოცემული განწესების შეწყნარება, რომელშიც ძველად სხვაგვარად მაღიდებულ მწვალებლებს ეკლესიის განსარჩვენლად ცუდი და კეთილმსახურებისათვის უცხო სიტყვები ჩაურთავთ, რითაც კეთილმშვენიერ საღვთო რჯულს აბნელებენ, მათ სამართლიანად ამოღებას ებრძანებთ (ეს სიტყვები ყურად უნდა იღონ დღევანდელმა გათამამებულმა მოძღვრებმა. — ი.-ი.) ქრისტიანული სამწყსოს განსამტკიცებლად.

88. არაფერი აქვთ საერთო მწვალებელთა გამონაგონსა და უცდომელ საკურთივ მოციქულთა მოძღვრებას (აქედან გამომდინარე, შეუძლებელია და კატეგორიულად აკრძალულია დიდი რჯულისკანონის გარეშე განწესებების კანონიკურად დადგინება. აქვე გრძობდება 9 ადგილობრივი და 7 მსოფლიო კრების, ასევე წმიდა მამათა: ბასილ დიდის, გრიგოლ კესარიელის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა კანონები, რაიც შემდეგი კატეგორიული განკარგულებით მთავრდება. — ი.-ი.)... ხოლო ზემოთ ხსენებულ კანონთა დამახინჯების ან უარყოფის ნება არავის აქვს.

89. აკრძალულია სხვა სიმართლის მტრებისა და კუმშარბიტების ვაჭრებისაგან ცრუ სახელით წარწერილი კანონების შეწყნარება.

ხოლო თუ ვინმემ ზემოთ ჩამოთვლილ კანონთაგან რომელიმეს დაშლას და დარღვევას ხელი მიჰყო, იგი უნდა დაისჯოს კანონის განჩინების შესაბამისად და რაც განსაზღვრულია, ის სასჯელი მიიღოს და მისგანვე მოიპოვოს მან კურნება იმისა, რაშიც ცდება“ (მე-6 მსოფლიო კრების მე-2 კანონი).

90. გარკვევითაა ნათქვამი: ის, რაც კანონით დადგენილია და არ სრულდება, გნებავთ, წესი ნათლობისა, სადაც მოწოდებულია სანათლაის სამგზის წყალში შთაფლვა, სხვას არას ნიშნავს, თუ არა კანონის დარღვევას. ბატონი არჩილ მინდიაშვილიც აღიარებს დღევანდელ ქართულ და მსოფლიო ეკლესიებში ნათლობის წესის დამახინჯებას მცონარობის მომიჯნავეთ; როცა ამგვარი „მცონარობის“ მიზეზით ირღვევა დიდი რჯულისკანონისეული განწესებანი, სასჯელი არ აყოვნებს. იხილეთ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა:

91. „ეს არის (ლაპარაკია დიდ რჯულისკანონზე. — ი.ი.). წმინდა საეკლესიო კანონთა კრებული, დატკეპილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე.“

92. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ პერობა მართებს ყველას ქრისტეანული მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდლებსა და დიაკვნებს, ჩვენს შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას. ჩვენ ეს ყველაფერი იმიტომ ვახსენეთ, რომ თავიდანვე ჩვენი სიტყვების სახე განვმარტოთ“.

93. ვინც არ ისმენს ნაბრძანებს, დიდი რჯულისკანონის მთარგმნელის არსენ იყალთოელისა მაინც ისმინოს:

„ყველა მართლმადიდებელი იყოს კურთხეული!

ყველა მწვალებელი შეჩვენებულ იყოს!...“

94. არა მგონია, რომ სექტანტები, ერეტიკოსები, რჯულისკანონს გამიჯნული მოძღვრები არ იყვნენ მოწილადე ამ რისხვისა.

ასე რომ, არარჯულისმიერად მონათლული არ შეიძლება იყოს მონათლული, ნათლობა ერეტიკულად ჩათვლება, ხოლო:

95. „თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა მიიღოს ერეტიკოსის მონათვლა ნათლისღებად ან მის მიერ შეწირული მსხვერპლი, მის განკვეთას ებრძანებთ, რადგან რა აქვს საერთო ქრისტეს ბელაბრთან (სატანასთან)? ან რა აქვს საერთო მორწმუნეს ურწმუნოსთან“ (მოციქულთა 46-ე კანონი).

96. ვინ არიან ერეტიკოსები? არასწორად მონათლულნი; არასწორად ხელდასხმულნი, უცხონი სარწმუნოებით, წეს-ჩვეულებების უარყოფელნი და კანონების შემლახველნი.

97. განმარტება: „მღვდელში“ იგულისხმება რჯულიერი მღვდელი, ე.ი. წყალში სამგზის შთაფლვით მონათლული და რჯულიერი ეპისკოპოსისაგან ხელდასხმული. არასწორად მონათლულებს თავიდან გადანათვისის უფლებას აძლევენ, რადგან აღრინდელ არაკანონიკურ ნათლობას ნათლობად არ უთვლიან; თუცა შესრულებული არ არის სამოციქულო 50-ე კანონით დადგენილი წესი, სამოციქულო 47-ე კანონი კატეგორიულად მოითხოვს გადანათვლას:

98. „თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა ხელახლა მონათლოს ჭეშმარიტად ნათლდებული ან განმეორებით არ მონათლოს ის, ვინც უღმერთოთაგან შემწიკვლულია (მათი ნათლისცემით), განიკეთოს, როგორც ჯვრისა და საუფლო სიკვდილის მოციტხარი, და არგამრჩევი მღვდელისა ცრუმღვდელისაგან“...

99. მხოლოდ სწორად მონათლულებს გააჩნიათ ქრისტეანული ჭეშმარიტი ბეჭედი, რომლის გარეშე სამოთხის კარი დასშულია. ამდენად, ბრძენია ის, ვინც ისმენს ქრისტეს სიტყვებს და იცხოვრებს დანიშნულების მიხედვით; დანიშნულების მიხედვით ცხოვ-

რება ღმერთისთვის ცხოვრებას ნიშნავს, ხოლო ვინც არ იცხოვრებს ღმერთისთვის, ის ვმშაკისთვის ცხოვრობს და კარგავს ღმერთს.

100. დამერწმუნეთ, არსად უბრძანებია ქრისტეს: ვინც არ დაიბადება ქვიშიდან და სულიდან, არამედ ბრძანა: წყლისა და სულისაგანო. ამდენად, იშვიათად მომხდარი ამბები არასოდეს არ უნდა ჩავთვალოთ საეკლესიო კანონად (ორგზისი წმ. დიდი კრების მე-17 კანონი). წყლისაგან დაბადება თავზე წყალპკურებას რომ არ ნიშნავს, ამას რა მტკიცება სჭირდება. ამიტომაც იოანე ნათლისცემელი სწორედ იქ ნათლადა ზალხს, სადაც „ბებერი წყალი იყო“ (იოან., 3, 23) და არა იქ, სადაც ფენის დასველება შემოიღებოდა.

101. რაც შეეხება იმას, რომ ნათლობა არსებობს ქვიშით, ცრემლით, ცეცხლით, სისხლით — ასეთი ნათლობა კანონიკურ წესად არ ითვლება. ასე რომ არა, მაშინ სისხლით ნათლობის წესის დანერგვას საეკლესიო ცხოვრების პრაქტიკაში მოწამებრივი სიკვდილის მიღება დასჭირდებოდა და დასახოცი იქნებოდა ყველა, ვინც კი ნათლობას ინებებდა.

102. დააკვირდით, როგორ მიიღებდა თავზე წყალპკურებითი ლათინური წესით მონათლულ კათოლიკებს არა ბატონი არჩილი, არამედ დავითისდროინდელი ეკლესია?

103. როგორც წესი, ანათემას გადაცემინებდა თავის მწვალებელურ ერესს, ე.ი. თავზე წყალპკურებით ნათლობას. შემდეგ, როგორც ცრუ, ე.ი. როგორც არარჯულისმიერი მღვდლის არაწესისამებრ მონათლულს, გადანათლავდა მოციქულთა 50-ე და 47-ე კანონების თანახმად, წყალში სამგზის შთაფლვით. რა თქმა უნდა, არც სანათლავე ემბაზის ძებნა დასჭირდებოდა დღევანდელ ჩვენს ეკლესიებს, ოდენ წარსული დიდების ნიშნად რომ შემორჩენიათ — ფუნქციამეცვლილი და შეურაცხყოფილი.

104. არსებობს ერეტიკოსთა სამი ჩინი:

პირველი ჩინის ერეტიკოსებად ითვლებიან ისინი, რომელთაც არ გააჩნიათ წყალში სამგზის შთაფლვით სამების სახელით ნათლობა (ეს ყველაზე მძიმე ერესია).

105. მეორე ჩინის ერეტიკოსები არიან ისინი, რომელთაც გააჩნიათ სწორი, მოციქულთა კანონისმიერი ნათლობა, მაგრამ დარღვეული აქვთ სხვა წეს-ჩვეულებები. გაეცანით მეორე მსოფლიო კრების მე-7 კანონს:

„...ისინი შეაჩვენებენ თავის შეხედულებებს და ყოველნაირ მწვალებლობას. შემდეგ მათ სცხებენ მირონს შუბლზე, თვალეზზე, ცხვირზე, პირსა და ყურებზე, მათ ეკლესია არ ნათლავს ხელახლა, რადგანაც ნათლისცემით ისინი არ განსხვავდებიან მართლმადიდებლებისაგან (ე.ი. მონათლულები არიან სამოციქულო 50-ე კანონით. — ი.ი.). რაც შეეხებათ სხვა მწვალებლებს, როგორც არიან ევროპიანელები, წყალში ერთხელ ჩაყოფით (ანუ შთაფლვით. — ი.ი.) ნათლულნი (აქვე იგულისხმება ყველა გუკუდმართებული ნათლობის მქონენი, რომლებსაც არ გააჩნიათ სამოციქულო ნათლობა. — ი.ი.).“

106. ისინი „თუ მოისურვებენ მართლმადიდებლობის აღსარებას, მიიღებიან, როგორც წარმართნი, ე.ი. მათ ნათლავენ კიდევ და მირონსაც სცხებენ“.

107. მესამე ჩინის ერეტიკოსები არიან ისინი, რომლებიც რაღაც მიზეზებით შემოსწვრენ თავიანთ ეპისკოპოსს და შექმნეს ცალკე საკრებულო, დოგმა და წეს-ჩვეულებები კი არ დაურღვევიათ.

108. როგორც ნახეთ, I ჩინის ერეტიკოსს თავიდან გადანათლა დასჭირდება. თუ საეკლესიო პირია იგი, კარგავს ჩინს. ნათლობის შემდეგ შესაძლებელია მიეცეს ხელდასხმა და აღდგეს თავისავე ხარისხში; მე-2 ჩინისას — მხოლოდ მირონცხება, სამღვდლო პატივი კი შეუნარჩუნდება; მე-3 ჩინისას მირონცხებაც არ სჭირდება და სამღვდლო ხარისხსაც უდავოდ ინარჩუნებს.

109. ბრძანდებით თუ არა კანონიერი წესით, ე.ი. მოციქულთა 50-ე კანონის მიხედვით მონათლული?

— თუკი ბრძანებით, ვარ ამგვარად მონათლულიო, მაშინ რატომ სხვანი არ აზიარეთ ჭეშმარიტ ნათლობას? თუკი იტყვი, არა ვარ წყალში სამგზის შთაფლვით მონათლულიო, მაშინ ქრისტეს წმინდა ნათლობით განბანვის გარეშე რანაირად მიიღეთ ხელდასხმა და როგორ გახდით ქრისტეან-მომღვარი? და თუკი მაინც თქვენი სიჯოჯობით დარწმუნებულად მღვდლობას, მაშინ რანაირად განერიდეთ მოციქულთა 50-ე კანონის რისხვას, რომელიც კატეგორიულად აცხადებს:

110. თუკი მღვდელმა დადგენილი წესის მიხედვით არ მონათლოს ვინმე, მით უფრო, თუ თავად არ არის მონათლული, განიკეთოს. თქვენ კი მხოლოდ თავზე წყალპკურებითი ნათლობის პრაქტიკა გაგაჩნიათ. რანაირად შეინარჩუნეთ მღვდლობა ზემოთ ხსენებული კანონის დამრღვევმა? შეიძლება კი მუსულმანს ქრისტეანული ნათლობის გარეშე ქიროტონია (ხელდასხმა) მიეცეს?

111. და თუკი არა, განა მუსულმანი და ქრისტეანული ნათლობის გარეშე დარჩენილი კაცი ორთავენი წარმართად არ ჩანან ღვთის თვალში? წარმართთა ღმერთნი კი, როგორც ბიბლია ამბობს, ეშმაკ არიან.

112. რაც შეეხება თქვენს მიერ „ღიდაქეს“ დამოწმებას, არც ერთ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე „ღიდაქე“ არავის უხსენებია. უნდა დამეთანხმოთ, რომ წმიდა წერილები და დიდი რჯულისკანონი თვით სულიწმიდის შექმნილია. ასე რომ არა, სად ჩანს სულიწმიდის ყოვლისმჭვრეტლობა, თუკი 1990 წლის მანძილზე „ღიდაქე“ წოდებული ეს საქვეყნოდ ცნობილი სიბრძნე დაუფარავს და მხოლოდ ახლა გამოუჩენია, როცა ქრისტეს მეორედ მოსვლაზე ორიოდე დღე დარჩა, სხვაგვარად მოაზროვნე საეკლესიო მოძღვრების ნათლობა რომ გაუადვილოს?

113. ასეთი მსჯელობა უსაფუძვლოა. ღმერთს ამგვარი ლოგიკა არა აქვს. ჭეშმარიტება კი ერთია: უკანონობის მოქმედთ ისე არაფერი აფრთხობთ, როგორც კანონი.

114. მხოლოდ ჭეშმარიტების მტერს შეუძლია დაუმალოს ეს უბედურების მიზეზი — გაწარმართება!

გვიკითხებით და გვიასუსხეთ: დარღვეულა თუ არა ქართულ ეკლესიაში ნათლობის სამოციქულო 50-ე კანონი?

115. თუკი იტყვი, არ არის დარღვეულიო, მაშინ ჩვენ ვეკითხებით არა საპატრიარქოს დამქაშებს, არამედ სრულიად საქართველოს:

რომელი თქვენთაგანია სამოციქულო 50-ე კანონის თანახმად წყალში სამჯერ შთაფლვით მონათლული? არავენი!

116. სწორედ აქ დევს საქართველოს უბედურების მთავარი მიზეზი და ამ ცდომილების გასწორებით დაიწყება ერის გაღვიძება და სულიერი სიცოცხლე.

საქართველოს ძველმართლმადიდებელთა საღვთო კავშირი ქრისტეანული დროის ჭეშმარიტებას ეროვნულ ძალებს და აძლევს რჯულისკანონისმიერ ორიენტაციას, რათა კურთხეულ იყოს ერის გადაწყვეტილება და არ ექვემდებარებოდეს იგი თვითნებობას.

მცირე განმარტება პირჯერის წერის თაობაზე

117. საზრიანი კაცი არ მოჰყვება იმის მტკიცებას, რომ სამი თითით პირჯერის წერას ჰქონდა უძველესი ტრადიცია, ხოლო ორი თითით პირჯერის მაწერალთა წესი გუშინდელი გამონაგონია.

118. გამოუცხადეთ ხალხს, რომელი თქვენი მოწინებელი წმიდა მამა იყო სამი თითით პირჯერის გარდამსახველი? ჩვენ კი

გაზეთი „ღვთიერი გზა“

გაბეჭდვით, თქვენი ერეტიკული სითამამის გამციცხავნი არიან:

119. კირილე იერუსალიმელის წიგნად წოდებული „ფსალმუნი“ ორი თითით პირჯერის წერას იუწყება (შესავალი);

წიგნი მაქსიმე ბერძენისა, თავი მე-40; ხტოგლაეის 1551 წლის დადგენილება, თავი 31; დიდი კატეხიზმო.

120. წარმოდგენილი საბუთები ძველთუძველესია და ნდობას იმსახურებენ. ნუ ახვეთ ხალხს ერეტიკული სწავლებით, თითქმისდა ორი გამოდილი და სამი შეკრული თითით შეიძლებოდაღეს მხოლოდ სხვათა კურთხევა და არა პირჯერის გადასახვა; კი მაგრამ, თქვენ ის სამი თითიც რომ გამდილი გაქვთ, რომლითაც სამებას მიანიშნებენ? იქნებ არ არის საჭირო სამების აღნიშვნა თითების წყობით? განა სამება და ქრისტეს ორი ბუნება თვით ლუკა მახარებელმა თავის მიერ შესრულებულ ტიხბინის ღვთისმშობლის ხატზე არ მიგვინიშნა მაცხოვრის მიერ შემართული თითებით?

121. ჯვარცმული მაცხოვრის სიმბოლური ბეჭედი არ შეიძლება ორნაირი იყოს. თქვენ ცვლით დადგენილს და უსრცხვილოდ ასაბუთებთ მის კანონიკურობას.

თქვენ გამოაცალეთ ადამიანებს ხელიდან ყოველთა სუპოსტასთა განსაღვნელი ღმერთის ტუშმარიტი ბეჭედი და თითის ქნევით მოუნდომეთ ეშმაკს დაშინება, რითაც ღმერთის მტერს ფართოდ მოუღიავეთ ტუშკარი კაცთა დასათრგუნავად.

მცირედი განმარტებანი „აღლეულიის“ შესახებ

122. „აღლეულია“ ანგელოზთა ენაზე ნიშნავს: „დიდება შენდა, ღმერთო“, იგი წმიდა სამების საღიდებელი ლოცვაა: მამის, ძისა და სულიწმიდისა.

ანგელოზები სამების საღიდებლად სამჯერად აღლეულიას აღავლენდნენ თავიანთ ენაზე. ძის იპოსტასის განკაცების პატივსაცემად ადამიანს მიეცა უფლება, მესამე, ე.ი. „დიდება შენდა, ღმერთო“, აღლეულია მშობლიურ ენაზე წარეთქვა. ამას ადასტურებს შემდეგი საბუთები:

123. ძველ წესდებაში, ღირსი მამის თედორე სტოდიელის დაწერილ ქარტიაზე ფსალმუნმეტყველების დასასრულს მოწოდებულია წარსთქვან: აღლეულია, აღლეულია, დიდება შენდა, ღმერთო, სამჯერადი მეტანიით.

124. მაქსიმე ბერძენი ბრძანებს, რომ ორჯერადი აღლეულია არის უძველესი საეკლესიო გადმოცემა, სამჯერადი კი რომის პაპის წესჩვეულება („მომორული სიტყვისგებანი“).

125. ასევე, იბერიულ ნახტვლ წიგნში „სულიის საზრდელი“ ნაუწყებია: აღლეულია, აღლეულია, დიდება შენდა, ღმერთო.

126. რეფორმატორული, ე.ი. ერეტიკული ეკლესიის მიმდევრები კი სამ აღლეულიას იტყვიან (მეოთხეს მშობლიურ ენაზე უმატებთ). როგორ გაიყოფა ეს თქვენი ოთხჯერადი აღლეულია სამებაზე ან რომელია სამებაში ის მეოთხე იპოსტასი, რომელსაც თქვენ მეოთხე აღლეულია არგუნეთ?!

127. კიდევ კარგი, არარჯულიერი მღვდლის მიერ შესრულებული საიდუმლოებანი ყალბია, თორემ უმძიმესი იქნებოდა ამგვარი უკანონობის შედეგები; მოსანათლავებს და ჯვარდაწერილებს ამბიონზე უკუღმა ატარებთ, მზის მოძრაობის საწინააღმდეგოდ, რათა წაღმა არ იარონ, არა? არაეინ კითხულობს თუ რა უბედურებას შეჰყრიან ცოლქმარს, როცა მათ ერთად ანათვლინებთ სანათლავს და მირონით ამოყვრებთ. ამგვარი ნათლობისას, გადმოდის რა მათზე სულიწმიდის მადლი, ცოლქმარი ღვთის წინაშე სულიერ დაძმად იქცევა, რის გამოც რჯულისკანონი მათ დაუყოვნებლივ განქორწინებას ბრძანებს („ნომოკანონი“, 211-ე მუხლი).

128. დაფიქრდით, რამდენჯერ მიგიციათ ასეთი ნათლობის უფლება და რომელიმე თუ განაქორწინეთ? ვინ მოთელის მხოლოდ ამ ერთს ცდომილებით რამდენი ოჯახი გაისტუმრეთ ჯოჯოხეთისკენ და რამდენს გაუცრუეთ იმედი.

129. ბუნების სტიქიას შემთხვევითობას ნუ მიეწერთ, იგი ღვთის რისხვაა, რომლის მიზეზებიც, უპირველეს ყოვლისა, უღირს მღვდელმსახურთა ცრუ ლეაწლში უნდა ვხედავთ.

**თვალსაჩინო ბრალდებანი
საქართველოს მოძღვართა მიმართ:**

130. 1) მოქმედი ეკლესიები ქცეულია სარკოფაგებად და სამარხებად. იატაკზე ახატავენ ჯერებს...

131. 2) ტაძრები გადაღებილია თანამედროვე პორნოგრაფიული „მხატვრობით“.

132. 3) მოქმედ ეკლესიებში ზოგან ფუნქციონირებს ტუალეტი.

133. 4) მარხვის დღეებში რთავენ ქორწინების უფლებას.

134. 5) ნათლობისას ცოლ-ქმარს მირონით ამოყვრებენ ერთმანეთთან.

135. 6) ქართველი მოძღვარნი რესტორნებში დაბრძანდებიან და ტკბებიან ვარიეტეს მოცეკვავე ქალთა ხელოვნებით.

136. 7) წვეულებებში ყანწით სვამენ ღვინოს, თამადაობენ მარხვების დროსაც...

137. 8) მართავენ მუშტიკრივს, ბილწსიტყვაობენ სატრაპეზოშიც კი. ეწვიან ახარტულ თამაშს, მრავლად არიან მხილებულნი უხეირო ყოფისა გამო.

138. 9) ამ ბოლო დროს ძალიან გატაცებულინი არიან საფეხბურთო ხელოვნებით, ზოგი ლატარიებიმაც მიიზიდა, არცთუ ტყუილად, მანქანებიც კი მოიგებს.

139. 10) აკურთხებენ ფეხბურთს და არაფერს ეკითხებიან ღმერთს. ისღიან პარაკლისებს, რათა ჩვენმა გუნდმა დიდი ანგარიშით მოუგოს მოწინააღმდეგეს (თუმცა მსგავ-

სი არაფერი ხდება).

140. 11) უყვართ ღოღი, ერთობიან ცხენთა სრბოლით.

141. 12) არანაკლებ პატივს სცემენ საცირო-კო ხელოვნებას, მოსწონთ ჯამბაზთა ოხუნჯობანი...

142. 13) თეატრის სცენებზე ბალერინების ოსტატობით იზიბლებიან და ტკბებიან, საფასურად მათ ხატებს ჩუქნიან.

143. 14) ეკლესიის ეზოებში მიმოფანტულია კერპები, ზოგ კერპს წმიდა გიორგის სახელიც კი შეარქვეს.

144. 15) არის შემთხვევები მიცვალებულთა „ზიარებისა“ და ტანსაცმლის მემკვიდრით მათი მონათულისა.

145. 16) მრისხანებისას ხელს აღმართავეთ მორჩილებზე.

146. 17) ეპისკოპოსთა სადგომში ქალები მსახურობენ.

147. 18) მღვდელმსახურებს ბინებში ძაღლები ჰყავთ.

148. 19) ქართველი „მართლმადიდებელი“ მოძღვარნი არ ვრიდებიან ურთიერთობას მწვალებლებთანაც კი, მათთან ერთად წირავენ და იყოფენ ტრაპეზს.

149. 20) ეპისკოპოსებს დართეს ცოლის ყოლის ნება.

150. 21) საეკლესიო მსახურნი სამოქალაქო საქმეებით იტვირთავენ თავს.

აღარაფერს გამბობთ დანარჩენ ასზე მეტ ცდომილებაზე, რომელიც დამკვიდრებულია დღევანდელ რეფორმატორულ ეკლესიებში.

151. ბატონ არჩილ მინდიაშვილს და მისნაირთ რომ გკითხოთ, იტყვიან: ამით რა დაშავდაო!

რჯულისკანონის მიხედვით კი, აი, როგორ სასჯელს ადებენ წმიდა მამები ამგვარად მოქმედთ:

152. 1) „...ჩვენს ყურამდე მოაღწია იმ ამბავმა, რომ აფრიკაში, ლიბიაში და სხვა ად-

კატეგორია „გზა“

გილებში მყოფი ღვთისმოყვარე ეპისკოპოსები არც ხელდასხმის შემდეგ ანებებენ თავს მუღლუკებთან თანაცხოვრებას, რითაც ისინი სხვებისთვის საფრთხესა და დაბრკოლებას ქმნიან.

153. ჩვენ დიდი მისწრაფება გვაქვს, რომ ჩვენს გამგებლობაში მყოფი სამწყსოს სასარგებლოდ იყოს ყველაფერი. ამისთვის დაგადგინეთ, რომ ამიერიდან აღარ მოხდეს ამგვარი რამ.

154. ხოლო ამას გამობოთ არა მოციქულთა კანონის (5) საწინააღმდეგოდ და დასარღვევად, არამედ ერის ხსნისა და წარმატებისათვის, იმისათვის, რომ არ მოეცხოს ბიწი სამღვდლო წოდებას, რადგანაც საღვთო მოციქული ამბობს, რომ „ყველაფერს უნდა იქმოდეთ ღვთის სადიდებლად“ (მე-6 მსოფლიო კრების მე-12 კანონი).

155. 2) „თუ სასულიერო პირი ღუქანში მჭამელი ნახოს ვინმემ, მღვდლობის უფლება ჩამოერთვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მგზავრობისას საჭიროებისამებრ სასტუმროში დაისადგურებს“ (მოციქ. 54-ე კანონი).

156. 3) „ერისკაცთა და სასულიერო პირთაგან ნურავინ მიეცემა ამიერიდან შვებათამაშსა და ლოთობას, ხოლო ვინც ჩაიდენს ამას, თუ სასულიერო პირი იქნება, განიკვეთოს, ხოლო თუ ერისკაცი — უზიარებელი იყოს“ (მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების 50-ე კანონი).

157. 4) „წმიდა და მსოფლიო კრება გმობს სახუმარო სანახობას, სანადიმო სანახავს და მგოსანთა როკვას. ხოლო თუ ვინმე დაარღვევს ამ კანონს, თუ სასულიერო პირი იქნება იგი, განიკვეთოს, ხოლო თუ ერისკაცი — უზიარებელი იყოს“ (მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების 51-ე კანონი).

158. 5) „სამღვდლო პირს ან მონაზონს არა აქვს აზორრომზე ან სახუმარო სანახობაზე მისვლის უფლება. თუ სასულიერო პირი

მიპატიჟებული იქნება ქორწილზე, იგი უნდა გაეცალოს იქაურობას, როგორც კი დაიწყება სალაღობო სანახობა, ანუ თამაშობანი, ვინაიდან ასე ბრძანებს მამათა მოძღვრება.

159. თუ ვინმე ჩაიდენს იმ დანაშაულს, ან უნდა დაცხრეს, ან განიკვეთოს“ (მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების 24-ე კანონი).

160. 6) „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა, თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდლო წესი, როგორც მღვდლებმა, განიკვეთოს“ (მოციქულთა 45-ე კანონი).

161. 7) „თუ ვინმე, რომ ეპისკოპოსმა და მღვდელმა თავის თავს არ უნდა არწმუნოს საერო საქმეების განგება, არამედ, უნდა იყოს მოცილებლი საეკლესიო საზრუნავთათვის. ამიტომ ან ირწმუნოს, რომ საერო საქმეებს არ მიჰყოს ხელი, ან განიკვეთოს, რადგან, საუფლო ბრძანებისამებრ, არავის შეეძლო ორი უფლის მონება“ (მოციქ. 81-ე კანონი).

162. 8) „...ამასთანავე ქალთა სახალხო ცეკვას, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა და ზნეობის შერყვნა შეუძლია... ანტიკური, ჯამბაზური, ან თამაშით გასართობი სამსახიობო ნიღაბი არავინ არ უნდა აიფაროს (მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების 62-ე კანონი).

163. 9) „ცხოველმყოფელ ჯვარს, რომელმაც ჩვენ დაგვანახა მაცნოვრება და გვიხსნა ძველი შეცოდებებისაგან, ღირსი პატივი რომ მიეუზღოთ, გემართებს დიდი მისწრაფების გამოჩენა.

164. ამიტომ გონებით, სიტყვით და გრძნობით მისთვის თაყვანისცემის შემწირველი ებრძანებთ: ყველგან ფეხით სავალ იატაკზე გამოსახული ჯვრის სახის წაშლას, რომ მასზე მავალთა ფეხით არ დათხოვლოს იგი და ამით არ შეურაცხონ ჩვენი ძღვევამოსილების საჭურველი. ვინც ამიერიდან იატაკზე გამოსახოს ჯვრის მსგავსება, მათ უზიარებელი ყოფნას ვადგენთ“ (მე-6 მსოფლიო საეკლესიო კრების 73-ე კანონი).

165. 10) „თუ ეპისკოპოსმა, მღვდელმა,

დიაკონმა, კერძოდიაკონმა, წიგნის მკითხველმა, ან მგალობელმა, წმიდა ორმოცი ან ოთხშაბათი და პარასკევი არ იმარხოს, განიკეთოს, თუ ზორციელი უძლურებით არ იყოს შეპყრობილი თუ ერისკაცი იყოს, უზიარებლობით დაისაჯოს“ (მოციქ. 69-ე კანონი).

166. 11) „კერპების ნაშთის ძირფესვიანი აღმოფხვრის შესახებ. ასევე საჭიროდ მიგვაჩნია, დიდებული მეფეებისაგან გამოვითხოვოთ, რომ კერპთმსახურების ნაშთი სავსებით აღინოცოს და აღმოიფხვრას არა მარტო ძეგლებისა და ქანდაკებების სახით, არამედ სხვადასხვა ადგილებში კლდეებსა და ხეებზე“ (კართაგენის 84-ე კანონი).

167. 12) „ეინც მოწმე იყოს ყველა ზემოწამოთელილი ცოდვისა და თვითონ კი არ აღიაროს, არამედ სხვამ ამხილოს, რომ იცის ცოდვის შესახებ, იმდენხანს იყოს დასჯილი ისიც, რამდენ ხანსაც განკანონებული იქნება თვითონ ცოდვის ჩამდენი“ (ბასილ დიდის 71-ე კანონი).

168. 13) „ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი თუ სამხედრო და საერისკაცო საქმეებსაც აკეთებდეს და ორივეს პყრობა ენებოს — რომაული ხელისუფლებისაც და სამღვდლო განგებისაც, განიკეთოს, რადგან ნათქვამია: „მიეცი თ კვისარს კეისრისა, ზოლო ღმერთს ღმრთისა“ (მოციქ., 83-ე კანონი).

169. 14) „თუ მორწმუნეს ბრალი დაედოს სიძვაში, მრუშობაში ან სხვა რაიმე აკრძალულ საქმეში და იგი ამხილოს, ნუ იქნება მიღებული სამღვდლო დასში“ (მოციქ. 61-ე კანონი).

170. 15) „თუ რომელიმე სასულიერო პირი ხელდასხმული იქნება, საჭიროა, რომ ემცნოს მას კანონთა დაცვა. გარდაცვლილთა გვაშებს არ მიეცემა არც ზიარება და არც ნათლისღება. ყოველ წელიწადს თითოეულ სამთავროში მიტროპოლიტები უნდა ატარებდნენ კრებებს...“ (კათარგ. 18).

171. 16) „მარხვაში არ უნდა გადავიხადოთ დაბადების დღე და ქორწილი“ (ლაოდ. 52).

172. 17) „მწვალებლები, რომლებიც ჯერ

კიდევ თავისი ერესის მიმდევრები არიან, არ უნდა შევიდნენ ღვთის სახლში“ (ლაოდ. 6).

173. ეკლესიის ყოფითი ცხოვრებიდან აღებული ეს სოფეტები ქართველი საზოგადოებრიობისათვის უცხო არ არის, მაგრამ შესაძლოა აქამდის ცნობილი არ იყო ასეთი მოქმედებისადმი რჯულისკანონის დამოკიდებულება, ის კანონიერი საკლესიო წესები, რითაც სარგებლობდა ბოროტი. ამიერიდან ნუ დაგვაბრძალებს ეკლესიების ბარაქიანი შესტები, ეძიეთ ერს დატყვნილი რისხვის მიზეზი. შეადარეთ კანონს გამიჯნულთა წყალობა და ღვთიური სასჯელით ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი და მაშინ მიხედვით, ერთიკულ ეკლესიაში ჩამარხული ერის დაღუპვის მიზეზს.

174. ქართველებო! დროულად მოიძიეთ ეკლესიის სიწმინდე, რათა უმეტესი რისხვა არ დაეიმსახუროთ.

არაკანონიკური შეხედულებები: აზროვნება, მეტყველება, საქმე — აი, ის, რაც ხელს უხსნის ქრისტეს მტრებს. უკანონობამ დასცა ქრისტეს კანონიკური ეკლესია.

175. სანამ საკუთარი ხარჯით არ გამოვეცი ჩემი რელიგიური ნაწარმოებები, დღევანდელი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორების ხელში არა და არ მეღირსა მათი დასტამბვა. თვეები სჭირდებოდათ პასუხის გასაცემად, ისიც უარყოფითი პასუხისა:

176. — თქვენ რა, პატრიარქის წინააღმდეგი ხართ?

— მე წინააღმდეგი ვარ უკანონობისა! მაკვირვებს დიდად, ეს პატივცემული რედაქტორები საპატრიარქოს სინოდის წევრები როდის გახდნენ, რა პატივისათვის?! ნუ იქნებით სიცრუით მაამბეღლნი, ნუ გაურთულებთ ბედშივ საქართველოს ისედაც გაუკუღმართებულ ცხოვრებას, თორემ ღმერთი რომ განწყობა, მერე ვერ გისხნით აუტორიტეტები...

გაზეთი „ღვთიური გზა“

177. გახსოვდეთ, ნაბრძანებია:

„თუ მაშინაც არ დამიგდებთ ყურს და გამიწვეთ წინააღმდეგობას, მეც გამოვალ თქვენს წინააღმდეგ რისხვით და შეიდგზის დაგხვით თქვენი ცოდვებისათვის. თქვენი ვაჟების ხორცს დაუწყებთ ჭამას და თქვენი ასულების ხორცს შეჭამთ“ (ლევ., 26, 27-29).

გაფრთხილდი, საქართველო!

178. არ დაიჯეროთ, თითქოსდა ერისკაცს არ ჰქონდეს საეკლესიო მსახურთა მხილვის უფლება, თვით რჯული მოითხოვს „ის-წავლეთ და ამხილეთ“. მეტიც: როგორც მოციქული ჰაელე გვასწავლის, უფლებაც გემღვევათ და ვალდებულებაც ხართ გადაამოწმეთ ანგელოზიცი და ამხილოთ, თუკი ის სიტყვით ან საქმით ეწინააღმდეგება რჯულისკანონს.

179. დღეს მე ავიმადლე ხმა ქართულ ეკლესიაში დამკვიდრებული ცდომილებისა და უკანონობის გამო: გაიხსენეთ, წლების წინ როგორი უკომპრომისობითა და თავდადებით იბრძოდა ზოგიერთი, საეკლესიო საქმეებსა და კანონებში ჩახედული მამულიშვილი ეკლესიის სიწმინდისათვის, მაგრამ ფრიალ მაკვირებს და ვერ გამოვიდა, რა გარემოებებმა აიძულეს ისინი გაჩუმებულიყვნენ? იქნებ ქართველ სამღვდლოებსა შუნიშნეს რაიმე სასიკეთო ფერისცვალება? ამის მსგავსს ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, პირიქით, მდგომარეობა დღითი დღე უარესდება და მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ზემოქმედებით ქართული ეკლესია ახალ-ახალი ცდომილებებით „მიდრდება“.

180. შეუძლებელია თავის მართლებამით, რომ თითქოსდა ახლა არ არის საეკლესიო ცდომილებათა მოძიების დრო. საქართველოს განთავისუფლების შემდეგ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი.

181. როცა ნაბრძანებია, უნათლავი ვერ შეალებს სასუფეველის კარებს, რა ელის საქარ-

თველოს განთავისუფლებამდე, ნათლობის გარეშე დარჩენილ მიცვალებულთა სულებს? ვის მოვთხოვთ პასუხი დაკარგულ სულთა სამუდამო დაღუპვისათვის?! ვინ აუნაზღაურებს ქრისტეს ამ ზარალს, როცა მას ერთი კაცის სული ქვეყნის სიმდიდრის უმეტეს საღირსად მიაჩნია. ქრისტე-მწყემსი 99 ცხვარს დაუტყვევებს და ერთ დაკარგულს ეძიებს, რათა არ მიიქცეს იგი მგლის ლუქმად. ასე კონვეიერული წესით კიდევ დიდხანს ჩაუშვით ეშმაკის ზანაში საკუთარი ნაშვირნი? არ კმარა, რაც 300 წლის განმავლობაში ვაკვთავოჯობით? რომელ თქვენთაგანს შეუძლია ამ ცოდვის თავის თავზე აღება?

182. ეკლესია ქრისტეს პატარძალია, იგი უნდა იყოს წმიდა და უბიწო! — ასე ბრძანებენ წმიდა მამები.

„ვიცი, საქმენი შენნი და შრომა შენი და მოთმინება შენი, და რომ არ შეგიძლია დაითმინო უკეთურნი...“

და გაქვს მოთმინება, და ბევრი რამ იტვირთე ჩემი სახელისათვის, და არ დაიქანცე. მაგრამ შენს წინააღმდეგ მაქვს ის, რომ დაუტყვე შენი პირველი სიყვარული. მამ, გაიხსენე, საიდან დაეცი, და შეინანე, და უწინდელი საქმენი ჰქმენ: არა და, მალე მოვალ შენთან, და თავისი ადგილიდან დაეძრავ სასანთლეს შენსას, თუკი არ შეინანებ“ (გამოცხ., 2, 2-5).

183. კანონს გამიჯნული მღვდელი ურჯულოა და მადლისაგან განმარცხული, როგორც უნათლავი და ხელდაუსხმელი, ხოლო არაკანონიკური ეკლესია არის ანგელოზგაცლილი ტაძარი.

184. „არაფერი აქვს საერთო მწვალებელთა გამონათგონსა და უცდომელ საკუთრივ მოციქულთა მოძღვრებას. გამტყიცებთ, აგრეთვე, ჩვენს წმინდა ნეტარ მამათა მიერ დადგენილ სხვა სამღვდლო კანონებს:“

185. ნიკეას შეკრებილ 318 წმ. მამათა მიერ ანკირიას, ნეოკესარიას, შემდეგ დანგრას, ამათთან ერთად ასურეთის ანტიოქიაში, ფრიგიის ლაოდეკიაში... ხოლო

გაზეთი „ღვთიერი გზა“

მსოფლიოს არამართლმადიდებლური სახე-
ლი. ანათემას შეგიყენებენ! ჯვაროსნული
ლაშქრობებით სისხლის ტბორი დააყენეს,
ეკლესიები დაღწეეს და დაანგრეს, მღვდელ-
მსახურები მოსრეს და აწამეს, კანონები შეც-
ვალეს და გადააკეთეს, მაგრამ მაინც დარჩა
ყოველთა ცრუთა და მათთა ცრუ ღვაწლთა
სამხილველი დიდი სჯულისკანონი, გადაუ-
კეთებელი და შეუწყენელი, რომლის მიხედ-
ვით, სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიო
ერეტიკულია.

192. მამ, რა ჩინ-მედლების განაწილებას
შესდგომიან ამ ფსკერგაგარდნილ ზომალდზე
პატივყერილინი?

და ბოლოს...

193. ეკუმენიზმი უცხო ხილი აღარ არის
საქართველოსთვის და, გთხოვთ, ჭეშმარი-
ტების დადგენის მიზნით, კიდევ ერთხელ მი-
ვადგენოთ თვალი ამ მოძრაობას.

194. ვკვალ ან ჭინჭარს რარიგადაც უნდა
გუკეთილშობილო სახელი; ის თვისება, რო-
მელიც კოდირებულია მათში, მუდამ გამო-
ყოფს მათ კეთილშობილ მცენარეთა ოჯა-
ხიდან.

195. რას ნიშნავს ქრისტიანული ეკუმე-
ნიზმი, რომელსაც მსოფლიო საეკლესიო
საბჭო კურირებს?

196. ქრისტიანული ეკუმენიზმის მიზანია
ქრისტიანული ორიენტაციის მქონე ეკლესი-
ების გაერთიანება არა საერთო ჭეშმარიტი
მრწამსის, დიდი რჯულისკანონისა და წმიდა
გადმოცემის საფუძველზე, არამედ სარწმუ-
ნოებრივი კომპრომისებით, პოლიტიკური
თანამშრომლობის გზით.

197. უფრო დაწერილებით ამ რელი-
გიურ-პოლიტიკური მოძრაობის შესახებ
იხ. ი. კრიანევი, „ხრისტიანისკი ეკუმენიზმი“,
მოსკოვი, პოლიტგამომცემლობა, 1980 წ.

198. ტერმინს „ეკუმენური“ ჰქონდა და
აქვს ფართო მნიშვნელობა, თუმცა მასში
იგულისხმებოდა სხვადასხვა აზრი, მაგრამ
მე-20 საუკუნეში იგი გამოიყენება უპირატესად
ქრისტიანული ეკლესიების გამაერთიანებელი
მოძრაობის აღსანიშნავად, რომელსაც, რო-
გორც უკვე ითქვა, კოორდინირებას უწევს
მსოფლიო საეკლესიო საბჭო.

199. მიზანი ჩინებულია, თუკი გათვა-
ლისწინებული იქნება წმიდა მამათა გადმო-
ცემა:

„...ერთი იოტიც ან ერთი წერტილიც არ
გადავა რჯულისაგან“ (მათ., 5, 18).

200. ერთიანი საქრისტიანო მტყიცედ იდგა
1054 წლამდე, ვიდრე სატანას არ დართეს
ნება ქრისტიანთა გამოცდისა. სატანის ათას-
წლიანი ტყვეობის შემდეგ, დიდ რჯულისკა-
ნონთან დამოკიდებულების შეცვლის გამო,
ერთიანი საქრისტიანო ოჯახი ორად გაიყო.
აღმოსავლეთის ეკლესიამ იწოდა მართლმად-
იდებელთა (სიმართლის მადიდებელთა) სა-
ხელი, ხოლო სატანისა გარკვეულია: კანო-
ნების გაუქმებით სურს ეკლესიათა დაქუცმა-
ცება, ბოლოს კი საქრისტიანოს კეთილმო-
სურნეთა სახელით კანონს გამიჯნულ ეკლე-
სიათა კვლავ გაერთიანება, ოღონდ ამჯერად
არაქრისტიანობის კანონებით; შეგახსენებთ
მაცხოვრის სიტყვებს: რჯულის გასაუქმებ-
ლად კი არ მოვედი, არამედ აღსრულებ-
ლად.

201. ახლა კი გავეცნოთ რამდენიმე ფაქტს
მსოფლიო საეკლესიო საბჭოს — ამ უდიდესი
ეკუმენისტური ორგანიზაციის მოღვაწეო-
ბიდან:

„ქრისტიანი ღვთისმეტყველნი და საეკლე-
სიო მოღვაწენი დიდი ხანია იძიებენ ეკლესია-
თა გაერთიანების გზებს. ცდილობენ გადალა-
ზონ მათ შორის არსებული განსხვავებანი,
ეს არის ეკუმენურად წოდებული მოძრაობის
ძირითადი მიზანი“ („ხრისტ. ეკუმენ“, გვ.
2).

202. თურმე საეკლესიო მოღვაწენი დიდი
ხანია ეძიებენ გაერთიანების გზებს, ჩვენ კი

ამ ჩვენეი აკვიტებული დიდი რჯულისკანონით საქმეს ვართულებთ. ისინი შლიან თურმე ამ ზღვარს, ჩვენ კი ხელახლა ვავლებთ. გაუგებარი არაფერია და მიზანიც ნათელია:

203. როცა ქრისტეანი ღვთისმეტყველნი და საეკლესიო მსახურნი თავამოღებით ეძებენ მსოფლიო ეკლესიების გაერთიანების გზებს და მათი მოქმედების მიზანიც ასე ნათლად არის გამოკვეთილი, არავის უნდა გაუკვირდეს დღევანდელი ეკლესიის მსახურთა ასე ფარაონივით გაკერპება. ორთოდოქსები — ძველი მართლმადიდებლები ახლა მათთვის დაბრკოლების ქვაა. ამის შემდეგ ქართველი მკითხველი უთუოდ უნდა მიმისხედეს თურატომ არის კანონიკური ეკლესიის დაფუძნების წინააღმდეგი რუსი ძველმართლმადიდებელი არქიეპისკოპოსი გენადი, რატომ საჭიროებს საქართველოს პატრიარქის ადრინდელი მსოფლიო საეკლესიო საბჭოს პრეზიდენტის ავტორიტეტის მოშველიებას...

204. წიგნში „ხრისტიანსკი ეკუმენიზმ“ კვითხულობთ (გვ. 144-145):

„იესუ ქრისტე გუშინ და დღეს და უკუნითი უკუნისამდე იგივეა, საღვთო გადმოცემა მიჩნეულია სხვადასხვა ერების წინააღმდეგ ბრძოლის უცვლელ კრიტერიუმად და წინააღმდეგია რელიგიურ ცხოვრებაში ყოველგვარი ცვლილებებისა, საკითხის ამგვარად დაყენება აფერხებს თეოლოგიის თანამედროვეობასთან შეთავსებას“.

205. კარგად ესმით, რომ წმ. მამათა გადმოცემული წესები და კანონები ერესთან ბრძოლის ერთადერთი იარაღია. ამის შემდეგ გასაგებია, ვის აძლევს ხელს ამ იარაღით ბრძოლა და ვის არა. არ სურთ მტკიცედ მპყრობელნი ეიფოთ წმ. მამათა გადმოცემისა, მათი წესებისა და კანონების, რადგან ისინი ხელს უშლიან იდეების განხორციელებას. კერძოდ, თეოლოგიის თანამედროვეობასთან შერწყმას...

206. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ იმას, რაც აიკრძალა, რაც დიდი ხანია წაფრთვა საქართველოს სატანისაგან და რასაც

ახლა დიდი ძალისხმევის შემდეგ ამგვარად აყალიბებენ:

207. „სხვადასხვა სახის ეკუმენისტურ კრებებზე შემთხვევით არ განიხილებოდა საკითხი რელიგიურ-საკულტო სიმბოლიკის შეცვლისა და მისი სეკულარული სამყაროს გაგებასთან შეთავსების ზღვრების შესახებ“ (იქვე, გვ. 154-155), ესე იგი, უნდა დღევანდელობას მორაგონ ღვთით უცვლელი კანონები.

208. მინდიაშვილი და მისი მძაღნაფიცი ეკუმენისტები მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ ნათლობას, ნათლობაში ისინი მხოლოდ ერთიანობის ნიშანს ხედავენ და სხვას არაფერს.

209. „ეკუმენისტურ დოკუმენტებში ყურადღება აქცენტირებულია ნათლისღების მნიშვნელობაზე, როგორც ერთიანობის სიმბოლოზე“ (იქვე, გვ. 155).

210. ასეც რომ იყოს, გაუგებარია, რატომ დაიძებენ „ერთიანობის“ სხვა „სიმბოლოს“.

211. უშუალოდ კი დღევანდელ მსოფლიოს ქრისტეს კანონის გარეშე ქრისტეს სახელით გაერთიანება? ნათლობა ზომ ცოდვების მისატყვევლად და სასუფეველში შესასვლელ ნიშნად გვიბოძა ქრისტემ და არა მხოლოდ გასაერთიანებელ სიმბოლოდ. ვიცით, რომ ძველმართლმადიდებლური აზროვნებით მხოლოდ და მხოლოდ გაგურთულეთ საქმე რჯული-საგან განსხვავებულად მოაზროვნე სამღვდლოებს და მისგან მოტყუებულ მრევლს...

212. ამდენად, ჩვენთვის მოულოდნელი როდია მათი ემოციებით ნაკარანახევი და ყოველგვარ ლოგიკას მოწყვეტილი თავდასხმები. წყალში ეყრებათ საუკუნეების ნაღვაწი.

213. ესტაფეტით გადმოცემული ერეტიკულობა საქართველოს სახალხოვად აღიარებულ ეკუმენისტურ დიდ ოჯახში გაწვერიანებით დამთავრდა: 1979 წელს მსოფლიო საეკლესიო საბჭოში უკვე 290 რელიგიური

გაზეთი „ღვთიური გზა“

გაერთიანება ირიცხებოდა. საბჭოში შევიდა, აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ექვსი რელიგიური ორგანიზაცია: რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, სომხური ეკლესია, ლატვიის და ესტონეთის ლუთერანული ეკლესიები, ქრისტიან-ბაპტისტების ევანგელისტური საბჭო“ (იქვე, გვ. 13).

დააკვირდით, ვისთან გვაერთიანებენ, თანაც ისე, რომ არაფერს გვეკითხებიან და, ასე განსაჯეთ, არც კი გვიმხელენ.

214. უნდა ვირწმუნოთ, ერი და ეკლესია ერთიანი სხეულია. ერთის ლპობა იწვევს მეორის განადგურებას. როგორც უდანაშაულო ცხოველი ისჯება კაცის ცოდვით, ასევე ეკლესიის ცოდვა მოაკვდინებს ერს; ამდენად, არავეს აქვს უფლება, თვითონ ანგელოზსაც კი, ერის ბედი სასწორზე შეგადოს, მაგრამ ჩვენს ერს დიდი ხანია წაერთვა სულიერი თვალისჩინი და ვიზუალური მხედველობაღა შერჩა. ამიტომაც არავინ არაფერს ეკითხება, უხმაუროდ დაადგეს ქედზე სიკვდილის უღელი – რჯულისკანონის უგულებელყოფისათვის დამსახურებული სასჯელი.

215. საქართველო მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წევრად აქციეს, რაც მის დაბნეულ და უეცო შვილებს დიდ პატივად ესახებათ. დაიხსომეთ, ტახტის მამებელნი! ხვალინდელი ახალი ყოფა, რომელიც გამჩნემა საქართველოს უბოძა, პასუხს გაგებიანთ უეცობითა და ამპარტყენებით აკვიტებული თვითნებობის გამო.

216. სოციალიზმთან ერთად კვდება ათეიზმი! ამ სამოცდაათწლიანმა პროგრამამ მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე თავისი მისია შეასრულა: ქვეყანა უღმერთობით დამტამა, საეკლესიო მსახურთა უზნეობითა და მცონარობით გამოგვაცალა ტრადიციული ორთოდოქსული პრინციპები; რელიგია მოღად იქცა, ეკლესია – სანახაობად, ერები

მზად არიან ნებისმიერი მრწამსის მისაღებად, ოღონდაც ღმერთის სახელი იხსენებოდეს და ზარის გუგუნს მოჰკრან ყური.

217. იწყება ახალი ერა, ანტიქრისტეს მეფობის ფაზაში შედის საუკუნე, ქრისტეანული კანონის სიკვდილით სურთ უღირსი ბელადისთვის ტახტის დადგმა. კანონის გამაუქმებელ იმ დიდ მანქანას, რომელსაც მსოფლიო საეკლესიო საბჭო ჰქვია, ქართული ეკლესია დიდი ხანია განწირული ჰყავს. საკითხავია, რატომ გაურბის საქართველო და მისი ეკლესია დიდ სჯულისკანონს? ალბათ, იმიტომ, რომ პირნათლად შეასრულოს მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წინაშე დადებული ხელშეკრულება. აი, როგორია ეკლესიების კომპრომისით მისაღწევი საბოლოო მიზანი!

218. მრწამსის შეცვლით უნდათ ქრისტეს წაართვან ღვთაებრიობა და იგი აქციონ ჩვეულებრივ ადამიანად. ღვთა ღვთისმშობელზე უნდა თქვან, რომ ის ღმერთის ღვდა არ არის და ხმაძილდა განაცხადონ, რომ არ არსებობს სამება. რომ ძე ღმერთი საშინელ სამსჯავროზე არ განიკითხავს ცოცხალთა და მკვდართ.

219. გვეითხებით, ქართველებო: რანაირად მოუწერეთ ეშმაკს ხელი ასეთ სწავლებასზე? აქ დევს ჩვენი უბედურება! დაეთესეთ ქარი? მოგვიწევს ქარიშხლის მომკა! მინდიაშვილი ამ დროს მთელი ხმით შეჰკვივლებს: ეგ არასოდეს იქნება! ჩვენ გუტყვით: უკვე არის! თქვენნიართა ხელში დიდი ხანია რჯულისკანონი მოკლულია და დღეს ეპისკოპოსებად უკვე ქალებს აკურთხებენ, მაგრამ ამასაც დაუვამატებთ: თუკი უცოდინარობის ჭირი შეგყრიათ, მოგიტევთ უფალმა, და თუკი ქრისტეს ჭეშმარიტების მტრები გახდით, გიძლოვთ თქვენი სიმართლი და მოგაგებოთ გამჩნემა ღვაწლის მიხედვით!

220. იმაში მაინც დამეთანხმებიან მთელემატრების სულით შეპყრობილნი, რომ ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთის შვილია და ის განკაცდა ღვთისმშობელში, როგორც ამას ბიბლია გვაუწყებს, და რომ იგი ჯვარს ეცვა ჩვენი ცოდ-

ვებისა გამო, მოკვდა, აღსდგა, ამაღლდა და მკვდომარება მარჯვენით მაშისა.

221. ჭეშმარიტად! — იტყვი თქვენ, ჭეშმარიტად, მაგრამ ყური მიუგუდოთ მსოფლიო საეკლესიო საბჭოს, რომლის საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობს თვით ქართული ეკლესიაც:

222. „ისტორიული კრიტიკის მიღწევებისა და თანამედროვე ადამიანთა ჯანსაღი აზროვნების გათვალისწინებით, ეკუმენიზმის თეოლოგები ღიად ტოვებენ ახალი აღთქმის სასწაულების ზოგიერთ საკითხს. კერძოდ: ქრისტეს უბიწოდ ჩასახვის, ამაღლებისა და სხვ.“ (იქვე, გვ. 158-159).

223. თუკი უარყევს ქრისტეს სულიწმიდით ჩასახვა ღვთისმშობელში, თუკი მის ჭეშმარიტ აღდგომაშიც ეჭვი შეიტანეს, მაშ, სადღაა შენი ქრისტე ღმერთი, საქართველო?

224. ქართველმა დიდებულებმა (იგულისხმება რელიგიაში გაუთვითცნობიერებელი ზოგიერთი მეცნიერი), კვერი დაუტრეს ამ უღმერთო გადაწყვეტილებას, რამაც საქართველო ღვთის რისხვას შეუყენა. ერი დაამშვიდეს იმით, რომ ხმამაღლა შემოსძახეს: ჩვენთან არს ღმერთი! ხოლო ეს დიდი ეკუმენისტური ვეშაბი, რომელსაც მსოფლიო საეკლესიო საბჭო ჰქვია, საქართველოს გადასანსლავს!

225. მაცხოვარმა თავისი თანამედროვეობისათვის მხარის აბმას ჯვარზე ასვლა ამჯობინა, რადგან იცოდა, რომ გმირი უღვაწოდ არ იქნება. ვინც ეცდება, მხარი აუბას თანადროულობას და დაივიწყოს უმთავრესი, იგი სიმართლის ორგულია; შეუძლებელია ღვთისა და მამონის ერთდროული მსახურება. არც შინი უნდა გქონდეს რამისა, თუკი გულწრფელი ვართ ხალხის წინაშე. ისინი „შეგებრძობლებიან, მაგრამ ვერ გძლევენ, რადგან შენთან ვარ, ამბობს უფალი, რომ დაგიფარო“ (იერ., 1, 19).

226. ერთადერთი გზა თავდახსნისა — უნდა აღსდგეს კანონიერი სამჩინანი იერარ-

ქია, დაეუბრუნდეთ დიდ რჯულისკანონს და დაიწყო მზადება ხალხის გადასანათლავად. ეს პროცესი არავინ მიიჩნის კაცისმიერ წამოწყებად. ეს არის სწორედ მეექვსე ბეჭდის მოხსნის შემდგომი პერიოდის საქვეყნო სამზადისი (გამოცხ., 7, 1-3). დგება მსოფლიო გადანათლის ჟამი. ბევრი მოწყდება უსამართლო მოძალადე.

227. მოგიწოდებთ გონივრული მოქმედებისაკენ!

„...მოკლედ რომ ვთქვათ, ღვთის ეკლესიაში განბრწყინებული ქვეყნის მნათობი და ამქვეყნად ხსნის სიტყვის მტვირთველ კაცთა სარწმუნოების მტკიცედ პყრობას და სოფლის აღსასრულამდე შეურყეველ და შეუცვლელად დატოვებას გადაგენთ და მათ მიერ ღვთისმცემელ დაწერილსა და სჯულს მივიღებთ და შევიწყნარებთ. ხოლო მათ წინააღმდეგობს ვგელას უკუგადებთ და შევაჩვენებთ როგორც ჭეშმარიტების მტრებს, ღმერთზე ამაოდ გათავებდებულებს და სიცრუის ხმამაღლა მეტყველებს. ხოლო ვინც კი პირველთქმულ კეთილმსახურობის სჯულს არ შეიტკობს და არ შეუდგება, იქადაგებს და ხელს მიჰყოფს მის შებრუნებას და უკუღმა შემოტრიალებას, შეჩვენებულ იყოს ზემოთ მოხსენებული წმიდა და ღმერთშემოსილი მამებისა და ქრისტეანთა კრებულისაგან...“ (მე-6 მსოფლ. საეკ. კრების I კანონი).

228. სანამ საქართველო არ მოიძიებს უმთავრესს, განწირულია მისი ყოველი წამოწყება. ჯერ ღმერთი და მერე სამშობლო. დაიჯერეთ, ღმერთზე მეტად შეილის შემყვარებელ მამას წყურთმევა შეილი. ასევე, ღმერთზე უწინარეს სამშობლოს მომძიებელი დააკარგავს სამშობლოს, ქვეყანა ცხოვნდება არა ჭურითა და მუშტით, არამედ სიტყვით, რომელიც უფლის ბაგიდან გამოძავალ არს, რამეთუ სიტყვა კანონია უფლისა და გონიერმა უნდა

გაზეთი „ღვთობური გზა“

აღასრულოს იგი.

229. ღვთის ნება რჯულისკანონშია გაცხადებული, მხოლოდ მისი აღმსრულებელი გადარჩება!

230. ვითვალისწინებთ რა ათვისტური სახელმწიფოს საიდუმლო განკარგულებებს და ამავე დროს ქართული ეკლესიის 70-წლიან მონურ უსიტყვო მორჩილებას, ჩვენთვის გასაგებია თუ რარიგ სამძნელოა საქართველოს სულიერი მოძღვრისთვის ყველაფერის გამხელა... საღვთო კავშირი მზად არის ერის დამღუპველ ცდომილებათა გასარანდავად საპატრიარქოსთან თანადგომისათვის.

ბატონ ზვიად გამსახურდიას კარგად უნდა ესმოდეს, რა არის სექტა და რა არის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა.

231. დიდია მშობელი ერის ისტორიულ ბედზე პასუხისმგებლობის ტვირთი და ვეფიქრობ, მეტი წინდანედულება მართებს, სანამ სამოციქულო მოძღვრების აღდგენას გაუწევდეს წინააღმდეგობას, თანაც ქრისტიანული ჭეშმარიტების სახელით.

232. ჩაიხედეთ აპოკალიფსისში (7, 1...) და დარწმუნდებით ქრისტეს ჭეშმარიტი ბეჭდის სასიცოცხლო მნიშვნელობაში. გადაშალეთ რჯულის კანონის სათანადო ადგილები და გაარკვიეთ იმ ბეჭდის რაობა, რომლის აღდგენის მცდელობას საქართველოში ერთ-ერთი პირველი შეეწინააღმდეგეთ!

233. გაიხსენეთ, როდის გაიგეთ თქვენ ის, რაც დღეს ერს გაუგებნილუ ჰატიმობიდან ახალდაბრუნებულს პირად საუბარში გითხარით, რომ თქვენი რელიგიური შეხედულებები არ შეესაბამება ორთოდოქსული ეკლესიის სწავლებას და, ამდენად, მცდარია; გითხარით ისიც, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი აღმსარებლობა ძველი მართლმადიდებლობაა და მხოლოდ ამ მოძღვრებას შეუძლია ერის ხსნა.

234. ჩემი უფლებამოსილების საბუთიც იხილეთ... მერმედ, გძლიათ ეჭვმა და შემოწმება მონუდომეთ ამ ნიშანს... და აქ შეწყდა ჩვენი ურთიერთობაც.

235. აღიარებთ თუ არა დიდ რჯულისკანონს, როგორც მოციქულთა და წმიდა მამათა მიერ გადმოცემულ უფლის სიტყვას, როგორც ჭეშმარიტ საღვთო სწავლებას (როგორც ქრისტე გვასწავლის, ერთი სიტყვაა საჭირო: ან ჰო, ან არა!)?

236. დადგა დრო, როცა საქართველო საღვთო დიდებით უნდა შეიმოსოს, ახლა თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული თქვენი დეაწლის საბოლოო შედეგი, თქვენი სახელისა და ხულის ზვალინდელი დღე.

237. ოღონდ, სანამ პასუხს გაგცემდეთ, ქრისტეანული სიყვარულით გაფრთხილებთ, რომ სატანას მრავალი საცდელი იქვს დაგებული და თქვენ, ვინც ესოდენი სიმკაცრით მიმართავეთ ერს, რომ ქრისტე ბარაბას არ ანაცულონ, თავად არ აღმოჩნდეთ მათ შორის, რომლებიც გაიძახოდნენ:

„ჯვარს აცვ ეგე!“

ბრძანა უფალმა:

238. გქონდეთ შიში ჩემი და მიილეთ დარიგება ჩემი, რათა არა ამოეძირკო საშყოფელი თქვენი, რაიცა დაეადგინე და განვიზრახე თქვენთვის. მოეგეთ გონს და მაჩვენეთ გული და დეაწლი თქუენი, ვიდრემდის ავმხედრებულვარ. თუ არა — დაეცარიელო ქვეყანა აღსავსე კაცთა მიერი სისაძაგლითა!


239. განა ჩემგან არა არს ნაუწყებები? — შეგკრიბო ერნი ქუეყნისანი, მოუზნო სამეფოთა და გარდმოვავლინო მათზედ მძულვარება და რისხვაი ჩემი: მეჭველმა შევმუსრო მიწა და არა დარჩეს შეუძერეული მთანი და ბორცვინი. დღესა ამას მზე იქნეს შემოსილ ძაძითა ბაღნისაითა და მთოვარე ყოვლითურთ გარდაიქვს ვითარცა სისხლი.

240. შემდგომად ამისა ქუეყანასა ზედა მეტწილად დაეგოვო ხალხნი მორჩილნი,

უბრალონი და მოყვარენი ღვთისანი. მაშინ აღმოფრინდეს ანგელოზი აღმოსავლითა ღვთის ბეჭდისა მკურობელი, წარუძღვეს მონასა ჩემსა, რომელმან დაჰმოძღვროს მსოფლიო და მით განამზადოს ქუეყანა ქრისტესთან შესახვედრად, რაიცა იყოს მანუწყებელი საშინელი ხამსჯავროისა. მაშინ კვლავაც მიეცეს კაცსა ბაგე მართალი, რათა გულიწმიდითა აზსენებდნენ უფალსა და მსასურებდნენ მას ხულითა წრფელითა. ქუეყანა აღივსოს ღვთის

სახელის სადიდებლითა, ვითარცა წყალნი მრავალნი აღაცხებენ ზღვას უკიდევანოს.

241. ჰეი, ძენო ადამისანი! ღვთის რისხვამდე მოიძიეთ თქუენში უფალი და მით შვიძინეთ მშვიდობა! რაზეთუ აზსნას ღმერთმან წიგნსა დაბეჭდილსა ბეჭედი მეექვსე — და აღუგზნოს მფსუელად ცეცხლი მოტყინარე ქუეყანასა ზედა და დღე იგი, აჰა, მოახლებულ არს. იფხიზლეთ, იფხიზლეთ, ძენო ადამისანი!



გამოვიდა თბილისის სასულიერო აკადემიის თანამშრომლის ბატონ ედიშერ ჭელიძის კრიტიკული წიგნი, რომელიც დაიწერა ჩემი წიგნის „ერი, ღმერთი და კანონი“ საპირისპიროდ.

ოპონენტი ძირითადადში ცდილობს წყალპკურებითი ნათელღების კანონიკურობის დასაბუთებას.

ამ კრიტიკის საპასუხოდ გაზეთ „ღვთიურ გზაში“ დაიბეჭდა ჩემი სტატია „დიდი ხიცრუის მარცხი“.

თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ბ ა

როზორ მოვიძვეთ?

(გაზეთი „ღვთიური გზა“, №5-7, 1990 წ., ნოემბერი)

1. 1990 წელს გამოვიდა ედიშერ ჭელიძის წიგნი „ეკლესია – ხმალი უფლისა“, რომელიც შეიცავს ჩემი ნაშრომის „ერი, ღმერთი და კანონი“ კრიტიკას. სახელდობრ, იგი მწვალებლობად მიიჩნევს ძველმართლმადიდებლურ (სტაროჯერულ) მიმართულებას. წყალპკურებით ნათლობას შეიწყნარებს და წყალში შთაფლვითი ნათლობის ტოლფასოვნად რაცხს. ორი თითით პირჯერისწერის წესი, ორჯერადი ალღელუა, შეიდი სეფისკვერი და სხვ. მრავალი ცდომილებად, ერეტიკულ გადმონაცემად მიაჩნია; არის აშკარა დამცველი ნიკონიანური სწავლებისა, კათოლიკური ეკლესია მართლმადიდებლურის რანგამდე აჭყავს და ლათინურ ერესს მწვალებლობად არ მიიჩნევს.

2. ედიშერ ჭელიძე არის ქართული ოფიციალური ეკლესიის, უკეთ, სასულიერო აკადემიის ლექტორი. ქვემოთ იხილავთ პასუხს ედიშერ ჭელიძის კრიტიკისას. დასკვნა თქვენთვის მიგვინდვია.

3. საქართველოს მთელი ცხოვრება თითქოს სასჯელის მოხდაა. იშვიათად თუ

დაგედგომია ბედნიერი დღე. ხშირად ვკცეულვართ მოძალადის ლუკმად. ხსნას ვერა ვხედავთ, უკეთესი მერმისის მოლოდინში მხოლოდ მტრის ხახას ვიცვლით. ერი ვერ დაუსხლტა სასჯელს; ვცდილობთ და ვერ მოვიძიეთ საყუდარი ღვთის ფრთეთა ქვეშ. მიზეზი? ერმა დაკარგა თვალის ჩინი – დიდ რჯულისკანონად წოდებული ღვთიური სამართალი. აი, ქვეყნის წარწყმედის უმთავრესი მიზეზი. ეს კანონი ეშმაკმა თვალწინ ააცალა დახვეულ კაცობრიობას და დაწვა. ახლა იმ ცხელ ნაღვერდლებზე შიშველი ფეხით სიარული გვიწევს. ვაი იმ დღეს, როცა ნაკვერცხლები ზემოდანაც დაგვაცვივა.

4. ერი მაშინ გაიწირება, როცა ღვთის ტაძარი ვერ ტაძრობს რჯულის განრიდებისა გამო და ამიტომაც ანგრევს მერმედ ამგვარ ტაძრებს ქვეყნის გამაწინი.

5. როცა ერს მტერი სჯის, ეს მოსათმენია. მოიძიება საშველი, მაგრამ როცა ღმერთი იწყებს თავისი მადიდებელი ტაძრების სგრევას, მაშინ ერი განწირვის ზღურბლზე დგას; დაკარგულია საღვთო დანიშნულება – ცხოვრება ღმერთისათვის! ამიტომაც შესდგომია რისხვას კაცობრიობა.




წვეთი გზა

მოგვს მანათიან ვინა ცხადის.
კვანასა ვერა მწიფობა და
კასთა უმარს სთნობსა

თბ. 5 ნოემბერი 1990

საბჭოთაული კავალ მანათიანობისა და სხვათა კავშირი



გაზეთი „ღვთიური გზა“

6. ვის შეუძლია ქართველს დასწამოს ღვთის ორგულობა! მაშ, ერის მიერ ღვთის სადიდებლად აღვლენილი ლოცვანი საით განქარდა? ქართველთა საღვთო გული, საკურთხეველზე სხვათა გულებზე მეტად ანთებული, ვით ვერ შეინიშნა უფალმა? როცა უფლის კანონი კვდება, მაშინ ლაყბო-

ბად ჩანს ერის ლოცვა ღვთის წინაშე და ინშობს სასმენელს უფალი ჩვენი; ზარებიც ამაოდ გუგუნებს. ებრაელების ლოცვებსაც არ აკლია გულმზურელება, მაგრამ ამაოდ უნთიათ ცეცხლი საკურთხეველზე, ბრძანებს უფალი, წართმეულიაო მღვდლობა, უქმობენო ტაძრები. საქართველოს ბედნიერებაც უფლის ხელშია და მიემართოთ უფალს არა თვითნებურად, არამედ რჯულისმიერად!

დიდი სიცრუის მარცხი

ჰინც მიფარს, მას გაშხილებ და ეწვრთნი, მაშ ეშურე და შეინანე“ (ქრისტე) (გამოცხ., 3, 19).

თავი პირველი

7. 1989 წელს გამოცემლობა „მერანმა“ დასტამბა ჩემი თეოლოგიური თხზულება: „ერი, ღმერთი და კანონი“. ამ რელიგიური ცვლევების მიზანი იყო ქართული და მსოფლიო საქრისტიანოს ყოფის განხილვა. წიგნში მრავლად გამოვიყენე არსებული დოკუმენტები ერის გამოფხიზლების მიზნით, არ დავერიდე მწარე სინამდვილის გაცხადებას. ამ ერთი წლის განმავლობაში იყო მრავალგზისი მტკვლობა წიგნში დაყენებული საჭირობოროტო საკითხების გაქიპებისა. მათ შორის ყველაზე ბეჯითი შრომა გაუწევია ახალგაზრდა მეცნიერს, ბატონ ედიშერ ჭელიძეს;

8. იგი ცდილობს, ჭეშმარიტების საპირისპიროდ წარმოაჩინოს შემდეგო:

1) მართებულობისა და კანონიკურობის სახელით სურს წარმოადგინოს „დიდაქლე“ წოდებული დღემდე მოღწეული ხელნაწერი (მე-11 საუკუნე) და მოციქულთა კანონების საწინააღმდეგოდ წყალპურებითი ნათლობის წესის კანონიკურობა.

2) თითების წყობით სამების იპოსტასისა და ქრისტეს ორბუნებოვნების სიმბოლიკას უფროვე პირველი სამი თითის შეერთებით

პირაკრის მაწერალთა აღმსარებლობაში ხედავს.

3) საქართველოს რელიგიურ ყოფას უხადოდ, ყოველგვარი ერეტიკული ცდომილების გარეშე წარმოგიდგენს.

ჭეშმარიტების დასადგენად მკითხველს ვთავაზობთ დოკუმენტებს:

განმარტება ნათლობის შესახებ

9. ტერმინ „ნათლისღებაში“ იგულისხმება ნათლობის საიდუმლოს უხილაეი და ხილული მხარის მთლიანობა, განუყოფლობა, ე.ი. სიმბოლურ-შინაარსობრივი და რეალურად განსახორციელებელი ქმედითი, ხილული მხარის ერთიანობა.

10. ნათლისღების ხილული მხარის განმარტება: შთაფლვა, შთაყოფა, განბანვა, ჩაძირვა, ყველა ეს სინონიმი შეესატყვისება მოსანათლავის მხოლოდ და მხოლოდ სამჯერ წყალში შთაფლვის ნათლობას, რამეთუ სხვა განმარტება დიდ სჯულისკანონში არ მოიპოვება.

11. სიტყვა „ნათლისღება“, როგორც ენახეთ, გულისხმობს ნათლობის საიდუმლოს ხილული და უხილაეი მხარის ერთიანობას.

ამ საიდუმლოს ამსახველი ტერმინი სხვადასხვა ენაზე მოცემულია ქვემოთ გამოსახულ დიაგრამაზე, რომელიც ცხადად მიგვანიშნებს:

13. ა) ბერძნულში „ნათლისღებას“ — „ბაპტიზმას“ შეესატყვისება იგივე ტერმინი „ბაპტიზმა“ არა მისი საეკლესიო მნიშვნელობით, არამედ ყოფითი არსით, რამეთუ სწორედ „ბანას“, „განრეცხვას“, იგივე „შთაყოფას“, „შთაფლვას“ ნიშნავს, რაზეც ბატონი ჭელიძეც გვეთანხმება: „ბერძნულშიც სიტყვა „ბაპტიზმა“ ორგვარი ნიშნავს: I. ყოფითი, ცხოვრებისეული შინაარსით. ხსენებული სიტყვა „ბაპტიზმა“ შთაფლვას ნიშნავს ოდენ ყოფითი აზრით. „ბაპტიზმას“ ადეკვატური ტერმინი თვით ბერძნულ თავწყაროში მოიძიება „კატადიუსის“ სახელწოდებით, რაც შთაყოფას ნიშნავს, იგივე „ჩაძირვას“ (იხ. წმიდა დიონისე არეოპაგელი „საეკლესიო მღვდელმთავრობის შესახებ“, ნათლობის ხილული მხარის აღწერილობა, პირველი საუკუნის ხელნაწერი).

14. ბ) ქართულ ტერმინ „ნათლისღებას“ შეესატყვისება „შთაყოფა“, რაც, თავის მხრივ, უივივდება „შთაფლვას“, „განბანვას“, „ჩაძირვას“.

15. გ) ლათინური განმარტება უფრო კატეგორიულია; აქ ნათლობის საიდუმლოს ხილულ მხარეს ასახავს ერთადერთი, უცვლელი ტერმინი „მერსიო“, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჩაძირვას ნიშნავს.


16. დ) სლავურში ნათლობის ხილული მხარის ამსახველი ტერმინი „პოგრუჟენიე“ „შთაყოფას“, „ჩაძირვას“ მივსადაგება.

17. ვიცით, რომ მოციქულთა კანონები თვით რომის პაპ კლიმენტის მიერ ლათინურ ენაზე დაწერილი იგულებს თავწყაროდ, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, ეს გარემოება არ გამოირიცხავს ზემოხსენებული კანონების მოციქულთა ავტორობას, ამ კანონებში შედიოდა ნათლობის 50-ე კანონიც; ამდენად, ლათინელთა მიერ ნათლისღების საიდუმლოს ხილული მხარის განმარტება კატეგორიულია და მიუთითებს მხოლოდ და მხოლოდ ჩაძირ-


ვაზე. ასეთივე პრინციპულობით უნდა იყოს დაცული მოციქულთა 50-ე კანონის განმარტება ყველა სხვა ენაზე; ოპონენტის აზრით, ლათინურ-სლავური გადახვევა ბერძნული ტექსტიდან მიზნად ისახავდა შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილებას. ამგვარი კატეგორიულობით საფუძველშივე გამოირიცხებოდა სხვა წესი ნათლისღებისა. განა ამგვარსავე უალტერნატივო ნათლობას არ გვთავაზობს რეჟულისკანონი?

18. რას ნიშნავს „ბერძნული ტექსტიდან გადახვევა?“ ლათინელთა მიერ წარმოდგენილ პირველწყაროს რანაირად შექმნილ პირობად გადახვევა ბერძნულიდან, იგი ხომ წერილობითი სახით რომის პაპ კლიმენტისაგან ლათინურ ენაზე ეუწყა პირველად მსოფლიო? პირველი თავწყარო რომ ბერძნული ყოფილიყო, მაშინ კიდევ იტყვოდა კაცი: ლათინულებმა და სლავებმა პირველწყაროს გადახვევის, მაგრამ ხომ ლათინურად დაწერილი მოწონდა ბერძნებს. იქნებ ერჩიათ კიდევ ლათინურ ენაზე ყოფილიყო იგი დაწერილი, რადგან მათი დღევანდელი ცრუნათლობის (იგულისხმება წყალპკურებითი ნათლობა) მამხილებელია ტერმინი „მერსიო“ — „ჩაძირვა“. სლავმაც იგივე გაიმეორა, „პოგრუჟენიე“ — „ჩაძირვა“. გაუგებარა, რა გადახვევა ინიშნა ბ-მან ედიშერმა, რა არ მოეწონა?!

19. ცნობილია, რომ ნათლობის საიდუმლოს სამოციქულო წესის სამჯერ შთაფლვითი ტრადიცია მე-8 საუკუნემდე ურყევი იყო მთელ მსოფლიოში, მოგვიანებით კი ფეხი მოიკიდა წყალპკურებითა ნათლობამ — გვამცნობს ბროკპაუზის ენციკლოპედია (იხ. ქვემოთ) და აქვე გვთავაზობს ნათლობის საიდუმლოს ხილული მხარის სიტყვასიტყვით განმარტებას: „პოგრუჟენიე“ — „შთაფლვა“, „ომივანიე“ — „განბანვა“. ბ-ნი ედიშერი მიიჩნევს, რომ „განბანვა“ ნიშნავს თავზე წყალპკურებას. განვიხილოთ, რამდენად შეესაბა-



ნათლისღების ხაიდუმლოს ხილული მხარის გამომხატველი – პრაქტიკული მოქმედების ამსახველი ტერმინები შემდეგია:



მება ჭეშმარიტებას მისი შეხედულება: ვინა-
იდან ქრისტიანული ნათლობის ზემოთ ხსე-
ნებული სარიტუალო მხარე ებრაული ცოდ-
ვის მიტყეებიდან იღებს დასაბამს, მიზანშე-
წონილი და ლოგიკურიც იქნება მოვიძიოთ
ეს სათავეები ძველ აღთქმაში.

20. „ნაყამანი, არამის მეფის სარდალი,
დიდად მიღებული და პატივცემული კაცი
იყო თავის ბატონის წინაშე, რადგან მისი
წყალობით გაამარჯვებინა უფალმა არამე-
ლებს. მამაცი კაცი იყო, მაგრამ კეთროვანი
(მან განსაკურნავედ მიმართა ებრაელ წი-
ნანსწარმეტყველს ელისეს. — ი. ი.)... ელისემ
შეუთვალა, წადი, შეიდგზის იბანე იორდანე-
ში და გაგიახლდება ხორცი, და განწმენდი-
ლი იქნები... ჩაეიდა, შეიდგზის ჩაყვინთა
იორდანეში ღვთის კაცის სიტყვისამებრ და
ჩვილი ბავშვივით განუახლდა ხორცი და
განიწმიდა“ (4 მეფ., 5, 1-14). სურათი ნა-
თელია, წინასწარმეტყველის სიტყვები —
„შეიდგზის იბანე“ — ნიშნავს „შეიდგზის
ჩაყვინთვას“ და არა წყალკურებას ან წყლის
დასხმას თავზე, სლავურიც ამასვე გვაუწ-
ყებს „ოკუნულსია სემ რაზ“. ცოდვებისაგან
განბანვის ამგვარ ებრაულ წესს მიანიშნებს
თვით „ახალი აღთქმის“ შემდეგი ეპიზო-
დიც:

21. „ეინაიდან ანგელოზი დროდადრო
ჩადიოდა აუზში და ამღვრევედა წყალს; და
ვინც წყლის ძერისას პირველი ჩავიდოდა
შიგ, რომელი სენითაც უნდა ყოფილიყო
სნეული, იკურნებოდა... მიუყო მას სნეულმა:
უფალო, კაცი არა მყავს, რომ წყლის ძერისას
ჩამაგდოს აუზში; ვიდრე მე მივალ, სხვა
მასწრებს ჩასვლას“ (იოან., 5, 4-7).

22. აქაც მინიშნებულია წყალში შთაფ-
ლეა, რადგან წყალში ჩაგდება სხვანაირად
ჯერ აღიქმება თუ არა წყალში ჩაძირვა. ბროკ-
პაუზის ენციკლოპედია იწვევს, რომ თვით
მოციქულ პავლესთან ნათლობა განბანვად
იწოდება და არავითარ შემთხვევაში არ ეწი-
ნააღმდეგება სამჯერ წყალში შთაფლვას;
და სწორედ ამ პროცესის უხილავ მხარეს

აღნიშნავს, როცა ნათლობას „ეოზროფე-
ნიეს“ უწოდებს:

23. "При Апостолах крещению
предшествовало наставление вере в
Исуса Христа. Самое крещение совер-
шалось через погружение в воду, что
видно из названия его (баптизма).
(კარგად დააკვირდით. — ი. ი.)

24. А также из крещения вель-
можи царицы Кавдикийской Апостолом
Филиппом. У апостола Павла креще-
ние называется также бансю (возрождения).

25. ...Со врмени Константина
Великого крещение происходило в
Баптистериях - бассейнах воды, уст-
роенных особых зданиях или при
самом храме. О том, что креще-
ние совершалось только через погру-
жение, письменные памятники свиде-
тельствуют единогласно (на востоке до VIII века вклю-
чительно)" (Энциклопедический сло-
варь т. XVI, изд. Брокгауз, 1895г.,
стр. 734-735).

26. იუდაიზმის რელიგიურ კანონთა შო-
რის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია
მწიკლოვანების განბანვის რიტუალს. გან-
ბანვა ხდება „მიკე“-ედ წოდებულ ემბაზში
ნაწიემარ ან ბუნებრივ წყალში ერთჯერადი,
სამჯერადი ან შეიდგერადი შთაფლვით; თუ-
კი აღამიანი მთლიანად არ შთაიფლება წყალ-
ში, იგი არ ჩაითვლება განწმენდილად, რის
გამო სალოცავში არ დაიშვება. აი, ასეთია
ებრაული განბანვის წესი, რომელიც დღემდე
შეუცვლელად მოიტანეს. ამიტომაც არის,
რომ „იბანა“ (ომივანიე) ებრაულად ნიშნავს
ტანის მთლიანად განბანვას. საინტერესოა
დიდად, რის საფუძველზე შეიძლება სხვადას-

ხვა ერმა ნათლობის მოციქულებრივი 50-ე კანონის სტრუქტურული შინაარსი ცვალის? აი, როგორია ებრაულად თვით სიტყვა „ნათლობის“ განმარტება ბიბლიურ ლექსიკონში (ერიკ ნიუსტრემი):

27. ჭეშმარიტების საარგუმენტაციოდ — ნათლობის წესის გასარკვევად, ისტორიული რეალობის ნათელსაყოფად გაიხსენონ მდინარეში ღია ცის ქვეშ თავდაპირველი ნათლობის შთაფლვითი წესი:

28. „В начале крещение... совершалось под открытым небом в реках или прудах через погружение: это известно из истории Нового Завета. В позднейшие времена стали совершать крещение в купелях и особых крестильнях (баптистерии). Крещаемый спускался по ступеням в водоем и затем погружался всем телом в воду, что являлось для души яркой картиной погребения в смерть и воскресения со Христом...“

Позднее было введено кропление“.

(Эрик Ниустрем, Библейский словарь, Канада, 1985г., стр. 224).

29. როცა ამბობენ, რომ „მოგვიანებით იყო შემოღებული წყალბუკვრებითი ნათლობის წესი“, ეყრდნობიან ფაქტებს, რომელთა მიხედვით ხაზს უსვამენ პირველყოფილი ნათლობის — წყალში შთაფლვით ტრადიციას:

30. „თუ რომელიმე ეპისკოპოსმა ან მღვდელმა შეასრულოს არა სამი ნათლისღება ერთი საიდუმლოსი, არამედ ერთი ნათლისღება უფლის სიკვდილის მიმართ, განიკვეთოს, რადგან უფალმა ასე კი არა თქვა, რომ „ჩემი სიკვდილის მიმართ ნათელ-ეცითო“, არამედ თქვა: „წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს და ნათელი ეცით მამის და ძის და ხულის წმიდის სახელით“ (მათ., 28, 19; მოციქ. 50-ე კანონი).

31. აქ ლაპარაკია სამ ნათლისღებაზე. ხელნაწერთა სქოლიოში არის შენიშვნა: შვისწავლე სამი ნათლისღება სამი ჩაყოფის ნაცვლად. ბერძნულად „ტრია ბაპტიზმა“ სლავურში ნიშნავს „ტრი პოგრუენიეს“, ამ შემთხვევაში „სამი შთაყოფა“ და ბერძნულის „ტრია ბაპტიზმა“ და სლავურის „ტრი პოგრუენიე“, — უნდა დამეთანხმოს ბ-ნი ედიშერი, — ერთსა და იგივე ქმედით აქტს გამოხატავს, მათ შორის შინაარსობრივი განსხვავება კანონის მიხედვით არ არის, რადგან ნათლობის წესი ყველასათვის ერთია. ბერძნული „ტრია ბაპტიზმა“, ქართული „სამი ნათლისღება“, ანუ „სამი შთაყოფა“ და სლავური „ტრი პოგრუენიე“ რომ ზემოხსენებულ „სამგზის შთაფლვას“ გულისხმობს, ამას ადასტურებენ შუა საუკუნეების დიდი რჯულისკანონის ბერძენი თეოლოგი კომენტატორები:

34. „И это правило той же силы. Ибо определяет совершать таинство святого крещения через три погружения, то есть во имя Отца, Сына и Святого духа“ (Трехтолковая кормчая, правило 50, толкование о крещении Вальсмона).

33. ნათლობის წესის ბერძნულ განმარტებაში ნახმარ ტერმინს „ტრი კრეშენიეს“ — „სამ ნათლისღებას“ — ბერძენმა თეოლოგ-კომენტატორმა შეუსატყვისა წყალში სამჯერ შთაფლვითი ნათლობა.

34. Зонара толкование: „Три погружения здесь правило называет тремья крещениями в едином таиндействии (Трехтолковая кормчая, пр. 50, толкование Зонара).“

35. განა საცხებით ნათელი არ არის, რომ „კრეშენიეში“, ე.ი. „სამ ნათლისღებაში“ იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ სამგზის შთაფლვა და არავითარ შემთხვევაში არ ეთანხმებიან ჭეღიძისეული წყალბუკვრებითი ნათლობის გატებას ბერძენი თეოლოგები.

36. წყლიდან დაბადება რომ სხვაგვარ ნათლობას არ ნიშნავს, იხილეთ 1911 წლის ქართული კატეხიზმი:

„ნათლის-ღება“ არის საიდუმლო, რომელშიაც მორწმუნე სხეულის წყალში სამგზის შთაფლვით და მორწმუნეობით მამისა და ძისა და წმიდისა სულისა განიწმიდება ცოდვისაგან და მეორედ იშვება ახალ სულიერ ცხოვრებისათვის“ („სახელმძღვანელო, მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად“, 1911 წ., გვ. 63-64).

37. „ამ საიდუმლოს დაწესება შეეძლო მხოლოდ თვით ქრისტეს“, — ამბობს ეს წიგნი. და არ ცრუობს.

38. ბ-მა ედიშერმა, ალბათ, ისინია, რომ „სამ ნათლისღებაში“ იგულისხმება წყლის არა თაყუზ დასხმა ან წყალკურება, არამედ სამგზისი წყალში შთაფლვა — „ტრი მოგრუენიუ“. დარწმუნებული ვარ, ჭეღვიძესაც კარგად ესმის ეს ანბანური ჭეშმარიტება, რომ ქართულში ნათლისღება შთაფლვასთანაა გაიგივებული და არ შეიძლება მისი პირდაპირი მნიშვნელობით გაგება, რამეთუ ქრისტეანული მრწამსი მხოლოდ ერთ ნათლისღებას მიიგვანისმებს.

39. ცოფათა გამო მოციქულთა 46-ე კანონი უარყოფს მეორედ ნათლობას. ყოველივე ზეოთქმული ცხადად წარმოაჩენს, რომ სამი ნათლისღება არ გულისხმობს ნათლობის ერთიანი, მთლიანი საიდუმლოს სამჯერ აღსრულებას. რაში არ ეთანხმებიან ისინი, ეთქვათ, სლაეურს? სლაეურშიც ხომ იგივეა ნათქვამი, რაც ქართულში. სლაეურ „კორმჩაიას“, იგივე დიდ რჯულისკანონს, რა ცდომილება გააჩნია? რატომ აფრთხობს ოპონენტს სლაეური წყაროები? იმიტომ ხომ არა, რომ ამ წყაროებში აშკარად არის მხილებული მისი სიცრუე!

40. (Славянская кормчая. Правило 50) „Аще который епископ или пресвитер не крещает в три погружения едином глашением, но во едино погружение в смерть Господню даемо, да извержется таковый...“

Толкование: Повелевает правил в три погружения крещати“...

В примечаниях: „Во святом креще-

нии крестящихся погружати, а не обливати“.

41. როცა სამოციქულო ნათლობის ამ წესის შეცვლა ვერ გაუქმდავს შეიდ მსოფლიო და ცხრა ადგილობრივ კრებას, ვერც ერთ მსოფლიო პატრიარქს და განმანათლებელს (რჯულისკანონში შესულს), როცა თვით ბასილი ამფილოქესადმი მიწერილ ბარათში ნათლად მიუთითებს სამჯერად წყალში შთაფლვის აუცილებლობას, როცა იგივე სამგზის შთაფლვაზე მიგვანიშნებს ბერძენი დიონისე არეოპაგელი — პაველ მოციქულის მოსწავლე, როგორ ვერწმუნოთ ბ-ნ ჭეღვიძის ამ ფალსიფიცირებულ, რჯულისკანონსაწინააღმდეგო საბუთებს? აი, ციტატა რჯულისკანონიდან ბასილ დიდის მიერ ამფილოქესადმი მიწერილი წიგნის 27-ე თავიდან:

42. „...რომელი წერილობითი გადმოცემისაგან მიგვიღია ეს? განა დაფარული და საიდუმლო უწყებისგან არა? ხოლო თუ რაა ზეთის ცხება, რომელმა დაწერილმა ხიტყვამ გაასწავლა? საიდან არის კაცთა სამჯერადი შთაყოფა წყალში ნათლისღების დროს?“

43. „შთაყოფა“ გატოლებულია კანონში მოცემულ „სამ ნათლისღებას“, ხოლო „სამი ნათლისღება“ რომ უდრის „სამჯერ შთაფლვას“ — „პოგრუენიუს“, განგმარტათ ბერძენმა კომენტატორმა; ზეოხსენებელი ქართული 1911 წლის კატეხიზმოს სქოლიოში მინიშნებულია მოაკვდავ ბავშვთათვის თაყუზ წყალკურებით ნათლობის წესის დაშვებაც (გვ. 64). კანონი კი ისევ და ისევ მკაცრად გაფრთხილებს:

44. „Номоканон“ XVI-XVII вв., гл. Крещения детей, стр. 194:

„...Помазуется раб Божий (имя рекл) маслом возрадования, во имя Отца и Сына и Святаго Духа, аминь.“

Прием крещасмого нага (მიშველი) погружает перве глаголя: „крещасема“...

45. სწორედ ამგვარ კანონებს ეყვარებოდნენ წმ. მამები, როცა ასე კატეგორიულად აცხადებდნენ:

„Номоканон, Поучения Фотия митрополита яко крестити младенца“, рукопись 1639 года:

„Аще поп дети крестит, обливае т из сосуда водою, а не погружае т да и звержется сана свое го. Подобае т крещение творити по преданию святых Апостолов, не обливати водою но погружати в воде трижды... снотри же се известно, перве илей воду в купель и погрузи в купе, а не обливай“.

46. ახლა გავეცნოთ პირველი საუკუნის დოკუმენტს, რომელიც მე-15 საუკუნეში შესრულებული ხელნაწერის სახით დგას მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში.

47. Рукопись XVI века, фонд 209, Овчинникова, шифр N792, Дионисий Ариопagit, книга 3, гл. „О церковном священноначалии“, лист 373:

„...Ове убо от священник в воде приводятся к священноначальнику руке. К тому руководити священноначальник же свище стоя. Возвавши пакы священноначальник на воде имя совершаемого священником.“

48. Т Р И Ц И убо священико начальник погружае т. Трети свершаемаго с вождени и возвождени тройныи божественнаго блаженства призвав...“

49. აქვე მინდა აღვნიშნო, ძველბერძნული მართლმადიდებლობა ურყევ ავტორიტეტად

აღიარებდა დიონისე არეოპაგელს და ერთ-სულონად მიიჩნევდა, რომ საეკლესიო წესჩვეულებათა ჭეშმარიტი სამოციქულო გადმოცემა ყველაზე უკეთ იყო დაცული და შემონახული სწორედ ზემოთ ხსენებულ დოკუმენტებში, სადაც იგი დეტალურად აგვიწერს შთაფლვითი ნათლობის რიტუალს. იგივეა წარმოჩენილი წიგნში „კინგა ო ვერე“. ამ ერთხელ და მარად უცვლელ ნათლობის წესს უღმერთოდ დაუწყეთ გადაკეთება? ნუთუ არაკანონიკურ საბუთებს უფრო ღიდი ძალა აქვს თქვენს ხელში, ვიდრე კანონიკურს?

50. ბ-ნი ედიშერი უარყოფს სლავერ დოკუმენტებს, რადგან კარგად მოეხსენება, მისი ინტერპრეტაციის გამქიქებული რა ზღვა მასალაა სწორედ სლავერ ლიტერატურაში; როცა რაიმეს ვამტკიცებთ, კეთილი უნდა ვინებოთ და ხალხს კუთხრათ, რა მოსაზრებით უარყოფთ სლავერ მიერ შენარჩუნებულ მართლმადიდებლობას — ჭეშმარიტს და არა რეფორმატორულს? იქნებ სლავერმა ახალი სწავლება მოიტანეს — ძველისთვის მიუღებელი, შეუსაბამო, უჯერო და უცხო, რეფორმატორულ-ერეტიკული? სლავერს რომ მართლმადიდებლობას უწუნებთ, არ იკითხავთ, რატომ იდგა თავდადრეკილი რუსი მეფის წინაშე მსოფლიო პატრიარქი კონსტანტინოპოლისა იერემია? დაიჯერეთ, ისინი იმიტომ აღიარებდნენ რუსეთს მესამე რომად, რომ სლავერმა შეურყეველად, მთელ დედამიწაზე ყველაზე უკეთ შემოინახეს ძველი ქრისტიანული სარწმუნოება.

„Обращаясь к царю Федору, патриарх Иеремия сказал: „Ветхий Рим пал от ересей; вторым Римом - Константинополем завладели агарянские внуки - турки, твое же великое Российское царство - третий Рим - всех превзошел благочестием“ (Проф. В.О.Ключевский. Курс русской истории, ч. III, М., 1957. с. 293).

51. ის, ვინც რუსეთიდან ერეტიკული სწავლება შემოგვანერგა, განა ქართველი, ჩვენი თვისტომი, საქართველოს კათოლიკოსი ან-

ტონ I არ იყო? განა მან პირველმა არ დიწყო რუსეთში ქართული საეკლესიო წიგნების შექმნა რუსულ ერეტიკულ ნიკონიანურ და არა სლავურ საეკლესიო წიგნებთან? ვის ემდურით? ქართველმა არ გვაზიარა ამ რუსულ-ბერძნულ ერესს? ღვთის კანონის დამრღვევ რუსებს ეძმეთ, ხოლო ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის შემნარჩუნებელი განირიდეთ?! ასევე გაგირიდებთ ქრისტე-მაცხოვარი ჭეშმარიტების მოძულეობის გამო. ცრუს უსმინეთ და აკაკანეთ, ხოლო ჭეშმარიტნი დაადუმეთ? ამიტომაც მოგიწევთ დადუმება ღვთის წინაშე უზუნაესი სამართლის შეიღწევის გამო. უკიდურესად კი ძალიანობთ, თუმცა ზედავთ, არ გუთანხმებთ ჭეშმარიტებას, მაგრამ მაინც თქვენსას ირებთ. საკვირველია, თქვენ ამას ბედავთ დღევანდელი ცივილიზაციის წინაშე, როცა ზღვა ლიტერატურა არსებობს იმის თაობაზე თუ როგორ იწერდა მთელი მსოფლიო საქრისტიანო პირველს, თუ როგორი იყო ნათლობის წესი და სხვა. რატომ არ გაუიქრებთ კ. ცინცაძის, საქართველოს ყოფილი პატრიარქის ნაშრომი „აპეტოკეფალია გრუზინსკიო ცერკვი“, სადაც ანტიოქიიდან მოწვეული პატრიარქი მაკარი (მე-17 საუკუნე) განაცხადებს:

52. „...но кроме этого мы посылали в разные стороны своих и местных священников для крещения... Надо было видеть, как громадные толпы народа следовали за нами с одного места на другое, умоляя нас окрестить их... Многие из грузин делают диаконами, священниками и даже архиереями, не будучи еще крещены (и этому можно поверить?!)... Вследствии этого, нам часто приходилось крестить диаконов и священников...“

აქ გასაკვირი არაფერია.

53. დიას. შეიძლება ამის დაუქრება, რადგან არასწორად მონათლული, ე.ი. თავზე წყალბაგურებული, მონათლულად არ ითვლება.

ანტიოქიის პატრიარქის გაცემის მიზეზი ქართველთა ის ერეტიკული ნათლობაა, რომლის გამოც შემდეგ ანტიოქიის პატრიარქს უნდებოდა მათი გადანათვა: ასობით მახვე-წარი დასდევდა ქუჩა-ქუჩა, რათა წესიერი ნათლობა მიეღო.

54. აი, რატომ უქვირს ამის აღიარება კ. ცინცაძეს. სასრკეთოდ ჩამოსული ანტიოქიის პატრიარქის არაკეთილსინდისიერებაში გვარწმუნებს კალისტრატე ცინცაძე — აპოკალიფსისის მეორე მსვეცის, სტალინის ძმაცაი; სტალინისა, რომლის მიმართ ითქვა: კრავივით მშვიდია, მაგრამ სულში ეშმაკი უზისო. რანაირად ვირწმუნოთ ეშმაკის ძმაცაისა, რომელი ლოგიკის საფუძველზე უარყოთ ნათელი სურათები წარსულისა?

55. ყველა საბუთი სარწმუნოდ არ ჩაითვლება, თუკი იგი კანონსაწინააღმდეგო ახალ წესებს ან აზრებს გუთავაზობს! ამგვარ ახალ აზრებზე დაეთი წინასწარმეტყველი ბრძანებს: უკარი თავი ქვაზე ახალ დაბადებულსო.

56. შენც, ედიშერ, შვილო, შენს ახალ შეხედულებებს თავი უნდა ახლვინო ქრისტეს სასინჯ ქვაზე — დიდ რჯულისკანონზე; თუკი დანიხავ, რომ სული განუტევეს, ნუ იჩემებ მათ სიცოცხლისუნარიანობას; წამსვე გვერდზე მოისროლე, რადგან უვარგისია იგი, დიდი რჯულისკანონი ვერ ითავსებს თქვენს შეხედულებებს; ზედავთ, უცხოოდ ჰგულებობს და განირიდებს. გაფრთხილებ, შენც უცხო შეილად არ წარმოჩინდე ქრისტეს წინაშე, თორემ იუდას სარცხვენელ პატივს მოისადაგებ.

57. ეხედავ, ისე იძლეავრა თქვენმა სითამამემ, რომ საცაა წყალში შთაფლვით ნათლობას ერეტიკულად გამოაცხადებთ, რაც თვით ანტიქრისტე ნიკონ პატრიარქისაც არ გაუბედავს, თანაც სლავურ ღოკუმენტებს არ სცნობთ და ცივად განირიდებთ:

გაზეთი „ღვთიური გზა“

58. განამა სლავეურ ლიტერატურაზე აღზრდილები არ არიან პემორის ლავრაში დღემდე გაუხრწნელად დასვენებული 700 წლის წინათ გარდაცვლილი წმ. მამების გვამები? ქრისტეს მიერ უღაბობელ ქრისტეანებს უარყოფთ, წყვეულ ერეტიკოსებს კი მართლებად რაცხთ.

59. აცხადებთ, რომ გრიგოლ ნოსელი წყალკუერებით ნათლობას მოგიწოდებდნო. ენახოთ, რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას თქვენი მტკიცება:

60. "Но как по сказанному, то в какой мере подражаем высочайшей силе и как вмещает сие нищеты нашего естества; то, трижды возливая на себя воду, и снова восходя от воды подражаем спасительному погребению и воскресению в трехдневный срок, представив в мысли то, что, как в нашей власти: вода и пребывание в воде, и изникновение из нейя: так во власти Того, Кто владычествует над вселенною, было, погрузивше в смерть, как мы в воду, снова войти в собственное свое блаженство". (Творение Святаго Григория Нисскаго, часть IV, стр., 93, Москва, 1862 г.).

61. ამ საბუთით თავზე წყალკუერებით ან თავზე წყალდასხმით ნათლობის კანონიკურობას წარმოგვიჩინეთ; განვიხილოთ, რამდენად ეთანხმება თვით ზემორე მოყვანილი საბუთი თქვენურ ინტერპრეტაციას. აღნიშნული წერილი სამ ნაწილად შეგვიძლია დავეუთო; აი, პირველი ნაწილი ამ წერილიდან:

62. ა) „ტრიუდი ვოზლივია ნა სებია ეოდუ“. რას ნიშნავს ეს? „სამჯურ გადავლებას წყლისა“? იგი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს თავზე სამჯურ წყლის დასხმას, თორემ იტყოდნენ: „ტრიუდი ნალივია ნა სებია ეოდუ“.

63. მიაქციეთ ყურადღება, რანაირად შეიძლება მოსანათლავმა წყალი თავად გადაი-

ლოს, მას ხომ არც წყლით თავზე ჭურჭელი უჭირავს და არც ონკანის ქვეშ დგას. თუკი ლაპარაკია თავზე წყალკუერებით ნათლობაზე, მოსანათლავი თავს დახლა ხრის ჭურჭლისაკენ და „მღვდელი“ პემვით დაასხამს წყალს თავზე. მაშ, რატომ ითქვა, გადაივლებს წყალსო? წყლის გადავლება ამ შემთხვევაში თავად მოსანათლავს ხელეწიფება მხოლოდ და მხოლოდ წყალში ჩაძირვის დროს, როცა წყალი გადაევლება თავზე და გრიგოლ ნოსელიც ამ მომენტს აღნიშნავს, როცა ამბობს, „მოსანათლავი გადაივლებს წყალსაო“; ასე რომ არა, მაშინ მას უნდა ეთქვა, მღვდელი სამჯურ გადავლებს — „ნალივიატ“ — დაასხამს წყალს მოსანათლავსო.

64. ბ) „ეოდა, ი პრებივანიე ვ ეოდე, ი იზნიკოენიე იზ ნეია“. აქაც ნათელი სურათია: არის წყალი, იმავე წყალში იმყოფება მოსანათლავი, რომელიც ცერემონიალის შესრულების შემდეგ წყლიდან ამოჰყავს, რა თქმა უნდა, ნათლიას, თავზე წყალკუერებულს რისთვის სჭირდება წყალში ყოფნა, ამაში თავად ამგვარად მოსათლულები დამერწმუნებიან.

65. ბ-ნი ე. ტელიძეც უნდა დამეთანხმოს: მოსანათლავი იყო ემბაზში (რომელიც დიდი ხანია საქართველოში არ არსებობს), საიდანაც ნათლობის შემდეგ ნათლიას ამოჰყავდა წყლიდან; როგორ ამოიყვანდა ნთლია მოსანათლავს თუკი თავზე წყალკუერებით მონათლეს? რისთვის აშენებდნენ ეკლესიებში ემბაზებს, თუკი სამი პემვი წყლით შეიძლება მონათელა? რისთვის დასჭირდა იოანე ნათლისმცემელს ხალხის ნათელა იქ, სადაც ბევრი წყალი იყო?

66. „იყო იოანეც და ნათელს სცემდა ენონში, სალემის მახლობლად, ვინაიდან ბევრი წყალი იყო იქ; და მიდიოდნენ და ნათელს იღებდნენ მისგან“ (იოან., 3, 23).

67. გ) „ბილო, პოგრუზიეშე, ვ სმერტ, კაკ მი ვ ეოდუ“.

უკეთ როგორდა უნდა ითქვას? იყო ღმერთი შთაფლული სიკვდილში ისევე,

როგორც ჩვენ წყალში. ე.ი. გრიგოლმა ბრძანა: როგორც იქ ქრისტე იყო სიკვდილში შთაფლული, ისევე ჩვენც წყალში შთაიფლებითო. განა არ არის ამჟამად სურათი კანონიკურ წყალში შთაფლვითი ნათლობისა? განზანა რომ აქ წყლის მთლიან გადავლებასთანაა გაიგივებული, რაც შთაფლვას უდრის, ამას ბასილ დიდიც დაკვირვებთ.

68. "И воплощившись от Марии Девы напоследок не изреченно, и целы печати чистоты сохранившим, и, изволившим крещением омыти ветхую скверну нашу. Еюже есмь преступлением осквернился. И погружением нас от грех омывшим... Заклинаю тя Богом крещшимся во Иордане, и образ нам чистоты подавшим В ВОДЕ ПОГРУЖЕНИЕМ" (ЧИН и исповедание, молитвы на различные потребности, молитвы запрещающие Святаго Василия Великаго, от избавления духа лукавого, егда мучит человека. Гл. НИ-58, СКС-226, СКИ-228 на оборот и СКФ-229).

69. „ომივანიე“, იგივე „განზანა“, თქვენ რომ გგონიათ, ის ნათლობა არ არის და ამიტომაც არ ვწინააღმდეგებთ ბასილ დიდის განმარტებას; „გადავლება“ – „განზანა“ – ომივანიე მხოლოდ შთაფლვას ნიშნავს.

70. "Голубинский приводит такое доказательство, которое прямо и положительно свидетельствует, что в Греческой церкви и младенцев крестили в три погружения. Он говорит, что в книге Христофора Ангела, напечатанной в первый раз в Кембридже 1619 году говорится, что греки крестят младенцев чрез погружение их в воду и с головой, именно же: "Берет священник младенца в свои руки и держит его обеими руками за плечи и погружает в воду всего младенца с головой, говоря: крещается раб Божий... во имя Отца и возвлекает (возводит) младенца, потом опять..."

("О крещении греческой церкви", стр. 75, Черновцы 1903 г.).

71. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ყველაფერი უნდა შესრულდეს არა ჩვენი სურვილის მიხედვით, არამედ ისე, როგორც ამას მოითხოვს სიტყვა ღვთისა — კანონების დაუზიანებლად. მართალი გითხრათ, არ ვიცი, რის საფუძველზე ეძლევა ხოლმე კანონის გამმრუდებელს (ჭეშმარიტების დამცველის პრეტენზიით) დიდი ხმაურის უფლება, მაშინ, როდესაც ჩვენ მიუუთითებთ რეულის კანონის დარღვევაზე, ურჯულობად გვაცხადებენ, ხოლო თავად რეულისკანონის დამრღვევნი რეულოზობას იჩემებენ. ხომ არ ჰკავებს ეს კომუნისტების სამართალს, როცა სიცრუეს „პრაკდას“ უწოდებდნენ?

72. მაშინ, როდესაც თვით ყველაზე უღმერთოთა ენციკლოპედიათა კი ვერ გაექცა ჭეშმარიტებას, ბ.ნ.ე. ჭელიძე რა უფლებით განირიებებს სამეგრად წყალში შთაფლვის წესს, როგორც კანონიკურ დოკუმენტს? თავზე წყალაკურებითი ნათლობის გაკანონიკურების საბუთად მოაქვს დოკუმენტები ერთკუთხედიანი წიგნებიდან, თუ როგორ მოუნათლავს თითქოს წმიდა მენას მითითებით 13 ეპისკოპოსს ზღვა წარმართთა თანდასწრებით მათივე მთავარი ეროვნენი. არავითარი ამდაგვარი საბუთი ძველ წიგნებში არ მოიპოვება. ქვეშით ნათლობას რომ იმიზეზებენ, არც იქ მომხდარა ნათლობის საიდუმლოს აღსრულება. ქვეშის თავზე დაყრით ის აღამიანი რომ განათლულიყო, მაშინ მღვდელი მას თავიდან არ გადანათლავდა; და საერთოდ, უნდა ვიცოდეთ: ცალკეული შემთხვევა — წარმართთა მოსაქცევი ნიშნად ბოძებული; არ მიიღება კანონად (ორგზისი კრების მე-17 კანონი).

73. იქნებ თქვას ჭელიძემ, რომ აი ეს, მის მიერ მოყვანილი მაგალითი იძებს კანონიკურ სტატუსს და ამით აუქმებს დიდ რეულისკა-

ნონში განჩინებულ წყალში სამგზის შთაფ-
 ლვის წესს? ის, რა თქმა უნდა, ამის თქმას
 ვერ გაბედავს. ამდენად, არსებული კანონების
 საწინააღმდეგო მაგალითის მოტანა ღვთით
 განიკითხება ავტორის მიზანდასახულობის
 მიხედვით; მიზანდასახულობა ავტორისა კი
 დანერგული ერესის განმტკიცებაში მდგო-
 მარეობს, რაც ერს წარწყმედით ემუქრება.
 ე. ჭელიძე და მისთანანი თავზე წყალკურე-
 ბითი ნათლობის სწორუპოვრობას რომ იჩე-
 მებენ, ეს უცხო როდია მართლმადიდებლური
 საქრისტიანოსათვის. მანამდეც ეძიებდნენ
 ერეტიკოსნი თავიანთი არარჯულისმიერი
 ნათლობის გამართლებას. დამერწმუნოს ჭე-
 ლიძე, რომ ეშმაკი მთელმარებას არ მიეცე-
 მოდა და დიდი რუღუნებით არ დაიცავდა მი-
 სი სიცრუის მამხილებელ სახუთებს.

74. ცნობილია, რომ კანონიკურ საკით-
 ხებზე წმ. მამათა შორის აზრთა სხვადას-
 ხვაობა არ არსებობს, მათი შეხედულებები
 სულიწმიდიითაა გაცისკროვნებული. თქვენი
 შეხედულება კი, ბატონო ედიშერ, ეწინააღ-
 მდეგება მათ შეხედულებას, ამიტომაც თქვენ
 აღმორწმდით ბიბლიის, დიდი სჯულისკანონის,
 ბასილ დიდის, დიონისე არეოპაგელის,
 სამგანმარტებიანი დიდი რჯულისკანონის
 შუა საუკუნეების ბერძენი კომენტატორების,
 ენციკლოპედიების საპირისპირო შხარეს. არ
 მიეცით დალუპვის გზაზე მდგარ საქართვე-
 ლოს გამოფხიზლების საშუალება.

75. მაშინ, როდესაც საქართველოს
 პატრიარქი უკვე ეძიებს ღონისძიებებს, რათა
 აღმოფხვრას წინა საუკუნეების ცთომილე-
 ბანი. თქვენ აბრკოლებთ მას, დიდი რჯულის-
 კანონის საწინააღმდეგოდ უმტკიცებთ საა-
 ნათემო წესის კანონიკურობას და კატე-
 გორიულად მოითხოვთ წყალკურებით ნათ-
 ლობას, როდესაც სწორედ ამგვარი ნათ-
 ლობის გამოა, კათოლიკეებს მართლმადი-
 დებლურ ეკლესიებში დღემდე რომ პირვე-

ლი ჩინის ერეტიკოსებად მიიჩნევენ და გადა-
 ნათლავენ შთაფლვითი ნათლობით. თუ გი-
 ფიქრიათ, რომ წყალკურებითი ნათლობის
 აღიარებით შლით სღვარს კათოლიკობასა
 და მართლმადიდებლობას შორის? ალბათ,
 იმიტომაც აზიარებთ კათოლიკეებს თქვენს
 ეკლესიაში. ერეტიკოსების ამ პატივში
 აყვანისათვის მხოლოდ განკვეთაა და
 უზიარებლობა; აკი ითქვა:

76. Книга "О вере", гл. 30: "Во
 святом крещении яко погружати
 подобает, а не обливати (от прения с
 латынским капланом"...).

77. იმის ნათელსაყოფად, თუ რა არგუმენ-
 ტაციით ცდილობს ბ-ნი ჭელიძე გაამართლოს
 წყალკურებითი ნათლობის წესი, მომაქვს
 ციტატა წიგნიდან „ეკლესია — სძალი
 უფლისა“: „ნათლობის ზემოაღნიშნულ ორ
 სახეს შორის არის მხოლოდ ფორმობრივი
 სხვაობა და არავითარ შემთხვევაში — არსობ-
 რივი, უფრო ზუსტად, სამგზის ჩაძირვის
 ნაცვლად სამგზის დასხმა არის თავდაპირ-
 ველი წესის ფორმობრივი გამარტივება პრაქ-
 ტიკული მოთხოვნილებებით“. სხვაგან (ქვე-
 ვით) კი განაგრძობს, „რომ ეს ცვლილება გა-
 მართლებული იყო დროის ვითარებასთან
 შესაგუებლად“.

78. როგორც ვხედავთ, დამოწმებულ
 ციტატებში ბ-ნი ჭელიძე არაორაზროვნად
 გვაუწყებს, რომ ცვლილება გამოიწვია დროის
 მოთხოვნილებამ, ეპოქის გათვალისწინებამ,
 პრაქტიკულმა საჭიროებამ.

79. ითქვა: „წადით და ასწავლეთ ყველა
 ხალხს, და ნათელი ეცით მამის და ძის და
 სულის წმიდის სახელით“ (მათ., თავი 28,19),
 რაც ნიშნავს, რომ ქრისტეს ნათლობის ეს
 ბეჭედი ყველას ერთნაირად ეკუთვნის — ბერ-
 ძენს თუ ციმბირელს. ჭელიძის ლოგიკის
 თანახმად, ჩახჩახა მშით გამთბარი მდინა-
 რეებისა და ლურჯი ტბების შვილები, ხელ-
 საყრელი კლიმატური პირობების გამო, რა-
 ტომდაც წყალკურებით ნათლობას ითხოვენ,
 ხოლო ციმბირელს, ამ ლოგიკის საწინააღ-

მდეგოდ, ყინულების მტკრევა უწყეს ყრმათა მოსანათლადად, რათა არ შეირყვნას მოციქულთა ჭეშმარიტი ნათლობის წესი. წესი წესია, ყველაფერს თავისი წესი გააჩნია, რძიდან იბადება ყველი, წყლიდან — ქრისტეანი.

80. თუკი ჭელიძე რძიდან ყველის დაბადების წესს უარყოფს, მაშინ ჩაპყოს ხელი პირდაპირ რძეში და ამოიღოს ყველი. დამერწმუნებით, იგი გაწბილდება ისევე, როგორც გაწბილდება დაკანონებული ნათლობის უარყოფელი.

81. წმ. მამები კატეგორიულად მოითხოვდნენ წყალში სამკურნო შთაფლვით ნათლობის წესს და საერთოდ უარყოფდნენ სხვანაირ ნათლობას:

82. Дионисий Ариопагит, книга 3-я, гл. 2, лист 373, "О церковном священноначалии", а также "Книга о вере":

...„се явно есть, яко отнюд подобает крестити второе, аще не поистине креститася, рекше не в три погружения, занеже не истинное крещение ДУХА СВЯТАГО НЕ ИМАТЬ...“

83. სწორედ ეს არის საქმე. არასწორი ნათლობით მონათლული სულიწმიდას ვერ მიიღებს. ამდენად, წყვეულია ყველა სხვა დანარჩენი ნათლობა, რომელიც აცთუნებს კაცს და აჯერებს მის გარგისიანობაში. ამიტომაც ბრძანებდნენ მოციქულები:

84. „თუ ეპისკოპოსმა ან მღვდელმა მიიღოს ერეტიკოსის მონათვლა ნათლისღებად ან მის მიერ შეწირული მსხვერპლი, მის განკეთებას ვებრძანებთ, რადგან არა აქვს საერთო ქრისტეს ბელაირთან (სატანასთან)“ (მოციქულთა 46-ე კანონი).

85. ბ-ნო ედიშერ, მე კი არ გეწინააღმდეგებით, არამედ მე-ნ მსოფლიო საეკლესიო კრების მე-2 კანონი მოგიწოდებთ:

„ფრიად კეთილად და ყოვლად სასწრაფოდ ადგენს ეს წმინდა კრება, რათა ამიერიდან მტკიცედ და შეუცვლელად დარჩეს ჩვენი სულისა და ვნებათა საკურნებლად ჩვენი

წინამორბედი წმინდა და ნეტარ მამათა მიერ შეწყნარებული და ჩვენთვის მოციქულთა სახელით მოცემული 85 კანონი“ (კონსტანტინოპოლის სამეფო გუმბათიან პალატაში ჩვენი კეთილმსახური და ქრისტესმოყვარე მეფის იუსტინიანეს ზეობაში შეკრებილი წმიდა მამების კრების კანონები).

86. რატომ გგონიათ, რომ ეს სიტყვები არ გადგებთ სასჯელს იმ სითამამისათვის, რითაც არღვევთ მოცემულ ზემოსხენებულ კანონებს. იგივე სასჯელს იმეტებს თქვენთვის რუისურბნისის დავით აღმაშენებლისდროინდელი კრების დადგენილება, სადაც ნათქვამია: „ეს არის წმინდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე“ (რუისურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა).

87. სად მოვიძიოთ თქვენი მოწონებული, „დიდაქტა“ წოდებული ის არაკანონიკური ხელნაწერი მაშინ, როდესაც თვით აპოკალიფსისიც კი გრიგოლ ღვთისმეტყველმა კანონიკურ წიგნთა საბაში არ შეიტანა. ნუთუ ფასიკული გაუფასურდა თქვენს თვალში? დიდი წადილით კი ამტკიცებთ წყალკურებითი ნათლობის ჭეშმარიტსახოცებას, მაგრამ კერაფრით განუგებობთ, არ გეთანხმებიან მოციქულები მათი სწავლების მოძალადეებს.

88. თქვენ დავობთ, ქვეყანას აქცევთ. რატომ არ დავობენ ენციკლოპედიის შემდგენელი მეცნიერები ნათლობის წესზე, პირჯერის წერის წესზე; განა მათ ჭელიძეზე ნაკლები მასალები ემკრათ თუ, არ მიუწოდებოდათ ხელი პირველწყაროებზე, ან იქნებ მეცნიერული აღლო აკლდათ? ორჯერ ორი რომ ოთხია, ამაზე არ დავობენ. ბატონ ედიშერს მხოლოდ სლაკურად განმარტებული ორჯერ ორის ოთხობა აეცვება და აფრთხობს. რადგანაც მხოლოდ ბერძნულ წყაროებს ენდობით, ბ-ნო ედიშერ, აი, კიდევ ერთი საბუთი ბერძნული დიდი რჯულისკანონიდან.

გაზეთი „ღვთობური გზა“

89. ბერძნული „პიდალიონით“ (იგივე „კორმანია“, იგივე დიდი რჯულისკანონი) დღემდე შეუცვლელად ხელმძღვანელობს სრულიად საბერძნეთის ეკლესია. ლათინური წყალპკურებითი ნათლობის შესახებ განმარტება აქ ასეთია:

90. „ლათინელთა ნათლობა არის ცრულ წოდებული ნათლობა და არ შეიძლება მისი მიღება არც სიმკაცრით, არც შემწყნარებლობით. სიმკაცრით იმიტომ, რომ ისინი არიან ერეტიკოსები. არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ამის მტკიცება, რამეთუ მხოლოდ ის ფაქტიც, რომ ჩვენ საუკუნეების მანძილზე მათდამი გვაქვს სიძულელი, როგორც არიანელების, საველიანელების მიმართ. ვისაც სურს გაეცნოს ლათინელთა ერეტიკულ ყოფას, შეუძლია იხილოს დოქსითეოზისა და მინათეას წიგნებში. საკმარისია ისიც, რომ მარკოზ ეფესელი ლათინელთა მწვალებლობით ამოწმებს ფლორენციის კრებაზე, სადაც მათ უწოდებს არა მარტო სქიზმატიკოსებს (გამთიშველებს) არამედ ერეტიკოსებსაც.“

91. წმ. კობრიანეს და ფირმილიანეს კანონების მიხედვით კი, მას შემდეგ, როცა განემიჯნებიან მართლმადიდებლურ ეკლესიას, იქცევიან ერისკაცებად და არ გააჩნიათ უკვე სულიწმიდის მადლი, რომლის ძალით მართლმადიდებელი მღვდელმსახურები აღასრულებენ ხოლმე საიდუმლოს. ლათინელები მოუნათლავები რჩებიან იმის გამო, რომ არ აღასრულებენ წყალში სამკურნალო წითლვით ნათლობას, რაც სამოციქულო კანონს წარმოადგენს მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

92. უძველესი, ანუ იმ პირველთაგანი, რომლებმაც გააუქმეს სამოციქულო ნათლობა, ასრულებდნენ თავზე წყალდასხმას მცირედი წყლის გადავლებით, რაც დღემდე სრულდება მათ მიერ ზოგიერთ ადგილებში. ზოგნი ბავშვებს შუბლზე სამკურნალო ფუნჯით

აკურებენ რამდენიმე წვეთ წყალს, ხოლო ზოგიერთ ადგილებში წყალში ასველებენ ბამბის ნაჭურს და წასცხებენ მოსანათლავს შუბლზე... ამგვარად, ლათინური წყალპკურება მოკლებულია სულიწმიდის მიღებისა და ცოდვების მიტევების ყოველგვარ მადლს“ (იხ. წიგნი „ო კრემენი გრეგესკოი ცერკვი“, 1903 წ.).

93. იქვე კვითხულობთ:

„ლათინელები ერეტიკოსებია. როგორც მოუნათლავებს, მათ არ გააჩნიათ არავითარი საეკლესიო საიდუმლო. მათგან მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაბრუნებულნი უნდა გადაინათლონ“.

94. ხოლო შემდეგ წერია:

„აი, ასეთია მართალი კანონი ბერძნული ეკლესიისა კათოლიკეების მიღების თაობაზე: განსაზღვრავენ მიიღონ ისინი არა სხვაგვარად, თუ არა პირველი ჩინით, ესე იგი თავიდან გადანათელით“.

95. ასეთი განმარტება მიეცა თქვენს მიერ მოწონებულ წყალპკურებით ნათლობას თვით ბერძნულ „პიდალიონში“, ხოლო რჯულის უგულებელყოფელთ შეგასენებენ:

96. უფლის ეკლესია სახარებაზე არანაკლებ პატივს მიაკვებს წმიდა მამათა შვიდი მსოფლიო და ცხრა ადგილობრივი კრების კანონებს.

97. ამრიგად, ვინც არ ასრულებს ნათლობის მოციქულთა წყალში სამკურნალო შთაფლების წესს, მას წაერთმევა სამღვდლო პატივი. „თუ რომელიმე ეპისკოპოსმა ან მღვდელმა შეასრულოს არა სამი ნათლისდება (სამი შთაფლება)... განიკვეთოს“.

98. როცა რაიმე იცვლებოდა რჯულისკანონში, წმ. მამები ყოველთვის ითვალისწინებდნენ კანონის უფრო მაღალ რეგისტრში აყვანას და არა მის გაუფასურებას. ასე, მაგალითად, მოციქულთა მე-5 კანონმა ეპისკოპოსს ცოლის შერთვის უფლება დართო, ხოლო მე-6 მსოფლიო კრებამ აუკრძალა არა პირველი დადგენილების საზიანოდ, არა გასაიოლებლად, არამედ კანონის გასამკაც-

რებლად. როგორც ახალშობილს პურს ვერ ჩაჩრი პირში, ასევე ახლად დაბადებულ ქრისტეანობას მისი ასაკის შესაფერისი საზრდელი სჭირდებოდა და კანონიც ისეთივე მიუსადაგეს. უამთავსელამ დააბრძენა თუ არა ქრისტეანობა, კანონიც გაუმკაცრეს. აღნიშნულის საპირისპიროდ ხდება კანონის დევალაცია, როცა შთაფლვითი ნათლობა იცვლება წყალკურებითი ნათლობით.

99. საქრისტიანომ უნდა იცოდეს, დიდი რჯულისკანონი დაწერილია სულიწმიდით წმ. მამების მიერ, და თუ რამ საჭიროება ითხოვდა საშეღვათო წესის დადგენას ქვეკანონის სახით, ისინი მას უცილობლად გაითვალისწინებდნენ, როგორც ეს გათვალისწინებულ იქნა წმ. მამათა მიერ ეპისკოპოსზე სახელდასხმო კანონში.

100. „ორი ან სამი ეპისკოპოსი ხელს დაასხამს ეპისკოპოსს“ (მოციქულთა 1-ლი კანონი).

101. როგორც ქვემოთ ენახათ, წმ. მამებს არ გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ შეიძლება დადგეს უამბი, როცა ვერ მოიძიებენ ორ ან სამ ეპისკოპოსს და ამიტომ ერთ ეპისკოპოსსაც დართეს ხელდასხმის უფლება.

102. „თუკი ვერ მოიძიეს სამი ეპისკოპოსი, მამონ ორს ან ერთსაც კი ხელეწიფება ხელდასხმა“ („ეპორმჩაია“, მეფე ოუსტინანე, ახალ მცნებათა გრაგნილიდან“, თავი 42-ე, კანონი მე-20). სწორედ ამ კანონმა მისცა უფლება წმინდა მამებს, მარტოკას დაესხათ ხელი და დაებადათ ეპისკოპოსები. მაგალითისათვის გავიხსენოთ წმ. ევსევის მოღვაწეობა („რეტამინეია“, 22 ივნისი), როცა იგი მარტოკა დაასხამდა ხელს საეპისკოპოსოდ. ამ შემთხვევაში საშეღვათო კანონი არ ზღუდავდა წმ. მამებს.

103. აუცილებელია რომ ყოფილიყო, წმ. მამები ნათლობის წესის შეცვლისათვის საჭირო ქვეკანონსაც შემოვთავაზებდნენ. ამდენად, ყველამ უნდა დაიმახსოვროს ორგზისი კრების მე-17 კანონი, სადაც განმარტებულია, რომ ცალკეული შემთხვევები კანონად არ

მიიღება; სწორედ ამიტომ არის, რომ წყალში სამგზის არამთავლვით მონათლულს თავიდან გადანათლვენ სოლმე, როგორც პირველი ჩინის ერეტიკოსს.

104. „Божественным канонем не сохраняемым различна преступления бывают, от того же Божий гнев на нас сходит и многия казни... Горек суд таковым, и по делом воздание будет“ („Кормчая“, от заповедей Св. Отец, о хранении священных правил, лист 25, оборот).

ფიქრობ, არა სჭირდება გონების დაძაბვა და მტკიცება იმას, თუ რაში მდგომარეობს სხვაწიური ნათლობის წესის შემოთავაზების აუცილებლობა.

105. გაჩნდა ჭეშმარიტება? იქვე გაჩნდა სიცრუე; გვემცნო თუ არა ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ, იმ წამსვე ეშმაკმა ერთბუნებოვნება დანერგა მის გვერდით. მოგეხსენებათ, რომ ქრისტე დაიბადა 25 დეკემბერს ქალწულ მარიამისაგან, მამობილი ზურო ჰყავდა. იყო მეფის მიერ დგენილი და გადახვეწილი. ქრისტეს განკაცებამდე ეშმაკმა უამრავი პროტოტიპი შეუქმნა მაცხოვარს, თანაც ყველა ქალწულისაგან მუცლადღებული, ყველა 25 დეკემბერს დაბადებული, დედა მადიდ, თითქმის მარიამად წოდებული, მამა — ზურო, მეფისაგან დგენილი და გადახვეწილი. მერედა რისთვის ყველაფერი ეს? მხოლოდ იმისათვის, რომ დაეიბნეთ და ვერ გამოვიცნოთ ჭეშმარიტი ქრისტე ამდენ ცრუ ქრისტეში.

106. მაგრამ მათ შორის არ გაჭირდა ჭეშმარიტი ქრისტეს გამოცნობა და ჯვარცმის ბეჭდით გამოვარჩიეთ იგი წერილის მიხედვით (ეს, 53, 12; ფსალმუნნი 21, 16-19). ანალოგიურად უნდა გამოვიკვლიოთ ჭეშმარიტი ნათლობა, რამეთუ მოციქულთა ასეთივე ბეჭედი აზის ნათლობის კანონს. სხვა ყველა ნათლობა ცრუა, ვითარცა ქრისტეს პროტოტიპები. რო-

გაზეთი „ღვთიური გზა“

გორც იქ ბიბლიურმა საბუთმა შეგვაცნობინა ჭეშმარიტი ქრისტე და სხვა ყველა არაბიბლიური საბუთი გაუქმდა, ასევე დიდი რჯულისკანონი მიგვანიშნებს ჭეშმარიტ ნათლობას და სხვა ყველა არასამოციქულო ნათლობის წესი ყალბია და გაუქმებული, როგორც მოციქულთა მიერ დადგენილი სწავლების საპირისპირო სწავლება. ანათემა! – აცხადებს პაულე მოციქული ჭეშმარიტების საზიანოდ სიცრუის მქადაგებლებისათვის.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

107. თითქმის ყველა ქართველი პატრიოტია. ყველას ერთნაირად სტყევა სამშობლოს სატყეობი. მამულის სირცხვილი ჩვენი სირცხვილია, საღიდეგო მისი – ჩვენი საღიდეგო. მაგრამ ისე არ დაგვემართოს, ეშმაკმა კაცს რომ უთხრა: შენ იძინე, მე ხელს არ გახლებო. რატომ არ ახლებს ეშმაკი ხელს მძინარე ადამიანს? თავი ანება ღვთის ორგულებას თუ მისთვის ხელსაყრელ მდგომარეობაში იგულვა და ამის გამო არ აწუხებს? ეშმაკმა იცის, ბოროტებას ჩადისარ, თუ სიკეთეს არ იქმ, ორივე ერთნაირი ცოდვია. და ამდენად, უღვაწოდ დარჩენილი და მძინარე სამოთხის კარს ვერ შეაღებს.

108. ვინ არის ის ადამიანი, მძინარეს რომ შეაკრთობს და მოუწოდებს ღვაწლისაკენ, მტერი თუ მოყვარე? ბრძენი ჯერ მაფხიზლებულ სიტყვას მიუვდებს ყურს. თუ ის სიტყვა ღვთიურ კანონს არ ეწინააღმდეგება, მაფხიზლებული მოყვრად იგულე, თუ ეწინააღმდეგება, ანგელოზიც რომ იყოს, მაცდუნებლად მობრძანებულა და შეგიძლია ანათემას შეუყენო. ასე გვასწავლიან წმიდა მამები. კეთილმსახურთა ვალია, არ დაუმალოს ვერს სათქმელი, კეთილგონიერის ვალია, ის-

მინოს ღვთიურ კანონს შეეკრებულ შეგონება, ღმერთი კი ღვაწლის მიხედვით დაადებს ვერს განჩინებას. ამპარტყენებით არ უნდა შევეალოთ თვალი ვერს წარსულს. თეთრი თეთრად უნდა წარმოვიჩინოთ, შავი კი – შავად.

109. ბ-ნი ე. ჭელიძე ისე წარმოაჩენს ქართული ეკლესიის ოცსაუკუნოვან ყოფას, თითქოს მას არავითარი ზადი არ გააჩნდეს. გულანთებული მამულიშვილობა სულაც არ არის საძრახისი, მაგრამ ღმერთი, უპირველესად ითხოვს, თვალი გაუწოროთ ჭეშმარიტებას.

110. განვიხილოთ რელიგიურ-პოლიტიკური ვითარება V-XII საუკუნეების საქართველოში:

ღვთიუნიტი პირველი

111. მე-5 საუკუნის დამდეგიდან სპარსეთი იბერიას „თანდათან უჭერს... არტახებს, 532 წელს საბოლოოდ აუქმებს აქ მეფობას და თავის წარმომადგენლად „მარზპანს“ ნიშნავს“ (კ. კეკელიძე, „ქართ. ლიტ. ისტ.“, თბილისი, 1941 წ., გვ. 35).

ღვთიუნიტი მეორე

112. „სომეხ ისტორიკოსის ლაზარე პარფელის სიტყვითაც, სპარსეთის მეფეები წინათაც თურმე, პოლიტიკური მოსაზრებებით ალბანელებს, სომეხებს და ქართველებს ძალას ატანდნენ ბერძნული ქრისტიანობისათვის ელაღატანათ“ (ვენეტიკის გამ., 1891 წ., გვ. 149-158, წიგნში: იე. ჯავახიშვილი, ტომი 8, გვ. 96).

113. მე-6 საუკუნეში დეინში ჩატარებული კრება სომეხებს საბოლოოდ დაათმობინებს ტრადიციულ ბერძნულ სწავლებას და მიაღებინებს სპარსელების მიერ შემოთავაზებულ სირიულ სწავლებას, ე. ი. მონოფიზიტობას. იმ დღიდან დაემხო სომეხთა საქვეყნოდ ცნობილი რჯულმოსილება.

114. „მეექვსე საუკუნეში ქართლში ჯერ კიდევ მტკიცე და ურყევი იყო მონოფიზიტობა; ამიტომ ცხადია, რომ ქართლის ეკლესიის წევრები, მათ შორის, უეჭველია, ეესტათიც, იყვნენ მიმდევარი ამ ლოქტრინისა. ცნობილია, რომ მეექვსე საუკუნეში ჩვენთან თავშესაფარს პოულობდნენ აღმოსავლეთიდან ლტოლვილი მონოფიზიტები“ (კ.კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 476).

115. „...ღიოცების აღმოსავლეთ საზღვრებზე „მართალს რჯულს“ მედგარად ებრძოდა ამ დროის სპარსეთის ცეცხლთაყვანისმცემლობა და ნესტორიანობა. შიგნით, სირიაში თითქმის ყველა პოზიციები დაკავებული ჰქონდა მონოფიზიტობას, ხოლო პერიფერიებზე ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო წარმართობა, რომ იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა 541-542 წლებში მთელი მიხისა შეადგინა მონოფიზიტებისკაპოს იოანე ეფესელის მეთაურობით, რომელმაც მართლმცოდნეობაში 70 000 წარმართი მოაქცია (ო, რა დღეს დააყრიდა მართლმადიდებელთა ყოფას მონოფიზიტთა ეს ურიცხვი ლაშქარი?! - ი. ი.).

116. ამხარად, სირიელ მამათა ქართლში მოსვლის მიზეზად ვერ ჩაითვლება ვერც ასკეტიკური, ვერც სამისიონერო მოსაზრება; ეს მოსვლა გამოწვეული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც შექმნა აღმოსავლეთის დიოცეზში, კერძოდ, სირიაში, მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის დაუნდობელმა ბრძოლამ მე-5 საუკუნის გასულსა და მე-6 საუკუნის სიგრძეზე. ეს მდგომარეობა უნდა გათვალისწინებული იქნას ეხლა“ (ილიო კი ყურად რომელიმე მეცნიერმა ეს მოწოდება? - ი. ი.). („საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ“, თბილისის უნივერსიტეტის „მოამბე“, 1921 წ., №6, გვ. 90).

იქვე:

117. „...ქალიკონის კრებამ საქრისტიანო ორ ბანაკად გაყო: დიოფიზიტები,

რომლებიც ამ კრების დადგენილებას ლეზობდნენ და რომელთაც ამიტომ დაერქვათ ქალიკონისტები ან სინოდიტები, ხოლო მეორეში — მონოფიზიტები, რომელნიც ამ დადგენილებას უარყოფდნენ და რომელთაც ამიტომ ანტიქალიკონისტები ეწოდებოდა.

დიოფიზიტებს მიემხრო დასავლეთი ნაწილი იმპერიისა — ბერძნები და ლათინები, ხოლო მონოფიზიტობამ ფეხი მოიკიდა უმთავრესად აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორცაა: სირია, შუამდინარეთი, პალესტინა, ეგვიპტე...

118. ყველაზე უფრო მონოფიზიტობა ამ ქვეყნებში ბერ-მონაზვნებსა და მონასტრებს მოელო. V-VI საუკუნეების სიგრძეზე თითქმის მთელი სირია მონოფიზიტების ხელში იყო...

119. ამ გარემოებისათვის არ შეეძლო ყურადღება არ მიექციათ ბიზანტიის იმპერატორებს, რომელთაც კარგად ჰქონდათ შეგნებული სახელმწიფოს ნამდვილი ინტერესები. ხედავდნენ, რომ მონოფიზიტობა შეიქნა იმ ნიადაგად, რომელიც ასაზრდოებდა აღმოსავლურ სეპარატიზმს, ის ხელიდან აცლიდა მათ მთელს აღმოსავლეთს, თან განწყობილებას უფუჭებდა მათ დასავლეთის ქრისტიანობის წარმომადგენელ პაპთან, რომლის მეგობრული კავშირი და კეთილშეზობლური ურთიერთობა მათთვის უმნიშვნელო არ იყო.

120. ამით იყო გამოწვეული უნიონალური პოლიტიკა მე-6 საუკუნის იმპერატორებისა, განსაკუთრებით იუსტინე I, იუსტინიანე დიდის და იუსტინე მე-2-ისა. მათ მიზნად დაიხსნეს შეერივებით მონოფიზიტები დიოფიზიტებთან, ანუ სინოდიტებთან და ამით მოეპოვათ ის მიზეზი, რომელიც განსაცდელს უშადავდა იმპერიას. მშვიდობიანი გზით, — სიტყვით, დარწმუნებით, დისპუტებით, — ამას ისინი ვერ ახერხებდნენ, ვინაიდან სარწმუნოებრივი გრძნობის ინტენსივობით, ლოგიკუ-

გაზეთი „ღვთიური გზა“

რი რწმენის ჩამოსხმულობით, მონოფიზიტები, არამცთუ არ ჩამოუვარდებოდნენ, სჭარბობდნენ კიდევ დიოფიზიტებს (დიოფიზიტები ღონისძიებებს ატარებდნენ). სირიაში მონოფიზიტობამ ფეხი გაიდგა განსაკუთრებით იმპერატორ ანასტასის დროს (491-518 წწ.).

121. ანტიოქიის პატრიარქის ფლავიანეს კათედრიდან ჩამოგდების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა მონოფიზიტთა ერთ-ერთმა ბელადმა სევეროსმა, რომელიც პეტრე მანუშელის მონასტერში იყო აღზრდილი ქალაქ ლაზაში.

513 წელს ქ. ტვიროსში ჩატარდა კრება, რომელზედაც შეაჩვენეს ქალკედონის კრება და ანტიქალკედონისტობა თითქმის ოფიციალურად აღიარეს. ამის შემდეგ მონოფიზიტები სრულ ბატონებად გრძნობდნენ თავს სირიაში (რა ხეირს დააყრიდა ანტიოქიის მონოფიზიტი პატრიარქი მასზე დაქვემდებარებულ ქართულ ეკლესიას, როგორც მეურვე და სულიერი პატრონი, გასაგები უნდა იყოს მკითხველისათვის. — ი.ი.).

122. ანასტასი იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ (518 წ.) ტახტზე ავიდა იუსტინე I, რომელმაც დიოფიზიტობა დაამკვიდრა და მონოფიზიტებს დევნა გამოუცხადა (დევნილი, რა თქმა უნდა, იძულებულია დატოვოს თავისი სამყოფელი და მიაშუროს საიმედო საყუდარს. გამორიცხული არ არის, სწორედ ამით იყო გამოწვეული ასურელ მოღვაწეთა გამოჩენა საქართველოში. — ი.ი.). 519-520 წლებში, ანტიოქიის პატრიარქის პავლეს დროს, რომელმაც დაიკავა გამძევებული სევეროსის ადგილი.

123. აი, როგორ აღწერს ამ დევნულობას იოანე ეფესელი: „ანტიოქიის მიდამოებში, მთელს არაბისტანსა და პალესტინაში, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მრავალ ქალაქში და განშორებულთა უდაბნოებში თითქმის

სპარსეთის საზღვრამდე, აგრეთვე, აღმოსავლეთის სხვა ქალაქებშიც მოსახლეობა გამძევებული იყო სამკვიდრებელი ადგილებიდან და გაფანტული. ვისაც დაიჭვრდნენ, ბორკილებს ადებდნენ, ამწყვედვდნენ სატუსალოში და ყოველგვარ სასჯელსა და ტანჯვას აყენებდნენ. ბევრი, ქონების ჩამორთმევის შემდეგ, კედებოდა შეუბრალებელი ცემისაგან;

124. სხვებს თავს ესხმოდნენ რაზმები და უღმობელი ჯალათები, რომელნიც ერეკებოდნენ მათ ერთი ადგილიდან მეორეზე... თუ ვინმე გაბედავდა ამ საბრალთა შეფარებას სოფლებსა და სახლებში, მათ აწიოკებდნენ, სცემდნენ და ტანჯავდნენ.

125. ანაზღეული და შეუყენებელი გრიგალი დევნულობისა მოედო აღმოსავლეთის ყველა ოლქებს, ქალაქებსა და სოფლებს. ასეთი ტანჯვა, ვაება და შევიწროება ხვდა წილად ბერ-მონაზონთა წესს პავლე პატრიარქის დროს“.

126. „...520 წ. ცნობილია მონოფიზიტთა „დიდი დარბევის“ წლად. ამიდას ოლქის მონასტრებიდან გამოძევებულ იქნა ათასი ბერი, მათ შეადგინეს ცნობილი „ამიდას ათასეული“, რომლის მოგზაურობა და ხეტიალი აღწერილია იმავე იოანე ეფესელის მიერ“ (იქვე, გვ. 92).

530-536 წწ. იუსტინიანეს მეფობა, დიდი დევნა — რომის პაპის ზეგავლენით დაიწყეს რეპრესიები.

544 წ. გამოიცა ედიქტები, სადაც მონოფიზიტებს ეკრძალებოდათ სარწმუნოების საჯარო გამოხატვანება, ტაძრების აგება და ღვთისმსახურების შესრულება.

...ბერებმა მთავადინეს თათბირი, დაიყენენ ჯგუფებად, — თითოეულ ჯგუფს თავისი ხელმძღვანელი ჰყავდა, — და გადაიხვეწნენ სხვადასხვა მხარეს“ (იოანე ეფესელი, იქვე, გვ. 93).

127. „...მონოფიზიტების დევნულობამ, რომელიც თითქმის მთელი VI საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა, განსაკუთ-

რებული სიმამფრით იფეთქა 519-520, 540-542, 544-571 წლებში. აწიოკებული ბერები გარბოდნენ, ვისაც სად შეეძლო და სად მოეხერხებოდა. ეს გარემოება კარგად უნდა გვახსოვდეს, როდესაც გვინდა გამოვარკვიოთ, თუ რამ გამოიწვია ასურელ მამათა ქართლში მოსვლა. ისინი, ვიმეორებთ, არ მოსულან ჩვენში არც ასკეტური, არც სამისიონერო მიზნით, მათი მოსვლა გამოწვეული იყო იმ მდგომარეობით, რომელიც ეს-ესაა დავასურათეთ: ეს მამები იყვნენ მონოფიზიტები, როგორც ასეთები, ისინი გამხდარან მსხვერპლი აღნიშნულ დევნულობათა და ამის გამო გამოქცეულან ჩვენსკენ...

128. მართალია, არსებული რედაქციები სირიელ მამათა ცხოვრებისა დიოფიზიტურ ბრძედშია გატარებული და მათში ისტორიული სინამდვილე შებღალულია, მაგრამ იმათ მინც შეუნახავთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალები, რომელნიც ქალკედონისტ-რედაქტორებს თუ ავტორებს უნებლიეთ გაჰპარვიათ“ (იქვე, გვ. 94).

129. თქვენ ამბობთ, ბიწი არ შეხებიო ჩვენს ეკლესიას: არც მონოფიზიტურ ერებს ჰქონია საფუძველი, მაგრამ მეცნიერები ისევე და ისევე გვახსენებენ:

130. "Грузинские философы были известны как у себя на родине, так и в культурном мире Передней Азии и Греции. Такими были, например, живший в IV в. Бакурия, в лице которого перед нами предстает философ-неоплатоник, обладавший обширной эрудицией, и десятиль V в Петр Ивер, создавший в Сирии философскую школу самостоятельного направления."

131. С сирийской школой Петра Ивера были связаны вернувшиеся в Грузию т.н. "сирийские отцы", вооруженные богословско-философскими познаниями. Их деятельность, по возвращении в Грузию была направлена на утверждение в ней христианства и распространение знаний,

приобретенных ими в период пребывания в Передней Азии (С.Гамсахурдиа, История просвещения в Грузии, стр. 5).

132. "... так и другие представители религиозных направлений уничтожали, а в некоторых случаях подправляли сочинения своих противников..."

133. ...жизнеописания сирийских отцов, живших в VI в., содержатся в писаниях IX-X вв. и последующего времени, которые донесли до нас сведения об их мировоззрении в фрагментарном и переработанном виде и не дают полного представления" (С.Гамсахурдиа, там же, стр. 6).

134. მონოფიზიტური ერების საეკლესიო ყოფაში დანერგვისა და დამტკიცების კიდევ ერთი მაგალითია სომხურ-ქართული ეკლესიების ურთიერთობა, რომლის გამოც შეგვახსენებენ:

135. „იქ გვხვდება მთელი რიგი ქალკედონისტ-კათოლიკოსებისა, რომელნიც თავიანთ სამწყსოში კიდევ აღვივებენ ძველ ტრადიციებს და მით ხელს უწყობენ ქართულ-სომხურ ერთობას საეკლესიო ცხოვრების ყველა დარგში“ (აკეკელიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 38-39).

136. კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს: „...ხელს უწყობენ ქართულ-სომხურ, ე.ი. (დიოფიზიტურ და მონოფიზიტურ) ერთობას საეკლესიო ცხოვრების ყველა დარგში“. როგორ განვუმარტავს ბ-ნი ჭკელიძე ამ მომენტს. ამგვარი ხელისშეწყობა ესაზება თუ არა ერებს ხად.

137. "Благодаря подобным усилиям Ирана, сначала в Армении, а затем и почти во всем Закавказье распространилось, враждебное диофизитскому, монофизитское направление. Следует отметить и то, что это направление сменялось в том же VII сто-

გაზეთი „ღვთიური გზა“

летни. За походом в Закавказье Кесаря Ираклия последовало и "очищение веры Христовой" (С.Гамсахурдиа, там же, стр. 6).

138. რას ნიშნავს „ოჩნიშენიე ვერი ხრისტოვიო“? ე.ი. შერყენილია ჭეშმარიტი ქრისტიანული ყოფა, რის გამოც განწმენდა უწევთ მისი.

პოლიტიკური ვითარება თანდათან იძაბება.

ღოკუმენტი მეოთხე

139. (მე-7 საუკუნე. ხაზარების შემოსევა თბილისში):

„...როდესაც შეწყდა ხმა ტირილისა და ვაებისა და აღარავინ გადარჩა ცოცხალი, მამინ მათაც გაიგეს, რომ დაძღნენ მათი მახვილინც.

მამინ ხელთ იგდეს ყუთები განძით საესე, მთელს სიმრავლეს ჯარისას ზურგით მიჰქონდა ისინი და თავიანთი მბრძანებლის წინაშე ახეაებდა ერთმანეთზე. იმდენ ხანს მიჰქონდათ მის წინაშე, რომ ყურებაც კი მოსწყინდათ ოქროსა და ვერცხლის ფულების ურიცხვით სიმრავლისა, ზოლო ვინ მოსთვლის მარგალიტის ქვებით მოოჭვილ ხაეკლესიო სამკაულებსა და ჭურჭელს...“ (ნ.ასათიანი, ვ.გურუა, მ.ლორთქიფანიძე, შ.მესხია, საქართველოს ისტორია, VIII-IX კლ. სახელმძღვანელო, თბ., „განათლება“, 1988 წ., გვ. 89).

140. იმის საჩვენებლად, რა დროს და რისთვის მიუგდებს ღმერთი თავის ტამარს შესაბილწად და გასამარცხავად, შემოგთავაზებთ ღოკუმენტებს ბიბლიიდან:

„თუ არად ჩააგდებთ ჩემს წესებს... ფუჭი იქნება თქვენი დათესილი, რადგან მტრები შეიჭვიმენ... დაუმარცხდებით თქვენს მტრებს, გაგიბატონდებიან მოსისხლენი; გაიქცეით, თუმცა მღევარი არ გყოლებათ.

141. ...და თუ მინც არ დამიჯერებთ, შეიღვზის მოგონატებთ სასჯელს თქვენი ცოდვებისათვის... არ მოგცემთ მიწა თავის მოსავალს და თქვენი ხეები — თავის ნაყოფებს... თქვენც დაგლევენ და დაცარიელდება თქვენი გზები... თუ მაშინაც არ დამიგდებთ ყურს... შეიღვზის დაგსჯით თქვენ... თქვენი ვაჟების ხორცს დაუწყებთ ჭმას და თქვენი ასულების ხორცს შეჭამთ“ (ლევ., 26, 1 5-29).

ღოკუმენტი მეხუთე

142. „735 წ. მურვანყრუ საქართველოში 120-ათასიანი ლაშქრით შემოვიდა. მან აიღო და დაანგრია აღმოსავლეთ საქართველოს უმრავლესი ციხეები და ქალაქები, მოსახლეობა სასტიკად დაარბია ან შეუბრალებლად ამოხოცა“ (შემდეგ დასავლეთ საქართველო დააქცია) (ნ.ასათიანი, ვ.გურუა, მ.ლორთქიფანიძე, შ.მესხია, საქ. ისტ., VIII-IX კლ., 1988 წ., გვ. 90).

ღოკუმენტი მეექვსე

143. „ქართველებს ევალებოდათ არაბებისთვის სამხედრო დახმარების აღმოჩენა. ქართველთაგან, თუ ვინმე მაჰმადიანობას მიიღებდა, ის თავისუფლდებოდა ჯიზიასაგან (ღალისაგან) და სარგებლობდა მუსლიმანთა საერთო უფლებებით, ზოლო ხელახლა გაქრისტიანების შემთხვევაში ისჯებოდა“ (იქვე, გვ. 87).

ღოკუმენტი მეშვიდე

144. „...ეგრისის მმართველმა სერგი ბარნუკის ძემ ძველ ხერხს მიმართა — ბიზანტიელთა წინააღმდეგ არაბთა გამოყენება სცადა (ცუდლ ზნე ჭირვებით უბედურებს, ქრისტიანებს განდგომიან და მუსულმანებს მინდობიან. — ი.ი.). 697 წელს იგი ბიზანტიელებს აუჯანყდა და ქვეყანა არაბებს გადასცა“ (იქვე, გვ. 88).

145. მწერალი იოანე საბანიძემ წერს:

„ერთ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქუეშე მათსა გვეშულნი და ქუჯნილნი“ (იქვე, გვ. 92).

რა ყოფაში იქნებოდა მონის ოჯახი და ტაძარი, თავად მიხედვით.

ლოკუმენტი მეცხრე

146. გეამცნობს მემატინანე:

„ურჯულო ეცადე შენს რჯულზე მოაქციო უთუი არ ინება, მოკალი“.

ამის უფლებას იძლევა ყურანი.


ლოკუმენტი მეთათუ

147. „ვიინადან ხალხი თანდათან იფიწყბდა სამშობლო ენას და არახულად იწყებდა ლაპარაკს, სამღვდელოება იძულებული შეიქნა დათმობის გზას დასდგომოდა: თუ მრევლს არ ესმოდა წირვა-ლოცვისა და საღმრთო წერილის ენა, ერთიცა და მეორეც უნდა მიეცათ მისთვის ახალ ხალაპარაკო ენაზე — არახულზე. ამნაირად, საქრისტეანო არახული მწერლობა საჭიროებისა და აუცილებლობის პროდუქტია“... (კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 49).

148. არაბთა ხალიფატი ატლანტის ოკეანის ნაპირიდან ინდოეთისა და ჩინეთის საზღვრებამდე გადაიჭიმა, რა დღეში არიან ამ მუსულმანთა ხელში დამონებული ქრისტეანული სახელმწიფოები?!

ლოკუმენტი მეთერთმეტე

149. „ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ სარდალმა ამრუმ ხალიფამ ომარს შეუთვალა, როგორ მოვექცე აღმქსანდრიის სახელგანთქმულ ბიბლიოთეკას? ხალიფამ ბრძანა,



დაეწათ ძველ ხელნაწერთა ბიბლიოთეკა: თუკი იმ წიგნებში ლაპარაკი არ არის იმაზე, რაც წერია ყურანში, საჭიროა მისი მოსპობა. ხოლო თუ იგივეა ნათქვამი, მაშინ ეგ წიგნები რაღა საჭიროა“.

150. ისლამი სპობს ყველაფერს, რასაც ქრისტეანული ჰქვია. მხოლოდ ბნ ედიშერის უსაზღვრო ოპტიმიზმი გვამშვიდებს.

ლოკუმენტი მეთორმეტე

151. „VIII-X საუკუნეებში იფეთქა ქართველებში ეროვნულმა სულისკვეთებამ, ფრთები შეისხა ეროვნულმა თვითშეგნებამ. სომხებისაგან ეკლესიურად ჩამოშორება, რომელსაც ადგილი ჰქონდა VII საუკუნის დასაწყისს, მოხდა ეროვნულ-ეკლტურული იდუოლოგიის საფუძველზედაც. ქართველებმა თავიანთი ეროვნული ცხოვრების კულტურულ მიზნად დაისახეს საბერძნეთ-რომის საეკლესიო სფეროებთან და წრებთან დაახლოება და თანდათანობით განთავისუფლდნენ აღმოსავლური, სირიულ-სპარსული საეკლესიო ტრადიციებისაგან“ (კეკელიძე, იქვე, გვ. 41).

152. ბოლო წინადადება: „... თანდათანობით განთავისუფლდნენ აღმოსავლური, სირიულ-სპარსული საეკლესიო ტრადიციებისაგან“ სხვას არას ნიშნავს, თუ არა თავსმონვეული მონოფიზიტობიდან თავდაღწევას.

153. „როგორც ცნობილია, თბილისი ოთხი საუკუნის მანძილზე 1122 წლამდე არაბთა მფლობელობაში იყო და მის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას განაგებდნენ არაბთა ამირები და მათი ხელქვეითი მუსულმანები. ამის გამო თბილისში დიდად მომრავლდა მუსულმანური მოსახლეობა, რომელმაც რიცხობრივად ქრისტეანებს გადააჭარბა კიდევც. სანამ არაბთა ბატონობა

გზებით „ღვთიური გზა“

მღიერი იყო, ქართლში თბილისის საამიროს დიდი გავლენა ჰქონდა და ამირაც სწირად იჭრებოდა ქართველთა საქმიანობაში: ინტრიგების ქსელს აბამდა, ქრისტეანებს იბულებით ამაჰმადიანებდა, გაქრისტეანებულ მუსულმანებს სიკვდილით სჯიდა, მოსახლეობისაგან დიდძალ ხარკსა და ქრთამს იღებდა“ (ი.ოლოლაშვილი, „არსენ იყალთოელი“, თბ., 1978 წ., გვ.93).

დავითის ისტორიკოსი წერს:

154. „დავით აღმაშენებლის მეფობაშიც, სანამ თბილისი ჯერ კიდევ არ იყო შემოერთებული, თბილისელი მუსულმანები ქრისტეანებს სდევნიდნენ და ავიწროვებდნენ“. იქვე აღნიშნულია: „ქალაქი ტბილისი... საესე იყო სისხლითა ქრისტეანეთაითა, რამეთუ: ოდესმე ყვიან დაედავი და თვინიერ მიზეზისა ცა მოსრნიან, რაოდენნი პოენიან ქრისტეანენი, ხოლო ოდესმე ქარაგანსა თანა შემოყოლილთა თურქთა ზედა გასცნიან შემომავალ-გამომავალნი ქრისტეანენი, და ტყვეობად და სიკუდილად მისციან, და ესრეთ ისრეოდა ქუეყანა მრავალყამ, რომელი-ესე ფრიად ეძვინებოდა სულსა დავითისასა“.

155. „დავით აღმაშენებელმა მემკვიდრეობით მიიღო მტრისაგან დაუძღვრებული და გაჩანაგებული ქვეყანა, სადაც მთლად მოშლილი იყო პოლიტიკური მმართველობა, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრება (იქვე, გვ. 49).

156. „მოშლილი იყო პოლიტიკური მმართველობა, კულტურული და ეკონომიკური ცხოვრება“ — ეს სხვას არას ნიშნავს, თუ არა იმას, რომ სახელმწიფოს დაცემის მიზეზიც ვინილეთ. ეჭვმოტანელია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნულ სიტუაციაში ეკლესია დაცემულია.

157. მემატანე წერს: მაშინდელ საქართველოში „წმინდანი ეკლესიანი (იგულისხმება, საერთოდ ღვთის წმიდა ეკლესია და

არა იმდროინდელი ეკლესია. — ი.ი.), სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროუს, ვიდრე ღირსებით დაიყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი (ეკლესია ავაზაკთა სადგომად მაშინ იქცევა, როცა ხუცესნი და ქორეპისკოპოსონი რჯულს განირიდებენ. — ი.ი.), ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსონი დაედგინეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქვეშეთა ყოველთა. და თვით სახლით უფლისაით და მღვდელთაგან მოვიდოდა ყოველი ურჯულოება და ცოდვა“ („ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 327).

158. სურათი ნათელია: ცოდვა და ურჯულოება ერთმანეთისაგან განუმიჯნავს მემატანეს, რადგან კარგად ესმის — იქ, სადაც ნახსენებია რჯული, ლაპარაკია მართლმადიდებლური ეკლესიის სამართალზე, ე.ი. დიდი რჯულისკანონის შერყვნაზე, რომლის დარღვევების გამო შფოთავენ ჭეშმარიტი მამულიშვილები; ხოლო იქ, სადაც ნათქვამია ცოდვის შესახებ, იგულისხმება მხოლოდ მცნებათა დარღვევა; ეს კი ჭეშმარიტად უფრო ნაკლებ დანაშაულად შეირაცხება, რადგან პირველი დანაშაული ეკლესიას კლავს და ერს ღუპავს, ხოლო მეორე ცოდვად წოდებულია, პირადულია და ეკლესიაც მისთვის ებოძა ქრისტეანს, რომ საშუალება მიეცეს მონანიების გზით ცოდვის განრიდებისა; ამდენად, იგი უფრო ნაკლები ჭირია.

159. „შესხმა დავითისა“ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გადაუწერია ერთ ანონიმ მწიგნობარს, ამის შემდეგი კომენტარი დაურთავს იონანე მღვიმელს:

160. „ოღეს მეფეთ-მეფემან აღმაშენებელ-მან დავით კრება შეჰკრბა ქართლით, რუისსა და ურბნისს შუა რომ მინდორი არის, იქ“ და გაატარა საეკლესიო რეფორმა, კრების მონაწილეთა „მაგერ მოძღვარი მეფისა დავითის და წინამძღვარი მღვიმისა... არსენი ამა ზემო ნაწერსა (შინა) შესხმასა და მადლობასა

მოახსენებს წმინდას დაკით აღმაშენებელსა“ (ივ.ლოლაშვილი „არსენ იყალთოელი“, გვ. 12).

161. საინტერესოა, ე. ჭელიძისა და მისნაირთა აზრით საეკლესიო რეფორმა ნიშნავს თუ არა უკვე არსებულის შეცვლას. რანაირად შეგვიძლია დავიჩემოთ უზადობა ეკლესიისა საქართველოში არაბთა სამსაუკუნოვანი ბატონობის ჟამს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, „ბიწი არ შეხებია სარწმუნოებას“, ნიშნავს, არ ვყოფილვართ მრწამსის გამტყუნნი, როგორც ეს კათოლიკეებმა და სომეხებმა ჩაიდინეს.

162. გთავაზობთ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების განჩინებას ძეგლისწერიდან (1105 წ.):

„ეს არის წმინდათა საეკლესიო კანონთა კრებული დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე (ლაპარაკია დიდი რჯულისკანონზე. — ი. ი.). ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ პყრობა მართებს ყველა ქრისტიანული მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდლებსა და დიაკვნებს. ჩვენი შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას“.

განა ამის შემდეგ გაუბედავდა ვინმე დაკით აღმაშენებელს ოდნავი სახეცვლილება შეეცანა რჯულისკანონში, გნებავთ, მამათა ნაღვანად მიჩნეულიც რომ ყოფილიყო?

163. რატომ მიიჩნევენ მეცნიერები ოთხასი წლის შემდეგ შედგენილ ასურულ მამათა ბიოგრაფიებს ფალსიფიცირებულად? იმიტომ, რომ მიაკვლიეს მათ მაკომპრომენტირებელ საბუთებს, რის საფუძველზედაც განაცხადეს: მონოფიზიტთა ბიოგრაფიული ნუსხები დიფოზიტურ ქურაშია გატარებული.

164. ამის გამო ნურაინ შემომწყვება, უმჯობესია, კორნელი კეკელიძესა და სვიმონ გამსახურდიას ვდავონ; ვდავონ იოანე პეტრიწის ოპოზიციონერებს, გნებავთ, თვითონ

გაზეთი „ღვთიური გზა“

არსენ იყალთოელს.

165. რატომ მიიჩნევენ არსენ იყალთოელს იმ დიდი ფილოსოფოსის — იოანე პეტრიწის ოპოზიციონერად? ხომ ძნელია პეტრიწის ქრისტიანობაში შეიტანო ეკვი. მაგრამ ღვთიური განჩინება ეფუძნება მხოლოდ საეკლესიო სამართალს, თქვენ განაწყენებულხართ კ. კეკელიძის ნაშრომებით. ვნებდავ, რომ ისეთი მეცნიერები მოგწონთ, რომლებიც მხოლოდ ერის სადიდებელს ღაღადებენ, ხოლო ჭეშმარიტების მქადაგებელთ, თავიანთი პირუთენელობის გამო, ერის მოღალატეებად თვლით; ასევე იქცეოდნენ ებრაელებიც, რომელთაც ოდენ ის წინასწარმეტყველები მოსწონდათ, რომლებიც ისრაელის სადიდებელს ღაღადებდნენ, მწარე სინამდვილის მთქმელ წინასწარმეტყველებს კი ხოცავდნენ. სწორედ ჭეშმარიტების მიმართ აშკარა და მოკიდებულებამ დააქცია ისრაელის სახელმწიფო.

166. უმჯობესია იმაზე ვიფიქროთ, რამ აიძულა კ. კეკელიძე ასურელი მამები მონოფიზიტებად შეერაცხა? ჩვენი უბედურება ის კი არ არის, მოიხსენიებენ თუ არა ქართულ ეკლესიებში ასურულ მამებს. ჩვენი უბედურება ეკლესიური სამართლის რღვევაშია. უმჯობესია, ამ საქმეს მოვეკიდოთ.

167. ახლა ვიზილოთ, როგორია ანტი-ქრისტიანული შემოტევა საქართველოს რელიგიურ ლიტერატურასა და მხატვრობაზე.

168. "В середине VII века вследствие нашествия арабов, исторические условия развития грузинского искусства в корне изменились. Тбилиси становится резиденцией эмира. Арабское господство вызвало экономический упадок Грузии, разделение ее на отдельные политические образования и массовое переселение жителей из Восточной Грузии в западные и юго-западные провинции."

Более или менее самостоятельные единицы образуют Кахети, Абхазия (Западная Грузия) и Тао-Кларджети (картвелта самепო).

Культурная жизнь начинает постепенно возрождаться лишь с IX века. Рост национального самосознания, явившийся реакцией на арабское господство, развитие монастырей, особенно в Тао-Кларджети, ставших крупными центрами литературной и научной деятельности, переоценка и развитие прошлой литературной деятельности, новые переводы выдающихся произведений средневековой византийской литературы, все это создало идейную базу для борьбы за национальную независимость, за воссоединение разрозненных грузинских земель в едином государстве” (Ш.Амиранашвили, “Вклад Грузии в сокровищницу художественной культуры”, стр.12).

170. “Рукописная псалтырь XVI века, сохранившая 70 миниатюр в лист, отражает проникновение в грузинское искусство западных приемов миниатюрной живописи.

171. Западное итальянское влияние заметно в изображениях воинов, батальных сюжетов, крепостных строений военного снаряжения и т.п. В руках Давида вместо гуслей - итальянская скрипка со смычком” (там же, стр.31).

172. “В XVI веке в Иране работал грузин-миниатюрист Сиауш, который создал целую школу искусных мастеров-иллюстраторов книги. В XVII в. там же работал другой миниатюрист Али-Кули-Джабадари, произведения которого сочетают элементы иранского и западного искусства, посвящаются грузинскими приписками (там же).

173. Вторая рукопись иллюстрирована миниатюристом Тевдоре в 940 году. Изображения евангелистов сопровождаются сценами исцеления, редакция которых восходит к произведениям раннехристианского искусства. Христос во всех сценах “исцеления” представлен юным, без бороды, как на памятниках, насыщенных эллинистическими традициями” (там же, ст. 21).

174. ხატის შექმნის კანონიკური წესის შეცვლა აღარ გვაოცებს, რადგან თვით ქრისტეანული ეკლესიის ჯვრებიც კი მუსულმანურ ნახევარმთავარებზე შეაყენეს, საკურთხებელი თითების წეობა დაარღვიეს; არაბებისდროინდელი ხატები არაბი კაცის იერს იძენს; მონღოლების ბატონობისას ქრისტეს და წმინდანებს მონღოლური რასის წარმომადგენელს ამგვანებენ, ხოლო შემდეგ კი — რუსებს; ასე რომ, თვით ხატებსა და ჯვრებს ეტყობა ეპოქის დამლუპველი გავლენა;

175. „აღნიშნული პერიოდის სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობა მარტო იმით კი არ ამოიწურებოდა, რომ ქართველები სომხურ წიგნებს თარგმნიდნენ, — ამასვე სჩადიოდნენ სომეხებიც; ჩვენამდე შენახულა დოკუმენტი, ანასტასი ანტიოქელის კატეხიზმო, რომელსაც ეწოდება: „სიტყუა კითხვა-მიგებითი საღმრთოისა გულისხმის ყოფისათვის“. ამ თხზულებას შემდეგი მინაწერი აქვს: „წიგნი ესე კონსტანტინოპოლისს ქართველმან ვინმე მეცნიერმან ბერძენთა ენისგან სთარგმნა ქართულად ლიტონად“ და მერმე საქართველოს სომეხმა — სომხურად, რომელმაც თავის თარგმანში ბეერი თავისებურება შეიტანაო“ (კ.კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 66).

176. ბერძნულიდან ნათარგმნ სომეხი მთარგმნელი თავისებურად „რანდავს“. კატეხიზმო რომ თავისივე სახით წარმოედგინა ხალხისათვის, უმალ გამოჩნდებოდა მათი ერეტიკული სახე; სწორედ ამიტომ სჭირდებოდა თავისებური ხელის გაკერა,

რათა ერეტიკული ნორმებისათვის მოერგო იგი.

177. „განახლდა და გაცხოველდა ამ პერიოდში, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში, სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ურთიერთობაც: ამ დროს წარმოიშვა მთელი რიგი სომეხურიდან ნათარგმნ თხზულებათა, განსაკუთრებით ღვთისმეტყველებაში და ფილოსოფიაში“ (იქვე, გვ. 65).

178. ერეტიკული ეკლესია დოგმატურ დებულებებს ვერ იტანს, როგორც მისი ერეტიკულობის მამხილებელ სარკეს. ამიტომ ის ამ არაკანონიკურობას გაითავისებს, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტებას და ცდილობს სხვაც დააჯეროს ამაში.

179. რა პასუხს აძლევს ჭელიძე ამ დოკუმენტებს? საქართველოს ეკლესიის კარი ყურთამღე ღიაა ნებისმიერი ერესის დასაწერად. ასე ნებავე ხალხს და ასე ნებავე შეუს.

180. „В училище Римской коллегии церковной пропаганды, где они наряду с теологией изучали философию и после возвращения в Грузию способствовали распространению католической веры. В середине XVII века Падре Карло в своем докладе пишет о такой школе в Тбилиси, а в докладе Серапиона в 1671 году читает, что „он открыл школу, в которой множество детей; детей обучаем грузинскому, итальянскому и латинскому, а также ежедневно разъясняем им христианское учение“.

181. (რასაც ასწავლიდნენ, ხომ მიხვდით, ჩემო მკითხველნო, იმასაც ხომ მიხვდით, როგორ მორწმუნეებს უზრდიდნენ საქართველოს. ამიტომაც არ უნდა გაგიკვირდეთ, საღვთისოდ ჭელიძე და მისწირები რომ ქადაგებენ მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო სწავლებას. ეს ჭირი ეშმაკმა და მისმა მოკავშირე ადამიანებმა იმთავითვე გამოუწერეს საქართველოს დასაღვთავად).

182. „Оттуда же Серапион отправлял грузинскую молодежь на учебу в Римскую церковную коллегию.

Школы перечисляются и в одной из докладов 1676 года, согласно которому в каждой из школ обучалось, оказывается 40-50 учеников (С.Гамсахурдиа, там же, стр. 117-118).

183. „Безусловно, что среди многочисленных вещей, вывезенных врагами, были и книги и отнюдь не в хорошем состоянии должны были находиться церковные, монастырские и просто светские школы. Правительство, понимая в этих условиях значение деятельности миссионеров в определенные периоды, под страхом находившихся в Грузии персидских и турецких наблюдателей или православных церковных деятелей выступавших против католиков - в тайной форме, всячески пытались оказывать им поддержку. Царь Теймураз I даже просил миссионеров присылать в Грузию художников и лечащих врачей, как для росписи разоренных врагом многочисленных церквей, так и для различных болезней, распространившихся во время смут, т.к. местных сил, конечно, не хватало“ (С.Гамсахурдиа, там же, стр. 116).

184. (რა ხეირი დააკარეს მოწვეულმა კათოლიკე მზატერებმა ქართულ ეკლესიებს, კარგად ვიცით. დააკვირდით, რისთვის ამზადებდნენ ქართველთა ნაშვირებს თავიანთი კოლეჯებში):

185. „В письме просят послать их в римскую коллегию или для того, чтобы они усовершенствовались в науках, или для того, что очень необходимы миссионеры для деревень...“ (там же).

186. (ხომ ღაინახეთ! მერე ამ ჩვენს გაკათოლიკებულ შვილებს გამოგვიგზავნიან სა-

ქართველოში მართლმადიდებლობისა და ეროვნული სულის მოსაკვდინებლად. ამის მაგალითია ის, რომ უკვე გაკათოლიკებულმა ქართველებმა ფრანგები იწოდეს. აი, მთავარი არსი ქართველთა შორის კათოლიკე მისიონერთა აღზრდისა).

187. "Из упомянутых молодых людей, хотя оба они горожане, один из Тбилиси, другой из Ахалцихе и принадлежат к лучшим семьям, все же принесли письменную клятву вести свою деятельность в тех деревнях, куда их направят старшии" (С.Гамсахурдиа, там же, стр. 120).

აი, მათი ნაღვაწი:

188. "Грузинские юноши, посланные в римскую церковную коллегию по видимому хорошо учились. Некоторые из них стали довольно известными учеными. Например, "гориец" Давид из рода Тулуков (Давид Тулукашвили. - Св. Г.) 22 марта 1732 г. "перед префектом кардинала" защитил "публичную философскую диссертацию".

189. В дальнейшем им были написаны различные труды, в том числе созданный в помощь миссионерам грузинский катехизис (1733) и др. (там же, стр. 120).

190. ზემონსენებელი დოკუმენტი ამგვარად წარმოაჩენს, თუ სად გვიბეჭდავდნენ სასიკვდილო რეცეპტებს – კატეხიზმოდ წოდებულებს?!

დააკვირდით, როგორ ესწრაფვიან ქართველები გაკათოლიკებას:

191. "Что же касается школ, то в XVI веке миссионеры основывали их как в Восточной, так и в Западной Грузии. В связи с этим, например, в докладе падре Клементя Галано читаем, что миссионеры основали в провинции

Гурии "школы детей для которых или дарил сам правитель, или отдавали господа, а некоторых отбирали у родителей, которые не могли воспитывать детей". В этих школах детей обучали чтению, письму и теологии.

192. Детей, проявивших при обучении способности, отправляли в Рим для получения высшего образования. Аналогичное положение описано и в Мингрелии, в частности, падре Дзампи заявляет, что "правитель Колхиды отдал нам много благородных отроков для воспитания и первоначального приобщения к вере".

193. Миссионерами было открыто ряда школ в Восточной Грузии (стр. 117). Ясное представление обо всем этом дают подробные докладные записки католических миссионеров, в которых они время от времени касаются и интересующих нас вопросов" (там же, стр. 116).

194. XVI-XVIII საუკუნეებში მისიონერების მიერ სკოლების დაარსებაზე მეტყველებს შემდეგი დოკუმენტი.

195. "Как уже отмечалось, школы созданные миссионерами, содержались за счет населения. Такие школы существовали не только в XVI-XVII и начале XVIII вв., но, по свидетельству Давида Багратиони, сохранились и в период царствования Ираклия II и были на "общественном иждивении". (стр. 123).

"Некоторые учебники предназначавшиеся для школ часто составлялись самими миссионерами и печатались в грузинской типографии в Риме. Здесь были напечатаны, например, грузинско-итальянский словарь, издание которого во многом способствовало пребыванию в Риме посла царя Теймураза I, Николоза Чолокашвили, а также грузинская грамматика, катехизис и др" (М.Тамарашвили,

196. ანათემას შეყენებულ კათოლიკურ ეკლესიას ეშვილა და ეძმო მართლმადიდებლობის გამყიდველი საქართველო. გთავაზობთ ვეროპის არქივებში აღმოჩენილ დოკუმენტებს:

ლოკუმენტი მეცამეტე

197. თეიმურაზ მეფის წერილი ურბან მე-8-ს; ქართველთა მეფის მიერ (თეიმურაზ) პაპისადმი მიწერილი ბარათი — რომის უმაღლეს ქურუმს:

198. „ამ წერილის საშუალებით მე გამოვთქვამ პატივისცემას და გკოცნი შენს მოციქულებრივ ფეხებს, ვინაიდან შენ ასმევე ყველას მარადისობის უკვდავების წყალს (საქართველოს მეფე ფეხებს უკოცნის კაცს, რომელიც, მართლმადიდებლობა რომ იხეოს, თავიდან უნდა გადაინათლოს, როგორც ი ჩინის ერეტიკოსი. — ი.ი.ი.).“

199. აწ ვითხოვთ შენგან ღოცვა-კურთხევას და ასევე ცოდვების შენდობას, ვინაიდან შენ ხარ სარწმუნოებისა და მსოფლიო საეკლესიო იმპერიის ბოძი და ასევე პირველი საყდარი... გვიბრძანე და მაშინვე გაიგებ ჩვენი მორჩილების შესახებ“.

ქართლი, 1626 წლის 20 ნოემბერი (ილ. ტაბაღლა, „საქართველო ვეროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, ტ. II, გვ. 234-235).

ლოკუმენტი მეოთხმეტე

200. (თეიმურაზ მეფის წერილი პაპ ურბან VIII-ს (რომის დიდ პაპს, 1626 წ.):

„აღმოსავლეთიდან ჩვენ მიემართავთ რომს, სადაც შენ ხარ დიდი მზე, რომელიც ქერუბიმისა და სერაფიმის მსგავსად ბრწყინავს მთელს მსოფლიოში, ხედავს რა წმ. სამეულს და იცის ყველა მეფის შესახებ, ვინაიდან შენ ანათებ მსოფლიოს. შენ ხარ ეკლესია, რწმენის დასაყრდენი, ხედავ ამას, აგვირ-

გაზეთი „ღვთიური გზა“

გვინებ წინასწარმეტყველებისა და მოციქულების მოძღვრებას...“

201. ამრიგად, შენც მისი ქმნილება, მსოფლიოს პაპი ცის მფარველობის ქვეშ, ყველას შორის უდიდესი, ყველა ქრისტეანის მამა. წერილით პატივს ვცემთ თქვენს უწმინდესობას და გკოცნით თქვენი ნეტარების ფეხებს, თქვენ ხელში გიჭირავთ უკვდავების წყალი, რომელიც გსურთ შევსეთ უკვდავებისათვის (იტყვის ამას ეს უბედური მეფე და მიიღებს კიდეც ღვთის რისხვას. ორი სიკვდილის მესაკუთრე გახდება. — ი.ი.ი.). ახლა ვადასტურებთ თქვენი ნეტარების თანდასწრებით — ეკუმენური ერთიანობის განსახიერების თანდასწრებით“... (ილ. ტაბაღლა, იქვე, გვ. 235). (აი, ვინ არის შენიღბული დიდი ეკუმენისტი, მართლმადიდებლური კანონების გაუქმებით მსოფლიო ეკლესიების გაერთიანებას რომ ლაშობს).

ლოკუმენტი მეთხუთმეტე

202. (მე-17 საუკუნის ანტიოქიის ეკლესიური სახე. ნიკიფორე ირბანის გამგზავრება მადრიდიდან რომში):

„უგანათლებულესო, ყოვლად პატივცემული ბატონო ჩემო, დიდად თაყვანისმცემელი პატრონო!

203. იბერიის მეფის ელჩის ტიტულით აღჭურვილი ბატონი ნიკიფორე ირბანსი, რომელიც ამას წინათ აქ ჩამოვიდა და მისი უდიდებულესობის (იგულისხმება ესპანეთის მეფე ფილიპე IV) ხარჯზე დაახინავეს, მეფის სასახლის კარზე მიღების წინ მომართა თხოვნით, ამ წერილით წარმედგინა იგი თქვენი უგანათლებულესობის წინაშე, რათა აღმოუჩინოთ მას ყურადღება და კეთილგანწყობა, რომელიც დამახასიათებელია თქვენი განუსაზღვრელი თავაზიანობისათვის.

გაზეთი „ღვთიური გზა“

204. მის ამ თხოვნას ვასრულებ დიდი ხალისით, ვინაიდან ვებედავ ვიმედოვნო, რომ თქვენი უგანათლებულებობისათვის ძვირფასია ყოველგვარი დადასტურება თქვენდამი თავდადებული მსახურის ერთგულებისა და ასეთივედ ვერჩები სურვილით აღსავსე მომავალშიც შევასრულო თქვენი დავალება.

205. (ანტიოქიის პატრიარქი, საქართველოს სულიერი მფრევე რომ ასეთ საიდუმლოსაანათემო კონტაქტშია რომის პაპთან, ჭედიძეს რა მოვთხოვოთ – რაც შეარჩინეს და განუზადეს, იმას იცავს თავდადებით. თავისი პრინციპის დასადასტურებლად სწორავს რჯულისკანონის პრინციპებს და ისევ რჯულისთვის მოუღებულ ლათინურ ნათლობას სთავაზობს ამავე მიზეზით დაღუპულ საქართველოს).

206. რაზედაც მხურვალედ გვედრებით და ამასთანავე, ვადასტურებ ჩემს უმდაბლეს პატივს თქვენდამი.

მადრიდი, 1628 წლის მარტი, გულწრფელად თქვენდამი, თქვენო უგანათლებულებობაზე, ყოვლად პატივცემულო. მეტად თავდადებული და უპატივცემულები მსახური ანტიოქიის პატრიარქი კარდინალ ბანდინის“ (ილ. ტაბაღუა, იქვე, გვ. 237).

207. აი, როგორი პატრიარქი ჰყავს ეგრეთ წოდებულ მართლმადიდებლური ანტიოქიის ეკლესიას. მივყვით ისტორიულ რეალობას. იხილეთ შემდეგი დოკუმენტი:

ცნობები ქართველების შესახებ

208. „ქართველები უძველესი დროიდან ქრისტიანები არიან. ისინი ქრისტიანობაში მოექცნენ ქრისტეს დაბადებიდან 325 წელს...

ქართველები სამოციქულო წმ. ტახტისა და პაპის მეტად ერთგულნი არიან. ამიტომ მათ გატიკანში სხვადასხვა დროს ელჩები გაუგზავნიათ: ერთი, პაპ პიუს II-სთან, რო-

მელმაც იგი მიიღო მანტუაში. მეორე ასეთი ელჩობა გაგზავნა სიმონ მეფემ 1546 წელს და მისწერა პაპ პაოლო III-ს წერილი...

209. საპასუხო წერილში მეფეს პაპმა პაოლო III-მ შესთავაზა სამოციქულო წმ. ტახტს გაუგზავნოს ელჩი, პაპმა კი მასთან გაგზავნა ნუნციო სტეფანო კოლინცა, ნახჭევანის არქივისკოპოსის წოდებით ცნობილი. ...ცნობებში, რომლებიც ქართველებს შეეხებიან და იხაზება წმ. კონგრეგაციის არქივში, არ მოიპოვება ცნობები ქართველების დაბნეულობის შესახებ. პირიქით, ისინი დახასიათებულია, როგორც მეტად თავდადებული ხალხი წმ. ტახტისა და პაპისადმი“ (ილ. ტაბაღუა, დასას. წიგნი, გვ. 237-239).

დოკუმენტი შეთქმულზე

210. „ნიკიფორუს მიერ პაპისადმი წარდგენილი სურვილები. იბერიის მეფის მიერ გაგზავნილი ღირსეული მამა ნიკიფორე მის უწმინდესობას წარუდგენს შემდეგ სურვილებს“:

211. პირველი, მას სურს, რომ მისმა უწმინდესობამ უპასუხოს წერილზე, რომელიც მას მისწერა იბერიის მეფემ...

მეორე, სურს, რომ მისმა უწმინდესობამ იხილოს მისწეროს და გაუგზავნოს იბერიის მეფის (სქიზმატური შეცდომებისათვის) (სქიზმატური შეცდომები. — სწორი სწავლები-საგან განდგომა. ამ შემთხვევაში იგულისხმება რომის ეკლესიიდან ქართველ მართლმადიდებელთა განდგომა. — ი. ი. შენდობა და მიიღოს ეს მეფე რომაული წმ. ეკლესიის წიაღში, როგორც კათოლიკე მეფე.

212. მესამე, რომ მისმა უწმინდესობამ იხილოს, მისწეროს ესპანეთის მეფეს და რეკომენდაცია გაუწიოს მისი კათოლიკური უდიდებულებობის წინაშე იბერიის მეფეს, რომელიც უკვე პაპის შეილაღ ითვლება (ხედავთ, ალბათ, პაპის შეილაღისათვის ქრისტეს შეილაღობა რომ დათმო. — ი. ი.).

პაპი უპასუხებს:

213. ...ასევე მფარველობას გაუწევინ მან და მის სამეფოს, როცა მისი უდიდებულესობა (იგულისხმება თეიმურაზ მეფე. — ი. ი.) შეუერთდება ამ წმ. ტახტს იმ პირობებით, რომლებიც დადგენილია ფლორენციის წმ. უნივერსალური სინოდის მიერ და რომელსაც დღესასწაულებზე აღმოსავლეთის ეკლესიებში ევგენიო IV-ის დროიდან (გვიმოტივებენ, ფლორენციის უნია წმინდა იყო. არადა, ამ უნიაში 1439 წელს მართლმადიდებლობა ოქროზე გაიყვდა. — ი. ი.). (ილ. ტაბაღაძე, იქვე, გვ. 239-240).

ლაკუმენტი მენვიდმეტე

214. „საქართველოში მან პოვა საგანგებოდ ხელსაყრელი პირობები მისიონის დასაარსებლად. საქართველოს მეფე, ოჯახით და მისი ამაღლით კათოლიკურ სარწმუნოებაში მოექცა“ (ილ. ტაბაღაძე, იქვე, გვ. 33).

215. „მეფემ (თეიმურაზმა) და კათოლიკოსმა თხოვეს ჯოვანი ტადეო და სან ელიზეოს დაეყენებინა წირვა ეკლესიაში, მაგრამ ამაზე წმ. მამას უარი უთქვამს იმ მოტივით, რომ ქართველების ეკლესია არ იყო დაკავშირებული რომის ეკლესიასთან. წმ. მამამ შესთავაზა წირვის დაყენება იმ ეკლესიაში, რომელიც სომხებს ეკუთვნოდა.

216. სომხებმა კი „მაშინვე აღიარეს უფროსად და ღვთიური ეკლესიის მეთაურად რომის პირველი უწმინდესობა“ — პაპი და მის შემდეგ „წმ. მამამ მოაწყო საკურთხეველი რომაულ ყაიდაზე, თან ჩამოტანილი ჭურჭლეულობით და სხვა აუცილებელი საგნებით და დააყენა წირვა ლათინურ წესზე. დარბაზში სხვა მორთულობასთან ერთად იდგა ტახტი როგორც მეფისათვის ისე კათალიკოსისათვის (რა უნდა მართლმადიდებელი მეფისა და პატრიარქის ტახტებს მონიოფიზიტურ ეკლესიაში, რას ნიშნავს ეს?

217. ანათემის შედგომას, მართლმადიდებლობის გაყიდვას, კრემმარტე ერეტიკულობას, კელიძისა და მისწირებისათვის იქნებ არა-

ფერს, მაგრამ წმ. მამების კანონების მიხედვით ეს პატრიარქი თავიდანაა მოსანათლი, რადგან რომის პაპის სახელი ადიდა. — ი. ი.), წირვას დაესწრო კათალიკოსი...“ (იმწამსვე პატივყარილი იქნა ღვთის წინაშე, როგორც ანათემირებული. ახლა კელიძემ გვიპასუხოს. ამგვარი მიცვალებულის ხელდასხმით რა კადრები დაიბადებოდა საქართველოში. ამიტომ ვართ ამ ყოფაში. გამზადებულია რისხვა დაბნეული საქართველოსთვის, რათა შიშის შემდეგ მოიძიოს სიმართლე. — ი. ი.). (ილ. ტაბაღაძე, იქვე, გვ. 20-21).

ლაკუმენტი მეთურამეტე
(კათალიკოს და გურია)

218. „ყველა ქართველი — ბერძნული რწმუნის ქრისტეანია (ახლანდელ მიხედვით, რანაირად ბერძნული ქრისტეანია. — ი. ი.) ჩვენებურის მსგავსი მშვენიერი ეკლესიები აქვთ“ (ილ. ტაბაღაძე, იქვე, გვ. 60).

219. — ჩვენი უნეტარესი რომის პაპისადმი უდიდესი პატივისცემა აქვთ, რომელსაც დედამიწაზე ქრისტეს მოადგილედ აღიარებენ (ზომ დაინახეთ, მართლმადიდებელთა მიერ ანათემირებულ რომის პაპს და მის ეკლესიას რა პატივს მიაგებენ; ეს ერთი სიტყვაც საკმარისია, წყუულ იქნეს ამის მთქმელი და იქნეს იგი ვითარცა იუდა, როგორც მართლმადიდებლობის გამყიდველი. რომის პაპს დედამიწაზე ქრისტეს შემცველად აღიარებენ და მაინც მართლმადიდებლად რჩებიან. — ი. ი.). ამ პატივის დასამტკიცებლად, მე, როგორც რომის პაპის სახელით რომიდან სპარსეთის შაჰთან ჩამოსულ მფელელს, ასეთი მორჩილება გამომიცნადეს:

220. ა) ხელებზე და ფეხებზე მუამბორებს.

221. ბ) ... ცდილობდნენ ჩემგან მიედოთ... კურთხევა.

გაზეთი „ღვთიური გზა“

222. გ) სურდათ ჩემთან აღსარების თქმა (სამთავე მომენტი საანთემო საქციელია მართლმადიდებლობისთვის, მაგრამ ჭელიძისნაირებისათვის პატივია. — ი.-ი.)...

223. მათმა მღვდლებმა არაერთხელ მითხრეს მათში გაერცვლებულ წინასწარმეტყველებაზე. ყველა თავს ძალზე ბედნიერად ჩათვლიდა, თუ რომის ქრისტიანები გარკვეულ დროს მათ ქვეყანაში ჩამოვიდოდნენ. ეს წინასწარმეტყველება მათ წინაპრებს ლექსად შეუთხზავთ და ჩემს წინაშე რამდენჯერმე იმღერეს კიდეც. მეუბნებოდნენ, რომ რამდენიმე თქვენი მღვდელი ჩვენში რომ ჩამოვიდოდნენ: მაშინვე მივცემდით ეკლესიებს...“ (ილ. ტაბაღუა, იქვე, გვ. 60-61).

224. ასევე მოიქცეოდნენ ჩვენი ოპონენტებიც, რადგან არც მათთვის არსებობს ის კანონიერი საზღვრები, მართლმადიდებელს კათოლიკეებისაგან რომ გამოეჩინებინა. არ იკითხავს მანინც ჭელიძე, რატომ არ ჰქვია მას კათოლიკე? აი, სწორედ იმისათვის, რის გამოც ის დარჩა მართლმადიდებელი.

225. იმდროინდელ საქართველოში მართლმადიდებლობაზე არსებული შეხედულება დიდად ემთხვევა ჭელიძისეულ დღევანდელ, მოდერნისტულ გაგებას. მაგრამ დიდი რჯულისკანონი სხვანაირად სჯის: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდლო წესი, როგორც მღვდლებმა, განიკეთოს“ (მოციქულთა 45-ე კანონი).

ღოკუმენტი შეცხრამეტე

226. (მთავარ გურიელის დახასიათება): „ეს მთავარი მეტად თავაზიანია (რაც იშვიათია ამ მხარეში), დიდ პატივს სცემს რომის ეკლესიას, მის მთავარს — პაპს. იგი

საჯაროდ ამბობს, რომის იმპერიისა (ბიზანტიის იმპერიის) და კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო საყდრის დაცემის მიზეზია რომის წმ. მღვდელმთავრებისადმი მორჩილებაზე უარის თქმა; რომ წმინდა პეტრემ მიიღო სასუფეველთა გასაღები და რამდენადაც პაპი მორწმუნეთა მამაა, მას ყველა უნდა დაემორჩილოს...“ (ილ. ტაბაღუა, იქვე, გვ. 49).

227. მეგრად, რატომ გაგიკვირდათ ამგვარ „მართლმადიდებლურ პრინციპებზე“ აღზრდილმა, რევოლუციური იდეებით ნასაზრდობმა გურულებმა ერთი ეკლესიაც რომ არ დატოვეს დაუბერვეელი თავიანთ მიწაზე?! ახლა წერაქების, უროებისა და ძალაყინების ხმაური არ ისმის, მუსიკალური აკომპანემენტის ქვეშ კიდევ უფრო მძლავრად ინგრავა მართლმადიდებლობა, ხალხი მომზადებულია საამისოდ: მთავარია, ქრისტეს სახელი ასმინო და ზარის გუგუნი გააგონო, სანთელი დაანახო ანთებული და არც იკითხავს, რა იწვის.

ღოკუმენტი მეოცე

228. „იეზუიტ მისიონერთა მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში დიდხანს ვერ გაგრძელდა, თუმცა მოკლე ხნით სამეგრელოში ყოფნის მიუხედავად, ლუი გრანჟემ „იქ იპოვა რომის ეკლესიისადმი სიმპათია“ (ილ. ტაბაღუა, იქვე, გვ. 54).

229. რაც მოისადაგებს ამ სიმპათიით, კარგად ვიცით.

იმის გასაგებად, თუ რა მდგომარეობაში არიან იმ დროისთვის ბერძნები, გთავაზობთ შემდეგ მასალას:

ღოკუმენტი ოცდამეერთე

230. „აქ ვასწავლიდით ქრისტიანულ მოძღვრებას ბავშვებს და ბერძენ მამებს, რომლებსაც აღსარება არასოდეს არ ეთქვათ და არც სხვისთვის უთქმევინებიათ“ (ილ. ტაბაღუა, იქვე, გვ. 44).

231. ან კი რაა გასაკვირი, — საბერძნეთში ამ დროს ფაშა ნიშნავს პატრიარქს. დაღუპულია ქვეყანა. მართლმადიდებლობას ვინ დაგიდევთ, გაცხოველებული ეპიტრობა გაჩაღებული ყველგან.

232. ჭელიძე ბერძნული ეკლესიის სიწმინდეზე იკლავს თავს. ღირს თუ არა, თავის მოკვდინება ამ სიცრუეზე, ახლა მკითხველმა ნახოს.

ლაკუმენტი ოცდამეორე

233. „... აქ ვასწავლიდით ქრისტეანულ მოძღვრებას ბავშვებს და ბერძენ მამებს, რომლებსაც აღსარება არასოდეს არ ეთქვათ და არც სხვისთვის უთქმევინებიათ. თუმცა საჭიროდ სთვლიდნენ წმ. საიდუმლოებისადმი ზიარებას, თვითონ ეს მღვდლები უცოდინარობით, თუ დაუდევრობით ლოცვას ატარებდნენ წყლის გარეშე და უპატივცემლოდ ეყრობოდნენ წმინდა საგნებს. ისინი სერიოზულად გაეაფრთხილეთ მათი მოვალეობის შესახებ და შევეცადეთ მათ დაეხმარებოდით ჩვენი ინსტრუქციებით.“

234. ჩვენ ვამღვდობთ იმდენ მოწყალეებს, რამდენიც შეგვეძლო, რათა მათ ქრისტეანობა შეენარჩუნებინათ და მაჰმადიანობა არ მიედოთ. ჩვენ ენახეთ თურქები, რომლებიც ფულს ამღვდენენ ამ ღარიბ ქრისტეანებს, რათა ისინი გაემაჰმადიანებინათ. საინტერესო იყო ის, რომ ზოგჯერ ეს „თურქები“ ქრისტეანებთან ერთად კათოლიკურ წირვას ესწრებოდნენ. ჩვენ მათ ვუთხარობთ ნამდვილი რწმენის (კათოლიკური ხარწმუნოების). — ი. ტ.) ბედნიერების შესახებ. (ამ ღაზებს) რომ ერთი ბერძენი მღვდელი ჰყოლოდათ, რომელსაც თურქული ენა, ან მათი ენა ეცოდინებოდა და იმის გამბედაობა ექნებოდა, რომ თავი შეეწირა ქრისტესათვის, ეჭვის გარეშე, რომ იგი ყველა აქ მცხოვრებთ ქრისტეანობაში მოაქცევდა“ (ილ. ტაბაღა, დასახ. წიგნი, გვ. 44).

235. აქ ნათლადაა წარმოდგენილი, თუ რა სულიერ მდგომარეობაში იმყოფებიან ბერძნები. გასაგებია, თვით უზიარებელი და

აღსარებაუქმელი მღვდლები რა სულიერ მოძღვრობასაც გაუწევდნენ მრევლს.

236. „А греческим патриархам ставки не бывает, как святая соборная Церковь приняла, и ставит их турецкий Султан; они у турка покупаются на патриаршество дачею великою; а когда в Царе-граде патриарх умер, тогда паша царградский ризницу патриаршу к себе возмет, и отпишет к Султану во Андринополь; и тогда греческие власти (епископы) многия поедут во Андринополь, и тамо с Султаном утовариваются, и торг ставят о патриаршестве, и кто больше даст - того Султан турецкий и в патриархи поставит.“

237. И даст ему письмо к паше, а паша возьмет с него подарку тысячи три золотых, и даст ему ризницу и патриаршескую одежду; мантию, со источниками наденет на него и посадит на конь свой, а перед ним идут и за ним человек двести турок с дубьем, а иные за стремя держатся его, и тако с великою помпою и пыхою едет до двора патриарша;

238. А у патриархова двора в те поры стоят множество грек, а власти у врат ожидают патриарха и тут его власти во вратах стретят, и примут с коня под руки и введут в палату патриаршу и следут с ним на коврах“ (“О крещении греческой церкви и митрополита Амвросия”, Черновцы, 1903, стр. 65-66).

239. ამიტომაც ბრძანებს კ. კეკელიძე: „მართალია, ბერძენთა ლიტერატურა, რომელიც, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, უკვე XIII-XV საუკუნეებში დაასრულა პროცესი თავისი ზრდა-განვითარებისა, ახლა ახალსა და ნოყიერ საზრდოს აღარ იძლევა,

გაზეთი „ღვთიური გზა“

ის სულ ერთიან გამოშვრალ-გამოფიტულია, მაგრამ, თანახმად ტრადიციისა, ქართველები მაინც არ სწყვეტენ იმასთან კავშირს და იღებენ და ითვისებენ იმისაგან ყველაფერს, რისი გადმოღებაც კი შეიძლება“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 63).

240. რისი გადმოღება შეეძლოთ ქართველებს გაცამტვერებელი ბიზანტიისაგან? რა თქმა უნდა, იმისი, რასაც მოძალადენი — ჯვაროსნები და ოსმალები შეარჩენდნენ. ამგვარი ყველაზე დიდი მემკვიდრეობითი საგანძური მათთვის ერესი იყო — თავზე წყალპკურებითი ნათლობა, სამი თითით პირჯვრის წერა, არაკანონიკური ხატები, ჯვრები, სახატებში, სეფისკვერნაკლული პროსკომიდიები...

241. ჭელიძე კიდევ იტყვის, საქართველოს ეკლესიას ბიწი არ შეხებიაო, მაგრამ ამის გამგონე ანტონ I (XVII საუკუნის საქართველოს კათალიკოსი) საფლავში გადაუბრუნდება:

242. „კათოლიკეთა მისიონერები, როგორც ვიცით, დაახლოებული იყვნენ ანტონ კათალიკოსთანაც, რომელსაც მათი ცოდნა გამოუყენებია თავისი კაპიტალური შრომების დაწერისას. მაგალითად, ის ლათინური წყაროები, რომელიც მას ესაჭიროებოდა... უფრო მეტია ნათარგმნი ლათინურიდან ამ საუკუნეში „ლოცვანი“ და კატეხიზმონი, რაც ასე საჭირო იყო გაკათოლიკებულ ქართველთათვის“ (კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 69).

243. ამკარაა, რომ თვით ანტონ კათოლიკოსიც აქტიურად მონაწილეობს საქართველოს გაკათოლიკებაში.

რას უნდა მიეწეროს ანტონ კათოლიკოსის ეს სურვილი, მაშინ, როცა „დიდი რჯულისკანონი“ ანუ ელსაყვამის კი არ შეუნდობდა ამგვარ სითამამეს?

მ. თამარაშვილის ზემოხსენებულ წიგნში კვითხულობთ:

244. „საქართველოში მუდამ თავისუფლება იყო სხვადასხვა სარწმუნოების აღსარებისა (რაც, წმ. მამათა კანონების თანახმად, დიდი და მოუშორებელი ჭირია მართლმადიდებელ მორწმუნეთათვის. — ი. ი.): მთავრობა არათუ უშლიდა, არამედ განურჩევლად ყველას მფარველობდა და შემწეობას აძლევდა. ეს იყო მიზეზი, რომ სომეხ-გრიგორიანელებმა მართლმადიდებელ ქართველებში გაავრცელეს თავიანთი სარწმუნოება, რამდენადაც კი შეეძლოთ. მე-13 საუკუნეში პირველად მოვიდნენ სწორედ იმ დროს, როდესაც მონღოლთაგან აოხრებული საქართველო რამდენიმე საუკუნე განუყოფელი იყო. სამცხე-საათაბაგოში მოაქციეს კათოლიკობაზე მართლმადიდებელი ქართველები. ამას ხელი შეუწყო დაუძლეურებამ და მისმა ორად გაყოფამ.“

245. შემდეგში ფაშებმაც აღმოუჩინეს მისიონერებს მფარველობა და შემწეობა ქართველებში კათოლიკობის გასავრცელებლად (რა მოტივით? რა საშუალებათა არჩევანს იძლეოდა იგი? მართლმადიდებელი იქნებოდა, თუ კათოლიკე, განა ქრისტეს სახელის დიდებას არ მოისმენდა? საიდუმლო კვლავ ერესია. მტერი ხელს უწყობდა ერეტიკული რწმენის დანერგვასა და ახალი რწმენისათვის კარის მოღიაებას. — ი. ი.). პაპმაც ნება მისცა, ქართულად შეესრულებინათ წირვა-ლოცვა. მე-13 საუკუნიდან იწყება ქართველი კათოლიკეების ეკლესიის დაფუძნება.

246. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსუდან დედოფალმა და ივანე ათაბაგმა მონინდომეს ჯვაროსნობაში მონაწილეობის მიღება. იმავე დროიდან დაიწყო მისიონერებმა ხშირ-ხშირად მოსვლა საქართველოში. ახალციხისა და მის გარშემო სოფლების ქართველმა კათოლიკეებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი სარწმუნოება და დასავლეთის შემწეობით არ მიიღეს მამამადინობა, რომელსაც ოსმალები ავრცელებდნენ მართლმადიდებელთა შორის.

247. ჯვაროსნობის შემდგომ გაავრცელებული კათოლიკობა სამცხე-საათაბაგოში

მტკიცედ დააცვივინეს და ოსმალოს მთავრობისაგან მოიპოვეს პრივილეგია, რომ არც ერთი გაკათოლიკებული სათვის ძალა არავის დაუტანებინა მაჰმადის სარწმუნოების მისაღებად. პაპის მფარველობით აღმოსავლეთში კათოლიკობა შეიქნა ქრისტიანების მტკიცე შესაზინზარი; ისინიც თავისუფლად იქცოდნენ კათოლიკედ, რათა დევნილება თავიდან აეცილებინათ. ქართველმა კათოლიკეებმა თავიანთ თავს ფრანგები უწოდეს და ესრეთ გააერთეს სარწმუნოება და ეროვნულობა.

248. მისიონერები კონსტანტინოპოლიდან მოდიოდნენ მესხეთს და იქიდან გადადიოდნენ მესხეთს და იქიდან გადადიოდნენ ტფილისს, სადაც მე-14 საუკუნეში პაპმა დანიშნა ივანე მონაზონი ეპისკოპოსად ქართველი კათოლიკეებისათვის... მე-18 საუკუნიდან მისიონერები ძლიერ შეეჩვივნენ ვრსა და თვით ქართველი მეფეების ტახტსაც დაუახლოვდნენ. დიდი გავლენა იქონიეს სულხან-საბა ორბელიანსა და კათალიკოს ანტონ პირველზე, რის გამოც დევნულება აუტეხა თემურაზ მეორემ და განდევნა კაკუციანები“ (მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902 წ., გვ. 79).

249. ეს დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას იძლევა კათოლიკე მისიონერთა შემოსევისა და თავდაუზოგავ „ღვაწლზე“:

„ისტორია კათოლიკეთა მისიისა საქართველოში იწყება მეცამეტე საუკუნეში; ამ საუკუნიდან მოყოლებული ჩვენში მოდიან და ერთმანეთს სცვლიან სხვადასხვა ორდენთა მისიონერები... რომელნიც აარსებენ აქ საკუთარ კათოლიკეთა ეპარქიას... იჩენენ საკუთარ ეკლესიებს, მონასტრებს...“

250. საერთოდ ისინი აქ დიდი წარმატებით მოქმედებდნენ; კათოლიკობაზე გადმოჰყავდათ აბა უბრალო მორწმუნენი საქართველოს ყველა კუთხეში, არამედ კათოლიკოს-მღვდელმთავრები და მეფეებიც, რომელნიც, ზოგი ფარულად, ზოგი ცხადად, იღებდნენ ახალ მოძღვრებას... მისიონერებისადმი კეთი-

ლი განწყობილებით ქართველებს ჰსურდათ დაემსახურებიათ რომის პაპების ყურადღება... 1629 წელს დაარსდა პირველი ქართული სტამბა რომში და გაჩაღდა წიგნების ბეჭდვა“ (კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, გვ. 67-68).

251. გასაგებია, თუ რა ხეირს დააყრიდა კათოლიკურ ქურაში გამოზრდილი წიგნები საქართველოს მართლმადიდებლობას.

252. მონოფიზიტთა და კათოლიკეთა მართლმადიდებლობის მოძულეობის გენუტიკური კოდი უკვე სახეზეა.

იხილეთ საქართველოს უბედურების მიზეზი როგორ სამაჟო და ღირსშესანიშნავ საქმედ ესახებათ ამ კალენდრის შემდგენლებს:

ქართველები და ქრისტიანობა

253. 1990 წ. კალენდრის 2 თებერვლის ფურცლიდან:

„ქართველები არასდროს არ გოფილან ქრისტიანობის დოგმატიკოსები და ფანატეკოსი მიმდევრები. სწორედ საქართველოში შემუშავდა ეროვნული ეორტოლოგია (ეროვნულ მოღვაწეთა და სხვადასხვა ხასიათის მოვლენების აღსანიშნავად ქართული რელიგიური დღესასწაულების შემოღება).

254. შედგა საკუთარი „ქართული განცხადება“ და „გაგოფა“, დაკანონდა „ქართველთა სათულაღვის“ სახელწოდებით ცნობილი წელთაღრიცხვის საკუთარი, ქართული კალენდარი. შეიცვალა ლიტურგიკული კრებულების, ოკტიოხოისის, იადგარის, მარხვანისა და ზატიკის შემადგენლობა, ორიგინალური ქართული ჰიმნებით შეივსო ჰიმნოგრაფიული ტექსტები.

255. ქართველები საეკლესიო წიგნებსაც თარგმნიდნენ, „არა მონურად, სიტყვისიტყვით, არამედ თავისუფლად და თავისებურად“. ბერის მიმნიშნებელია ის, რომ ბიბლიის ქართულ ენაზე თარგმნის დროს

ითარგმნებოდა კატენები (ბიბლიის ტექსტის განმარტება-კომენტირება, რომლებიც მიწერილი იყო ხელნაწერის გვერდის არშიებზე) და რომ ქართული სახის კატენებიანი ბიბლია უნიკალურია – მისი მსგავსი არ მოიპოვება სხვა ხალხის ისტორიაში...“

256. „Умело пользовались этими устремлениями местных властей и насаждали среди населения католичество, с целью облегчить себе дело и добиться успеха, они выучили грузинский язык и переводили различные теологические книги, занимались религиозной пропагандой среди населения, открывали частные школы, посылали способных молодых грузин в Рим.“

257. ...Прежде всего коснемся деятельности католических миссионеров, появление которых в Грузии относится еще к XIII веку, а позднее их деятельность здесь приобретает особенно интенсивный характер. „Посредством миссионеров грузины хотели привлечь внимание Папы Римского, а при помощи последнего, западноевропейских государей, от которых они ждали помощи в борьбе против Персии и Османской Турции“. Сами же миссионеры, являлись „подлинными квалифицированными агентами западно-европейского капитала“ (К. Кекелидзе, История Грузинской литературы, Тбилиси, 1960 г., стр. 77).

258. როცა ქართველი მეფეები და დიდებულები: რუსუდანი, თემურაზ I, მეფისწული პატრიარქი ანტონ I ანათემას შეეყნებულ რომის პაპს გაკათლიკებას ევედრებიან, რომელმა ერთმა აღნიშნა ეს საანათემო საქციელი და თუ არ აღნიშნა, რა იყო მიზეზი? უდავოდ ჭელიძისნაირ ისტორიკოს-მკვლევართა არაობიექტურობა, მაამებლობა. შეიძ-

ლება კაცმა იკითხოს კიდევ, რას ეუწუნებთ კათოლიკეებსო?!

259. საზრიანმა მკვლევარმა ერის უბედურების მიზეზი წინასწარმეტყველივით რელიგიური კანონების წეს-ჩვეულებების გამრუდებაში უნდა მოიძიოს და მაშინ მიხვდებით, რატომ მუსრავს წვევლა ქვეყანას (ეს., 24,5.6).

260. როგორც რომსა და ვენეციაში ბერძნული წიგნების ბეჭდვამ ბერძნული მართლმადიდებლობის შუე ჩაასვენა, ასევე ქართული საეკლესიო წიგნების დასტამბვამ რომსა და პეტროგრადში საქართველოს მართლმადიდებლობაც მადლისაგან დაშრიტა. ვინ იქნება ის ჭკუათმყოფელი, ჩვენს დაჯერებას რომ ინებებს, თითქოსდა კათოლიკურ-ნიკონიანურ ქურაში გატარებული წიგნები ქართული მართლმადიდებლობის შეურყენელად დაცვასა და განმტკიცებას ლამობდეს. ზემოთ თქმულის ნათელსაყოფად იკმარებდა ის ფაქტიც, რომ ქართველი მეფეები ბოდიშს იხდიან რომის პაპის წინაშე ადრინდელი მართლმადიდებლობისათვის.

261. მოტყავია, რა თქმა უნდა, გასაგებია; ამგვარ მაამებლებს რა დალევს ქვეყანაზე. ზოგისთვის მუცლის ქარით ავსებაც ადვილი საქმეა, მაგრამ რჯულმოსილება დაუწუნო მას, ვინაც შეინარჩუნა იგი, სიმართლის დიდი მოძულე უნდა იყო. აი, რას გვამცნობს დიდი რჯულისკანონი: „ხოლო თუ ვინმემ ზემოთ ჩამოთვლილ კანონთაგან რომელიმეს დაშლას და დარღვევას ხელი მიჰყოს, იგი უნდა დაისჯოს კანონის განჩინების შესაბამისად“ (მე-6 მსოფლიო კრების მე-2 კანონი).

262. როგორ მოვიქცეთ, როცა ჩვენს ქართული ეკლესია ზემოთ ჩამოთვლილი რჯულისკანონების დამრღვევია, რისთვისაც კანონის მიერ ათეზის არის ანათემირებული; ანათემირებული კი სხვას არას ნიშნავს, თუ არა მადლგაცლილს, მფარველ ანგელოზგაცლილს, ცოდვების მიტეგების უფლებააყრილს; მაშ, რაღას წარმოადგენს

ტაძარი? ე. ჭვლიძე და მისთანები რას უწოდებენ ასეთი ეკლესიის მღვდელმსახურთ, არ ვიცი, მაგრამ წმ. მამები რჯულისკანონში მათ წყვეულ ერეტიკოსებად მიიჩნევენ, რადგან ერესი სხვა არაფერია თუ არა დადგენილი კანონებისაგან გამიჯვნა.

263. სიმართლის გამორღებელი ამგვარი განცხადება, რომ თითქოსდა მღვდელმსახურები საეკლესიო განჩინების შემდეგ კარგავენ მადლს, სიცრუეა, ისინი მადლს კარგავენ კანონისაგან განდგომისთანავე, ემსგავსებიან ცარიელ ჭურჭელს, თავად არარაის მატარებელნი, სხვათათვის არარას მიმცემნი. გონიერმა უნდა შეიგნოს, რომ ღმერთი თავის ტაძარს შესაბილწად მხოლოდ მაშინ გაიმეტებს, როცა იგი მკვდარია.

264. მე-17 საუკუნის საქართველოს პატრიარქი სომხურ ეკლესიაში კათოლიკურ წირვას რომ ესწრება და შიგ ტახტს იღვამს, კანონი მას უშეძლავს და წყვეულია იგი უკუნითი უკუნისამდე. რომელმა მამულიშვილმა შეუნიშნა ერს ეს დამღუპველი ერესი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად? ამგვარ მოძღვართა ხელში ერი გამზადებულია საეპეინოდ.

265. „მაამებელი“ დღესაც იჩემებენ ქართული ეკლესიის უზადობას, მაშინ, როცა, საქციელის მიხედვით, განკვეთილნი არიან ურჯულოების ჩაღვნიისთანავე. რომელი გაზეთის ფურცლები ჯოფა სადღესოდ არსებულ ქრისტეანულ კონფესიებად წოდებულთა გაუკუღმართებული ყოფის აღწერას. სწორედ ამიტომ გაგვიწყრა ღმერთი და მაშინ იქნა ეკლესიები საჯინიბოებად, საპირფარეშოებად, აბანოებად გამოყენებული; სწორედ ამიტომ იყო, სიონის ტაძარს გუმბათი მოხადეს და ზედ ხანის ტახტი შემოდგეს; ნუ გაიოცებთ! კათოლიკეებმა თავიანთ ტაძრებში უკვე ძაღლები შეუშვეს და მღვდლები მათ კურთხევას აძლევენ მაშინ, როდესაც ძალღანაყოფი ტაძარი წირვისთვის უეარგისია განწმენდამდე. ვინც სამღვდლოების ამგვარ „ინიციატივას“ იწონებს, სატანაა და ეკლესია, რომე-

ლიც ამგვართათვის ზიარებას იმეტებს, ასევე ძალუბის მაზიარებელია. თვითნებობს ეშმაკი, მრავლად გაიჩინა თვალზილული მოკაეშირე, უზენაესი ჭეშმარიტების მასხრად ამგდებნი. ძალუბს ჯერებს აბნევენ ქრისტეს ჭეშმარიტების მკვლელები! ამიტომაც კვლავად იტყვის უზრა წინასწარმეტყველი: გამოცვალეს წესები, წესდებები და ამიტომაც წყველა მუსარავს ქვეყანას.

266. როცა ეკლესია კვდება და ქრისტეანს ვერ ბადებს, იწყება სისხლით ნათლობა და ერს მაშინ განსაცდელი აზიარებს სასუფეველს. ესეც ღვთის წყალობაა — გმირთა წარმოსაჩენად ბოძებული. ამიტომაც არ აკლდა ჩვენს უბედურ სამშობლოს მტრის მახვილი.

267. მიუგდოთ ყური, რარეგარ დიშურებს ჭვლიძე სიტყვაკაზმულობას იმისათვის, რომ დაამტკიცოს: კანონი კი არ არის მთავარი, არამედ სიყვარული. ათასგვარ ვპითეტს მოიშველიებს იმ კანონის გასაუქმებლად, რომელიც საკუთარი არსებობის დასაცავად მკაცრად განაჩინებს:

268. „...ვინც დაიძარხავს მთელ რჯულს, და შეცვლავს მხოლოდ ერთ რამეში, ყველაფერში შემცოდება“ (იაკ., 2, 10), ვინც სიყვარულში კანონის აღსრულებას არ გულისხმობს, იგი ერის მესაფლაევა.

269. ე. ჭვლიძემ გაიმეორა ნაცნობი ფორმულა:

„ერესი მაშინ იჩენს თავს, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის ეკლესია საეკლესიო კრებითა და მთელი ერის თანხმობით დააკანონებს რჯულის გარდასვლას და კანონმდებლობით — მრწამსობრივად, არსობრივად უარყოფს მართლმადიდებლურ რჯულს ან კიდევ, როცა რომელიმე ერეტიკული მოძღვრება ერის და ეკლესიის არსის უცვლელი გამომხატველი გახდება“.

270. ბ-ნო ედმუნდო, აქ ლაპარაკია ისეთი ერესის გამოჩენაზე, რომელსაც საერთო თანხმობა ავლენს. რას იტყობოდა ისეთი ეკლესიის არსებობაზე, რომელსაც ნება დაურთავს კათოლიკეთა ზიარებაზე, მწვალებლებთან ერთად ჟამისწირვის აღსრულებაზე, ეპისკოპოსის ცოლიანობის უფლებაზე, სახალისო სანახაობების კურთხევაზე, რომის პაპისაგან კურთხევის მიღებაზე. რანაირად შეეუთანხმობთ თქვენეული ერესის განმარტებას ზემოხსენებული ეკლესიების ამგვარი ერეტიკული ყოფა, რა ეწოდოთ მას? სად წაიღებთ თქვენს მიერ შემოთავაზებულ უკანონობას, როცა მე-6 მსოფლიო კრების მე-2 კანონი გაახსენებს:

271. „ზემოთ მოხსენებულ კანონთა დამახინჯების ან უარყოფის ნება არაეის აქვს. აკრძალულია სხვა სიმართლის მტრებისა

და ჭეშმარიტების ვაჭრებისაგან ცრუ სახელით წარწერილი კანონების შეწყნარება“ (განა ცრუ კანონად არ ჩაითვლება ყველა ის კანონი, რომელიც არ ეთანხმება დიდ რჯულისკანონს. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიჯერონ თამამი აზრის მესვეურებმა. — ი.ი.).

272. დადგა ჟამი: ყაელი გასდის ცრუ დიდებას, იწყება მსოფლიო გაკრისტიანების პროცესი; და მისი აკვანი დაირწა ბაზალეთის ტბის ძირას — საქართველოში, სწორედ იმ მზიურ აღმოსავლეთში, აპოკალიფსისი რომ მიაინძნებს. საქართველო, მხოლოდ საქართველო უწინამძღვრებს მე-6 ბეჭდის მოხსნის შემდეგ პერიოდს — მეორედ მოსვლის უწინარეს მიცვალებული მსოფლიოს გაცოცხლებას; გილოცავთ, ქართველებო! ჩემო საყვარელო შეილებო და ძმებო.

თ ა ვ ი მ მ ც ა მ მ ტ ა

„რასკოლნიკების“ შესახებ

1. საქართველოში ისე შემოიჭრნენ და დაფუძნდნენ სექტანტები, ქართულ ეკლესიას ხმა არ გაუღია. კარგა ხანია ისმის კრიშნაიდების დოღების ბრავენი თბილისის ქუჩებში; გაჩნდნენ თუ არა საქართველოში ორთოდოქსები, ე.ი. ჭეშმარიტი მართლმადიდებლები, უმალ აგვიმხედრდნენ: რაშია საქმე, რამ აღგაშფოთათ?! იქნებ მართლმადიდებლობას არა კეპდაგებთ და თქვენ გიპყრიათ იგი? გეკითხებით, არსებობს ეროვნული მართლმადიდებლობა თუ მართლმადიდებლობა ყველა ერისათვის ერთია? რუსული მართლმადიდებლობა კი არ მოვეტიანა საქართველოში, არამედ დევნილი რუსების შენარჩუნებული. არ გენებათ? ღმერთს ნებაგს, რადგან მან იცის, როგორ გაცოცხლდება „ლაზარე“, იმ ძირძველი მართლმადიდებლობის დაბრუნებით. არაეის ძალას არ ეატანთ, ნურც ნურეინ ეცდება ხელის შემოღას. გგონიათ გიპყ

ყრიათ ჭეშმარიტება? ნუ გაუშვებთ ხელიდან, არც არაეინ წაგართმევთ. ეინ რისი ღირსიცაა, იმის შესაკუთრება, მაგრამ თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში ყველა კონფესიას ხომ უნდა გააჩნდეს თანაარსებობის უფლება!

2. ამის გარანტიას სადღეისოდ იძლევა მსოფლიო ცივილიზაცია. ხალხისათვის ნებადართულია თავისუფალი არჩევანი. ინებებს საქართველოს ოფიციალური ეკლესია ნინოსა და დავითისდროინდელი მართლმადიდებლობის აღდგენას საქართველოში? დიდება უფალს, გამოუსწორებელი არაფერი გეჭირს. საქართველოს პატრიარქს ამ საქმეში ხელს კი არ შეეუშლით, არამედ მხარში ამოუედგებით, მივეშველებით და დავემორჩილებით. არ ინებებს? ყველას თავისი სიმართლე მიუძღვის წინ, უფალმა განსაჯოს.

3. ზოგნი დღემდე სექტანტებს გვიწოდებენ; ქვეყანამ იცის, რომ დღეს ორთოდოქსი ქრისტიანები ძველი მართლმადიდებლები არიან და მხოლოდ ისინი ინარჩუნებენ მსოფლიოში სამოციქულო მართლმადიდებლობას, დანარჩენებს ეს პატივი აყრილი აქვთ, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ ჭეშმარიტი პირველყოფილი სახე, ისინი რეფორმატორული ეკლესიის მესაკუთრენი არიან. გვეძახით რასკოლნიკებს, სტაროვერებს, შინაარსს კი უმაღლავთ ხალხს. განმარტებისათვის გთავაზობთ ისტორიულ დოკუმენტებს ენციკლოპედიიდან: განხეთქილება (რასკოლნიკები), მე-17 საუკუნესეთი.

4. „განხეთქილების პირველი და უმთავრესი მიზეზი იყო პროტესტი საეკლესიო საქმეში იმ სიხალხეების წინააღმდეგ, რომლებიც შემოჰქონდა პატრიარქ ნიკონს მე-17 საუკუნეში და რომელიც მდგომარეობდა საეკლესიო წიგნების გასწორებასა და ზოგიერთ საეკლესიო წეს-ჩვეულებათა შეცვლაში. ამ ნინადაზე დაწვებულმა კონფლიქტებმა წინა პლანზე წამოსწია რელიგიური საკითხები; ეკლესიისა და სახელმწიფოს მიერ ორთოდოქსების დევნამ საკითხი კიდევ უფრო გაამწვავა და იგი პოლიტიკურ პრობლემად აქცია. სახელმწიფოსთან დაპირისპირებამ გამოიწვია სწორედ ის განხეთქილება, რამაც თავისებური დაღი დაასვა საზოგადოებრივსა და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს („ენციკლოპედიური ლექსიკონი“, ტომი 26, გამოც. ბროკჰაუზები და ეფრონი, ხანკტ-პეტერბურგი, 1899 წ., გვ. 287).

5. „არსენ სუხანოვმა წარუდგინა მეფესა და ნიკონს თავისი ანგარიში. ჩანაწერები მისი მოგზაურობის შესახებ იწოდება „პროსკიპიტარიად“ და შეიცავს არა ბერძნული ეკლესიის წესდებების, არამედ მისი გარეგნული წეს-ჩვეულებების აღწერას, ბერძნების თურქთა ქვეშევრდომობის პერიოდში ბევრად რომ შეიცვალა;

6. ბერძნებს ყოველთვის არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დაეცვათ ყველა მართლმადიდ-

ებლური წეს-ჩვეულება. სუხანოვმა, სხვათა შორის, არ დამალა, რომ ბერძნები პირველად სამი თითით იწერენ და არა ორით, იყენებენ სრულ (3-ჯერად) ალფულებას და დადიან მზის მოძრაობის საწინააღმდეგოდ და არა მის თანხედრულად (ამასვე დაუადებს ე. ქელიძე. რამდენად გამართლებულია, ქვემოთ გავარკვევთ. — ი. ი. o.).

7. სუხანოვის „პროსკიპიტარიამ“ ვერ შეაჩერა ნიკონი, ვერც ააღებინა ხელი წიგნების შერყენისაგან“ (იქვე, გვ. 288).

ნიკონმა მაინც ითხოვა წიგნების გასწორება იმდროინდელ საეკლესიო და საერო მოღვაწეთაგან. ესეც მოახერხეს:

8. „ჭეშმარიტია და სამართლიანი გასწორდეს წიგნი ძველი ბერძნული წიგნის საწინააღმდეგოდ“. მაგრამ, როცა საქმე კრების დადგენილების ხელმოწერაზე მიდგა, ზოგიერთმა, როგორც ამბობენ, უარი თქვა. აქ მართლაც არ არის ხელმოწერები ეპისკოპოს პავლე კოლომენსკისა, ორი არქიმანდრიტისა, ერთი იუდშენისა და ორი დიაკონისა. მათი სიმართლე იქ გამოჩნდა, როცა შემოსენებული პირები სიკვდილით დასაჯეს (იქვე).

9. შეიცვალა „სლუჟებნიკი“, რომელიც დაიბეჭდა იმავე 1655 წელს მოსკოვში, თუმცა კრებაზე დადგინდა, შესწორდეს („სლუჟებნიკი“) ძველბერძნული და სლავური „სოტვორიას“ შესაბამისად, მაგრამ, უახლები გამოკვლევების თანახმად, გასწორება მიმდინარეობდა მხოლოდ ბერძნული ექვოლოგიის მიხედვით, რომელიც დაიბეჭდა 1602 წელს; და აი, ეს გახლდათ უმთავრესი საბაბი თავდასხმისა გადასწორებულ „სლუჟებნიკზე“.

10. ...ამიტომაც დღემდე წიგნი „სკრიჟალი“ წარმოადგენს ძველმორწმუნეთაგან გაძლერებული თავდასხმის ობიექტს. ეპისკოპოს პავლე კოლომენსკის და პროტოერეი იოანე ნეროვის, რომლებმაც უკრ კიდევ 1654 წელს კრებაზე განაცხადეს თავიანთი უთან-

ხმოება წიგნების გადასწორების გამო, შეუერთდნენ დეკანოზი ამბაკუმი, მურომის დეკანოზი ლოვინი და სხვა გადამწერები პატრიარქ იოსების მოღვაწეობის პერიოდისა. მათ გადასცეს მეფე ალექსეი მიხაილის ძეს „საერთო წერილი მრავალმეამბობზე ნიკონზე“, რომელშიც ამხელდნენ, რომ ნიკონმა აკრძალა 1654 წელს მუსლმანური თაყვანი ეკლესიებში, გარდა ოთხი დიდისა და შემოიღო სამი თითით პირველის წერა ორის ნაცვლად. მეფემ ეს საჩივარი უპასუხოდ დატოვა“ (იქვე, გვ. 289).

11. რანაირად შეიძლება მეფე ალექსეი რომანოვთან ნიკონ პატრიარქის შეთანხმებულ მოქმედებას, რუსული მართლმადიდებლობის საზიანოდ მიმართულს, რაიმე გამართლება ჰქონოდა. ამიტომაც მოისრა მათი დინასტია, უძველესი მართლმადიდებლობა კი დღემდე არსებობს. განა ჭეშმარიტმა ქრისტიანმა არ უნდა იზიემოს მართლმადიდებლობის გადარჩენა?!

ვინ არიან სტარობრიადეცი, ანუ ძველ-მართლმადიდებლები — დრეკლეპარკოსლავები ან, როგორც მათ მცდარად ეძახიან, რასკოლნიკები?

12. "Староверы, общее наименование последователей ортодоксального православия";

(რატომ გნებავთ თვალი მოუხუჭოთ ამ სიმართლეს?! — ი. ი. ი.).

О церковной реформы патриарха Никона, т.п. старообрядцев. Смотрите раскол (Большая Советская Энциклопедия, Москва, 1976 г., 24, книга 1, стр. 1273).

13. "Никон начал проводить исправление русских богослужебных книг по современным им греческим образцам изменил некоторые обряды: двоеперстие было заменено троеперстием, во время церковной служ-

бы "аллилуйя" стали произносить не дважды, а трижды... (Большая Советская Энциклопедия, т. 21, стр. 1385).

14. "Выявилося стремление Никона использовать реформу для централизации церкви и усиления власти патриарха. Недовольства вызывали и насильственные меры, с помощью которых Никон вводил в обиход новые книги и обряды".

(ანტონ I-მა კი ზუსტად ის გადაკეთებულნი, რეფორმატორული, წვეული წესები შეაჩენა საქართველოს და არა ის ძველთუძველესი, ჭეშმარიტი მართლმადიდებლური. — ი. ი. ი.).

15. Первыми за "вторую веру" против реформы и действий патриарха выступили некоторые члены "кружка ревнителей благочестия" Аввакум и Даниил, подали царю записку в защиту двоеперстия и о поклонах во время богослужения и молитв, затем они стали доказывать, что внесение исправления по греческим образцам оскверняет истинную веру, т.к. греческая церковь отступила от "древняго благочестия", а ее книги печатаются в типографиях католиков (Большая Советская Энциклопедия, 21, стр. 1385-1387, Москва, 1975).

16. აი, რისთვის გამიჯნა რუსეთი საბერძნეთს. რად გინდათ, ცოცხალი ეკლესიის სახელი გერქვას და მკედარი იყო.

17. ბ-ნი ედიშერი უარყოფს სლავურ დოკუმენტებს, რადგან კარგად მოეხსენება მისი ერეტიკული ინტერპრეტაციის გამქაჭებელი რა ზღვა მასალაა სლავურში. როცა რაიმეს ვამტკიცებთ, კეთილი უნდა ვინებოთ და ხალხს ვუთხრათ, რა მოსაზრებით უარყოფთ ამ მსოფლიო მართლმადიდებლურ საგანძურს, ჭეშმარიტს და არა რეფორმატორულს. ბ-ნი ედიშერ, იქნებ სლავებმა ახალი სწავლება მოიტანეს ძველისათვის მიუღებელი.

18. სლავებს რომ მართლმადიდებლობას უწუნებთ თქვენ, პირველი ჩინის ერეტიკოსი,

არ იკითხავთ რატომ იდგა ქედდარდრეკილი მსოფლიო პატრიარქი რუსეთის მეფის წინაშე, იქნებ სწორედ ამიტომ აღიარებდნენ ისინი რუსეთს მესამე რომად, რომ სლავებმა ყველაზე წმინდად შეინახეს ძველი სარწმუნოება პირვანდელი სახით:

19. Здесь необходимо заметить, что Никон и его современники не имели верного представления о происхождении различий между русской и греческой церквями в церковно-обрядовой практике. Лишь позже, в основном в работах историков церкви второй половины XIX - начала XX веков, было установлено, что церковные чины и обряды русской церкви XVII в. являлись чинами и обрядами, заимствованными у константинопольской церкви в IX-XI вв.

20. (ხომ გაიგეთ, რაში ყოფილა საქმე: რუსეთს თურმე საბერძნეთიდან გადმოუღია ძველი - ე.ი. მე-9-მე-11 საუკუნეების მართლმადიდებლობა. - ა.ა.ა.)

21. В XI-XV вв. под влиянием различных причин в чинах и обрядах греческой церкви произошли изменения, что и сделало их непохожими на русские. Результаты этих изменений нашли отражение в богослужебных книгах XII-XV вв., в том числе и в славянских (точнее - южнославянских) попевших на Русь). ("Русское православие", Москва, 1989 г., стр. 200, полит. изд.).

22. უარი უთქვამს ბერძნული ახალი წიგნების მიხედვით შემოთავაზებულ ახალ წეს-ჩვეულებათა მიღებაზე. თვალნათლივ ხედავთ, არ გეთანხმებათ ჭეშმარიტება.

23. ბ-ნო ედიშერ, სწორედ თქვენს მიერ დაწუნებული რუსი მართლმადიდებლებია რომ ებრძვიან დიდი რჯულისკანონის მოძალადებს ადრე რომ ითქვა: თუ რამ საეგებელი გვჭირს სომხებისაგან გვჭირსო, დაიჯერეთ: სადღეისოდ, თუ რამ საეგებელი გვჭირს, ერთგოისი ბერძნებისაგან, ლათინელები-

საგან, რუსი ნიკონიანელებისაგან გვჭირს, მათ სტამბებში დაბეჭდილმა ქართულმა საეკლესიო წიგნებმა მოკლეს ნინოსა და დავითის მართლმადიდებლური ეკლესია.

24. რატომ არ გნებავთ, ჭეშმარიტება უთხრათ ხალხს, უეციოა გჭირთ თუ ღვთის ორგულობა, როცა სიცრუეს იჩემებთ და ეროვნულობის მოტივაციით ხალხს სიბუღვილს უწერგავთ ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის მიმართ. ესაა სწორედ ღვთის რისხვა.

რა შეიძლება ვთქვათ „ღიდაქეზე“

25. წმიდა მამებმა მე-ნ მსოფლიო კრებაზე საანათემო განჩინების მუქარით ერთხმად დაადგინეს რჯულის ხელშეუხებლობა და იმთავითვე გამოირიცხა დადგენილ კანონთა საპირისპირო კანონების წარმოჩენის მცდელობაც კი.

26. დიდმა რჯულისკანონმა მართებულ კატეხიზმოდ, ანუ სასწავლო სახელმძღვანელოდ „ღიდაქე“ დაუშვა. რაც ნიშნავს, რომ იგი ყველაფერში ეთანხმებოდა რჯულს, თორემ „ღიდაქე“ ანათემის ქვეშ მოექცეოდა ზემორე ხსენებული მსოფლიო კრების განჩინების საფუძველზე, როგორც ეს დაიმსახურა დღემდე სრულყოფილად მოღწეულმა იმ ერთადერთმა „ღიდაქედ“ წოდებულმა ფრაგმენტმა (მეორე საუკუნის ხელნაწერი) რჯულთან შეუსაბამობის გამო. მთავარი ის კი არ არის, რა უწოდეს წიგნს, მთავარია, რა შინაარსის მატარებელია იგი. ოთხი სახარების გარდა, სხვაც მრავალი სახარება დაიწერა, მაგრამ წმ. მამებმა მხოლოდ ოთხი სახარება დააკანონეს. ათასი წლის მერე რომ გამოცემულიყო კიდევ ერთი სახარება, გნებავთ, მოციქულთა ნაღვაწად მიჩნეული, შეიძლებოდა მისი დაკანონება? მით უმეტეს, თუ ახლად წარმოჩენილი სახარება არ დაეთანხმებოდა დაკანონებულს, თავისი

გაზეთი „ღვთიური გზა“

შინაარსობრივი სტრუქტურით, როგორც ეს სჭირს „დიდაქედ“ წოდებული წიგნის შემოხსენებულ ვარიანტს. რადგან „დიდაქე“ საკითხავ წიგნად წარმოაჩინეს და ვერ მოხვდა კანონიკურ წიგნთა სიაში („ბიბლია“, „დიდი რჯულისკანონი“), ამდენად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საეკლესიო სამართლის კოდექსად.

27. ღმერთი უფლებას გვაძლევს ყოველი ახალი აზრი, რომელიც დიდ რჯულისკანონს არ ეთანხმება, კანონად არ მივიღოთ; ასე რომ არა, საეკლესიო სამართალი, იგივე დიდი რჯულისკანონი, უნდა გაუქმდეს.

ჭელიძეს კარგად ესმის: ვის პურსაცაჭამს, მისი ხმალი უნდა იქონიოს. მაამებლობა კი არ უშველის ჩვენს გაუკუღმართებულ ქრისტიანულ ყოფას, არამედ მხილება, როგორც ამას დიდი რჯულისკანონი გვასწავლის:

28. „მცნება არის სანთელი, რჯული არის სინათლე, ცხოვრების გზა კი არის სწავლება და მხილება“ (მე-7 მსოფლიო კრების VI კანონი).

იტყვის კი რომელიმე, რომ სადღესოდ რეფორმატორულ ეკლესიებში უნაკლოდ სრულდება რჯულისკანონი? და თუ ვერ იტყვის, ჩვენი გამიჯვნის მიზეზიც სწორედ ეს გახლავთ, რამეთუ ვიცით:

29. „ყოველთვის როდია სასიკეთო გაერთიანება, არის რომ ზოგჯერ გამიჯვნაც სახიკეთოა... როცა კი შევრიგდებით ხოლმე, ჭეშმარიტების საზიანოდ ეცოვდილიანობთ. და არამართლმადიდებლურად ვიქცევით“ (ევანგელიე პოუჩიტელნოე, ვნედელიუ ვესხ სვიატის, სიტყვა 22, გვ. 162, მეორე მხარეს).

30. ეკლესია ხომ ცოდვების მისატყვებლად ებოძათ ადამიანებს და ყველანი სწორედ იმ ღვთიური მადლის მოსაპოვებლად ისწრაფვიან. ჩვენც ასევე გვწადს მადლის შეძენა,

რითაც უნდა ვეზიაროთ მართლმადიდებლობას, სად მიგვანიშნებთ, სად მოვიძიოთ იგი?!

31. შეილებო, დაიჯერეთ! მართლმადიდებლობა მოკლეს ორგულებმა – ეტრეხლის-მოყვარეებმა, რის გამოც სამოთხის კარი დაიხშო, ჭეყნა დასაღუპავადაა განწირული. ჩვენ ვეძიებთ მთელ დედამიწაზე ჩვენი შეილების გადასარჩენ წყაროს, იგი მხოლოდ ჩვენსავით დევნილი სლავების მცირე ნაწილს აღმოაჩნდა.

32. ეროვნული წარმოშავლობა როდია მთავარი: ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ფეხზე ვუამბობოდით არა ეროვნებისა გამო, არამედ უკვდავების წყაროს შენარჩუნებისათვის, რომელიც გარანტიანია, უპირველესად, ჩვენი სამშობლოს – „ლაზარეს“ გასაცოცხლებლად.

33. რატომ შეუდგა ღვთის რისხვას ბატონ ე. ჭელიძის მოწონებული, ერეტიკულ ყაიდაზე აჭრილი ქართული მართლმადიდებლური ეკლესია? უნდა დაიჯეროს ბატონმა ედიშერმა, დავით აღმაშენებელს იმჟამინდელი ეკლესიის ყოფაში ცდომილება რომ არ შეენიშნა, არც არაფერი ექნებოდა გასარანდავი. იქნებ იკითხოთ, რისთვის წუხდნენ ქართველი წმ. მამები, თუ რამ საენებელი გვჭირს, სომხებისაგან გვჭირსო?

34. ბატონ ედიშერს ორი კითხვითაც მივმართავთ:

ცნობთ თუ არა კათოლიკეებს ერეტიკოსებად? და თუ ცნობთ, სად გადის ზღვარი მართლმადიდებლებსა და მათ შორის?

35. ცნობთ თუ არა მონოფიზიტურ-სომხურ ეკლესიას ერეტიკულად? და თუ არ ცნობთ, რა ზღვარი არსებობს მონოფიზიტებსა და მართლმადიდებლებს შორის?

36. ბატონი ჭელიძე თუ ჭეშმარიტ მართლმადიდებლად გულგობს თავს, ამ კითხვებზე მისი პასუხი უნდა ემთხვეოდეს წმიდა მამათა პასუხს, წმიდანთა პასუხი კი ცალსახა და უკუნიშამდე უცვლელია, რადგან დიდ რჯულისკანონზეა დაფუძნებული.

37. კათოლიკეები 1054 წელს ანათემას გადასცეს მართლმადიდებლებმა, რამეთუ თავიანთი განდგომილებით სცნეს ისინი ერეტიკოსებად. ზღვარი მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის მდგომარეობს შემდეგში: კათოლიკეები არღვევენ მრწამს, მიიზნევენ, რომ სულიწმინდა ბე ღმერთსაც გამოეყოფა, ნათლავენ, ადრე მათთვის მიღებული ნათლობის წესის საწინააღმდეგოდ, თავზე წყალბკურებით. ზიარებაში უარყოფილია ხეფისკეერები და ამჟამად უკვე ღვინოში ჩაწობილი მაცით აზიარებენ მრევლს; დააკანონეს სხვა მრავალი ურჯულოებაც.

38. მონოფიზიტური ეკლესია ერეტიკულია, მწვალებლური, წყვეულია იგი წმ. მამების მიერ. განსხვავება მონოფიზიტებსა და მართლმადიდებელ დიოფიზიტებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ მონოფიზიტებმა უარყვეს ქრისტეს კაცობრივი ბუნება და უკვდავი ღმერთის მოკვდინება წარმოაჩინეს მისი უკარცმითა და კიდევ სხვა მრავალი ცდომილებით.

39. საინტერესოა, ცნობს თუ არა ბატონი ე. ჭელიძე დღევანდელ სომხურ ეკლესიას მონოფიზიტური დოქტრინის მესაკუთრედ და მიმდევრად? ასევე, აღიარებს თუ არა დღევანდელ ქართულ ეკლესიას მართლმადიდებლურ ეკლესიად? ხედავს თუ არა მათ შორის არსებულ გადაულახავ მწვალებლურ ზღვარს? თუ ხედავს, იქნებ გვიასუსხოს, რატომ არ შენიშნავენ მას დღევანდელი ქართული ეკლესიის თავკაცები, როცა სვეტიცხოველში სომხებთან ერთად წირავენ? რა ეწოდება ამგვარ სითამამეს? შეიძლება ბატონმა ედიშერმა ზემოთ ხსენებული ურთიერთობა ერთა ძმობად და ეკუმენისტურ ლავწლად წარმოვედგინოს, მაგრამ ამგვარი ქმედებისათვის დიოფიზიტები განიკვეთებიან და ცხოვრებაში არ ეღიროებათ საეკლესიო ჩინში აღდგენა.


40. შეიძლება კი ანათემირებული კათოლიკე მართლმადიდებლურად წოდებულ ეკლესიაში აზიარო? რას ნიშნავს ყოველივე

ეს? კანონსა და უკანონობას შორის ზღვარის გაუქმებას.

41. ნება მომეცით გკითხოთ, ბატონო ედიშერ, რომელი კონფესიის წარმომადგენელი ბრძანდებით? ალბათ, უყოყმანოდ გვიპასუხებთ: მართლმადიდებლურისო. მაშ, რითი განსხვავდებით სხვა ანათემირებული ეკლესიისაგან. აღარც არაფრით, რადგან დიდი ხანია არსებული ზღვარი წაშლილია, რამეთუ გაუქმებულია თქვენთვის კანონი. მონოფიზიტის ნახმარი ჭურჭელი უნდა დამსხვრეს, როგორც შებიღწული და მისი გამოყენება იკრძალება; ამ დროს კი მონოფიზიტთან ერთად წირავენ მართლმადიდებლურად წოდებულ ეკლესიაში. ქრისტემ ანათემა დაადგინა ამგვარი სითამამისათვის; დაიმასხოვრეთ, არავის აქვს უფლება აქოს და ადიდოს ჩინაყრილი მოძღვრები და არაფერი ჰკითხოვს მაცხოვარს, რომელმაც ბრძანა:

42. როცა მარილი ძალას კარგავს, უეარგისია იგი; რითიღა შეიძლოს დამარილება. განა ძალადაკარგული მარილივით ღირსებაგაცილი მღვდელი უეარგისი არ არის და მაცდუნებელი? მარილი შეჭამად ვერ დაამარილებს — ქვეყანა არ დაიქცევა, მშვიერი მინც დაინაყრებს თავს, ზოლო მღვდელი ურჯულო — ჭეშმარიტი ნათლობის დამკარგველი, ერეტიკოსად ქმნილი ვერ ბადებს ქრისტეანს. საშოთხის კარი დახშულია, რადგან თავად მას არ გააჩნია ქრისტეს ბეჭედი (ჭეშმარიტი ნათლობა), ასევე წართმეული აქვს ცოდვების მიტევების უფლებამოსილება.

43. ვერც ვერაგის შეკრავს და ვერც ვერაგის ახსნის. გარეგნული იერსახე კი მღვდლის ექნება, მაგრამ როგორც ტიკი ჰგავს მუცელს და ვერ იქნება მუცლადმღები და დამბალღელი პირმშოსა, ასევე კანონს გამოიჯნული მღვდელი მხოლოდ ფორმალურადაა ქრისტეს სახელის მატარებელი და, ამდენად, მაცდუნებელია ერისა. ეშმაკის ოინები მრავალ-



მოსკოვისა და სრულად რუსეთის მეფობაზე მუშაობის
შესახებ მალაქოვსა და მისი მოწოდებების შესახებ ნიკოლა.

გვარია, მაგრამ მისი გამოცნობის ხერხი მხოლოდ დიდი რჯულისკანონით მოიძიება. მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრებამ ხატთა თაყვანისცემა განუხრელად დაადგინა, ხატთმებრძოლნი კი დღემდე ამტკიცებენ საწინააღმდეგოს. ასევე, წმიდა მოციქულებმა წყალში სამგზის შთაფლვითი ნათლობის წესი დიდ რჯულისკანონში დაადგინეს, მაგრამ ჰელიძისნაირნი დღემდე ცდილობენ უკანონო ნათლობის წესის დაკანონებას. დაიჯერეთ, ქრისტეანის დაბადების წესი ისევე უცვლელია, როგორც ადამიანის დაბადებისა.

44. ბატონო ედიშერ, ბრძანდებით კი ის კაცი, რომელსაც შესწევს გაუკაცობა ჭეშმარიტების მოძალადეთა ურჯულო საქციელი ერეტყულ მოქმედებად აღიაროთ? თუ თავად გემძიმებათ ეს ტვირთი, სხვას მაინც ნუ უშლით ხელს, შეუდგეს მას ერის სასიკეთოდ; განა თქვენ არ შეგებლოთ, ქრისტეანული მართლმადიდებლური სიფხიზლით გემზილათ ეკლესიის ის მესვეურნი, მარხვაში ქორწინების უფლებას რომ რთავენ, საერო სანაზაობებს აკურთხიებენ, „ქრისტეანობას“ ფულით იძლევიან, ტაძარში თაფლის სანთლის ნაცვლად პარაფინს ახრჩოლებენ, ამკარად მრუშობენ, როცა პორნოგრაფიული მხატვრობით ტაძრებს ბილწავენ. მსოფლიო კრების გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, ეპისკოპოსები ცოლიანები არიან, მაშინ როცა ეკლესიებში კათოლიკეებს აზიარებენ, როცა მონოფიზიტებთან და კათოლიკეებთან წირვალოცვას აღასრულებენ, მაშინ, როცა ეკლესიის ეზოებში ქვის კერპებს დგამენ, სადაც ნიშნა ქალებთან და კენტავრებთან ერთად წმიდა მამათა სახეებია გამოკვეთილი. იქნებ ყოველივე ამას არ ჰქვია ერესი?

45. ერეტყული საქციელი გამიჯნავს ღვთიური მადლისაგან მოძღვარს და არა მარტო სინოდის დადგენილება. განათლება, იცოცხლეთ, კი გაქვთ, მაგრამ რა უწოდოთ იმ ცოდნას, რომელსაც სიმართლის სამსახური არ შეუძლია? განა ბრძენი არაა ის,

ვინც თავის მცირე ცოდნას დანიშნულების მიხედვით გამოიყენებს? ამიტომ ამოირჩია უფალმა სობრძინის უწინარეს სიმართლევ, რათა გაუქმდეს ამპარტყენება; სწორედ ეს არის დიდი სიცრუის მარცხი!

46. ღმერთი შეგვახსენებს:

„წაიბილწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატყვნეს საუკუნო აღთქმა. ამიტომ წყველა ჭამს მიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ გადაიბუგნენ მიწიერი და მცირენილა გადარჩენენ“ (ეს., 24, 5-6).

47. იგივეს შეგვახსენებს სარდიკიის ეკლესიის მიმართ ქრისტეს სიტყვები: „ვიცი საქმენი შენნი, სახელი ისეთი გაქვს, თითქოს ცოცხალი იყო, და მკვდარი კი ხარ. იფხიზლე და განამტკიცე დანარჩენიც, რაც უახლოვდება სიკვდილს, რადგან ვერ ეპოულობ, რომ შენი საქმენი აღსრულებულნი არიან ღმერთის წინაშე. გახსოვდეს, რაც მიგიღია და გსმენია, და დამარხე და შეინახე (რაზეა აქ ლაპარაკი? რა თქმა უნდა, კანონსა და წესზე. — ი.ი.); ხოლო, თუ არ იფხიზლებ, მოვალ შენთან, როგორც მპარავი, და ვერ გაიგებს, რა დროს მოვივალ“ (გამოც., 3, 1-3). კარგად ნახეთ, რის გამო ისჯებიან. სწორედ ეს წესები, ჩვეულებებია ის დიდი რჯულისკანონი, ღვთის ნებას რომ განსაზღვრავს დედამიწაზე. სწორედ იმავე ფორმულებით გასამართლებიან საშინელ სამსჯავროზე ქრისტეს მეორედ მოსვლისას ძებორციელნი (და არა ჰელიძის მიერ შემოთავაზებული წიგნებით).

48. ამიტომაც შეგვახსენებენ კელავ და კელავე:

„...ერთი იოტიც ან ერთი წერტილიც არ გადავა რჯულიდან“ (მათ., 5, 18).

...ამ კანონზე დაფუძნებული ეკლესია ვერ იქნეს ძლეული ჯოჯოხეთის ბჭით.



ლეთიჟი გზა

დიდგა-მალაღა შინა ღმარის,
თაჟასანა ზაღა მუხიღრა და
კათა შორის სათონაჟი

თ ა ვ ი მ ე თ ო ტ ხ მ ე ბ ა

აპოკალიფსისი და ღღეგანღეღობა

(გაზეთი „ღეთიური გზა“, 1991 წ., №8)

1. აპოკალიფსისი ღეთიური საიდუმლოების განცხადებაა. იგი მოიცავს ქრისტეშობიდან ქრისტეს მეორედ მოსვლამდე საუკუნეების კულმინაციურ მომენტებს.

„გამოცხადება იესუ ქრისტესი, რომელიც მისცა მას ღმერთმა, რათა ეჩვენებინა თავისი მონებისათვის, რაც უნდა მოხდეს მალე“ (გამოცხ., 1, 1).

2. „...ჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე. ამინ. და მაქვს კლიტენი ჯოჯონეთისა და სიკვდილისანი. მაშ, დაწერე, რაც იხილე, და რაც არის, და რაც იქნება ამის შემდეგ“ (გამოცხ., 1, 18-19).

3. კურთხეულია ყველა მისი წამკითხველი და ამ გაცხადებული წინასწარმეტყველების მიმყოლი ცხოვრებაში, რადგან ის არის სარკე ჟამთა სრბოლისა, რომლითაც გვეხილება და განგემარტება ყოველი მოსალოდნელი საცდური ეშმაკისა, რის შემდეგ გონიერს სულის სახსნელად მართებს გზათა ძიება.

4. ღეთის შემწობით, ვეცდები, განმარტება მიეცე აპოკალიფსისურ მოვლენებს. არა წში-

და მამათა — იონანე ოქროპირისა და ანდრია კესარიელის განმარტებათა საპირისპიროდ, არამედ წინასწარმეტყველებათა ზოგიერთი გაუმხეველი ღეტალის წარმოსაჩინად.

5. აპოკალიფსისში ნაჩვენებია წიგნი, რომლის შესახებ ნათქვამია:

„და ვიხილე ტახტზე მჯდომარის მარჯვენაში წიგნი, შიგნიდან და გარედან დაწერილი, და შეიდი ბეჭდით დაბეჭდილი.

და ვიხილე ანგლოზი ძლიერი, რომელიც ქადაგებდა ზმამალა: ვინ არის ღირსი იმისა, რომ გადაშალოს ეს წიგნი, და ბეჭედი ახსნას მას?“ (გამოცხ., 5, 1-2).

6. წიგნი, რომელიც ხელში უჭირავს მამა ღმერთს, წარმოადგენს ქრისტეანული წულთაღრიცხვის ახალი აღთქმისეული ქვეყნიერების ბედის წიგნს, რომელშიც აღბეჭდილია საიდუმლოებანი ქვეყნისანი, ქრისტეს განკაცებამდე დაფარული. სხვა ვერავინ იქნა ამ წიგნის ხელით ამღებუი და ბეჭდის ამხსნელი, თუ არა თვით ქრისტე. მხოლოდ მას, კაცობრიობისათვის დაკლულ კრავს, სეღეწიფება მართოს ქრისტეანული წულთაღრიცხვის

მოვლენები კაცთა ღვაწლის შესაბამისად, რამეთუ ღმერთი ადამიანს თავისი საქმისამებრ მოუზღავს. აპოკალიფსისში ნაჩვენებია თანამიმდევრობით ბეჭდის ახსნა. წმიდა მამათა განმარტებით, მინიშნებულია მსოფლიოს უდიდესი კატაკლიზმები, ნაჩვენებია ოთხი ფერის ცხენი და ოთხი მხედარი თავიანთი ღვაწლითურთ. ეს ყოველივე ასე გაიხარება: ცხენთა ფერებით რასის ფერია მინიშნებული. რის შემდეგ ხალხთა ისტორიის კვლადაკვალ წარმოჩნდა შემდეგი სურათი:

7. „...ეხილე, რომ კრავმა ახსნა ერთი შვიდ ბეჭედთაგანი, და მომესმა ოთხ ცხოველთაგან ერთ-ერთის მგრგვინაევი ხმა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე.

და აჰა, თეთრი ცხენი, და ზედ მუდომარე მხედარი მშვილდოსანი; და მიეცა მას გვირგვინი, და გამოვიდა მძლეველი, რათა სძლიოს“ (გამოცხ., 6, 1-2).

8. აპოკალიფსისში ითქვა:

„მამ, დაწერე, რაც იხილე, და რაც არის, და რაც იქნება ამის შემდეგ“ (გამოცხ., 1, 19).

„...და რაც უნდა მოხდეს მალე“ (გამოცხ., 1, 1).

9. აქლაპარაკია იმაზე, რაც არის და რაც იქნება და არაფერია თქმული, რაც იყო წარსულში. ეს ციტატები გვამლევს საშუალებას თეთრ ცხენზე ამხედრებული საღვაწო ჟამი ქრისტეანული წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებად ვრაცხოთ; ჩავიხედავთ თუ არა ხალხთა ისტორიის წიგნში, უმალ ნათელი განხდება: ქრისტეანული წელთაღრიცხვის საწყისი ჟამი რომის ბატონობის პერიოდი; არც არის გასაკვირი: „ყველა გზა რომისკენ მიდის“, ასევე შეგვახსენებენ იმჟამინდელი მებატიანეებიც. თუკი თეთრი ცხენით რასის ფერს წარმოვიდგენთ, არც მათი თეთრგვრემანობა გასაკვირი. მხედრის თავზე გვირგვინი მეფობის პატივია.

10. იხსნება მეორე ბეჭედი:

„და როცა ახსნა მეორე ბეჭედი, მომესმა ხმა მეორე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე.

და გამოვიდა სხვა ცხენი, წითელი, და მასზე მუდომს მიეცა მიწიდან მშვიდობის აღხოცის ძალა, რათა მუსრს ავლებდნენ ერთმანეთს; და მიეცა მას მახვილი დიდი“ (გამოცხ., 6, 3-4).

11. რომაელთა თეთრი მხედრონის ბატონობა გააუქმეს ბარბაროსებმა, რომლებმაც დაწვეს რომი. ესენი იყვნენ გერმანელი ტომები, ფერით წითურები. ამიტომაც იყო რუსულ წიგნში მინიშნებული წითელი ცხენი „რიჟი კონ“-ად.

12. „...476 წლის 28 აგვისტოს ოდოაკრმა ტახტიდან გადმოაგდო რომულუს ავგუსტულუსი რომის უკანასკნელი იმპერატორი... „მსოფლიო ცენტრის“ ადგილზე გერმანელთა ხახელმწიფო შეიქმნა, ზოლო მის დამარსებელს დაერქვა „გერმანელთა მეფე იტალიაში“. ასე დამთავრდა ძველი რომის ისტორია ქალაქის დაარსებიდან 1230 წლისთაზე... აქვე დასრულდა ისტორია ანტიკურობისა, კაცობრიობის უდიდესი ცივილიზაციისა“ (დ. სანიკიძე, რომის იმპერია., თბ., 1984 წ., გვ. 325-326).

13. „და როცა ახსნა მესამე ბეჭედი, მომესმა ხმა მესამე ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე. მე გავიხედე, და აჰა, შავი ცხენი, და მასზე მუდომს ხელთ ეყვრა სასწორი.

14. და მომესმა ხმა ოთხ ცხოველს შორის, რომელმაც თქვა: კოფიო პური დინარად, და სამი კოფიო ქერი დინარად; ზოლო ღვინოსა და ზეთს ნუ აენებ“ (გამოცხ., 6, 5-6).

ძველი აპოკალიფსისის ქართულ წიგნში შავი ცხენი ჭორნისფერით არის მინიშნებული, ისტორია მიგვითითებს არაბების მსოფლიო ბატონობისათვის ამხედრებაზე.

15. (მე-7 საუკუნე). „არაბებმა ბიზანტიელებს წაართვეს აღმოსავლური პროვინციები: სირია, პალესტინა, ეგვიპტე, ზოლო ირანი

გაზეთი „ღვთიური გზა“

მთლიანად დაიპყრეს...“ ასევე დაიმორჩილეს კაკეასიის ქვეყნები (საქ. ისტ., 1988 წ., გვ. 86).

16. ხალიფატი არაბეთის ნახევარკუნძულიდან ჩინეთის საზღვრებამდე განივრცო. ბედლის გასაღები ხელთ უჭირათ. არ დაუზიანებია მოღალეთა ვენახი და ზეთისხილი.

17. „და როცა ახსნა მეოთხე ბეჭედი, მომესმა ხმა ცხოველისა, რომელმაც თქვა: მოდი და იხილე.

და შევხედე და აჰა, ჩალისფერი ცხენი, ხოლო სახელი მისი მხედრისა — სიკედილი, და ჯოჯოხეთი მოსდევდა მას; და მიეცა მას ხელმწიფება მეოთხედზე დედამიწისა, რათა მუსრი გააუღოს მახელითა და შიმშილით, სიკედილითა და მიწიერ მხეტთაგან“ (გამოცხა., 6, 7-8).

18. ჩალისფერი ცხენი ძველქართულში „მწვანე ცხენად“ არის ნახსენები, რუსულში კი „ბლედნი კონ“-ად — ფერდაკარგულ ცხენად. არაბების შემდეგ დაიწყო მონღოლების, ე.ი. ფერდაკარგული, „ბლედნალიცების“; ნაკისფერი, ანუ მწვანე რასის ხალხთა ბატონობა. როგორც ზემოთ იყო ნაუწყები, ისინი დაუნდობლები, ბარბაროსები არიან და ფესქემ თელავენ ყველაფერს, დედამიწის მეოთხედიც დაიპყრეს, როგორც ეს ნაუწყებია აპოკალიფსისში.

19. მე-13—მე-15 საუკუნეები, მონღოლთა ბატონობის დამყარება: თათარ-მონღოლებმა გაანადგურეს მამინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო — ჩინეთის იმპერია, დაიპყრეს ხორეზმის სამეფო შუა აზიაში“ (მონღოლთა იმპერიამ დედამიწის მეოთხედიც დაიპყრეს, როგორც ეს ნაუწყებია. — ი.ი.). (საქ. ისტ., 1988 წ., გვ. 181).

20. „და როცა ახსნა მეხუთე ბეჭედი, ვინილუ საკურთხევის ქვეშ ხულნი მოკლულთა ღმერთის სიტყვისა და მოწმობისათვის, რომელიც ჰქონდათ.

და შეღალადეს ხმადალდა და თქვეს: როდემდის, მეუფეო წმიდაო და ჭეშმარიტო, არ განსჯი და შურს არ იძიებ ჩვენი სისხლისათვის მიწის მკვიდრთაგან?“ (გამოცხ., 6, 9-10).

21. მაშ, მეხუთე ბეჭდის მოხსნისას ცხენებზე ამხერგულთა სრბოლა წყდება, რაც ნიშნავს ცივილიზაციის იმ ფაზის დადგომას, როცა რასები ნაკლებად ფუნქციონირებენ და იქმნება ერთა გაერთიანებები. აპოკალიფსისიც სწორედ ამგვარი დიდი სახელმწიფოს შექმნაზე მიგვითითებს, სადაც ღმერთის სახელის ხსენებაზე ადამიანებს სიკედილით სჯიან. ეზრას წინასწარმეტყველებაში ვხვდებით პარალელს:

22. „ვიხილე სიხმარი: აჰა, ამოდის ზღვიდან არწივი, თორმეტფრთიანი, სამთავიანი...

მისი თავები უძრავად იყო და შუა თავი დანარჩენ თავებზე დიდი იყო, მაგრამ ისიც უძრავად იყო სვებთან ერთად...

23. ვინილუ: აჰა, აღიმართა არწივი თავის კლანჭებზე და დასძახა თავის ფრთებს, უთხრა: ნუ იფხინზღლებთ ყველანი ერთად, თითოეულს თავ-თავის ადგილზე გეძინოთ და დროგამოშვებით იყხინზღეთ, ხოლო თავები უკანასკნელი ჟამისთვის იყოს შემონახული.

24. ...ვიხილე: აჰა, გაუჩინარდა თორმეტი ფრთა და კიდევ ორი მომცრო ფრთა. აღარაფერი შერჩა არწივის ტანს, ორი უძრავი თავისა და ექვსი მოცრო ფრთის გარდა...

ვიხილე: აჰა, ორნი, რომლებიც აღზვედნენ, ერთმანეთს შორის იზრახავდნენ, რომ ერთად ემეფათ.

25. ამას რომ განიზრახავდნენ, აჰა, გამოფხინზღდა ერთი უძრავი თავთაგანი, შუათანა; დანარჩენ ორზე დიდი იყო ეს თავი...

აჰა, მობრუნდა ეს თავი მასთან მყოფი ორი თავითურთ და შთანთქა ორი ნაკრტენი, გამეფებებს რომ აპირებდნენ.

26. ამ თავმა დიდად დააშინა მთელი დედამიწა; ძალით დაიმორჩილა დედამიწის მკვიდრნი და უფრო ძლიერად ეპყრა სამყაროს

ძალაუფლება, ვიდრე ყველა ადრინდელ ფრთას.

ვიხილე ამის შემდეგ და აჰა, შუა თავი, ფრთების მსგავსად, უეცრად გაუჩინარდა“ (3 ეზრ., 11, 1-33).

27. იგივე სახელმწიფოზე მინიშნებს ეზრა, ხოლო დეტალურად კვლავ აპოკალიფსისი აღწერს:

„და დავექეი ქვიშაზე ზღვისა, და ვიხილე მხეცი, ზღვიდან ამომავალი, ათრქიანი და შეიდთავიანი; და მის რქებზე ათი გვირგვინი, და მის თავებზე სახელნი გმობისანი (იგულისხმება ღმერთის გმობა. — ი.ი.).

და მხეცი, რომელიც ვიხილე, ჯიქსა ჰგავდა, და ფეხნი მისნი, როგორც დათვის ფეხნი, და ხახა მისი, როგორც ხახა ლომისა; და მისცა მას ურჩხულმა (ე.ი. ეშმაკმა, უძველესმა გველმა. — ი.ი.). ძალი მისი და ტახტი მისი და ხელმწიფება დიდი.

და ვიხილე ერთ-ერთი თავი მისი, თითქოს სასიკვდილოდ მოწყულელი, და განიკურნა სასიკვდილო წყლულება მისი, და განციფრდა ქვეყანა მთელი მხეცის კვალდაკვალ...

და მიეცა მას პირი მზავარად მეტყველი და მგმობელი, და მიეცა მას ხელმწიფება, რათა იბრძოდეს ორმოცდა ორი თვე.

და განახენა ბავენი თვისნი საგმობლად ღმრთის მიმართ, რათა ჰგმოს სახელი მისი და სამკვიდრებელი მისი და მკვიდრნი ცისანი.

და მიეცა მას ძალი წმიდათა მიმართ ბრძოლისა და მათი ძლევისა; და მიეცა მას ხელმწიფება, რათა ბრძანებლობდეს ყოველ ტომსა და ენასა და ხალხს“ (გამოც., 13, 1-7).

28. იმპერია, რომელიც ეზრას მესამე წიგნში „შუა თავად“ და იოანეს გამოცხადებაში ეშმაკის ტახტის მემკვიდრედ არის მინიშნებული, საბჭოთა კავშირია, ე.ი. რესპუბლიკების, ანუ ხალხთა და ტომთა კავშირი, ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებული, მგმობარი ლეთისა. შეიდთავიანი, ე.ი. შეიდი მეფობის უფლებამოსილებების მქონე, სადაც მერვე მეფის ხელში იწყება მისი დასასრული,

გაზეთი „ლეთიური ვზა“

რადგან ნათქვამია: „...ხუთი (მეფე) დაემხო, ერთი არის (ე.ი. მეექვსე. — ი.ი.), ხოლო სხვა (ე.ი. მეშვიდე. — ი.ი.) არ მოსულა ჯერაც; მაგრამ როდესაც მოვა, დიდხანს ვერ გაძლებს. და მხეცი, რომელიც იყო, და არ არის, მერვეა შეიდთავან, და წარსაწყმედლად წავა“ (გამოც., 17, 10-11).

29. მერვე მეფე იმიტომ არ არის თავად მიჩნეული, რომ არ არის მგმობარი ლეთისა, როგორც მისი წინამორბედი მეფენი. მეცხრე მეფე არ ჩანს. ასე რომ, მერვე მეფის ხელში იშლება იმპერია. ზღვიდან ამოსული მხეცის თავი, რომელმაც სასიკვდილო ჭრილობა მიიღო და არ მოკვდა — ლენინია. მან იმეფა ორმოცდარი თვე. 1917 წლიდან 1921 წლამდე, ვიდრე შეეძლო აზროვნება. რის შემდეგ, მეფობდა მეორე მხეცი — სტალინი, რომელმაც შექმნა პირველი მხეცის ხატი და დახოცა ყველა, ვინც თავყვანს არ სცემდა მას. იქვე, აპოკალიფსისის მე-16 თავში ნათქვამია, პირველი მხეცი, ზღვიდან ამომავალი, ნიშნავს ხალხის მღელვარებიდან მოსულ ბელადს, მეორე მხეცი, მიწიდან მოსული, არის იატაკქვეშელი (ბოლშევიკი) სტალინი.

30. ათი რქა, რომლებმაც მეფობა მიიღეს მეფისაგან ერთი საათით, არის ათი სოციალისტური სახელმწიფო; გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც ამდენივეა, მეფობენ ისინი მხეცის ძალით. ნაუწყებია, რომ ათმა რქამ უნდა მოუღღოს ბოლო ბაბილონს, რომელსაც ცეცხლში დაწვავენ და ნაცრად აქცევენ.

31. ეზრას მესამე წიგნის მიხედვით, ეს სახელმწიფო არწივის ის შუა თავია, რომლის გამოღვიძებამ დანარჩენი ორი თავი დააფრთხო. სამი თავი არწივისა სამი დიდი სახელმწიფოა, რომლებიც მისივე კვრთხით მართავენ მსოფლიოს.

32. ორმა ბუმბულმა რომ მეფობა ინდომა, ეს გერმანია და იაპონიაა. ხოლო შუა თავმა

გაზეთი „ღვთიური გზა“

რომ ორი თავი შეიერთა და ორი ბუმბული შეკვამა, ეს ანტანტა; ამერიკა, საბჭოთა კავშირი და ინგლისი.

33. 666 ანტიქრისტეს ბეჭედი. იგი თავის მონებს ბეჭედს დაუსვამს შუბლსა და მარჯვენა მკლავზე. წინასწარმეტყველი აქვე განგვიმარტავს, რომ 666, ეს კაცობრივი რიცხვია. ბიბლიაში ეს რიცხვი ჩანს ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნებული ისრაელი ერის კაცთა რიცხვად, აღონიკამიანების რიცხვად — 666 (1 ეზრა, 2, 13).

34. სწორედ ამით მიგვანიშნებს პირველი მხეცის შთამომავლობა; გაევივთ, რომ მხეცი იგი ყოფილა ებრაელი. ამ რიცხვში დევს კოდი ანტიმემიანური, იგი დასაბამს იღებს ქრისტეს განკაცვამდე, ამიტომაც იყო, მოსემ იორდანეზე გადასვლის წინ თავისი ხალხი დაწყველა, რადგან ერს შეუნიშნა მესიის უარყოფის პროგრამა. ეს პროგრამა ქრისტეს შემდეგ ვრცელდება ქრისტიანებზე და მისი ყველაზე უკეთ გამტარებელი პირველი მხეცი ლენინი იყო; მან სისხლის ღვარში აცურავა ქრისტიანები.

35. ამ რიცხვის შუბლზე მიმღები ამლიარებელია მხეცის ანტიქრისტიანული იდეისა. იგი მისი პროგრამის მატარებელია, ამიტომაც ითქვა: პარტია არის სინდისი, ღირსება და გონება ჩვენი ეპოქისა. დიახ, ეპოქა ამან დალუპა. მარჯვენა ხელზე ბეჭდის მიმღები ანტიქრისტეს კალატოზია და მისი ტაძრის ამშენებელი, ჩვენებურად რომ ვთქვათ, პროლეტარიატი, დაბნეული და ამბონებული მონა, რომელიც წყვეულია მემამბონე თათან ერთად. ეს ანტიქრისტესული იდეა, როგორც გამხელილი, თვალსაჩინო ბეჭედი, მხეცს ებოძა სატანისაგან და იგი მან აქცია არა ფარულ ორგანიზაციად, არამედ მასონურ სახელმწიფოდ, რამაც თვით სახელმწიფოს გერბში იჩინა თავი — ესაა ნამგალი და ურო.

36. ახლა კი განვიხილოთ, როდის წაერთმევა ემმაკის ტახტის მემკვიდრეს მეფობის ცრუ პატივი?

„და როცა ახსნა მემკვსე ბეჭედი, შეგხედე, და აპა, იქმნა მიწისძვრა დიდი, და გაშავდა მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდა მთვარე... ყოველი მთა და კუნძული თავიანთი ადგილიდან იძრნენ.“

37. და მეფენი ქვეყნისა და მთავარნი, ათასისთავნი მდიდარნი და ძლიერნი, ყოველი მონა და თავისუფალი მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებს შეეფარნენ“ (გამოცხ., 6, 12-15).

38. აქ ნათლად ჩანს, რომ ქვეყნიერებას თავს დაატყდა დიდი უბედურება, კაცობრიობას ჯერ რომ არ ახსოვს, ისეთი. წინასწარმეტყველ ბოველის სიტყვა გვაფხიზლებს:

39. „ჩაბრეთ საყვირს სიონზე, დაეცით ყოინა ჩემს წმიდა მთაზე! დაე, შემძრუნდნენ ქვეყნის მკვიდრნი, რადგან უფლის დღე მოდის, ახლოვდება.“

დღე ბნელი და უკუნი, დღე ღრუბლიანი და ჯანლიანი! ბინდით ვფინება მთებს უშტი და უშქარი, ძლიერი ხალხი, რომლის მსგავსი არ ყოფილა დასაბამიდან და არც მის მერე იქნება მომავალ თაობებში...

მიწა ტორტმანებს მათ წინაშე, ცა ირყევა, ბნელდება მზე და მთვარე, ვარსკვლავებს ეკარგებათ შუქი“ (იოვ., 2, 1-10).

40. ეს უამი უკვე დადგა; შემოარტყეს ალფა ისრაელს, გაისმის მუქარა გოგ-მაგოველებისა, რომლებიც კბილებს იღვსავენ ისრაელზე, მაგრამ ისრაელის ღმერთი ძლიერია: „ადამის ძეგ! იწინასწარმეტყველე გოგზე და თქვი, ასე ამბობს-თქო უფალი ღმერთი: აპა, შენზე ვარ რომისი, მემუქის და თუბალის მთავარო!“

მოგატრიალებ, გამოგათრეე და წამოგიყვან ჩრდილოეთის კიდეებიდან და მოგიყვან ისრაელის მთებზე...

41. ისრაელის მთებზე დაეცემი მთელი შენი ურდოიანად და ხალხთან ერთად, თან რომ გახლავს: ყოველგვარ ონავარ ფრინველს

და ველის მხეცებს მიგცემ შესაჭმელად.

ტრიალ მინდორზე დაეცემი, რადგან მე ვთქვი, ამბობს უფალი ღმერთი.

გავგზავნი ცეცხლს მაგოგში და უბრუნველ ზღვისპირებებში და მიხედებიან, რომ უფალი ვარ“ (ეზეკ., 39, 1-6).

42. დიახ, აქ ე.ი. მეექვსე ბეჭდის მოხსნისას, დასრულდება გოგ-მაგოგელთა ბოხოქრობა.

ახლა კი ვიკითხოთ, სად არიან, ქართველებო, თქვენი მტრები? რა მიშველება დასჭირდა გოგთა წარსაწყმედელ ღვთის რისხვას?

43. საქართველოვ, მსოფლიო ოკეანის მშფოთვარებაში, დედამიწის ორი მესამედის მოსტრვის ჟამს, შენი პატარა ხომალდი ნუ იბოხოქრებს დიდად, რადგან არ იცი, რას შეგარჩენს გამჩენი; სანამ დროა, მოიძიე სულგრძელობაში განზაგებული გონიერება.

44. საქართველო დედა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ვიცით იოანე-ზოსიმეს ნაწინასწარმეტყველები: „ლაზარე“, იგივე საქართველო, უნდა გაცოცხლდეს. ისიც გვაუწყებს, რომ „ლაზარე“ დიდი ხანია ვარს. თუ საქართველოს ეკლესია უცდომელია და წმიდა, მაშ, რამ ააქოთა „ლაზარე“? ხომ გჯერათ „ლაზარეს“ აღდგინებისა? მაშ, რანაირად აღსდგეს იგი, თუკი არ გაცოცხლდა; რატომ არ იკითხავეთ, რა გზით? საქართველოს აღდგინება, უპირველესად, ღვთიური წესის აღორძინებით იწყება, რომელიც არის სახვალლო ბედნიერი ყოფის გარანტია: ეს განცხადება საქართველომ ძველმართლმადიდებლური ეკლესიიდან ისმინა. რომელმაც ერთმა მოიკვლია, ძველმართლმადიდებელთა საქმიანობა კაცთამიერი წამოწყებაა თუ ღვთის ბრძანების აღსრულება?

45. „შემდგომ ამისა ვიხილე ოთხი ანგელოზი, ქვეყნის ოთხსავე კიდზე მდგარი და ეპყრათ ოთხი ქარი მიწისა, რათა არ ექროლა ქარს არც ხმელზე, არც ზღვაზე, და არც რომელიმე ხის მიმართ.

და ვიხილე სხვა ანგელოზი, მზის აღმოსავლით აღმომავალი (ამოდ როდო უწოდეს

გზითი „ღვთიური გზა“

საქართველოს გზითს „აღმოსავლეთის განთიადი“, იგივე „ზარია ვოსტოკა“ და ეს სხვა ანგელოზიც მზის აღმოსავლეთით აღმომავალი საქართველოს მზის დერიტის, მზის საბადებლის — კაკასიონის თავზე შემდგარი ანგელოზია. — ი.ი.), რომელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის ბეჭედი და შესძახა ხმამაღლა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცეთ ვენება მიწის და ზღვისა:

ნუ აენებ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღებუქდავთ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს“ (გამოცხ., 7, 1-3). ეს ბეჭედი სხვა არა არის რა თუ არა ქრისტეანობის დამლა, იგივე ქრისტეანული ნათლობა ჭეშმარიტი, სამოციქულო და არა შერყენილი. და აჰა, თვალნათლივ ეხედავ გაწარმართებული მსოფლიოს გაქრისტეანების ჟამიც დამდგარა. ეს სახარების ბოლო ქადაგებაა, ეს ქრისტეს მერივდ მოხელასთან შესახვედრად მსოფლიო სამზადისია, ამიტომაც იყო „ენა ქართული დამარხული“, ესე იგი, დეჟარული, შემონახული: „დამარხული არს ენა ქართული დღედმდე მერივდ მოხელისა მისისა სწამებლად, რათა ვოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამითენითა“. და აჰა, აწ ემზილა, ანუ ეუწყა იგი უპირველესად საქართველოს, მერმედ — გაწარმართებულ მსოფლიოს ქრისტეანთა მოსაქცევად; აი, ეს არის დედა ღვთისმშობლის წილხვედნილი ქვეყნის მესიანური ფუნქცია.

46. ანტიქრისტეს ბეჭდის მატარებელნი! გაიხსენეთ, რა უბედურება გემუქრებათ ამ ბეჭდის მიღების გამო:

„და მესამე ანგელოზი მოსდევდა მას და ამბობდა ხმამაღლა: ვინც თაყვანს სცემს მხეცს, ან ხატს მისას, აღიბეჭდება შუბლი მისი ან ხელი მისი ნიშნით,

და სვამს ისიც ღმერთის რისხვის ღვინოს, რომელიც შეზაგებულია წმიდად მისივე

გაზეთი „ღვთიური გზა“

რისხვის სასმისში, და ეწამება გოგირდითა და ცეცხლით წმიდა ანგელოზთა წინაშე და წინაშე კრავის“ (გამოცხ., 14, 9).

47. დრო კი ცოტალა დარჩა, მადლობა შესწირეთ ღმერთს, რომ დღევანდელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ვითარება იძლევა საშუალებას, განვირიდოთ ანტიქრისტიანული ბეჭედი. დაიხსომეთ, შანსი მოგეცათ დღეს და არ გექნებათ ხვალ. „ხვალში“ იგულისხმება მეექვსე ბეჭდის მოხსნის ჟამი, როცა ატომური ომი მოსპობს კაცობრიობის დიდ ნაწილს.

48. ხსნა მარტოოდენ პარტიის მანდატის გადაცემაში როდია, კვლავად მადლობა შესწირეთ უფალს, რამეთუ ვითარცა წარმართებს (ე. ი. არასწორად მონათლულებს) გემღვევით საშუალება წარიხოცოთ წყეული ნიშანი ანტიქრისტიანული და მიიღოთ ქრისტიანული ბეჭედი ჭეშმარიტი ნათლობით. ისწრაფეთ, ხანამ კიდევ დროა.

წყალობა ღვთისა თქვენზედა, ამენ!

პაისაქოაზი იონა

საქართველოს

კვლევართლმადიდებლური

მკვლევართლმადიდებლური

(ბიოგრაფია)

49. მურთაზ (ანზორ) შოთას ძე ჩახავა, ეროვნებით ქართველი, დაიბადა ქ. ფოთში 1938 წლის 17 დეკემბერს. მამა — შოთა სოლომონის ძე ჩახავა იყო ქორეოგრაფი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ზედა — ჟენია ვადაქარია მედიცინის მუშაკია. მეუღლე კედეგოგია. ჰყავს ორი შვილი. გაჟი ინჟინერია, ქალიშვილი — არქიტექტორი.

50. მურთაზ შოთას ძე ჩახავა განათლებით ფილოლოგია, პროფესიით მწერალი. იყო სკკპ წევრი. რელიგიური მოტივით 1975 წელს გავიდა პარტიის რიგებიდან. არის

რამდენიმე წიგნის ავტორი, მათ შორის რელიგიური რომანისა „ღვთიური გზა“ და რელიგიური თხზულებისა „ერი, ღმერთი და კანონი“.

51. გაეცნო რა საფუძვლიანად ქრისტიანული ორიენტაციის მქონე კონფესიათა მოღვაწეობას, დიდ რჯულისკანონს განრიდებული ეკლესიები, წმიდა მამათა კანონების საფუძველზე, ერთიკეულად ცნო. მათ შორის მოიძია რჯულისკანონის მიმდევარი და მტკიცედ მპყრობელი ეკლესია; მსოფლიოში ამგვარად წარმოჩინდა სლავური ძველმართლმადიდებლობა; ირწმუნა რა ამ იერარქიის ჭეშმარიტებისა, 1975 წელს მიიშორა აღრინდელი წყალპყურებითი ნათლობის მწიკვლოვანება და ოჯახთან ერთად გადაინათლა.

52. მურთაზ ჩახავა წლების მანძილზე ებრძოდა ამავე კონფესიაში შენიშნულ უსამართლობას, იცავდა პატიოსან მღვდელმსახურებს, რის გამოც უწევდა ბრძოლა ნოვოზიბკოეში, პერმში, მოსკოვში, კლიმოვოვში, ვანკოეში, ფოთში, თბილისში. 1989 წელს თბილისში დააარსა ძველმართლმადიდებლური ორიენტაციის ეკლესია, რითაც საქართველოში ააღორძინა დიდი ხნის დაკარგული მართლმადიდებლური ეკლესია, რომლის თავმჯდომარედ თავად იქნა არჩეული. ეკლესია აყვანილ იქნა აღრიცხვაზე. მანვე დააარსა ეკლესიის ბეჭდვითი ორგანო, გაზეთი „ღვთიური გზა“, რომელიც მინისტრთა საბჭოს მიერაა რეგისტრირებული. სამლოცველოდ ითხოვა სარესტავრაციო ტაძარი. აღრინდელი მოაზრობისა და ოფიციალური ეკლესიის თაზრობისა გამო თხოვნა არ დაკმაყოფილდა.

53. მ. ჩახავა ქადაგებს ხალხთა შორის სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემას. არ ერევა პოლიტიკურ კონფლიქტებში; წინააღმდეგაა ქრისტიანულ რელიგიაში კონფესიათა აღრევისა, რაც არაერთარ შემთხვევაში არ გამოირიცხავს სხვა რელიგიური აღმსარებლობის ხალხებთან საქველმოქმედო და ეკო-

ნომიკურ თანამშრომლობას.

54. 1991 წელს მურთაზ (ნათლობის სახელი იონანე) ჩახაკამ მიიღო საეპისკოპოსო ხელდასხმა (რის შედეგადაც ეწოდა იონა) პერმის ოლქში ამავე ეპარქიის ეპისკოპოს ლეონტისაგან. დადგენილი წესისამებრ, გაიარა სამწინიანი იერარქიული გზა: იყო დიაკონი, მღვდელი და, ბოლოს, ეპისკოპოსი. იგი დანინშნა მის მიერვე თბილისში დაარსებული ეკლესიის ეპისკოპოსად. იმის გამო, რომ საეკლესიო მოღვაწეობა ვერ ითავსებს საერო მოღვაწეობას, მიმდინარე წლის მანძილზე მან დატოვა მწერალთა კავშირის რიგები.

55. კითხვა: მეუფე იონა, გილოცავთ ეპისკოპოსის მაღალ პატივს. რამეთუ კარგად გვეხმის — რჯულმადღმოსილი ეპისკოპოსი ქრისტეს მაგიერობას სწევს ღელამიწაზე.

56. პასუხი: ჭეშმარიტად ასეა.

57. კითხვა: ორი წელი გავიდა მას შემდეგ რაც საქართველოში დაფუძნდა ძველმართლმადიდებლური ეკლესია. იგი რეგისტრირებულია 1989 წლიდან, გააჩნია რელიგიური ორგანო — გაზეთი „ღვთიური გზა“, რომელიც საქართველოს მოუწოდებს დავით აღმაშენებლისდროინდელი მართლმადიდებლობის აღორძინებისაკენ. რატომ სჭირდება დღევანდელ საქართველოს ძველმართლმადიდებლური სწავლების მოგვირგობა, ეს ხომ მისი ძირძველი ქრისტიანობა?

58. პასუხი: თუმცა დიდად საძნელოა შეჩვეული ჭირის განრიდება, რეფორმატორულმა ქართულმა ოფიციალურმა ეკლესიამ დაიწყო რჯულის მიხედვით შენიშნული ცდომილებების გარანდა. ამ მიმართულებით საპატრიარქოში ყურად იღო ერისათვის სასიკეთო მოწოდება და მიმდინარე წლის გაზეთ „მადღში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ წყდება ქრისტეს მადლით ვაჭრობა და ეკლესიაში ემბაზების მოწყობას შეუდგენენ, რათა საბოლოოდ დაედოს საფუძველი

გაზეთი „ღვთიური გზა“

რჯულისმიერ წყალში სამგზის შთაფლვით ნათლობას.

59. მაგრამ გამოჩნდნენ, ასე ეთქვამთ, „მაამებლები“ და დაიწყეს ანტიმართლმადიდებლური მტკიცება ბიბლიური ლექსიკონის, ენციკლოპედიების და თვით რჯულისკანონის საპირისპირო წყალკურებითი ნათლობის წესის გაკანონიკურებისა. გაზეთ „ღვთიური გზის“ მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე ნომრებში პასუხი გაეცა ელმშერ ჭველიძის ანტიქრისტიულ რეცენზიას. არავის ვახვევ თავს ძველმართლმადიდებლობას, თუმცა ვიცო, რომ მხოლოდ აქ ღვეს ჭეშმარიტება, გახრწნილი „ლაზარეს“ აღსადგენად ბოძებული. სწორედ ამით უნდა გახრწნიდეს ღელა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და მხოლოდ ამით უნდა მოიგერიოს ყველა უბედურება საქართველოში.

60. კითხვა: რა შეგიძლიათ გავითხრათ რუს მართლმადიდებლებზე?

61. პასუხი: რუსებმა მართლმადიდებლობა ბერძნებისაგან მიიღეს. მე-9—მე-11 საუკუნეებში ბერძნული ხელნაწერების მიხედვით შექმნეს საეკლესიო ლიტერატურა. ამის შემდეგ რუსული მართლმადიდებლობის სიწმინდეს აღიარებდნენ მსოფლიოს პატრიარქები. მე-17 საუკუნეში მოხდა განხეთქილება, რუსეთმა იწემა ძველი მართლმადიდებლობის შეცვლა და მის ნაცვლად რეფორმატორული მართლმადიდებლობის მიღება. რეფორმატორული ეკლესია დაჯდნო ახალ ბერძნულ საეკლესიო წიგნს „ეკკოლოგიას“, რომელიც დაიბეჭდა კათოლიკეთა სტამბაში მეჩვიდმეტე საუკუნეში და რომელშიც, ძველი სწავლების საპირისპიროდ, დაშვებული იყო შეცვლილი წესდებები.

62. კითხვა: რა ცვლილებები იქნა შენიშნული რუსულ მართლმადიდებლურად წოდებულ ამ ორ კონფესიათა შორის?

63. პასუხი: ახალი სწავლება ძველს

გაზეთი „ღვთიური გზა“

იმთავითვე ას ექვსი მუხლით დასცილდა (იხ. წიგნი „კომორული სიტყვისგებანი“). მსოფლიო საქრისტიანო სტანდარტებს მორაგებს თავიანთი ეკლესია, რათა მოკავშირეები შეეძინათ ვეროპაში. ასე გაიცვალა რუსული მართლმადიდებლობა პოლიტიკაზე. რეფორმატორულმა ეკლესიამ სისხლის ღვარში აცურა მართლმადიდებლობის არდამთობანი; ფისში ამოვლებულებს და ბოძზე გაკრულებს ცოცხლად წვავენ. ახალი (სამი თითით) პირჯვრის წერის მიუღებლობის გამო, თითებს აჭრიდნენ, ენას გლეჯდნენ; წამებულთაგან ზოგმა ციმბირის ტყეებს შეაფარა თავი, ზოგმა სამშობლო დატოვა და უცხოეთს შეეხიზნა. მიუხედავად ამგვარი რეპრესიებისა, მათ მინც შეინარჩუნეს ძირძველი მართლმადიდებლობა.

64. კითხვა: რატომ შეარჩიეთ სლავერი მართლმადიდებლობა და რატომ არ ინებეთ, ეთქვათ, ბერძნული?

65. პასუხი: მსოფლიო საქრისტიანო დიდი ხანა გაწარმარებულია რკულისკანონის გამრუდების გამო. ყველა კონფესია თავისი სწავლების უპირატესობას აღიარებს.

66. ვიცოდი, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი ეკლესია ვერ იქნება ჯოჯოხეთის ბჭით ძლეული. ამიტომაც მართალი ეკლესიის არსებობაში ეჭვი არ შემპარვია, ოღონდ საჭირო იყო ამდენ ცრუ ეკლესიაში მისი მოძიება. როცა ქრისტიანული ორიენტაციის მქონე კონფესიათა შორის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის მოკვლევის საკითხი დგება, უნდა განვიხილოთ ორი მომენტი:

ა) გააჩნია თუ არა ეკლესიას პირველყოფილი სახით შენარჩუნებული შვიდი საიდუმლო.

ბ) გაწყვეტილა თუ არა ქიროტონია მათ იერარქიაში, ე.ი. სამოციქულო რკულისკანონისმიერი ხელდასხმა მოსდევს თუ არა დასაბამიდან.

67. სადღესიოდ მშვიდობის სამისიონერო ეგიდით ფუნქციონირებს მსოფლიოს საეკლესიო საბჭო. მის მიზანდასახულობას გავეცანით წიგნში „ქრისტიანული ეკუმენიზმი“, სადაც ნაუწყებია, რომ ქრისტიანული ორიენტაციის მქონე სხვადასხვა კონფესიათა შეთანხმება-გარიგება უნდა მოხდეს რელიგიური დოგმატების კომპრომისის ზარჯზე.

68. ისინი არსებულ დოგმატებს მიიჩნევენ სამშვიდობო გაერთიანების გზაზე დაბრკოლების ქეად და ამიტომაც ქრისტეს ღმერთკაცობას, სულიწმიდით ჩასახვას და მარიამის ქალწულობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებენ.

69. საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ამ დათმობაზე საჭიროა წასვლა, რათა ადვილად მოხდეს არა მარტო ქრისტიანულ კონფესიათა, არამედ სხვა რელიგიების თანაშერწყმა და გაერთიანებაც კი.

70. მაშ ასე, საეკლესიო საბჭომ გაშალა სამშვიდობო და სამო ტრაპეზი, სადაც მიწვეულ იქნენ მსოფლიოს ქრისტიანული ორიენტაციის ეკლესიები. დიდი ენთუზიაზმით შემოუსხდნენ ამ სუფრას სამასზე მეტი ეკლესიის მესვეურნი. სუფრის დევიზი არ შეცვლილა: „დაეჭვება ღვთისმშობლის სიწმიდეში და ეჭვი ქრისტეს ღმერთკაცობაში“.

71. ვინ არიან ამ სუფრის წევრები და რა პირით იჩეშებენ მართლმადიდებლობას? ზომ კარგად ვიცით, ამ სუფრას მიუსხდნენ ჩვენი მოწონებული საბერძნეთის, საქართველოს, რუსეთის რეფორმატორული ეკლესიები; მაშ, ვისგან გვესესხა ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა, ამ სუფრის წევრებისაგან, რომლებიც იკვებებიან ანტიქრისტიული საზრდელით, თუ იმათგან, ვინც არ მიუსხდნენ ამ ანტიქრისტიულ ტრაპეზს? ასეთი კი განლაკთ ძველმართლმადიდებლური სლავერი ეკლესია (კათოლიკეებზე არაფერს ვამბობ, როგორც ანათემირებულეებზე). ჭა შეიძლება მრავალი იყოს, მაგრამ მხოლოდ ჭკვიანმა კაცმა იცის, რომელი ჭიდან დაიღვება წყალი.

72. ჩვენ იმ ჭის წყალს დავეწაფეთ, რომლიდანაც ეკადრებოდა საზრიან ქართველს დარ-

წყულება, რამეიუ კარგად ვიცით: ეკლესია, რომელიც რეკონსტრუირებული ნათლობის დამრღვევია, ერეტიკულია; ეკლესია, რომელიც კათოლიკური და სექტანტური ეკლესიებიდან კურთხევისა და მოწყალების მიმღებია, ერეტიკულია; ამდენად, არჩევანში არ მოგჭყუებულვარ, როცა სულის გადასარჩენად სლაეურ ძველმართლმადიდებლობას მოვეჭვიდე. მსოფლიოში მხოლოდ ისინი ინარჩუნებენ სადღესიოდ რეკონსტრუირებით დაცულ მართლმადიდებლობას. მათ შორის პატიოსანი და მიჭველია პერმის ეპისკოპოსი ლეონტი.

73. კითხვა: მიმდინარე წელს თქვენ ეპისკოპოსად გაკურთხეს; რას გვეტყვოდით ამის შესახებ.

74. პასუხი: მართალი გითხრათ, მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ორი წლით ადრე ღვთით მეუწყა, რომ საქართველოში ჩამქარალი საკურთხევის ასანთები ნაღვერდალი მე უნდა ჩამომეტანა პერმიდან, თვით ლეონტი ეპისკოპოსის მიერ შენარჩუნებული, რომელსაც სახელიად საქვეყნო ასპარეზი გააჩნია.

75. კითხვა: ეს ხომ არ ინიშნეს ცოლქმარმა გლობებმა, ცნობილმა ვარსკვლავთმრიცხველებმა, როცა ბრძანეს: პერმიდან შემოსული სლაეური კულტურის დიდებას საქვეყნო აღიარება ელოდებო!

76. პასუხი: დიას, ეშმაკმა და მისმა თვალხილულმა მოკავშირეებმა ყველაფერი იციან, გეტყვიან სიმართლეს არა იმისათვის, რომ სარგებელი ნახო, არამედ იმისათვის, რომ თავიანთ ყოვლისშემძლეობას გაუწიონ დემონსტრირება. რა თქმა უნდა, მათ სწორედ პერმიდან წამოსული იმ სლაეური მართლმადიდებლობის ჩირაღდნის გადატანა ნახეს საქართველოში, საიდანაც უწევს მერმედ ამ ჭეშმარიტებას საქვეყნოდ შემოტარება. გახსოვთ, ალბათ, როცა ჰკითხეს: რას ნიშნავდა სლაეური კულტურის საქვეყნო აღორძინება, ხომ არ არის რაიმე ახალი რელიგიის ქადებანი? ორატორუნად და ბუნდოვნად უპასუ-

ხეს, ეს ლუციფერული მანერაა; ჭეშმარიტად გეტყვით: არ შემცდარხართ, სწორედ ეს ინიშნეს მათ.

77. კითხვა: როგორც ვიცით, მღვდელს ორი-სამი ეპისკოპოსი დაასხამს ხოლმე ხელს ეპისკოპოსის ჩინის მისაღებად.

78. პასუხი: დიას, მაგრამ რეკონსტრუირებულში, მეფე იუსტინიანეს კანონების 42-ე თავში მითითებულია: საჭიროების შემთხვევაში ერთსაც კი ხელეწიფება საეპისკოპოსო ხელდასხმა. ჩვენში მრავალადაა ამის მაგალითი.

79. კითხვა: როგორ შეეგუა მეუღლე ოჯახიდან თქვენს განდგომას?

80. პასუხი: თანხმობის ნადავგზე მივიღეთ ამგვარი გადაწყვეტილება. სანამ მინ ვიყავი, ოჯახს ერთუელად ვემსახურე, ახლა კი მეუღლეს მადლობას ვწირავ, რომ მომცა საღვთო პატივის უფლება.

81. კითხვა: ვიცით, რომ უკვე დაიწყეთ რეკონსტრუირების ნათლობა; როგორია თქვენს სამოძალო ვეგებები?

82. პასუხი: ნათლობა დაეიწყეთ. ვფიქრობთ ეკლესიის აშენებას. პროექტი მზად არის, ტამარი ოცდასამი მეტრი სიგრძისა და თოთხმეტი მეტრი სიგანისაა. განცხადება ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე წარუდგინეთ ჩვენს მთავრობას. ელოდებით პასუხს, ვიცით, რომ დღევანდელი მთავრობა მხარს უჭერს მხოლოდ ოფიციალურ ეკლესიას, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ შეუნიშნავდა მწიკლოვანებას. დისკრამინაციას ჯერჯერობით ვერ ვგრძნობთ. ვსარგებლობთ დემოკრატიული პრინციპებით და ეინარჩუნებთ იმედს, რომ საქართველოში ადგილი არ ექნება ადამიანთა უფლებების უხემ დარღვევას, მით უმეტეს რელიგიურ აღმსარებლობაში.

83. კითხვა: როგორი დამოკიდებულება გაქვთ სხვა ეკლესიებთან?

84. პასუხი: არავის ვართმევთ მრევლს,

გაზეთი „ღვთიური გზა“

ხოლო ვისაც ნებაჲს ჰქმნარა მართლმადიდებლობა, მზადა ვართ, ვემსახუროთ.

85. კითხვა: როგორ კონსტიტუციაზე ოცნებობთ?

86. პასუხი: ქვეყნის სამართავად ღვთიურ სიბრძნეს უფრო უნდა ვენდოთ.

87. კითხვა: რა არის თქვენი მიზანი?

88. პასუხი: გაწარმართებული ქვეყნის გაქრისტიანება.

89. კითხვა: რა უფლებამოსილებით იტვირთეთ რჯულისკანონს განრიღებული, ანუ გაწარმართებული მსოფლიოს გაქრისტიანება?

90. პასუხი: ღვთის ნების გარეშე ყოველად შეუძლებელია ამგვარი ღვაწლის შედგომა. თქვენ კი მოგეცემათ საშუალება, იხილოთ ღვთიური დასტურია.

91. კითხვა: რამდენად გჯერათ იდეის განხორციელებისა?

92. პასუხი: ვისაც შეუძლია, აბრაამს ქეიდან აღუდგინოს შვილები, მასვე ხელეწიფება თავისივე ნაბრძანების აღსრულება.

93. კითხვა: ღედა ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის სამისიონერო ფუნქციისა გჯერა, მაგრამ რამდენად შეესაბამება იგი თქვენს მიერ წამოწყებულ საქმიანობას?

94. პასუხი: უამის მიხედვით დადგინდება; თუკი აპოკალიფსისის მე-8 ბეჭდის შემდგომ პერიოდს გაეცნობით, ნახავთ, ღღევანდელ ჩვენს რელიგიურ მოღვაწეობას საღვთისმოსავე საფუძველი უდევს.

95. კითხვა: რატომ გგონიათ, რომ მსოფლიო გაწარმართებულია და საჭიროა შევლა?

96. პასუხი: კი არ გგონია, არამედ ასეა; რამეთუ ნაბრძანება წინასწარმეტყველ ეზრას მიერ: „ჰა, მე წავალ, როგორც მიბრძანე, და ვამზილებ ამქაინდელ ხალხს. მაგრამ კვლავ ვინც გაჩნდება, მათ ვინ გააფრთხილებს?“

რადგან წყვედაღმის იმყოფება ეს წუთისოფელი და ნათლის გარეშე არიან მისი მკვდარნი.

რადგან დაიწვა შენი რჯული და არაეინიცის, რა შეიქმნა შენგან და რა უნდა აკეთონ. (თარგმანი რუსულიდან. — ი.-ი.).

აღწერე ყველაფერს, რაც კი შექმნილა ამ წუთისოფელში დასაბამიდან, რაც შენს რჯულშია ჩაწერილი, რომ შემდონ ადამიანებმა ბილიკის პონა და იცოცხლონ, ვისაც კი სურს სიცოცხლე უკანასკნელ დღეებში“ (3 ეზრ., 14, 19-22).

97. კითხვა: მუფუე იონა, გთხოვთ განგვიმარტოთ, რატომ არ ინებეთ საქართველოს ეკლესიაში ხელდასხმა?

98. პასუხი: ხელდასხმა, ანუ ქიროტონია, მაღლი უფლისა თვით ქრისტედან იღებს დასაბამს და განუწყვეტლივ მოედინება. ეს ის მაღლია, რომელიც ეძლევათ მღვდელმსახურებს საღვაწოდ. ამ მაღლს მხოლოდ რჯულისკანონის მიყოლი ეკლესია ინარჩუნებს. როგორც კი მოციქულთა ნათლობის წესი შეიცვლება სხვა ნათლობით, ეკლესია იმ წამსვე ერეტიკული ხდება, რადგან მღვდელმსახური, რომელიც ერთხელ შეასრულებს ერეტიკულ ნათლობას, არასოდეს მღვდელი არ იქნება, ამას გვაუწყებს მოციქულთა 46-ე კანონი, ე. ი. აქ წყდება ღვთიური მაღლი, რადგან დაირღვა რჯულისკანონი. ამის შემდეგ ამაოდ იჩემებენ მღვდლობას. როგორც მარიალბადაკარგული მარული შეჭამანდს ვერ დაამარიალებს, ასევე მაღლგაცლილი მღვდელი ვერ დაბადებს ქრისტეანსა და არც ცოდვების მიტყვების უფლება გააჩნია. მხოლოდ გარეგანი შეხედულება ექნება მღვდლისა.

99. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ეკლესია საუკუნეების მანძილზე ერეტიკულია, რამეთუ დარღვეული აქვს რჯულისკანონი. მისი მართლმადიდებლობა არც მეფეს უმებნია და არც პატრიარქს; ხან — მონოფიზიტებს ჩაეიკრავდით გულში, ხან — კათოლიკეებს; უარესიც, აღრინდელი მართ-

ლმადიდებლობისათვის ბოდისაჲ კი იხდიდნენ რომის პაპის წინაშე ქართველი მეფეები. სწორედ ეს განსლათ მიზეზი, რომ არ ვისურვე საქართველოს ეკლესიისაგან ხელდასხმა.

100. კითხვა: ძლიერდება თუ არა თქვენს მიმართ ოპოზიცია?

101. პასუხი: მსოფლიო ლუციფერთა საკრებულო სადღესიოდ საქართველოში იყრის თავს, რამეთუ დამდგარა ჟამი დედა ღვთისმშობლის წილხედობილი ქვეყნის – „ლაზარეს“ გაცოცხლებისა.

102. კითხვა: როდის ახდება იოანე-ზოსიმეს ნაწინასწარმეტყველება?

103. პასუხი: ბაბილონის დაცემის შემდეგ, ხოლო 1994 წელს მთელი მსოფლიო დაიჯერებს მკედრითი აღდგომილი საქართველოს საქვეყნო მესიანისტურ ფუნქციას, როგორც ეს გვაუწყებს; საქართველო გაიხარებს.

104. კითხვა: წინ დიდა და ეკლიანი გზა გიდეეთ, ხომ არ გაფრთხობთ სიმძელეები?

105. პასუხი: არამეტუ აღამინათა საქრებულოები, არამედ თვით სახელმწიფოებიც კი ვერ შემდეგენ ამ პროცესის შეჩერებას.

106. კითხვა: რას ელოდებით?

107. პასუხი: მხოლოდ გამარჯვებას, ასე ბრძანებს გალაქტიკების გამჩინი, მოძალადენი კი მოწყდებიან.

108. კითხვა: საქართველოში სტიქიურ უბედურებებს ხალხის უღმერთობას მიაწერენ მოძღვრები. თქვენ რას იტყვოდით?

109. პასუხი: უმჯობესი იქნებოდა, უბედურების მიზეზი თვით ეკლესიის მესვეურებს ეძებნათ თავიანთ ურჯულოებაში. ქართველ კაცს ღმერთი მუდამ სწამდა და ეწამება, მხოლოდ მადლგაცლილი ეკლესიების მესაკუთრეობის გამო ვერ შეუძენია ღვთის მადლი; რაც უფრო გაჯიქდებიან, მით უფრო იმძლავრებს ღვთის რისხვა.

ინტერვიუ აიღო გაზეთი „ღვთიური გზის“ რედაქტორმა მარინა იაშვილიძე

ბიბლიური პარაფრაზები

აპოკალიფსისის მეთხუთხეტი ბეჭდის მოხსნის შამი ისრაელის მიწაზე

წინასწარმეტყველება იოველისა

110. „ნაბერეთ საყვირს სიონზე, დაეცით ყოიენა ჩემს წმიდა მთაზე! დაე, შეძრწუნდნენ ქვეყნის მკვიდრნი, რადგან უფლის დღე მოდის, ახლოვდება. დღე ბნელი და უკუნი, დღე ღრუბლიანი და ჯანდინი! ბინდივით ეფინება მთებს უშტი და უშქარი, ძლიერი ხალხი, რომლის მსგავსი არ ყოფილა დასაბამიდან და არც მის მერე იქნება მომავალ თაობებში.

111. მის წინ ცეცხლი ჭამს, მის უკან ალი ბუგავს; მის წინ მიწა ედემის ბაღითაა, მის უკან უკაცრიელი უდაბნოა, ვერავინ დააღწევს თავს. ცხენების რემას ჰგვანან და მხედრებივით მიჰქრინან; ეტლებივით მიგრიალევენ მთათა მწყვერეალებზე. ჩალის-მჭამელი ცეცხლის ალივით გრიალევენ, როგორც ძლიერი ხალხი, საბრძოლოდ დარაზმული.

112. მის წინაშე ძრწინან ხალხები, ყველას ფერი მისდის. ფალანგივით დარბიან, მეომრებივით ადიან გალავანზე და თითოეული თავის გზას მიჰყვება და არ ბრკოლდებიან გზაში.

113. ერთმანეთს არ ეხლებიან, თითოეული თავის ბილიკზე მიდის; შუბებზე ეცემიან, მაინც არ იხვევენ უკან.

114. ქალაქში ნავარდობენ, გალავანზე დარბიან, სახლებში იჭრებიან, სარკმლებიდან მიძერებიან ქურდებივით. მიწა ტორტმანებს მათ წინაშე, ცა ირყევა, ბნელდება მზე და მთვარე, ვარსკვლავებს ეკარგებათ შუქი...

გაზეთი „ლეთიური გზა“

ატირდებიან კარიბჭესა და სამსხვერპლოს შორის მღვდლები, უფლის მსახურნი და იტყვიან: შეიწყალე, უფალო, შენი ერი ნუ გახდის სასირცხვილოდ შენს სამკვიდროს, ნუ ჩააგდებ ხალხების ყბაში! რატომ უნდა ილაპარაკონ: აბა, ხად არსო მათი ღმერთი?

115. გამოესარჩლება უფალი თავის ქვეყანას და დაინდობს თავის ერს. მიუგებს უფალი და ეტყვის თავის ერს: აჰა, გიგზავნი პურს, ღვინოსა და ზეთს, და გაძენით ამით; ხასირცხოვად აღარ გაგზავნით ხალხების თვალიში.

116. ამ ჩრდილოელსაც მოგაშორებთ და შეგერიან უწყაგ და უკაცრიელ ქვეყანაში, მის წინა რიგებს — აღმოსავლეთის ზღვაში, უკანა რიგებს — დასავლეთის ზღვაში. აუჯი სუნი და ამყარდება, რადგან ცუდი საქმეები აქვთ ჩადენილი.

117. ნუ გეშინია, მიწაზე, იხარე და იმხიარულე, რადგან დიდი საქმეები მოიმოქმედა უფალმა. ნუ გეშინიათ, ველის მხეცებო, რადგან ამოვა ბალახი უდაბნოს საძოვრებზე, რადგან ნაყოფს გამოიღებს ხე, ლეღვი და ვაზი გამოსცემენ თავიანთ ღოვლათს.

118. სიონის ძენო, იხარეთ და იმხიარულეთ უფლის, თქვენი ღვთის გამო, რადგან მოცუბთ სიმათლის მოძღვარს, გამოგიგზავნის საადრეო და საგვიანო წვიმას, წინანდებურად“ (2, 1-23).

ბამოცხადება იონანესი

119. და როცა ახსნა მეექვსე ბექედი, შეგხედე, და აჰა, იქმნა მიწისძვრა დიდი და გაშავდა მზე, როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდა მთვარე. და დაცვივნენ ზეცის ვარსკვლავნი ქვეყნად, როგორც ლღვიის ხე, მძინეარე ქართი რხეული, ყრის მიწაზე თავის ყვავილებს.

120. და, გრაგნილივით შეგრაგნილი, შეიკრა ზეცა, და ყოველი მთა და კუნძული თავიანთი ადგილიდან იძრნენ.

და მეფენი ქვეყნისა და მთავარნი, ათასისთავნი, მდიდარნი და ძლიერნი, ყოველი მონა და თავისუფალი მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებს შეეფარნენ.

121. და მთებსა და კლდეებს შებლაგულეს: დაგვემხეთ თავს, და ტახტზე მჯდომარის სახისა და კრავის რისხვისაგან დაგვიფართეთ;

რადგან მოვიდა დიადი დღე მისი რისხვისა, და ვინ შეიძლებს დადგომას?“ (6, 12-17).

წინასწარმეტყველება იმერქმისასი

122. „წინადაცივით უფლისათვის და მოიშორეთ გულის ჩუჩა, იუდას ხალხო და იერუსალიმის მკვიდრნო, რათა ცეცხლივით არ აინთოს ჩემი რისხვა თქვენი ბოროტმოქმედების გამო და ისე არ აბრიალდეს, რომ ვერავინ ჩააქროს.

123. გააცხადეთ იუდაში და ისმინეთ იერუსალიმშიც, ამცნეთ და დაჰკარით ბუკს ქვეყანაში, იყვირეთ მთელი ძალით და ამცნეთ: შეიკრიბენით და ცინზე-ქალაქებში წავიდეთ!

124. აღმართეთ სიონზე დროშა, თავს უშველეთ, ნუ გაჩერდებით, რადგან უბედურებას მოვაწვევ ჩრდილოეთიდან და დიდ გასაკირს.

125. რადგან ხმა მოდის დანიდან და ავის მთხრობელი ფერემის მთიდან! გამოუცხადეთ ხალხებს, ხმა მიიტანეთ იერუსალიმამდე: ჩიტიერი მოდის შორი ქვეყნიდან და ყიფინით აყრუებს იუდას ქალაქებს. უბედურება უბედურებას მოსდებს; გაპარტახნა მთელი ქვეყანა, უცებ გაპარტახნა ჩემი ქარები, წამის ყოფაში — ჩემი ჩარდახებო...

126. შეგხედე ქვეყანას და, აჰა, უსახური და უდაბურია; ცას და — არა აქვს ნათელი. შეგხედე მთებს და, აჰა, იძვრიან, ბორცვები ირყვიან ერთიანად.

შეგხედეთ და, აჰა, აღარ არის ადამიანი, და ცის ფრინველებიც ყველანი გაფრენილან. შეგხედ და, აჰა, წალკოტი უდაბნოდ ქცეულა, ერთიანად გაცამტყერებული ქალაქები უფლის წინაშე, მისი რისხვის აღისაგან.

127. რადგან ასე ამბობს უფალი: გაუდაბურდება მთელი ქვეყანა, თუმცა საბოლოოდ არ გავანადგურებ.

ამაზე იგლოვებს დედამიწა და მაღლა ცა დაბნელებს, რადგან უკვე ვთქვი ჩემი განაჩენი, არ შევინანებ და არ გადავთქვამ.

128. ცხენოსანთა და მოისართა ხმას გაურბის მთელი ქალაქი; გარბიან უღრან ტყეებში და კლდეებს ეზიზნებიან; დაცარიელდა მთელი ქალაქი, ერთი მცხოვრებელიც არ დარჩენილა.

129. რას იზამ, გაპარტახებულო! თუმცა ჩაგიცვამს ძოწეული, ოქროს სამკაულებით მორთულხარ, თვალები სურშით მოგიხატავს, მაგრამ ამოად ილამაზებთ თავს: შეგიძულეს საყვარლებმა, სასიკედლოდ დაგდევნ.

130. ყვირილი მესმის თითქოსდა მშობიარისა, კვივილი ქალისა პირველად რომ შობს, ყვირილი სიონის ასულისა; სულთქვამს და ხელებს იშვერს: ვაიმე, სული ამომდის მკვლელების მოლოდინში!“ (4, 4-31).

131. ამგვარია სასჯელი ისრაელისა და მისი საყვარელი ქალაქისა იერუსალიმისა; ვინ არის მხსნელი და სადაა საშველი?

როცა ხეიბარი იხილო, იმას კი ნუ იტყვი, ამას რა დამართვიაო, თქვი, სამართლიანი ხარ-თქო, უფალო, გვახსენებს ბიბლია, რადგან ღმერთი უდანაშაულოდ არავის სჯის.

132. „რადგან, აჰა, სწორედ ამ ქალაქში, რომელიც ჩემი სახელი იწოდება, დავიწყებ განადგურებას. ხომ არ გგონიათ, დაუსჯელნი დარჩეთ? არ დარჩებით დაუსჯელნი, რადგან მახვილს მოუხზმობ ამ ქვეყნის ყველა მკვიდრის წინააღმდეგ, ამბობს ცაბათო უფალო...“

133. ქვეყნის კიდემდე მიაწევს განგამი, რადგან დავა ექნება უფალს ხალხებთან; ყველა ხორციელის განსჯას აპირებს. ბო-

როტმოქმენი მახვილს უნდა მისცეს, ამბობს უფალო.

134. ასე ამბობს ცაბათო უფალი: აჰა, უბედურება მოივლის ხალხებს და დიდი ქარიშხალი ამოვარდება ქვეყნის კიდიდან.

135. ქვეყნის კიდიდან კიდემდე ყვრებიან იმ დღეს უფლის დახოცილნი, არავინ დაიტირებს, არავინ აკრეფს, არავინ დამარხავს, ნეხვივით ყვრებიან მიწის პირზე“ (25, 29, 31-33).

136. ასე ამბობს უფალი: აჰა, მოვა ერთი ჩრდილო ქვეყნიდან, დიდძალი ხალხი აღდგება ქვეყნის კიდეებიდან.

ისარი და ჰორილი უჭირავთ ხელში. სასტიკი არიან და შეუბრალებელნი; ზღვასავით ბობოქრობს მათი ხმა; ცხენებზე ამხედრებულან, როგორც ერთი კაცი; გამზადებულიან შენს წინააღმდეგ საბრძოლველად, სიონის ასულო!

137. გვესმა მათი ამბავი და მოვიდუნდა ხელები; შეგვიყვრო სტანჯველმა, როგორც მშობიარის ტკივილმა.

ნუ გახვალთ ევლად, გზას ნუ დაადგებით, რადგან მტრის მახვილი შიშის ზარს სცემს ირველივ!“ (6, 22-25).

წინასწარმეტყველება ეზეკიელისა

138. „ჩამმახა ყურში მაღალი ხმით და მითხრა: ახლოს მოდექით, ქალაქის დამსჯელნი, თითოეული თავისი დამლუპველი იარაღით ხელში!

139. აჰა, ეგვიპტი კაცო მოდის ზემო კარბჭის გზით, ჩრდილოეთისაკენ რომ არის მოქცეული, და თითოეულს ხელში თავისი შემქმნველი იარაღი უჭირავს; ერთი მათგანი სეკლით არის შემოსილი და მწერლის სამელნე აქვს წელზე. მოვიდნენ და დადგნენ რვალის სამსხვერპლოსთან.

ისრაელის ღვთის დიდება ასცილდა ქერბიშს, რომელზედაც იყო ის, და გაეშართა ტაძრის ზღურბლისაკენ; მოუწოდა სულით შემოსილი კაცს, რომელსაც მწერლის სამეღნე ჰქონდა წელზე.

140. უთხრა მას უფალმა: ჩაიარე ქალაქში, იერუსალიმში, და ნიშანი დაადე შუბლზე იმ ხალხს, რომელიც კენესის და მოთქემას იქ ჩადენილ სისამაგლეათ გამო.

141. სხვებს უთხრა ჩემს გასაგონად: მოიარეთ ქალაქი მათ კვალზე და მუსრეთ, ნუ შეიბრალებს თქვენი თვალი და ნუ დაინდობთ.

მოხუცი და ჭაბუკი, ქალწული, ბავშვები და ქალები ისრულიად ამოხრცეთ; ვისაც ნიშანი ადევს, ხელი არ ახლოთ, ჩემი საწმიდარიდან დაიწყეთ. მათაც დაიწყეს ტაძრის წინ მყოფი უხუცესებიდან.

142. უთხრა მათ: გააუწმინდურეთ ტაძარი და ააგეთ ეზოები დაზოცილებით და გადით. ისინიც გავიდნენ და ქალაქში დაიწყეს მუსგრა.

როცა მათ გაავლეს მუსრი, მე კი გადავრჩი, პირქვე დავეშე, შევდაღადე და ვუთხარი: ვაგლახ, უფალო ღმერთო! ნუთუ გაწყვეტ ისრაელის მთელს ნატამალს შენი რისხვის გადმოღვრით იერუსალიმზე?

143. მითხრა: დიდზე დიდია ისრაელის და იუდას სახლის უკეთურება; სისხლით აივსო ქვეყანა და ქალაქი უწმიდურებით არის სავსე, რადგან ამბობენ, მიატოვაო უფალმა ეს ქვეყანა და ვერაფერს ხედავსო უფალი.

144. მეც ასე მოვიქცევი: არ შეიბრალებს ჩემი თვალი და არ დაეინდობ. მათ თაეზევე მოვაქცევ მათსავე საქმეებს.

ამა, კაცმა, სულით შემოსილმა, რომელსაც მწერლის სამეღნე ჰქონდა წელზე, მოიტანა პახუნად სიტყვა: შევასრულე, როგორც მიბრძანე“ (9, 1-11).

145. ე ს ა ი ა ხ ი: „წაიბიღწა მიწა მის მკვიდრთა ქვეშ, რადგან გადაუდგნენ რჯულს, დაარღვიეს კანონი, გატყვეს საუკუნო აღთქმა. ამიტომ წყველა ჭამის მიწას და ისჯებიან მისი მკვიდრნი; ამიტომ გადაიბუგნენ მიწიერნი და მცირენილა გადარჩნენ“ (24, 5-6).

146. „ფეთქებით აუფეთქდა ღელამიწა, ნაფოტებად დანაფოტდა ღელამიწა, დამხობით დაემხო ღელამიწა. მთვრალივით ბარბაცებს ღელამიწა და ხუხულასავით ირყევა; ცოფვამ დაამსიმა, დაეცა და ვეღარ დგება“ (24, 19-20).

ზ ი რ ა ქ ი ს ა: „ვაი თქვენდა, ურჯულო კაცნო, რომელთაც უსენაესი ღვთის რჯული დაგიგდიათ! როცა იბადებით, შესაჩვენებლად იბადებით, და როცა კვლებით, შეჩვენება თქვენი ხედვარი“ (41, 8-9).

148. ნურავინ იფიქრებთ, მშვიდობა ისუფეებს ღელამიწაზე, და რომ ეს მხოლოდ ისრაელის სასჯელია, როცა ღმერთი რჩეულებს ამ ყოფაში მოაკცევს, მათზე დამსნობილებს უმეტესი რისხვა ელოდებათ.

149. მძლავრობს მტერი და ბოხოქრობს დიდად, შეარყია ზეცა და მტერად აქცია ქალაქები, შევლას ითხოვენ სულდემულნი. ერთ ლოცვად იკვრება ყოველთა სულიერთა ვედრება და ჰა, აღმართა მარჯვენა ქვეყნის გამწენმა, სონიდან იქუნა რისხვამ ისრაელის ღვთისამ და დაემხო ბაბილონი — მეძავი დიდი, წითელ ურჩხულზე გადაძვლარი, და აწ არასდროს იქნება სენება მისი. აპრიალდა მშვიდობა, მოიწია ჟამი სანატრელი.

150. ი ო ა ნ ე ლ მ რ თ ი ს მ ე ტ ვ ე ე ლ ი ს ა: „და შემდგომ ამისა ვინილე ოთხი ანგელოზი, ქვეყნის ოთხსაე კიდეზე მდგარი, და ეპყრათ ოთხი ქარი მიწისა, რათა არ ექროლა ქარს არც სველზე და არც ზღვაზე და არც რომელიმე ჩის მიმართ. და ვინილე სხვა ანგელოზი მზის აღმოსავლით აღმომავალი, რომელსაც ჰქონდა ცოცხალი ღმერთის


ბეჭდი და შესაძანა ხმაამდლა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცათ ვნება მიწის და ზღვისა: ნუ აენებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას, ნურც ხეებს, ვიდრე არ აღებეჭდათ ბეჭდით ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს“ (7, 1-3).

151. გიხაროდეს საქართველო! სწორედ ეს არის ღვთისმშობლის წილხელდომილი ქვეყნის მესიანისტური ფუნქცია!
 „ისრაელნო, გააღეთ კიბეები, შემოვიღეს მართალი ვრი, რწმენის შემნახველი!“ (ეს., 26, 2).

152. თუ ისრაელი ცოდვისა და ურჩობის გამო იხრება, ჩვენ ვისჯებით რჯულის განრიღების გამო, რამეთუ ცოდვის მისატევებლად გვებოდა რჯულისმიერი მადლი. ჩვენი ხსნა დიდი რჯულისკანონის გაცოცხლებათა: ისრაელთა კი მონანიებასა და ბეჭდის მიღების აღთქმაში.

(აქ. დაბეჭდილია „ლოცვა ისრაელისა“ იხ. გვ. 183-185 ამავე წიგნში).


153. **ღმენის ბამო ბაზათ „ღვთიურ ბზას“ შემცვალა სახელწოდება და ღამეაჟა „აღღებინ ღმერთი“.**



განა ებრაელები არ ღოცებოდნენ ამ კიბობის წინ, რომელსც ორი ქერუბიმის სატი ამშვენებს? რას იტყვიან ამის შესახებ სატთა მოძულენი?

ჩემს ოპონენტებს!

საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიაში ზოგი რამ ეძლებაო რომ გამინაწყენდით, უმჯობესი არ იყო, თქვენც იმ აქლემის გადამსანსკლელებივით არ მოქცეულიყავით ქრისტეს ჭუჭყიანი ხელებით პურის ჭვამის გამო განგაში რომ აუტენეს. შეიძლება კი, საკუთარი თავი მხარზე არ გედგას და სხვისი თმის ვარცხნილობას იწუნებდეთ?!



საქართველოში იცვლება წეობა და მთავრობა. პრეზიდენტის ადგილს იკავებს ბატონი ზვიად გამსახურდია. მიბარებენ პარლამენტში რელიგიური განყოფილების უფროსთან — „მომღვარ“ არჩილ მინდიაშვილთან, როგორც ახალი მთავრობისა და ოფიციალური ეკლესიის მოწინააღმდეგეს. შემუქრებიან გაზეთ „ღვთიური გზის“ დაზუსრეთა და ძველმორწმუნეებთან ერთად დაპატიმრება-გადასახლებაში. დალოგი იხილიყო გაზეთში „აღღვინ ღმერთი“. „მომღვრის“ გადაწვევტილებას გამწუნმა კვერი არ დაუკრა. რჯულის მოძალადენიც დაემხნენ.



თ ა ვ ი მ ე თ ს უ თ მ ე ტ ა

ეკუმენიზმი და მართლმადიდებლობა?

(გაზეთი „აღღვინ ღმერთი“, 1992 წ., №9, მარტი)

1. ეკუმენიზმზე ბევრი რამ დაწერილა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ პრესაში. არც ძველი მართლმადიდებლები დაგრჩენილვართ ვალში. 1990 წლიდან ჩვენი გაზეთის „ღვთიური გზა“ ფურცლებზე არაერთხელ გავეცემებოდა ეს თემა. ამჟამად ძველ-მართლმადიდებლების შურადლება მიიპყრო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ და ბეჭდილმკერცელმა სტატიაში „ეკუმენიზმი“, რომელიც უცხოეთის ფაქტობრივ ღოკუმენტაციას ეყრდნობა. სადღეისოდ ჩვენმა ეკლესიამ ინდომა, გახსნას ფრჩხილები და თვალნათლივ წარუდგინოს მკითხველს აქამდე დაფარული ყველა უბედურების მიზეზი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 6 ნოემბერი, 1991 წ., „ეკუმენიზმი“, ინსაღუთ ღოკუმენტები.

2. ღოკუმენტი პირველი:

„მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე ეღინებურში (მოტლანდია), რომელიც შეღდა 1910 წელს, პირველად გაისმა ტერმინი „ეკუმენიზმი, მისი თანამედროვე მნიშვნელობით“. ეკუმენიზმის წარმოშობასა და განვითარებას უპირველესად ზელი შუწწო მთელ მსოფლიოში მასონობის განმტყიცებამ, რომელიც ისწრაფვის, იქცეს მსოფლიოს უჩინარ მთავრობად და ყოველმხრივ აქეზებს,

გაზეთი „აღმდებელი ღმერთი“

აფინანსებს და შეეწევა ეკუმენურ მოძრაობას“ (რუსეთის ემიგრაციის ეკლესიის მიტროპოლიტი ვიტალი).

* * *

3. დოკუმენტი მეორე:

„მძებო მასონებო, ჩვენ უნდა გვეამაყუბოდეს, რომ წვლილი მიგვიძღვის ცრუ ღმერთების დამხობაში“ (დიდი აღმოსავლეთის კონვენტი).

* * *

4. დოკუმენტი მესამე:

„ძირს ჯვარცმული, რომლის უღლის ქვეშაც 18 საუკუნე გმინავდა მსოფლიო, მისი მეუფება დასრულდა“, — ამბობს ძმა ფლერი.

* * *

5. დოკუმენტი მეოთხე:

„მასონებს სძულთ ქრისტიანობა! — მათ, ვინც ვერ განთავისუფლებულა ქრისტეს რწმენის ბალასტისაგან, ჩვენ შთაუვაგონებთ, რომ ქრისტე ბუნებითა და გონებრივ რელიგიას ქადაგებდა. ჩვენ დაესმენთ, რომ ეს მარტივი სარწმუნოება კლერიკალებმა დაამახინჯეს, მაგრამ ჩვენ შევინარჩუნეთ იგი ფრანკმასონური მემკვიდრეობის ნაზით და ვართ ჰუმანიტარული (!!!) ქრისტიანობის ერთადერთი მიმდევარი“ (კინგეს წერილი ცვაკისადმი).

6. შენიშვნა: ამის განმცხადებლები აფუძნებენ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს, ეკუმენისტური მოძრაობის პირმშოს, რომლის მიზანია სხვადასხვა ორიენტაციის ქრისტეანულ ეკლესიათა გაერთიანება, რომელთა საკრებულოში თავს იყრიან ხატებბროლნი, ჯვრის განმრდიებელნი, მონოფიზიტნი, ღვთისმშობლისა და ხულიწმიდის მგმო-

ბელნი, სამჩინიანი სამღვდლო იერარქიონა და დიდი რჯულისკანონის უარყოფელნი.

* * *

7. დოკუმენტი მეხუთე:

„ქრისტეს აღმსარებელნი ეკლესიათა გაერთიანების პროექტით წამოყენებული პრობლემა შეადგენს მასონობის უახლოესი ინტერესის საგანს, იგი მასონობის სულით მონათესავეა... ამასთანავე დავემენტ, რომ თუკი ეს გაერთიანება დგას სწორ გზაზე, ამით იგი ჩვენი ორდენისგანაა დაეალეული“ (ყურანალი „ლეტამპლ“, 1946 წ., წარმოადგენს შოტლანდიური რიტუალის მასონთა ოფიციალურ ორგანოს).

8. „აი, აღიარება, რომელიც ჩვენ, მართლმადიდებელ ქრისტიანებს, გვიმხვლს თუ ვინ არის ეკუმენური მოძრაობის სული და გული (მიტროპოლიტი ვიტალი).

9. შენიშვნა: რჯულისკანონს განრიდებული ეკლესიები, პავლე მოციქულის სიტყვისამებრ, სხვა სწავლების მქადაგებელნი არიან, რის გამოც ყველა ეს ეკლესია ანათემირებულია, რასაც თავადაც არ მალავენ.

* * *

10. დოკუმენტი მეექვსე:

„ემშაკის თაყვანისმცემლობა მასონური ელიტის, როგორც თვითონ უწოდებენ თავს, ეზოთერისტების წილხვედრია. „ჩვენ, მასონები, — ამბობს ლოჟა ლუსინგის ალტმეისტური ბროკლინი, — ლუციფერის მოდგმას მივეკუთვნებით“.

11. „მსოფლიო ინტეგრალური პროცესი ქრისტიანული ესპატოლოგიის შუქზე“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 ოქტომბერი, 1991 წ.

12. შენიშვნა: კომენტარი ზედმეტია, სატანური წარმომავლობაც სახეზეა.

* * *

13. დოკუმენტი მეშვიდე:

„განსაკუთრებული სიმძლევლით მასობრივად მართლმადიდებელი ქრისტიანობა სძულს (იმიტომ ზომ არაა, რომ მადლი უფლისა მათთან ტრიალებს. — ი. ი.). პროფესორი ჰერგან ქრანოვერი წიგნში „დაბრუნება“ მართლმადიდებლებს მოიხსენიებს უდიდეს მტრებად“.

* * *

14. დოკუმენტი მერვე:

„გალილეველის (ესე იგი ქრისტეს) ტრიუმფი ოცი საუკუნე გაგრძელდა. ილუზია ძლიერ გარწელა, მაგრამ გალილეველიც დაემხო და შეუერთდება საუკუნეთა მტვერში დაკრძალულ ღმერთებს“ („ამბობენ მასონები“).

* * *

16. დოკუმენტი მეცხრე:

„ეკუმენიზმი არის ერესთა ერესი იმიტომ, რომ ეკლესიის ისტორიაში, აქამდე ყოველი ცალკეული ერესი ცდილობდა თავად დაეკავებინა ჭეშმარიტი ეკლესიის ადგილი. ეკუმენური მოძრაობა კი, მოიცავს რა ყველა ერესს, მოუწოდებს მათ ერთობლივად აღიარონ თავიანთი ერთობა ჭეშმარიტ ეკლესიად, აქ წარმოდგენილი არიოზელობა, მონოფიზიტობა, მონოთელიტობა, ხატთმებრილობა, პელაგიონელობა და სხვა ყოველგვარი ძველი მიბრუნებლობა ცრუ სარწმუნოებათა ზედა (ობონდ თანამედროვე სექტები სრულად სხვა, ახალი სახელწოდებით გაერთიანებულან და მიაქვთ ერთობლივი იერიში ქრისტეს ჭეშმარიტ ეკლესიაზე. ეს უდავოდ აპოკალიფსისური ხასიათის მოვლენაა) (მიტროპოლიტი ვიტალი)“.

გაზეთი „აღდგენის ღმერთი“

17. შენიშვნა: და ეს ყოველივე ხდება ეკლესიის სახელით, რომელსაც ეკუმენისტებმა უწოდეს „მსოფლიო ეკლესიათა საბჭო“.

* * *

18. დოკუმენტი მეთექვსმეტი:

„ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში თავი მოიყარა ყველა სიცრუე სოფლისა... ნოდულის კონფერენციაზე პირველად შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში ყველა მწვალებლობისა და სიცრუის ერთიანი ფრონტი. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, ვითარცა ერთგვარ ფოკუსში, მოხდა მოდგმის სულიერი ისტორიის მანძილზე არსებული ყველა მკრეხელობის, გმობის, ცდომილებისა და ჭეშმარიტებისაგან განდგომის შეკრება და ურთიერთმეწიფე, დაწყებული კაენიდან და ქამიდან, დამთავრებული იუდა გამცემლით, კარლ მარქსით, გასრწნილი ფრიდელთა და ყველა თანამედროვე მცირე თუ დიდი მკრეხელობით, ასეთია ამ კონფერენციის შავბნელი აპოთეოზი“ (მიტროპოლიტი ვიტალი).

* * *

19. დოკუმენტი მეთერთმეტე:

„უპსალში, სადაც თავი მოიყარა მართლმადიდებელ დელეგატთა უდიდესმა უმრავლესობამ და სადაც წარმოდგენილი იყო ყველა მართლმადიდებლური ეკლესია, ასამბლეის გახსნის ცერემონიაზე, ყველა იქ მყოფის სახელით წაიკითხეს ლოცვა: „ღმერთო, მამაო, შენ ძალგამს ყოველივე ახალაჰყო, ჩვენ თავს შენ გაბარებთ... შეგვეწიე, რომ ვემით ჭეშმარიტება. რომელიც ჯერ არ შეგვიცინა...“

20. როგორც მოსასმენი იქნებოდა მართლმადიდებლებისათვის ეს ბოლო სიტყვები (ამბობს მიტროპოლიტი ვიტალი) — როგორი ხანაზავი იქნებოდა მართლმადიდებლური იერარქიების სახეები, როდესაც

გაზეთი „ალდეგინ ღმერთი“

პროტესტანტებთან, სექტანტებთან და ბაპტიტებთან ერთად საჯაროდ აცხადებენ, რომ ჭეშმარიტება არ შეუცენიათ?!

* * *

საბოლოო დასკვნა მიტროპოლიტ ვიტალისა ამგვარია:

21. დოკუმენტი მეთორმეტე:

„შესაძლოა, მართლმადიდებელმა იერარქებმა კონფერენციის გახსნაზე მიმართეს ძველ იეზუიტურ პრაქტიკას“ — „რეზერვაციო მენტალის“ (გონებრივი თავშეკავება, გონებრივი შემოზღუდვა), მაგრამ ასეთ შემთხვევაში, თუკი ყოველი მათგანი არ მოინანიებს ერეტიკოსებთან ლოცვითი კავშირის ცოდვას, ბუნებრივია, ჩავთვალოთ, რომ ისინი დამდგარან მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებისაგან სრული განდგომის სულის წარსაწყმედელ გზაზე“ (მიტროპოლიტი ვიტალი).

* * *

22. დოკუმენტი მეცამეტე:

„ბაზელის უნივერსიტეტის დოგმატური დეპარტამენტების კათედრის ცნობილი პროფესორი კარლ ბარტი ერთ-ერთ თავის ლექციაზე ამტკიცებდა: „ბიბლია, დოგმატიკა, კატენიზმი, საეკლესიო დისციპლინა, ლიტურგია, ქადაგება და საიდუმლონი სამუზეუმო ექსპონატებად იქცა“. იგი ერთადერთ ხსნას ხედავს ეკუმენურ მოძრაობით ეკლესიის „განცხოველებაში“.

23. შენიშვნა: ამის შემდეგ ნურავინ გაიკვირებს თუ რისთვის გახდნენ ჭეშმარიტი მართლმადიდებლები მსოფლიო სატანური მხედრონის სამიზნე. ამიტომაც სწავედნენ მათ კოცონზე, ენას აგლეჯდნენ, მარჯვენას სჭირდნენ, კუპრში ავლებდნენ.

24. ნურც დღევანდელი ჩვენი დევნა გაგიკვირდებათ, ჩვენ ხომ პირველებმა ვინდომეთ საქართველოში მიბრძვლი მართლმადიდებლობის აღორძინება! თუკი ქრისტეს სიტყვებისა გვეურა: „ჰინც არ დაიბადება წყლისა და სულისგან, იგი ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“, ხოლო წყლისგან დაბადება მოციქულთა განმარტებით (ორმოცდამათე კანონში) მოსანათლის სამგზის წყალში შთაფლვას ნიშნავს, სამგზის არშთამფვლელი მღვდელმსახურნი კი ამავე კანონის ძალით განკვეთილნი არიან. ასე რომ, ქრისტეანულად წოდებულმა ეკლესიებმა დიდი რეჯლისკანონის გარეშე ინდომეს ცხოვრება.

* * *

25. დოკუმენტი მეთოთხმეტე:

„პოლიტიკური ინტეგრაციის პარალელურად მიმდინარეობს რელიგიური ინტეგრაცია, რაც მდგომარეობს ეკუმენურსა და პანეკუმენურ მოძრაობაში, რამეთუ ანტიქრისტე მსოფლიო რელიგიური ბელადიც უნდა იყოს, ამისათვის კი საჭიროა რელიგიური ინტეგრაცია“.

26. შენიშვნა: რამდენად ხელსაყრელი იყო საქართველოს ეკლესიისათვის ამ ინტეგრაციაში შესვლა?! ჩვენ ღრმად გეწამს, ეს იყო ძალდატანება კომუნისტების მხრიდან, რომელსაც საქართველოს საპატრიარქო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა.

* * *

27. დოკუმენტი მეთხუთმეტე:

„ემშაკი რიგრიგობითებრძოდა ქრისტეს ჭეშმარიტებებს, — თითქმის ზუსტად და თანამიმდევრობით, როგორც ჩამოთვლილია ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლოში, ხოლო აწ იერიში მიიტანა რიგით უკანასკნელ და სასიცოცხლო ყველაზე მნიშვნელოვან, მთავარ წევრზე — „მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“ (მიტროპოლიტი ვიტალი).

28. შენიშვნა: „მრწამსის“ უცვლელია მარადიულია, როგორც ქრისტეანული დოგმატიცა, მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში გაერთიანება კი ნიშნავს, დიდი რჯულისკანონის განრიდების გამო, აშკარა ერესის შეგუებას. უთუოდ გასაკვირია, რატომ გვიმტკიცებენ, თავიანთ ორთოდოქსალობას, როცა აშკარად ამ დიდი ეკუმენისტური ოჯახის წევრები არიან? არ შეიძლება ეკუმენიზმისა და მართლმადიდებლობის თანაარსებობა! ან უნდა იყო მართლმადიდებელი და მაშინ ეკუმენისტი ვერ იქნები, ან უნდა იყო ეკუმენისტი და მაშინ მართლმადიდებელი ვერ იქნები. ეს აქსიომაა. საწინააღმდეგო შეხედულებების მტკიცება აბსურდია.

ქართველთა თვალთ ნანახი ეკუმენიზმი

29. დოკუმენტი პირველი:

„თეიმურაზ I, წერილი პაპ ურბან მერკეს, რომლის დიდ პაპს (წერილი შეიცავს ლათინურად დაწერილ ერთ ხელნაწერ გვერდს. იგი ამოღებულია პროპაგანდა ფიდეის არქივიდან);

30. „აღმოსავლეთიდან ჩვენ მიგმართეთ რომს, სადაც შენ ხარ დიდი მზე, რომელიც ქერუბიმისა და სერაფიმის მსგავსად ბრწყინავს მთელს მსოფლიოში, ხედავს რა წმიდა სამეულს და იცის ყველა მეფის შესახებ, ვინაიდან შენ ანათებ მსოფლიოს, შენ ხარ ეკლესია, რწმენის დასაყრდენი... ამრიგად, შენც მისი კმნილება, მსოფლიოს პაპი ცის მფარველობის ქვეშ, ყველას შორის უდიდესი, ყველა ქრისტეანის მამა. ამ წერილით პატივს გცემთ თქვენს უწმინდესობას და გკოცნით თქვენი ნეტარების ფეხებს. თქვენ ხელში გიჭირავთ უკედავების წყალი, რომელიც გსურთ შეესაოთ უკედავებისათვის. ვითხოვთ თქვენი ნეტარების ლოცვას და ცოდვების მიტევებას თქვენი ლოცვა-კურთხევით.

31. ახლა ვადასტურებთ თქვენი ნეტარების თანდასწრებით — ეკუმენური ერთიანობის განსახიერების თანდასწრებით.

გაზეთი „აღმდევინ ღმერთი“

...თქვენი ნეტარების პირველ საყდარზე მჯდომისა და საყდრის დამცველის, რომლის მსახური და მოკავშირე მსურს გავხვდეთ, ყველა ბრძანებას შევასრულებთ.

ქართლიდან, 1626 წლის 20 ნოემბერი, თეოფილე იბერიის მეფე“.

32. შენიშვნა: 350 წლის შემდეგ ასრულდა თეიმურაზის ნატრა!

33. დოკუმენტი მეორე: (საქართველოს დღევანდელი ეკლესია).

1982 წლის 14 მაისის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიიღო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბუჭვით განყოფილებასთან მოსკოვში აკრედიტებული უცხოელი კორესპონდენტების ჯგუფი. მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა ილაი მეორემ სტუმრებს წარუდგინა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები და შევითხვაზე — თუ რას ბრძანებდა იგი ეკუმენიზმთან დაკავშირებით, მისმა უწმინდესობამ უპასუხა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წვერია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი და მისი ერთ-ერთი პრეზიდენტი მეც გახლავართ (ქურნალო „ჯვარი ვახისა“, 1982 წ., №2, გვ. 27).

34. ...აქვე აღინიშნა მსოფლიო ქრისტეანული ეკლესიების გაერთიანების აუცილებლობა დედამიწაზე მშვიდობის შესანარჩუნებლად და ბირთვული ომის ასაცილებლად.

35. დოკუმენტი მესამე:

(საქართველოს რუსთაველის საზოგადოება). „რუსთაველის საზოგადოებამ თავის წინასწარჩვენი პროგრამაში პირდაპირ განაცხადა, რომ მიზნად ისახავს საქართველო აქციოს „ეკუმენიზმის კლასიკურ ქვეყნად“.

36. ღოკუმენტი მეოთხე:

(იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საზოგადოება).

„იბერთა ღვთისმშობლის სრულიად საქართველოს საზოგადოების ეროვნული საქომაკო საბჭოს“ მიმართუპი პირდაპირ ნაქადაგებია ეკუმენიზმი; მათი აზრით, ეკუმენიზმი ანუ მსოფლიო ტოლერანტული მოძრაობა ერთიანობის და მოყვასის სიყვარულის ღვთაებრივად მამოძრავებელი ძალაა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ., 6 ნოემბერი).

37. შენიშვნა: ამგვარია საქართველოს თვალთ დანახული ეკუმენიზმი, ახლა კი იხილეთ ღვაწლის ტოლფასივან რა საზღაურს განუჩენს თვით ღიდი რჯულისკანონი კანონგამიჯნულ ამ რელიგიურ გაერთიანებებს.

მეექვსე მსოფლიო კრების I კანონი:

38. „...მოკლედ რომ ვთქვათ, ღვთის ცკლესიაში განბრწყინებული კვეყნის მნათობი და ამქვეყნად ხსნის სიტყვის მტკირთველ კაცთა სარწმუნოების მტკიცედ ჰყრობას და სოფლის აღსასრულამდე შეურყევლად და შეუცვლელად დატოვებას ეადგენთ და მათ მიერ ღვთიემოცემულ დაწერილსა და სჯულს მივიღებთ და შევიწყნარებთ, ხოლო მათ წინააღმდგომს ყველას უკუვაგდებთ და შეააჩვენებთ, როგორც ჭეშმარიტების მტრებს, ღმერთზე ამაოდ გათავხედებულებს და სიცრუის ხმამაღლა მმეტყველებს.

ხოლო ვინც კი პირველთქმულ კეთილმსახურების სჯულს არ შეიტკობს და არ შეუღებება, იქადაგებს და ხელს მიჰყოფს მის შემოტრუნებას და უკუღმა შემოტრიალებას, შეჩვენებულ იყოს ზემოთ მოხსენებული წმიდა და ღმერთმემოსილი მამებისა და ქრისტეანთა კრებულისაგან“.

39. შენიშვნა: „პირველთქმული კეთილმსახურების სჯული“ რომ ახსენეს, ეს ნიშნავს თვით ღიდი რჯულისკანონს, და რომ ითქვა: იქადაგებს და ხელს მიჰყოფს მის შებრუნებას და უკუღმა შემოტრიალებას“ – ნიშნავს დადგენილი კანონების მარად უცვლელობას. ამ დადგენილების შემცვლელი თვით ანგელოზიც რომ იყოს, იგი ანათემირებულია პავლე მოციქულის მიერ, იგივეს ბრძანებს რუის-ურბნისის დავით აღმაშენებლისდროინდელი ქართველ წმიდა მამათა დადგენილება:

40. „ეს არის წმინდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ ჰყრობა მართლების ყველა ქრისტეანული მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდლებსა და დიაკვნებს, ჩვენს შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას“.

41. შენიშვნა: აქედან ირკვევა, რომ რუის-ურბნისის კრებას საფუძვლად დასდებია საეკლესიო სამართლის კოდექსი, იგივე ღიდი რჯულისკანონი, რომლის დაცვა და „მტკიცედ ჰყრობა“ სავალდებულო გამხდარა ყველა მართლმადიდებელი ქრისტეანისათვის. საკითხავია, რამდენად ფასეულია იგი ჩვენთვის. იქნებ მთავრობის დადგენილებები გამოდგეს რჯულისკანონის ნაცვლად?

42. მეორე მსოფლიო კრების პირველი კანონი გვაუწყებს: „...შეჩვენებულ იქნეს ყველა მწვალებლობა“. „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა“ (მოციქულთა 45-ე კანონი).

43. ამგვარად, ღმერთი მოითხოვს პირველყოფილი სწავლების შეუცვლელობას. ეს არის სწორედ მართლმადიდებლობა, ეკლესიის ორთოდოქსული სახე. თუ ადრე საქართველოს საპატრიარქო თავის თავზე იღებ-

და სხვა კონფესიებზე ზედამხედველობის ფუნქციას, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1979 წელს საქართველოს პატრიარქი ილია მეორე დაინიშნა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ერთ-ერთ პრეზიდენტად. ამდენად, მას ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულ კვლევებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება გააჩნია. საპატრიარქოს სადღესიოდ არავითარი უფლება არა აქვს, ჩაერიოს სხვა კონფესიათა საქმიანობაში და მით უმეტეს, ისეთი კონფესიის საქმიანობაში, რომელიც არ არის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი. ამ შემთხვევაში ეს ენება ძველმართლმადიდებლურ ეკლესიას.

44. რადგან ქართული ეკლესია მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს ნამდვილი წევრია, მას არ უნდა ჰქონდეს მართლმადიდებლური ეკლესიის პრეტენზია, როგორც რეფორმატორულ ეკლესიათა გაერთიანების წევრს;

45. საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესია კვლავ აცხადებს: თუცა დღევანდელი ოფიციალური ქართული ეკლესია ინებებს დიდ რჯულისკანონის მიხედვით ფუნქციონირებას, იგი განდობა მისი სამწყსოს შვილი.

46. ჩვენ გაეფრთხილეთ წინანდელი მთავრობა, ხელი არ შეეშალა ამ საღვთო საქმისათვის, თორემ სასჯელი არ დააყოვნებდა; განვაცხადეთ, არავისი ტახტი არ გვენებავს, გეწადია მხოლოდ, აღმოიფხვრას ეკლესიური ცდომილებანი, რაც საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზად მიგაჩნია.

47. ერის უბედურება ეკლესიის დაცემით იწყება, ეკლესიის დაცემის მიზეზი კი ერის უღმერთო ცხოვრებაა. მანამ არ შეწყდება ჩვენი დასჯა, სანამ არ გაიფანტება მთელმარების სული და არ მოიძიება რჯულისკანონი.

48. ერთ პიროვნებას ნუ დაგაბრალდებთ ყველას ცოდვას. დრომ შეგვეარა ამგვარ ჭირებას; გასაგებია, ვერც საქართველოს პატრიარქი განირიდება ეკუმენისტური რეჟიმის დირექტივებს; ჩვენც ამ სამოცდაათ

წლის მანძილზე ვაკეთებდით იმას, რაც დღემდე არ გეწადდა; ასე რომ, ამ უბედურების მიზეზი ყველანი ვართ და ყველა ერთად უნდა ვეცადოთ დღევანდელ ეკლესიურ ცდომილებათა გარანდას. ნურც მეცნიერები ეცდებიან, რჯულისკანონის საწინააღმდეგოდებულება თითიდან გამოწოვონ და ნურც დღევანდელი მოძღვრები დაიწყებენ საანათემო კაპრიზებს. ქვეყანამ იცის უკვე: მსოფლიო საბჭოში გაერთიანებული ყველა ეკლესია რჯულს განდგომილია და ერტიკული, მთ. შორის, საქართველოს ეკლესიაც. კმარა საანათემო სიჯიუტე – ერი განწირვის ზღურბლზე დგას!

49. იმის კითხვა: უნდა დაიბრუნონ თუ არა ღვთისმშობლის წილხელომილი ქვეყნის შეილება ძირძველი მართლმადიდებლობა? იქნებ ვინმეს ჰგონია, რომელიმე სახელმწიფოებრივი სტრუქტურა განკვირდება ღვთის რისხვას. დაიჯერეთ, „ლაზარე“ მხოლოდ ამგვარად გაიცოცხლება. არადა „ყარს-ღა“.

ჩანაწახტი პარლამენტში

50. როცა ყმაწვილკაცური ილუზიები გამოქრა და კომუნისტური პარტიის ნამდვილი სახე შევიცანი, ღვთისა და ერის წინაშე ეღიარე ჩემი ცდომილება და 1975 წელს განვირიდე სკკპ მანდატი, გადავწყვიტე, უფლისათვის მიმეძღვნა დარჩენილი სიცოცხლე.

51. 15 წელს ღვენილმა და უმუშევრობით გაწამებულმა მშობლებისა და მეგობრების თანადგომით გამოუზარდე ორი შვილი; მათ ისე დაამთავრეს ინსტიტუტი, არც ერთი კომკავშირის რიგებში არ შესულა. როდესაც აღმოვაჩინე და გაავცნობიერე დღევანდელი რეფორმატორული ეკლესიის ცდომილებანი, ჩემი ერისთვის არ დამიძალავს, რამეთუ

გაზეთი „აღმდებელი ღმერთი“

ვირწმუნე „ლაზარეს“ — საქართველოს გაცოცხლება სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა. გადაწყვეტიტე, თავად მეტიერთა ეს სიმძიმე და სათავეში ჩაედგომოდი საქართველოში აღორძინებულ ძველმართლმადიდებლობას. გაეხდი ძველმართლმადიდებელი ეპისკოპოსი. მწერალთა კავშირის წიგნაკი ჩაებაბრე მწერალთა კავშირის სამდიონის და, ამრიგად, ერთი ბატონის მსახურება ვიწადინე.

52. მესამე წელია თბილისში რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს ძველმართლმადიდებლური ქართული ეკლესია. კომუნისტური რეჟიმიდან დაწყებული გამსახურდას რეჟიმიდან დამთავრებული ვიყავით დევნილნი და შვეიცარიებულნი.

53. მოვითხოვეთ ძველი, შიტოკებელი, სარესტავრაციო ტაძრის გადმოცემა, რაზეც უარი გვითხრეს. ვითხოვეთ ეკლესიის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი — ისევე უარი. ესეც არ იკმარეს, გაზეთიც დაგვიხურეს და ამ საკითხის გასარკვევად პარლამენტში გვიხმეს არჩილ მინდიაშვილთან.

54. მორიდებულად ვაღებთ პარლამენტარის, რელიგიური ორგანიზაციების რწმუნებულის, მოძღვარ მინდიაშვილის კაბინეტის კარს. კაბინეტში ხუთიოდე კაცია.

55. — საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსი და გაზეთ „ღვთიური გზის“ რედაქტორი გაწუხებთ ამ გაზეთის გამოცემის აკრძალვის გამო.

56. — დაბრძანდით! — გაიღებს წყალობასა და საქმიან იერს იჭერს.

— დიდად გმადლობთ! — ვიკალებთ თავისუფალ ადგილებს.

— სანამღე გაგრძელდება თქვენი აგრესიულობა ოფიციალური ეკლესიის მიმართ? — ამბობს რიხით.

57. — მოგვითხვეთ; ჩვენ ეკლესიასთან მხოლოდ მეცნიერული კამათი გვაქვს, უკეთ, ვიგერიებთ ცრუ ბრალდებებს.

— ცრუ ბრალდებებს... — თქვენ ნამდვილად რუსოფილები ხართ!...

58. — თუკი დევნილი რუსების მიერ მართლმადიდებლობის შენარჩუნებას გულისხმობთ, რომელიც ხელდასხმით გადმოგვეცა ამჟამად, გვერწმუნეთ, იგი რუსული კი არა, ბერძნულია. რა არ მოგწონთ? რაში გვედავებით რეჟიმისკანონის მიმდევრებს?

59. — მაგას განახებთ, როცა ყველას დაგაპატიმრებთ და გადაგასახლებთ! — ამბობს ნმამაღლა.

60. — გამჩენს აღარ ეკითხებით? ხომ იცით, კაცის დაპატიმრებით ღმერთის წართმევა რომ შეუძლებელია? ანლა ბარემ ისიც გვიპასუხეთ: რატომ აუქმებთ ჩვენს გაზეთს?

61. — საინტერესოა, რას გვიპირებთ გაზეთის გაუქმების შემთხვევაში?

— ბერს არაფერს, — ვამბობ მე, — ოცდაოთხი საათის განმავლობაში მსოფლიოს ეაცნობებთ, როგორი ღმობკრატული წყობაა საქართველოში.

62. — სწორედ ასეთ პასუხს ველოდით! — მოძღვარი შეკრეჭილ წვერ-ულვაშზე შეივლებს ხელს.

63. — თქვენი აზრით, რა უნდა კენათ?

— მაგას მაშინ გაარკვეთ, როცა ავიხდენთ დანაქადებს.

64. — მერწმუნეთ, ის მართლმადიდებლობა, რითაც თავს იწონებთ საღვთისოდ, რეფორმატორულია. გასაკვირია დიდად, რა მიზეზით გვაბრკოლებთ ძირძველ მართლმადიდებლებს?

65. რელიგიური ისტორიისა და რეჟიმისკანონების უტოლინარობის გამო, ჩვენ — ორთოლოქსებს სექტანტებსაც გვიწოდებთ. ეწინააღმდეგებით ენციკლოპედიებში მოცემულ მეცნიერულ საზრისებს, სადაც განმარტებულია, რომ „ძველი რწმენა“ („სტაროვერია“) არის ძველთუძველესი რეჟიმისკანონის მიმდევარი ერთადერთი კონფესია.

66. ჯერ ერთი, სექტანტებიც რომ ვიყოთ, რის საფუძველზე გვიუქმებთ გაზეთსა და

გკლესიას? რა კანონებით ხელმძღვანელობთ, როცა დაპატიმრებითა და გადასახლებით გვემუქრებით? განვეიმარტო, რომელ ღმერთ-პატას მიეწერება რელიგიურ კონფესიათა დევნა საქართველოში?

67. — ჩვენ საქართველოში მხოლოდ ოფიციალურ ეკლესიას ვცნობთ.

— რის საფუძველზე? კონფესიები იმიტომაა მრავალგვარი, რომ გააჩნიათ სხვადასხვაგვარი ინსტიტუტები ანაღო ალთქმისა. ყველანი თავიანთ კრებობს უწევენ პროპაგანდას. თუმცა კარგად იციან, რომ მათში მხოლოდ ერთია მართალი, მაგრამ მუსტებითა და ბორკილებით არ ემუქრებიან ერთმანეთს. ადამიანი თავისი ბუნების მიხედვით ეძიებს საკუთარი სულის გადასარჩენს გასას.

68. ჩვენ ვექადაგებთ, ადამიანს კი შეუძლია დემოკრატიულ სახელმწიფოში თავად აირჩიოს, პატრიარქისა და პრეზიდენტის დაუხმარებლად, ნებისმიერი კონფესია; ან რა ზიანის მიყენების საშუალებად უნდა ემუქრებოდეს პრეზიდენტის მიერ დაწესებულ კონფესიას დემოკრატიულ სახელმწიფოში, მით უმეტეს, როცა რელიგია გამიჯნულია სახელმწიფოსაგან. იქნებ პრეზიდენტს ჰგონია, რომ მისი შეხედულება ღვთიერმოწონებულია, ჭეშმარიტი და თანაც უცდომელი.

69. — მთავრობას აქ გააჩნია თავისი შეუქალი პოზიცია, — ამბობს იგი.

— ამჟამინდელმა მთავრობამ ბევრჯერ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ იცის კარგად, საით მიდის, სურს გზადგაზა მოიკრიბოს სიბრძნე და გამოცდილება. მე კი მოგახსენებთ: მწყემსი იმიტომაა მწყემსი და არა ცხვარი, რომ მან იცის უმთავრესი — რომელ სამოვარზე უნდა გადენოს ფარა, თორემ მწყემსმა, რომლისთვისაც გაურკვეველია გზაც და ქვედებაც, შეიძლება დაღუპოს ფარა. ამგვარი მწყემსის მადეგარი ცხვრები მათ მადეგარ მგლებს უფრო აუხდენენ ოცნებას, ვიდრე თავად ეზიარებიან საწადელს.

70. — თქვენ არაეის აურჩევიხართ ამ საკითხის მომწესრიგებლად.

— იყო ერის რჩეული, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, იყო უფლებამოსილი, იტვირთო ერის ბედის მართვა; ერის ბედს ღვთიეკურთხეულნი წარმართავენ. კაცისმიერი სიბრძნით ვერ ესიარა სახელმწიფო ბედნორ ყოფას, რამეთუ უცნობია კაცთათვის გზანი უფლისანი — დღე ხვალინდელი. როგორც ადამიანის სიცოცხლის დანიშნულება ღვთის სადიდებელი ღვაწლია, ასევე სახელმწიფო, რომელიც არ ემსახურება ღმერთს, განწირულია. ირწმუნეთ, თქვენ დასცილილთ ღმერთს.

71. — ცრუობთ!

— მაშინ უნდა მიპასუხოთ, რატომ ვერ მოიგვთ ღვთის გული; აკი ბრძანებთ კომუნისტები განედევნეთო, „სუკ“-ი გააკუქმეთო; სახალხოვ ბიბლიაზე დაითიეცთ ღვთისა და ერის წინაშე მამ, რატომ არ დაგიღვათ უფალი გვერდით. რატომ დაინგრა მიწისძვრებით საქართველო, რატომ შთაინთქქებიან სოფლები, რატომ ინგრევა ღვთისმადიდებელი ტაძრები, რატომ მოგვრიათ მტერ-მოყვარე.

72. მიზეზი? მთავრობამ ვერ შესძლო სამშობლოსა და ღვთის სიყვარულს შორის უმთავრესის წარმოჩენა; სამშობლოს ბედნიერი ყოფის ძიებაში ღვთიურ კანონებს პატივი აჰყარეთ (იგულისხმება დიდი რჯულის-კანონის გაქიქება). ვერ დაიჯერეთ, შეილის ღმერთზე მეტად შეწყვარებულს თუ რა ემართება. თქვენი ხელისუფლების ტრავედა ის არის, რომ იგი არ იყო რჯულისკანონის-მიერი წესით დამოიდერილი და ეგონა, მხოლოდ შიშველი სიყვარული შეელოდა ღვთისა. მან არ იცოდა, ღვთის სიყვარული, რომელშიც არ იგულისხმება კანონის აღსრულება, ნიშნავს სიკვდელს, რადგან წართმეულია სულის გადარჩენის შანი. უმჯობესი იქნებოდა, დროზე მოგვხადათ ერის წინაშე

გაზეთი „აღმდგინ ღმერთი“

ბოდიში მსოფიო ეკლესიათა საბჭოში ქართული ეკლესიის გაწვევრიანების გამო.

73. — ამაზე პასუხი აგოს იმან, ვინც ჩვენს ეკლესია საბჭოში გააწვევრიანა.

— სცდებით. ყველა მოძღვარი 1979 წლიდან ამ დღიე ეკუმენისტური ხომალდის მეზღვური ბრძანდებით, რისთვისაც, ალბათ, მოგიწვეთ თავის დადრეკა, როცა ერი გაიცნობდერებს ყოველივეს.

74. მინდიაშვილი შუბლს შეისრესს.

— თქვენ თავად არ იცით თუ ვინა ხართ: საბედნიეროდ, გადმოგცემთ მიტროპოლიტ დიმიტრი როსტოველის წიგნს, რომელიც თვალს აგინხელთ.

75. — ეჭვი არ მეპარება, წინე ერეტიკული, ნიკონიანური იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც გავეცნობით და პასუხს მოგახხენებთ, წინასწარ გაფრთხილებთ — ნაადრევედ ნუ იზეიმებთ.

76. — ერთი ეს გვიპასუხებთ, თქვენზე ამბობენ წინასწარმეტყველიაო, მართალია?

— ამდაგვარი არაფერი მითქვამს, მაგრამ თუკი ძალზე გაინტერესებთ, იქნებ მარტონი დაერჩენილიყავით და ისე გვესაუბრა.

77. ახალი ამბის შოლოდინში აღტყინებული დაითხოვს დარბაზიდან დამსწრეთ.

— გისმენთ, — ამბობს ის.

78. — წინასწარმეტყველის პატივზე რა მოგახხენოთ, მაგრამ 1975 წელს კი განუცხადე ცხუმ-აფხაზეთის მაშინდელ მიტროპოლიტს ილია მეორეს თუ როდის გახდებოდა პატრიარქი და იქნა იგი პატრიარქი იმ დროს. შეიდი წლის პატრიარქობის შემდეგ კი კვლავ მომეცა მასთან აუდენციის საშუალება და მაშინაც უწყაა ჩემგან საქართველოს მშფოთვარების, მთავრობის თავკაცის მარცხისა და ეკლესიის დაცემის შესახებ. ალბათ, საკუთარი ბედი უფრო გაინტერესებთ, გეტყვით: ახლა რომ ასე ლაღად დირიჟორობთ ამ სა-

ვარძლიდან, სულ მალე მოგიწვეთ სხვისი დირიჟორობის ქვეშ ყოფნა.

79. — თქვენი სიტყვები არ გეაფრთხობს, — კუშტად შემომხედავს მინდიაშვილი.

80. — მეგონა, რომ ის კაცი, ვისაც ვამცნე მთავრობის თავკაცის შესახებ, გაუმხელდა ადრესატს, მაგრამ, ვინაიდან არ გაუმხილა, გეძლევათ შანსი, როგორც პრეზიდენტის მეგობარს და მოძღვარს, ამცნოთ ჩემი სახელით, რომ სიკედილი ელოდება და დროზე მოიკვლიოს მიზეზი.

81. მინდიაშვილს გაეღიმა... ეს იყო მაშინ, ორი თვის წინ. ამჟამად ვერ გეტყვით, შერჩა თუ არა სახეზე ადრინდელი პეწი და ღიმილი.

განმარტება წიგნისა

82. წიგნი, რომელიც ბ-მა არჩილმა ორიენტაციის გასარკვევად გადმოგვცა, აღმოჩნდა როსტოვისა და იაროსლავლის მიტროპოლიტ დიმიტრის ნაშრომი, სახელწოდებით „როზისკი იზიაელენიე“.

83. ავტორი დიდად ცდილობს წარმოაჩინოს სტაროვერების სწავლება და მათი ქრისტიანული ორიენტაცია ცრუ სწავლებად და არაქრისტიანულ მიმართულებად. რამდენად ჭეშმარიტია მისი დასაბუთება, რომლითაც გაუხარია ქართულ „მამულიშვილს“ არჩილ მინდიაშვილსაც, იხილეთ თავად. ავტორი ამ წიგნისა ძირითადად შემდეგ ბრალდებებს გამოყოფს:

84. 1. როგორ შევიცნოთ გამთიშველობის მოძღვრები? ისინი თავიანთ სარწმუნოებას განადიდებენ სიტყვით, ცრუმგმობარი სწავლებითა და ფარისევლური ცხოვრებით.

2. სტაროვერების (ძველმართლმადიდებლების) სარწმუნოებას წარმოადგენს:

- ა) ძველი ხატები;
- ბ) შეიდი სეფისკეერი;
- გ) რვადაბოლოებიანი ჯვარი;
- დ) ძველი წიგნები;
- ე) ორი თითით პირჯვრისწერა;
- ვ) წვერი.

85. ჩვენთვის გასაკებია წიგნის ავტორის მტკიცეობა, გააქარწყლოს სტაროვერების მიერ წამოყენებული ბრალდებები; რა თქმა უნდა, სამწლო იყო დიდად ნიკონიანელებისათვის მეორე ჩინის ერეტიკოსების დამლის შეგუება, მათი ფესვითი დადენილი მართლმადიდებელთა სისხლი შავ ლაქად აცხია მათ ტაძრებს. ძველი სწავლების მტკიცედ მპყრობელთა არსებობა ხომ უსიტყვო ბრალდებაა ახალი სწავლების აღმსარებელთა მიმართ. მაშ ასე, განვიხილოთ მიტროპოლიტ დიმიტრის ბრალდებები თანამედვერობით.

86. „სიტყვით განადიდებენ ისინი თავიანთ სარწმუნოებას“.

რომელ სარწმუნოებას მიანიშნებს და რომელ სწავლებას რომელ სიტყვას უპირისპირებს ავტორი? თუკი ლაპარაკია იმ ძველი სარწმუნოების უპირატესობაზე, რომელიც სლავებმა ბერძნებისაგან მიიღეს 988 წელს, რატომ არ უნდა იყოს იგი დაწინაურებული 1652 წელს მიღებული, გადაკეთებული ნიკონიანური სწავლების საპირისპირო?

87. რომელი ლოგიკური პრეტენზიით უპირისპირდებიან რეფორმატორული ეკლესიის მესვეურნი ძირძველი სწავლების მესაკუთრებს? სად ბრძანდებოდნენ ისინი მთელი 700 წლის მანძილზე, რა დაუწუნეს იმ ძველ სლავურ სასულიერო ლიტერატურას, რომლის მიხედვით აღზრდილი წმიდანები დღესაც ცოცხლებივით წვანან ჰეროის ლავრაში თავიანთი უზრუნველი სხეულებით?!

88. რატომ მოიკეთეს სტაროვერებმა ნიკონიანური — ერეტიკული ეკლესიები? მიზეზი ერთი იყო: ძველ სწავლებას (მართლმადიდებელურს) ნიკონიანელები იმთავითვე (მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან) 106 მუხლით დასცილდნენ. მკითხველმა იფიქროს, ამ კონფესიებს შორის რომელი ცრუობს: ის, რომელსაც არაფერი შეუცვლია სარწმუნოების პირველი დღიდან დღემდე, თუ ის, რომელმაც შეცვალა გადმოცემული პირველ-

ყოფილი სწავლება 700 წლის შემდეგ; რა უფლებით?!

89. ქრისტე ღმერთი კი იოანეს გამოცხადებაში გვაძნობს:

„გახსოვდეს, რაც მიგიღია და გსმენია, და დაიმარხე და შეინანე“ (გამოცხ., 3, 3).

90. რა უნდა ჰქონდეთ სადავო მე-17 საუკუნის ნიკონიანელ მოძღვრებს, როდესაც, მათე საუკუნიდან დაწყებული, რაც მოუღიათ ბერძნებისაგან, შეუცვლიათ, ესე იგი, კერძოდ; გაურკვეველია, რას ედავებიან სტაროვერებს, რომლებსაც დღემდე უცვლელად შემოუნახეთ მიღებული სწავლებანი, რასაც ადასტურებს როგორც ბროკჰაუზის, ასევე დიდი საბჭოთაენციკლოპედია (იხილეთ სიტყვა „სტაროვერია“). ვის არ მოსწონს ეს ძირძველი სწავლება? რა თქმა უნდა, წიგნის ავტორს ვერ დავეთხოვებით, თითქოს სტაროვერები უსამართლოდ განადიდებდნენ თავიანთი ჭეშმარიტი სიტყვით ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას.

91. სტაროვერები თავიანთი ცრუმგობარი სწავლებით განადიდებენ თავიანთ სარწმუნოებასო, — ბრძანებს წიგნის ავტორი. ლოგიკის თანახმად, ცრუმგობარნი იქნებოდნენ მაშინ, თუ ამ ახალი სწავლების მომტანი ძველი სწავლება ექნებოდათ შენარჩუნებული, სტაროვერები კი შეცვლიდნენ მას. განა ძველი სწავლების შეცვლის გამო არ ამხილეს ნიკონიანელები? განა თვით მოციქულ პავლეს მოწოდება არ ადებს ნიკონიანელებს სასჯელს, როცა, მათ მიერ მოტანილი სწავლების საპირისპირო სწავლებით შეცვლის გამო, ანათემას შეუყენებენ თვით ანგელოზსაც კი? 17 საუკუნის მანძილზე ქრისტეანული მართლმადიდებლური სწავლება ამ წიგნის ავტორმა შემოინახა თუ სტაროვერებმა დაიცვეს? მაშ, ვისი ბაგა ცრუმგობარია?!

გაზეთი „აღმდევნი ღმერთი“

92. რვადაბოლებიანი ჯვარი, ეს მათი ხარწმუნოებააო. — ამბობს ავტორი.

93. განმარტება:

არავის უარუყვია, რომ ოთხდაბოლოებიანი ჯვარი წამების სიმბოლოა. იგი დღემდე ამშვენებს ძველმართლმადიდებლობის მოძღვართა სამოსს. მაგრამ, როცა ლაპარაკია მაცხოვრის თაყვანსაცემ ჯვარზე, ეს ჯვარი, ყველამ კარგად უნდა იცოდეს, განსხვავებულია იმ ყაჩაღთა ჯვრისაგან, რომლებიც ქრისტეს გვერდით იყვნენ ჯვარტყმულნი.

94. ბიბლიის მიხედვით, მაცხოვრის გმირული სახე უნდა განმშვენებულიყო სამი ხით:

„ღობანის დიდება შენთან მოვა, ალვა, ნეკერჩხალი და ბზა — ერთიანად, ჩემი საწმიდარის ადგილის განსამშვენებლად, რომ ჩემი კვარცხლბეკი განვადიდო“ (ეს., 60, 13).

95. სამი ხისაგან შეკრულ ჯვარს ექვსი დაბოლოება აქვს, ვერტიკალურ ძელს — ორი, ჰორიზონტალურს — ორი, ფეხის ჩამოსადგმელს — ორი; ხოლო, როცა პილატემ მაცხოვრის ჯვარზე წარწერიანი დაფა დააკრეფინა, კიდევ ორი დაბოლოება დაემატა, ამგვარად, მივიღეთ რვადაბოლოებიანი ჯვარი. იგი ქრისტეს ჭეშმარიტი ჯვარია. ამ ჯვარს სცემდა თაყვანს თვით ღვთისაღმშენებელი.

96. რვადაბოლოებიანი ჯვარს თაყვანს სცემდნენ თამარ მეფე, ბექა და ბექემე ოპიზრების თანამედროვენი (მე-13 საუკუნე) და სხვანი. შემცდარია, ვისაც ბგონია, რომ რვადაბოლოებიანი ჯვარი რუსული წარმოშობისაა; სინამდვილეში იგი ყველა მართლმადიდებელი ქრისტეანის სათაყვანებელი სიმბოლოა, რადგან ჭეშმარიტი ჯვრით განიდევნება ეშმაკი და იგია ბარბაროსთა ზედა ძლევის ნიშანი; რატომ არ უნდა მიენიჭოს ჯვარს, ქრისტეანული სარწმუნოების ამ სიმბოლიკას, უზენაესი მნიშვნელობა. განა

მაცხოვარი ცაზე ამ ნიშნით არ გამოგვეცხადება მეროდ მოსვლის ჟამს?

97. რაში ვადანაშაულებთ სტაროვერებს? განა ჯვრის მრავალსახეობამ და თანდათან გაუბრალოებამ არ გამოიწვია ის, რომ ბაპტისტებმა საერთოდ უარყვეს იგი და გამოაცხადეს ქრისტეს წამების იარაღად? ჯვარი პატიოსანი, რომლითაც იდიდება უფლის გმირული სახელი, წარმოაჩინეს საბუდეულ ნივთად. აი, რატომ იყო და არის სტაროვერებისათვის ჯვარი რწმენის ტოლფასოვანი სიმბოლო.

98. „შვიდი სეფისკვერით შესრულებული ლიტურგია, აი მათი სარწმუნოება“, — ამბობს წიგნის ავტორი.

განმარტება:

უპირველესად უნდა ვიცოდეთ ამ შვიდიდან თითოეული სეფისკვერის მნიშვნელობა.

1. პური უფლისათვის;
2. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისათვის;
3. წმიდანებისათვის;
4. პატრიარქისათვის;
5. მეფის, დედოფლისა და მათ ნაშვიერთათვის;
6. ყველა ცოცხალი მართლმადიდებლისათვის, მათდა მოსახსენიებლად;
7. ყველა მიცვალებული მართლმადიდებლისათვის.

99. როგორც ვანახეთ, ყოველ სეფისკვერს თავისი სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. რომ არ ყოფილიყო საჭირო შვიდი სეფისკვერი, მაშინ წმინდა მამები ამას იმთავითვე დაგვიდგენდნენ; რადგან ლიტურგიის აღსრულება შვიდი სეფისკვერით აღინიშნა. რა უფლებით შეგცვალეთ? განა ამგვარი მიდგომით კათოლიკეებმა სრულიად არ გააუქმეს შვიდი სეფისკვერი? იქნება ვინმემ დააჯეროს ისინი თავიანთ ერესში.

100. როცა რომის პაპმა ორი სეფისკვერი მოაკლო დადგინდა შვიდს, მოტივად აღამიანის ხუთი გრძნობა გამოიყენა; მომდევნო პაპმა კიდევ ორი სეფისკვერი მოაკლო და სამი დატოვა, მიზეზად ღმერთის სამპიროვნება მოიტანა. და როცა შემდეგმა პაპმა კიდევ

ორი სეფისკვერი მოაკლო, ამასაც მოეძებნა გამაროლება — ერთდმერთიანობა.

101. და ბოლოს, როცა ის ერთი სეფისკვერიც უარყვეს, აქაოდა შეაგეო, ღვინოში დასველებული მაცით დაიწყეს ხალხის ზიარება. ასე რომ, დადგენილი სწავლების შემცვლელებს არ ასცდებათ ხანათემო ხასჯელი. ეშმაკმა იცოდა თუ რა ღვითური მადლი დეეს ამ შვიდი სეფისკვერით ჩატარებულ ლიტურგიაში და რაღა დაბრკოლებდა მათ გასანადგურებლად? აი, რატომ ანიჭებენ ძველმორწმუნეები უდიდეს მნიშვნელობას შვიდ სეფისკვერს; ბრმისათვის რა ფასი აქვს ოქროს ბრწყინალებას?

102. „ძველი წიგნები, აი, მათი სარწმუნოება“ — ამბობს ავტორი.

განმარტება:

თუკი ძველი წიგნებიც არაფერს ნიშნავს და შეიძლება გაუტოლოთ ახალ წიგნებს, რომლებიც სრულებით არ ეთანხმება ძველს, სადღაა ღვითური ლოგიკა? ხომ კარგად ვიცით: ძველი წიგნები თვით ღმერთის — სულიწმინდის მიერაა დაწერილი; მაშ, ვინ შექმნა ახალი წიგნები ძველის საპირისპიროდ, თუ არა ეშმაკმა? რა აქვთ საერთო ამ წიგნებს? განა ევებერთელა განსხვავება არ არის მათ შორის? იქნებ ვინმემ გეაჩვენოს ამ ახალ წიგნებზე აღზრდილ წმინდანთა უხერხული სხეულები და მეერ მიბრძანდნენ ჰეორის ლაერაში და იხილონ ძველ წიგნებზე აღზრდილი შვიდასი წლის მიცვალებულნი, ცოცხლებივით რომ წვანან. მაშინ აღარ გაუჭირდებათ მიხვედრა, თუ რატომ მიიჩნიეს სტაროვერებმა ძველი წიგნები თავიანთი სარწმუნოების წყაროდ.

103. ძველი წიგნისა ჩვენ სიძველე კი არ მოგვწონს, არამედ ძველი კანონების ხელუხლებლობა. ახალ წიგნებს კი იმიტომ არ უარყოფთ, რომ არ მოგვწონს მათი იახსლე, არამედ გვაშფოთებს ერეტიკული სითამამე, რომელიც ახალ სწავლებას გუთავაზობს. ამგვარი ახალ-ნოვატორული სწავლების მოსაგვრიებლად თვით პავლე მოციქულის სიტყვას

მოვიშველიებთ: ჩვენი სწავლების საპირისპირო სწავლების მქადაგებელი, ანგელოზიც რომ იყოს, ანათემას გადაეცითო. ჩვენც ასევე ანათემას შევეყენებთ მიტროპოლიტ დიმიტრის ერეტიკულ სწავლებას თავის წიგნიანად.

104. „ორი თითით პირჯერის წერა, აი მათი სარწმუნოება, — ბრძანებს წიგნის ავტორი — მიტროპოლიტი დიმიტრი.

105. განმარტება:

თუკი პირჯერის წერისას თითების წყობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ, იქნებ ავეისხნან, რის საფუძველზე შეცვალეს ორი თითით პირჯერისწერა სამი თითით პირჯერისწერით?

106. ან რომელმა სტაროვერმა თქვა, პირჯერის საწერად შემართული ორი თითი ღმერთიაო, ან რეადაბოლოებიანი ჯვარი ღმერთიაო, ან ძველი ხატები ღმერთიაო. ისინი ამბობდნენ, რომ ყველაფერი ეს საეკლესიო სიმბოლოებია და გააჩნიათ თავიანთი უცვლელი კანონები სრულფასოვნებისა.

მაგალითად:

გაკარკვა, რომ ქრისტე გაკრული იყო რეადაბოლოებიან და არა ოთხდაბოლოებიან ჯვარზე. ამდენად, რატომ გვიკვირს, სტაროვერები მხოლოდ რეადაბოლოებიან ჯვარს რომ სცემენ თაყვანს.

107. რატომ გვიკვირს, როცა სტაროვერები ორი თითით იწერენ პირჯვარს ქრისტეს ორი ბუნების ნიშნად. განა მთელი მსოფლიო, — კათოლიკურიც კი, თვით მართლმადიდებლური სამყაროც — ორი თითით არ იწერდა პირჯვარს? სამი თითით პირჯერისწერას რომ უძველესი ტრადიცია ჰქონოდა, მაშინ თვით კათოლიკეებიც სამი თითით დაიწერდნენ პირჯვარს. ეს ანტიოქიის ერესი რუსეთს მოედო ნიკონის დროს და დამკვიდრდა მხოლოდ ერეტიკოსთა შორის. ხოლო ორი თითით პირჯერის მარწმუნოება ტრადი-

გაზეთი „აღმდევნი ღმერთი“

ცია რომ ძველთუძველესია, ამაში გვარწმუნებს ენციკლოპედიები და უძველესი წიგნები, მაქსიმე ბერძნის წიგნის „მეორე მოსოფეთე თავი, ნიკონ შაჰმთელის წიგნი და სხვა.“

108. სამი თითით პირჯერის მანერალნი მამა ღმერთსაც აცვამენ ჯვარს მაშინ, როდესაც სამების იპოსტასში მხოლოდ ძე ღმერთია ჯვარცმული. ამიტომაც იყო, რომ ქრისტეს ორი ბუნების აღმსარებელი ორი თითით იწერდნენ და იწერენ ჯვარს; პირჯერის საწერად შემართული თითების წყობა სიმბოლურად ქრისტეს ბეჭედს წარმოადგენს. ამ ჯვრის გარდასახვით განიღვენება ემშაკი; ამ ჯვრით გაიცემა კურთხევა.

109. „ძველი ხატები, აი, მათი სარწმუნოება“, — ბრძანებს წიგნის ავტორი.

ხატწერას თავისი წესი და რიგი გააჩნია და იგი არ იქმნება თვითნებური წესებით. აუცილებელია, რომ ხატის დამწერი იყოს ბერი; მას უნდა ჰქონდეს კურთხევა ეპისკოპოსისაგან, უნდა იყოს მმარხველი; წმინდანების სახიერება უნდა იყოს ხორბლისფერი; მაცხოვრის გვირგვინში უნდა ჩაიხატოს ცხრახაზიანი ჯვარი, რაც ნიშნავს ცხრა ანგელოზთა ჩინს.

110. საკურთხეულად შემართული თითების წყობა უნდა იყოს ქრისტეს ორი ბუნების ამსახველი, ხოლო სამი თითის შეერთებით შეინიშნება სამების ბეჭედი. ამდენად, ყველა სხვაგვარი ხატი ერეტიკულია და მათზე არ იღოცება. სწორედ ამიტომ მიაჩნიათ სტაროვერებს ძველი კანონიკური ხატები ჭეშმარიტ ხატებად. ვინაიდან ხატში უფალი იგულისხმება, იგი უნდა იყოს სულიწმიდის მიერ შთაგონებული და დაკანონებული. ვიცით, მოსეს მიერ შექმნილი კილობანი იგულვება ღვთიეკურთხეულ კილობანად, თორემ სხვა კილობებსა და სკიერებში ღმერთის სული კი არ არის განფენილი,

არამედ ისინი მხოლოდ ნივთსაღა და ნიშნულებას ასრულებენ.

111. უფლის მიერ დაკანონებულ კილობანში რომ თვით ღმერთი იგულისხმება, ამას ასაჩინოებს მოსეს მიმართვა კილობანისადმი: „აღმდევნი, ღმერთო!“ — იქნებ ვინმე მოსესაც შეუნიშნოს სიმცდარე: იქნებ, არც მან იცოდა, ეს ნივთიერი საგანი ღმერთი რომ არ იყო, მაგრამ მოსე ხომ მასში ღვთიერი სიმბოლიკას ხედავდა და იცოდა, ამ ნივთიერი საგანში ღვთიური სული იყო განფენილი, ამიტომაც მიმართავდა იგი კილობანს, როგორც სულიერს.

112. თქვენ იტყვიან: ახალმა ხატებმა რა დააშავესო. ვიპასუხებთ: ჯერ ერთი, ყველა მიეძალა ხატმწერლობას; არც ეპისკოპოსის კურთხევას ითხოვენ და არც ერისკაცობა აბრკოლებთ. არც ხატის შექმნის კანონიკურ წესებს დაგიდევინ; წუმწუმისა და გოგირდის, თამბაქოს კეამლში, ოხუნჯობასა და ბილწ-სიტყვაობის კორიანტელში, ცოლთან ურთიერთობისა და შიშველი ქალების ნატურიდან ხატის შემდეგ წმინდა ხატების შესაქმნელად ხელს წაიწვედნენ ხოლმე. აი, რატომ განარჩევენ სოციალიზმის ძველ ხატებს ახლისაგან.

წვერ-ულვაშის შესახებ

113. წიგნის ავტორი ცდილობს პავლე მოციქულის სიტყვებით გააუქმოს წვერ-ულვაშის ხელუხლებლობის წესი, როცა ბრძანებს:

„არც წინადაცვეთა ნიშნავს რაიმეს და არც წინადაუცვეთლობა“-ო. ასევე ბრძანებს დიმიტრი მიტროპოლიტი: არც წვერ-ულვაში ნიშნავს რამეს და არც უწვერულვაშობაო.

114. ავტორის მისამართით ვიტყვი: ეს მაგალითი ვერ აუქმებს წვერ-ულვაშის შესახებ დადგენილ კანონს, რადგან, როცა პავლე მოციქული წინადაცვეთასა და წინადაუცვეთელობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ამის საბაბს მას ძველი აღთქმის ნათლობის — წინადაცვეთის წყალში სამჯერადი შთაფ-

ლვითი ნათლობის წესის შეცვლის სიმბოლიკა აძლევს; წვერ-ულვაშზე კი კანონი დადგენილია და მისი შეცვლა არაგის ხელეწიფება. ეს მსოლოდ ერეტიკოსმა ლათინელებმა გაბედეს.

115. ითქვა, ქალი ნუ შეიკვეციავს თმას, ნუ შეიღებავს თვალს, ნუ იქნება მამაკაცურად ჩაცმული, რამეთუ ყოველივე ეს სისამაგლეა უფლის თვალში. ასევე ითქმის მამაკაცის წვერ-ულვაშის თაობაზეც. სახიერებადაკარგული, ე.ი. გაპარსული კაცი არასათნოა უფლისათვის. ამიტომაც გეიკრძალავენ ერეტიკოსთა მიყოლას წმიდა მამები.

116. როგორც ერთი ძარღვის გადაჭრაც საკმარისია, რათა ადამიანი სისხლისაგან დაიწრიტოს, ასევე წვერ-ულვაშის ერთი ბეწვის გაცლაც მადლისაგან დაშრეტს კაცს. თუკი ღვთიური კანონები არაფერს წარმოადგენს, მაშინ ამოდ გარჯილან წმიდა მამები.

117. მაგალითები ძველი აღთქმიდან:

ა) „ნუ მოიკრეჭთ თმის კიდეებს თავზე და ნუ მოსპობთ წვერის კიდეებს“ (ლევ., 19, 27).

ბ) „შეიპყრო სანუწმა დავითის მორჩილნი და ნახევარი წვერი მოპარსა, წელამდე შემოაჭრა ნახევარი საოხელი და გაისტუმრა და წავიდნენ. შეატყობინეს დავითს ამ კაცების ამბავი. გაგზავნა კაცები მათ შესაგებებლად, რადგან ძალზე შურატხყოფილნი იყვნენ. უთხრა მეფემ: იერიქონში დარჩით, ვიდრე წვერი მოგებრდებოდეთ და მერე დაბრუნდით“ (1 ნეშტ., 19, 4-5).

გ) „არა დასდვა სამართებელი წვერსა შენსა“ (მოსე).

წიგნის ავტორმა ძველი აღთქმის ეს საბუთები დიდად არაფერად ჩააგდო და ახალი აღთქმის მემკვიდრეებს დადგენილი წესის გაუბრალოებით გაუადვილა წვერ-ულვაშის პარსვა. რამდენად სამართლიანია მისი ამგვარი მოწოდება, ვისილოთ ახალი აღთქმის წმინდა მამების შემდეგი დოკუმენტები:

118. „და როცა ნათქამდა: ნუ გაიპარსავთ წვერს თქვენსას, თქვენი მანინ იპარსავთ და სახეს თქვენსას ილამაზებთ, ან ცდილობთ

მოაწონოთ თავი ვინმეს, მაშინ, როცა უკვე ღვთისათვის სამაგლად ქცეულხართ“ (წმიდა კობრიანე, კართავენის ეპისკოპოსი, ნაწილი მეორე, გვ. 115).

119. „მოციქულთა ქადაგებანი მასზედ, რომ მამაკაცმა არ უნდა გაიზარდოს თმა, რადგან სახიერება და სიტყვა ღვთიურია. ამაზე უფრო საშინელია ის, რომ იპარსავენ წვერს. მოციქულთა მცნებებში გვაუწყებს ღვთიური სიტყვა: „არა დამაზინჯოთ სახიერება თქვენი უწვერობით“ — აცხადებენ მოციქულნი: „და რომელთაც ინებონ მათი შეგონების წინააღმდეგ გალაშქრება, ამგვარი ჩვეულება ჩვენ არ გაგვარჩნია, არცა ეკლესიას, ჩვენ ვასრულებთ ღვთიური ეკლესიის კანონებს“ (ნიკონ შავმთიელი, სიტყვა 37-ე, გვ. 284).

120. „ასე მაგალითად, კრძალავენ თავის გაპარსვას და სახიერების შებლაღვას წვერის მოპარსვით“ (წმიდა კირილე ალექსანდრიელი, ნაწილი II, გვ. 351).

121. „მათე (ივულისხმება მათე ვლასტარი) მე-9 თავის მესამე მუხლში უკრძალავს მართალთ გულამაზებას, ან წვერის გაპარსვას. ამ კანონის დამრღვევთათვის ეკლესიიდან განკვეთას ბრძანებს“ (ეს კანონი მას ტრულის მეექვსე მსოფლიო კრების 96-ე კანონიდან მოაქვს. იხ. ნომოკანონი, კანონი 174-ე, გვ. 502).

122. ახლა კი ყური მივუვდეთ, რას ბრძანებენ თვით მოციქულები:

„ასევე არ შეიძლება გაიფუჭო შენი წვერის თმა და შეიცვალო სახიერება კაცისა ბუნების საწინააღმდეგოდ. ნუ გაიშისვლებთ, ამბობს კანონი, თქვენ წვერს, რამეთუ უწვერულვაშობა გამჩენსა ღმერთმა ქალს მომადლა, ხოლო მამაკაცი ცნო მან მთუღვომელად და შენ, გამშისვლებულო წვერისა შენისა, რათა მოსწონდეთ, როგორც მომადლადა კანონისა, იქნება საძაგული ღმერთის-

გაზეთი „აღდგენის ღმერთი“

თვის — შენი გამჩენისათვის, რომელმაც შეგქმნა შენ მისნაირი სახიერებით“ (დადგენილებანი წმ. მოციქულთა, წიგნი I, გვ. 6-7).

იგივეს ბრძანებს ბერძნული დიდი რჯულისკანონი II მსოფლიო კრების 96-ე მუხლი ზონარის განმარტებაში.

123. მაშ, როგორ გავიგოთ მიტროპოლიტ დიმიტრის, წმიდა მამათა და რჯულისკანონთა საწინააღმდეგო ეს სწავლება? განა ამგვარი სითამამით ანათემას არ მოუხმობს იგი? რა ვუყოთ მათ, რომელნიც დიმიტრის მოწოდებას მიჰყვნენ და გაიზიარეს იგივე რისხვა? ასედაც ხდება, კანონებს ამხსნევენ, ისინი უნდა შევიცნოთ თავიანთი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით.

124. თითქოს სტაროვერები ფარისევლობით განადიდებენ თავიანთ სარწმუნოებას, — ასე ამბობს წიგნის ავტორი. რაში გამოიხატება მათი ფარისევლობა, იქნებ იმაში, რომ ისინი ქრისტეანული კანონებისა და წესების აღმსრულებელნი არიან: წვერულვაში ხელუხლებელი აქვთ, შეინარჩუნეს ორი თითით პირჯერის წერის წესი, აცვიათ ქრისტეანული სამოსი და წელზე აქვთ ქაშარი.

125. ქალები ატარებენ „უბრუსს“, თავსაფარს და თმას არ იკვეცენ; იქნებ ვაძაგოთ იმისათვის, რომ დიდი რჯულისკანონის დასაცავად ფისში ამოვლებულები კლაატრებად ენთნენ, ტაიგისა და ციმბირის სუსხით ითოშებოდნენ, ან იმისათვის, რომ არ გაერთიანდნენ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში, ამ არასჯულისმიერ ეკუმენისტურ საკრებულოში, როგორც ეს ქნეს ნიკონიანურ-რეფორმატორული ეკლესიის მესვეურებმა. იქნებ ყოველივე ფარისევლობად, პირფერობად იწოდება, ხოლო უკანონო, ურჯულო ცხოვრება კი საღვთო ჭეშმარიტებად? ნუთუ არ არსებობს სხვაობა ცივსა და ცხელს, თეთრსა და შავს შორის, კეთილსა და ბოროტს, ნათელსა და ბნელს შორის? მაშინ რატომ არ

შეერივნენ ერთმანეთს ბნელი და ნათელი, თეთრი და შავი, ცხელი და ცივი და რატომ ეწოდათ განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით სახელწოდებები? მაშ, რატომ ბრძანებენ წმიდა მამები:

126. მცირედაც მართლმადიდებლობისაგან განმიჯნა ერესად იწოდების. მაშ, რატომ გვასხენებდა თედორე სტოდოელი: ერთი სიტყვაც კი წარმოშობსო ერესს. ამიტომ უნდა დღუჯერებინა ამ წიგნის ავტორს, რომ ყველაფერი, რაც წმინდა მამათა მიერ გამოკვეცა, უნდა ვიპყრათ და შემოვიინახოთ წმინდად, როგორც ამას გვასწავლიან; არადა გავსდებით საანთემონი.

127. ბატონო არჩილ, თუკი ქრისტეს ჭეშმარიტ მხედრად და, ასევე, საქართველოს კეთილისმყოფლად ჰკულობთ თავს და თანაც გაითვალისწინებთ რუის-ურბნისის დადგენილებას რჯულისკანონის განმრიდებულთა მიმართ ბოძებულს, და, მასთან ერთად, პავლე მოციქულის გაფრთხილებას კანონიკურ სწავლებათა საპირისპირო სწავლების შესახებ, ალბათ, მოგიწევთ ჩვენთან ერთად ნმამადლა შესძახოთ: ანათემა!

128. რა შეიძლება ვუწოდოთ იმ ორგანიზაციას, რომელსაც ეჭვი შეაქვს ღვთისმშობლის სიწმინდეში, ქრისტეს ღმერთკაცობაში და მის ჭეშმარიტ აღდგომაში. რა თქმა უნდა, ანტიქრისტული საკრებულო! ბატონო მინდიაშვილო, თქვენ ამ საკრებულოს მოძღვარი ბრძანდებით, როგორც მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში გაწვევრიანებული ქართული ეკლესიის ეგრეთ წოდებული მღვდელი. აწ თქვენზე იყოს დაბნეული საქართველოს ცოცხალი, თუკი კვლავ ღვთისა და ერის საწინააღმდეგო სიჯიუტეს დაიჩემებთ.

რამდენიმე კითხვა ებასკოპოს იონას

129. კითხვა: რა განსხვავებაა ძველსა და ახალ მართლმადიდებლობას შორის?

პასუხი: ძველმა მართლმადიდებლებმა ეს სახელი დაირქვეს, რათა სღვარი დაედოთ

რეფორმატორულ და არარეფორმატორულ ეკლესიათა შორის; ამ შემთხვევაში არარეფორმატორულია ძველმართლმადიდებლურად წოდებული ეკლესია, რადგან მან შეინარჩუნა ის ძირძველი და მარად უცვლელი საეკლესიო სამართლის კანონები, რომელთა შეცვლის უფლება ანგელოზებსაც კი არ ეძლეოდათ.

130. კითხვა: საქართველოში რამდენიმე წელია აღორძინდა ძველმართლმადიდებლური კონფესია. რითია გამოწვეული საღვთისოდ ამ უძველესი ქრისტიანული რელიგიური მიმდევრობის აღდგენის აუცილებლობა?

პასუხი: საქართველოში უკვე მესამე წელია ფუნქციონირებს საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესია. მისი დაფუძნება გამოიწვია ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის აღორძინების ცხოველმა სურვილმა; სურვილმა, რომ კვლავ დავეთისდროინდელი ეკლესიური სიწმინდის მესაკუთრნი ვყოფილიყავით.

131. კითხვა: სახელდობრ?

პასუხი: როცა ქართული ეკლესია დიდ რჯულისკანონს გაემიჯნა, მან დაკარგა მართლმადიდებლობის პატივი და ერეტიკული გახდა. ამის დასტურად საკმარისია განაცხადოთ: ქართული ეკლესია 1979 წლიდან გახლავთ ერთიანი ეკუმენისტური დიდი ოჯახის წევრი, ესე იგი, რეფორმატორულ ეკლესიათა გაერთიანების, ანუ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი, რომლის აღმსარებლობითი კრედაა, დოგმატებისა და კანონების გაუქმებით, სხვადასხვა ქრისტიანული ორიენტაციის მქონე ეკლესიათა გაერთიანების მიღწევა, რასაც კრძალავს დიდი რჯულისკანონი და რუის-ურბნისის კრება.

132. კითხვა: რა არის ერესი?

პასუხი: ერესი არის კანონიკური სწავლებიდან გამიჯვნა, ცდომილება; მისი დამკვიდრება აყალბებს ეკლესიის ფუნქციას, რის შემდეგერი კარგავს ქრისტიანულ სახეს და წარმართად იქცევა.

133. კითხვა: რატომ მიიწვევენ ხოლმე ქართულ ძველმართლმადიდებლურ ეკლესიას რუსული მართლმადიდებლური ორიენტაციის ეკლესიად, იქნებ იმისთვის, რომ ხელდასხმა მათგან გაგაჩნიათ? რას გვეტყვიეთ ამის თაობაზე?

პასუხი: ამგვარი განცხადება უცოდინარობის ბრალია. არ არსებობს რუსული, ბერძნული ან ქართული მართლმადიდებლობა, არსებობს მხოლოდ ქრისტიანული მართლმადიდებლობა. რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ერის საკუთრება. რაც შეეხება რუსული ძველმართლმადიდებლური და არანოკონიანური ეკლესიდან ჩვენს ხელდასხმას, ანუ მღვდლობის მიღებას, ეს გამოიწვია იმან, რომ მსოფლიოში მხოლოდ დევნილმა სლავებმა შეინარჩუნეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა.

134. კითხვა: თუკი მართლმადიდებლობა ნიშნავს მკაცრ დოგმატურ და კანონიკურ საეკლესიო ყოფას, როგორი ურთიერთობის უფლება ვსძლევთ ორთოდოქსებს დიდი რჯულისკანონისაგან გამიჯნულ ეკლესიებთან?

პასუხი: ამგვარ ეკლესიებთან ღოცვა და საეკლესიო მსახურება იკრძალება. ოღონდ ეკონომიკურ, კულტურულ თანამშრომლობასა და ურთიერთობას ღმერთი ხალხთა შორის არ კრძალავს არა მარტო ქრისტიანული რელიგიის აღმსარებლებთან, არამედ თვით განსხვავებული რელიგიის მესაკუთრეებთანაც კი.

135. კითხვა: ხშირად გვსმენია მორწმუნეთაგან: ნუ განიკითხავთ ნურავისო, ალბათ, საფუძვლად ამ დებულებას უდებენ:

„ნურას ასამართლებთ ღროზე წინასწარ, ვიდრე მოვიდოდეს უფალი, რომელიც გაანათებს სიბნელეში დამალულს და გამოაჩენს გულის ზრანსებს და მამინ ექნება ყოველს ქება ღმერთისაგან“.

გაზეთი „აღმდგინ ღმერთი“

პასუხად ამ ფორმულას იყენებს ზოგიერთი გაუთვითცნობიერებელი მორწმუნე-აგიტატორი, რომელთა აზრით, ადამიანს თითქოს-და არა აქვს უფლება სასულიერო პირის მხილებისა. იხილეთ, რამდენად შეესაბამება იგი დიდ რჯულისკანონს:

ა) „მცნება არის სანთელი, სჯული არის სინათლე, ცხოვრების გზა კი არის სწავლა და მხილება“ (VII მსოფლიო კრების მე-6 კანონიდან).

„ეინც მოწმე იყოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცოდვისა და თვითონ კი არ აღიაროს, არამედ სხვამ ამხილოს, რომ იცის ცოდვის შესახებ, იმდენ ხანს იყოს დასჯილი ისიც, რამდენ ხანსაც განკანონებული იქნება თვითონ ცოდვის ჩამდენი“ (ბასილის მე-3 კანონიკური ეპისტოლე ამფილოქე იკონიელის მიმართ, 71-ე კანონი).

ბ) „თუ ეპისკოპოსს ბრალი დასდონ ღირსეულმა ადამიანებმა რაიმე საქმის გამო, ის უნდა გამოიძახონ სხვა ეპისკოპოსებმა, და თუ მივა და აღიარებს, რაშიც ბრალი ედება, განუსაზღვრონ მას ეპიტიმია...“ (მოციქულთა 74-ე კანონი).

გ) „ბოროტი ძალის მხილება საჭიროა და წინ უნდა აღვედგეთ მას“ (წმიდა ათანასე აღექსანდრიელის ეპისტოლე ამონ მონაზვნის მიმართ).

მაშ, როგორ გავიგოთ ეს კანონები! ვისთვისაა დადგენილი ისინი?

136. განა ჩვენ არ უნდა გვესმოდეს, რომ ეშმაკი სწორედ იქ იშვება თავის სამკალს, სადაც უცოდინარობაა. ნათქამია: „ნურას ანამართლებთ დროზე წინასწარ, ვიდრე მოვიდოდეს უფალი“. ეს ნიშნავს, რომ ბოლო სასამართლო უფლის ხელშია და ვერც ცოდვების გამო ვკრავთ ხელს ადამიანს, მაგრამ აქ საქმე უბრალო ეკლესიურ სიწმინდეს; „ეკლესია უნდა იყოს უბიწო“. მის მსახურთ ევალებათ რჯულისკანონის დაცვა, რათა

ეკლესია არ იქცეს ერეტიკულ სამლოცველოდ, რომელსაც მღვდელმსახურთა ერეტიკულობის გამო ტოვებს მფარველი ანგელოზი.

137. ამიტომაც გვასხევენ დიდი რჯულისკანონი ცრუ მსახურთა მხილებას, როგორც ეს რუის-ურბნისის კრებაზე ითქვა: „აღმოვაჩინეთ ქება ავაზაკთა... უღირსნი განედევნეთ და მათ ნაცვლად ღირსეულნი დაეადგინეთ“.

138. იცოდეთ, ვინაც მოგიწოდოთ დამლუპველ საეკლესიო ცდომილებათა დაფარვა, იგი ქრისტეს ჭეშმარიტების მტერია.

139. კითხვა: როგორია ეკლესიის როლი სახელმწიფოსა და ერის წინაშე?

პასუხი: ეკლესია იყო და არის ქვეყნის გული. გაჩერდება გული? ქვეყანა წყვეტს ცხოვრებას, ერი განწირულია.

140. კითხვა: როგორი უფლებამოსილებით იარსებებს განსხვავებული კონფესიის ქრისტიანული ეკლესიები, თუ ქვეყნით, რომელიც უნდა სახელმწიფოებში?

პასუხი: ცხოვრების უფლება ამ ქვეყანაზე ყველას ერთნაირად ეძლევა, ზოლო ადამიანი საკუთარი ნებელობით მოისადაგებს სამარადეამო სასუფეველს ან წარსაწყმედელს. არავის აქვს უფლება დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევანისათვის ვინმეს დასჯისა. მსაჯული ერთი გვყავს მხოლოდ: გამჩენი; დე, იყოს ნება მისი.

141. კითხვა: ორიოდ სიტყვა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. რაში მდგომარეობს საქართველოს დღევანდელი უბედურების მიზეზი?

პასუხი: მიზეზი მხოლოდ ერთია; ღმერთის კანონებით არ ეცხოვრობთ, კაცობრივ უფრო ვენდეთ. გაიხსენეთ მოსეს ხუთწიგნეულიდან ღმერთი განკარგულება:

142. რაც უნდა მცირე ვერი იყო, თუკი იცხოვრებ ჩემი კანონების მიხედვით, შენგან განედევნი მძეინარე მხეტებს და შენი ვენახის ნაყოფს შევაჭმევ უმფოთველად... წამოწვები და არავინ იქნება მოქმედი მხარი იცვალო... ხმალი არ გაივლის შენს მიწაზე და ისუფეებს მშვიდობა... თუკი ვერ იცხოვრებ ჩემი

კანონების მიხედვით, დაგსჯი და მოგისვე მტერს და წაგართმევ სარჩო-საბადებელს (ეს დასჯის პირველი ფაზაა. — ი.ი.). თუ კიდევ ვერ მიხვდები, მე დაგსაჯე, მაშინ გაგიშვიდკეცებ სატკივარს, და მტრისთვის გახვეწინებ, კარგად შეგიჭამოს ის, რაიც წაგართვა (ეს დასჯის მეორე ფაზაა. — ი.ი.). თუ კიდევ ვერ მიხვდი, რომ მე დაგსაჯე, გაგიშვიდკეცებ სასჯელს და საკუთარი შვილის ხორცს შეგაჭმევ (ეს დასჯის მესამე ფაზაა. — ი.ი.) (ლევ., 26, 1-46).

143. ამის შემდეგ დგება საკითხი ერის ყოფნა-არყოფნისა; დაეკვირდეთ ჩვენს ყოფას, სასჯელის რომელ სტადიაში იმყოფება საქართველო. დავიწყეთ საკუთარი შვილების ჭამა, ჩვენ კი კვლავ გვაჯერებენ, ჩვენთან არს ღმერთიო. განა ერის ყოფიერ ცხოვრებას არ უნდა დაეჭყოს ღვთის თანადგომა? საქართველოში ღვთის მადიდებელი ტაძრები იმსხვრევა და სოფლებს შთანთქავს პირგარღვეული მიწა. მოგვეხია მტერი და მოყვარე, გაემიჯნეთ შვილები.

144. ქართველებმა უნდა ვისწავლოთ და დავიჯეროთ, როცა ღმერთი მტრის ხახაში მოგვაქცევს, მიზეზი ჩვენს უღმერთო ყოფაში, ჩვენს ცოდვებში უნდა ვეძიოთ. მტერი ყველა მტერია, ისინი უფალს უღმერთობით მცხოვრებ ერთა დასასჯელად ჰყავს გაჩენილი, ისინი დამსჯელი რაზმია ღვთის ხელში.

145. ნუ გაგაკერპებთ ნურც სამშობლოს, ნურც ბელადს. ვინც ღმერთზე უმეტესად შეიღს შეიყვარებს ან კიდევ სამშობლოს, იგი ორთავეს დაკარგავს. უმაღლესი პატივი მხოლოდ უფალს ეკუთვნის — თვით ჩვენი შვილისა და სამშობლოს გამჩენს.

146. როცა ერის ბელადი თავს დაბლა ხრის, რათა მისადმი ზედმეტი თავიანთსცემით ჩრდილი არ მიადგეს ხალხის თვალში უფლის პატივის უზენაესობას, იგი იმზეგრძელებს. პატივმოყვარე კი აისვრინება უპატივობის სარცხვენელში. თვით დავით წინასწარმეტყველი ღმერთთან მოსაუბრე თავის თავს მატლს, ფერხთა მტერსა და არარაობას

უნწოდებს. მაშ, ჩვენ — მოკვდავები როგორ უნდა მოვიქცეთ.

147. თუკი ადამიანი იწადინებს ვინმეს რამეში გაეჯიბროს, ღვთის სიყვარულში გაეჯიბროს და მისი უპირატესობა ღვთიური კანონების აღსრულებით დაადასტუროს. ადამიანი არ უნდა იყოს თვითნება, იგი უნდა იყოს ღვთის ნებით მკვალი, რათა არ განემიჯნოს კანონიერ ცხოვრებას, რადგან ყოველგვარი უბედურების მიზეზი უკანონობაა, რომელიც წარმოშობს სიკვდილს. ერის ორიენტაციის დაკარგვის საბაბად ეზრა წინასწარმეტყველი ღვთიური კანონის გაუქმებას ჰგულობს (3 ეზრ., 14, 20-21); ერის უბედურების მიზეზად კი რელიგიური სწავლების ორთოდოქსული სახის ცვალებადობას (3 ეზრ., 14; 7, 23-25). დროა საქართველომ დაიბრუნოს ის დიდი რჯულისკანონი, რის გამო ღვთის თვალში პატივი აიყარა და წარმართად მიიქცა.

148. კითხვა: როგორ გესახებათ საქართველოსა და მსოფლიოს ხვალისდელი დღე?

პასუხი: შიშის შემდეგ საქართველოს ღვთიური პატივის დაბრუნება ელოდება, მხოლოდ ამგვარად გაცოცხლდება „ლაზარე“. იგივე შესაძლებლობა მიეცემა ყველა სახელმწიფოს, რაც ნიშნავს მეორედ მოსვლის წინა სამზადისს, სახარების ბოლო ქადაგებას; გაბრწყინდება ისრაელი და საქართველო! რამდენად კუმშარიტი იქნება ქადაგება იგი, ამას მხოლოდ წინასწარმეტყველნი, კვლავ ისრაელთან ნამიერნი განსაზღვრავენ: ელია, ენუქი და იონა.

მხოლოდ სიყვარული?

149. იტყვიან: უფალი ღმერთი სიყვარულია და არ გემართებს რჯულის აღსრულება. სახელმწიფოს შექმნის კვლად იქმნება

გაზეთი „აღმშენებელი“

კონსტიტუცია, რამეთუ კონსტიტუცია არის სახელმწიფო სამართლის კოდექსი, ის წესი და რიგი, რომლითაც სახელმწიფო იმართება; ამ კანონების გარეშე ქვეყანა ველურია. როდესაც შეიქმნა თუდაისტური რელიგია, იგი 10 მცნებას დაეფუძნა, მაგრამ მოსემ კანონიც დაუდო. ეს განზღაობის წესი და რიგი, რომლითაც იმართებოდა ამ 10 მცნებაზე დაფუძნებული იუდაისტური რელიგია. ქრისტიანობა იუდაიზმზე აღმოცენდა.

150. ისიც მთლიანად 10 მცნებას დაეფუძნა. მაგრამ ქრისტიანულ ეკლესიასა და მის სამწყსოს სამართლის კოდექსად ჯერ მოციქულთა 85 კანონი, შემდეგ კი ადგილობრივი მსოფლიო საეკლესიო კრების კანონები დაიწყო, რომლის მიყოლას უცილობლად მოითხოვდნენ წმიდა მამები. საკმარისი რომ ყოფილიყო მხოლოდ უფლის სიყვარული, მაშინ არც მოციქულები, არც წმიდა მამები შეიწუხებდნენ დიდად თავს კანონების შექმნით და, რაღა თქმა უნდა, არც ადგილობრივი და მსოფლიო საეკლესიო კრებების მოწვევა იქნებოდა აუცილებელი.

151. როცა ვიტყვით, საკმარისა მხოლოდ ღვთის სიყვარული და უმეტესი არ მოგვეთხოვებაო, უნდა დავიჯეროთ, რომ ამგვარი განცხადებით ვაუქმებთ მსოფლიო კრებებზე წმიდა მამათა დადგენილებებსა და მოციქულთა კანონებს, ქრისტიანული ეკლესიისა და მისი სამწყსოს სამართავად ბოძებულს. ისმის კითხვა — ვინ ინება საეკლესიო ქრისტიანული ყოფა სამართლის გარეშე? ვინაიდან „დიდი რჯულისკანონი“ მინანდათ იმ ღვთიურ საჭედ, რომლითაც იმართება ქრისტიანული ეკლესია — ხომალდი უფლისა, ამიტომაც ეწოდა ამ კანონებს ბერძნულად „ჰიდალიონი“, რუსულად „კორმჩაია“, რაც ნიშნავს შესაჭვს.

152. იტყვიან, ტაძარი ღვთის ხომალდია, ხოლო ზღვა ცხოვრებააო. შეიძლება კი

სიყვარულით ემართოთ ხომალდი? სიყვარული, როგორც უცოდინარობას ვერ შევლის, ასევე ვერ გახდება ის მქცნიერება, რომელსაც ხელეწიფება ხომალდის მართვა. ესე იგი, ხომალდის მართვისათვის საჭიროა იცოდვე წესები, რომელთა დაცვის გარეშე ხომალდი მიზანს ვერ მიაღწევს, განწირულია. სწორედ ეს წესია დიდი რჯულისკანონი, რომლის დარღვევას ანგელოზებსაც კი არ ჰატიობენ. ამასვე გვასხენებს ღვთიურ აღმამენებლის-დროინდელი რუის-ურბნისის კრების დადგენილება.

კეთილი მოწოდება

153. ბრძენია ერი, როცა მტერს მტრობას არ გაუწევს და ღვთის მტრად მიაქცევს. უგუნური ჯონის ძიებას დაიწყებს მტრის მოსაგერიებლად და, თუკი ძალა არ ეყო, თავად მიიქცევა მტრის ლუკმად.

154. საქართველო უნდა იქცეს ღვთის შვილად. იმ დღიდან დაიწყება მისი ბედნიერება. ღვთისშვილობა საჭიროებს წმინდა გულს, მაღალ სულიერებასა და ქრისტეს ჭეშმარიტების ჰყრობას, რის შემდეგაც მიზანი მიღწეულია. ჩვენი ერის თავისუფლების დროშას თუ არ დაეწერა რჯულისკანონი, დაგრჩებით მხოლოდლა დროშის შესაკუთრენი. ერს ვერ უშველის ვერც სიმამაცე, ვერც სამშობლოსათვის გულანთებულობა; მას უნდა გააჩნდეს ღვთიური სიმართლე. როდესაც თავისუფლება ვერ სცილდება მატერიალურ საწყისს, ამგვარი ერი თონეს მისაცემელ თივას შეადარა ღმერთმა, რადგან ჭკვიანი ერის ცხოვრების მიზანი იყო და არის ცხოვრება ღმერთისათვის! ღვთიურ ცხოვრებას კი დიდი რჯულისკანონი გვასწავლის. ბედნიერია მხოლოდ ამ გზით მავალი, რამეთუ ღვთის კანონით სიარული არის გარანტია უკვდავებისა.

155. სადღესოდ ბევრ სახელმწიფოს არა აქვს ღვთის წინაშე წარსადგომი პირი, თუმცაღა დიდად ნებივრობენ და სამეფო

განცხრომაში არიან, მაგრამ მხოლოდ ბრძენის თვალებს არ გამოეპარება ამ გაველურებულ, გამწარებულ მსოფლიოში მიტაცებულ სამეფო პატივთა ტოლფასოვანი სახლაური, რომ დიდი სიმაღლიდან გადმოტყორცნილთა ნებივრობა მხოლოდ დაცემამდე ხანგრძლივდება.

156. ერის ბედს წინამძღოლი ჭედავს, ამიტომ ღვთის წინაშე სამეფო პატივის შესამოსად ერის რჩეული შეიღობაც არ კმარა. ის, უპირველესად, უნდა იყოს ღვთით რჩეული, რომელსაც ასევე უნდა გააჩნდეს რჯულიერი სამღვდლო პირისაგან კურთხევა, რათა უყელის წინაშე წარმოჩნდეს

ერის მართვის მაღლმოსილებით აღჭურვილი.

157. საქართველოს სიღვწიერით გათანგულ შვილებო! გწადიათ ბედნიერება? იგი მოიპოვება ღვთის გულის მოგებით. თუკი გნებათ იმერათ მეცნიერება ღვთის გულის მოგებისა, ისმინეთ: ღვთის გული მოიგება კვლევის რჯულმოსილებით, მმართველის მირონცხებულობითა და გაწარმართებული ერის გაქრისტიანებით. სწუა საშუელი ამ ცისკვეშეთში საქართველოსთვის არ მოიძიება!



ვარია, მაგრამ მას უთუოდ სჭირდება მმარ-
თველი. ეს უნდა გვწამდეს და გვეუროდეს.
თვითმფრინავეი თავისთავად უნიკალური სა-
შუალებდა, მაგრამ იგი ციდაჟიანად განწირუ-
ლია, თუკი პულტთან პილოტი არ მიეუშვით.
აპოკალიფსისის მეექვსე ბეჭდის ქარიშხალი
ჯერ კიდევ წინაა. კარგი არ ელოდება ქვეყანას,
სიბრძნეს უნდა მოეუხმოთ!

9. ენა უძველოა, ყველაფერს იტყვის; მერე
ღვთის წინაშე პასუხია საგები.

შენი ავადმყოფობა შენივე ენის ქვეშაო,
რომ ბრძანებს უფალი, სხუას არას ნიშნავს,
თუ არა იმას, რომ სიკვდილი ენის წვერიდან
იწყება. ენის მესაკუთრეს გონება იმისთვის
მიეცა, პატრონობა გაუწიოს ენას. თავის
ნებაზე მიშვებული ენა ლაქლაქებს და
ცხოვრებას ურთულებს პატრონს.

10. „შენი ქვეყნის მთავარს ნუ შეურაც-
ხყოფ“, — გვაფრთხილებს ბიბლია. ენა კი მა-
ინც ტიტინებს, რადგან პატრონმა არ შეის-
მინა, რომ რანაირ ხელმძღვანელსაც იმსახუ-
რებს ხალხი, უფალიც ისეთს უნიშნავს. მძა-
გებული ქვეყნის მთავრისა უფლის მსჯავრის
წინააღმდეგობა, რის გამოც უმეტეს სასჯელს
შეუღებება ვერი.

12. ხალხი როცა მწყემსის გარეშე ინებებს
ცხოვრებას, ახლა რომ ჭირი გვჭირს, იმნაირ
ჭირს ვერ აიცდენს. უნდა დავიჯეროთ,
მთავრობის მიმართ რიდი თუკი განელდა,
ბოროტებისაკენ გზა ხსნილია, რადგან
არავინაა უსამართლობისათვის დამსჯელი.
მანვილიც იმიტომ დაკიდა ღმერთმა მთა-
რობას, დამნაშავეს დასჯის შიში რომ ჰქონ-
დეს. მთავრობა ხალხის პატრონია. იგი ერის
თავია. ეინც იტყვის, თავს არ დაუეჯეროთო,
საკუთარ ფეხებს ის გაურთულებს საქმეს და
ვერ განერიდება ნაკვერცხლებს, სანამ ვერ
მიხვდება, რომ ფეხი თავი არაა.

13. ადრინდელმა დისიდენტებმა ადრინდე-
ლი მთავრობის, კერძოდ, შვედრდნამის მისა-
მართოთ საყვედური გამოთქვეს: ჩვენს დისი-
დენტურ მოძრაობას ხელს უშლიდაო. ეს
ისეთი პრეტენზიული განცხადებაა, ქურდებმა

რომ საჩივარი წარმოვიდგინონ: პოლიციამ
საქმე გაგვიჭირაო! განა ყველა თავის საქმეს
არ აკეთებს?

13. მეც გახლდით კომუნისტური პარტიის
წვერი, სხვა პარტია არ არსებობდა, ასარჩ-
ვეად რომ მქონოდა საქმე. 1975 წელს გავედი
პარტიის რიგებიდან. ცოტა მოგვიანებით ასე
მოიქცა შეგარდნაბეც. ჩვენი ღვაწლი იმით
განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მე გავე-
ქციე ურჩხულს, ხოლო შეგარდნაბეც შეება
და მოკლა იგი. რითი მოვიწონო მის წინაშე
თავი?

14. კაცის გული ღმერთმა იცის, საქცი-
ელსა და ღვაწლში ვლინდება მისი კაცობა.
დაეცადოთ, დაეაკვირდეთ. ჩვენს მიერ ასე
გამბეჭებული კაცი თუკი ჩვენს შვილებს
დააპურებს და დაარწყულებს, თუკი ფეხები-
დან ნაკვერცხლებს გააცლის, თუკი ღვთი-
საკენ საველ გზას არ ნაგვიზივს, გვალო-
ციენებს და სასუფეველს გვაზიარებს —
უმეტესი რაღა მოვთხოვოთ.

15. გმირად იბადებიან. გმირის გაზრდა
შეუძლებელია. გმირი იმიტომაა გმირი, რომ
ნებისმიერ მოქმედების ველში გმირული საქ-
ციელის უნარი და შემართება გააჩნია. გმირს
წინამძღოლობისა არ ეშინია, რადგან წინა-
აღმდეგობაში იძებრება. რომელი მრწამსის
ქვეშაც ინებებს დგომას, იმ მრწამსის გმირად
იქცევა. პაველ მოციქულიც ქრისტეანების
მტერი იყო დაუძინებელი; ჯაბანი არ გახ-
ლდათ, გმირულად უტყვედა ქრისტეანებს.
მერე, როცა ქრისტეანობის არსი იწამა, საქ-
რისტეანოს გმირი გახდა.

16. ჩემო შვილებო, ძმებო და დებო, აპოკა-
ლიფსისის მეექვსე ბეჭდის მოხსნის ჟამი
გეიახლოვდება. ღვთის რისხე: ცეცხლად
მოუღინება. ლუდამიწის მესამეს ნგრევა ეშუქ-
რება. როგორ მოვიცქეოთ? მოვიცადოთ
ფსკერგაყარდნილ ხომალდზე საქიმადო, თუ
ერთად ვიდევანოთ მის გადსარჩენად?!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

17. უმთავრესი საზრუნავი ისაზრეთ, შეიძლება!!!

პირმართა წინაშე სიკვდილს ვინატრებთ და სიკვდილი გაგვექცევა. მოსასწრებია ლუკმა პურის შოვნა, მერე გვიან იქნება... სიცოცხლის შენარჩუნებისა და გადარჩენის სამასწურში – ყველა, ვინც უნდა იყოს ის! დღევანდელი ცარიელი ბეღელი ხვალისდელი სიკვდილია ჩვენი შეილებსა. მერწმუნეთ, პოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე მოთამაშეებს დიდად არაფერი უჭირთ, ფიგურები კი იწირებიან. ეს ფიგურები ჩვენ ვართ თავად და ჩვენი შეილები. ვის შეეწიროთ საკუთარი შეილების სიცოცხლე?! ვის შეეწიროთ ჩვენ?!

18. წინ დიდი საქვეყნო უბედურებაა გადასატანი!

ტყვიელი დიდი მიაყენეს ჩვენს სამშობლოს. თორმეტ რჩეულში ღმერთს ერთი თუდა გამოერია. ასჯერ მეტი ხომ ასჯერ მეტი იუდა მოიყრიდა თავს. ავის მქმნელს რომ კარგი არ შეხვდება, ამაში მერწმუნეთ. ვიცი, დაჭრილი ხართ გულში, ამიტომაც ასეთი მძინვარე არავის უნახავხართ. სტუმართმოყვარე და რაინდი ხალხი უღირსთა საქციელმა გაგამწარა, მკვიდრმაც კარგად შეითბო შენზე ხელი, ბევრ ცუდ საქმეს უწინამძღვრა.

19. მეგრელი – კაცი, რომელსაც ოჯახში თუ რამ საუკეთესო ვებადა, სტუმრისთვის, „ხასუშაროდ“ რომ მიგიჩნევია, – ისეთ რა ყოფაში ჩაგაგადეს, რომ სასიკეთოდ მოსული სტუმრებისთვის ჭიშკარი მიგახურინეს. აი, მიხეზი! აი, უბედურება! აი, ძმათა შორის ეშმაკის ჩადგომა.

20. შეწყვეს ყოველგვარი შფოთი. ვიფიქროთ უმთავრესზე. მაღლობა შეეწიროთ ყველას, ვისაც უფალმა ჩვენითვის წყალობა გააღებინა. ერის სამსახურში – დიდ-პატარა! როცა უბედურებას თავს დაკვალწვეთ, კაცობრიობის შესამედი მოწყდება დედაძინაზე.

შიშის გამო შეგვანება ტანზე მძულვარება და საგაზაფხულოდ კვლავ სიყვარულით გავივირტებით.

21. თუკი ანგელოზმა დედა ღვთისმშობელს ბოლო ჟამისად იბერიის (საქართველოს) გაბრწყინება აუწყა, როგორც მისი წილხვედრი ქვეყნისა, იოანე-ზოსიმემ ღვთის წინაშე საქართველოს ვალმოსილების საიდუმლო გახსნა: ენითა ამითა (ე.ი. ქართულითა) ეუწყოს კაცობრიობას მეორედ მოსვლის საწამებელი. გიზაროდენ, ჩემო შეილებო! ეს კი სახარების ბოლო ქადაგებისა და მეორედ მოსვლის უწინარესი სამზადისია. ამგვარი მესიანური ფუნქცია უბოძებია გამჩენს საქართველოსთვის, დედა ღვთისმშობლის წილხვედომილი ქვეყნისათვის!

22. საქართველო უძლეველია!

შეიძლება მეფემ მიეცეს რაიმე წარსტაცოს, მაგრამ ვის ძალუმს ცის დიდუფალს – ღვთისმშობელს მისი წილხვედრი ქვეყნის შეილები მკერდიდან მოჰგლიჯოს, ან მისი კუთვნილი ქვეყანა დაუქუცმაცოს?!

23. აწ უწინარეს, რომელთაც თავი არ შემორგონ ღვთისმშობლის საფარველქვეშ, განდგომა უწადინიათ ღვთისმშობლისაგან და მიქცეულან კიდეც მგლის ლუკმად.

24. მთელი მსოფლიო ხელს რომ გვიწვიდის საშველად, ეს უფლის ნებაა, რამეთუ ნაბრძანებაა აპოკალიფსისის მეექვსე ბეჭდის მოხსნისას, – როცა დედაძინის შესამედი ინგრევა, – ღვთისმშობლის წილხვედომილი ქვეყანა უნდა გადარჩეს. ქართველთ ნაშიერნო, ღვთისმშობლის საფარველქვეშ ყველანი!

25. გილოცავთ, კოლხნო! ღვთისმშობლის მკერდზე მიგიჩინათ ღმერთმა ადგილი. ეს პატივი ძმებსაც ახარებს, ირწმუნეთ, ის ნაწილი ნასწარმუცქველეთ იბერთა პატივი ქართული სიტყვიერებით კოლხის ბაგიდან გაფრინდება. ასე გაცოცხლდება „ლლაზარე“ – ერთ მუშტად შეკრული საქართველო და მამინ ქვეყნად ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება. ბაჯადლო ოქროსაგით ვიბრწყინებთ მთელ დედაძინაზე.

ამგვარია დედა ღვთისმშობლის წილხედო-მილი ქვეყნის ბედი.

26. დაეიამოთ ტკივილები. უკადრისის მკადრებელს არ ასცდება ღვთის რისხვა. მაცხოვრისეული დათმენა და სულგრძელობა! ნუ დაგაიწყდებათ — ყველა მიცვალებულს აღდგომა ელოდება. ეს დღეც შორს არ არის და კვლავ გაიხარებს თქვენი გული. ამ მრავალსაუკუნოვანი მონობის ბანგით გათანგულნი როცა გამოვერკვევით და მივხვდებით, რომ მარჯვენას მოგვეკეთენ თუ მარცხენას, ორთავე ჩვენი ტანის ტკივილია, გამჩენიც სხვა თვალით გადმოგვხედავს. როცა ორი წყალწალბეულიდან ერთი ხელს შემოჰკრავს მეორეს, უარესი ჭირის შემყურე ჭკვიანი ვერ მოიცილის საპასუხოდ. გულდრძობს ბოღმა დაანარჩობს, მთავარი საზრუნავი დაეწყდება და სიცოცხლეს დაკარგავს.

27. — როცა აღსდგეს ერი ერზე, ძმა — ძმაზე, მამა — შვილზე, იქნეს მიწისძვრები დიდი, მოახლოებულ არსო ჩემი მოსვლა, —

ბრძანებს უფალი და იქვე დასძენს, — ეს არის ავაღმყოფობის დასაწყისიო.

28. დააკვირდით დღევანდელი მსოფლიოს მშფოთვარებას, როგორც ვხედავთ, ეს არ ყოფილა დასასრული; ხელა შეიძლება ზღვის მშფოთვარებამ ისე იმძლავროს, კარგად მოწესრიგებულ ხომალდებსაც კი გაუჭირდეთ გადარჩენა, ამიტომაც გემართებს სიფხიზლე, ჩვენც ახლა გეჭირდება გონიერება. მერწმუნეთ, შეილებო! არც ისე შორიდან ისმის ქურანის ფლოტების თქართქური. საქართველო სამეფო გვირგვინით გაბრწყინდება. და რომ იცოდეთ, გვირგვინმოსილი ზეციდან კი არ დაეშვება, არამედ დღევანდელი მთავრობის მხრებზე შემოდგება.

29. გონიერო!

მოდის ნანატრი დღე! საქართველოს ხვალინდელ პატრონს ნუ გამოვაცლით ფეხებიდან დღევანდელ საყრდენს!

გფარავდეთ ღმერთი!

5 აგვისტო, 1992 წელი,
თბილისი



თ ა ვ ი ა მ რ ვ ი დ მ ე ტ ა

ვერას დავამდურებთ უფალს, ანუ აღდგინ, ლაზარე!

(ვახუთი „აღდგენი ღმერთი“, 1992 წ., ნომბერი, №10)

1. ღმერთის გარჩენილ ქვეყანაში ღმერთი განაგებს ყოველივეს, მისი ნებისა და სურვილის გარეშე ცის კაბადონს ვარსკვლავი

არ მოსწყდება. ჩიტი რომ ჩიტა, ისიც უფლის ნების გარეშე სიცოცხლეს ვერ დაასრულებს, უსულუ ქვაც კი ღმერთის ნების მოყურადეა.

გაზეთი „აღმდგენი ღმერთი“

ღმერთი შეიწყალებს და ღმერთი სჯის. იგი იცავს თავისიანებს, რომელთათვის სამარად-ჟამო საცხოვრისი მიუჩნია და მფარველობს იმათაც, რომელნიც დამსჯელ რაზმად ჰყავს ურჩთა საფხიზლოდ. როგორც გოლიათი თავისი ძალისხმევით ვერ გადარჩება, ასევე ვერც მეფე დაიხსნის თავს ჯარის სიმრავლით, რამეთუ უბრძანებია უფალს: ამაოდ ფხიზლობენ ჯაღაბნი, როცა მე გავწყრები, სწრაფ-მბროლი ცხენებიც ვერას გიმშველიანო!

2. საქართველოს ცაზე ღვთის რისხვაა!!! მიზეზი?

გუქმებულია დიდი რჯულისკანონი, რის შემდეგ სექტანტები: იულოველთა, ბაპტისტთა და სხვათა სატანისტური ქადაგებებით გონ-წართმეულებმა ღვთისმშობლისა და მაცხოვრის სატების, ჯერების გადაყრა იწყეს ღვთის-მშობლის წილხვლომილი ქვეყნის შვილების სახელით!.. აი, უფლის რისხვის მიზეზი!

3. ქრისტეანობას იჩემებთ და არც ერთს ქრისტეანული ნათლობის ბეჭედი — წყალში სამკურ შთაფლვით მიღებული — არ გაგაჩნიათ. რჯულისმიერ მოწოდებას განერიდეთ და გულში გაიშორწმუნეთა ერეტიკულ თეზისებს იკრავთ დიდი რუღუნებით. სწორედ ამიტომ ტირის თქვენი გული, რამეთუ გული იგი, საუფლოდ ბოძებული, ფუჩჩრით გაგივსნათ.

4. სანამ გინდათ ატყუოთ საკუთარი თავი! თქვენ ბრძანდებით წყალკურებითი ნათლობით შებღწულნი და არ იცით, მოციქულთა მიერ დაკანონებული ნათლობის გარდა ყველა სხვა ნათლობა, მათ შორის, წყალკურებითიც, ერეტიკულია. ამას ადასტურებენ მსოფლიო პატრიარქების ოროქსები და მოციქულთა 50-ე კანონი.

5. სანამ ზემოთქმულს არ დაიჯერებს საქართველო, ვერ განერიდება ღვთის რისხვას. კიდევ დიდხანს ველოდოთ ჩვენი შვილების სისხლიდან დაწერტას?!
6. სამი წელია გაფრთხილებს საქართველოს უბედურების მოახლოების თაობაზე, მაგრამ არც ერთმა მთავრობამ ეს გაფრთხილება ყურად არ იღო. ვერც ახალი მთავრობა იხსნის თავს, თუ გონს არ მოეგო და არ ისმინა საღვთო გაფრთხილება.

7. ქართულ ეკლესიას ისტორიული ჭირი მოსდევს და იგი სასწრაფოდ უნდა განიწმინდოს ერეტიკული მინარევებისაგან, რის შემდეგ ღმერთი მიხედავს საქართველოს, არადა განწირული კართ შესაძუსრად.

8. გაიხსენეთ ბიბლიური განაწესი: რაც უნდა მცირე ერი იყო, თუკი იცხოვრებ ჩემი კანონების მიხედვით, შენგან განვდევი მძვინვარე მხეცებს და შენი ვენახის ნაყოფს შეგატყვე უშფოთველად...

9. და თუკი ვერ იცხოვრებ ჩემი კანონებით, მაშინ მოვისებ მტერს, გაგველფეს იგი შენ, შეგებილწება ცოლქმრული სარეცელი, დაგადევნებ ხმაღს, შიშით, შიმშილით და წყლულებით დაეცემ შენს შვილებს. მიწას რკინად ვაქცევ, რომ ბალახმა არ იხაროს და თუ კიდევ გონს ვერ მოეგე, საკუთარი შვილების ხორცს შეგატყვე (ლევ., 26). უნდა ვიფხიზლოთ. ქართველებმა ყური დაიხშეს, რათა არ ისმინონ ეს კანონი. ეს ის რჯულმოხილუბაა, რომლის გარეშე ქვეყანა მკვდარია.

10. — ღმერთო, მიშველეო! — იტყვის ქართველი. ასევე ამბობდა უწინარეს მტრის ხახაში მოქცეული ისრაელი ერი. ღმერთის პასუხი კი ამგვარი იყო:

„ხელებს რომ აღაპყრობთ, თვალს გარიდებთ; ლოცვას რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ...“ (ეს., 1, 15).

11. განრიდებულია ერის მიერ უფლის კანონი და ამიტომაც ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი:

„ცვალეს შენი წესდებები და რჯულდებები და მიტომატ წყველა მუსრავს ქვეყანას“ (ეს., 24, 5-6; თარგმანი რუსული ბიბლიიდან).

12. „საკუენე სიხნელის ოკენაში ცურავს, რამეთუ კანონი შენი დასწევს, უფალო, და

არ იცინა რა უნდა აკეთონ“ (3 ეზრ., 14, 20-21; თარგმანი რუსული ბიბლიიდან).

ერის ორიენტაციის დაკარგვის საბაბად ეზრა წინასწარმეტყველი ღვთიური კანონის გაუქმებას გულისხმობს (3 ეზრ., 14, 20-21), ერის უბედურების მიზეზად კი რელიგიური სწავლების ორთოდოქსული (მართლმორწმუნეობრივი) სახის ცვალებადობას (3 ეზრ., 7, 23-25).

13. ფრთიანი კაცის ჩამოსვლას ნუ ელოდება საქართველო, ისმინეთ ღვთიური გაფრთხილება უფრთო კაცისაგან. სატანურმა ამპარტაყენებამ შეაძულა ღმერთს ჩვენი თავი. გარეგნულ კეკლუცობას დაეჯერდით, შინაგანად გამოვიფიტეთ, საქვეყნოდ რჩეული ქრისტიანები წარმართებად გვაქციეს და დღემდე გვიძინავს. ეს დარტყმებიც ჩვენს გამოსაფხინოვლებლად გვერგო. ვერას დავემდურებით უფალს.

14. ვიეთნი იტყვიან: მაშ, რაღა დედა ღვთისმშობლის წილხელომილი ქვეყნის შეიღები ვყოფილვართო!..

დახს, ებრაელებიც იყვნენ ღვთის რჩეული შვილები, მაგრამ როცა განირიღეს უფალი თავიანთი საქციელით, გაიცა უფლის ბრძანება: „მოხუცი და ჭაბუკი, ქალწული, ბავშვები და ქალები სრულიად ამოხოცეთ; ვისაც ნიშანი ადგეს, ხელი არ ახლოთ. ჩემი საწმიდარიდან დაიწყეთ... გააუწმიდურეთ ტამარი და ააესეთ ეზოები დახოცილებით...“ (ეზეკ., 9, 6-7).

15. ამიტომაც გვაფრთხილებდა პავლე მოციქული, ქრისტიანებო, თქვენ ისრაელებზე დამყნობილნი ხართ, ფრთხილად იყავითო. მაშინ, როდესაც უფალმა მისი რჩეული ხალხი არ დაინდო ურჯულოებისა გამო, მასზე დამყნობილებს უარესი გელოდებათ. და ამ უარესს სადღისოდ უკვე ვიძიებთ.

16. როდესაც უფალი ერს შესთავაზებს სიცოცხლისა და სიკვდილის გზას, სიკვდილის გზის ამომრჩევი ერი სიცოცხლის მიღმა დარჩება, საზღაურსაც არჩევანის ტოლფასოვანს მიიღებს. საქართველომ უარი გა-

ნაცხადა რჯულის დაბრუნებაზე, რითაც მან სიკვდილის გზა აირჩია. ვერას დავემდურებით უფალს. სიცოცხლის მოსურნე სიკვდილს არ აირჩევდა.

17. ისე როგორ დაგაბრძავათ თქვენმა ცოდვებმა, რომ რჯულისაკენ მოგიწოდებთ, თქვენ კი ურჯულოებას ემზრობით; ხოლო როცა გეტყვიან: ნოეს კიდობანი ხარაგულის მთა ყოფილაო, ტაშისცემით ქვეყანას გააფრუებთ. ამიტომაც: საესეს — საესე, ცარიელს — ცარიელი; ბოლოს რაზეც წავგასწრებენ, იმის მიხედვით გაგვასამართლებენ. იცოდეთ, საზღაურს ცეცხლის სუნი სდის. ძლიერნი ამა ქვეყნისანი კელავ ფილოსოფოსობენ საკუთარი სიბრძნით აღფრთოვანებულნი. მცირე ხნით ზეიმობთ ხოლმე, მერე დიდხანს გიწვეთ ტირილი, რადგან თქვენს სულში დავანებული არ არის უფლის სიბრძნე და ვერას იღვენთ საუფლოდ. უფალი მხოლოდ ხატებზე და კინოფილმებში მოეწონთ. ნამდვილი უფალი და მისი კანონი კი დიდი ხანია დაევიწყეთ. ერი და სახელმწიფო, რომელიც ღმერთს არ ემსახურება, განწირულია.

18. 70-წლიანი კომუნისტური დიქტატურის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გამოშვებული კადრები, რა გასაკვირია, ათვისტური დამღით იქნებოდნენ დაღალულნი; თუმცა სადღისოდ ბერმა მათგანმა იპყურა თვისტური სუნამო და განახლებულ ღვთისმოსავად წარმოგვიჩინა თავი. მორწმუნეებად რაცტენ თავს. მათი ურწმუნოება კი მაშინ ჩანს, როცა ქვეყნის საჭირობოროტო საკითხების გადასაჭრელად ნაცნობ პროფკავშირულ და ძველპარტიულ სიბრძნეთა ყულაბაში იწყებენ ქექვას.

19. მერწმუნეთ, ურწმუნოებო! რწმენის სწავლება შეუძლებელია, რელიგიის ისტორიის ზედაპირული ცოდნა სრულიადც არ ნიშნავს ჭეშმარიტ თეოლოგიურ განათლებას. ამგვარი მორწმუნისათვის, რა თქმა უნდა,

ცუდს არაფერს ნიშნავს რჯულისკანონი, მისი ღვთიუმობილება ქრისტეს სახელისა და ზარის გუგუნის მიყურადებით კმაყოფილდება. არადა, სწორედ აქ წყდება ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

20. კერპები გიყვარს, საქართველოვ! და ამ კერპს შეგიძლია ღმერთიც კი ანაცვალო!

21. ჩვენს გასაჭირს ვერ უშველის ვერანაირი მთავრობა და ვერანაირი თანადგომა. დასასჯელი ისჯება, რადგან ოქროს ყველაზე ნაკლებად აპატიებენ ვერცხლობას, ვერცხლს — ჯართობას, ჯართი კი მუდამ ჯართია. ნიცრუის ერთგულება ღვთის რისხვას ნიშნავს. შეგიძლია ჩვენი უბედურება მივაწეროთ ჩვენებს, ოსებს, აფხაზებს, რუსებს და მტრებად ვრაცხთოთ ისინი, მაგრამ ვის დაეაბრალოთ, როცა ღვთის ტადრები მიწისძვრისაგან თავზე გვემსხვრევა, როცა ზეაკვებში ვინჩრობით და პირმორღვეული მიწა სოფლებს შთანთქვას. საქართველოვ, განკრთი მთველემარებიდან, დაბრუნე სიცოცხლე — წართმეული ჭეშმარიტი ქრისტეანობა; სხვა შენთვის სიკვდილია!

22. რას გულისხმობს „აღდგენის ღმერთი“ ჭეშმარიტ ქრისტეანობაში? რა აზრს აქსოვს იგი სიტყვებში — „საქართველოვ, განკრთი მთველემარებიდან!“

23. და საერთოდ, რა გაზაზე გვაქვს ლაპარაკი! ჩვენი გაზეთის ეს სპეციალური გამოშვება სწორედ იმ პრობლემას აცნობს მკითხველს, რაც ჭეშმარიტ ქრისტეანობას, მაილი რჯულისკანონის დაბრუნებას, სწორ ნათლობას და, საერთოდ, სალოთავების დამკვიდრებას, მადლმოხილი ქართული საეკლესიო ცხოვრების აღდგინებას მოასწავებს.

24. ირეკდით და განგელოთ თქვენ, — ბრძანა უფალმა.

მაშ, ვის უნებობს ზარი დღეს?

აღდგენი, ლაზარი!

25. უმოკლეს ვადაში აფხაზეთი დიდი ცეცხლის კერად იქცევა. ივნება მიწისძვრები, წყალდიდობები, ზეაკვები, შიმშილობა და წყლულეანია.

26. რუსეთში ელცინის მთავრობა სასწრაფოდ ემზობა. იწყება ბრძოლა ადრინდელი რევოლუციის დასამყარებლად, ტახტს იკავებს დანიელის წინასწარმეტყველების მათე მეფე-აპოკალიფსისის მიხედვით, მხეცის ქვეყნის მერვე მეფეს სიკვდილი ელოდება. დანიელის წინასწარმეტყველება მათე მეფის შესახებ ემთხვევა იოანეს გამოცხადების შემდეგ პერიოდს;

27. „მხეცი, რომელიც იყო, არ არის“. ეს წინადადება გვაუწყებს მერვე მეფის გადაადგენას და მეცხრის აღზევებას, ხოლო შემდეგი წინადადება: „და მოვა“, დანიელის მიხედვით, მათე მეფის მოსვლას მინიშნებს. „და წავა წარსაწყმედელში“, მაგრამ ვიდრე წავიდოდეს, დაანგრევეს მსოფლიოს, მათ შორის იერუსალიმსაც. ნგრევა უწერია სირიას, ლიბანს, ეგვიპტეს და ყველა ღვთიური ჭეშმარიტების მოძალადე ქვეყანას. კარგი დღე არ დაგვადგება ქართველებს, სომხებს, მუსულმანურ ქვეყნებს.

28. ამის შემდეგ დგება მსოფლიო თვით-გამორკვევის ჟამი. ღვთის სიტყვა სასწრაფოდ შემოივლის დედამიწას. 1994 წელი — ენა ქართული შეიძენს ღვთიურ მადლს. ხდება ის, რაც იწინასწარმეტყველა იოანე-ზოსიმე ჯერ კიდევ მათე საუკუნეში, რაც იწინასწარმეტყველა იოანე ღმრთისმეტყველმა — მეექვსე ბექტლის მოხსნის შემდეგ პერიოდში; იწყება ღვთიური ბექტლის, ანუ ჭეშმარიტი ქრისტეანობის მიღების პროცესი, დგება სახარების ბოლო ქადაგების ჟამი. ამის შემდეგ მოიხსნება მეშვიდე ბექტლი და უფლის მობრძანების დღეც დგება.

29. რითი უნდა შეხედვს საქართველო ამ გასაჭირს?

პირველ რიგში, გაწარმართებულმა საქართველომ უნდა დაიბრუნოს დაკარგული ქრისტიანობა. ეკლესია უნდა დაეფუძნოს რჯულისკანონს, საქართველომ უნდა აღიდგინოს მართლმადიდებლური ნათლობის პირვანდელი სახე — წყალში შთაფლვითი ნათელღების წესი. მთავრობას ევალება ამ საღეთო პროცესისთვის ხელის შეწყობა. ყოველი მოძალადე მოწოდება.

30. საქართველოს ჭირის სიმძიმე ან სიმსუბუქე დამოკიდებული იქნება ამ ღვთიური განკარგულების აღსრულება-არაღსრულებაზე. ნაკლები იმედი იქონიეთ კაცისა, ღვთის ფრთებს შეეყუთეთ. სხვა ხსნა ამ ურთულეს ჟამს არ არსებობს. ყველაზე უკეთესი შანსი თავის გადარჩენისა მსოფლიოში ქართველებს ებოძათ. გონიერება საჭიროა ახლა, როცა ღმერთი სიცოცხლისა და სიკვდილის გზას გეთავაზობს. ავირჩიოთ სიცოცხლის გზა.

„სინათლის ფასი მათ იციან, რომელნიც სიბნელეში არ ცხოვრობენ“

გულწრფელი
დიპლოგი
ღვთის მსახურთან

31. — ვიდრე დიალოგს დაეიწყებდეთ, მინდა მოგმართოთ ასეთი კითხვით: რამდენი ღმერთი არსებობს?

32. — ერთია ყოვლის გამჩენი ღმერთი, ქრისტიანებს ჩვენ იგი სამების სახით წარმოგვიდგა.

33. — დიდება ყოვლის გამჩენს. თქვენ ბრძანდებით საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსი. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ კონფესიის შესახებ და რა აუცილებლობამ გამოიწვია მისი დაფუძნება საქართველოში?

34. — თუკი მორწმუნე ხარ, უნდა იყო მართალი კონფესიის მესაკუთრე. დღევანდელი მსოფლიო ეკლესიების მიერ დიდი

რჯულისკანონის გაუფასურებამ მაიძულა მეძებნა ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ტოტი, რამეთუ ვიცი, რომ უფლის ეკლესია ვერ იქნება ჯოჯოხეთის ბჭით ძლეული. ერის ცრუმანუებლები და ზარების ამაოდ მოწკარუნე ტაძრების სიმრავლეში არ არის კაცობრიობის ხსნა, არამედ რჯულის პყრობაში, რასაც დავით აღმაშენებლისდროინდელი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენილებაც გვიდასტურებს:

35. „ეს არის წმინდა და საეკლესიო კანონთა კრებული (დიდ რჯულისკანონზეა ლაპარაკი. — ი. ი.), დაბჭვლილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტყიცედ ჰყრობა მართებს ყველა ქრისტიანული მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდლებსა და დიაკვნებს, ჩვენს შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას. ჩვენ ეს ყველაფერი იმიტომ ვახსენეთ, რომ თავიდანვე ჩვენი სიტყვის სახე განეშარტოთ“ (რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა).

36. ასე რომ, ვიწყებ ძებნა და მივაკვლიე კიდევ ზემორე ხსენებული კანონის დამცველ ეკლესიას. ეს გახლავთ ძველმართლმადიდებლური, ანუ სტაროვერული კონფესია.

37. — საქართველოსათვის გაუგებარაა, რა არის სტაროვერობა ან რატომ უწოდებენ მის მიმდევართ „რასკოლნიკებს“?

38. — დიან, ზოგნი სექტანტებსაც კი უწოდებენ მათ, მაგრამ უეიცობის გამო სჭირთ ეგ რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას მათი შეხედულებები, თავად იხილეთ:

39. ამაოდ ჰგონიათ, რომ ძველმორწმუნეებს ახალი ისტორია გააჩნიათ. სინამდვილეში, თუკი გავითვალისწინებთ ბერძნული მართლმადიდებლობის გაერცვლებას მსოფლიოში, იგი, როგორც საქართველოში, ასევე

გაზეთი „ალდეგინ ღმერთი“

რუსეთშიც ერთნაირი სახით შემოვიდა. განსხვავება მხოლოდ დროშია: საქართველომ იგი მეოთხე საუკუნეში მიიღო, ხოლო სლავებმა მეათეში მიიღეს. ეკლესიათა ცენტრალიზაციის მიზნით, მეჩვიდმეტე საუკუნეში მეფე ალექსეი მიხაილის ძემ და ნიკონ პატრიარქმა გადაწყვიტეს, შეეყვანებინათ თავიანთი იმდროინდელი ეკლესიური სწავლება მსოფლიო საეკლესიო სტანდარტებისათვის, კერძოდ, ახალ ბერძნულ სწავლებასთან.

40. ესე იგი, ნიკონი და მეფე ალექსეი რუსეთის სთავაზობდნენ სახეშეცვლილ მართლმადიდებლობას, რასაც რუსი მართლმორწმუნე საზოგადოებრიობა აუმხედრდა. მთელი რუსეთი სისხლის მორევი აცურდა, ვინაიდან მართლმადიდებლობა არსებობს მხოლოდ ერთგვარი — ძველი მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი წოდება, ყველაზე უკეთ მათ დაიცუვეს და შემოინახეს რჯულისკანონისმიერი წესდებები. თუკი სხვასაც გაუჩნდება ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის პრეტენზია, მან ეს უნდა დაამტკიცოს თავისი რჯულმოსილებით, ვ.ი. უნდა იყოს დიდი რჯულისკანონის განუხრევლად აღმსრულებელი.

41. მთავარი ის კი არ არის, ვინ რას გიწოდებს, მთავარია, უფლის თვალში რას წარმოადგენ. თუკი ვინმეს ნებაეს სწორი განმარტება ჰქონდეს ძველმორწმუნეობაზე, იხილოს შემდეგი დოკუმენტები:

42. დოკუმენტი პირველი:

„გამოჩნდა მისწრაფება ნიკონისა გამოიყენოს რეფორმა ეკლესიათა ცენტრალიზაციისათვის და პატრიარქის ძალაუფლების გაძლიერებისათვის, რამაც უკმაყოფილება და ძალისმიერი ზომების გამოყენება გამოიწვია; ნიკონმა გაატარა წესი ახალი წიგნებისა და წეს-ჩვეულებათა შემოტანის თაობაზე“ (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 21, გვ.1385).

43. დოკუმენტი მეორე:

„ნიკონმა საღვთო წიგნების სწორება დაიწყო თანამედროვე ბერძნული ნიმუშების მიხედვით და შეცვალა ზოგიერთი წეს-ჩვეულება: ორი თითით პირჯერის წერის წესი შეცვლილ იქნა სამი თითით. საეკლესიო მსახურების „ალღელუია“ თუკი ადრე ორჯერ ითქმოდა, დაადგინა სამჯერადი „ალღელუია“... (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 24, წიგნი I, გვ. 1273).

44. როგორც ნახეთ, სტაროვერებს კი არ მოუტანიათ ახალი სწავლება, არამედ თვით ნიკონს.

45. დოკუმენტი მესამე:

„აქ აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ნიკონსა და მის თანამედროვეთ არ ჰქონდათ სწორი წარმოდგენა ბერძნულ და სლავურ ეკლესიებში საეკლესიო წეს-ჩვეულებათა განსხვავებულობაზე. მხოლოდ მოგვიანებით, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა ისტორიკოსების შრომებით იქნა დადგენილი, რომ საეკლესიო ჩინი და წეს-ჩვეულებანი მეჩვიდმეტე საუკუნის რუსულ ეკლესიას ჰქონდა ნასესხები მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეების კონსტანტინოპოლის ეკლესიისაგან. ხოლო მეთერთმეტე-მეთხუთმეტე საუკუნეებში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ბერძნულ ეკლესიებში მოხდა ცვლილება, რამაც გამოიწვია მათი ეკლესიის განსხვავება რუსულთან. შედეგი ის იყო, რომ ამგვარმა სახეცვლამ ასევე პოვა ასახვა XII-XV საუკუნეების თვით სლავურ წიგნებში“ („რუსული მართლმადიდებლობა“, მოსკოვი, პოლიტგამომცემლობა, 1989 წ., გვ. 200). უფრო დაწერილებით ცნობებს იძლევა ბროკჰაუზის ენციკლოპედია.

46. დოკუმენტი მეოთხე:

„შეიცვალა „სლუჟებნიკი“, რომელიც დაიბეჭდა ამავე 1655 წელს მოსკოვში, თუმცა კრებაზე დადგინდა შესწორდეს „სლუჟებნიკი“ ძველბერძნულ და სლავურ „სოტეორიას“ შესაბამისად, მაგრამ, უახლესი გამოკვლევის თანახმად, გასწორება მიმდინარეობდა მხოლოდ ბერძნული „ექპოლოგის“

მიხედვით, რომელიც დაიბეჭდა 1602 წელს, და ეს გახლდათ უმთავრესი საბაზი თავდასხმისა გასწორებულ „სლუჟებნიკზე“ (ენციკლოპედიური ლექსიკონი, ტომი 26, გვ. 289, გამოც. ბროკჰაუზისა და ეფრონისა, სანკტ-პეტერბურგი, 1899 წ.).

47. მაშ, როგორ შეიძლება ამის შემდეგ „რასკოლნიკური“, ანუ გამთიშველური ეწოდოს პატიოსან, მართალ და რჯულისკანონის დღემდე უნაკლოდ დამცველ ეკლესიას, რომლის სათავეც შორეული საუკუნეების ხიდრმეშია? ვინ არის გამთიშველი, ის, ვინც ინარჩუნებს პირველყოფილ სიწმინდეს თუ ის, ვინც რყენის ამ სიწმინდეს? მეძაეი ქალი ვერ უწოდებს ოჯახიდან გაქცეულ ქმარს გამთიშველს; ნიკონიანელებიც თავად ბრძანდებიან გამთიშველები, ანუ რასკოლნიკები; მათ შებილწეს მართლმადიდებლობა. დამერწმუნეთ, ნიკონიანელებსა და სტაროვერებს შორის მართალია ის, ვისაც დღემდე არ შეუცვლია ბერძენებისაგან მიღებული პირველყოფილი სწავლება.

48. ღაა ან დოკუმენტსაც გავეცნოთ:

48. დოკუმენტა მესუფე:

„თანამედროვე რუსულმა საპატრიარქო ეკლესიამ 1971 წელს თავის ადგილობრივ კრებაზე უცხოეთის ქვეყნების ეკლესიათა წარმომადგენლების წინაშე აღიარა ნიკონ პატრიარქის მიერ ჩადენილი შეცდომა, რომელმაც გამოიწვია ტრაგიკული გაყოფა რუსული ეკლესიისა. მათ დაამოწმეს, რომ ძველი წეს-ჩვეულებანი წმინდა და გადამრჩენელი მასსადამე, ამ მიმართულებით ნიკონისა და მეფე ალექსეის მიერ გატარებული რეფორმა უკანონოა, რამეთუ „არ გაანდათ არც კანონიკური და არც ისტორიული საფუძველი“ (მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალი, 1971 წ., №6 და №7).

49. რაც შეეხება „სტაროვერის“ განმარტებას, ენციკლოპედიამი ვითხულობთ:

50. სახელწოდება „სტაროვერი“ ნიშნავს ორთოდოქსული მართლმადიდებლობის მიმდევარს“ (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია,

ტ. 24, წიგნი I, გვ. 1273).

51. როგორც ვხედავთ, სტაროვერები ყოფილან ორთოდოქსი მართლმადიდებლები. ახლა გაეარკვიოთ, რას ნიშნავს „ორთოდოქსი“. იხილეთ უცხო სიტყვათა ლექსიკონი (გამომც. „განათლება“, თბილისი, 1989 წ.).

52. „ორთოდოქსი“ – (ბერძნულად ორთოდოქსო) – მართლმორწმუნე.

„ორთოდოქსია“ – (ბერძ. ორთოდოქსია) – სწორი აზროვნება; რაიმე მოძღვრების განუხრებლად მიმდევრობა; რაიმე შეხედულებათა ურყევი თანმიმდევრობა.

53. მაშ, რა დაგვიწუნეს რუსი ეგზარქოსების მიერ ნიკონიანური ეკლესიის თარგზე აჭირილი ეკლესიის დღევანდელმა მესვეურებმა: ძირძველი მართლმადიდებლობა, რომელიც ჭეშმარიტი მართლმადიდებლებისაგან მივიღეთ, თუ მამულიშვილობა!

54. ბერძენებს რომ ეს ძირძველი მართლმადიდებლობა შემოენახათ, ჩვენც მათგან მივიღებდით მას, მაგრამ ვიცოდით რა მათი ხელმოცარულობა, მკონებულთ გაეუწვდინეთ ხელი. რუსობა კი არ წამოგვიღია, მათ მიერ შენარჩუნებული მართლმადიდებლობა ვიპყარით.

55. მაშინ, როდესაც დღევანდელი საქართველო ოფიციალურ რუსულ ეკლესიას თავის თანამოაზრე ჭეშმარიტ მართლმადიდებლად რაცხს, თავად რუსული ნიკონიანური ეკლესია ძველმორწმუნეობრივი ეკლესიის წარსულ დიდებას მისტირის;

56. „... Русская церковь разделилась. Приверженцы Христово-апостольской веры во главе со священником Аввакумом продолжали исповедовать все прежнее.

57. Странники же Никона в 1656 г. проклали их, объявили раскольниками и подвергли жестким преследованиям. В 1681 г. Аввакума заживо сожгли в

Остроге, но старообрядчество, несмотря на это, продолжало быть” (“Слово Христа”, всемирная христианская газета, №1, 1991, Москва, церковь содружества русских православных христиан).

58. უნდა ესმოლოთ დღევანდელი სიცრუის მღალადებელთ, რომ თავად სატანამ სატანა უწოდა ანგელოზს, ერეტიკოსმა ნიკონიანელებმა კი ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს რასკოლნიკები -- გამოთშველები უწოდეს.

59. სადღეისოდ თვით ნიკონიანელები აღიარებენ ნიკონ პატრიარქის სიცრუეს, როცა საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ნიკონის საეკლესიო რეფორმა დიდი შეცდომა იყო.

60. — რა გაქვთ ხერთო დღევანდელ ქართულ ოფიციალურ ეკლესიასთან?

61. — ხერთო ის გვაქვს, რომ ორთავეს რუსული ეკლესიისაკენ მოგვიხდა ხელის გაწვდენა მას შემდეგ, რაც აღრინდელი ბერძნული მართლმადიდებლობა თეიმურაზ პირველისა და ანტონ პირველის „წყალობით“ შემოგვაცვდა. განსხვავება ისაა, რომ ჩვენ რუსებისაგან სადღეისოდ წამოვიღეთ ის ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა, რასაც ბერძნული ჰქვია, ხოლო მათ ტრაქტატის შემდეგ მოუწია რუსი მეფისა და ნიკონის მიერ შემოთავაზებული სახეშეცვლილი — რეფორმატორული სწავლების წამოღებამ და დანერგვამ, რასაც დღემდე მართლმადიდებლურს უწოდებენ.

62. თუკი ჭეშმარიტად ვინმეს აინტერესებს ჩვენი ძველმართლმადიდებლური ეკლესიის ორიენტაცია, იგი განზღავთ რუის-ურბნისის კრების დადგენილების, ე.ი. დიდი რჯულის-კანონის განუხრელად მიმყოლი ეკლესია.

63. ალბათ იცით, რომ ჩვენ პირჯვარს ორი თითით ვიწერთ, ხოლო დღევანდელი ქართული, ბერძნული, რუსული, ასევე სხვა ერეტიკული ეკლესიები კი სამი თითით იწე-

რენ პირჯვარს. როცა ჩვენ ასე კატეგორიულად ვაღიარებთ მხოლოდ ორი თითით პირჯვრის წერისა და კურთხევის გასაცემი თითების ჭეშმარიტად ძველსა და ტრადიციულ წყობას, ჯერდნობით შემდეგ საბუთებს:

64. წიგნი მაქსიმე ბერძენისა, სადაც მეორმოცე თავში განმარტებულია ორი თითით პირჯვრის წერის წესი. იგივეს მოკვიწოდებს ნიკონ შავმთელიც:

65. „ბოლო წიგნის 94-ე თავში არის განკარგულება ნეტარა მამისა ჩვენისა თეოდორიტოსისა, რომელიც გვასწავლის როგორ უნდა დავიწეროთ პირჯვარი და როგორ გავცეთ კურთხევა: სამი თითი შეგაერთოთ წმინდა სამების ნიშნად, და ორი შეგაერთოთ ქრისტეს ორბუნებოვნების ნიშნად და ვაკურთხოთ გამართული თითებით: იქვე კი ბერძნულად წერია:

66. „ი ტის ოკ ს ფრაგიზეტე მეტა დეო დოკტილა ასკე ო ხრისტოს ნა ნნე აფორის-მენოს“:

67. „ვინაც ორი თითით არ იწერდეს პირჯვარს, როგორც თვით ქრისტე, დე იყოს წყეული“. „სტოგლავის“ 1551 წლის დოკუმენტიც იგივეს იუწყება: „ვინაც პირჯვარი ორი თითით არ გადაიწეროს, ვითარცა ქრისტემ, წყეულიმც იყოს“. გაურკვეველი აქ არაფერია, მთელი საქრისტეანო, ქრისტეს ორბუნებოვნების ნიშნად, პირჯვარს ორი თითით იწერდა. ვგონებ არც ამ სლავურ მოწოდებაშია მოულოდნელი რამ, მათაც წმიდა მამების დადგენილება გაიმეორეს.

68. ასე რომ, ვინც წმიდა მამათა გადმონაცემის წინააღმდეგია, ის შეუდგა თვით ბერძნების მიერ გამოცხადებულ ზემოხსენებულ ანათემას, როგორც ორი თითით პირჯვრის წერის უარმყოფელი.

69. რაც შეეხება ნათლობის წესს, ჩვენ — მოციქულთა ორმოცდამეათე კანონის მიხედვით — წყალში სამჯერ შთაფლვით ნათლობას აღვასრულებთ და გვწამს ჭეშმარიტად, რომ მხოლოდ ეს არის ნამდვილი ქრისტეანული ნათლობა. სხვაგვარ ნათლობებს არ ვცნობთ,

რადგან დიდ რჯულისკანონში საშეღავათო ნათლობაზე არაფერია თქმული. მეტიც, სხვანაირი ნათლობის შემსრულებელნი განიკვეთებიან, წაერთმევათ მღვდლობის უფლება, რადგან ქრისტეს ბეჭედი ორგვარი არ არსებობს. ამგვარი ნათლობის აღმსარებელნი იყვნენ მსოფლიო განმანათლებლები: წმ. ბასილი დიდი, წმინდა იოანე ოქროპირი, პავლე მოციქულის მოსწავლე დიონისე აროპაგელი, და, რაც მთავარია, თვით მოციქულნი.

70. ნათლობის წესი დიდ რჯულისკანონში განმარტებულია სამგზის წყალში შთაფლეთით და არა წყალკუერებითი პროცესით. ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლური კანონმდებლობა, წმ. მსოფლიო კრებათა დადგენილების საფუძველზე, შტანილ იქნა დიდ რჯულისკანონში, როგორც კანონიკური წესდებები. ამ წესდებების ავტორთა სახელები ცნობილია და დადგენილი. ისიც ვიცით, რომ სხვა წმიდა მამებიც არსებობდნენ, მაგრამ მათი ეპისტოლური შეხედულებები მსოფლიო საეკლესიო კრებებს დიდ რჯულისკანონში არ შეუტანიათ. ამდენად, მათი კანონიკურ წესდებად მიჩნევა შეუძლებელია, რამეთუ ისიც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მჩხრეკელებისაგან შერყენილი მოციქულთა განწესებანის ეკესი წიგნიც განაკანონეს.

71. „სადაც არ არის განწესება ან დაწერილი კანონი, განწესებისა და დაწერილი კანონის ძალა აქვს წეს-ჩვეულებას, რომელიც მრავალი წლითაა გამოცდილი და არ ეწინააღმდეგება დაწერილ კანონს“ (ასე იუწყება ბეორე მსოფლიო კრების მე-7 კანონი ბერძნული რჯულისკანონი, გვ. 388).

72. გამომდინარე აქედან, ჭელიძის მიერ შემოძლეული გრ. ნოსელის ნათლობის წესი, თუკი დიდი რჯულისკანონის სწორედ საწინააღმდეგო დებულებაა, გვაქვს უფლება არ ვიერწმუნოთ როგორც რჯულის საწინააღმდეგო წესი და ასევე არც სხვა, რაიმე ცალკეული ეპისტოლური წმ. მამების წერილებიდან მიჩნეული წიგნები; გრიგოლ ნოსელი მსოფ-

ლიო წმიდა მამებმა რვა კანონით შემოიყვანეს დიდ რჯულისკანონში, ჭელიძე მეცხრესაც გეთავაზობს; ისე, ჭელიძეს კი არა, უკვე თვით ანგელოზსაც არა აქვს უფლება შეიდი მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დაკანონებულ წიგნს რაიმე შეჰმატოს ან მოაკლოს, ამას ბრძანებს თვით რუის-ურბნისის დადგენილება. ასე და ამაგვარად, არაფერი დარჩენიათ ცეცხლთან მოთამაშე ყმაწვილებს იმის გარდა, რომ მოინანიონ ერის საუბედურო აკოიტება, რომელიც ეშმაკის წისკვილზე ასხმევიანებთ წყალს.

73. რარიგ თავნება უნდა იყო, რომ განაცხადო: სღაეურ საეკლესიო ლიტერატურას ავტორიტეტად არ მივიჩნევო და ამ დროს ამ დაწუნებულ ლიტერატურაზე აღზრდილი წმიდანები – შეიდასი წლის მიცვალებულები – პეირიის ლავრაში გაუზარწენლნი, ცოცხლებითი ესვენო; ან კიდევ ამ შენს მიერ დაწუნებულ სღაეურ ქრისტეანულ მართლმადიდებლობას მსოფლიო პატრიარქების საქრისტეანოში პირველადობის საბრძანებელს მიუჩნდნენ.

74. ბ-ნი ედ. ჭელიძე და მისი მოსაგრენი დღემდე ლათინური წყალკუერებითი ნათლობის შემწუნარებლები და პროპაგანდისტები არიან. ერთხელაც არ დაფიქრებულან იმაზე, რომ მათი ამგვარი სითამაშე საანათემო საქციელია, რამეთუ მათი კონცეფციის საწინააღმდეგოდ ღაღადებს ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის შემდეგი დოკუმენტები:

75. დოკუმენტი ა:

„1755 წელს კონსტანტინოპოლის კრება კირილე პატრიარქის დროს ღებულობს ოროქსს, – ალექსანდრიის პატრიარქ მათეს და იერუსალიმის პატრიარქ პართენის ხელმოწერით, – სადაც ნათქვამია:

76. „ჩვენ მიგვარჩინა ღირსეული განსჯის საკითხად და საზიზღარ ნათლობად ერეტი-

გაზეთი „აღდგენის ღმერთი“

ეკლესია ნათლისღება, რომელიც არ ეთანხმება და ეწინააღმდეგება სამოციქულო ხალხთა დადგენილებას. იგი სხვა არა არის რა, თუ არა გამოუსადეგარი... ბანჯა კათაქმველთა, საერთოდ ნათლობის არამინიჭებელი და არც ცოდვებისაგან გამწმენდელი. აი, რატომ ვნათლავთ მათ თავიდან, როცა ისინი უბრუნდებიან მართლმადიდებლობას, ჩვენ მათ ვღებულობთ, როგორც მოუნათლავებს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ნათელს ვცემთ მოციქულთა და კრებების დადგენილი წესების მიხედვით“.

77. დოკუმენტი ბ:

„1756 წელს, კონსტანტინოპოლის კრების თანახმად, დასავლეთის ქრისტიანები მართლმადიდებლობასთან შემოერთებისას მიიღებიან პირველი ჩინით, როგორც წარმართები. „პიდალიონში“ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სრულიად ცალმხრივი განმარტება: „ლათინური ნათლობა (ლაპარაკია წყალპკურებით ნათლობაზე. — ი. ი.) ცრულ იწოდება ამ სახელწოდებით, ის არ არის საერთოდ ნათლობა, არამედ მხოლოდ ბანჯა. ამიტომაც არ ვამბობთ ჩვენ, ლათინელებს გადავნათლავთო, არამედ, ვნათლავთ მათ“.

78. დოკუმენტი გ:

1848 წელს აღმოსავლეთის პატრიარქებმა ერთიანი თავიანთი სინოდებით გამოუშვეს „სოლქო ეპისტოლე“, რომელშიაც უწინარესად აწმეულენ ლათინელებს ნათლისღების შეგრეყვის გამო“.

79. დოკუმენტი დ:

1895 წელს იმავე ეკლესიამ თავის სასინოდო ეპისტოლეში ეკლავ დაადასტურა, რომ უარყოფს წყალპკურებით ნათლობას, როგორც ლათინურ სიახლეს და ღებულობს მხოლოდ დიდი რჯულისკანონის მიერ სამჯერ წყალში შთაფლვით სამოციქულო ნათლობას.

80. თუკი ამ ბერძნული ეკლესიის ოროქსების გაუქმებასაც ეცდება ჭკლიძე, მაშინ თავის ჯილაგს მაინც ერწმუნოს, ქართველ კაცს — მეთვრამეტე საუკუნის ქართლის კათოლიკოსს, რომელიც ლათინურ წყალპკურებით ნათლობაზე ბრძანებს: „ნათლისღებისათვის, ვითარ ჩვენ ემბაზსა შინა სამგზის შთასლვითა და აღმოსლვითა ნათელს ვიღებ და იგინი — არა“ („გრდემლი“ ხელნაწ. 5 — I 3269, დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში. კათალიკოსი ბესარიონი (ორბელაშვილი), ქართველ მართლმადიდებელთა სიტყვისგება ლათინელთა მიმართ (იხილეთ გულმოდგინედ).

81. ზემოხსენებულ ყველა დოკუმენტს თუ ისიც დავმატა, რომ დღევანდელი ქართული ეკლესია არის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი, მივიღებთ, რომ სექტანტებთან, პროტესტანტებთან, მონოფიზიტებთან მლოცველი ეკლესია, მოციქულთა 45-ე კანონის თანახმად, მართლმადიდებლობისაგან პატივგაყრილია.

82. ის, რაც ასე ხანაქებოდ ესახება ბ-ნ ჭკლიძეს, დღევანდელი ათონის მთის ბერებისათვის საგანგაშო გამსდარა. მიზნი? მათ ვერ აპატიეს თავიანთ პატრიარქს ეკუმენისტური გადახრა — ლათინელების მართლმადიდებლურ რანგში აყვანა, რაც გამოიხატა ლათინელებთან შერწყმაში.

83. ვინ ბრძანდება ასეთი ბ-ნი ედ. ჭკლიძე, რომელსაც ასე მოსწონებია საქართველოს ეკლესიის ეკუმენურობა და ზღვარს ვერ ხედავს კათოლიკობასა და მართლმადიდებლობას შორის, — განა ეს მისი დადებული ზღვარია?! ვინ ბრძანდება ის ასეთი, რომ მისთვის არას წარმოადგებს არც ზემოხსენებული წმიდა მამების ავტორიტეტი, არც სლავეური, არც ძველი და ახალი ბერძნული დოკუმენტები: არც აყვით მოციქულთა კანონები, სადაც ერეტიკოსებთან მლოცველნი და მსახურებაში მონაწილეობის მიმღებნი განიკვეთებიან.

84. — როგორ უწერებთ სხვა რელიგიებისა და მათი კონფესიების არსებობას?

85. — რადგან ადამიანს საკუთარი ხასიათის მიხედვით ეძლევა ბედი, იგი ამავე ხასიათის წყალობით ირჩევს მისი ბუნების შესატყვის რელიგიას, კონფესიას, ამის გამო ამაოდ ნუ შემოვწყურებთ ვინმეს. დემოკრატიულ სახელმწიფოს თუკი ვაშენებთ, ყველა კონფესიას თანაარსებობის ერთნაირი შანსი უნდა მიეცეს; ხოლო თუ რომელიმე მათგანს პირველობის პრეტენზია გაუჩნდება, დაუმტყიცოს ერს თავისი რჯულმოსილებით. კერძოდ: დაერდომილთა განკურნების შემწეობით, სულთაგან ეშმაკის განსხმით, სტიქიის მართვით, მტრის დამსობითა და ძლევის ნიშნით; კონფესიებს შორის რომ შუღლი არ ჩამოვარდეს, ამისათვის სახელმწიფოს მართებს გონიერება.

86. ყველა კონფესია, რომელიც რეგისტრირებულია როგორც რელიგიური მიმდინარეობა, ეჭვიოუტანლად იმსახურებს კონსტიტუციურ მფარველობას. თუკი კონსტიტუცია ფუნქციონირებს და თავის არსებობას მხოლოდ თაროზე ზეიმობს, მის შესაკუთრებ სახელმწიფოს სიკვდილის მარცვალი ჩაგდებული აქვს ხნულში.

87. — როგორი შეხედულებიანი არიან თქვენს ეკლესიაზე?

88. — ბერია ცრუ მიტყეული. ჩვენი ეკლესია ხომ ის ეკლესიაა, რომელიც მიჰყვება რჯულისკანონს და, თანაც, გახლავთ არა რუსული, არამედ ქართული ორიენტაციისა. უცოდინარობის გამო ნუ შემოგვწყურებიათ, ნუ აფრთხობთ, როცა ოფიციალურ ეკლესიას რჯულისკანონის მიყოლისაკენ მოუწოდებთ, არამედ ძრწოდნენ იმის გამო, რომ ღვთის საწინააღმდეგო ქვეყანა ჩამარხული ერის სიკვდილი. ქვეყნის ჭირი ერთი კაცისათვის არასოდეს დაგვიბრალდება, ჩვენი დღევანდელი ეკლესიური ყოფა ჩვენი ისტორიული წყლულია, რომელიც საუკუნეებიდან მოგვყვება. თუკი ჰგულებოთ თავს ოფიცია-

გაზეთი „აღდგენის ღმერთი“

ალური ეკლესიის ერთგულებად, კარგი რჩევით უერთგულეთ მას. ზ. გამსახურდია პატრიარქის სიჯიუტემ და ცრუ მრჩევლებმა დალუპეს, თორემ ერისა და ღვთის სიყვარული ჩვენზე ნაკლები არც მას ჰქონია.

89. — როგორ უნდა იქცოდეს გონიერი მთავრობა?

90. — არ არის დიდი ფილოსოფოსობა ხატორო. უპირველესად უნდა დავეჯიუროთ, რომ ღმერთის გაჩენილ ქვეყანაზე მეფობას ღმერთს კეთილგონიან. კაცის მიერ თითოეული გამოწვეული სიბრძნის მიყოლამ რომ ქვეყანა დალუპა, კარგად ხედავთ. მაშ, რა მიზეზით განვიერიდით ღვთიური სიბრძნე, რომელიც წინ გვიდევს?

91. რაც არ უნდა მცირე ერი იყო, თუკი იცხოვრებ ჩემი კანონების მიხედვით, შენგან განუღმევი მძინვარე მხეტებს და შენი ვენახის ნაყოფს შეგაკმევე უშფოთველად. აი, ყველა დროის მთავრობის ბიბლურად სამეფო ფორმულა: თუკი ვერ იცხოვრებ ჩემი კანონების მიხედვით, მაშინ დაგსჯი და მოგიხვე მტერს და წაგართმევს სარჩო-საბაოებულს. ვერ მიხედი, რომ მე დაგსაჯე? გაგიშვიდეკცებ ტყვილს და გახვეწინებ მტრისთვის კარგად შეგიჭამოს ის, რაც წაგართვა. კიდევ ვერ მიხედი, რომ მე დაგსაჯე? გაგიშვიდეკცებ ტყვილს და საკუთარი შვილების ხორცს შეგაკმევე. — ბრძანებს უფალი.

92. — რა მიგანიათ ქვეყნის უბედურების მიზეზად?

93. — ქვეყნის უბედურების მიზეზის განმარტება იმდენნაირია, რამდენნაირი კაცია ქვეყანაზე, ხოლო ნამდვილი მიზეზი ერთია და იგი მხოლოდ უფლის თვალთ განისაზღვრება. საზრიანს მხოლოდ მისი მიყოლა მართებს.

94. — რომელია ის ნამდვილი მიზეზი?

95. — ეზრა წინასწარმეტყველი ბრძანებს:

გაზეთი „აღდგენის ღმერთი“

„საკუთნე სიბნელის ოკეანეში ცურავს, რადგან კანონი შენი დასწევს, უფალო, და არაინ იცის, რა უნდა აკეთონ“.

96. — რომელ კანონზეა ლაპარაკი?

97. — ამაზე კვლავ ეზრა გვიპასუხებს:

„ცვალებს, უფალო, შენი წესდებები და აღდგენილებები, ამიტომაც წყველა მუსრავს ქვეყანას“.

98. ვინც ქვეყნის გადასარჩენად მოცემულ ბიბლიურ ფორმულას უარყოფს, უარყოფილი იქნება ამ სიბრძნის მომწოდებლისაგან.

99. — ცხოვრობენ კი ამ ფორმულით?

100. — იმიტომაც იმყოფებიან კარგ დღეში. ნათქვამია, მცირენი იპოვიან სულის გადაპრჩენელ ბილიკებს, დიდი და ფართო გზა წარსაწყმედელი საჯიბითა.

101. — ვის უნდა მიენდოს ვერი?

102. — ვინც განუმარტავს ამ სიბნელეში მოგათურე ადამიანებს, თუ რა უნდა აკეთონ, ის იქნება სწორედ იოანე-ზოსიმეს მიერ მინიშნებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ გმირი მხოლოდ სიბოლურ სახეებში მოგვწონს ან კიდევ დიდი ხნის მიცვალებული, რათა სარბიელზე მეტოქეს არ ვხედავდეთ. თუ იგი მაინც გამოჩნდა რეალურად და არ იქნა საშველი, პირველად ჩვენვე გავატარებთ დამცირების ქურაში და როცა სხვა ვერის შეილება დაუწყებენ დაფასებას, მაშინ ვცდილობთ, ყურებიც დავიხშოთ.

103. — რა არის ყველაზე ძვირფასი ამქვეყნად?

104. — სიცოცხლე. იგი ერთხელ ეძლევა ადამიანს და მხოლოდ ბრძენს შეუძლია მისი დანიშნულების მიხედვით გამოყენება, უგუნური შაურიანივით მოისვრის და მიეცემა წარსაწყმედელს.

105. — როგორ გავიგოთ, რას ნიშნავს დანიშნულების მიხედვით სიცოცხლის გამოყენება?

106. — მას შემდეგ, რაც, უფლის კანონის დარღვევის გამო, უკვდავება წაერთვა ადამიანს, სიცოცხლე გადაეცა დაკარგული უკვდავების დაბრუნების საშუალებად; წართმეული უკვდავების დაბრუნება შეიძლება უფლის ჭეშმარიტი ნათლობის მიღების შემდეგ ლოცვითა და წყალობის გაცემით. სიცოცხლემხოლოდ უკვდავებისათვის გაიწივრება.

107. — მაშ, სამშობლო რა ფენომენია?

— უღმერთო სამშობლო სულის წარსაწყმედელი სამყოფელია, ღმერთშემოსილი კი პატივისა და მსახურების ღირსი, რამეთუ უფლის ტამრად მიიხსენიება იგი.

108. როცა ვერი ზედმეტი ფანატიზმით სამშობლოს გააკერპებს, იგი დაკარგავს სამშობლოს, როგორც ეს ემართება იმას, ვისაც საკუთარი შეილი ღმერთზე მეტად უყვარს. უზენაესი თაყვანი მხოლოდ უზენაესს. ვინც უფლის ტოლფასოვან პატივს ინებებს, იგი საკუთარი უპატიობის სარცხვენელში აისვრიდება.

109. — რანაირ სიბრძნეს შეუქებენ ვერს?

110. — თუ ვერს გააჩნია ისეთი სულიერი სიმაღლე, რომ მოყვასში ხედავს თავის თავს, ხოლო მტერში — საკუთარი თავის მოძულეს, იგი იმზგრძელებს უთუოდ, რამეთუ საქებარი ნიჭია: შეიძლო საკუთარი მტრის ღვთის მტრად მიქცევა.

111. — რანაირად მოხერხდება ეს?

112. — მტერი შენი, თუკი მშვიდია — დააპურე, თუკი მწყურვალა — დაარწყულე. არ დაუნგრიო არც საცხოვრისი და არც ჩიტის ბუდე. ილოცე, რათა მიჰმადლოს უფალმა მშვიდობა, უღდვგრძელე შეილები და ეგრერიგად დათესე უფლის სავარგულში შენი გულის წაღლი, მერე მოიმკე შენივე გულის მიხედვით მოცემული ღვთის წყალობა. მტერსაც ზომ გულის მიხედვით მიუზღვება და, ვაითუ, იქნა იგი ქარის მთესველი უფლის სავარგულში. მაშინ მოუწყვეს ქარიშხლის მომკა, რამეთუ არა ისმინა უფლისმიერი სიბრძნე.

113. — მეუფეო იონა, რატომ ამჟამად არ იბადებთან წინასწარმეტყველნი?

114. — როგორც დედაბერს ვერვინ მოსთხოვს ჯანსაღი შეილის დაბადებას, ვერც ეს დაბერებული და ნიათგაცლილი საუკუნე იქმს სასიკეთოს. ისე კი, ნათელმზილველთა უკმარისობის გამო უწევს ქვეყანას სიბნელეში ცხოვრება. სინათლის ფასი მათ იცინა, რომელნიც სიბნელეში არ ცხოვრობენ.

115. — ალბათ, დღევანდელ ხინამფილემო ვერც კი წარმოგვიდგენია ნათელმზილველი წინასწარმეტყველი ჩვენს გვერდით.

116. — ცხოვრების გამარჯვებამ ზნობრივი სიწმინდის გაუფასურება გამოიწვია. შეფასების ახალი კრიტერიუმები გაჩნდა, საუკუნემ პატიოსნება ეჭვის ქვეშ დააყენა, ისე გაგვიმასხარავეს ყველაფერი, კაცმა ფრთა რომ დაგვანახოს გამოსხმული, მის ანგელოზობას კი არ გაევიცებთ, არამედ ცირკის ჯამბაზად ჩათვლით, ამიტომაც გვიწევს ჯამბაზური ცხოვრება ამ დიდ საჯამბაზოში.

117. — რა არის სანატრული ამქვეყნად?

118. — ბრმა არ ამბობდეს, თვალხილული ვარო.

119. — გვეშველება ვითომ?

120. — ეს მხოლოდ მაშინ, როცა მთლიანად მივიწივით უფლის ნებას.

121. — ღმერთმა ინებოს, ვიქცეოდეთ ღვთის საკადრისად.

122. — ამენ იყოს!

ათონის მთის ბერთა გულისწეროშის შესახებ

123. კითხვა: შეიძლება თუ არა მართლმადიდებლურ ეკლესიას მიეცეს უფლება მწვალებლებთან ლოცვის, ზიარებისა და კურთხევისა?

124. პასუხი: დიდი რჯულისკანონის მიხედვით ზემოხსენებულის მოქმედი ეკლესია უარყოფილია, იგი უფლის წინაშე ფუნქციონალაკარგული სამლოცველოა.

125. ჟურნალ „ლაზარეს აღდგინების“ 1991 წლის მეხუთე ნომერში დაბეჭდილია ათონის მთის ბერთა განაცხადი კონსტანტინოპოლის აწ განსვენებული პატრიარქის დიმიტრიოსის მიმართ, სადაც სამღვდლო კინოტი მისი უწმინდესობის მიმართ ეხება ორ პუნქტს:

ა) ლათინელების ერეტიკოსებად ჩათვლა-არჩათვლის შესახებ.

ბ) ლათინელებთან ურთიერთობა საიღუმლოთა აღსრულების დროს.

126. როგორც იუწყებიან, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დაადასტურა ახალი ამბების საერთაშორისო სააგენტოს „სო-შეიტედ პრეს“-თან გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ მართლმადიდებლებს, თუ სიკვდილის წინ ვერ მონახეს მართლმადიდებელი მღვდელი, შეუძლიათ ეზიარონ ლათინელებთან;

127. ეს განცხადება მკაცრად გაუკრიტიკებია „ორთოლოქს ტაოსს“, ზოლო 1987 წლის რექუმბრის რომის პაპთან პატრიარქ დიმიტრიოსის „ერთობლივ მსახურებაში“ მონაწილეობის მიღებისათვის გაოცება გამოუთქვამს („ო.ტ.“-15.1.1988 წ., იხ. „საეკლესიო ცხოვრება“, №1 და №2, გვ. 20-24).

128. პატრიარქს უცდია გაემართლებინა სპატრიარქოს გარკვეული ეკუმენური მოსაზრებანი, რის გამო ათონის ბერებს გამოუთქვამთ პროტესტი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ისინი შეწყვეტდნენ ღვთისმსახურებისას პატრიარქის სახელის მოხსენიებას.

129. ყოველივე ამის გამო უფლის წინაშე თავი ვალდებულად ჩათვალე, როგორც ორთოლოქსული ეკლესიის ეპისკოპოსმა, გამოეხმაურებოდი და ორთოლოქსული შეფასება მიმეცა ზემოხსენებული ინციდენტისათვის;

130. რატომ გაუჭირდა საქრისტიანოს ბურჯს, საბერძნეთის ეკლესიას, საღვთისღვთის გარკვევა, თუ ვინ არიან ლათინელები.

გაზეთი „ალღეგინ ღმერთი“

131. რადგან ამგვარი ჭირი დადგომიათ, ჩაიხედოთ დიდ რჯულისკანონში და წმიდა მამათა დადგენილებას უფრორე დავეყრდნოთ, ვიდრე თანამედროვე თამამ არაკანონიკურ შეხედულებებს.

132. უპირველესად გაეარკვიოთ თუ ვინ არიან ერეტიკოსები:

ა) „ოდნავ გადაიხრები მართლმადიდებლობისაგან, ერეტიკოსი ხარ“. — თედორე სტოდვიელი.

ბ) ერესი ნიშნავს დადგენილი კანონისაგან გადახვევას.

გ) ერესი იმსახურებს შეჩვენებას (მეორე მსოფლიო კრების I კანონი);

დ) ერესი პირსობის სამი ხარისხისა (ბასილ დიდის პირველი კანონი);

133.ძველებმა განაწესეს მიღება იმათი ნათლისღებისა, რომლებიც სარწმუნოებაში არ ცდებოდნენ.

134. ისმება კითხვა: ნუთუ მრწამსის დოგმატის გამტეხი სარწმუნოებაში არ შეცდა? მაშ, რისთვის შეუყენეს კათოლიკეები ანათემას?

135. რაც შეეხება ერეტიკოსებთან ურთიერთობას, წმიდა მამები გვასხევენ:

„მწუხარება მათ, რომლებმაც წმიდა სარწმუნოება ერესით შერყვნეს და ერეტიკოსებთან, რომლებიც აისერიმნენ“ (ფერემ ასური, სიტყვა 106).

136. რამდენად ხელეწიფება ერეტიკოსის სამღვდლო საიდუმლოების აღსრულება, როცა წმიდა მამის, ფერემ ასურის 57-ე სიტყვა გვაუწყებს: „არადირსეულ მღვდელმსახურთაგან არ ეძლევა მომაკვდავთ ცოდვების მიტეგების საშუალება“.

137. რა გვეთქმის იმ მღვდელმსახურთა მიმართ, რომლებიც პირველი ჩინის ერეტიკოსები არიან. სამოციქულო ნათლობის შებილწვისა და მრწამსის გატეხის გამო ისინი, თუკი ინებებენ მართლმადიდებლობაში

დაბრუნებას, თავიდან მოსანათლავნი ხდებიან. აქედან გამომდინარე, რა ცოდვებს მოგიტევენ თავად საცოდავნი? წმიდა მამებისა არ იყოს: ასეთებს უნდა გაეცქეთ!

138. წმიდა მამებმა გაქრისტეანების წესი დაადგინეს მოციქულთა 50-ე კანონის საფუძველზე, სადაც ნათქვამია: „თუკი მღვდელი ან ეპისკოპოსი მოსანათლავთ წყალში სამგზის შთაფლავით არ მონათლავს და ეცდება სხვაგვარ ნათლობას, ის განკვეთილია“. რანაირად შეინარჩუნეს მღვდლობა ლათინელებმა, არამოციქულებრივი ნათლობის გამცემლებმა? და თუკი ისინი რჯულის კანონის დარღვევის საფუძველზე გამხდარან ერეტიკოსები, რის გამოც შედგომიან ანათემას, რანაირად შეიძლება ანათემირებულ ეკლესიაში ეზიაროს მართლმადიდებელი? რანაირად შეიძლება არასმქონემ გასცეს ის, რაც მას არ გააჩნია. მაშ, ვისთან გვზავნიან საზიარებლად თქვენი მამები? ვისთვის ითქვა: დადგენილი სწავლების საპირისპირო სწავლება თუ ვინმემ გიქადაგოთ, ანგელოზიც რომ იყოს, ანათემას გადაეცითო?

139. განა არ გვასწავლიდა წმიდა მამა დიონისე არეოპაგელი თავის წიგნში „ოცერკოენომ სვიაშჩენონაჩალი“, თუ როგორ უნდა გაინათლოს მოსანათლი წყალში სამჯერ შთაფლავით. განა ბასილ დიდიც ასეთსავე ნათლობას არ მიანიშნებს ეშმაკის განსასხმელ თავის ლოცვაში? ასეთსავე ნათლობას მოითხოვს იოანე ოქროპირიც („ოვეანგელი“, „ო კრემქინი“). როდის დაივიწყეს ბერძნებმა აღმოსავლეთის ეკლესიების პატრიარქების ოროქსები, სახელდობრ:

140. კონსტანტინოპოლის 1755 წლის საეკლესიო კრებაზე პატრიარქ კიორილე მეხუთის მიერ მიღებულ ოროქსში, სადაც ხელს აწერენ აღექვსანდრის პატრიარქი მათე და იერუსალიმის პატრიარქი პართენი, კკითხულობთ:

141. ასე და ამგვარად, ყველა ის, ვინც არამოციქულებრივი ნათლობის წესით შე-

ბილწულია, არ არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და ამოდ იკეპნის ქრისტიანობას. სასიზარულა ათონის მთის ბერების ამგვარი მეჭველობა, რამეთუ კარგ გაკვეთილს იძლევიან მოვლემარებათაგან. თუმცა მათთვის ჯერ გაურკვეველია მათივე ერტიკულობა.

142. ჩვენ ვეკითხებით მათ:

ათონის მთის ბერებო, თქვენ როგორ იწერთ პირჯვარს და როგორი წესით ბრძანდებით მონათლულნი? ხართ კი წყალში სამჯერ შთაფლულნი მამისა, ძისა და სულიწმიდის სახელით?

143. ახლა იხილეთ, მაქსიმე ბერძენის წიგნის მე-40 თავი ორი თითით პირჯვრისწერის შესახებ, სადაც ნათქვამია: „ვინაც ორი თითით არ იწერდეს პირჯვარს, ვითარცა ქრისტი, დე იყოს წყვეული“.

144. შენიშვნა: იფიქრეთ, რარიგ ამხედრებიან ათონის მთის ბერები თავიანთ პატრიარქს, როცა მას უნებებია ლათინელებთან „მართლმადიდებლობის“ შერწყმა.

145. რა შეიძლება ვისწავლოთ ჩვენ, ქართველებმა, საბრძნეთის ამ მაგალითიდან? განა ჩვენს ეკლესიებშიც არ აზიარებენ კათოლიკებს? განა ჩვენი მღვდელმსახურებიც მონოფიზიტებთან ერთად არ აღასრულებენ წირვას? თქვენ რასა იქმთ, ქართველო „ბერებო“?!

თქვენც გიშველოთ ღმერთმა, ამენ!

ვინ იყო კათალიკოსი ანტონ პირველი?

...ადრე მისი სატი სიონის ტაძარში ეხსენა.

146. კითხვა: გვიამბეთ ანტონ პირველის შესახებ.

147. პასუხი: ანტონი იყო შეილი მეფე იესუსი, ვახტანგ მეექვსის ძმისა, და ერეკლე პირველის ასულის ელისაბედისა (ელენესი), თეიმურაზ მეორის დისა. ანტონი დაბადებულია 1720 წლის 11 ნოემბერს. 1739 წელს მიტროპოლიტმა ექვთიმე იგი ბერად აღკვეცა ანტონის სახელით, 1740 წელს აყვანილ იქნა

ქუთათელი მიტროპოლიტის ხარისხში ტიმოთე გაბაშვილის ადგილზე 1743 წელს ანტონმა დატოვა მიტროპოლიტობა, დაბინავდა დავით-გარეჯის უდაბნოში, სადაც სამონასტრო მოღვაწეობისას თვალყურს ადევნებდა აგრეთვე პოლიტიკური ცხოვრების ჩარხის ტრიალს საქართველოში.

148. კითხვა: რამდენად კანონიერია ოცი წლის ასაკში ეპისკოპოსის ხარისხის მინიჭება?

149. პასუხი: დიდი რჯულისკანონისა და რუის-ურბნისის კრების დადგენილების მიხედვით ეპისკოპოსის ხარისხის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის ასაკიდან. ანტონს კი ოცი წლის ასაკში მინიჭეს ეს უმაღლესი ხარისხი. რა თქმა უნდა, კანონიერი წესი დარღვეულია.

150. კითხვა: როგორი იყო მისი მოღვაწეობის შემდგომი პერიოდი?

151. პასუხი: 1744 წელს ტარიელ თამაზაშვილმა ხანჯლით განგმირა კათალიკოსი ნიკოლოზ ხერხეულიძე. დაქვრივებულ კათედრაზე ანტონი მიიწვიეს. ამ დროისათვის ეკლესია-მონასტრები დანგრეულია, სკოლები დახურული. ქართულ ეკლესიას კრიზისის პერიოდი დაუდგა. მას ჩამოაცვილეს ერთი ნაწილი, სამცხე-საათაბაგო, რომელიც ამ დროს სრულიად გაძაპადაიანებული იყო. შიგ ქართლში ფეოდალურმა განკერძოებამ და ხელისუფლებამ ფერაქიამშიც იჩინა თავი. ბევრი მღვდელმთავარი ჯეროვან მორჩილებას არ იჩენდა კათალიკოსისადმი. ყველა ამას თან დაერთო სომხური ეკლესიის სარწმუნოების პროპაგანდა (ე.ი. მონოფიზიტობა). ყოფილი დეკანოზი კორნელი კეკელიძე ნაშრომში „ანტონ პარველი“ წერს:

152. ...ანტონმა „საქართველოში კულტურის შემოტანის მიზნით, ორიენტაცია აიღო დასავლეთ ევროპაზე და მტკიცე კავშირი დაიჭირა იმ დროს თბილისში მყოფ კათოლი-

გაზეთი „აღმდევინ ღმერთი“

კუ მისიონერებთან, რომელთა ცოდნა, გამოცდილება და მზარის დაჭერა მას განსაკუთრებით სასკოლო საქმის მოწესრიგებაში სჭირდებოდა“.

153. კითხვა: რამდენად სწორია მართლმადიდებლური ეკლესიის კათალიკოსის ასეთი გადაწყვეტილება?

154. პასუხი: სჯულისკანონის საფუძველზე მას ევალებოდა მხოლოდ მართლმადიდებლური ქვეყნების ცივილიზაციისათვის კარის გაღება.

155. კითხვა: რითი დამთავრდა ანტონ პირველის მიერ ქართული ერის გაკულტურების მცდელობა?

156. პასუხი: საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კათალიკოსი ანტონ პირველი თმობს მართლმადიდებლობას, როგორც ერტიკულ სწავლებას და იღებს მეთერთმეტე საუკუნიდან თვით მართლმადიდებლების მიერ წვეულ-ანათემირებულ კათოლიკობას.

157. კითხვა: რა სასჯელი მიიღო ამის გამო ანტონმა და სინამდვილეში რა სასჯელი ეკუთვნოდა?

158. პასუხი: მოუესმინოთ კ. კეკელიძეს: „მის განზრახვას წინ აღუდგა ანტიკათოლიკური პარტია — „სინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი საბა და კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი გამოვიდნენ მართლმადიდებლობის დამცველად. მათ მოაწვევიანეს თეიმურაზ მეფეს მცხეთაში საეკლესიო კრება, რომელზედაც 1755 წლის 16 დეკემბერს ანტონი გადაყენებულ იქნა კათალიკოსობიდან... ხოლო მისი თანამოაზრენი სასტიკად იქნენ დასჯილი“.

159. ისე კი, როგორც მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის მამამთავარი, მართლმადიდებლური სამწყსოსათვის ამგვარი მაგალითის მიცემის გამო უნდა განკვეთილიყო და არ ღირსებოდა ზიარება.

160. კრების მიერ გამოტანილი მსუბუქი სასჯელი მიანიშნებს ეკლესიის დაცემასა და მთავრობისადმი მორჩილებაზე; რადგან სასჯელის შემსუბუქება გამოიწვია იმან, რომ ანტონი მეფის შთამომავალი იყო. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ეკლესია განიცდიდა სამეფო კარის ზეწოლას. ანტონის თანამოაზრეთა სიმრავლე კი უთუოდ იმდროინდელი რჯულისკანონისმიერი საეკლესიო ცხოვრების მოშლის მაჩვენებელია.

161. კითხვა: რა ზდება ანტონის ეკლესიიდან გაძევების, საეკლესიო ჩინის აყრის შემდეგ?

162. პასუხი: 1756 წელს მოიწვიეს მეორე საეკლესიო კრება. ამ კრებაზე ანტონმა გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული, უარყო კათოლიკობა და გამოითხოვა რუსეთში წასვლის უფლება. ოღონდ ისე კი, რომ ის ღვთისმსახურების უფლებებში აღდგენილი ყოფილიყო. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქნა კრებისაგან და ანტონი გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ამ დროს ცხოვრობდნენ ვახტანგ მეექვსის მემკვიდრენი, რომელნიც ქართლის ტახტის დაბრუნების იმედს არ კარგავდნენ. მოსკოვიდან ანტონი გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც იგი წარუდგინეს უწმინდეს სინოდს. აქ ისიც გაეხსენოთ, რა უწმინდეს სინოდს წარმოადგენდა მე-18 საუკუნის რუსული ნიკონიანური ერტიკული ეკლესია.

163. კითხვა: რამდენად სამართლიანია კრების მიერ ანტონ პირველის შეწყნარება?

164. პასუხი: რუსეთში მისი გამგზავრების მოტივით სამედავათო განჩინებას — ჰქისკოპოსის ჩინის დაბრუნების თაობაზე — კანონიკური საფუძველი არ გააჩნია. თვით სასჯელი კრებისა განიზომება ანტონის შემდეგი პერიოდის ერტიკული საქმიანობით მიყენებული ზიანის მიხედვით, რაც გამოისატება რუსეთში ქართული სასულიერო ლიტერატურის გამოცემით; შემდეგ მის მიერვე თბილისსა და თელავში დაარსებული სემინარიების ერტიკული ფუნქციონირებით.

165. 1757 წლის I დეკემბერს კი, როგორც კი კეკელიძე წერს, ანტონი დაინიშნა მთავარეპისკოპოსად ვლადიმირის ეპარქიაში, რომელსაც იგი განაგებდა 1762 წლამდე... მან აქ შეისწავლა რუსული და რამდენადმე ლათინური ენა, საფუძვლიანად გაიცნო რუსული საეკლესიო დაბალი, საშუალო და მაღალი სკოლის ტიპები, დაამზადა სასკოლო სახელმძღვანელოები, დაწერილებით შეისწავლა რუსეთის ეკლესიის წყობილება. 1764 წელს ანტონი დაბრუნდა საქართველოში.

166. კითხვა: ჩვენთვის ცნობილია, რომ ანტონმა სასულიერო სემინარიები გახსნა თბილისსა და თელავში. ამით რა შეეწია საქართველოს მართლმადიდებლობას?

167. პასუხი: აი, რას წერს კ. კეკელიძე: „...მან ყურადღება მიაქცია მის მიერ გახსნილ ორს სემინარიას, თბილისისას (1755) და თელავისას (1782), სადაც სწავლა გაჩაღებული იყო რუსეთის სასულიერო სემინარიის ფაღვნი; მათთვის მან დაწერა, თუ სხვებს დადაწერია, თითქმის ყველა საჭირო სახელმძღვანელო, მოახდინა საეკლესიო მართვამბეგობაში ისეთი ცვლილებანი, რომელნიც რუსეთის ეკლესიის მიხედვით, საჭიროდ მიაჩნდა მას, თარგმნა და შეთხზა მთელი რიგი საღვთისმეტყველო, საფილოსოფიო და ლინგვისტური შრომები. ამავე დროს ის დიპლომატიურ ასპარეზსაც არ ტოვებდა: 1772 წელს ირაკლი მეორემ ის გაგზავნა რუსეთს საგანგებო მისიით, რომელმაც მოაშადა 1783 წლის ცნობილი ტრაქტატი საქართველოსა და რუსეთს შორის“.

168. კითხვა: რამდენად წრფელი იყო ანტონის მონაწილეობა, დარჩა თუ არა იგი მართლმადიდებლად, არის თუ არა მისი შრომები მართლმადიდებლურ ქერაში გატარებული?

169. პასუხი: ამ კითხვაზეც გვიპასუხებთ კ. კეკელიძე, როდესაც განიხილავს ანტონის ნათარგმნ და შედგენილ თხზულებებს: 1) „თარგმანებაი რომაელთა მიმართ ეპისტოლისაი“; სამწუხაროდ, ნუსხები ამ თხზულებისა აღარ გვხვდება, ამიტომ ძნელია თქმა —

თარგმანია თუ ორიგინალური. 2) „განმარტებაი მიწყალეი“ ან მჭერგასისა ფსალმუნისა, რომელიც ორიგინალურ შრომას წარმოადგენს, ანტონის მოწინააღმდეგემ, ზაქარია მოძღვარმა, მოინდომა ამ თხზულების გამოყენება ანტონის კათოლიციობის დასამტკიცებლად და ამ მიზნით ერთი ცალი მისი უწმინდეს სინოდშიაც კი გაგზავნა რუსეთს; ამ გარემოებამ გამოიწვია ქართველებში დიდი მითქმა-მოთქმა და შფოთი, რომელიც დამთავრდა ზაქარიას ძველადან განკვეთით და შეჩვენებით. ეს წიგნი, ზაქარიას ცნობით, ანტონს ვლადიმირში დაუწერია და მეფე თეიმურაზისათვის გამოუგზავნია სკოლებში სახმარებლად. იმასში ანტონს გამოუჩენია „რაც მეცნირება ჰქონდა“, და „ღიას გრძელადაც აღუწერია... დავითზე ბევრით უდიდესიო“, — ამბობს ის. მაგრამ, რადგანაც ის პაპისტების (ე.ი. კათოლიკეების) — ი.ი.) მოძღვრებას შეიცავდა, საქართველოში უკერძოდ და მალე დაიწყო (რაც ვერ დაწვეს და ვერ დამალეს, — სემინარიებისა და მათ მიერ გამოშვებული კადრების ნაყოფს დღესაც იქის ქართველი ხალხი. — ი.ი.).

170. ზაქარიას მიმართ გამოჩანილი განჩინება მათ სინდისზე იყოს, ანტონი კი განაგრძობდა თავის ღვაწლს. კ. კეკელიძე მიუთითებს, რომ ანტონს „დიდი ღვაწლი მიუძღვის ლიტურგიკულ მწერლობაში, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მან შეადარა ქართული საღვთისმსახურო წიგნები რუსულ წიგნებს და შეასწორა იმით მიხედვით. ამ შემთხვევაში ანტონმა ის მოინდომა, რაც მეთვითმეტყველ საუკუნეში ათონელმა მამებმა ჩაიდინეს“.

171. კითხვა: თუ შეიძლება, აკვირნენით, რა მოხდა მე-11 საუკუნეში?

172. პასუხი: ისევ კ. კეკელიძეს მოვიშველებ: „როგორც ათონელებმა მოაცალეს ჩვენს ლიტურგიკულ პრაქტიკას „აღმოსავ“

გაზეთი „აღდგენის ღმერთი“

ლური“ ელფერი და ის გაზაღვეს უცილობელ პირად ბიზანტიის საღვთისმსახური პრაქტიკისა, ისე ანტონმა მონინდომა მიეცა მისთვის, ბიზანტიურის ნაცვლად, რუსული ფიზიონომია (რაც საღვთისოდაც უცვლელია. — ი. ი.). შესწორებულ წიგნთა შორის, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ „ტიპიკონი“.

ჯერ კიდევ ტახტზე ასვლისთანავე მას შეუდგენია წესი მეფის კურთხევისა (სატანას ხელეწიფება ამგვარი სითამამე. — ი. ი.) და ამ წესით უკურთხებიან მეფე თეიმურაზ მე-2 („ქართლის ცხოვრება“, 2, გვ. 382-386). იგი შედგენილია ახალი რუსეთის ეკლესიის ზეგავლენით.

173. „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის ეკლესიაში ახალი, შესწორებული რედაქცია გამოვიდა ტიპიკონისა (ნიკონიანელებს რა დააბრკოლებთ ძველის ნგრევასა და ახლის, უეარგისის შენებაში. — ი. ი.), რომელიც ბესარიონის (კათალიკოსის) თარგმანს უკვე აღარ უდგებოდა, ამიტომ ანტონ კათალიკოსს განუზრახავს მისი ხელმეორედ შესწორება... ასევე შეუსწორებია ანტონს კონდაკი, მღვდელმთავრის კურთხევის წესი, „სათუენერთა წიგნი“... „ხოლო, რაც შეეხება ქართველ წმინდანებსა და დღესასწაულებს, მათი „აკოლოტიანიო“, ამბობს ის, „რაცა ეპოვენი, დავსდუნ, და პოებულთა, თუ რაიმე აკლდა, ახლად გამოთქმითა შევმზადენო და რომელნიმე, სრულიად აკლდაყე აკოლოტია ქართველთა წმიდათა, ახლად გამოითქუამსო“.

174. ზოგიერთი საგალობელი სრულიად გამოცვალე (როგორ გამოცვალა, ამაზე ქვემოთ ვიამბობთ), ვინაიდან ისინი „არცა მოთხრობა იფენეს, არცა გალობაო“ (აქედან ნათლად ჩანს ჩვენს ეკლესიური ყოფის ადრინდელი სახე. — ი. ი.). ბოლოს და ბოლოს, მას შეუდგენია საგალობლები თითქმის ყველა

ქართველი წმინდანისა და დღესასწაულისა, ამათგან „აქებდითსა ზედა დასდებელნი“ იამბიკოდა დაწერილი. თან ზოგიერთ წმინდანთა ხსენება მან სხვა დღეებზე გადაიტანა წმინანდელთან შედარებით. ასე რომ, მან მოგვცა ახალი რედაქცია თთუენისა, რომელიც უფრო ვრცელია, ვიდრე ალექსი მესხიშვილისა: იმაში უფრო მეტია რიტხვი მსოფლიო და ქართველი წმინდანებისა; მსოფლიო წმინდანების საგალობელთა ტექსტი ორივეში ერთიდაიგივეა, ხოლო ქართულისა სხვა, ვინაიდან ანტონმა ამ შემთხვევაში უმთავრესად საკუთარი ჰიმნები მოათავსა თთუენში (და ასე, ამგვარი სატანისტური სითამამით მაღლი გააცალეს ქართულ ეკლესიას. — ი. ი.).

175. (კ. კეკელიძე): მრავლად აღზარდა ანტონ კათალიკოსმა რიგი მოწაფეებისა, რომელთა შორის უფრო ყურადსაღებია:

იონან გუდევანიშვილი. იგი აკურთხეს ანტონ კათალიკოსის კარზე 16 წლის ასაკში იეროდიაკონად. თან ახლდა რუსეთში ანტონს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ანტონმა ის აკურთხა მცხეთის ერთ-ერთ კათედრაზე.

1760 წელს რაღაცა დანაშაულისათვის, ერეკლე მეფის განჩინებით, საეკლესიო კრებაში მას ჩამოართვეა ეპარქია, მსახურება აუკრძალა და დავითგარეჯის უდაბნოში დაამწყვდია...

176. ასე რომ, ანტონის სასიკაძულო მოწაფეებიც ძალიან წააგავან თავიანთ მასწავლებელს ბიოგრაფიის იდენტურობით.

177. ამბროსი ნეკრესელი იყო მოსწავლე ანტონ ეპისკოპოსისა, მოღვაწეობდა ნეკრესის კათედრაზე, კახეთში, დონსთოვზის შემდეგ, 1789-1808 წლებში.

1801 წელს ის დავით ბატონიშვილის ბრძანებით, დროებით, სანამ თავს არ გაიმართლებდა, გადაყენებულ იქნა ეპარქიის გამგებლობისაგან რაღაც პოლიტიკურ საქმეში მონაწილეობისათვის.

178. ანტონ ცაგარელი-ჭყონდიდელი. 1728 წელს ბერად შედგა და საეკლესიო წყურვილი რომ მოეკლა, მიმართა მარტვილის ბერებს, რომელთა ხელმძღვანელობით წმ. მამათა თხზულებებს ეცნობოდა. განათლების შესაესებად მას მოჰკვარეს ფრანგი მისიონერები, რომელთაც მისთვის უნდა შეესწავლებინათ ფილოსოფია. ეს ბერები ანტონმა მალე დაითხოვა, ვინაიდან შეუძლებლად დაინახა მათი მოძღვრებისა და მართლმადიდებლობის შეთანხმება-შერიკება.

179. სომხურიდან უთარგმნია წიგნი, რის გამოც უხდება თავის მართლებას:

„...ხოლო თუ მამბრალბედეს ვინ მწვალებელთა წიგნთა გარდმოლებისათვის“... თავის მართლება ეცადა იმ მოტივით, რომ ეთქვა: „თქვენ კარგი აიღეთ ამ წიგნიდან და ცუდი გადაადგეთო“.

180. ესენი იყვნენ მატარებელნი, გამგრძელბებელნი და განმამტკიცებელნი ანტონის ლიტერატურული ტრადიციებისა; საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათალიკოსის ეპოქა, ისე დიდია მისი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში. კ. კმეკელიძე მიგვანიშნებს ერეტიკული ეპოქის ანტონისეულ ღვაწლზე. ესეც გასაგებია, მეფის შთამომავალს და ისიც ამგვარი ერეტიკული, თანაც მასონური სურნელით შეზავებულს, ვინ დააბრკოლებდა უკვე მასონების ერთერთ სამშობლოდ ქცეულ საქართველოში? დვთის რისხვაც ამ საუკუნეებისა სახეზეა. რისხვის გაგრძელება ერის შემდგომი ღვაწლის მიხედვით იქნება.

181. ეთხვა: ვინ არიან მასონები, რა პროგრამა და მიზანი გააჩნიათ?

182. პახუნი: მასონები ანტიქრისტიან მიმდევრები არიან. მიზნად აქვთ დასახული მსოფლიო პოლიტიკური და რელიგიური ინტეგრაცია, რათა რელიგიური და პოლიტიკური ერთმმართველობა მიანიჭონ

მათ რჩეულს. და ეს რჩეულიც ანტიქრისტიან.

183. მიზნის მისაღწევი გზა ამგვარია: ომის საშიშროებით, შიდა არეულობებით, ანარქიით კაცობრიობა აიძულონ, მოხდეს მსოფლიო გაერთიანება. ეკლესიური ცხოვრების მოშლა კი მათი ძირითადი საქმიანობაა, კერძოდ: ნათლობის წესის დარღვევა, რათა შეწყდეს ქრისტიანების დაბადება; ქიროტონის, ანუ ხელდასხმის გაყალბება, რათა კვშმარიტი მღვდელმსახურები მოისპონ; წმიდანების სახელის შეცვლა, რათა მათ მიმართ აღელვნილი ლოცვა ადრესატს არ მიუვიდეს; დღესასწაულების აღრევა, ლოცვების გადაკეთება, რათა შინაარსის დაზიანებით ლოცვას მადლი წაერთვას;

184. ძველი ჰიმნებისა და საგალობლების, ხატმწერლობის კანონიკური წესების შეცვლა, რათა მათ მადლი გაეცალოთ; არაბერების მიერ ფრესკების შექმნა, რაც სასჯელია; სამღვდელმსახური სამოსისათვის სიმბოლური ინფორმების, სეფისკვერის დამზადების რეცეპტის ცვლა. სხვადასხვა ქრისტიანული ორიენტაციის, ეგრეთ წოდებული ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანება, დიდი რჯულისკანონის გაუქმება, საეკლესიო პირთა სამოქალაქო საქმეებით დაკავება, რელიგიის ათქვეფვა ხელოვნებაში;

185. ამას ემატება ქალთა სამღვდლო, საეპისკოპოსო ხარისხში აყვანა და ბოლოს, ძაღლების კურთხევა და ეკლესიაში ლიტურგიაზე დასწრება. ზემოჩამოთვლილი სახეცვლილებანი უკვე დამკვიდრებულია ევროპის საეკლესიო ყოფაში, ხოლო ქართულ, ბერძნულ, რუსულ და სხვა აღმოსავლური ყოფის ეკლესიებში ბოლო ორი საშინელი დარღვევა არ შეინიშნება (ე.ი. ძაღლის კურთხევა და ეკლესიაში ლიტურგიაზე დასწრება ჯერ არ უნებებიათ საქართველოში, ასევე ქალიც ჯერ).

გაზეთი „აღმდგინ ღმერთი“

ჯერობით არ აუყვანიათ სამღვდელმსახურთა ხარისხში).

186. მასონური გამიზნული „ღვაწლი“ ამ მიმართულებით რომ არ წყდება, ეს კარგად ჩანს ანტონ პირველის შემდეგი პერიოდის მოღვაწეობაშიც: ეს რჯულის გამყიდველი საქართველოს რჯულმოსილებაზე იწყებს ზრუნვას რუსეთიდან. და თუ რარიგ იზრუნა, ეს გადმოცემული აქვს კორნელი კეკელიძემ: მან მთლიანად შეცვალა ქართული სასულიერო მწერლობა: „კონდაკი“, მღვდელმთავრის კურთხევის წესი, „პარაკლიტონი“, „ლიტურგია“, „ტიპიკონი“.

187. მას შეუქმნია საგალობლები ყველა ქართული წმინდანისა და დღესასწაულისა. ასე რომ, ანტონმა მოგვცა ახალი რედაქცია თთუენისა (მისი და მისი აღზრდილების „ნაღვაწია“ ის შერყენილი ლოცვები, რომლის შემკვიდრენი დღეს ვართ. — ი. ი.). ამ მიმართულებით დიდი გარჯა მართებთ ჩვენს მეცნიერებს, რათა კანონიკურის სახე აღუდგინონ ანტონისა და მის აღზრდილთა მიერ დაზიანებულ სასულიერო მწერლობას.

შავი ლაქები

188. რამდენადაც ადამიანი თავისი ღვაწლის სრულფასოვნებით წარმოიჩინდება, ასევე ღმერთიც მის მიერვე გაჩენილი ადამიანის სრულყოფილებით იდიდება. ამიტომაც მოეთხოვება კაცს ცხოვრება ღმერთისათვის; თუ რარიგ უნდა იღვაწოს ადამიანმა ღვთის სადიდებლად, ამას თვით ბიბლიიდან აღორძინებული რჯულისკანონი გვასწავლის; აქ არის მოცემული ჩვენი ცხოვრების კანონი და წესი, კანონსდაქვემდებარებული ცხოვრება კი წართქველი უკვდავების დაბრუნების უტყუარი გარანტიაა.

189. ადამიანმა რომ ერთობ იოლად არ

დაისკუთროს უკვდავება, მას უწევს ეშმაკთან ბრძოლა და მხოლოდ ამ ბრძოლაში გამარჯვების შემდგომ მოიპოვებს უკვდავებას. იცის ეშმაკმა, რომ დიდი რჯულისკანონით შეიარაღებულთან ბრძოლაში დამარცხდება და ამიტომაც პირველ რიგში ცდილობს, მოწინააღმდეგეს ხელიდან გაავდებინოს მისი დასათრგუნი იარაღი, ან არადა, უწევს დახანება, ვიდრე კაცი ცოდვებით აივსებოდეს. და მაშინ ისევ ეძლევა ადამიანზე მძლავრობის უფლება. სწორედ ეს იყო ქრისტეს მობრძანების მიზეზიც: როგორმე ებოძებინა კაცთათვის ცოდვების განრიდების საშუალება და ეხსნა ისინი. ეშმაკის პირველი დარტყმის ობიექტი ეკლესიაა.

190. მას სურს გააყალობოს და გააუქმოს შვიდი საიდუმლო, რის შემდეგაც აღარ აფრთხობს ეკლესიის არსებობა, რამეთუ იცის, ამ საიდუმლოთა გარეშე იგი მადლგაცლილი, ფუნქციადაკარგულია. ამიტომაც ამბობდა ლენინი — ტადარი საკურთხევილიდან უნდა დაეანგრიოთო. ჭეშმარიტად ასეა: ლენინელები უკვე ტადარში არიან, თუ საკურთხეველი უქმობს, ამოვდ გუგუნებს ზარები, ეკლესია მკვდარია, აი, რას ვკითხულობთ აპოკალიფსისში:

191. „ხოლო სარდეს ეკლესიის ანგელოზს მისწერე. ამას ამბობს, ვისაც აქვს ღმერთის შვიდი სული და შვიდი ვარსკვლავი: ვიცი საქმენი შენნი; სახელი ისეთი გაქვს, თითქოს ცოცხალი იყო, და მკვდარი კი ხარ. იფხიზლე და განამტკიცე დანარჩენიც, რაც უახლოვდება სიკვდილს, რადგან ვერ ვპოულობ, რომ შენი საქმენი აღსრულებულნი არიან ღმერთის წინაშე. გახსოვდეს, რაც მივიღია და გსმენია, და დამიარხე და შეინანე; ხოლო თუ არ იფხიზლებ, მოვალ შენთან, როგორც მპარაკვი და ვერ გაივებ, რა დროს მოვივალ“ (გამოცხ., 3, 1-3).

192. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა მდგომარეობაშია მსოფლიო საქრისტიანო, სრულებითაც არ არის საჭირო დიდი გამოკვლევები. თითოეული მათგანის საქმიანობა უნდა

განვიხილოთ დიდი რჯულისკანონის მიხედვით, რადგან ის არის მსოფლიო საქრისტიანოს სარკე; მხოლოდ მას შეუძლია სრულფასოვნად წარმოვიჩინოს ყველა ეკლესიის იერსახე. ბიბლია გვასწავნებს: ერი და სახელმწიფო, რომელიც არ ემსახურება ღმერთს, განწირულია; მსახურებაში იგულისხმება არა თვითნებური ქცევა, არამედ რჯულისმიერი ღვაწლი. ამიტომაც ითხოვდნენ წმიდა მამები რჯულისკანონის აღსრულებას; თვით ქრისტემ ბრძანა: არა მოესულვარ, რათა რჯული გაეაუქმო, არამედ მოველ აღსრულებადარ.

193. ადრინდელი რჯული ქრისტეს შემდეგ დიდი რჯულისკანონად ჩამოაყალიბეს თვით მოციქულებმა, ადგილობრივმა და მსოფლიო კრებებმა. ამიტომაც დადგინდა დიდი რჯულისკანონის ხელშეუხებლობა; იგი უცვლელი რჩება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. ეს ის წიგნია, რომელიც იწოდება ქრისტეანული ეკლესიის სამართლის კოდექსად და რომელიც ქრისტეს მეორედ მობრძანებისას უნდა გამოაღოს ჩვენდა განჩინებად.

194. ქვეყნად მშვიდობის დამყარების ვეგდით მრავალი ორგანიზაცია შეიქმნა. ყველა ისინი მტდევლობას არ აკლებენ, რათა განარიდონ ქვეყანას ომი და მშფოთვარება. ასეთი ერთ-ერთი დიდი ორგანიზაცია, რომელიც თავდაუზოგავად იბრძვის სხვადასხვა რელიგიათა და აღმსარებელთა შორის კონფორტაციის ასაცლილებლად, არის მსოფლიო საეკლესიო საბჭო. ეს ორგანიზაცია შეიქმნა ეკუმენისტური მოძრაობის ბაზაზე. მისი მიზანდასახულობა განმარტებულია წიგნში „ხრისტიანსკი ეკუმენიზმი“;

დადგინდა, რომ სხვადასხვა მიმართულების რელიგიური დოკტრინების კომპრომისით მიღწეულ იქნას მსოფლიო საქრისტიანოს გაერთიანება, სადაც ერთად ილოცებენ მართლმადიდებლები და კათოლიკეები, ბაპტიტები და მოლოკნები, ადვენტიტები და პროტესტანტები, ძველმორწმუნენი და ორმოცდაათიანენი, იეოველები და ღუზობო-

რები, რის უფლებასაც დიდი რჯულისკანონი (მოციქულთა 45-ე კანონი) არ იძლევა. იმისათვის, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა კომპრომისზეა ლაპარაკი, სხვადასხვა მიმდინარეობათა გაერთიანებისათვის, კვლავ მიემართოთ „ქრისტეანული ეკუმენიზმის“ ავტორს, რომელიც ვამცნობს: „ეპიკოპოს დედა ლეთისმშობლის ქალწულობის, ქრისტეს სულიწმიდით ჩასახვის, ქრისტეს აღდგომის და მისი ღმერთკაცობის საკითხი“.

195. ასე და ამგვარად, მსოფლიო საეკლესიო საბჭოდ წოდებულმა ამ ეკუმენისტურმა ორგანიზაციამ კარგა ხანია გაშალა საძმო ტრაპეზი ზემოთ განცხადებული დევიზით: „ეპიკოპოს ქრისტეს დედის სიწმინდეში და ეპიკოპოს ქრისტეს ღმერთკაცობაში“. ამ სუფრას მიუჯდა სამასზე მეტი სხვადასხვა მიმდინარეობის ქრისტეანული აღმსარებლობის ეკლესია, მათ შორის, ბერძნული და ქართული ეკლესიებიც. ნათქვამია: მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენი. ვინ ხარ შენ, საქართველოს ეკლესია, ამ ტრაპეზის გამზიარებელი. განა დაგაიწვიდა, რა პირობით მივიწვიეს ამ სუფრაზე?! სწორედ ამიტომაც არ ვენდობთ არც ლათინელების, არც ბერძნების, არც სომხების, არც იუდეველი ქრისტეანების, არც ქართველებისა და არც რუსი ნიკონიანელების სწავლებას.

196. ჩვენ ვენდობთ მხოლოდ იმ ეკლესიას, რომელიც ამ სუფრის წევრი არ არის და არ იკვებება ქრისტეს სწავლების გასაუკუღმართებელი საზრდოთი. ასეთ ეკლესიად წარმოჩინდა დიდი რჯულისკანონის ბოლომდე დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი სლავური ძველმართლმადიდებლური ეკლესია, ამიტომაც ავირჩიეთ ის, ვიდრე მისგან ჩვენში მივიწვიებულ რჯულდებებსა და წესებს, ემოსავთ ქართული სახიერებით და მოვეწოდებთ ერს, მხოლოდ და მხოლოდ მისი საეკლესიო ლიტერატურის მიხედვით შევაჯეროთ ჩვენი

გაზეთი „აღმდებნი ღმერთი“

საეკლესიო წიგნები, თუკი გვწადია ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის აღორძინება საქართველოს საბედნიეროდ. არადა, ერი განწირულია.

197. ნუ შესცოდეთ ღმერთს და ნუ შეიტანთ ეჭვს ძველმართლმადიდებელ ხლავთა ეკლესიის სიწმინდეში. ძველებრძნულ ორთოდოქსულ ტრადიციებზე აღზრდილ ქრისტეს რაინდთა ექვსასი-შვიდასი წლის წინანდელი უხრწნელი სხეულები დღესაც ცოცხლებივით ასვენია ჰეჩორის ლავრაში. მათი ღვაწლის, დიდების წარუშლელი კვალი აჩნევია მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიას.

198. სწორედ ის უხრწნელი სხეულებია საღვთისო დასტური იმ ძველსლავური რელიგიური ლიტერატურის ურყვენლობისა და მადლმოსილებისა, რომელთა უზალო მართლმადიდებლობის მაკებარნი არიან თვით აღმოსავლური ეკლესიების მესვეურნიც. ყველაფერი ეს და მწვინდმეტე საუკუნის რუსეთის პატრიარქ ნიკონის საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგობა მიერ დაღვრილი სისხლი გვაძლევს გარანტიას ეჭვიმუტანლად გამოვიყენოთ ძველი სლავური ნიკონიმდელი რელიგიური ლიტერატურა არსებული დილისა და საღამოს ლოცვების შესაჯერებლად და უკუვაგდოთ ყველა რეფორმატორული ეკლესიის ცრუ ნაღვაწი.

199. უწინარესად უნდა ვიცოდეთ, რომ სლავური საეკლესიო ლიტერატურა მთლიანად ფუძნება მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეების ბერძნულ საეკლესიო ლიტერატურას, რუსული ნიკონიანური საეკლესიო ლიტერატურა კი – 1602 წელს კათოლიკეების მიერ დასტამბულ ბერძნულ „ეპკოლოგიას“; რაც შეეხება ქართულ საეკლესიო ლიტე-

რატურას, იგი, მართალია, რუსზე ადრე ეყვრა ქართველს, ბერძნულ ლიტერატურასთან შეჯერებული, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართული ეკლესია საბოლოოდ მაინც რუსულ-ნიკონიანური ეკლესიის თარგზე აჭრეს.

200. თუ რამდენად უნუგეშო ყოფაში იყო ქართული ეკლესია მონღოლების ბატონობიდან დაწყებული, სპარსელებისა და ოსმალ-თათრების შემდეგ რუსი ეგზარქოსებისა და სამოცდაათწლიანი ათვისტური საბჭოთა იმპერიის ხელში, ნათლად ეტყობა ჩვენს ეკლესიურ ყოფას. ამიტომაც ნუ გაგვიკვირდება, რომ ქართული ეკლესია განრიდებულა რეკულისკანონს, შერყვნილია ლოცვები, შეცვლილია ქრისტეს სახელიც კი; ეს ხომ მასონთა გამიზნული პროგრამაა: ჭეშმარიტების შერყვნით წართმეულ იქნას მაღლი უფლისა, ე.ი. მოსპონ ქრისტეს მხედრიონი.

201. ქართული ლოცვები ამჟამად შეჯერებულია რუსულ-ნიკონიანურ ლოცვებთან, იგი იმდენადაა დაცილებული პირვანდელ ბერძნულ სახეს, რამდენადაც რუსულ-ნიკონიანური ლოცვებია დაცილებული სლავურ მეცხრე-მეთერთმეტე საუკუნეების ლოცვებს. ეს ერთ-ერთი უმთავრესი საკითხთაგანია; მისი შესწავლა მართებთ ჩვენს მეცნიერებს – თეოლოგ-ლინგვისტებს; მე კი ვეცდები სანიშნოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო, რის შემდეგაც, ალბათ, ქართველი მეცნიერები მოიცლიან, შთამოშავალთა საკეთილდღეოდ საფუძვლიანად ჩაიხედავენ ერის მომაკვდინებელ ამ საჭირისუფლოში.

202. სლავური ტექსტი ლოცვისა:

За молитв Святых отец наших, Господи Иисусе Христе, Сыне Божии, помилуй нас. Аминь (поклон поясной всегда).

203. რუსული ნიკონიანური ტექსტი ლოცვისა:

За молитв святых отец наших, Господи Иисусе Христе, Боже наш, помилуй нас. Аминь.

204. ქართული ტექსტი ლოცვისა:

ლოცვითა წმინდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩენო, შეგვიწყალენ ჩვენ. ამინ (?).

205. შენიშვნა: I. 1. ქართული ლოცვის ტექსტებში ქრისტეს სახელი სადღისოდ ყველგან „იესო“-დ წარმოიწინდება, მაშინ როდესაც ძველ ქართულ სალიტურატურო წყაროებში მაცხოვრის სახელი „იესუ“-ა:

ა) „ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა – უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტისა“ (იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“, მეხუთე საუკუნე, ქართული პროზა, ტ. I, გვ. 8).

ბ) „ექმენს უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტესა, და ა-მცა-ხორცილ არს იგი ნაწილისაგან ქრისტეანეთისა“ (გიორგი მთაწმინდელი, „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება“, მგათე საუკუნე, ქართული პროზა, ტ. I, გვ. 423).

II. იგივე სურათი გვაქვს სიტყვა „ამინ“-თან დაკავშირებით. ძველქართულ საეკლესიო და საერო ლიტურატურაში ყველგან „ამენ“ ითქმის (ქართულმა ეკლესიამ კი ამ სიტყვის რუსული ფორმა გაიმეორა):

ა) „რომელისაი არს სუფევაი და ძლიერებაი, პატივი და სიმტკიცეი და დიდებაი მოუკლებელი სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ“ („შუშანიკის წამება“, ქართული პროზა, ტ. I, გვ. 46, V საუკუნე).

ბ) „ბრძანებისამებრ ღმრთისა, რომელსა შეენის დიდებაი და სიმტკიცეი თანა მხოლოდ-შობილით ძითურთ და ყოვლად წმიდით სულით აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ (გიორგი მცირე, „გიორგი

მთაწმინდელის ცხოვრება“, ქართული პროზა, ტ. I, გვ. 512, XII საუკუნე).

III. ლოცვის შემდეგ ფრაზაში „სინე ბოჟი“, ე.ი. „ძეო ღვთისაო“-ს ნაცვლად ჩაუსვამთ სიტყვები: „ღმერთო ჩენო“. ღმერთის სახელის მოწოდებით ეს ლოცვა თითქოს უფრო მაღალ ხარისხში აიყვანეს, სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: ჭეშმარიტი ლოცვიდან სიტყვების: „ძეო ღვთისაო“-ს ამოღებით ქრისტეს წაართვეს მაცხოვრობა, ღვთის შვილობა, მესიობა, რითაც სხვა რელიგიის მესაკუთრეებს დაუტოვეს მანძი, რომ ქრისტე, ჩვენი სიტყვების მიხედვით, წარმოაჩინონ მხოლოდ ქრისტეანების ღმერთად. ამით ეშმაკმა განაგრძო აზრი, რომ ქრისტე ყველას ღმერთი როდია, იგი მხოლოდ ქრისტეანების ღმერთია და არა უმეტეს ამისა. ასე დაამგვარად, ქრისტე ამ ლოცვების მიხედვით უარყოფილია სამების იპოსტასის მეორე პირად, რადგან წართმეული აქვს ღვთის ძეობა, მაშინ როდესაც იგი ჭეშმარიტი ძე ღმერთია, რომელიც მაშინ გვერდით მჯდომი იყო, არის და სამყაროში ყველა სასიკეთო პროცესის მონაწილეა ჟამის დასაბამიდან უკუნისამდე.

IV. სლავურში ამ ლოცვის დასასრულს მინიშნებულია მეტანია, ანუ თავგანთ პირჯერისწერით, ქართულში კი მეტანია გაუქმებულა.

206. ამ ქართულ ლოცვაში სამი შეცდომაა დაშვებული. დაკვირდით, როგორ იმეორებს რუსულ-ნიკონიანური ლოცვის ტექსტის შეცდომებს ქართული ლოცვის ტექსტი:

207. ლოცვის სწორი სახე ამგვარია:

ლოცვითა წმინდათა მამათა ჩვენთათა, უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ. ამენ (მეტანია).

208. სლავური ტექსტი ლოცვისა:

Боже, очисти мя грешнаго. яко николиже благо сотворих пред Тобою (поклон), но избави мя

от лукаваго, и да будет во мне воля Твоя (поклон), да неосужденно отверзу уста моя недостойная и восхвалю имя Твое святое: Отца и Сына и Святаго Духа, ныне и присно и во веки веком. Аминь (поклон).

209. ნიკონიანური ტექსტი ლოცვისა:

Боже, очисти мя грешнаго, яко николиже сотворих благое пред Тобою, но избави мя от лукаваго, и да будет во мне воля Твоя, да неосужденно отверзу уста моя недостойная и восхвалю имя Твое святое: Отца и Сына и Святаго Духа, ныне и присно и во веки веков. Аминь.

210. ქართული ტექსტი ლოცვისა:

ღმერთო, განმწმიდე მე ცოდვილი, რამეთუ არა მიქმნიეს კეთილი წინაშე შენსა (?) არამედ მიხსენ მე განსაცდელისაგან და იფაენ ჩემ შორის ნება შენი (?), რამეთუ დაუსჯელად აღვადო პირი ჩემი არა ღირსი, და ვაქებდე სახელსა შენსა წმიდასა, მამისა და ძისა და წმინდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

211. შე ნ ი შ ე ნ ა :

I. „მიხსენი მა ოტ ლუკაეაგო“, ე.ი. „მიხსენ მე ბოროტისაგან“-ის ნაცვლად ქართულ ლოცვაში წერია: „მიხსენ მე განსაცდელისაგან“. ეს ლოცვა ბოროტისაგან თავდასხმას აკეთებს აქცენტს, მაშინ, როცა გადაკეთებული ლოცვა საგმირო განსაცდელზე თავის არიდებას მიანიშნებს. როცა ლოცვაში ლაპარაკია ბოროტის განრიდებაზე, საგულისხმოა, რომ არ ვიქნეთ ბოროტის მიერ შეპყრობილი, არ ვიქცეთ მის ლუკმად.

II. ქართული ლოცვის შესაბამე მუხლში სიტყვა „რამეთუ“ ნაცვლად უნდა იყოს „დაე“, რადგან სლავეურ „და ჩე“-ს არ შეესატყვისება „რამეთუ“.

III. ლოცვა დაყოფილია სამ მუხლად და ყოველი მუხლის დასასრულს ჩართულია მეტანიები. ლოცვის რუსულ-ქართულ ნიკონიანურ ვარიანტებში მეტანიები არ არსებობს.

ქართული ლოცვის ამ ტექსტში ექვსი შეცდომაა დაშვებული, თუკი სიტყვა „ამინსაც“ დავემატებთ.

212. ლოცვის სწორი სახე ამგვარია:

ღმერთო, განმწმიდე მე ცოდვილი, რამეთუ არა მიქმნიეს კეთილი წინაშე შენსა (მეტანია), არამედ მიხსენ მე ბოროტისაგან, და იფაენ ჩემ შორის ნება შენი (მეტანია), დაე დაუსჯელად აღვადო პირი ჩემი არა ღირსი, და ვაქებდე სახელსა შენსა წმიდასა, მამისა, და ძისა და წმინდისა სულისა, აწ და მარადის და საუკუნეთა, საუკუნეთასა. ამენ (მეტანია).

213. სლავეური ტექსტი ლოცვისა:

(Перекрестись и говори три раза). Слава Тебе, Боже наш, слава Тебе всяческих ради.

214. ნიკონიანური ტექსტი ლოცვისა:

Слава Тебе, Боже наш, слава Тебе.

215. ქართული ტექსტი ლოცვისა:

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენი, დიდება შენდა!

216. შე ნ ი შ ე ნ ა :

I. ქართულ ლოცვაში არ არის მინიშნება, რომ ლოცვის დაწყების წინ პირჯვარია გადასაწერი.

II. სლავეურ ლოცვაში დასასრულ ნათქვამია: „ვისიანესის რად“, ე.ი. „ყოვლისათვის“, რაც ქართულ ლოცვას აკლია. რა დაირღვა? დაირღვა ის, რომ არ არის განმარტებული, თუ რისთვის ეკუთვნის უფალს დიდება. სწორედ ამ კითხვის დასმის შემდეგ იძენს ეს ლოცვა თავის შინაარს: უფალს დიდება ყველაურისათვის, ცუდებლობისა და სიკეთისათვის, რადგან სამართლიანია მისი რისხვაც და წყალობაც, ამ აქცენტების გარეშე ეს ლოცვა კარგავს თავის ხარისხს.

217. თუმცა საქვეურო ქადაგებები საქართველოს მღვდელმსახურები გვარწმუნებენ, ღმერთი შურისმაძიებელი არ არის და არც განრისხება იცისო, მაგრამ ამით ეშმაკის წისქვილზე ასხამენ წყალს, სურთ, აღამიანს განურიღონ შიში უფლისა, რადგან იციან, სიბრძნის სათავე სწორედ ღვთისმოშობით იწყება; ღმერთი რომ მრისხანებს და მრავალ მოდგმაზე შურისმაძიებელია, ეს უნდა იცოდნენ ქართველმა მღვდელმსახურებმა თვით ბიბლიიდან.

218. ამ ლოცვაში ორი შეცდომაა დაშვებული.

219. ლოცვის სწორი სახე ამგვარია:

(პირჯვარი თავიანის გარეშე)
დიდება შენდა, ღმერთო ჩვენი, დიდება შენდა ყოვლისათვის.

220. სლავეური ტექსტი ლოცვისა:

Приидите, поклонимся Цареви нашему Богу (поклон).
Приидите, поклонимся Христу Цареви и Богу нашему (поклон).
Приидите, поклонимся и припадем к Самому Господу Иисусу Христу Цареви и Богу нашему (поклон).

221. ნიკონიანური ტექსტი ლოცვისა:

Приидите, поклонимся и припадем Цареви нашему Богу (поклон).
Приидите, поклонимся Христу, Цареви нашему Богу (поклон).
Приидите, поклонимся и припадем Самому Христу, Цареви и Богу нашему (поклон).

222. ქართული ტექსტი ლოცვისა:

მოვედით, თავიანის-ვცეთ შეუფხა ჩვენსა ღმერთსა (?) მოვედით, თავიანის-ვცეთ და შეუერდეთ ქრისტესა შეუფხა (?) ღმერთსა ჩვენსა (?) მოვედით, თავიანის-ვცეთ და შეუერდეთ თვით ქრისტესა, შეუფხა და ღმერთსა ჩვენსა. (?)

223. შენიშვნა:

I. პირველ წინადადების დასასრულს უნდა იყოს მეტანია.

II. მეორე წინადადებაში ჩამატებულშია სიტყვები: „და შეუერდეთ“, ასევე „შეუფხა“ და „ღმერთსა“ შორის არის „და“ კავშირი, ხოლო ამ წინადადების ბოლოს აკლია მეტანია. გასწორების შემდეგ მივიღებთ ამგვარ წინადადებას: „მოვედით, თავიანის-ვცეთ ქრისტესა, შეუფხა და ღმერთსა ჩვენსა“.

III. მესამე წინადადებაში ამოგდებულია სიტყვები: „უფალსა იესუ“. ზომ ცნობილია, რომ ქრისტეს სახელით ბევრი მოვა და მათ შორის თვით ანტიქრისტეც, მაგრამ ერთადერთი, რის თქმასაც ის ვერ შეიძლებს, არის მე იესუ ვარო. აქედან გამომდინარე, ლოცვიდან „უფალსა“, „იესუ“ სიტყვების ამოღებით ეშმაკმა ეს ლოცვა ცრუ მესიის მორაგო, როცა ითქვა: „მოვედით, თავიანის-ვცეთ და შეუერდეთ თვით ქრისტესა, შეუფხა და ღმერთსა ჩვენსაო“, გასაგებია, რომ თავიანის უნდა ვცეთ და შეუერდეთ ქრისტეს, რომელიც არის ჩვენი შეუფე და ღმერთი, მაგრამ როცა ამ წინადადებიდან ამოღებულია „იესუ“ უფლის სახელი, მაშინ ჩვენთვის გაურკვეველი

ხდება, ვინ არის პიროვნება ქრისტე, ანუ იგივე მაცხოვარი, ანუ იგივე მესია? ამიტომაც ამ ლოცვაში ზაზგასმულია, რომ ის ჩვენი მეუფე და ღმერთი სწორედ იესუა და არა სხვა პიროვნება.

IV. ამ სამ მუხლად დაყოფილ ლოცვაში თითოეულ მუხლს მეტანიები ახლავს, ქართულში მეტანიები ამოღებულია.

224. ლოცვაში ხუთი შეცდომაა დაშვებული. აქაც ქართული ტექსტი რუსულ-ნიკონიანური ტექსტის შეცდომებს იმეორებს.

225. ლოცვის სწორი სახე ამგვარია:

მოვედით; თავგანის-ვცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა (მეტანია), მოვედით, თავგანის-ვცეთ ქრისტესა მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა (მეტანია), მოვედით, თავგანის-ვცეთ და შეუკრდეთ თვით უფალსა იესუ ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა (მეტანია).

226. სლავური ტექსტი ლოცვისა:

От сна востав, благодарю Тя, Всесвятая Троице, яко многиа ради благодсти и долготерпения не прогневаися на мя грешнаго, и лениваго раба Твоего, и не погубил еси мене со беззаконии моими но человеколюбства. И в нечаянии лежаща, воздвиже мя утревати и славословити державу Твою непобедимую. И ныне, владыко, Боже пресвятый, просвети очи сердца моего и отверзи ми устне поучатися словесем Твоим, и разумети заповеди Твоя, и творити волю Твою и пети Тя во исповедании сердечнем. Воспевати же и славити пречестное и великолепое имя Твое: Отца и Сына и Святаго Духа, ныне и присно и во веки веков. Аминь.

227. ნიკონიანური ტექსტი ლოცვისა:

От сна востав, благодарю Тя, Святая троице, ко многия ради Твояя благодсти и долготерпения не прогневался, еси на мя грешнаго и лениваго ниже погубил мя еси со беззаконными моими, человекалюбствовал еси обычно и в нечаянии лежащаго воздвигл мя еси, во еже утревати и славословити державу Твою. И ныне просвети мои очи, мысленныя, отверзи моя уста поучатися словесем Твоим, и разумети заповеди Твоя, и творити волю Твою, и пети, Тя во исповедании сердечнем, и воспевати всесвятое имя Твое, Отца и Сына и Святаго Духа ныне и присно и во веки веков. Аминь.

228. ქართული ტექსტი ლოცვა:

ძილისაგან აღდგომილი გამდლობ შენ, წმინდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერებისა და სულგრებელებისა შენისათვის არა განრისხენ ჩემ უძლებსა და ცოდეილსა ზედა და არა თანაწარმწყობილ მე უსჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ ჩვეულებისამებრ კაცთმოყვარე მექმენ მე და უფსკრულსა შინა სასოწარკვეთილებისასა მდებარე აღმადგინე (?) აღმსობად და დიდებისმეტყველებად, ძალსა შენსა (?) აწცა (?) განმინათლენ თვალნი გონებისა ჩემისანი, აღაღე პირო ჩემი ზრახვად სიტყვათა შენთა და გულისწმისყოფად გზათა შენთა, და ქმნად ნებისა შენისა, და გალობად სახელსა შენსა აღსარებითა გულისათა, დიდებად და გალობად ყოვლად-პატიოსანსა (?) სახელსა შენსა, შამისა და ძისა და წმიდისა

სკლისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

229. შ ე ნ ი შ ე ნ ა :

I. თანამიმდევრობით განვიხილოთ ყველა ფრაზა. სლავეური ტექსტი: „ოტ სნა ვოსტავ, ბლაგოდაროუ ტა, ვესევატაია ტროიცე“, ქართულშია: „ძილისაგან აღდგომილი გჳადლობ შენ, წმიდაო სამებაო“; ქართული ლოცვიდან ამოღებულია სიტყვა „ესევიატაია“, ე.ი. „ყოვლად წმიდა“, მის ნაცვლად მოცემულია „წმიდაო“ (გადმოღებულია რუსულ-ნიკონიანური ლოცვიდან, რითაც დაკავნიხეთ უფლის პატივი და ლოცვის ხარისხი).

II. მომდევნო წინადადებაში: „ნუ პროგნევასია ნა მია გრეშნაგო ი ლენივაგო რაბა ტოვგო“. ქართულში გვაქვს: „რა განრისხენ ჩემ უძღებსა და ცოდვილსა ზედა“, რაც ვერ არის სლავეური ტექსტის შესატყვისი, რადგან სიტყვა „ლენივი“ არ არის „უძღები“, მას უფრო შეესატყვისება „მცონარე“.

III. ხოლო სლავეური ტექსტის „რაბა ტოვგო“ შეუცვლიათ „ცოდვილსა ზედა“-თი. რა გამართლება აქვს ასეთ ცვლილებას, როცა უნდა იყოს „მონასა შენს მიმართ“?

IV. შემდეგ სლავეურშია: „ი ვ ნუჩაიანი ი ლეჳაშნა, ვოზდეჳეჳე მია უტრენეჳატი ი სლავოსლოჳატი დერჳჳე ტოჳუ ნუჳობედჳოუ“, ქართულში კი წერია: „და უფსკრულსა შინა სასოწარკვეთილებისასა მღებარე აღმადგინე აღმსოთხად და დიდების-მეტყველებად, ძალსა შენსა“. სად არის სიტყვა „უტრენეჳატი“, ანუ „ხადილაო“, სად არის სიტყვა „უძღეჳეჳეჳისა“, სად არის სიტყვა „ნუჳოუ“? „დიდების-მეტყველებად ძალსა შენსა“ არ ესადაბება: „სლავოსლოჳიტი დერჳჳე ტოჳოუ ნუჳობედჳოუ“-ს. უნდა იყოს: „დიდების-მეტყველებად მუჳეჳებისა შენსა უძღეჳეჳისა“. ამ წინადადებაში დაშვებული ცდომილებით ეშმაკმა ღვთის მუჳეჳების ძლევა იჩემა, როცა არ გაესვა ხაზი ღმერთის მუჳეჳების უძღეჳეჳელობას.

სლავეურში „ვოზდეჳეჳე მია უტრენეჳატი“-თ მოლოცველი ითხოვს ხადილაო მღვიძარებას, გამოფხნიზებას, რათა აღიღოს მუჳეჳება, ანუ უძღეჳეჳი ზელმწიფება ღვთისა. ქართულ ტექსტში არაფერია თქმული დილაზე. ხოლო მადიდებელი უფლისა ძალისა არ არის განმარტებული თუ როგორი ძალის მადიდებელია, რის გამო ლოცვის ხარისხი აქაც დაკავნიხებულია.

V. ტექსტი: „ი ნინე, ვლადიკო, ბოჳჳე პრეჳეჳიჳიტი“, რუსულ-ნიკონიანურ და ქართულ ტექსტებში: „ჳლადიკო ბოჳჳე“, „მეუჳეჳო ღმერთო“ საერთოდ ამოღებულია.

VI. ბოლო წინადადებაში სლავეური გვაუწყებს: „ვოზდეჳატი ჳე ი სლავატი პრეჳისტნოჳე ი ვლადიკოლენოჳე იმია ტოჳე“. ქართულში: „დიდებად და გალობად ყოვლად-პატიოსანსა ხახელსა შენსა“... ამ წინადადებაში ამოღებულია სიტყვა: „ი ვლადიკოლენოჳე“, ე.ი. „დიდებულსა“. ამ ლოცვაში მონიშნებულია, რომ უფლის სახელს ყოვლად წმიდა და პატიოსანი, თანაც დიდებული. რა ელის მას, ეინც უფლის სახელს დიდება წართვა?! რუსულმა ნიკონიანურმა ეკლესიამ შეცვალა სლავეური ლოცვის სიტყვები „პრეჳისტნოჳე ი ვლადიკოლენოჳე“, ქართულმაც იგივე გაიმეორა.

და რაკი ლოცვის დასასრულის ბოლო სიტყვა „ამინ“ – წინამდებარე შეცდომებს ემატება, ლოცვის ტექსტში თორმეტი შეცდომაა.

VII. თუკი სლავეურ ტექსტში მოცემულია შემდეგი ფრაზა: „აწცა მეუჳეჳო, ღმერთო უწმინდესო განანათლენ“... რუსულ ნიკონიანურსა და ქართულში ერთნაირად გაუქმებული, ანუ ამოღებულია შემდეგი სიტყვები: „მეუჳეჳო ღმერთო უწმინდესო“, გრძელდება „განანათლენ“ და ასე შემდეგ. ვის უნდა ამოვიღო ლოცვიდან ეს სიტყვები, თუ არა ეშმაკს?

VIII. სლავეური ტექსტი „პროსვეტი ირი ზერდცა მოჳეჳო“ ნიკონიანურმა ეკლესიამ, ასე შეცვალა: „პროსვეტი მოი ირი მისლენა“. რომელი ლოგიკის საფუძველზე მოითხოვა ამ ლოცვის გადაკეთება? თუკი ნათქვამია

სლავეურში „თვალი გულისა“, რანაირად გახდა იგი: „თვალი აზროვნებისა, გონებისა?“ ქართულმა ეკლესიამ ნიკონიანურად ზუსტად გადაიღო „თვალნი გონებისა ჩემისანი“. განსხვავება გონების თვალსა და გულის თვალს შორის ის არის, რომ გონების თვალი ლოგიკაა, ხოლო გულის თვალი ინტუიცია. და ეს ლოცვა ცამ ტექსტით ითხოვს ღვთისაგან, არ უღალატოს მას გულის თვალმა — ინტუიციამ, რადგან გვამს უფრო უჭირს ვნებების გამო სწორი ნებელობა, რამეთუ სულის თვისებაა გონიერება.

230. ლოცვის სწორი სახე ამგვარია:

ბილისაგან აღდგომილო, გამაღობ შენ, ვოვლად წმიდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სიკეთისა და სულგრძელებისა შენისათვის არა განრისხენ ჩემზედა — ცოდვილისა მცონარისა მონისა შენისა მიმართ და არა თანა წარმწყმიდე მე უსჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ კაცთმოვარე მექმენ მე სადილო აღმსობად და დიდებისმეტველებად მეუფებისა შენისა უძლეულისა. აწცა, მეუფეო, ღმერთო უწმინდესო, განმინათლე თვალნი გულისა ჩემისანი და ადალე პირი ჩემი ზრანვეად ხიტყვათა შენთა, და გულისხმისყოფად მცნებათა შენთა, და ქმნად ნებისა შენისა, და გალობად სახელსა შენსა აღსარებათა გულისათა, დიდებად და გალობად ვოვლად პატიოსანსა და დიდებულსა სახელსა შენსა, მამისა და ძისა და წმიდისა ხულისა, აწ და მარადის და საუკუნეთა საუკუნეთასა, ამენ.

231. ამიტომაც ვუწოდებთ ქართულ ეკლესიას იგივე რუსულ-ნიკონიანურ ეკლესიას, რადგან იგი, ანტონ პირველისა და მისწინართა მონღომებით, რუსული ნიკონიანური ეკლესიის იდენტური ეკლესია გახდა.

(Ограждая себя крестным знамением).

Верую во единого Бога Отца Вседержителя, Творца небу и земли видимым же всем и невидимым.

И во единого Господа Иисуса Христа Сына Божия, Единородного, иже от Отца рожденного прежде всех век. Света от Света, Бога истинна, от Бога истинна. Рождена, а не сотворена единосущна Отцу, Им же вся быша.

Нас ради человека, и нашего ради спасения, сшедшаго с небес, и воплотившагося от Духа Свята, и Марии Девы вочеловечышася.

Распятого за ны при Понтийстем Пилате, страдавши и погребена.

И воскресшаго в третий день по писаниих.

И возшедшаго на небеса, и сядуща одесную Отца.

И паки грядущаго со славою, судити живым и мертвым, Его же царствию несть конца.

И в Духа Святаго Господа ИСТИННАГО и Животворящаго, иже со Отцем и Сыном споклоняема и сславима, глаголавшаго пророки.

И во едину святую соборную, и апостольскую церковь. Исповедую едино крещение, во оставление грехов. Чаю воскресения мертвым и жизни будущаго века, Аминь.

233. ნიკონიანური ტექსტი ლოცვისა:

1. Верую во единого Бога Отца, Вседержителя, Творца небу и земли, видимым же всем и невидимым. 2. И во единого Господа Иисуса Христа, Сына Божия Единородного, Иже от Отца рожденнаго прежде всех век; Света от Света, Бога истинна от Бога истинна-рожденна, несотворенна, единосущна Отцу, Имже вся быша. 3. Нас ради человек и нашего ради спасения сшедшаго с небес и воплотившагося от Духа Свята и Марии Девы, вочеловечшася. 4. Распятаго же за ны при Понтийстем Пилате, страдавша, и погребенна. 5. И воскресшаго в третий день по Писанием. 6. И возшедшаго на небеса, и сядища одесную Отца. 7. И паки грядущаго со славою судити живым и мертвым, Егоже Царствию не будет конца. 8. И в Духа Святаго, Господа, Животворящаго, Иже от Отца исходящаго, Иже со Отцем и Сыном спокланяема и славима глаголавшаго пророки. Во едину Святую, Соборную и Апостольскую Церковь. 10. Исповедую едино крещение во оставление грехов. 11. Чаю воскресения мертвых. 12. И жизни будущего века. Аминь.

234. ქართული ტექსტი ლოცვისა:

მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა: და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდ-შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი

ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა. რომელი ჩვენთვის კაცთათვის და ჩვენის ცხოვრებასთვის გარდაპოსდა ზეცით, და ხორცი შეისხა სულისაგან წმინდისა და მარიამისაგან ქალწულისა და (?) განკაცნა და (?) ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტიულისა პილატესზე, და ივნო, და დაეუფლა, და აღდგა მესამე დღესა მსგავსად წერილისა და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა და კვლად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა, რომლის სუფუცისა არა არს დასასრულ. და სული წმიდა, უფალი (?) და ცხოველმოყველი, რომელი მამისაგან გამოვალს მამისათანა, და მისათანა თავგანისიციუმების და იდილებს, რომელი იცყოდა წინასწარმეტყველთა მიერ, ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, აღუარებ ერთსა ნათლისღებასა მოხატევებლად ცოდვათა, მოველი აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

235. შ ე ნ ი შ ე ნ ა :

I. — ხორცი შეისხა სულისაგან წმინდისა და მარიამისაგან ქალწულისა და განკაცნა. იმის გამო, რომ წინადადებაში მარიამისაგან ქალწულისა. — ს შემდეგ ჩაურთათ სრულიად უსაფუძვლო „და“ კავშირი, შეიცვალა წინადადების შინაარსობრივი სტრუქტურა. ქართული ტექსტის მიხედვით გაურკვეველი ხდება, ვისგან შეისხა ხორცი, სული წმინდისა და ღვთისმშობლის მიერ თუ მხოლოდ სული წმინდისაგან? დავაკვირდეთ სლავურ ტექსტს: „უპალოტიემყოხა იტ დუნა სვაიატა ი მარიი დევი ვორჟლოვერშასია“. ნათელი სურათია წარმოდგენილი: ხორცი შეუსხამს სულიწმინდისაგან და განკაცებულა ღვთისმშობლი-

საგან სულიწმიდის მიერ ხორცშესხმული.

II. წინადადებაში: „და ჯვარს ეცვა პონტოელისა პილატუსზე“, „და“ კავშირის ჩამატებული. სლავურში კი „და“ კავშირის ნაცვლად მძიმეა დასმული: „რასპიატოვო ყუ ზა ნი პრი პონტიისტემ პილატე, სტრადავმა“... და ა.შ.

III. წინადადებაში: „და სული წმიდა უფალი და ცხოველმყოფელი“, სიტყვა „უფალი“-ს შემდეგ ამოღებულია სიტყვა „ჰქმშარიტი“, რითაც კინდება სულიწმიდის ღირსება. შეიძლება ვინმემ იფიქროს, ამ ერთი სიტყვის ამოღებისათვის რა დიდ ცოდვას შეეუღებეთო, მაგრამ გაიხსენეთ თუ რა უბედურება ეწიათ სომხებს სამწმიდაობის ლოცვაში ერთი სიტყვის შეცვლის გამო (ისინი ანათემას შეუყენეს). რა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა „მრწამსში“ ამოღებულ იქნა ერთი სიტყვა „ჰქმშარიტი“? ამ ერთი სიტყვის ამოღების მიზანი ის იყო, რომ სულიწმიდისათვის ჰქმშარიტების პატივი წაერთმიათ.

ვინ შეიწუხა თავი ამ მომაკვდინებელი მკრეხელობის გამო? საქართველო დღემდე მუყაითად ლოცულობს ამ შერყენილი ლოცვებით. ჩვენგან შეურაცხყოფილი ღმერთისაგან ამგვარი ლოცვის მღალაღებულნი მადლის მაგივრად რისხვას ვიძენდით; ან რა ღირსი ვიყავით წყალობისა გონების თვლითაც დაბრმავებულნი! სულიწმიდის ჰქმშარიტებას ერთ ლოცვაში ვაღიარებდით, მეორეში უარყოფდით და არასოდეს შეგვიინიშნავს იგი: „მეუფეო ზეტათაო, ნუგემინის მცემელო, სულო ჰქმშარიტებისაო“, ვამბობდით, ხოლო მრწამსში სულიწმიდის ჰქმშარიტებას არ ვაღიარებდით. აი, ეშმაკის მანქანება! აი უბედურება!

IV. სლავურში და რუსულ-ნიკონიანურში სიტყვა „კათოლიკე“ არ არის ნახმარი. ამ სიტყვას რუსული განმარტება მისცეს — „სობორნაა“. ქართველებს კი ეს სიტყვა უთარგმნელად მიუღიათ. სასურველია ლათინური სიტყვა „კათოლიკურის“ ნაცვლად ამ ლოცვაში ჩაისვას ქართული „საკრებო“, რადგან

სიტყვა „კათოლიკურის“ მოსმენა იწვევს ლათინური ერესის ასოციაციას.

236. ლოცვის სწორი სახე ამგვარია:

მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოველისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა და ერთი უფალი იესუ ქრისტე ძე ღუთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჰქმშარიტი ღვთისაგან ჰქმშარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, რომელი ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის, გარდამონხდა ზეცითა, და სოცვი შეისხა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა. ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოელისა პილატუსზე, ივნო, და დაეფლა, და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა, და კვალად მომავალ-არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკედართა, სუფევას მისას არა აქვს დასასრულ.

და სულიწმიდა, უფალი ჰქმშარიტი და ცხოველმყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს მამისათანა, და ძისათანა თაყვანის იცემების და იდილების, რომელი იტოდა წინასწარმეტყველთა მიერ, და ერთი წმიდა, საკრებო და სამოციქულო ეკლესია, აღუდარებ ერთსა ნათლილებასა მოსატყვევებლად ცოდვთა, მოველი აღდგომასა მკედრეთით და ცხოვრებასა მერსმისსა მის საუკუნოსასა. ამენ.

237. ასეთი მდგომარეობაა ქართული ლოცვების თითქმის ყველა ტექსტში და მაგალითების მოტანას აღარ გავარგებლებთ;

იმედია, საჭირო დასკვნას თავად გააკეთებთ.

სერაფიმ როუზი

238. სერაფიმ როუზი დაიბადა 1934 წელს კალიფორნიაში. იზრდებოდა ამერიკულ პროტესტანტულ ოჯახში. დამთავრა კალიფორნიის უნივერსიტეტი ბერკლში და მიიღო ხელოვანთმეცნიერის ხარისხი. 1961 წელს შეხვდა პირველ მართლმადიდებელს. სერაფიმ როუზმა სამისიონერო მიზნით ჩამოაყალიბა საზოგადოება „საძმო ღირსი გერმანე ალიასკენლისა“. 1967 წელს შეისრულა დიდი ხნის წადილი სრულყოფილი ბერული ცხოვრებისა. მიიღო ხელდასხმა 1977 წელს, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა 1981 წელს.

239. სერაფიმ როუზი ნამდვილად დიდი ერუდიტია. მან, როგორც თანამედროვე თეოლოგმა, ქრისტეანული მართლმადიდებლური კონფესიის აღიარებით მსოფლიო ცივილიზაციას მისცა სულის გადარჩენის სწორი ორიენტაცია, თუმცა ვერ დაუკონკრეტა იგი, რადგან ვერ დაინახა თანამედროვე მართლმადიდებლობის ვერტიკულობა. ასევე გულწრფელი და მართალია იგი, როცა ამხელს ღვთიური ჭეშმარიტების მოძალადე ყოველგვარ მაგიურ ხელოვნებას და მოძღვრებას, რომელიც რელიგიის თვითგანვითარების საბურკლეთი იმოსება.

გაეცანით სერაფიმ როუზის შეხედულებებს:

240. „მართლმადიდებელ ქრისტეანებს აწ ქრისტეს ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ჟამი დაგვიდგა. კაცთა გამოსხნის მტერი, ეშმაკი, ყოველი მხრიდან გვესხმის თავს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არა მარტო მორწმუნენი ააცდინოს ეკლესიის მიერ უწყებულ გზას ცხოვრებისა, არამედ, მაცხოვრის აღთქმისა და მიუხედავად, ეკლესიაც — გვაში ქრისტესი, და გადაქციოს

იგი ეკუმენისტურ გაერთიანებად, რომელიც გზას განუზადებს ეშმაკისავე რჩეულს, ანტიქრისტეს, უკანასკნელ ჟამთა დიდ სოფლის მპყრობელს“ (ძველელმონაზონი სერაფიმ როუზი, „სამეფო გზა“, გამომცემლობა „მერანი“, 1990 წ., გვ. 327).

241. აქვე სქოლიოში კვითხულობთ ეკუმენიზმის განმარტებას:

ეკუმენისტები — ეკუმენიზმი არის მოძრაობა სხვადასხვა ქრისტეანულ მიმდევართა გაერთიანებისათვის. წარმოიშვა პროტესტანტებში მე-19 საუკუნის ბოლოს, თაოსნობს „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“. ეკუმენისტები მიზნად ისახავენ მთელი მსოფლიოს სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტეანთა გაერთიანებას. მაგრამ არა საერთო ჭეშმარიტი მრწამსისა დღეა ეკლესიის წმიდა გადმოცემის საფუძველზე, არამედ სარწმუნოებრივი კომპრომისებითა და პოლიტიკური თანამშრომლობის გზით“.

242. „მართლმადიდებლობა ცხოვრებაა, უკეთე მართლმადიდებელივით არ იცხოვრებ, მართლმადიდებელი არა ხარ, ეკლესიის ფორმალური წევრობისდა მიუხედავად“ (მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა“, გვ. 333).

243. „ცხოვრება აწ არანორმალური გახდა, უკეთ, თანამედროვეობას განიხილავს გარდასულ დროთა ამერიკის, რუსეთისა თუ ნებისმიერი დასავლეთეუროპული ქვეყნების ნორმალური ყოფის ფონზე, უთუოდ განგაცვიფრებთ ანლანდელი ცხოვრების არანორმალურობა. ჩვენს დროში მკვეთრად შეიცვალა თვით ცნების ავტორიტეტისა და მორჩილებისა, ღირსებისა და თავაზიანობისა, საზოგადოებრივისა თუ პირად ცხოვრებაში ქცევისა — ყველაფერი წინაუქმო დადგა, თუ არ ჩავთვლით ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს, ძირითადად ამა თუ იმ მიმდინარეობის ქრისტეანთ, რომელნიც ეგრეთ წოდებული „მეფე-ბური“ ცხოვრების წესის შენარჩუნებას ცდილობენ“ (იქვე, გვ. 334).

244. „როდესაც „მე“-ს თაობა რელიგიას

მიმართავს, რაც უკანასკნელ ათწლეულებში ფრიად გახშირდა — მაშინაც, ჩვეულებრივ, რაღაც პლასტმასური თუ ფანტასტიკური სახის რელიგიას მოძებნის ხოლმე. ასეთებია: „თეთგანვითარების რელიგია“, სადაც თაყვანისცემის ობიექტად საკუთარი „მე“ რჩება, გონიერების განწმენდა და აზრთა კონტროლი „განღმრთობილი“ გერუსა და სვამის თაყვანისცემა, „ა.მ.ო.“-სა და „ოკოსმოხელ სტუმარი-თა“ არაბუნებრივ სულიერ მდგომარეობათა და შეგარძნებათა ძიება... აქ არ განვიხილავთ ამ მოვლენებს მრავალი ჩვენგანისათვის ალბათ ისედაც კარგად ცნობილთ, მხოლოდ აღენიშნავთ, როგორ ზემოქმედებენ ისინი თანამედროვე მართლმადიდებელ ქრისტიანთა ხულიერ ცხოვრებაზე“ (იქვე, გვ. 335-36).

245. „... კაცობრივ საქმეთა ყოველი დიდი კრიზისის, კერძოდ, აწინდელი, თავისუფალ სამყაროზე მოწვეული კრიზისის უამს დაცემა ელის სჯულის, კანონებისა და შენების ცოდნას მონდომებულთ. გადარჩებიან ისინი, რომელთა მართლმადიდებლური განმარტებით ჭეშმარიტი ქრისტიანობა შეუმოსავთ. რომელთა მართლმადიდებლობა მათს გულებში დანგრეულა და სხვათა გულების წევრმაც ძალუძს“ („მართლმადიდებლური მსოფლმხედველობა“, გვ. 347).

კითხვა-პასუხი

246. კითხვა: რატომ მიეცა საქართველოს კათოლიკური ორიენტაცია?

პასუხი: ყოვლად შეუძლებელია, ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყნის შვილებს, რომელთაც იმთავითვე მართლმადიდებლობა ებოძათ, როგორც ახალ ისრაელებს, ე.ი. ღვთის რჩეულ შვილებს, კათოლიკური ყოფა ჰქონოდათ გენეზისში.

კათოლიკური ორიენტაცია საქართველოში შემოკრილმა მასონებმა მოახვიეს სამეფო კარს და დიდებულებს იმ მოტივით, რომ მათ მიერვე თავსმოხვეული პოლიტიკური კრიზისიდან გამოსავალი სწორედ კათოლიკობაში მოეძიათ. ბევრმა დაიჯერა ეს

წარასწემებელი მოწოდება, მაგრამ ღმერთმა არ ინება საქართველოს საბოლოო განწირვა.

247. კითხვა: რამდენად სწორი იყო მართლმადიდებლობის დათმობით ერის გადარჩენის მცდელობა?

პასუხი: თუკი ჭეშმარიტი სარწმუნოების გარეშე სულის გადარჩენა არ არსებობს, მაშინ საქართველოს შეგნებულად უნებებია მარადიული სიკვდილი. „ეჩრესი ანათემას ანუ წყველას იმსახურებს“ (მეორე მსოფლიო კრების მე-2 კანონი).

248. კითხვა: ჩვენ გვსმენია, რომ რუსეთის სამეფო ტახტს მასონებმა მოურყიეს საფუძველი, ამ მხრივ ქართველებში რა ხდება?

პასუხი: გაეცანით 1993 წლის გაზეთ „იბერია სპექტრის“ პუბლიკაციას — „ქართველი მასონები“.

მეკი დაეუმატებ: რაც კი ხისამაგლე დატრიალებულა საქართველოში ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან დაწყებული, ეკლესიების ნგრევითა და მღვდელმსახურთა განადგურებით დამთავრებული, მაგათი ნახელავია.

249. კითხვა: რას შეიძლება მივაწეროთ ანტონ პირველის მართლმადიდებლობის საზიანოდ მიმართული საქმიანობა? ნუთუ სხვა აღმსარებლობაში ნაზა მან ჭეშმარიტება და ამიტომაც გადაიხარა მართლმადიდებლობიდან?

პასუხი: მართლმადიდებლობის საზიანოდ მიმართული ყოველგვარი მოქმედება ანტიქრისტიანულია. ამ პროგრამას მართავს ეშმაკი და აღასრულებენ მისი მოკავშირე ადამიანები, რომლებიც მასონებად იწოდებიან.

მათი უპირველესი მიზანია, დასცენ მართლმადიდებლობა, რადგან იცან, რომ სწორედ აქ სუფევს ღვთის მადლი და ცნობილი ხერხებით იწყებენ მართლმადიდებლობის დაზიანებას.

ამგვარად, მასონების ძირითადი ხერხი ეკლესიის ნგრევისა, თავის დროზე ლენინმა გააცხადა: „ჩვენ უნდა დავანგრიოთ ეკლესია საქურთხველიდან“.

250. ჭეშმარიტად ასეა: ყალბი ნათლობის

და ყალბი ხელდასმის მქონე ეგრეთ წოდებული მღვდელმსახური ასრულებს რა ეკლესიურ შვიდ საიდუმლოს, ლენინის ამ ძირითადი მასონური ფორმულის მიხედვით ანგრევს საკურთხეველს.

რა უნდა ვიცოდეთ დიდი რჯულისკანონიდან

251. კითხვა: რა არის ეკლესია?

პასუხი: ეკლესია არის ღვთის საიდუმლად ბოძებული სამლოცველო, ქრისტეანთა სამრავლო სახუდარი, ქრისტეს პატარა ძალი. იგი უნდა იყოს წმიდა და უბიწო.

252. კითხვა: ვინ მართავს ეკლესიას?

პასუხი: ეკლესიას მართავს წმიდა სინოდი პატრიარქის თავკაცობით დიდი რჯულისკანონის საფუძველზე.

253. კითხვა: გააჩნია თუ არა ეკლესიას საკუთარი მფარველი ანგელოზი?

პასუხი: ჭეშმარიტად გააჩნია და იგი წარუდგენს ღმერთს ტაძარში აღვლენილ დიდებას.

254. კითხვა: რა არის ერესი?

პასუხი: დადგენილი კანონებისაგან გამიჯენა, ცდომილება. რჯულისკანონის მიხედვით ერეტიკოსი მკედრად ითვლება. მას, ერესი ყოფილა ის ჭირი, რომელიც ეკლესიას სასაფლაოდ აქცევს.

255. კითხვა: როგორ ხდება ერესის დამკვიდრება?

პასუხი: როგორც კი ოდნავ გადახრები მართლმადიდებლობისაგან, ერეტიკოსი ხარ (თეოდორე სტოდოვილი).

256. კითხვა: ხელეწიფება თუ არა ცოდვების მიტევება ერეტიკოს მღვდელმსახურს?

პასუხი: როგორც მკედარს არ შეუძლია ზიარების მიღება, ასევე მკედრად რაცხული ერეტიკოსი მოძღვარიც განრიღებულია ცოდვების მიტევების პატივს.

257. კითხვა: აქვს თუ არა საერო პირს უფლება მღვდელმსახურთა მხილებისა?

პასუხი: „სასულიერო პირთაგან ან ერისკაცთაგან, რომლებიც დაასმენენ ეპისკოპოსს ან სხვა სასულიერო პირს, მარტოვად და შე-

უროწმებლად, ნუ მიიღებენ დასმენას, სანამ არ გამოიკითხავენ და არ გაარკვევენ მათ წესიერებას ან უწესობას“ (IV მსოფლიო კრების 21-ე კანონი). ე.ი. აქეთ, რადგან დიდ რჯულისკანონში ნათქვამია: „ბოროტი ძალის მხილება საჭიროა და წინ უნდა აღუდგეთ მას“ (ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე ამონ მონაზვნის მიმართ). „მცნება არის სანთელი, რჯული არის სინათლე, ცხოვრების გზა კი არის სწავლა და მხილება“ (მეშვიდე მსოფლიო კრების მე-9 კანონი).

258. კითხვა: თუი ეკლესიის მსახურთ ერეტიკოსებთან აქეთ ურთიერთობა, გვაქვს თუ არა უფლება ამგვარ ტაძარში შესვლისა და ლოცვისა?

პასუხი: ამგვარ ტაძარში არ უნდა შევიდეთ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, რამეთუ წერილ არს: ტაძარი იგი დაიტევება, სახლი თქვენი ცარიელია“ (წიგნი თეოდორე სტოდოვისა, ნაწილი მე-2, წერილი მეფო-ღია ბერისადმი). ასე რომ, ამგვარი ტაძარი დატევებულია მფარველი ანგელოზის მიერ, იგი უკვე ჩვეულებრივ სახლად იქცა, მაღლი გაცლილი აქვს. ვერც ქრისტეანთა სამრავლო სახუდრად გამოდგება და ვერც ცოდვათა მიმტევებელ სამლოცველოდ.

259. კითხვა: კიდევ რა ეკრძალება მღვდელმსახურთ?

პასუხი: „... მიგაჩნია, რომ ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკნები საერო ხელობას არ უნდა ჰკიდებდნენ ხელს, არც ცუდი უპატიო საქმისაგან იღებდნენ შემოსავალს, რადგან მათ უნდა ახსოვდეთ წმიდა წერილის სიტყვები: „ღვთის მხედრად განწესებული ვერაგინ შეუერთებს თავის თავს ამქვეყნიურ საქმეებს“ (კართაგენი, მე-16 კანონი).

260. „სამღვდლო პირს ან მონაზონს არა აქვს იბოდრომზე ან სახუმარო ხანახაობაზე მისვლის უფლება... თუ ეინმე ჩაიდენს ამ დანაშაულს, ან უნდა დაცხრეს, ან განიკვეთოს“ (მსოფლიო კრების 24-ე კანონი).

261. „მღვდელი ან დიაკონი რომელიმე მძიმე ცოდვამთ თუ აშხილონ, ნუ შეიწყნარებენ მათ ხელის დასაუბად, როგორც ერისკაცს. დამტკიცდა ესეც, თუ სადმე მღვდელი

ან დიაკვანი ამხილონ მიძიმე ცოდავში, მათ უნდა ჩამოერთვათ მღვდელმსახურების უფლება და არ დაედებათ მათ ხელი, როგორც მონაწილეს ან მორწმუნე ერისკაცებს, ნურც მიეცემათ მათ ნება, რომ შეორედნათ დღევანდელ მსგავსად ხელახლა მიიღონ სამღვდლო პატივი“ (კართაგენის 27-ე კანონი).

262. როდესაც შედგება კრება კანონებრივ და სახარების საქმის თაობაზე, მაშინ შეკრებილმა ეპისკოპოსებმა უნდა გამოიჩინონ ზრუნვა ღვთის ცხოველმყოფელ მცნებათა შენარჩუნებისათვის, რადგანაც ამათი დაცვით ბევრს მოიგებ“ (VII მსოფლიო კრების მე-6 კანონი).

263. ჟენი მონაწილე იყოს ყველა ზემოაღნიშნული ცოდვისა და თვითონ კი არ აღიაროს, არამედ სხვამ ამხილოს, რომ იცის ცოდვის შესახებ, იმდენ ხანს იყოს დასჯილი იხიც, რამდენ ხანსაც განკანონებული იქნება თვითონ ცოდვის ჩამდენი“ (წმ. ბასილი დიდი, ეპისტოლე ამფილოქესადმი, 71-ე კანონი).

264. ქრისტიანული ნათლობის წესი მისაღებად ერთადერთი სახით, როგორც მოციქულთა კანონი 50-ე, სადაც ნათლობის წესი მოწოდებულია მოსანათლავის 3-ჯერ წყალში შთაფლვით, ანუ ჩაძირვით. სხვანაირი ნათლობის წესი დიდ რეჯულიკანონში არ მოიპოვება, ყველა სხვაგვარი ნათლობა ერეტიკულია, ამიტომაც არის, რომ აქვე, დიდ რეჯულიკანონში უარყოფილია ყველა სხვაგვარი ნათლობა.

265. რაც შეეხება ევროპიანოსებს, რომლებიც წყალში ერთი ჩაყოფით ნათლავდნენ, მონტანელებს, რომლებსაც აქ ფრიგიელებს უწოდებენ, საბელიანოზებს, რომლებიც ძემამიანიობას ასწავლიან (იგულისხმება ნათლობის ყველა სხვა წესი, არსებული ან რომელსაც მომავალში მოიგონებს ეშმაკი — ი. ი.) და სხვა უშვერებას სჩადიან, და ყველა სხვა მწვალებლობას, რომელიც ბევრია აქ, წარმოშობით მეტწილად გალატიიდან, ყველა მათგანს, ვისაც სურს ჭეშმარიტების მიღება, შევიწყნარებთ როგორც წარმართებს“ (რატომ მიიჩნევენ არამოციქულებრივი ნათლო-

ბის მიმღებთ წარმართებად? იმიტომ, რომ არ გააჩნიათ რეჯულიკანონის მიერ დადგენილი 3-ჯერ წყალში შთაფლვითი ნათლობა. ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ ნათლობის ყველა სხვაგვარი წესი შეუთავსებელი და ყოვლად მოუღებელია მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. ამიტომ წესის დარღვევით მიიჩნეცხებულთ ხელმოკრედ ნათლავენ. — ი. ი.).

266. აი, როგორ განმარტავს ამას რეჯულიკანონი: „პირველ დღეს მათ (ლაპარაკია ქვემოთ ჩამოთვლილ ცრუ ნათლობის მქონეებზე. — ი. ი.) გაეაქრისტეანებთ (აღქმას იძლევიან, რომ უარყოფენ ერესს და შეუღებებან ქრისტიანულ ჭეშმარიტებას. — ი. ი.), მეორე დღეს კათაქველად ჩაერიცხავთ. ამის შემდეგ დაეფიცებთ მათ პირსა და ყურში სამჯერ შთაბერვით. ასე ვასწავლით და მოვიყვანთ ეკლესიაში, მოვასმენინებთ საღვთო წერილს და შემდეგ მოენათლავთ“ (ეპისტოლე მარტვირი ანტიოქიელი ეპისკოპოსისადმი მწვალებელთა შეწყნარების შესახებ).

267. აქედან ცხადი ხდება, ყველა სხვა წესით მონათლული ადამიანი წარმართია.

რუის-ურბნისის კრებაზე ერთხელაც გაესხა ხაზი დიდი რეჯულიკანონის ავტორიტეტულობას. ამიტომაც დაადგინეს: „ეს არის წმინდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენასული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ ჰყოფა მართებს ყველა ქრისტიანულ მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდლებსა და დიაკვნებს, ჩვენს შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად სრულიად მართლმადიდებელთა ეკლესიას“ (რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა).

268. ნუ დაევიწყებთ, რომ: „ერეტიკოსები მოვიხსენიოთ როგორც მკედრები“ (ათანასე ალექსანდრიელი, 39-ე სადღესასწაულო ეპისტოლე).

269. „ბოროტი ძალის მხილება საჭიროა და წინ უნდა აღკვედეთ მას“ (ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლე ამონ მონაზვნის მიმართ).

ანაღმა მთავრობამ ქალაქის მერიას პირველსავე დღეებში გააუქმებინა ძველ-მართლმადიდებელთა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფასთან დაკავშირებული და თბილისის ქალაქპროექტის მიერ გაცემული სამშენებლო პასპორტი.

ამოი გამოდგა ძველმართლმადიდებელთა საპროტესტო თვითგვემა. ვერაფერი გაგაწყვეთ ვერც მთავრობასთან და ვერც „რევოლუციონერ-სტიქაროსნებთან“.

მთავრობა და მისი თავმჯდომარე, აგრეთვე თითქმის ყველა გაზეთის რედაქტორი და თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი მოქცეულია საქართველოს პატრიარქის გავლენის ქვეშ.

ხელოვნური უკბირების გარღვევა ხამნელო შეიქნა.

ჩემს შეგობარს — რესპუბლიკის შინაგან საქმეთა იმჟამინდელ მინისტრს ბატონ რომან გვენცაძეს ვთხოვე, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაეცა ძველმართლ-მადიდებელთა ეკლესიის მიმართება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ბოლო მოღებოდა კონსტიტუტორ უფლებათა აშკარა დარღვევას და ხელი არ შეეშალათ სამონასტრო კომპლექსის უკვე დაწყებული მშენებლობისათვის.

პატრიარქმა თანხმობა განაცხადა და სამშენებლო სამუშაოები განახლდა. მოულოდნელად თანამდებობიდან გაათავისუფლეს რომან გვენცაძე და ჩვენი სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაც უშალ იარაღის მუქარით შეწყდა. ზარალმა შეიღ მიიღონ მანეთს გადაატარა, ხალვთო თავდადებამ კი მინისტრის პოსტი შეიწირა, რაზე-დაც ყოფილი მინისტრი დიდად არ დამწუხრებულმა.

პროტესტის ნიშნად ბ-ნ შევარდნაძის სახელზე გაუაკეთე განცხადება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“:

თ ა ვ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ა

ბატონებო, ჩვენთვის როდის მოიცვლით!

1. მიმდინარე წლის გასულ თვეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ძველ-მართლმადიდებლური ეკლესიის სახელით გაუაკეთეთ მიმართება სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ელუარდ შევარდნაძის, ყველა პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარის და სრულიად საქართველოს მიმართ, მასზედ, რომ თბილისის მერიის მიერ საეკლესიო მშენებლობისათვის ადრე გამოყოფილი ნაკვეთი საქართველოს საპატრიარქოს არასამართლებრივი ჩარევის შემდეგ ჩამოგვერთვა. რას ნიშნავს ამგვარი თვითნებობა? რა უფლებით გვზღუდავენ რელიგიურ ორ-

განიზაცებს? ვინ იცავს ადამიანთა უფლებებს ჩვენს ქვეყანაში? არ მივენდოთ მთლიანად ღმერთის კანონებს? რელიგიაში გაუთვით-ცნობიერებელი ადამიანები დღესაც დიდ პატრიოტულ საქმედ მიიჩნევენ ჭეშმარიტი ეკლესიის დევნას, ხოლო ბუდისტურ და სხვა არაქრისტიანულ კონფესიებს კი ტოტალური პროპაგანდის საშუალებას აძლევენ.

2. გვაკვირვებს დიდად, ვის დევნით და ვის უღებთ კარებს? რატომ არ დაფიქრდებით, იქნებ ქრისტეს მტერთათვის კარის მოღია-ვების გამო ღარჩით ქრისტეს მიღმა, ასე და-უცველნი და მტერთა სათარეშოდ ქცეულნი.

თუკი დემოკრატიულ ქვეყანას აშენებთ, მოგვაპყრობთ ელემენტარული კონსტიტუციური ყურადღება; თუკი მთავრობამ ამ საქმისათვის მოცლა არ იწება, პარტიები რატომღა უქმობენ? რატომ თქვენ არ იცავთ იმ უფლებებს, რომლისთვისაც წინა მთავრობა დაამხეთ! რას ნიშნავს თქვენი სიჩუმე? იქნებ უფრო ხეროზული საქმეები გამოიჩინდათ და აღრინდელი პარტიული მუშაკები იგი რელიგიისთვის ვერ იცლით. იქნებ გგონიათ — გაინაღდეთ რამე... გახსოვდეთ, აღრინდელი მთავრობაც რჯულისკანონის მქადაგებელთა ოპოზიციონერობას შეეწირა: მანაც არა ისინა ჩვენი გაფრთხილება.

3. ახლანდელი სახელმწიფო მოღვაწენი იმეორებენ მარცხგანცდილი მთავრობის სვლა-ლაიერებას, ქრისტიანული რჯულის-

კანონის ამლიარებელთა გარდა ყველანი დიდ პატივში ჰყავთ. სტატიაში „მენდეთ, მერწმუნეთ“ (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“) მე ხაზი გავესვი ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის სიმამაცეს, მის ტლანტს, მაგრამ იქვე დავბინე: „თუკი ამ აღმამან ჩვენ შვილებს ფენებიდან ნაკვერცხალი გააცალა, მშიერ-მწყურგალნი დაგვაპურა და ღვთისკენ სავალი გზა არ ჩაგვინერგა, უმეტეს რას მოვთხოვთ ძმას ან საკუთარ თავს“-მეთქი. საღლესოდ კი მეთქმის: მორწმუნე კაცი შიმშილსაც აიტანს, ნაკვერცხლებზეც ივლის, მაგრამ თუ ღვთისკენ სავალი გზა ისე ჩაუხერგვს, როგორც ამჟამად, ჩვენ — ძველმართლმადიდებლებს, მერწმუნეთ, ყველა იმედი ახალი მთავრობისადმი გაგვიწილდა და საქართველო უმეტესი სასჯელისათვის გაშიშელდა!

თ ა ვ ი მ ე ც რ ა მ ე ტ ა

სიყვარულით ჩემს მასწავლებელს

(გაზეთი „წიგნის სამყარო“, №4, 1993 წ., აბრილი)

1. მიმდინარე წლის თებერვლის გაზეთ „წიგნის სამყაროში“ დაიბეჭდა სტატია „ღირსეული პატივი მივაგოთ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს“, რომლის ავტორი ბრძანდებით თქვენ, ვახტანგ გურგენიძე. ზემოხსენებულ სტატიაში თქვენ გამოესარჩლეთ ანტონ 1-ს — საქართველოს კათალიკოს პატრიარქს და ბრძანეთ:

2. „გულდასმით გავცეანი თქვენი გაზეთის — „აღდგენის ღმერთი“ 1992 წ. 10 ნომბრის ნომერში გამოქვეყნებულ მრავალმხრივ საყურადღებო მასალებს. საინტერესო და უჩვეულოა ისიც, რომ ყველა წერილი გეკუთვნით თქვენ, ჩვენს შესანიშნავ პროზაიკოსსა და პოეტს.

3. მეუფე იონა! აქ წამოჭრილი საკითხები ნამდვილად იმსახურებენ განსჯასა და ღრმა შესწავლას. ამ მიმართებით თქვენი

განზრახვა-მიზანდასახულობაც კეთილშობილურია. ვფიქრობ, ამ საკითხებით დაინტერესდებიან სპეციალისტები — მეცნიერნი და, ქართული ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად, გახდიან მსჯელობის საგნად. ამავე შეგონებაში მიკარნახა გამომეთქვა ჩემი აზრი გაზეთში დაბეჭდილი ავტორის, — ჩემი ნიჭიერი ყოფილი სტუდენტის, — თქვენს მიმართ, წარმოჩინებული საკითხების მხოლოდ მსჯელობა-განსჯის ფორმების შესახებ და ანტონ პირველ კათალიკოსთან დაკავშირებით.

4. უპირველესი შენიშვნა: თქვენ ქართულ ეკლესიას, მის იერარქიას ეკამათებით არა როგორც ქრისტესმიერი ძმა და მოყვასი, არამედ როგორც მკაცრი მსაჯული. არ ვიცი, — რამდენად ღვთისობრივია და, საერთოდ, გვაქვს კი უფლება, როცა ჯერ საკით-

ხი ფაქტიურად შესწავლილი არა გვაქვს, ასეთი კატეგორიული ტონით დაგასახიათოთ და თითქმის მწვალებლად, ერეტიკოსად გამოკაცხადოთ ქართული ეკლესიის, ქართული კულტურის ისეთი გამოჩენილი მოღვაწე, როგორცაა ანტონ პირველი კათალიკოსი, ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი?“

5. მოგახსენებთ გულწრფელად: რომც ვინდომო რჯულიდან განდგომილებთან ქრისტესმიერი ძმობა, ამის უფლებას არ მაძლევს წმიდა მამათა კანონები. ქრისტესმიერი ძმა შემიძლია ვეწოდო მას, ვინც რჯულმოსილებით ქცეულა ქრისტეს სხეულის ნაწილად, როგორც ამას თვით მოციქული პავლე მოგვიწოდებს კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში. მკაცრი ვარ იმდენად, რამდენადაც მწაღს უკომპრომიზო მხილებით დავაფიქრო მოძღვარნი, რათა მოიძიონ ნებისით თუ უნებლიეთ დაკარგული ჭეშმარიტება, და ამით მაშეულს განურიდონ ნაკვერცხალი.

6. ხოლო, რაც შეეხება იმ მდგომარეობას, გვაქვს თუ არა უფლება ამგვარი კატეგორიული ტონით მიემართოთ მათ, გაცნობებთ, ამის უფლებას რჯულისკანონს განრიდებულთა ეკლესიური ყოფა მაძლევს. თქვენ, მეცნიერები და მოღვაწენი, საეკლესიო დანაშაულს საერო კრიტერიუმებით უდგებით, მაშინაც კი, როცა დანაშაულის ხარისხი რჯულისკანონის მიხედვით სასიკვდილო სასჯელის ტოლფასია. თუკი გნებავთ კათალიკოს ანტონ I-ის დანაშაულის სიმძიმე განესაზღვროთ, ამისათვის საჭიროა განვიხილოთ მის მიერ ჩადენილი დანაშაული საეკლესიო სამართლის მიხედვით და ყველაფერი ნათელი იქნება.

7. განუდგა რა მართლმადიდებლობას, ანტონ I – საქართველოს პატრიარქი, გახდა მწვალებელი, რადგან უარყო პირველ და მეორე მსოფლიო კრებებზე მიღებული ქრისტეანული მრწამსი და გაიზიარა კათოლიკური (ლათინური) შეხედულება სულიწმიდის ძისაგან გამომავლობაზე.

8. მეორე: მან მიიღო კათოლიკობა. ეს კი ნიშნავს, რომ იგი გადაინათლა კათოლიკური წესით მას შემდეგ, რაც ერეტიკულად გამოაცხადა მართლმადიდებლური ნათლობა. ამის შემდეგ მოვალე ვყო ანათემისთვის გადაეცა მთლიანად მართლმადიდებლური კონფესია, რაც თავისთავად აღრინდელი ნათლობის ერეტიკულობასა და ხელშეორედ მიღებული „ნათლობის“ ჭეშმარიტებას აღიარებს. ყოველივე ამას უნდა მოჰყოლოდა კათოლიკური ხელდასხმაც უპირველესად დაყენის, შემდეგ კი მღვდლისა და ეპისკოპოსის ხარისხის მიხალებად;

9. როგორი დასკვნის გაკეთება შეიძლება ანტონ პირველის ამგვარ მოქმედებაზე? როცა მან მართლმადიდებლური ეკლესია ანათემას გადასცა, ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად მართლმადიდებლური კონფესიის ერეტიკულობა დაუდო და, როცა მიიღო კათოლიკობა, აღიარა კათოლიკური კონფესიის „ჭეშმარიტება“ და მართლმადიდებლობის „სიყალბე“.

10. ისმის კითხვა, რისკენ მოუწოდა კათალიკოს-პატრიარქმა საქართველოს? რა თქმა უნდა, სიკედილისაკენ, რადგან კათოლიკობა, ქრისტეანობის ლათინური ინტერპრეტაცია, აღმოსავლეთის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მრწამსის გატყვისა და ნათლობის შეცვლის გამო ერეტიკულად გამოაცხადა და, როგორც მწვალებლები, ანათემას შეუყენა. ამის საფუძველს დიდი რჯულისკანონი იძლეოდა, ხადაც ნაუწყებია: არარჯულისმიერი ნათლობის გამცემნი განიკუთვნიან მოციქულთა 50-ე კანონის საფუძველზე, ხოლო მრწამსის შემცვლელნი ანტიქრისტეებად იწოდებან, რისთვისაც ანათემირჩეულები ხდებიან; ამიტომაც ვთვლით მათ მიცვალებულებად, რამეთუ რჯულიც იგივეს ვგასხეუნებს:

გაზეთი „წიგნის სამეარო“

11. „ერტიკოსები მოიხსენიით როგორც მკვდრები“ (ათანასე ალექსანდრიელის 39-ე სადღესასწაულო ეპისტოლედან). მაშ, რა ილგაწა კათალიკოსმა? ქრისტეს წინაშე მიცვალებულები ცოცხლებად რაცხჳყო, ხოლო ჳუმშარიტად ცოცხლების სიკვდილი კი აჩუმა.

12. ამიტომაც ჩვენ ნუ დაგვაბრალებთ ანტონ პირველის განკითხვას. განდგომილი უწინარესად რჯულმა განიკითხა.

13. ნუ მიწვენს ჩემი საყვარელი პედაგოგი ბატონი ვახტანგ ამგვარ სიმკაცრეს, რადგან საკითხის უფრო კომპრომისული დაყენება წარსაწყმედელი ცოდვის გაადვილებად მივიჩნით ჩემი ერისათვის. ვიცო, როცა ბრძანებთ ხოლმე საუკუნის უკუღმართობის მიზეზზე, ამით გსურთ, როგორც თავად პატრიოტ ქართველს, შეუმსუბუქოთ ერის წინაშე ცდომილ პატრიარქს ცოდვები. დამეთანხმებით, ალბათ, რომ მდგომარეობის გათვალისწინებამ ბევრი საგმირო ღვაწლის მოწადინე წაახდინა. რატომ თავად ვერ იცხოვრეთ სხვა პრინციპებით? განა თქვენ არ მიწერავდით იმთავითვე ჳუმშარიტების მოძალადეთა მიმართ შეურიგებლობას? განა უთქმელადც თქვენი პირადული ცხოვრების მაგალითის მისაბამად არ აგვამხედრებდით? ჰოდა, ჩემო მასწავლებელო, ნუ შემოგვწყრებით იმის გამო, თუკი თქვენ დაგმევანეთ.

14. ისიც ხომ ჩემზე უკეთ მოგესხენებათ, კათალიკოსმა ანტონ პირველმა მონანიების შემდეგ როგორ ილგაწა რუსეთში ნიკონიანური ეკლესიის ერტიკოს მესვეურებთან, რაც კიდვე უფრო აღრმავებს ანტონის ერტიკოლეობას, რადგან რუსეთში ეკლესიური განხეთქილების შემდეგ მისი არჩევანი სწორედ ერტიკოს-ნიკონიანელებთან თანაშემრომლობაზე შეჩერდა. ეს იყო მისი მეორე სიკვდილი.

15. ცრუ სწავლების მესვეურმა გაუბედურებულ ქართველთა ერტიკოელი დამოძღვრანინება, რაც მის მიერ გახსნილ სემინარიებში დამკვიდრდა. და ასე განუმზადა წარსაწყმედელი ქართულ ეკლესიას.

ჩემგან რა გესწავლებათ, ეროვნული სული უკვდაყოფილია, როცა ღვთის წინაშე იგი რჯულით მავალია.

16. განა ღვთის რისხვა მაშინ არ დაითესა საქართველოში, როცა პოლიტიკას შესწირეს რელიგია? რა უნდა წამოეღო ღვთისმშობლის წილხედომილ ქვეყანას რჯულს განდგომილი ნიკონიანელებისაგან; განა კათოლიკური და ნიკონიანური მადლით გაცოცხლდებოდა მიცვალებული „ლაზარე“?

ქართული ეკლესიის გადასარჩენად კი არა, დასაღუპავად იყო ხელი ღღემდე გაშვებული.

17. „უგუნურებით შეცდომილ ეკიქენით“, რომ ბრძანებს ანტონ კათალიკოს-პატრიარქი, ეს სიტყვები უმეცარ გლეხს შეიძლება ეპატიოს, მაგრამ მეფის კარზე გაზრდილი ბაგრატიონთა გვიანიშვილი უგუნურებას რომ დაიჩემებს, იგი რა საპატრიარქო კაცია?

18. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ანტონ პირველი კვლავ აღდგენილ იქნა საკათალიკოსო ტახტზე; ეს იყო რჯულის დაცინვა.

ჩემო მასწავლებელო, არავეინ განიკითხავდა ქართული ეკლესიის ჳუმშარიტებას, თორემ შეიძლებოდა სამჯერ ნათელღებული მწვალებლის ისევ პატრიარქის საბრძანებელზე აყვანა?!

19. ანტონ პირველის ღვაწლის შეფასებისას ხაზი გაესვა მის კაბინეტურ საქმიანობას. ამით კიდვე ერთხელ მიგვანიშნებს რჯული, მღვდლობა კაბინეტისათვის არ დაუწვებია ღმერთს. როდის მოხთხოვა ქრისტემ ეპისკოპოსებს მეცნიერული ღვაწლით გართულიყვნენ? განა ქრისტეანული მეცნიერება წინ გამზადებული არ დაგვიდგეს?! უმჯობესი არ იქნებოდა, ეკლესიას ტრადიცია განეგრძო, რჯულის გადაკეთება რომ ინდობა სითამამით. განა ჩვენმა წინაპრებმაც არ

მოგვიწოდეს რუის-ურბნისის დადგენილებით რჯულის მტკიცედ ჰყრობა და მიყოლა? თქვენ ბრძანებთ: გადავაგლოთ თვალი მის შემდეგინდელ ინტენსიურ მუშაობას საეკლესიო-საგანმანათლებლო სფეროში და დავრწმუნდებით, რომ ანტონ პირველი კათალიკოსის სახით საქმე გვაქვს უდიდეს საეკლესიო მოღვაწესთან. მის სახელთანაა დაკავშირებული იმ დროინდელი კულტურულ-საგანმანათლებლო კერების შექმნა, სასულიერო და საერო მოღვაწეთა კადრების აღზრდა და მრავალი სხვ.

20. უდიდეს საეკლესიო მოღვაწესთან მამის გვეგნებოდა საქმე, მსოფლიო ერეტიკული დიდი ოჯახიდან რომ გამოეყო მართლმადიდებლობის მოწადინე ერესის მჭერბედი საქართველო და ამით ღვთის წინაშე გაბრწყინებულიყო. ის კი ისევ ეკუმენისტურ დინებას მიჰყვა უშფოთველად. არც არის გასაკვირი, უარესად მოაზროვნე წინაპარმა თეიმურაზ მეფემ განა უწინარეს არ ინება ეკუმენისტურ ინტეგრაციაში ყოფნა? (იხ. ილ. ტაბაღუა, „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებს“, II, 1986 წ., გვ. 235-236).

21. მეთვრამეტე საუკუნეს ანტონ კათალიკოსის ეპოქა იმისათვის ეწოდა, რაც ენება, იმას აკეთებდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ეპოქის სიჯანსაღეს; ასევე აკეთეს თავიანთ ეპოქაში ერის წარსაწყმედელი კომუნისტებმა, მაგრამ რითი წარმოიჩინეს თავი ღვთისა და ქვეყნის წინაშე? სიკვდილის დამლა დაესვათ. შეიძლება დაეფასოთ ანტონის სამეცნიერო ღვაწლი, ხოლო, რაც შეეხება „განმანათლებლურს“, განმანათლებლური მამის იქნებოდა, რჯულის ჩინადლანი არ ჩაეკრა, რომელშიაც იგულისხმება კანონიკური საეკლესიო წესებით ხელმძღვანელობა და გადმონაცემების აღსრულება. ვერც მისმა „კულტურულმა“ ღვაწლმა უშველა საქართველოს, რაც ეკლესიის დღემდე ჩამქრალ ლამპარს ეტყობა. აი მისი განმანათლებლური საქმიანობაც.

22. ანტონზე ბრძანებენ, მშვენიერ ლექსებს წერდო, გემის კაპიტანს პოეტობას არაეინ სთხოვდა, მისი მოვალეობა სომალდის უსაფრთხო მართვაში მდგომარეობდა, ანტონს კი სომალდი ჩაეძირა. კორნელი ეკელიძემ შეიძლება ტრადიციული რეფორმატორული კრიტიკურობებით მოუწონოს ანტონ პირველს ლიტერატურულ-მეცნიერული შემოქმედება, მაგრამ ქრისტე მხოლოდ ეკლესიურ ყოფაზე მოსთხოვს პასუხს. უმჯობესი იყო ანტონისათვის შენიშნული ის დიდი პატრიოტობა ქრისტეს ქუმმარტების მიმართ ყოფილიყო აღძრული, ქვეყანას ეშველებოდა. ანტონ პირველის შემოქმედება იოანე პეტრიწის მეცნიერულ-თეოლოგიურ ღვაწლს რომ გაუტოლეს, არც ამით ეშველა მას, რამეთუ ორთოდოქსი მართლმადიდებლების მიერ ვერცა იოანე პეტრიწის საეკლესიო მოღვაწეობა შეუვასდა მაინცდამაინც სანაქებოდ, რამეთუ ისიც რჯულს განეოტა და სწორედ ამიტომ გახლდათ არსენ იყალთოელი რჯულის მთარგმნელი და დავით აღმაშენებლის მოძღვარი, იოანე პეტრიწის ოპოზიციონერი.

23. თქვენ ბრძანებთ: „სხვა რომ არაფერი შეექმნა, ანტონ კათალიკოსს, გარდა „მზამეტყველებისა“, ესეც საკმარისი იქნებოდა მის უკვდავყოფად.“ ეს ნაშრომი, – წერს კ. კეკელიძე, – არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს არამცთუ ქართულ მწერლობაში, არამედ მთელი აღმოსავლეთის ეკლესიის საღვთისმეტყველო აზროვნების განვითარების ისტორიაში...

24. ეს თხზულება შეგვიძლია ერთ დონეზე დავაყენოთ ბიზანტიის დოგმატურ-პოლემიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშებთან.

უკვდავებს რომ ჰპირდებიან ანტონ პირველს მეცნიერები, უკვდავყოფას ნაშრომი კი არ იძლევა, არამედ ამ ნაშრომისათვის

გაზეთი „წიგნის სამყარო“

გაცემული ღვთიური წყალობა, რამეთუ უკედლება უფლის ხელშია, თორემ აინშტაინის ნაშრომი ატომური ფიზიკის დარგში დიდი ხანია უკვდავყოფილად მიიჩნეის მეცნიერებმა; მხოლოდ ღმერთმა უწყის თუ როგორი უკვდავყოფის ღირსი იქნება ქვეყნის ნგრევის საშემოქმედო ღვაწლი აინშტაინისა.

25. თქვენ წყრომით შენიშნავთ:

„აი, რას კითხულობთ ანტონ I კათალიკოსზე თქვენს გაზეთში:

„ჯერ კიდევ ტახტზე ასვლისთანავე მას შეუდგენია წესი მეფის კურთხევისა (სატანას ხელეწიფება ამგვარი სითამამე. — მურთაზ ჩახაეა)“. „ანტონმა უმთავრესად საკუთარი ჰიშნები მოათავსა თთვენი (და ასე, ამგვარი სატანისტური სითამამით მაღლი გააცალეს ქართულ ეკლესიას)“, „ეს რჯულის გამოიდგელი საქართველოს რჯულმოსილებაზე იწყებს ზრუნვას რუსეთიდან“; „მისი და მისი აღზრდილების ნაღვაწია ის შერყენილი ლოცვები, რომელთა შემკვიდრენიც დღეს ვართ“.

„ამა თუ იმ საკითხში მართლაც რომ იმსახურებდეს ანტონ კათალიკოსი შენიშვნებს, ასეთი მიმართვა ქრისტეს მსახურის მხრიდან არ ეგების“.

26. როცა ქრისტეს ჭეშმარიტების მოძალადეებს ქრისტეს შესილებად რაცნთ, მოუთმენელია. ასე მოუთმენელი გახდა იოანე ნათლისმცემლისთვის საზოგადოების ერთი ფენა, რომელსაც უთხრა: „თქვენი მამა ეშმაკ არს“-ო!

27. ასევე მოუთმენელი იყო მაცხოვრისათვის, როცა მამის სახლი საგაჭრო ფარდულად უქციეს და უღირსნი ქაპრით გამოდენა.

ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდნენ, ვინაა საქებარი და ვინაა საძაბებელი, თორემ ჭეშმარიტებას ვერ გაარკვევენ, რაც ქვეყნის დაღუპვას ნიშნავს.

ეკლავ ბრძანებთ:

28. „სამწუხაროდ, გაზეთში სხვაც ბევრია მსგავსი არაქრისტესმიერი გამოჩინებები ამა თუ იმ პიროვნების თუ მოვლენის შეფასებისას. სადაა ჩვენში ქრისტეანული შემწყნარებლობა, მიმტყვებლობა, შემნდობლობა?!“

29. რომელ მიმტყვებლობაზეა ლაპარაკი, როცა მწყემსთათვრები თავიანთი ერეტიკული სითამამით შვილებს უკლავენ ქრისტეს; როცა მგლები ფარას უმოწყალოდ ურბევენ, შემწყნარებლობა ნიშნავს მოძალადე საკბილოთა სამგლოვად გამეტებას.

ეკლავ ბრძანებთ:

30. „იმასაც შეგახსენებთ, მეუფე იონა, რომ ხშირად საქართველოდან გადახვეწილი (მათ შორის არამართლმადიდებელი) თანამემამულეები უფრო მეტს აკეთებენ, ვიდრე ჩვენ. გავისხენოთ თუნდაც კონსტანტინოპოლის (სტამბულის) ქართველთა კათოლიკური მონასტრის ბოლო ხნის ისტორია, საზღვარგარეთ ათეულობით არსებული საგანებებიდან ეს ერთადერთი მონასტერი შემოგვინახეს მესსი. კათოლიკეებმა (ბოლო უამს განაგებდა პ. აკოფაშვილი) და რამდენი რამ გააკეთეს საქართველოსთვის! ამჟამად მას პატრონობენ მუსულმანი მესხები ზახამეები. თუ არა ისინი (არამართლმადიდებლები), ესეც ისე, როგორც იერუსალიმის, შავი ქარის, წმიდა ათონის, მოსკოვისა და სხვა ქართული ეკლესია-მონასტრები, ჩვეულებისამებრ, აღმოჩნდებოდა ბერძენთა, სომეხთა ან სხვათა ხელში“.

31. ბრძანებთ, არამართლმადიდებელი თანამემამულენი უფრო მეტს აკეთებენო, ვიდრე ჩვენ; ჩემო მასწავლებლო, ყველა საგანე — ისტორიული ძეგლი, ისტორიისათვის ასე ფასეული, ღმერთისათვის უკვე არარად ქცეული, როგორც ფუნქციანართმეული ტაძარი, საჯინიბოზე არა უმეტესია; გულზე მჯიღის დარტყმა მამულიშვილური შეიძლება ფასობდეს, მაგრამ უმოთაგრესი ხომ ღვთიურ პრიზმაში გატარებული ჭეშმარი-

ტებაა? განა იმისათვის არ უქმობს ის ისტორიული ნანგრევები, რათა კიდევ ერთხელ შეასწავროს ერის ცოდვებით დაცემის მიზეზი ნაშიერებს? კიდევ დიდხანს მოვიწონოთ თავი ღვთივდასჯილ მიცვალებულთა ჩონჩხებით?

32. რანაირი სულგრძელობით მიეუტევათ არამართლმადიდებლობა ვინმეს; განა ამ უკანასკნელის დაკარგვისათვის არ დანათეს სამარადჟამო ცეცხლი? რანაირად ეუქნოთ მათ საქციელი იმის გამო, რომ ტაძრისთვის გათლილი ქვა ჩაიხუტეს სარელიკივით. უმჯობესი არ იყო — მართლმადიდებლობა ჩაეხუტებინათ გულში და მით სული გადაერჩინათ, რომლის ტოლფასს ტაძრის ნანგრევი კი არა, თვით ღვდამიწაც კი არ წარმოადგენს მთელი თავისი სიმდიდრით. რანაირად გამოდგება ქრისტეს გარეშე ამქვეყნიური სამამულიშვილო ძიობა და, გნებავთ, ერთობა, როცა ზეცაში ერთმანეთისათვისაც უცხონი ვერებით.

33. რატომ ვიტყუებთ თავს? თუკი რჯულის განდგომა ქრისტეანული ორიენტაციის ეკლესიისათვის არ გვაპატივბა და ვრეტეკოსებად — მკედრებად წარმოგვიჩენია ისინი, წარმართებზე, ქრისტეს უარყოფლებზე ლაპარაკიც ზედმეტად არ მიგაჩნიათ?! და საერთოდ, თუკი ეინც მოკვდა, ყველა თავისუფალია ცოდვისაგან, მაშინ ჯოჯოხეთი მხოლოდ ცოცხლებისათვის არსე-

ბულა, რადგან ცოდვაგაუქმებულთა ადგილია სამოთხე. როცა პაველ მოციქული ბრძანებს: ვინც მოკვდა, ცოდვებისაგან თავისუფალია, ნიშნავს, აწი ვერას იტვირთებსო ცოდვას მიცვალებული, ხოლო ცოდვების მესაკუთრე რჯულისმიერი მღვდლის (ე.ი. მოციქულებრივი ნათლობისა და სეულდასხმის მქონე სასულიერო პირის) გარეშე ცოდვებისაგან ვერ განთავისუფლდება. ასე რომ იყოს, მაშინ სიკვდილი წარმართთათვის ხსნა ყოფილა, რამეთუ ცოდვების გაუქმებით დაუშკვიდრებით „ახალი იერუსალიმი“.

34. მესმის თქვენი გულანთებული მაჟულიშვილობისა და პატიოსნებისა, შეუპოვარი ბრძანდებით საერო დეაწლმოსილებაში; ამავე დროს გნებავთ, რომ არ გამწვავდეს უთანხმოება ოფიციალურ ეკლესიასა და ძველმართლმადიდებლებს შორის. მაშ, იყავით ხიდი ჩვენს შორის, რათა აღდგეს რჯული და მით გავახაროთ მაცხოვარი. თუ სათქმელი არ ითქვა, საქმე არ გასწორდება, ბრალდება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სასჯელს. ვეძიოთ სამშო დულაბი მხოლოდ რჯულისმიერი, ამენ,

სიყვარულით

მეუფე იონა.



მოკლვარ ბიორგის მუშუმ იონასაბან

(გაზეთი „აღღეგინ ღმერთი“, №11, 1993 წ., მარტი)

1. მიმდინარე წლის თებერვალში გაზეთ „იბერია ექსპრესში“ დაიბეჭდა ინტერვიუ ქართული ოფიციალური ეკლესიის მოძღვარ გიორგისთან სათაურით „სტაროვერების არსებობა საქართველოში აბსურდია“. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ინტერვიუს წამკითხველი მოკლებულია სწორ ინფორმაციას. ვეცდებით, დავასახუთოთ ეს მოსაზრება, რისთვისაც, უპირველესად, მოგვიწვევს ზემოხსენებული ინტერვიუს დაყოფა საბრალდებო ციტატებად. აი, რას ბრძანებს მოძღვარი გიორგი:

2. ციტატა პირველი: „ეს მიმდინარეობა (იგულისხმება ძველმართლმადიდებლური, ანუ სტაროვერული კონფესია. — ი.ი.) რუსეთში წარმოიშვა, იქ მის დამკვიდრებას თავისი საფუძველი ჰქონდა. საქართველოში კი ამ მიმდინარეობის არსებობა სრულიად აბსურდულია“.

3. თუკი დავიჯერებთ, რომ ამ მიმდინარეობის არსებობას გამართლება მხოლოდ რუსეთში გააჩნდა, მაშინ მართლმადიდებლობაც, რომელიც საქართველომ საბერძნეთისაგან მიიღო, ბერძნებისათვის ყოფილა „საფუძელიანი“ და არც ერთ სხვა ქვეყანას არ ჰქონია უფლება მისი დასაკუთრებისა.

4. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და კვლავ გვსურს გაგიმეოროთ: როდესაც დღევანდელი მსოფლიო ანტიქრისტიულ-მასონურ ლოკაციანია მოქცეული, მეტი სიფხიზლე გემართებს. ზღვაში ჩაკარდნილს საშველად ქალაღის ზომადღის რომ შეუცურებენ, ფინალი გარკვეულია. რანაირად შეიძლება ეკლესია, რომელიც თავად ვერ არის რჯულისკანონის დამცველი, რჯულმოსიღთა მსაკულად გამოდგეს, მით უფრო, მხსენლად! თუკი უსამართლო ბრალდება იგულვებთ ამ გან-

ცხადებას, გიასუსხებთ: თქვენ, მოძღვარს, დარღვეული გაქვთ უმთავრესი მუსლი ნათლობისა — მოციქულთა ორმოცდამეათე კანონი, რომლის გარეშე არ არსებობს ქრისტიანობა.

5. დიდ რჯულისკანონში ნაუწყებია, რომ ყველა სხვაგვარი ნათლობა ერეტიკულია, რამეთუ არარჯულისმიერია. ყოველი სასულიერო მოღვაწე, რომელიც არარჯულისმიერ ნათლობას გასცემს, მღვდლობისაგან განკვეთილია (მოციქულთა მე-50 კანონი, ასევე, 46-ე კანონი). თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ წყაბეკურებითი ნათლობის ღირსეულობა, რასაც საანთიმო დასასრული გააჩნია, მაგრამ მერწმუნეთ, ამაოდ ეძებთ რჯულისკანონში რაიმე საშველათო ნათლობის წესს. ეყო საქართველოს წარმართული ყოფა! რაკი ქრისტეს ჭეშმარიტი ბეჭდი ყველას ეკუთვნის, ვინც კი ქრისტიანობას ინებებს, რისთვის ან რატომ უნდა დაბრკოლდეს?

6. გაბერილი მუცელი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ფეხმძიმობას, ასევე ყველა ეკლესია როდია ქრისტიანთა დაბადების შემძლებელი; ქრისტიანთა დაბადება მხოლოდ დიდი რჯულისკანონის მიმყოლთ სელეწიფებათ. ამგვარი ეკლესია კი გახლავთ ძველმართლმადიდებლური, ანუ სტაროვერული ეკლესია. ორთოდოქსულობა, ესე იგი ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა დადასტურებულია მსოფლიო ენციკლოპედიებში; დღემდე რუსი ეგზარქოსების მიერ დამკვიდრებულ ეკლესიას საქართველოში ქართულ ეკლესიად გულისვობთ, ხოლო მსოფლიოს მიერ აღიარებულ ორთოდოქსულ ძველმართლმადიდებლურ (სტაროვერულ) ეკლესიას, რომელიც ადრინდელი ბერძნულისა და ძველი ქართულის იდენტურია, უცხოდ მიიჩნევთ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განცხადება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განცხადება

სწორად არა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიაა, არამედ აქვს საკანონო ძალა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამიტომაც აქვს საკანონო ძალა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამიტომაც აქვს საკანონო ძალა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მართლმადიდებელი ეკლესიაა, არამედ აქვს საკანონო ძალა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამიტომაც აქვს საკანონო ძალა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

მაშინ, როდესაც რჯულისკანონის უარყოფამ ქვეყანა გააწარმართა, ცრუ ეკლესიის მეშვეობით მსოფლიო რელიგიათა ინტეგრაციაში ჩედავთ საშეველს.

7. რომელმა კონფესიამ აუქცია მხარი ამ რჯულის უარყოფელ ეკუმენისტურ ორგანიზაციას – მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს, რომელმა ეკლესიამ შეინარჩუნა ყოველთა შორის რჯული? მხოლოდ „სტაროვერულმა“, დიახ, თქვენს მიერ დაწუნებულმა ძველმართლმადიდებელურმა ეკლესიამ.

8. და ჩვენც სწორედ ამიტომ ვირწმუნეთ მათი მართლმადიდებლური მადლმოსილებისა და მივიღეთ მათგან ხელდასხმა, რათა საქართველოს იმ შეილებს, რომლებიც

ინებებდნენ რჯულისმიერ ნათლობას, მიეღოთ იგი ჩვენგან. ნუ შემოგვეწყურებით იმის გამო, რომ ვერ ვენდობით ეკუმენისტური დამლის ქვეშ მყოფ ეკლესიებს, როგორცაა: ქართულ-ნიკონიანური, ბერძნული, რუსულ-ნიკონიანური, ბაპტისტური და სხვა. აქედან გამომდინარე, ბატონო მოძღვარო, ძველმორწმუნეობრივი, ანუ „სტაროვერული“ კონფესიის არსებობა საქართველოში დროულიცაა და ღვთიემოწონებულიც, იგი არ განსლავთ რუსული ფენომენი; იგი ამჟამად გაქართულდა ისევე, როგორც ადრევე გაქართულდა ჩვენში ბერძნული რჯულმოსილება.

9. ციტატა მკორე:
„მისი წარმომადგენლები თავს ძველ-

მართლმადიდებლური ეკლესიის მიმდევრებად თვლიან და საეკლესიო წიგნებს ძველი სლავურიდან ქართულად თარგმნიან, როცა ჩვენი ქართული ხელნაწერები გაცილებით ძველია სლავურთან შედარებით. სწორედ ამ ხელნაწერთა მეშვეობით ატარებს წირვას ქართული ეკლესია“.

10. ჭეშმარიტებას ბრძანებს მოძღვარი, როცა მიანიშნებს ჩვენს მიერ ლოცვების სლავურიდან გადმოქართულებას. მიზეზი? ჰაიპარად მაცქერალთა ხელში მართლმადიდებლობამ ბევრად იცვალა სახე. ამაში თვით ქართული ოფიციალური ეკლესიის მესვეურნიც გვეთანხმებიან, როცა ბრძანებენ:

11. „საღვთისმსახურო წიგნთა შესწორებებისათვის ზრუნვა გასული საუკუნის მიწურულში დაიწყო. განისწავლულ სასულიერო პირთა ინიციატივით შეიქმნა ბიბლიისა და საღვთისმსახურო წიგნების შემასწორებელი კომისია, რომლის მიზანი იყო ძველი ქართული ხელნაწერებისა და ბერძნული ორიგინალის გათვალისწინებით გაესწორებინათ „ჟამთა ხელისა და რედაქტორ-გადამწერთა უმეცრების შედეგად დამახინჯებული ხსენებული ლიტერატურა, რათა ქართულ მღვდელმსახურებას ამრიგად გაესწორებინათ თვალი ლიტურგიკის თანამედროვე მიღწევებისათვის...“

12. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ: პიროსი ოქროპირი, მღვდელი კალისტრატე ცინცაძე, ლეკანოზი კორნელი კვეციანი, ოუსტინე აბულაძე და სხვ. კომისიამ მაინც ვერ მიიყვანა დაწვებული საქმე ბოლომდე. ამის ძირითადი მიზეზი იყო ჯერ რევოლუცია, შემდეგ კი საბჭოეთის მიერ ეკლესიის უკიდურესი შევიწროება... დღეისათვის, ეკლესიის აღორძინების ჟამს, ხელახლა დგება საკითხი საღმრთისმსახურო წიგნთა შესწორებისა და გამოცემისა. ეს დიდი და შრომატევადი საქმეა“ („ჯვარი ვაზისა“, 1991 წ., №3, გვ.25).

13. მაშ, უწინარეს არ მოუწოდებიათ ქრისტეს მტრების მიერ შერყენილი ლოცვების გაჩინება? და თუკი იტყვით: ამჟამად ხელთ არსებული ლოცვები ზომ მაინც გარანდულიაო, ისევ მოგიწევთ ზემოხსენებულ ჟურნალში ჩახვევა:

14. „ღღისათვის, ეკლესიის აღორძინების ჟამს, ხელახლა დგება საკითხი საღმრთისმსახურო წიგნთა შესწორებისა და გამოცემისა. ეს დიდი და შრომატევადი საქმეა. მის ბოლომდე მიყვანას შეიძლება ათეული წლები დასჭირდეს. ამიტომ პირველ რიგში უნდა დაზუსტდეს ყველაზე გავრცელებული ლოცვები და საგალობლები, თანდათანობით კი ყოველი ლიტურგიკული და ჰიმნოგრაფიული კრებულებიც, რადგან ღვთისმსახურება გამართული და დაზუსტებული ლოცვისა და გალობის გარეშე წარმოუდგენელია“ (იქვე).

15. მაშ, რატომ ვთაკილა ჩვენი მთარგმნელობითი ღვაწლი მოძღვარს?!

მოგახსენებთ, რატომ ვთარგმნით სლავურიდან და არა ბერძნულიდან. როგორც ამჟამინდელი საეკლესიო ქართული ლიტერატურა დედნად გამოუსადეგარია ზემორე ნაუწყებ მიზეზთა გამო, ასევე გამოუსადეგარია ბერძნული ლიტერატურაც, რამეთუ ისიც კათოლიკურ სტამბებშია „ნაწერთობი“. ბერძნული ეკლესია სადღეისოდ ორგველიანი კვერთხის მჰყრობელი პატრიარქის ხელშია (ორგველიანი კვერთხი კი მასონების ემბლემაა). ვინაიდან ვერც ბერძნებს მოუცლიათ თავიანთი მართლმადიდებლობის დასაცავად, ჩვენც მას დავეყრდნით, ვინაც უხადოდ შეინარჩუნა საეკლესიო ლიტერატურაცა და ეკლესიური ყოფაც! ორი ჭიდან განა სუფთა ჭის წყალი არ შეეთავაზეთ საქართველოს? ვინ დაუდგინა წყალს ეროვნულობა? ასევე მართლმადიდებლობაც არ არსებობს ეროვნული, იგი ქრისტეანულია.

16. ციტატა მესამე: „სტაროვერების მიმდევრებს სურთ საქართველოში რუსული ძველი ეკლესიის ტრადიციების დამკვიდრება“. რატომ უნდა გვსურდეს რუსული ეკლესია-

ის ტრადიციების დამკვიდრება რუსულად ძლივს მოლაპარაკებებს, ესეც გაურკვეველია. აქი თავადაც აღნიშნეს, რომ თურმე სლავურიდან ეთარგმნით ქართულად, მაშ, რანაირად გამკვიდრებთ რუსულ ეკლესიას საქართველოში. სად არის აქ ლოგია? არის ელექტროენერგია, არის ელექტრონათურები, მონდა ჩართვა, აინთო ნათურები. გვიპასუხეთ, რომელი ნათურა აინთო ბერძნულად, რომელი — ქართულად და რომელი — სლავურად; ასევე განუსაზღვრელია მართლმადიდებლობის ეროვნულობა. ან რომელ ტრადიციაზეა ლაპარაკი, შერყენილი მართლმადიდებლობა განა ეროი სახისა არაა დედამიწაზე? რატომ აბნეით ხალხს? აკმარეთ, რაც ჭირი შეჰყარეთ, თუნდაც ამ 75 წლის განმავლობაში.

17. მოძღვარო, რუსულ ეკლესიას კი არ გაიკვიდრებთ, არამედ თვით რუსი მასონებისაგან წამებულთა მიერ შენარჩუნებულ მართლმადიდებლობას ვაქართულებთ. რა არის აქ საგანგაშო? განა საქართველოში დამკვიდრებული რუსული ეკლესიები, რომელთანაც მსოფლიო ეკლესიათა საბჭოური დიდი ძმობა გაკავშირებთ, თქვენთვის სადღეისოდ უცხოა? მაშ, რატომ მაინცდამაინც ქველმორწმუნეთა ეკლესია აითვალისწუნეთ? ტოტალური ომი რომ გამოგვიცხადეთ, უმჯობესი არ იყო, მოგებაძათ რჯულმოსილებაში და ამით ჩვენი გაერთიანებისათვის განემტკიცებინათ საუფუძელი? ძნელია რჯულის აღსრულება და ადვილი მისი ძაგება, არა?

18. რაც შეეხება რუის-ურბნისის კრების ჩვენს მიერ ხსენებას, ამით გვსურს კიდევ ერთხელ მიგახედვროთ თუ რატომ ითარგმნა დიდი რჯულისკანონი არსენ ივალთოელის მიერ და რატომ მოგვიწოდეს ამ კრების დადგენილებით:

19. „ეს არის (ლაპარაკია დიდ რჯულისკანონზე. — ი.-ი.) წმინდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე. ამითი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ ჰყრობა

მართებს ყველა ქრისტიანული მადიდებლობის წინამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდლებსა და დიაკვნებს, ჩვენს შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად და სრულად მართლმადიდებელთა ეკლესიას...“ (რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა).

სწორედ ამიტომაც ვახსენებდით ხშირ-ხშირად რუის-ურბნისის კრებას, იქნებ ყურად გეღთ კრების დადგენილება რჯულის ცოდნის, მიყოლისა და მტკიცედ ჰყრობის შესახებ და მთლად არ დაგვიწყებოდათ იგი.

20. ციტატა მეთხუ: „სტაროვერე“. იირითადად ქართულ ეკლესიას არ ეთანხმებიან ერთ-ერთი წესის — ხელით დასხმით მონათველაში“.

ჯერ ერთი, ამგვარი ხელდასხმითი მონათველა არ არსებობს და არც არავის სმენია. მოძღვარს, აღბათ, ენება ეთქვა: ხელთ თავზე წყლის დასხმით ნათლისღების შესახებ!

რაც შეეხება გამდინარე წყალში ნათლობას, აქ მოძღვარს უნდა განემარტა ნათლობის წესი და არა ნათლობის ადგილი. ვერც ეს და ვერც მომდევნო წესი ვერ განმარტა მოძღვარმა, ხოლო ნათლობის შესახებ სახედ მოიხსენია დღევანდელი ქართული ეკლესიისათვის ტრადიციული — წყალდასხმითი და წყალსხურებითი ნათლობა.

ამგვარი ნათლობა კი ვერტიკული გახლავთ.

21. მოძღვარს უნდა სცოდნოდ, რომ ეს მსოფლოდ ძველმორწმუნეთა ჭირვეულობა როდია; ამგვარი ვერტიკული ნათლობის მოწინააღმდეგეა აღმოსავლური ეკლესიის, კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და აღექსანდრიის პატრიარქთა მიერ გამოცემული ოროქსები და თვით სლავური დიდი რჯულისკანონი „კორმჩაია“, რომელიც იდენტურია ბერძნულისა.

გაზეთი „აღმდევინ ღმერთი“

22. დოკუმენტი პირველი:

„თუ რომელიმე ეპისკოპოსმა ან მღვდელმა შეასრულოს არა სამი ნათლისღება (რაც ნიშნავს წყალში სამგზის შთაფლვას. — ი. ი. ი.)... განიკეთოს...“ (მოციქულთა 50-ე კანონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987 წ., გვ. 168. ამავე გვერდზე იხ. სქოლიო).

23. სღავერ დიდ რჯულისკანონში („იკონმჩაია“) ნათლობასთან დაკავშირებით გარკვევითაა მითითებული: „წმიდა ნათლისღებისას მოსანათლავი წყალში შთაიფლავს და არ იქნეს წყალპკურებული“ (იხ. „იკონმჩაია“, წმინდა მოციქულთა კანონები, 50-ე კანონი, თავი I, ფურცელი 13 და სქოლიო ამავე ფურცლის მეორე მხარეს).

24. ამასვე ადასტურებს შემდეგი დოკუმენტები:

„1755 წელს კონსტანტინოპოლის კრება კირილე პატრიარქის დროს ღებულობს ოროქსს ალექსანდრიის პატრიარქ მათესა და იერუსალიმის პატრიარქ პართენის ხელმოწერით, სადაც ნათქვამია:

„ჩვენ მიგვაჩნია ღირსეული განსჯის საკითხად და საზიზღარ ნათლობად ერეტიკული ნათლისღება, რომელიც არ შეესაბამება და ეწინააღმდეგება სამოციქულო საღვთო დადგენილებას. იგი სხვა არა არის რა, თუ არა გამოუსადეგარი განზანა კათაკმეველთა, საერთოდ არა განათლებელი და არც ცოდვებისაგან განმწმენდელი. აი, რატომ ვნათლავთ მათ თავიდან, როცა ისინი უბრუნდებიან მართლმადიდებლობას, ჩვენ მათ ვღებულობთ, როგორც უნათლავებს და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ნათელს ვცემთ მოციქულთა და საკრებულო წესის მიხედვით“.

25. კონსტანტინოპოლის კრების (1756 წ.) თანახმად, დასავლეთის ქრისტიანები მართლმადიდებლობასთან შემოერთებისას

მიიღებიან პირველი ჩინით, როგორც წარმართები. „პიდალიონში“ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სრულიად ცალმხრივი განმარტება — „ლათინური ნათლობა“ (ლაპარაკია წყალპკურებით ნათლობაზე. — ი. ი. ი.), რომელიც ცრუდ იწოდება. ის არ არის საერთოდ ნათლობა, არამედ მხოლოდ ბანგაა... ამიტომაც არ ვამბობთ ჩვენ ლათინელებს გადავნათლავთო, არამედ ვნათლავთ მათ“.

26. „1848 წელს აღმოსავლეთის პატრიარქებმა თავიანთ სინოდებთან ერთად გამოსცეს „საოლქო ეპისტოლე“, რომელშიაც უწინარეს ყოვლისა ამხელენ ლათინელებს ნათლისღების შეერყენის გამო“.

27. „1895 წელს იმავე ეკლესიამ კვლავ დაადასტურა თავის სასინოდო ეპისტოლეში, რომ უარყოფს წყალპკურებით ნათლობას, როგორც ლათინურ სიანხლეს და ღებულობს მხოლოდ სამჯერ შთაფლვით ნათლობას“.

ასე რომ, ერეტიკული ნათლობის შესაკუთრე ქრისტეს მტერია.

28. ციტატა მეხუთე: „ამ მიმდინარეობის მამამთავრად მურთაზ ჩახავა ითვლება, რომელმაც მხოლოდ ერთი ეპისკოპოსისაგან მიიღო ხელდასხმა და ისიც როსტოვში. ეს კი კანონსა და ტრადიციებს ეწინააღმდეგება“.

29. დიახ, მე გახლავართ საქართველოში ამ კონფესიის ფუძემდებელი. როსტოვში დამასხეს ხელი თუ სხვაგან, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია, რამდენად ჭეშმარიტია ერთი ეპისკოპოსისმიერი ხელდასხმა, რომელიც განხორციელდა ჩემზე. იხილეთ ერთპიროვნული ხელდასხმის კანონიკური საბუთები:

30. რჯულში არის კანონი, რომელიც სამი ან ორი ეპისკოპოსისაგან მოითხოვს ხელდასხმის გაცემას, მაგრამ ამავე რჯულში ნებადართულია ერთპიროვნული ხელდასხმაც; ქრისტიანული რელიგიის ის-

ტორიაში მრავლადა ამგვარი ერთპიროვე-
წული ზელდასხმის მაგალითი.

31. დოკუმენტი პირველი:

„თუკი სამი ვპისკოპოსი არ მოიძიება,
ღირსეულია ორის მიერ და ერთის მიერადაც
იქნეს ვპისკოპოსი არჩეული“ (დიდი რჯუ-
ლისკანონი, „კორმჩაია“, იუსტინიანე მეფის
ახალ მცნებათა გრაგნილებიდან, თავი 42,
29-ე კანონიდან, გვ. 302, მეორე მხარე).

32. დოკუმენტი მეორე:

„და თუკი არ მოიძიება სამი პირი, როგორც
ითქვა, ამგვარი არჩევისათვის შესაძლებელია
ორისა და ერთი პიროვნების მიერადაც არჩევა
საეპისკოპოსოდ“ (იქვე, 318-ე ფურცლის
მეორე მხარე).

33. დოკუმენტი მესამე:

მაშინ ბევრი მართალი ეკლესია იყო და-
ჩენილი უმოდღერებოდ, საეპისკოპოსონი
უეპისკოპოსებოდ. ამგვარ მძიმე დროში წმ.
ეგსევიემ დამალა რა თავისი ეპისკოპოსის
ჩინი, შეიმოსა სამხედრო სამოსით და შემო-
იარა სირია, ფინიკია და პალესტინა, ქრის-
ტიანებში ქრისტიანული რწმენის განსამ-
ტყიცებლად და, სადაც კი იპოვა უმოდღერე-
ბოდ დარჩენილი ეკლესია, დააყენებდა
მღვდლებსა და დიაკვნებს და სასულიერო
მსახურთ, ზოგან კი საეპისკოპოსოდ ხელს
დაასხამდა მათ, რომლებიც არიოზულ დოგ-
მატებს უარყოფდნენ და მართლმადიდებლუ-
რად აზროვნებდნენ; ამგვარი გააჩნდა ქრისტეს
მიმართ მეჭველობა და ღვაწლის წადილი
ღვთის წმიდანს ეგსევიეს („ჩეტიმენია“, 22
იენისი, ცხოვრება წმ. ეგსევიესის).

34. დოკუმენტი მეოთხე:

„წმინდა იოანე ოქროპირმა ეუკუზაში,
საიდანაც ის გამოაძევეს, ერთმა დასხნა ზელი
შვიდს საეპისკოპოსოდ“ („მარტაგრიტო“, ცხოვ-
რება წმ. იოანე ოქროპირისა, 158-ე ფურცლის
მეორე მხარე).

35. ასე რომ, არც ერთპიროვეწული ზელ-
დასხმა ყოფილა უკანონო, მოძღვარო.

ჩვენთვის გაუგებარია, როცა საქართვე-
ლოში არსებობს კათოლიკური, მონოფიზი-

ტური, რუსულ-ნიკონიანური, ბაპტისტურ-
ევანგელისტური და, გენებათ, არაქრისტიან-
ული ორიენტაციის ეკლესიები, რატომ არ
გვხვრს ღედღვთისმშობლის წილხედომილ
ქვეყანაში არსებობდეს ნამდვილი მართლმ-
ადიდებლური ეკლესია, ისეთივე, როგორიც
იმათივე დაუფუძნებიათ საქართველოში
ანდრია პირველწოდებულს, სემიონ კან-
ნელს, ნინო წმინდანს?! ხომ არ ურევია ამ
საქმეში საეჭვო ორგანიზაციის ხელი, ისეთი
ძლიერი ორგანიზაციისა, რომელსაც ადვი-
ლად ხელუწიყება მთავრობის დადგენილების
შეცვლაც კი.

36. საინტერესოა, ჩვენ, რჯულის აღმსრუ-
ლებლებს, თქვენ, რჯულის არამიდგევარნი
რა პრეტენზიულობით წარმოგვიჩინე ხოლმე
თავს მწყემსების მწყემსებად? ნუთუ დაგა-
ვიწყდათ, ვის გაჩენილ ქვეყანაში ცხოვრობთ?
ღვთიემოწონებული ქართული რჯულმო-
სილი ეკლესიის მშენებლობის შეფერხებას
ცდილობთ! უმჯობესი არ იყო ამგვარი შე-
მართებით პარაფინის სანთლების გაყიდვის
აკრძალვა გვეცადათ თქვენს ტაძრებში, არც
ტაძარი გაიჭვარტლებოდა და არც ფრესკები
დაზიანდებოდა, რაც მთავარია, ღმერთს არ
განარისხებდით და იქნებ მაშინ საქართვე-
ლოსაც დადგითოდა სამშელო.

37. ბრძანებით, ძველმორწმუნეებიდან უკვე
იწყეს ჩვენსკენ გადმოსვლაო. იქნებ ჩვენგან
გაქცეული ერთი კაციის სახელი და გვარი მა-
ინც გვაუწყოთ; მოძღვარო, ჩვენს წინააღმდეგ
ხალხს ამხედრებთ, ხოლო თბილისის ქუჩებში
კრიშნაიდების დოღების ბრაგუნს შეაჩვიეთ
ყური. ეს არის ქრისტიანობა? იედოველთა
და ბაპტისტთა შემოსევით დამოდღვრილ
ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყნის შეი-
ლებს წყალში ჯვრებისა და ზატების გადაყრა
რომ დააწყებინეს, ამისათვის მიეცხნებათ,
არ აჯობებდა? რისთვის დაღვარა ქრისტემ
სისხლი. ნუთუ იმისათვის, რომ თავისი ღედის

გახეთი „აღდგენის ღმერთი“

შვილობილების ქვეყნის ტაძრებში პარაფინი, გოგირდი და წუმწუმა გუბრჩოლებინათ?! რა ვიღონოთ მამონ, როდესაც ვერ დაგარწმუნეთ, რომ ამგვარი საქციელი ღვთის

ორგულობას ნიშნავს, შერყვნილი ნათლობის მესაკუთრეობას როგორღა დაგაჯერებთ?! ნუ დაგაეწივდებით, რომ ერის სიკვდილს ეკლესიის სიკვდილი უსწრებს წინ.

მაშ, გიძლოდეთ თქვენი სიმაართლე წინ, სხვათა დამბრკოლებელნო და თავად არა შემსუფთაველნო. ამენ!

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე რ თ ი

დაუმატცხვამლი სიმაართლე

(ეპისტოლე კველმორფმუნეთა იერარქიას)

შ ე ს ა ე ლ ი

1. ადგილობრივი კრება რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა.

1971 წ. მოსკოვი.

ამ კრებას ესწრებოდნენ სტაროვერებიცა და ნიკონიანელებიც. ნიკონიანური ეკლესიის მიერ ანათემირებული სტაროვერებისთვის დადებული წყევლის მოხსნის შემდეგ შექმნილი სურათი ამგვარია: „გაიარკვა, რომ ნიკონიანელებსა და სტაროვერებს შორის ურთიერთობაში არ უნდა ველოდეთ რაიმე სასწრაფო ცვლილებებს. ძველმართლმადიდებელ ქრისტანთა ხელმძღვანელობამ იგრძნო თავისი სისუსტე და მცირერიცხოვნება და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან დამოკიდებულების გაუმჯობესების ცხოველი ინტერესი გამოიჩინა. ალბათ, რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან სიახლოვეთ მოინდომა არქიეპისკოპოსმა პავლემ განემტკიცებინა მდგომარეობა მის საწინამძღვრო ეკლესიაში, მაგრამ შედეგი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. არქიეპისკოპოს პავლეს, ერტიკოს-ნიკონიანელებთან თანამშრომლობისა და ძველი რწმენისაგან გამიჯვნის ბრალდებით, ძველმართლმადიდებლურ ეკლესიას გამოეყო და ბელოკრინიცელების

მხარეს გადავიდა კურსკის ოლქის სოფელ პერეოვ სკოროდნოეს ზოლოტუხინსკოეს რაიონის მთლიანი მრევლი (139 კაცი) მღვდელ სემიონინინის თავკაცობით (ვ.თ. მილოვიდოვი, „სოვერემენოე სტარობრიადნესტვო“, „მისლ“, მოსკოვი, 1979 წ.).

2. ეს იყო ძველმართლმადიდებელთა იერარქიაში ეკლესიის ზაგაკაცების ერეტიკული სითამამით გამოწვეული პირველი ამბოხი, რის შემდეგ ამგვარი ეკუმენისტური ჭირით შეპყრობილ იერარქიას თავისი მრევლით განუდგა მეორე მოძღვარი — თედორე გონჩაროვი (საქართველო, გრიგოლეთი). ამას მოჰყვა მესამე მოძღვარი — ლეონტი სკაჩკოვი თავისი მრევლით (საქართველო — ფოთი, მათთაყვა), შემდეგ პერმის მთლიანი ოლქი ალი ქალაქისა და ოცი სოფლის მრევლით ეპისკოპოს ლეონტის, მღვდელ ნიკანორის, მღვდელ ანატოლისა და დიაკონ ბორისის თავკაცობით; ყოველივე ამას ერესის მხილვებით მოსკოვის ეპისკოპოსის ფლაბიანეს განდგომაც დაემატა. გონიერსა და ღვთისმოსავს მართებს დაფიქრება, რისთვის მოხდა ყოველივე ეს?

3. ვინაიდან ეშმაკსა და მის მოკაეშირეებს არ ძინათ, ისინი ეკლავინდებურად ეცდებიან ამტკიცონ სიტრუის სიმაართლე და სიმა-

თლის ცრუყოფა. ამჟამად არსებული ეკლესიისაგან გამოიხეულთა მისამართით ჭეშმარიტების საზიანოდ ახალ ბრალდებებს გვთავაზობენ:

ა. თითქოსდა პერმის ოლქის ეპისკოპოსი ლეონტი არ იყო უფლებამოსილი საეკლესიო კრებამდე გამოიხეულა იერარქიას, რის გამოც მას ჩინაყრილად და რიგითად თვლიან.

ბ. თითქოსდა მეუფე ლეონტისაგან გაცემული საეპისკოპოსო ხელდასხმა იოანეზე (იგივე მეუფე იონა) და თედორეზე (იგივე მეუფე ფილარეტი) ვალბია.

ბ. თითქოსდა მღვდელი თედორე გონჩაროვი (იგივე მეუფე ფილარეტი), როგორც საეკლესიო კრების მიერ გასამართლებული, არ არის უფლებამოსილი ატაროს ეპისკოპოსის სახელი, რის გამოც ხდება მის მიერ მონათლულების გადანათვლა.

4. განხილვა ზემოაღწერილი ბრალდებებისა:

ბრალდება პირველი: თითქოსდა „პერმის ოლქის ეპისკოპოსი ლეონტი არ იყო უფლებამოსილი, საეკლესიო კრებამდე გამოიხეულა იერარქიას, რის გამოც მას ჩინაყრილად და რიგითად თვლიან“.

5. წარმოდგენილი ბრალდების ავტორები ეფუძნებიან წმიდა მამათა შემდეგ კანონს:

„ეკლესია მოითხოვს მოთმინებას, ვიდრე უღირსი მღვდელმსახურნი არ იქნებიან ჯეროვნად მხილებულნი და სასულიერო სამსახეაროსგანაც გასამართლებულნი“ („პროსკლეტიკლი“, ღირსი იოსებ ჟულოკოლომელი, სიტყვა 12, თავი 9, გვ. 236-37, „სამღვდელოების შესახებ“, ასევე ორგზისი 13).

6. მართალია, წარმოდგენილი კანონი თავშეკავებას მოითხოვს, მაგრამ აქ იმაზე დაფიქრებაც გვმართებს, თუ ვის ხელშია სამართალი, ამიტომაც წმიდა მამები ამავე კანონის მეორე ნაწილში გვასწავლიან:

7. „თუკი ეკლესიაში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო გაჭირდება მათზე მართალი განჩინების დადგენა, ისინი კი აღმორჩნდებიან იმდენად უწმინდურნი, რომ

ყოველგვარი დაფარვის გარეშე ჩაიღწენ უკანონობას და სხვებსაც ამას ასწავლიან, როგორც ღვთაურ სიძარბოებს, მაშინ ისინი არ უნდა იქნენ მართლთა მიერ შეწინარებულნი, თუნდაც არ იყოს მათზე ფორმალური საეკლესიო სასამართლო“ („პროსკლეტიკლი“, სიტ. 12, ვოლოკოლომელი, ორგზისი 15).

8. აღბათ, დარწმუნდით, რომ წარმოდგენილი კანონის მეორე ნაწილი საეკლესიო კრებამდე იძლევა გამიჯვნის უფლებას, თუკი საქმე უწმინდურთან და უკანონობის მქონელთან გვაქვს.

9. სხვაგვარად რა შეიძლება ეუწოდოთ ძველმორწმუნეების სისხლის მსმელი ნიკონანელი ერეტიკოსების ქრისტესმეორ ძმებად და წმინდანებად შემოაცხველებს?

10. ამგვარ უკანონობაზე პავლე მოციქული ბრძანებს: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ქრისტეს ასოები არიან? განა ავიღებ ქრისტეს ასოებს და შეძავის ასოებად ვაქცევ? ნუ იფიქრებ“.

11. როცა მოქმედნი უკანონობისანი კანონსაწინააღმდეგოდ იძლევიან განკარგულებას, რომ გაპარსულნი დაუშვან ტაძარში და მართლთა შორის ალოცვიან, ტრაქეზიც გაიზიარონ მათთან, ჯერის მთხვევის უფლებაც დართონ და კურთხევაც გასცენ.

12. გარდაცვალების შემთხვევაში კი წესი აუკონ და დასაკრძალი ცერემონიული შეუსრულონ; რამდენად კანონიკურია ამგვარი საქციელი? მეუფე გენადი წვერის გამპარსველებს შესაწინარებელ ცოდვილებად წარმოგვიჩინს, წმიდა მამათა კანონებში კი ნათქვამია:

13. „რამეთუ წვერი შეიკვეცა ან გაპარსოს, ერეტიკოსად იწოდება. — ბრძანებს ეპიფანე კვიპროსის არქიეპისკოპოსი“ (პატრიარქ იოსების „სლუვებნიკი“, გვ. 10).

14. ეს ხომ უკვე კანონად ქცეული რჯულებდა და სწორედ ამიტომაც შეუტანიათ იგი იოსებ პატრიარქის საქრისტეანო წიგნში —

გაზეთი „აღმშენებელი“

„სლუჟებნიკში“. რა სასჯელს ადებს ეკლესია წვერის გამპარსველებს? ამის შესახებ კანონი მიგვითითებს:

„მათე (გლასტარი) X თავის III აბზაცში უკრძალავს მართალთა გალამაზებას, ასევე წვერის გამპარსვას და თმის დახვევას. დაუმორჩილებელთა ეკლესიიდან განკვეთას ბრძანებს მეექვსე მსოფლიო კრების 96-ე კანონის მიხედვით“ („ნომოკანონი“, კანონი 174-ე, ფურცელ 13-ის მეორე მხარე).

15. ესე იგი წვერ-ულვაშის პარსვა არც ისე მსუბუქი დანაშაული ყოფილა, როგორც ამას მეუფე გენადი წარმოგიდგენს. ძველ მართლმადიდებელთა არქივის სკოპოს უნდა სტოდნოდა, რომ მისი ამგვარი ერეტიკული სითამამე სხვას არას ნიშნავდა, თუ არა ზღვარის წაშლას ჭეშმარიტებისა და სიციურის შორის, როცა ღვთიური კანონი გვახსენებს:

16. „წმიდა კანონი უკრძალავს მართლმადიდებელს წვერ-ულვაშის გამპარსვას. ასეთნი არ არიან მართლმადიდებლები, არამედ უწმინდური ლათინური ერესის გადმონაცემების მკერობელებია, რაც ბერძენი მეფის კონსტანტინე კავალინისაგან მოუღიათ, ამიტომაც სამამულო და სამოციქულო კანონები ამგვარ რამეს კრძალავს და უარყოფს.

17. ვინც წვერის გამპარსველი იყოს და მოკედეს, ამგვართა მიმართ აკრძალულია მსახურება, გალობა და მის სახელზე ეკლესიაში სეფისკვერის შეგზავნაც. იგი უნდა ექნას არამართალთა შორის შერაცხული, რამეთუ ხვედრი ერეტიკოსისა ამგვარია“ (სტოგლავის კრების კანონთა კრებულები, მე-40 თავი, გვ. 124).

18. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ისინი არ ერიდებიან კომპარტიის წევრების — ღვთის მგობელთა ქრისტეანული წესით დაკრძალვასაც კი; რა შეიძლება ეწოდოს ამგვარ მოქმედებას? ისინი ხომ ასევე დაუფარავად ესწრებიან

ერეტიკოსთა სადღესასწაულო კრებებს და ანთიპული სანთლებით დგანან მათ შებილწულ ტაძრებში. დიდად არც ის უკვირთ, როცა ისინი საქვეყნოდ გაჰყვირიან, რომ მხარს უჭერენ ღვთისმოსულ იმპერიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და რომ ნიკონიანური ხელდასხმა მათთვის სადღესიოდ ვარგისია;

19. ვინ არის მათი მძლევი, როცა მათ ძალუძთ, მა რთალნი განაქიქონ და გააძეონ ტაძრიდან, ხელო მათ ნაცულად უწმინდური დაადგინონ, როცა ისინი უფლებამოსილნი არიან, გამოიციონ მთავრობის ძალმოსილება ურჩ მღვდელისა სურთა დასაპატიმრებლად, როცა შემძლებელ არიან, ჭეშმარიტების მეჭველთა მიმართ გამოიყენონ უმაღლესი ერეტიკული ორგანო — მსოფლიო ეკლესიათა საბჭო; ზემოსენებულის შემდეგ განა რას წარმოადგენს მათთვის სეფისკვერის ცხოვის, ზიარებისთვის განკუთვნილი ღვინის სიწმინდის, ნაზიარებთა ულვაშის მობანვის, დიდი წყალკურთხევის ერთხელ ჩატარების, საეკლესიო კრების ყოველწლიურად ჩატარების წესის დარღვევა, რომ საეკლესიო გადმონაცემების ასეთი უგულებელყოფა საგანგაშოდ მიიჩნიონ. წმიდა მამათა კანონები კი ჭეშმარიტების მოძალადეთა მიმართ უღმობელია.

20. „ვინც სპობს რომელიმე ეკლესიურ გადმონაცემს, დაწერილს თუ დაუწერილს, ანათემა მას.

ვინც უარყოფს ეკლესიურ გადმონაცემებს, ეკლესიურს დაწერილს თუ დაუწერილს, ანათემა მას“ („საქმენი მსოფლიო კრებებისა“, ტ.7, გვ. 610, 612, 628).

21. ჩვენც ასევე სხვას ვერას გავიმეტებთ ამგვართათვის, რამეთუ ჭეშმარიტად არიან მქმნელნი უკანონობისა. რაც შეეხება მათ მიერ წარმოდგენილ ბრალდებებს, დოკუმენტებით დავასაბუთებთ მათ სიყალბეს შესავლის შემდეგ ნაწილში, ახლა კი კვლავ შესავალ სიტყვას დავუბრუნდეთ. წმიდა მამებმა, რასაკვირველია, უკეთ იცოდნენ ყველა კანონი

და მოგვიწოდებდნენ ეკლესიისადმი მორჩილუბას, მაგრამ იქვე დასძინდნენ:

22. „არაიგი გემართებს ემორჩილებდეთ მასწავლებლებსა და მოძღვრებს, და ასევე არ გაგასამართლებდეთ მათ, თუნდაც ცხოვრება ჰქონდეთ უკადრისი, და თუკი სარწმუნოებაში იყო დელიკატი, მაშინ არ გემართებს მაიო დაყოლა, არამედ უნდა გავეცეთ და გაგასამართლოთ ისინი“.

23. ეს იოანე ოქროპირის კანონია, იგივეს გვიქადაგებს წმ. მამა იოსებ ვოლოკოლოძელი: „ღმერთი ყველას როდი რთავს ნებას, მაგრამ ყველათი მოქმედებს, შინ ნუ ასამართლებ მოსამართლებს, და ნუ მწყემსავ მწყემსებს, მწყემსის ფარავ, არამედ თქვი, რომ ის ღირსეულია, რომც არ ჰქონდეს ღირსება, დე იქნეს იგი შენთვის ღირსეული, თუკი ერეტიკული სწავლება არ გააჩნია და თუკი გააჩნია, ამგვართაგან არ უნდა მივიღოთ სწავლება, არც ზიარება, და არცა რამ საერთო ვიქონიოთ მათთან, არამედ უნდა გაგასამართლოთ და მიუღო ძალისხმევით ვამხილოთ, რაეთო არ ვიქცეთ მისი დღეულების მონაწილედ“ („პროსკეტიველი“, ღირსი იოსებ ვოლოკოლოძელი, გამოც. პ., ყაზანი, 1896 წ., სიტყვა 7, გვ. 167).

24. ხოლო მოციქულნი უფრო მძაფრად წარმოგვიდგენენ ამ კანონს: „თუკი სარწმუნოების სწავლება შერყვნილი აქვს, გნებათ ანგელოზიც ფოს, ნუ დაემორჩილებით; და თუკი სიმართლით ასწავლის, მის ცხოვრებას კი ნუ მიაპყრობთ გულისყურს, არამედ სიტყვა ისმინეთ“ (წმ. იოანე ოქროპირის საუბრები პავლე მოციქულის ეპისტოლეებზე, კიევი, 1621-1623 წწ., ტ. 2, თავი 1, კანონი მე-2, მუსლ. 291, გვ. 2552).

25. და რადგან სიტყვა მათი არის ცრუ სწავლება — კანონსაწინააღმდეგო და დამლუპველი, ჩვენ ისდა დაგვრჩენია, მიეყვით წმიდა მამათა ნაკვალევს, რაც ამგვართაგან გამოიჯვანასა და მხილებას ნიშნავს.

26. „მოძღვარი — ეკლესიის თვალისჩინი — თუკი უკადრისად ცხოვრობს და აცდუნებს

ხალხს, მისგან გამოიჯვანა გემართებს, უმჯობესია მათ გარეშე შევიკრიბოთ სალოცავ ტაძარში, ვიდრე მათთან ერთად განუხრწნეთ გეჰენიანი, ვითარცა ანასა და კაიაფასთან. წმიდა მამათა კანონების მიხედვით, თუკი ერესის გამო გაემიჯნებიან ეპისკოპოსებს, ამგვარნი არ მიეწერებიან აკრძალულებს, არამედ ღირსნი არიან ქებისა, ვითარცა მართლმადიდებლები — ღირსნი არიან პატრიარქისა მართლმადიდებლურისა. ასეთები ეპისკოპოსთა მოძულენი კი არ არიან, არამედ ცრუ ეპისკოპოსთა. საეკლესიო ერთიანობის გამთითშეღენი კი არა, საეკლესიო ერთიანობის შემნარჩუნებლებად იწოდებიან, რომლებმაც ეკლესია განუთქილებსაგან იხსნეს“ („პროსკეტიველი“, წმ. მამა იოსებ ვოლოკოლოძელი, სიტყვა 12).

27. ჩვენი მოძღვარნი დღემდე ომბახანად გაიმბახიან, რომ ეკლესიის ბატონ-პატრონები არიან და იმას აკეთებენ, რაც მოესურებათ. ღვთის კანონი კი შეგვახსენებს:

28. „არ არის ნებადართული, ბატონო, არ არის ნებადართული არც ჩვენს ეკლესიაში და არც სხვაგან ვაკეთოთ რაიმე კანონსაწინააღმდეგო. თუკი ამგვართ ნებას დავრთავთ, მაშინ სახარება გაუქმებულია და ტყუილად გვიყრია კანონები; ყველას რომ თავისი ეპისკოპოსობის დროს უფლება ჰქონოდა გკეთებინა ის, რაც ენება, მაშინ გამოჩნდებოდნენ ახალი მანარობლები, ახალი მოციქულები და სხვაგვარი კანონმდებლებიც, მაგრამ ეს ასე არაა!“ (წმ. თედორე სტოდიელი, „სტეორენია“, ნაწილი პირველი, „წერილი სხვადასხვა პირთა მიმართ“, 1867 წ., წერილი 24-ე, გვ. 186).

29. ასე გვასწავლის თედორე სტოდიელი; გვასწავლის, მაგრამ ვის ესმის მისი? იტყვიან: ღვთისაგან ბოძებული უფლებამოსილება გაგვარჩინია, ვისაც შეგვკრავთ დედამიწაზე, შეკრული იქნება ცათა შინაო; და ამგვარი ხელმე-

გაზეთი „აღმდგომი ღმერთი“

დიდურობით აშინებენ მცირედ განათლებულ ქრისტეს ფარას. განა ჩვენ არ ვიცით, რომ:

30. „მღვდლობა ცაში დანერგილი საკურთხვევლია, ვინ ამბობს ამას? თუთ ზეციური მეფე, თუკი შეპყრავთ ღვდამიწაზე, შეკრულ იქნება ცათა შინაო; რაც ტოლფასოვანია პატოვისა, რამეთუ მიწიდან დაწყებულ სამსჯავროს ღებულობს ზეცა. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯული მიწაზე იმყოფება, მეუფე მიჰყვება მონის გადაწყვეტილებას, და თუკი ის გაასამართლებს, მას (კანონს) ამტკიცებს. ღმერთსა და კაცს შორის ღვას მღვდელი“ (წმ. იოანე ოქროპირი, „მარგარიტი“, სიტყვა 5, „ოსია მეფის მიმართ“, გვ. 214).

31. ჭეშმარიტებას ღვდაღებს იოანე ოქროპირი, მაგრამ ისმის კითხვა: თუკი ქვეყანაზე არ არსებობს მართალი სამსჯავრო, მიჰყვება თუ არა ცოარი მეფე ცრუ სამართლის განმჩინებელს? ამაზე წმიდა მამები გვიპასუხებენ: „ამასვე ვამბობ წმიდა წერილებიდან, რომ ღმერთის სამსჯავრო არ გაჰყვება არც პატრიარქის, არც ეპისკოპოსის განჩინებას განკვეთაზე, და, გნებათ, დაწვევლაზეც, თუკი ღვთის ნების გარეშე იქნება ვინმე დაწვევლილი“ („პროსფეტები“, ღირსი მამა იოსებ ვოლოკოლომელი, სიტყვა 12, გვ. 518).

32. ღვთის ნებით დაწვევლა ნიშნავს, რომ მიწიერი სამსჯავრო უნდა იქნეს მართალი და ღვთისაგან მიღებული, რასაც ეს კანონიც გვიდასტურებს:

„თუკი არასწორად აღვეს ვინმეს აკრძავა, ღმერთის მიერ არ იქნება იგი შეკრული“ (ნიკონ შავთელი, სიტყვა 40, გვ., 305).

33. ასე რომ, კანონთა მოძალადეებს მართებდათ სცოდნოდათ: კაცთამიერ ცრუ განჩინებას ღმერთი არ ადასტურებს, ამიტომაც წმიდა მამები გვასწავლებენ:

„ყოველთვის სასურველი როდია გაერთიანება, არის რომ ზოგჯერ გაყოფაც საკეთი-

ლოა. ყოველი გარიგება საქებარია, მაგრამ არის, რომ ზოგჯერ მშვიდობაც საზიანოა. როცა ვრიგდებით ჭეშმარიტების დასანგრევად, ცოდვილიანობას წარმოადგენს და არც არის სასურველი; ამგვარი მშვიდობის მომტანი არყოფილა ქრისტე, პირიქით, საკეთილოდ ნებას მას ჩვენი განყოფა.

34. ნურვინ მიაგებებს ცრუ კაცს სიყვარულს, ნურც მშვიდობას იქონიებთ მასთან, გნებათ მამა იოსებ იგი, გნებათ — ღვდა, ან შვილები, ან ძმა; თუკი ქრისტეს კანონის მოწინააღმდეგეები აღმოჩნდებიან ისინი, გეწინააღმდეგეთ მათ, როგორც ჭეშმარიტების მოძალადებს“ („სასწავლო სახარება“, ყველა წმიდას საკვირაო, სიტყვა 22, ფურცელი 162, მეორე მხარე).

35. თქვენ ამბობთ, იმის გამო, რომ მეუფე ღვთის საეკლესიო კრებამდე განემიჯნა ეკლესიას, იგი ჩინაყრილია. კეთილი ინებთ დე გვიპასუხეთ: განა საეკლესიო კრებამდე არ განუდგნენ მართლმადიდებლები ღვთის ეკათოლიკეებს? ვინ აჰყარა პატრივი მათ ყოველივე ამის გამო? განა ასევე საეკლესიო კრებამდე არ განუდგნენ სტაროვერები ნიკონიანურ ეკლესიას, რისთვისაც ღვდამდე ასე ქებით მოიხსენიებენ? მამ, სად არის კანონი, რომელიც შეიძლება ერეტიკული ეკლესიიდან გამიჯნულებს ბრალი დასდოს განყოფისათვის?!

36. თუკი მეჩვიდმეტე საუკუნეში ნიკონ პატრიარქის მოღვაწეობისას ორი თითოთ პირჯვრის წერის შეცვლის გამო მთელი რუსეთი სისხლის ტბაში აცურდა, განა უმეტეს ერესთან არ გვაქვს ახლა საქმე, როცა იმ სტაროვერების დამსჯელ ნიკონიანელებს თავად სტაროვერები წმინდანებსა და ქრისტესმიერ ძმებს უწოდებენ? განა უმეტეს ერესთან არა გვაქვს საქმე, როცა წვერ-ულვაშის გამპარსეველებს მართალთა პატრიოთ მოსაგვენ, მაშინ, როცა კანონი მათ განკვეთას ბრძანებს? განა უმეტესი ერესი არ არის, როცა უგულბებულყოფენ წმიდა მამათა გადმონაცემებს ზიარების, წყლის კურთხევისა და

საეკლესიო კრებების დროულად ჩატარების თაობაზე, მაშინ, როდესაც კანონი ამგვართა ანათემით დასჯას მოითხოვს.

37. განა უმეტესი ერესი არ არის, როცა მართალ მოძღვრებას ეკლესიიდან აძევებენ და მათ ადგილს უღირსები იკავებენ. განა უმეტესი ერესი არ არის, როცა ღვთის-მგომბარი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას სახალხოდ იწონებენ ამიტომაც ვართ განმდგარი თქვენგან. გგონიათ, რომ ტაძრის მპყრობელი, ეკლესიის მესაკუთრე ხართ? ჭეშმარიტი ეკლესია ისაა, რომელიც ქრისტეს მეორედ მოსვლამდე იცავს საეკლესიო წესს და გადმონაცემებს, რომელიც წმიდასა და უწმიდურს შორის ერთხელ დადებულ ზღვარს კი არ შლის ჭეშმარიტების საზიანოდ, არამედ ინარჩუნებს მას, რათა ქრისტეს შვილობის მოწადინეთ არ გაუჭირდეთ სულის გადამრჩენელი ბილიკების პოვნა. ამიტომაც ბრძანებს ქრისტე ღმერთი:

38. „ხოლო სარდეს ეკლესიის ანგელოზს მისწერე: ამას ამბობს, ვისაც აქვს ღმერთის შვიდი სული და შვიდი ვარსკვლავი: ვიცი საქმენი შენნი; სახელი ისეთი გაქვს, თითქოს ცოცხალი იყო, მკვდარი კი ხარ.“

39. იფხიზლე და განამტყიცე დანარჩენიც, რაც უახლოვდება სიკვდილს, რადგან ვერ გამოუღობ, რომ შენი საქმენი აღსრულებულნი არიან ღმერთის წინაშე.

გახსოვდეს, რაც მიგიღია და გასმენია, და დამიარხე და შეინანე; ხოლო თუ არ იფხიზლებ, მოვალ შენთან, როგორც მპარავი, და ვერ გაივებს, რა დროს მოვივალ“ (გამოცხ., 3, 1-3).

40. დიდება უფალს! მივხვდით უკვე, როგორი ქრისტეანებიც ხართ! ისიც ჭეშმარიტად დავეიჯერეთ, რომ მშვიდობის დამყარებას სიმართლის საზიანოდ ღვთის მტრობას ნიშნავს; ამიტომაც დავენებდით ქრისტეს ხმალს, რათა ღირსეულთა და უღირსთა შორის განეჩინა სამართალი და ეს განკვეთაც მოხდა. ბრალდება მეუფე ლეონტის მიმართ, თითქოს-და იმის გამო, რომ იერარქიას გაემიჯნა სა-

ეკლესიო კრებამდე, ზემორე წარმოდგენილი კანონიერი დოკუმენტებით გაუქმებულია, 2 გზისის 15. რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას იერარქიის მიმართ ჩვენს მიერ წარდგენილი ბრალდებები, ქვემოთ გაგაცნობთ.

41. ბრალდება მეორე:

თითქოსდა „მეუფე ლეონტისაგან გაცემული საკისკოპოსო ხელდასხმა იოანეზე (იგივე მეუფე იონა) და თედორეზე (იგივე ფილარქტი) ყალბია“.

42. იმთავითვე იგრძნობა, ბრალმდებლებს სწორი შესვლად არა აქვთ ქიროტონიაზე – ხელდასხმაზე. ჰგონიათ, რომ, ვინაიდან მეუფე ლეონტი საეკლესიო კრებამდე გაემიჯნა მათ და თანაც კრების მიერ მღვდლობა აკრძალულია, მას წართმეული აქვს სახელდასხმო მადლი და, ამდენად, განძარცვულია სასულიერო მადალი პატივისაგან.

43. აქ ჩნდება კითხვა:

შეიძლება თუ არა აღამიანს წაერთვას ნათლობა? ასევე წაუთმეველია ხელდასხმის მადლი, რამეთუ ქიროტონია არის სულის ბეჭედი და არა გვაძისა. ამიტომაც წმიდა მამები ვგახსენებდნენ:

44. „თუნდაც უკანონოდ იყოს ხელდასხმული ეპისკოპოსი იქნება ის თუ მღვდელი, ან კიდევ სხვა სასულიერო მსახური, მათზე ნამდვილად მოქმედებს ხელდასხმის მადლი სულის გადასარჩენად მომსვლელთა გამო და გოველი მათგანი რწმენის მიხედვით მიიღებს“ („პოტრენიკი“ იოანაფისა, ბერული და საერო, მოსკოვი, 1639 წ., ნომოკანონი, კანონი 121-ე, გვ. 56, „მღვდლობის შესახებ“).

45. სწორედ ამიტომაც იყო, რომ წმიდა მამები კატეგორიულად უარყოფდნენ განმეორებით ხელდასხმასა და ნათლობას, თუკი პირველი ნათლობა რეკლისმიერი ჰქონდათ მიღებული. მერწმუნეთ, ერეტიკულ მხარეს ღვთიერ სამართალზე განმეებლობის უფლე-

გაზეთი „ალდეგინ ღმერთი“

ბამოსილება არ გააჩნია. ზემორე აღნიშნული კანონების დამრღვევებმა მიიღეს არა მხოლოდ მცირე ეპიტიმია, არამედ შეუდგნენ უმკაცრეს სასჯელს — ანათემას.

46. მეუფე გენადის ხელდასხმა მიღებული აქვს თვით მეუფე ლეონტისაგან, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მას ჭეშმარიტი სახელდასხმო უფლებამოსილება ჰქონია და, ვინაიდან შეუძლებელი ყოფილა ხელდასხმის მადლის წართმევა, ვინ წაართვა მას წაურთმეველი? ამდენად, მეუფე ლეონტის მიერ ხელდასხმული, ვინც უნდა იყოს იგი, ჭეშმარიტად ხელდასხმულია:

47. „მართალია, რომ ერესისაგან გადახრადღვთიური კანონების წინაშე წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ ცოდვილიანობა ასევე ღვთიური კანონების დარღვევაა. და თუკი ვიტყვი, რომ კანონების დარღვევით, ერეტიკული გადახრის გამო საეკლესიო მოღვაწეებზე ხელდასხმა ქრება და კვდება, მაშინ მოვალენი ვართ ვთქვათ, რომ კანონების დარღვევის შემთხვევაში სასულიერო მოღვაწეობაზე ხელდასხმაც ქრება და კვდება, რადგან ქრისტეს გარდა არავინაა უცოდველი. მაშ, უნდა დავიჯეროთ, რომ ქრისტეს მიერ სამღვდლოებისათვის ბოძებული ხელდასხმა ბოლოს გაქრება და მოკვდება?! (კრებული, „სამღვდლოების შესახებ“, თავი მე-40, გვ. 256),

48. ვუპასუხებთ:

რა თქმა უნდა, არა! ასე და ამგვარად, უნდა ვიცოდეთ, რომ ერეტიკული სწავლების მპყრობელთაგან გამიჯნულნი, თუნდაც თავად ერეტიკოსებიც რომ იყვნენ (იგულისხმება სწორი ნათლობის მქონენი), ქიროტონიას ინარჩუნებენ. ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით წმიდა კანონებით, რომ ხელდასხმის მადლი მარად წაურთმეველია. მღვდლობის ამკრძალველებს უფლება ეძლევათ მხოლოდ სამღვდლო ღვაწლისთვის თავშეკავების მო-

წოდებისა. ამიტომაც ითქვა წმიდა მამებისაგან ასე დაბეჯითებით:

49. „გნებავთ, მას მიეღო ხელდასხმა რომელიმე ერეტიკოსისაგან, ან ფულით შეიძლება იყოს ხელდასხმული, მაგრამ თავად არ არის ერეტიკოსი, მისივე უცოდინარობით, ხელდასხმა მიიღო ხელდასხმელისაგან ფულით, ე.ი. სიმონიანურად, მაგრამ სწამს მთელი ჭეშმარიტება, იცავს სარწმუნოებას და კანონებსაც არ ცვლის; ჭეშმარიტებისაგან გამიჯნულს თავად გაემიჯნება, ჩვენ ამის შემდეგ არ ვვკვს უფლება მისგან განდგომისა, რამეთუ ამგვარნი არ იმსახურებენ გასამართლებას (ღირსი მამა თედორე სტოდოვილი, „ტვორენია“, ნაწილი I, გვ. 313, წერილი 53-ე).

50. და თუ ამ კანონსაც გავეცნობით, დავიჯერებთ:

„ხელდასხმულებს მართალ საერო მოღვაწეთაგან განასხვავებს წმიდა მადლი და იგი ბეჭედი გააჩნია სულს და მარად წაურთმეველია, როგორც დედამიწაზე, ასევე ცათა შინაც. ამიტომაც არის, რომ შეუძლებელია ხელდასხმის განმეორება“ („ღიდი კატეხიზისი“, თავი 72-ე, ფურცელი 357, მეორე მხარე).

51. ასე, რომ, საბოლოოდ უნდა დავრწმუნდეთ, მეუფე ლეონტის კერავენ წაართმევედა წაურთმეველს. და ამდენად, მისგან ხელდასხმული ჭეშმარიტად ყველა ხელდასხმულია.

52. ბრალდება შესაძებ:

„თითქოსდა მეუფე ფილარეტი, როგორც საეკლესიო კრების მიერ მღვდლობაწართმეული, არ არის უფლებამოსილი ატაროს ეპისკოპოსის სახელი და ამიტომაც გადანათლავენ ხოლმე მის მიერ მონათლულებს“.

53. უპირველესად უნდა დავიჯეროთ, რომ ყოველად შეუძლებელია საეკლესიო კრების მიერ გამოტანილი ცრუ განჩინება ღვთის წინაშე ჭეშმარიტებად ჩანდეს; თუ ამას გვლესიის ერეტიკულობაც დაემატება, ლაპარაკიც კი ზედმეტია მართალი მოძღვრის ჩინაყრაზე (თედორე გონჩაროვის — ყოფილი მოძღვრის, ეპისკოპოსის პატივით შემოსვასა და მის

სიმართლეზე ქვემოთ ვისაუბრებთ). ახლა დაეადგინოთ, რამდენად სწორია გადაწყვეტილება ერთხელ მონათლულის გადანათვლაზე. აი, რას გვაუწყებენ წმინდა მამები:

54. „მეორედ გადანათვლევნ მხოლოდ სიცრუის მქმნელინი, ჭეშმარიტად არამღვდლები. არ შეიძლება ხელმეორედ გადანათვლით შედავითინისაგან, ან უბრალო ბერისაგან, ან დიაკვნისაგან, ან თვით საკუთარი მამისაგან, ან რომელიმე მართლმადიდებელი რიგითი ქრისტიანისაგან აუცილებლობის, ე.ი. მღვდლის უყოლობის გამო, მონათლულის, რამეთუ ისინი ითვლებიან მონათლულებად, თუკი ხელი ერეტიკოსისა არ ურევია“ („პოტრუბნიკი“ ოიასაფისა, ბერული და საეკლესიო, 1639 წ., „ნობოკანონი“, კან. 203-ე, ფურც. 48, მეორე მხარე).

55. აი, ამ კანონის განმარტება:

„ქრისტიანული ეკლესიის მარად მოძღვარი და წინამძღვრად წარმოიხილი, მეჭველი და ეკლესიური სიწმინდისათვის წამებულნი დეკანოზი ამბაკუმი გვაუწყებს:

56. „არის ამგვარი კანონი. უფლებას აძლევს რიგით მორწმუნეს — მონათლოს ავადმყოფობის გამო შეჭირვებული კაცი. და თუკი ის მონათლული მოკვდა, მაღლი ნათლობისა შესრულებულად ჩაითვლება — იგი მონათლულად კედება. ხოლო თუკი გამოკეთდა, მღვდლის მეშვეობით შეუსრულებენ დანარჩენ წესს ეკლესიაში (დააყენებს რა ემბაზში, ლოცვას მთლიანად წარსთქვამს, სხვა წესებსაც შეუსრულებს). რიგით მორწმუნეს ევალება მხოლოდ და მხოლოდ სამჯერ შთაფლას მოსანათლი. თუკი ავადმყოფი გადარჩა, მაშინ მღვდელი შეუსრულებს დანარჩენ წესს და მირონსაც სცხებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა განუმეოროს შთაფლვა სამჯერად. არის სხვა კანონი ამგვარად დაწერილი, რომ არ გადაინათვლებიან ხელმეორედ მედავითინის ან უბრალო ბერისაგან მონათლულნი ან დიაკვნისაგან, ან თვით საკუთარი მამისაგან.

57. ან მართლმადიდებელი ქრისტიანი-

საგან საჭიროებისა და აუცილებლობის გამო, ე.ი. მღვდლის უყოლობის გამო, ითვლებიან მონათლულად, თუკი ერეტიკოსის ხელი არ შეეხოს პირველად.

58. ამ კანონის მიხედვით მონათლულად ითვლება თვით რიგითი ქრისტიანისაგან წყალში სამჯერადი შთაფლვით განათლული. და თუკი ნათლობა შესრულებულია ერეტიკოსის მიერ, ნათლობის გადასწორების უფლება არ გააჩნია რიგით მორწმუნეს. იგი მხოლოდ მღვდელს ხელეწიფება“ (ს. სმირნოვი, საშინაო საკითხები მე-17 ს. რასკოლნიკობის შესახებ, ს-პბ, 1889 წ., გვ. 36-37).

59. მაშ, ვინ არის ის, ეკლესიურ გადმონაცემებს უდიერად რომ ეპყრობა და სურვილისამებრ გარდაქმნის? ამასთან დაკავშირებით წმინდა მამა განგვიმარტავს:

60. „ხოლო ესენი, ღმერთის მტრები, აკეთებენ იმას, რაც კრებამ უარყო; განაგდებენ უდანაშაულოებს, როგორც თავად მოისურვებენ და არა ღმერთი; ასევე ახსნიან ხოლმე მათ, რომლებიც შეკრულია კრების მიერ ღვთიური სიმართლით; განსაკვეთს აღადგენენ; ერთი სიტყვით, მუდმივად ამ ღვთიური კანონების ხელმძღვანელობით თავიანთ შეხედულებებს იყენებენ როგორც ღვთის მსახურნი და მონებ; ამგვარი უკანონობა და უწმინდური ღონისძიება გარყვნილების ერესია“ (თედორე სტოდიელი, პირველი ნაწილი, გვ. 228).

61. იქნებ ეს კანონიც ყურად ეღოთ:

„— მაშ, რა არის საიდუმლო ნათლობისა? საიდუმლო ნათლობისა არის სამარე და დედა. სამარეა იმიტომ, რომ, ღვთიური კანონის დარღვევისა გამო, ასამარებს კაცთა მთლიანი მოღვმის ცოდვას, რომელიც ჩვენმა პირველმა წინაპარმა ჩაიდინა. დედაა იმიტომ, რომ ბადებს ღვთის შვილებს, რათა მათ ღვთიური სიმართლის ქმნით მიიღონ ზეციურ სასუფეველში მარადიული

გაზეთი „აღმდევინ ღმერთი“

სიცოცხლე. ამიტომაც არის, რომ მადიდებლური მრწამსი აღიარებს ერთ ნათლისღებას მისატყვევლად ცოდათა და ჭეშმარიტად მოელის ცხოვრებას მერმეთა სუაუნეთა“ (კრებული, „ნათლობის შესახებ“, თავი 6, გვ. 148).

62. განა შესაძლებელია დედის მუცლიდან ხელმეორედ დაბადება? ასევე შეუძლებელია ერთხელ ქრისტეანად დაბადებულის ხელმეორედ დაბადება — გადანათვლა. მაშ, ვინ ბრძანებულან ადამიანთა გადამნათვლელები? აქ წმიდა მამა იოანე დამასკელი აგვიხელს თვალბის: „რომლებიც მამისა, ძისა და სულიწმიდის სახელით მნათვლენი, ერთარსისა და სამგვარობების მქადაგებენი, როცა ხელმეორედ გადანათვლავენ, ამით ისინი მეორედ ჯვარს აცვაშენ ქრისტეს“ (წმ. იოანე დამასკელი, წიგნი 4, თავი 9).

63. ვინაიდან შეუძლებელი ყოფილა ერთხელ მონათლულის ხელმეორედ გადანათვლა, წმინდა მამებმა ამგვარ სითამამეს ასეთი დამლა დაუსვეს: „გადანათვლა არის არა სხვა რამ, თუ არა ერესი“ (დონატისტელების გათიშვა, საეკლესიო ისტორიული კვლევა ნ. კუტეპოვისა, ფაზანი, 1884 წ., გვ. 188).

64. მაშ, რა ეუწოდოთ ქრისტეს მეორედ ჯვარზე გამკერვლთ, თუკი პირველი ჯვარმცემელი ქრისტესი იყო გამყიდველი თუდა, მეორე ჯვარმცემელი — გამყიდველი ქრისტეს კანონებისა — იქნება მეორე თუდა.

წუ გგონათ, ერეტიკული ყოფისთვის დიდი მიწინაშეობა საჭირო. კანონი ბრძანებს: „მცირედაც რომ გადაინარო მართლმადიდებლობისაგან, ერეტიკოსი ხარ“ (კოპტრებნიკი“ იოზაფისა, თავი 21, გვ. 323).

65. ანლა კი, ამ შესავალი სიტყვის შემდეგ იმის საჩვენებლად მცირედ გადაინარენ

ისინი მართლმადიდებლური სწავლებისაგან თუ დიდად, წარმოვიდგენთ საბუთებს. აი, ეს დოკუმენტებიც:

სახელითა იესუ ქრისტესითა!

„ისინი გუბუნებოდნენ, რომ უკანასკნელ ჟამს მოვლენ მკრეხელნი, თავიანთი უკეთური გულისთქმისამებრ მაგალნი.

ესენი არიან თავიანთი თავისგანვე განდგომილნი, მშეინეიერნი, სულის არამქონენი“ (იულ., 1, 18-19).

66. გაბნეულ ცხოვართა სწორ გზაზე დასაყენებლად ძველ მართლმადიდებელ ქრისტეანთა მოძღვრებს გაცნობებთ იერარქიის მღვდმარეობას.

67. ათეულ წელზე მეტია, რაც ყველას გასაგონად გაცხადებთ, რომ იერარქიის ხელმძღვანელები თავიანთი ერეტიკული მოქმედებით თანამიმდევრულად არღვევენ ბეგლოპოპოცების მოწამებრივი სისხლით განბანილ ეკლესიას, ჭეშმარიტებას კი ჯერაც ვერ უხეიშია.

68. არქიეპისკოპოს პაულეს წასვლის შემდეგ იერარქიის ტახტი დაიკავა პროტოდიაკონმა გური ანტონოვმა. რა დამსახურებისათვის გახდა იგი პირველობის ღირსი ეპისკოპოსთა შორის, დღემდე გაურკვეველია. მისი მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან პატივყარილი იქნა სოფელ გრიგოლეთის (საქართველოში) ღვთისმშობლის საფარველის ეკლესიის მღვდელი თედორე აკინდინის ძე გონჩაროვი, პერმის ეპისკოპოსი ლეონტი, მღვდელი ნიკანორი, შემდეგ კი გრიგოლეთის სამწყისოს მღვდელი ლეონტი სკაჩკოვი. ამ ფაქტმა მორწმუნეთა აღშფოთება გამოიწვია.

69. იესუ ქრისტეს სახელით ძველმართლმადიდებელ ქრისტეანთა მოძღვრებს გაცნობებთ შემდეგს:

70. ფაქტი: თედორე გონჩაროვი ათ წელი-

წადს მსახურობდა სოფელ გრიგოლეთში (საქართველო) მღვდლად.

71. ლოგია: წმინდა და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის მას შესთავაზეს ეპისკოპოსის ხარისხი.

72. ფაქტი: თ. გონჩაროვმა უარი განაცხადა შემოთავაზებულ პატივზე, რისთვისაც პატივი აჰყარეს.

73. შენიშვნა: ჰქონდა თუ არა მღვდელ გონჩაროვს შემოთავაზებულ პატივზე უარის თქმის უფლება?

აი, რას ბრძანებს კანონი: თუკი ვინმეს არ ნებავს საეპისკოპოსო ქიროტონის მიღება, მას ეს უნდა მიეტყვოს, რამეთუ ამგვარს შეიძლება გააჩნდეს კრძალულობა ქიროტონის მიმართ რომელიმე საპატიო მიზეზით (სამგანმარტებიანი დიდი რჯულის კანონი, კართაგენის 40 კან. განმარტება ბალსამონისა).

74. ლოგია: როგორც ეხებად, მღვდელ გონჩაროვს ჰქონდა შემოთავაზებულ პატივზე უარის თქმის უფლება.

75. ფაქტი: მღვდლის განკვეთის შესახებ სლავეური „კორმჩაია“ ბრძანებს: თუკი ეპისკოპოსი მღვდელს განკვეთს ისე, რომ არავითარ ცოდვაში არ უშხილუვიათ, არამედ მხოლოდ თავისი სინდისითა სჯის, თვითონაც განიკვეთება (134-ე კანონი).

76. კართაგენის მე-40 კანონში, (სამგანმარტებიანი დიდი რჯულისკანონი, კართაგენის 40 კან. განმარტება ბალსამონისა), რომლის მიხედვითაც განკვეთილ იქნა გონჩაროვი, ეწერა: „ასეთებს შეენდოსო“, წაუკითხეს კი — „ამგვართ არ შეენდოთ“.

77. დასკვნა: მღვდლის უკანონოდ განკვეთის საკუთარ თავსვე განკვეთს. არ არსებობს კანონი, რომელიც აიძულებს მღვდელს ეპისკოპოსობას; რაც შეეხება დიაკონსა და იპოდიაკონს, ისინი დიანაც ისჯებიან უარის თქმისათვის. კართაგენის 40 კან.

78. გონჩაროვის გადაყენების შემდეგ მის ადგილას დაინიშნა სხვა მღვდელი. როგორც ჩანს, გამოუვალი მდგომარეობის გამო, გონჩაროვი დათანხმდა ძველმართლმადიდებ-

ლური იერარქიის წინადადებას, ქალაქ ლგოვში განეწყობინათ მოძღვრად.

79. ხელშეკრულების საფუძველზე გონჩაროვს ქ. ლგოვში უნდა ეღვაწა 6 თვე, მაგრამ ცხრა თვე ისე გავიდა, დაპირებული ეპისკოპოსობა აღარავის შეუთავაზებია.

80. თავის გამართლებას მტყუანიც ცდილობს და მართალიც, მაგრამ სიმართლე მხოლოდ საქმით წარმოჩინდება.

საქმენი კი ამგვარია:

81. იერარქიასთან მღვდელ გონჩაროვის საქმეზე კამათისას შეიქმნა მრავალი წერილობითი დოკუმენტი.

ყოველი წერილი დათარიღებული და ხელმოწერილია.

თქვენ მღვდელი გონჩაროვი ეპისკოპოსის პატივზე, რა თქმა უნდა, ღირსეული სახელწოდებით და მსახურებისათვის წარადგინეთ. მაგრამ თვითონვე აღნიშნავთ, რომ გონჩაროვი ამგვარი პატივის ღირსი არ იყო:

82. მოსკოვის, ნოვოზიბოკოვისა და სრულიად რუსეთის ძველმართლმადიდებელ ქრისტეანთა არქიეპისკოპოსი გენადი „19“ ივნისი 1984 წ. №274

ბრიანსკის ოლქი, ქ. ნოვოზიბოკოვი, პირველი მაისის 7.

83. უფალო, გაკურთხენ!

სოფელ გრიგოლეთის ძველმორწმუნებს! ჩვენთან არის თქვენი ნაბეჭდი წერილი, რომელსაც არც ხელმოწერა აქვს, არც — თარიღი. მივიღეთ მეორე წერილიც, რომლითაც თქვენთხოვთ წინა წერილის პასუხის დაჩქარებას.

84. დავიწყებ წერილის შინაარსის თანამიმდევრობით გადმოცემას:

უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად ეთელი განემარტო, რომ ყოფილი მღვდელი თედორე გონჩაროვი ეპისკოპოსის ხარისხზე წარდგენილ იქნა არა მისი „პატიოსანი და კეთილსინდისიერი საქმიანობისათვის“, — როგორც წერენ წერილის ავტორები, — არამედ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ იგი დაქ-

რიედა. სხვა მღვდელი, ვისი ქიროტონიზებაც შეიძლებოდა, არ გვყავდა; ეპისკოპოსი კი ძალიან გვეჭირდებოდა.

არქიეპისკოპოსი ბენადი

85. ე.ი. გონჩაროვის ეპისკოპოსის ხარისხზე წარდგინების ერთადერთი საფუძველი გამხდარა მისი დაქვრივება. ასეთი განცხადებისათვის თქვენ დაექვემდებარეთ ღვთის რისხვას, როგორც სამოციქულო სწავლების უარყოფელი:

„...ეპისკოპოსი უბიწო უნდა იყოს, როგორც მსე ღმერთისა; არა თავხედი, არა გულმწყრადი, არა მემთვრალე, არა შფოთისთავი, არა ანგარი,

86. არამედ სტუმართმოყვარე, სიკეთისმოყვარე, თავდაჭერილი, მართლის მოსაყი, მტკიცე.

სარწმუნო სიტყვის მიმდევარი მოძღვრებისამებრ, რათა ჯანსაღი მოძღვრებით შეეძლოს შეგონება და ურჩოა მსილება“ (ტიტ, 1,7-9).

87. თქვენ კი ღვთის ტაძრის აღმშენებელი აირჩიეთ ზემოთ ჩამოთვლილ ღირსებათა უგულებელყოფით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იერარქიის უპასუხისმგებლობას. ყალბი დაპირებებით მღვდელი გონჩაროვი ჩამოაცილეთ გრიგოლეთის მრევლს, შემდეგ კი წარმოაჩინეთ თქვენნი ნამდვილი სახე: ქ. ლგოვში მამა თედორემ უარი განაცხადა გადაეხადა პანაშვიდი განსვენებული ივანესთვის, რომელიც გაპარსული იყო და ამავე დროს პარტოელი; განსვენებულის ნათესაების საჩივრებს ნოვოზიბკოვიდან უპასუხეს, რომ მიცვალებულის სახელზე პანაშვიდი გადაიხადეს, ხოლო მამა თედორე ზემოთ ნახსენები საქციელისათვის დასაჯეს. ნუთუ ამ საქციელით იერარქიას არ უარუყვია ქრისტეს საჩივრებისეული მცნება, რომელიც ამბობს: „ნუ მისცემთ სიწმინდეს ძალლებს;

ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით ღორებს“ (მათ., 7, 6).

88. ნუთუ სწორად მიგანჩიათ: გადაუხადოთ პანაშვიდი წვერგაპარსულს და ამავე დროს კობუნისტს? წვერულაშინი მამაკაცი ხომ ცოცხალი ხატია ღვთისა, ამ სახიერების უარყოფელი მამაკაცი კი ქალს ემსგავსება. მისი გაპარსული, ქალსიმისგავსებული სახე სპობს მასში ხატებას ღვთისას.

89. იოანე ოქროპირი ამის შესახებ ბრძანებს: ეს არის საეკლესიო ომი, მოწამებრივი სისხლიც კი ვერ აღმოფხვრის ამ ცოდვას, რამეთუ სისამაგლეა ამგვარი უკანონო მოქმედება — წვერის პარსვა.

წმინდა მღვდელმთავარი ისიდორე კი ამბობს: წვერ-ულაშის შემკვეცილნი წყურულ არიან ამა და მერმინდელ საუკუნეში.

90. გაიხსენეთ კანონები, რომელთა მიხედვითაც წვერგაპარსულნი ჯვართან არ დაიშვებიან, ხოლო ნოვოზიბკოვში, მოსკოვსა და სხვა სამწყსოებში ამ წესებს დღემდე უგულებელყოფენ; რა შეიძლება ეწოდოს ამგვარ თვითნებობას თუ არა ერესი?

91. აი, რას ამბობდით თქვენ 1988 წელს, რუსეთის გაქრისტიანების მე-1000 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ კრებაზე: „ჩემი აზრით, ძველმართლმადიდებლები, რომლებიც წვერს იპარსავენ, საეჭვოა ამას კათოლიკური მსოფლმხედველობის გამო აკეთებდნენ — რომ წვერის პარსვა არ შეიძლება ცოდვად ჩაითვალოს, და იგი ღვთისათვის სათნო საქციელია; ასეთნი სალოცავად ძველმორწმუნეთა ეკლესიაში არ მოვლენ.

92. თქვენ კი, ღვთისმოყვარე მამებო! შთააგონეთ თქვენს სამწყსოს, ნუ განდევნიან ტაძრებიდან წვერგაპარსულებს. პირიქით, თქვენც და თქვენს სამწყსოს განარებდეთ ყოველი გაპარსული, რომელიც შემოაბიჯებს წმინდა ტაძარში; გაიზარეთ სიხარული ზეცური, რამეთუ ერთი ცოდვილის მონანიება უფრო სასიხარულია, ვიდრე 99 მართლის ყოფნა, როლებიც მონანიებას არ საჭიროებენ.

93. ტადარი ხომ ცოდვისაგან წარმოქმნილ სულიერ წყლულთა სამკურნალო ადგილია, და როგორ სჭირდება ტადართან ყოველ მიმსულელს, თუნდაც წვერიანს, საკუთარ თავში ფარისებულური სულის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლა. ერთი სიტყვით, სიყვარულით დამოძღვრეთ თქვენი სამწყსო, რათა განემტკიცონ ისინი ძველმორწმუნეობრივ კეთილსინდისიერებაში. ნუ დაუეშვებთ, რომ თქვენს ტაძრებში ახალმოხულთა დამრიგებლებად, რომლებიც წვერის პარსეის ცოდვას არიან დაქვემდებარებულნი, მოგვევლინონ უფლების არმქონე პირნი, რომლებიც თავიანთი უგუნური თავგამოდებით მხოლოდ სულიერი საქმისათვის საზიანოდ მოქმედებენ.

94. ტაძრებში, სადაც ტრადიციად დამკვიდრდა ქრისტესთან წვერის გამპარსველ ცოდვილთა არმიშვება, მოძღვრებს ევალებათ შთააგონონ ამგვართ, რათა თავმდაბლობითა და გულშემუსვრით დამორჩილდნენ მათთვის დაწესებულ ზღვარს ღვთისმსახურებისას. ეს პირები მოძღვართა ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ, რათა მოძებნონ ყოველ მათგანთან მიდგომის გზები და შეაგონონ ცოდვისმიერი ცხოვრების გზის დატყევა“.

95. ამ ლოგიკით შესაძლოა თვით ნათლობის წესის უგულვებელყოფაც; შეგებლოთ, განგეცხადებინათ: ვიცით, რომ მოსანათლი წყალში უნდა შთავფლათ, მაგრამ, ვითარებათა გამო, ვარღვეეთ ამ წესსო. განა მართლნი იქნებოდით?

96. ნუთუ არ ესმის ამ წერილის დამწერს, რომ წვერგაპარსულს, ტადარის ზღურბლს რომ გადაბიჯებს, ღვთის სახლში ერესი შეაქვს. შეუძლებელია კანონის დამცველს ფარისებული ეუწოდოთ. არავინ ღვინის წვერგაპარსულთ, მაგრამ ისეც არავინ ანებიერებს, რომ ტადარში შეუშვას, კურთხევა გასცეს და ჯვარზე აამბორებიოსო. თქვენი ამგვარი ქმედებით უარყოფილია წმიდა მამათა მოთხოვნები. ისევ და ისევ იტყვიეთ: „ჩემი ამგვარი აზრით, ძველმორწმუნეთაგან წვერის გამპარსველნო“ და ა.შ...

97. თქვენი აზრი კია ამგვარი, მაგრამ, აი რას ბრძანებენ წმიდა მამები ამ საკითხზე: „მათე (იფულისხმება მათე ვლასტარი) მე-9 თავის შესამე მუხლში უკრძალავს მართალთ გალამაზებას, ან წვერის გაპარსვას, ამ კანონის დამრღვევთათვის ეკლესიიდან განკვეთას ბრძანებს. ეს კანონი მას ტროლის მექესე მსოფლიო კრების 96-ე კანონიდან მოაქვს“ („ნომოკანონი“, კანონი 174-ე, გვ. 502).

98. წვერგაპარსული მამაკაცის მაკურთხებელი ერესს აკურთხებს, რამეთუ წვერის პარსვა არა მარტო ცოდვად ითვლება, არამედ ერესდაც. ამის შესახებ მოსკოვის პატრიარქი ფილარეტე წერს:

„მწველი ღვთივებობილ მემრუშე სახიერების მოყვარე, სულწასაწყმედელ დამაბნელებელ ერესს – იგივე წვერის პარსვას, სასიკეთო ღვთიებობებულო სახიერების დამლუქველს, რამეთუ საკეთილოდ დაამშვენა ღმერთმა კაცო ხატად და მსგავსად თვისად, ამგვართაგან ეკლესიიდან იქნან განყენებულნი და აკრძალულნი, და ყოველი წმიდისაგან განშორებულნი“.

99. თქვენ კი?

თბილისში სამი მოწმის: მღვდლის ელადიმერ ტაჩოვის, ლეონტი სკაჩკოვისა და ლეონტი ევსევის თანდასწრებით კურთხევა წვერგაპარსულ იოანეს გაეცით.

ხოლო ქ. ფოთში, როცა იგივე იოანემ ტროფიმ რასსოლოვის სახლში კურთხევა ითხოვა, თქვენ ჩემად უთხარით: „ნუ მომიახლოვდები, ხალხი გეიყურებს“-ო.

რას ნიშნავს ყოველივე ეს?! ხალხისა გეშინითა და ღვთისა არა?! ნუთუ ამგვარია სახე ძველმართლმადიდებელთა ღვთისმშობნი არქიეპისკოპოსისა?

100. აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი ზემოხსენებული საოუბილო გამოსვლიდან:

„...ვიდრე წვერის პარსვის შესახებ კრების დადგენილებას გამოვიტანდეთ, აუცილებე-

გაზეთი „აღმდევინ ღმერთი“

ლია მოპლერებმა თავიანთ მრევლს ასწავლონ ცოდვისა და ერესის ურთიერთისაგან გარჩევა. წვერის პარსვა ცოდვაა, თუკი ადამიანი იპარსავს არა იმიტომ, რომ წვერი საჭიროდ არ მიიჩნია, არამედ იმიტომ, რომ ერიდება გარშემო მყოფი საზოგადოებისაგან გაიცივნება-დაცივნებას. რაც შეეხება ერეტიკოსებს, ისინი, მაგ., კათოლიკეები, აცხადებენ, რომ წვერის პარსვა ცოდვა არ არის და, გარდა ამისა, მათი მღვდლები გაპარსულნი უნდა იყვნენ, რათა მიემსგავსონ ანგელოზებს, რომლებიც ადამიანებს უწვევრულვაშო ჭაბუკთა გარეგნობით ეცხადებოდნენ“.

101. ყოველი კანონსგანდგომილი მოქმედება განიხილება, როგორც ცოდვა. არსებობს ცოდვა ერეტიკული და არაერეტიკული მნიშვნელობის. ერესი სხვა არაფერია თუ არა კანონის დარღვევა. მაშ, როგორ გავიგოთ, კანონის დარღვევა ცოდვად არ ითვლება?! როცა იოანე ოქროპირი წვერის პარსვას წარმოგიდგენს როგორც საეკლესიო ომს, მას ცოდვის სიმძიმის კრიტიკიუმებით განიხილავს. ხოლო, როცა პატრიარქი ფილარეტი მსკელობს წვერის გაპარსვის შესახებ, იგი მას ერესის კრიტიკიუმებით უდგება.

102. არქიპისკოპოსის ტახტზე თქვენს ასვლამდე მღვდელი გონჩაროვი 10 წელიწადს მსახურობდა საქართველოში, სოფელ გრიგოლეთში, ლეთისმშობლის საფარველის ტაძარში და ეკლესიაც იყო ერთიანი, მაგრამ, როგორც კი თქვენ გამოჩნდით, თქვენი გუშემნისტური სითამამითა და მთავრობისადმი სათანადო მიდრეკილებით, დაიწყო რღვევა ძველმორწმუნეთა ერთიანი ეკლესიისა. სოფელ გრიგოლეთში ეკლესია იგი ნაწილად გაიყო და დღევანდლამდე არსებობს დიდი უთანხმოება როგორც მღვდელმსახურთა შორის, ასევე მრევლშიაც.

103. თქვენ მოინდომეთ, სამღვდლო პატივი აგვეართ პერმის ეპისკოპოსისა და მღვდლე-

ბისათვის, რამდენადაც მათ, მოსკოვის ეპისკოპოს ფლაბიანესთან ერთად, გამხილეს ერეტიკულ ქმედებებში, იგივე მიზეზით ჩამოცილდათ კურსკის მღვდელი ტრიფილი.

104. თქვენ გამარჯვებულის პოზიციიდან აცხადებთ, რომ საეკლესიო კრების მიერ პატივყრილი მღვდელი არ შეიძლება აღმდევინილ იქნეს უწინდელ ჩინში, მაგრამ როცა ასეთი გადაწყვეტილება უსამართლოა, ბუნებრივია, ღმერთი მას მხარს არ დაუჭერს, რამეთუ სიცრუე ბღალავს ჭეშმარიტებას:

„რამეთუ უკანონო აკრძალვა ღვთის მიერ არ იკრება“ (ნიკონ შავთმული, სიტყვა 40, ფურც. 305).

105. „და თუკი უწმინდურს უპყროათ ადგილი... განერიდეთ მათ თავიანთი ბისუიერების გამო“ (პეტრე და პავლე, კანონი მე-10).

სწორედ ამ მიზეზით განგიდგათ გონჩაროვი და აღმართა ცალკე საკურთხეველი; კიდევ უფრო ადრე განგიდგათ მღვდელი სემიონიხინი თავის სამწყსოსთან ერთად და გადავიდა ბელოკრინიცელებთან. თქვენ, ალბათ, იცნობთ მილოვიდოვის წიგნს, სადაც ნაჩვენებია დღევანდელი იერარქის ერეტიკული სახე.

106. თქვენ განხეთქილების შეტანა სცადეთ პერმის ეპარქიაშიც. ჩვენი იერარქის დაშლის მიზეზი ისაა, რომ ყურად არ იღეთ მითითებანი ერეტიკულ დარღვევებთან დაკავშირებით არც მოსკოვის ეპისკოპოს ფლაბიანესაგან, არც პერმის ეპისკოპოს ლეონტისაგან, არც მღვდელ ნიკანორისაგან, არც კურსკის მღვდელ ტრიფილისაგან და არც თბილისის, ფოთის, პერმისა და კურსკის სამწყსოთაგან. თავად დაბნეულნი სხვებსაც აბნევთ, ამიტომ მეტი დაფიქრება გმართებთ, ვიდრე ასეთ თამამ დანცხადებებს გააკეთებდეთ.

107. როგორც ჩანს, ადვილად დაუფრით ხოლმე მარგალიტებს ღორებს, თუმცა იცით, რომ ისინი თავიანთი ბინძური ფეხებით გათელავენ. გრცხვენოდეთ, რამეთუ მართალთ ფარისევლებს უწოდებთ. თქვენი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისათვის მხოლოდ

ჩვენ როდი გთვლით ერეტიკოსებად. პატივი მიაგეთ და ქედი მოიდრიკეთ კანონისა და წმიდა მამათა წინაშე, რომლებმაც დღემდე შეურყეველად შემოგვინახეს ეს კანონები.

108. ჩვენ გვესმის, რომ იერარქიის ხელმძღვანელები, რომლებიც ძმური კავშირით არიან შეკრულნი კათოლიკეებთან, ბაპტისტებთან, მონოფიზიტებთან, ნიკონიანელ ერეტიკოსებთან, სხვა კანონთა ხელყოფასაც არ ითაკილებენ.

ბეგლოპოპოვების დღევანდელი იერარქიის ერეტიკული სახე კარგად ჩანს რუსული საეკლესიო კრების შემდეგი დოკუმენტებიდან:

„როსოზიბაოვის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის აკამილაროლადიადიბაქალთაარძაპისაოროსი

მისი ყოვლადუსაინაფალორისოაკ ბენადი

უფალო, გუკურთხენ!

ძველმართლმადიდებელთა კრების მონაწილეებს

109. ძველმართლმადიდებლური ეკლესიის ღვთისმოყვარე მწყემსმთავრებს, მოძღვრებსა და დიაკვნებს.

ვიმყოფები რა ახლახან ჩატარებული წმიდა კრების შთაბეჭდილებათა გავლენის ქვეშ, როგორც მეთაური ძველმართლმადიდებელთა ეკლესიისა, აუცილებლად ვთვლი, მივცე შეფასება ჩენი შიდაეკლესიური ცხოვრების ამ მნიშვნელოვან მოვლენას.

110. მიმაჩნია, რომ კრებამ ორგანიზებულად და საექმიანად ჩაიარა, როგორც წინასწარვე იყო ჩაფიქრებული. კრება ხომ რუსეთის გაქრისტიანების წლისთავს მიეძღვნა. ამ სამი დღის განმავლობაში კრების მონაწილეებმა მრავალი ისეთი რამ გაიგეს, რაც აუცილებელია მომდევართა საქმიანობისათვის.“

111. განა ჩვენ არ გკიცხავდით იერარქიის კრების ხუთ წელიწადში ერთხელ გამართვის გამო, როცა კანონი წელიწადში კრების ერთხელ ჩატარებას მოითხოვს?

112. ვისთვის ადგენდნენ წმიდა მამები ამ კანონებს თუ არა ჩვენთვის. არის თუ არა ეს

ფაქტი კანონის დარღვევა? თქვენ გაუგებრობა შეგაქვთ წვერის საკითხშიც. მე-1000 წლისთვის საიუბილეო კრებაზე თქვენ გააკეთეთ შემდეგი განცხადება:

113. „მიმაჩნია, რომ კრების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენდა მსჯავრის დადება პერმის განმდგარებისკოპოს ლეონტიზე, მღვდლებზე ნიკანორ კრემჩტოვსა და ლეონტი სკაჩკოვზე, დაგვიმლი გვექონდა გამოსვლა პროტოერეის ვლადიმირ ტაჩოვისა, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. იგი, პირადად ჩემი კურთხევით, მხოლოდ წელს მიძინებისა და ღვთისმშობლის საფარველის დღესასწაულებზე ორჯერ იმყოფებოდა სოფელ გრიგოლეთში ღვთისმსახურების ჩასატარებლად და, ამდენად, კარგად მოგებხენებათ ყოფილი მღვდლის ლეონტი სკაჩკოვის უღირს საქციელთა შესახებ. კრებაზე გამოსასვლელად ჩამოვიდა გრიგოლეთის სამწყსოს ოთხი წვერი, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ ეამხნათ თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანა ლეონტი სკაჩკოვა მათი ეკლესია, მაგრამ დროის უქონლობის გამო ეს გამოსულა ვერ მოხერხდა, არადა, ვლადიმირ ტაჩოვისა და მათი გამოსვლა კრების წევრებს სრულ ობიექტურ წარმოდგენას შეუქმნიდა გრიგოლეთის მრევლში შექმნილ სიტუაციაზე“.

114. პერმისა და მოსკოვის ეპისკოპოსებმა იერარქიის წინაშე დააყენეს სეფისკვერის ზიარებისთვის გამოსაყენებელი ღვინისა და ულვამის მობანვის საკითხები.

ამის შესახებ იმავე გამოსვლაში ნათქვამია:

„სეფისკვერის მომზადების საკითხთან დაკავშირებით მინდა განვაცხადო, რომ შეუძლებელია ყველა მღვდელმსახურს დაევალოთ აუცილებლად მჟავე ცომის გამოყენება და არა საფუარისა. მაგალითისათვის: ჩვენთან, ნოვოზიბოკოვში სეფისკვერს მჟავე ცო-

გაზეთი „აღდგენის ღმერთი“

მისაგან გამზადდებთ, ჩვენი მესეფისკვერე — ინიკინია პილინარია შესანიშნავად ახერხებს ამ წესით სეფისკვერის მოზადებას. მაგრამ მღვდელმსახურთ კარგად მოეხსენებათ თუ რა ძნელია მესეფისკვერის პოვნა და, ამას გარდა, ყველა მათგანმა როდი იცის სეფისკვერის მთავე ცომით მოზადება. ამიტომ კრებამ თუნდაც რომ გამოიტანოს ამგვარი დადგენილება, იგი მაინც ვერ შესრულდება.

115. ვინც ამტკიცებს, რომ სეფისკვერი აუცილებლად სამი კომპონენტის — ფქვილის, მარილისა და წყლისაგან უნდა დამზადდეს, მათ გასაგონად მინდა განვაცხადო, არ შეიძლება ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით გავიგოთ. თუკი მხოლოდ ამ სამ კომპონენტს გამოვიყენებთ, გამოვა არა ძველმართლმადიდებელთა სეფისკვერი, არამედ კათოლიკეთა მაცა, რომელსაც წმიდა მამები სასტიკად კრძალავენ ჩვენს ეკლესიაში. სეფისკვერი საფუარისანი ცომისაგან უნდა მზადდებოდეს, მაგრამ თუ რას გამოვიყენებთ საფურად, თვითონ საფურს თუ მთავე ცომს, მნიშვნელობა არა აქვს.

116. აქვე აუცილებელია ვიცოდეთ, რომ მთავე ცომი არ არის მხოლოდ ფქვილი, არამედ ეს ცომი შეიცავს უამრავი სახის მიკროორგანიზმებს — ბაქტერიებს. ასე რომ, სეფისკვერი მთავე ცომის საფუარითაც რომ მოვაშალოთ, მაინც ვერ ავიცილებთ თავიდან მასში აფუების გამომწვევი უცხო მიკროორგანიზმების არსებობას“...

117. იქვე კვითხულობთ:

„ამიტომ გაუგებარია, რატომ უნდა ვთავილობდეთ საფურად სოკოვან მიკროორგანიზმებს, თუკი მათ სეფისკვერში უცხო სხეულებად ჩავთვლით? გვეჩვენა კი იმის გარანტია, რომ სეფისკვერის ფქვილით, მარილითა და წყლით მოზადებისას მასში ამგვარი მინარევები არ მოხვდება. ცნობილია, რომ ქა-

ლაქებში სახელი წყლის დეზინფექცირებისათვის გამოიყენება ქლორი. ამასთან, ნებისმიერი წყალი შეიცავს სხვადასხვა მინერალურ მარილს, ასეთი წყლით სეფისკვერის მოზადებისა და ზიარებისათვის გამოყენებისას ჩვეთვალთ შემონახვების მინარევები უცხო სხეულებად. შეიძლება სუფრის მარილიც შეიცავდეს მინარევებს, მაგალითისათვის, იოდიზირებული მარილი, ასევე ფქვილიც. თუნდაც მივადწიოთ მინარევების სავესებით თავიდან არიდებას, გვეჩვენა კი იმისი გარანტია, რომ ხორბლის ფქვილი არ შეიცავს, ვთქვათ, ჭვავის ან ქერის მინარევებს (ხომ შეიძლება რომელიმე მათგანი ხორბალთან ერთად ხარობდეს);

118. მაგრამ ეს კიდევ არაფერი; არსებობს იმის საწინააღმდეგო აზრი, რომ ამ შემთხვევაში ღმერთი გვაპატიობს. გარდა ამისა, ყველა ჩვენთანავე კარგად იცის, რომ სელექციონერებმა სადღესიოდ გამოიყვანეს ხორბლის ახალი ჯიშები, რომლებსაც ცოტა რამ თუ აქვთ საერთო ხორბლის თავდაპირველ ღვთის მიერ გაჩენილ სახეობებთან. მისი თავდაპირველი სახეობები კი შემონახულია ძალზე მცირე მასშტაბებში და არ ხდება მათი მასობრივი მოხმარება. ხორბლის ახალი სახეობები, თავდაპირველ სახეობებთან შედარებით (რომლებზეც „დიდ კატეხიზისშია“ ლაპარაკი), შეიძლება ითქვას, თვისებრივად ახალ ნიუთიერებას წარმოადგენენ. ამასთანავე, ხორბლის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის სასუქი. ამის შემდეგ განა გვაქვს იმის გარანტია, რომ რელიგიური საჭიროებისათვის გამოყენებული ფქვილი თავისი თვისებებითა და შედგენილობით ზუსტად ისეთი იქნება, როგორც უნდა იყოს?

119. ამ ლოგიკით ელექტრონი, რომელსაც ტაძრის გასაანთებლად ვიყენებთ, უნდა განიდევნოს ეკლესიიდან, როგორც ადამიანის მიერ შექმნილი და ხელოვნური. მაშ, რაღა ვთქვათ ხორბლის ფქვილზე, რომლითაც მზადდება სეფისკვერი და ხდება ზიარება.

თანამედროვე ხორბალიც ხომ ერთგვარი ხელოვნური მარცვალია ადამიანის მიერ თავისებურად გადაკეთებული“...

120. იქვე:

„ზიარებისათვის საჭირო ღვინის შესახებ „დიდ კატეზიზმში“ წერია, რომ ღვინო უნდა იყოს სრულყოფილი და ბუნებრივი სიტკობების მქონე. თუ დამარდება, იგი ვეღარ იქნება სუფთა ღვინო, არამედ დაბინძურდება უამრავი უცხო მიკროორგანიზმისაგან, ამიტომ გამოყენებული უნდა იყოს ისეთი ღვინო, რომლის დამარება გამორიცხულია. დამარების პროცესი თეთი მაცივარში ჩადგმისას არ წყდება, არამედ, დაბალი ტემპერატურის გამო, ბაქტერიების ცხოველმყოფელების პროცესი ნელდება. იმ მღვდელმსახურებს, რომლებიც ზიარებისათვის საჭირო ღვინოს ბზარზე ნაყიდი ყურძნისაგან ამზადებენ, მინდა შევასენო, რომ ჩემგან აწ უკვე ნახსენებმა სელექციონერებმა (სპეციალისტები, რომლებსაც გამოჰყავთ ახალი ჯიშის მცენარეები და ცხოველები) ყურძნის მრავალი ახალი სახეობა გამოიყვანეს.

121. რომელმა ჩვენგანმა იცის, ყურძენი, რომლითაც საზიარებელ ღვინოს ვამზადებთ, ნატურალურია (ღვთისაგან შექმნილი) თუ ხელოვნური. აგრეთვე ცნობილია, რომ მცენარეები მიწიდან ითვისებენ უამრავი სახის ნიტრატებს. გვიპასუხეთ: ეს მინერალები, რომლებიც შემდეგ ღვინოში ხვდება, ჩავთვალოთ უცხო სხეულებად თუ არა?...”

122. იქვე:

„მღვდელმსახურნი კანდელისათვის საუკეთესო ნივთიერებად თვლიან მზესუმზირის ზეთს. პარფიუმერიული ზეთი კი ხელოვნური პროდუქტია. ყოველივე ამას ვამბობ, რათა სიცხადე შეიტანო შემდეგ საკითხში. აი, პარფიუმერიული ზეთი ასეულობით სხვა ნივთიერებასთან ერთად შედის ნავთობპროდუქტების შემადგენლობაში. თუკი ნავთობი ღვთის ქმნილებაა, იგივედ უნდა ჩაითვალოს პარფიუმერიული ზეთიც. იგი არ შეიძლება ხელოვნურ ნივთიერებად ჩაითვალოს, რად-

გან ადამიანი მხოლოდ მის გამოცალკეებას ახდენს ნავთობის შემადგენლობიდან. თუ გაითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ადამიანმა გამოიყვანა მზესუმზირის მრავალი ახალი სახეობა, მზესუმზირის ზეთი უფრო შეიძლება ჩავთვალოთ ხელოვნურ პროდუქტად, ვიდრე პარფიუმერიული ზეთი.

123. თუ პერმის ეპისკოპოს ლეონტის მოთხოვნის მიხედვით ვიმსჯელებთ, არავითარი საერთო არ შეიძლება გვექნდეს უცხო რჯულის მატარებლებთან. მაშინ არ შეიძლება მზესუმზირის ზეთის გამოყენებაც, რადგან მზესუმზირა რუსეთში კათოლიკეებისაგან შემოვიდა (ამ უკანასკნელთა ხელში კი მოხვდა ამერიკის კონტინენტიდან მას შემდეგ, რაც იგი კოლუმბმა აღმოაჩინა).

124. ნოვოზიბოგოვის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში კანდელისათვის ზეთის ზეთს ვიყენებთ, რომელიც ზეთისუნის ხისაგან მიიღება. ზეთისუნის ხმელთაშუაზღვისპირეთში ხარობს და, ბუნებრივია, მას კათოლიკეები ღებულობენ. საინტერესოა, ერესად ხომ არ ჩავთვლიან კანდელისათვის კათოლიკეთაგან მიწვეული ზეთის ხმარებას?

125. მე მოვიყვანე საკმარისი მაგალითები იმის დასასაბუთებლად, რომ, რაც უნდა დიდი სურვილი გვექნდეს, შეუძლებელია დავამზადოთ იდეალურად სუფთა სეფისკვერი და ღვინო, რომელთაც არ ექნება არავითარი მინარეგები. მაშ, რაღა დავგრჩენია? ხომ არ მიგვეტოვებოდა ლიტურგიის აღსრულება და ზიარების მიღება, როგორც იქცოდნენ ბუნაპოკოვები მოქცეამდე. ასე არაფერი გამოვა! მთელი წმიდა წერილი ამტკიცებს, რომ წმიდა საიდუმლონი ქვეყნის აღსასრულამდე იარსებებენ. ტყუილად ნუ ვცდებით თითიდან გამოწოვილი აზრებით რაიმე ლაკა აქოლოგიისთვის ქრისტეს გკლესის წმიდა სხეულზე“...

იქვე:

გაზეთი „აღდგენის ღმერთი“

126. „არსად წმიდა წერილში არ არის მოცემული ღვინისა და პურის მომზადების რეცეპტები. პირიქით, უფალმა მღვდელმსახურებს მოუწოდა არ ყოფილიყვნენ ღვინის დამყენებლები და პურის მცხობლები, არამედ, ღვთის ძალის შემწეობით, ღვინო ექციათ ქრისტეს სისხლად, ხოლო პური – მის წმიდა სხეულად. ჩვენ არ ვიცით, რა ძალით შექმნა ღმერთმა ესოდენ გასაოცარი სამყარო არარაობისაგან. გალილეის კანაში ქორწილზე უფალმა აჩვენა წყლის ღვინოდ გარდაქმნის ძალმოსილება. გარდა ამისა, მიწიერი ცხოვრების უამს ახდენდა მრავალ სასწაულს: კურნავდა სხეულთ, აღადგენდა მკვდარო და სხვა. ყოველივე ამის შემდეგ ვინ ამტკიცებს, რომ ღმერთს არ შეუძლია ღვინო და პური აქციოს მის წმიდა სისხლად და ხორცად, თუნდაც სეფისკვერი და ღვინო არ იყოს თავისუფალი სხვადასხვა მინარევისაგან. საოცარია ძალა ღვთისა, სასწაულმოქმედი, იგი ქმნის ყოველივე სიწმინდესა და სიახლეს; მისი ძალით ადამიანის მახინჯი სულიც უბრუნდება პირველქმნილ სიწმინდესა და მშვენიერებას.

127. ნუ დავემსგავსებით ფარისევლთ, გარედან რომ ასუფთავებენ ფიალას, რომელიც შიგნით საესე იყო ყოველგვარი უწმინდურებითა და საზიზღრობებით. რელიგიის მხოლოდ გარეგანი წესების შემსრულებელმა ფარისევლებმა ჯვარს აცვეს მაცხოვარი. ჩვენი დროის ფარისევლნი ჯვარს აცვამენ ღვთიურ საქმეს, რის გამოც ვერ ასცდებიან ღვთის რისხვას“.

128. იყო დრო, როცა აწ თქვენგან უარყოფილი პერმელი მწყემსმთავრებითა და მოძღვრებით ამაყობდით და მიგაჩნდათ ქრისტეანული ცხოვრების წესის მაგალითად; მაშ, დღეს რადა დააშავეს მათ? მხოლოდ ის, რომ წარმოაჩინეს თქვენი არამართლმადიდებლური საქმიანობა, რაც ერეტიკოსებთან

ურთიერთობასა და ღვთიურ კანონთა გაუქმებაში გამოინატება. იმ გრივლულთაგან, რომლებიც თქვენს დასაცავად ჩამობრძანებულან, საღვთო ჩინისთვის ამოგიჩვენათ ტროფიმ რასსოლოვი; მას ჩვენი ლანძღვის მგტი თითქმის არაფერი გაუკეთებია. დაფიქრდით, იქნებ სწორედ ამისთვის დასაჯა ღმერთმა იგი (დაიღუპა ავტოკატასტროფაში თავისივე ეკლესიის წინ).

129. მალე ქვეყნის აღსასრულიც დადგება. ქრისტეანობის ისტორია 2000 წელს ითვლის, სტაროვერებს კი ჯერჯერობით ვერ გაურკვევიათ წვერის მოპარსვა ერესია თუ ცოდვა. განა ღმერთი კითხულობს რაში ეგულისხმობთ ერესს? განა იმით არ გაგვასამართლებს, რაზეც წაგვასწრებს? კანონისაგან თუნდაც იოტისოდენა გადახრა ხომ უკვე ერესია.

130. არქიეპისკოპოსი გენადი, პროტოპრესვიტერი ათანასე და მღვდელი ტკაროვი წმიდა მამების კანონთა გვერდის აკლით თვითნებურად გვექცვიან. ვინ აშავებს ღვთის წინაშე: კანონის აღმსრულებელი თუ მისი დამრღვევი? ვის შეუძლია ეწოდოს ფარისეველი: კანონის აღმსრულებელსა თუ მის დამრღვევს?

131. წმიდა მამები გვასწავლიან, რომ სეფისკვერი უნდა მომზადდეს დახაშებული ცომით; ჩვენ კი საფუარს გვთავაზობენ, რითაც გვარღვევინებენ სეფისკვერის დამზადების წესს. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა მღვდელმსახურთა მხრიდან უპასუხისმგებლობისა და წმიდა მამათა კანონების უპატივცემლობისა.

132. ვხვდავთ, რომ იერარქიის ხელმძღვანელები „ბიოქიმიკოსებად“ მოგვევლინენ, და გამოწველივით ანდენენ წმიდა მამათა კანონების „გადამოწმებას“. უარყოფილია სეფისკვერის შემადგენელი ის სამი ძირითადი კომპონენტი, იმის გამო, რომ მასში, თურმე, გვხვდება უამრავი მიკრობი, რაც მას მრავალკომპონენტთანად აქცევს, ეს თავის დროზე ვერ გაუთვალისწინებიათ წმინდა მამებს &

ამიტომაც გულდაგულ შედგომიან მათი „შეცდომების“ გასწორებას.

133. რაც შეეხება კანდელში გამო-საყენებლ ზეთს, კომუნისტების გარდა, არავის არასოდეს აზრად არ მოსულია მზესუმზირის ზეთის გაზეღინით შეცვლა. მხოლოდ მათ ხელში ხდებოდა ამგვარი რამ. ან რაა გასაკვირი, განა კომუნისტები ყველაფერს არ აკეთებდნენ ტაძრების შესაბაღლავად?

134. დღევანდელი მღვდელმსახურნი გვასწავლიან, რომ „კანდელისთვის ნეთობ-პროდუქტების გამოყენებაც შეიძლება“. მაშ, რატომ საკუთარი კერძების მომზადებისას არ ხმარობენ ამ ნეთობპროდუქტებს ცხიმის ნაცვლად.

135. ჩვენი ვიციტ ღეთის დიდსულოვნე-ბა, მას შეუძლია გვაპატიოს ეს საზიზღრო-ბაც, მაგრამ არქიეპისკოპოს გენადისა და მისთანებს გვინდა კითხნოთ: რა შეიძლება დაერქვას ამგვარ საქციელს თუ არა უღმერთობა და ღეთის შიშის დაკარგვა. რითი შეიძლება მან თავი იმართლოს ხალხის წინაშე?

136. ჩვენი „ბრძენი“ ღეთისმსახურები ისე მიგითითებენ წმიდა მამათა არაპროს-მჭერტელობაზე. ამბობენ, რომ მათ ვერ გაით-ვალისწინეს ეკოლოგიური მდგომარეობის შეცვლა საუკუნის დასასრულს, რაც გამო-იხატება ზორბლის, ყურძნის, წყლისა და მარილის ხარისხის გაუარესებაში. მათი აზ-რით, თუკი კანონების მიხედვით ვიმსჯელებთ, უარი უნდა გვეთქვა ზიარებასა და სეფისკე-რის დამზადებაზე ზემოთ ჩამოთვლილი იგა-ვების გამო. განა უკეთესი არ იქნებოდა ამის ნაცვლად წმიდა მამათა მიერ მოწოდების მიხედვით გვეცადა: ღვინო ტკბილი გვეშოვა, წყალი — სუფთა და მარილიც წმინდა. თამამობთ? გნებავთ გამოთაყვანით ხალხი? შეიცნოს უფალმა თქვენი სამართალი.

137. დაგაეიწყადთ, რომ ქრისტეა ქვეყნი-ერების პური, ღვინო — სისხლი ქრისტესი. ნუ ერთობით, ცეცხლთან თამაში სახი-ფათოა! როგორ შეიძლება ძველმორწმუნეები

გაზეთი „აღღებინ ღმერთი“

გეწოდოთ, თუკი წმიდა მამათა კანონებს უარყოფთ.

აი ისევე ციტატა:

138. „ღროთა განმავლობაში ეს საშიშ-როება გაიფანტა. პირველად ასეთივე აზრი იყო ფოტოგრაფიაზე. საღღესოდ, ადრინ-დელი ჩვეის მიუხედავად, უკვე სატელევიზიო გადაცემაშიც ვღებულობთ მონაწილეობას, — გვასხენებს პოლიექტი, — ამიტომაც ვფრ-თხილობთ. ზოლო თუკი ხშირად მოხდება ამგვარი სატელევიზიო ჩვენებები, ალბათ შეე-ჩვევით“... (იქვე).

139. „მღვდელმსახურთა ზემოთ მოყვანილ გამოსვლებს ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა დავამატო: 22 ოქტომბერს (შაბათს), საღამოს 11 საათზე, კრების მონაწილენი დიდი ინტერესით მიისწრაფოდნენ საარქი-ეპისკოპოსოს მეორე სართულზე, სადაც უჩვე-ნებდნენ ტელეფილმს ჩვენი და ბულოკინი-ცელთა საზიზღო რიტუალების შესახებ. თვით ეპისკოპოსი გრიგოლიც ავიდა მე-2 სართუ-ლზე. მე შინ ვიყავი და ტელეფილმი არ მინა-ხავს.

140. როცა გავიფიქრებ, რომ თქვენ გიხილავთ ეს ვიდეოჩანაწერები, ვიფიქრებ თუ რაოდენ საინტერესო იქნებოდა ფილმი იმათთვის, ვისაც უშუალოდ უნახავს ეს საზეიმო ცერემონიალი. და რამდენ ძველმორწმუნეს, რომელიც სამშობლოს შორი მანძილითაა დაშორებული, სულის მხსნელ სამსახურს გაუწევს ეს ვიდეოჩანაწერები. ფილმი ძველმართლმადიდებლობის ერთგვარ მქადა-გებლადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ.

კრებაზე დაერწმუნდით, რომ ტელევიზი-ასაც შეუძლია შესარულოს რელიგიისათვის სასარგებლო როლი. ამიტომაც, როცა ტრან-სლირდება რელიგიის დამცველი გადაცემები, ტელევიზიის ყურება ცოფავდა კი არა, სული-სათვის ღიდად სასარგებლოდაც შეიძლება ჩაითვალოს“...

გაზეთი „აღმდგინ ღმერთი“

141. თქვენ იმავე გამოსვლაში ბრძანებთ: „ჩვენი კრებისა და რუსეთის გაქრისტეანების მე-1000 წლისთავთან დაკავშირებული ზეიმის ვიდუოჩანაწერი გამოყენებული იქნება კინოფილმში „ძველმორწმუნეები სსრკ-ში“, რომელიც უცხოეთის, კერძოდ, იტალიის, კანადის, რუმინეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ჩინეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, აშშ-ის, ბრაზილიისა და სხვა ქვეყნების ძველმორწმუნეებს მოუთხრობს სსრკ-ში მცხოვრები ძველმორწმუნეების რელიგიური ცხოვრების შესახებ.

142. ამა წლის ივლისში ანალოგიური ჩანაწერი გაკეთდა იმავე ფილმისათვის ბელოკრინიციელების კრებაზე, რომელიც რუსეთის გაქრისტეანების მე-1000 წლისთავს მიძღვრა (ბელოკრინიციელების ეკლესია, ხოლო მათი არქივისკოპოსი აღიშპია 1988 წლის ივლისში აყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში); ვიდუოჩანაწერი გაკეთდა ძველმორწმუნეთა სხვა მიმდინარეობებშიც.

143. კრებაზე განიხილებოდა საკითხი იმის შესახებ – შეიძლება თუ არა ჩვენი დღესასწაულების ვიდუოჩანაწერზე გადაღება კრების მონაწილეთ კარგად გასოვთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პროტოპრესვიტერმა ათანასე კალინინმა გამოთქვა მთელი რიგი დასაბუთებული მოსაზრებებისა, ხოლო კუბიშვევის ეპისკოპოსმა გრიგორიმ წმიდა მამათა კანონების საფუძველზე დაასახუთა, რომ ვიდუოჩანაწერზე დასაშვებია. ამავე აზრის სასარგებლოდ გამოვიდა მღვდელი ზახარი ბლოხინი. მათ დაეთანხმა ორენბურგის ეპისკოპოსი ირინარი.

144. პროტოპრესვიტერმა ვლადიმერ ტაჩოვმა განაცხადა, რომ თვითონ ვიდუოჩანაწერზე დასაშვებად მიიჩნია, მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, შეიძლება გრიგოლეთის განმდგარ მრევლს კიდევ უფრო დიდ საცდურად ექცეს

ეს ფაქტო, რაზეც პროტოპრესვიტერმა პოლიექტ ვფიმოვმა უპასუხა, რომ მაშინ, როცა წიგნის საბეჭდი მანქანა ახალი გამოგონებული იყო, ქრისტეანებს, რომლებიც ხელნაწერებით სარგებლობდნენ, ნაბეჭდი წიგნების ლოცვებისათვის გამოყენებისა ეშინოდათ“.

145. უკეთესი იქნებოდა, თუკი თქვენს მღვდელმსახურები ნიკონიანური გვლესის წარმომადგენლებს ეტყოდნენ: ოქროს ქორწილს ნუ ზეიმობთ, – განა გაყრილები ზეიმობენ ამ საიუბილეო თარიღს? თქვენ კი მხარი დაუჭირეთ მათ.

146. ფოტოხელოვნებამ გზა გაუხსნა ლუციფერს, რამდენადაც მას შეუძლია სურათზე გამოსახული ადამიანის დაკაბალება.

147. კარგად მოგხსენებათ, თუ როგორი ზემოქმედება მოახდინა ხალხზე ექსტრასენსმა ჩუმაკმა დუმილით რადიოს მეშვეობით. თუკი დუმილით, ადამიანთან უშუალო კონტაქტის გარეშე, შეუძლიათ მასზე ზემოქმედება, რაოდენ უფრო ძლიერი იქნება ზემოქმედების ხარისხი ტელევიზორიდან. ექსტრასენსები ეშმაკის უხილავი ძალებით ზემოქმედებენ დამორჩილებულ ადამიანებზე და მათ აქცევენ ეშმაკის ლოკაციაში; ისინი შემდეგ თვითონვე ხდებიან მედიუმები და მათ ცნობიერებაში ადვილად ფიქსირდება ნებისმიერი ბრძანება. „მედუმი“ ემორჩილება განკარგულებას, როგორც უპილოტო მართავდი ხომალდი; არ არის გასაკვირი, რომ ამგვარ ადამიანთა უმრავლესობა თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, რამდენადაც ეშმაკის ბრძანების შემსრულებელია.

148. სულის გადამრჩენელი მადლმოსილებით მოსავენ უღირსი მწყემსნი ტელერადიოთაშუაშეცდობას და არა კანონთა დაცვას. ნუ აქცევთ ტაძრებს თეატრონებად!

149. ქრისტეს დროსაც ხომ ტაძრები საკაჭრო ქარავანებად იყო ქცეული. ასეთი დამოკიდებულებით სანახაობითი ხელოვნებისადმი ხელს უწყობთ ძველმორწმუნეთა

ოჯახებში ტელევიზიის დაშვებულად. განა ამის შემდეგ შესაძლებელია, ამ ოჯახებში ქრისტიანული ზნეობრიობის შენარჩუნება? თქვენ განაგრძობთ:

150. „ჩემი აზრით, ყველა თქვენგანისათვის საინტერესო იქნება თუ როგორი შეფასება მისცენ ჩვენს კრებას სამოქალაქო ზღვის-სუფლების წარმომადგენლებმა. სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოს წევრმა ან. დოზოროვმა აღნიშნა, რომ ჩვენს კრებას ჩატარდა ძალზე მაღალორგანიზებულად, მუშაობის დღის წესრიგი დატვირთული იყო ეკლესიური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხებით, გაკეთდა საინტერესო მოხსენებები, კრებამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა, ყოველი გამოხსენებლის სიტყვა გამსჭვალული იყო პატრიოტიზმით, კრების მუშაობა ეფუძნებოდა დემოკრატიის პრინციპებს. ყოველ წევრს კრებისა უფლება ჰქონდა გამოხსენებები სიტყვით მაშინ, როცა ამას საჭიროდ ჩათვლიდა“.

151. უღმრთო ზღვისუფლების ქებით ხარობთ, ღვთისმსახურთა მოწოდებას კი ყურს არ უვადებთ. მრევლს საბჭოთა პატრიოტიზმს შთააგონებთ, ღვთიურ კანონებს კი განარიდებთ, მოუწოდებთ დემოკრატიისაკენ, რომელიც სხვას არას გულისხმობს თუ არა რელიგიურ ინტეგრაციას მართლმადიდებლობის საწინააღმდეგოდ, მართლმადიდებლობისათვის თავდადებულთ კი უარყოფთ. მოგიწევთ პასუხისგება ღვთის წინაშე.

152. და ბოლოს ბრძანებთ:

„მე ვამთავრებ ჩატარებული კრების ანალიზს და მინდა ყოველი მოძღვრის ყურადღება გაემახვილო იმაზე, რომ აუცილებელია მოძღვრული საქმიანობის გაძლიერება ქრისტიანთა სულების მარადიული ცხოვრებისათვის მოსამზადებლად; აუცილებელია ყოველი თქვენთაგანი ეცადოს, გამოიღოს რაც შეიძლება მეტი სულიერი ნაყოფი (გადარჩენილი სამწყსოს წინაშე მართალი მსახურისათვის მეორედ მოსვლის დღეს). ამ დეკლარაციის შესრულებისას ნუ მისცემთ

მოსვენებას თქვენს ხელ-ფეხს, და ამ საქმისათვის ნუ დადუმდება თქვენი ბაგენი. იყავით მუდმივ დეკლარაციის, რამეთუ ღვთისმსახურებს მიწიერი ცხოვრება მოგვეცა ბრწყინვალე გენანის გასაშენებლად.

153. იმედს გამოვთქვამ, რომ შემდეგი კრებები კიდევ უფრო საქმიანად გადაწყვეტენ შიდაეკლესიური ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს. ამიტომ მომავალი კრებებისათვის მზადება უნდა დაიწყოს დღესვე. სერიოზულად უნდა მოხდეს იმ საკითხთა განსახილველად მომზადება, რომლებიც დაკავშირებული არიან ძველმართლმადიდებელთა ეკლესიის მხსნელი ფუნქციების განხორციელებასთან, რათა გამრავლდეს ჩვენი სამწყსო და, ამასთან, დღენიადაც ძლიერდებოდეს და ისწრაფოდეს ისეთი სრულყოფილებისაკენ, როგორც ღმერთი მოუწოდებს.

დაუსწრებლად მიიღეთ არქივისიერიული კურთხევა.

არქივისიერიული გენადი.

154. ხომ კარგად ჩანს, თუ როგორ ემზადებიან ქრისტიანთა სულები მარადიული ცხოვრებისათვის ღვთიურ კანონთა გვერდის აკლით.

ასეთია ჩვენი მმართველობის სტილი: ხუთი კვისკოპოსიდან ორი განვიდგათ (მოსკოვისა და პეტროსის); ასევე განვიდგათ ხუთი მღვდელი და ერთი დიაკონი მრევლითურთ. თუ ასე გაგრძელდა, იერარქია დაიშლება.

ჩვენ მოგვიწოდებთ სწორი გზისკენ, თვითონ კი სხვა გზას შესდგომიხართ.

155. აი, საით მოგვიწოდებთ ბეგლოპოპოვების იერარქიის პირველი არქივისიერიული ნიკოლა:

„ქრისტიანთა და მშანა ძველმართლმადიდებელნი, ქრისტეს ეკლესიას!“

156. მე დავრწმუნდი იმაში, რომ ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება და ჭეშმარიტი სა-

ხარებისუელი ზნეობრივი პრინციპები ყველა არსებულ ქრისტიანულ ეკლესიათა შორის ხრულად, შეუცვლელად და დაუზიანებლად შემონახულია მხოლოდ ძველმორწმუნეთა ეკლესიის მიერ, რომელმაც სიწმინდე გაბატონებული ბერძნულ-რუსული ეკლესიისაგან მიიღო, ამიტომ ჩემი მიწიერი ცხოვრების უკანასკნელ წლებში შეგნებულად გადაწყვიტე, ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტო ეკლესიასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა აწ გარდაცვლილი პატრიარქი ტიხონი, ამაჟამად კი სათავეში უდგას სინოდი და 22 ოქტომბერს ძველი სტილით გადავდი ქვემარტ ძველმართლმადიდებლურ ქრისტიანთა მხარეს, რომლებმაც სიწმინდე ბერძნულ-რუსული ეკლესიისაგან მიიღეს, მე კი, წესისამებრ, მიმიღეს როგორც მეორე ჩინის ერეტიკოსი.

157. ამ დროისათვის ვიყავი საარატოვის ეპარქიის არქიელი და არავითარი სასჯელი არ მქონია.

მხედველობაში მაქვს ჩემი ავისმოსურნების მიერ ქვემარტ ძველმორწმუნეთა შორის ჩემს შესახებ ცილისწამებლური წერილებისა და ამბების გავრცელება. ჩემს წმიდა მოვალეობად მიმაჩნია, ჩემი ქრისტესმიერი ძმების გასაგონად განვაცხადო, რომ სიცოცხლის მიწურულს ქვემარტ ძველმართლმადიდებელთა — რომლებმაც ბერძნულ-რუსული ეკლესიისაგან მიიღეს სიწმინდე და დღემდე უცვლელად და ერთგულად მისდევენ ქრისტეს სასარებისუელ რწმენას — მხარეს გადავდი ერთადერთი მიზნით: მოვიპოვო მარადიული ხსნა და არა რაიმე მდებარე მიზნებისა და ძალაუფლებისმოყვარეობის გამო.

158. როცა ესწავლობდი, ახალგაზრდობის წლებში, საფიქრალი ერთი მქონდა მხოლოდ, სად მიმდგომი შეურყენელი ქვემარტებისა და ღვთიერი სიმართლისათვის, რის გამოც მოთმინებით ესწავლობდი ყველა დროისა

და ყველა ხალხის გენიალურ პიროვნებათა ფილოსოფიურ შრომებს და ყველა რელიგიას, რომელსაც კი უარსებია კაცობრიობის გაჭინიდან დღემდე.

159. როგორც იქნა, მივაგენი ქვემარტებასა და ღვთიურ სიმართლეს მხოლოდ უფალ იესუ ქრისტესა და მის სახარებისუელ სწავლებაში და ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაერწმუნდი, რომ ეს სიმართლე და ქვემარტება დაუზიანებლად და შეუცვლელად დაცულია მხოლოდ ძველმორწმუნეთა მიერ, რომლებმაც სიწმინდე ბერძნულ-რუსული ეკლესიისაგან მიიღეს და რომლებსაც 258 წლის განმავლობაში დაუნდობლად სდევნიდნენ და აწამებდნენ მათივე ხორციელი ძმები რუსები, მხოლოდ იმისთვის, რომ ძველმორწმუნეები გაეკაცურად, უცვლელად და მოუსყიდველად დგანან ქრისტესს ქვემარტი რწმენის სადარაჯოზე.

160. ძველმორწმუნეებთან, ქვემარტი მართლმადიდებელ ქრისტეანებთან ჩემი გადასვლის შემდეგ არა მაქვს არავითარი — არც წერილობითი და არც პირადი კავშირები იმ ეკლესიასთან, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ ხელმძღვანელობდა აწ გარდაცვლილი პატრიარქი ტიხონი. არა მაქვს კავშირი არც სინოდთან, რომელიც დღესდღეობით ხელმძღვანელობს გაბატონებულ რუსულ ეკლესიას. და არც მუქნება ამგვარი კავშირი, რასაც ეუბარებ ჩემს ძვირფას დებსა და ძმებს — მართლმადიდებლებს; ამას გარდა, ჩვენი ავისმოსურველთა მიერ გავრცელებული ცნობები ჩემს შესახებ წარმოადგენს მტკნარ სიცრუესა და ცილისწამებას, რაც ძველმართლმადიდებელთა მთავარმა სასულიერო საბჭომ უარყო ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრდნობით.

161. დასასრულ, ჩემო ქრისტესმიერო დანო და ძმანო, მინდა მოგიწოდოთ, მომაკალშიც დაიცვათ ქვემარტი რწმენა უფლისა ჩვენი და იესუ ქრისტესი, აგრეთვე, ყველა კანონიერი წესი, რომლებიც უძველეს დროშია დადგენილი ქრისტეს მხსნელი ეკლესიის

მიერ ჩვენი შინაგანი წმინდა ქრისტეანული ცხოვრების მოსაწყობად; ღაცვათ ისე, როგორც ამას აკეთებდნენ თქვენი წინაპარნი და შემოხედეთ ჩემთან მძურ კავშირში.

162. მშვილბა და კურთხევა ყოველ თქვენთაგანს, ჩემო ქრისტესმყოფო დანო და ძმანო, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამენ.

ძველმართლმადიდებელთა არქივისსკოპოსი მორჩილი ნიკოლა 25 აპრილი, 1925 წ., ქ. მოსკოვი.

163. აი, როგორ გაამართლეს გენადიმ და მისმა ამაღლამ არქივისსკოპოს ნიკოლას იმედი!

ასწა გავეცნით იმ დოკუმენტებს, რომლებითაც მტკიცდება მათი კავშირი ერეტიკოსებთან:

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ადგილობრივი კრება 1971 წლის 30 მაისი - 2 ივნისი

მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს ხელშეწყობის გ. კუროლდოვის მისხლმება საბჭოთა მთავრობის სახელით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი

164. პატივცემულო კრების თავმჯდომარე, კრების პატივცემულო წევრებო, პატივცემულო სტუმრებო! ნება მომეცით საბჭოთა მთავრობის სახელით მივეხადო ადგილობრივი კრების მონაწილეებს, საპატიო სტუმრებს, საზღვარგარეთის ეკლესიის მეთაურთ და წარმომადგენლებს.

165. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, მისი სამღვდლოება მრავალი წლის განმავლობაში იჩენს პოლიტიკურ ლოიალობას საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ, არის მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მხარდამჭერი; ამასთან, აქტიურად გამოდის ომის საშემოების წინააღმდეგ. ასე რომ, ეკლესიასა და მთავრობას შორის არსებობს საეგებიტ ნორმალური ურთიერთობა.

166. „რელიგიურ კულტა შესახებ“ კანონის საფუძველზე ეკლესია ფლობს გველა საჭირო პირობას ნორმალური ფუნქციონირებისა და მორწმუნეთა რელიგიური გრძნობის სრულად დასაკმაყოფილებლად. ამდენად, სახელმწიფო არ ერევა ეკლესიის საშინაო საქმეებში. ცხოვრებამ დაასახუთა ხისწორე ლენინური კურსისა — ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, რამაც უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სინდისის თავისუფლების პრინციპის სრულად განხორციელება.

167. საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია მომავალშიც განავითარებს კეთილშობილურ პატრიოტულ ტრადიციებს აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ხალხთა მეგობრობისა და მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად.

168. ნება მიბოძეთ, რუსეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებას წარმატებები უსურვო მუშაობაში.

ზემონხენებული კრების მამდინარეობის აღწერა „მოსკოვის საპატრიარქოს უერთნალის“ მიხედვით:

169. ლავრის წინ ხალხით ხაყე მოუღანი მოლოდინში განახულიყო; ლავრის კარბთან პირველი ავტომობილი 15-45-ზე გაჩერდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ლიმუზინები, რომელთაგანაც გადმოდიოდნენ საპატრიო სტუმრები:

170. აღექსანდრიისა და სრულიად აფრიკის უნეტარესი პატრიარქი ნიკოლოზ VI; აქსუმის მიტროპოლიტი მეთოდე; ელკვინონს ეპისკოპოსი ტიმოთე; არქიმანდრიტი ირინეოს ტალანბეკოსი (აღექსანდრიის საპატრიარქო); საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეფრემ II; ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია; პროტარქისეპიტერი ვიქტორ შალამბერიძე (საქართველოს ეკლესია).

გაზეთი „აღმშენებელი“

171. რუმინეთის უნეტარესი პატრიარქი იუსტინიანე; ბანატის მიტროპოლიტი ნიკოლოზი; პლოშტის ეპისკოპოსი ანტონი; მღვდელი საბა მარი (რუმინეთის საპატრიარქო).

172. არქიეპისკოპოსი ნოვოზიბკოვის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა პავლე; პროტარქევიტერი ათანასე კალინინი; პროტოდაიკონი გური ანტონოვი (ძველმართლმადიდებელთა საარქიეპისკოპოსო).

173. ლატვიის სსრ-ის ძველმართლმადიდებელთა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ი.ს. ეგოროვი.

174. რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსები: იულიან ვაიფოლსი — სამოციქულო ადმინისტრატორი ლეიპციგის არქიეპარქიისა და რიგის სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსი (ლატვიის სსრ).

175. კაუნასის არქიეპარქიისა და ვილკავიშისის ეპარქიის ეპისკოპოსი როშუაღდას კრიეშჩუნასის ტელშაის ეპისკოპოსი ლიუდვიკას პოვილიონისი (ლიტვის სსრ).

176. ლატვიის ლუთერანულ-ევანგელისტური ეკლესიის არქიეპისკოპოსი იანის მატულისი; ესტონეთის ლუთერანულ-ევანგელისტური ეკლესიის არქიეპისკოპოსი ალფრედ ტომინგი;

177. ქრისტეან-ბაბტისტთა საკავშირო საბჭოს ხელმძღვანელი ი. გ. ივანოვი, ა. მ. ბიჩკოვი (სსრკ).

178. რამიზითი ესწრებოდა ზემოთ ნახსენებ ნიკოლაინურ კრებას არქიეპისკოპოსი პავლე მისი მღვდელმსახურების, პროტოპრესვიტერი ათანასე კალინინისა და პროტოდაიკონ გური ანტონოვის (ან უკვე არქიეპისკოპოსი გენადი) თანხლებით?

179. რა პატივი იყო ძველმორწმუნისათვის ამ ერეტულ კრებაზე დასწრება. რას ნიშნავს „გამოიწინონ პოლიტიკური ლოიალობა“? ნუთუ შეეცვალათ აზრი უღმერთო კომუნისტებზე?

180. ერთი სიტყვით, შეიკრიბა ყველა ქრისტეანული კონფესიის წარმომადგენელი.

181. საპატრიო სტუმრებს საზეიმოდ დავუნდნენ. არ ცხრებოდა ლავრის ზარების საზეიმო ხმა. მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურნი და დელეგაციათა ხელმძღვანელები, თბილი სიტყვებითა და ამბორისყოფით ესალმებოდნენ საპატრიარქოს წარმომადგენელსა და რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებს. თბილი და გულითადი შეხვედრა მოუწყვეს უცხოელ სტუმრებსაც. საპატრიარქოს წარმომადგენლისა და სინოდის წევრების მისალმების შემდეგ ყველანი ერთად გაემართნენ ცისოფელყოფელი სამების ტაძრისაკენ.

იქვე:

182. „კრების განხნის დღეს მოსკოვის ტაძრებში საღვთო ლიტურგიები შეასრულეს, სიტყვები წარმოთქვეს ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიების მეთაურებმა. აგრეთვე უცხო რწმენის მოძმეებმა“.

183. ამ უცხო რწმენის ძმებში მოიხსენიება ყველა ერეტიკოსი, მათ შორის ძველმართლმადიდებლებიც.

184. კრების მონაწილენი წამოდგნენ. საპარაკლისო საგალობლის საწყისი სიტყვების შემდეგ საპატრიარქოს წარმომადგენელმა წარმოთქვა „ასამაღლებელი“, პროტოდაიკონმა ბორისმა — „მამაო, ჩვენო“, „უფალო, შეგვიწყალებ“; „დიდება აწღა“... „მოვედით, თაყვანის-ვცეთ“... „ფსალმუნი 66“, „მიწყალებ, მაკუროსენ“... „აღლელუა“. პროტოდაიკონმა მაზურმა წართქვა „სამშვიდობო ვატენია“ საპატრიარქოს წარმომადგენლის, მიტროპოლიტ პიშენისა და კრების მონაწილე არქიეპისკოპოსისათვის“.

185. საინტერესოა, რა მდგომარეობაში არიან ამ დროისათვის ძველმორწმუნენი.

იქვე:

186. ა. მ. მაზურმა ხმამაღლა წარმოთქვა: „ქრისტე ღმერთო, გვიხსენ და შეიწყალებ“

მონანი შენნი, წმიდა კრებაზე შეკრებილნი, მოჰმადლე მათ, ღმერთო, მშვიდობა, ჯან-მრთელობა, სიკეთე, რწმენის ერთობა, სიყვარული და სიცოცხლზე მრავალსა წელსა!“ პატრიარქმა შეკრებილთ ჯვარი გადასსა, საზეიმოდ ისმოდა გალობა „მრავალსა წელსა!“

187. ალბათ, საზეიმოდ იყოფდნენ

კურთხევას ნიკონიანელი მღვდელმსახურნი ა. მაზურთან.

188. ძველმართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსები სადღა არიან? იხილეთ ფოტო.



31 მაის 1971 გ. Участники Поместного Собора в Успенском храме Лавры на панихиде по почившим всероссийским патриархам.

“Журнал московской патриархии”, 1971 г., N 8, стр. 33.

ფოტოზე კარგად ჩანს არქიეპისკოპოსი პავლე (წინა პლანზე მარჯვნიდან მეორე) ანთებული სანთლითა და სამკერდე ნიშნებით.

189. ახლა კი, როგორ ვცდებიან თავის გამართლებას.

ნაწყვეტი არქიეპისკოპოს გენადის წერილიდან (9.6.1984 წ., №274):

190. „რაც შეეხება სანთელს, იგი მართლაც ეჭვია ხელში არქიეპისკოპოს პავლეს, მაგრამ „ბრალმდებლებმა“ ერთი გარემოება ვერ გაითვალისწინეს. კერძოდ, სანთელი თვითონ მას კი არ მიუტანია (კანონი კი ამ-

ბობს: „თუკი ვინმე მოიტანსო“...), არამედ მისცეს ტაძარში შესვლისას. აი, ამ ორ სიტყვაშია განსხვავება „მოტანა“ თუ „მისცეს“. მას მისცეს, შემდეგ კი დააბრუნა. გარდა ამისა: თვითონ ანთო და საერთო ღოცვას არ შეერთებია არც სიტყვით, არც გონებითა და არც გულით, რასაც მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, შემდეგ კი თვითონ არქიეპისკოპოსმაც დაადასტურა; ამდენად, ანთებულ სანთელს მოცემულ სიტუაციაში რელიგიური ხასიათი არ ჰქონია, მას არ შეეძლო არქიეპისკოპოსის ღოცვის საერთო ღოცვასთან შეერთება“.

გაზეთი „აღმდევინ ღმერთი“

191. ალბათ, ასევე დაიწყებთ თავის მარ-
თლებას, რომ ძალით გაგამგაზავრეს მოს-
კოეში, ასევე საკუთარი ნების საწინააღმდე-
გოდ ანთებული სანთლით აღმოჩნდით ტა-
ძარში. დადუმდით, ცეცხლთან მოთამაშენო!
ღუმელში თავის შემყოფთ ნულარ გაგიკ-
ვირდებათ, რომ იწყით.

192. ევას მიერ შეცდენილი ადამივით
ცდილობთ თავის გამართლებას, ისიც ხომ
თქვენსავეთ ამბობდა — „ეგამ მომაწოდა ვა-
შლიო“. გაიხსენეთ, როგორი იყო სასჯე-
ლი: ორივე ერთად განიდევნენ სამოთხიდან!
არავინ დაიწყებს იმის გარჩევას, ვინ მოგა-
წოდათ სანთელი, არამედ მომწოდებელსაც
და მიმღებსაც ერთად მოგიწყვეთ ღვთის რისხ-
ვის განაწილება!

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლე-
სიის ადგილობრივი კრება

იქვე:

193. ყველანი ფეხზე დგებიან და აღფრ-
თოვანებით ერთად გალობენ „მრწამსს“, თი-
თქოს ერთიანი უხილაკი ხელი მართავენს
მთელ დარბაზს.

194. როგორი ნაცნობი სიტყვებია! რო-
მელმა მართლმადიდებელმა არ იცის იგი
ზეპირად; იგი ყოველდღე იგალობა ტაძარში.
გარდა ამისა, ყოველი მორწმუნე კითხუ-
ლობს მას დილის ლოცვაში და მაინც,
მღელვარება დაეუფლა ყველას, როცა რუ-
სეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, მისი
სრულუფლებიანი წარმომადგენლის სახე-
ლით (მათთან ერთად ყველამ), აღიარა
ურდღეი რწმენა — „ერთი ღმერთი, მამა
ყოვლისა მჰყარობელი, შემოქმედი ცათა და
ქვეყნისა“...

195. „დიდად მოხარულნი ვართ, რომ
ჩვენს დღევანდელ კრებას ესწრება რომის
კათოლიკური ეკლესიის მეთაურის პაპ პავლე
VI-ის წარმომადგენელი. მაღალყოვლად-
უსამღვდელოესი კარდინალი იონე ვილებ-

რანდსი — ქრისტეანთა ერთობისათვის თანამ-
შრომლობის სამდივნოს თავმჯდომარე. მისი
აქ დასწრება აღუქმულია როგორც გულითადი
ქრისტეანული ძმობის დასტური“.

აი, როგორი ძმური სიყვარულით ფეხრე-
ბიან ანათემირებული კათოლიკური ეკლე-
სიის წარმომადგენლებს, ასევე სიყვარულით
ასაჩუქრებენ ნიკონიანელებსაც.

აი, კიდევ ღოკუმენტები:

კრების მუშაობის მეორე დღე

196. „მეორე დღე კრების მონაწილეთა-
ვის დაიწყო ლოცვით მოსკოვის აკადემიის
ღვთისმშობლის საფარველის სახელობის
ეკლესიაში დილის 8 საათზე;

197. რუსეთის ეკლესიის იერარქებთან,
კლერიკალებთან და მორჩილებთან ერთად
ლოცულობდნენ ძმური მართლმადიდებლუ-
რი ეკლესიების წარმომადგენლები.

198. ლოცვის დამთავრების შემდეგ მათი
მიბაძვით ყველანი რიგრიგობით მიდიოდნენ
ჯვართან.


ერეტიკული თავყრილობა გრძელდება

199. ყველამ ერთად იგალობა უფლის
ამაღლების კონდაკი.

200. კრების გვემის მიხედვით, მეორე
სხდომის დამთავრების შემდეგ საპატრიარ-
ქოს წარმომადგენელი მიძინების ტაძარში
აღასრულებდა პანაშვიდს რუსეთის ყველა
გარდაცვლილი პატრიარქის მოსახსენებ-
ლად.

პანაშვიდი, მიძღვნილი რუსეთის მიც-
ვალებული პატრიარქებისადმი

201. რუსეთის მიცვალებული პატრიარ-
ქებისადმი მიძღვნილ პანაშვიდზე მოვიდა
ადგილობრივი კრების ყველა წევრი. ეკლესიის
კართან ყველა შემოსულელს ურიგდებოდა
სანთლები (მღვდლები ურიგდებდნენ პატრი-
არქებსა და არქიელებს, ხოლო დიაკვნები —
კლერიკალებსა და მორჩილებს).



30 მაის 1971 გ. почетные гости Главы и Представители Православных Церквей направляются в Сергиевский трапезный храм на первое заседание Поместного Собора.

აი, როგორ გაინაგარდეს ძველმორწმუნეებმაც!

203. „ღიაკენები რიგრიგობით მოიხსენიებდნენ რუსეთის წმიდა პატრიარქების სახელებს, რომლებიც არასოდეს ამოიშლებიან მორწმუნეთა გონებიდან“.

აი, როგორ აპატიეთ ძველმორწმუნეებმა იუდა სიკონსაც წამებულ ძველმორწმუნეთა ხისხლი.

იქვე:

204. „მიცვალებულთა მოსახსენებელმა მსახურებმა კრებაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. რუსული ეკლესია ლოცულობდა თავისი მიცვალებულ პატრიარქებისათვის, რათა შენდობოდათ მათ მიწური ცხოვრების უამს ჩადენილი ნებისითი თუ უნებლიე ცოდვები“.

რისთვის ხდება ყოველივე ეს?

205. ნიკონიც გახდა ღირსი თქვენი ძველმორწმუნებრივი თაყვანისა.

იქვე:

206. „მიტროპოლიტი ნიკოდიმოსი გამოვიდა მოხსენებით თემაზე: „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ეკუმენისტური საქმიანობა“, რომელსაც მოჰყვა მისივე მოზღსენება თემაზე: „ძველმორწმუნეთა მიმართ წყევლის შეცვლის შესახებ“.

თანამოსხენება დასტაბებულია საპატრიარქოს ჟურნალში – 1971 წ., №7.

207. „კრებაზე ღიდი ინტერესით ვცნობოდნენ რუსეთის ეკუმენისტურ ასპარეზზე მოღვაწეობის მდლადარ ფაქტობრივ მასალას. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ეკუმენისტურ მოძრაობაში მოღვაწეობას მა-



31 мая 1971 года Патриарший Местоблюститель Митрополит Пинен совершает панихиду по почившим Всероссийским Патриархам.

დალი შეფასება მისცეს როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე უცხოეთის საეკლესიო მოღვაწეებმა“.

208. ალბათ, იმისათვის, რომ შებღალონ ამ ეკუმენისტური ღონისძიებით რეტდასხმულ ძველმორწმუნე მწყემსმთავართა ღირსება.

როგორ გავიგოთ ეს?

209. „იმავე დღეს, საღამოს, ვახშმის შემდეგ, კრების მონაწილეებისა და სტუმრებისათვის მოსკოვის სასულიერო აკადემიის კინოღარბაზში აჩვენეს ფილმი: „რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია დღეს“. ფილმში გაშუქებულია რუსული ეკლესიის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარე“.

210. საინტერესოა, რას წარმოადგენს ეკუმენისტური მოძრაობა და სად და როგორ ისახელა თავი ამ მოძრაობაში რუსულმა ეკლესიამ.

211. გთავაზობთ დოკუმენტს, სადაც ნაჩ-

ვენებია ეკუმენისტური კრელო:

„ეკუმენისტები ცდილობენ სახარებისეული და რევოლუციური პრინციპების ურთიერთშეთავსებას“ (ი. კრიანოვი, „ზრისტიანსკი ეკუმენიზმ“, მოსკოვი, 1980 წ., გვ. 72).

212. ეკუმენისტებს არ სჯერათ ქრისტეს სულიწმიდით ჩასახუა, აღდგომა და მამის მარჯვენით ჯდომა.

ასეთია ეკუმენისტური თაიგულის სახე: იხილეთ ფოტო მომდევნო გვერდზე.

ვისთვისაა ნათქვამი: „ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმერთოთა რჩევას და ცოდვილთა გზას არ აღგას“ (ფს. 1, 1).

213. ვისთვისაა ნათქვამი:

„არ არის სასარგებლო უკანონობის მქმნელებთან გავერთიანდეთ არც ვაჭრობაში, არც თათბირში, არც სასამართლოში და არც რა სხვა რაიმეში. უკანონობის მქმნელებთან თანამდგომთა განკვეთას ვებრძანებთ“ (ღირსი მამა ბარსანოფ დიდი).

214. როგორც ვსვლავთ, კანონი ამგვარ ეპისკოპოსთა განკვეთას ბრძანებს: „დე



30 მაის 1971 წლის. მონაწილეები მცხეთის სასულიერო კურსის (საბოლოო): არქიეპისკოპოსი დიოსელდორფის ალექსი, პროტონერეი ვასილი კრეჩნიკი, მიტროპოლიტი სუროჟსკის ანტონი, პროტონერეი გეორგი ბურდუკოვი (მოსკოვის პატრიარქატი); დ-რ გენი ვილიამსი, გენერალური მდივანი კეცის; დ-რ იუჯინი კ. ბლეიკი, გენერალური მდივანი ვსს; პროტონერეი პაველი სოკოლოვსკი (მოსკოვის პატრიარქატი).

გადაეცეს ანათემას ყოველი ერისი“.

ახლა კი იხილეთ, როგორ მიესალმება ძველმართლმადიდებელთა არქიეპისკოპოსი გენადი ერეტიკოსი ეკუმენისტ ვაისკოპოსი იუვენალისს:

215. „მის მადლყოვლადუსამღვდელოებისობას, კრუტიციისა და კილომენსკის მიტროპოლიტს, რუსეთის საპატრიარქოს შიდა-ეკლესიურ საქმეთა განყოფილების თავმჯდომარეს მადლყოვლადუსამღვდელოეს იუვენალისს.

216. ძვირფასო მეუფეო იუვენალის!

დიდ მადლობას მოვასხენებ თქვენს მადლყოვლადუსამღვდელოებისობას, ჩემს ძველმართლმადიდებელთა ეკლესიის არქიეპისკოპოსის ხარისხში ინტრონიზაციის მილოცვისათვის.

217. უსახუროდ მადლობელნი ვიქნებით ღვთისა, თუ მოგვეცემა საშუალება თქვენთან თანამშრომლობისა, რათა აქტიურად დაეუჭიროთ მხარი ჩვენი დიდი სამშობლოს მშვი-

დობისმოყვარე საშინაო და საგარეო პოლიტიკას და ვემსახუროთ ჩვენს პლანეტაზე ესოდენ საჭირო მშვიდობის განმტკიცებას. ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით ძველმართლმადიდებელთა არქიეპისკოპოსი ბენადი

18 ნოემბერი, 1979 წელი.

218. ასეთი მიმართვა პირველი ჩინის ერეტიკოსისადმი და მისი ქრისტესმიერი ძმად მოხსენიება სხვა არაფერია თუ არა ღვთისაგან განდგომა.

მაქცით ყურადღება შემდეგ დოკუმენტს: არქიეპისკოპოსი გენადი ცდილობს თავის გამართლებას, თითქოს მას ნიკონიანურ ეკლესიასთან არაფერი აკავშირებს და ზემოთ ნახსენები მიმართვა წარმოადგენს მხოლოდ ოფიციალური ეტიკეტის დაცვას.

ძველმორწმუნეთა არქიეპისკოპოსის არჩევანთან დაკავშირებით.

მის უწმინდესობას, უწმინდეს პიემეს მოსოკოვისა და სრულად რუსეთის პატ-

რიარქს.

219. წმიდაო მეუფეო!

1979 წლის 20 სექტემბერს ძველმორწმუნეთა არქივისკოპოსი, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა პაველ ოფიციალური განცხადების საფუძველზე გადადგა მაღალი საპატრიო პოსტიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

220. ჩვენი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა.

221. ჩემი 20 წლის დიაკვნად მსახურების შემდეგ, ღვთის ნებითა და ეპისკოპოსთა არჩევით, მე უღირსს დამეკისრა ამ მაღალი პოსტის დაკავება არქივისკოპოსის სახელით. ჩემი ინტრონიზაცია მოხდა 1979 წლის 23 სექტემბერს.

222. წილად მერგო, ეიკონიო მძური ქრისტესმიერი ურთიერთობა თქვენს უწმინდესობასთან და გთხოვთ თქვენს შემწეობას ჩემს სამშვიდობო საქმიანობაში, რამეთუ ქრისტე მაცხოვარი ღვთის ძეობას ჰპირდება ყოველ მშვიდობისმოყმედს.

მძური სიყვარულით

ნოვოზიბკოვის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის ძველმართლმადიდებელ ქრისტეანთა არქივისკოპოსი **ბენადი**

ნოვოზიბკოვი, ბრიანსკის ოლქი.
| ოქტომბერი, 1979 წ.

223. რა ეტიკეტის დაცვაზეა ლაპარაკი, როცა ამგვარი სიტყვებით მიმართავს მარადერტიკული ნიკონიანური ეკლესიის მეთაურს პიმენს.

უკვე გასაგებია, რა მძურ კავშირზეა ლაპარაკი.

არქივისკოპოსი გენადი პატივყერილია ღვთის წინაშე.

224. ნუ გაგიკვრებათ, ეს მისი სიტყვებია: „ბრალს მდებთ იმაში, რომ პატრიარქს უწმინდესი მეუფე ვუწოდებ. თქვენ რა, არაფერი იცით ჩვენი იერარქიის მღვდელმსახურთა

აღდგენის ისტორიის შესახებ? განა ნიკონიანური ეკლესიიდან არ ვღებულობდით მღვდელმსახურთ და მათგანვე არ აღვიდგინეთ ეპისკოპოსობა? განა არ შეეუნარსუნეთ მათ იგივე ხარისხი, რაც თავიანთ ეკლესიაში მიიღეს? მათ ხელდასხმას მუდამ ვაღიარებდით და ვაღიარებთ, ოღონდ ვასდენთ მათ მირონცხებას.

ბრალს მდებთ ერეტიკოსობაში იმის გამო, რომ პატრიარქი და მიტროპოლიტი მოვიხსენიებ მათი სრული ტიტულით. თქვენი აზრით, მე აღარ ვვარგავარ. მაშ, როგორ დაუშვით, რომ ჩემდამი თქვენს წყრილში მოიხსენიეთ, როგორც მაღალყოვლადუსამღვდელოესი“? (წერილი საარქივისკოპოსოსაგან №274, ნაწილი).

225. ამ სიტყვებისათვის, სადაც იგი ხაზს უსვამს, რომ აღიარებდა და აღიარებს მათ ხელდასხმას, არქივისკოპოსი შეიძლება გადაეცეს ანათემას. იერარქიის თავკაცებს უნდა ესმოდათ, რომ, ვიდრე მათ რა მღვდელმსახურთ ნიკონიანელთაგან, თავის ჩინს ვუნარჩუნებდით, რადგან მსგეველობაში ვიღებდით მათ სწორ ნათლობას (სამგზის შთაფლვას). რა შეიძლება ითქვას დღევანდელ წყალკურებით მონათლულ ნიკონიანელებზე? ვის ხელდასხმას ცნობს არქივისკოპოსი გენადი! განა შეიძლება ნიკონიანელთა მეორე ხარისხის ერეტიკოსად მიღება და მათი მირონცხება, როცა ისინი პირველი ჩინის ერეტიკოსები არიან, როგორც ჭეშმარიტი – სამგზის შთაფლვითი ნათლობის არმქონენი. ეს ფაქტი იმის დასაბუთებაა, თუ როგორ დასცილდა არქივისკოპოსი გენადი ძველმართლმადიდებლობას. ამგვარი საქციელი მხოლოდ ანათემას იმსახურებს!

226. ეს სომ ზღვარს შლის ნიკონიანელებსა და ძველმორწმუნეებს შორის?

ვის შეუძლია ჩვენი გაკიცხვა იმის გამო, რომ გავემიჯნეთ გენადის მისი ერეტიკული სამომ კავშირებისათვის?

227. მონოფიზიტები, ნიკონიანელები,

სექტანტები, კათოლიკეები. რა სტუმრების როლში არიან ქველმოწმუნენი ამ თავყრილობაზე. სურათი ცხადი იქნება თუ გავერკვევით ამგვარი თავყრილობების მიზანში.

გაზეთი „აღლეგინ ღმერთი“



Экуменистическое богослужение в храме св. Михаила в Кордове. Испания, 14 июня 1971 года. В центре сидят архиепископ Тульский и Белгородский Юпсалий и священник Церкви Англии Рональд Барон.

Журнал Московской патриархии, 1971 г., Т. 8, ст. 70.



Почетные гости на шестом заседании Поместного Собора 2 июня 1971 года. В первом ряду (слева направо): Патриарх Александрийский Николай VI; Верховный Патриарх-Католикос всех армян Вазгел I; кардинал Иованн Вьялебрандс; митрополит Мар Теофинос Филлипос; д-р Ю. К. Блейк; г-н С. Амиссах.



По окончании екуменического богослужения в Сепилии, Испания, 16 июня 1971 г. Справа от архиепископа Ювеналия епископ Регианский Антонио Монтеро Морено, слева - священник Амадо Хас де Ибарра, делегат епархиальной миссии. (ЖМП, 1971 г. №8, стр. 70).

თვალხილულთათვის სურათი ნათულია!

228. ამგვარი თავყრილობების უმთავრესი მიზანია რელიგიური ინტეგრაციის განხორციელება ღვთიურ კანონთა უარყოფის ხარჯზე. ამგვარი საქციელი აუცილებლად დაიმსახურებს ღვთის რისხვას.

229. ახლა კი იხილეთ მგორე სახე არქიპისკოპოსისა, რომლის მიხედვითაც იგი ღვთიურ კანონთა უარყოფითაც არ კმაყოფილდება:

ნოვოზიბაქოვის, ვოსკოვისა და სრულიად რუსეთის კათოლიკოსთა კონკლავის მკაცრი განცხადება

ვის უფინდოსება სრულიად საქართველოს კათოლიკოს კატარინარს ილია ვიორას

230. თქვენო უწმინდესობაჲ! ნება მიბოძეთ მოგმართოთ შემდეგ

რეგისტრირებულნი არიან საქართველოს სსრ რელიგიის საქმეთა საბჭოს მიერ და გააჩნიათ საკუთარი სამლოცველო სახლი. ადრე აქ მომსახურე მღვდელმსახურნი თ.ა. გონჩაროვი და ლ. ე. სკაჩკოვი კანონიკური წესების დარღვევისათვის და სარქიპისკოპოსოსადმი დაუმორჩილებლობის გამო ჩემს მიერ ჩინაყრილნი იქნენ.

231. ქართველი მოქალაქეების ანტონ ჩახავასა და მის თანამშრომელ მარინეს ზეგაულენით, რომლებმაც ძველმართლმადიდებლობა მიიღეს და მონათლულნი იყვნენ ზემოთ ნახსენების მღვდლების მიერ, ეს მღვდელმსახურნი არ დაემორჩილნენ ჩემს განკარგულებას აკრძალვის შესახებ და მოციქულთა 31 კანონის დარღვევით ფოთში, მალთაყვის ქ. შექმნეს ცალკე საკრებულო, სადაც აგრძელებენ მღვდელმსახურებას.

232. ყოველივე ამის გამო ეპისკოპოსთა საბჭომ მოციქულთა 31 და ორგზისი კრების

13 კანონების საფუძველზე განკვეთა ისინი ეკლესიიდან, მითითებით, რომ დაებრუნებინათ იერარქიის მიერ გაცემული სივლეები მღვდელმსახურების შესახებ, მაგრამ, სარგებლობდნენ რა ა. ჩახავას და მარინეს მხარდაჭერით, რომელნიც მას შემდეგ, რაც წარუმატებლად ჩაიარა მათმა ცდამ, შეეჭმნათ ავტოკეფალიური „ივერიის ჭეშმარიტი ძველმართლმადიდებლური ეკლესია“, ცდილობენ ზემოთ ნახსენები უკანონო „საკრებულოს“ საფუძველზე შექმნან „ჭეშმარიტი ძველმართლმადიდებლური ეკლესია“. განკვეთილი მღვდელმსახურები დამორჩილდნენ იერარქიის გადაწყვეტილებას და საქართველოს სსრ კანონის „რელიგიური კულტების შესახებ“ და საქართველოს სსრ კოდექსის 199 სტატიის დარღვევით აგრძელებენ უკანონო საქმიანობას უკანონო სამლოცველო სახლებში.

233. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები არაერთხელ იქნენ ინფორმირებულნი განკვეთილი მღვდელმსახურების უკანონო მოქმედების შესახებ. აღმასკომის თაემჯდომარემ თავისი თვალთ იხილა ყოველივე და დაგვირდა შესაბამისი ზომების მიღებას, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. ხოლო რაც შეეხება ჩახავასა და მარინეს, ისინი არ კარგავენ იმედს შექმნან ივერიის ძველმართლმადიდებლური ეკლესია და ჩაითრიონ მასში ქართველი ინტელიგენციის ახალგაზრდა წარმომადგენლები.

234. ადგილობრივი ორგანოებში კარგად იცნობენ ჩახავას. მიუხედავად იმისა, რომ მოეხსენებათ მისი დამსახურება ამ უკანონო საკრებულოს შექმნაში, არ ახორციელებენ შესაბამისი ზომებს.

თქვენი უწმინდესობაგ, მოგმართავთ, როგორც პატრიარქსა და მსოფლიო ეკლესიასთან საბჭოს პრეზიდენტს და გთხოვთ, დაგეხმარეთ ქ. ფოთში უკანონო საკრებულოთა მოქმედების შეწყვეტაში, რათა „დაბნეული ცხვარნი“ დაეაბრუნოთ ძველმართლმადიდებლურ ეკლესიაში, ხოლო ჩახავასა და მარინეს წავართვათ საფუძველი მათი მბოღკარე საქმიანობისათვის.

თქვენი უწმინდესობისადმი პატივისცემით ერქვიებისკოპოსი — (გენადი).

235. არსებობდა სხვა წერილიც, რომლითაც არქიებისკოპოსი გენადი ქ. ფოთისა და ქ. ლანჩხუთის ხელისუფლების ორგანოებს სთხოვს გრიგოლეთელი მღვდლების სკაჩკვისა და გონჩაროვის დაპატიმრებას.

236. სამწუხაროდ, ამ წერილს ვერ დავიმოწმებთ, რადგანაც იგი ხანძარმა გაანადგურა.

ჩვენი აღშფოთების მიზეზიც სწორედ ესაა!

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საკითხთა საბჭოს თავმჯდომარის ა.ა. ხარჩავის
სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კენჭისყრის მეთოდური მითითების საფუძველზე
მ.ა. პალმინოვსკის
მოსკოვის კენჭისყრის მეთოდური მითითების საფუძველზე
მოსკოვის კენჭისყრის მეთოდური მითითების საფუძველზე

განცხადება

15. XI. 1988 წ.

237. მე, მოსკოვის ეპისკოპოსი ფლადიანე, შეიძიე წელია, რაც ემსახურობ მოსკოვის „ნიკოლოზ სასწაულმოქმედის“ ეკლესიის წინამძღვრად.

238. მთელი ამ ხნის მანძილზე, ვაკვირდები რა ეპარქიის ცხოვრებას, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, დამაფიქრა საარქიებისკოპოსოს სითამამემ ღვთიერი კანონების მიმართ, რაც აკარგინებს მას ჭეშმარიტ ძველმართლმადიდებლურ სახეს.

239. არაერთხელ მქონია საუბარი კანონიკურ წესთან დარღვევების შესახებ, რაც ხშირად დაეკავშირება გადამდიობა, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველი ჩემი მცდელობა

გაზეთი „აღმდგენი ღმერთი“

ფუჭი აღმოჩნდა.

1988 წელს კრებაზე გამხილვე საარქივისკაპოსოს ერეტიკული ქმედებები, რაც შემდეგში გამოიხატება:

1. ირღვევა სეფისკერის მოზაღების წესი, მისი შემცველობა.

2. ზიარებისათვის გამოიყენება შეუსაბამო ღვინო.

3. ნათლობისას, მირონცხების დროს, ჯვრის გამოსახვის ნაცვლად სვამენ წერტილებს.

240. ეპისკოპოსთა სხდომისას დაგაყენე საკითხი პერმის ეპისკოპოს ლეონტისა და მომღვარ ნიკანორისათვის პატივყურის გაუქმების შესახებ, რამდენადაც მათგან რაიმე კანონიკურ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ჩემი წინადადება არ იქნა მიღებული.

241. გაეანალიზე რა კრების გადაწყვეტილებები და შეეადარე შემდეგ კანონიკურ ნორმებს, მთელი შეგნებით ვაცხადებ, არქივისკაპოსოსა და ეპისკოპოსებს უნდა ჰქონდეთ შიში ღვთის წმიდა კანონების მიმართ, რომელიც გადაეცათ მათ მტყიცედ დასაცავად, რათა არა იქნეს კანონისაგან მცირედით დარღვეული, არც შეცვლილი, რაც საშინელ სამსჯავროზე იქნება გამოკვლეული („კორმჩია“, გვ. 25. წმ. მამათა შეგონებიდან კანონის შენარჩუნების შესახებ).

242. ამასთან, ვხედავ რა ნოვოზიგოვის საარქივისკაპოსოს შეუქცევად ერეტიკულ სახეს, გადაეწყვიტე გამოვიდე ნოვოზიგოვის საარქივისკაპოსოს დაქვემდებარებიდან და შევეერთდე ჭეშმარიტ ძველმართლმადიდებლებს პერმის ეპისკოპოს ლეონტისა და მომღვარ ნიკანორს. ორგზის ადგილობრივი კრების 15 კანონის საფუძველზე რომელიც ბრძანებს: „ვინც გაემიჯნება რომელიმე ეპისკოპოსს არა ცოდვისა, არამედ მისი ერეტიკოსობის გამო, რაც კრებისა და წმიდა

გამათა მიერ უკანონოდ აღის მიჩნეული, ამგვარი პატივის ღირსნი არიან, ვითარცა მართლმორწმუნენი“.

სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარის ა.მ. ხარაძის აპრიის ოლქის რელიგიის საქმეთა რფშუნაბულს

ნ.უ. სუმოროვის

სსრკ მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა საბჭოსთან არსებულ კვლავმორფუშუნეთა საქმეთა ინსპექტორს

აოლუბიბაიანის

ძველმართლმადიდებელ პერმის ქრისტიანთა მრევლის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

243. საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში, როცა დიდი შრომის ფასად მიმდინარეობს 30-იანი და შემდგომი წლების შეცდომათა გამოწვრება, ვის შეუძლია უგულებელყოფოს ხალხის სამართლიანი მოთხოვნა.

244. ძველმართლმადიდებლური რწმენა ჩვენთვის სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენს, ასეთივე მნიშვნელობის იყო იგი ჩვენი წინაპრებისათვის. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ნიკონ პატრიარქმა და მეფე ალექსეი მიხაილის ძემ მოინდომეს ამ სასიცოცხლო არტერიის გადაჭრა, რის გამოც სისხლის ზღვაში აცურავეს მთელი რუსეთი. რწმენის შესანარჩუნებლად ბევრმა სამშობლოც მიატოვა, რაც თავსებით ბუნებრივია, რადგან მორწმუნე ადამიანისათვის სამშობლო ღვთიური კანონით იწყება, რომელიც გვასწავლის: „ღვთისა გემინოდეს და მორჩილებედ მთავრობას“.

245. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღმსარებლობის არჩევის თავისუფლება მოგვეცა, რის საფუძველზეც აღვადგინეთ ძველმართლმადიდებელთა იერარქია.

მშვიდობიანი რელიგიური ცხოვრების ორმოცმა წელმა თითქოსდა გადაგვაიწვია კიდევ მეფისდროინდელი დესპოტიზმი. არასოდეს ჩაერეულვართ სხვა რელიგიური მიმ-

დინარობების საქმეებში, მხარდამხარ ვცხოვრობდით და ეშრომობდით ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

246. რუსეთის გაქრისტიანების მე-1000 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ მსოფლიო საღმრთო სასწაულო ცერემონიაზე აღინიშნა საგმირო ღვაწლი ძველმართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი სამშვიდობო საქმიანობა, რაც საქებარია.

247. ამ ფონზე ნოვოზიბოკოვის ეპარქიის ხითამამემ სამწესოსა და წმიდა მამათა კანონების მიმართ გამოიწვია აღმყოფობა ხალხში. შეიქმნა საფუძველი განხეთქილებისათვის სოფელ გრიგოლეთში (საქართველო), რაც მორწმუნეთა შორის შუღლისა და მტრობის საბაბად იქცა. მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილება-შეგონებისა ნოვოზიბოკოვის ეპარქიის თვითნებობა გრძელდებოდა.

248. არადა, ვიცით, საკმარისია ერთი უკანონობის ჩაღწევა კი, რათა დაირღვეს მთლიანი რეჟული, რამდენადაც ყველა მცნება ურთიერთკავშირშია (ბასილი დიდი).

249. „სოკი მცირედ გადახრები მართლმადიდებლური რწმენისაგან, ერეტიკოსი ხარ“ („იკონმჩაია“, ფურც. 641, მეორე მხარე).

250. „მამ, ასე, ანბო, ვიყოთ დაჯერებული და ვიქნებით მაცქერალნი ჭეშმარიტების ნათლისა და შემსრულებლნი კანონებისა და დოგმატების მტკიცედ მიშვილნი (თედორე სტოდვიელი, ნაწ. 1).

„ქრისტიანობა წარმოადგენს რწმენისა და საქმეების ერთობას, თუ ერთი რომელიმე მათგანი დააკლდა, მაშინ მეორეს ვერ მოაქვს სარგებლობა“ (თედორე სტოდვიელი, ნაწ. 1, გვ. 188).

251. ზემონახსენებ წმიდა მამათა ზედგინილებების უგულვებელყოფამ ნოვოზიბოკოვის ეპარქიის მხრიდან საბოლოოდ გამოიწვია მოძღვრებითურთ პერმის სამწესოს მღელვარება. სახელდობრ, ეპისკოპოს ლეონტისა და მღვდელ ნიკანორისა, რის შედეგადაც მრევლმა და ტაძრის წინამძღვრებმა

მიიღეს გადაწყვეტილება — განემიჯნონ ნოვოზიბოკოვის ეპარქიას. 1988 წლის 6 ივლისს წარმოდგენილი იქნა განცხადება გამოყოფის შესახებ იერარქიაში ერესის დანერგვის გამო, რაც ელინდება შემდეგში:

1. ნებადართულია წვერის გაპარსვა,
2. გამოიყენება ღვინო ბუნებრივი სიტკობების გარეშე,
3. დიდი წყალკურთხევა სრულდება ორჯერ,
4. ირღვევა სეფისკეერის შემადგენლობა,
5. ზეთისცხება სრულდება წერტილების დასმით,
6. ზიარების შემდეგ არ ხდება ულვაშის მობანვა,
7. თითქმის არ ტარდება საეკლესიო კრებები.

252. ხელმძღვანელობას, რომელმაც დაკარგა ავტორიტეტი და ნდობა, არ შეუძლია მრევლის სულიერი ღმერთოვნების დაკმაყოფილება. რის გამოც წარდგენილი იქნა ათი ქალაქის სოლიკამსკი, პერმი, კრასნოიშერსკი, თბილისი, კლიმოვო — ბრანსკის ოლქი, ჩერმოსი, ბერიზნიუკი, უსოვა, ბოლშაია უსა და პერმის 28 სოფლის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ჩვენთვის მიუღებელია მმართველობა ნოვოზიბოკოვის ეპარქიისა. უნდა მოგახსენოთ, პერმის ეპისკოპოსი ლეონტი და მღვდელი ნიკანორი ის ავტორიტეტებია, რომლებსაც მიჰყვება ხალხი, ჩვენ კი გვწამს მათი პატიოსნებისა.

253. საჯაროობა და სრული დემოკრატია გვაძლევს უფლებას, მტკიცედ წარმოვადგინოთ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნები. იმედი გვაქვს უფლისა და დიდ იმედებს ვამყარებთ დღევანდელი ჩვენი მთავრობის ობიექტურობაზე, რომ ხალხის მოთხოვნა იქნება დაკმაყოფილებული, ვითხოვთ რეგისტრირებას, რათა ავეიყვანოთ აღრიცხვაზე, როგორც თვითმყოფადი განშტოება ჭეშმარიტი ძველ-

34. იონე-იონა, „რა უნდა ვაკეთოთ“.

მართლმადიდებლური სწავლებისა.

არქიელ გენადის წერილიდან №274:

254. სანამ კიდევ გვიან არ არის, თქვენი მარადიული ხსენისათვის, გვედრებით, შეწყვიტოთ სიჯიუტე და ქრისტეს ეკლესიის გახლეჩა. დაუბრუნდით მის წმიდა სხეულს, დაუტყვევებთ გზა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავხართ. ნუ დაიძიმებთ გულს ბოროტებით. ეძებეთ ღვთიური სიმართლე და ხსნა მარადიული. სანამ კიდევ არ დაძვარა თითოეული თქვენთაგანისათვის ბოლო საათი (მარადისობაში გადასვლის მომენტი). ქრისტეს წმიდა ეკლესია მზადაა, ყოველი თქვენთაგანი მიიღოს თავის ერთობაში ყოველგვარი გაციტებისა და ყვედრების გარეშე, რათა თქვენც თანამონაწილენი შეიქნათ მარადიული სიხარულისა ზეციური მამის სამეფოში. ღმერთმა გიშველოთ“.

ძველმორწმუნეთა არქიეპისკოპოსი (გენადი).

255. ჩვენ წინააღმდეგობას მაშინ შეწვევებთ, როცა იერარქია დაადგება ძველ ჭეშმარიტ გზას. ღვთიური ჭეშმარიტება ღვთიურ კანონებშია, რომლებიც თქვენ გააუქმეთ, ჩვენ კი აღვადგინეთ და ვიცავთ, ხოლო რაც შეეხება განხეთქილებას, მოგახსენებთ:

„ყოველთვის სასარგებლო როდია გაერთიანება, არამედ ზოგჯერ გაყოფაც სიყვითა, თუკი გაერთიანება ჭეშმარიტების საზიანოდ ხდება“ (სამომღვრო სახარება, ყველა წმიდათა საკვირაო სიტყვა 22, ფურც. 162, მეორე მხარე).

256. აი, რატომ ვეწინააღმდეგებით: ჩვენ მტკიცედა გვაქვს გადაწყვეტილი, შევინარჩუნოთ ძველი სახე მართლმადიდებლობისა და არ წაეშალოთ ზღვარი ძველმორწმუნეებსა და სხვა აღმსარებლობებს შორის, ხოლო თქვენ ისევ ეძებთ გზებს კანონების გაუქმების ხარჯზე ერთეტიკოსებთან დასახლოვებლად.

„წმიდა რწმენის ერესში ამრევი სასჯელს

იმსახურებს“ (ეფრემ ასურელი, სიტყვა 106).

257. ჩვენ კანონს ვერ შეეწვევინააღმდეგებით, ერთი ასოსათვის კოცონს მივეცემით, როგორც ვ ჩვენმა დიდმა წინაპარმა აბბაკუმ პეტროვმა გააკეთა.

258. ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, თქვენგან გამიჯნული მღვდელმსახურები გაცხადებთ:

I. თქვენ არ გქონდათ ეპისკოპოსობის დაძალების და მით უმეტეს ამის გამო მღვდლის განკვეთის უფლება.

II. თქვენი მეთოდი კადრების შერჩევისა ერთეტიკულია, ვინაიდან გონწარბოვის ეპისკოპოსობაზე წამოყენებას საფუძვლად დაუდეთ ის მოტივი, რომ იგი ქერივი იყო, ხოლო მთავარ ღირსებებს გვერდი აუარეთ.

III. თქვენ ვერ ამინვეთ საზღვრებს ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის, როცა მძუერი ქრისტეანული სიყვარულით ერთგულებას უცხადებთ ათვისტური ბოროტების იმპერიას და ჰპირდებით მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის მხარდაჭერას. ამის შემდეგ ბედავთ და კიდევ აცხადებთ პრეტენზიას ძველმართლმადიდებლების წმიდა სახელზე. გაინტერესებთ თუ რა ხვედრს იმსახურებთ ღვთისაგან, მხეცისათვის თაყვანისცემის გამო?

„მიწის ყოველი მკვიდრნი, რომელნიც არ არიან ჩაწერილნი სიცოცხლის წიგნში ქვეყნის დასაბამიდან დაკლული კრავისა, თაყვანს სცემს მას“ (გამოცხ., 13, 8).

როგორც ხედავთ, თქვენ თვითონ ამოშალეთ თქვენი თავი სიცოცხლის წიგნიდან.

ღვთისმგებობარე დიადი სამშობლოს ერთგულებისათვის კი შემდეგს ელოდეთ: „...ვინც თაყვანს სცემს მხეცს, ან ხატს მისას, აღიბეჭდება შუბლი მისი (იგივე ლენინური სიბრძნე. — ი.-ი.), ან ხელი მისი ნიშნით (ე.ი. თუკი იქნება მისი მარჯვენა ხელი. — ი.-ი.).

და სეამს ღმერთის რისხვის სასმისში, და ეწამება გოგირდიოთა და ცეცხლით წმიდა ანგელოზთა წინაშე და წინაშე კრავის.

და კვამლი მისი წამებისა ავა უკუნითი

უკუნისამდე, და არ ექნება მოსვენება, არც ღლისით და არც ღამით, მხეცისა და მისი ჩატის თაყვანისმცემელთ, ანდა მისი სახელის ნიშნით აღბეჭდილი“ (გამოცხ., 14,9-11).

რა დღე მოელოთ იმპერიის, იგივე მხეცის თაყვანისმცემლებსა და მის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ერთგულთ?

IV. როცა ასეთი ერეტიკული თავხედობით აცხადებთ, რომ ახლაც ცნობთ ნიკონიანელ საეკლესიო მსახურთა – წყალკურებითი ნათლობის მქონეთა – ხელდასხმას და თავისავე ჩინით მიღებას, ამის გამო ექვემდებარებით ანათემასა და მხოლოდ ანათემას.



ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა სხვა ნათლობა, გარდა სამოციქულოსი (სამეზის შთაფლვით), ერეტიკულია, როგორც ამას მოციქულთა 46-ე კანონი ბრძანებს.

V. ზემოთ ჩამოთვლილი კანონების ფონზე, რაც გამოიხატება შემდეგში: ირღვევა სეფისკეერის მომზადების წესი – არ არის მასში დაცული სამი კომპონენტის (სუფთა ფქვილი, სუფთა მარილი და სუფთა წყალი)

არსებობა. საზიარებლად გამოიყენება არა სუფთა ღვინო, კანდელეში მცენარეული ზეთის ნაცვლად ნავთობბროდუქტები (ვაზე-ლინი) იხმარება. ნაცვლად ერთისა, წელიწადში ორი დიდი წყალკურთხევა სრულდება. ნებადართულია ტაძრებში ტელე-ფოტო-გადაღება; საეკლესიო კრება, ნაცვლად ყოველ წელს ჩატარებისა, ტარდება უთუ წელიწადში ერთხელ; წვერის პარსვა მიჩნეულია ცოდვად და არა ერესად? ამას გარდა, არქიეპისკოპოსმა ხელისუფლებას სთხოვა განმდგარი მღვდელ-მსახურებისა და მრევლის დაპატიმრება.

ყოველივე ეს ნებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ თქვენ არა ხართ ღირსნი იწოდებოდეთ ძველმორწმუნეთა მღვდელ-მსახურებად. რაც შეეხება იერარქიას, საჭიროა ერესიდან გამოიყვანა ჩინის მიხედვით. არჩევანი ღირსეულთ ეძლევათ.

დიდება ღვთიურ ჭეშმარიტებას, ამენ!



პრის საკმთილდლოდ

(გაზეთი „შანის“, 1993 წლის 22-29 ივნისი)

გაზეთ „შანის“ რედაქციისაგან: ვერ გაგარკვეეთ, ღმერთთა მოწმე, წერილის დაბეჭდვა იქნებოდა თუ არდაბეჭდვა ცოლდა?

ბ-ნ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პატრიარქს ილია II-ს,

თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორს, მოქალაქე ბიორგის,

თბილისის სასულიერო აკადემიის რექტორს ბ-ნ ედიშერ ჭილიძეს,

აპტრე-პავლეს ეკლესიის მოქალაქეს არჩილ მინდიაშვილს.

1. უკვე რამდენიმე წელია საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესიის მსახურნი ვიგვრებთ თქვენს უსამართლო ბრალდებებს, რომ თითქოსდა ჩვენ გესურს დავამკვიდროთ საქართველოში რუსული ეკლესიური ტრადიციები. თითქოსდა ოფიციალური ეკლესიისათვის უსაფუძვლოდ შეგვიწინააღმდეგობა და მწიკლოვანება, სახელდობრ, წყალ-ქურებითი ნათლობის ერეტიკულობის შესახებ.

2. ბატონებო, მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, რომ საქართველო გაწარმართებულია, ღინაიდან ეკლესია განრიდებულია რეჟიმისმიერ ნათლობას, რის გამოც ღვთის რისხვის ქვეშ ვიმყოფებით. ზემორე განცხადების დასტურად მრავალი საბუთი წარმოგიდგინეთ წმიდა მამათა კანონებიდან თუ აღმოსავლეთის ეკლესიების: კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ალექსანდრიის მსოფლიო პატრიარქთა ოროსებიდან; ველოდი საპასუხო გონიერულ განსჯას, თქვენ კი შიშველი სიჯიუტე და სიყვარპე დამიპირისპირეთ ყოველგვარი კანონიკური მტკიცების გარეშე.

3. არაგის უკითხავს, რატომ დაეცა ბ-ნ ზვიად გამსახურდიას მთავრობა. რა აკლდა? ერის სიყვარული? ან პატრიონება? ან ღვთის სიყვარული? მაშ, რისთვის ვერ მიიღო ღვთისგან თანადგომა?

4. გამსახურდია აცდუნეს უმეტარმა მრჩევლებმა და დააყრეს, რომ დიდი რეჟიმისკანონის გარეშე შესაძლოა ღმერთთან ზიარება. აი, მიზეზი ღვთის რისხვისა.

5. საქართველომ ღვთიური ნათლის დაბრუნება არ იხება და კვლავ ტრადიციულ წყვიდადში ჩარჩენა ირჩია. ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას კი მხოლოდ რეჟიმისილებით ეწერა განათება.

6. ვიდრე საქართველოში უბედურება დატრიალდებოდა, ერი და მთავრობაც გავაფრთხილეთ. პარლამენტში მოგახსენეთ ბ-ნ არჩილ მინდიაშვილს, რომ პრეზიდენტს დაცემა ეწერა, მოუხმეთ გონიერებისაკენ — რეჟიმის პერობისაკენ, მაგრამ ამაოდ. ვთქვი, რომ იქნებოდა დიდი მიწისძვრები, რასაც მოჰყვა რაჭა-ლეჩხუმის ნგრევა. ვთქვი, რომ აფსაზეთი გახდება დიდი სისხლისღვრის კერა. ახალ მთავრობასაც მოვეწოდეთ, რაც წინა მთავრობას. ამაოდ ერისათვის სასოცოცხლო ჭეშმარიტება ყურად არაგინ იღო.

რა სიკეთეს მოველოდეთ?

7. თუკი საქართველომ ისმინა რეჟიმისილებისკენ მოწოდება, თუკი საქართველომ თავისი წარმართული ყოფა, ეკლესიამ კი თავისი ერეტიკულობა აღიარა, უმაღლეს ელო-

დეთ ღვთიურ სამშველს — საქართველოს გაბრწყინებას. წინააღმდეგ შემთხვევაში წინა მთავრობის ხვედრს ვერ აიცილებენ დღევანდელი ხელისუფალნი. მოკედება დიდი კაცია და ცოტა ხანს იმწუნარებენ ახლობლები. არ იარსებებს პარლამენტი. ბევრი სისხლი დაიღვრება. საქართველო რისხვისთვის გაშიშვლდება, არაეინ ვყოლება მფარველი. ნაკლები იმედი იქონიეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ნატოს ჯარებისა. მათ თავიანთი პრობლემა გაუჩნდებათ სულ მალე და ჩვენთვის ვერ მოიცლიან.

8. ვისთვისაც მიცემულია ნგრევის უფლება, იგი მალე დაიწყებს ნგრევას. ელცინის მთავრობა დაეცემა. სადავეებს ჩაიღებენ სხვაგვარად მოაზროვნენი. კვლავ აღსდგება საბჭოთა კავშირი, რომელიც არ შეუდგება დიდ რევერანსებს. ძველი რესპუბლიკები პანტაპუნტით შეცვიფდებიან ახალ „სამშო“ ალიანსში. ახალი იმპერია ხელს მიაწვდენს გაღმელებსაც. არც მათ დაადგებათ კარგი დღე: ჯერ ისრაელს, შემდეგ ყველა მის მტერს, შემდეგ უგონოდქმნილ პატარ-პატარა ქვეყნებს. ძალის მოიძიებს ძალა გასრებს. გადარჩენა უწერია ღვთის მოიძიდეს. აცახცახდება ღუდამიწა. მხოლოდ მაცხოვრის ბეჭდისმიერ ვერს შეუძსუბუქდება მძიმე ყოფა.

9. საქართველო გადარჩება, თუ ამ ბეჭედს აპოკალიფსისის მეექვსე ბეჭდის მოხსნამდე მიიღებს, არადა ქალაქი არ დარჩება დაუნგრეველი. ვერაფერს გვიშველის მკლავის ძალა.

10. როგორ მოვიქცეთ, მოყვასნო?

ბნელი უფრო დაბნელდება. თბილისის სასულიერო სემინარიის კარებსა და ფანჯრებს მოუწვეს ფიცრებით ჯვარედინად აჭედვა, რაზეც რვა წლის წინ ვესაუბრე საქართველოს ეკლესიის პატრიარქს; იქნება ის, რაც ვაუწყებ. მინდოდა კი გაბრწყინებულ საქართველოს ყველა შევებებოდა.

11. თანამედროვე ოკულტისტები, ვარსკვლავთმრიცხველები უკან აუწყებენ მომავალს მხოლოდ იმისათვის, რომ ხალხი მათ წინასწარმეტყველებას აჰყვეს. გაფრთხილებთ

ყველას! ნუ ენდობთ მათ, ისინი ზეგალინდელი სასჯელის მომლოდინენი ბრძანდებიან.

12. მათი წინასწარმეტყველება ფსკერგავარდნილ ზომადღზე ბაიანის დაკვრას ჰგავს. ასეა, ყველაფერს გეტყვიან, სულის გადამრჩენელი დეაწლის გარდა. ხოლო, ვინც სიცოცხლის ფასად სულის გადარჩენის გზას გიჩვენებთ, იმას ყურს არ უგდებთ ხოლმე თქვენდა სასჯელად.

13. საქართველოს დასჯის უფრო დიდ მიზეზს ნუ ეძებთ. ღვთის რისხვის მიზეზია ერის წარმართული ყოფა. როცა პირგამეხებული მიწა სოფლებს შთანთქავს და ღვთისმადიდებელი ტაძრები თავზე გვენგრევა, კი უნდა მიეხედეთ, სიკვდილი კარზეა მომდგარი. ცდომილებათა გარანდვის ნაცვლად ნუ მიცვეცით ტრადიციულ მთვლემარებას.

14. არც ბ-ნ ზეიად გამსახურდიას აბრალედა ვინმე საქართველოს ეკლესიის დღევანდელ ყოფას, არც პატრიარქს, არც აკადემიის რექტორს, არც ბ-ნ ედიშერ ჭელიძეს და არც ბ-ნ არჩილ მინდიაშვილს. ყველამ კარგად იცის, რომ ეს წარსულ ცდომილებათა ჭირია.

15. და როცა ასე მოველოდით ერთიან ძალისხმევას მართლმადიდებლობის გასარანდავად, პასუხად განუზომელი ცინიზმი და მუქარა მომაგებთ.

ვთქვით და, არსთა განმრვიის ნება განმიცხადებია, რა სასიკეთო მოისადაგეს მამინ მოძალადეებმა? ან რა ვთქვი უკვანო? ან კი განირიდეს ტოლფასოვანი სასჯელი?

16. განა იოტის ოღენით დავეცილი რჯულში ნაბრძანებს? როგორ გავვიგოთ თქვენი წინააღმდეგობა რჯულის კანონის მიმართ წყალში სამგზის შთავლეთი ნათლობის მოწოდებაზე?! როგორ გავვიგოთ წყალკურებითი ნათლობის სიყალბის მიმართ აღმოსაველეთის პატრიარქთა ოროქსებზე თქვენი ამხედრება?! რანს ნიშნავს ყოველივე ეს? ნუთუ

საქართველოს ეკლესიისათვის სხვა კანონები დაიწერა?

17. საბუთად კომენტარების გარეშე გთავაზობთ ერთ უნიკალურ დოკუმენტს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდიდან. დაიჯერეთ, ეს არის უკანასკნელი გაფრთხილება, რასაც საქართველოში არსებულზე უმეტესი ღვთის რისხვა მოჰყვება. ღმერთმა მოგმადლოთ გონიერება, რათა შეიმეცნოთ ჭეშმარიტება, განირიღოთ ამპარტაყენების სული და რჯულმოსილებით ჩადგეთ ღვთისა და ერის სამსახურში.

XVIII საუკუნის ქართლის კათალიკოსი ბესარიონი (ორბულიშვილი), „გრდემლი“, „სიტყვისგებაი ლათინთა მიმართ ჩუენ მართლმადიდებელთა მიერ...“, თავი მეორე:

ნათლისცემისათვის: თუ ვითარა ჩუენ მართლმადიდებელნი მოჰმარაბინასაბრ წმიდართა მონაწილეთასა და ღმერთთაგონილ გმერთასა საზოგადო ამაგასა შინა შთაფლავითა და ფაქლთაგან აღმთხოვითა სახალსა ჯადა წმიდისა საგაბისა ნათლავიდაბთ ხალითა მღვდელთასა, ხოლო ლათინიანი არა მსრამთ, არაჲმდე ყოვლითურთ წინააღმდეგობასა იძჳენ, არც ამაგასა შინა საზოგადო შთაფლავით, არცა მსოლოდ მღვდელთაგან, არაჲმდე ვინაცა ღმერთსა არსთაგანთა და ღმერთა მიმართ ნათლავსა ცაჲმდე.

18. სოფლის ნათელმა ქრისტემ იწება რა ხსნა კაცთა მოდგმისა, გარდამოხდა დაუსაბამო და უხილავე მამის უხრწნელი წიაღიდან და, ცოდვის გარდა, ყოველივეში შეიქმნა მსგავს ჩვენდა და გამოჩნდა, ვითარცა კაცი ორბუნებოვანი, ღვთაებრივი ბუნებით, რათა აღამე აღადგინოს პირველსავე პატივში და ჩვენც ყოველნი, აღამის ცოდვით დასჯილნი, გვაცხოვნოს.

19. ხოლო ხელი და თავი ჩვენი გამოხსნისა სხვა არა არის რა, თვინიერ ნათლისღებისა, იგივე მეორედ შობა წყლისა და სულისაგან, სახელითა წმიდისა სამებისა – მამისა და

ძისა და წმიდისა სულისა, რამეთუ გარეშე ამისა არა იქმნების ცხოვრება ჩვენი.

20. ამიტომ თავად უფალმა, შემდგომად უხრწნელად შობისა, მიწიერი ცხოვრების ოცდამეათე წელს კელაქად თავს იდგა და უცოდველმა და ყოველი ბღწებისაგან თავისუფალმა წყლით განიბანა.

21. განშიშვლებული ჩავიდა მდინარე იორდანეში და იოანე ნათლისმცემლის ხელით ნათელილო, რასაც თვით დაუსაბამო მამა ესწრებოდა უხილაქად, რომელმაც ზეციდან თქვა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი“ და ხმა იგი მტრედის სახით მოსულმა სულიწმიდამ დაამტკიცა და ამით ჩვენც წესად დაგვიღო, რათა განშიშვლებულნი შთავსდეთ წყალში და მღვდლისაგან ნათელვილოთ წმიდა სამების: მამის, ძის და სულიწმიდის სახელით.

22. და ვითარცა ხორციელად შიშველნი დავიბადეთ ღვდის მუცლითგან, ასევე მეორედ ვიშვათ სულიერად წყლისა და სულისაგან.

23. როგორც იგი ეტყოდა ნიკოდიმოსს – რჯულის მოძღვარს: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გუბნები შენ: ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს“. ნიკოდიმოსმა უთხრა მას: „როგორ შეუძლია კაცს იშვას, თუკი იგი მოხუცია? ნუთუ შეძლებს თავისი ღვდის მუცელში მეორედ შევიდეს და იშვას?“ მიუგო იესუმ: „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გუბნები შენ, ვინც წყლისა და სულისაგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში. ხორცისაგან შობილი ხორცია და სულისაგან შობილი – სული. ნუ გაგიკვირდება, რომ გითხარი: თქვენ ხელახლა უნდა იშვათ-მეთქი, ქარი ქრის, სადაც მოისურვებს. მისი ხმა გესმის, მაგრამ არ იცი საიდან მოდის და სად მიდის. ასევეა ყველა, ვინც სულისაგან არის შობილი“.

24. ნიკოდიმოსმა მიუგო და უთხრა მას: „როგორ შეიძლება მოხდეს ეს?“ მიუგო იესომ და უთხრა მას: „შენ ისრაელის მოძღვარი ხარ და განა ეს არ იცი?“ (იოანე, 3, 3-10). რატომ ეუბნება ღმერთი ნიკოდიმოსს: „შენ ის-

რაელის მოძღვარი ხარ და ეს არ იცი?“ როდის ეხილა ან სმენოდა ნიკოდიმოსს საჯულის მიხედვით ნათლისღება, გარდა იოანეს-მიერი ნათლისცემისა, რომელსაც ვერ ხელეწიფებოდა სულიწმინდის მონიჭება, არამედ როგორც თავად იოანე ეუბნებოდა ებრაელებს: „მე წყლით განთლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი, ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმინდითა და ცეცხლით“.

25. და მაშინ მოციქული პავლე „მივიდა ეფესოში და იპოვა ზოგიერთი მოწაფეთაგანი. უთხრა მათ: „თუ მიიღეთ სულიწმიდა, როცა ირწმუნეთ?“ — მათ კი მიუგეს: „არც კი გაგვიგონია, თუ არსებობს სულიწმიდა“. უთხრა მათ: „რიდათი მოინათლეთ?“ მათ უპასუხეს: „იოანეს ნათლისცემით“. თქვა პავლემ: „იოანე ნათლავდა მონანიების ნათლისცემით და ეუბნებოდა ხალხს, რომ ვერწმუნათ მის შემდგომ მომავალი ანუ იესუ ქრისტეს“. ხოლო მათ, რომ ესმათ, მოინათლნენ უფალ იესუს სახელით.

26. როდესაც პავლემ დაასხა მათ ხელი, გადმოვიდა მათზე სულიწმიდა და იწყეს ნებით ლაპარაკი, და გაქადაგდნენ“. ყოველივე ეს ვთქვი იმისათვის, რომ ნიკოდიმოსს სხვაგვარი ნათლობა ისრაელთა შორის არ ეხილა და ისიც იყო არა სულიწმინდის მოწიჭებელი, არამედ მხოლოდ წყლით ნათლისღება სინანულისა. რატომ ეტყვის ქრისტეს ნიკოდიმოსს: „შენ ხარ მოძღვარი ისრაელისა და ესე არა უწყი?“ ძველთაგანვე წინასწარმეტყველთაგან მოსწავებით ცნობილი, რომ არ ყოფილიყო ყოველივე, რად ეტყოდა უფალი ნიკოდიმოსს:

27. „შენ ხარ მოძღვარი ისრაელისა და ესე არა უწყი?“ იმგვარი ნათლისღება, როგორსაც ლათინნი აღასრულებენ — წყლის სხურებით ან მცირედი შეხებით და არა განშიშვლებულად წყლისაგან აღმოშობით — საჯულის მიხედვით, რომ როდისმე აღსრულებულიყო, აღარც უფალი უბრძანებდა „მეორედ უნდა იშვათო“, აღარც თვითონ უფალი აღმოიშობოდა განშიშვლებულად წყლისა-

გან, და არც ნიკოდიმოსს ეტყოდა: „ვინც წყლისა და სულისაგან არ იშვება, ვერ შევატათა სასუფეველში“-ო.

28. ახლა კი სულიწმინდის ძალითვე ვთქვით თუ როგორ მოასწავებდა ძველი საჯული და როგორ სმენოდა ნიკოდიმოსს, განა ნათელი და უცხადესი სახე არ იყო ნათლისღებისა და წყლისაგან აღმოშობისა, რაც დიდმა წინასწარმეტყველმა მოსემ ებრაელთა ეგვიპტიდან გამოყვანისას განაპო მეწამული ზღვა და მთელი სიმრავლე ებრაელთა განიყვანა მასში. როგორც განმარტავს და იტყვის თავად მოციქული პავლე: „არ მინდა, ძმებო, არ იცოდეთ, რომ ჩვენი მამები ყველანი ღრუბელქვეშ იყვნენ და ყველამ გაიარა ზღვაში და ყველანი მოინათლნენ მოსეს მიერ ღრუბელში და ზღვაში. და ყველანი ჭამდნენ ერთსა და იმავე სულიერ საჭმელს, და ყველანი სვამდნენ ერთსა და იმავე სულიერ სასმელს, ეინაიდან სვამდნენ სულიერი კლდიდან, რომელიც თან დაჰყვებოდა მათ. ხოლო ის კლდე იყო ქრისტეს“.

29. ეს იყო ცხადი, მეორედ შობა წყლითა, რამეთუ მთელმა სიმრავლემ ისრაელთა ისე განვლო ეს გზა განაპობილ წყალში, რომ ფეხით თავამდე და მრავლად უმაღლეს თავისა იყო წყალი.

30. ასევე დავითის მიერ თქმული: „გულის ხმა ჰყავ, ვითარმედ უფალმან წყლით რღვნა დაამკვიდროს და დაჰდის უფალი მეუფედ უკუე“. რა უნდა იყოს წყლით რღვნა, რომელიც დაამკვიდრა უფალმა? რა თქმა უნდა, ეს არის წმიდა ნათლისღება, რამეთუ მით წარიხოცება ყოველგვარი სიბილწე ცოდვისა, რაც ქრისტეს თანამკვიდრად გვხდის და გვანიჭებს ღვთისშეილობას. ერთნაირად იქნება წყლით რღვნა, თუკი აღამიანი წყლისაგან არ აღმოიშვა, რამედ წყალი ისხუა ან იცხო ერთი რომელიმე ასოთაგანზე, ხოლო სხეულის უდიდესი ნაწილი დარჩა წყალს მი-

უახლოვებელი? წყლით რღვნა იმას ეწოდებოდა, რომ კაცი სრულად ჩავიდეს წყალში და აღმოიშობოს მისგან, რომლის დროსაც წმიდა სამების სახელით სულისა და ხორცის ყოველგვარი სიბილწე წარიხოცება. როგორც სხეულის ბიწი ვერ განიწმინდება მთელი სხეულის დალტობის გარეშე, ასევეა სულიც სულიწმინდის გარეშე. ყოველი საიდუმლო ხილული მხარით განმტკიცება, ხოლო უხილავი მხარე სრულყოფს მას.

32. აგრეთვე განცხადებულად მოასწავებდა ნათლისღების შესახებ, ელისეს მიერ წყლის სიღრმეთაგან რკინის ამოღება, რამეთუ, მცირედი წყლის გარეგანი შეხება ან სხურება კი არა, არამედ მხოლოდ წყალსა შინა სრულად და მისგან აღმოშობა გვანიჭებს ღვთისშვილობას. აგრეთვე, ელისეს სიტყვით, ნემან ასურელის განშიშვლებულად იორდანეში ჩასვლა და კეთრისაგან განწმენდა, განცხადებულად მოასწავებდა ნათლისღების შესახებ, რამეთუ წყალი კი არ იცხორ ან ისხურა სხეულის მცირედ ნაწილზე, არამედ განშიშვლებული ჩავიდა მდინარეში და ამგვარად აღმოიშვა წყლისაგან.

33. მრავალი ამგვარი მაგალითის შესახებ წაეკითხა ნიკოდიმოსს და ამიტომაც ეუბნებოდა უფალი: „შენ ისრაელის მოძღვარი ხარ და ეს არა იცი“?

34. და ყოველივე ამის ჭეშმარიტებით მცოდნე იოანე ნათლისმცემელი ებრაელებს განშიშვლებულთ ნათლავდა მდინარე იორდანეში და ეტყოდა: „ეინც მომავლინა, მანვე მიბრძანა, რათა ამგვარად ექმნა“.

35. ასევე წმიდა მოციქულთა წიგნები გვასწავლიან წმიდა სამების სახელით წყალში განშიშვლებულად სამგზის ნათლისღებას. როგორც წერილ არს, ფილიპეს მიერ საჭურისის ნათლისცემის შესახებ, ფილიპე და საჭურისი ორნივე ჩავიდნენ წყალში. აგრეთვე წმ. მოციქული პეტრე განშიშვლე-

ბულთ ნათლავდა, როგორც წმ. კლემენტოსის ცხოვრებაში მოთხრობილი — კლემენტოსის ღედ-მამა და სხვა მავალი განშიშვლებულნი მონათლა მდინარეში.

36. ასევე პეტრე მოციქულის მოწაფის პანკრატ მოციქულის ცხოვრება მოგვითხრობს თუ როგორ ნათლავდა ურიცხვ განშიშვლებულ ხალხს მდინარეში. ამის შესახებ მრავლად გვაქვს მაგალითი წმიდა მოციქულთა ცხოვრებიდან და წმიდა წერილთაგან, თუ როგორ ნათლავდნენ განშიშვლებულებს; ყოველი მათგანის მოხმობა შეუძლებელია, აღწერ მხოლოდ მცირედს მათგან, რათა ცხადი შეიქნეს ჭეშმარიტება. ასევე გრიგორი პართეველმა სომხეთის განმანათლებელმა განშიშვლებულთ ნათელსცა მეფე თრდატსა და ერსა მისსა, რომლის შესახებაც ვერცლადა მოთხრობილი მისსავე ცხოვრებაში.

37. ამიტომაც მოციქულთა მიერ განწესა ეკლესიაში. ემბაზში ან მდინარეში სამგზის შთაფლეთა და აღმოშობით ნათლისღება სასულითა წმიდისა სამებისა: მამისა და ძისა და წმიდისა სულისათა, რაც წმ. მთავარმოციქულთა პეტრესა და პავლეს ბრძანებით აღწერა კლემენტოსმა. იგივეს ამტკიცებს ნიკეის პირველი კრება, რომელსაც ესწრებოდა სამას თერამეტი წმიდა მამა: „ეინაც არა ნათელსცეს წმ. სამების — მამის, ძისა და სულიწმინდის სახელით სამჯერ შთაყოფითა, იყავნ იგი შეჩვენებულ“.

38. ამასვე ამტკიცებს ყოველი კრება, როგორც პავლე მოციქული ამბობს: „ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესუში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომაც თანა დაფუძვნით მასთან სიკვდილში ნათლისღებით“. განა წყალში დაფლავზე არ მიგვანიშნებს მოციქული, ან იქნებ მცირედი წყლის ცხებასა ან სხურებაზე? ნუ იყოფინ.

39. ასევე დიდი რომის პაპი სილიბისტრო (სელვესტრი) ემბაზში ნათლავდა მრავალს, ისევე, როგორც დიდ კონსტანტინესა და მის მთავრებს ემბაზშივე ნათელსცა. იგივე და

კიდევ სხვა უდიდესი ემბაზი დღევანდლამდე დგას მოციქულთა იმავე ეკლესიაში სარცხენელად და პირის დასაყოფელად მათდა, რომელიც გარდაღან წმ. მოციქულთა და ღმერთშემოსილ მამათა განწესებას.

40. ახლა კი კითხვით პაპის მოსახეთ თუ რა მიზეზით ნათელსცემენ მხოლოდ მცირედი წყლის შეხებით ან სხურებით, თუ რატომ ნათელსცემენ არა მხოლოდ მღვდელმსახურნი, არამედ ერისკაცნიცა და ქაღნიც, რის გამოც მათგან ნათელდებულთ ნათლის მინიჭების მაგიერ, სრულიად განუნათლაეთ დაუტევებენ ბნელში, და ეს მამინ, როცა წმიდანი მოციქულნი, წმ. მამანი, მოციქულთა მიმამბავი რომის პაპი სილიბისტრო ნათელსცემდნენ ემბაზსა შინა სამგზის შთაფლვითა და აღმოსობითა და შეიდივე მსოფლიო კრებანი იგივეს განაწესებენ. ქრისტეს მოძღვრების თანახმად, რომელმაც თვითონ განშიშვლებულმა იორდანეში ნათელილი იოანე ნათლსმცემლის ხელით, რომელიც იყო ზაქარიას ძე, სამღვდლოთა ტომისაგან. არცა სადმე წერილა, არცა ვისმე სმენია, რომ ჩვენს მიერ მოხსენებულისაგან განსხვავებული იყეთი ნათლობით, ისე, როგორც ამას პაპის მოსაენი აღასრულებენ, ვინმეს ნათელ ეღო, რითაც ისინი არღვევენ რჯულს და გარდაეღვენ წმ. მოციქულთა და ღმერთშემოსილ მამათაგან დაწესებულ საზღვრებს. და არაგულისხმავ ყოფენ ღმრთის სიტყვებს, რომელიც ბრძანებს: „ვინც დაარღვევს ერთს ამ უმცირესს მცნებათაგნს და ისე ასწავლის ადამიანებს, უმციურესი დაერქმევა მას ცათა სასუფიველიში“.

41. აი, როგორი შეურაცხყოფილი, უპატიო და დასჯილი იქნება მეორედ მოსვლის დროს ქრისტეს საყდრის წინაშე, რამეთუ, ოქროპირის განმარტებისამებრ, თავის მეორედ მოსვლას უწოდა უფალმა სასუფეველი და თუკი ამ უმცირესისადმი ესოდენ ღიდ სასჯელს განაწესებს ღმერთი, რომელი მცნებაა მასზე უდიდესი ან ამაზე უადრესი და უპირატესი, რომელიც თავად უფალმა აღასრულა, რაჟამს თავი თავისი გამოუცნადა

ქვეყანას და საქმით გვასწავლა განშიშვლებულთა ნათლისღება წყალთა შინა და ნიკოიმოსისც კანონად დაუღვა: „ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღვთის სასუფეველში“. ამას ყოველივეს არღვევენ და გარდახდებიან, სასჯელისა კი არ ეშინიანთ, არ კი რცხენიანთ ესოდენ უწესობათა გამო და ამბობენ: „თუკი სხეულის რომელიმე ასოს შეეხება წყალი, მთელი სხეული განიწმინდებაო“.

42. ამას ყოველივეს საღვთო სიტყვის გარეშე ამბობენ. არავინა ჰყავთ მოწმე. ამგვარი ქცევის გამმართლებელი არცა ვისმეს სმენია, რომ ამგვარად ვისმეს ნათელეცა ან იგავით მაინც ვინმეს მოესწავებინა. არამედ თვითონვე დაარღვიეს ეს საიუფეო რჯული და განაწესეს ამგვარი უწესო მოძღვრება. „ვაი სულისა მათისა, რამეთუ იზრახეს ზრახვა ბოროტე, ჰგონებდეს თავთა თვისთა ბრძენ და განცოფნეს“.

43. ვინაიდან წყლისა და სულისაგან მეორედ შობა გვიბრძანა უფალმა, როგორც ყრმა იშვება ღედის მუცლისაგან, ასევე გვევალება მეორედ შობა ემბაზში ან მდინარეში და არა ერთ რომელიმე ასოთაგანის დაღტობა წყლით, ხოლო დანარჩენი სხეულისა კი განხმობა. განა შესაძლებელია სხეულის ერთი, რომელიმე ასო, გინდ თავი ან რომელიმე სხვა იშვას ღედის მუცლისაგან, ხოლო დანარჩენი ნაწილი სხეულისა მუცელშივე დარჩეს. თუმცა შობა კი ერქმევა, მაგრამ განა იქნება იგი სიცოცხლის შემძლებელი სრული კაცი? ასევე შეუძლებელია, რომ სხეულის მხოლოდ ერთ ასოს შეეხოს წყალი, სხეულის დანარჩენი ნაწილის განუბანელად და შეირაცხოს იგი ძედ ნათლისა და შეიღად სასუფევისა, რამეთუ ამგვარად შეუძლებელია მეორედ შობის აღსრულება.

44. ასე გარდაღან და არღვევენ წმ. მოციქულთა და წმ. მამათაგან განწესებულ კა-



აი, აგვარია ჭეშმარიტი ნათლობის წესი.

* * *

45. ამის შემდეგ მაინც ნუ ღავიჩემებთ სხვათა საამებლად რჯულის ხაზიანოხ. აკო თვალნათლიე ინილეთ წყალბკურებითი ნათლობის სიბილწე, რომლის შესაკუთრობამ ერი ღვთის რისხვას შეუყენა.

46. მომიტყეეთ, თუ გაფიცებულეკარ, როცა ტრადიციული ერუხის გამოერის განწირულობა მიხილავს და ეერ ღამითმენია. ქრისტე ღმერთს ვთხოვ, ძმობის ღირსად გაგუნაღოს ღვთის ერთგულნი და ღვთისმოშიშნი.

47. რჯულმოხილუბის დაბრუნებით შეგუყენოს სულის ხანსნელ გზას ჩვენი ერის საღბინობელად და მოყვასთა საკეთილოდ ამენ!

ნონებს. არცა ემბახსა შინა ნათელსცემენ სამეზის და ისიც არა მხოლოდ მღვდელმსახურნი, არამედ ერისკაცნიცა და ქალნიც და ეგონებ, რომ ამგვარი რამ არავის არსად სმენია, რამეთუ საქმე საეჭვო რჯულად არ განწესდება, არამედ ქრისტესი, მისთა მოციქულთა და მათ მიმბაძავ ღვთისმეტყველ მამათა რჯული მტკიცეა და უცვალებელი. რამეთუ იგი ბრძანებს: ვიდრე ცა და ღეღამიწა არ გადაივლის, არც ერთი იოლი ანდა არც ერთი წერტილი არ გადაივლის რჯულისა. მათი აზრით, ქრისტეს ამ ბრძანების დადრეკვა შეიძლება, ხოლო პაპის სიტყვისა კი არა, რომელიც დღითი დღე ცვლის და გარდადის წმ. მამათაგან დაწესებულ სასწვრებს და მათ საწინააღმდეგოდ თავისი რჯულდებით მოძღვრავს ყოველთა მისთა მოსავთა.

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ს ა მ მ

შეწყდეს ცრუ ბაგეთა ბაბანი

(გაზეთი „ტყუილ-მართალი“, 1993 წ., №1)

1. იმისათვის, რომ უკიდურესად დაძაბონ ურთიერთობა ოფიციალურ ეკლესიასა და ძველმართლმადიდებლებს შორის, ზოგნი დაუკვირებელნი, პატრიარქის სახელით მთავრობის წარმომადგენლებს აიძულებენ არაკონსტიტუციური გადაწყვეტილება მიადებიონ. ამგვარ გაუაზრებელ მოქმედებაში არაფერია საკეთილო და საშურველი. გონიერთ მართებდათ სხვაგვარად ედგაწათ ქართული ეკლესიის სიწმინდისათვის.

2. საუკუნეების მანძილზე თან გვედგა დატყეული ეკლესიური ყოფა. შემდგომ მას ცნობილი 70-წლიანი ათეისტური ოკეანის მშფოთვერებაც დაერთო (ხომალდის მესაჭის მდგომარეობა აქ ნათელია). ებრაელი ერისა არ იყოს, ეკლესიასაც თავის გადასარჩენად გააზრებული სვლა-ღავირება მართებდა.

3. წლების მანძილზე კომუნისტური ზეწოლით დაკომპლექტებულ ეკლესიებში „ჰადრთა“ დუღილმა აპოგეას მიადწია. ათეიზმმა პატრიარქს მწყემსმთავრის კომბალი ხელდასამშენებელ რეკვიზიტად უქცია. კომბლის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ მგელთა ხროვამ მრვალობა იწყო; როგორ მოვიქცეთ?! (პოლემიკის გაგრძელება სასულიერო აკადემიის რექტორთან. პასუხის პასუხი).

4. როგორ საამოდ ააქლერებთ ხოლმე ქართულ ანბანს, როცა ასე ომანინად განაცხადებთ:

5. „საქართველოს საუკუნეების მანძილზე ემსახურება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაო“.

6. რატომ გავიწყდებათ, როცა ლაპარაკია ეკლესიაზე, იგულისხმება მართლმადიდებ-

ლური წმინდა ტაძარი, თორემ დღეს არსებული ეკლესიაზე ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ხანაში წერდა მემპტიანე:

7. „წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმერთისანი, ქვაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესთა მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით დაეპყრნენ უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა, ავაზაკთა, და მათთავე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსონი დაუდგინეს რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქვეშათა ყოველთა და თვით სახელით უფლისაით და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 327).

8. თქვენგან რა სასიკეთო გამოვიდა, გვიპასუხეთ ერთი, რომ ბრძანებით, მწვალებლობა მრავალი იყო, მაგრამ ერთი წმინდა საკრებო და სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე დგასა?! მოგახსენებთ, თუკი დგას, თქვენნართა წყალობით ნამდვილად ვერა, რჯულისკანონისა და გადმონაცემთა მტკიცედ მყრობელთა მიერ შენარჩუნებულა იგი. თქვენ კი ამიოდ მოგიმიშვლებით თავი საგვირგვინოდ. ამ გვირგვინს მოციქულთა ნათლობის არამქონეთ და მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრ სასულიერო მოძღვრებს არ აღგაგონ, ისინი უფრო ღვთის რისხვის მომლოდინენი უნდა იყვნენ.

9. შევასენოთ მკითხველს ავტორის მტკიცე მოსაზრება.

თქვენს სტატიაში კათოლიკეებს მწვალებლებად წარმოაჩენთ, როცა განგვიმარტავთ: „XI საუკუნიდან დასავლეთში იწყება განხეთქილება და ახალი მწვალებლური მიმდინარეობა ჯერ კათოლიციზმის, ხოლო შემდეგ რეფორმაციის, პროტესტანტიზმის და ბოლოს სექტანტობის სახით“.

10. სამარცხვინოა, ხალხის თვალის ასახვევად კათოლიციზმს მწვალებლობად აღი-

არებთ, ხოლო ამ მწვალებელთა თავგაცისკან ამბორით კურთხევას ღებულობთ. მის ტრაპეზს უზინართ და მათ კარდინალებს „მართლმადიდებლურად“ ლოშნით.

11. იტყვით კათოლიკეთა მწვალებლობაზე და იმავე კათოლიკეებს თქვენს მოწონებულ ეკლესიაში აზიარებთ. მერმედ შემეგვითხებით, მოციქულთა 46-ე კანონი აქ რა შუაშია, რომელიც ერეტიკული ნათლობის შემწვნარებელ მღვდელმსახურთა განკვეთას ითხოვსო. თუკი მწვალებელი შენს ტაძარში აზიარე, ვინც უნდა იყოს ის, „დედა“ ტერეზა იქნება თუ სხვა, ნიშნავს, რომ მათი წყალპკურებითი ერეტიკული ნათლობა მოციქულებრივ ნათლობად გიგულევათ, ამიტომაც ბრძანდებით განკვეთილნი.

12. მონოფიზიტ-მწვალებლებს რომ თქვენს ტაძარში აწირვინებთ, აქაც, ამავე მოციქულთა 46-ე კანონის მიხედვით, განკვეთილნი ბრძანდებით. სექტანტების განსაქიქებელსაც იტყვით, თითქოსდა ბიწი რომ სი შვეხოს თქვენს მართლმადიდებლურ სარწმინდეს და ამავე სექტანტური საძმოდ გაერთიანების — მსოფლიო ეკლესიათა საბჭოს წევრი კი ბრძანდებით, რის გამოც რისხვა ღვთისა არ ააცდინეთ საქართველოს, და ყოველივე ამის შემდეგ უნდა დადუმდეს ცრუ ბაგე, ოდნავი სინდისის ნატამალი თუკი შეგრაზთ, მაგრამ ზომ ვიცით თქვენი სიკეთისა, მემადე ქალის მოჭრილი თავივით ისევ მართლებას ეცდებით.

13. იტყვით თქვენს წერილში: „მართლმადიდებელი ეკლესიის კრიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოსავალ წერტილად ბატონ მურთაზს მიაჩნია ნათლისღების საიდუმლო და საბუთად მოჰყავს მოციქულთა კანონების 50-ე მუხლი. უნდა ითქვას, რომ პატრიარქ ნიკონის დროს განხეთქილება ამის გამო არ მომხდარა (ეს რა ახალი ამბავი გვასმინეს. — ი.-ი.). ბატონი მურთაზი თავის წერილში თვითონ მოწმობს, რომ XVII-XIX საუკუნეებში აღმოსავლეთის პატრიარქები უაყოფენ ლათინელთა წყალპკურებით ნათ-

ლობას, ამას დღესაც უარყოფს მართლმადიდებელი ეკლესია...”

14. სწორედ ეს არის სატანური ქმედება, უარყოფს და თავად ამ წესით ნათლავს; ვის წინაშე აგოს პასუხი? ვინ სთხოვს რამეზე პასუხს, შთაერობა? ეკლესია საკურთხეველიდან უნდა იქნეს დანგრეული და დაუკომპლექტა კიდევაც სუკის აგენტებით, განა მათივე ღვთისმგმობარი მეთოდი არ იყო იმ-თავითვე ტაძრებში იმპოტენტთა (მამათმავალთა) კადრებით შევსება?

15. რისთვის ყველაფერი ეს? ამგვარ უზნეო მღვდელმსახურთა მაცქერლებს ღმერთის რწმენა რომ დაჰკარგოდათ. თუკი ამ 70 წლის მანძილზე ათეისტ-კომუნისტთა საბრძოლო მეთოდები ასე შესანიშნავად გამოიყენეს, ახალ ხერხებზე ვინდა აგებინებს პასუხს დღევანდელ ეკლესიას? პასუხის მომთხოვნი მთავრობა ჯერ არა გვყავს, ტრადიციული მეთოდი გრძელდება. ვრი? ვრი, რა თქმა უნდა, კვლავ ღვთის რისხვის ქვეშ რჩება.

16. თუმცა ზედმეტია ზემოთ ბრალდებათა შემდეგ კიდევ რამის მტკიცება, მაგრამ მაინც ვიძლევი ნათლობაზე მცირე განმარტებას არა ოპონენტის, არამედ მკითხველთათვის.

17. სტატიის მიხედვით თქვენი პრეტენზიული განაცხადი ნათლობაზე შემდეგია:

I. ბრძანებთ, რომ თითქოსდა მოციქულთა 50-ე კანონში არაფერია თქმული სამჯერ წყალში შთაფლვაზე და „სამი ნათლისღებაც“ არ ნიშნავს სამჯერ შთაფლვას.

II. წყალპკურებითი ნათლობა ჭეშმარიტ ნათლობად მიგაჩნიათ, რადგან დღემდე ამ წესით ნათლავთ.

III. ნათლისღებისათვის სადღეისოდ უკვე წყალსაც კი ზედმეტად მიიჩნევთ, როცა სულისწმინდე ნათლობას ახსენებთ.

18. მაშ ასე, ვიძლევი პასუხს დაბნეული ხალხისთვის, თორემ ზემოთ თქვენი განცხადების გამო პირდაპირ ანათემას შეიძლება შეგიყენოთ კაცმა, ვინაიდან ნათლობის თქვენი ამგვარი ინტერპრეტაციის წყალობით ზღვა

ცდუნებულებით ჯოჯოხეთი მჭიდროდ დაასახელებთ.

19. პირველი საკითხის პასუხი:

ვდიშერ ჭელიძის წიგნს რომ დიდი ამბით მოიშველიებთ ხოლმე თქვენი პოზიციის გასამტკიცებლად, ჯერ იმაში მაინც შეთანხმდით, სამი ნათლისღება სამჯერ შთაფლვას ნიშნავს თუ არა.

20. ედიშერ ჭელიძეს იმდენი მაინც ესმის, რომ ამაზე არ იდავოს, თქვენ კი სასულიერო აკადემიის რექტორი გამზდარხართ და ახლავს არკვევთ „სამი ნათლისღება“ „ტრია ბაპტიზმა“, „ტრი პოგრუჟენია“ სამჯერ წყალში შთაფლვას ნიშნავს თუ არა.

21. „ნათლისღება“ ებრაულად ითქმის — „აბტალა“, რაც ნიშნავს შთაფლვას, ჩადირვას (ერეკ ნიუსტრემი, ბიბლიური ლექსიკონი, კანადა, 1985 წ., გვ. 244).

22. იქვე განმარტებულია:

„თავიდან ნათლისღება სრულდებოდა ღია ცის ქვეშ, მდინარეებში და ტბებში შთაფლვით... გვიან იქნა შემოღებული წყალპკურება“ (გვ. 224-25).

23. ბერძნული „ტრია ბაპტიზმა“, ქართული „სამი ნათლისღება“ ანუ „სამი ჩაყოფა“ და სლავური „ტრი პოგრუჟენია“ რომ ზემოხსენებულ სამგზის შთაფლვას გულისხმობს, ამას ადასტურებენ შუა საუკუნეების დიდი რეჯულისკანონის ბერძენი თეოლოგიკომენტატორები:

24. „და ეს კანონი იმავე ძლიერებისაა, რამეთუ განსაზღვრავს ნათლობის აღსრულებას სამგზის შთაფლვით“... (სამგანმარტებიანი რეჯულისკანონი, კანონი 50-ე, ბალსამონის განმარტება ნათლობის შესახებ).

25. ზონარი კი პირდაპირ მიგვანიშნებს თუ რას ნიშნავს „სამი ნათლისღება“:

„სამი შთაფლვა აქ კანონით იწოდება „სამ ნათლისღებად“ (სამგანმარტებიანი რეჯულისკანონი, კანონი 50-ე).

გაზეთი „ტყუილ-მართალი“

26. ჩაიხედეთ თქვენსავე საპატრიარქოს მიერ გამოცემულ 1987 წლის საეკლესიო კალენდარში და სქოლიოში იხილეთ მოციქულთა 50-ე მუხლის განმარტება: „სამი ნათლისღება“ სამჯერ წყალში მთაფლვას ნიშნავს. ამასვე მოგახსენებთ თქვენივე მეგობარი ედ. ჭელიძე თავის წიგნში. სხვათა შორის, ლათინელებიც ნათლობას ამავე სახით ცნობენ — „მერსიო“ შთაფლვას, ჩამირვას ნიშნავს.

27. ამ საკითხზე თუ კიდევ რამ გაგიჩნდათ, სადავო, ბატონო რექტორო, მე ნუ შემანწუხებთ, მიმართეთ თქვენს მეგობარ ჭელიძეს და ის გიწორწულვით ყურში. თქვენ აქ გამოამჟღავნეთ სრული უცოდინარობა.

საკითხი მეორე: წყალბჭურებითი ნათლობა ჭეშმარიტ ნათლობად რომ გიგუგუვიათ, ამაზე აღმოსავლეთის პატრიარქების ოროქებზე გააცემენ პასუხს:

28. დოკუმენტი ა:

1755 წელს, კირილე პატრიარქის დროს, კონსტანტინოპოლის კრება ღებულობს ოროქსს, აღექვსანდრიის პატრიარქ მათესა და იერუსალიმის პატრიარქ პართენის ხელმოწერით, სადაც ნათქვამია:

29. „ჩვენ მიგვარჩია ღირსეული განსჯის საკითხად და საზიზღარ ნათლობად ერეტყუელი ნათლისღება, რომელიც არ ვთანხმება და ეწინააღმდეგება სამოციქულო საღვთო დადგენილებას. იგი სხვა არა არის რა, თუ არა გამოუსადეგარი განბანვა კათაქმველთა, საერთოდ არა განმნათველი და არც ცოდვებისაგან განმწმენდელი. აი, რატომ ვნათლავთ მათ თავიდან. როცა ისინი უბრუნდებიან მართლმადიდებლობას, ჩვენ მათ ვღებულობთ, როგორც უნათლავებს და ყოველგვარ ეჭვის გარეშე ნათელს ვცემთ მოციქულთა წესის მიხედვით“.

30. დოკუმენტი ბ:

1756 წელს, კონსტანტინოპოლის კრების თანახმად, დასავლეთის ქრისტიანები მართლმადიდებლობასთან შემოერთებისას მიიღებიან პირველი ჩინით, როგორც წარმართები. „პიდალიონში“ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სრულიად ცალსახა განმარტება: „ლათინური ნათლობა (ლაპარაკია წყალბჭურებით ნათლობაზე. — ი. ი.) ცრუდ იწოდება ამ სახელწოდებით. ის არ არის საერთოდ ნათლობა, არამედ მხოლოდ ბანჯაა. ამიტომაც არ გამბობთ ჩვენ, ლათინელებს გადავენათლავთო, არამედ, ვნათლავთ მათ“.

31. დოკუმენტი გ:

1848 წელს აღმოსავლეთის პატრიარქებმა თავიანთი ერთიანი სინოდებით გამოუშვეს „საოლქო ეპისტოლე“, რომელშიაც უწინარესად აშხველენ ლათინელებს ნათლისღების შერყვნის გამო.

32. დოკუმენტი დ:

1895 წელს იმავე კვლევაც დადასტურა თავის სასინოდო ეპისტოლეში, რომ უარყოფს წყალბჭურებით ნათლობას, როგორც ლათინურ სიანსლეს და ღებულობს მხოლოდ სამჯერ შთაფლვით ნათლობას.

ამდენად, ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტი უფლებას გვაძლევს, უკუვაგლოთ წყალბჭურებითი ლათინური ნათლობა და ვიპყრათ მხოლოდ დიდი რჯულისკანონის მიერ სამჯერ წყალში შთაფლვითი სამოციქულო ნათლობის წესი.

იგივეს იმეორებს XVIII საუკუნის ქართლის კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონი (ორბელიძეილი), როცა ნაშრომში „გრდემლი“ განაცხადებს, რომ ლათინური წყალბჭურებითი ნათლობა არის ერეტყუელი ნათლობა. მართლმადიდებლურია მხოლოდ წყალში შთაფლვითი ნათლობა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ორბელიძეილი, „გრდემლი“).

33. იხილეთ შემდეგი საბუთებიც წყალბჭურებითი ნათლობის შესახებ თვით ბერძნული ნომოკანონიდან:

34. „თუკი მღვდელი ბავშვს ნათლავს და წყალს აბჭურებს ქურჭლიდან და არ შთ-

აფლავს მას, იგი განიკვეთოს. ნათლობის საიდუმლო საჭიროა შესრულდეს წმ. მამათა გადმოცემის მიხედვით არა წყლის დასხმით-სურებით, არამედ სამაგურ შთაფლვით. გახსოვდეს, ეს ცნობილია, ჯერ შთაასხი წყალი ემბაზში და შთაფალი მოსანათლი და არა აკურთ წყალი“ (ნომოკანონი, სწავლება მიტროპოლიტ ფოტისა – თუ როგორ მოინათლოს ბავშვი, ზელნაწერი, 1639 წ.).

35. შემდეგი დოკუმენტები:

„ლათინელები მოუნათლავები რჩებიან იმის გამო, რომ არ აღასრულებენ წყალში სამაგურ შთაფლვით ნათლობას, რაც სამოციქულო კანონია მართლმადიდებლურ ეკლესიაში. უძველესი ანუ იმ პირველთაგანი, რომლებმაც გააუქმეს სამოციქულო ნათლობა, ასრულებდნენ თავზე წყალდასხმას მცირედი წყლის გადავლებით, რასაც ისინი დღემდე ასრულებენ ზოგიერთ ადგილებში.“

36. ზოგნი ბავშვებს შუბლზე სამაგურ ფუნჯით აკურებენ რამდენიმე წვეთ წყალს, ხოლო ზოგან წყალში ასველებენ ბამბის ნაჭერს და წასცხებენ მოსანათლავს შუბლზე... ამგვარად ლათინური წყალაკურება მოკლებულია სულიწმიდის მიღებისა და ცოდვების მიტევების ყოველგვარ მაღლს“ (წიგნში: „ოკრეშჩენიი გრეჩესკოი ცერკვი“, 1903 წ., გვ. 246-249).

37. იქვე, 275-ე გვერდზე ვკითხულობთ:

„ლათინელები ერეტიკოსებია; როგორც მოუნათლავებს, მათ არ გააჩნიათ არავითარი საეკლესიო საიდუმლო. მათგან მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაბრუნებულნი უნდა გადაინათლონ“.

38. იქვე, გვ. 33-34 ვკითხულობთ:

„აი ასეთია მართებული კანონი ბერძნული ეკლესიისა კათოლიკების მიღების თაობაზე. ადგენენ, რომ ისინი მიიღონ მხოლოდ პირველი ჩინით, ესე იგი თავიდან განათლვით“.

39. როცა იტყვიან ხოლმე, წყალაკურებით კი არა, ქვიშითაც ინათლება კაცის, ეს იმას ნიშნავს, რომ თითქოსდა „ჭეშმარიტება“

მხოლოდ თქვენ გიპყრიათ და აბსურდი ყოფილა კონსტანტინოპოლის, იერუსალიმისა და ალექსანდრიის პატრიარქთა მიერ გამოცემული ზემოთ ნაუწყებები ოროქსები ლათინური ნათლობის ერეტიკულობასთან დაკავშირებით. არც სლავეები ყოფილან მაშინ სანდონი, რადგან ისინიც იგივეს იმეორებენ, რასაც აღმოსავლეთის ეკლესიის მწყემს-მთავრნი.

40. და, ბოლოს, არც XVIII საუკუნის იმ ქართველ პატრიარქს სცოდნია ბევრი რამ, რადგანაც მანაც იგივე დაიწემა თავის ნაშრომში „გრდემლი“. გუნდავ, ისე მოგეძალათ მთელეპარების სული, რომ ნათლობაზე თქვნი ქართვშუტული მიდგომით უკვე წყალსაც კი გამორიცხაეთ ხილულ მასალად, რითაც აუქმებთ ქრისტესმიერ წყლიდან დაბადების რჯულდებას: „იენც არ დაიბადება წყლისა და სულისგან, ვერ შევა ღმრთის სასუფეველში“. და თუკი ამას 1911 წლის ქართულ კატეხიზმომი დაბეჭდილი ნათლობის განმარტებასაც დაეუმატებთ, სადაც ნათქვამია:

- I. მასალა საიდუმლოებისათვის – წყალი,
 - II. შთაფლვა წყალში სამგზის და
 - III. სიტყვები: ნათელს იღებს მონა ღვთისა... სახელითა მამისათა, აჲენ; და ძისათა, აჲენ; და სულისა წმინდისათა, აჲენ.
- (კატეხიზმო, 1911 წ., გვ. 159).

41. გვინებ, უნდა ეკმარისა ღვთისმომშიშს ეგ საბუთები ჭეშმარიტების დასტურად, მაგრამ რა გითხრათ, რა, სასმენელის მქონენო ყრუნო და თვალისჩინის მქონენო ბრძანო?! სისულელეს რომ ბრძანებთ: რაც კანონით აკრძალული არ არის, ის დასაშვებიაო. განა თქვენ ის ხალხი არ ბრძანდებით, რაც კანონით აკრძალულია, სწორედ იმას რომ ჩადიხართ?! სახელდობრ, აკრძალულია სანახაობებზე მღვდელმსახურთა დასწრება, მაგრამ ოპერის თეატრსა და ცირკს მაინც ვერ

გაზეთი „ტყუილ-მართალი“

თმობთ. აკრძალულია დოდის ცეკრაც კი, თქვენ კი სადაცაა სტადიონზე ბურთს შეიყვანთ თამაშში.

42. აკრძალულია მარხვაში ხორცის ჭამა იმ დონემდეც კი, რომ სასჯელად ანათემა დაადგინეს წმიდა მამებმა: თქვენს მღვდელმსახურთ კი ამ დროს ცხვირიდან მწვალებისა და ხინკლის წვენი გასდით. იცით, რომ აკრძალულია მღვდელმსახურთათვის საერო სამსახურის პერობა, მაგრამ ორგანიზაცია არ დარჩა საქართველოში, თქვენ რომ წვერი არ იყოთ: ეს „თბილისელიო“, ეს „რუსთაველის საზოგადოებაო“, ეს „მერიანო“; პრეფექტობაც კი დაიმშენეთ, რისთვისაც, რჯულისკანონის მიხედვით, განკვეთა გეკუთვნით ეკლესიიდან, რადგან ვერ დაცხრა თქვენი გემომთოყვარება და ამპარტყენება. თქვენმა მამათმაუკლებმა და ყანალებმა ციხეები მოინახულეს და მერმე კვლავ ეკლესიები „დაამშვენეს“ განახლებული „ღვანულით“. ვისაც თქვენი საქციელი მოსწონს, იგი თქვენნაირია და ვინც თქვენ გიცავთ, ვერც ისინი დაიჩემებენ დიდ სიწმინდეს. მერწმუნეთ, ისინიც თქვენნაირები არიან.

43. უსირცხვილოდ რომ აცხადებთ, რაც კანონით აკრძალული არ არის, ის ნებადართულიაო. მაშ, იმის გამო, რომ ლიტურგიის აღსრულებისას არაფერია თქმული მღვდელმსახურთა სიშიშველზე და აბა, თქვენ იცით, შიშვლებმა ჩაატარეთ ლიტურგია. არც ყირაზე დგომა აუკრძალავთ ნათლობისას; აბა, თქვენ იცით, არც აქ დაიკლოთ სიამოვნება. ანათემა! დღემდე გაიძახის დიდი რჯულისკანონი, მაგრამ კანონი კანონად რჩება, უკანონობა კი კანონით დაუსჯელი ხდება.

44. ჩვენი ეკლესია დღემდე წმიდა მამათა სწავლებით იღვწისო, ბრძანებთ. რაში გამოინატება იგი? განა ასზე მეტი საანათემო საქციელი არ გაგაჩნიათ რჯულისა და გადმოხატვითა უარყოფილებს?!

რომ ბრძანებთ: „თქვენ ხომ მონათლული იყავით ჩვენი ეკლესიის მიერ მამისა, ძისა და სულიწმიდის სახელით, მაშ, რატომ გადაინათლეთო“, მოგახსენებთ:

45. მამის, ძისა და სულიწმიდის სახელის მოწოდება კი არ შეულის ნათლულებას, არამედ ის წესი, რაც ქართულ 1911 წლის კატეხიზმომიც გარკვევით მიგვანიშნებს:

46. „ნათლისღება არის საიდუმლო, რომელშიც მორწმუნე სხეულის წყალში სამგზის შთაფლვით და მოწოდებით ღვთისა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა განიწმინდება ცოდვისაგან და მეორედ იშვება ახალი სულიერი ცხოვრებისათვის“.

47. და, ვინაიდან მეც თქვენნაირი წყალპკურებითი ნათლობით ვიყავი შებილწული, ამდენად, მქონდა უფლება მიმელო მოციქულებრივი ნათლობა (იხ. ზემორე აღნიშნული წყალში სამგზის შთაფლვითი ნათლობა).

ახლა ერთს ჩვენი შეგვიტონსებით, რანაირად განდით მღვდელი არარჯულისმიერი ნათლობის შესაკუთრე? ამიტომაც კარგად გამხელდათ ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, როცა იტყოდა: „რასა გეხდავ, ქართველები, ჯერაც მოუნათლავები, ეპისკოპოსები ხდებიანო“ (კალისტრატე ცინცაძე, „ავტოკეფალია გრუზისსკოი ცერკვი“).

48. პატრიარქ მაკარის იმდროინდელი უკანონობა უკვირდა, ახლა მე მიკვირს დღევანდელი თქვენი იმდროინდელი უკანონობის შემკვიდრობა.

49. „მომდვარს“, რომელიც იკითხავს, როდის ჩამოყალიბდა „სტაროვერობა“, ანუ ძველმართლმადიდებლობაო, საერთოდ წარმოდგება არა აქვს რელიგიის ისტორიაზე. თუკი ასე გაგიჭირდებოდათ მათი წამებული ისტორიის კითხვა, საბჭოთა ენციკლოპედიაში მაინც ჩაგეხდათ და გეხილათ განმარტება „სტაროვერიზაზე“ და გაიგებდით, რომ სტაროვერია არის ქრისტიანული ორთოდოქსული, ე.ი. ნამდვილი მართლმადიდებლური მიმართულება. როდის ჩამოყალიბდა? თუკი სტა-

როგერობა ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას ნიშნავს, მამ, როდის ჩამოყალიბებულა იგი, რექტორო?

მე კიდევ ჩემგან დაეუმატებდი, „სტაროვერობა“ გაჩნდა მაშინ, როდესაც გაჩნდა „ნოვოვერობა“, ე. ი. არსებული სწავლების საპირისპიროდ ახალი ერეტიკული სწავლება; სწორედ ამ ახალი სწავლების — „ნოვოვერობის“ საპირისპიროდ იწოდეს „სტაროვერებმაც“ სახელი. თუკი ქრისტეა ძირძველი მართლმადიდებლობის ფუძემდებელი, მაშინ სტაროვერები არიან ისინი, ვინაც ის თავდაპირველი სწავლება დღემდე შეუცვლელად შეინარჩუნეს. ეს კი რექტორმა უნდა იცოდეს.

50. დეტალური ცნობებისათვის იხილეთ საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესიის გაზეთი „ღვთიური გზა“ (№№1-8). მე მაინც მოკლედ განვემარტავ მკითხველს:

მას შემდეგ, რაც XVII საუკუნეში, მახონების პროგრამის მიხედვით, რუსულ ეკლესიაში განხეთქილება მოხდა მართლმადიდებლობის დასაცემად, მართლმორწმუნეებმა ის თავდაპირველი ძველი სწავლება არ გაცალეს ნიკონის მიერ შემოთავაზებულ ახალ ერეტიკულ სწავლებაზე. რის გამოც დღემდე დევნილი ძველმორწმუნეები კვავინდებურად სისხლის ფასად ინარჩუნებენ იმ ძველმართლმადიდებლურ სახეს. პირჯერის საწერი ორი თითის მოკვეთიდან დაწყებული, ენის ამოღებულა გენბაზე თუ კოცონზე დაწვა, არ დაკლებიათ. ასე გაიფანტნენ დევნილები მთელ მსოფლიოში. ბოლო ეპისკოპოს პავლე კოლომენსკის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ძველმართლმადიდებლობას შერჩა ორჩინიანი იერარქია.

51. რჯულისკანონის (ბასილ დიდი, აჟიფილოქი იკონისის ეპისკოპოსის მოძარო, კანონი I) მიხედვით ღებულობდნენ ნიკონიანური ეკლესიიდან გადმოსულ მღვდელმსახურთ თავიანთივე ჩინით, და ამგვარად ინარჩუნებდნენ ორჩინიან იერარქიას; და ბოლოს, როცა ეპისკოპოსებმაც იწყეს გადმოსვლა

ნიკონიანური ეკლესიიდან, ზემოხსენებული კანონის საფუძველზე, ისინიც მეორე ჩინით ექნენ მიღებულნი და ასე აღდგა კვლავ ძველმართლმადიდებლური სამჩინიანი იერარქია. შეიძლებოდა კი ნიკონიანელი ერეტიკოსებისაგან მღვდლებისა და ეპისკოპოსების მიღება? შეიძლებოდა, მხოლოდ იმის გამო, რომ ნიკონს წყალში სამეზის შთაფლების მოცქეულებრივი ნათლობა გააჩნდა, რის გამოც იგი ითვლებოდა მეორე ჩინის ერეტიკოსად. თუკი არ ექნებოდა წყალში სამეზის შთაფლებითი ნათლობა, იგი პირველი ჩინის ერეტიკოსი ექნებოდა. გადმონაცემების დარღვევისათვის ქიროტონია არ წაირთმევა.

52. ერთპიროვნულ საეპისკოპო ხელდასხმის შესახებ ბრძანებთ, რომ ქართულ რჯულისკანონში არ იპოვება; ეს განმარტება საკმარისი როდია იმისათვის, რომ გაუქმდეს სლავეების რჯულისკანონი. სლავეური დიდი რჯულისკანონი ბერძნულის იდენტურია და ყოველად შეუძლებელია იგი უგულებელყოფის ვინმემ. არც თქვენ, არც ბატონი ედიშერ ჭელიძე და ბატონი არჩილი, არ ბრძანდებით ის ავტორიტეტები, რომ სლავეური ქრისტეანული მართლმადიდებლური ეკლესიური კულტურა ერეტიკულად გამოაცხადოთ. ყველა ის კანონი, რომელიც მოთავსებულია სლავეურ რჯულისკანონში, უტყუარი და მარად უცვლელია ქრისტეს წინაშე. ამდენად, ის ერთპიროვნული საეპისკოპოსო ხელდასხმა, სლავეურ დიდ რჯულისკანონში იუსტინიანე მეფის კანონების 42-ე თავით რომ არის წარმოჩენილი, ეყრდნობა ბერძნულ დიდ რჯულისკანონს და სწორედ ამიტომაც გააჩნია კანონიკური სრულფასოვნების საფუძველი.

53. რაც შეეხება ქართულ დიდ რჯულისკანონს და ამ რჯულში იუსტინიანე მეფის კანონების არარსებობას, იგი სრულებითაც არ აღასტურებს იუსტინიანეს კანონის ზედ-

მეტობას რჯულში. ქართულ დიდ რჯულისკანონში სხვა ბევრი კანონიც არ არსებობს სადღესისოდაც კი. ამით, ბ-ნი რექტორო, თავს ნუ მოიწონებთ და თუკი მანინც ჭიბს მოიჭრით არსენ იყალოოლის მიერ ნათარგმნ რჯულისკანონზე, აქაც შეგახსენებთ ქართული დიდი რჯულისკანონის გამომცემელთა და კომენტატორთა შეხედულებას. 1975 წ. რჯულისკანონი: „სჯულში“ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაედებთ ბერძნულ „ნომოს“-ის მინიშნელობას, რადგან მანინ კრებული, რომელსაც „სჯულისკანონი“ ეწოდება, აუცილებლად უნდა შეიცავდეს სამოქალაქო სამართლის კანონებსაც. ამას ეწინააღმდეგება კრებულის შემადგენლობა და შინაარსი.

54. აქვე დაეძინეთ, რომ ქართველი მთარგმნელის მიერ სამოქალაქო კანონზე ყურადღების გამახვილება ისე, რომ ეს კრებულის სახელწოდებაში ყოფილიყო აღნიშნული, სრულიად მოულოდნელია, რადგან „დიდი რჯულისკანონის“ მთარგმნელს, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, თითქმის უგულვებლყოფილი აქვს დედანში სამოქალაქო კანონები და მათი რიცხვი თარგმანში მინიმუმამდეა შეკვეცილი.

55. ქართული თარგმანის სახელწოდების პირველ ნაწილში დადასტურებულ „რჯულს“ აქ ისეთი მინიშნელობა რომ ჰქონდეს, რომელიც აქვს გამოთქმაში „რჯული ქრისტესი“, ე.ი. სარწმუნოების სინონიმო იყოს, მაშინ „რჯულისკანონს“ ქრისტეანული სარწმუნოების კანონების მინიშნელობა ექნება. „რჯულისკანონი“ ასეთი გაყვებით ძალზე ზოგადი ტერმინი გამოდის და არა მარტო საეკლესიო კანონმდებლობას მოიცავს, არამედ ზოგადქრისტეანული ცხოვრების უნივერსალური კანონმდებლობის მინიშნელობას იძენს“ (იქვე, შესავალი, გვ. 22-23).

56. იგივეს იუწყება კ. კეკელიძე: „მე-11 საუკუნის პირველ მეოთხედში, რუის-ურბნისის კრების შემდეგ, ქართულად ითარგმნა რა პატრიარქ ფოტის 14-ტიტულოვანი დიდი რჯულისკანონი, მთარგმნელი მისი არის, როგორც მტკიცდება, არსენ იყალოოელი. არსენის თარგმანი შემდეგში შეუვისნათ სხვადასხვა სტატიით. შეუტანიათ შიგ მოციქულების პეტრესი და პავლუს კანონები, რომლებიც, მართალია, ბერძნულ დედანში არის, მაგრამ არსენს არ გადმოუღია“. აქედან გამომდინარე, რექტორი ნურც იმას გაიოცებს, არსენისეულ დიდ რჯულისკანონში რომ ვერ იპოვოს, ეთქვამთ, სტატია ქორწინებაზე, სადაც განმარტებულია ნათესაური ხარისხების მიხედვით შეუღლება-არშეუღლების ნებართვა.

57. იმის გამოც ნუ შემოფოთდება ბ-ნი რექტორი, კანონის დამცველ ამ ფანატიკოს სლავთა ხელში რჯულისკანონი, ანუ „იორმნაია“ თუკი აღმოჩნდება უფრო სრულყოფილი.

58. ბ-ნი რექტორს და სხვა ბატონებსაც, რომლებმაც კებით აღნიშნეს სლავური ეკლესიის ღირსება, ბოდიშის მოხდა მოუწვევთ აგრეთვე აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქებთანაც:

პატრიარქი იერემია, მიმართავდა რა მეფე თედორეს, ეტყოდა: „ძველი რომი ერესისა გამო წაიქცა, მეორე რომი — კონსტანტინოპოლი აგარიანელ ნაშიერთა — თურქთა მიერ იქნა დაპყრობილი, ხოლო შენი დიდი რუსეთის სამეფომ — მესამე რომი — სიწმინდით ყველას გადააჭარბა“ (პროფ. ვ.ო. კლუჩევსკი, რუსული ისტორიის კურსი, ნაწილი 3, მოსკოვი, 1957 წ., გვ. 293.)

59. მაშ, ასე, ჩემო „მოძღვარო“, თქვენს გაჭირვებას მიხედვით, ჩვენს დამომღვრავზე თავს ნუ შეიწუნებთ. უთქვენოდ ვიცით, რა გვიპყრია და საითკენ მოვუწოდებთ ვრს.

თქვენ ასლავე გემღვევთ შანსი, საქართველოს წინაშე განმარტოთ თქვენივე ეპისკოპოსების მიერ წარმოჩენილი ბრალდებანი

საეკლესიო პირთა — მაჟანთა მამათმავლობაზე, ყაჩაღობაზე, ჩარჩობასა და გარყვნილობაზე.

60. ნუ დაემგვანებით გაზეთ „პრავდას“, რომელსაც არასოდეს სიმართლეს არ უთქვამს და სიმართლეს კი იჩემებდა.

61. განუკითხაობის ჟამით ნებიერობთ? გაჩსოვდეთ, თქვენ მოვიწვევთ ერის წინაშე შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა:

I. ბრძანდებით თუ არა ერეტიკონი იმის გამო, რომ ქართული ეკლესია 1979 წლიდან მსოფლიო ეკლესიის საბჭოს წევრია, თქვენ კი მისი მხედრები?

II. ხართ თუ არა მოციქულთა 50-ე კანონის მიხედვით მონათლულნი, წყალში შთაყვლით ნათლისცემის მპყრობელნი?

III. ხართ თუ არა წყალკურებითი ნათლობის მესაკუთრენი?

და თუ ამ კანონის მიხედვით „მონათლულნი“ ბრძანდებით, რატომ არ არის საკმარისი თქვენთვის წყალკურებითი ნათლობის მაკომპრომენტრებული შემდეგი დოკუმენტები:

62. ა) XVIII საუკუნის ქართლის პატრიარქის — ორბელიძეილის ნაშრომი ლათინური ე.წ. წყალკურებითი ნათლობის მპყრობელთა პირის დასაყოფი — „გრდემლი“.

ბ) კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქთა მიერ გამოცემული საეკლესიო ოროქიები და თვით ნომოკანონი, სადაც ლათინური წყალკურებითი ნათლობა წარმოდგენილია, როგორც ყალბი, არაფრის მომცემი ერეტიკული ნათლობა.

გ) ქართული კატეხიზმო 1911 წლისა, სადაც განმარტებულია შთაფლვითი ნათლობის სისწორე.

და თუკი საკმარისად არ იგულვებთ ზემო აღნიშნულ კანონებს სიცრუეთა თქვენთა ბაგეთა დასაბეჭდად, ანათემის მეტს ვერაფერს გაიმეტებს რჯულისკანონი თქვენნაირთათვის.

63. მაშ ასე, ერეტიკული ნათლობების ჭეშმარიტ ნათლისცემად ამღიარებლებო, ეკუმენისტური მოძრაობის პირმშონო, მსოფლიო საეკლესიო საბჭოს, ამ ერეტიკული საკრებულოს წევრებო, ვინ მოგცათ თქვენ მართლმადიდებლობა ან მღვდლობა?!

1080 წელს საქართველო მიწისძვრამ რომ დაანგრია, მიზეზი ეკლესიის სიკვდილი იყო, რაც დავითმა რუის-ურბნისის კრებით გაასწორა...

64. ხოლო დღევანდელი ჭირი საქართველოში ეს თქვენი სოდომური და ერეტიკული ცოდვების მიზეზთა განანსლებაა.

წამებული ეკლესიის სახით გნებავთ წარუდგეთ ერს? მოგასწავლებთ: ერმა უკვე იყნოსა თქვენს მიერ აჩირაღდნებული პარაფინის სანთლების „სურნელეზაც“, სუკის აგენტების ღვიძლი შვილობაც. თუ ამას იმ თქვენ ეპისკოპოსოთა სამხილვებელსაც დავემატებთ მამათმავლობაზე (გაზეთი „საშუალო ფენა“, №3, 1993 წ.), რაზედაც ქართველი ემიგრანტებიც არ დუმან (ჟურ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1974 წ. №8, დეკემბერი), არა მგონია, თავი წარმოაჩინოთ წამებულ ეკლესიად, როგორც ამას ბრძანებთ თქვენს წერილში.

65. ისევ თქვენნაირებს ხელეწიფებათ დღეის აქეთ თქვენთან თანადგომა და თქვენნაირობა!

შეწყდეს ცრუ ბაგეთა ბაბანი!



თავისუფლება

ლიბერტი

საპატრულო განთავისუფლებული ბრძოლის მხარდობა ოცნახო

საბრძოლველ კოლმხი: ღვეან ზურაბიშვილი, ქ მხედელ გრაფილი, ვორჯი წერეთელი.

LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№ 6

ს ა ბ ი ზ ი

დემონსტრირი 1974

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ო ტ ხ ა

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა

1. რუსულ „თვითგამოცემის“ საშუალებით ჩვენამდე მოაღწია დოკუმენტმა, რომელშიაც აღწერილია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დღევანდელი საეკლესიო მდგომარეობა და მისი მომავლის მეტად შავი პერსპექტივები.

2. აღნიშნული დოკუმენტი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ხელმოწერილია ქართველ მორწმუნე ქრისტიანთა უცხოეთისაგან და იწოდება: „განცხადება ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობაზე საქართველოში“. 1974 წ. 14 მარტ თარიღით. ამ განცხადებას დართული აქვს ორი საბუთი:

3. ა) თბილისის კიროვის რაიონის გამოძიებელის მოადგილის დავით ქორიძის გამოძიების დასკვნა, მიმართული საქ. კ. ცენტრალური კომიტეტისადმი, 19 მარტს 1973 წ.

ბ) ისტორიკოს თეიმურაზ უკარაშვიძის ჩვენების ტექსტი: „იმ დანაშაულობებზე, რომლებიც იქნენ ჩადენილი საქ. საპატრუალურ კომიტეტის მიერ მკურის სიკვდილის შემდეგ 1972 წლის გაზაფხულზე.“

4. მათი მოკლე შინაარსი ასეთია: საბჭოთა კონსტიტუცია ითვალისწინებს ეკლესიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. არც ეკლესია უნდა ჩაერიოს სახელმწიფოს პოლიტიკურ საქმეებში და არც სახელმწიფო ეკლესიისაში. პირველი თავისთავად ხორციელდება — ეკლესია არ ერევა და არც აქვს საშუალება ჩაერიოს სახელმწიფოს საქმეებში, სამაგიეროდ, არც ერთ ორგანიზმზე არ ხდება სახელმწიფოსაგან ისეთი თვალყურის დევნება და მკაცრი კონტროლი, როგორც ეკლესიაზე.

5. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კონტროლს ხელისუფლება აწარმოებდა მისი საკულტო რწმუნებულის დავით შალუტაშვილის საშუალებით.

6. თუ ადრე ეკლესიას ებრძოდნენ აშკარად და მას ფიზიკურად ანადგურებდნენ, ომის შემდეგ პოლიტიკა შეიცვალა, რეპრესიების მაგივრად დაიწყო მის შიგნით პოლიციის აგენტების შეგზავნა, და ეკლესიის შიგნითგან განჩინა. რასაკვირველია, შესაგზავნ კანდიდატებს არჩევდნენ განსაკუთრებით ნაბიჯად და კრიმინალ ელემენტებისაგან. ეკლესიის

„მსახურთა“ ამ ჯგუფს მორწმუნეები უწოდებენ: „წითელ სამღვდლოებს“. მათი დამახასიათებელი თვისებებია: სქესობრივი განზრუნვლება, ხარბობა, ჭურღ-ბაცაცობა და სასულიერო საქმეების უცოდინარობა. წითელი სამღვდლოება განსაკუთრებით გამრავლებულა ეფრემ მეორის კათალიკოსობის დროს. 1960-1972 წლებში.

7. ხასიათის სისუსტის, თუ მასზე წარმოებული შანტაჟის გამო, ეფრემ მეორე ხელისუფლების წარმომადგენელს, დ. შალუტაშვილს და პოლიტიკურ პოლიციას ნებას აძლევს მის საკადრო პოლიტიკაში ჩაერიონ და მათთან შეთანხმებით, საეკლესიო თანამდებობებს არიგებს არა ღირსების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, ვინ მეტს გადაიხდის.

8. ეფრემ მეორის სისუსტეს სათანადო საყოფი გამოუღდა და მისი სიკვდილის შემდეგ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, სწორედ ეს წითელი სამღვდლოება დაპატრონებია.

დავით მეხუთე

9. თვით ახლანდელ კათალიკოს-პატრიარქს დავით მეხუთეს (საეროში ხარიტონ დევედარიანი), მიღებულ დოკუმენტის მიხედვით არ აქვს სათანადო არც საერო და არც სასულიერო განათლება. ეკლესიის წესებით კი ამ უმაღლესი თანამდებობის პირისათვის სავალდებულოა უმაღლესი განათლება. მიტროპოლიტობის დროს მას გამოუჩენია სიხარბე, მლოცველებს, რომლებიც საკმარისად არ იხდიდნენ, ის ეკლესიიდან აძევებდა.

10. ეფრემ მეორის სიკვდილის შემდეგ, ხ. დევედარიანმა მონაწილეობა მიიღო, საპატრიარქოს გაქურდვაში და ეფრემ მეორის მიერ დატოვებულ ანდერძის გამოცვლაში, ამბობს დოკუმენტი.

11. ამ ანდერძის მიხედვით, ეფრემის სიკვდილის შემდეგ, კათალიკოს-პატრიარქის ტახტი უნდა დაეკავებია მიტროპოლიტ ილია

შიოლაშვილს, ერთადერთ მაღალ საეკლესიო თანამდებობის პირს, სათანადო განათლების მქონეს. საეკლესიო საქმეების კარგად მცოდნეს და ამავე დროს დიდი ავტორიტეტის მქონეს ღვთისმსახურთა და მორწმუნეთა შორის, როგორც საქართველოს შიგნით, ისე მის გარეთ.

12. ი. შიოლაშვილი ახალგაზრდა და საერთოდ შემეკულია ყველა იმ თვისებებით, რაც საჭიროა მორწმუნეთა სულიერი მწყემსობისათვის. ყალბ ანდერძში ი. შიოლაშვილის მაგიერად საპატრიარქო კანდიდატად დასახელებული იყო სარიტონ დევედარიანი. ეფრემ მეორეს სიკვდილის შემდეგ, ორ საათსაც არ გაუვლია, რომ ხ. დევედარიანმა და მისმა თანამზრახველებმა სასწრაფოდ მოიწვიეს სინოდის საბჭო. საეკლესიო წესდების თანახმად, სინოდის სრულყოფილებიან წევრებად ითვლება ყველა მიტროპოლიტი და ეპისკოპოსი. რომელიმე მათგანის დაუსწრებლობის შემთხვევაში სინოდს არ შეუძლია რაიმე მნიშვნელოვანი დადგენილების მიღება.

13. ახალ პატრიარქის არჩევის დროს მოწვეული არ ყოფილან არც მიტროპოლიტი ი. შიოლაშვილი და არც ეპისკოპოსი რომანოზ პეტრიაშვილი. ვინაიდან თავის კანდიდატურას ხმას ვერ მისცემდა ხ. დევედარიანი, ამიტომ, ამომრჩეველებთ დარჩენენ მხოლოდ რუსი ეპისკოპოსი ზინოვი მაჟუგა და ბიძინა კერატიშვილი, ორივე ხ. დევედარიანის თანამზრახველი და ბნელი საეკლესიო პირი.

14. ახალ კათალიკოს-პატრიარქს — დავით მეხუთეს დაუწყია დევნა და შევიწროება ყველა მის მოწინააღმდეგე მღვდელ-მსახურთა მიმართ. მაგალითად, სირინის ტაძრის მსახური მღვდელი ავთანდილ სამხარაძე მოხსნა თანამდებობიდან, მიტროპოლიტი შიოლაშვილი გაანთავისუფლა მცხეთის სემინარიის რექტორობიდან და გადაიყვანა

გაზეთი „თავისუფალი ტრიბუნა“

აფხაზეთში, და სხვა. სამაგიეროთ, აწინაურებს თავის მომხრე მღვდელ-მსახურებს. საპატრიარქოდან გატაცებული ძვირფასეულობით უზვად ასაჩუქრებს მის მფარველებს, რწმუნებულ დ. შალუტაშვილს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის აგენტებს და თვით ყოფილ პირველი მდივნის ვ. მევაანაძის ცოლს ვ. ტირისკვიჩის. ყველა ამ დანაშაულებებთან ერთად ახალ პატრიარქს ბრალდება საქ. მარსლმადიდებ. ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების განზრახვა. თითქოს, რუსეთის ეკლესიის პატრიარქ პიმენის წარმომადგენელს, მისი პიროვნებისათვის მხარის დაჭერის საფასოდ, ის დაჰპირდა საქართველოს ეკლესიის რუსეთის სინოდისადმი დაქვემდებარებას.

15. ამგვარად, დღევანდელი ქართული ეკლესიის მეთაური – დავით მეზუთე, დოკუმენტით, დანასიათებულია როგორც თანამდებობის უზურპატორი, უეცრი, ცბიერი, მაგრამ სუსტი გონების, ავადმყოფი და ღრმამონხუცებული. სინამდვილეში საპატრიარქოს განაგებს ეპისკოპოსი გაიოზ წილკენელი, საეროში ბიძინა კერატიშვილად ცნობილი.

ბიძინა კერატიშვილი

16. ბიძინა კერატიშვილი წარმოადგენს „წითელი“ სამღვდლოების ნამდვილ წარმომადგენელს. მისი როგორც წარსული, ისე აწმყო დანასიათებულია მეტად შავ ფერებში და ხაქართველოს ეკლესიის დღევანდელ აურზაურში ის მოჩანს, როგორც ცენტრალური ფიგურა. ბ. კერატიშვილი დაბადებულია 1945 წელს, საგარეჯოში. იქვე დაუმთავრებია საშუალო სკოლა.

17. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმ. უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და 1969 წლამდე მან მოახერხა მსოლოდ მეორე კურსზე გადასვლა. ამ წელს

ის გამოირიცხეს უნივერსიტეტიდან, ზოგიერთის თქმით, გარყვნილებისათვის.

ეფრემ მეორემ ის მიაღებია სემინარიაში შესაშე კურსზე, მაგრამ სემინარიის იმ დროინდელმა რექტორმა ი. შიოლაშვილმა საექიორო კომისიის საშუალებით გამოაძევა სემინარიიდან.

18. მას აბრალუბენ ნარკოტიკების გაერცვლებას სემინარიისტების შორის და ამის შედეგად ერთი მათგანის (ობოლაძის) სიკვდილს. სემინარიიდან გამოძევებული ახალგაზრდა ეფრემ მეორეს მიუღია საპატრიარქოს უმცროს მდივნად. ამის შემდეგ ბიძინა კერატიშვილის კარიერა ელვისებურად მიიმატება: 1971 წელს ეფრემ მეორემ ის აკუროთხა ბერად, იმავე წლის დეკემბერში ჯერ ღიაკონად დანიშნა, ხოლო შემდეგ – მღვდლად. 26 მარტს 1972 წელს, მისუხედავად მისივე ავადმყოფობისა, ეფრემ მეორე ამდგარა ლოგინიდან, მისულა სიონის ტაძარში და საკუთარი ხელით დაუდგამს ეპისკოპოსობის გვირგვინი. ამ მომენტიდან გაიოზ წილკენელი, იგივე ბიძინა კერატიშვილი ხდება ფაქტიური გამგებელი საქ. მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსი. ერთი დღით ადრე ეფრემ მეორის სიკვდილისა გაძარცვულ იქნა საპატრიარქო. ძვირფას ისტორიულ საგნებს გარდა გატაცებული იქნა თვით ეფრემ მეორის პირადი ნივთები და ფული. სეიფი იქნა გახსნილი და მასში მოთავსებული ეფრემ მეორის ანდერძი შეცვლილ იქნა ყალბი ანდერძით.

19. და შემდეგ ამ ყალბი ანდერძის მიხედვით იქნა „არჩეული“ ახალი პატრიარქი. ყველა ეს ბოროტმოქმედბანი თითქოს ჩადენილია ბ. კერატიშვილის მიერ უშუალოდ, ან მისი მეთაურობით. საპატრიარქოს გამაბრკვლის მეორე დღეს, 7 აპრილს, 1972 წელს, გერდაიცვალა ეფრემ მეორე. თითქოს არც ეს მომხდარა ბუნებრივი გზით, არამედ ბიძინა კერატიშვილს ორმაგი წამლის დოზის მიღებისებით დაეჩქარებინოს მომაკვდავი პატრიარქის საიქიოში გასტუმრება. კერატი-

ჩვენი შესუფლება

შვილმა ყალბ ანდერძში თავისი გვარი არ ჩაწერა, რომ ეჭვი არ აეღოთ, სამაგიეროთ მან ჩაწერა ხ. დედედარიანის კანდიდატურა, რომლის სიკვდილის შემდეგაც იმედი აქვს გახდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი.

20. უკვე ღებულობს საჭირო ღონისძიებებს ამ მიმართულებით: აწინაურებს მის თანამ-ზრახველ „წითელ სამღვდლოებას“, ხოლო მოწინააღმდეგეებს ან შორეულ პერიფერი-ებში ამწყვებს, ან სრულიად ითხოვს სამ-სახურიდან.

21. იგი არ ერიდება მოწინააღმდეგეთა დაშინებას, შანტაჟს და მკვლელობასაც კი. ამნიარად, დოკუმენტის მიხედვით, მცხეთის მოძღვარი, ვიქტორ შალამბერიძე, რომელიც კერატიშვილის ღიდი მოწინააღმდეგე იყო, დალუპულა თავის ოჯახის წევრებთან ერ-თად ავტომანქანის საექვო ავარიამი 11 თებერვალს, 1974 წელს. აღსანიშნავია რომ, კერატიშვილის თავის კრიმინალურ საქ-მიანობაში მფარველობდა და ხელს უწყობდა რწმუნებული დ. შალუტაშვილი, სახელ-მწიფოს უშიშროების კომიტეტის აგენტები და თვით ვასილ მჭავანაძის ცოლი, ე. ტი-რისკეიჩი, რომლებიც ეითომ გაწეული სამ-სახურისათვის ღებულობდნენ ძვირფას ძღვენს, საპატრიარქოდან გატაცებულ ქო-ნებიდან.

22. ბიძინა კერატიშვილთან ერთად სა-პატრიარქოს გამარცვაში მონაწილეობა მიიღეს ზინოვი მაჭუგამ, პახომ ობოლაძემ, გიორგი ტარზიევმა, გიორგი ჩაჩუამ. ეს წითელი სამღვდლოების ტიპური წარ-მომადგენლები ქურობაში, გარყვნილებაში და ზნედაცემულობაში არ ჩამოუვარდებიან კერატიშვილს. მათი წყალობით ზოგიერთი ეკლესია გადაქცეული ყოფილა ლოთობისა და გარყვნილების ადგილად. ბევრგან თურ-მე წირვა მიმდინარეობს რუსულად. წირ-ვა, პანაშვიდი, ნათვლა და სხვა რელი-გიური მსახურება არ წარმოებს როგორც წესისა...

23. მიუხედავად აღნიშნული წინააღმდე-გობებისა და ზოგიერთი შეუსაბამობისა, დო-კუმენტი დიდად მნიშვნელოვანია და მოთ-ხოვს სერიოზულ შესწავლას ახალ-ახალი მასალების სინათლეზე.

24. ერთი ცხადია: საქართველოს ეკლესია იმყოფება დიდ საფრთხეში. მტერმა – სა-ხელმწიფომ შეძლო მის რიგებში თავისი აგენტების შეპარება ეკლესიის შინაგანი გაზრ-წნის მიზნით. შორიდან დღეს ჩვენივეს შეუძ-ლებელია შეუცდომლად ვთქვათ, რომელია ჭეშმარიტი ღვთის მსახური და რომელი ცხერის ქურქში გახვეული მგელი. „ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დაზბარალებელმა ათასიო“. ამ ბრძნული ანდაზით უნდა ვიხეღმძღვა-ნელოთ და აჩქარებულ მსჯავრს მოვერი-დლოთ.

25. ბოროტმოქმენი არიან დასახელე-ბულნი, ბრალდებები ცხადნი და განპიროვნე-ბულნი, ბრალმდებლები და მოწმეები ცნო-ბილნი, ამიტომ ამ ბნელ საქმეს, რომ ნათელი მოუფინოს, საჭიროა შეწყდეს პოლიციის დევნა და შევიწროვება ამ საქმის მოწმეების მიმართ და საქ. მართლმადიდებელი ეკლე-სიის წიაღში შექმნილ სპეციალურ კომისიას შეექმნას უსაშიშრო მდგომარეობა მთელი ამ საქმის გამოძიების განმავლობაში.

26. რაც მთავარია, საჭიროა მთელი ქარ-თველობის მობილიზაცია. ყველა ქართველს კარგად უნდა ესმოდეს, რომ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამჟამად ერთადერთი ეროვნული დაწესებუ-ლებაა, რომელიც ქართველი ერის თვით-ხელმწიფებას განაპირობებს. სწორედ ამ-იტომ ჩვენი დამყრობლების ყურადღება მი-ყრობილია მის წინააღმდეგ, სწორედ ამ-იტომ, მთელი ქართველობა უნდა აღსდგეს, როგორც ერთი კაცი, მის დასაცავად.

გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“

27. არ მისცეს მტერს ნება, არც მისი ფიზიკურად მოხაზობის და არც მისი დაპირუკიდებლობის დაკარგვის, ყველა აქედან გამომდინარე, მიუხედავად მძიმე ბრალდებებისა, ხაქ. მართლმადიდებელი ეკლესიის არსებულ იერარქიას და მის მეთაურს, დავით მეხუთეს უნდა გამოეცხადოს სრული ნდობა მანამ, სანამ ეკლესიის წიაღში შექმნილი სპეციალური კომისია ამ ხა-

კიოხებზე თავის მსჯავრს გამოიტანდეს. თუ როქელიმე საეკლესიო პირს მიუძღვის კრიმინალური დანაშაული, სამართალმა მას პასუხი უნდა მოსთხოვოს ისე, როგორც სხვა მოქალაქეს. მაგრამ არამც და არამც სახელმწიფო და მისი ორგანოები არ უნდა ჩაერიონ წმიდა საეკლესიო საქმეების მოგვარებაში.

(ურუნალი „თავისუფლების ტრიბუნა“, საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო, პარიზი, 1974 წ., №6, გვ. 2,4,7)

თ ა ვ ი ო ც დ ა მ ე ს უ თ ი

რამდენიმე კითხვა მკისკოპოს იონას

(ინტერვიუ გაზეთ „საქართველოს სამრეკლოსათვის“)

1. როგორ წარუდგენთ თავს ჩვენი გაზეთის მკითხველებს?

2. მეუფე იონა: საქართველოს ძველ-მართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსი მეუფე იონა (მურთაზ ჩახავა). თითქმის ხუთი წელია, რაც ზემოაღნიშნული ეკლესია დაფუძნდა საქართველოში.

3. განმარტებისათვის ძველმართლმადიდებლური ეკლესია ნიშნავს ორთოდოქსულ, ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ძველთუძველეს ეკლესიას, რომლის აღორძინება საქართველოში განაპირობა ოფიციალური ეკლესიის მიერ დიდი რეჟულისკანონის იგნორირებამ; რამეთუ დიდი რეჟულისკანონი არის სწორედ ის ერთადერთი კანონიკური საფუძველი, რომლის მიხედვითაც შეიძლება შემცენებულ იქნეს ამა თუ იმ ეკლესიის ღირსება-უღირსობა. მის კანონიკურობას ზახი გაეცეარუის-ურბნისის კრებაზეც, სადაც მოუწოდეს მართლმადიდებლური კონფესიის ყველა მამოძვარს — მღვდელმსახურსა თუ ერისკაცს — მისი მიყოლა ყოველგვარი შემატებისა და

მოკლების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში — ანათემა!

4. როგორ შეაფასებდით ამჟამინდელ საეკლესიო მთავრობას? რას იტყვოდით მოღვრისზე ეკლესიაში?

5. მეუფე იონა: მამა ღმერთის ნება ძემატხოვარმა შეიღ საიდუმლოზე დაფუძნებული ეკლესიით წარმოაჩინა, რომელსაც ხელეწიფება ქრისტიანთა დაბადება, ქორწინება, ცოდვათა მიტყვება და განკურნება; საიდუმლოთა შორის უმთავრესს წარმოადგენს მღვდლობა, რადგან მხოლოდ რეჟულიერ მღვდელს ეძლევა უფლებამოსილება სხვა დანარჩენ საიდუმლოთა აღსრულებისა.

6. ჩვენ ვიცით, მღვდლობა შეუძლებელია მიიღოს წარმართმა, ეს საიდუმლო მხოლოდ მოციქულთა ნათლობის მქონეს მიეცემა ხელდასხმის სახით, არამოციქულთა ნათლობის მქონეთა მიერ ხელდასხმა ყალბია; მასში არ ძვეს რეჟუმოსილების მაღლი, რის გამოც საყდარი უქმობს და ვერ ასრულებს თავის

ფუნქციას. ყველა ამგვარ კონფესიათა სამჩინიანი იერარქია უფლის თვალში წარმოჩინდება თვითმარქვეა საეკლესიო მთავრობად და, რისხვის გარდა, ვერაფერს მოიმკის, რადგან ნათქვამია: ერი და სახელმწიფო, რომელიც ღმერთს არ ემსახურება, განწირულია.

7. ღმერთს კი მხოლოდ რჯულზე დაფუძნებულ ეკლესიის შესაკუთრე ვერ და სახელმწიფო მსახურებს ჰქმნარიტებით. რაც შეეხება მოდერნიზმის შეწყნარებას ქრისტეანულ ეკლესიაში, მოგახსენებთ: ქრისტეს მიერ დაბადებული ეკლესია უნდა იქნეს ქრისტეს მგორედ მოსვლამდე უცვლელი და პირველსახისეული. როგორც დედის მუცელს არ დასჭირდა მოდერნიზაცია და მშვენიერად ბადებს დღემდე თავის ნაყოფს, ასევე არ სჭირდება ქრისტეს პირველყოფილ ეკლესიას ურჯულოთამიერი რეფორმაცია მოდერნიზმის სახით.

8. გვაინტერესებს, რა გაიბულებთ, როცა ასე კატეგორიულად წინააღმდეგა ხართ წყალპკურებითი ნათლობის შეწყნარება?

9. შეუფე იონა: საქართველოს შურნალგაზეთებში მრავლად გამოუაქვეყნეთ სტატიები რჯულისკანონისმიერი ნათლობის დარღვევის შესახებ. ზოგნი, ედ. ჰელიმის მიერ ცდუნებულნი, კვლავ იჩემებენ ტრადიციულ სიჯიუტეს და „დიდაქეს“ მოიმედელ რჩებიან. რომელი ლოგიკის საფუძველზე შეუძლიათ „დიდაქეს“, ამ არაკანონიკური წიგნის სახე-უცვლელობა და შეურყენელობა ამტკიცონ და თანაც რჯულისკანონის საპირისპირო საბუთად წარმოაჩინონ, მაშინ, როდესაც არა მხოლოდ და საკითხავი, არამედ თვით კანონიკური წიგნებიც კი შეირყვნა. სახელდობრ: „მოციქულთა განწყება“ (8 წიგნი), რომელიც განკანონებულ იქნა VI მსოფლიო კრების მიერ; კლიმენტის რომაელი ორი ეპისტოლე, რომელიც შეტანილი იყო ახალი აღთქმის კანონში; ათანასე ალექსანდრიელის სახელით გაერცვლებული ფსევდო ანუ ცრუ

გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“

ეპისტოლე, რომელიც აპოკრიფულად ცნეს; ასევე მოციქულთა ავტორობით ცნობილი ოცდაათი სახარება და სხვ.

10. „დიდაქე“ სასწავლო-საკითხავი სახელმძღვანელოა, რომელიც ერთადერთ ეგზემპლარად არსებობს და თარიღდება 1056 წლით. ამდენად, უნდა ესმოდეთ, რომ მას არაერთი კანონიკური საფუძველი არ გააჩნია და არ შეიძლება მისი შეურყენელობის მტკიცება. მას არც იმისი პრეტენზია აქვს, რომ დაუპირისპირდეს დიდ რჯულისკანონს და ცვალოს რჯულდებები. თუ იმასაც გაეთვალისწინებთ, რომ ბ-ნ ედ. ჰელიმზე ადრე ამ წიგნის არსებობა მსოფლიოს პატრიარქებს უნდა სცნობოდათ, მისდა სამარცხვინოდ, უნდა განვაცხადოთ, რომ წყალპკურებითი ნათლობის შეწყნარებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება:

11. I. კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ალექსანდრიის პატრიარქთა მიერ ერთობლივად გამოცემული ოროქსები წყალპკურებითი ნათლობის ერეტიკულობაზე (XVII, XVIII, XIX სს.), სადაც წყალპკურებითი ნათლობის შესაკუთრეთ მოუწოდებენ ხელახალი, რჯულისმიერი, ე. ი. წყალში შთაფლვითი ნათლობისაკენ;

II. სლავური დიდი რჯულისკანონი, კატეგორიულად კრძალავს წყალპკურებით ნათლობას მოციქულთა 50-ე კანონის განმარტებაში;

III. ბერძნულ ნომოკანონში წყალპკურებითი ნათლობა ლათინურ ერესადაა მიჩნეული;

IV. და თუკი შემოსენებულ დოკუმენტებს დაუმატებთ XVIII საუკუნის ქართლის კათალიკოს ბესარიონის (ორბელაშვილი) მოწოდებასაც წყალპკურებითი ნათლობის მქონეთა გადანათვლაზე, როგორც პირველი ჩინის ერეტიკოსებისა, უნდა განვაცხადოთ: დროა ჰკუთამყოფელნი მოეგონ გონს, რომ

იპყრან ჰუმანიტება და მით ერს შეუმ-
სუბუქონ სახეული.

12. როგორ შეაფასებდით ამჟამინდელ
ხაერო სელისუფლებას, რას იტყვით მო-
ნარქიაზე?

13. მეუფე იონა: ვიცით ჰუმანიტება:
ყოველსა საქმესა – ღეთისნიერსა და
უღეთოსა ეფოლების მოთავე და არეინ იქნების
გარეშე მოთავისა. ვითარცა არეინ იბადების
სურვილითა თვისითა, არც არეინ ბატონ-
ღების სურვილითა თვისითა. ნუ იქნები
უმაღურ, ნურცა მაგინებელ – რანაირ მო-
თავესაც იმსახურებს ხალხი, ისეთსავე მო-
თავეს უნიშნავს უფალი.

14. ერთი კია სათქმელი: ვინაიდან გულის
მიხედვით გვეძლევა ღეთისაგან წყალობა,
უმჯობესია ვინებოთ ღეთიემოსილი მფეუ და
ღეთიემოსილი პატრიარქი, რომელთაც იმ-
თავითვე უმზადებს ღმერთი საქართველოს.
გიხაროდენ, ეს 1994 წელიც კარს მოგვდგომია
– რჯულის მოძულე ყველა ეკლესია და
მთავრობა დაეცემა.

15. რას იტყვით საქართველოს დღევან-
დელობაზე?

16. მეუფე იონა: საქართველო საღღესოდ
„გას უფლით მონიშნულ იმ ზღურბლზე,
რომლის გადალახვის შემდეგ იწყება იბერიის
საღვთისმოსაო მსოფლიო მისია – ქრისტეს
მეორედ მოსვლის უწინარესი სამზადისი,
სახარების ბოლო ქადაგება.

17. ვწუხვარ დიდად, ურჯულოების კარის
ყურთამდე მომღიავებელთ ასე უდარდელად
რომ მოუშვერიათ ჯოჯოხეთის „ნიავისათვის“
სახე.

18. რას უნდა ველოდეთ? ან რა კითხვას
დაუსვამდით საკუთარ თავს?

19. მეუფე იონა: ელოდება თუ არა დღე-
ვანდელი საქართველო იონანე-ზოსიმეს მიერ
ნაწინასწარმეტყველებს ერის ბედის სვეკე-
თილობაზე; მზად არის თუ არა მსოფლიო
ღიდების კვარცხლბეკზე შესადგომად 1994
წლისათვის?

20. დაიჯერებს თუ არა საქართველო,
რომ იგი გახდა მსოფლიო ორთოდოქსული
საქრისტეანოს ცენტრი? და თუკი ზემორე
აღნიშნულს დაემატება წმიდა მამის ანდრია
სალოსის ნაწინასწარმეტყველებიც, სადაც,
ჩვენდა საბედნიეროდ, ნაუწყებია: „მეორედ
მოსვლის უწინარეს მცირედსა ჟამსა გან-
სრულებისასა გამოჩნდეს ეინმე კაცი კეთილი,
დაჰმოძღვროს ქვეყანაი და მაშინ კეთილნი
გზაზე დადგებიან“, – გიხაროდენ, ეს დღეც
კარს მოგვდგომია!

21. ჩემს თანამემამულეებს ვუსურვებ იმ
კეთილზნობის საბურველით შემოსვას, რო-
მელიც შეუწყნებს სულის გადამრჩენელ სა-
ცაღვეზო ბილიკს წმიდა გიორგისეული შე-
მართებით და ღეთისმშობლისეული კაცთ-
მოყვარეობით, ამენ!

ინტერვიუ აიღო
დავით გურგენიძემ

3 ბ ო დ ე ბ, მ ს ა ი ა!

შენ ხარ რჩეულთა ვარსკვლავებში
უფლის საყვირი...

ღვრიტა! ო, ღვრიტა!..

აქანავდა ზეცის ზარები,

კაცთა აუწყე სიტყვა იგი გაუგონარი:
„ჩვენთან არს ღმერთი!“

– ვბრძანე და ვბრძანებ,

რომ ქალიშვილმა მუცლად იღო ძე!
— ჩვენთან არს ღმერთი!
— მას უწოდებენ რჩევის ანგელოზს!
— ჩვენთან არს ღმერთი!
— მას უწოდებენ უფალს უძლეველს!
— ჩვენთან არს ღმერთი!
— მამას მერმეთა საუკუნეთა!
— ჩვენთან არს ღმერთი!

ო, ესაია,

მთათა და კლდეთა აჭრიალდა
ქვის ხერხემალი...
დაეშვა იგი, ვით მეუფე, ძე მეუფისა,
კაცთა ხანსნელად კაცად იშვა ქვეყნის გამჩენი;
და საოცრება!..
მერე ამ ფმანვილს ერთად ზრდიდა
დედა და ღმერთი,
რომ სისხლით მისით განგებანა
ცოდვილი სული.

დაგვმოძღვრა, და რა?!

ყურთ სამკაულად ქცეულა
უფლის სიტყვა გულში დასამარხი,
ვგოდებ, ესაია!
განა მოკეთეს სასიკეთოდ მობრძანებულს,
ჩვენ არ შევებით მარჯვე ხელებით
სიკვდილის ზარი?
ვუგმირეთ ცეცხლით დანერწვილი გრძელი
ლურსმნები
და მივამსჭვალეთ ძელზე იგი, ვითარც ყაჩაღი.
წვალი ინება, ძმარი ვასვით.
შოლტებით ვცემეთ, ვაფან-ვაფანით
გავახვიეთ სიკვდილის ნისლში.
მოძღვრება მისი?
ყურთ სამკაულად ქცეულა უფლის სიტყვა,
გულში დასამარხი,
ვგოდებ, ესაია.
მაშინ, როდესაც ცით გვეუწყა გასახარელი,
კლდე მთას მოაწყდა,

ზღვას — მდინარე,
და მაცნე ქარმა, ამ მალიად მახარობელმა
ფრთა დაილუნა, ვიდრე ტყე-ველს ამცნო
ყოველი;
როს აჟივჟივდნენ, აკისკასდნენ ფრინველ-
ვვავეილნი,
ერთად უმღერეს ქვეენის გამჩენს
ჰიმნი საუფულო.
დღემდე გალობენ, კაცმა რაი ქნა?
რა იღვაწა!
ფურთ სამკაულად ქცეულა უფლის სიტყვა
გულში დასამარხი,
ვგოდებ, ესაია!
შენ კვლავად დარჩი უფლის საყვირი
რჩეულთა შორის,
ო, ესაია!..

რა თქვი უკვანო?
განაჯილაგმა, იმ შენიანმა
არ გადაგხერხა ბირდაბირით,
ვით უნაყოფო ხე — ცეცხლის ლუკმა?
მტერს ხად ეძებდი შორიელში...
ბაგეებს შენსას ხომ სცვიოდა მარგალიტები?...
ვინ რა ისმინა!..
რა ვქნა, რა გითხრა...
ფურთ სამკაულად ქცეულა უფლის სიტყვა
გულში დასამარხი,
ვგოდებ, ესაია!

მურთაჲ ჩახაჲჲ

ივლისი, 1991 წ., თბილისი.





— ԵՐԵՎԱՆԻ ԳՆԱԿԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ —

ԵՐԵՎԱՆԻ ԳՆԱԿԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

— ԵՐԵՎԱՆ —

ԵՐԵՎԱՆԻ ԳՆԱԿԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ



სურ. 1. მასონია
ქალღმერთი

კუბერ კვარცხლბეკე წამომართულა მინერვის სამოსიანი მასონია ქალღმერთი და უასცქერის თავისი ღვთაებრიობის სიმბოლოს — მოელეარე სამკეთხელს. მას მხარილიღე შემოსაღტული აქვს ოსტატის ლენტი, მარცხენა ხელთ უპყრია ორღესული, იდაყვით ვერღნობა ძველი და ახალი რჯულის ყიღებს. ქალღმერთის მარჯვენა ხელში უყისრავს კომასი — სიმბოლო მისი პირდაპირობისა და სარკე — სიმბოლო კეთილგონიერებისა და ქვეშაობებისა. უხელს უმუყვნებს ღიაღმა — ძღვეამიხილების ნიშანი, თავზე ადგას შეიღვარსკლავიანი გვირგვინი — სიმბოლო უყვღაყებისა. კვარცხლბეკს კერთხულ ენსუე აყერია ქვეყნიერების ღიღს არქიტექტორის სახელი და საიღუმლო ნიშნობა J. B. M. — B. წინა პღანსუა თითქოსღა კვარცხლბეკის მიერ გასრესილი საშინელღბანი: უმეცრეზა, ცრურწმენა, თაღღიღობა, განსყოქიღება და სხუ. მარჯვენაუ აღმართულა აყცია — სიმბოლო ახალი მასონობისა, ხოლო მარცხენიუ — პაღღ — სიმბოლო ძღელი მასონობისა. უკანა პღანსუე მოზნანს მუზა, მის ძირას — გაბოქვებული (ღრუიღული მასონობის სიმბოლო), მარცხენიუა ტირაფი და ბაბიღონის გიღიღი (ქალღმერთი მასონობის სიმბოლო). სიღრმეში ღვას პირამიღბი და ღლიტონი (ეგვიპტერი მასონობის სიმბოლო), აგრეთვე ბერძნული ტაძარი (ბერძნული მასონობის სიმბოლო).

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რა არის მასონობა?

1. მასონობა, ფრანკმასონობა (ფრ. ფრანკ-მასონ „თავისუფალი ქვისმთლელი“) არის რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომლის არსი და მიზანი დიდხანს ვერავინ გაიგო.

2. მასონობის წარმოშობას სათავეს უდებენ ძველი წელთაღრიცხვის ბოლო ათასწლეულის დასაწყისში, როდესაც შედგენილ იქნა მსოფლიოში გაბატონების ინტელექტუალური გეგმა, რაც სიმბოლურად გამოისახა დედამიწაზე გველის შემორკალვით. გველი კი, როგორც ამას თავად თანამედროვე მასონები განმარტავენ, არის ერესი, ე.ი. დადგენილი კანონისაგან გასამიჯნი ძალდატანება.

3. ამ ფარული ორგანიზაციის შესახებ პაველე მოციქულმა გვაუწყა, რომ ის იწოდება ურჯულოების საიდუმლოდ, შუა საუკუნეებში იგი მოქმედებდა ტამპლიერთა ორდენის სახელით, ვიდრე არ გაანადგურა ფილიპე ლამაზმა, ხოლო XVIII საუკუნის დასაწყისიდან ინგლისში გაცხადდა როგორც ფრანკმასონთა ლოჟა. მასონებმა შუა საუკუნეების ქვისმთლელთა მაგალითზე გადმოიღეს მათი წესები და შექმნეს თავისუფლად მოაზროვნეთა ლოჟები.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

მასონები მასონობის შესახებ

* * *

1. თავისუფალ ქვისმთელელთა — მასონთა ორდენი არის მსოფლიო ფარული საძმო, რომელიც მიზნად ისახავს კაცობრიობა აზიაროს მიწიერ ედემს, ოქროს ხანას, სიყვარულსა და ჭეშმარიტებას.

* * *

2. მასონები ცდილობენ არცთუ შორეულ მომავალში შეიძლონ თავიანთი ჩანაფიქრის განხორციელება თითოეული პიროვნების ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური სრულყოფით.

* * *

3. მასონი, მსგავსად ქვისმთელელისა, ცდილობს დაამუშაოს ცალკეული ქვა (აღამიანი) კედლის ამოსაყვანად — იდეის განსახორციელებლად.

4. ფრანკმასონთა კონსტიტუციის სტატია: „მასონობა ფილანთროპიული, ფილოსოფიური, პროგრესული დაწესებულებაა“... მისი უმთავრესი მიზანია აღამიანის მატერიალური და მორალური ცხოვრების გაუმჯობესება. უმთავრესი პრინციპებია: რწმენა, მოთმინება, პატივისცემა როგორც სხვათა, ასევე საკუთარი თავისა, სინდისის აბსოლუტური თავისუფლება.

5. მათი მთავარი დევიზია: თავისუფლება, თანასწორობა, მშობა. გააჩნიათ თავიანთი სიმბოლური ნიშნები.

მასონთა სიმბოლიკა



სურ. 2. მასონური სიგელი (სიმბოლური ნიშნებით).

სიგელზე აღბეჭდილია მასონთა სიმბოლური ნიშნები: სამკუთხედები, სვეტები, მასონთა ქალღმერთი (შუაში), გველშემორკალული გლობუსი (ქვემოთ, მარჯვნივ), ფარგალი, წერაქვი, გონიო, კიბე და მარცხენა სვეტზე მასონური გერბის „კლასიკური“ ნიმუში.

მასონობის სიმბოლური მხარე მომქმე-
თათვის მათი აზრის იღუმალი გაცხადე-
ბაა. მასონთა სიმბოლური ნიშნები მრავალფეროვანია:

1. **ხალჩი** — იშლება სამუშაოს დაწყების წინ, გააჩნია სწორკუთხოვანი ფორმა. მასზე გამოხატულია უმთავრესი სიმბოლოები.

2. **თეთრი ხელთათმანი** — მას ლებულოს ყოველი დამწეები მასონი. ხელთათმანი წარმოადგენს ცხოვრების სიწმინდის ნიშანს.

3. **წინასწარი** — მასონს ახსენებს, რომ ის არის მუშა და მისი უმაღლესი მიზანია კაცობრიობის სამსახური.

4. **ბიბლია** — რწმენის სიმბოლო, მსოფლიო წესრიგი, კეთილის საბოლოო გამარჯვება ბოროტზე. ამ შემთხვევაში იგი რჯულის აღსარებასაც უნდა აღნიშნავდეს, რადგან რჯულიდან აღორძინდება წესრიგი.

5. **ბონი** — აღნიშნავს კანონიერებას, როგორც საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს.

6. **ფარბალი** აელებს ხაზს, რომელსაც არ გააჩნია არც დასაწყისი და არც დასასრული. იგი აღნიშნავს მასონების შეკრულ წრეს და მიკვირითებს მოყვასისადმი მასონთა დამოკიდებულებაზე, ყოვლისმომცველ წმინდა სიყვარულზე.

7. **გაუთიქალი ძვა** — იმ მასონის სიმბოლოა, რომელმაც ვერ მიაღწია გონების სრულყოფასა და გულის სიწრფელებს.

8. **კუბური ძვა** — სიმბოლო მასონისა, რომელმაც ნაწილობრივ მიაღწია გონების სრულყოფასა და გულის სიწრფელებს.

9. **სახაზავი და ფა** — ჭეშმარიტების დახმარებით ოსტატი თავის დაფაზე საკუთარ გვემებს ხაზავს.

10. **მობიზმიზე ხუთქიმიანი პარსკპლანი** — თავისი ელვარებით შექმენების თვალსაზრისით წარმოადგენს სუ-

ლიერი და ზნეობრივი ცხოვრების სიმბოლო. ხუთი ქიმი აღნიშნავს კეთილგონიერებას, სამართლიანობას, ძლიერებას, ზომიერებასა და გულმოდგინებას.

11. **მრუდიპური შილა** — მიგვანიშნებს ლეთურ ნიჭთა მრავალფეროვნებაზე.

12. **სამკუთხედი** მასონთა უმთავრესი სიმბოლოა; მასონები მასზე ლოცულობენ.

13. **შეშლი** — მოგვაგონებს მასონთა პირდაპირობასა და სამართლიანობას როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვებისადმი.

14. **ჩაქჩი** — ეს არის იარაღი, რომლითაც ხდება გაუთლელი ქვის, ე.ი. ახალბედა მასონთა დაბუშავება. ეს იარაღი ოსტატის ხელში შეიძლება მომკვიდრებელიც აღმოჩნდეს. გააჩნია, როგორია მორჩილი, დამწყები მასონი.


15. **ჩაქჩი და ნამბალი** — ჩაქჩი გარდაქმნის, ე.ი. ძველს მასონს. ხოლო ნამბალი ცვლივით თობავს სათიბს. სათიბი მათთვის ურჩი ხალხია.

16. **ბლოგუსეი შემორკაღული ბეჭედი** — გველი ერესის სიმბოლოა, რომელიც იწყებს დედაქმნის დაპყრობას და როცა თავის საეკელს პირს ჩაქვიდებს, მიზანი მიღწეულია — დედაქმნა ანტიქრისტიანთა მსოფლიო სამეფო ტახტის დასადგმელი. ერესში იგულისხმება რელიგიური დოგმატებისა და წეს-ჩვეულებათა გაუქმება-გადანსხვავებება.


17. **პისკოპოსის და კატრიარქთა ორბივილიანი კვირთხი შუაში აღმართული ჯვრით** — „ბოროტმადიდებლობისა“ და „საფანგის“ — ორი ეკლესიის მეფეებას ნიშნავს. ბოროტმადიდებლობაში იგულისხმება მართლმადიდებლური ერეტიკული ეკლესია, ხოლო საფანგში — სექტანტური სამლოცველოები. პირდაღებული ორი გველის იერიშის მიტანა ჯვარზე ნიშნავს ქრისტეს ჭეშმარიტებაზე ერესის თავდასხმას. ორგ-

ველიანი კვერთხი თავის ფუნქციურ არსებობას წყვეტს მაშინ, როცა გლობუსს ან მსოფლიოს შემორკალვას დაასრულებს მცოცავი გველი, რაც მიანიშნებს საქრისტიანოს

ერესს. მაშინვერტიკული ეკლესიების გაერთიანება ანტიქრისტეს უკმნის საფუძველს იბატონოს მსოფლიოს ტანტზე შეფისა და პატრიარქის სახელით.




სურ. 3. მასონთა კუთვნილი ნიჭები.




სურ. 4. მახონთა სიმბოლური ნიშნები.

სურ. 5. ვარსკვლავი მუხლადღაფუნელ ადამიანთა
სახეებით.


სურ. 6. კვრეციხი, ურჩხული, სამკეთილი,
ოთხკეთილი, ჯვარი.






176 მასის ქრ. ჯვარი სამკურთხევლოში.

სურ. 8. შუგ, შოგარე,
მარეუეიანი თოკი,
ფარეგალი.



ბურთულაი სუტი,
კარი,
ციხე...


სურ. 9. მახონობის მისაღები დარბაზი (ლოგა).







სურ. 10. მახონა სივლი.

სურ. 11. როზენკრეცთა ზულანსერებიდან.






სურ. 12. მასონთა ღრეა.




სურ. 13. პირამიდა თეულანა სამკუთხედი.


სურ. 14. მასონური იეროგლიფები.



სურ. 15. სვეტები მასონურ ხალიჩაზე:
 ა. მზეში მოქცეული სამკეთილესი, ვარსკვლავები.
 ბ. გლობუსზე შემორკადული გველი, ანუ ერესი.



სურ. 16. ი. ელაგინის ლოვის ხალიჩა მასონური ნიშნებით (წრეში ჩასატელო სამკეთილესი, უკარს შემობჯეული გველები, ანუ ორგველიანი კერობი).



რას გვავუწყობს პრემსა მასონების შესახებ

თ ა ვ ი მ ე რ თ ხ ა

შინაგანი თავდაცვის სკოლა

(დაილოგი გაზეთ „სობესელნიკიდან“, №44, 1991 წ., ოქტომბერი)

1. — რატომ იმყოფებით იატაკქვეშეთში, გვემინათ „შავი ხატანისა“?

— ჩვენ გვემინია მეგობრებისა და არა მტრებისა. აღამიანები ამჟამად დახარბებულები არიან ნებისმიერ მისტიკას. მოსვენება არ გვექნება მასონობის მოწადინეთაგან, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია მოითხოვს მკაცრ შერჩევას.

2. — ვისგან შედეგება მოსკოვის მასონთა ლოჟა? ალბათ, ძირითადად ინტელექტუალებისაგან, არა?

— სულაც არა. აქ არიან ინჟინრები, მუშები, კომერსანტები.

3. — ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენი ორგანიზაცია გასაიდუმლოებულობითა და ხანელმწიფოს კანონებისადმი უდიდესი დამოკიდებულებით ძალიან წააგავს მაფიოზურ სტრუქტურებს?

— ჩვენ ნამდვილად ვალიარებთ სიკეთისა და სამართლიანობის კანონთა უზენაესობას. გეწადია სრულყოფილი კანონები იმ საზოგადოებისა, რომელშიც ვცხოვრობთ. მაფიის მიზანი კი ანგარებაა.

4. — მაგრამ, კანონების სრულყოფისათვის არსებობს პარლამენტი.

— მერეუდა, ვინა თქვა, რომ პარლამენტი-სა და მასონების შესედულებებში არ არის თანხედრა?

5. — თქვენ პირადად რატომ შეხვედით მასონურ ლოჟაში? ჩემი აზრით, მასონობა დღეს რაინდობანას გულუბრევილო, ბავშვური თამაშობაა.

— მე შემოგთავაზებთ ამგვარ პარალელს: მაგალითად, XIV საუკუნიდან არსებობს უიარაღოდ თავდაცვის იპონური სისტემა — კარატე. ასი წლის განმავლობაში მან მიადწია დახვეწილ ფორმებს. რა აზრი აქვს ბრძოლის ახალი ფორმების ძიებას? პარმონიული საზოგადოების შექმნა რუსეთში დღესდღეობით შეუძლებელია. მასონობა ეს არის უძველესი სკოლა შინაგანი სულიერი თავდაცვისა. ერთადერთი, რაც შემიძლია გავაკეთო, ესაა ავაგო ჩემი შინაგანი ტაძარი, რასაც ვაკეთებ კიდევც.


6. — ვინ ხართ მასონობისაგან თავისუფალ დროს?

— ჩვეულებრივი მოსამსახურე.


7. — უნდა გვემინოდეს თქვენი — ახალი მასონებისა?

— ახლახან ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა საკითხზე — „რა დამოკიდებულება გაქვთ მასონებთან?“ გამოკითხულთა 70%-მა განაცხადა, რომ წარმოდგენა არა აქვთ თუ ვინ არიან მასონები. ასე რომ, ჯერ უნდა აეხსნათ ვინა ვართ ჩვენ.

8. — ამრიგად, წრე შეიკრა. მასონები იატაკქვეშ იმყოფებიან იმიტომ, რომ ხალხი უმეცარია, ხოლო ხალხი სწორედ იმიტომ უმეცარია, რომ მასონები იატაკქვეშ იმყოფებიან და არ განმარტავენ თუ ვინ არიან ბოლოს და ბოლოს. იქნებ დადგა ლეგალობის დრო?




სურ. 17. ვეესქიბიანი ცეცხლივანი ვარსკვლავი.



სურ. 18. მასონური ჯვარი.

სურ. 19. ნიშნებისა და საგნების ტახელა ანდრიაწული ღვთის რიტუალებიდან.



ის, რაც მნციკლოპედიებში არ წერია

(გაზეთი „სობხეღნიცი“, № 44, 1991 წ., ოქტომბერი)

1. მასონთა ლოჯაში შესვლისას ნეოფიტ-ოტსტატის ხელმძღვანელობით იწყებს მუშაობას საკუთარ თავზე, როგორც გაუთლულ ქვაზე.

2. იგი აშენებს შინაგან ტამარს. ამიტომაცაა, რომ მასონთა სიმბოლიკაში მრავლად არის სამშენებლო ხელსაწყოები. ჭეშმარიტების ძიებისას მასონი მიიწევს ზევით, იერარქიის საფეხურებზე (სულ 33 საფეხურია). 1717 წელს მასონობამ უკუაგდო პროფესიული პირობითობა და საიდუმლო მსოფლიო ძმობის შესაქმნელად შეუერთდა როზენკრეციკრთა ორდენს.

3. მასონთა რიგებში ერთიანდებიან ფრანგი განმანათლებლები და თავისუფლად მოაზროვნეები -- ვოლტერი და დიდრო. მათ სწამთ გონებისა და არა დემერთისა. ეკლესია მასონების ანათემას შეუყენებს, ხოლო ინკვიზიცია იწყებს მათ ღვეწას.

4. 1773 წელს მასონთა მოძრაობაში მოხდა განხეთქილება. ანგლოსაქსონური მასონობა ევოლუციურ პოზიციაზე რჩება და აღიარებს პიროვნების თანდათანობითი სრულყოფის იდეას. ხოლო საფრანგეთის ახალი ლოჯა „დიდი აღმოსავლეთი“ ირჩევს რადიკალურ რევოლუციურ გზას. მის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ყველა მომავალი რევოლუციის ლოზუნგები: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა!“ თავიანთი ლოზუნგი მასონებმა გამოიყენეს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, 1789-1794 წლებში, რომელიც საფრანგეთის ისტორიაში შევიდა ერთ-ერთ სისხლიან გვერდად. XVIII საუკუნის მიწურულისთვის მასონობა გადაიქცა ყველაზე მოდურ საიდუმლო ორგანიზაციად. გოე-

თე წერს მასონურ ღვებებს, ხოლო მოცარტი ქმნის ოპერას „ჯადოსნური ფლეიტა“, ხადაც კოდირებულია მასონური სიმბოლიკა.

5. პირველმა რუსულმა ლოჯამ თავი იჩინა 1731 წელს. მას წარმართავდა ვინიქე კაპიტანი ჯონ ფილიპსი, ჭეშმარიტი ინგლისელი. ეკატერინე II-მ მასონობა აკრძალა, ხოლო მთავარ რუს მასონ-განმანათლებელს -- ნოვიკოვს თხოვნები წლით პატიმრობა მიუსაჯა და შლისელბურგის ციხეში გამოამწყვდია.

6. მაგრამ პაველე I დედის ჯიბრზე მასონი გახდა, რისთვისაც სიცოცხლეს გამოასალმეს. შემდეგი იმპერატორი -- ალექსანდრე პირველიც განდა წვერი მასონური საზოგადოებისა, ხადაც თავს იყრიდნენ მისი შეურიგებელი და არაკეთილმოსურნე დეკაბრისტებიც. 1825 წლის დეკაბრისტთა აჯანყებას, რომელსაც მასონები -- ბესტუჟევი, პესტელი, ტრუბეცკი, მურავიოვი ხელმძღვანელობდნენ, ამსწყვებდა მასონ პუშკინის მოწოდებები.

7. ნიკოლოზ პირველმა ტახტზე ასვლისთანავე აკრძალა მასონობა. ამ დროს ევროპასა და ლათინურ ამერიკაში მასონები სათავეში ჩაუდგნენ რევოლუციურ მოძრაობას. ევროპაში კომუნიზმის აჩრდილის გამოჩენას ამაოდ არ ჩაუვლია. კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის კომუნისტური პარტიის მანიფესტმა შეისრუტა მრავალი მასონური იდეა.

8. მარქსს ბევრი მასონი მეგობარი ჰყავდა (თანაც, მარქსი და ენგელსი ყოფილან მასონური გაზეთის რედაქტორები). პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ მასონუ-

რი ლოყები უფრო ღრმად იჭრებიან პოლიტიკაში. დასავლეთ ვეროპის ყველა ქვეყნის მთავრობაში I მსოფლიო ომის წინ საკვანძო პოსტები ეკავათ სწორედ მასონებს.

9. რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ კერენსკის მთავრობაში 12 მინისტრიდან 11 მასონი იყო. მხოლოდ ბოლშევიკები არ საჭიროებდნენ „ტაძრის მშენებელთ“. 1918 წელს მათ ომი გამოუცხადეს მასონებს.

10. 1922 წელს ინტერნაციონალის კონგრესზე ლენინისა და ტროცკის დაჟინებული მოთხოვნით მიიღეს „22-ე პირობა“ ფრანკ-მასონებთან კომუნისტების ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის შესახებ. 1927 წელს სტალინმა დაასრულა რუსული მასონობის ნგრევა. ევროპაში ანალოგიურ გადაწყვეტილებებს ღებულობს ჰიტლერი. მასონები, ებრაელებთან ერთად, ნაცისტების მთავარ სამიზნედ იქცნენ. მასონთა ლოყები იქმნება ატაქვეშეთში, საკონცენტრაციო ბანაკებში, ემიგრაციებში. ომის შემდეგ ფრანკმასონებმა საკმაოდ

სწრაფად აღიდგინეს დაკარგული ძლიერება.

11. 1959 წელს დასავლეთის ჟურნალისტების ერთ-ერთ კონფერენციაზე სრუშჩოვს შეეითხვა დაუსვეს: იქნებ დადგა დრო, რომ მოსკოვში ავადორძინოთ მასონობა? რაზედაც ნიკიტამ მძაფრად უპასუხა: „თქვენ გნებათ, რომ მე თვითონ შევისვა პერანგქვეშ რწყილი?“ ტყუილა როდი შეშინდა საბჭოთა გენსეკი. დასავლეთში მასონები წარმართავდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ ძვრებს... მასონთა მიზანი და ლოზუნგები არ იცვლება. „თავისუფლება, თანასწორობა, მშობა“ კვლავ ძალაში რჩება და სწორედ მათ შექმნეს საქველმოქმედო ორგანიზაცია წითელი ჯვარი.

12. მაგრამ ამ ბოლო დროს მასონური ლოყები ხშირად გარდაიქმნებიან ხოლმე პოლიტიკურ პარტიებად.

13. „...რატომ დავმალეთ, რომ მასონები ბევრ ქვეყანაში კონტროლს უწევენ პოლიტიკურ ცხოვრებას. „მაგიური საიდუმლოების არწივი, სულ ერთია, მაინც დაკარგულია“.

თ ა ვ ი მ ე მ ქ ვ ს ე

ზოგი რამ მასონების შესახებ

(წიგნიდან „მასონობა“, ტ. I, II, მ., 1991 წ.)

1. მასონების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია კოსმოპოლიტიზმი, რომელიც მსოფლიო ბატონობის პრეტენზიიდან გამომდინარეობს. მასონებისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ის სახელმწიფოები, რომელთა ეროვნული მთავრობები თავიანთ უპირველეს ამოცანად საკუთარი მოქალაქეების მოვლა-პატრონობას, პატრიოტიზმსა და ჭეშმარიტი რწმენის განმტკიცებას თვლიან. ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ თომას ჯეფერსონი წერდა, რომ „ეაჭარს არ გააჩნია სამშობლო“.

2. სამშობლო არც მასონს გააჩნია, რამეთუ თავისუფალ ქვისმთაყუთა სამოში შეს-

ვლისას ნეოფიტი ღებდა ფიცს, რომ იგი ორდენის ინტერესებისათვის საკუთარ მატერიალურ საშუალებებს, ფიზიკურ და ზნეობრივ ძალებს არ დაიშურებდა. ფიცის გატეხისათვის ადექტი სასტიკად ისჯებოდა.

3. პირველი მრავალხარისხოვანი სისტემა „კლერმონტის“ სახელით არის ცნობილი. მის წარმოშობას ემიგრაციაში მყოფ ინგლისის მეფე იაკობ III სტიუარტს მიაწერენ, რომელსაც ახლო კავშირი ჰქონდა პარიზის იეზუიტური კლერმონტის სისტემის ლოყებთან. ასწავლიდნენ თეოსოფიას, მისტიკას, მაგიას, კაბალისტიკას, პიეტიზმსა და პოლიტიკას;



სურ. 20. მასონური ემბლემები.

4. ძველი შოტლანდიური წესით, მასონთა კიბის უკანასკნელი ხარისხი 30-ე იყო. იგი „თეთრი და შავი არწივის დიადი რჩეული კადოშის“ სახელს ატარებდა. კადოშში მასონები „აუციურწმენისაგან განწმენდილ, საყოველთაოდ რჩეულ ზეადამიანს“ გულისხმობდნენ. ნებისმიერ მაღალხარისხიან მასონთა სისტემაში კადოშის ხარისხი ყველგან ფიგურირებს. ეს ხარისხი ადამიანთა უფლებების შელახვისათვის ადვოკატს შურისძიებისთვის ამზადებდა...

5. შვედური სისტემის განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღოდნენ მეფე გუსტავ III-სა და მის ძმას ჰერცოგ კარლს, შემდგომში კარლ XIII-ს. მასონური სისტემა დიდ გავლენას ახდენდა შვეციის სახელმწიფოს განვითარებაზე. შვედური სისტემის მთავარი შემადგენელი ნაწილებია ინგლისური მასონობა ქვედა ხარისხებში, როზენკრიუსტერობა — მაღალში და მაკარი მორჩილება, რომელიც ყველა ხარისხს ეიზუალურად აღაშაბებდა. ამ სისტემას ათი ხარისხი გააჩნია.

6. თავისუფალ ქვისმთელეთა ადათ-წესები გასაიდუმლოებული იყო. ადათ-წესების სრულ ტექსტთან დაშვება მხოლოდ დიდ ოსტატსა და მის მიერ დანიშნულ პირებს შეეძლო.

7. ანდრიანულ, ანუ შოტლანდიურ მასონობას წითელს უწოდებენ, რადგან

მისი ღოგები წითელ ფერშია გადაწყვეტილი.

8. ნაპოლეონის არმიის დიდი მარშლები: სულტი, ნეი, ბერნადოტი მასონები იყვნენ. თვითონ ნაპოლეონი ასე აცხადებდა: „სამხედრო გაერთიანება წარმოადგენს თავისუფალ ქვისმთელეობას, რომელთა შორის არსებობს გარკვეული ურთიერთობა. მასონობა მათ ანიჭებს ერთმანეთის უშეტადომო შეცნობისა და გაგების საშუალებას“.

9. ბოროდინოს ბრძოლის დროს ფრანგი ოფიცრები ტყვედ ჩაგარდნილ დაჭრილ რუს ოფიცრებს არ ზვრეტდნენ. პირიქით, დაჭრილები ჰოსპიტალში გადაჰყავდათ, მკურნალობდნენ და შემდეგ უკან, რუსეთის არმიაში აბრუნებდნენ. ეს რუსი ოფიცრები თავისუფალი ქვისმთელეები იყვნენ. ფრანგები „ძმებს“ დანარჩენი მეომრებისაგან წელზე ჩამოკიდებული მასონური ნიშნებით არჩევენ.

10. საფრანგეთის მეფის ჩამოგდებად მთავარი მონარქის ოჯახის წევრები მომავალში ლუდოვიკო XVIII და კარლ X მასონები იყვნენ.

11. 1851 წლის 2 დეკემბერს, გადატრიალების შემდეგ, დიდი აღმოსავლეთის დიდი ოსტატის პოსტი მიანიჭეს ახალგაზომცხვარი იმპერატორის ძმისწულს ლუსიე ბონაპარტს. 1862 წელს ნაპოლეონ III-მ დიდი მაისტრის წოდების სიგელი თავისი ხელით გადასცა მარშალ მანიანს.

12. საფრანგეთის მთავრობის მრავალი წარმომადგენელი მასონი იყო.

XVIII საუკუნის გერმანიაში მისტიციზმის გაერთელების პოპულარიზაციაში გარკვეული როლი შეასრულა პიეტრიზმმა. პიეტრიზმი რელიგიურ განცდებს უპირისპირებდნენ ეზოთერული სახარების სწავლებას. აცხადებდნენ, რომ ადამიანი გადარჩება არა საეკლესიო რიტუალებისა და საღვთისმეტყველო წიგნების განსწავლულობით, არამედ საკუთარი აზრისა და ნების ღვთისკენ მიმართვით.

13. ამ პერიოდის გერმანიაში უამრავი ალქიმიკოსი და ასტროლოგი მოღვაწეობდა, რომლებიც ფილოსოფიური ქვის ძიებითა და ადამიანთა მომავალი ბედის წინასწარმეტყველებით იყვნენ გატაცებულნი. იმ დროს საზოგადოების საკმაოდ ფართო წრეებში სიტყვები — მისტიკა და ეზოთერიზმი მსოფლმხედველობითი პრინციპების ნამდვილ ღოზუნგს წარმოადგენდა.

14. მსოფლიოში არსებობს მრავალნაირი პარადოქსული კავშირი. მათ რიგს ეკუთვნის ნაცისტების სვასტიკა — ძველი ბუდისტური მზის ბორბალი და ესეხელების თავის ქალას ნიშნები. ნიურნბერგის პროცესზე სამხედრო დამნაშავეებს შორის ფიგურირებდა ესეის პოლკოვნიკი ეოლფრან ფონ ზივერსი. იგი ზელმძღვანელობდა ნაცისტთა ოკულტურ ბიუროს „ანენერბეს“.

15. ნაცისტთა დამოკიდებულება მასონებთან არაერთგვაროვანი იყო. 1916 წელს მღვდელმა ბერნარდ შტემპლემ პიტლერი


მასონობას აზიარა. იგი ფიურერის „მან კამპფის“ სტილისტი გახლდათ. ახალშექმნილ „მუშათა“ პარტიას ზურგს უმაგრებდა თულეს საიდუმლო ორგანიზაცია, რომლის ფესვებიც „გერმანული ორდენიდან“ მოდიოდა. თულეს ორგანიზაციასთან იმ დროს ყველა დიდი გერმანელი მასონი თანამშრომლობდა. ამიტომაც ინგლისსა და საფრანგეთთან პოლიტიკური თამაშის დროს პიტლერი ხშირად იყენებდა მასონურ არსებს.

16. გერმანელი ისტორიკოსი ირბერგერი ნაშრომში „მასონობა და ნაციონალ-სოციალიზმი“ აღნიშნავდა, რომ ძველბრუსიული ლოყები მემარჯვენე რადიკალებს, ნაცისტებს უჭერდნენ მხარს. აი, ამიტომ, „იუდეურ-მასონური“ ღოზუნგების მოწოდების მიუხედავად, პიტლერი, სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შემდეგ, მასონებს კიდევ ორი წელი ემუქრებოდა, მხოლოდ 1935 წლის 21 ივლისს დაიწყო მასონთა ლოყების თვითლიკვიდაცია.

სურ. 21. მასონური ალვორია.



სურ. 22. „საზოგადოებრივი თანხმობის“ ლოგოს
დარჩევისადმი მიძღვნილი მედალი.



სურ. 23. მასონური ჯვარი.



სურ. 24. მასონური სიმბოლო.



სურ. 25. ინგლისის დიდი ლოკის ბეჭედი.

სურ. 26. ტეზლოვანი ვარსკვლავი.



37. იოანე-იონა, „რა უნდა ვაკეთოთ“.

სურ. 27. მასონური ჯვარი.



დიპლომი მასონთა მაგისტრთან

(გაზეთი „სობესედიცი“, №44, 1991 წ., ოქტომბერი)

1. სახლი №16 კადეტთა ქუჩაზე პარიზში. შესასვლელთან ფირფიტის წარწერა გვაუწყებს: „დიდი აღმოსავლეთის მუზეუმი საფრანგეთში“. აქაა მოთავსებული საფრანგეთის ყველაზე გავლენიანი მასონური ორგანიზაციის შტაბი, რომელიც შეიქმნა 1773 წელს და ითვლის 30 ათას წევრს... ფრანგ ჟურნალისტებს აქ იშვიათად ლებულობენ, საბჭოთა (უფრო სწორად, რუსი) ჟურნალისტი კი აქ პირველადაა.

2. ...დიდი მაგისტრის განიერი და ასკეტური კაბინეტი. უცაბედად წარმოგვიდგება „დიდი აღმოსავლეთის“ დიდი მაგისტრი ჟან რობერ რაგაში.

3. იგი 50 წლის მამაკაცია...

— ჩვენთან ხშირად ამბობენ, რომ 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ძალაუფლება ხელთ იგდეს მასონებმა. რა იცით, ბატონო დიდომაგისტრო, სსრკ-ში მასონური ორგანიზაციების არსებობის შესახებ?

— პარიზში რუსმა ემიგრანტებმა შექმნეს რუსეთის ხალხების „დიდი აღმოსავლეთის“ იატაკქვეშა ორგანიზაცია. მაგრამ თვით საბჭოთა კავშირში არაფერი ამდაგვარი არ იყო და არც შეიძლება იყოს ყოფილიყო.

4. — რატომ, განა ოქტომბრის რევოლუცია თქვენვე ღონისძიებით — თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა? — არ მოქმედებდა?

— ფრანკმასონობა არაფერზე არაა დამოკიდებული, არც რომელიმე პარტიასზე, არც რომელიმე ავტორიტეტზე და არც თვით უფალ ღმერთზე, ამიტომ ნებისმიერი დიქტატურა ცდილობს უძალვე გაუსწორდეს თავისუფლებისმოყვარე მასონებს. ასე იყო რუსეთში სტალინის დროს, გერმანიაში — ჰიტლერის დროს, პინოჩეტის დროს — ჩილეში. თქვენი

ისტორიის სამოცდაათმა წელმა დაადასტურა, რომ თქვენმა ხელისუფლებამ სიკეთის მისაღწევად არასწორი გზა აირჩია. საბჭოთა სოციალიზმი ეს არის პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სრული კრახი.

5. — თუკი ხელავედით, რომ რუსეთში ილუპებოდა ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის იდეები, რატომ არ იცავდით მას, რატომ არ აგზავნიდით ჩვენს ქვეყანაში საჭირო ლიტერატურას და მისიონერ აგენტებს?

— ეს არ არის ფრანკმასონების ამოცანა. ჩვენ ძალით არავის არაფერს ვახვევთ თავს. ადამიანებმა თავად უნდა აირჩიონ, თავისუფლებაში უნდათ ცხოვრება თუ მონობაში. მე ვერ ვიკისრებ იმის განსჯას თუ რა სურს რუსეთს სინამდვილეში, თუმცა თქვენ გაგაჩნიათ გიგანტური ადამიანური პოტენციალი.

6. — თქვენ საიდან იცით?

— მე ვიმოგზაურე სანკტ-პეტერბურგიდან ტაშკენტამდე.

7. — როგორც დიდმა მაგისტრმა?

— როგორც ტურისტმა... მე ყველაზე მეტად შემიძრა ურთიერთთანაფარდობის აშკარა დარღვევაში, თქვენი ეროვნული ვესტიბულიარული აპარატის ავადმყოფურმა სახემ. თქვენ ვერავითარ ნავსაყუდელს ვერ მიადგებით, ვერც სლავიანოფილურსა და ვერც დასავლურს. ასე არსებობა შეუძლებელია. თქვენ ვთავაზობთ აშკარად ანტირუსული მიმართულების იმპერატორ პეტრე პირველს და დიდი სამამული ომის კულტს. ჩემი აზრით, თქვენი დღევანდელი ცხოვრების მოუწესრიგებლობის ყველა მიზეზი აქედან გამომდინარეობს...

8. — ადამიანის სრულყოფა მასონების მთავარი მიზანია! ე.ი. ამჟამად რუსეთში ხელსაყრელი სიტუაციაა მასონობის ასაღორძინებლად?

— ჩემი აზრით, დღეს აუცილებელია რუსეთში მასონური ლოჟების შექმნა, ვინაიდან ისინი ქადაგებენ პიროვნების სრულ თავისუფლებასა და აზროვნების დამოუკიდებლობას. ადამიანები საპირობენ სულიერ მხარდაჭერას. მაგრამ, ამავე დროს, არსებობს მასონებისადმი გაუთვითნებობიერებელი სიძულვილი. არსებობენ „ჰამიატის“ მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც ამტკიცებენ ძველ, გამოგონილ შეხედულებებს „მსოფლიო მასონური შეთქმულების შესახებ“, ამიტომ რუსული ლოჟები რჩებიან იატაკქვეშეთში.

9. — მრავლადაა ეს ახალი ლოჟები? წარმოადგენენ თუ არა ისინი თქვენს ფილიალებს?

— ისინი არც ისე ბევრნი არიან. დამოუკიდებლად მოქმედებენ, თუმცა ვუწევთ ფინანსურ დახმარებას...

10. — კომუნიზმის მარცხის შემდეგ ადამიანის სულში წარმოქმნილი სიცარიელის შევსებას ცდილობს ეკლესია. ვგონებ, თქვენი ხწრაფევა ამგვარია. როგორ გინდათ გაუმკლავდეთ მართლმადიდებელ მღვდელმსახურთა კონკურენციას, რომელთაც არასოდეს მოსწონდათ მასონობა?

— მასონური ლოჟების ავტორიტეტის შელახვას ეკლესია ხელმძღვანელობდა. განავატიკანმა არ გაავრცელა პაპ პიუს IX-ის ბაგით სიტყვი „სატანის სინაგოგის“, „ბოროტების შავი სულებისადმი თავყვანის ცემის“ შესახებ, რომელსაც თითქოს მასონები აღასრულებენ! ვატიკანმა მხოლოდ 1985 წელს დაამყარა ჩვენთან კონტაქტები.

მასონობას საფუძვლად უდევს ტოლერანტობა. ლოჟაში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მორწმუნესა თუ ათეისტს. მაგრამ ჩვენ, ვოლტერის კვალდაკვალ, უარყოფთ ღმერთის ფოვლისშემძლეობას, რე-

ლიგია კი ითხოვს ღვთის ავტორიტეტისადმი სრულ მორჩილებას. რაც შეეხება მართლმადიდებლურ ეკლესიას, იგი კომუნიზმებთან თანამშრომლობის შედეგად ტოტალიტარიზმის იარაღად იქცა. მას არ შეუძლია თავისუფლების მინიჭება.

11. — რა მიზნებს ისახავენ რუსული მასონური ლოჟები?

— იგივეს, რასაც მთელ მსოფლიოში. ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, წმიდა ადამიანურობის საფუძველზე და საზოგადოების ჰარმონიული მოწყობით, მის წევრებზე აღმზრდელიობითი ზემოქმედების გზით, სიმბოლოების, სწავლებისა და პირადი მაგალითის მიცემით.

12. — ვის შეუძლია გახდეს მასონი?

— ნებისმიერ ადამიანს.

13. — მიუხედავად ეროვნებისა?

— დიახ. ჩვენ კონსოპოლიტები ვართ, რის გამოც ჩვენს საუკუნის აშკარა ნაციონალისტური მიდრეკილებისთვის გამუდმებით გვღვენიან.

14. — ვთქვათ, თხრობით მოგმართათ ორგანიზაცია „ჰამიატის“ წევრმა?

— კეთილი, მობრძანდეს!

15. — როგორ ხდება მასონურ ორგანიზაციაში გაერთიანება?

— უპირველესად, მსურველი აგზავნის წერილობით განცხადებას, რის შემდეგ, ლოჟის სამი წევრი ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ზედება, სწავლობს და ამოწმებს მასონობაზე ხარებელს. შემდეგ იწვევენ ლოჟაში, სადაც მიმდინარეობს მიღების სიმბოლური ცერემონიალი. მას უწევს შესვლა ჯერ „მოსამზადებელ ოთახში“, შემდეგ „შავ კამერაში“, რომელიც მოწყობილია სიკვდილის აღმინიშნელი სიმბოლური ნიშნებით, მიწიერი სიცოცხლის აზრის შთაგონებლად. ახალბედს უხვევენ თვალებს და დააბრძანებენ მძათა შორის, რომლებიც მას აძლევენ მოულოდნელ გამოსაცდელ შეკითხვებს. შემდეგ ტარდება კენჭისყრა შავი ბურთულებით. თუკი ახალმოსულს მიიღე-

ბენ, იგი იძლევა პირობას, რომ „დაიცავს ფრანკმასონობის საიდუმლოებას და ზედმიწევნით შეასრულებს „საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთის კანონებს“.

16. — თქვენც გააარეთ ეს რიტუალი?

— 28 წლის განმავლობაში მასონობაში ყველა საფეხურის გავლამ მომიწია. და უკვე მეორედ ამირჩიეს დიდი მაგისტრის თანამდებობაზე.

17. — ე.ი. მასონები თავიანთ სამყოფელში უშეგებნად საბჭოთა ჟურნალისტს, რომელიც შესაძლოა სუკის აგენტაც იყო.

— დიდი მაგისტრი დანიშნულია არა ზემოდან, საიდუმლო ძალების შემწეობით, არამედ

არჩეულია კოლექტივის მიერ და მაინც, აშუამდგელი დიდი მაგისტრის ნამდვილი ძალმოსილების შესახებ ცოტა რამ თუა ცნობილი.

18. აი, მისი წინამორბედი მიშელ ბარუანი 60 უმსხვილესი კომპანიისა და დაწესებულების მფლობელია, აქვს, აგრეთვე, რამდენიმე გაზეთი და სატელევიზიო არხი. მიღებული აქვს ყველა სახელმწიფო ჯილდო და არც იხეიშეითად სტუმრობს პრეზიდენტის სასახლეს. მასონურ ორგანიზაციაში გაწევრიანებამდე ბარუანი პოლიტიკის კომისრად მსახურობდა... მოკლედ, მე არ დავიწყებ იმის მტკიცებას, რომ მასონობის ყველა საიდუმლოებაში შევალწიე.

საზოგადოება „კამიბატის“ ფურცლებიდან

„1917 წელს რუსეთში გაიმარჯვა კომუნისტების ებრაულ-მასონურმა შეთქმულებამ... დღეს კი მასონები სულ მთლად სპობენ რუს ხალხს“.

„მასონობა შავი ჭირივით საშიშია კომუნიზმისათვის“.

ლევ ტროცკი.

„ო, მე ვიხსნი არიულ რასას ყვითელი მასონური ჭირისაგან“.

ადოლფ ჰიტლერი.


თავისუფალ ქვისმთელელთა სასაუბრო ენა სავსეა აღუგორიებითა და სიმბოლოებით. ამ სიმბოლიკითა და საიდუმლოებითაა აღსავსე მათი ცხოვრება.

გრაფი მიხეილ იურის ძე ვიელგორსკი ერთ-ერთ საუბარში 1818 წელს აღნიშნავდა: „შეიძლება გეპყრას მასონობა და თვით მასონობისა არა იცოდე რა“.



სურ. 28. „წმ. ალექსანდრე შოტლანდიელის“ ღოვის დაარსების აღსანიშნავი მედლები.

სურ. 29. მასონური ნიშანი.



ფიგურალურ წრეში მასშულოა ჯვარი.
ეს წრე წარმოასაგეს ეშმაკის თავს მალლა
ამერილი რეკბითა და პარტყუნა ყურებით.

ჯვარში პირისზონტალურად მასშულო
ორი წერტილი ეშმაკის თვალებია, შუბლზე
დასმული წერტილი კი — ვინების თვალი.
ჯარდის ღერო კმნის ცხვირის იმიტაციას.

ბაჭმთ „სოგენსედენიკიდან“ მომხიანილი დიალოგის კომენტარი

1. კითხვა: ჩვენთან ხშირად ამბობენ, რომ 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ძალაუფლება ხელთ იგდეს მასონებმა. იცით თუ არა რაიმე, ბატონო დილო მაგისტრო, სსრკ-ში მასონური ორგანიზაციების არსებობის შესახებ?

2. პასუხი: პარიზში რუსმა ემიგრანტებმა შექმნეს რუსეთის ხალხების „დიდი აღმოსავლეთის“ იატაკქვეშა ორგანიზაცია. მაგრამ თვით საბჭოთა კავშირში არაფერი ამდაგვარი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო.

3. შენიშვნა: მაგისტრის პასუხი არ შეიძლება სიმართლეს შეფერებოდეს. თუკი მის დაეიჯერებთ, რომ რუსეთში და, საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მასონების ჭაჭანება არ იყო, მაშინ საიდან გაჩნდნენ: პუშკინი, ტურგენევი, ჩეხოვი, დოსტოვესკი, ტოლსტოი, ან კიდევ რანაირად მოხვდა კერენსკის მთავრობაში 12-დან 11 მასონი მინისტრი, თუკი პროცენტულად ვინაგარიშვებთ მასონების რაოდენობას მთავრობაში, შეიძლება ეთქვას, მთავრობის წევრთა 99% მასონი იყო.

4. განა თავად მასონები არ იყვნენ 1917 წლის რევოლუციის ბელადები: ლენინი, ტროცკი, სტალინი... და მათი ებრაელი ცოლები. თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი გენერალური მდივანი გორბაჩოვი, რომელმაც საბჭოთა კავშირი დაშალა, თავისი ათეისტურ-მასონური ფუნქციის შესრულების შემდეგ, იაპონიაში კვლავ მწვანე ჯვრის თავმჯდომარედაა დანიშნული. „წითელ ნახევარმთვარეს“, „წითელ ჯვარს“ და „მწვანე ჯვარს“ შორის კი არავითარი განსხვავება არ არის.

5. როგორც „წითელი ჯვარია“ მასონური ჰუმანიტარული ორგანიზაცია, ასევე ეკოლოგიური ჰუმანიტარული ორგანიზაციაა „მწვანე ჯვარიც“. ბოდიშის მოხდაც კი არ დაგეგირდება მაგისტრის წინაშე ამ განცხადებისათვის. დარჩა კი ვინმე საბჭოთა კავშირში მასონური დამლის გარეშე?

6. ერთ-ერთ კითხვაზე მაგისტრი პასუხობს, რომ მასონები არ არიან დამოკიდებული არც რომელიმე პარტიაზე, არც რომელიმე ავტორიტეტზე, არც თვით უფალ ღმერთზე. აქვე ისმის კითხვა, როგორ შეიძლება რელიგიური პრეტენზია გააჩნდეს ათეისტს? თუკი მასონებისთვის ღმერთის ავტორიტეტი დიდ არაფერს წარმოადგენს, რა უფლებით კისრულობს მსოფლიო რელიგიურ ინტეგრაციას? ხომ არ გამოჩნდა მაგისტრის ამგვარი განცხადებით თვით მასონური ორგანიზაციის კრელოს სიყაღბე?

7. მაგისტრი აქვე დასძენს: თქვენი ისტორიის სამოცდაათმა წელმა დაადასტურა, რომ თქვენმა ხელისუფლებამ სიკეთის მიხედვით არასწორი გზა აირჩია. საბჭოთა სოციალიზმი ესაა პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სრული კრაზი.

მე დავებ, განა მასონებმა — „დიდმა“ მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა, სტალინმა არ შემოგეთავაზეს იმთავითვე ეს კურსი? რატომ უნდა განეცადა „მეცნიერულად დასაბუთებულ“ კომუნიზმს სრული კრაზი? უნდა ითქვას ჭეშმარიტება, საბჭოთა კავშირის შექმნა იყო ანტიკურისტული მსოფლიო მოღელი. ათეიზმის გაფურცქენამ დააკნინა რელიგია. ადამიანი გახდა ნებისმიერი მრწამსის მიმღები. მიზანი მიღწეულია, პოლიტიკური არსი საბჭოთა კავშირისა საჭირო არ არის, რადგან მან უკვე შეასრულა კულტურ-

რულ-ეკონომიკური მისია. საბჭოთა კავშირის ხალხების მიწა-წყალზე უკვე გაიარა გველმა, იგივე ერესმა.

8. ეს მოხდა 1979 წელს, როცა მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში გაწვევიანდნენ რუსული, ქართული, სომხური (გრიგორიანული), ბაპტისტ-ევანგელისტური და ბალტიისპირეთის ეკლესიები საქართველოს პატრიარქ ილია II-ის ინიციატივით. რის გამოც მან დაიმსახურა ამ მსოფლიო ერეტიკული ორგანიზაციის ერთ-ერთი პრეზიდენტის საბრძანებელი.

9. კითხვა: თუკი ხედავდით, რომ რუსეთში იღუპებოდა ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის იდეები, რატომ არ იცავდით მას? რატომ არ გაზავნიდით ჩვენს ქვეყანაში საჭირო ლიტერატურას და მისიონერ აგენტებს?

10. პასუხი: ეს არ არის ფრანკმასონების ამოცანა. ჩვენ ძალით არავის არაფერს ვახვეთ თავს...

11. შენიშვნა: მაგისტრს ავიწყდება, რომ ყველა რევოლუციონერი — ჯუზეპე გარიბალდიდან დაწყებული ვაშინგტონით და ლენინ-სტალინით დამთავრებული — სისხლის ღვრით ქმნიდა მასონურ იმპერიებს. მაგისტრის სიტყვებიდან გამომდინარე, არსებობს „პამიატის“ მსგავსი ორგანიზაციები, რის გამოც იატაკქვეშეთში ყოფნა უწყვეტ მასონებს.

12. აქაც შევნიშნავ: მაგისტრი უნებლიეთ მაინც გამოტყდა, რომ საბჭოთა კავშირში მასონები არსებულან, მაგრამ იატაკქვეშეთში. ადრე კი მათი არსებობის უარყოფას ეცადა. მაგისტრის სიტყვები, თითქოსდა ზემორე აღნიშნული ორგანიზაციების შესხედულება — „მასონურ მსოფლიო შეთქმულებაზე“ სიცრუეა, მიმართა მცდარ განცხადებად. განა თვით მასონების მიზანდასახულობა მასონთა მსოფლიო შეთქმულებას არ წარმოადგენს?

13. განა მათი მიზანი არ არის ის, რომ ყველა სახელმწიფოს მოუსპონ თვითყო-

ფადობა, და ამგვარი ნაციონალურ-რელიგიური ბარიერების მოშლით, ე.ი. რევოლუციური ზერებით, ერესი დაუნერგონ, რის შემდეგმ მოითხოვენ მსოფლიო რელიგიურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას.

14. კითხვა: კომუნიზმის მარცხის შემდეგ ადამიანის სულში წარმოქმნილი სიცარიელის შევსებას ცდილობს ეკლესია. ეგონებ, თქვენი სწრაფვაც ამგვარია. როგორ გინდათ გაუმკლავდეთ მართლმადიდებელ მღვდელმსახურთა კონკურენციას, რომელთაც არასოდეს არ მოსწონდათ მასონობა?

15. პასუხი: მასონური ლოჟების ავტორიტეტის შელანჯას ეკლესია ხელმძღვანელობდა. განა ვატიკანმა არ გააერცვლა პაპ პიუს IX-ის ბავით სიცრუე „სატანის სინაგოგის“, „ბოროტების შავი სულებისადმი თაყვანისცემის“ შესახებ, რომელსაც თითქოს მასონები აღასრულებდნენ! ვატიკანმა მხოლოდ 1985 წელს დაამყარა ჩვენთან კონტაქტი.

16. მასონობას საფუძვლად ტოლერანტობა უდევს. ლოჟაში გაწვევიანება შეუძლია ნებისმიერ მორწმუნესა თუ ათეისტს. მაგრამ ჩვენ, ვოლტერის კვალდაკვალ, უარყოფთ ღვთის ყოვლისშემძლეობას, ეკლესია კი ითხოვს ღვთის ავტორიტეტისადმი სრულ მორჩილებას. რაც შეეხება მართლმადიდებლურ ეკლესიას, იგი კომუნისტებთან თანამშრომლობის შედეგად ტოტალიტარიზმის იარაღად იქცა. მას არ შეუძლია თავისუფლების მინიჭება.

17. შენიშვნა: რანაირად შეიძლება ადამიანის სულში კომუნიზმის მარცხის შემდეგ წარმოქმნილი სიცარიელის შევსებას ცდილობდეს ეკლესია, როგორც ამას ჟურნალისტი ბრძანებს. განა მან არ უნდა იცოდეს, რომ ადამიანის სულში სიცარიელის შექმნაში მასონებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ თვით ერეტიკული ეკლესიებიც (როცა ეკლესიები სუკის აგენტებით იყო დაკომპლექტებული). აქედან გამომდინარე, რანაირად შეიძლება ეკლესიას არ მოსწონებოდა მასონთა საქმიანობა?

18. რომელ კონკურენციაზე მიგვანიშნებს ჟურნალისტი? ხომ არ გვაჯერებს ის ამ შეკითხვით მასონებისა და ეკლესიის გათიშულობას? განა „სატოპკედ“ აწვეულ ბურთს არა ჰგავს მაგისტრის პასუხი? გვაჯერებენ, რომ ეკლესიები თითქოს მათთან აღიანსში არ იმყოფებოდნენ. ინკვიზიციას თითქოსდა არ დაუსხამს მათ წისქვილზე წყალი...

19. ორგანიზაცია, რომელიც ღმერთის ყოვლისშემძლეობას არ აღიარებს, სატანური საკრებულოა, რადგან იგი უარყოფს უპირველეს ბიბლიურ ჭეშმარიტებას, რომელიც მოსეს ბავთი ეუწყა კაცობრიობას: „ღმერთმა არარაობისგან ყოფიერებას დაუდო საფუძველი“. არც ერთ წინასწარმეტყველსა და მოციქულს სხვანაირად ჩვენთვის არ უსწავლებია. პირობითი კი ითქვა, ჩვენი სწავლების საპირისპირო სწავლება ვინმემ რომ მოგიტანოთ, ანგელოზიც რომ იყოს, ანათემას გადაეცითო.

9. მაშ, სად არის თქვენი სიბრძნე; განა იგი არ დაემგანა უმეცრებას, რომელმაც მოსპო საკუთარი თავი; რითი ისწინით ეშმაკის მიმდევარ იმ მასონთა სულელებს, რომლებიც ტარტაროზში შთაიფლნენ თქვენი იდეის განსახორციელებელი ღვაწლისათვის; რას უქადით ამჟამინდელ, ჯერაც ცოცხალ, თქვენგან ცდუნებულ, საქმის არსში გაურკვეველ მასონებს; რატომ განამზადებთ მათ ცეცხლისათვის?

10. ამიტომაც შეგარიგეს სიკვდილს, ნამდვილი სიკვდილის მოყვარულნი? რა ნუგეში ცვათ თქვენმა ამქვეყნიური სიბრძნის მასწავლებელმა ლუციფერმა-ეშმაკმა? მაშ, ერთად განაწილეთ ღვთის რისხვა, შეგი-რ-

დო და მოძღვარო. ასეთია „ურჯულოების მესაიდუმლეთა“ ზეედრი.

11. რამეთუ ბიბლია გვაუწყებს:

„და ვინილე ახალი ცა და ახალი მიწა, რადგანაც უწინდელი ცა და უწინდელი მიწა გადაეგო, და ზღვა აღარ არის.

და მე, იოანემ, ვინილე წმიდა ქალაქი, ახალი იერუსალემი, ღმრთისაგან ზეცით ჩამოშავალი, გამზადებული, როგორც სასძლო, და სასიძოსათვის შემკული.

12. და მომესმა მგრგინაეი ხმა ზეცით, რომელმაც თქვა: აჰა, კარავი ღმრთისა კაცთა თანა, და დაემკვიდრება მათთან, და ისინი იქნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან...

ხოლო მსდაღთა და ურწმუნოთა, ბილწითა და მკვლელოთა, მკაცათა და მწამელელთა, კერპთაყვანისმცემელთა და ყოველთა ცრუთა ზეედრი ტბაშია, ცეცხლითა და გოგირდით მოგიზგიზეში. ეს არის მეორე სიკვდილი“ (გამოცხ., 21, 1-8).

13. ასე დასრულდა ყოველი; თქვენ სად გეძიოთ, საკუთარი საფლავების ქვისმთელელნი?

14. წარმართხო ყოველნი, ქრისტეანობის მოწადინენო! წყალკურებითი ცრუ ნათლობით შეჭირვებულებს მოგიწოდებთ უფალი თქვენი ქრისტე-მაცხოვარი ცოდვების განსარიდებლად იღოთ ჭეშმარიტი ბეჭედი ნათლისღებისა — წყალში შთაფლვითი, და მით განერიდოთ ცდუნებულნი გეჭენის ვარკვარებას.

15. მადლობას ვწირავ უფალს, რომ ღედამიწაზე ბოლო მსოფლიო გაქრისტეანების ქადაგება ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყნის შეიღებს გვარგუნა, და მით საშუალება მოგვცა ღვთის წინაშე წმიდა გიორგისეული შემართების მტკიცებისა, ქვეყნის გამჩენი ღმერთის სადიდებლად, ამენ!

16. უფალო იესუ, რამეთუ მყავხარ მეგზურად, მწყალობლად და ღმერთად ჩემად, ენეტარებ შენდამი მონობის გამო მონიჭებული უძლეველობით.

17. მასონობა ოკეანის რვაფეხას ჰგავს, რომლის საცეცხები თავისი დანიშნულებით ფუნქციონირებს. ამგვარი საცეცხბია ქრისტეანული ეკუმენიზმი და მისი პირმშო მსოფლიო ეკლესიათა საბჭო.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე

ეკუმენიზმი — მასონური მოპარობა

1. იური ვიტალის ძე კრიანევის ნაშრომი „ქრისტიანული ეკუმენიზმი“ რუსულ ენაზე გამოვიდა 1980 წელს და 100-ათასიანი ტირაჟით დაისტამბა მოსკოვში. წიგნი მოცემულია ეკუმენისტური მოძრაობის მიმართულებანი, მისი ორგანიზაციული სახე და ძირითადი დებულებანი. თუმცა ავტორი ათეისტური პოზიციიდან განიხილავს ეკუმენისტების თეორიას, მაინც ელინდება მისი შეფარული სიმათია ეკუმენიზმისადმი.

2. ვინ არიან ეკუმენისტები, რა მიზანდა-

სასულობა გააჩნიათ და საითკენ მიჰყავთ დღევანდელი მსოფლიო?

რას ნიშნავს „ეკუმენი“?

3. „ეკუმენი“ („ოიკუმენი“) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ქვეყნიერებას, დასახლებულ მსოფლიოს, ხოლო „ქრისტეანული ეკუმენიზმი“ კი — მსოფლიო საქრისტიანოს გაერთიანებას.


4. ორგანიზაციას, რომელიც სათავეში უდგას ამ მოძრაობას, ეწოდება „მსოფლიო ეკლესიათა საბჭო“ მისი მმართველობითი სტრუქტურა ასე გამოიყურება:

по вопросам церкви
и еврейского
народа

по вопросам
структуры

специализированный
по вопросам помощи
сильным проектам

КОМИТЕТ



СЕКРЕТАРИАТ

по вопросам эти-
ческого отношения
по вопросам рели-
гиозной свободы
вера и
порядка

5. ამ ორგანიზაციის მიზანია მოახდინოს, ან უკეთ, მოაწესრიგოს ეკლესიათა შორის ყველა ის სადავო საკითხი, რომლის გამო დაქუცმაცდა და დაირღვა ქრისტიანული მთლიანი ეკლესია.

6. ეკუმენისტები მოუწოდებენ და ატარებენ ეფექტურ ღონისძიებებს, რათა მსოფლიო ეკლესია გაერთიანდეს და ეკლავი იქცეს მთლიან, განუყოფელ ეკლესიად, რომელსაც ექნება ახალი მრწამსი და რომლის გარშემო დაირაზმება მსოფლიო საქრისტიანო.

7. რა აუცილებლობამ წარმოშვა ეს ორგანიზაცია?

ა) მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ქრისტიანული რელიგია განიცდის კრიზისს.

ბ) ერთიანი ქრისტიანული ეკლესია დაქუცმაცებულია.

გ) ერთა, რასათა შორის არსებობს კონფლიქტი, კოლონიური ჩაგვრა, უთანასწორობა, უფლებობა, სისხლის ღვრა.

დ) დაცემულია მსოფლიოს ეკონომიკური მდგომარეობა.

ე) არ არსებობს სამართლიანი მოდელი სოციალური წყობისა (ხანამ არ შეიქმნება

სოციალურ სამართალზე აგებული ამდგარი „მოდელი“, ქვეყანა მუდამ ასე არეული იქნება და ვერ უშველის ვერანაირი გარდაქმნული რეფორმა, თვით რეფორმაციურიც კი).

8. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების გადასაჭრელად ეკუმენისტები ვთავაზობენ შემდეგს:

ა) მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებით ადამიანის განთავისუფლებას ბუნებისა და სოციალური ძალების ბატონობისაგან. როგორც ღვევანდელი, ასევე მომავალი თაობისათვის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფას.

ბ) ახალი, უმაღლესი ტიპის საზოგადოების შექმნას ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის მეშვეობით.

გ) ეკუმენისტები გრძნობენ სოციალური ცხოვრების მერყეობით, ურბანიზაციის პროგრესით, „სექსუალური რეფორმაციით“ გამოწვეულ ოჯახური ქორწინების რეალურ კრიზისს. ამიტომ მათ სურთ გადახედონ ქორწინების ტრადიციულ ქრისტიანულ ოჯახურ კონცეფციებს და ქრისტიანული ეკლესიის მეშვეობით ჩამოაყალიბონ ოჯახის ახალი ტიპი.

მსოფლიო ეკლესიათა გაერთიანების უპირველესი ამოცანები

9. ეკუმენისტები უპირველესად აფუძნებენ ეკლესიათა ავტონომიას და, ამავე დროს, გაერთიანებისაკენ მოუხმობენ ახალი გზების ძიებით.

10. ისინი ახდენენ ყველა რელიგიის ინტეგრაციას.

11. ამბობენ, რომ ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი შეცვლის რელიგიას. ე.მესტენის აზრით, ბუნებაზე ადამიანის ძაღლის გაძლიერების პროცესი რელიგიას აიყვანს ახალ, უფრო მაღალ ხარისხში.

12. ეკუმენისტური ორგანიზაცია ახალ, მის მიერ შექმნილ ეკლესიაში ვერ შეეგუება ქრისტიანული დოგმატიზსა და ღვთისმშ-

ხურების პირდაპირ გადმოტანას, რადგან ამით კვლავ გაღრმავდება კონფლიქტი ეკლესიათა შორის.

13. ეკუმენისტები კონტაქტებს ამყარებენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებთან. ასევე სელმძღვანელობენ ეკონომიკურ საკითხებს.

14. ამბობენ, რომ ახალი ქრისტიანული ეკლესიის მსახურები პირველ რიგში ასრულებენ მოვალეობას ღვთის წინაშე, შემდეგ კი, მათივე ინსტიტუტების მეშვეობით, თავიანთი მრევლის წინაშე (ე.ი. ინსტიტუტები უხელმძღვანელებენ მღვდელმსახურთ).

15. ამბობენ: როგორ შევეუთავსოთ საეკ-

ლესიო ღვიოსმსახურების არქაული ფორმები თანამედროვე ადამიანთა ყოფა-ცხოვრებას.

16. არიან რევოლუციის მომხრენიც, ოღონდ მცირედი დათმობებით. ამბობენ, რევოლუციონერი კიდეც რომ მოკედეს, მაინც ცოცხალიაო, ქრისტე კი რევოლუციონერიაო.

17. რომ თითქოსდა აუცილებლად საჭიროა ახალი ეკლესიური ფორმის ძიება. ეკუმენისტები ამტკიცებენ ყველა რელიგიის თანასწორუფლებიანობას (ე.ი. ქრისტეანულ მოძღვრებას არ თვლიან სულის გადამრჩენელ ერთადერთ მოძღვრებად).

18. ეკუმენისტები დიად ტოვებენ ზოგიერთი სასწაულის ტრადიციულ შემეცნებას, როგორცაა: სულიწმიდით მუცლადღება, ქალიშვილის მიერ ძის დაბადება, ქრისტეს აღდგომა...

19. მორწმუნე ქალთა რიცხვის გასამრავლებლად ეკუმენისტების ორგანიზაცია აყენებს ქალთა ღვთისმსახურების საკითხს (ე.ი. ქალს მიეცეს ხელდასხმა, ჰქონდეს საეკლესიო ჩინი, იყოს მღვდელი ან ეპისკოპოსი).

20. ასეთია კრედიო ქრისტეანული ეკუმენიზმისა.

ეკუმენისტური მოძრაობა

21. ეკუმენისტური მოძრაობის დასაწყისად ითვლება XX საუკუნე. 1910 წელს ედინბურგში მოიწვიეს მისიონერთა მსოფლიო კონფერენცია, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამერიკელი ეკლესიის მეთოდისტი ჯიმი მოტი, ხოლო მისი მოადგილე იყო ჯიმი ოლზემი, შემდგომში საერთაშორისო სამისიონერო საბჭოს მდივანი. აქ ჩამოყალიბდა მუდმივი კომიტეტი, რომელსაც უნდა გაეგრძელებინა მუშაობა სამისიონერო მოღვაწეობის უფლებათა გასაფართოებლად და მისი შემდგომი განვითარებისათვის.

22. 1913 წელს კომიტეტმა წერილი გაუგზავნა ვატიკანს მსოფლიო ქრისტეანულ ეკლესიათა ორგანიზაციული კონფერენციის თაობაზე, რაც რომის პაპს მოეწონა და თანხმობაც კი განაცხადა. აქვე მან შეახსენა კათოლიკური ეკლესიის პოზიცია მსოფლიო ეკლესიათა გაერთიანებასთან დაკავშირებით.

23. ჟენევაში ჩატარდა კონფერენცია „რწმუნის წესრიგი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ეპისკოპოსი ბრენტი. მანვე გახსნა კონფერენცია 1927 წელს ლონანში. ამ კონფერენციაზე მიაღწიეს შეთანხმებას სახარების პროპაგანდის ზოგიერთ პრინციპზე.

24. 1937 წელს ედინბურგში შედგა II კონფერენცია დევიზით „რწმენა და წესრიგი“, გამოიცა საღვთისმეტყველო ნაშრომები, რომლებშიც გაანალიზებული იყო პროტესტანტული და მართლმადიდებლური დოგმები. აქვე იქნა მიღებული საერთო შეხედულება ქრისტეზე, როგორც ეკლესიის თავზე, ჩამოყალიბდა პირველი ასამბლეის მსოფლიო საეკლესიო საბჭოს მიერ მიღებული შემდეგი ქრისტეანული კრედიო: „ჩვენ გვწამს ჩვენი ღმერთი ქრისტე, სიტყვა ღვთისა განკაცებულისა, ჩვენ გვწამს მისი როგორც ეკლესიის თავისა, როგორც მეფეთა მეფისა და მეუფეთა მეუფისა“.

25. 1925 წელს სტოკჰოლმში მოიწვიეს ე.წ. უნივერსალური კონფერენცია „ცხოვრებისა და მოღვაწეობისა“, ხოლო 1937 წელს ოქსფორდში შედგა „ცხოვრებისა და მოღვაწეობის“ II კონფერენცია.

26. 1948 წელს დამთავრდა მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ფორმირება.

27. 1938 წელს შეიქმნა მხოლოდ მოსამზადებელი კომიტეტი უ. ტემპლის თავმჯდომარეობით. გენერალურ მდივანად კი დაინიშნა ვისერტ ჰუფტი (უცვლელად იყო 1966 წლამდე).

28. 1948 წელს ამსტერდემში მოიწვიეს ასამბლეა ჯიმი მორის თავმჯდომარეობით. პრეზიდენტები გახდნენ მ. ბოგნერი და არქი-ეპისკოპოსი უფსალიისა ე. ვიდემი, მსოფ-ლიო საეკლესიო საბჭოს ცენტრალურ კო-მიტეტს კი ხელმძღვანელობდა ეპისკოპოსი გ. ბელი, ვიცე-თავმჯდომარე იყო ფ. ფრაი. მსოფლიო საეკლესიო საბჭოს II ასამბლეა ჩატარდა ევანსტონში (აშშ) 1954 წელს.

29. III ასამბლეა 1961 წელს ჩატარეს ნიუ-დელიში (ინდოეთი).

30. IV ასამბლეა შედგა 1968 წელს უქსა-ლუში (შვეიცია). აქ საგრძნობლად გაიზარდა მსოფლიო საეკლესიო საბჭოში შემაჯალ წევ-რთა რიცხვი და შეიცვალა წესდება.

31. V ასამბლეა ჩატარდა 1975 წელს ნა-ირობში (კენია).

32. ეკუმენისტებს დიდი წადილი აქვთ, ღვთისმსახურების წესები შეუთავსონ თა-ნამედროვე კულტურას.

33. ისინი ცდილობენ შეცვალონ რელი-გიური საწესწევულებო სიმბოლიკა და იგი მოარგონ იმავე ქვეყნის მდგომარეობასა და ტრადიციულ შეხედულებებს.

34. ისინი შენიშნავენ, რომ ვერ ჩამო-ყალიბდა ერთიანი სწავლება წეს-ჩვეულებებისა და საერთო ქრისტიანული პრაქტი-კული მსახურების შესახებ.

35. ღვთისმსახურნი შეწუხებულები არი-ან იმის გამო, რომ თანამედროვე ურწმუნო ადამიანებს რელიგიური დღესასწაულების დაცვა და ღვთისმსახურებაში მონაწილეო-ბის მიღება შეეცვალათ სპორტით, ხელოვ-ნებით და დროის ტარების სხვა საშუალებე-ბით.

36. თავდაპირველად საერთაშორისო მი-სიონერული საბჭო აერთიანებდა 17 ეროვ-ნულ ორგანიზაციას. აქედან 13 იყო ევროპი-სა და ამერიკის ძველი ეკლესია, ხოლო სა-

მოციან წლებში საერთაშორისო მისიონე-რული საბჭოს წევრთა რაოდენობა 38-მდე გაიზარდა. აქედან 14 იყო ძველი ეკლესია. დანარჩენები შეადგენდნენ ქრისტიანულ საბ-ჭოებს, ანუ იწოდებოდნენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეროვნულ მისიო-ნერულ საბჭოებად.

37. 1979 წელს მსოფლიო საეკლესიო საბჭოს წევრი გახდა 290 რელიგიური გაერ-თიანება. მათში შევიდა 6 რელიგიური ორ-განიზაცია ყოფილი საბჭოთა კავშირისა: 1) რუსული მართლმადიდებლური, 2) ქართუ-ლი მართლმადიდებლური, 3) სომხური „გრიგორიანული“, 4) ლატვიის ლუთერა-ნული, 5) ესტონეთის ლუთერანული და 6) ევანგელისტ ქრისტიან-ბაბტიისტების კავში-რი.

38. ნათლად ჩანს თუ დღითი დღე რო-გორ აფართოებს თავის რიგებს მსოფლიო საეკლესიო საბჭო და როგორი წადილით შე-დიან „ძველი“ ეკლესიებიც კი ამ მათთვის უცნობ ორგანიზაციაში, რომელსაც ჩინე-ბული სახელწოდება გააჩნია — „მსოფლიო ეკლესიათა საბჭო“. წინათ ამ მსოფლიო საქრისტიანო ეკლესიის მწყემსი გახლდათ მსოფლიო პატრიარქი. მას გააჩნდა ხელ-დასხმა, ე.ი. ღვთის კურთხევა და განაგებდა მსოფლიო ქრისტიანულ სამწყსოს, ხელმძ-ღვანელობდა მოციქულთა — წმიდა მამათა დადგენილი წესდებებით.

39. ყოველგვარი მოქმედების აკვარია-ნობის სასიხვი ქვა იყო და იქნება თვით ქრისტე და, როგორც ბიბლია განმარტავს, „ინც ამ ქვაზე დაეცემა, დაიშხერევა და ვი-საც ეს ქვა დაეცემა, გასრესს“ (ფსალმუნდიან).

40. მაშ, ჩვენც ესინჯოთ ამ ქვის მიხედვით ყოველი ახალი რჯულდება და დაჯაკვირ-დეთ რამდენად ეთანხმება ან სცილდება იგი დიდ რჯულისკანონს.

ქრისტაიანული ეკუმენიზმი და
მომავალთა წინსვლა

ბანმარტაბა I:

41. — მიანათ, რომ მსოფლიო ქრისტიანული რელიგია კრიზისს განიცდის.

— რელიგია იმიტომ განიცდის კრიზისს, რომ ადამიანების გონება დაკავებულია სულის საზიანო „ფასეულობებით“. გზა გაეხსნა ხელოვნებას, სპორტს, გემოთმოყვარობას. სოკრატეს აზრით, ხელოვნება ზნეობას აქვეითებს და ეშმაკმაც სწორედ აქ გამოიყვანა იგი. პარალელურად ეკლესიაში დამკვიდრდა სიტარიელე და სისაძაგლე, როგორც ამას დანიელი წინასწარმეტყველებს: „ბოლო დროს — საუკუნის დასასრულს იქნება სიტარიელე და სისაძაგლე ეკლესიებში“. სწორედ ამ ბოლო პერიოდის საეკლესიო მსახურთა უზნეო ყოვაცხოვრებამ რწმენა შეურყვია ხალხს. ასევე, ათვისებების ცინიკურმა პროპაგანდამ, მორწმუნეთა ძაგებამ და ურწმუნოთა ქება-დიდება რელიგიური სასიცოცხლო არტერიები გადაჭრა.

42. როდესაც ჭეშმარიტება იდევნება, ზემოებს სიტრუე. „ჟამის მიჯნაზე კიდევ უფრო დაგვემორდება სიმართლე“, რადგან კანონი უფლისა დაწვეს. — ბრძანებს წინასწარმეტყველი ეზრა.

43. ეკუმენისტები კი იჩემებენ: ისმინეთ ჩვენი მოძღვრებისაო.

44. ეშმაკმა ბრძოლა დაიწყო სწორედ იქიდან, საიდანაც ქადაგებდნენ სულის გადამარჩენელ მოძღვრებას. პურის ყანაში ჩაგვიოთესეს ღვარძლი და ანწლი, რათა არ ეხზარა ჩვენს საზრდოს.

45. თუკი ეკატორიობის ზნეობრივი ნორმები ბიბლიური ათი მცნებით ჩამოყალიბდა, ეშმაკისმიერი საპირისპირო „მცნებები“ ამგვარია:

ა) — „გიყვარდეს ღმერთი შენი“... (ბრძანებს ღმერთი).

— არ არსებობს ღმერთი! (ამბობს ეშმაკი).

ვინაც ეშმაკის სიტყვას უსმინა, მან ხორცის სასიამოლო მიიღო საჩუქარი ეშმაკისაგან, ხოლო ღვთისაგან დაიმსახურა რისხვა — სამარადჟამო ცეცხლი.

ბ) — „გიყვარდეს მოყვასი შენი“... (ბრძანებს ღმერთი).

— ადამიანი ადამიანისთვის მგელია! (ამბობს ბოროტი).

თქმა იყო და იწყეს ურთიერთ ქიშპი, მტრობა და მით ცეცხლი განიმზადეს.

გ) — „არა იპარო“... (ბრძანებს ღმერთი).

— მოიპარე, ღმერთი არ დაგსჯის, რადგან ის არ არსებობს! (ამბობს ბოროტი).

ეშმაკის აზრის მიხედვით იყო ძარცვა; ქონება იშოვა, სული დაკარგა.

დ) „— არა იმრუშო“... (ბრძანებს ღმერთი).

— სექსუალური რევოლუცია! (ხალხს მოუწოდებს ბოროტი, რასაც მოასწრებს, შენია! დღეს ხარ, ხვალ არ იქნები).

ამ დღეის მიმდევრებმა ქვეყანა გახრწნეს და მით ჯოჯონეთი განიმზადეს.

ე) — „კაც არა ჰკლა“... (ბრძანებს ღმერთი).

— მოჰკალ, იბატონე! დღეს ხარ? შენ იყავ მბრძანებელი! (გვაჯერებს ეშმაკი).

ვინც ისმინა ბოროტისა, მან სისხლი დაღვარა. მისი სისხლიც დაიღვრება.

ვ) — „არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა, არცა საბაღებელისა მისისა“... (ბრძანებს ღმერთი).

— არაეითარი დანდობა, შენია ყველაფერი, რაც გინდა! (ამბობს ბოროტი).

ამ მოწოდების მიმყოფი ცხოველად იქცა; ვინაც ადამიანობას ცხოველობა არჩია, მან უარყო ღვთის წყალობა, მისთვის ბოძებული იგივე სამარადჟამო ცხოვრება და მხურვალე თონეს შთასცა მისი გავლურებული სული და ხორცი.

ზ) „პატივ ეც მამასა და დედასა შენსა, რამეთუ კეთილგუქმნეს შენი“ (ბრძანებს ღმერთი).

სატანამ კი კაცს ლექსად ათქმევინა: „დედასაც მოგვლაჲ, მამასაც მოგვლაჲ, თუ მომიწოდებს რევოლუციით“.

46. აი ის ღვარძლი და ანწლი, ხორბლის ყანაში ჩათესილი. ბოროტი უხეი მოსავლის აღებას სწორედ საუკუნის დასასრულს ელოდება, რადგანაც, როგორც ვთქვით, თვალხილული სიბნელეში ვერას არჩევს, ხოლო ბრმა კი სიბნელეში იქნება თუ სინათლეში, მაინც ვერას გაარკვევს და პა, დადგა მკათათავეც.

47. ეშმაკი კვლავ მოგვიწოდებს უფლის კანონების გაუქმებით ახალი გზების ძიებისაკენ. დაეცა რწმენა, ამბობს ბოროტი, გელესიას ავტორიტეტი დაეკარგა.

48. ამიტომ საჭიროა ძალაუფლება სასწრაფოდ აიღოს ხელში ახალმა რელიგიურმა ორგანიზაციამ, რომელიც ადამიანთა საბედნიეროდ გააერთიანებს ყველა რელიგიას და მით დაამკვიდრებს ბედნიერებას ქვეყანაზე.

49. აი, ის ცრუ მარცვალი: „არ არის ღმერთი“, „მოპკალ“, „იპარე“, „არა გიფვარდეს მოყვასი!“ — მარცვალი, რომლის აღმოცენებამ ნირი უცვალა ქვეყნიერებას.

50. თავიდანვე ასეთი ხეაერიელი მოსავალი როდოქქონდა ეშმაკს, მას ებრძოდა კეთილთა მხარე, მაგრამ ეშმაკმა მოთმინებით აკეთა თავისი საქმე.

51. მრავალნი კეთილნი დროთა განმავლობაში მის მოძღვრებას მიემხრნენ და ქვეყანა გასაწირავად განაზღაურეს.

52. რაც უფრო უახლოვდება საუკუნე მიჯნას, მით უფრო მძვინვარებს ეშმაკი. მისი უპირველესი მიზანია ქრისტეანთა ერთბადეში მოქცევა.

53. ეშმაკის მიმდევრები ხელზე იხვევენ რა მათ მიერ შექმნილ ქრისტეანული რელიგიის კრიზისს, მდგომარეობიდან თავდასახსნელად მსოფლიო რელიგიური გაერთიანებისკენ მოგვიწოდებენ.

54. ამბობენ, რომ „ერთიანი ქრისტეანული ეკლესია დაქუცმაცდა“, რისთვისაც ვთავაზობენ ეკლესიათა გაერთიანებას.

55. ერეტიკული თესლის ხნულში ჩაგდებას ქრისტეანული ეკლესიები იმთავითვე ეზიარნენ.

56. სამოციქულო ეკლესიის პარალელურად აღმოაცენეს ხატთა წინააღმდეგ მებრძოლი, ქრისტეს ერთბუნებოვნების მადიარებელი (მონოფიზიტური) ეკლესიები, მაცხოვრის სახელის მქონენი, მაგრამ განუხრელად ეშმაკის ნების მიმდევარნი.

57. X საუკუნემდე მრავლობდა ერთიანი კათოლიკური სამოციქულო მსოფლიო ეკლესია.

58. ეს ის ათასი წელია დედამიწაზე, რომლის შესახებ იოანეს გამოცხადებაში ვეცნობით სატანის ათასწლოვან დატყვევებას.

59. სწორედ ამ ათასი წლის შემდეგ (1054 წ.) მოხდა ის უდიდესი განხეთქილება ერთიანი სამოციქულო ეკლესიისა. ლათინელებმა შეცვალეს ათსაუკუნოვანი დოგმატი, რის გამოც ანათემას შეუდგნენ.

60. 1054 წელს კონსტანტინოპოლში აღმოსავლეთის ეკლესიამ დასავლეთის ეკლესია ერეტიკულად ცნო შეცვლილი დოგმების გამო, განკვეთა იგი მსოფლიო ქრისტეანული ერთიანი ეკლესიიდან და რომის პაპიც ანათემას შეუყენა.

61. ასევე, დასავლეთის ეკლესიამ აღმოსავლეთის ეკლესიაც ანათემას გადაცა, ძველი სახელწოდება — „კათოლიკური“ კი მიითვისა.

62. აღმოსავლეთის ეკლესიას რომ მიენიშნებინა თავისი განსხვავებულობა და სიმართლე, „მართლმადიდებლურად“ იწოდა.

63. ეს იყო ეშმაკის ზეიმის დღე. ერთიანი ქრისტეანული ეკლესია ერესის საფუძველზე ორად გაიყო, რასაც შემდგომ მოჰყვა ორივე ეკლესიის დაქუცმაცება. ახლა კი ამ მწვალებლური ეკლესიების გაერთიანება უნ-

ბები რკულისკანონის უგულებელყოფილებს.

64. ყველა ერეტიკული ეკლესიის მამა ეშმაკია, ხოლო წმიდისა — ღმერთი. ერეტიკულია ყველა სექტა, რომელიც კი არსებობს ქვეყანაზე ქრისტიანული სახელწოდებით.

65. საჭირო იყო ქრისტიანული განტოტების სიმრავლე, დოგმატიკური განსხვავებანი, რომელთა სიმრავლე მერმისისთვის ათქვეყნიებდა ეშმაკს იმას, რასაც აჟამად აცხადებინებს ეკუმენისტებს: „დაქუცმაცებული ეკლესიის აღდგენა!“ მაგრამ რომელი წესის დაქვემდებარებით? ამაზე ისინი გვიპასუხებენ, რა თქმა უნდა, არა ძველი წესების მიხედვით.

66. ეშმაკმა იცის, რომ საუკუნის დასასრულამდე იარსებებს ქრისტესათვის სათნო ეკლესია და იგი ვერ იქნება მისგან ძლეული. ცრუ ეკლესიები კი დიდი ხანია ბადეში ჰყავს გასვეული.

67. ეშმაკთა საბრძოლველი ობიექტი მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიაა. რა ხერხებით არ შეეცადა ეშმაკი ამ ეკლესიის დაცემას! სასულიერო იერარქიაში თავისი ხალხი დასვა, რომელთა მეოხებით ეკლესიებში დაამკვიდრა ერესი.

68. ღმერთმა დაეთის პირით ბრძანა: „წმიდას ნუ აურევთ უწმიდურში“. ეშმაკს ქრისტეს სახელდებულ ეკლესიათა გაერთიანება კი არა, თვით ამ ეკლესიაში ქრისტეს მტრების ზროვაც მოუპატრონია დიდი სიყვარულით, მაჰმადიანთა შემორეუაც განუზრახავს, მაჰმადიანთა; რომელთაც ქრისტე ღმერთად არ მიაჩნიათ.

69. ეშმაკი ამ ხალხს თავისივე კრედოთი ქრისტეს ეკლესიაში აერთიანებს.

70. ეკუმენისტები გვთავაზობენ ახალ ეკლესიას, მაგრამ რა ფორმით? ამ ფორმას ისინი თავად წარმოგიდგენენ. თუკი მათი საეკლესიო ფორმა იქნა ძველმორწმუნეობრივი ანუ მოციქულებრივი, მაშინ ეშმაკს ხელი აუღია ეშმაკობაზე, საკუთარი თავის გადარჩენა უნდომებია და ისაა. მაგრამ, ვაი,

რომ ეს ასე არ იქნება. ისინი კიდევ უფრო შეცვლიან მოციქულების მიერ მოცემულ წესდებებს და ისეთი ერეტიკული დოგმების ქვეშ ეცდებიან ამ ეკლესიათა გაერთიანებას, რომ ღვთის რისხვისათვის განამზადებენ მსოფლიოს. ამ გაერთიანებას VIII მსოფლიო კრება ერქმევა, რომლის შესახებ წმიდა მამები ბრძანებდნენ:

71. შეიდი საეკლესიო კრება განწმენდს საქრისტიანოს ეკლესიებს და მერვე ღმერთმა ნუ ქნასო, რადგან ბიბლიაში დაწერილია, რომ ღვთის სიტყვა შეიდჯერ იქნება განწმენდილი (ფსალმ., 11, 7).

72. სწორედ იმისთვის დააქუცმაცეს ერთიანი ეკლესია, რათა მერვე შეძლებოდათ ხმამაღლა თქმა: ძმებო, ქრისტიანებო, გავერთიანდეთო! და მით ეშმაკის ბადეში გახვებით მართალნი.

ბანძპარტმბა III:

73. ჟრთა, რასათა შორის არსებობს ჯანფლიქტი, კოლონიური ჩაგვრა, უთანასწორობა, უუფლებობა, სისხლის ღვრა“.

უთანხმოებას, სიძულვილს, უნდობლობას, რა თქმა უნდა, უღმერთო ცხოვრება ბადებს. უღმერთო ცხოვრება ნიშნავს, რომ შიში არავისი გქონდეს, იყო თვითნება, აკეთო ის, რაც გინდა, არ დაქვემდებარო არსებულ წესებსა და კანონებს.

74. ვინც ქრისტე ღმერთი შეიყვარა, მან შეიყვარა ყველა მისი კანონი. და მან შეიყვარა მოყვასი თვისი, რადგან ქრისტიანობა ნიშნავს სიყვარულის მტკიცებას.

75. რასას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ქრისტე ღმერთი ყველასათვის სისხლდანიხუელია. ამდენად, ყველა აღამიანი ადამიანია, ქრისტიანული დამოკიდებულება მათ მიმართ ჭეშმარიტად ქრისტიანულია — უბოროტო, უსისხლო.

76. რა განზრახვა უდევს გულში ამა თუ იმ ერის ან რასის წარმომადგენელს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მიუხედავად იმისა,

რომ იუდად ქრისტეს გაცემა ჩაიდო გულში, ქრისტე მას მაინც მეგობარს უწოდებს.

77. ასევე არ უნდა გვერინდეს მტრისადმი ავი განზრახვა. უნდა დავეყრდნეთ არა მკლავისა და გონების ძალას, არამედ ღვთის კეთილ ნებას, მას უნდა ვანდოთ ჩვენი ცხოვრება. თუკი ყველანი ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ქვეყანაზე არ იქნება რასათა შორის სიძულვილი.

78. ეშმაკმა იცოდა, რომ ადამიანის ბუნებას არ შეეძლო უღმერთოდ ცხოვრება და შექმნა კიდევცათსგვარი რელიგია, რომელთაც, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ არავითარი მადლი ღვთისა. ასე წარმოიშვა სულის წარსაწყმედეგი პარალელური რელიგიები. უგუნური ვერი, თავისი განწირული ბუნების წყალობით, სწრაფად მოეჭიდება ხოლმე ეშმაკის ნებას.

79. თუმცა, მათი აზრით, ისინიც თავყვანს სცემენ ღმერთს, მაგრამ სინამდვილეში უარყოფილი არიან ღვთისა. ვინაც ქრისტემეხია არა ცნო, იმისი რელიგია ტყუის. თუმცა ისინი ცხოვრობენ და მრავალდებიან, ღმერთი მათ თონისთვის მისაცემელ თევას აღარებს.

80. ხალხისთვის ყალბი რელიგიების შეჩეჩებამ, ჭეშმარიტ რელიგიაში გაჩენილმა ერესებმა კაცობრიობა დატოვა ღვთის მადლის გარეშე, რადგან ღვთის მადლი მხოლოდ შეურყენელ რელიგიასა და გკლესიაში სუფევს.

81. რადგან ეკლესია ქრისტეს პატარძალია, იგი უნაკლო და შეურყენელი უნდა დარჩეს ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. სხვანაირ პატარძალს არ ინებებს ქრისტე ღმერთი.

82. ყოველივე ეს კარგად იცის ეშმაკმა და სწორადე აქედან იწყებს ეკლესიის რღვევას, რათა შეიძილწოს იგი და უმანყოუბა დაკარგოს.

83. ეშმაკმა მიაღწია თუ არა იმას, რომ ერესის მეშვეობით ნირი ეცვალა ქრისტეანული ეკლესიებისათვის, ამით მან მთელი

ქვეყნიერება მადლის გარეშე დატოვა და ციხლისთვის განამზადა.

84. უმადლოდ, უღმერთოდ დარჩენილ ხალხს რანაირად უნდა მოეთხოვოს ერთა შორის სიყვარული ან რასათა შორის მეგობრობა?

85. ბოროტებმა უფრო ღრმად ჩათრიეს თავიდანვე მათ მიერ ცდუნებული ადამიანები. ხოლო, როდესაც მიზანს მიაღწიეს და მარცვალი დამწიფდა, შეუძლიათ ხმამაღლა განაცხადონ: ხალხთა შორის არ არსებობს მშვიდობა, მძინვარებს რასიზმი და ყველა საკითხის დროულად გადასაჭრელად საჭიროა რომელიმე რელიგიურმა ორგანიზაციამ ხელში აიღოს სადავეები. სწორედ ამ ორგანიზაციის ლიდერობას კისრულობს ეშმაკი, როგორც თითქოსდა ქრისტეს ფარის მწყემსი.

86. აცხადებენ: ვინაიდან ვერც ერთი სოციალური წყობა ვერ ახერხებს ქვეყნის მოწესრიგებას, რელიგიამ უნდა იკისროს წინამძღოლობა. ეს აზრი სწორია, მაგრამ საკითხავია როგორმა რელიგიამ? ახალ კანონებს ქმნიან, თითქოსდა ქრისტეანული სამოციქულო სწავლება ამისათვის უძღური იყოს და საჭიროება მოითხოვდეს ახალ რელიგიურ მოძღვრებას — მოდერნიზტულ რელიგიას.

87. რა საბუთები გაგვანია, როდესაც კამბოთ: ესა თუ ის ორგანიზაცია ეშმაკათა ხროვას წარმოადგენს.

თუკი მოციქულებრივი სწავლება: მათ მიერ დაკანონებული დოგმები და რიტუალები იქნება შეცვლილი, მაშინ არავითარი განმარტება და ლოგიკური მტყიცება არ არის საჭირო, ეს უთუოდ ეშმაკათა საკრებულოა.

88. საბუთად პავლე მოციქულის სიტყვებიც კმარა:

რასაც შეახლა კვადაგებს, ამის საწინაღმდეგო აუ ვინმემ იქადაგოს, ანგელოზიც რომ იყოს, ანათემას გადაეცითო.

89. განა ამ ორგანიზაციამ, რომელმაც იწოდა „მსოფლიო ეკლესიათა საბჭო“, მო-

ციქულებრივი სწავლების შეცვლა არ მო-
თხოვა? მაშ, როდესაც ვამბობთ — „მსოფ-
ლიო საქრისტიანო საბჭო“, იგულისხმება
პაულე მოციქულის მიერ უკვე წინასწარვე
ანათემას გადაცემული, შერისხული ორგა-
ნიზაცია.

90. ანათემას გადაცემა ყველა ახალი
მოძღვრება, რომელიც არ დაეთანხმება სა-
მოციქულო წესდებებსა და მათ სწავლებას,
რადგან ნათქვამია: მოციქულთა ბაგე ქრის-
ტეს ბაგეაო.

91. სათავეში იმიტომ აურია ეშმაკმა,
რომ ბოლოს ეთქვა: ამ უწესრიგობას მე მო-
ვანწესრიგებო და, ქრისტიანობით შენიღბულს,
სადავეები ხელში აეღო. მისი ეშმაკური სა-
ხე თვალხილულთათვის ნათელია, რადგან
იგი არ ეთანხმება ქრისტეს მოციქულებს და
მოაქვს მოციქულებრივი სწავლების საწი-
ნააღმდეგო სწავლება.

ბანმარტმბა IV:

92. ამბობენ: დაცემულია მსოფლიოს ეკო-
ნომიკური მდგომარეობაო.

მსოფლიოს ეკონომიკის დაცემის უპირ-
ველესი ნიშანდობლივი ფაქტორია უღმერ-
თო ცხოვრება, რადგან საზრდო, რითაც იკ-
ვებებიან ადამიანები, არის ღვთის წყალობა.
უღმერთობის გაძლიერება იწვევს ღვთის წყა-
ლობის შემცირებას.

93. პოლიტიკა ნიშნავს სიცრუეზე და-
ფუძნებულ შიმშილს, ბოროტება რომ უგუ-
ნურ ადამიანთა საზოგადოება თანდათან და-
აშორა ღმერთს, სიმაართლე შორს განდევნა
და სიცრუეზე ააგებინა სასახლე, სიცრუეზე
დაფუძნებული სასახლის ხვედრი კი ცეცხ-
ლია. ბოროტმა ეს იცის და დიდი მონდომე-
ბით ცდილობს ამ აზრის განხორციელებას.
ეშმაკმა ისიც კარგად იცის, რომ შიმშილი
იწვევს უკანონო მოქმედებას, უკანონო მოქ-
მედება კი — ცოდვას, რადგან შიმშილის და-
ოკება უმეტარათა და უგუნურთა ბრბოში იწ-
ვევს სულის გაყიდვას.

94. ეშმაკი ქადაგებს: თუ გინდა მაძლარი
იყო, გახდი ჩემი მეგობარი და ქონებით აგა-
სებო.

95. ქრისტე ბრძანებს: გაყიდე, რაიცა გა-
ბადია და დაურიგე დატაკთ და შემომიდექ
მე. „ამენ, ამენ გეტყვით თქვენ: აქლემი უფ-
რო ადვილად გაძერება ნემსის ყუნწში, ვიდ-
რე მდიდარი სამოთხეში შევა“.

„არა მხოლოთა პურითა ცხონდების
კაცი, არამედ სიტყვითა, რაიცა აღმოხდების
უფალს“.

97. ეკუმენისტები კი გვეპირდებიან მდიდ-
რულ, უზრუნველ ცხოვრებას და ასეთი ცხოვ-
რების მოსაწყობად ყოველგვარი ძალადო-
ბის გამოყენებას ეცდებიან, თვით რევოლუ-
ციურსაც კი.

98. ვის ვენდობით ჩვენ: ეკუმენისტების
„სიბრძნეს“ თუ ჩვენითვის ჯვარცმულ ქრის-
ტეს?!

ბანმარტმბა V:

99. ამბობენ: არ არსებობს სამართლიანი
მოღველი სოციალური წყობისაო.

ეშმაკის პირველი საზრუნავი იყო და დარ-
ჩა დღევანდელ მსოფლიოში არსებული ორ-
თავე სოციალური წყობის — კაპიტალისტუ-
რისა და სოციალისტურის გაქიპება. ეკუმე-
ნისტთა ქმედება მიმართულია მათ საწინა-
აღმდეგოდ, რადგან მიანიხიან, რომ ორივე
წყობილებამ შეასრულა დაკისრებული ფუნ-
ქცია. ახლა მათი ვალია მტკიცედ დაამკვიდ-
რონ სიცრუე ორთავე წყობაში.

100. სახელდობრ, ორთავეში თვალნათ-
ლივ უნდა ჩანდეს უსამართლობის ზეიმი და
სამართლიანობის დევნა. ასე რომ, ქვეყანაზე
უნდა იმრავლოს ბოროტებამ, სიცრუემ, სისა-
ძაგლემ, დაუნდობლობამ, სიძულვილმა, რის
შემდეგაც ეშმაკი ეცდება თავისი მოსაყვლის
აღებას და მაშინ სმამაღლა განაცხადებს:
არც ერთი და არც მეორე მოღველი სოცია-
ლური წყობისა არ გამოდგაო და დაბნეულ
საზოგადოებას შეაჩჩებებს მესამე მოღველს.

101. სოციალური წყობის ეს მესამე მოდელი ასეთი იქნება: ვინაიდან არც ერთმა წყობამ არ გაამართლა და ყველა პოლიტიკამ კრახი განიცადა, საჭიროა ადამიანი კვლავ დაუბრუნდეს ღმერთს.

102. ეკუპმენისტები ყველა წყობის უშედეგიანობის მიზეზად უღმერთობას აღიარებენ და ეშმაკი მოუწოდებს ხალხს კვლავ ღმერთისაკენ მიქცევას. ამ ხერხით მას სწადს ყველა რელიგიის ერთ სახურავქვეშ თავმოყრა.

103. ეს ნიშნავს წმინდისა და უწმინდურის ერთ ფინჯანში აღრევას, რაც თავისთავად ღვთის რისხვას დაიმსახურებს. და ასე იზეიმებს ეშმაკი ქრისტიანების შემოტყუებას ცდუნების დიდ ბაღეში.

104. სხვა რელიგია არ აინტერესებ ეშმაკს. მას მხოლოდ ქრისტიანობის დაცემა სწადია. ღმერთისაკენ ოწოდება ეშმაკის ხრიკია და ნიშნავს: მიუშვით წყაროსთან მწყურვალნი, ხოლო წყაროში ჩაუშვით შხამი!

105. ამგვარ წყაროს დაწაფებულნი წყურვილთან ერთად თავსაც იკლავენ. როცა ეშმაკი მოითხოვს ყველა რელიგიის გაერთიანებას, იქვე დასძენს, რომ ცხოვრების სადავეები რელიგიამ უნდა აიღოს ხელში, ხოლო რელიგიური ღიღერი, რომელიც წარმართავს მსოფლიო რელიგიას, ეჭვმიუტანლად უნდა იყოს მსოფლიოს სამწყსოს მმართველი.

106. სწორედ ამისთვის სჭირდებათ მათ ორთავე სოციალური წყობის განსიქება. აქვე გაეარკიეთ ერთი ოინი ეშმაკთა მანქანებისა, როცა ის ანგრევს სამეფო დინასტიას და გზას უხსნის რესპუბლიკას.

სამეფო დინასტიას, რომელსაც გააჩნდა ერთიანი ტრადიციული დინასტიური მიზანდასახულობა სამეფო მმართველობისა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა, იხვეწებოდა, რომელშიაც ასევე ჩანდა ერის იერსახე, ბუნება და მრწამსი, უცილობლად უნდა დაშლილიყო შემდეგი ხერხით:

107. სამეფოები უპირველესად უნდა შეცვლილიყვნენ რესპუბლიკებით, რაც გამოიწვევდა დინასტიის გაუქმებას, ხოლო დინასტიის გაუქმება — ერის ტრადიციული გზის, მისი მრწამსის დაკარგვას. ეს, რათქმა უნდა, ეშმაკისთვის ხელსაყრელი იყო, რადგან იგი სახელმწიფოს რესპუბლიკურ იერსახეობაში ანადგურებს მისთვის საზიანოს, არჩევნების მეშვეობით ყოველხუთ წელიწადში ცვლის რესპუბლიკის თავს და ყოველ ახალ თავს ახალი იდეებით მოსახს.

108. ამგვარი ხშირი არჩევნების საშუალებით საზოგადოებრივი გზა მიიმართება არა დადგენილი დინასტიური ტრადიციების მიხედვით, არამედ ისე, როგორცეს დიდ, ბოროტ ორგანიზაციას სურს.

109. ახლა, როდესაც სამეფოები დაიშალა და რესპუბლიკები შეიქმნა, რომლებიც სინგელის ოკეანისკენ მიაცურებენ თავთავიანთ საზოგადოებებს, სადაც მძვინვარებს უღმერთობა, შიში, შიმშილი, ჩაგვრა, მრუშობა, რაც ეშმაკის მიზანს წარმოადგენს. სადღეისოდ, როცა ბოროტი ხმამაღლა აცხადებს რესპუბლიკების უღმერთობას, უნდა გვახსოვდეს, რომ საუკუნეთა მანძილზე თავისი მისია შეასრულა რესპუბლიკათა არსებობამ, მსოფლიო განამზადა ახალ პოლიტიკურ ფაზაში შესასვლელად. ეს კი საუკუნის დასასრულის მოახლოებას ნიშნავს. რადგან ანტიქრისტე იმზადებს ტახტს, რათა ცრუ რელიგიით გაერთიანებულ და პოლიტიკურად დეგრადირებულ სახელმწიფოებს ჩაუდგეს სათავეში, მაგრამ მას ახსენებენ წინასწარმეტყველოთა ღვთიურ განკარგულებას:

110. „მისხავე, უღირსო ბელადო, გვირგვინი და გადაეცი დაძვირებულს“.

111. ასე რომ, იმ უღირს ბელადს მოხსნიან გვირგვინს. მას დაიდგამს თვით მაცხოვარი, რომელიც არის ჭეშმარიტი ბელადი და ჭეშმარიტი მწყემსი — ღმერთი ჩვენი იესუ ქრისტე, რომელიც განსჯის საშინელ

სამსჯავროზე მეორედ მოსვლისას ცოცხალ-
თა და მკვდართა.

ბანმარტმპა VI:

112. გეგმენისტები ამბობენ, რომ მეცნი-
ერებისა და ტექნიკის განვითარებით ადამი-
ანი გაითავისუფლებს თავს ბუნებისა და სო-
ციალური ძალების ბატონობისაგან: ტექნი-
კისა და მეცნიერების პროგრესი შეცვლის
რელიგიას; მათ ასევე სურთ განახორციე-
ლონ ცხოვრების დონის ამაღლება რაგორც
დღევანდელი ადამიანის, ასევე მომავალი
თაობებისათვის.

113. ტექნიკისა და მეცნიერების პროგ-
რესით ადამიანმა სცადა გაათავისუფლებს
და უზრუნველი ცხოვრების მოპოვება, მაგ-
რამ პირიქით გამოვიდა, იგი უფრო შეიბო-
ჭა; ტექნიკის პროგრესმა ვერ გაათავისუფ-
ლა ადამიანი. პირიქით, დაიმონა და დაზგას
შიაჯაჭვა. ქარხნების სიმრავლემ ეკონომი-
კა ვერ ააღორძინა. ამ მხრივ მსოფლიო
კვლავ განიცდის კრიზისს. რაც შეეხება მეც-
ნიერების დღევანდელ აღმავლობას, მან უფ-
რო დააჩქარა კაცობრიობის სიკვდილი. ეს
ის მეცნიერებაა, რომელსაც ღმერთი უკრ-
ძალავდა ადამიანს: ნუ გამოიძიებ შენთვის
დაფარულსო. ეშმაკისაგან გაბრიყვებულმა
მეცნიერებმა იმდენი ატომური და წყალბა-
დის ყუმბარები შექმნეს, რომ ადამიანებს
ფეხის დასადგმელი ადგილიც კი არ დაუტო-
ვეს. ადამიანი გრძნობს ფეხქვეშ ამ ყუმბარებს
და ღმინებულნი ახლად ეძებს ხსნას, თუ
როგორ დააღწიოს თავი კატასტროფას, რო-
მელიც თვითონ შეუქმნა საკუთარ თავს.

114. ადამიანი გახდა მეცნიერული ძიე-
ბის მსხვერპლი. მაშ, რანაირად გაათავი-
სუფლებს მეცნიერებისა და ტექნიკის პროგ-
რესი ადამიანს ბუნებისა და სოციალური
ძალების ბატონობისაგან?

ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი
რატომ აყენებს ახალი რელიგიის შექმნის
პრობლემას?

115. რა აუცილებლობა ითხოვს ადამიან-
ის დასაბადებლად ღმრის მუცლის შეცე-
ლას, განა იგი უწინდებურად დღესაც არ ას-
რულებს თავის ფუნქციას? განა ჭეშმარიტი
რელიგიაც ღმრის მუცელივით არ ბადებს
ადამიანებს სამარადჟამო სიცოცხლისათ-
ვის? ვის ხელეწიფება ღმერთისაგან დადგე-
ნილი, სულის გადამრჩენელი მოძღვრების
შეცვლა?

116. ვიცით, რომ ძველი აღთქმა უნდა
შეცვლილიყო ახალი აღთქმით. ამას გვაუწ-
ყებენ თვით ძველი აღთქმის წინასწარმეტყ-
ველნი, მაგრამ არც ძველში და არც ახალ
აღთქმაში არსად წერია, რომ საჭიროა ახა-
ლი აღთქმის მიერ დაუფლებული ეკლესიე-
ბის გადაკეთება და ღოგმატებისა თუ თვით
რელიგიური მრწამსის შეცვლა. პირიქით,
ის კი წერია, რომ, რასაც ჩვენ ახლა ვქადა-
გებთ, ამის საწინააღმდეგო თუ ვინმემ იქა-
დავოს, ანგელოზიც რომ იყოს, ანათემას გა-
დავითო.

117. მაშ, რომელი ჭეშმარიტი კვლევა-
ძიება ასაბუთებს მეცნიერებისა და ტექნიკის
პროგრესით რელიგიის შეცვლას? ეს ხომ
ეშმაკის მოთხოვნაა?

118. სად წერია, დედამიწაზე სამოთხეა
და უზრუნველად იცხოვრებაო. განა ბიბლი-
აში არ ნაგვიწერეს, რომ ეს ქვეყანა ეშმაკის
ხელშია, დრომდე ის მეფობს დედამიწაზე.
განა არ უთხრეს ადამიანთა მოდგმას, რომ
სატანა მათ შორის იმყოფება და ეს მათი
უბედურებაა?

119. დედამიწაზე სავით ქრისტე ღმერთის
არ უცდია სამოთხის მოწყობა. პირიქით,
თქვა, რომ ამქვეყნად ცხოვრება ნიშნავს ტან-
ჯვას, ზორცის მოკვდინებას სულისათვის
და ყველა, ვინც სიმართლის მოყვარული იქ-
ნება, იქნება დევნილი, ვითარცა მეო.

120. და თუკი ეკუქინისტები მაინც თავი-
სას დაინიშნებენ და იტყვიან, ჩვენ შეეძლებო
ქვეყანაზე ბედნიერი და მშვიდი ცხოვრების
მოწყობასო, ეს იქნება სიცრუე, რადგან კარ-
გად ვიცით ეზრას წინასწარმეტყველებიდან

თვისთვის მიხედვით არწივის, მისი სამი თავი-
სა და ორი ბუმბულისთვის გამოტანილი გა-
ნაჩენი.

121. მამ, როგორღა გვირდებიან ეკუმენი-
სტები ამგვარ უზრუნველ, უშფოთველ,
ბედნიერ ცხოვრებას. მათი დაპირება ხომ არ
ჰგავს ანკესზე ჭიის წამოცმას, რათა კარგად
ჩაყლაპოს თევზმა ის სატყუარა, რომელიც
მის სიკვდილს ნიშნავს. ღიან! მათ სურთ
დაბნეული, მშვიერ-მწყურავალი საზოგადოე-
ბა დაპირებებით მიიტყუონ, რათა ადამიან-
ებმა ნდობა გამოუცხადონ ახალ მქადაგებ-
ლებს, როგორც ქვეყნის მმართველ წინამ-
ძღოლებს, მერე კი ეშმაკმა იცის თავისი საქ-
მე — თუ როგორ იგდოს ხელში მსოფლიო.
ვინც გაუხეხავს მისი ცდუნების ბადეში, ის მო-
ნა ხდება ეშმაკისა და მამის ეძლევა ეშმაკს
ადამიანზე თავისი ძალის გამოვლინების სა-
შუალება.

122. ეშმაკის მოკავშირე ადამიანს ეშმა-
კი არ ინდობს, როგორც ღმერთის გაჩენილს
და ამიტომ გაიხარებს, როცა ღმერთი მას-
თან ერთად დასჯის მის გაჩენილ ადამიანებ-
საც.

123. ეშმაკი ვერ დასცემს ღმერთშემოსი-
ლებს, რომლებმაც არც ოქრო-ვერცხლის-
თვის, არც ძაღალი პატივისათვის არ გაცეა-
ლეს ღმერთი და ბოლომდე დარჩნენ მისი
ერთგულნი. ღმერთშემოსილობა ნიშნავს —
იცხოვრო ქრისტეანულად, ღოცვით, მარს-
ვით, სიმართლითა და წყალობით. მარად
თან იქონიეთ ჯვარი პატიოსანი — უწმინ-
დურ სულზე ძღვევის საჭურველი. გაიხე-
ნეთ ქრისტეს შეგონება: ვინც ეცდება შეი-
ნარჩუნოს ცხოვრება, იგი დაკარგავს მას და
ვინც დაკარგავს მას ჩემთვის და სახარები-
სათვის, ის შეინარჩუნებს მას.

124. მხოლოდ ქრისტეს სიტყვაა კანონი
და არა ეკუმენისტებისა. იფხიზლეთ, ადამი-
ანებო!

125. უნდა გვახსოვდეს უზრუნველად მო-
ცემული სამარადქამო სასუფეველი, რომე-
ლიც ადამიანმა მისთვის დაფარულის გამო-

ძიების საზღაურად დაკარგა. იგი კვლავ და-
საბრუნებელია, ოღონდ ამეკამდ ღიდი ზრუნ-
ვით, რადგან ეშმაკი მუდამ ფხიზლობს და
ცდილობს ყოველნაირად შეუშალოს ხელი
სამარადქამო სასუფეველის მოწადინებს. ამი-
ტომ ბუნებისა და სოციალური ძალების ბა-
ტონობისაგან გათავისუფლება კი ვერ უშვე-
ლის ადამიანს, არამედ დასზღტლომა ეშმა-
კის ბატონობისაგან, რომელიც კაცობრიო-
ბის დაუძინებელი მტერია.

126. ქრისტე ღმერთი რომ მობრძანდა,
მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესს კი არ
ცდილა ცხოვრების უზრუნველსაყოფად, არა-
მედ ამბობდა: მონახოდა სასუფეველი ღვთი-
სა, ვისაც სურს, შემომიდგეს მე, ვითარცა
მოწაფე, გავიდოს, რაიცა ებადოს და დაური-
გოს მშვიერ-მწყურავლთ. და დასძენდა: ჩიტს
ბუდე აქვს, მხეცს — ბუნაგი, მე კი თავის მი-
სადები ჯირკიც არ გამაჩნიაო. ამას ამბობდა
ღმერთი, ასე ცხოვრობდა იგი და, თუკი ადა-
მიანი ერთხელ ბოძებულ სიცოცხლეს სა-
საზღვების აშენებასა და დიბა-ფარების ქსო-
ვას შეაღებდა, ეშმაკი, რა თქმა უნდა, მამის
იზიებდა, რადგან სულის გადასარჩენად
ბოძებულ სიცოცხლეს ადამიანს გააფლანგ-
ვინებდა გემოთმოყვარების ძიებაში, უკეთ —
კერპთმსახურებაში. რაც უნდა გაშენოთ და
ვალამაზოთ ეს ქვეყანა, განა არ ვიცით, რომ
ბოლოს ყველაფერი დაინგრევა. განა არ
გვახსოვს ბიბლიისეული სიბრძნე: ვინც მე-
გობარია ქვეყნიერებისა, იგი მტერია ღმერ-
თისა.

127. ამქვეყნიური ცხოვრება სატანჯე-
ვლად მოგვეცა ჩვენი დანაშაულის გამო. ასე-
ვე მოგვეცა იგი სულის გადასარჩენ საღვეწო
შამად.

გონიერმა დანიშნულებისამებრ უნდა გა-
მოიყენოს სიცოცხლე, უგუნური კი უაზრო-
ბას შესწირავს მას და მით დაკარგავს სულს.

128. ზღვაში გადასაღვებ კაცს, ცურვის
გარდა ყველაფერს ასწავლიდნენო, სწორედ
ჩვენზეა ნათქვამი (რა თქმა უნდა, თუკი მომ-
ღვრებად ეკუმენისტებს ვიგულვებთ).

129. ეკუმენისტებს სურთ უმაღლესი ტაძის ზაზოგადობის შექმნა ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის მეშვეობით.

რას ნიშნავს „ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემა“?

როგორ შეიძლება ერთიანი ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის არსებობა მსოფლიოში სხვადასხვა ფორმაციის ჟამს? ეს ზომ არ ნიშნავს მსოფლიოს ნგრევისკენ მოწოდებას? ვინ იქნებიან ის ერთმმართველები? სწორედ ისინი, რომელთაც იმთავითვე მოუწოდებას ხალხს გაერთიანებისაკენ, ე.ი. ეკუმენისტები, რა თქმა უნდა, იგივე მასონები. მათ პირველ ყოვლისა სურთ მსოფლიო სადავეების პყრობა, ხოლო შემდგომ ლუკმა პურის ჩამორიდება საკუთარი შეხედულებების მიხედვით, რადგან შიმშილი იმძლეაერებს ქვეყანაზე. მაშინ აბუშაველმა ეშმაკის დიდი მანქანა: ვინც გაყიდის სულს, ის ეკუმენისტებისაგან შეიძენს პურს!

130. სულგაყიდულნი ღვთის რისხვას დაიმსახურებენ. აი, რისთვის სჭირდებათ ეკუმენისტებს ერთიანი ცენტრალიზებული ეკონომიკით დაგეგმარებული ქვეყანა.

131. როდესაც ეშმაკმა ქრისტე ღმერთი განცადა, მაშინ შესთავაზა ღმერთს, რომ ქვა პურად ექცია. ქრისტემ უპასუხა: არა მხოლოდთა პურითა ცხონდების ადამიანის სული, არამედ სიტყვითა უფლისაითაო. ის სიტყვა კი გახლავთ „ახალი აღთქმა“, რომლისთვისაც მან სისხლი დაღვარა.

132. ნაყოფანება მოშაკდინებული ცოდვაა. მისი წამალია მარხვა. მარხვითა და ლოცვით, სიმართლითა და წყალობით გადარჩება ქრისტეანი. ცენტრალიზებულად დაგეგმარებული ეკონომიკური სისტემა სატყუარაა ეკუმენისტების ბადეში გასახვევად. ადამიანს არ სჭირდება იმის სწავლება თუ როგორ მოიძიოს საკუთარი თავის გამოსაკვების სარჩო, ოღონდ ნურავინ შეუშლის ხელს — მიუშვით იგი მიწასთან.

133. ეკუმენისტები გრძნობენ სოციალური ცხოვრების ცვალებადობით, ურბანიზაციის პროგრესით, „სექსუალური რევოლუციით“ გამოწვეული ოჯახური ქორწინების რეალურ კრიზისს. ამიტომ მათ სურთ გადალახონ ტრადიციული ქრისტეანული ოჯახური კონცეფციები ქორწინებისა, რათა ჩამოაყილობონ ახალი ტაძის ოჯახი ქრისტეანული ეკლესიის მეშვეობით.

134. რა ნიშნავს ყოველივე ეს?

ჯერ ერთი, ქორწინების კრიზისის მიზეზი უნდა ვეძიოთ ეკუმენისტთა მიერ თავშივე დათესილი მარცვლის არსში, როცა ადამიანებს ათქმევენ — ცხოვრების არსი მხოლოდ და მხოლოდ სექსიაო, რასაც თვითონვე სასწრაფოდ გაუკეთეს რეკლამა კულტურისა და ხელოვნების მეშვეობით.

135. გამოაცალეს რა ადამიანს რელიგიური საწყისი, იგი სწრაფად დაიყვანეს ცხოველის დონემდე და შესთავაზეს შერჩეული ცხოვრების დევიზი. დროა ადამიანი გათავისუფლდეს დრომოკმული, შემოკვეული კანონებისაგან და იზეიმოს მისი არსებობა ქვეყანაზე. ასე აქციეს ადამიანი გემოთმოყვარების ტყვედ, რამაც არნახული ასპარეზი დაუთმო მრუშობას.

136. ქვეყანა რომ ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს, ახლა სურთ სექსუალური რევოლუციით აღტყინებულ ოჯახებს ახლებურად ღმერთის მადლით შეკავშირება შესთავაზონ. და ეს იქნება „ახალი ტაძი“ ოჯახისა, ქრისტეანული ეკლესიის მეშვეობით შექმნილ-შეკავშირებული.

137. ქრისტეანული ოჯახის ძველი ტაძი ეფუძნებოდა და ეფუძნება იმ შვიდ საეკლესიო საიდუმლოს, რომელიც ქრისტემ საფუძვლად დაუდო თავისი ეკლესიის შექმნას. ამ შვიდი საიდუმლოებიდან „ქორწინება“ არის ერთ-ერთი საიდუმლოთაგანი, რომელსაც გააჩნია თავისი წესები და რიტუალები.

138. ამ წესდებისა და რიტუალების შესრულების ჟამს შესაუღლებელ წყვილებზე გადმოღის ღვთის მადლი, მათ კანონიერ ცოლ-ქმრად აკურთხებს და მით წარმოაჩენს ჯვარდაწერილ ქრისტეანულ ოჯახად, ჯვარდაწერილთა შვილები კი შემდგომ ღვთის წინაშე ჩანან, როგორც კანონიერი ნაშვირნი.

139. ამ საეკლესიო საიდუმლოს გარეშე შეუღლებულნი ღვთის წინაშე ჩანან როგორც მემრუშენი, მათი შვილები კი როგორც ნაბიჭვრები, რადგან ქრისტესსიერი ბეჭედიან სწორი ბეჭედი კანონიერი ცოლქმრობისა და არა სხვათა გამოგონილი.

140. მხოლოდ ქრისტესმიერი ქორწინების ბეჭედს ახლავს ღვთის ის მადლი, რომელიც ქრისტეანულ ოჯახად წარმოაჩენს შეუღლებულთ. ეკუმენისტებს თუ ეკლესიის მემშვეობით სურთ ოჯახის შემტყიცება, ეს დიდი ხანია შედის ქრისტეანული ეკლესიის ფუნქციაში. რა შუაშია აქ „ახალი ტიპი“ ოჯახისა? ჩვენ ვიტანობდით და ვიცნობთ ოჯახის ერთადერთ ტიპს, რომელიც არის ქრისტეანული, მოციქულებრივი. და, თუკი ვინმე იტყვის, ჩვენ გვსურს ახალი ტიპი ქრისტეანული ოჯახისაო, ის, რა თქმა უნდა, „ძველ ტიპს“ უარყოფს, ხოლო ვინც უარყოფს ძველ ქრისტეანულს, მოციქულებრივს და აღიარებს სხვას, იგი უარყოფელია თავად ქრისტესი და მისი მოციქულებისა.

141. ქრისტეს მიერ დადგენილ ბეჭედს ვინც მოუწოდოდა გადაკეთებას, უმჯობესი იყო სულაც არ დაბადებულიყო ქვეყანაზე და ვინც დაეთანხმება უგუნურთა ამგვარ მოსაზრებას, ისიც განიმზადებს სულს ჯოჯოხეთისათვის.

142. ვინაც ახალი — არამოციქულებრივი ბეჭედი იპყრას და განირიდოს ქრისტესმიერი ბეჭედი, მან განიმზადოს სული ცეცხლისათვის. ეკლესიამ, რომელმაც ქრისტეს სახელი იწოდოს და არ შეირჩინოს მოციქულებრივი წესი და კანონი, არც მას შერჩეს ნათელი და განემზადოს ჯოჯოხეთისათვის.

143. ასე და ამგვარად, ეკუმენისტები შეცვლიან რა ქორწინების დადგენილ წესებს, მით აკვიდრებენ ქვეყანაზე სატანისტურ ქორწინებას, რომლის სახელია „მრუშობა“.

იფხიზლეთ, აღამიანებო!

ბანამარტიმბა IX:

144. ეკუმენისტები უპირველესად აფუძნებენ ეკლესიათა ავტონომიას და, ამავე დროს, მოუხმობენ გაერთიანებისაკენ ახალი გზების ძიებით.

რას ნიშნავს: „აფუძნებენ ავტონომიას“?

145. ეკუმენისტები ამა თუ იმ ქვეყნის საეკლესიო იერარქიას აძლევენ უფლებას — თავიანთი ეკლესიები მართონ მხოლოდ მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ზედამხედველობით. საბჭოს ნაკლებად აინტერესებს ამ ეკლესიათა შემოსავალი. როდის იყო, რომ ეშმაკი ოქროზე ფიქრობდა, პირიქით, იგი მთელ ქვეყანას ჩუქნის მას, ვინც სულს მიჰყიდის. ეშმაკმა ასე მიმართა ქრისტეს: ეს ქვეყანა ჩემს ხელშია, მეცი თავყვანი და გარუქებო.

146. თუ რას ნიშნავს — „მოუხმობენ გაერთიანებისაკენ ახალი გზების ძიებით“, ახლავე შევიტყობთ. ახალი გზები იმ ძველი ქრისტეანული გზების უარყოფელია, ე.ი. გზა დოგმატმეცვლილი, ერეტიკული. ყოველგვარი ერეტიკული კი ანათემას გადაეცემა.

ბანამარტიმბა X:

147. ეკუმენისტები ახლენდენ ვველარელიგიის ინტეგრაციას.

ეს ნიშნავს, ერთ ჭერქვეშ ალოცვინონ ქრისტეანსა და ქრისტეს მტერს, გადამრჩენელი და ცრუ მოძღვრების მიმდევრებს, წმინდასა და უწმინდურს. თვით ქრისტე ღმერთი განმარტავს: როცა ისმინოთ და იხილოთ დანიელის მიერ ნაწინასწარმეტყველები სისამაგლესა და სიცარიელეზე, იცოდეთ, ეს იქნება უკვე საუკუნის დასარული.

148. საუკუნის დასასრულს კი თავიანთ ქვეყანაში თავმოყრილი იუდეველნი, ბოლო ქრისტეანული ქადაგების შემდეგ ცეცხლის ქურაში გატარდებიან გადასადნობად. გონიერ-კეთილი გადარჩება, უგუნური გაიწირება. რომელს დაგავიწყდათ — ღმერთმა ხომ თავისი შვილის ხელით მორთმეული ტაძარი ინება და არა რეფორმატორთა მიერ გამოგონილი.

149. ეკუმენისტები ერთ ჭერქვეშ იმიტომ აერთიანებენ რელიგიებს, რომ სანაგვეში ჩაახრჩონ მართალი ეკლესია, რადგან კარგად იციან, რჯულისკანონის მიხედვით, ერეტიკოსთან მლოცველი ერეტიკოსი ხდება. გაერთიანების შემთხვევაში მათ ვეოლებათ ერთი რელიგიური ლიდერი, რომელზედაც წმინდამამები ამბობენ, რომ იგი იქნება ცრუ ბელადი ანუ ანტიქრისტე. გაიხსენეთ იოანეს გამოცხადება — თუ როგორ გამოუდგა მარიამ ღვთისმშობელს გველეშაპი, რათა დედა და შვილი შთაეითეს, მაგრამ ღვთისმშობელმა მოისხა ღიღი ფართები და მაღალ მთაზე აფრნდა. შემდეგ კი ქრისტე ცეცხლში უკრავს თავს იმ გველს, იგივე სატანასა და მის მოკავშირეებს.

150. ეს არის ანტიქრისტეს ფინალი და თვით საუკუნის დასასრული. ამგვარი ბედი ეწევა ქრისტეს წმიდა და სამოციქულო ეკლესიის მოქიშპესა და მადგვარს.

იფხიზლეთ!

ბანმარტაპა XI:

151. ეკუმენისტთა აზრით ბუნებაზე ადამიანის ძალის გაძლიერების პროცესი რელიგიას აიყვანს ახალ, უფრო მაღალ ხარისხში.

რას ნიშნავს ადამიანის ძალის გაძლიერება ბუნებაზე? ეს ნიშნავს:

ადამიანი ისე უნდა აღიჭურვოს მეცნიერებითა და ტექნიკით, რომ ბუნება დაიმორჩილოს და გარდაქმნას. ეს კი გამოიწვევს რელიგიის უფრო მაღალ ხარისხში აყ-

ვანას, როგორც ამას ეკუმენისტები განმარტავენ.

152. ქრისტეს მიერ ხარისხში აყვანილ რელიგიას კიდევ რა სეხარისხში აყვანა მოუნდომეს ქრისტეს ჭკუშმარტების მოძალადეებმა. „ჩემი კეთილობა მასზე და მას უსძინეთ“, — ბრძანა ღმერთმა. ეკუმენისტებზე კი არაფერი უთქვამთ. არც ქრისტეს უბრძანებია — ჩემს მიერ სისხლით შექმნილი ახალი აღთქმა როგორმე გადამიკეთეთ და უფრო მაღალ ხარისხში ამიყვანეთო. ვინც ისე გათამამდა, რომ ღმერთს დაუწყუო შეცდომების ძებნა, მას უკვე მიღებული აქვს ღვთის რისხვა.

153. მაღალ ხარისხში რელიგიის წარმოჩენა, მათი თქმით, სხვას არას ნიშნავს, თუ არა სახარებისეული დოგმატების უარყოფასა და ახალი ფილოსოფიური აზროვნებით ერესის დამკვიდრებას.

ერესთან დაკავშირებით კი თვით ქრისტე ღმერთი გვასწავლის:

ერესი ის შხამია, რომელიც გარშემო მხოლოდ სიკვდილს აფრქვევს.

იფხიზლეთ, ადამიანებო!

ბანმარტაპა XII:

154. ეკუმენისტები ამბობენ: ქრისტეანული დოგმატებისა და ღვთისმსახურების პირდაპირ გადმოტანას ვერ შეეგუებით, რადგანაც ეს უფრო გააღრმავებსო კონფლიქტებს.

155. აი, თქვენ კარგად ხედავთ, საქმე მიდის ქრისტეს მოციქულების მიერ დადგენილი დოგმატებისა და წესების შეცვლამდე. ამ მდგომარეობას ისინი ეგუებიან, ხოლო პავლე მოციქულის შეგონებას, მათ მიერ დადგენილი სწავლების შეცვლასთან დაკავშირებით, ყურადღაც არ იღებენ.

156. ეკუმენისტები არა ერთი და ორი დოგმის შეცვლას ითხოვენ. მათ იციან, რომ მოციქულებრივი ეკლესიის დოგმატიკას სექტები უარყოფენ. ამრიგად, დავა რომ გადაწ-

ყვიტონ, საჭიროდ მიაჩნიათ საკომპრომისო გზების გამოხატვა. რას ნიშნავს ეს? რა თქმა უნდა, მოციქულებრივი ეკლესიის დოგმატიკის შეცვლას. სექტები რომ არ ყოფილიყვნენ, მაშინ ეშმაკებსაც არა ექნებოდათ რა სადავო და ხელჩასაკიდი: ამიტომ იყო, ამრავლა ცრუ ეკლესიები, საბოლოოდ რომ გაერთიანებისაკენ მოეწოდებინა; არა რჯულისძიერად და კანონების მიხედვით, არამედ კანონის დარღვევითა და გაუქმებით ყველა ეკლესიის დოგმატიკის კომპრომისით.

157. ქრისტეანული ეკლესია არ არსებობს შეიდი საიდუმლოს გარეშე. საიდუმლოებებისა და დოგმატიკის გაუქმებით იგი კედება. აი, ეს არის მსოფლიო საეკლესიო საბჭოს სურვილი და გეგმა. მაშ, ვინ არიან ისინი, ქრისტეს ეკლესიის დოგმატთა უარყოფელნი? რა თქმა უნდა, ეშმაკთა მოკავშირენი, ანტიქრისტეს ტანტის დამდგემლნი.

158. გაიხსენეთ, როგორი ცეცხლითა და მახვილით მონიდომეს კათოლიკეებმა თავიანთი პრინციპების გაბატონება მსოფლიოში. ქრისტემ კი როდი იხება სისხლი და ძაღლად.

159. ხოლო XVII საუკუნისათვის, რუსეთის გარდა, მსოფლიოში თითქმის უკვე არ არსებობდა წმიდა ქრისტეანული სამოციქულო ეკლესია უცვლელი დოგმატიკითა და გადმონაცემებით. გაიხსენეთ, როგორ ეწამენ ძველმორწმუნეები საეკლესიო გადმონაცემების დაცვისათვის (იხ. წიგნი „ცხოვრება დეკანოზ ამბაკუმისა“. ასევე, სურვიკოვის ნახატი — „დასჯა ბოიარინა მოროზოვასი“).

160. ეოლგისპირეთში ფისში ამოვლენული მორწმუნეები ჩირადღნებივით ენთნენ, მაგრამ ერესს კარი არ გაუღეს. ხალხმა დატოვა სახლ-კარი, სამშობლო და უცხოეთში იწყო გასიზვნა, ზოგმა ციმბირს შეაფარა თავი. ასეთი სისხლისმღვრელი და შეურიგებელი ბრძოლა წარმოებდა ერესის წინააღმდეგ, ბევრმა მოწამებრივი სიკვდილი იტვირთა, რათა ერესი, ე.ი. სამოციქულო

სწავლების საწინააღმდეგო სწავლა, არ მივიღო.

161. ეშმაკი თავისას ცდილობს, ღმერთი კი ხალხს არ ტოვებს უეცრობის საბურველში, მიუთითებს სწორ გზაზე და მაშინ გონიერი გზაზე დადგებიან ხოლმე, რათა იხსნან სული. უგუნური კი მიეცემიან ეშმაკის მიერ აზვირთებულ ტალღას და მით მოისწრაფებენ სიცოცხლეს.

162. ეკუმენისტები ამბობენ: საეკლესიო ღვთისმსახურების არქაული ფორმა (ე.ი. ძველი წესი და რიგი) როგორ შევეთავსოთ თანამედროვე ადამიანის ყოფა-ცხოვრებასაო.

163. კულტურით, სპორტითა და ხელოვნებით გაზულუქებული ადამიანებისათვის რომ შემდგომში ეთქვათ — როგორ ეგუებით თანამედროვე ადამიანები ძველ რიტუალებსო, ამიტომაც იყო ასეთი არნახული აზარტით გაუკაფეს გზა თავაშვებულ ხელოვნებასა და სპორტს, რომ მერე ამგვარად „ცივილიზებულ“ საზოგადოებას ამპარტაგონების გამო უარი ეთქვა ძველი საეკლესიო ტრადიციების შესრულებაზე, დაჩოქება იქნებოდა ის თუ პირჯურისწერა, წყალში ნათლობა თუ სხვა.

164. ეკუმენისტები აქვე ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ საჭიროა ეკლესიის ახალი ფორმის ძიება. ამით მათ უკვე უარყვეს ძველი ფორმა, ქრისტეანული მოციქულებრივი ეკლესიისა.

165. ეშმაკებს მუდამ ჰყავდათ მოკავშირენი, ისინი ხან ნიკონის სახით გვევლინებოდნენ, ხან ლუთერის, ხან ლენინის და ხან კიდევ ვისი; ყველაზე აშკარა და მასობრივი ორგანიზაცია ამჟამად ჩამოყალიბდა, რომელმაც სწრაფად უნდა დასცეს ქრისტეანული ეკლესია, ამ ორგანიზაციას თავად უწოდეს „მსოფლიო ეკლესიათა საბჭო“.

166. ისინი სასწრაფო ღონისძიებებს ატარებენ, რათა გადამრწმენელი ეკლესია გადაავარონ, მღვდლის გარეშე დატოვონ, მხოლოდ სახელი შეუნარჩუნონ და მით ადამიანები დაღუპონ.

ბანმარტმბა XIII:

167. გუშენისტები ამტკიცებენ ყველა რელიგიის თანასწორუფლებიანობას, რაც სიცრუეა. ეს იგივეა, რომ ქრისტეს დაბადებამდე ვინმეს ეთქვა ყველა რელიგია ღვთის წინაშე ხათნოა.

168. განა ჩვენ არ ვიცით, რომ მრავალი რელიგიის მესაკუთრე ხალხთა შორის ღმერთმა მხოლოდ ებრაელები აირჩია, დანარჩენი ხალხი კი თავ-თავიანთი რელიგიითურთ შეადარა ნერწყვს...

169. ხოლო იმის შემდეგ, რაც ქვეყნის გამჩენმა თვით იუდაიზმი — „ძველი აღთქმა“ „ახალი აღთქმით“ შეცვალა, შეგვიძლია ვთქვათ, არაქრისტესმიერი ეკლესიები ვერ დაიჩემებენ ღვთის წინაშე ვარგისიანობას.

170. უვარგისია ღვთისათვის ყველა ერი, რომელმაც ქრისტეს ნათლობა არ იღო. ამაზე თვით ქრისტე ბრძანებს: მე ვარ კარი სამოთხისა, ვისაც ნებაგს შემოსვლა, ჩემგან შემოვა და ვინაც ფანჯრიდან ეცდება შემოსვლას, მპარავია იგი.

171. მხოლოდ ღმერთის ძის — ქრისტეს რელიგიაა მთელ დედამიწაზე სულის ერთადერთი გადამრჩენელი მოძღვრება.

ბანმარტმბა XIV:

172. გუშენისტები თვლიან: მორწმუნე ქალთა გასამრავლებლად საჭიროა დღის წესრიგში დადგეს ქალთა ღვთისმახსურების საკითხიო. ე.ი. ხერთ, რომ ქალებმა მიიღონ სასულიერო ჩინი.

173. ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგან, მიღებული წესების მიხედვით, ქალს უფლება არა აქვს ეკლესიაში ღოცვის დროს წინ დაუდგეს მამაკაცებს; ქალს არა აქვს უფლება საკურთხეველში შესვლისა; ქალს არა აქვს უფლება ქალური ავადმყოფობის დროს წმიდა საგნებზე ხელის ხლებისა (მისი დანაჯდომი ადგილიც კი შებიღწულია).

მაშ, როგორ შეიძლება ქალს უფლება დაერთოს ზიარების შედგენისა?

174. ქვეყანაზე არ არსებობს ამაზე მეტი სისამაგლე, რაც ემშაკს ეკლესიის შესაბილწად მოუნდომებია.

ბანმარტმბა XV:

175. გუშენისტები ღიად ტოვებენ ზოგიერთი სასწაულის ტრადიციულ შემეცნებას, როგორცაა: სულიწმიდით მუცლადღება, ქალიშვილის მიერ ძის — ქრისტეს დაბადება, ქრისტეს აღდგომა.

176. დაეკვირდეთ თუ რას ნიშნავს ეს! გუშენისტებმა როცა ამგვარი აზრი გამოთქვეს, ამით მსოფლიო გაერთიანებაში შემსვლელი ქრისტეანების მტრებს გზა გაუხსნეს. ზუსტად ამავე სასწაულების უარყოფელნი არიან მაჰმადიანებიც, ნაწილობრივ — ბუდისტები და სხვა.

177. კაცმა შეიძლება თქვას, რა ღიდი ამბავია თუ ვინმეს ესა ოუ ის სასწაული სჯერა ან არ სჯერაო, მაგრამ ეს ასე როდია. ერთი უმცირესი აზრის აყოლაც კი დალუპავს სულს, თუ ის მკრეხელურია.

178. გაიხსენეთ ქრისტეანული მრწამსი: „მწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლისა მპყრობელი... ზორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა განკაცნა. და ჯვარს ეცვა ჩვენთვის პონტოლისა პილატესზე, ივნო და დაფულა და აღსდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა...“

179. თქვენ დაინახეთ თუ რა სასწაულების უარყოფა უნდომებია ემშაკს: იგი უარყოფელია ღვთისმშობლის სიწმინდისა, რომლის სიწმინდე ქერუბიმების სიწმინდეზე აღმატებულია, რასაც გვაუწყებს წმიდა მამების მიერ შედგენილი ღოცვა: „ღირს არს ჭეშმარიტად... ყოვლად უბიწოდ დედად ღვთისა ჩვენისა, უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და ჭეშმარიტად უზესთაესსა სერაფიმთასა განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გა-

21. ყველაფერი ძალიან მარტივად ხდება. თავდაპირველად ადამიანს აპროგრამებენ. შემდეგ კი იგი ღებულობს გარკვეულ სიგნალს. ეს სიგნალი შეიძლება იყოს რაიმე ბგერა, ხმა, მაგრამ ყველაზე ხშირად — სატელეფონო ზარი, რომელიც ისმის, როგორც წესი, ღამის 0-დან 1 საათამდე, როდესაც ადამიანი იმყოფება განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობაში.

22. სათანადო ბრძანების მიღების შემდეგ ობიექტი გაუცნობიერებლად ადგამს საკუთარი თავის დამლუპველ, განწირული კაცის ნაბიჯს. ეს, შეიძლება ითქვას, ყველაზე სარკი ვარიანტია, რადგან არ ტოვებს კვალსა და სამხილს. სწორედ ასე უნდოდათ კენედის მოკვლა: იგი დაპროგრამეს რომ მკვეთრ მოსახვედში არ მოეტრიალებინა საჭე და გვერძელებინა მოძრაობა უფსკრულისაკენ. აუტოკატასტროფის შედეგად დაიღუპა მდფანი ქალი. ხოლო კენედი ხასწაულებრივად

გადაურჩა სიკვდილს. პირადად მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მსგავსი ფსიქოტროპული ეფექტით არის პირობადებული მარშალ ახრომევის მკვლელობა, იმავე სფეროს განეკუთვნება პუგოს სიკვდილი და მისი მეუღლის დაჭრა.

23. რაც შეეხება ადამიან-ზომბ მიხეილ გორბაჩოვს, მან უკვე შესრულა სათანადო ძალების ნება. თავად განსაკუთ: სულ 7 წლის მანძილზე დაიშალა მისი სახელმწიფო და დღეისათვის ეროვნებათშორისი კონფლიქტების დღეულში იფერფლება. განადგურების პროცესი კი გრძელდება და რიგში ახლა მისი თანამოქალაქნი დგანან. აბა, მიხედვითიხედვით ირგვლივ. ნუთუ თქვენ ვერ ამჩნევთ ამას?

24. — ტოლორ გოსპოდინის ძეგ, გასაკვირია არ არის, რომ ჩვენი საუბრის ჩანაწერის წვეთითვის შემდეგ ხალხი მოიცვას პანიკამ. უტოვებთ თუ არა გადარჩენის შენს იმით, ვისაც არაერთხელ უცქერია კაპიტალიზმისათვის, ჩუმაქისათვის, ტარასოვისათვის და მოჰყოლიან მათი და მათი მსგავსების ჰიპნოზური ხეანსების გავლენის ქვეშ?

— თავდაპირველად მსურს ვურჩიო მოზრდილებსაც და ბავშვებსაც შესაძლებლობის ფარგლებში თავიანთი დასვენებისა თუ არდადეგების დღეები გაატარონ მთებში. მთის რაიონების გაიშვიათებული ატმოსფერო და მათი გეოაქტიური ზონები, მაგნიტური ველები მოქმედებენ ტვინის ქერქვეშა კვანძებზე. რის შედეგადაც ხდება შთაგონების ბიოენერგეტიკული პროგრამის წაშლა, ანუ ბუნებრივი განპროგრამირების პროცესები, დეზომბირება და გაჯანსაღება. მეორე და უმთავრესი: უფრო ხშირად უნდა იარონ ეკლესიაში, თვის განმავლობაში ყოველ 2-3 დღეში ერთხელ 20-30 წუთით ეკლესიის გუმბათის ქვეშ დგომა არა მარტო სულიერ, არამედ ფიზიკურ ძალებსაც მატებს ადამიანს. ნუ დაგვაიწყობება, რომ ეკლესიები ყოველთვის დგანან გეო და ბიოველის ბადეთა გადაკვეთის ადგილებში, ზოლო ამ ველის

ცენტრი, როგორც წესი, იმყოფება გუმბათის ქვეშ.

24. — ვფიქრობ, ბევრი ადამიანი გაიზარებს თქვენს რჩევას, მაგრამ, როგორ უნდა შევეწინააღმდეგოთ მასობრივი ჰიპნოზის საყოველთაოდ მიმდინარე ხეანსებს?

— ჩემი აზრით, გამოსავალი ერთია — სახელმწიფომ კანონმდებლობით უნდა აღკვეთოს მასობრივი ხეანსები, როგორც ეს 1990 წლის ოქტომბერში გააკეთა ლატვიამ და კიდევ ზოგიერთმა სხვა ახლო და შორეული საზღვარგარეთის ქვეყანამ.

ლუნიენგრადის სამხედრო ოლქის გახუთ „ნატრაჟე როდინის“ ჰეცე-გამოშვება, №2 (5), 1993 წ.

ფსიქოტრონიული იარაღი — პროგრამა „ზომბი“

26. რადგან მოსახლეობის ფართო ფენებისათვის უცნობია ფსიქოტრონიული მოქმედების ხასიათი, თავდაპირველად ამ მოველენის არსში გავერკვეთ.

27. ფსიქოტრონიკა არის ადამიანის ტვინზე ექსტრასენსორულ-ტეოეპათიური ზეგავლანა ბიოველის საშუალებით. თანამედროვე პირობებში ასეთი ზეგავლენა ხდება ფსიქოტროპული სადგურების გამოყენებით, რომლებიც ბიოველის გენერატორების დახმარებით მუშაობენ.

28. ფსიქოტროპული იარაღის გამოყენება შეიძლება როგორც ინდივიდებზე, ისე მთელ პოპულაციებზე. თუ ერთი ადამიანი იყენებს ამ იარაღს, მეორე ადამიანის მართვისათვის, ცხადია, მთელ სახელმწიფოსაც შეუძლია სხვა სახელმწიფოზე მსგავსი ზემოქმედება, ან თავისივე ხალხის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებზე.

29. ბუნებრივია, რომ ამ იარაღს წარმატებით იყენებდნენ როგორც КГБ, ისე ЦРУ, რომლებიც რამდენიმე მიზანს ისახავდნენ ერთდროულად:

პირველი, ფსიქოტროპული მეთვალყურეების ქსელის შექმნა, რომლებიც იკვლევენ ადგილობრივ ტრადიციებს, ხალხის ნაციონალურ მანანათებლებს, ეროვნულ თავისებურებებს.

მეორე, ფსიქოტროპული პარანტიპ-რიზმი ადამიანის გონებასა და ცნობიერებაზე.

მესამე, მასების ფსიქოტროპული გათანაბრება, მათი ერთ დონეზე დაყენება.

მეოთხე, ჩაგარდნის შემთხვევაში (რაც პრაქტიკულად გამორიცხულია) ფსიქოტროპული უარისგება. დამნაშავენი შეიძლება იყვნენ როგორც მთავრობაში, ისე მეცნიერთა და ინტელიგენტთა შორის, ოღონდ — არა მართვის ცენტრში.

30. ფსიქოტროპული ცენტრები არის პრაქტიკულად ყველა დიდ სახელმწიფოში: აშშ-ში, ყოფილ სსრკ-ში, იაპონიაში, იტალიაში, საბერძნეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, ერაყში და ა.შ.

31. ხოლო ყოფილი სსრკ-ის ქალაქებიდან, სადაც არის ასეთი ცენტრები, საკმარისია რამდენიმეს დასახელება: ჩიტა, ირკუტსკი, აღმა-ათა, ტაშკენტო, თბილისი (ზაზი ჩენია. — რედ.), ყაზანი, მოსკოვი, კიევი, როსტოვი, ხაბაროვსკი და ა.შ.

32. ფსიქოტროპული იარაღის შექმნის მთავარი მიზანია: მართვადი გახადონ ხალხის მასები მთელ მსოფლიოში და დაამყარონ მსოფლიოს ერთიანი რეჟიმი. ამ მიზნის მისაღწევად შექმნილია ერთიანი მსოფლიო ფსიქოტროპული (ცენტრი ქალაქ სპრინგფილდში (აშშ, ილინოისის შტატი), რომელიც დღეისათვის 300 000 ფსიქოტროპულ სადგურს ითვლის. მათგან 100 000 სადგური რუსულ ცენტრზე მოდის. ნიშნადობლივია, რომ ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ფსიქოტროპული ზემოქმედების ერთ-ერთი სულისჩამდგმელია მთელ მსოფლიოში.

ა. მაიდუროვი,
გაზ. „სეობოდა“, №11, 1993 წ.

33. 1992 წელს თბილისში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ არის პირდაპირი კავშირი ფსიქოტროპული ზეგავლენის ობიექტად ყოფნასა და პოლიტიკურ ორიენტაციას შორის. კერძოდ, როგორც გაირკვა, ისინი, ვინც განიცადა ფსიქოტროპული ზეგავლენა, მეტი ნდობით ეკიდებოდნენ სახელმწიფო საბჭოს და მის პოლიტიკას, და ნაკლებ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ საქართველოს პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს მიმართ. ხოლო ისინი, ვინც არ ყოფილან ასეთი ზემოქმედების გავლენის ქვეშ, მეტ მხარდაჭერას უცხადებენ პრეზიდენტის ხელისუფლებას და ნაკლები ნდობით ეყვრობოდნენ სახელმწიფო საბჭოს.

34. გასულ წელს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში რამდენიმე ცნობა იქნა გამოქვეყნებული ამ მოვლენის შესახებ. სომხური წყაროები აღნიშნავდნენ, რომ კაშპიროვისკისა და მსგავსი ექსტრასენსების ტელევიზიონები, რომელთა აუდიტორიაც ათეულ და ასობით მილიონობით მაყურებელს ითვლიდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, უარყოფითად ზემოქმედებდნენ რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ასეთივე განცხადებით გამოვიდა მოსკოვლი გ. სტაროვიტოვა, რომელიც თვლიდა, რომ ფსიქოლოგიური მასობრივი ზემოქმედებანი გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. საგარაუდოა, რომ პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის ამ ახალი საშუალების გამოყენებას თავისი წილი მნიშვნელობა აქვს რუსული იმპერიის სივრცეზე ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას სახელმწიფოების ცხოვრებაში.

35. როგორც ჩანს, არც საქართველოა გამონაკლისი. ის, რომ ა. კაშპიროვისკი დიდი ხანია ტელევიზიით აღარ გვერნავს, გერაფერი ნუგეშია; მსგავსი პრაქტიკის ჩატარება კარგად ხერხდება უფრო მცირე ადამი-

ანთა ჯგუფებზეც და ტელე თუ რადიო ეთერის გამოყენებაც არ არის აუცილებელი, ისევე, როგორც არც კაშპიროვსკია ერთადერთი და განუმეორებელ. სხვათა შორის, როდესაც ცნობილი გახდა თბილისის გამოკვლევის შედეგები, დავინტერესდით, თუ სად იყო ა. კაშპიროვსკი. აღმოჩნდა, რომ იგი მაშინ შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა და მისი იქ ყოფნა დაემთხვა არეულობებს კალიფორნიაში. თბილისელებს 9 აპრილს მოწამლულთა კაშპიროვსკის მიერ განკურნვის მცდელობასთან დაკავშირებული ამბებიც კარგად გვანსოვთ.

35. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თბილისში ჩატარებული გამოკვლევა პირველი ექსპერიმენტული დასაბუთებაა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებისა. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ,

რომ ფსიქოტრონიული ზეგავლენის გამოყენება არცთუ შესაფერისი მიზნებისათვის ბევრი დასავლელი მკვლევარის მიერაც აღინიშნება. გამოკვლევის შედეგების მიღებისთანავე შევეცადეთ მასალის გამოქვეყნებას თბილისის ერთ-ერთი გაზეთის საშუალებით. მაგრამ გაზეთის მესვეურებმა ურჩიეს რედაქციას, მისი დაბეჭდვისაგან თავი შეეკავებინა.

37. ექსპერტების ცნობით, ფსიქოტრონიული ზემოქმედება თავის გავლენას რამდენიმე წლის განმავლობაში ინარჩუნებს, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ ერთხელ მოპოვებული გავლენის შენარჩუნებას გაცილებით ნაკლები ენერგია ესაჭიროება, ვიდრე მის პირველ მოპოვებას...

ინო მჟვიფლოვაძე
ბადრი მუთაია

თავი ოცდამეორე

თანამედროვე რიტმული მუსიკის გამანადგურებელი შეზავლენა ადამიანთა სულზე

(ინფორმაცია პრესიდან)

1. უფრანალი „როლინგ სტონზი“ პირდაპირ აცხადებს:

„როკ-ენ-როლი უფრო მეტია, ვიდრე მუსიკა. ეს არის ახალი კულტურისა და მსოფლიო ენერგეტიკული ცენტრი“:

2. სატანური ჯაზ-როკ-დისკო კულტურული ეროტიკული მაგიის უპოპულარესი ნაირსახეობაა. მისი ფესვები შორეულ წარსულში იკარგება. როკ-მუსიკის ყველა ჟანრის პულსირებული რიტმები (ბას-გიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტები) ძველწარმართულ აფრიკულ-აზიურ კულტურაში ჩაისახა. ეს კულტურა კი სხვადასხვა მაგიურ კულტს ეფუძნება. დასარტყამი ინსტრუმენტების ენერგული ცემა შამანური წეს-ჩვეულებებისა და მაგიური რიტუალების განუყოფელი ნაწილია


დღესაც. როცა, მაგალითად, ავი სულების გამოხმობას და ვემპკთან უშუალო კავშირის დამყარებას ცდილობენ და ამ მიზნით შელოცვის სპეციალურ ფორმულებს წარმოსთქვამენ, როკის ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე კეთილსახიერ ნიმუშს, იქნება ის „ქრისტიანული“ ბლუზი, თუ „ეგანგელური“ ოპერა, უცილობლად შეეკავართ ღემონურ სულთა წიაღში.

3. მეტიც! როკ-ენ-როლის ყველა მსოფლიო მნიშვნელობის ვარსკვლავი რომელიმე ლუციფერული რელიგიის აღმსარებელი და სატანური „ჰელენისის“ წევრია და სრულიად დაუფარავად თაყვანს სცემს დაცემულ ქრებიმს.

4. გადაცემები ხშირ-ხშირად წარმოგვიდ-

გენენ გასართობ მუსიკალურ პროგრამებს პირდაპირი ჩანაწერით „იმ სამყაროდან“. პროინციული ქალაქები, თუ გიგანტური მეგაპოლისები პირდაპირ თუხთუხებენ მასობრივი ჰიტ-პარადების, პოპ-ფესტივალების, როკ-მართონებისა და დისკო-შოუთა სიმრავლით. ამ ეტაპზე უკვე რეალურად არსებობს ავისმომასწავებელი და თითქმის ყველგანმყოფი ბგერითი ფონი, ანუ უწყვეტი, ყოვლისმომცველი აკუსტიკური ცდუნება. შეუკავებელი ავზორციობის ეიფორია წარუხოცელ ბეჭედს ასეაქმს ქანც-გაწყვეტილ, გატანჯულ სულებს. დემონური მელომანია თანდა-თანობით სულის უკურნებელ სენად იქცევა, რასაც ადრე თუ გვიან ადამიანი საბოლოო პიროვნულ რღვევამდე

მიჰყავს. სწორედ ამიტომაც ამ ბედშავთა მასებს გონება ებინდბათ და ნება უღუნდბათ; სრულიად ან ნაწილობრივ ეკარგბათ მობილიზების უნარი; სერიოზულად ერღვევათ მესსიერება, ტვინის ფუნქცია და ნერვეულ-კუნთოვანი კოორდინაცია; ეწყბათ ღრმა ქრონიკული დეპრესიები. შედეგი ასეთია: ქრისტეანი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა „მსუბუქი საესტრადო მუსიკის“ „ზიბლი“, ჯადო-ძალა, იშვიათად შედის ზოლმე მართლმადიდებლურ ტაძრებში, რის ვაი-ვაგლანით უძლებს საეკლესიო ღვთისმსახურებას და არ შეუძლია მუდმივი ლოცვით — ლიტურგიკული ცხოვრებით ცხოვრება.



უზბარი წამალი

1. ბერი ვინმე მივიდა მკურნალისა მიმართ და ჰკითხა: გაქვს შენ მცენარე რაიმე მკურნები ცოფათა?

2. ხოლო მკურნალმან რქუა მას: მოვედ და მიიღე ძირი მორჩილებისა, ფურცელი მოთმინებისა, ყვავილი სიწმინდისა, ნაყოფი კეთილთა საქუთა, დანაყე ფიალასა შინა მღუმარებისასა, და განსცერ საცრითა გულისხმაყოფისათა, და შთაყარენ ჭურჭელსა სიმდაბლისასა.

3. დაასხი წყალი ცრემლთაგან მლოცველობისათა, აღატკინე ცეცხლითა საღმრთოისა სიყვარულისათა, განაგრძილე მარხვითა, დაამარილე ძმათ-მოყვრებითა, და იხმიე კოვზითა სინანულისათა, და ესრეთ ყოვლისა ამის აღმსრულებელი განკურნებულ იქმნების უკუნისამდე.

ამენ!

ქვეყანა, სადაც ეს წიბნი დაიწმირა

1. საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის სამხრეთით მდებარეობს. იგი ნაწილია კავკასიისა, რომელიც ევროპისა და აზიის შემაერთებელ ხიდს წარმოადგენს.

2. ქვეყნის ჩრდილოეთი კავკასიონის მთიან მხარეს უჭირავს, სამხრეთი კი — საქართველოს სამხრეთ მთიანეთს. მათ შორის გადაჭიმულია საქართველოს ბარი, რომელსაც კავკასიონიდან ბორჯომისაკენ გასდევს ლიხის, ანუ სურამის ქედი. ეს ქედი რიონისა და მტკვარის აუზების წყალგამყოფია.

3. შავი ზღვა, რიონი და მტკვარი უძველესი დროიდან აკავშირებდა საქართველოს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან. საქართველო გვირუკი წარსულისა და უძველესი კულტურის ქვეყანაა.

4. ქართველი ტომების მემოზობები სამხრეთით იყვნენ ხეთები, მითანელები და ურარტუელები, რომლებმაც ძველ აღმოსავლეთში ძლიერი სახელმწიფოები შექმნეს. ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ ქართველ ტომებს სამხრეთით სომხები და უმეზობლდნენ, ჩრდილოეთით კი — სხვადასხვა კავკასიელი ტომები.

5. ასურეთისა და ურარტუს სამეფოებს არაერთხელ დაურბევიათ ქართველ ტომთა მიწა-წყალი. საომარი შეტაკებები თვით ქართველ ტომებსა და ტომთა კავშირებს შორისაც ხდებოდა.

6. ასე, მაგალითად, ასურელებთან და ურარტუელებთან ბრძოლაში დასუსტებული დიოხისის გაერთიანებას ბოლო მოუღო კოლხის ტომთა კავშირმა. ეს უკანასკნელი კი გაანადგურეს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოჭრილიმა კიმერიელებმა.

7. ამტვარი ომიანობისა და სამხედრო შეტაკებათა ხანაში ზოგი ჩრდილოკავკასიელი და აღმოსავლელი ტომი საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრდა და ქართველ ტომებში გაითქვია.

8. ასეთ პირობებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბდნენ ძირითადი ქართველური ტომები — ქართები, მგერულ-ჭანები და სვანები, რომლებსაც ერთი ძირისაგან წარმომდგარი საკუთარი სატომო ენა, ტერიტორია და ზნეჩვეულებანი ჰქონდათ.

9. ქართლის (იბერიის) სამეფო აღმოსავლურმა ქართულმა ტომებმა — ქართველმა შექმნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე IV საუკუნის ბოლოსა და III საუკუნის დასაწყისში. უცხოელები ამ სამეფოს იბერიას უწოდებდნენ. სამეფოს დედაქალაქი იყო მცხეთა (დღეს საქართველოს დედაქალაქია თბილისი).

10. ჩვ. წ. აღრიცხვამდე III საუკუნეში ქართლის ძლიერი სამეფოს გავლენის ქვეშ მოექცა კავკასიის მთიანეთის მოხაზულობა. ალბანეთისა (თანამედროვე აზერბაიჯანი) და ეგრისის ერთი ნაწილიც ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

11. ქართლის სამეფოს პირველი მეფე იყო ფარნავაზი. კოლხეთის სახელმწიფოსთან სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ბერძენებს. მე-6 საუკუნეში ჩვ. წ. აღრიცხვამდე ბერძენებმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დააარსეს თავიანთი ახალშენები, რომელთაგან უმთავრესი იყო ქალაქი ფაზისი (დღევანდელი ფოთი) და დიოსკურია (დღევანდელი სოხუმი).

12. ქრისტეანული სარწმუნოების დასაბამი საქართველოში მიეკუთვნება მოციქულების ხანას. ამიტომაც დღემდე ქართული ეკლესია იწოდება სამოციქულო ეკლესიად.

13. იბერიის-საქართველო მარინამ ღვთისმშობლის წილხედრი ქვეყანაა. ქრისტეს რეული აქ იქადაგეს ანდრია მოციქულმა (პეტრე მოციქულის ძმამ), სვიმონ კანანელ-

მა და ნინო წმიდამ (კაპადოკიელმა).

14. მანამდე ქართველები წარმართული რელიგიის მიმდევრები იყვნენ — თაყვანს სცემდნენ მთვარეს, მზეს, ამინდის, მოსავლისა და სხვათა ღმერთებს.

15. საქართველოს უდიდეს კულტურაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისეთი ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი, როგორც იყო თემისტოხოსი, იმდროინდელი კულტურითა და განათლებით საქვეყნოდ ცნობილი საბერძნეთის მკვიდრი, წერს:

16. „მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფი მოვწყვეტიე გაცილებით უფრო უზინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენი ადგილია, არა წენარსა და ელინურ ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფაზისის მახლობლად, სადაც არგომ, თესალიიდან წამოსულმა, დაისადგურა...“

17. მართალია თუ არა ის, რასაც ვამბობ, ცხადი განდება ახლავე, თუ დაეძენ შემდეგცხად: იქ ჩავედი მე არა საკუთარი მისწრაფებითა და გადაწყვეტილებით, არამედ მე გამომგზავნა იქ ისეთმა კეთილმოსურნე კაცმა, როგორც შეიძლება იყოს მამა და ისეთმა მართებულად მოაზროვნემ, როგორც შეიძლება იყოს ფილოსოფოსი. იქნება შენ ის სრულიად დაჰგმო იმისათვის, რომ მან თეთონაც თავისი განთქმული ფილოსოფია სწორედ იქ შეიძინა.

18. ან უფრო მეტად დამგმო მე, რომელიც ფილოსოფიის საიდუმლოებას ბავშვობიდანვე ვარ ზიარებული“.

19. ეს დოკუმენტი უდავოდ მეტყველებს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ დიდ კულტურასა და განათლებაზე.

20. 188 წელს, მეფე რევა გააუქმა წარმართთა წესი — ბავშვების მსხვერპლად შეწირვა, რის გამოც მან მიიღო მართალი კაცის სახელი.

21. ამ უდიდეს მოვლენას იბერიაში წინ უსწრებდა მეტად საყურადღებო ფაქტი, რომელსაც სამამულო ჟამთაღმრიცხველში აღწერს ახალგაზრდა ებრაელი. ქართველი და

სომეხი ისტორიკოსების დადგენით, ებრაელები საქართველოში დამკვიდრდნენ უწინარეს ნაბუქოდონოსორისა.

22. ქრისტეს ჯვარცმას იერუსალიმში ესწრებოდა ორი ქართველი ებრაელი — ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. მათ წილად ხვდათ უფლის კვართი, რომელიც მცხეთაში ჩამოასვენეს. ამგვარად განსზაღდა გული წარმართი იბერიელებისა ქრისტეანობის მისაღებად.

ელიოზის დამ — სიდონიამ, იხილა რა კვართი უფლისა, იგი ჩაიკრა გულში და იმავემას განუტევა სული. მას კვართი ხელიდან ვერ გამოსტაცეს და სიდონია კვართთან ერთად დაკრძალეს მცხეთაში.

23. ეს მოვლენა დღემდე იდგესასწაულება 1 ოქტომბერს (ძველი სტილით).

24. ჟამთაღმრიცხველები აგვიწერენ, რომ წმიდა ნინოს მშობლებს, დიდი ხნის უნაყოფობის შემდეგ, ეყოლათ ქალიშვილი, რომელიც უძღვეს ღმერთს, თვითნ კი იორდანეზე წავიდნენ საქადაგებლად.

25. წმიდა ნინო იერუსალიმის პატრიარქის ლოცვა-კურთხევით იმყოფებოდა რომში, ბოლოს კი გადაწყვიტა შედგომოდა სახარების ქადაგებას იბერიაში, რომელსაც იგი იცნობდა, როგორც უფლის კვართის მხარეს, ციური ხილვებით გაძლიერებულმა ნინომ წარმატების საბუთად ღვთისმშობლისაგან მიიღო ჯვარი ვაზისა.

26. იბერიაში ჩამოსულმა ნინომ ავაღმყოფობისაგან განკურნა საქართველოს დედოფალი. ამ სასწაულმა დედოფალი ქრისტეანობას აზიარა. შემდეგ სანადიროდ წასულ მირიან მეფეს ტყეში გზა აეხსნა უცაბედად ჩამოხნელების გამო. მირიანმა, როგორც წარმართმა, მიმართა თავის კერაპებს, მაგრამ საშველი არ ჩანდა.

27. სასოწარკვეთილმა მეფემ გადაწყვიტა, ეცადა და წყალობა ეთხოვა ნინოს ღმერთისთვის; ნათელმა იმატა და განათდა. ეს შემთხვევა გახდა მიწეზე შემდეგი მირიან მეფის გაქრისტეანებისა. მის გაქრისტეა-

ნებას კი მოჰყვა საბედნიერო შედეგი — საქართველოში ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

28. უკვე 318 წელს კონსტანტინოპოლიდან ეპისკოპოსი და მღვდლები გამოიწვიეს.

29. იბერიელებმა მიიღეს ყველა საეკლესიო წეს-ჩვეულება ბერძნული ეკლესიისა და აღიარეს მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება; ამგვარად, ახალდაბადებული ეკლესია მიეწერა ანტიოქიის საპატრიარქოს. დღემდე ანტიოქიის პატრიარქის ტიტულს ამშვენებს იბერიის პატრიარქის სახელიც: „პატრიარქი ღმერთის ქალაქ ანტიოქიისა, სირიისა, იბერიისა, კილიკიისა, მესობოტამიისა და მთელი აღმოსავლეთისა“.

30. მე-5 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი იბერიის მეფის გურგენის აჯანყების შესახებ წერდა: „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნეობის წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“.

31. XI-XII სს-ში, დავით აღმაშენებლის დროს, შეიქმნა ერთიანი ცენტრალიზებული საქართველო. განიდგენა მტერი. დავითის ბრძანებით არსენ იყალთოელმა ბერძნულიდან თარგმნა დიდი რჯულისკანონი. ეს იყო საეკლესიო კანონთა კრებული. მოიწვია ეკლესიის მოღვაწენი და მათი მონაწილეობით აღმოფხვრა ის უწყესობანი, რომელნიც საუკუნის მანძილზე, ურჩი ფეოდალების და თავაშვებულ სამღვდელთა პირთაგან იყო დაწერილი (ივ. ლოლაშვილი, „არსენ იყალთოელი“).

32. იმ დროისათვის ქართული კულტურის ცენტრები, ქართული მონასტრები არსებობს სირიაში — შავი მთისა, პალესტინაში — ხაბა წმიდისა და ჯვრისა, ბიზანტიაში — ათონის ივერთა; მონასტრებთან არსებობდა სკოლები, სადაც მომავალი მოღვაწეები სწავლობდნენ.

33. თვით საქართველოში კი უკვე უამ-

რავი ეკლესია იყო. ესენია: მცხეთის ჯგარი, ატნის სიონი, წრომი, იშხანი, ღრანდა, ძველი შუამთა, კუმურდო, ოშკი, ბანა, მარტვილი, ნიკორწმიდა, საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი და სხვა.

34. XIV საუკუნეში საქართველოს შემოესია თემურ-ლენგი. მან ქართველ მეფეებს გამაჰმადიანება მოსთხოვა. მეფე ბაგრატ V დათანხმდა გამაჰმადიანებას (ადგილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იქნებოდა ქართული ეკლესია).

35. ასე ავიწროებდნენ საქართველოს თათრები თუ ოსმალები, მონღოლები თუ არაბები და ქვეყანაც იძულებული იყო თავშესაფარი ეძია ერთმორწმუნე სახელმწიფოსთან. და, აი, 1488 წელს კახეთის მეფე ალექსანდრემ რუსეთთან დაამყარა ურთიერთობა.

36. კონსტანტინოპოლის ღაცემის შემდეგ საქართველოს შემოეძარცვა იმედი. დაიწყო ყიზილბაშების შემოსევა და ქვეყნის აოხრება (რა თქმაუნდა, ვერც ამ დროს იქნებოდა სრულყოფილი და თავისუფალი ქართული ქრისტიანული ეკლესია).

37. მე-16 საუკუნეში რუსეთი გაძლიერდა. მან ხელში ჩაიგდო ვახანისა და ასტრახანის სახანოები და ვოლგის აუზში გაბატონდა. 1783 წელს, ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის დროს დაიდო რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი, ხოლო 1801 წლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ, რაც საბოლოოდ იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბერის მანიფესტით გაფორმდა.

38. ვერც ამან უშველა საქართველოს, რომელიც უმოწყალოდ იჩაგრებოდა. რუსთა მეფემ მას ქრისტიანული ხელი ვერ გაუწოდა.

რა სიკეთეს შეჰყრიდა ერეტიკული რუსეთი საქართველოს? რუსეთმა თავისი ღვთიერწვეული ყოფა გაუზიარა საქართვე-

ლოს. საქართველოს ეკლესიები აიჭრა ნიკონიანური რუსული ეკლესიები თარგზე.

39. ამის შემდეგ დაეცა და სრულიად დაკნინდა საქართველოს ეკლესია. ცხერის ქურქში გახვეული მგლები გამოჩნდნენ მწყემსებად, გარეგანი სილამაზე დაუტოვეს ეკლესიას, სული კი გააცალეს. და ჰა, უნდა აღსრულდეს ღვთისმშობლისადმი ანგელოზის მიერ ნათქვამი სიტყვები: როდესაც მოციქულებმა ქრისტეს აღდგომის ორმოცდამეათე დღეს სულიწმიდა მიიღეს და ჰყარეს წილი — ვის რომელ ქვეყანაში მოუწევდა სახარების ქადაგება, მაშინ ღვთისმშობელს იბერიას ხვდა წილად, და როცა წამოსვლა დააპირა, ანგელოზმა მიმართა:

40. „ნუ დატოვებ იერუსალიმს, არამედ იყავი აქ დრომდღი, შენი წილხვედრი ქვეყანა განათდება ბოლო დროს, სამფლობელო შენი იქნება მანდ, მანამდე ცოტა იმოღვაწე მიწაზე, ვიდრემდე ღმერთი შენს დარიგებას ინებებდეს, და იყავ უწმიდეს იერუსალიმში საქმარის დრომდღი“ („მოკლე ისტორია ქართული ეკლესიისა“).

41. ისევე, როგორც ისრაელს, საქართველოს გახარება არ უნახავს, რადგან ღმერთი თავისიანს უფრო მეტად სჯის, რათა არა განერიდოს ჭეშმარიტებას, და ჰა,

როგორც ისრაელს ბოლო დღე დასდგომა გაძლიერებისა, ასევე საქართველოს.

42. „შენი წილხვედრი ქვეყანა ბოლო დროს განათდეს“. ეს სიტყვა მიანიშნებს საუკუნის დასასრულს საქართველოს გაბრწყინებაზე. ქრისტემ განგვიმარტა, „ბოლო დრო“ დადგება, როდესაც იუდეველები თავს მოიყრიან თავიანთ ქვეყანაში და გვასმენენ აბჯრის ხმაურს, მოახლოებულ არს ჩემი მოსვლა, კართან ვდგავარო, მაგრამ ვიდრემდე შემოვიდოდე, კიდევ ერთხელ იქადაგებენ სახარებას მთელ დედამიწაზეო.

43. ებრაელებმა დიდი ხანია თავი მოიყარეს და ომიც დაიწყეს, მაშ, კართან ყოფილა მომდგარი ქრისტეს მგორედ მოსვლა. ვიდრე ეს იქნებოდეს, ქრისტეს სიტყვით, ხომ უნდა

იქადაგონ კიდევ ერთხელ სახარება?

44. და ჰა, იოანე-ზოსიმეს — მთავე საუკუნის წმიდა მამის წინასწარმეტყველებაც: „დაესენიანი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მგორედ მოსლვისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოცდა ათოთხმეტი წელი უმეტეს სხვათა ენათა ქრისტის მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე“. მოელის ბედნიერ დღეს და როგორც ზოსიმე ბრძანებს: „სახარებასა შინა ამას ენასა ღაზარე ჰრქვიან“.

44. ღაზარე იყო მკვდარი და შემდეგ ღვთის მიერ გაცოცხლებული. ასევე ღაზარესავე გაცოცხლებულ საქართველოს მოუწევს აღდგომა და საქვეყნო გაბრწყინება.

რომელია ჭეშმარიტი მკლესია?

45. მამ, რომელია იგი?

46. ყველა ქრისტეანულ ეკლესიათა შორის ის ეკლესიაა ჭეშმარიტი, რომელშიაც ყველაზე უკეთ არის დაცული მოციქულების მიერ დადგენილი წესები და კანონები. სახელდობრ: ნათლობა წყალში სამჯერ შთაფლვით.

47. რომელსაც ჰყავს მოციქულთა 50-ე კანონის მიხედვით მონათლული და არაერეტიკოსი ეპისკოპოსებისაგან ხელდასმული მღვდელი.

48. მღვდელი უნდა იყოს არაერეტიკული ეკლესიის მომდგარი.

49. ეკლესია, რომელსაც არ ამშვენებს ქრისტეს რვადაბოლოებიანი ჯვარი, არის ერეტიკული. თუ მოციქულებრივი წესების მიხედვით არ სრულდება ორტუალები, ის არის ერეტიკული ეკლესია.

50. ეკლესია, რომელიც ფულს იღებს ნათლისღებაში სათნო არ არის ღვთისთვის.

51. ეკლესია, სადაც ასვენია ყალბი ხატები, რომელიც შეინიშნება მისი გვირგვინის

მიხედვით და ხატზე არასწორად გამოსახული თითებით, არის ერეტიკული.

52. ეკლესია, სადაც წვერგაპარსული მამაკაცები შედიან, არის ერეტიკული.

53. ეკლესიის მღვდელმსახურნი, რომელთაც წვერი შეკრეჭილ-შელამაზებული აქვთ, არიან ერეტიკოსები და მათგან კურთხევა არ მიიღება.

54. ეკლესიაში, სადაც მლოცველები ქრისტეანული სამოსის გარეშე დაიშვებიან, გზა ხსნილი აქვს ერესს. მამაკაცს უნდა ეცვას შარვაულზე ზემოდან გადმოშვებული ხალათი, რომლის სიგრძეც უნდა ფარავდეს წინ და უკან სასირცხოს, წელზე კი, ჭიპს ქვემოთ, მჭიდროდ უნდა ჰქონდეს ქამარი შემორტყმული; ასევე, ხალათი უნდა იყოს გრძელსახელოანი. ქალებს კი უნდა ჰქონდეთ თავსაფარი და წელზე ქამარი. თუკი ეკლესია ამ წესს არ იცავს, იგი ერეტიკულია.

55. ეკლესია, რომელიც იძლევა უფლებას, ტაძარში დამთვალეირებლებმა იბოგინონ და წმიდა სამლოცველო მუზეუმად აქციონ, არის ერეტიკული.

56. ეკლესია, რომელსაც შეიდი საიდუმლოდან ერთ-ერთი აკლია, ჩაითვლება არა მარტო ერეტიკულად, არამედ ანტიქრისტულ საკრებულოდ.

57. თუკი გენებათ იცოდეთ, არის თუ არა წმინდა მართლმადიდებლური ეკლესია სადღესოდ, გეტყვით: ჭეშმარიტად არის! და იმ ეკლესიას ეწოდება ძველმორწმუნეთა ეკლესია, ეს სახელი მართლმადიდებლებმა მიიღეს მას შემდეგ, რაც არ დაეთანხმნენ ახალი რეფორმატორული სწავლების მიღებას. მათ შეინარჩუნეს სწავლება, რომელსაც მათი წინაპრები და მოციქულები მიჰყვებოდნენ, რაც ყველასთვის სამაგალითოა. ჩვენი რელიგია ძველია და არავინ საჭიროებს ახალ რელიგიას.

ამჟამად ამგვარი ეკლესია უფალმა დააფუძნა ქ. ფოთსა და თბილისში. ერთიადგეთისშშობლისა — სლავერი, მეორე კი წმ. ელია წინასწარმეტყველისა — ქართული.

ორთავე ეკლესია მოცულობით მცირეა, მაგრამ ძალმოსილებით უძვეველი.

საქმარის სიჭმინდე

59. თვით უფალი ჩვენი იესუ ქრისტე გაწმენდს საყდარს თვისას და მოამორებს ეკლესიებს უღირს მამებს, გამოავლენს მართალთა — წმიდა სულის მსახურებს და სწორედ მაშინ იქნება საჭირო, რომ:

60. არავინ იღოს ნათლობა, ერეტიკულ ეკლესიებში, ვიდრემდე არ გამოჩნდებიან რჯულიერი მღვდლები, ე.ი. ძველმორწმუნეთა ეკლესიის წარმომადგენლები.

61. როდესაც რჯულმოსილნი განწმენდნენ ეკლესიებს და რჯულიერი ხელდასხმით დაადგნენ რჯულიერ მღვდლებს, გზა ხსნილია ეკლესიისაკენ.

62. ეკლესიების ეზოებში გაკეთდება ემბაზები; ემბაზი უნდა იყოს იმ სიმაღლისა, რომ კაცს თავისუფლად შეეძლოს წყალში შთავლვა.

63. ემბაზში წყალი არავითარ შემთხვევაში არ უნდა თებოდეს ხელოვნურად. თუ ეკლესიას არა აქვს ემბაზი, მაშინ ნათლობა უნდა შესრულდეს მდინარეში, ტბაში ან ზღვაში.

64. შემდეგ კი ნათლობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს ეკლესიაში.

65. ნათლობა დაიწყება შემდეგი წესის მიხედვით: ადამიანი, რომელიც მონათლულია წყალგადავლებით ან თავზე წყალპყურებით, არ შეიძლება ჩაითვალოს მონათლულად. იოანე ოქროპირი ამბობს, ამგვარი მონათვლა ნათლობა კი არა წაბილწვავაო.

66. ადამიანს, რომელსაც თავისი ნათლობა არ ახსოვს, ე.ი. არ იცის, არის თუ არა იგი წესიერად მონათლული, შეუძლია ხელმეორედ მონათლოს რჯულიერი მღვდლის მიერ.

67. ახალდაბადებული ბავშვი — ვაჟი მეორმოცე, ქალი სამოცდამეექვსე დღის შემდეგ შეიძლება მონათლოს. მოსანათლავს

უნდა ახლდნენ ნათლიები. ნათლიებად არ შეიძლება მოსანათლს დაუდგეს ცოლ-ქმარი, რადგან ნათლია უკვე ითვლება მონათლულის სულიერ მამად ან სულიერ დედად; ამდენად, ნათლიები ხდებიან ერთმანეთის სულიერი ნათესაები. ცოლ-ქმრის ნათესაობა კი არ შეიძლება.

68. ნათლია ითვლება მონათლულის სულიერ მამად. ნათლია, რომელიც შებილწავს წმიდა მირონს, განიკეთება ეკლესიიდან და სიკედილამდე უზიარებელი უნდა დარჩეს.

69. ნათლია ვალდებულია ყოველმხრივ ზრუნავდეს ნათლულზე, რათა მისი მონათლული არ ასცდეს ქრისტეანულ გზას და არ განუდგეს ღმერთს.

70. თუ მღვდელმა მოსანათლავისაგან მოითხოვა სასყიდელი, ასეთი მღვდელი გაძევებულ იქნეს ეკლესიიდან, როგორც ღვთის მადლით მოვაჭრე, მღვდლის ცხონება სწორედ ამ საეკლესიო შრომაშია და არა მოხვეჭაში.

71. მოსანათლავმა უნდა იცოდეს „მრწამსი“, „მამაო ჩენო“, ქრისტეს ღოცვა და, რაც მთავარია, პირჯვრის წერა.

72. უარყოფილ უნდა იქნეს ერეტიკული წიგნები. ერეტიკულ წიგნებად კი ჩაითვლება ყველა თანამედროვე ეკლესიური წიგნი, რადგან ისინი შერყვნილია „ურჯულოების საიდუმლოს“ წევრთა მიერ.

73. არაერეტიკულია ნიკონ პატრიარქამდე დაბეჭდილი ძველი წიგნები რუსეთში. ე.ი. იოსებ პატარაქის ჩათვლით დაბეჭდილი წიგნები ნიკონამდე (მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი).

74. ეკლესიის წევრი ვალდებულია მისი შემოსავლის მეთავე შეესწიროს ეკლესიას, რამეთუ ბრძანებს ღმერთი: „იყოს ჩემს საყდარში პური მსურველთათვის“.

75. ეკლესია არავის აიძულებს, გაიღოს შემონაწირი, მაგრამ ეკლესიის წევრს უნდა ახსოვდეს მარად მისი საზრუნავი. ეკლესიის მსახური ღირსია წყალობისა, მაგრამ ეს

წყალობა ნათლობის, ან ქრისტეანების დაკრძალვისა თუ წესის აგებისათვის არ უნდა გაიღოს, რათა არ ჩაითვალოს წყალობა მადლის შესყიდვად.

76. ეკლესიის მსახური არ უნდა იყოს დასაქმებული საერო ღვაწლით. მისი ღვაწლი მხოლოდ ეკლესიასა და მრევლს ეკუთვნის.

77. ეკლესიაში უნდა დაბრუნდეს წმიდა მამების მიერ დადგენილი შეურყვნელი წირვა-ლოცვა.

78. არ შეიძლება ეკლესიაში საქმეებს მმართველობდეს საერო პირი. ეკლესიის გამგებელია ეპისკოპოსი.

79. ეკლესიაში ზოგჯერ იციან ხოლმე ტყბილეულისა და ხილის შემომღვევა. ეს არ არის საჭირო, ასეთ დროს ეშმაკის მოკაეშირენი იყენებენ მომენტს და ისინიც გასცემენ ჯადოქმინილ საჩუქრებს, რაც მორწმუნეს ზიანს აყენებს. ქუჩაში ნაყიდი სანთლები არ დაინთება, რადგან უმეტესწილად მათ დამზადებთან ჯადოსნების ხელი ურევია.

80. ეკლესიის მიერ დამზადებული და ნაკურთხი სანთლები უნდა იყიდებოდეს ეკლესიის ეზოს გარეთ მოწყობილ საგანგებო ჯიხურში.

81. ეკლესიის დამლაგებლებიც კი უნდა შეირჩნენ მათივე რწმენის მიხედვით, რადგან ეშმაკთა მსახურებს ერთი სული აქვთ, როგორმე შეაღწიონ ეკლესიაში, შემდგომ კი ნებისამებრ იმოქმედონ მორწმუნეთა საზიანოდ.

82. ეკლესიაში სასმელი წყალი მუდამ უნდა იყოს დაცული და ყურადღების ქვეშ.

83. ნუ ეცდებით უცნობებთან იშვამსვე მეგობრობის გამართვას. ეს ხშირად ზიანის მომტანია, გამცდენელია, ბევრ შემთხვევაში დამლუკველიც კი. ნუ ენდობით ყველა სულს, ჯერ გამოსცადეთ ისინი.

84. ცრუ წინასწარმეტყველნი უბიძგებენ ხალხს მავნე ჩვეულებებისაკენ, გზას უხსნიან მკითხავეებისა და ჯადოსნებისაკენ, მოუწოდებენ სისხლიანი შესაწირავებისა და ხატზე გადაცემისაკენ. თუმცა სახე მლიმარი და

სერიოზული აქტით, ძალზე ბრანდინები არი-
ან და არაფერს გაპატიებენ, ადამიანთა შო-
რის აღრმავებენ შურს.

85. მათ ეტყობათ, რომ არ უყვართ ადამი-
ანები, მკრეხელურ აზრებს ავრცელებენ ადა-
მიანთა გასაბინძურებლად. უბიძგებენ
მრუშობისაკენ. ბიბლიას არ აძაბებენ, მაგ-
რამ შიგა და შიგ მოუძებნიან ხოლმე „ნაკ-
ლოვანებებს“, „უზუსტობებს“.

86. ეჭვი შეაქვთ სახარებისეულ ჭეშმა-
რიტ სასწაულებში.

ვერ იტანენ და შფოთავენ, როცა ეინმე
მათ წინაშე ხშირად იწერს პირჯვარს და
წართქვამს ლოცვას.

მათთან ყოფნისას თავი დაცავით ქრის-
ტეს ლოცვით, ჯერით პატიოსნით.

87. ხშირად იწყებუბიან. შფოთავენ წმი-
და ადამიანის დანახვაზე.

ხალხს ისეთ რამეზე გაუმახვილებენ ყუ-
რადლებას, რაც სრულიად უმნიშვნელოა,
შეიძლება ამისათვის თავიც კი გააწირვი-
ნონ უგუნურებს, რადგან იციან ამაგარი თავ-
განწირვა ღვთის ჯილდოს არ იმსახურებს.

88. წყალში ჩაეარდნილ კაცს ცურვის
გარდა ყველაფერს ასწავლიან. არადა, დაბ-
ნეულთ ზღაპრების მოსმენა უფრო უყვართ,
ვიდრე გადამრჩენელი სიტყვის მიყოლა.

გაფრთხილდით, ადამიანებო!

89. თუ გადაეყრებით ცრუ წინასწარმეტ-
ყველებსა და მქადაგებლებს, რომლებიც უარ-
ყოფენ სწორ სწავლებას და აცდუნებენ ხალხს,
აუკრძალეთ, ამხილეთ ისინი სიცრუეში (1
პეტრ., 2, 12).

არა გვაქვს უფლება მივიღოთ ისინი სახ-
ლში (2 იოან., 1, 10-11).

90. გაჭირვების ჟამს სექტანტებს უნდა
მივეშველოთ (გალ., 6, 10), მათთვის უნდა
ვილოცოთ.

ყურად იღეთ, ადამიანებო!

91. ეშმაკი, რომელმაც შეძლო კაცობრი-
ობის გაყოფა ორ ფენად — ღმერთშემოსი-
ლებად და უღმერთობად, თვით დამკვიდ-
რდა უღმერთოთა ბელადად და შესთავაზა

მათ თავისი პროგრამა, რომელსაც უწოდა
„ურჯულოების საიდუმლო“. ამ პროგრამის
მიმღებმა ხალხმა სული ეშმაკს მიჰყიდა.
მათ იციან, რომ არ მიეცემათ სამარადჟამო
ცხოვრება, მაგრამ ამქვეყნიურ სიამეთა გა-
მომ შზადა არიან დათმონ მარადიული, რის
შემდეგაც აღიბეჭდებიან ეშმაკის ნიშნით.
მათ ეყოლებათ სამი ბელადი. მხეცი პირვე-
ლი, მხეცი მეორე ანუ „ცრუ წინასწარმეტყ-
ველი“ და თვით „ანტიქრისტი“ — უღირსი
ბელადი.

92. ის სამი ბელადი სწორედ ახალი აღ-
თქმის დაბადების შემდეგ უნდა გამოჩენი-
ლიყო, ე.ი. ისინი არიან ქრისტიანული წელ-
თადრიცხვის თანამედროვენი.

ასეთი მხეცი მოგვევლინა 1917 წელს
ლენინის სახით, რომლის კაცობრივი რიც-
ხვია 666, რითაც წინასწარმეტყველმა მიგ-
ვანიშნა ამ მხეცის წარმოშობაზე, მის ებრა-
ელობაზე, უკეთ — აღონიკაიმის შთამომავ-
ლობაზე (1 ეზრ., 2, 13). მეორე მხეცი, რო-
მელმაც პირველი მხეცის სატება შექმნა და
ქვეყნიერებას მოუწოდა მის თაყვანსაცემად,
არის სტალინი, ანუ ცრუ წინასწარმეტყვე-
ლი, ხოლო მესამე მხეცი — უღირსი ბელადი
არის თავად ანტიქრისტი, რიცხვი 666 ასევე
აერთიანებს მსოფლიო სატანისტურ პროგ-
რამათა მიმღებ ებრაელებს.

93. ერთი სახელმწიფოს მსოფლიო ბა-
ტონობის მოღველი სატანამ სწორედ საბჭო-
თა კავშირში განახორციელა, რაც ლენინ-
მაც დაადასტურა. სოციალიზმი შეიძლება
შეიქმნას ცალკე აღებულ ნებისმიერ სა-
ხელმწიფოში.

94. მესამე მხეცი თავს იჩენს სამთავიანი
არწივის, ანუ სამი მეფის დაცემის შემდეგ.

95. „ურჯულოების საიდუმლოს“ წამყ-
ვან ორგანიზაციებად ითვლებიან: მასონუ-
რი ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი
პრინციპებია მსოფლიო ბატონობა. ისინი
წარმოშობენ ეკუმენისტურ მოძრაობას, ეს
უკანასკნელი კი ქმნის მსოფლიო ეკლესია-
თა საბჭოს, რათა მონდეს მსოფლიო ეკლე-

სიათა გაერთიანება ახალი მრწამსის საფუძველზე.

96. მაშ, სად არის ძალა და შემწეობა, რათა აღამიანებმა თავი იხსნან ამ საფანგისაგან? იქნებ რომელიმე სახელმწიფოა ეშმაკთა მიერ განწირული კაცობრიობის მხსნელი? ან რომელიმე პარტია, ან რომელიმე არსებული სახელმწიფო სტრუქტურა?

97. საუკუნე უკვე ისეთ ფაზაშია, რომ ამგვარი საშუალებები დედამიწის ზურგზე აღარ მოიპოვება; ეს ნიშნავს, ეშმაკმა და მისმა მოკავშირე მასონებმა, ანუ „ურჯულთების საიდუმლოს“ მესვეურებმა საშუალება მისცეს სატანას — ძველ გველშაპს, შემოსაღტვოდა დედამიწას და თავისი კუდი საკუთარ პირში მოექცია.

98. ვინ არის მხსნელი და სად არის ხსნა? სასწრაფოდ უნდა გაეუღოთ კარი ღვთიურ სიბრძნეს, რათა ერი და სახელმწიფო ღვთის ფრთეთა ქვეშ მოექცეს; ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ აღორძინდეს დამსხვრეული მართლმადიდებლობა — გამო-

ცოცხლდეს რჯულის კანონი, ე.ი. უმაღლესი აღმართლონ გაწარმართებულნი და ფეხზე დადგეს ეკლესია.

99. ეკლესია არა ერეტიკული არამედ რჯულმოსილებით აღორძინებული სამლოცველო — უფლის ტაძარი; ეს შეგვემსს ღვთის მფარველობას: შემდეგ კი ერი უნდა გაჰყვეს არა ხალხის არჩეულ ბელადს, არამედ ღმერთს უნდა გამოსთხოვოს ღვთიეკურთხეული მეფე, რომელიც დაიდგამს სამეფო გვირგვინს. რჯულმოსილი მეფითა და პატრიარქით დამოძღვრილი ერი თავს დაადევს უბედურებას, ყველა სათავე მივიანდოთ უფალს, მხოლოდ და მხოლოდ ეს არის ერისა და ქვეყნის ერთადერთი გადამრჩენელი გზა. დანარჩენი გზა ყველა ეშმაკისაა.

100. იმღვიძარეთ, ცხოვრებისაგან გარიჟრაჟი, დრო მცირედი დარჩა, თორემ გელოდებით ანტიქრისტეს მარწუხნი და სამარადჟამო ცეცხლისთვის დაცემა. სიცოცხლე სიკვდილისათვის თუ სიკვდილი სიცოცხლისათვის?!

თ ა ვ ი ო ც ღ ა მ ე ო თ ხ ა

პრისტეანული უღელი

1. უფალი არავის აძალებს მისი უღლის დადგმას. არიან ხარები, რომლებიც უფლისად ჰგულობენ თავს, და სწორედ ისინი გაიწვედნენ ზოლმე საუფლოდ ქედს. გაიწვედნენ, თანაც ნებსითა და წადილით, რამეთუ მათ იციან სიმძიმე და სიტკბო პრისტეს უღლისა.

2. 1975 წელი, 19 ნოემბერი. კომუნისტური რეჟიმის ზეობის ხანა. საქართველო, შავი ზღვისპირეთი — ქალაქი ფოთი. სუსხიანი ღამეა. ეტლიანი სამი მოტოციკლი ერთმანეთს დადუნებია სანაპიროს გზატკეცილზე. ქურქებით შეფუთული მივემართებით მოსანათ-

ლავად: მე, ჩემი ცოლ-შვილი, რუსი ძველმორწმუნე ნათლიები, მღვდელი და დიაკონი. ეს ის ჟამია, როცა გამეფებული ათეიზმი კრძალავს ეკლესიაში სიარულს და ჯგირის ტარებასაც კი, ამიტომაც გვიწვეს ფარულად ნათლობის აღსრულება. ეს არის პირველი შემთხვევა ზღვისპირელი სტაროვერების პრაქტიკაში, რომ ქართველს და ისიც ოჯახითურთ ენებებიონოს გადანათვლა.

3. ენით აუწერელია ის ფსიქიკური დაძაბულობა, რომელსაც განვიცდით. კომუნისტური მანდატის გადაგდების შემდეგ ყოველ წამს ველოდები დაპატიმრებას. ვგრძნობ, როგორ რისკზე მიდინ კელესიის მსახურნი; კერძოდ, მღვდელი თედორე გონჩაროვი.

4. მივადექით ტბას. ახლა კი გაშიშვლებულა და ზეწარმოსხმულებს გვიწევს წყალში ჩასვლა. კომბინეზონჩაცმული მღვდელი და დიაკონი ტბის სიღრმეში დგანან. მისმობენ. პირველი მე მივადივარ. ჩავედი რა წყალში ფეხი, იმდენად ცივი იყო, რომ უცებ მღვდლარე მეჩვენა. თითქოს ფეხის თითებში ჩამწყვდევულმა სულმა მაღლა-მაღლა იწყო ამოცოცება... ვიფიქრე, ცივ წყალში რომ ასეთი საძინელოა ყოფნა, მეორედ მოსვლის ჟამს ცეცხლში მჯდომარენი რა ყოფაში იქნებიან-მეთქი...

5. დიდება უფალს, ჩვენ მოვინათლეთ! მაშინ მივხვდი პირველად: კაცი ფრონტის წინა ხაზზე რომ აღმოჩნდეს, ამისთვის სულაც არ ყოფილა საჭირო ქვეშევსების ზათქი და გრგვინვა.

6. იმავე დამეს მომეცა სიზმრისეული ხილვა: სტაროვერების ერთსართულიან პატარა ეკლესიის კარებწინ ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილია მაგიდები. მაგიდების იქეთა მხარეს წვეგრგაფოფილი სტაროვერი მამაკაცები მხარიმხარ ჩამდვარან. წინ ყველას თავისი თეფში უდგას. თეფშის შუაგულში თითო ანთებული სანთელი დამაგრებული. დახლივით ჩამწყრივებულ მაგიდებს მივადექი. მისალმების შემდეგ მამაკაცებს მივმართე: ჩემი თეფში და სანთელი მომეცით-მეთქი. ეკლესიის წინ მდგარმა მამაკაცმა ღია კარებში გასძახა ვილაცას: იოანეს თეფში და სანთელი მოგვეცითო. ეკლესიიდან თეფში გამოიწვდინეს, რომელზედაც აუნთებელი სანთელი იყო დამაგრებული. დამწვარი სანთლის ზომის მიხედვით მივხვდი, როგორ დამიფერფლავს ღვთიური ნათლის გარეშე ჩემი ცხოვრების ნახევარზე მეტი; დარჩენილი სანთლის მიხედვით აწ გასაეული გზაც განვსაზღვრე.

7. — ამინთეთ სანთელი-მეთქი. — თავად აანთო, — მითხრეს. მე ავანთე იგი და თეფშიანად წინ დავიდგი. ვიგრძენი, ჩემმა თეფშმა გახურება იწყო. ეს არც იმ სტაროვერ მამაკაცებსაც დაურჩათ შეუმჩნეველი. მერე

მწკრივად გამოემართნენ და ჩემს თეფშზე იწყეს საკმევის დაყრა. თეფშიდან ლურჯი კვამლი ადგა, გარშემო სურნელება მიმოიფრქვა. მამაკაცებმა ჩემს თეფშს დაუნწყეს ცქერა. ვგრძნობდი, რომ ისინი ჰვრეტდნენ ჩემს მოძავალ ცხოვრებას — საეკლესიო ღვაწლს, რის გამოც აღფრთოვანებას ვერ მაღავედნენ. თვალბდაკეისილები დასცქეროდნენ ზემოდან. უცებ ყველანი სახტად დარჩნენ. ციდან მომესმა ხმა რუსულად:

— Они узрели твой конец, ты побоялся?

— Даруй, Господи, только такой конец! — ჩივივით აფრინდა პასუხი ბავიდან. მას შემდეგ თხუთმეტმა წელმა განვლო. სადღეისოდ თქვენს წინაშე დევს ჩემი მოკრძალებული ქრისტიანული ნაღვაწი.

8. ერთ მშვენიერ დღეს პერმიდან გვაცნობეს, რომ მეუფე ლეონტის სახელით, ამავე ეკლესიის მოძღვარ მამა ნიკანორს სურს მოსკოვში ჩემთან შეხვედრა ფრიად აუცილებელი საქმის გამო. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს. მაუწყეს, რომ მეუფე ლეონტის ღრმა მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო სასწრაფოდ მიხმობდნენ პერმში, როგორც ერთ-ერთ საეპისკოპოსო კანდიდატურას. დანიშნულ დროს მეუღლის თანხმობის ბართით ჩავედი პერმში. მეუფის წინაშე ორი კანდიდატი წარედექით — მე და მეუფის ძმა. არჩევანი ჩემზე შეჩერდა. როგორც უკვე შავი სამღვდელოების მოსურნეს, დიაკონის ხარისხში აყვანიას მეორე სახელი მომცეს; მიწოდეს იონა. დანარჩენი ერთი თვის განმავლობაში მღვდლობა და ეპისკოპოსობა მიბოძეს.

9. ეს დღე იყო პერმელი სტაროვერების ზემის დღე. სიხარულის მიზეზიც ნათელი გახლდათ: იერარქიის ჯანსაღი ტოტი საიმედოდ აველნდა სახვალთო სიცოცხლისუნარიანობას. როცა მეუფემ სამწყვდემთავრო კვერთხი გადმომცა, თვალცრემლიანმა მოძილოცა დედაღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის აწ გაცოცხლების უტყური შანსი.

10. დაიძრა დიდ-პატარა საკურთხეზლად; ფეხებში მიცივიოდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ; ყველას უნდოდა ახალდაბადებული ეპისკოპოსის ხალვით მადლი სცხებოდა...

11. გარეთ გამოსვლისას ქურქი რომ მოეხურე, უბებში ძლივს ჩავატეხე ხელი — ფულით გაეხსოთ. მეუფე ლეონტის კეთხე:

ხომ არ შეშალათ სხვის ქურქში ჩემი ქურქითქი? მან დიდი მოწინებით, სავსე იმედინი თვალეზბით მიპახუნა:

— არა, წმიდაო მეუფეო, ღირსეული სტუმრის ჩვენეული პატივია.

12. მათეულმა პატივმა მათეზურად გამოთბო გული, ხოლო უფლისეული პატივი კი ასე წარმოჩინდა:

СТАВЛЕННАЯ ГРАМОТА МИЛОСТИЮ БОЖИЕЮ СВЯЩЕННЫЙ СОБОР

По дару и власти Всевятого и Животворящего Духа. данной нам от Самого Великого Архиеерея Господа нашего Иисуса Христа, Через святые и священныя Его Апостолы и их наместники и приемники Во славу Святыя Единосущныя Живоначальныя и Животворящяя Троицы. Изволением освященнаго Собора Святыя Божия Церкви древлеправославной старообрядческой. Я Епископ Леонтий Пермский Благоговейного мужа сего священноинокка Иону Хиротонисали во епископа Тбилисского к храму Успения Божии Матери.

Хиротония епископа Ионы совершалась в старообрядческом храме во имя святителя Никола Чудотворца, в д. Ваньковой 30 января 1991 года ст. ст. (12 февраля 1991 года нв. ст.).

При сем руководствовался следующими правилами Святой Церкви:

- 1) Кормчая царь Иустиниян (глава N42);
- 2) Маргарит святого Иоанна Златоустаго (лист 158 оборот. иное издание лист 115);
- 3) Четия минаея 22 июня о Святом Евсевии.

Сия грамоты дающая право на совершение священныя дел вытекающих в нашем старообрядчестве Республики Грузия выдана Преосвященному Епископу Ионе (в миру Иоанн Шотаевич Чахава. 30 января 1991 года ст. ст. (12 февраля 1991 г. нов. ст.).

Смиренный



(Леонтий), Пермский

იცოდეს ქვეყნიერებაში „ლაზარეს“ — საქართველოს აღდგინებაში ამ მაღლმოსილი
კაცის ქრისტეანული მარჯვენა დეკს.



პერმის
ეპისკოპოსი
ლევონტი

1. ერთ-ერთი სიზმრისეული ხილვისას მწვანედ გაფოთილ მენჩერ ტყეში, გადაჭრილ ხის კუნძზე, იჯდა უფალი. მივხვდი, რომ მამა ღმერთი იყო. თვალად მკიდა თუ არა, თავისთან მიხზო; ვეახლე. მკითხა: საითკენ გაეწევიან? ჩხოროწყუსკენ-მეთქი, ვუპასუხე. ბეთლემში რომ სახლის ჩადგმა გინდოდა, რატომ გადაიფიქრე? მოვინდომე, მაგრამ არ გამოვიდა-მეთქი. გამოგივალ! მითხრა. სიმღერა თუ იცი? კი-მეთქი, ვუპასუხე. თუკი ასეა, მე დავიწყებ, შენ კი ამყევო. მოვეშხადე.

2. დაიწყო მან დაბალი ხმით რომელიღაც ძველთუძველესი კოლხური სიმღერა. თუმცა მელიოდა ჩემთვის უცხო იყო, მაინც გაბედულად ავეყვი. თავდაპირველად ვშიშობდი, მაგრამ მერე და მერე თანდთან გავთამამდი იმდენად, რომ იმპროვიზაციაც კი შევძელი.

3. სიმღერა იყო საოცრად ლირიკული, თანაც პოლიფონიური; გერძნობდი, რომ უფალი ემყოფილი იყო ჩემი ეოკალური მონაცემებით და მიხზაროდა. დავსრულეთ სიმღერა შეთანხმებულად. მოწონების ნიშნად თავი დამიქნია, მერე დაყვავებით მკითხა: წინა ორი კბილი გერყევა? დიახ, უფალო-მეთქი. ორთავე კბილზე ჩამავლო ხელი და განმიცხადა: ესენი არიან შენი ის მეგობრები, რომლებიც ხელს გიშლიან მთავარ საქმეში და მე მოგაშორებო მათ! თქვა და ორთავე კბილი ამოშადრო, თანაც სრულიად უმტყვიანულოდ. მე განზე გადავაფურთხე,

ოდნავე წამომსვლოდა სისხლი; უფალმა ჩემი კბილები მოისროლა. კვლავ შემეკითხა: მარჯვენა ბოლო კბილის ფესვი ხომ არ გტყიკავო? მტყიკავა-მეთქი, უფალო. კბილზე ჩამავლო ხელი და კვლავ განმაცხადა: ეს ის მთავრობაა, რომელიც დასაჭერად დაგდებს. მე მოგაშორებ მას. თქვა თუ არა, ის ჩამტვრეული კბილიც უმაღ ამოშადრო. თხრობას აქ ვწყვეტ და ფიქრს ვეძლვი:

4. მაცხოვარს რომ თორმეტ მოციქულში ერთი იუდა გამოერია, ცხრაჯერ მეტში თითო-ორიოლა იმნაირს რა დალევდამეთქი. ჩვენს ეკლესიაშიც გაერია ეშმაკის ერთგული, რომლის დაუხარელი მეცადინეობით რამდენიმე სული განერიდა ეკლესიას. ვიწყინე დიდად, მაგრამ აქვე გამახსენდა პავლე მოციქული და მისი გულისტყვილი ტიმოთეს მიმართ მიწერილი ვპისტოლედან:

5. „ალექსანდრე მჭედელმა სიცოცხლე გამიძწარა, მისი საქმისებრ მიაგებს მას უფალი. შენც ერიდე, რადგან თავგამოდებით აღუდგა წინ ჩვენს სიტყვებს. ჩემი პირველი თავისმართლებისას არავინ ამომიდა მხარეში, არამედ ყველამ მიმატოვა; ნუ მოეკითხება მათ. მაგრამ უფალი დამიდგა გვერდით და განმამტკიცა, რათა ჩემს მიერ აღსრულდეს ქადაგება და ისმინოს ყველა წარმართმა, და თავი დაეაღწიოთ ლომის ხახას“ (2 ტიმ., 4,14-17).

ღმერთო, შენი ძის მონობის მოწადინეთ მოგვმადლე შენი წყალობა!

პარდი უეკლოდ?!

მას შემდეგ განვლო მშფოთვარე ოთხმა წელმა. დაიბაბა რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა. ლუციფერი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ არ გაგვაშენებინონ ძველმორწმუნეობრივი საშინასტრო კომპლექსი. ამუშავდა მთავრობის სა-

დაზვერუო მანქანა თბილისის ძველმართლმადიდებლური ეკლესიის დასაშლელად. ასეთივე მანქანა უფრო მძლავრად ამუშავდა იერარქიიდან გამიჯნული მხარის — პერმელების მისამართული, რამაც გამოიწვია დიდი დაბნეულობა.

მშვიდობა თქვენდა, მამა ნიკანორ!

1. მივიღეთ წერილი, რომელმაც ერთობ დაგამწუნრა. გავიგეთ, რომ მოგნდომები-ათ კვლავ ადრე თქვენგანვე გასამართლე-ბულ მეუფე გენადისთან დაბრუნება; საქცი-ელი თქვენი უმართებულოა. გუადრებოდათ კი, ჩემთვის და მეუფე ფილარეტისთვის თქვე-ნი განზრახვის გაცნობა, რადგან არ ვიყავით ღირსნი ამგვარი უფურადღებობისა. როცა თქვენ უსამართლოდ აგიკრძალეს მღვდელ-მსახურება, ჩვენ მხარში ამოვიდექით და ვიბრძოლეთ თავდაუზოგავად. უფალი იე-სუს კურთხევით მაშინ გავიმარჯვეთ. ახლა კი კვლავ მეუფე გენადისკენ პირის მიბრუნე-ბით გამტყუნებულად წარმოგიჩენიათ საკუ-თარი თავი.

2. როგორ გავიგოთ თქვენს მიერ ადრე წარდგენილი ბრალდებანი იერარქიის საე-პისკოპოსოს წინაშე? უნდა გცოდნოდეთ, რომ საეკლესიო კრებამდე მართლმადიდებ-ლებიც გაემიჯნენ კათოლიკეებს და დღემდე ამისთვის არავის დაუსჯია. განა დიდი რჯუ-ლისკანონი არ მოგიწოდებდათ იმთავითვე უწმინდურთაგან — ერეტიკოსებისაგან გან-დგომას, თუკი ისინი დაიბუღებდნენ ეკლე-სიაში. თქვენ კი გამოამქვადეთ არასაკმაო სიფხიზლე და გაებით კიდევ მათ ბადეში.

3. ორგზისი კრების მეცამეტე კანონის მიხედვით რომ გაუსამართლებიხართ, განა XV კანონი თავად არ ასამართლებს მათ? ზემოსხენებული კანონი გვაუწყებს: განერი-დეთო უწმინდურებს ყოველგვარი საეკლე-სიო კრების გარეშე. რითი შეიძლეს ზემონ-სენებულებმა თავიანთი ერესის განრიდება? მათ რომ თქვენს მიერ წაყენებული ბრალ-დება ეცნოთ, მაშინ ისინი თქვენვე უნდა მიგელოთ მეორე ჩინით. აქ კი რასა ვხედავთ: მართლები აღმოჩნდით ცრუთა საბრძანე-ბელზე, ხოლო ცრუნი წარმოაჩინეთ მართ-ლებად.

4. სამწყსოში თქვენი დაბრუნებით შეუ-რაცხვავით წმიდა მამათა კანონები, რამე-

თუ შეუერთდით აშკარა ეკუმენისტებს, ღე-თიური სახიერების შემბილწველებს (წვერ-გაპარსულებს), ცრუებს, ერეტიკოსებს.

როცა ჩემი სამწყსოდან მივიღიათ ბარა-თი ჩემი ხელდასხმის შესახებ, თქვენ უნდა გაგეცათ მტკიცე პასუხი. ასევე უნდა გცოდ-ნოდეთ, რომ ეკლესიიდან უკანონოდ გან-მიჯნის გამოც კი ვერვინ აჯვარიდათ სამღვ-დლო პატივს, რადგან განხეთქილების მოქ-მელთაგან ნათლობა, ხელდასხმა მიიღება (ბასილ დიდის პირველი კანონი). აქედან გა-მომდინარე, მხოლოდღა მე და მეუფე ფილა-რეტს გვიყრია თქვენგანვე გადმოცემული ქრისტიანული ბაირალი. ამჟამად კი თქვენი თვითნებური და უსამართლო მოქმედება ად-ასტურებს, რომ გაცდუნათ ეშმაკმა.

5. მეუფე ლეონტი ამ საქმეში ნაკლებად ბრალუღლია ღვთის წინაშე, რამეთუ გადაწ-ყვეტილება თქვენგან იყო მიღებული (გაც-დუნეს). მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც კრე-ბით თქვენდამი კეთილმოსურნედ, რადგან დიდი თქვენი დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

6. თუკი „ბეგლოპოპოვების“ იერარქი-ის დაცემამ საკურთხეველი ღვთისა ნოვო-ზიბკოვოდან პერმში გადმოიტანა, თქვენს სადღეისო განდგომას მსოფლიო საქრისტე-ანოს ცენტრი საქართველოში გადმოაქვს.

7. დაე, ნუ აგაღლეკვებთ ყოველივე მომხ-დარი, რამეთუ აღსრულდა უფლის ნება: ღვთისმშობლის წილხედომილი ქვეყანა — საქართველო დაიწინდვის იესუ ქრისტეს საქ-ვეყნო ბოლო ქადაგებისათვის. და მაშინ თქვენ-თვისაც ინათებს!

8. გიგზავნით ჩემს წიგნს „ბეგლოპოპო-ვების“ იერარქიის დაცემის შესახებ. გონს მოეგეთ!

ღვთისმფირი სურვილებით
მეუფე იონა
09.09. 93.

თბილისი.

მიუხედავად იმისა, რომ ბეგლოპოპოვეები ეჭვის თვალით ვუყურებთ ბელოკრინიცელების ძველმართლმადიდებლური იერარქიის ქიროტონიას, მაინც დადებითად გვენიშნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტ ალიმპიას მოლოცვა.

ეს იყო პირველი აღიარება საქართველოს ძველმართლმადიდებლური ეკლესიისა.



მოსკოვის
და
სრულიად
რუსეთის
ძველმორწმუნეთა
მიტროპოლიტი
ალიმპია.



ХРИСТОС ВОСКРЕСЕ!

**Ваше Преосвященство!
Преосвященнейший Епископ Иона**

В лучезарный день Священной Пасхи Господней шлю Вам и всем древлеправославным христианам Грузии радостное пасхальное приветствие:

**Христос Воскресе!
Воистину Воскресе!**

Воскресший из мертвых со славою Спаситель мира да просветит светом истинного богоразумия сердца любящих Его и да подаст Вам и Вашей пастве здоровья, мира, христианской любви, изобилия плодов земных и многая лета, а в будущей жизни - вечного спасения. Молитвенно желаю богоугодного единения древлеправославных христиан на основе истинного предания Вселенской Христовой Церкви святых апостол и святых отец, а обeim нашим странам - мира, гражданского согласия и процветания.

С любовью о Воскрешем Христе Иусе.

(Алимпий)

МИТРОПОЛИТ МОСКОВСКИЙ И ВСЕЯ РУСИ

საქართველოს
ძველწესრიგის მართლმადიდებელი
ეკლესია



ГРУЗИНСКАЯ
ДРЕВНЕПРАВОСЛАВНАЯ
ЦЕРКОВЬ

GEORGIAN OLD ORTHODOX CHURCH

№ 7

17 - 09 19 93 №

Мир Вам и вечная истина старообрядческому Митрополиту Московскому и всея Руси Белокриницкой иерархии Владыке Алимпию!

Приняли Ваше пасхальное поздравительное письмо, исполненное христианской любви и доброжелательности.

Спаси Христос!

Мы, старovery-грузины, знаем о Вашей литературно-просветительной деятельности, которая не проходит даром; многому учимся мы от Вас и передаем это знание желающим во спасение души и во славу Божию. Подобны мы той пчеле, которая летает на многие цветы, но не от каждой берет сок.

Будем благодарны Вам, если вышлете изданную Вами, как церковную, так и мирскую литературу.

Уповаем на Бога, что уладятся Грузино-Российские отношения, и нам будет дана возможность принять у себя вашего регента (лотбара) Александра Никифоровича, чтоб и у нас прозвучало дамаскиново пение.

Владыка Алимпий, Ваше желание о соединении, конечно, весьма желательно. Настанет время, и мы, старovery Грузии, поставим вопрос о Вашей иерархии, созовем старovery всех родов и окончательно выясним все претензии, чтобы не очернить истину.

Что касается нашей беглопоповской иерархии, доводим до Вашего сведения, что иерархия пребывает в ереси.

Отделившись от них, я и Владыка Филарет Потийский держим честь иерархии.

С их еретической деятельностью Вы ознакомитесь из моей книги, которую я Вам шлю.

С добрыми и чистосердечными пожеланиями Вам, Александру Никифоровичу и Вашей пастве.

Амины!

Епископ Тбилисской древнеправославной церкви Владыка Иона
17.09.93 Тбилиси

ღმერთი ღაშურუნდა საქართველოს!

1. აპოკალიფსისის მეექვსე ბუქდის მონ-
ხნის ჟამი ამგვარად გვეუწყა: „შეესხედ, და
აჰა, იქნა მიწისძვრა დიდი, და გაშავდა მზე,
როგორც ძაძა, და სისხლივით გაწითლდა
მთვარე“ (გამოცხ., 6, 12).

2. იგივეს იუწყება ძველი აღთქმის წინას-
წარმეტყველი: „მონველ შენი ადგილიდან,
ჩრდილოეთის კიდეებიდან, შენ და შენი ურიც-
ხვი ხალხი შენთან ერთად, ყველანი ცხენებ-
ზე ამხედრებულნი, დიდძალი კრებული და
ურიცხვი ლაშქარი;

3. წამოხვალ ჩემს ხალხზე, როგორც
ქვეყნის დამფარავი ღრუბელი; უკანასკნელ
დღეებში იქნება, რომ წამოვიყვან ჩემი ქვეყ-
ნის წინააღმდეგ, რომ მიცნონ ხალხებმა,
როცა გამოვაჩენ ჩემს სიწმიდეს შენში, გოგ
მათ თვალწინ“ (ეზეკ., 38, 15-16).

4. იოველ წინასწარმეტყველიც იგივეს
იუწყება: „მიწა ტორტმანებს მათ წინაშე, ცა
ირყევა, ბნელდება მზე და მთვარე, ვარსკე-
ლაკებს ეკარგებათ შუქი“ (იოვ., 2, 10).

5. ეს ყველაფერი ღვთით დადგენილი
რისხვავა კაცობრიობის თავზე, განსაკუთრე-
ბით რჩეულ ერზე, რადგან დაივიწყეს უფ-
ლის კანონი; განერიდნენ ჭეშმარიტებას, და-
ემყარნენ სიცრუეს. ღვთის ნების გარეშე და-
სახნეს გეგმები ერთმანეთის სამტროდ. არა
ჰკითხეს კაცთა გამჩენს კაცის ბედის შესა-
ხებ, უღმერთო სამსჯავრო ინებეს, ამიტო-
მაც ისაჯნენ ასე უღმერთოდ თავად ღმერ-
თისგან; მაგრამ ღმერთი მუდამ როდია გან-
რისხებულნი, ამიტომაც გვეუწყა:

6. „ანუგეშეთ, ანუგეშეთ ჩემი ხალხი,
ამბობს თქვენი ღმერთი. მოურხეთ გული
იერუსალემს და ახარეთ, რომ დასრულდა
მისი დალაშქერა, რომ მიტყვებულია მისი
დანაშაული, რომ ორმაგად მიეზლო უფლის
ხელით მისი ცოდვებისათვის“ (ეს., 40, 1-2).

7. ასე და ამგვარად, ქვეყნის ნგრევის შემე-
დგე იწყება გამოფხიზლების ჟამი. მთელემა-

რებიდან ხალხთა განკერთომა და ჭეშმარი-
ტების ძიება. ის მინაველული ჭეშმარიტებაც
ღვთის ნებით წარმოუნდება კაცობრიობას.

8. ამგვარია სწორედ შესამე მსოფლიო
ომის შემდეგი პერიოდი. წინასწარმეტყველი
მიგვანიშნებს:

„...და ვიხილე სხვა ანგელოზი, მზის აღმო-
საველით აღმომავალი, რომელსაც ჰქონდა
ცოცხალი ღმერთის ბუქვი და შესძახა ხმა-
ძაღლა ოთხ ანგელოზს, რომელთაც მიეცათ
ვნება მიწის და ზღვისა:

9. ნუ აენებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას,
ნურც ხეებს, ვიდრე არ აღვბუქვადეთ ბუქვით
ღმერთის ჩვენის მონათა შუბლებს“ (გამოცხ.,
7, 1-3).

10. ნურც გაიკვირებთ, სწორედ იბერი-
იდან — აღმოსავლეთიდან აღიმართა ის საქ-
ვეწო ქრისტეანული ბუქვი. ახლა საჭიროა
კაცთა შორის თანადგომა, რათა არავინ დარ-
ჩეს კეთილი ადამიანი სულის გადამრჩენი
ბუქდის გარეშე. ამიტომაც გვაცნობებენ:
„ჩრდილოეთიდან აღვმარი და მოვიდა; მზის
აღმოსავლეთიდან უხმობს ჩემს სახელს და
მოღის; მთაერები თითქოს თიხაა და მეთუ-
ნესავით დაჯეგავს აყალოს. ვინ გამოაცხადა
დასაბამით, რომ გვცოდნოდა? მაგრამ არავის
გამოუცხადებია, არავის უცნობებია, არავის
გაუგია თქვენი ნათქვამი.

11. მე პირველმა გაუწყე სიონს: აჰა, აჰა,
იგი-მეთქი! (ეს., 41, 25-27, თარგმანი რუსუ-
ლი ბიბლიიდან).

12. და აჰა, ესეც ახდა. ახდა და ნუ შეორ-
გულდებით, მიენდეთ მას, ვისაც უფალმა
თქვენი თავი ანდო, რამეთუ ქრისტეს გაზრ-
დილი მწყემსია, რომელსაც ასწავლეს ცხო-
ვართათვის თავის დადება თავისივე გულის
წადილის მიხედვით. იგი ქრისტეს მონაა და
მამა ღმერთის ნების განმცხადებელი ბოლო
ჟამისად.

ქართველთა ალექმა

1. ყოვლის გამჩენო, უფალო,
დიდ არს სახელი შენი!
არარაობიდან ყოფიერებას
შენ დაუდე საფუძველი.
შენი მარჯვენის მაქებარია
სულიერი და უსულო,
ხილული და უხილავი,
მცირე და დიდი.
შენ აცოცხლებ, შენ სპობ,
შენ აღაზევებ, შენ დასცემ;
რაიც გიზრახვია, ჭეშმარიტებით
გიზრახვია,
რამეთუ აროდეს დაგიცია არდასაცემი.

2. ვერას მოვიწონებთ თავს შენს წინაშე, უფალო,
ან რაი გვქონდეს საქედმადლო.
ჩვენ არა ვართ ის ერი, ხალხთა შორის
საკუთარ ნაშიერად რომ გიგულვია,
მაგრამ ვართ ერი შენსკენ მაცქერალი,
ქვეენის გამჩენო!
ჩვენ არა ვართ ის ერი, რომლისთვისაც
ზღვა ორად გაგია,
მაგრამ ვართ ერი სისხლის ზღვაში
მოცურავე
შენდა დიდებად, უფალო!
ჩვენ არა ვართ ის ერი, რომლისთვისაც
მანანა გითოვებია;
მაგრამ ვართ ერი შენგან მორთმეული
ბალახნი რომ გვიკმარისია!

3. ამენ და ისევ ვიტყვით, უფალო,
არა ვართ, არა ვართ, არა ვართ
ის ერი, შენი შვილის სისხლში
ვისაც ხელი გაუსვრია,
მაგრამ ვართ ერი, ვისაც ღვთისმშობლის
გულში გატარებული ხანჯალი
საკუთარ გულში რომ გაგვიტარებია!
ამენ და ისევ ვიტყვით, უფალო,
არა ვართ ის ერი,
მაცხოვრის მკერდზე თავის მიდება რომ
ღირსებია!
მაგრამ ვართ ერი, მაცხოვრის ნატურფალი
მიწა რომ გვიკოცნია!
ამენ და ისევ ვიტყვით, უფალო,
არა ვართ ის ერი,
რომელსაც საყვარელი ძე შენი განურიდებია!
ჩვენ ვართ ერი, ისრაელთა დაწუნებულ
შენი ჯვარცმული შვილი
საკუთარ ღმერთად რომ გვიგულვია.
ავუკეპივართ — არ დაგვითმია,
რამეთუ ესრე გაგიჩენივართ
რაინდებად და სიყვარულად,
რისთვისაც წილვხლომილვართ ღვთისმშობელს.

4. ავაი, ჩვენს თავს, უფალო,
დავცემულვართ სადღეისოდ,
განგვირიდებია რჯულმოსილება!
ავაი, ჩვენს თავს, უფალო,
ცოდვათა ჩვენთა მრავლობით
დავრჩომილვართ ფრთეთა შენთა მიღმა!

5. ავაი, ჩვენს თავს, უფალო,
ვთესავთ და სხვა ჭამს,
ვცოცხლობთ და ვერ ვმრავლდებით,
საუკუნის სიბილწემ დასცა
სიწმინდე ჩვენი, ან რაი სასიქადულო?!
მტერთა სათარეშოდ ვქცეულვართ,
გოდებენ ღებები, ვიწრიტებით სისხლისაგან,
არსით საშველი!

6. ან რაი სასიქადულო?!
იძერის მიწა, შთაინთქმება სოფლები,
თაეზე გვემსხვრევა ღვთის მადიდებელი ტაძრები,
არსით საშველი!
ვლოცულობთ და არ ისმენ!
გვედრებთ და არ ისმენ!
ცოდვებითა ჩვენითა განგარისხეთ შენ.
მოგვიტყვე, უფალო!
არა ჩვენისა სიმართლისა გამო,
არამედ ჩვენი კაცთმოფვარე ბუნებისა გამო,
არა ჩვენისა ღვაწლისა გამო,
არამედ ღვთისმშობლის წილხედომილ ქვეყნის
შვილობისა გამო,
დაგვიცევ და გვამღვიძარე
რათა კვლავად რეკდეს იბერთნაშიერთა
სამრეკლოდან შენი სახელის სადიდებელი,
რათა კვლავად ცემდეს იბერთა მკერდში
წმიდა გიორგის გული
სხვათა დაცემულთა საფხიზლოდ!
მაცხოვარო! აროდეს წაქცეულა შენი ტაძარო
სასიკვდილოდ! აროდეს ამოსვრილა ლაფში შენი
ღიღების დროშა!

7. წაქცეულა რომი პირველი?
დაუფლებია რომი მეორე!
წაქცეულა რომი მეორე?
დაუფლებია რომი მესამე!
აწ გაოთხდა, ვითარცა სახარება;
შენი ღიღების დროშა
საიმედო ხელშია!
უფალო, მოგემადლე კურთხევა
შენი იბერიელებს,
რათა მადლა
გვეპყრას დროშა ქრისტეანული.
და ჰა, მუხლს ვიყრით შენს წინაშე,
უფალო! წყალობით შენით დავიბრუნებთ
რჯულმოსილებას.
წყალობით შენით დავიცავთ შენს
სიწმინდეს!
დაგვსდე ბეჭედი სულისა საზეცაო,
გვიწინამძღვრე ქრისტეს
რაინდებს
შენდა სადიდებლად;
ამენ!

იოანე-იონა



თ ა ვ ი ო ც ი ა მ ე ჯ ი ა

ღვთისმშობლის საკვიყნო მოწოდება!

1. პატივი მიაგეთ პირველ რომს — პეტრე მოციქულის მიერ დაფუძნებულ მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიას, მის პატიოსან და მართალ წინამძღვრებს, მათეს — პირველი მახარებლის სახარების სახელით!


2. პატივი მიაგეთ მეორე სულიერ რომს — ბიზანტიას (საბერძნეთს) მსოფლიოს გაქრისტიანების ღვაწლისათვის, მის პატიოსან და მართალ წინამძღვრებს, მარკონის — მეორე მახარებლის სახარების სახელით!

3. პატივი მიაგეთ მესამე სულიერ რომს — რუსეთს აპოკალიფსისის მეექვსე ბეჭდის მოხსნამდე გაწარმართებულ დედამიწაზე ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის შენარჩუნებისათვის, მის პატიოსან და მართალ წინამძღვრებს, ლუკას — მესამე მახარებლის სახარების სახელით.

4. პატივი მიაგეთ მეოთხე სულიერ რომს — იბერიას (საქართველოს), ჩემს წილხვდომილ ქვეყანას, აწ გაწარმართებული, რჯულგანდგომილი მსოფლიოს მოსაქცევად — მეორედ მოსვლის სარწმუნებლად, იოანეს — მეოთხე მახარებლის სახარების სახელით!

5. „გააღეთ ჭიშკრები, შემოვიდეს ხალხი მართალი, შემნახველი ჭეშმარიტებისა! (ეს., 26, 2).

მოდიან თქვენდა სასიკეთოდ, თქვენც ისმინეთ, ამენ!




გაცხადდა მეორედ მოსვლის
საქვეყნო სამზადისი; და თუკი
იგი ვისმეს სმენია სადღეისოდ,
შენ ისმინე უწინარეს,
საქართველოვ!



თ ა ვ ი ო ც ლ ა მ ე რ ვ ე

**შეგონებანი, ქალაგებანი,
ვეღრებანი**



შეგონებანი

შეგონება პირველი

„არ არსებობს არავითარი შემდეგი ცხოვრება,
აქვე მთავრდება ყოველივე, და მეც ამ სიცოცხლეს
მოემოვ“.

ჟრმა.

„შენ სუნთქავ და გეხმის, და არა იგი საიდან
მოდის და საითკენ მიდის“.

ჟრისტა.

რაიცა მიწა ბალახისთვის,
იგივე სული ხორცისთვის;
სული არს ყოველთა გვამთა სიცოცხლე,
რამეთუ უსულო ყოველი
იფოს მძორი და იფოს ლუში.
წამიერ არს საწუთრო და
საწუთრო იგი არს ბოძებულ
საღვაწოდ სულისად.
ეურად იღუ, კეთილო!
ვითარცა კვერცხსა შიგან წიწილამ
ცხოვრება ნაჭუჭიდან გამოსვლის შემდეგ იწვოს,
და ვითარცა ხნულში ჩაგდებულმა მარცვალმან
სიკვდილის შემდეგ იწვოს აღმოცენება,
ვერეცა სიკვდილი ძისა აღამისა;
რამეთუ ხორცის მოკვდინების შემდეგ
გაშიშვლდეს სული სამარადჟამო შესამოსად.
გარნა ვინ შეიძლო დაეურება კაცისა მძინარისა:
ვითარ ძილში მყოფი დასტურ სიზმარში არს,
და რომ ცხოვრება ჭეშმარიტი გაღვიძების შემდეგ იწვეება?
ო, სულო!
ყოველთა გვამთა სიცოცხლეო!
რა სიმდიდრისთვის გაიმეტები ცეცხლისად?!
ან რა პატივის,
ან რა ნეტარების საფასურად დაიგებდი
ცეცხლის აღსა ლოვინად?!
ეჰა, გონიერო!

განაცხორებაც ამ სულის გადასარჩენადარ გებომა?
ვითარ შეიძლოს ფრინველმა ფრენა,
თუკი არ შემოჰკრა ფრთასა ფრთა?
გონიერი არა დაუფრთხეს სიძნელესა
და მისცა მან ზორცი თვისი სიკვდილად
სულის სიცოცხლისათვის.
ვინაც შთანთქა სიკვდილისთვის სიცოცხლე თვისი,
მან დაღრღნა თავი თვისი,
ვითარცა მარცვალი ჭიამან მარცვლისამან.

ო, სულო!

ოდეს იელვოს მზემ მარადისობისამ,
მუნვე აღაღანდეს ყანა პურისა;
და ახავაი!..
მაშინ აზანზარდეს მიწა,
გლოვად იქცეს მუნვე ჩარჩენილი ვოველი მარცვალი;
მშფოთვარებდეს და იხოკვიდეს პირსა მაშინ უგუნური,
რამეთუ მოაკლდეს ზილვას მზისა
და მადლსა მისსა ვოვლისასა,
ვურად იღე, კეთილო!

შეგონება მეორე

„არა არს ღმერთი, თქვა გულსა
შიგან უგუნურმა“.

დაჰითი.

არა განურისხლე უღმერთოსა,
უკეთუ ვერა შეიმეცნოს უფალი:
როდისღა უსჯიათ იმისთვის,
რამეთუ ვერუმ ვერა ისმინა და
ბრმამ ვერა იხილა?
ვითარცა გაჩნდების ქვეყნად ვერუ
თავისივე ბუნების წყალობით,
და ვითარცა გაჩნდების ქვეყნად ბრმა
თვისივე ბუნების წყალობით,
ასევე იბადების უღმერთო თავისივე ბუნების წიაღიდან;
ამაოდ ეძალვი, ხედვიდეს ბრმა,

ვითარცა თვალნილული, და ისმენდეს ყრუ,
ვითარცა წურსალი.

გებრალვიდეს და არა საჯო იგი,
რამეთუ თავად იყოს სასჯელი სულისა თვისისა.

ლოცულობდე კი ლოცვითა მხურვალითა
და მით უხმობდე მკურნალსა თავადსა,
ძალითა რომლისაითა მეტყველებდეს ქვა
და ყურს იბამდეს ზღვა.

არა განდგომითა უგულოითა,
არამედ ზრუნვითა შენითა უცხრომელითა
შეიძელ ხსნა
სულისა მოყვასისა შენისა,
ყურად ილე, კეთილო!

შეგონება მისამე

„მოდით, ყმანო, გასწავლოთ შიში უფლისა“.
დაპითი.

„რათა შიში, თუკი მიყვარს?!“

ყრმა.

სიყვარული არს სათნოება უმეტესი და
კოშკი მაღალი.

ოდეს არა დაუდგეს შიში მცველადა,
შეეპარვოს ცდუნება იგი —
შიკრიკი სატანისა და
მოაღიავოს კარიბჭე.

რამეთუ მოღიავედეს ბჭეკარი,
ისხლიტოს თავი ბოროტმა კოშკსა შიგან
და დასცეს იგი და მით დაეპატრონოს მას;

და რაიცა ბოროტმა საკუთრად იქცინოს,
ჰქმნას იგი ღმერთმან კერძ ცეცხლისა და
სამარადჟამო გუჭენისა.

შიში!

შიში არს მცველი საიმედო ერთადერთი
კოშკისა მაღლისა.

შიში არა კაცთა!..

რამეთუ რისხვა კაცისა უმძაფრესი —
მკვლელია ხორცისა მხოლოისა
და ვერას შემძლე უმეტესისა.

შიში იგი —

სულისა მკვლელისა,
რომელსა ხელმწიფება თავად
ხელეწიფების.

და სახელი მისი — ღმერთი!

რიდი ღვთისა — საიმედო მცველი სულისა,
მხოლოითა შიშითა მისითა შესრულდების

უნაკლოდ

წესი ფოველი და კანონი ფოველი;

იგი არს ფარი საიმედო სიფვარულისა,
და არს უტყუარი.

შეგონება მეოთხე

„არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო...
ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსა.“

ღმერთი.

„ცხოვრება წამიერია და, როგორც მინდა,
ისე ვიცხოვრებ.“

ჰრმა.

იღვანედეს და მშფოთვარებდეს გონიერი
და მით განირიდებდეს სულის საზიანოსა
ფოველსა.

იჯერებდეს გულსა უგუნური,
რამეთუ იტყოდეს:

ვერცაღა ბრძენი გაექცეს სიკვდილსა,
ვილხინო ვიდრეღა კვლიდე.

სიკვდილიცაა და სიკვდილიც!

არს სიკვდილი ჭეშმარიტი,

რომელიც ბადებს სამარადჟამო სიცოცხლეს;

და არს სიკვდილი ცრუ,
რომლის ნაფოფი ბადებს
მეორე სიკვდილს;

იგი არს ფოველთა სიმწარეთა სიმწარე,
სამარადჟამო ცეცხლი.
რამეთუ უკვდავება არს საზრუნავი სიცოცხლისა
განირიდე,
განირიდე, აზრი უგუნური,
და მით იხსენ სული,
სული შენი, კეთილო!

შეგონება მისუთი

„არა ვისიამტკბილო ქვეყნის მშვენიერებითა?“
ჟრმა.
„ქვა ქვაზე არ დარჩება ამ ნაგებობიდან“.
ჟრისტი.

არ დაგატყვევოს ცრუ სილამაზემ საწუთროისამ და
არ შეგაყოვნოს გზაზედა.
ისწრაფე, ვიდრეღა ვლიდეს შენთანა შზე,
თორემ დახდების იგი და შუა სავალზე
დაგიწვევის მრუმე.
და ავაი მაშინ.
ვერას გრეგებია ნათელი!
ჟურად იდე, კეთილო:
ოდეს გმტრობდეს თვალი ტანისა შენისა,
დაჰბეჭდე იგი
და აღაჰყარ სახედველნი გონებისანი —
ბრძენთა სიბრძნე
და
უგუნურთა უმეცრება;
ირგე ნათელი და არა შეალიო სუნთქვა
ლუკმას ცეცხლისასა,
მშფოთვარებლე და ისწრაფვიდე
განსვლად გზათა სავალთა,
რათა დღე იგი —
ფოველთა სიცრუეთა მღვიძარება,
იფოს მოკლე, ვითარცა ცერი;
იხსენ სული შენი, კეთილო.

შეგონება მეექვსე

„რამეთუ გცენ ყვრიმალსა მარცხენასა,
მარჯვენა მიუშვირე“.

ძრისტე.

„ისე ვცე სამაგიერო მცემელსა ჩემსა, როლ...“
ჰრმა.

ხელმწიფობისას ძისა ადამისას,
ვინაც ინდომა განჩინება ჭეშმარიტი,
იგი შეეწირა უმეცრებას,
რამეთუ არა ისმინა უფლისა.

ვითარცა წყალწაღებულსა
შემოჰკრას წყალწაღებულმა
და იგი ვერა იცლიდეს საპასუხოდ, —
ასევე გონიერი.

მხოლოდ უგუნური შფოთავდეს
ჟამსა ამგვარსა.
რომელმაც რისხვას არა მიაგებოს მორჩილება,
იგი იყოს შეამბოხე, ვითარცა სატანა.

და ვინაც ასწავლიდეს ყვრიმალისა ცემისა
საპასუხოდ ცემასა,

იგი ჰგებდეს ვითარცა სატანა.
სიამაყე ბაღებს წყრომას გულისასა,
გულისწყრომა — ცოდვას,

ვინაც დაიცვას სიამაყე და
არა სული თვისი,
მან დაჰკარგოს უკანასკნელი.

მონა ღვთისა იყოს მორჩილი;
მორჩილი არა სიცრუისა
და არა ბოროტებისა,
არამედ ამტანი სიდუხჭირისა ყოვლისა,
რამეთუ სიმართლე

იყოს ღვაწლი ჭეშმარიტი,
რაიცა ბაღებდეს
სამარადჟამო სიცოცხლესა.

შეგონება მეზვილე

„მე გაეაშენებ ქვეყნურებას და უფრო ლამაზს გაეხდი
ხვალინდელ ღღეს“.

ყრმა.

„ხვალინდელი დღისათვის ხვალინდელმა ღღემ
იზრუნოს“.

ქრისტე.

ო, კეთილო!

გარნა შენის ხელიდან გამოსული სამკაულები
ამშვენებენ ქვეყანას...

არა გაიცვითო ჯაფითა ამაოითა.

მხოლოდ სული კეთილი არს

აღმატებულ ვოველთა ფასეულთა

და საზრუნველ ჭეშმარიტი;

რამეთუ ძვირფასიც

მიიქცეს ფერფლად, ვითარცა საწუთრო.

ღვანული ვოველი არა მიმართული

გადასარჩენად ხულისა თვისისა, —

ზრუნვა უმეცარი.

ისმინე ბრძენთა:

ჭურჭელმა არა იფიქროს საფიქრალი

მეჭურჭლისა,

რამეთუ მეჭურჭლე იფოს უფალი იგი და,

თავადი იგი და,

შემქმნელი ჭურჭელთა ვოველთა.

ვურად ილე, კეთილო!

შეგონება მერვა

„არა შემბოჭოს ბორკილმან ცოლქმრობისამან,
მინდა ვიფო თავისუფალ ვითარცა ფრინველი, რაიცა
ვიწადილო, შევისრულო“.

ბულისთქმა უბუნურიისა.

ქმარი — სადავე ცოლისა,

მიშვებული ცოლი —

სადავეასნილი ბედაური;

სადავეახსნილი — მორბენალი თვისის გემოზე;
საითკენაც თვალი მისი,
იქითკენ გული მისი.

მხედარო, იფავ მხნე
და

იყოლიე მორჩილი „ბედაური“ შენი.

ნურცა მრისხანე იქნები უმიზეზოდ.

უხასიათობა არა შეიქმნეს მიზეზი გაყრისა,

არცა უთვალტანადობა — მიზეზი გაყრისა;

ხოლო ქალის უღმერთობა არს საფიქრალი
და საშიშ,

რამეთუ უღმერთობითა იშვას გულმიდრეკილება

ყოველთა უკანონო საქციელთა,

რაცი ბადებდეს უზნეობასა;

ხოლო მიზეზითა უზნეოთა განირიღების ცოლი,

რამეთუ მეძავი იყოს მშობელი უწმინდური ნაყოფისა;

უწმინდური ნაყოფი კი — სიმწარე კაცობრიობისა.

ამგვარად, მეძავი იგი იყოს მიზეზი

ქვეყნის დაცემისა და

კაცთა მოდგმის გადაშენებისა —

უღმერთობის საბაბი.

ქმარი და ცოლი —

ფესვი და ტანი.

ერთობა და სიმტკიცე მათი, —

დღეთა სიმრავლე ნაყოფისა მათისა.

ცოლო, უარყოფილო ქმრისა შენისა,

დამღუპველო შვილისა შენისა;

რამეთუ გიფიქრია:

სხვაი ვნახო ვინმე

გამხარებელი ვვავილისა ჩემისა, —

სიცრუითა შეგემოსავს იმედოვნება,

გარნა ვის უნახავს სხვათა ხის ფესვითა შენისა
ვვავილისა ვვავილობა.

ქმარი განირიღე?

ფესვი განიხმე, უგუნურო, და

აჲაი, რომ ამაოდ გინდომია

დგომა ფეხზედა და ვვავილთა

შენთა დამკვიდრება.
 ღალატი ცოლქმრული —
 ტანთა და ფესვთა ამბოხება,
 ტანთა და ფესვთა ამბოხება —
 რისხვა ვოველთა ვვავილთა
 და
 საუკუნო დაცემა ხეთა ვოველთა.
 შენ კი, უმეცარო!
 ვითარ გინდობია უფესვოდ სიცოცხლე,
 და ვვავილოვანება ვვავილისა შენისა.
 დაეფუძნე და საიმედოდ დაემყარე
 ფესუსა შენსა,
 რათა შეიძინო დღეთა სიმრავლე
 ტანისა შენისა და ნაყოფისა შენისა.
 დაინდე ფესვი შენი — სიცოცხლე ტანისა შენისა,
 რათა არა დაგიმოკლდეს დღე გრძელი და
 არა იქნე მკებნარ ზორცისა შენისა.
 ვინაც ქმარი განაგდოს,
 ვითარც წყალწაღებულმა, მარჯვენა
 განირიდოს.
 ვინაც ქმარი დაინდოს, ჰპოვოს ნავსაყუდარი
 ნაშიერისა თვისისა და
 სულისა თვისისა.

შეგონება მშცხრე

„რაი არს კანონი ცოლქმრული?“
 შრმა.

დაცუნა იქნეს კდემა ცოლქმრული ცხოვრებისა
 და არა შეიცვალოს დადგენილი ბუნება არაბუნებად.
 იქნეს პატიოსანი სარეცელი ცოლქმრული.
 ქრისტეანული ერთობა ცოლისა და ქმრისა —
 სიჯანსაღე ნაყოფისა მათისა, და
 სიმტკიცე რწმენისა მათისა, და
 დამკვიდრება სიფარულისა;

რაიცა იფოს უმთავრესი
მცნება ღვთაებრივი,
რითაც გადარჩებიან
ფოველნი ძენი ზორციელნი.

შეგონება მებათა

„რაი არს ცხოვრება ესე?“
ჟრმა.

ეს ცხოვრება ზღვაა;
გაჩენილი ადამიანი კი
ამ ზღვაში ჩავარდნილი კაცი;
ხეპრეა ის, ვინც ცურვის წინ
სიმღერის სწავლას იწყებს,
და ორჯერ ხეპრე,
ვინც ზედმეტ ტვირთს აიკიდებს.
ისეთივე აუცილებელია ცხოვრებაში
ფველაფრის ცოდნა
და
ფველაფრის ქონა,
როგორც წყალწაღებულისთვის
ცურვის გარდა სხვა რამ.
მიზნისთვის კი ერთია საჭირო,
ცურვა!
ცურვა საიმედო!
ბრძენთა ბრძენია ამ გზით მავალი.
თუკი გვერა, რომ ცურვა
მართლაცდა იცი საიმედო,
იყავ მზიარული,
მაგრამ განსოვლეს!
ზღვამ ღელვა იცის.
უმჯობესია მთელი გულისყური
თავის გადარჩენისაკენ გქონდეს,
ვიდრე გადარჩენამდე განცხრომას მიეცე.
ფურად იღე, კეთილო!

შეგონება მეთერთმეტე

„ეთარ გაიზრდების შვილი ღირსეული?“
გვოგაელი.

შვილი — გაგრძელება სიცოცხლისა,

შვილი — იმედი მშობლისა,

შვილი — დიდება უფლისა,

შვილი — ქალიშვილი შენი და,

შვილი — ვაჟიშვილი შენი და

ხორცი შენი და სისხლი შენი.

ირწმუნე და გახსოვდეს:

მამა ქალიშვილისა ნუ უჩვენებს

სახესა მღიძარესა

ქალიშვილსა თვისსა.

ნურც მამა ვაჟისა იქნების აბჯარუსხმელი

და უშფოთველი;

ამაოდ გიფიქრია სიტყვითა მხოლოითა

გაწვრთნა შვილისა,

კვიცი მოფერებით არ გაიხედნების;

ნებაშიშვებულსა როდი უდევნია

გზა მრუდე და გზა სწორი.

დაჰკარ როზგი შვილსა შენსა,

თუკი ძვირი გიღირს სიცოცხლე მისი.

ტოტი ნედლი ადვილად დაიგრინების,

ხედქცეულსა ვერა სძლიო.

როზგი აუწვავს ზურგს და მით განურიდებს

ფეხებს ნაკვერცხალსა,

რათა არა შთასცეს სული და ხორცი ერთობ

სამარადჟამო ცეცხლსა უგუნურმა.

თავიდანვე ნუ გაუხდები მოყვარე შვილსა,

თორემ გექცეს იგი მტრად,

დაჰკარ ძლიერებისას, რათა ორწილ არა

დაგკრას

ჟამსა უძლურებისასა ქედმოუხრელმა.

გაწვრთნილი შვილი — დღეთა სიმრავლე მშობლისა

და ღირსეული მონა უფლისა.

ჰქმენ იგი ბრძენთა ნათქვამი,
რათა არა იქმნას შვილი
დამოკლება სიცოცხლისა,
უიმედობა მშობლისა და
ძაგება უფლისა.
შვილთა ამგვართა მრავლობა —
დაქცევა ქვეყნისა
და
წვევლა გაჩენისა თვისისა.

ზებონება მეთორმეტა

„რაიცა კაცმან უძღურმან ვერა შესძლოს,
იგი შეიძლოს გამჩენმა მისმან იოლად“.
წერილიდან.

წინაპარი არს ფესვი
და
მშობელი არს ტანი
და
შვილი არს ნაყოფი.
აჲაი, ფესვო! უხეირო ალაგს დამკვიდრებულო,
რამეთუ აცდუნებდე ტანსა სასიცოცხლოდ აყრილსა.
აჲაი, ტანო!
ნაადრევ დაგშრეტია ძარღვები და,
ამაოდ გაგინარია შემოსვა ვვავილითა,
აჲაი, აჲაი, ვვავილო!
სიკვდილი შენი —
ფესვი შენი — წინაპარი შენი;
რამეთუ ღორღმა და ქვის ნამუსრევმა
არა გასცეს საზრდო ფესუსა და
განხმეს მაშინ ტანი მისი და
დასცვივდეს ვვავილი მისი;
სიკვდილი — ალაგი იგი და
მიწად მიჩნეული ქვა იგი!
ბრმა,
ბრმა და უგონო ყოველი დაფუძნებულ

მასსა ზედა სამკვიდროდ.
ხსნა არს ალაგი სხვაი,
ალაგი ჭეშმარიტი,
ალაგი სასიცოცხლო.

მაგრამ ვაი!

ვითარ შეიძლოს ზემან უძერელმან
ვოფა ალაგსა საწადელსა?!
არა მოიკლას საჯავრებელითა გული თვისი
უძლურობისა მისისა გამო;

ზემან გონიერმან არა ევედროს ზეთა
ვედრებითა ამაოითა,
რადგან არა შეიძლოს უძერელმან
დაძერა უძერელისა.

უგუნურმა ზემ მისცა თავი მთველმარებასა
და განემზადა განხმობად;
ბოლო მისი — სიკვდილი მისი.

გონიერმა ზემ მოჰხარა ქელი თვისი,
თავ ფანასა სცა ვედრებად,
რამეთუ შეიმეცნა მან:

ის, რაც ვერ შეიძლოს
ქვეფანასა ზედა
ზემან ვოველმან,

იოლად შეიძლოს დამრგველმან მისმან.
რამეთუ მისდა ნებად არს დარგვად ვოველთა

და
ამოძირკვად ვოველთა,
განხმობად ვოველთა
და

გადარგვად ვოველთა.

ვეავილო, იმწუნარე ტანთა უძლურება შენი,
ტანო, იმწუნარე ფესვთა სიდამძლე შენი,
ფესვო, იმწუნარე თავი შენი და,
ტანი შენი და,

ცოდვილიანი ნაყოფი შენი.

იქნების შეგნიშნოს მებაღემ მგლოვთარე
ცოდვებისა გამო შენისა.
შეგნიშნოს და ინებოს იქნების

გადარგვად ალავსა სანატრელსა.
მაშინ ეცეს ფესვებსა შენსა სასიცოცხლო წყარო
იგი და,
განედღღეს ტანი იგი,
და ტოტი იგი.
იფეთქოს ვვავიღმა შენმა და იზეიმოს
ხეთა შორის სიცოცხლე შენი და
დღეთა სიმრავლე შენი.
ოი, სიხარულო!
მოუვასო ჩემო და,
ძმაო ჩემო და
ძეო ჩემო,
მომილოცნია მაშინ დაბადება, ამენ!

შეგონება მცამეტი

„თუკი ვარ დიდი, ამაყი, ძლიერი, განა
დასაწუნია?“

ჰრმა.

„შენი სიმდაბლე არს შენი სიმაღლე“.

ძრისტა.

მშფოთვარესა არა შერჩეს ნაყოფი,
დადინჯდი, კეთილო.
ნუ დაემგვანები ვაჭარსა
ქვეყნის შემსყიდველსა
და სანაცვლოდ სულის დამკარგველსა.
გიყვარდეს მოძმე შენი და სიამაყით ნულარ
განდიდლები წინაშე მისსა;
საქმითა კეთილითა
იჩინე თავი შენი.
მრისხანემან ვერა დაიჩემოს კეთილყოფა,
რამეთუ არავის უნახავს სათავიდან
ერთიდან
გამომდინარე წყალი ტკბილი და
წყალი მლაშე.
ქვეყნის დამონება გინდომია,

ტყვეო, თავისა შენისაჲ.

უწინარეს განმეფდი ხორცსა შენსა ზედა
და შემდეგ იწადინე ბატონობა ქვეყნისა.

მონავ, ცრუო!

სარკეში ძალიძალ მომზირალო
და ერთხელაც არა მოწადინევ

სრულყოფისა;

როცა ბრძენი ნანგრევებში გასასვლელს ეძებს,

უაზრო კი ოქროს ძიებაშია,

დაჰკარ ქუსლი შენი და განიმაგრე

მუხლი შენი,

ტალახში მოსიარულეს ქუჩის ბოლოს შეუქებენ

სიმარჯვეს;

ამ გზით მავალია

ბრძენი და ხეპრე,

მდიდარი და მდაბიო.

გიხაროდეს, გმირო, განსაცდელი ჭედავს

შენს დიდებას!

იმწუნარე შენ, ცოდვის შვილო,

გემოთმოყვარებამ გაქცია მონად სტომაქისად;

განცხრომას მიცემულხარ,

განცხრომას,

წვალწადებულო!

რამეთუ ცურვის წინ

სიმღერის სწავლა გიწადინია.

ქორს ქორობა არ მოუშლია და

ღორს — ღორობა;

ჩიტობა დაიმშვენე,

ჩიტად დაბადებულო.

ირწმუნე,

მხოლოდ ჭეშმარიტებით გადაეგლები

ცრუ სოფლის მშფოთვარებას,

ემქე სიბრძნეს და მით

განდევნე სიცრუე.

იგავ ნათლის მეგობარი და

სიბნელე გაგექცევა შენ.

შეგონება მითოტხემატა

„წარვიდე, შევიცნო მომავალი ჩემი და
შევიძინო ჯადო აღსრულებად საწაღე-
ლისა ჩემისად“.

თქვა

უბუნურმა.

„მკითხავებო, ჯადოსნებო და სულელებთან
მოსაუბრენო, გელოდებათ სასიკვდილო
რისხვად ჩემი“.

ღმერთი.

განერიდე ვოველთა მკითხავთა,

რათა არა ნებთა უფლისათა,

არამედ მანქანებთა ეშმაკისათა

შეიცნოს მან ცხოვრება შენი.

მცირე სიძარტლითა განგაცვიფროს და

ზღვა სიცრუითა ჩაგაგდოს უძძიმეს ცოდვაში.

მით განგარიდოს უფალსა და

თაფვანგაცემინოს კერპზედა,

რადცა იმსახურებდეს ღვთის რისხვასა.

განერიდე ჯადოსანთა ვოველთა,

იგი არს ხე ცდუნებისა;

ნაყოფი მისი — მახარობელი ხორცისა

და საუკუნო სატანჯველი სულისა.

სანამ კიდევ არს ღრო,

ბოროტმა ჰყოს ბოროტი,

კეთილმა — კეთილი.

როცა დამწიფდეს ვანა იგი პურისა,

მოაშოროს უფალმან ვოველი ღვარძლი

და ანწლი,

შთაფაროს თონესა მსურვალესა

და იქმნეს მერმედ ღრჭენა კბილთა

უდროო.

და იგოს იგი ვედრება ამაო.

მაძებარ ჯადოსანთა და მაძებარ მკითხავთა,

მაძებარ ვულფისა თვისისა,

ვურად ილე, კეთილო!

შეგონება ამისუთმება

„რამეთუ გამაჩნდეს სიმართლე, გადავცე ხატზე მტერი ჩემი და მით ვითხოვო დასჯა მისი“.

თქვა უგუნურმა.

„...მომიტყვენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუუტყვებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“.

ძრისტა.

რა მიენიჭა გაჩენილსა უფლება

მართვად თავის თვისისა,

ჰყოს მან ნებისა მისაებრ.

არა ჩაერიოს უფალი საქმესა მისსა,

რამეთუ თავად უნდა შეიძლოს კაცმან

მოხვეჭა უკვდავებისა,

ან საუკუნო წარსაწყმედელისა.

ვით დასჭირდეს უზენაესსა —

ვოვლის სიცოცხლის თავსა და ბოლოსა,

ვოვლის ჭეშმარიტების დამდგენელსა,

ვოვლის დაფარულის მხილველსა და

ვოვლის სიცოცხლის მმართველსა —

ჩარევად კაცისა — შესხენებად დასჯად დასასჯელისა!

გახსოვდეს,

თუმცა გაქვს სიმართლე და

ითხოვ მართლმსაჯულებას,

გისმენს უფალი;

რამეთუ არს იგი მართლმსაჯული.

მაგრამ ჰე, ქრისტეანევ!

ვითარცა ძნელად ინებონ

ხასიკვდილოდ დასჯა შეილისა თვისისა,

ეგრეცა უფალმან ძნელად გაიშეტოს

თავისი გაჩენილი.

იმღვიძარე, იმღვიძარე,

არა გაცდუნოს ეშმაკმა,

და არა შეიქმნას შენზედა არამად

ქრისტეს მიერ დანთხეული სისხლი!

განსოვდეს!

ისევე მოგეტევოს ცოდვანი შენნი,
ვითარცა მიუტევო სხვათა მცოდვარეთა.
მოძულე კაცთა გვარისა —

მოძულე თავისა თვისისა.

არა სულმსწრაფობდე, ქრისტეანევ,
არა გახდე მკბენარ ხორცისა შენისა
და წარმწემედელ სულისა შენისა.
განსოვდეს!

განსოვდეს!

ქრისტეანის საბრძოლო იარაღი მოთმინებაა!
იმქმენ კაცთმოყვარე და გადარჩები.

შეგონება მეთექვსმეტე

„მაშ, რაი გქნა, თუკი უგუნურებითა ჩემითა
შეედგომივარ ცოდვასა ამგვარსა?“

ცოდვიანი.

რამეთუ გყავდეს ვინმე ძე — ხორციელი,
გადაცემულ ნატზედა,
ისწრაფე, დაიბრუნო სიტყვა შენი
და ითხოვე მიტყვება
ცრემლითა მღუღართა,
რათა მოწვალე გექმნეს ღმერთი და
მოასწრო გამოსყიდვა ცოდვისა უმძიმესისა,
არა დაჰკარგო წამი ძვირფასი,
რამეთუ არა იცოდე,
როდის დაგიდევს ჟამი

სულის განტყვებისა;

წამი გონიერი — გადამრჩენელ სულისა შენისა,
წამი უგუნური — დამღუპველ სულისა შენისა.
იმღვიძარე, ქრისტეანევ,
ვიდრემდე ვლიდეს
შენგანვე წყეული მოყვასი შენთანა

შეგონება მიჩვილები

სამნი მიზიზნი ყრმათა მოწყვებისანი

მწუსარებდნენ ნაშიერნი:

რამეთუ არა ჰქონდათ მშობელთა მათთა

გვირგვინი პატიოსანი

ცოლქმრობისა;

რის გამოც წარმოჩინდნენ წინაშე უფლისა, ვითარცა მემრუშენი.

ძენი მათნი იწოდონ ნაბიჭვრებად,

ჰოი, სიმძიმელო საქვესკენლო!

განედრიკა ძვალნი მათთა ნაშიერთა,

რამეთუ თესლსა ყოველსა ცრუსა

წაერთვას ნიჭი აღმოცენებისა,

ხოლო რომელმაცა არა მისცეს შვილსა თვისსა

ჭეშმარიტი ნათლობა — ქრისტეს ბეჭედი,

მან განაგდოს უფლისაგან ძე თვისი.

განგდებულსა ყოველსა და უფლის მიერ ხელადებულსა

დაესაკუთროს მალაღად მტერი სიმაღლისა —

ბოროტი სული და

უფოს, რაიცა სურდეს,

რამეთუ არა ესვენოს ფრმასა ზედა თვალი მისი,

ჰოი, უგუნურნო!

მისთვის ავადმყოფობენ და

მისთვის მოწყდებანი ხოლმე ფრმანი უდროოდ,

რამეთუ შეიქმნებიან იგინი ცოდვილთა ნაშიერნი

და უკანონოდ დაბადებულნი,

მხოლოდ ცხოველსა არა მოეკითხების

მარხვის დღე,

კაცთა ნაშიერთათვის კი წმიდად უნდა იქნეს

დაცული სარეცელი ცოლქმრული

სამარხულო ჟამსა ყოველსა;

რაიცა არს დადგენილ კანონად

ყოველთა გონიერთა მიმართ;

რათა ჟამსა გლოვისასა

არა იქნას ჩასახულ პირმშო მისი

და არა ეწოდოს მას გლოვის შვილი —

ბე უკანონობისა,
და არა მოწველს იგი
ყოველსა ამისა გამო უდროოდ.
უგუნურმან მშობელმან იწვოს გმობა ღვთისა
და არა შეიგნოს ცოდვანი თვისნი,
ჰოი, მწუხარებაჲ!

შეგონება მეთვრამეტე

ერთნი ღვაწლითა მრავლითა მოისადაგებენ
განძსა საამქვეყნოსა,
რასაც თან სდეკდეს
თვალი ბოროტჲ;
მეორენი გასცემენ განძსა ამქვეყნიურსა
საიმქვეყნო საგანძურისთვის,
რაზედაც არა მიუწვდეს ხელი მტაცებელსა,
ესერა წყალობითა უხვითა გროვდებოდეს
სიმდიდრე საზეცაო,
და მერმეცა დასჭირდეს
გონიერსა გონი,
რათა არა განძარცვოს ქცევითა უგუნურითა
საგანძური თვისნი,
რამეთუ, ვითარცა ჩრჩილი და ჭია შემუსრავს
სამოსსა ყოველსა მიწიერსა,
ასევე შეიმუსრვის ცათა შინა საგანძური იგი
ამპარტავნებითა კაცისათა.

შეგონება მეცხრამეტე

„იბინე და არა გახლო ხელი!“ —
ეტყოდა მონასა ზარმაცსა ეშმაკი;
რამეთუ არა შეეძინა ღვაწლი მღვიძარესა
სულის სახსნელად თვისისა
და სამკვიდრებლად სამარადჲამო
სასუფეველისა.

რომელმაცა მისცეს თავი თვისი მთვლემარებასა,
იფოს იგი ამჟღავნებდა ნებისა ეშმაკისათა
და მისაგებელიცა ერთნაირი ეზღოს
მბრძანებელსა და მონასაც —
ცეცხლი სამარადჟამო.

შეგონება მეოცე

იქმოდე რა საქმესა
ყოველსა კეთილსა,
არა იმშფოთვარო,
არა დაამძიმო ღვაწლი შენი
მწუხარებითა ამაოითა;
არამედ ჰქმენ, ვითარცა მთესველმან —
შთაფლა რა მიწასა შიგან მარცვალი იგი.
იხარებდა სიხარულითა მრავლითა,
რამეთუ ხედვიდა თესლსა მასსა
აღმოცენებულად და მსხმოიარესა მალაიდ
ნაყოფითა მრავლითა.

შეგონება ოცდამეერთე

მთხოვნელსა წყალობისასა
არა აარიდო თვალი შენი;
დაიჯერე, ვითარმედ
უფალი ღვას წინაშე შენსა.
ჟამსა ამგვარსა არა დააყოვნოს ბრძენმა
გაცემად გასაცემლისა.
უგუნურმა ღვთის გამოწვდილ ხელს
აარიდოს თვალი მისი
და მით განირიდოს საწყალობოდ
ბოქებული ჟამი იგი.
და როცა დადგეს ღღე უმკაცრესი
საშინელი სამსჯავროისა,
არცა უფალმან დაამშვენოს გამოწვდილი ხელი

მონისა უგუნურისა

და მით იქნეს მოკლებულ ყოველსა
სიამესა საუფლოსა უწყალობო.

შეგონება ოცდამეორე

ვაქებდე უფალსა ჟამსა ყოველსა

ნეტარებისასა და მწუნარებისასა,
რამეთუ მწუნარება აღგვიხელდეს თვალებსა
და გვდევნიდეს სივიწროითა ფიცხელითა
ნათელ გზათა საძიებლად.

ორთავ ჟამსა გადიდებდეთ შენ
და არა დასცხრეს წრფელი სიყვარული
შენდამი, უფალო.

ორთავ ტკბილ არს — აღერსი და შოლტი შენი,
რამეთუ მხოლოდ ერთი გინდომიეს შენ:

განურიდო ნაკვერცხალსა ფერხნი ჩვენნი.

უძლურთა ყოველთა თავშესაფარი ხარ შენ,
მწყურვალთა სასუმელი და

ლუკმანატრულთა საზრდელი;
ბრმათა ყოველთა ჩინი თვალისა და
მარად სადიდებელი.

ვითარცა იტყოდინ:

კურთხეულ ხარ, კურთხეულ ხარ,
კურთხეულ ხარ,
სამებაო ჭეშმარიტო, საუკუნოდ, ამენ.

შეგონება ოცდამესამე

არა იკვეხნიდეს კაცი

მკლავის ძალითა თვისითა,
არცა ფეხმარდობითა თვისითა,
არცა მშვენიერებითა ტანისა თვისითა,
სრულყოფა ესეგვარი — არა საშურ,
რამეთუ იქნას იგი შემუსვრილ

ხანითა უნდობელითა
და განქიაქებულ ჟამთა
სრბოლითა მრავლითა.

ვერცა რა ეშმაკმა შეიძლო
თვისის სიბრძნითა ღვთისაგან
გამიჯუნად კაცთა ნაშეერთა,
რაიცა გაიმეტა მისაგებელი,
თავად განიშზადა სასჯელი იგი —

ცეცხლი მხოლოი!
ვითარც ყოფილი მთავარანგელოზი
უდიდესი და უხილავი, აწ ბოროტად წოდებული,
მოძღვარი საამქვეფენო სიბრძნისა
ვერა დაუსხლტეს სიბრძნითა თვისითა
გეჰენიასა;

მით უმეტესად, მოსწავლენი მისი
ადვილადვე იქმნეს შეჰფრობილი.

ვისაც ღმერთმა

არა უწოდოს

ბრძენი,

არა წარმოჩინდეს ბრძენად.

თვითმარქეიები —

მომხვეჭელნი სახელისა ამგვარისა —

გაქიაქდნენ.

იცოდე რა ჭეშმარიტად, რაი იგოს დიადი,

მიეტმასნო მას,

ეძებო სახელი და პატივი მხოლოდ

ღვთის სადიდებელ ღვაწლში,

აი, სიმაღლე კაცისა, სახელოვანება

და ღიღება მისი!

დავიმდაბლენით თავი ჩვენ?

ვიქმნეთ ამაღლებულ

კაცთა შორის და

ანგელოზთა შორის საჩინო,

რამეთუ ღმერთი წინ აღუდგეს ამაგსა

და დაამდაბლოს იგი,

ხოლო თვინიერსა მისცეს

წვალობაი მისი.

შეგონება ოცდამეოთხე

ყოველთა საჭურისთა მიმართ

სამი გვარისა არს საჭურისი:

საჭურისი, რომელიც სხვამ დაასაჭურისოს,

საჭურისი, რომელიც დედის მუცლიდან

საჭურისად დაიბადოს,

და საჭურისი, რომელმაც თავი თვისი დაისაჭურისოს.

თავისა თვისისა დამსაჭურისებულსა

არა ერგოს წყალობა ღვთისა,

ვითარცა ზიანის მიმყენებულსა ღვთის ტაძრისა.

საჭურისსა ამგვარსა არა ერგოს ჩინი სამღვდელო.

იძულებით დასაჭურისებულსა და არა შებიღწულსა,

მიეცეს ჩინი სამღვდელო,

ხოლო სხვაი არს დედის მუცლიდან დაბადებული

საჭურისი იგი.

ბევრი ამგვართაგანი დასცა ბოროტმა,

შთასცა რა გულსა შიგან შიში უვარგისობისა,

მით შეუყენა უგუნური ღედათა წესსა

და იგი განამზადა ვეჭენისად.

ჰე, გონიერო! არა დაგაჯეროს ბოროტმა

უდღეურობა თავისა შენისა;

რამეთუ სამი ჩინი არს ფუტკართა:

ღედათა, მამათა და მუშათა, ანუ უსქესოთა;

ირწმუნე და ისმინე!

მაღალსაპატივოდ უფალმან აირჩიოს უკანასკნელი,

ვითარცა წმიდა;

თაფლიც მისგანვე კაცთათვის და სანთელიც

(მისგანვე) სატთათვის.

ასევე დედის მუცლიდან მოსულმა საჭურისმა

არა მისცეს თავი გოდებასა,

არამედ აღიღოს გამჩენი მისი,

რამეთუ ავარგისოს უფალმა მაღალ პატივისთვის იგი.


ბევრი ბერი წაქცეულა,

ვერა შემბოჭველი ვნებისა თვისისა.

დიდება მას და ვინაც მაღალ ღირსებისათვის მოსული

განმიჯნულ ქნა იმთავითვე
ზორციელი აღტყინებისაგან
და მით შესთავაზა ჩინი საზეცაო, ანგელოზებრივი — ბერობა.
გონიერო!

აღუშხედრდი ბოროტსა და
მოიწონე თავი შენი!
დაიცავ კდუმა შენი და
ადიდე ღმერთი შენი!
იბზუილე, ვითარცა ფუტკარმა მუშამ, და
საზეცაოდ მიმართე ღვაწლი შენი.
მაშინ მოგილოცო გადარჩენა, ამენ.



ქალაგებანი

ქალაგება პირველი

ნუ აძაგებ კაცსა ღვთის გაჩენილსა,
რამეთუ სცოდავს უგუნურებითა თვისითა;
ჰყავ მსგავსად მამისა შენისა,
მმისა შენისა,
ძისა შენისა.

უკეთუ იყოს ქალთაგან —
ჰყავ მსგავსი ღედისა,
ღისა და ასულისა.

იყოს დაცემულ ზნითა თვისითა, —
ნუ უკუაგდებ,

ვითარცა შეუნდო ცოდვიანი
სისხლსა და ხორცსა შენსა,
ასევე შეუნდე და მოუტევე,
რათა შეგიწყალოს უფალმან შენ —
შემწყნარებელი მოყვასისა შენისა
და დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა.
გურად იღე, კეთილო!

ქალაგება მეორე

რამეთუ მოგინდეს დამარცხება მტრისა,
ებრძოლე თავსა შენსა,
განდევნე სულითგან შენისა მანკიერი ყოველი,
შეივსე იგი თვისებითა კეთილითა
და შეუდექ ცხოვრებას ქრისტეს აზრითა;
გონიერებითა მისითა, სიწმინდითა მისითა
და მოთმინებითა მისითა,
რამეთუ მტერსა თვისსა არა მიაგება მან
ძალი და შურისგება,
არცა ვინ ღარჩა მოშურნე მისი
ქვეყანასა ზედა,
დადნა და აღიზოცა პირისაგან მიწისა.

ნუ სჯი თავად შენ,
რამეთუ სჯის მხოლოდ უფალი —
გამჩენი ქვეყნისა და ჭეშმარიტებისა —
მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმიდა.
ისმინე, კეთილო!

ქალბაბა მისამე

ცოდვილო, ილოცე, მოინანიე, გულმღულარედ
ადიდე ქვეყნის გამჩენი უფალი,
ძე უფლისა — წამებული ცოდვილთათვის,
დამდგენელი ცხოვრების ჭეშმარიტებისა,
ბრწყინვალე მზე და ნათელი მარადი,
სიხარული გულთა და საუკუნეთა ნეტარება —
ჩვენი უფალი იესუ,
კურთხეული კურთხეულთა შორის.
ადიდე სულიწმიდა — მომნიჭებელ ძალისა,
გამაძევებელ და დამთრგუნველ ბოროტისა,
განმამტკიცებელ სულისა და
მანათობელ გონებისა,
ადიდე, ადიდე სამება ჭეშმარიტი!
შეიცან ერთარსობა მისი,
და უძლეველობა მისი,
და მარადიულობა მისი.
ადიდე, გულმხურვალედ
ადიდე, კეთილო!

ქალბაბა მერთხე

რამეთუ აზრი მოგეცეს სულის განსყიდვისა ოქროსათვის —
ძეთა შენთა სანაცვლოდ არად აგდო ჯოჯოხეთი,
იფიქრო ვითარმედ:
„უზრუნველობა შევძინე შვილსა ჩემსა“,
განსოვდეს —
შენ დალუპე იგი!

რამეთუ უფალი ერთნაირად სჯის მთელსა და ნაწილს,
რამეთუ შვილი ნაწილია
ჩვენი ხორცისა და,
ნაყოფი ჩვენი და
გამონაყოფი ჩვენი,
ყოველი ნაყოფი — გვარი ჩვენი და
ყოველი გვარი — საგვარეულო ჩვენი და
ყოველი ცდუნებული საგვარეულო —
გეჰენიას ჩასანთქმელი;
ამად ისმინე ღალაღება ჭეშმარიტე:
ნუ ახმოხ ტოტსა ნედლსა,
აპკურე წყარო და ახარე იგი.
რამეთუ განხმეს ტოტი,
დასცვიოდეს ვვავილნი,
ასევე ნაყოფნი თქვენნი.
ყურად იღე, კეთილო!
ხსნა არს მისი წყარო,
წყარო არს პატიოსნება,
პატიოსნება არს ჭეშმარიტება,
ჭეშმარიტება კი — უფლის კანონი.
იხსენ თავი შენი და გვარი შენი!

ქადაგება მისუთი

უფლის კანონი დადგენილ არს ქვეყანაზე:
მეფემ გასწიოს მეფობა,
გლეხკაცმა — გლეხკაცობა,
მუშაკმა — მუშაკობა.
ვითარც თევზს არ მოუნდეს
ხმელეთზე ცოცვა,
მცოცავს — წყალშიგან ვოფნა,
ასევე არა შეშურდეს გლეხკაცს მუშაკისა,
მუშაკს — მეფისა.
რამეთუ უმთავრეს არა არს ის,
რითაც ვინარჩუნებთ სიცოცხლეს,
არამედ რისთვისაც ვინარჩუნებთ;

მიზანი ერთია ყოვლისა გაჩენილისა —
წრთობა ღირსეული სულისა.
არვინ განიკითხების გლეხკაცობითა გლეხკაცისა,
არცა მუშაკობითა მუშაკისა,
არცა მეფობითა მეფისა,
მხოლოდ სულითა წმიდითა,
იგია უზენაესის დიდი საბუთი.
სხვა არა არს რა
ცხოვრების არსი ამქვეყნიური,
გურად ილე, კეთილო!

ქადაგება მემქმსე

აკეთე სიკეთე, აკეთე სიკეთე,
მხოლოდ სიკეთე!
რაშეთუ დაგიდგეს ჟამი ჭირისა
და იფოს იგი უმწარეს
შენი სულის განტევებისა,
დაჰპარდე მუხლებზე და თავსა სცემდე მიწასა ზედა.
ცრემლითა მღულარითა ითხოვდე საშველს;
უფალი მაშინ გადაშლის
შენი ცხოვრების წიგნსა განსაკითხველად
და ავაი მაშინ, ცოდვილო,
თუ ერთი სიკეთეც არ გიწერია გაფრენილ
დღეთა მონაგარი!
ამრავლე სიკეთე და მით შეივსე ცხოვრება;
რაშეთუ სიუხვე სიკეთეთა წამალა ჭირთა,
მალამო — წვლულთა,
და სიმწინდე — სულთა.
გაგითენდა დღე უფლის ნებითა?
იბრძოლე და მოასწარ სიკეთის ქმნა,
იგია წყარო უდაბნოში
და სინათლე უკუნში.
აკეთე სიკეთე,
ამრავლე სიკეთე,
მხოლოდ სიკეთე!

ნება მაგისა მოვეცა დღეს და
არ გექნების ხვალ.

ისწრაფე,

ისწრაფე,

ისწრაფე,

კეთილო!

ქალაგება მუხვიღე

საქმე ყოველი მცირე

მიტანილი ჭეშმარიტების საკურთხეველზე

არს დიდი და უტყვევლი.

ყოველი შეიძლებს იმოღენს,

რაოღენიც დაეტევის მხარზე.

საკურთხეველზე იწირების ფული და,

საკურთხეველზე იწირების გული და,

საკურთხეველზე იწირების სული.

ედირსება ვინ, შეეწიროს უფლის სახელს სადიდებლად;

ვისა რაცხს უფალი ვსრე კურთხეულად —

თუ არა კურთხეულს კურთხეულთა შორის,

თუ არა ღირსეულს

ღირსეულთა შორის;

უკუნითი უკუნისამდე ჰქუხს დიდება მოწამეებისა,

რომელთაც ერგოთ პატივი მაღალი,

რომელთა დიდებას ვღაღადებთ ჩვენ და

რომელთა დიდებას იღაღადებენ საუკუნენი

და რომელთაც დაიმკვიდრეს სასუფეველი ცათა

და მადლი უფლისა.

ისმინე, კეთილო!

ქალაგება მირვე

ყოველსა საქმესა — ღეთისნიერსა

და უღვთოსა,

ეყოლების მოთავე

და არვინ იქნების გარეშე მოთავისა.
ვითარცა არვინ იბადების სურვილითა თვისითა,
არცა ვინ ბატონდების სურვილითა თვისითა.
ნუ იქნები უმადურ,
ნურცა მაგინებელ.
რანაირ მოთავესაც იმსახურებს ხალხი,
ისეთსავე მოთავეს უნიშნავს უფალი.
ვერვინ გაექცევის მსჯავრსა უფლისასა,
იყავ მორჩილი.

ქალაგება მძინარი

ბოროტი აღაგზნებს შურისგებასა,
მომურნე კი
შეუდგება ცოდვასა;
ყოველი ცოდვილი — გაბოროტებულ,
ეშმა,
მხილველი ფოვლისა ამისა, — მოხეიმიე;
რამეთუ აიძულა კეთილი,
დაემგვანოს უკეთურსა.
დაანაზე მას,
რომ ხარ ღმერთისნაირი:
შემწყნარებელი,
მომთმენი და
უბოროტო;
და რომ არ ჰკავხარ მას — სატანას:
დაუნდობელს,
მომურნესა და
ბოროტს.
იცოდე, ყოველი შენი გამარჯვება
უფლის გამარჯვებაა.
მოთმინება,
მოთმინება და
მოთმინება
ყურად იღე, კეთილო!

ქალაგმბა მერთ

არვის ეძლევის მიწიერი ცხოვრება სანეტაროდ,
იგია დახანება სულის გამოწრთობისა,
სულია უზენაესის საბუთი დიდი.
სული ზეციურია და ზორცი მიწიერი.
მიწიერი — მიწას,
ზეციური — ზენას.
სულია უმთავრესი და სულია უპირველესი.
არცა გამჩენი მოავლენდა შვილსა
თვისსა სატანჯველად,
ვითარმედ მიწიერი ვოფილიყო მარადიული.
არცა ვინ დათმობდა მეფობასა შემოდლეულს,
ვითარცა იესუ,
რამეთუ იგი იყო ღმერთი.
და უკეთ იცოდა ჭეშმარიტება გამჩენისა,
უარყო მეფობა შეძლეული
და შეეწირა ზეციურს.
მზრუნველი ზორცისათვის — დამღუპველ სულისა,
მზრუნველი სულისათვის —
გონიერ და მაღლამხედ.
მოწამეო ღვთისაო,
ამად ისმინე ღალადება ჭეშმარიტი!

ქალაგმბა მერთმეტი

სიაშე ვოველი ზორცისა შენისა
მინიჭებულ პარვითა და მრუშობითა,
უმაძღრისობითა და
განდიდებითა, —
უზომო ტვირთი შეილისა შენისა.
სიმძიმემან მისმან განდრიკოს
ძვალნი მისნი და
ამწაროს სული მისი.
წვალეებულ შეილის მხედვარემან —
მამამან და ღეღამან

სთქვან, ვითარმედ:
„რაილა სჭირს შვილსა ჩემსა?“
და არა შეიგნონ მიზეზი ჭეშმარიტი
ცოდვათა მათთა.
ისმინე ღალადება ჭეშმარიტი უფლისა ჩვენისა:
არა იპარვიდე,
არა მრუშობდე,
არცა ამპარტავენებდე დიდკაცობითა შენითა,
კმარისობდე მოცემულს უფლისასა სულის შესანარჩუნებლად.
ვიდრე სრულყოფამდე.
განსოვდეს, მშობლების მართალი ცხოვრება
შვილების ჯანია.
ფურად ილე, კეთილო!

ქადაგება მეთორმეტი

მორწმუნენო ღვთისანო!
არ დაგცეთ სულითა ჭირვებამან თქვენმან.
ირწმუნეთ ვითარც:
ჭირი შეიქმს მოთმინებასა,
მოთმინება — გამოცდილებასა,
გამოცდილება — სასოებასა,
მპყრობელმან კი სასოებისამან შეიძინოს
უფლის მადლი.
ისმინე ღალადება ჭეშმარიტი
უფლისა ჩვენისა:
როგორც ოქრო გამოიწრთობის
ცეცხლის აღზედა,
ასევე ღვთისმოყვარე,
რათა დაიდგინოს საბოლოო
ბრწვინვალება
და არასოდეს შეერივნოს
კვლავ
სიბინძურესა და უმსგავსოებას.
ფურად ილე, კეთილო!

ქალაგება მეცამეტე

ქრისტეანო, განბანილო ქრისტეს სისხლითა,
ილოცვიდე და იწერდე პირჯვარსა დღესა ვოველსა,
სულსა შენსა დასდე ქრისტეს ჯვარი —
იგია ლახვარ ეშმაკათვის.
კაცი ურწმუნო — ღია კარი,
ავსულთა სათარეშო;
მოდარაჯემან გიხილოს რა ულოცველ და ჯვარგადუსანავ,
გეცეს ვითარცა მიმინოშან,
უმწეო მწვერივითა შეიპყრას სული შენი
და დაგცეს ზრახვებითა ავითა.
არცა უფალმან შეგიფაროს, რა გიხილოს
უაზრო და უმოქმედო,
წარგწემიდოს სააქაოდ და საიქიოდ,
რათა წვრთნასა შენსა შესწირა მან
შვილი თვისი
და არა შეგიგნია თავად.
უფლის მოცემულ მომართე გონება შენი
და მიპყვე სიბრძნესა მისსა.
ქრისტეანევ, განბანილო ქრისტეს სისხლითა,
ილოცვიდე და იწერდე პირჯვარსა
დღესა ვოველსა,
იჲვარ საიმედო ფარი
სულისა შენისა,
რამეთუ მარხვითა და ლოცვითა და ჯვრითა
პატიოსნითა
განიდევნების ეშმაკი.
ყურად იდე, კეთილო!

ქალაგება მეოთხეცე

ვოფა ვოვლისა სიცოცხლისა —
ერთობა სულისა და ხორცისა.
ხორცმა ითხოვოს მოსაცემელ თვისი:
ჭამადი, სმადი და სამოსელ.

სულმა თავისი ითხოვოს მოსაცემელ:

ცოდნა და თვისება;

ხორცი მოკვდავ, რათა ისაჭიროოს მოსვენება,

იქმოდეს დღესა ყოველსა და უქმობდეს

ღამესა ყოველსა.

სული მარადიულ, რათა არა ისაჭიროოს მოსვენება,

იქმოდეს დღეცა და ღამეცა სიზმრისეულ ცხოვრებაში.

სიკვდილის ჟამს განიყვნეს სული და ხორცი;

ხორცის მიერ წარტაცულ, მოკვდავ ხორცთათანა.

სულის მიერ წარტაცულ, უკვდავ სულთათანა.

განსოვდეს მისაცემელ უკვდავისა

სულისა შენისა,

იყოს იგი ნათელ, სპეტაკ და ყოვლად ჯანსად,

რამეთუ იგი არს მხსნელ შენდა და დამღუპველ შენდა.

ყურად იღე, კეთილო!

ქადაგება მითხუთმეტე

ხორცი ყოველი მოკვდავ და ხრწნად,

ამისთვის სწრაფობდეს იგი და

შურვობდეს იგი და უმაძრისობდეს,

რათა მოასწროს და წარიტაცოს მრავალ მოსაცემელ,

რაიცა აცოცხლებდეს მას.

აღსდექ ბრძოლად, ო, კეთილშობილო,

ნუ გაუხდი სულსა უკვდავსა

მონად ხორცსა მოკვდავსა.

განსოვდეს, შენია ის,

რაც შენ გეკუთვნის და არა ის,

რასაც თვალი უწვდინო.

რაიც არს შენი და გეკუთვნის შენ,

უშფოთვლად დაემკვიდრე მას.

ისაზრდოე და ზარღე სული შენი

წრფელობითა დიდითა;

აყურადე მას ჟამსა ყოველსა,

იგია უზენაესის საბუთი სრული,

რამეთუ ნეტარებდე განცხრომითა და უძლეველობითა.

გახსოვდეს უკანასკნელი:
ფოვლის მოძრევი ხიკვდილი,
უფლის სასჯელი,
ჯოჯონეთი და სასუფეველი!

ქაღაბეზა მითეჰვისმეტი

ქვეენის მეუფესა, ღმერთსა შემოქმედსა
თაფვანისეცემების ერთაგან ფოველთა,
იდიდების, სამადლოდ ერისა და
კურნებად ერისა;
რამეთუ შემოქმედმა ქვეენისამან
აუწფა მონათა თვისთა კაცთა ცოდვების მისატევებლად
მესია — მაცხოვრის მობრძანება
სადვთო წიგნითა,
ოცდაათ ვერცხლად გაცემა მისი და
სიკვდილით დასჯა.
ხხვა ვინ იყო მესია იგი, თუ არა ქრისტე,
ნათლის მფრქვეველი,
ჭეშმარიტი სიბრძნის
მომტანი,
რომელიც ივნო, ვითარც წერილ არს,
მისატევებლად ცოდვათა ჩვენთა
და მამის თვისის სიფვარულისთვის.
ვინაც არა სცნობს ძეს ჭეშმარიტს
უფლის თანასწორ,
მას არც მამა სცნობს,
ამაოა მუხლის მოდრეკა.
არცა კურნება მიეცეს და
აღარცა მადლი;
ცრუ არს იგი თაფვანი ფოველ,
უბოოდ და უსულიწმიდოდ.
ამაოდ დამაშვრალთ ელით რისხვა,
წარწყმედა სრულად.
წვედიადესა მფოფნო, გონს მოუგეთ,
შორს არ არის დღე საბოლოო!

ქალაგება მჩვიდმეტი

ფურად იღეთ, ქრისტეანენო!

ვითარცა ფულსა ჰქონდეს სახიერება თვისი,
ფასეულობდეს და ძალოვანებდეს იგი
სახიერებითა თვისითა,

რამეთუ ინდომო შეცვლად უმცირესისა
სახიერებისა მისისა,

იქცეს ფული იგი ფალბად;

ვითარცა ფალბი ფულის ქონით გულდამედებულმა
სასურველი საგნის ნაცვლად შეიძინოს სასჯელი,
ასევე ცრუ ეკლესიის მიმყოლმა

მადლის სანაცვლოდ შეიძინოს რისხვა:

რამეთუ ფალბი ივოს სახიერება ქრისტეანული
მისი.

იჩემებ რა ქალწულობასა,

გაგაჩნია კი პირველყოფილი ნიშანი კდემისა?

ნუ იმედოვნებთ სახელითა მხოლოითა,

გერქვას მართლმადიდებლური და შეცვლილ გქონდეს
სამოციქულო ეკლესიის სახიერება, —

იგი არს მივოლა სიცრუისა!

რაიცა ბადებდეს სიკვდილსა.

გერქვას კათოლიკე და შეცვლილი გქონდეს

სამოციქულო ეკლესიის სახიერება,

იგი არს მივოლა სიცრუისა!

რაიცა ბადებდეს სიკვდილსა!

არა შეიცვლები ეკლესია სამოციქულო,

არცა რამ უმცირესიც კი,

რამეთუ ქრისტეს მოციქულებმა

დაადგინეს ესრეთ.

ვინაც ეჭვი შეიტანოს მოციქულთა კანონში,

მან ეჭვი შეიტანოს თვით ქრისტეში,

რამეთუ კანონი იგი

ებოძა მათ ქრისტესაგან.

ვინაც ახალი რელიგია და

ახალი მოციქული ინდომოს,

მან ისმინოს პავლეს სიტყვა:

„რასაც ახლა გიქადაგებთ, იმის საპირისპირო
ანგელოზმაც რომ გიქადაგოთ, არა ირწმუნოთ და
შეუყენეთ ანათემას“.

გონს მოუგეთ, მოწადინე ქრისტეანენო!
შეცდენილნო მზაკერობითა მრავლითა,
მოისინჯეთ იარაღი სულისა.

რამეთუ არა გამოიკვლიოს მეომარმა მეყვსეულად
ვარგისიანობა მოწოდებული იარაღისა,
მან მოსისხლე მტრის წინაშე შეიცნოს
სიჩლუნგე ზმლისა თვისისა
და, ავაი, რომ ძვირად დაუჯდების,
რადგან არა დაგინდოს მაშინ მოსისხლემან
და იზეიმოს შეცდომა შენი.

რაიცა მონასა უგუნურსა —

იგივე ცდუნებულსა ქრისტეანესა.


ამენ, ამენ! ისმინე, კეთილო!

რამეთუ ერთი გაქვს რჯული და
ჰქვია მას ქრისტეანული.

სხვა რა დაგრჩენიათ: დასდგეთ ძველსა გზაზედა,
დასდგეთ მტკიცედ გვერდით ერთურთისა,
რათა ვერა შეძლოს დაშლა თქვენდა ბოროტმა.
და ვლიდეს ფარა იგი მწყემსითა კეთილითა
საიმედო საძოვარზედა.

ისმინეთ, ქრისტეანენო!

ჰა, დადგა ჟამი იგი ბოლო!



ვერტული

უფალო, შემიხედო

უფალო, შემიხედო და დაიმკვიდრე გული ჩემი,
რამეთუ უშენობით ცხედარ ვარ მე.

არა მითქმის ვითარცა უგუნურსა:

„არა არს ღმერთი“.

არამედ შენა ხარ ყოვლად სახთერი, უფალო,

მაცხოვარი ჩვენი და,

მწყალობელი ჩვენი და,

იმედი ჩვენი.

მწყემსი ხარ ჩვენდა, მწყემსი კეთილი.

ცდუნებანი ქვეყნისანი მშვენიერობენ და

ჰყვავიან, ვითარცა ფარჩა მინდვრისანი,

და ჰე, განქარღებიანცა, ვითარცა ფარჩა.

ჩემი მშვენება შენა ხარ, უფალო!

მარადის წარუდინებელ სახიერებითა შენითა.

სიცოცხლე ხარ და ძალი ხარ მუხლისა ჩემისა.

აგაი, რომელთაც უშენობა ინდომეს, უფალო!

მათ დასცეს სახსენებელი გვარისა თვისისა

და მოშალნეს ბუდე თვისი.

ვინაც გიხილა შენ,

მას საცნაურ ექმნა მეფის ტყვეობა,

ვინაც გემონა შენ, მას დაემონა ქვეყნიერება.

ვითარცა არა იქმნეს გმირი უღვაწლოდ,

არცა არვინ დაიმკვიდროს სასუფეველი ღვთისა.

ამენ, ამენ, უფალო, ძალი მომეც მე.

რათა მოვიფრიდე მუხლსა ღორღსა და

ქვის ნამუსრევეზე.

ფერხთითა შიშველითა ვკლიდე ეკლიანსა გზასა ზედა.

ასევე მხართა ვზიდვიდე

ჯვარსა ჩემსა ჯვარცმამდე.

რათა ნებითა შენითა ვინილვიდე

აღდგომას წმიდასა ჩემსასა.

ოი, უფალო!

არა დაანებო მაცდურსა თავი ჩემი.

ამენ, ამენ, გვედრები შენ.
თვალეში ჩამიფენე ცრემლი,
მასწავლე გლოვა ცოდვისა ჩემისა;
გულშიგან ჩამინერგე შიში,
მოსხარე ქელი ჩემი;
პირისაგან განმარილე სიცრუე და
განმარილე შხამი;
მით იხსენ სული ჩემი,
ღმერთო ძლიერო!

უფალო ჩემო

სარწმუნოებრივი სიმტკიცე,
ქრისტეანული სიბრძნე და
ტანის სიმრთელე მომშადლე მე, უფალო;
რათა სიმტკიცითა ხარწმუნოებისათა
გემიებდე მარად შენ და გპოვებდე;
სიბრძნითა ქრისტეანულითა
განვერიდო საცდურსა ყოველსა
და ვპლიო ეშმაკთა,
სიმრთელითა ტანისათა გამსახურებდე მრავლად
შენ და ისევ შენ,
უფალო ჩემო,
ამენ!

ღმერთო, ძლიერო

ღმერთო, ღმერთო,
ისმინე ვედრება ყოვლისა ქრისტეანისა,
რამეთუ შენ ხარ უფალი,
სიკეთე სრული და
არა მოწადინე დასჯად გაჩენილისა,
არამედ მოქცევად ყოველთა ცოდვილთა.
ამენ, ამენ, ისმინე
ვედრება ჩვენი,

რამეთუ განგერიდოს უგუნური
უგუნურებითა თვისითა,
კეთილსახიერო უფალო, იხსენ იგი და
მოიზიდუ შენის ცხოველისმყოფელის ცეცხლითა,
შენ მოაქციე ფოველი წარმართი და
წყალწაღებული,
განუჩინე ანგელოზი მფარველი თვისი
და არა გასწირო გაჩენილი შენი;
ზროუას მგლებისას გამოსტაცე მონა იგი
და კვლავად შეურივნე ფარას შენსას,
მით იხსენ სული განწირული,
ღმერთო, ძლიერო!

ღმერთო, კურთხეულო

ღმერთო ჩემო,
მიფარდეს მოყვასი ჩემი
ხადიდებლად შენდა და საცხოვნებლად ჩემდა.
არა მქონდეს მძულვარება მტრისა ჩემისა,
რამეთუ ვიცოდე ჭეშმარიტება შენი:
უარმყოფელ კაცთა გვარისა,
უარმყოფელ თავისა თვისისა.
სული ფოველი ამდაგვარ, განდგომილ ღმერთთაგან,
ფოველი განდგომილ განწირულ ბუნებითა თვისითა.
დამფასებელ სულისა კეთილისა,
ამღიარებელ ნიჭისა უფლისა.
შემინდვია ბოროტება მტრისათვის,
და შეუნდე, უფალო;
არა ისწრაფო დასჯად ჩემისა გულისათვის,
დაუხანე ცხოვრება ფოველთა
შეცდომათა გასასწორებლად,
შეაგნე ჭეშმარიტება შენი და
მით იხსენ მოყვასი ჩემი.
არა დაანებო ეშმაკს მაცდურებისა
შთანერგვა გულთა ჩვენთასა,
გვიხსენ, განწმინდე გული ჩვენი
სასიფვარულოდ ერთურთისა.

გვიხსენ და განგვაპტიცე, მეუფეო ჩვენო,
ღმერთო, ღმერთო, კურთხეულო.

მომიტვეე

მომიტვეე უძღურსა მონასა შენსა,
რათა ვერ დავითმინე მცირედი წყენანი,
ქონებანი საშუალ და ღირსება საშუალ.

ვანთხიე ცოფ და ვაგე შურ:

წვენიებისთვის ორმაგ,
ქონებისთვის ორმაგ,
ღირსებისთვის ორმაგ,

ორმაგ ვაგე შურ.

ო, უფალო, მომიტვეე, მომიტვეე მე;
ვიყავ გულმიდრეკილ პატივისთვის მაღალ,
შენ კი უპატიოდ ვლიდი ქვეყანასა.

ქონებითა მრავლით ვეღარ განვძებ მე,
შენ კი ღია ცის ქვეშ ვლიდი უსახლკარო.

და მე — თიხა, მტვერი დავძებდი მწვერვალთ,
როს უფალი ჩემი ასე უპატიოდ,

ეკლის გვირგვინითა და შოლტების ცემით,
ჯვარზე მიგაჭედეს, სიცოცხლეო ჩემო;

ვერა შემეგნია ცოდვილს ქვეყანისასა
სიბრძნე შენი

ჩემდა საცხოვნებლად:

დავითმინო ყოველ ქვეყნის გამოცდანი;
უფალო ჩემო! უფალო ჩემო!

ვედრეთი ძრისტისა — მეუფისა ჩვენისა

სამებისა წმიდისა წმიდათა წმიდანო,
დედუფალო ცისა — ღვთისმშობელო მარიამ,
ქართველთა განმანათლებელო ნინო წმიდაო,
მთავარმოწამეო წმიდაო გიორგი

და ყოველნო წმიდანნო ღვთის კარზე
მდგომარენო,

ნათლისმცემელო იოანე, ნათელო,
პეტრეე და პავლეე – თორმეტ მოციქულთაგანო,
ქებულო მოღვაწენო სახარებისანო –
მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე!
მოციქულნო მამანო სამოცდაათნო,
დიდნო მოწამენო დავით და კონსტანტინე,
სამებისა წმიდისა წმიდათა წმიდანო,
ვოველნო წმიდანნო ღვთის კარზე მდგომარენო,
ევედრეთ ქრისტესა –
მეუფესა ჩვენსა,
რათა განგვარიდოს საცდურსა ვოველსა,
შეიფაროს საქართველო – წილხვედრ ღვთისმშობლისა,
განგვანათლოს ნათლითა უნათლესით თვისითა,
რათა განვმართლდეთ ღვთის წინაშე ქართველნი
და არა წარვწყმდეთ ცრუ ვოფითა ჩვენითა.

უფალო, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი

უფალო, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი.
ცოდვანი ვოველნი წინაპართა ჩვენნი,
შეგვინდე რა უგუნურება ჩვენი,
მოგვიტევე ჩვენ.
გვიხსენ წყალობითა შენითა,
დაგვადგინე ცხოვლად მზრუნველობითა შენითა.
აწ გარდაცვლილთა მიუტევე, უფალო,
მაცხოვრებითა შენითა,
რამეთუ ხარ ღმერთი კურთხეული
უკუნითი უკუნისამდე, ამენ!

ლოცვა მარიამ ღვთისმშობლისადმი

კურთხეულთა შორის კურთხეულო,
ნათელო წმიდაო, ჭეშმარიტო ღვთისმშობელო მარიამ,
გვედრები მონა ღვთის იოანე,
რათა მოწყალე ჰყო ძე შენი და

ღმერთი ჩვენი —

ქრისტე მაცხოვარი მადლითა დედაშვილობისათა,
რათა არა გაგვიწარღეს დედაშვილობა (ან მამაშვილობა)
უსჯულოებითა და

ფოულითა მრავალცოდვილიანობითა ჩვენითა,
რათა არა დამძიმდეს ცხოვრება ჩვენი
ტყვილითა უმძიმესითა,
და არა ვივარგოთ შემდგომ ზრუნვად
სულისად.

ღვთისმშობელო, გვექმენ შემწედ და ჰქმენ მოწვალედ
ქე შენი

განმართვად ცხოვრებისა ჩვენისა;
გვიხსენ მადლითა და ვედრებითა შენითა,
რამეთუ ხარ კურთხეულ დედათა შორის;
ღვთისმშობელო წმიდაო მარიამ,
ამენ!

ბალოგა მარიამ ღვთისმშობლისადმი

შენ გიგალობთ, დედაო ღვთისა,
წმიდაო მარიამ.

შენ გადიდებთ, დედაო ღვთისა, წმიდაო მარიამ.

გალობითა საუკუნოითა გიგალობთ შენ,
დიდებითა უზესთაესითა გადიდებთ შენ.

ფერხნი შენი, დედაო მარიამ, —

ფესხნი ვარდისანი მიწას განტოტვილნი,

ტანი შენი, დედაო მარიამ,

შტონი ვარდისანი ზეცად აზიდულნი,

ნაყოფი შენი — ვარდი სასიცოცხლო —

მზე გარდმოკიდულ ცათა მანათობელ,

ხმელთა მანათობელ, წვდიადთ მანათობელ;

წმიდა გულთა ნატვრა,

ვარდი უჭკნობელი.

წმიდაო მარიამ!

დედაო მარიამ!

შენის ნაყოფითა გული დაგვეამა,

სული დაგვეამა;

დედავ ღვთისმშობელი, ივავ კურთხეული.
მნათო უქრობელი, წყარო მწყურვალეთა,
სიცოცხლის საწეისო — ხსნაო ცოდვილთაო,
გვირგვინო ცისა და ზმელეთის სინედლევე,
მარად მოწყალეო დედაო მარიაო,
ივავ კურთხეული!

საშობაო

შობის დღეო, წმიდავ,
ქრისტეს შობის დღეო,
ნათლის მობრძანებავ,
წმიდა სალოცავო,
ქვეყნის გადამრჩენო, ჩვენდა განწირულო
იესუ მაცხოვარო, დიდება შენ.
მეუფეო, მეუფეო, მეუფეო ჩემო,
მხსნელო ჩემო და სიცოცხლეო ჩემო.
სახიერო უძლეველო, უძლეველო კურთხეულო,
იესუ მაცხოვარო, დიდება შენ.
ჯვარო, ჯვარო, ჯვარო,
ჯვარო, ქრისტეს ჯვარო,
მტკივნეულო, ჯვარო, ჯვარო, უმძიმესო,
სისხლო, გადამრჩენო, სისხლო, უმანკოო,
იესუ მაცხოვარო, იესუ მაცხოვარო!
ჰა, უფალო ჩემო, გული განწმენდილი,
ჰა, უფალო ჩემო, სული განწმენდილი,
შენ გეკუთვნის იგი, შენ გეკუთვნის, შენ,
იესუ მაცხოვარო, უფალო ჩემო!



ლოცვანი მთავარანგელოზთა მიმართ

მთავარანგელოზო!

ყოველთა ბოროტთა სულთა დამთრგუნველო,
ღვთისა ჩვენისა ნებითა მფარველო,
უბედურებათა ყოველთა და
ცოდვათა მძიმეთა განმქიამებელო,
ძლევამოსილო მიქელ!
ვევდრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად
სულთა ჩვენთათვის.

მთავარანგელოზო!

ძალო ღვთისაო,
სულთა ჩვენთა მახარობელო და
საიდუმლოთა უფლისა განმცხადებელო,
კეთილმოსურნეო, გაბრიელ!
ვევდრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად
სულთა ჩვენთათვის.

მთავარანგელოზო!

მკურნალო ყოველთა უძლურებათა ჩვენთა,
სულითა და ხორციითა დაცემულთა აღმდგენელო,
დაბნეულთა გზათა განმმართველო
და სადიდებლად უფლისად
ყოვლად კეთილმქნელო, რაფიელ!
ვევდრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად
სულთა ჩვენთათვის.

მთავარანგელოზო!

გულთა მიმქრალთა და სულთა მინავლულთა
გამღვიძებელო და ლოცვად შემმართველო,
ყოველთა ფერგამკრთალთა ნათლით შემმოსველო.
კეთილო, ურიელ!

ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებაი
სულთა ჩვენთათვის.

მთავარანგელოზო!

მოგზაურთა და ჭირნაცემთა ყოველთა
შემწევ და მეოხეო,
სადიდებლად უფლისად ხელის გამმართველო,
სიკეთით შემოსილო, იეგუდიელ,
ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად
